ვ. კასპინოვი

ოცდასამი დღეკვადი საფეხური

„საბჭოთა საქართველო“. თბილისი — 1984

9 (ᲒᲠ 1)
63.3 (2 ᲠᲣ)
9 (470) (092 ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲛᲔᲝᲠᲔ)
Კ 33

რომანოვების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის 23 წლის მეფობა მრავალი უმძიმესი დანაშაულით აღინიშნა. ამიტომაც მას ხალხმა სამართლიანი განაჩენი გამოუტანა.

მ. კ. კასვინოვის წიგნი მოგვითხრობს მეფესთან დაახლოებულ დიდგვაროვანთა ცხოვრება-საქმიანობაზე, პირსისხლიანი ნიკოლოზის აღსასრულზე, რომელსაც ბურჟუაზიული ფალსიფიკატორები უდანაშაულო მსხვერპლად სახავენ. ამ ინსინუაციებს წიგნი საკადრის პასუხს აძლევს.

ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐ ᲝᲗᲐᲠ ᲙᲐᲡᲠᲐᲫᲔᲛ

70302 — 060
К————————369 — 84
М (601) 08 — 84

© ქართული თარგმანი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1984

წინასიტყვაობა

რუსეთის უკანასკნელი თვითმპყრობელი რომანოვების დინასტიის შთამომავალი იყო. ამ სამეფო გვარეულობის წარმომადგენლებს, გარდა პეტრე ალექსის ძისა, თავიანთი ისტორიის ფურცლები არ გაულამაზებიათ. თვითონ ნიკოლოზს მთელი თავისი მრავალრიცხოვანი წინაპრებიდან ყველაზე მეტად სათვალავით მეორე რომანოვი — ალექსი მიხეილის ძე იზიდავდა, რომელმაც რევოლუციამდელ ისტორიოგრაფიაში ნახევრად ოფიციალურად „მშვიდის" სახელი დაიმკვიდრა. მისაბაძი ნიმუშის შერჩევა რამდენადმე უკვე მეტყველებს შემრჩევის გემოვნებასა და მის ხასიათზეც. მაგრამ უკანასკნელმა თვითმპყრობელმა ვერ შეძლო მშვიდი ყოფილიყო. ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე დაიმსახურა მან ხალხის სიძულვილი და ჩამოურეცხავ ლაქად შერჩა პირსისხლიანის სამარცხვინო მეტსახელი.

რუსეთის იმპერიის მაღალი თანამდებობის პირნი, რომლებიც კარგად იცნობდნენ მას, ერთსულოვნად აღიარებდნენ, რომ პირადი თვისებების გამო მისთვის სავსებით შეუფერებელი იყო უზარმაზარი სახელმწიფოს გამგებლის როლი. მართალია, ბრიყვიაო მასზე ვერ იტყოდით, მაგრამ არც მაღალი ინტელექტითა და დიდი განათლებით გამოირჩეოდა. ბუნებრივი ნიჭიც არ გააჩნდა. გაურკვეველი ზნის უსიცოცხლო კაცი იყო, „საშუალო" გარეგნობისა, თუმცა ამას სახელმწიფოს მართვისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. მაგრამ ჭკუა, ხასიათის სიმტკიცე, ცოდნა — ყოველივე ეს მას აშკარად აკლდა. თანამედროვენი, ხოლო შემდეგ ისტორიკოსებიც ერთსულოვნად აღიარებდნენ, რომ ნიკოლოზი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიეკუთვნოს გამოჩენილ ადამიანთა რიცხვს. ამის მიუხედავად, მასზე ძალიან ბევრი დაიწერა.

წიგნების, ბროშურებისა და სტატიების პირველი ტალღა 1917—1918 წლებზე მოდის. მათი ავტორები ძირითადად ლიბერალური

ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ. ფაქტობრივ მასალაზე დაწერილი მთელი ეს ლიტერატურა ნათლად გამოკვეთილ მამხილებელ, გამანადგურებელ ხასიათს ატარებდა: მასში უსაზღვროდ ბევრია „ხელმწიფე იმპერატორის“ ორპირობის, ვერაგობის, სიმკაცრის, უგულობის მაგალითები; ნაჩვენებია მისი სულმოკლეობა, აზრთა ცვალებადობა, გაუნათლებლობა, კულტურის დაბალი დონე, გულუბრყვილობა სახელმწიფოს მართვის საქმეებში.

ოციან წლებში გამოჩნდა ნიკოლოზ II პიროვნებისა და მისი წრისადმი მიძღვნილი უფრო სერიოზული, ანალიტიკური ნაშრომები. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ს. ლიუბოშას „უკანასკნელი რომანოვები“, ი. ვასილევსკის (ნე-ბუკვი) „რომანოვები“, ნ. ფირსოვის „ნიკოლოზ II“. ქვეყნდებოდა ბევრი დოკუმენტური მასალა — მეფისა და დედოფლის ხუთტომიანი მიმოწერა, თანამედროვეთა დღიურები და მოგონებანი. შემდეგში ინტერესი ნიკოლოზის პიროვნებისადმი მინელდა და რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ახალი ლიტერატურა მის შესახებ ჩვენთან პრაქტიკულად არ გამოცემულა.

მკითხველთა ფართო აუდიტორიის სრულიად საფუძვლიანი ინტერესი გამოიწვია ამ რამდენიმე წლის წინათ ჟურნალ „ზვეზდაში“ გამოქვეყნებულმა მ. კასვინოვის დიდმა ნაშრომმა „ოცდასამი დაღმავალი საფეხური“, რომელიც თავად ავტორმა განსაზღვრა როგორც „მოთხრობა რუსეთის უკანასკნელ მეფეთა — რომანოვთა და მათ მსახურთა ქმედობასა და აღსასრულზე“. ამ ნაშრომში თავმოყრილი უამრავი ფაქტობრივი მასალა უტყუარად გვიხატავს თვითმპყრობელის საძულველ სახეს, მის ქცევას სხვადასხვა სიტუაციაში, მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოვლენებისადმი დამოკიდებულებას. იმ ფაქტებს, რომლებიც ოციანი წლების ლიტერატურიდან იყო ცნობილი, დაემატა არქივებიდან და ადრე მეფის ოჯახთან დაახლოებულ პირთა მიერ საზღვარგარეთ გამოცემული მემუარებიდან ამოკრეფილი ახალი მასალა.

ამასთან მ. კასვინოვის წიგნი ღრმად პოლემიკურია და ეს პოლემიკა მთელი თავისი სიმძაფრით მიმართულია ისტორიის საზღვარგარეთელი ფალსიფიკატორების წინააღმდეგ, რომელთა ნაწარმოებებიც სამოციანი წლების შუა პერიოდში ფართო ნაკადად მიაწყდა წიგნის ბაზარს. ამის შემდეგ მათ საფუძველზე შეიქმნა მდარე ხასიათის ფილმები და ტელედადგმები რომანოვების ოჯახსა და მისი კარის შესახებ. ამ ანტისაბჭოური ნაწარმოებების ნაკადი აშკარად წინასწარი

განზრახვით გაძლიერდა დიდი ოქტომბრის რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავის წინ, ხოლო ახალი „ტალღა“ ოქტომბრის 60 წლისთავზე აზვირთდა.

ამ სხვადასხვა ჟანრის ნაშრომებში მკაფიოდ შეინიშნებოდა ერთი იდეა — ნიკოლოზის, როგორც პიროვნების, სახელის აღდგენა. იგი წარმოდგენილი იყო კარგ მეოჯახედ, ადამიანებთან ურთიერთობაში სათნო კაცად — მართალია, უნებისყოფო, მაგრამ კეთილ პიროვნებად... მისი ამგვარად „წარმოჩენის“ აზრი სავსებით გასაგები იყო: უნდოდათ ეჩვენებინათ, თუ რა სასწაულებრივი უსამართლობა გამოიჩინეს ბოლშევიკებმა, როცა თითქოს არსებითად ასეთ სათუთ, უწყინარ და უკვე აღარავისთვის საშიშ პიროვნებას სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს.

მ. კასვინოვის წიგნში ეს ოდიოზური კონცეფცია არგუმენტირებულად და თანამიმდევრულად არის მხილებული. ავტორი განუწყვეტლივ ადევნებს თვალს ნიკოლოზ II მეფობას ამ 23 წლის მანძილზე, საშუალებას გვაძლევს მთელი სიღრმით შევიგრძნოთ რომანოვების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის სულიერი და ზნეობრივი დაცემა, თვალწინ გადაგვიშლის მისი მმართველობის „სამზარეულოს“, მონარქიული წყობის მთელ სიდამპლესა და სიბილწეს, დამაჯერებლად გვისაბუთებს მის კანონზომიერ ისტორიულ განწირულებას.

როცა ეს წიგნი დასაბეჭდად მზადდებოდა, სამწუხაროდ, მარკ კონსტანტინეს ძე კასვინოვი ცოცხალი აღარ იყო. ამიტომ ზოგიერთი ნაწილი სათანადო სისრულითა და სიღრმით დამუშავებული არ არის. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, თითქოს ამ ნაწილების შევსების პრეტენზიას ავტორის მაგივრად ჩვენ ვაცხადებთ, თავს მხოლოდ მოვალედ ვთვლით, რომ რუსეთის თვითმპყრობელობისა და მისი უკანასკნელი წარმომადგენლის დახასიათებისას მკითხველის ყურადღება ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს მივაპყროთ.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოლოზი ყველაზე დიდი მესაკუთრე იყო რუსეთში: იგი ფლობდა ეგრეთ წოდებული საკაბინეტო და საუფლისწულო მიწების უზარმაზარ მასივებს. მარტო ციმბირში მათი რაოდენობა 67,8 მილიონ ჰექტარს შეადგენდა; იქ ხდებოდა ოქროს, ვერცხლის, ტყვიის, სპილენძის მოპოვება, ხეტყის ექსპლოატირება, ადგილ-მამულების მნიშვნელოვანი ნაწილის

იჯარით გაცემა. მეფის ქონებას მართავდა საიმპერატორო კარზე არსებული განსაკუთრებული სამინისტრო.

ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინს უკანასკნელ რომანოვზე საგანგებოდ არაფერი დაუწერია, მაგრამ აღნიშნულის მიუხედავად, მან მაინც არაერთხელ განსაზღვრა მისი კლასობრივი არსი: „მეფე-მემამულე", „პირველი მემამულე და ბატონყმობის მთავარი დამცველი...", „პირველი მთავარი და მსხვილი მემამულე", „ყველაზე მდიდარი და ყველაზე შავრაზმელი მემამულე", „ყველაზე მსხვილი მემამულე და მასების მჩაგვრელი". დახასიათება ლაკონიურია, მაგრამ მთლიანად ააშკარავებს ყველაზე მთავარს, ძირითადს არა მარტო იმ სოციალური წოდებისა, რომელსაც ნიკოლოზ II ეკუთვნოდა, არამედ თავად მისი პიროვნებისაც, აზროვნებითა და ცხოვრებაზე შეხედულებებით თავის წოდებრიობას რომ განასახიერებდა.

ბევრი შეცდომაში შეჰყავდა მეფის უბრალო თავდაჭერას, თითქოს ჩრდილში ყოფნას, პოლკოვნიკის მუნდირის უპრეტენზიო ტარებას, ხშირად უბრალო საკვებით დაკმაყოფილებას. ასეთი იყო მისი გარეგნული სახე. შინაგანი არსი კი ამომწურავად გამოვლინდა სრულიად რუსეთის აღწერისას, როცა გამოკითხვის ფურცელზე, პროფესიის გრაფაში, მან თავისი ხელით ჩაწერა: „რუსეთის ბატონ-პატრონი". ასე ჰყავდა მას თავისი თავი წარმოდგენილი.

მთელი თავისი ღარიბი ბუნების მიუხედავად, ან, შესაძლოა, იმის გამოც, რომ სწორედ ესოდენ შეზღუდული და ნაკლებ განათლებული იყო, მის შეგნებაში სამუდამოდ დამკვიდრდა აზრი იმის შესახებ, რომ იგი იყო ერთადერთი მბრძანებელი და სრული ბატონ-პატრონი სახელმწიფოსი. არავისი აზრი არ შეიძლებოდა გასტოლებოდა მისას, სახელმწიფო თანამდებობის პირთა მოსაზრებანი და არგუმენტები მეფის „მინდათი" და „არ მინდათი" აღინიშნებოდა.

მისი თავდაჭერისა და ჩაცმის მანერა მასკარადული იყო. მართალია ხშირად სტანდარტულად შეკერილ სალაშქრო გიმნასტურაში დადიოდა, მაგრამ ამასთან ისიც სწორია, რომ იგი იყო მფლობელი ევროპაში ყველაზე მდიდრული სასახლისა, რაც ხაზს უსვამდა რუსეთის იმპერატორის სიდიადეს. აი, 1912 წელს გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემები: „1 ივნისისათვის მისი უმაღლესობის სასახლის შტატში იმყოფებოდა ორივე სქესის 1220 პირი: 10 სეფე-ქალი, 4 კამერ-ფრეილინა, სასახლის 12 უმაღლესი, ანუ პირველი წოდების პირი, 8 ობერ-ჰოფმაისტერი და 4 ობერ-მაისტერი. სასა-

ლის 240 მეორე წოდების პირი, ჰოფმარშლები, ჰოფმაისტერები, ეგერმაისტერები და შტალმაისტერები, 4 ობერ-ცერემონმაისტერი, 37 ცერემონმაისტერი, 328 კამერჰერი და 355 კამერ-იუნკერი. სასახლის კარის შტატში ირიცხებოდა აგრეთვე სხვადასხვა სპეციალობის 42 ექიმი". ასობით ტიტულოვანი მუქთახორა ეხვია გარს ყოველდღიურად საჭირო გარემოს შესაქმნელად. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოსათვის მცირეოდენი სარგებლობაც არ მოჰქონდათ, ისინი ზღაპრულ ხელფასს ღებულობდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ მეფის ოჯახს ემსახურებოდნენ, ართობდნენ და ხოტბას ასხამდნენ მის წევრებს, მოოქრულ ფონს უქმნიდნენ მათ.

სასახლის კარზე პირველ როლს სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლები — დიდი მთავრები და ქალბატონები ასრულებდნენ. არსებული სტატუტის მიხედვით დიდი მთავრების ტიტული ჰქონდათ ძმებს იმ იმპერატორისას, რომელიც მეფობდა (ანდა ადრე იყო მეფედ), მის შვილებს, ხოლო მამრობითი ხაზით — შვილიშვილებსაც. ისინი განუწყვეტლივ ინტრიგანობდნენ ერთმანეთში, მაგრამ როცა მათ პრივილეგიებს, ძალაუფლებას, კერძომესაკუთრეობას საფრთხე ექმნებოდა, უმალვე ირაზმებოდნენ და ერთობლივად გამოდიოდნენ.

ნიკოლოზ II ისინი „თავის ხალხად" მიაჩნდა, რომელთა წრეშიაც შეიძლებოდა ინტიმური საოჯახო საკითხების გადაწყვეტა. ბევრი მათგანი არ უყვარდა, ზოგიერთისა ეშინოდა კიდეც, მაგრამ თუ დიდ თავადებსა და მთავრობის ორგანოებს შორის კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნებოდა, მაშინ დაუყოვნებლივ ნათესავის დამცველის როლში გამოდიოდა. ნიკოლოზი არად აგდებდა მათ ცოდვებს კანონისა და მორალის წინაშე, ყოველთვის უზრუნველყოფდა ნათესავებს შემოსავლიანი ადგილებით, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მათგანი ისედაც უთვალავი სიმდიდრის პატრონი იყო.

სახელმწიფო ხაზინა „რომანოვების სამეფო გვარეულობის" წარმომადგენელთათვის მუდამ სალაფავით სავსე გობი იყო. მიუხედავად იმისა, რომ უდიდესი პირადი საკუთრების მფლობელნი იყვნენ — ათიათასობით დესეტინა მიწებისა, რომლებიც მილიონობით მოგებას იძლეოდა, ყველანი დამატებით კიდევ სახაზინო „საზრდოსაც" ღებულობდნენ. მაგალითად, მეუფე იმპერატორის თითოეულ ვაჟიშვილს წელიწადში სარჩენად ეძლეოდა 150 ათასი მანეთი, რეზიდენციის მოსაწყობად ერთდროული დახმარების სახით — თითო მილიონი,

ხოლო ქორწინებისას — წელიწადში უკვე 200 ათასი, სასახლის მოვლა-პატრონობისათვის — 35 ათასი.

მაგრამ დიდ მთავრებს ესეც ეცოტავებოდათ. ისინი ხელფასს ღებულობდნენ როგორც სამხედრო პირნი და აგრეთვე იმ თანამდებობათა გამო, მათ რომ ეკავათ. 1905 წელს შვედმა პუბლიცისტმა ულარმა გამოაქვეყნა მის მიერ გამოანგარიშებული ცნობა ალექსანდრე II შვილისა და ნიკოლოზ II ბიძის — დიდი მთავრის ვლადიმერ ალექსანდრეს ძის შემოსავლის შესახებ. მილიონ-ნახევარ მანეთს ღებულობდა იგი ყოველწლიურად მიწებიდან, ტყეებიდან, მადნებიდან და სხვა პირადი საკუთრებიდან; ორ მილიონ-ნახევარს — ხაზინიდან. 24 ათასი დანიშნული ჰქონდა როგორც გენერალს, 50 ათასი — როგორც პეტერბურგის სამხედრო ოლქის სარდალს, 40 ათასი — როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრს, 25 ათასი — როგორც მინისტრთა კომიტეტის წევრს, 30 ათასი — როგორც სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტს, და ბოლოს მას ეძლეოდა მნიშვნელოვანი თანხა როგორც სხვადასხვა სახელმწიფო კომისიების წევრს.

მაგრამ არც ეს გიგანტური შემოსავალი აკმაყოფილებდა გაუმაძღარი დიდი მთავრების სიხარბეს, რომლებიც სრულიადაც არ თაკილობდნენ სპეკულაციას, ფინანსურ თაღლითობასა და ხაზინის ქურდობასაც კი. ალექსანდრე მიხეილის ძემ ხელი მოითბო ბეზობრაზოვის კონცესიით მოწყობილ ავანტიურაზე მანჯურიაში, საკმაოდ ბევრი ფული ჩაიჯიბა სამხედრო გემების მშენებლობაზე, ხოლო პირველი მსოფლიო ომის წლებში უამრავი თანხა მოხვეტა ღვინის ვაჭრობით. დიმიტრი მიხეილის ძეს საკუთარი ცხენსაშენი ქარხანა ჰქონდა და ცხენებს იმ გვარდიულ პოლკზე ყიდდა, რომლის მეთაურიც თავადვე იყო. მიხეილ ნიკოლოზის ძე გამდიდრდა კავკასიაში მიწის ნაკვეთების სპეკულაციითა და საკუთარი მამულიდან ბორჯომის წყლის გასაყიდად გატანით. განსაკუთრებით დიდი დატაცებებით „გაითქვა“ სახელი ფლოტის შეფმა ალექსი ალექსანდრეს ძემ. მის დროს ხაზინის ქურდობამ ფლოტში არნახულ მასშტაბებს მიაღწია, ჩაჯიბული ფულების ჯამმა მილიონები შეადგინა. არ თაკილობდა იგი დაჭრილი ჯარისკაცებისათვის გათვალისწინებული წითელი ჯვრის თანხების მითვისებასაც. მისი თანამედროვე წერდა: „პატიოსანი ალექსის ჯიბეში მოთავსდა რამდენიმე ჯავშნოსანი და „წითელი ჯვრის“ ორი მილიონი. ამასთან მან გონებამახვილობა გამოიჩინა და ლალით მოჭედილი მშვენიერი ჯვარი მიართვა ბალერინას, რომელიც

მისი საყვარელი იყო, ხოლო მან სწორედ იმ დროს ჩამოიკიდა იგი ყელზე, როცა ცნობილი გახდა ორი მილიონის დანაკლისი“.

და ეს ყველაფერი შერჩათ რომანოვებს. გამონაკლისი იყო ისეთი შემთხვევები, როცა რომელიმე მათგანი საკუთარი ოჯახის გაქურდვას ინებებდა. ასეთი ქურდი აღმოჩნდა, მაგალითად, ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე, რომელმაც მშობელ დედას ბრილიანტები მოჰპარა მომღერალი საყვარლისთვის. ეს ამბავი გახმაურდა, რის გამოც დამნაშავე ყველა თანამდებობიდან გადააყენეს და ტაშკენტში გადაასახლეს.

დიდი მთავრები არა მარტო ხელმრუდობით გამოირჩეოდნენ, არამედ დარდიმანდობითა და გარყვნილებითაც. მათი ცხოვრების ეს მხარე, ცხადია, საგულდაგულოდ იყო დაფარული მოსახლეობისაგან. სამაგიეროდ პეტერბურგის ბრწყინვალე საზოგადოება ტკბებოდა მათი სათავგადასავლო ამბებით. ცოლის შერთვასა და ტახტზე ასვლამდე ამ ასპარეზზე კარგად იჯერა გული თავად ნიკოლოზმაც. მისი დღიური სავსეა „კარტოფილთან“ შეხვედრების ამსახველი ჩანაწერებით (სასახლის ჟარგონით „კარტოფილს“ უწოდებდნენ საწოლში გამრთობ ქალს). შემდეგ მან გაიჩინა მუდმივი საყვარელი — ბალერინა კშესინსკაია. ნიკოლოზის დაქორწინების შემდეგ ეს ქალი სერგეი მიხეილის ძესთან „გადავიდა“, ხოლო მისგან — ანდრია ვლადიმერის ძესთან...

თითქმის ყველა რომანოვის მემკვიდრეობითი თვისება იყო ალკოჰოლიზმი. მათი ქეიფები ხშირად ნამდვილ უხამსობად იქცეოდა. თავს სჭრიდნენ თავიანთ ფეხმარდ ძაღლებს, ოთხზე დამდგარნი სლაპავდნენ შამპანურს ვერცხლის ბადიებიდან... ჩვეულებრივი, ყოველდღიური ქეიფები ანგარიშში არ შედიოდა. თავად ნიკოლოზმა ალკოჰოლისადმი სიყვარული მამისაგან მიიღო მემკვიდრეობით. ადამიანები, რომლებიც იცნობდნენ მას, თავიანთ მემუარებში აღნიშნავდნენ მის ამ დამღუპველ გატაცებას. მეფობის ბოლო წლებში საქმე იქამდე მივიდა, რომ ნიკოლოზს თითქმის ვეღარ ხედავდნენ ფხიზელს, რაც დიდად აღელვებდა მის მეუღლეს. იმპერატრიცას საყვარელი ფრეილინა ვირუბოვა თავის დღიურში წერდა: ალექსანდრა თედორეს ასული „ხშირად ეუბნებოდა მეფეს, ნაკლები სვიო“. ამავე დღიურში ახსნილია ისიც, თუ რატომ დაანება თავი დედოფალმა მეუღლის შეგონებას. ვირუბოვას ერთხელ იგი გაუფრთხილებია: ხმა დადის, თითქოს მეფე „ძალზე ბევრს სვამსო“. ამის პასუხად მას მო-

უსმენია: „ბერს არ სურს მამას ხელი შეეუშალოთ, იგი ამბობს, ღვინო სულს ამშვიდებსო...“

მრავალმნიშვნელოვანი აღიარებაა! „ბერი“ — ეს რასპუტინი იყო, ხოლო „მამა“ — თავად ნიკოლოზ II. გაქნილმა და გაიძვერა რასპუტინმა იცოდა, რომ ალკოჰოლის სისტემატური გამოყენება ადუნებს ნებისყოფას, ადაჰიანს უფრო დამთმობს ხდის, ეს კი მას უკიდურესად სჭირდებოდა, რათა გავლენა მოეხდინა მეფეზე, ხოლო მისი საშუალებით — სახელმწიფო საქმეებზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თვითმპყრობელობის კლასობრივი „ღერძი“: მისი ურთიერთობა არმიასთან — დინასტიის მთავარ დასაყრდენთან, მართლმადიდებლურ ეკლესიასთან — მის სულიერ დასაყრდენთან, აგრეთვე პოლიციასა და „ოხრანკასთან“, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მონარქიული წყობილების სიმტკიცეს.

მრავალი მისი თანამედროვე ერთხმად აღნიშნავდა ნიკოლოზის დიდ სიყვარულს სამხედრო ცერემონიალებისადმი, დღესასწაულებისადმი, სალუტებისადმი. ცარსკოე სელოში გამართულ გვარდიულ პარადებზე იწვევდა იგი დედაქალაქის მთელ „ბრწყინვალე“ საზოგადოებასა და დიპლომატიურ კორპუსს. სახაზავივით სწორი მწკრივები, კავალერგარდების მბზინავი ბეგთარები, ჰუსართა ფრიალა მენტიკები, ჯიღები. ქუდები, სამხრეები, ორდენების ბრწყინვალება, ქვეითთა პოლკების საზეიმო მსვლელობა — მთელი ეს თეატრალიზებული წარმოდგენები მის გულს სიხარულით ავსებდა. თუმცა პარადების დიდი მოტრფიალე იყო ყველა, ვინც კი რუსეთის სამეფო ტახტზე იჯდა მასზე ადრე. ისინი ამაყობდნენ „თავიანთი“ არმიებით და თავს ევლებოდნენ მათ. რომანოვების ოჯახისათვის არმია იყო არა მარტო სახელმწიფოს დაცვის, არამედ უპირველეს ყოვლისა პირადი უშიშროების უზრუნველყოფის საშუალება, სამეფო ტახტის ერთადერთი რეალური დასაყრდენი. სამხედრო ფიცის მიღებისას, რუსეთის არმიის თითოეული ჯარისკაცი საზეიმოდ დებდა პირობას „სიცოცხლის დაუზოგავად, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ერთგულად ემსახურა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისათვის“. და იმპერატორის თვალშიც სწორედ ეს იყო სამხედრო სამსახურის მთავარი აზრი.

ნიკოლოზ II მეფობის დროს არმიამ ორ ომში მიიღო მონაწილეობა. მაგრამ იყო მესამეც, გამოუცხადებელი სისხლისმღვრელი ომი, რომელიც მიმართული იყო საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. რუსეთის

პირველი რევოლუციის დროს სამხედრო ნაწილებს იყენებდნენ იმპერიის მთელ ტერიტორიაზე სახალხო გამოსვლების დასათრგუნად. საარმიო პოლკებს, რომლებსაც ბრძოლაში შეჰყავდათ არტილერია და ტყვიამფრქვევები, ფიცის თანახმად, იერიში მიჰქონდათ პრესნიას ბარიკადებზე, აჯანყებული კრონშტადტელების ყაზარმებზე, სორმოვოს მუშათა კვარტალებზე. კაზაკთა ასეულები შეტევაზე გადადიოდნენ ივანოველი ფეიქრებისა და ჩიტელი რკინიგზელების წინააღმდეგ, ძალით იმორჩილებდნენ ლატვიელ, ესტონელ, ქართველ გლეხებს. საბრძოლო გემები მძიმე ქვემეხებს უშენდნენ მცირე ციხესიმაგრეებს, სადაც სვეაბორგის აჯანყების ნიშნად აღმართული დროშები ფრიალებდა...

მეფე განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა გვარდიული ნაწილებისადმი, მათთვის არჩევდნენ ლამაზ და ტანმაღალ ახალწვეულებს. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მათი სრული პოლიტიკური საიმედობა დაედასტურებინა ადგილობრივი პოლიციის უფროსობას. გვარდიული ოფიცრობა შეიარაღებული ძალების მარგალიტი იყო. იგი თითქმის მთლიანად დიდგვაროვან თავად-აზნაურთაგან შედგებოდა და თავისი არსით მონარქიული გახლდათ. გვარდიის თითქმის ყოველ ოფიცერს ნიკოლოზი სახელით იცნობდა, ყოველნაირად ცდილობდა მათდამი თავისი სიახლოვე და კარგი დამოკიდებულება გამოეხატა.

პეტრე I დროიდან, ანუ იმ პერიოდიდან, როცა გვარდია შეიქმნა, ეს უკანასკნელი იშვიათად მონაწილეობდა გარეშე მტრებთან ბრძოლებში, სამაგიეროდ მას ხშირად იყენებდნენ „შინაური მტრების“ წინააღმდეგ. ბევრჯერ ასრულებდა იგი მხოლოდ დამსჯელ ფუნქციებს. საერთოდ რომანოვები მას უყურებდნენ როგორც პირად, ამასთან ყველაზე უფრო საიმედო ჯარს. თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, ნიკოლოზის დამოკიდებულება გვარდიის მიმართ საკვირველი გასაგები გახდება.

მეფის ოჯახი გვარდიისა უფრო კმაყოფილი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი არმიისა. ამიტომაც ნიკოლოზ II ხელიდან არ უშვებდა არც ერთ შემთხვევას, რათა პოლკის გვარდიულ დღესასწაულებს დასწრებოდა, ხოლო მისი მეუღლე, რომელიც ულანთა პოლკის ლეიბ-გვარდიას უწევდა შეფობას, მისთვის აშენებდა ეკლესიას, საკუთარი ხელით ქარგავდა ოქრომკედით პოლკის სასულიერო პირთა სამოსელს.

მეფესთან ყველაზე დაახლოებული და გვარდიის ყველაზე უფრო საიმედო ნაწილი მაინც „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის

პირადი დაცვა“ იყო, რომელშიაც კაზაკების ოთხი ლეიბ-გვარდიული რაზმი, სასახლის გრენადერთა ასეული და გვარდიის, არმიისა და ფლოტის სხვადასხვა ნაწილისაგან შემდგარი ქვეითთა პოლკის შენაერთები შედიოდნენ. ეს პოლკი მართლაც სხვებზე მეტად სარგებლობდა მეფის ყურადღებითა და სიყვარულით. მეფე ჯარისკაცებთან ერთად მონაწილეობდა სროლაში, საალდგომო ამბორის ყოფაში, აწყობდა მათთვის საშობაო ნაძვის ხეს, პირადად ამოწმებდა ჯარისკაცების საჭმელს. ერთი სიტყვით, ყოველნაირად იმადლიერებდა მებრძოლებს, უნდოდა მათ თვალში კეთილისმყოფლისა და „შინაური კაცის“ სახელი დაემსახურებინა, რასაც ნაწილობრივ მიაღწია კიდეც.

პირველი მსოფლიო ომის წინ ნიკოლოზის განკარგულებაში დაცვის გარდა იყო ქვეითთა 3 და ცხენოსანთა 2 დივიზია — გვარდიული კორპუსის (მასში შედიოდა კიდევ ქვეითთა ოთხი და ცხენოსანთა საარტილერიო ნაწილები, აგრეთვე რამდენიმე ცალკე ნაწილი) ხერხემალი. შემდეგში ბევრი ახლობელი საყვედურობდა მეფეს იმის გამო, რომ 1916 წლის შემოდგომის ბრძოლების დროს გვარდიას ფრონტზე იყენებდა, რის შედეგადაც იგი იმდენად დაუძლურდა, რომ სერიოზულ სამხედრო ძალას აღარ წარმოადგენდა. ისინი იმასაც კი ფიქრობდნენ, რომ თითქოს სწორედ გვარდიული ნაწილების სისუსტემ განსაზღვრა თებერვლის რევოლუციის გამარჯვება. მაგრამ ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გვარდიის გადარჩენილი ნაწილები რევოლუციის დღეებში სულაც არ უჭერდნენ მხარს მეფეს, ხოლო პეტროგრადში განლაგებული მათი სათადარიგო ბატალიონების ჯარისკაცები ერთ-ერთი პირველები გამოვიდნენ აჯანყებულ ხალხთან ერთად. პირადმა დაცვამაც კი შეაქცია ზურგი მეფეს.

მეფის ოჯახს შემუშავებული ჰქონდა გვარდიასა და არმიასთან ურთიერთობის სისტემა. ნიკოლოზის, დედამისის მარია თეოდორეს ასულის, მისი ცოლის ალექსანდრა თეოდორეს ასულისა და ვაჟიშვილის ალექსის დაბადებისა თუ სახელწოდების დღეებში, აგრეთვე იმპერატორისა და იმპერატრიცას ტახტზე ასვლის აღსანიშნავ ყოველწლიურ საიუბილეო ზეიმთან დაკავშირებით ყველა სამხედრო ნაწილს ათავისუფლებდნენ მეცადინეობებისა და სწავლისაგან. მეფის ოჯახის წევრები მრავალ პოლკს უწევდნენ შეფობას. ისინი მისალმებებს უგზავნიდნენ ანდა პირადად ესწრებოდნენ საპოლკო დღესასწა-

ულებს, ურიგებდნენ საჩუქრებს ოფიცრებსა და ჯარისკაცებს. ოჯახის მამრობითი სქესის წარმომადგენლები დაბადებისთანავე ირიცხებოდნენ სამხედრო სამსახურში. მაგალითად, მეფის ძის ალექსის სამსახურებრივი სია 1904 წლის 30 ივლისიდან, ანუ მისი დაბადების დღიდან იწყებოდა. იგი ითვლებოდა კაზაკთა ყველა სახეობის ჯარების ატამანად, ოთხი გვარდიული და ოთხი საარმიო პოლკის, ორი ბატარეის, აგრეთვე ალექსეევის სამხედრო სასწავლებლისა და ტაშკენტის კადეტთა კორპუსის შეფად. გარდა ამისა, მისი სახელი შეტანილი იყო ათობით პოლკის, სამხედრო სასწავლებლისა და კადეტთა კორპუსის პირად შემადგენლობათა სიებში.

გვარდია და არმია რომ ახლოს ჰყოლოდათ, რომანოვები მეთაურებად ნიშნავდნენ დიდ მთავრებს. რომანოვების ოჯახისა და არმიის „შემაკავშირებელი“ იყო მეფის ბიძა — დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე. იგი ასრულებდა ცხენოსანი ჯარის გენერალური ინსპექტორის, თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის, დედაქალაქის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის, ყველა გვარდიული ნაწილის სარდლის თანამდებობას, ხოლო პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან 1915 წლის შეწოდგომამდე მას უმაღლესი მთავარსარდლის პოსტი ეკავა.

მეორე ბიძა — ალექსი ალექსანდრეს ძე, რომელსაც გენერალ-ადმირალის წოდება ჰქონდა, ფლოტის საქმეებს განაგებდა (რუსეთის ფლოტის იაპონიასთან დაღუპვის შემდეგ იგი ცუსიმსკის სახელით გახდა პოპულარული). მესამე ბიძა — სერგეი ალექსანდრეს ძე — რუსეთის არტილერიას ედგა სათავეში. სხვა დიდი მთავრები, ვისაც როგორ შეეძლო, ისე მბრძანებლობდნენ არმიაში, ისინი უმეტესად გვარდიულ პოლკებს, დივიზიებს, კორპუსებს მეთაურობდნენ. სასტიკად დაახასიათა ისინი გენერალმა სუხომლინოვმა, რომელსაც დიდხანს ეჭირა სამხედრო მინისტრის პოსტი: „უმეტესი მათგანის ხასიათში შეინიშნებოდა დეგენერაციის ნიშნები, ბევრს იმდენად შეზღუდული გონება ჰქონდა, რომ უბრალო მოკვდავთა მსგავსად არსებობისათვის ბრძოლას ვერ გაუძლებდა. ეს უქნარა დიდი მთავრები, გარს შემოკრებილი ადამიანებისა თუ ცოლების წაქეზებით, მთავრობისა და ქვეყნის, განსაკუთრებით კი არმიის საქმეებში ჩარევის უფლებას ითვისებდნენ“.

რომანოვების ოჯახი, რომელიც არმიის ხიშტებს ტახტის დასაყრდენად იყენებდა, ყოველწლიურად სულ უფრო მეტად ბერავდა

პოლიციის აპარატს. მისი შტატი დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის მეფობაში ნამდვილად სასწაულებრივად გაიზარდა.

რუსეთის გუბერნიებში მთელი ძალაუფლება ხელთ ეპყრათ შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ გენერალ-გუბერნატორებს, რომლებიც ადგილებზე უმაღლესი წოდების პოლიციელები იყვნენ. ქალაქად ისინი სათავეში ედგნენ და წარმართავდნენ პოლიცმაისტერების, ქალაქისა და უბნის ბოქაულების, ზედამხედველების, ხოლო სოფლად — მაზრის პოლიციის უფროსების, უბნის ბოქაულების, ურიადნიკების, ასისა და ათისთავების საქმიანობას. „შინაგანი მტრების“ წინააღმდეგ გამიზნული პოლიციელების მთელი ეს ხროვა განუკითხავად ბატონობდა ქალაქად და სოფლად, აწყობდა „გასამართლებებს“, ანგარიშსწორებებს.

ლაპარაკობდა რა რომანოვების მონარქიაზე, ვ. ი. ლენინმა ზუსტად განსაზღვრა: „...თვითმპყრობელობა — ეს არის პოლიციის თვითმპყრობელობა“, ხოლო თავად მონარქი — „მისი პოლიციური უდიდებულესობაო“. და მართლაც, ნიკოლოზ რომანოვი არსებითად რუსეთის პირველი პოლიციელი და ჟანდარმი იყო. იგი მკაცრად ადევნებდა თვალს, რომ გენერალ-გუბერნატორებად, პოლიციის დეპარტამენტის დირექტორებად, ჟანდარმთა კორპუსების შეფებად, შინაგან საქმეთა მინისტრებად დაენიშნათ მისი ერთგული ადამიანები და თანაც აუცილებლად შავრაზმული შეხედულებებისა. მისი მეფობის წლებში ამ თანამდებობებზე იმყოფებოდა მთელი ხროვა ყველაზე უკიდურესი რეაქციონერებისა და შავრაზმელებისა, რომლებიც ბრმად ასრულებდნენ მონარქის ნება-სურვილს მისი ქვეშევრდომების დახვრეტის, ჩამოხრჩობის, მასობრივად გაჟლეტისა და „ყოველდღიური“ ცემა-ტყეპის შესახებ. ყველა ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლთა მიმართ პროვოკაციების მოწყობასა და გაუგონარი მხეცობის ჩადენაში. პოლიცია არსებითად დამატებითი არმია იყო; ყოველი პოლიციელი შეიარაღებული გახლდათ რევოლვერითა და ხმლით, უბნებში აღმართული იყო შაშხანების პირამიდები, ხოლო ნიკოლოზის მეფობის ბოლოს გამოჩნდა ტყვიამფრქვევებიც. ცხენოსან და ქვეითთა პოლიციას კაზაკებთან და არმიის ქვედანაყოფებთან ერთად იყენებდნენ ქუჩებში მომხდარ „უწესრიგობათა“ დასათრგუნავად. ამავე მიზანს ემსახურებოდა აგრეთვე დიდ ქალაქებში განლაგებული ჟანდარმერიის ცხენოსანთა რაზმებიც. მაგრამ ჟანდარმერიის ძირითად მოვალეობას შეად-

გენდა პოლიტიკური ძიება, „მეფისა და მამულის მტრების“ გამოვლენა და მათი უვნებელყოფა. გარდა ამისა, ჟანდარმებს ევალებოდათ საპატიმრო სახლებისა და ციხეების მოვლა-პატრონობა, სასაზღვრო სამსახური, რკინიგზებზე წესრიგის დაცვა.

პოლიციურ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა დაცვის განყოფილებას, რომელიც ალექსანდრე II მოკვლის შემდეგ შეიქმნა პეტერბურგში და როგორც თავად მისივე სახელწოდებიდან ჩანს, განკუთვნილი იყო დაცვისათვის (რა თქმა უნდა, პირველ რიგში მეფის ოჯახის, ხოლო საბოლოო ანგარიშში თვითმპყრობელური წყობისა). ნიკოლოზ II მეფობის დროს დაცვის (ანუ „ოხრანკის“ — მთარგ.) განყოფილებები უკვე ბევრ დიდ ქალაქში არსებობდა. ისინი უმეტესად დაკომპლექტებული იყვნენ ჟანდარმთა ცალკე კორპუსის შემადგენლობით. „ოხრანკასთან“ არის დაკავშირებული პროვოკატორობის სწრაფი განვითარება, რაც „ამბოხების“ წინააღმდეგ ბრძოლის თითქმის ძირითადი საშუალება გახდა. 1914 წლისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოველწლიურმა ხარჯმა საიდუმლო მუშაკებზე 600 ათას მანეთს მიაღწია.

დიდი ქალაქების დაცვის განყოფილებები ადგილობრივ ორგანოებს პრაქტიკულად არ ექვემდებარებოდნენ და პასუხს მარტო პოლიციის დეპარტამენტის წინაშე აგებდნენ. მაგრამ პეტერბურგის განყოფილებას თავისი განსაკუთრებული წესდება გააჩნდა და მის უფროსს შინაგან საქმეთა მინისტრთან პირადი მოხსენებით წარდგომის უფლება ჰქონდა. პეტერბურგის „ოხრანკის“ განსაკუთრებული მდგომარეობა იმით აიხსნებოდა, რომ რომანოვების მრავალრიცხოვან ოჯახზე ზრუნვა მას ჰქონდა მინდობილი. მეფის პირადი განკარგულებით ეს განყოფილება „დელიკატურ“ დავალებებსაც ასრულებდა: მაგალითად, დიდი მთავრების, მინისტრებისა და იმპერიის სხვა უმაღლესი წოდების წარმომადგენლებისათვის თვალყურის დევნებას. უკანასკნელი თვითმპყრობელი არცთუ დიდად ენდობოდა დაახლოებულთა წრეს.

ნიკოლოზ II დროს რუსეთში არსებობდა კიდევ ერთი დაცვითი სამსახური, რომელიც ყველა სხვა დანარჩენისაგან განსხვავებით, შინაგან საქმეთა მინისტრსაც კი არ ექვემდებარებოდა. იგი უზრუნველყოფდა უშუალოდ სასახლისა და მეფის ოჯახის უშიშროებას. ძისი ბირთვი იყო 300 აგენტი-დამცველი ჟანდარმერიის პოლკოვნიკ სპირიდოვიჩის მეთაურობით (მარტო ამ ხალხის შენახვა სახელმწი-

ფოს საკმაოდ დიდი თანხა — წელიწადში ნახევარ მილიონ მანეთზე ნეტი უჯდებოდა). ამის გარდა, სასახლის კომენდანტის ვოეიკოვის გ ნკარგულებაში იყო კიდევ 300 კაცი, თავისი მრავალრიცხოვანი შტატი ჰყავდა აგრეთვე სასახლის პოლიციის უფროსს ჰერარდსაც.

უკანასკნელი თვითმპყრობელი საგანგებოდ მკაცრი და კირკიტა იყო, როცა საქმე მისი ოჯახის უშიშროებას შეეხებოდა. გასაკვირი არ არის, რომ მის დროს სასახლის დაცვა ცარსკოე სელოში საოცრად გაიზარდა. იგი სხვადასხვა მიმართულებით, ასე ვთქვათ, მრავალფენად ხორციელდებოდა. დაცვისათვის მთლიანად იყენებდნენ „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის“ შერეულ პოლკს, რომელიც საყარაულო სამსახურს ეწეოდა სასახლეში და მისი ზღუდის მიღმა. იგი დღე-ღამეში ორჯერ ჩხრეკდა პარკის მთელ ტერიტორიას. რკინიგზის სადგურში არსებულ მეფის პავილიონსა და სასახლისაკენ მიმავალ შტოს იცავდა რკინიგზის განსაკუთრებული პოლკი. სადარბაზო შესასვლელებთან და მთავარ კართან, პარკის მიმდებარე ქუჩებში მორიგეობდნენ სასახლის პოლიციის მაღალი წოდების პირნი. პარკში არსებობდა „ბაღის“ ასეულის საგუშაგო პუნქტები. თვით სასახლეში შენაერთი პოლკის ჯარისკაცებისა და ოფიცრების გარდა სამსახურს ეწეოდნენ მებადრაგე ლეიბ-კაზაკები. სულ სასახლეში მთელი დღე-ღამის განმავლობაში მოქმედებდა 11 საგუშაგო: ყველაზე მეტი გულმოდგინებით გუშაგობდნენ მეფის საძინებელს: ორი საგუშაგო იცავდა მას დერეფნის მხრიდან, ერთი საგუშაგო მოქმედებდა ფანჯრებთან, ხოლო საძინებლის ქვეშ მოთავსებული იყო მორიგე ოფიცრების ოთახი. ყოველივე ამის გარდა, პარკის ირგვლივ და მის ტერიტორიაზე იდგნენ ჟანდარმერიის პოლკოვნიკის სპირიდოვიჩის რაზმის დამცველები.

არმია, პოლიცია, ჟანდარმერია ტახტის ძირითადი დასაყრდენი გახლდათ. მაგრამ რომანოვების ოჯახი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მართლმადიდებლურ ეკლესიასაც, რომელიც მოწოდებული იყო ჩაებეჭდა მილიონობით ქვეშევრდომთა თავებში მეფის ხელისუფლების ღვთაებრიობისა და, აქედან გამომდინარე, მისი შეურყევლობის რწმენა. რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონების კრებულის პირველ სტატიაში ნათქვამი იყო: „სრულიად რუსეთის იმპერატორი არის თვითმპყრობელი და შეუზღუდავი მონარქი. მისი ძალაუფლებისადმი მორჩილება არა მარტო შიშით, არამედ სინდისითაც თვით ღვთის მიერ არის ნაბრძანები“.

„თვით ღვთის მიერ“, არც მეტი, არც ნაკლები... რუსეთის ათიათასობით ეკლესიის ამბიონებიდან ყოველდღიურად გაისმოდა მეფის ოჯახის სადიდებელი ლოცვანი. ყველა სამოქალაქო და სამხედრო დღესასწაულსა თუ ზეიმზე უნდა ემღერათ „ღმერთო, შენ დაიფარე მეფე...“ ეკლესიის მსახურნი მოსახლეობაში ავრცელებდნენ დიდძალ ბროშურასა და ფურცლებს, რომლებშიც დასაბუთებული იყო მეფის ხელისუფლების აუცილებლობა და სიწმინდე, მათში სხვადასხვა ჰანგზე გამოთქმული იყო ერთი და იგივე ლოზუნგი: „მართლმადიდებელი ღმერთისა და მეფის წყალობით არსებობს რუსეთის მიწა-წყალი“.

ბუნებრივია, რომ თვითმპყრობელი, რომელსაც უკიდურესად ესაჭიროებოდა ესოდენ ძლიერი სულიერი მხარდაჭერა, გულუხვად აფინანსებდა (რასაკვირველია ხაზინის ხარჯზე) ეკლესიის საგამომცემლო მოღვაწეობას, გარშემო იკრებდა ყველაზე უფრო მაღალი თანამდებობის პირებსა და ავტორიტეტულ მსახურებს, მკაცრად ადევნებდა თვალს, რომ მაღალი თანამდებობები საეკლესიო იერარქიაში დაკავებული ჰქონოდათ მისთვის თავდადებულ ადამიანებს. მეფის ოჯახი მფარველობას უწევდა მრავალ ისეთ საეკლესიო მოღვაწეს, რომლებიც ამის ღირსნი არ იყვნენ. მათ შორის შავრაზმელ და ბნელეთის მოციქულ იოანე კრონშტადტელს, უკიდურეს რეაქციონერ ეპისკოპოს გერმოგენს, უვიცსა და თაღლით ეპისკოპოს ვარნავს, გაქნილ და ორპირა მიტროპოლიტ პიტირიმს. თითოეული მათგანი არაერთხელ იყო დამწყალობებული სიტყვითა და საჩუქრებით, ამიტომ ისინიც ტყავიდან ძვრებოდნენ, რომ საჯაროდ ედიდებინათ და გაელმერთებინათ მეფის ოჯახი.

ნიკოლოზ II სიამოვნებით მიდიოდა დათმობაზე ეკლესიის მსახურთა წინაშე, როცა სიტყვა ახალი „წმინდანების“ კანონიერად გამოცხადებაზე ჩამოვარდებოდა ხოლმე. მისი მეფობის პერიოდში აღმოაჩინეს მრავალი წმინდანის ახალი ნაწილები, რომლებიც, როგორც ცნობილია, სასულიერო წოდების შემოსავლის წყარო იყო. მის დროს „მიმოქცევაში გაუშვეს“ ფეოდოსია უგლიჩელის, სერაფიმე საროვსკელის, ქალბატონ ანა კაშირსკელის, იოსებ ბელგოროდელის, პიტირიმ ტამბოველის, იოანე ტობოლსკელის წმინდა ნაწილები...

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თვითმპყრობელი იმ სამღვდელოებას, რომელიც სამხედრო ნაწილებში და გემებზე მსახუ-

რობდა. მის დროს არმია ხუთი ათასამდე სამხედრო მღვდელს ითვლიდა. მათ შესანახად იგი ფულს არ იშურებდა. სამხედრო მოსამსახურეთა ზნეობის განმტკიცების საქმეში (აქ უპირველეს ყოვლისა იგულისხმებოდა ერთგული ქვეშევრდომობის გრძნობა) მეფე ძალზე შეუპოვარი და კატეგორიული იყო. სკოლების ანდა საავადმყოფოების მშენებლობისათვის განკუთვნილ თანხას შეამცირებდა, მაგრამ სამხედრო სამღვდელოების მიმართ ამას არავითარ შემთხვევაში არ ჩაიდენდა...

მაგრამ ცნობილია, რომ ლოცვებითა და ხატებით ომები არავის მოუგია. აკი რუსეთის არმიას, რომელიც ნიკოლოზ II მეფობის დროს ომში ორჯერ მონაწილეობდა, ამ უდავო ჭეშმარიტებაში დარწმუნება ძალზე ძვირი დაუჯდა. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია განვიხილოთ რუსი მონარქის დამოკიდებულება ომებისადმი, დაღვრილ სისხლზე მისი პასუხისმგებლობა. მათ შორის პირველი — რუსეთ-იაპონიის ომი — მნიშვნელოვანწილად გამოწვეული იყო მეფის პოლიტიკით, მისი სასახლის ხროვის საქციელით. რა თქმა უნდა, ამ ორივე მხრივ მტაცებლური. უსამართლო ხასიათის ომის ძირითადი მიზეზი შორეულ აღმოსავლეთში იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა გამწვავება იყო, მაგრამ მეფესა და მასთან დაახლოებულ პირებს მაინც უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ. კორეისა და მანჯურიის ბუნებრივი სიმდიდრეების ძარცვის მოთავედ და ორგანიზატორად ითვლებოდა ეგრეთ წოდებული საძულველი ხროვა, რომელშიაც დიდი მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის გარდა, სასახლის კართან დაახლოებული უმაღლესი წრეების წარმომადგენლები — თავადები იუსუპოვი და შჩერბატოვი, გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი, შინაგან საქმეთა მინისტრი პლევე შედიოდნენ.

ომმა, რომლისთვისაც რუსეთი მზად არ იყო, ჩაფუშა ეს გეგმები. ფრონტზე ვაგონებით გაგზავნილ ხატებს ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევების შეცვლა არ შეეძლოთ. რამდენიმე დამარცხების შედეგად რუსეთმა ხელი მოაწერა იაპონიასთან სამარცხვინო ხელშეკრულებას, რომელიც მეფისა და მისი წრის პოლიტიკური სიბეცის გამო ძალზე მძიმე ტვირთად დააწვა ხალხს: ამ ომში რუსეთმა მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ ჩავარდნილთა სახით 400 ათასი კაცი დაკარგა.

ძალზე დიდი მსხვერპლი გაიღო ქვეყანამ პირველი მსოფლიო ომის წლებში. ომმა მილიონობით რუსი ჯარისკაცის სიცოცხლე შე-

იწირა. 1914 წლის ზაფხულისათვის გერმანია უფრო მომზადებულად თვლიდა თავს სამხედრო თვალსაზრისით, ვიდრე ანტანტის ქვეყნები. ამიტომაც იყო, რომ ამ ქვეყნის მმართველმა წრეებმა თავს მოახვიეს მსოფლიოს ომი, რასაც დიდი სახელმწიფოების იმპერიალისტური ურთიერთსაწინააღმდეგო ზრახვები დაედო საფუძვლად. მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, დაუშვებელია რუსეთის მეფე წარმოვიდგინოთ პაიკად, რომელიც იმპერიალისტების ხელში თითქოს უსიტყვოდ ასრულებდა მათ ნება-სურვილს. ამ ომში ჩაბმით იგი თავის თვითმპყრობელურ მიზნებსაც ითვალისწინებდა, რაც სრულიად გარკვევით არის ფიქსირებული ანტანტის ქვეყნებს შორის დადებულ საიდუმლო ხელშეკრულებებში. ომთან დაკავშირებით შედგენილ მანიფესტში ნიკოლოზ II ომის გაჩაღებაში თავის ბიძაშვილს მეფე ვილჰელმს ადანაშაულებდა. თუმცა საიდუმლო შეთანხმებებში მან წინასწარ აღნიშნა შავი ზღვის სრუტეებზე რუსეთის უფლებები, რითაც ევროპის ტერიტორიული გადანაწილების თაობაზე იმპერიალისტური შეთქმულების სრულუფლებიანი მონაწილე გახდა.

თუ თვალს გავადევნებთ შეიარაღებული ძალების, პოლიციისა და ეკლესიისადმი ნიკოლოზ II დამოკიდებულებას, დავრწმუნდებით, რომ იგი მათ მიმართ მეტად თანამიმდევრული და მიზანსწრაფული იყო: ნიკოლოზი ყველაფერს აკეთებდა, რისი ძალაც კი შესწევდა, რათა შეენარჩუნებინა თვითმპყრობელური წყობა, ხოლო ამასთან ერთად თავისი ოჯახის „უფლებებიც“: ისე ემართა რუსეთი, როგორც საკუთარი მამული, გაეძარცვა და გაენიავებინა მისი სიმდიდრე, უმოწყალოდ დაეთრგუნა ქვეშევრდომთა ცდა — ოდნავ მაინც შეეცვალათ არსებული მდგომარეობა.

რაკი მეფობის ამ მხარეს, ამ მიზანდასახულ, მკაცრ პოლიტიკას შევეხეთ, უთუოდ უნდა გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის მიერ რომანოვების მისამართით წარმოთქმული მრისხანე სიტყვები: „...ამ „თანასწორთა შორის პირველი“ მ ე მ ა მ უ ლ ე ე ბ ი ს ა, რომლებიც მ ი ლ ი ო ნ ო ბ ი თ დესეტინა მიწას ფ ლ ო ბ დ ნ ე ნ და, ამ თავისი და თ ა ვ ი ს ი კ ლ ა ს ი ს „წმინდა საკუთრების“ შესანარჩუნებლად, ყოველგვარ მხეცობას, ყოველგვარ ბოროტმოქმედებას სჩადიოდნენ, უთვალავ მოქალაქეებს აჩანაგებდნენ და ახშობდნენ“ [1].

ნიკოლოზის მეფობის წლებში ბევრი დანაშაული დაგროვდა. მარ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 23, გვ. 394.

ტო ერთი დღის — 9 იანვრის გამო, როცა დახვრიტეს, აჩეხეს და ცხენების ფლოქვებით გათელეს ყოვლად უდანაშაულო ადამიანები, იგი უნდა გაესამართლებინათ როგორც მკვლელი. მაგრამ ეს მარტო ერთი დღე იყო... არმიის ხიშტებით, პოლიციითა და ჟანდარმერიით გარშემორტყმული მეფე განუწყვეტლივ აწარმოებდა სისხლისმღვრელ ომს თავის ქვეშევრდომთა წინააღმდეგ. განსაკუთრებით ბევრი ადამიანი შეიწირა რუსეთის პირველმა რევოლუციამ. მარტო 1906 წლის აპრილისათვის, ოფიციალური მონაცემებით, დახვრიტეს და ჩამოახრჩეს 14 ათასი კაცი. 1907 და 1908 წლებში სიკვდილი კიდევ 5 ათასზე მეტ კაცს მიესაჯა.

ტერორი მოსახლეობის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკად გადაიქცა. რუსეთის იმპერიის პრემიერ-მინისტრს წილად ხვდა „დიდი პატივი". ჩამოსახრჩობ თოკს „სტოლიპინის ჰალსტუხი" უწოდეს. თვითმპყრობელს ყოველდღიურად შეეძლო დამტკბარიყო თავის ქვეშევრდომთა დასჯის თაობაზე გაზეთში გამოქვეყნებული ცნობების წაკითხვით. იშვიათად ისეც ხდებოდა, რომ თვე-ნახევრის, ორი თვის მანძილზე არავის სჯიდნენ ხოლმე. თუმცა ასეთი „ხარვეზი" ერთიორად ნაზღაურდებოდა ისეთ დღეებში, როცა ერთბაშად ათობით კაცს ხვრეტდნენ და ახრჩობდნენ. მაგრამ გაზეთები მარტო ოფიციალური განაჩენების შესახებ იუწყებოდნენ, სასამართლოსა და გამოძიების გარეშე ციხეებსა და საპოლიციო უბნებში სასიკვდილოდ ნატანჯ-ნაწამებთა თაობაზე კი არაფერს აქვეყნებდნენ.

ტერორის პოლიტიკა ხორციელდებოდა არა „სუსტი ნებისყოფის ხელმწიფის" მხრივ ხელის შეშვების გამო, როგორც ამის დამტკიცებას დასავლეთელი ისტორიკოსები და სოვეტოლოგები დროდადრო ცდილობენ ხოლმე, არც მარტო მისი სახელით, არამედ ეს ხდებოდა მეფის უშუალო წაქეზებით. სწორედ მას ეკისრებოდა მთელი პასუხისმგებლობა ტერორისათვის. ამიტომაც იყო, რომ ვ. ი. ლენინმა, რომელმაც მთელი ძალ-ღონე ხალხის განთავისუფლების საქმეს შესწირა და ღრმად განიცადა მეფის ნება-სურვილით ჩადენილი მკვლელობანი, არ დაინანა უკანასკნელი რომანოვის მიმართ ასეთი მძაფრი ეპითეტები: „ხალხის უბოროტესი მტერი", „სისხლმოწყურებული", „ჩამომხრჩობი", „ჯალათი", „დამრბევი", „მტარვალი"...

დიახ, სწორედ ასეთი იყო თავისი არსებით ეს გარეგნულად თვინიერი და თითქმის მორცხვი კაცი, მშვიდი, ალკოჰოლიკის სევდიანი

თვალებით. რამდენადაც არ უნდა შეეცადნონ მისი სახელის აღდგენას დასავლეთელი თანამედროვე კეთილმოსურნენი, ვერანაირი გრიმით ვერ დაფარავენ ხალხის ამ ჯალათის სისხლიან სახეს. ის, რომ ნიკოლოზ რომანოვი ეკატერინობურგის საბჭომ გაასამართლა და მას სიკვდილის განაჩენი გამოუტანა, მხოლოდ შექმნილი ვითარებით იყო გამოწვეული. ბევრად უფრო ადრე შედგა თავად ხალხის სასამართლო, რომელსაც არასდროს უპატიებია და არც შეეძლო ეპატიებინა სისხლისღვრა, საკუთარი ნება-სურვილით ჩადენილი დანაშაულობანი, მის მიერ შეკედლებულ ნათესავთა მექრთამეობა და სახელმწიფო ქონების დატაცება, მილიონობით დაბეჩავებული, სასოწარკვეთილი ადამიანის ბედისადმი სრული უპასუხისმგებლობა. ამან განსაზღვრა კიდეც უკანასკნელი თვითმპყრობელის ბედი მრისხანე თვრამეტი წლის ივლისში. მ. კასვინოვის ნაშრომი სარგებლობას მოუტანს იმ მრავალრიცხოვან მკითხველს, რომლებიც არ იცნობენ რომანოვების უკანასკნელი წარმომადგენლების აღსასრულის კონკრეტულ ვითარებას.

ვ. არხიპენკო

ეს არის წიგნი შეთქმულებებზე, ტრიუმფებსა თუ მარცხზე, რომლებიც თითქოს სამუდამოდ წარხოცა დრომ.

ეს არის ნაამბობი იმ პერსონაჟთა უგუნურებაზე, ილუზიებსა და ტრაგიკომედიებზე, დიდი ხანია წლებმა რომ შთანთქეს.

ეს არის მონათხრობი რომანოვების დინასტიის უკანასკნელი მეფისა და მისი კამარილიის საქმიანობასა და აღსასრულზე.

ნათქვამია: ვისი დაღუპვაც სურს იუპიტერს, მას განსჯის უნარს ართმევსო. როგორც სხვა ღირსებებით, ისე განსჯის უნარითაც არცთუ დიდად გამორჩეულ ლაქიებს უკანასკნელი რომანოვებისას ჩვიდმეტ წელს იუპიტერისათვის დიდი საზრუნავი არ გაუჩენიათ. ისინი და მათი ბატონ-პატრონნი ამქვეყნად აღარ არიან, მაგრამ მკვდრები თავიანთი წარსულით მაინც იზიდავენ ცოცხლებს.

მოჩვენებანი ზოგჯერ ბრუნდებიან. პოლიტიკური სპირიტების მიერ არარსობის წყვდიადიდან გამოძახებული ეს მოჩვენებანი, სპირიტებისავე კარნახითა და მოთხოვნით, ხან ჩივილით, ხან ლაქუცით, ხან მუქარით დროდადრო ახსენებენ თავს ახალ თაობებს. სპირიტები, უკეთესის ნაკლებობის გამო, უსხეულო სულებსაც თავიანთ მოკავშირეებად იხდიან.

რომანოვების დინასტიის დაღუპვის ისტორია დასავლეთის პროპაგანდის ერთ-ერთი უსაყვარლესი თემაა. აი, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ანტისაბჭოური იდეოლოგიის დაქირავებული მჯღაბნელები ცდილობენ მეფის ოჯახის დასჯის მაგალითზე აჩვენონ რევოლუციის „საშინელება“ და სახალხო სტიქიის „სიმკაცრე“.

უწყვეტ ნაკადად მოედინება საერთაშორისო რეაქციის იდეოლოგიური კონვეიერებიდან შესაბამისი პროდუქცია — წიგნები, სტატიები, კინო და ტელეფილმები, რადიოკომპოზიციები. მათი ავტორები ისწრაფვიან, ერთი მხრივ, ჩირქი მოსცხონ დიდ რევოლუციას, მეორე მხრივ — გაამართლონ და განადიდონ მისი ჩამხშობნი, მათ

შორის უკანასკნელი მეფე და მისი მსახურნი. ეს არის ერთ-ერთი ხანგრძლივი ანტისაბჭოური კამპანია, რომელიც მაშინვე, 1918 წელსვე დაიწყო. ამის შემდეგ მან აღმავლობა და დაცემა, კრიზისული მომენტები განიცადა, მაგრამ მთლიანად არასოდეს შეწყვეტილა. ეგრეთ წოდებულ სოვეტოლოგთა მიერ შეთითხნილი გამონაგონების, სიყალბის, „კონცეფციების" მორიგი ულუფით განოყივრებული ეს კამპანია თითქმის ყოველ ათ წელიწადში თავს წამოყოფს ხოლმე.

აი, მრავალსაათიანი კომპოზიცია „მეფის ძესა" და „მეფის ასულზე", რომელსაც სისტემატურად უჩვენებენ დასავლეთის ცისფერ ეკრანებზე; „კოლამბია პიკჩერზის" სტუდიაში გადაღებული სემომ სპიგელის „ნიკოლოზი და ალექსანდრა" ოთხ-ნახევარი მილიონი დოლარი დაჯდა; რობერ ოსეინმა დასავლეთ ევროპაში გადაიღო ფილმი „რასპუტინი მე მოვკალი"; ალექსანდრე ტარსაიძემ ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნა სრულმეტრაჟიანი „დოკუმენტური" ფილმი „იმპერატორი ნიკოლოზ II", — ეს მხოლოდ ნაწილია იმისა, რაც გამოვიდა კინოსა და ტელევიზიის ეკრანებზე. დინასტიის დაღუპვის შესახებ ლიტერატურულ-პუბლიცისტური ნაშრომები, მყვირალა ფერებით გაფორმებული, უხვად ილუსტრირებული მონოგრაფიები გამოსცეს ისეთმა ავტორებმა, როგორებიც არიან რობერტ მესი, სიდნეი ჰარკეივი, ნობლ ფრანკლენდი, რონალდ ჰინგლეჯი, ალექსანდრე ტარსაიძე, ვიქტორ ალექსანდროვი (აშშ), ედვარდ ქრენკშოუ, ე. მ. ალმედინგენი, კოლინ უილსონი (ინგლისი), ჰანს მანფრედ ჰოიერი, გიუნტერ შტეკლი, ჰუბერტ ფონ რიმშა, პაულ ზეტე, ვერნერ კიოლერი (გფრ), ედმონდ ლა პიერ ტეილორი (საფრანგეთი) და სხვები.

როგორ და რისთვის იძახებენ ისინი წლების წყვდიადიდან — დაეიწყების მითოლოგიური მდინარიდან, აჩრდილებს? ვის ემსახურებიან და რა უხილავი ზამბარებით მოძრაობენ აჩრდილთა თანამედროვე კომედიანტი ორეულები? ვინ იყვნენ სინამდვილეში ისინი, რომლებსაც იძახებენ დღეს იმქვეყნიური სამყაროდან ანტიკომუნიზმის საშველად დასავლეთის ოკულტიზმის იდეოლოგიის მაგისტრები? ამის შესახებ მოუთხრობს მკითხველს ამ წიგნის ფურცლები.

აქ არ არის მოცემული ეპოქის ვრცელი მატიანე. არც საერთო მდგომარეობის ამსახველი მასშტაბური ქარგა. შეიძლება ითქვას,

რომ ავტორი ისწრაფვის საერთოდ ცნობილი ლოგიკური სქემა შეავსოს იმ წლებში გახმაურებული მოვლენების ამსახველი ცოცხალი, შეულამაზებელი ფაქტებით, ჭრელი საღებავებითა და მძაფრი განცდებით.

ავტორი არ წერს რევოლუციის წინა წლების საერთო ისტორიას — იგი უმეტესად ახდენს მის ილუსტრირებას იმ პორტრეტებითა და კოლიზიებით, ფიგურებისა და სცენების შუქ-ჩრდილებით, რომლებიც ციმციმებენ ნახევრად წყვდიადით მოცულ შორეთში სოციალურ პეიზაჟებად, სადაც ბევრი რამ სრულიად ანდა ნახევრად მივიწყებულია, ხოლო ბევრიც — მკითხველთა ფართო წრისათვის დღემდე უცნობი.

ავტორს იმედი აქვს, რომ ეს წიგნი განსაკუთრებულ სარგებლობას მოუტანს ახალგაზრდობას. ისინი არცთუ მთლად გახმაურებული ფაქტებით გაეცნობიან წარსულს, მათი დახმარებით უკეთ შეიმეცნებენ ანდა დააზუსტებენ ჭეშმარიტებას. თუ ამით წარსულ მოვლენებსა და ადამიანებზე მკითხველის კონკრეტულ წარმოდგენებს რაიმეს შევმატებ — მოხარული ვიქნები.

მინდა მადლიერება გამოვხატო მათ მიმართაც, ვინც დამეხმარა ამ ნაშრომზე მუშაობისას. დოკუმენტების შერჩევაში შემწეობისა და სასარგებლო რჩევისათვის პირველ რიგში მადლობას ვუხდი იმ სახელმწიფო არქივების თანამშრომლებს, რომელთა მასალებზეც არის ეს წიგნი მნიშვნელოვანწილად დაფუძნებული. კერძოდ: ოქტომბრის რევოლუციის, სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების სახელმწიფო ცენტრალური არქივის დირექტორს ნ. რ. პროკოპენკოს, არქივსაცავის გამგეს ზ. ი. პერეგუდოვს, განყოფილების გამგეს მ. ფ. ფროსინს, ფონდების მთავარ მცველს ე. ვ. ზადორნოვს, უფროს მეცნიერ მუშაკს ლ. ი. ტიუტიუნიკს;

ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების გამგის მოადგილეს ვ. გ. ზიმინსა და უმცროს მეცნიერ მუშაკს ტ. პ. ბიკოვს;

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული დიპლომატიური დოკუმენტების კომისიის თანამშრომელს გ. კ. დეევს.

მადლობას მოვახსენებ უცხოელ მეგობრებს, რომლებიც დამეხმარნენ მასალების მოძიებასა და დამუშავებაში, პირველ რიგში დოქ-

ტორ მარტონ ფარკაშს ბუდაპეშტის სამხედრო-ისტორიული არქივიდან (უსრ), დოქტორ იანუშ კოლჩინსკისა და პროფესორ ვლადისლავ მარკევიჩს პოზნანის დასავლეთის ინსტიტუტიდან (პსრ), აგრეთვე ვარშავის ეროვნული ბიბლიოთეკისა (პსრ) და პრაღის აკადემიის არქივის (ჩსსრ) პერსონალს.

დიდად დავალებული ვარ ვენის ეროვნული ბიბლიოთეკის, გრაცეს (ავსტრია) ისტორიის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილების, ციურიხის სახალხო და ბაზელის (შვეიცარია) ცენტრალური ბიბლიოთეკების თანამშრომელთა ყურადღებისა შესაბამისი ხელნაწერი და დაბეჭდილი მასალების გამოგზავნისათვის.

განსაკუთრებული გულითადი მადლობა მინდა მოვახსენო წიგნში აღწერილი მოვლენების მომსწრეებსა და მონაწილეებს. მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს ამ ნაშრომში პირადი შეხვედრებისას ავტორისათვის მთელი რიგი ცნობებისა და შენიშვნების, აგრეთვე სხვადასხვა დოკუმენტის, მოგონებათა ჩანაწერების, იშვიათი ფოტოსურათებისა და სხვა დღემდე უცნობი, ისტორიულ აღწერილობებში გამოუქვეყნებელი მასალების მოწოდებით.

ისტორიის ამ ცოცხალ მოწმეთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ: სახელმწიფო სათათბიროს II, III და IV მოწვევების წევრი, სათათბიროს ნაციონალისტთა ფრაქციისა და „პროგრესული ბლოკის“ ლიდერი ვ. ვ. შულგინი. იგი შედიოდა დელეგაციაში, რომელსაც 1917 წლის 2 მარტს მეფემ თავის ხელით გადასცა გადადგომის დოკუმენტი*. კურსკის ყოფილი ვიცე-გუბერნატორი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პ. ა. სტოლიპინისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. ა. მაკლაკოვის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი ს. ს. ონგირსკი; ყოფილი ცარსკოესელოელი გვარდიელი, ნიკოლოზ II ბადრაგობისა და დაცვის მონაწილე მ. ი. რუსკიხი; ყოფილი ცარსკოესელოელი გვარდიელი ოფიცერი პ. ვ. სულიმა; რუსეთის რევოლუციის ერთ-ერთი უძველესი მონაწილე, გადასახლებაში ნამყოფი ნ. ვ. სტარიკოვი; ჯავშნოსან „იმპერატორ ალექსანდრე II“ ყოფილი მეზღვაური, კრონშტადტსა და პეტროგრადში

---

* 1973 წლის აგვისტოდან 1975 წლის აგვისტომდე ავტორი სამჯერ შეხვდა მას ვლადიმირში, სადაც ცხოვრობდა ვ. ვ. შულგინი 1976 წლის ჩათვლით, გარდაცვალებამდე.

მომხდარი რევოლუციური ამბების აქტიური მონაწილე, ლეგენდარული პ. დ. ხოხრიაკოვის თანამოღვაწე პ. ს. მაზაილოვი.

ურალსა და ციმბირში მომხდარი სამოქალაქო ომის მოვლენების მიხედვით — ო. ნ., ე. ნ. და მ. ნ. ტუხაჩევსკები; ვ. ი. უბორევიჩი; ურალის საბჭოს მდივანი 1918 წელს გ. გ. ტოლმაჩევი.

1917—1918 წლებში ცარსკოე სელოში, ტობოლსკსა და ეკატერინობურგში რომანოვების პატიმრობის პერიოდის მიხედვით — რ. ი., ა. ი. და ე. ი. იუროვსკები; ვ. გ. და ვ. გ. ნიკულინები; სკკპ წევრი 1904 წლიდან, ლატვიელთა საბრძოლო რაზმების მეთაური ურალსა და ციმბირში 1918 წელს ი. მ. სვიკე; სკკპ წევრი 1917 წლიდან, ურალის საგანგებო კომისიის წევრი 1918 წელს ი. ი. როძინსკი; დ. დ. ავდეევა და ლ. პ. ავდეევა-კოზლოვა; ვ. ო., გ. ნ. და ა. ნ. ნემცოვები; ტ. ი. ტეუმინა და კ. პ. ჩიბისოვა; ა. ი. კოგანიცკაია; ა. ს. ლიუხანოვა-ვიშნიაკოვა.

ყველა დასახელებულ პირს მადლობას ვუხდი ცნობებისა და მასალების მოწოდებისათვის.

მადლიერებით მოვიხსენიებ ამ წიგნზე მუშაობისას მხარდაჭერისა და მონაწილეობისათვის „იზვესტიისა“ და „ლიტერატურნაია გაზეტას“ მთავარი რედაქტორის ყოფილ მოადგილეს ა. გ. ბაულინს; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებს ვ. ი. დაშიჩევსა და მ. ა. პოლტავსკის; საერთაშორისო სამართლის გამოჩენილ სპეციალისტს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს ა. ი. პოლტორაკს; ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატებს ა. ი. შეველენკოსა და გ. გ. კოჩარიანცს; სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრს ი. პ. რიბაკოვას, აგრეთვე მოსკოვში ცნობილ წიგნის მოყვარულსა და ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული იშვიათობების მცოდნეს კ. კ. პოპოვს.

ავტორი დიდ მადლობას უხდის ჟურნალ „ზვეზდას“, რომელმაც პირველად გამოაქვეყნა ეს ნაშრომი *, და მის მკითხველებს დამატებებით, დაზუსტებებითა და შენიშვნებით გამოგზავნილი წერილებისათვის. ავტორი ახლა რამდენადმე შევსებული სახით უდგენს ამ წიგნს მკითხველს განსახილველად და იმედოვნებს, რომ იგი კვლავაც მომთხოვნელობას გამოიჩენს მის მიმართ. წერილების სხვა ავტორებმა გამოთქვეს სურვილი, რათა ამ მოთხრობით კიდევ ერთხელ ცხა-

---

* „ზვეზდა“, 1972, № 8, 9; 1973, № 7—10.

დად წარმოჩენილიყო ჩვენი ქვეყნის მიერ საუკუნის დამდეგიდან ბრძოლებითა და გამარჯვებებით განვლილი გზის სიდიადე. ასეთივეა ავტორის სურვილიც. ამ წიგნზე მუშაობისას იგი ისე გულმოდგინედ არაფერს ესწრაფოდა, როგორც სწორედ ამ მიზანს, — რომ გაემართლებინა ნაცნობი და უცნობი მეგობრების ნდობა.

დიდად ვუმადლი აგრეთვე ჩემს ერთგულ მეგობარსა და თანაშემწეს ცხოვრებასა და შრომაში ადელაიდა კონსტანტინეს ასულ რიაზანოვას, რომელმაც ამ წიგნზე მუშაობის შესაძლებლობა შემიქმნა.

ა ვ ტ ო რ ი

მოსკოვი — ლენინგრადი
1976, ნოემბერი

პროლოგი

განმარტოებულ სახლში გამეფებული საღამოს მყუდროება ზარის მკვეთრმა ხმამ დაარღვია. შეუწყობელმა წკარუნმა ვესტიბიულს, დერეფნებს, ჩაბნელებულ კუთხე-კუნჭულებს შემოურბინა. კარისკაცი ტილე კარს ეცა. ნახევარი საათის წინ დოქტორი რიცლერი ჩამოვიდა ზევიდან და გააფრთხილა: ორი კაცი მოვა და დაუყოვნებლივ შემოუშვიო.

გასალებმა გაიჩხაკუნა, საგდულმა გაიჭრიალა. ფარნის შუქზე ნაწვიმარმა ქვაფენილმა იელვა. შორიახლო ეტლმა ჩაიქროლა. ორი მამაკაცი კედელს მოსწყდა და კარში შემოვარდა; მათ სველი ლაბადები ეცვათ და მომჩვარული შლაპები ეხურათ.

ტილემ ნახევრად ჩაბნელებულ ვესტიბიულში ტანსაცმელი ჩაიბარა და მოსულთ მიმართა:

— ბიტტე, მაინე ჰერშაფტენ. მისი აღმატებულება თავისთან გელოდებათ ზევით.

სუსტად განათებულ კაბინეტში ორი მამაკაცი საწერ მაგიდასთან მიდგმულ სავარძლებში ჯდება. სკამის ზურგზე გადაწოლილი ზორზოხი მირბახი მაგიდის შუქფარის ჩრდილიდან გულგრილი, ოდნავ დამცინავი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებს სტუმრებს. ელჩის უკან მოკრძალებით დგას იღლიაში საქაღალდეამოჩრილი პირველი მრჩეველი რიცლერი.

ელჩი ადგილიდან არ დაძრულა, მაგიდიდან გაუწოდა ხელი მოსულთ ჩამოსართმევად.

ელჩი. ბატონებო, სასიამოვნოა, რომ ერთმანეთს კვლავ შევხვდით. თუმცა იმ გარემოებაში, რამაც ჩვენი ხელახალი შეხვედრა განაპირობა, სასიამოვნო თითქმის არაფერია (ორივე მამაკაცი თავჩაქინდრულია და დუმს). ასე არ არის, ბარონო ნეიდჰარდტ? (მიბრუნდება მონოკლით ერთი მათგანისა-

კ ე ნ). ასე არ არის, ბარონო ბუდბერგ? (შ ე მ ო ბ რ უ ნ დ ე ბ ა მ ე-ო რ ი ს ა კ ე ნ). გისმენთ, ბატონებო.

ნ ე ი დ ჰ ა რ დ ტ ი. გრაფ, ეს შეხვედრა იმისათვის გთხოვეთ, რომ მდგომარეობა, რომელიც თქვენთან ერთად ჯერ კიდევ დეკემბერში განვიხილეთ, არ გაუმჯობესებულა. ხომ არ გგონიათ, რომ... ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა?.. რომ იგი საშიში გახდა?

ე ლ ჩ ი. შეიძლება. უწინარეს ყოვლისა ეგ სწორედ ასეა. მას შემდეგ, რაც იმპერატორი ტობოლსკიდან გაიყვანეს, სიტუაცია, ჩანს, გართულდა.

ნ ე ი დ ჰ ა რ დ ტ ი. ხომ არ ინებებთ გვითხრათ, რა ცნობები გაა-ჩნია საელჩოს ჩვენთვის საინტერესო საკითხის ირგვლივ? მონაცემების დაპირისპირება იქნებ სასარგებლო იყოს საქმისათვის.

ე ლ ჩ ი. სიამოვნებით. იმის თაობაზე, რაც ვიცით, ნოგახსენებთ (რ ი ც ლ ე რ ი ს ა კ ე ნ მ ი ბ რ უ ნ დ ე ბ ა. მ ო კ რ ძ ა ლ ე ბ ი თ წ ე ლ ში მ ო ხ რ ი ლ ი მ რ ჩ ე ვ ე ლ ი სწ რ ა ფ ი მ ო ძ რ ა ო-ბ ი თ ი ღ ე ბ ს ს ა ქ ა ღ ა ლ დ ე დ ა ნ ს ა ბ უ თ ს დ ა ე ლ ჩ ი ს წ ი ნ დ ე ბ ს). ამრიგად, რუსეთის აღმოსავლეთ რაიონებში მოქმედი ჩვენი აგენტურის ცნობით, ტობოლსკში 268 დღის პატიმრობის შემდეგ უავგუსტოესი ოჯახი ცალ-ცალკე ორ ჯგუფად არის გაყვანილი ურალში. პირველ ჯგუფში შედიან — იმპერატორი, იმპერატრიცა და პრინცესა მარიამი... (ე ლ ჩ ს ს უ ლ უ ფ რ ო ა ხ ლ ო მ ი ა ქ ვ ს მ ო ნ ო კ ლ ი ნ ა წ ე რ თ ა ნ). დიახ, პირველი ჯგუფი ეკატერინობურგში ჩავიდა 30 აპრილს დილის 8 საათზე. მეორე ჯგუფი — ტახტის მემკვიდრე და სამი პრინცესა — იქვე ჩავიდა 23 მაისს დილის 6 საათზე.

ნ ე ი დ ჰ ა რ დ ტ ი. ინტერვალი სამი კვირაა.

ე ლ ჩ ი. დიახ. შემდეგ. ეკატერინობურგში ჩასვლისთანავე თითოეული ჯგუფი დაცვის გარეშე მიიყვანეს ვაგზლიდან ქალაქის ცენტრალურ რაიონში, ინჟინერ იპატიევის რეკვიზირებულ სახლში, სადაც ახლა ყველა ერთად იმყოფება. დატოვებული ჰყავთ რამდენიმე მოსამსახურე, დანარჩენები, მათ შორის ჟილიარი და გიბსი, თავიდან მოიცილეს. კიდევ რა? პატიმრებისადმი დამოკიდებულება კორექტულია.

ბ უ დ ბ ე რ გ ი. თქვენ ასე ფიქრობთ?

ე ლ ჩ ი. მე არ ვფიქრობ — ასეთი ცნობები გვაქვს (პ ა უ ზ ა). მაშ ასე, დამოკიდებულება და დაცვა. ყველა მონაცემით, დაცვა

სიმკაცრეს იჩენს, მაგრამ პატიმრებს ზოგიერთი შეღავათი მაინც აქვთ. მაგალითად, როგორც გამონაკლისი, მემკვიდრის ექიმს შეუძლია სახლში შევიდეს დღისითაც და ღამითაც. მოსახლეობის დამოკიდებულება ნაკლებ კეთილსასურველია. იგი მტრობითა და ფარული დაძაბულობით ხასიათდება. როგორც ჩანს, პატიმრები გრძნობენ ამ ატმოსფეროს, ამიტომაც აღივსო მათი შოთმინების ფიალა. სახლთან დამაკავშირებელი არხებით იმპერატორისაგან მოდის სულ უფრო დაჟინებული თხოვნა, დაჩქარდეს განთავისუფლება...

ბ უ დ ბ ე რ გ ი (ნ ე რ ვ უ ლ ა დ ი კ უ ნ ტ ე ბ ა ს ა ვ ა რ ძ ე ლ შ ი). ეს იმედები ჩვენ არ უნდა გავუცრუოთ...

მ რ ჩ ე ვ ე ლ ი რ ი ც ლ ე რ ი. ნება მიბოძეთ გკითხოთ — ვინ ჩვენ?

ბ უ დ ბ ე რ გ ი. ჩვენ — ესე იგი, თქვენ და ჩვენ. მაგრამ უპირველეს ყოვლისა, თქვენ... რადგან გავლენაცა გაქვთ და ძალაც.

ნ ე ი დ ჰ ა რ დ ტ ი. თქვენი ცნობები, გრაფ. ჩვენსას ემთხვევა... დაყოვნება არ შეიძლება... საქმე. რომელმაც ერთხელ უკვე მოგვიყვანა თქვენთან პეტროგრადში და ახლა კი აქ, მოსკოვში, არ უნდა გადაიდოს.

ე ლ ჩ ი. თქვენ ახლაც მონარქიული ცენტრის წარმომადგენელი ბრძანდებით?

ნ ე ი დ ჰ ა რ დ ტ ი. დიახ, რა თქმა უნდა. როგორც თქვენთვის ცნობილია, მაქვს პატივი ვიყო ამ ცენტრის თავკაცი. მისი სახელით გთხოვთ, ახლაც ჩაერიოთ საქმეში. მის უდიდებულესობა კაიზერს შეუძლია დახმარების ხელის გამოწვდა და კიდევაც უნდა გააკეთოს ეს.

ე ლ ჩ ი (შ ე შ უ პ ე ბ უ ლ ი ქ უ თ უ თ ო ე ბ ი ს ქ ვ ე მ ო დ ა ნ ნ ე ი დ ჰ ა რ დ ტ ს ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ნ ა ღ ვ ლ ი ა ნ მ ზ ე რ ა ს მ ი ა პ ყ რ ო ბ ს). ჩემო ძვირფასო ბარონ, ნება მიბოძეთ შეგახსენოთ, რაოდენ ღრმა კვალი გაავლეს ჩვენს შორის განვლილმა წლებმა... მას შემდეგ, რაც მეფე ნიკოლოზი აჰყვა ბრიტანეთის წამქეზებლებს და ორწელიწად-ნახევარს ეწეოდა უმაგალითო შეიარაღებულ ბრძოლას რაიხის წინააღმდეგ, კაიზერი სრულიადაც არ არის მისგან დავალებული, არაფერი მართებს მისი. ეს ისე, სხვათა შორის ვთქვი, შენიშვნის სახით. ამას კავშირი არა აქვს ამჟამად ჩვენს საერთო საქმესთან.

ნ ე ი დ ჰ ა რ დ ტ ი. გულახდილობისათვის გმადლობთ.

ე ლ ჩ ი. არაფერს.

ნ ე ი დ ჰ ა რ დ ტ ი. მე უკვე ის მახარებს, რომ არ აპირებთ უკან დახევას იმ თემის ემოციური გავლენის შედეგად, რომელსაც დაკარ-

გული აქვს მნიშვნელობა. და მაინც... ნება მიბოძეთ გაკვრით მოგახსენოთ. უთანხმოების ვერსია, რომელმაც თითქოს გათიშა ორი დინასტია, წარმოიშვა ბრბოში და იგი გამოსაყენებელია ბრბოსათვის. თოთხმეტი წლიდან ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ არა იმპერატორები, არამედ ხალხები, რომლებიც იმპერატორების ბრძანებით მოქმედებენ. მონარქები დღიურ ჭირვარამზე მაღლა დგანან. ისინი ზევიდან დაჰყურებენ წარმავალ მოვლენებს, ისეთებსაც კი, როგორიცაა მსოფლიო ომი. ურთიერთობა, ძველთაგანვე რომ აკავშირებს გერმანიის იმპერატორს რუს ბიძაშვილთან, ურღვევია. ამიტომ იმედი მაქვს: კაიზერი დღეს ხელიდან გამოსტაცებს რუსების ბრბოს მეფეს, ისე როგორც სხვა ვითარებაში მეფე გამოსტაცებდა გერმანელების ბრბოს კაიზერს...

ბ უ დ ბ ე რ გ ი. ეს მით უფრო სარწმუნოა, რადგანაც საქმე ეხება იმდენადვე გერმანული ოჯახის ბედს, რამდენადაც რუსულისა. განა საჭიროა შეგახსენოთ, რომ პრინცესა ალისასათვის გათხოვებამდე ეს ქვეყანა უცხო იყო. ჰესენის დიდი ჰერცოგის ქალიშვილმა აქ წამოსასვლელად ძლივს დაძლია საკუთარი შინაგანი წინააღმდეგობა. მაშინ მხოლოდ კაიზერის დაჟინებითი მოთხოვნით დათმო ყოველივე. კაიზერმა გამოგზავნა იგი აქ და მანვე უნდა დააბრუნოს ახლა უკან.

ე ლ ჩ ი (ჩ ა ფ ი ქ რ ე ბ უ ლ ი უ ქ ნ ე ვ ს თ ა ვ ს, მ ი ს ი ხ მ ა მ კ ა ც რ ა დ ჟ ღ ე რ ს). ბატონებო, ჭეშმარიტებას ისე შევხედოთ, როგორც სინამდვილეშია. ძველისძველი ისტორია განმეორდა: დამარცხებულნი სიმწარეს განიცდიან! მეფე, რომელიც პასუხს აგებს ომის წარუმატებელ შედეგზე, ახლა შეწყალებას ითხოვს. მას არ შეუძლია გამოსთხოვოს იგი თავის ქვეყანას და ჩვენ მოგვმართავს. ოდესღაც ბისმარკი გვასწავლიდა: დამარცხებულთ მარტო თვალები უნდა დავუტოვოთ, რათა შეძლონ თავიანთი უბედურების დატირებაო. თქვენ, ბატონებო, ამას არ გეუბნებით. ვაღიარებ, ამ შემთხვევას ეს ფორმულა არ შეეხება. ბარონო ბუდბერგ, თქვენ მართალი ბრძანდებით: საქმე ეხება მონათესავე ოჯახებს. გერმანია მას არ განუდგება.

ნ ე ი დ ჰ ა რ დ ტ ი. დეკემბრის შემდეგ იმდენი დრო დაიკარგა, რომ... ამ ხნის განმავლობაში რა იღონეთ? რისი იმედი შეიძლება ვიქონიოთ?

ე ლ ჩ ი. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ახლა მოსკოველი ხელისუფალნი აპირებენ იმპერატორის გასამართლებას, შეიძლება იმპერატრიცასიც. ამ მხრივ უკვე მიმდინარეობს აზრთა გაცვლა-გამოცვლა

მოსკოვისა და ურალის ინსტანციებს შორის. მზადდება საბრალდებო აქტი. ჩვენი პოზიციაა: სასამართლო არ შედგეს, გავათავისუფლოთ ოჯახი და გავიყვანოთ იგი გერმანიაში. დარწმუნებული ვარ, რომ ბოლშევიკები ვერ გაბედავენ უარის თქმას ჩვენი სურვილის დაკმაყოფილებაზე.

ნ ე ი დ ჰ ა რ დ ტ ი. სურვილისა თუ მოთხოვნის?

ე ლ ჩ ი. უფრო მოთხოვნის.

ნ ე ი დ ჰ ა რ დ ტ ი. მას თქვენ ოფიციალურად წაუყენებთ?

ე ლ ჩ ი. სავსებით.

ბ უ დ ბ ე რ გ ი. მოთხოვნა არსებობს ენერგიული, არსებობს ინერტულიც...

ე ლ ჩ ი. თუ რაოდენ ენერგიულად ხდება მათი წაყენება, შეგიძლიათ გასაჯოთ ბერლინიდან მიღებული უკანასკნელი დეპეშით (ხ ე ლ ა ხ ლ ა მ ი უ ბ რ უ ნ დ ე ბ ა რ ი ც ლ ე რ ს. მ რ ჩ ე ვ ე ლ ი ი მ ა ვ ე ს ა ქ ა ღ ა ლ დ ე დ ა ნ ი ღ ებ ს ს ა ბ უ თ ს დ ა ე ლ ჩ ს ა ძ ლ ე ვ ს ე ლ ჩ ი ა უ ჩ ქ ა რ ე ბ ლ ა დ ი ხ ე დ ე ბ ა ტ ე ქ ს ტ ს ი დ ა ხ მ ა ღ ა ღ ლ ა კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს). ინებეთ. „მოსკოვი, საელჩოს. დემარში, მიღებული თქვენ მიერ იმ საშიშროებასთან დაკავშირებით, რომელიც ეუქრებოდა მეფის ოჯახს, დიდად მოწონებულია. მის უდიდებულესობას სურს, რომ გაგრძელდეს მცდელობა ოჯახის გასათავისუფლებლად და რაიხში გასაყვანად. გერმანელი პრინცესა და მისი შვილები, მათ შორის მემკვიდრე, როგორც დედისაგან განუშორებელი, არ შეიძლება მიტოვებულ იქნენ ბედის ანაბარად. ფონ კიულმანი“.

ნ ე ი დ ჰ ა რ დ ტ ი. ეს სასიხარულოა.

ე ლ ჩ ი. ამრიგად, ბატონებო, სასოწარკვეთილებას არ უნდა მივეცეთ. ოჯახს ჩვენ ვმეთვალყურეობთ და ვიცავთ. რა ფორმაც არ უნდა მიიღოს საშიშროებამ, მისდამი გულგრილი არ დავრჩებით და, მაშასადამე, იგი თავიდან იქნება აცილებული. ჩემს ბოლო დემარშზე ჩიჩერინმა დუმილით მიპასუხა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ იგი მალე ალაპარაკდება (ე ლ ჩ ი დ გ ე ბ ა, დ გ ე ბ ი ა ნ მ ი ს ი თ ა ნ ა მ ო ს ა უ ბ რ ე ნ ი ც). შეიძლება (ე ლ ჩ ი თ ი თ ქ მ ი ს ჩ უ რ ჩ უ ლ ე ბ ს) ოჯახის განთავისუფლების ინტერესებისათვის მიზანშეწონილი გახდეს თქვენი ორგანიზაციების გამოსვლა ადგილზე, ურალში... მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი არა ღირს. შემდგომ ამბებს მე და დოქტორი რიცლერი (მ რ ჩ ე ვ ე ლ ი ო დ ნ ა ვ თ ა ვ ს ხ რ ი ს ს ტ უ მ რ ე ბ ი ს მ ხ ა რ ე ს)

შეგატყობინებთ. დღეისათვის კი მე მგონია საკმაოდ ბევრი რამ ვთქვით.

ხელის ჩამორთმევის შემდეგ ელჩი და მრჩეველი ზღურბლამდე აცილებენ ორივე სტუმარს და ისინიც გამომშვიდობების ნიშნად თავს ხრიან. კართან მირბახი მოულოდნელად მხარზე ხელს ადებს ნეიდჰარდტს.

— ხომ არ დაგავიწყდათ, ბარონ, ჩვენი ომამდელი დოღი და სანაძლეო მიუნხენის იპოდრომზე?

ნეიდჰარდტი ხელებს ასავსავებს:

— ოჰ, გრაფ, რა დროს დოღი და სანაძლეოა, რა საჭიროა გახსენება...

ელჩი უფლებას აძლევს თავს წუთით შემწყნარებლობა გამოიჩინოს და შინაურულად ამბობს:

— რას ბრძანებთ. ბატონებო... ცხვირს ნუ ჩამოუშვებთ. აი, ნახავთ, ყველაფერი მოგვარდება. ადვილი შესაძლებელია, რომ ორი-სამი კვირის შემდეგ თქვენი იმპერატორი სადმე საზღვარგარეთ ნახოთ.

(საუბარი მიმდინარეობდა ყველა მისი მონაწილისათვის მშობლიურ, გერმანულ ენაზე).

ქვემოთ, ვესტიბიულში, გასალებმა კვლავ გაიჩხაკუნა და საგდულმაც გაიჭრიალა. ტილემ ფრთხილად გამოაღო კარი და მოსახვევს გახედა. შლაპებჩამოფხატული ორივე სტუმარი წვიმიან ღამეში გაუჩინარდა.

ეს იყო 1918 წლის მაისის შუა რიცხვებში.

1

ოპერაციაᲐ „რუსი ბიძაშვილი“

ლანტენაკს ასაკი არა აქვს. ლანტენაკი უცხოა. ლანტენაკი მოუხმობს უცხოელებს.. ლანტენაკი სამშობლოს მტერია. ჩვენი შერკინება შეიძლება მხოლოდ მისი ან ჩემი სიკვდილით დამთავრდეს.

ვიქტორ ჰიუგო. ოთხმოცდაცამეტი წელი, ნაწილი III, თავი VII.

ფერფლი ისაკის მოედანზე

მირბახის წინამორბედი გერმანიის ელჩის პოსტზე რუსეთში პურტალესი იყო.

გრაფ ფრიდრიხ ფონ პურტალესისათვის ამ თანამდებობაზე შვიდწლიანი სამსახური 1914 წლის 19 ივლისს, შაბათს, ხოლო ახალი სტილით — 1 აგვისტოს, საღამოს რვა საათზე დასრულდა [1]. იმ ავბედით დღეს მან თავისი ეტლი მთავარი შტაბის შენობის წინ მეორე სადარბაზოსთან დატოვა, საგარეო საქმეთა მინისტრ საზონოვთან (რამდენიმე დღე იყო, რაც მას კაბინეტი არ დაეტოვებინა) მესამე სართულზე დარბაისლურად ავიდა და ჰკითხა: გერმანიის ულტიმატუმის მოთხოვნათა თანახმად ხომ არ გაუქმდებოდა რუსეთში გამოცხადებული მობილიზაცია? საზონოვმა უპასუხა: არაო. მაშინ გრაფმა ფანჯრიდან ცერად გახედა ალექსანდრეს სვეტის ანგელოზს და მინისტრს უთხრა, რომ ამ წუთიდან გერმანია რუსეთთან საომარ მოქმედებაში იმყოფებოდა.

ელჩმა იმავე შინაარსის ქაღალდი მაგიდაზე დადო და გავიდა. ამ დროს მან ფენომენალური დაბნეულობა გამოავლინა. მას მომზადებული ჰქონდა ნოტის ორი ვარიანტი — იმ შემთხვევისათვის, თუ ულტიმატუმი მიღებული იქნებოდა და იმ შემთხვევისათვისაც, თუ მის მიღებაზე უარს იტყოდნენ. საელჩოს მდივანს ორივე ტექსტი ერთ ფურცელზე გადაებეჭდა. დილის 4 საათზე პურტალესმა დაურეკა მინისტრს და სთხოვა მოქმედად ეცნო „ის ნოტა, რომლითაც ომი ცხადდებოდა“ [2].

მეორე დილით დედაქალაქი მანიფესტაციამ მოიცვა. ქუჩებში გაფთრებულ შავრაზმელთა ასეული გამოვიდა. ხროვად მიდიოდნენ ნევის, სადოვოისა და ბოლშოი მორსკოის გაყოლებით, ამსხვრევდნენ

ვიტრინებს, ანადგურებდნენ მაღაზიებსა და კაფეებს, რომლებსაც კი გერმანული აბრები ჰქონდათ. ლიტეინის ქუჩაზე ტრამვაიდან გადმოათრიეს სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი გერმანელი ოფიცერი და კინაღამ ლინჩის წესით გაასამართლეს: იგი რუსეთში სტუმრად ყოფილა ჩამოსული და ფინეთის სადგურისაკენ მიიჩქაროდა, რომ შინ გაეღწია, მაგრამ ვერ მოასწრო...

იმავე კვირა დღეს, შუადღისას, „სუფთა" საზოგადოება. რომელშიც მორთულ-მოკაზმული მანდილოსნებიც ერივნენ, დამრბევებთან ერთად სასახლის მოედნისაკენ გაემართა. ამ შემთხვევის გამო აივანზე გაშოსული ბონარქი ცოლ-ქმრის თვალწინ გათამაშდა მეფისადმი ერთგულების გამომხატველი და კაიზერის დამგმობი ისტერიული დემონსტრაცია. ისაკის ტაძრის ზარების რეკვაში, პეტრე-პავლეს ციხესიმაგრის ზარბაზნების გრიალში გაისმოდა წყეული-კრულვა მათი უდიდებულესობის პოტსდამელი სახლიკაცის მისამართით. შეშფოთებული უკეკუსტოესი ცოლ-ქმარი ათი წუთის მანძილზე ნაძალადევად უღიმოდა მის წინ შეგროვილ, მუხლებზე დამხობილ ხალხს, ხოლო შემდეგ სასახლის ბნელ სიღრმეში მისამალავად გაეშურა.

რამდენიმე დღეს გრძელდებოდა დედაქალაქის ცენტრალურ რაიონებში შავრაზმელთა თარეში, ვიდრე მან გერმანიის ელჩის პურტალესის რეზიდენციამდე არ მიაღწია, სადაც თავ-პირის მჩეხველთა საძმომ იმ დღეებისათვის თავისი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტური გმირობა გამოავლინა.

4 აგვისტოს, საღამოსათვის, ვიღაც უჩინარის ხელმძღვანელობით ისაკის მოედანზე ხალხის დიდი ჯგუფი შეიკრიბა. უმრავლესობა შეიარაღებული იყო ძალაყინებითა და კაუჭებით. ცხრა საათისათვის მათ იერიში მიიტანეს საელჩოზე, რომელშიც იმ დროს უკვე არავინ იყო. ელჩის მიერ სახლის საპატრონოდ დატოვებული კარისკაცი ადოლფ კატნერი სახურავზე ავარდა და იქ მოკლეს. ღამის პირველი საათისათვის საელჩო ჩირაღდანივით ჩახჩახებდა. ისაკის მოედნის თავზე კვამლი და ფერფლი ერთმანეთში აირია. როცა შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. ა. მაკლაკოვი დილაადრიან მოედანზე გამოცხადდა, ჟანდარმერიის პოლკოვნიკმა სიზოვმა, რომელიც სასტუმრო „ასტორიის" გასწვრივ ცხენს დააჯირითებდა, დამცინავად მოახსენა:

— თქვენო აღმატებულებავ, გერმანელები პირწმინდად ამოიბუგნენ.

ამერიკის წარმომადგენელი ვილსონი, რომელსაც პურტალესმა

წასვლის წინ პეტერბურგში გერმანიის ინტერესების დაცვა გადაულოცა, 5 აგვისტოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ეწვია და აშშ-ის მთავრობის სახელით პროტესტი განუცხადა. სიზოვმა მოქირქილე მაკლაკოვის თანდასწრებით „სინანული გამოთქვა“.

შავრაზმელთა პრესა დარბევის დაწვრილებითი აღწერით ტკბებოდა. რაც შეეხება გერმანიის იმპერატორს, მისთვის გულადმა ჟურნალისტებმა სალანძღავი ეპითეტები არ დაიშურეს.

კვამლისა და ფერფლის ბოლქვები, რომელშიაც გახვეული იყო მაშინ ისაკის მოედანი, უკვე ევროპისა და მთელი მსოფლიოს მახრჩობელა ხანძარს შეუერთდა. იგი დიდხანს მძვინვარებდა. ავსტრია-გერმანიის ბლოკის წინააღმდეგ რუსეთის შეიარაღებული ბრძოლა იმ დღეებიდან დაწყებული სამ წელიწადსა და შვიდ თვეს გრძელდებოდა. ბრძოლაში, რომელიც 1290 დღეს მიმდინარეობდა ბალტიისა და შავი ზღვების ტერიტორიაზე, რუსეთის არმიამ მოკლულთა, დაჭრილთა და უგზო-უკვლოდ დაღუპულთა სახით შვიდ მილიონამდე კაცი დაკარგა.

ასეთია ომის შემდგომი წლების სტატისტიკური მონაცემები. გადამდგარი სამხედრო მინისტრი დ. ს. შუვაევი კი 1918 წელს დაკარგულთა სახით 8 მილიონს ასახელებდა. იგივე ციფრი გაიმეორა 1924 წელს თავის თეთრგვარდიულ-ემიგრანტულ მემუარებში ვ. ვ. შულგინმა.

ს. სტრუმილინი 975 ათას კაცს მარტო მოკლულთა შორის ასახელებდა, ხოლო რუსეთის მოსახლეობის საერთო დანაკარგს იგი მრავალი მილიონი ადამიანის სიცოცხლით განსაზღვრავდა, ამასთან განმარტავდა, რომ 1920 წლისათვის სრული ცნობა დაკარგულთა შესახებ ჯერ კიდევ არ არსებობდა.

უფრო გვიანდელი ოფიციალური წყარო მოწმობს, რომ მარტო მოკლულთა სახით რუსეთმა დაახლოებით 2,5 მილიონი კაცი დაკარგა[3].

ერთი სიტყვით, სიკვდილიანობის საბოლოო რიცხვი დიდი და შემაძრწუნებელი იყო. მაგრამ არა იმათთვის, ვინც წამოიწყო იგი დებოშებითა და ხანძრებით მეფის სასახლის ირგვლივ რამდენიმე კილომეტრის რადიუსზე. ნიკოლოზ II-თან დაახლოებულ პირებს დაღვრილი სისხლი ძალზე დიდად არ ეჩვენებოდათ. ყოველ შემთხვევაში, იმდენად დიდად არა, რომ პირადი საშიშროების წუთებში სირცხვილი ეგრძნოთ და დახმარებისა და თანაგრძნობისათვის სწორედ იმ შეური-

გებელი მტრებისათვის არ მიემართათ, რომლებსაც თხუთმეტი წლის აგვისტოში თავგამოდებით ლანძღავდნენ.

1918 წელს რევოლუციის ტალღებისაგან დამფრთხალმა ამ ვაუბატონებმა პეტროგრადის ბუდეები მიატოვეს და სხვადასხვა მხარეს მიმოიფანტნენ, ხოლო როცა თავიანთი სათაყვანებელი მონარქი ეკატერინობურგის მესერს იქით დალანდეს, საშველად სწორედ იმ კაიზერ ვილჰელმს მოუხმეს, ვის დასამხობადაც თვითვე ნახევარი ევროპა რუსული სისხლით მორწყეს.

ეს მოიმოქმედეს მათ და მათმა სათაყვანებელმა მონარქმა. ეს აშკარაა, რადგანაც ნიკოლოზ რომანოვის ეკატერინობურგში, იპატიევის სახლში დაპატიმრებამდე სულ რაღაც ნახევარი წლით ადრე მისმა ყოფილმა სამხედრო მინისტრმა დ. ს. შუვაევმა პეტროგრადში დროებითი მთავრობის საგანგებო საგამოძიებო კომისიის წინაშე წარდგომისას გამომძიებლის შეკითხვაზე: იცოდა თუ არა მეფემ არმიის სასწაულებრივი დანაკარგის შესახებ და რამდენად აღელვებდა ეს ამბავიო? — უპასუხა: — იცოდა, მაგრამ დიდად არ აღელვებდაო.

აი, შემდგომი დიალოგი:

თავმჯდომარე. რატომღა აიღო მან საკუთარ თავზე უმაღლესი მთავარსარდლობა?

შუვაევი. მე მას მუდამ ხაზგასმით ვეუბნებოდი: „თქვენო უდიდებულესობავ, თქვენ არ შეგიძლიათ პასუხი აგოთ, რადგანაც რუსეთის მიწა-წყლის ღმერთი ბრძანდებით. მე არ ძალმიძს თქვენს სახელს ამოვეფარო, ეს არც სხვა რომელიმე მინისტრმა უნდა გააკეთოს. ჩვენ შეგვიძლია პასუხი ვაგოთ და უნდა ვაგოთ კიდევაც, თქვენ კი, თქვენო უდიდებულესობავ, ამაზე მაღლა დგახართ... როგორც კი რაიმე მოხდება, მაშინვე იტყვიან: ეს მისი უმაღლესობის ნება-სურვილიაო... განა კარგია ასე?“

თავმჯდომარე. მითხარით, აი, ეგ საუბრები... სამხედრო საკითხებს შეეხებოდა თუ პოლიტიკურს?

შუვაევი. ყველაფერს... მე მას პირდაპირ ვეუბნებოდი: „დინების წინააღმდეგ სვლა არ შეიძლება... მოვლენებს წინ უნდა ვუსწრებდეთ, მის უკან კი არ უნდა მივჩანჩალებდეთ...“ მასთან საუბრისას ყოველთვის ხაზგასმით აღვნიშნავდი, თავიდან მოეხსნა ეს უღელი, რომლის ტარებაც ფაქტიურად მას არ შეეძლო.

თავმჯდომარე. და მერე... მან?..

შუვაევი. მან მადლობა გადამიხადა... და გამაგდო.

თავმჯდომარე. კი მაგრამ. როგორ?

შუვაევი. მან ჩემს ადგილზე გენერალი ბელიაევი დანიშნა.

თავმჯდომარე. რისთვის?

შუვაევი. მივხვდი, რომ უბრალოდ თავი გავაბეზრე ჩემი რჩევებითა და შენიშვნებით [4].

პოტსდამელი ბიძაშვილის იმედით

როგორც კი სმოლნის სააქტო დარბაზში ახალი, მუშურ-გლეხური ხელისუფლება გამოცხადდა, საბჭოთა რუსეთმა მაშინვე მიმართა მებრძოლ სახელმწიფოებს მოწოდებით: შეეწყვიტათ მსოფლიო ომი. ანტანტის სახელმწიფოები ამ მშვიდობიან ინიციატივას არ შეურთდნენ. 26 ნოემბერს რუსეთის პარლამენტარებმა პირველი კონტაქტები დაამყარეს მოწინააღმდეგესთან, რომელიც დაეთანხმა დაეწყოთ მოლაპარაკება ზავის დადებაზე.

ამ მოლაპარაკებათა მსვლელობისას, დეკემბერში, პეტროგრადს ჩამოვიდა გერმანიის მისია გრაფ ვილჰელმ ფონ მირბახის (1915 წლიდან 1917 წლამდე ელჩი საბერძნეთში, შემდეგ ერთხანს ბერლინის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ოკუპირებულ რუმინეთში) მეთაურობით. სმოლნის ნებართვით მისია 1914 წლის აგვისტოში მონარქისტების მიერ დანგრეული ყოფილი საელჩოს შენობის გადარჩენილ ოთახებში მოთავსდა ისაკის მოედანზე. ახლად ჩამოსულმა კაიზერის დიპლომატებმა დარბევის ყოფილი შეფები და სულისჩამდგმელები მალე შეიცნეს. სწორედ იმ კარით, რომელიც შავრაზმელებმა თოთხმეტი წლის აგვისტოს ჩამოანგრიეს, გერმანელ სტუმრებთან ახლა ქურდულად მიძვრებოდნენ ნეიდჰარდტი, ტრეპოვი, გურკო და ბენკენდორფი. ისინი მირბახსა და მის თანაშემწეს, ადმირალ კაიზერლინგს სათხოვნელად ეახლნენ. ახლა უკვე აღარ გოდებდნენ, აღარ ილანძღებოდნენ და აღარც კეტებს იქნევდნენ, მშვიდად უჩიოდნენ ბედს. ჯერ ერთი, მათივე თქმით, ისინი მწარედ ნანობდნენ, რომ დროულად ვერ აიცილეს თავიდან რაიხთან შეჯახება. მეორე, მათ დიდად არ ეხატებოდათ გულზე საბჭოთა ხელისუფლება. მესამე, ახლა ეს მთავარი იყო, რადგანაც სწორედ ამან მიიყვანა ისინი მის უდიდებულესობასთან თხოვნითა და ვედრებით — გამოქომაგებოდა გერმანია დამხობილ, გაძევებულ და იმ დროს ციმბირში დატყვევებულ, უფლებააყრილ მონარქს ბოლშევიკების წინაშე.

მირბახმა აღუთქვა, რომ ყველაფერს მოახსენებდა ბერლინს. მისი ცნობები ნეიდჰარდტ-ბენკენდორფ-ტრეპოვის სტუმრობის თაობაზე პირველი ოფიციალური ინფორმაცია იყო „რუსი ბიძაშვილის“ მარცხის შესახებ, რომელიც ვილჰელმ II მიიღო საკუთარი სამსახურის არხით. ახლომყოფთა დამოწმებით, მას მაშინვე მიუცია დირექ-

ტივა კანცლერ ბეტმან-ჰოლვეგისათვის: „შეემუშავებინათ ევენტუალური დახმარებისა და გადარჩენის ღონისძიებები“.

აქ საქმე მარტო ნათესაური გრძნობებით, ავტოკრატული სისტემის სიახლოვით როდი აიხსნებოდა, სისტემისა, რომელმაც რუსეთში მარცხი განიცადა. თავიანთი პეტერბურგელი ნათესავის ბედში ჰოჰენცოლერნებმა ფარული შიშით წინასწარ ამოიცნეს საკუთარი აღსასრული.

ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო ხელშეკრულების დაღებისა (3 მარტს) და გერმანიის საელჩოს მოსკოვში გამოჩენის შემდეგ (აპრილში) იმავე მირბახის მეთაურობით, ამ უკანასკნელის შეხვედრებმა ნეიდჰარდტ-ბენკენდორფ-ტრეპოვის იატაკქვეშა ჯგუფთან დენეჟნის შესახვევის (ამჟამად ვესნინის ქუჩა) № 7 სახლში გადაინაცვლა. შეთქმულთა ჯაჭვი კიდევ უფრო გაიჭიმა და მისი ერთი რგოლი პროლოგში აღწერილი ოთხთა შეხვედრა იყო.

ძველი რაიხის აპოლოგეტები ასეთი შეთქმულების არსებობას მრავალი წლის მანძილზე უარყოფდნენ. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ზოგიერთები დღესაც კი ირწმუნებიან, რომ მირბახს რუსეთში მონარქიულ იატაკქვეშეთთან არავითარი კავშირი არ ჰქონია, რომ არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს დამხობილი მეფის სასარგებლოდ, რომ თითქოს გაკარებაც არ სურდა რომანოვების დაცვის საქმესთან, რადგანაც ამას „არავითარი კავშირი არ ჰქონდა გერმანიის ინტერესებთან“ [5]. ელჩი თითქოს უარსაც კი აცხადებდა მეფის სასახლის ყოფილ კარისკაცთა მიღებაზე, ცდილობდა მათთან საუბრისათვის თავი აერიდებინა, რომ არც არავითარ დახმარებას არ შეჰპირებია და არც დახმარებია მათ. მაგრამ თუ მონარქისტებს ამა თუ იმ საკითხზე ელჩისათვის წერილის გადაცემა ზოგჯერ მაინც მოუხერხებიათ, „მისი ზემდგომი ორგანოებისათვის მიწოდებაზე ყოველთვის უარი განუცხადებია“. ერთი სიტყვით, თითქოს „გერმანიას ამ საქმეში თავშეკავების, განზე დგომისა და სრული ჩაურევლობის პოზიცია ეჭირა“.

თუ როგორი იყო ეს „სრული ჩაურევლობა“, ამის შესახებ თვით ეპიზოდის გმირებმა მოგვითხრეს თავის დროზე. მაგალითად, ნეიდჰარდტის მოგონებების მიხედვით აღდგენილია ამ წიგნში თვრამეტი წლის მაისის ოთხთა შეხვედრა. მირბახის საელჩო პატაკები ცალკეული ნაწყვეტების სახით დაიბეჭდა დასავლეთის პრესის ფურცლებზე. მათ შორის ყურადღებას იქცევს ორი დეპეშა: ა) გაგზავნილი

ბერლინში 13 ივნისს, დენეკინის შესახვევში ჩვენ მიერ აღწერილი შეხვედრის ორი კვირის შემდეგ; ბ) კვლავ ბერლინში გაგზავნილი 20 ივნისს, ელჩის მოკვლამდე ორი კვირით ადრე [6]. მოკლედ, მაგრამ გამომსახველად მოახსენებს მირბახი თავის შეფს რიჰარდ ფონ კიულმანს მოსკოვსა და პეტროგრადში მონარქისტთა და ლიბერალ პოლიტიკოსთა, მიწის მფლობელთა და მრეწველთა იატაკქვეშა ბლოკის მზარდი აქტივობის შესახებ. ელჩს ფარულად გარს ეხვევა „მრავალი ცნობილი პირი“, „ნრავალი მერყეევი ფიგურა“, „ძველი გვარიშვილობის ანდა წოდების, მსხვილი ფირმებისა და საკუთარი ლატიფუნდიების მფლობელნი“; ამ ხალხს, აცნობებდა ელჩი თავის უფროსობას, „ყოველდღიურად და ყოველმხრივ რომ უსვამს ხაზს გერმანიასთან თავის მეგობრულ განწყობილებას“, კაიზერის დახმარებით უნდა მეფის განთავისუფლება. მაგრამ მათ ამის გარდა სხვა არანაკლებ არსებითი პუნქტიც აქვთ: „ისინი არიან მავედრებელნი ჩვენი, რათა გამოგვთხოვონ დახმარება ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში...“

როგორ დამოკიდებულებას ურჩევს ელჩი უფროსობას ამ „ვედრებათა“ მიმართ? ყოველ შემთხვევაში, გულგრილობას არა. „მდგომარეობის თავისებურების გამო, — წერს იგი 20 ივნისს, — ამ მომენტში უპირველეს ყოვლისა უნდა ჩავშალოთ ბოლშევიკური სისტემით აღგზნებულ მოწინააღმდეგეთა გაერთიანება ანტანტის ხელმძღვანელობით... ამიტომ მიმაჩნია, რომ ჩვენი პასუხები მათ თხოვნაზე აბსოლუტური უარის ხასიათს არ უნდა ატარებდეს... მსგავს მოლაპარაკებათა გამართვაზე კატეგორიული უარით არ უნდა ვუპასუხოთ...“

„უარის“ უთქმელობა, არსებითად, „თანხმობას“ ნიშნავდა. ამის უარყოფა არც დღევანდელ დასავლეთელ მოაზროვნეებს შეუძლიათ. ეს ვაუბატონები მოკრძალებით უვლიან გვერდს კაიზერის დიპლომატიის შეცდომას „ბოლშევიზმის აგონიის“ შესახებ და განმარტავენ: იდეა ის იყო, რომ „დამხობილიყო ბოლშევიზმი და აღმდგარიყო ბურჟუაზიული რუსეთი, ამ აღდგენის პირობებით კი დღის წესრიგში დგებოდა ბრესტის ზავის რევიზიის საკითხი რუსეთის კურსის გერმანიაზე სრული ორიენტაციის აზრით“.

სხვანაირად რომ ვთქვათ, კაიზერის დახმარების შედეგად მეფის გადარჩენის პროექტი იყო ნაწილი უფრო ვრცელი გეგმისა — გერმანული ხიშტების ძალით საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციისა,

ძველი, უფრო სწორად, ცარიზმის რუსეთის აღდგენისა, რომელსაც გერმანიის იმპერიალიზმთან კავშირის დამყარება და გერმანიის კონტროლისადმი დაქვემდებარება მართებდა. ასეთ გეგმაში ძნელი არ იყო მეფისა და მემკვიდრის შეყვანა, რომლებიც მაშინ ცოცხლები იყვნენ და თითქმის იქვე იმყოფებოდნენ, გვარეულობითაც კაიზერთან ახლოს იდგნენ და თუნდაც ამიტომ უფრო მეტად შესაფერის პირებად ითვლებოდნენ. ისღა იყო საჭირო, რომ გამოეხსნათ ისინი გადასახლებიდან და დაებრუნებინათ ზამთრის სასახლეში. ამიტომაც „აამოქმედა ვილჰელმ II ყველა ბერკეტი თავისი რუსი ბიძაშვილის ოჯახის გადასარჩენად“ [7].

ერთხელ კურტ რიცლერიც აიძულეს, დენეჟნის შესახვევში გაწეული გარჯის შესახებ ზოგიერთი რამ დაწვრილებით მოეთხრო. რიცლერს? — შუბლს შეჭმუხნის გასახსენებლად ზოგიერთი თანამედროვე. — რიცლერი... მოითმინეთ, ეს რომელი რიცლერია? ის ხომ არა, კაიზერულ რაიხში დიპლომატის ფუნქცია ლიბერალ-მონარქისტული პუბლიცისტისა და ფილოსოფოსის მოღვაწეობას რომ შეუთავსა და მსოფლიო პოლიტიკის პრობლემებზე ი.-ი. რიუდორფერის ფსევდონიმით რამდენიმე ნაშრომი გამოაქვეყნა, რომელთაგან ერთ-ერთზე 1915 წელს ვ. ი. ლენინმა თავისი ყურადღება შეაჩერა?

დიახ, სწორედ ის კურტ რიცლერი, ანუ იგივე ი. ი. რიუდორფერი გახლდათ. სანამ მოსკოვში გამოჩნდებოდა, 1915 წლიდან 1917 წლამდე იგი რაიხსკანცლერ ბეტმან-ჰოლვეგის მრჩეველი იყო, ხოლო მსოფლიო ომის დაწყების წინ ბერლინში გამოსცა წიგნი „თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ძირითადი თავისებურებანი“, რომელიც ვ. ი. ლენინმა კრიტიკულად განიხილა [8].

ამ ვაჟბატონმა თავისი მოღვაწეობა კოსმოპოლიტიკის ქადაგებით, რაიხის ღვთაებრიობის თეზისით, გენერლებისა და მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების თანამშრომლობის იდეით დაიწყო და იმის წარუმატებელი ცდით დაამთავრა, რომ ეხსნა მეფე რუსეთის რევოლუციის სასამართლოსაგან.

თუმცა თავისი მოღვაწეობა ამით არ დაუმთავრებია *. კაიზერის

---

* რიცლერმა მოიკლა კაიზერიც, ვაიმარის რესპუბლიკაც და ჰიტლერიც, რომელმაც მას 1935 წელს პენსია დაუნიშნა. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მას პირადი საუბრები ჰქონდა ადენაუერთან და შტრაუსთან. გარდაიცვალა 1955 წელს 73 წლისა დიუსელდორფის ახლოს თავის ვილაში.

რეჟიმის ვაიმარულით შეცვლის პერიოდში რიცლერი ახალ ამპლუაში მოევლინა ხალხს. რესპუბლიკას იგი უმუშევარი არ დაუტოვებია. 1920 წლიდან ვილჰელმშტრასეზე იღვწოდა აღმოსავლეთ ევროპის საქმეების წამყვანი ექსპერტის როლში. სწორედ აქ გამოჩნდა 1921 წლის ზაფხულში რუსი თეთრგვარდიელი ემიგრანტი ნ. ა. სოკოლოვი. იგი რიცლერს წარუდგა როგორც მეფის დასჯის საქმის მთავარი გამომძიებელი, რომელსაც ეს უფლებამოსილება 1919 წელს ჰქონდა მიღებული „რუსეთის უმაღლესი მმართველის“ კოლჩაკისაგან. სტუმარი დაინტერესდა, ხომ არ შეეძლო ბატონ დოქტორს რაიმე სასარგებლო ცნობები მიეცა გამოსაძიებელი საკითხის ირგვლივ.

ოჰ, როგორ არა, უთხრა ვაიმარელმა ექსპერტმა კოლჩაკელ მაძიებელს, უამრავი შესაბამისი ცნობა მაქვსო. მაგალითად: „მან ეს დრამა თვით ცენტრში განიცადა“ და შეუძლია დაადასტუროს, თუ როგორ ცდილობდა მისი უდიდებულესობის კაიზერის მთავრობა 1918 წელს მოსკოვში მყოფი თავისი საელჩოს მეშვეობით „ყოველგვარი შესაძლებელი და შეუძლებელიც“ კი გაეკეთებინა ურალელი პატიმრებისათვის. ამის დასამტკიცებლად რიცლერმა სამინისტროს არქივიდან ამოიღო და სოკოლოვს აჩვენა 1918 წლის გაზაფხულისა და ზაფხულის თვეებით დათარიღებული უამრავი დოკუმენტი. იმავე წლის სექტემბერში რიცლერმა სოკოლოვს პარიზში გადაუგზავნა საელჩოსა და სამინისტროს მიმოწერებიდან ამოღებული რამდენიმე დეპეშის ასლი. მათ შორის შემდეგი:

მოსკოვის საელჩო. საგარეო საქმეთა სამინისტროს. 1918 წლის ივლისი.

საჭიროა თუ არა დედოფლისადმი, როგორც გერმანელი პრინცესასადმი, ფრთხილი დამოკიდებულების მტკიცე წარდგინების განმეორება? ხომ არ მიგაჩნიათ, რომ წარდგინების გავრცელება უფლისწულზეც საშიში იქნება, რადგანაც ბოლშევიკებისათვის ალბათ ცნობილია, რომ მონარქისტები უფლისწულის წინა პლანზე წამოწევის მომხრენი არიან. ბოლშევიკების უნდობლობა გერმანიის წარდგინებისადმი კიდევ უფრო გაძლიერდა კრასნოვის მიერ ამას წინათ დონზე წარმოთქმული ძალზე გულახდილი განცხადების შედეგად*.

რიცლერი

საგარეო საქმეთა სამინისტრო. მოსკოვის საქმეთა რწმუნებულს. 1918 წლის ივლისი. მეფის ოჯახის სასარგებლო წარდგინებებს ვეთანხმები.

ბუშე

---

* რიცლერს აქ, ეტვს გარეშეა, მხედველობაში აქვს 1918 წლის მაის-ივნისში ნოვოჩერკასკში პ. ნ. კრასნოვის მიერ საჯაროდ წარმოთქმული განცხადება იმის შესახებ, რომ „თეთრი მოძრაობის“ საბოლოო მიზანს წარმოადგენს მონარქიზმის რესტავრაცია რუსეთში.

როგორც ზოგიერთი სხვა, ისე ეს დოკუმენტები სოკოლოვმა გერმანიაში მოგვიანებით გამოცემულ თავის წიგნში გამოაქვეყნა[9]. მათი შინაარსი მთლიანად ემთხვევა კიულმანის დეპეშის ტექსტს, რომელიც ნეიდჰარდტის თეთრგვარდიულ-ემიგრანტული („რაიხენჰალური") ჩანაწერების თანახმად, მას მირბახმა მოსკოვში, გერმანიის საელჩოს შენობაში წაუკითხა. საერთოდ, განაზოგადებს სოკოლოვი, მათი არსი ისაა, რომ „1918 წელს რუსი მონარქისტები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ გერმანელებთან ბოლშევიკების ხელისუფლების დამხობაზე". „ამ თემის ჩარჩოებში" კი შედიოდა მეფის განთავისუფლების საკითხიც, რისთვისაც მონარქიული ცენტრიცა და რუსეთის საშინაოთით თავწამოყოფილი მეფის გენერლებიც „მოვალენი იყვნენ რაიმე სამსახური გაეწიათ ბერლინის სამხედრო-პოლიტიკური გეგმისათვის — როგორც ქვეყნის ცენტრში, ისე გერმანიის შეიარაღებული ძალების მიერ ოკუპირებულ, ანდა საოკუპაციოდ გათვალისწინებულ პერიფერიებში გაჩაღებულ ბრძოლებში"[10].

ჩანს, მირბახს სერიოზული იმედი ჰქონდა წარმატებისა, რაკი საბჭოთა მთავრობის მისამართით გამოთქმული მუქარის პარალელურად მონარქიულ იატაკქვეშეთთან ვაჭრობასაც აჩაღებდა: რა კურსს აიღებდნენ, როგორ გამოიყენებდნენ რომანოვებს, რომლებისთვისაც, მისი წარმოდგენით, იპატიევის სახლის კარი საცაა გაიღებოდა.

რუსეთში მომხდარი მოვლენების უშუალო მეთვალყურემ, თავად ძველმა მონარქისტმა და რომანოვების თაყვანისმცემელმა რ. ვილტონმა (ინგლისის გაზეთ „ტაიმსის" კორესპონდენტმა) თავის დროზე დაადასტურა, რომ 1918 წლის ზაფხულში „გრაფ მირბახის ინიციატივითა და მოწოდებით" მოსკოვში, ღრმა იატაკქვეშეთში, განსაკუთრებულ თათბირზე შეიკრიბნენ მთელი რიგი უკიდურესად მემარჯვენე ანტისაბჭოური ჯგუფის წარმომადგენლები. ბერლინის რწმუნებულებმა ამ თათბირზე განსახილველად წამოაყენეს „გერმანული წინადადებები რუსეთში მონარქიის აღდგენის გზების შესახებ". ერთ-ერთ წინადადებაში ნათქვამი იყო: ჯერ აღვადგინოთ „უფლებებში" მეფე ნიკოლოზ II. შემდეგ მეორედ გამოვაცხადოთ მისი გადაყენება, რათა ამით მოვახდინოთ იმის დემონსტრირება, რომ პირველი გადაყენება (1917 წლის 2 მარტის) ძალადაკარგულად ითვლება, რადგანაც იგი „იძულებითი", რევოლუციის მიერ „ძალად თავსმოხვეული" იყო; ამის შემდეგ ტახტზე ავიყვანთ ალექსისო.

თათბირის მონაწილე ორ ძირითად ჯგუფს — „აღორძინების ქავშირსა“ და „ეროვნულ ცენტრს“ შორის დავა გაჩაღდა. ორივე ჯგუფს უნდოდა მონარქია, მაგრამ შემდეგი განსხვავებით: პირველი მზად იყო მიეღო იგი გერმანელების ხელით, მეორე ბერლინიდან გამოგზავნილ ყოველგვარ „საჩუქარზე“ უარს აცხადებდა. ვილტონის განცხადებით, გერმანელები მომხრე იყვნენ წინა პლანზე ჭაბუკი ალექსი წამოეწიათ, რადგანაც ეგონათ მასზე უფრო ადვილი იქნებოდა დაწოლა, „ნაციონალისტები“ კი უპირატესობას მეფის ძმას მიხეილ ალექსანდრეს ძეს აძლევდნენ, ვინაიდან ფსკოვის აქტით ნიკოლოზის გადაყენების გამო იგი ერთხელ უკვე იყო მეფედ გამოცხადებული ''. დისკუსიის მონაწილეებმა საკითხი ვერ გადაწყვიტეს, შეთანხმდნენ „ცოტა ხანს კიდევ მოეცადათ, ვიდრე იპატიევის სახლის კარი გაიღებოდა“.

სანამ მოსკოვში ამგვარი „ჩაურევლობის“ გზას ადგნენ, ეს ამბავი სულ უფრო აშკარად და ცინიკურად ეონავდა ბერლინშიც. ეს აღწერილი აქვს ვიქტორ ალექსანდროვს 1966 წელს ინგლისურ ენაზე გამოცემულ წიგნში „რომანოვების აღსასრული“.

ჩვიდმეტი წლის იმავე ზაფხულის დღეებში, ჩეხოსლოვაკიელ თეთრგვარდიელთა აჯანყებისთანავე, კიულმანმა ვილჰელმშტრასეზე თავისთან მიიწვია საბჭოთა ელჩი ა. ა. იოფე და განუცხადა: გერმანიის მთავრობა შიშობს, რომ ჩეხოსლოვაკიის აჯანყებული ლეგიონი ხელში ჩაიგდებს რომანოვებს და „ბოროტად გამოიყენებს“ მათ ანტანტის წინააღმდეგ სამხედრო-პოლიტიკური მიზნით. ყოფილი მეფე შეიძლება გამოცხადდეს თეთრების არმიის უმაღლეს მთავარსარდლად და ამ აღზევების შემდეგ დაეხმაროს აჯანყებულთ აღმოსავლეთში ანტიგერმანული ფრონტის აღდგენაში სწორედ იმ დროს, როცა „კაიზერის არმია ემზადება დაარტყას დასავლეთელ მოკავშირეებს შამპანში“. გერმანიის მთავრობა გაფრთხილებთ: თუ საბჭოთა ხელისუფალნი ასეთ შემობრუნებას თავიდან არ აიცდენენ, იგი დასძრავს თავის შეიარაღებულ ძალებს ორშისა და ფსკოვისაკენ იმ მიზნით, რომ ალყა შემოარტყას და აიღოს მოსკოვი. უახლოეს სტადიაში კი იგი განახორციელებს ატამან პ. ნ. კრასნოვის უშუალო მხარდაჭერას, რომელიც კონტროლს უწევს დონის ოლქს, და მას ქვეყნის შიგნით — ვოლგისაკენ გაუხსნის გზას.

კიულმანი ვილჰელმშტრასედან იმუქრებოდა. სამხედრო ატაშე კი მოსკოვში დენეჟნის შესახვევიდან აძლევდა მას ბანს. თავის მხრივ

იგი სამხედრო და საზღვაო საქმეების სახალხო კომისარიატს აფრთხილებდა, რომ „ეკატერინობურგის მოვლენების გერმანიისათვის არასახარბიელო შემობრუნების შემთხვევაში“ უკრაინისა და დონის როსტოვის რაიონის საოკუპაციო ჯარების მთავარსარდლობა დასძრავდა თავის ძალებს ცარიცინის მიმართულებით, რათა „დიდი მდინარის ორივე ნაპირზე“ გამაგრებულიყო. უკიდურეს შემთხვევაში გამორიცხული არ არის, ხაზგასმით აღნიშნავდა ატაშუ, ბრესტის სამშვიდობო ზავის დარღვევა მოსკოვსა და პეტროგრადზე გერმანიის შემდგომი შეტევის შედეგად. ამიტომ კარდინალური გადაწყვეტილება იქნებოდა: ნიკოლოზ II და მისი ოჯახის გადაცემა გერმანიის ჯარებისათვის, რაც ძირფესვიანად აღმოფხვრიდა გაუგებრობასა და დისკუსიას ამ თემაზე.

საბჭოთა მხარე არ შეუშინდა ამ მუქარას. მაშინ ახალი, ასე ვთქვათ, მორიგი ნაბიჯი გადაიდგა, ანუ „ჩაურევლობის“ აქტი მოხდა ამჯერად უკვე ყოფილი დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის სამშობლოდან — დარმშტადტიდან. მისმა ძმამ ჰესენის დიდმა ჰერცოგმა ერნსტ ლიუდვიგმა (ერნმა) მიმართა საბჭოთა საელჩოს ბერლინში, რომ მას შეეძლო კეთილი შუამავლის მოვალეობა ეკისრა გერმანიასთან მომწიფებულ კონფლიქტში. შუამავლობის მიზანი ასეთი იყო: ა) იგი პირობას იძლეოდა, თავიდან აეცილებინა რუსეთისათვის გერმანიის შეტევა და, მისი აზრით, ასეთ შემთხვევაში, მთელი ქვეყნის ოკუპაცია; ბ) იგი ვალდებულებას იღებდა მიეღწია იმპერიის მთავრობის მიერ ბრესტის ტრაქტატით საბჭოთა რუსეთისათვის დაკისრებული 300 მილიონი მანეთის (ოქროთი) სამხედრო კონტრიბუციის შემცირების ანდა, იქნებ, გაუქმებისთვისაც. ამ ორივე მომსახურების საფასური იქნებოდა: მეფის ოჯახის განთავისუფლება და მისი გერმანიაში გაგზავნა. ერნი ტელეფონით შეეკითხა დარმშტადტიდან: სურს თუ არა საბჭოთა მხარეს ამგვარ განხილვაში მონაწილეობის მიღება? თურმე არა, მას ასეთი სურვილი არ ჰქონია [12].

რომანოვების სასარგებლოდ ბერლინის მოსარჩლეობა ივლისის დამდეგისათვის სულ უფრო უხეში და გამომწვევი გახდა. მირბახის სიცოცხლეზე ხელის შემართვასაც კი კაიზერი მეფის ოჯახის სასარგებლო მანევრისათვის იყენებდა. 6 ივლისის შემდეგ ბერლინმა წამოაყენა პროვოკაციული მოთხოვნა — თავისი საელჩოს დაცვის მომიზეზებით მოსკოვში გერმანული ბატალიონის დაშვების თაობა-

ზე [13], შემდეგ კი განაცხადა, რომ გააუქმებდა ამ მოთხოვნას, თუკი მეფის ოჯახს გერმანიაში გამგზავრების ნებართვას მისცემდნენ.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებისათვის რომანოვების ირგვლივ გამართული ვაჭრობის თავზე მოხვევა ვერც რიცლერმა და ვერც გერმანიის სხვა რწმუნებულებმა ვერ შეძლეს. შექმნილი მდგომარეობის მთელი საშიშროების მიუხედავად, ახალგაზრდა რესპუბლიკამ, რომელსაც ყოველი მხრიდან უტევდნენ მტრები, მოიგერია კაიზერული ახირებები, უარყო როგორც მოსკოვში გერმანული ბატალიონის დაშვების მოთხოვნა, ასევე საქმეში მეფისათვის სასარგებლო ჩარევები. საბჭოთა რუსეთის სუვერენიტეტზე შეტევების სერია გერმანიის დიპლომატიისათვის უშედეგოდ დამთავრდა.

თავად რომანოვები კი გადარჩენის იმედს უმთავრესად პოტსდამელი ბიძაშვილის დახმარებაზე ამყარებდნენ. შორეულ ციმბირში (შემდეგ კი ურალში) ყოფნის მიუხედავად, ისინი დაძაბულად ადევნებდნენ თვალს გერმანიიდან ინსპირირებულ ძალებს, რომლებიც, ეგონათ, დაუბრუნებდნენ თავისუფლებას და შეიძლება ხელისუფლებასაც კი. ფინალის ბოლო წუთამდე მათ იმედი ჰქონდათ, რომ არცთუ დიდად სასიამოვნო გერმანიის დახმარების შედეგად, ზამთრის სასახლეში ანდა კრემლში მოხვდებოდნენ. ხომ შეძლეს ოდესღაც ბურბონებმა უცხოელთა საბარგულებით ტიუილრიში დაბრუნება. მაშ, რატომ ვერ უნდა მიაღწიონ მათ, რომანოვებმა, თავიანთ სასახლემდე ინტერვენტებისა და თეთრების დახმარებით? ამ იმედით არის აღსავსე იმ კვირებისა და თვეების ტობოლსკური და ეკატერინობურგული წერილები და დღიურები. მათში იგრძნობა იმის იმედი და რწმენა, რომ „ყველაფერი ეს მალე დამთავრდება“, რომ „ადრე თუ გვიან ყოველივე ეს გაქარწყლდება“, „ჩაივლის“.

მეფე-დოდოფალი დარწმუნებული იყო, რომ „გერმანიას სურდა ნათვის მიეცა ტახტზე დაბრუნების შესაძლებლობა“ — თუმცა იმ პირობით, თუ დათანხმდებოდნენ „გაეწყვიტათ ურთიერთობა დასავლეთელ მოკავშირეებთან და მასთან დაემყარებინათ კავშირი“. ოჯახურ წრეში, თანმხლებ პირებთან — ჟილიართან, ტატიშჩევთან, დოლგორუკთან საუბარში ხშირად მიდიოდნენ „იმ დასკვნამდე, რომ გაიგზავნებოდნენ რომელიმე ფრონტისპირა ქალაქში, სადაც მოხდებოდა მათი გერმანელი ჯარისკაცებისათვის გადაცემა“. ამ თათბირებზე ასახელებდნენ მოსალოდნელ საევაკუაციო მარშრუტებს: დონზე — კრასნოვთან, კიევში — სკოროპადსკისთან, ბალტიის-

პირეთში — ფონ დერ ჰოლცთან, ფინეთში — მანერჰაიმთან. ერთხელ დოლგორუკმა გამოთქვა ვარაუდი, რომ მეფის ოჯახის გადაცემა გერმანელებისათვის მოხდებოდა რიგაში (რომელიც იმ დროისათვის კაიზერის გერმანიის ჯარების მიერ იყო ოკუპირებული)[14].

მათ აინტერესებთ, სად არიან გერმანელები? აღელვებთ საკითხი, სად უნდა იყვნენ თავისიანები? ესე იგი: სად იმყოფებიან, საით მიიწევენ, მოაღწევს თუ არა ერთ-ერთი მაინც „თავიანთი“ გენერლებიდან, ვინც გერმანიის სარდლობის ხელშეწყობით შეიარაღებულ ლაშქრობაში ჩაება მონარქიის რესტავრაციის დროშით და ვინც კაიზერული მსედრიონის კმაყოფასა და ფულად ხარჯზე იმყოფება, მათთან ერთად აწყობს მეფის დამსჯელ რეიდებს საბჭოეთის მიწა-წყალზე.

ყოფილი იმპერატრიცა ალექსანდრა თედორეს ასული პეტროგრადის მხარეს რომელიღაც მონასტერში დამალულ თავის ყოფილ სეფექალს ა. ა. ვირუბოვას 1918 წლის 20 მარტს ტობოლსკიდან გამოგზავნილ წერილში ეკითხება: „გერმანელები პეტროგრადში არიან თუ არა?“

„აბა დაფიქრდი, — სიხარულით აუწყებდა ალექსანდრა თედორეს ასული იმავე ა. ა. ვირუბოვას ერთ-ერთ წერილში, — გაზეთები წერენ, რომ თავადი ტრუბეცკოი (ვალოდია) კალედინს შეუერთდა. ხედავ, როგორი ყოჩაღია!“ ცოტა მოგვიანებით ისევ იმ ადრესატს ატყობინებდა: „სასიამოვნო ცნობები მოდის დონიდან კალედინისა და კრასნოვის შესახებ... ღმერთმა წარმატება ნუ მოაკლოს მათ უწმინდეს წამოწყებებს!“ [15].

კაიზერი არ დაეხმარა

„უწმინდესი წამოწყებანი“ — ეს შურისძიების ფსევდონიმია. უწმინდესის ხარისხი კი მხეცური ანგარიშსწორების პროპორციულია. რაც უფრო სისხლიანია საქმე, მით უფრო უწმინდესია იგი.

ასეთი პრინციპით მოქმედებდნენ თეთრგვარდიელი ატამანები — სიკვდილისა და წამების იმ დროის პირველი ჩემპიონები — ინტერვენტების მიერ ოკუპირებულ საბჭოთა მიწაზე, ადამიანები, უსაზღვროდ ერთგულნი მონარქიისა, რომელთაგან ზოგიერთები ცოტა ხნის წინათ ახლოს იყვნენ ნიკოლოზ II-თან. და ცხადლივ თუ

მალულად მიზნად ჰქონდათ დასახული ძისი (ანდა მისი ვაჟის) ტახტზე აღზევება. ასეთ როლზე პირველი განაცხადი კალედინმა და კრასნოვმა გააკეთეს, რითაც ყოფილ დედოფალს გული აუჩვილეს. ამ ორმა პრორომანოველმა ლანტენაკმა განიზრახა დონის თეთრგვარდიელი კაზაკების ხანჯლის დარტყმით დაესამარებინა რუსული რევოლუცია.

სწორედ იმ დროს, როცა ნეიდჰარდტი და მისი კამპანიონები ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ პეტროგრადში მირბახთან მეფის ოჯახის განთავისუფლებაზე, კალედინმა სამხრეთით პირველი კავშირი დაამყარა გერმანიის სარდლობასთან იმისათვის, რომ დონი რუსეთის კონტრრევოლუციის ბაზად და ამოსავალ პლაცდარმად გადაექცია. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ დონზე გაიქცნენ ბიხოვოდან, სადაც რუსეთის არმიის უმაღლესი მთავარსარდლობ-ს ბანაკი იმყოფებოდა, გენერლები კორნილოვი, დენიკინი, მარკოვი, ლუკომსკი, რომანოვსკი და 1917 წლის აგვისტოს კონტრრევოლუციური აჯანყების სხვა მონაწილენი.

პირველ რაუნდს მეორე მოჰყვა. როდესაც ა. მ. კალედინმა თავი შოიკლა, მისი ადგილი მეფის ყოფილმა ფლიგელ-ადიუტანტმა პ. ნ. კრასნოვმა დაიკავა. ეს სწორედ იმ მე-3 ცხენოსანთა კორპუსის მეთაური კრასნოვი იყო, რომელმაც 1917 წლის ოქტომბერში პულკოვოს მაღლობთან წითელ გვარდიას ბრძოლა გაუმართა და დამარცხდა, გატჩინაში კერენსკის დაეხმარა გადაცმასა და გაქცევაში, ხოლო შემდეგ თავის შტაბის უფროს პოპოვთან ერთად შეიპყრეს და სმოლნში მიიყვანეს. აქ ენდნენ კრასნოვის პატიოსან სიტყვას, რომ აღარ შემართავდა იარაღს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და გაათავისუფლეს. მისი „პატიოსანი სიტყვა“ იაფფასიანი გამოდგა. 1918 წლის 11 მაისს ნოვოჩერკასკში ატამანის თოფუზის მიღებისთანავე, მან მონური ქედის მოხრით ეპისტოლე გაუგზავნა ვილჰელმ II, რომელშიაც სთხოვდა მის მიერ „დამოუკიდებლად“ გამოცხადებული „დონის სახელმწიფოს“ მიღებას გერმანიის პროტექტორატში. იქვე მოახსენებდა თავის მიზანს — ნიკოლოზისა და მისი ვაჟის „უფლებებში აღდგენის“ შესახებ. ამ ეპისტოლეს გაცნობამ ისეთი ოქტიაბრისტიც კი განარისხა, როგორიც მ. ვ. როძიანკო იყო. მან ამ წერილის ასლი თავის მეგობარ ბოგაევსკის (დონის „საგარეო საქმეთა“ მინისტრს, მოგვიანებით ატამანს) მოჰპარა და საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთებს გადასცა გამოსაქვეყნებლად.

„მე ვთხოვე მის იმპერატორობითს უდიდებულესობას, — განა-

ცხადა პ. ნ. კრასნოვმა 1947 წელს სასამართლოში, — ასევე დახმარება გაეწია ქალაქების ტაგანროგის, კამიშინის, ცარიცინისა და რკინიგზის სადგურების ლისკისა და პოვორინოს იმ სახელმწიფოსათვის შეერთებაში, რომელსაც სათავეში მე ვედექი... დონზე იარაღისა და ვაზნების ქარხნების აშენებაში... რისთვისაც ვალდებულებას ვიღებდი, მიმეცა გერმანიისათვის დონიდან ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო და სხვა პროდუქციის გატანის და მისი კაპიტალის დონის საწარმოებში დაბანდების უფლება...“ ამავე თხოვნითა და წარდგინებებით გაგზავნა კრასნოვმა ბერლინში მეფის ნათესავის ჰერცოგ ნ. ნ. ლაიხტენბერგის მისია [16].

თვრამეტი წლის პრორომანოვების ავანტიურის მატიანეებში იხსენიება აგრეთვე პოლტავაშჩინისა და ჩერნოგოვშჩინის დიდი მემამულეების წარმომადგენელი, გენერალი პ. პ. სკოროპადსკი. საუკუნის დამდეგს იგი ერთ-ერთ ლეიბ-გვარდიულ ნაწილს მეთაურობდა ცარსკოე სელოში (მისი ხელქვეითი იყო ზოგიერთი დიდი მთავარი) და პირადად ახლო ურთიერთობა ჰქონდა მეფესთან. მსოფლიო ომში იგი ხელმძღვანელობდა დივიზიასა და კორპუსს. თებერვლის შემდეგ სკოროპადსკი უკრაინის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა. გერმანიის საოკუპაციო ჯარების სარდალს ფელდმარშალ ჰერმან ფონ აიხჰორნს პავლე პეტრეს ძე პირველსავე შეხვედრაზე თვალში მოუვიდა და აკი 29 აპრილს უკვე უკრაინის ჰეტმანადაც გამოაცხადეს.

თითქმის მაშინვე აწერს იგი ხელს აიხჰორნთან „შეთანხმებას“ ოთხი თვის მანძილზე გერმანიისათვის 60 მილიონი ფუთი მარცვლეულის მიწოდების თაობაზე. კიდევ რამდენიმე დღე და მისი ბრძანებით შემოიღეს სამხედრო-საველე სასამართლო, სიკვდილით დასჯა დახვრეტითა და ჩამოხრჩობით, გაშოლტვა წკეპლებით, მათრახებითა და ზუმბებით.

დაიწყო თავაშვებული ანგარიშსწორება. ქვეყანა გმინავდა გერმანელი ოკუპანტებისა და მათი ჯამილოკია ჰაიდამაკების უღელქვეშ.

ის იყო პავლე პეტრეს ძემ ძლივს გაართვა თავი და უკიდურესი ზომების გატარების შედეგად ბერლინელი მწყალობლები უკრაინელი პურითა და ქონით უზრუნველყო, რომ მისი ყურადღება ეკატერინობურგში იპატიევის სახლმა მიიპყრო, სადაც ფიცრული ღობის იქით მისი ამასწინანდელი უავგუსტოესი შეფი იჯდა. აიხჰორნის ნებართვით იგი ბერლინში მიმავალ მატარებელში ჯდება და კაიზერთან მიემგზავრება მეფისათვის საშუამდგომლოდ და სათხოვნელად.

„ჰეტმანი, — განმარტავს ნაცისტური რაიხისდროინდელი გერმანელი ავტორი, — ძლიერ დაჟინებით სთხოვდა და ემუდარებოდა იმპერატორ ვილჰელმს „უფრო ენერგიულ ჩარევას“ ამ საქმეში...“ კაიზერმა დაარწმუნა იგი, რომ ყველაფერს იღონებდა, რაც კი შეეძლებოდა. ჰეტმანი შეეხო „მეფის ოჯახის რაიხში გადმოყვანის“ პრობლემას. აქაც „საკმაოდ ბევრი დაპირება“ მიიღო მან. იმპერატორის დირექტივის თანახმად, მალე აიხჰორნი და მირბახი „რაიხში გადასვლის ფარულ მიპატიჟებას უგზავნიან მეფეს ეკატერინობურგში“, თანაც დამატებით აცნობებენ, რომ „საბჭოთა ნებართვა ასეთ გადასვლაზე, როგორც ჩანს, უახლოეს ხანებში იქნება მიღებული“ [17].

იმ დღეებში კიევში ჩავიდნენ სამნი: გენერალი მოსოლოვი, თავადი კოჩუბეი და პრინცი ლაიხტენბერგი. მათ მოინახულეს ჰეტმანი და აიხჰორნი. სამეულმა უმალვე შესთავაზა — რა თავხედურადაც უნდა გეჩვენოთ ეს, — გერმანელი მეომრების დივერსიულ-მაშველი ექსპედიციის მოწყობა პირდაპირ ეკატერინობურგში.

აიხჰორნი უსიტყვოდ დათანხმდა. ჰეტმანს კი მოწონება არ დაუფარავს. ისინი, ირწმუნება სამეულის ლიდერი, „ძალზე თავაზიანად მოგვექცნენ. გაგვიხსნეს კრედიტი, დაგვპირდნენ ჩვენს განკარგულებაში გადმოეცათ ტყვიამფრქვევები, იარაღი და ავტომობილი“.

შედგა გეგმა: გაეგზავნათ შეიარაღებული გემები ვოლგისა და კამის დინების საწინააღმდეგოდ, „შექმნილიყო ბაზა ეკატერინობურგიდან 60 ვერსის დაშორებით“, შემდეგ კი გაეღწიათ ქალაქისაკენ და ძლიერი შეიარაღებული რაზმით თავს დასხმოდნენ იპატიევის სახლს. და მართლაც: „ეკატერინობურგში მზვერავები გავგზავნეთ... ისინი იქ ფარულად შეღწეულ გერმანელ ემისრებს შეუერთდნენ, რომლებიც წინასწარ უნდა შეეპირებინათ დახმარებაზე...“ ამის შემდეგ „იმპერატორ ვილჰელმთან გასაგზავნი წერილი დავწერე, რომელიც ჰეტმანის ქაცს, გრაფ ალვენსლებენს გადავეცი... ამ წერილში გერმანიის იმპერატორს ვთხოვდი დაერწმუნებინა მეფე, რომ მას და მის ოჯახს თავისუფლად გასვლის საშუალებასა და ღირსეულ მიღებას აღმოუჩენდნენ... რომ იგი, ყოველ შემთხვევაში, გერმანიის სამხედრო ტყვედ არ ჩაითვლებოდა...“ [18]

სანამ იარაღსა და ხალხს აგროვებდნენ, სანამ ალვენსლებენი კაიზერისაგან კონსულტაციას იღებდა, ხოლო ალვენსლებენისაგან, თავის მხრივ, გერმანიის წარმომადგენელი ჰეტმანთან გრაფი მუმი რჩე-

ვა-დარიგებას ისმენდა, აქცია შეწყდა: კიევში მოვიდა ცნობა, რომ იპატიევის სახლი დაცარიელებულია, ხოლო მის ირგვლივ არსებული საგუშაგოები — გაუქმებული. ფელდმარშალსაცა და ჰეტმანსაც ისღა დარჩენოდათ, რომ პატივი ეცათ „მოკლული ხელმწიფე-იმპერატორისათვის“ და სოფიის ტაძარში გამართულ პანაშვიდს დასწრებოდნენ, რომელიც მისთვის დამახასიათებელი პროფესიული ბრწყინვალებით ჩაატარა არქიეპისკოპოსმა ანტონ ვოლინსკიმ.

შვიდ-ნახევარ თვეს ჰეტმანობდა კიდევ სკოროპადსკი და მაინც ვერ განახორციელა თავისი ოცნება — ვილჰელმ II და ნიკოლოზ II შეხვედრა კიევში *. ხოლო როცა ოკუპანტები საერთო-სახალხო აჯანყებით მოცული უკრაინიდან გაიქცნენ, მათ უმალვე უკან გაჰყვა სკოროპადსკიც. მისმა შეფმა აიხჰორნმა კი უკრაინიდან ცოცხლად გაღწევა ვერ შეძლო, ბედისწერამ მოუსწრო: 1918 წლის 30 იელისს იგი კიევში მოკლეს.

ნიკოლოზ II ზემოთ დასახელებული გენერლები მეფის დაბრუნების მოლოდინში მოედანს წმენდნენ მისთვის (ანდა მისი ვაჟისთვის) სამხრეთში. იმავე პლეადის კიდევ ერთი გენერალი მეფისადმი ერთგულებას ჩრდილოეთში იჩენდა. ეს იყო კარლ გუსტავ ემილ მანერჰაიმი. რომელმაც ეგზეკუტორის არაჩვეულებრივი ნიჭი უკვე ფინეთში სვინხუვუდის ჯგუფთან გაჩაღებული სამოქალაქო ომის დასაწყისში გამოავლინა. გერმანელი გენერლის რიუდიგერ ფონ დერ ჰოლცის ** მაშველი სადესანტო ძალების დახმარებით მანერჰაიმი აწყობს სასტიკ დამსჯელ რეიდებს მუშათა კლასისა და წითელი გვარდიის დასათრგუნავად. თუ რისთვის აკეთებდა ამას — ეს გაირკვევა რამდენიმე თვის შემდეგ, როცა ფინეთს მონარქიულად გამოაცხადებენ, ხოლო არარსებული სამეფო გვირგვინის პრეტენდენტად რუსეთის უკანასკნელი დედოფლის ალისა ჰესენელის უახლოეს ნათესავს პრინც ფრიდრიხ კარლ ჰესენელს წამოსწევენ.

---

* მათი უდიდებულესობათა „შეხვედრისა და შერიგების“ (მეფისა და კაიზერის) იმედი, რასაც სკოროპადსკი შეძლებისდაგვარად სიამოვნებით შეეცდებოდა, მან 1918 წლის აგვისტოში ცენტრალური ევროპის პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში გამოთქვა.

** ვაიმარის რესპუბლიკის წლებში ფონ დერ ჰოლცი ნაცისტებს მიემხრო. 1924 წლიდან იგი „სამამულო კავშირების გაერთიანების“ — ფაშისტური აზრის პირველი გასამხედროებული ფორმაციის — თავმჯდომარე იყო. 1918—1919 წლების თავგადასავალი აღწერილი აქვს 1920 წელს გერმანიაში გამოცემულ წიგნში „Meine Sendung in Finnland und Baltikum“.

შავბნელ დასასრულს, ჰელსინგფორსიდან კიევსა და ნოვოჩერკასკამდე გაშლილ, გერმანელ ოკუპანტთა კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე რომ გათამაშდა, თავისი რეჟისორი ჰყავდა. ეს იყო 49 წლის გენერალი მაქს ჰოფმანი, რომელიც 1904 წელს მანჯურიაში იაპონელების ყოფნისას ბერლინის გენერალური შტაბის წარმომადგენელი იყო, მოგვიანებით კი რუსეთში — მანერჰაიმისა და სკოროპადსკის ხშირი სტუმარი და მეგობარი; მსოფლიო ომის წლებში — მე-8 არმიის (მოქმედებდა აღმოსავლეთ პრუსიაში) ოპერატიული განყოფილების შტაბის უფროსი, ლიუდენდორფის მემკვიდრე აღმოსავლეთის ფრონტის შტაბის უფროსის თანამდებობაზე. კაიზერმა ჰოფმანი ბრესტ-ლიტოვსკში გასაგზავნ დელეგაციაში შეიყვანა. აქ აღმოაჩინა მან თავისი თავი, როგორც ანექსიისა და კონტრიბუციის თითქმის აშკარა მომხრემ. სწორედ ჰოფმანმა შეიმუშავა ბრესტში რეალიზებული ანექსიის სქემა, რის თანახმადაც საბჭოთა სახელმწიფოს ჩამოშორდებოდნენ და გერმანიის იმპერიალიზმის პროტექტორატში აღმოჩნდებოდნენ უკრაინა, ბელორუსია, ლატვია, ესტონეთი, საქართველო—საერთო ჯამში 1 მილიონი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია 46 მილიონი მოსახლეობით. ჰოფმანის დაჟინებით მოახვიეს თავს საბჭოთა რუსეთს 1918 წლის 27 აგვისტოს ეგრეთ წოდებული დამატებითი ოქმი, რომლის თანახმადაც მას გერმანიისათვის სხვადასხვა ფორმით უნდა გადაეხადა 6 მილიარდი მარკის (2,5 მილიარდი მანეთი) კონტრიბუცია.

რაიხის დამხობის შემდეგ ჰოფმანს ეყო თავხედობა ანტანტის სახელმწიფოებისათვის სამსახური შეეთავაზებინა რუსეთის რევოლუციის ჩასახშობად, აღმოსავლეთზე გერმანიის შეიარაღებული ლაშქრობის განახლების გზით. ლონდონსა და ვაშინგტონში ზოგიერთებს ეს იდეა მოეწონათ. მაგრამ დასავლეთის ხალხებმა ესოდენ ცინიკური ხუმრობის ნება მაინც არ მისცეს. ჰოფმანის კონტრაქტი ვილსონთან და ჩერჩილთან არ შედგა. მაგრამ ის, რომ მისი დაქირავების იდეა დასავლეთში არცთუ ადვილად დათმეს, რომ ჰოფმანის პროექტის დედაარსი რუსეთის დანაწევრება, რომანოვების დინასტიის წარმომადგენლის ეგიდის ქვეშ „აღმოსავლეთ იმპერიის“ მოკვეთა და რომელიმე სატელიტად გადაქცევა იყო — ეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოძიებული დოკუმენტების საფუძველზე დასავლეთგერმანელმა მკვლევარმა ეკა ოტო გრეცერმა ბრესტის ზავის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სტატიაში ხელახლა დაადასტურა. ამ

ავტორის აზრით, ჰოფმანი მაშინ „ცენტრალური სახელმწიფოების ექსპანსიური წადილის ნამდვილ გამომხატველად გამოდიოდა“; ჰოფმანმა ბრესტში გაავრცელა თეზისი „თვითგამორკვევის“ შესახებ იმ მიზნით, რომ „მას ამოფარებოდნენ და განეხორციელებინათ რუსეთის ტერიტორიის ამპუტაცია“. ყოველივე ეს, წერს გრეცერი, იყო „სამხედრო მიზნები, რომელთა ჩანასახი ერთი თაობის შემდეგ საფუძვლად დაედო აღმოსავლეთის სივრცის დაპყრობის ჰიტლერულ პოლიტიკას“ [19].

შევნიშნავთ, რომ რევანშისა და ტერიტორიული დაპყრობების ნეონაცისტურ და დემოკრისტიან მქადაგებლებს დღესაც უყვართ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში „თვითგამორკვევაზე“ ლაპარაკი. ისევე როგორც ბრესტის დიქტატის შემქმნელის „რაინდულ ხასიათზე...“ თუმცა მას არათუ რაინდული სული, უბრალო სიფაქიზეც არ გააჩნდა *.

მაგრამ ცარსკოსელოელმა ყოფილმა გენერალ-ადიუტანტებმა, რომლებიც ცეცხლითა და მათრახით იკაფავდნენ სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან ყოფილი მონარქისაკენ მიმავალ დაკლაკნილ გზას, ვეღარ მიუსწრეს მეფეს გადასარჩენად; ვერ შეძლეს აგრეთვე პოტსდამელი ბიძაშვილის მიერ შემუშავებული დიპლომატიური ოპერაციის „რუსი ბიძაშვილის“ განხორციელებაც. იგი იმიტომ ჩაიშალა, რომ საბჭოთა ხელისუფლება იმ მძიმე პირობებშიც კი არ დაშინდა და არ დაჰყვა შანტაჟს, რადგანაც შეგნებული ჰქონდა რომანოვების ბედის საკითხში შემწყნარებლობის საშიშროება. ყოველივე ამის შედეგად კაიზერისა თუ ანტანტის მიერ შეგულიანებულმა დიპლომატებმა და გენერლებმა ეკატერინობურგის ფინალის თავიდან აცილება ვერ შეძლეს.

მალე თვით მეფის ზოგიერთი დამცველიც კი გასაჭირში ჩავარდა. 1918 წლის შემოდგომისათვის რუსეთის რევოლუციის სიღრმიდან მოვარდნილმა გრიგალისებურმა ქარიშხალმა გერმანიის იმპერიალიზმის ციტადელამდეც მიაღწია; შეირყა და რამდენიმე დღეში დაინგრა მისი კედლები.

---

* ვაიმარის რესპუბლიკაში ჰოფმანი სისხლის სამართლის თაღლითობაში — საბჭოთა ფულის ფალსიფიკაციაში იყო გარეული. გარდაიცვალა 1927 წელს გამოძიების მიმდინარეობისას. დატოვა ანტისაბჭოური, ანტირუსული სიყალბითა და ინსინუაციებით სავსე წიგნი.

9 ნოემბერს გერმანიაში მონარქია დაემხო.

13 ნოემბერს რსფსრ საკავშირო ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ბრესტის შეთანხმება ყველა პუნქტის ჩათვლით მთლიანად გაუქმებულად გამოაცხადა. ლენინის წინასწარხედვა აღსრულდა: უკვე რვა თვის შემდეგ ბრესტის დიქტატი რუსეთისა და გერმანიის მუშათა კლასის შეერთებული დარტყმის შედეგად დაეცა.

დამხობილმა კაიზერმა გაქცევა აღარ დააყოვნა და მეორე დღესვე უკვე საზღვარგარეთ აღმოჩნდა. ასეთი სიმარდე რომ არ გამოეჩინა, ვილჰელმს ეკატერინობურგის მსგავსი ხვედრი არ ასცდებოდა. კაიზერმა თავი ჰოლანდიას, დოორნის მამულს შეაფარა. აქ მან ნიკოლოზზე ოცდასამი წლით მეტხანს იცოცხლა. პენსიაზე ყოფნისას მემუარების წერა დაიწყო, ყოველნაირად ცდილობდა მსოფლიო ომის გამჩაღებლის დაღი წაეშალა.

ვერსალის შეთანხმების 232-ე პარაგრაფის საფუძველზე, ვილჰელმი ანტანტისთვის უნდა გადაეცათ სასამართლოში წარსადგენად, მაგრამ ამაზე ჰოლანდიამ უარი განაცხადა.

სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში ექს-კაიზერს წილად ხვდა ბედნიერება თავისი ერთ-ერთი შვილი ნაცისტური სამსახურის მოიერიშის ფორმაში ენახა, შემდეგ იმასაც კი მოესწრო, რომ ყოფილ ეფრეიტორს — ჰიტლერს ტოტალური ბლიცკრიგის თავდაპირველი წარმატებები მიულოცა.

გარდაიცვალა ვილჰელმი დოორნში 1941 წლის 4 ივნისს. სამი კვირა დააკლდა იმ დღემდე, როცა შეეძლო ენახა, თუ როგორ აღადგინა მისმა ყოფილმა ეფრეიტორმა აღმოსავლეთში თვით კაიზერის პირველი აგვისტოს danse macabre *.

დუბლიკატს უფრო ნაკლებ გაუღიმა ბედმა, ვიდრე ორიგინალს. ეფრეიტორს დოორნიც კი არ ხვდა წილად. ეფრეიტორმა ნავთმოსხმულ ორმოში დაასრულა სიცოცხლე.

კაიზერული იმპერიალიზმის დღევანდელ სულიერ მემკვიდრეთა განცხადებით, იპატიევის სახლში გადასვლის დროიდან რომანოვებმა პოლიტიკურად საბოლოო „დევალვაცია“ განიცადეს და უკვე აღარავითარ ინტერესს აღარ იწვევდნენ. ამიტომაც თითქოს გერმანიის პოლიტიკისთვისაც აღარავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა ამ სა-

---

* სიკვდილის ცეკვა.

კითხით დაინტერესება, რადგან მათი ტახტზე დაბრუნების მიზანშეწონილობა აღარც საზღვარგარეთ და აღარც რუსეთში თვით მონარქისტებსაც, ეტყობა, აღარ სწამდათ.

რაღა თქმა უნდა, ზოგიერთ უკიდურეს მემარჯვენეთა თვალშიც კი ნიკოლოზი ოდიოზური ფიგურა გახდა. მათი აზრით, წარუმატებლობით თავი შეირცხვინა, ტახტის უარყოფით სახელი გაიტეხა. თუმცა ისტორია უკვე იცნობდა ისეთ შემთხვევას, როცა უკიდურესად შებღალულმა რეპუტაციამ ხელი ვერ შეუშალა ტახტიდან გადმოგდებულ ტირანს კონტრრევოლუციისა და ინტერვენციის აღალში დაბრუნებულიყო და კვლავ ტახტზე აბობღებულიყო. ამასთანავე რეაქციის შავი ძალები იმედს მარტო ყოფილ მეფეზე როდი ამყარებდნენ. კერძოდ, ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, გერმანელები ფიქრობდნენ: ნიკოლოზი კიდევაც რომ ვერ გადაერჩინათ და მაინც დაეხვრიტათ, სულ ერთია, მეფის ოჯახის, ანუ ალექსანდრა თედორეს ასულისა და ალექსის ხელში ჩაგდება მაინც საჭირო იყო, რადგანაც შვილი ადრე თუ გვიან მეფედ გამოცხადდებოდა; ხოლო დედამისი რეგენტი გახდებოდა — იგი ხომ ჯერ კიდევ 1917 წლამდე აწყობდა პეტროგრადში ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა და ეკატერინე მეორის კარიერის განმეორების გეგმებს. აი, რატომ დაეუფლა ალექსანდრა თედორეს ასულს ტობოლსკსა და ეკატერინობურგში „შმაგი ოცნება“, „ყოვლისმშთანთქმელი იმედი“: როგორმე გაეყვანა შვილი საიმედო თავშესაფარში, ყველაზე უფრო მეტად გერმანულ ფატერლანდში, და დალოდებოდა იმ მომენტს, როცა ალექსის მეფედ გამოცხადების შესაძლებლობა მიეცემოდა, თავად კი, შვილით ზურგგამაგრებული, კვლავ ხელისუფლების სათავეში მოექცეოდა [20].

ეჭვს გარეშეა, სწორედ ეს ვარაუდი უბიძგებდა ბერლინს თვრამეტი წლის გაზაფხულსა და ზაფხულში რომანოვებისათვის სასარგებლო ნაბიჯები გადაედგა. ვიღაც-ვიღაცეებს ამის მიჩქმალვა სურდათ. ეს თავისებურება ჯერ კიდევ მაშინ შენიშნა იმავე ვილტონმა. მას არ შეეძლო არ ეღიარებინა, რომ კიულმანისა და ჰოფმანის ცარიზმისა და რომანოვებისადმი სიმპათიები ადვილად შეუთავსდა რუსეთის დანაწევრების გეგმებს, ხოლო გერმანიის წინააღმდეგ ანტანტის ბრძოლაში მონაწილეობის გამო მეფეზე განაწყენება — მისი სიცოცხლის გადარჩენის სურვილს. ყოველივე ამას ის ვიღაც-ვიღაცეები უარყოფენ? მერე რა, „მათ მოსაზრებებს ერთი ნაკლი გააჩნიათ: ძალზე ბევრის დასაბუთება სურთ, ფაქტიურად კი ვერაფერს

ასაბუთებენ... სიმართლე აშკარაა: ჰოფმანი და მისი კომპანია უბრალოდ თავიანთი წარუმატებელი წამოწყების გამართლებას ცდილობენ“ [21].

ცეცხლითა და მათრახით

ამ შემთხვევაში ლონდონის გაზეთის შავრაზმელ წარმომადგენლებს საკადრისი უნდა მივუზღათ. კაიზერს რომანოვების შველა ნამდვილად უნდოდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი მიზანი მარტო მას ჰქონდა დასახული, რისთვისაც რუსეთის შინაურ საქმეებში უხეშ ჩარევასაც არ მოერიდა.

ქვევით ნაჩვენები იქნება, თუ როგორი მზრუნველობა გამოიჩინეს ნიკოლოზის პიროვნებისადმი მისი გადაყენების მეორე დღიდანვე ყოფილმა დასავლეთელმა მოკავშირეებმა, ანტანტის სახელმწიფოთა მთავრობებმა.

მათი პროროომანოვული ოინების ფაქტიური გაგრძელება იყო კორნილოვისა და დუტოვის აჯანყებებისადმი ხელშეწყობა; მოგვიანებით — ალექსეევზე, დენიკინსა და კოლჩაკზე დაყრდნობა. ანტანტელი ლიდერების მოწყობილი იყო აგრეთვე 1918 წლის გაზაფხულზე რუსეთში მომხდარი ჩეხოსლოვაკური კორპუსის აჯანყება. ხიშტებით ცდილობდნენ იპატიევის სახლში დაპატიმრებულ მეფემდე მიღწევას გაიდა, ჩეჩეკი და სპროვი — ტ. გ. მასარიკის პირდაპირი ბრძანებების შემსრულებლები, მასარიკისა, რომელიც ჯერ კიდევ რუსეთის რევოლუციამდე იყო ცნობილი თავისი მჭიდრო კავშირითა და ფარული გარიგებებით როგორც ლონდონის, პარიზისა და ვაშინგტონის წამყვან პოლიტიკოსებთან, ისე პეტერბურგში ნიკოლოზ II-თან. ამ კავშირების შესახებ მრავალი საბუთი არსებობს [22].

როგორც დადგინდა, იარაღს, საბრძოლო მასალას, კავშირგაბმულობის საშუალებებსა და სხვა სამხედრო საჭურველს ლეგიონს აწვდიდნენ (სხვებთან ერთად) კონცერნები „რემინგტონ არმსი“ და „მეტელიკ კერტრიჯ იუნიონი“, მათ მიერ შესრულებულ შეკვეთებზე სახსრებს იხდიდა ნიუ-იორკის „ნეშნლ სიტი ბენკი“, ხოლო „ბროკერის“, ანუ ამ კორპორაციებსა და ლეგიონს შორის შუამავლის როლს ასრულებდა იგივე „პროფესორი მასარიკი, რომელიც ზუსტად იმ დროს განმათავისუფლებლის დიდებით მოსილი პრაღის გრად-

ჩანიში შესასვლელად ემზადებოდა“. სწორედ იგი „იყო ის კაცი, რომელიც, ერთი მხრივ, რუსეთში მყოფი კორპუსის დისტანციურ ძართვას ახორციელებდა, ხოლო, მეორე მხრივ, მოკავშირეებს ყოფილი მეფის განთავისუფლებასა და მათთვის გადაცემას ჰპირდებოდა“. შეიქმნა ურთიერთკავშირის ჯაჭვი: ლეგიონის მეთაურების უკან იდგა მასარიკი; მასარიკის უკან კი — იარაღით მოვაჭრენი „რემინგტონ არმსიდან“ და სქელჯიბიანები „ნეშნლ სიტი ბენკიდან“. ამ და მათი მსგავსი მონოპოლისტური გაერთიანებების უკან იდგა დასავლეთის მთელი მმართველი რეაქციული ოლიგარქია, რომელშიაც შედიოდნენ საქმოსნები, მინისტრები და გენერლები, ყველა ისინი, რომლებსაც არ ენანებოდათ მილიონობით დოლარის დახარჯვა თეთრგვარდიელი ჩეხებისათვის „მასარიკის დანაპირების — მეფის განთავისუფლების სანაცვლოდ“ [23].

ინტერვენციასთან დაკავშირებულ ატამანთა პირველი აჯანყებიდან მოგვიანებით სამხრეთში წარმოიშვა „დენიკინშჩინა“.

ომსკის „მმართველიცა“ და მისი ნოვოჩერკასკელი მეწყვილეც ორი სხვადასხვა მიმართულებიდან დაიძვრებიან მოსკოვზე გასალაშქრებლად ერთი ფარული მიზნით: რათა კრემლში, უსპენსკის ტაძარში, მეფის ხელისუფლების აღდგენა გამოაცხადონ.

მაგრამ იპატიევის სახლში მას ძებნას უკვე აღარ დაუწყებენ. იმ დროისათვის სახლი ცარიელი დახვდებათ. გამომძიებლებსა და არქივის მქექავებს მხოლოდ ისღა დარჩებათ გასაკეთებელი, რომ შეაგროვონ მასალები მეფის მოკვლის პროცესისათვის, რომლის მოწყობასაც ისინი დროთა განმავლობაში ვარაუდობდნენ, და ანტანტის ქვეყნების მთავრობათა შეკითხვებზე მლიქვნელური მოხსენებითი ბარათებით პასუხის გასაცემად: თუ მაინც სად გაქრა მათი რუსი გვირგვინოსანი მოკავშირე, რომელიც 1914 წლის 1 აგვისტოს მათთან ერთად ჩაება ომში?*

---

* ამ დოკუმენტაციის ნაწილი კოლჩაკელების განადგურების შემდეგ წითელმა არმიამ ჩაიგდო ხელში ციმბირში და საბჭოთა არქივებშია დაცული. მოვიტანთ ასეთი მოხსენებითი ბარათის ნიმუშს:

„1919 წლის 11 თებერვალი, № 322. ომსკი. საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმეთა მმართველს გ. გ. ტელბერგს. მოწყალეო ხელმწიფევ ჰენრიხ გუსტავის ძეე! როგორც ირკვევა, აუცილებლობა მოითხოვს, მასალები მეფის მოკვლის შესახებ ვაცნობოთ არა პარტო ინგლისის მაღალ კომისარს სერ ელიოტს, არამედ საფრანგეთის საპატიო კომისრის მოადგილეს ბატონ მარტელს. ეს უკანასკნელი მათ შიფრით გადასცემს პარიზს, ვაშინგტონსა და ლონდონს. ხელმოწერა: სუკინი, გამომძიებელი“ (სსრ კავშირის ცსაორ, ფ. 601, აღწ. 2, საქ. 36).

შემდეგ კი, თვრამეტი წლის პირველ ნახევარში, იქით, იპატიევის სახლისაკენ, მეფის საშველად ისწრაფიან ყველა ჯურის ადგილობრივი მედროშენი, როტმისტრები და ატამანები, რომელთა მხარდაჭერის იმედი ჯერ კიდევ ჰქონდათ კოლჩაკსა და დენიკინს. ამიტომაც იყო, რომ ერთი სამხრეთში, მეორე კი აღმოსავლეთში შეუდგა თავ-თავისი არმიების შეკრებას.

ყოველთვის ცხადლივ არ ჩანს, საზღვარგარეთის ორი სალაროდან რომელზე იღებდა ორიენტაციას მეფის მორიგი მხსნელი — კაიზერისა თუ ანტანტისაზე. ხშირად ერთობლივად ერთზეცა და მეორეზეც. აკი მოახერხა კიდევაც ორენბურგის ატამანმა დუტოვმა და ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლი ორი ბანაკიდან მსხვილი სუბსიდიები მიეღო: მილიონ-ნახევარი ფრანკი ვოლოგდაში საფრანგეთის ელჩის ნულანსისაგან, კიევში — კაიზერის სამხედრო აგენტის პოლკოვნიკ ალვენსლებენისაგან *.

მაინც შეიძლება ითქვას, რომ სამხერთში იმ თვეებისათვის მათ ორიენტაცია უფრო მეტად აღებული ჰქონდათ კაიზერის მოწყალებაზე, აღმოსავლეთში — ანტანტისა და იაპონიის პატრონატზე. ასეთი შერჩევით მოქმედებდნენ ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლ ორ კოალიციას შორის, უფრო სწორად, საზღვარგარეთის დაზვერვის ორ სისტემასა და საინტენდანტო-მომარაგებით სამსახურებს შორის.

იმ დროს, როცა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ყოფილი სარდალი გენერალი ა. ი. დენიკინი ვიღაცის ძველ ფარაჯაში გადაცმული და ყალბი პოლონური დოკუმენტებით ჯიბეში ჯარისკაცებით გაჭედილი ვაგონით ცდილობდა დონისაკენ გაეღწია, რაც დიდ გაბედულებასთან იყო დაკავშირებული, რადგან ყოველ წუთს შეიძლებოდა ეცნოთ, მისი წინამორბედნი და დამქაშნი კალედინი და კრასნოვი, ბოგაევსკი და შკურო მას იქ, სამხრეთში, უკვე ისტორიაში შესასვლელ გზას უმზადებდნენ.

იმ დროს, როცა შავი ზღვის ფლოტის ყოფილი სარდალი ადმირალი ა. ვ. კოლჩაკი ხარბინში გამოცხადდა და ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინიგზის მმართველობის წევრის თანამდებობის დაკავებისთანავე

* ეს მონაცემები ამ წიგნის ავტორს 1975 წლის აგვისტოში ვლადიმირში ყოფნისას აცნობა ვ. ვ. შულგინმა. გერმანიის მიერ ატამანების სუბსიდირების შესახებ შულგინს უამბო თავად ალვენსლებენმა, რომელიც მან 1918 წელს ოკუპირებულ კიევში გაიცნო.

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი შეიარაღებული რაზმების ორგანიზებას შეუდგა, უკვე მაშინ ამოუდგა მხარში მას წინამორბედთა და ხელშემწყობთა პირშავი პლეადა, ისინი, რომლებმაც შემდეგში მას, ალექსანდრე ვასილის ძეს, ომსკის ერთსაათიანი ბატონობისაკენ მიმავალი გზა გაუკაფეს. მათ შორის პირველები იყვნენ ა. ი. დუტოვი, გ. მ. სემიონოვი, მ. კ. დიტერიხსი, ვ. ო. კაპელი და კ. კ. უნგერნ-შტერნბერგი.

ამ ხუთეულის უკან იდგა „მიხაილოვის წრე" — მონარქიზმის მაშინდელი მთავარი (ფარული) იდეოლოგიური ცენტრი ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. მისი სულიერი წიაღიდან მარტო ეს ხუთეული როდი გამოვიდა, მარტო მათ როდი უბიძგებდა და ამხნევებდა. „მიხაილოვის წრის" მხარდაჭერით, წრისა, რომელიც განშტოებული და შეძლებული იყო, რომელსაც ძლიერი ფონდები და გავლენა გააჩნდა, რომელსაც კავშირი ჰქონდა გაბმული ლონდონსა და პარიზში, დიდად იყო დავალებული თავად კოლჩაკი, როცა ომსკის დიქტატორის კარიერას მიაღწია. ჯერ კიდევ 1918 წლის იანვარში ვ. ო. კაპელის მიერ დაწერილი განსაკუთრებული საიდუმლო ცირკულარით დალოცა წრის ხელმძღვანელობამ თავისი წევრები იმ დროის ერთ-ერთი მთავარი ამოცანის შესასრულებლად — მეფის ოჯახის გადარჩენაში გმირობის გამოსაჩენად. ამავე ცირკულარში ხაზგასმით იყო აღნიშნული აგრეთვე ამ მიზნისაკენ მიმართული მოქმედების „ულმობელობის პრინციპი". ეს ნიშნავდა მივიწყებული ანგარიშსწორების კამპანიის დაწყებას, რაც ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა [24].

ჯალათობით თავი გამოიჩინეს დუტოვმა და სემიონოვმა.

სემიონოვი ხშირად ეკამათებოდა კოლჩაკს, მაგრამ მაინც მის თანამოაზრედ დარჩა. იმიერბაიკალის კულაკური ბუდის ამ ნაშიერმა თებერვლის დღეებში პირველად გამოაჩინა ბრჭყალები პეტროგრადში: განიზრახა თავისი დამქაში იუნკრების ჯგუფით ხელში ჩაეგდო ტავრის სასახლე, გაენადგურებინა პეტროგრადის საბჭო და მეფის ჩამოგდება, როგორც „ძალდატანებითი" აქტი, გაუქმებულად გამოეცხადებინა. ესერელმა პოდპოლკოვნიკმა მურავიოვმა, რომელსაც სემიონოვი ბრმად ენდო, ყოველივე ეს კერენსკის უამბო. მან აღარ დააყოვნა და ეს მეტისმეტად გაბედული როტმისტრი „თებერვლის დემოკრატიის" დასაცავად ბურიატ-მონგოლეთის სამხედრო რაზმის ფორმირების მიზნით იმიერბაიკალში გაიტყუა. როტმისტრი

რ ზმის ფორმირებით გვიან შემოდგომამდე იყო დაკავებული. ამასობაში იგი იმპერბაიკალის ატამანი გახდა. ხოლო როცა შეიტყო, პეტროგრადში უკვე გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება და მისი ძალაუფლება მთელ რუსეთში ვრცელდებაო, იგი თავისი რაზმით მანჯურიაში გაიქცა. იქიდან მონარქიული ლოზუნგებით ზედიზედ მოაწყო შეიარაღებული გამოხდომები საბჭოეთის წინააღმდეგ.

1918 წლის 29 იანვარს სემიონოვმა საზღვარი გადალახა, მანჯურიის სადგურში შეიჭრა და მხეცურ ანგარიშსწორებას მიმართა. იგი ტელეფონთან გამოიძახა ჩიტის საბჭოს წარმომადგენელმა და მათ შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

— ატამანო სემიონოვ, რა მოხდა თქვენთან მანდ, მანჯურიის სადგურში?

— განსაკუთრებული არაფერი. ყველაფერი მიწყნარდა. თქვენი წითელგვარდიელები ხელს უკვე აღარ მიშლიან.

— ეს როგორ გავიგოთ? ისინი დახვრიტეთ?

— არა. ისინი არ დამიხვრეტია. ვაზნებს ვუფრთხილდები. ყველანი ჩამოვახრჩე.

და უბრძანა სადგურის უფროსს ჩამოხრჩობილთა გვამებით დატვირთული ვაგონი ჩიტაში გაეგზავნა.

მისი სიმკაცრე განსაკუთრებული იყო, მხეცობა კი — დაუჯერებელი. იგი უსაფუძვლო, ბრმა, უაზრო ანგარიშსწორებას ახორციელებდა. 1946 წელს მოსკოვში გამართულ სემიონოვის პროცესზე სასამართლო დარბაზში ასეთი დიალოგი გაიმართა:

პ რ ო კ უ რ ო რ ი. ხვრეტდით ხალხს?

ს ე მ ი ო ნ ო ვ ი. ვხვრეტდით.

პ რ ო კ უ რ ო რ ი. ჩამოახრჩობდით კიდეც?

ს ე მ ი ო ნ ო ვ ი. ვხვრეტდით.

პ რ ო კ უ რ ო რ ი. ბევრი დახვრიტეთ?

ს ე მ ი ო ნ ო ვ ი. ახლა ვერაფერს გეტყვით... დასჯას ყოველთვის არ ვესწრებოდი ხოლმე.

პ რ ო კ უ რ ო რ ი. ბევრი თუ ცოტა?

ს ე მ ი ო ნ ო ვ ი. დიახ, ბევრი.

პ რ ო კ უ რ ო რ ი. რეპრესიის სხვა ფორმებს არ იყენებდით?

ს ე მ ი ო ნ ო ვ ი. თუ მოსახლეობა წინააღმდეგობას გაგვიწევდა, ვწვავდით სოფლებს [25].

„წინააღმდეგობა“ მას თავისებურად ესმოდა: მისი გაგებით, ეს იყო მეფის გადასარჩენად თეთრებთან ერთად წასვლაზე უარის თქმა.

და კიდევ — კონფისკაციებითა და რეკვიზიციით, ანუ ძარცვით გამოწვეული უკმაყოფილება.

სემიონოვსა და კოლჩაკს ხარბინის სახით ერთი და იგივე მოსამზადებელი მოედანი ჰქონდათ. იქ აღიჭურვნენ ისინი სალაშქროდ „მიხაილოვის წრის“ ფარული ლოცვა-კურთხევით ანტანტისა და იაპონიის ხარჯზე. ფრანკსა და დოლარს ისინი ღებულობდნენ დასავლეთის მთავრობებისაგან „სიურტე ჟენერალის“ შორეულაღმოსავლეთელი აგენტის ანრი ბურჟუას მეშვეობით (მოგვიანებით შუაკაცობას ხელი მოჰკიდეს „უმაღლეს მმართველობასთან“ მყოფი მისიების მეთაურებმა ჟანენმა და ნოკსმა). იენები მოდიოდა ტოკიოდან სამხედრო მინისტრ (მოგვიანებით პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის) გიიტი ტანაკასგან და მათ დანიშნულებისამებრ გადასცემდნენ პოლკოვნიკი კურასავა და მაიორი კუროკი, რომლებიც სემიონოვთან ირიცხებოდნენ. წესიერებას არა მარტო ფულად, არამედ პრინციპულ პოლიტიკურ საკითხებშიც კი არ დაგიდევდნენ. სემიონოვი „ერთიანი, განუყოფელი რუსეთის“ მომხრე იყო, მაგრამ რუსეთის დანაწევრების იდეისა და რუსეთის შორეული აღმოსავლეთის ანექსიისათვის მებრძოლს, ამასთან რუსეთის ზურგში მოქმედ ძველ ჯაშუშს ტანაკას ემსახურებოდა [26]. სემიონოვი „რუსეთის სახელმწიფოებრიობის“ გადასარჩენად მოუწოდებდა. თავისი ცხოვრების მიზნად რუსეთში რომანოვების დინასტიის ხელისუფლების აღდგენა გამოაცხადა. სინამდვილეში კი აშკარად თვითგანდიდებას უმიზნებდა: მან სიამოვნებით მიიღო ტანაკას დაპირება „შორეული აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთ ციმბირის ბუფერული სახელმწიფოს სათავეში დადგომის შესახებ“, როგორც კი რუსეთის მიწებს იაპონია მიითვისებდა... ამის შესახებ მოგვითხრობს იგი თავის ავტობიოგრაფიულ თხზულებაში [27].

იქვე, ხარბინში, მოღვაწეობდა კიდევ ერთი ბუდბერგი — ალექსანდრე ბუდბერგის ახლო ნათესავი როჟერი, რომელიც სწორედ იმ დროისათვის ნეიდჰარდტთან ერთად დენეჟნის შესახვევში დადიოდა, რათა მოწიწებით შეევედრებოდა კაიზერის ელჩს.

როჟერ ბუდბერგს სრულიად კონკრეტული მიზანი ჰქონდა. რადგანაც მეფის ოჯახის გაქცევის ერთ-ერთი ვარიანტი ითვალისწინებდა აღმოსავლეთის შემოვლას იაპონიაზე გავლით, მონარქიულმა შეთქმულებმა მას ხარბინში დაავალეს: წინასწარ ეზრუნა მეფის ოჯახის სათანადო მიღებაზე და იაპონიისა და ჩინეთის უმაღლეს ხელისუფალთა შემწეობით უზრუნველეყო მისთვის შემდგომი გზის გაგრძელება.

როჟერ ბუდბერგს რომანოვები დიდი ხანია იცნობდნენ. იგი ქვრივი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის უახლოესი თანაშემწე იყო ფილანთროპიულ საქმეებში 1904 წლის იმ დღემდე, სანამ წითელი ჯვრის განსაკუთრებულ მისიაში არ შეიყვანეს და შორეულ აღმოსავლეთში არ მიავლინეს. ვიდრე იგი ხარბინში ჩავიდოდა, რევიზორებმა რაღაც შეუსაბამობა აღმოაჩინეს პეტროგრადის სალაროში ნაღდი ფულის თაობაზე და გზაში დეპეშა დაადევნეს: უკან დაბრუნებულიყო ფინანსური ანგარიშების გასარკვევად. ბუდბერგმა დაბრუნებას ამჯობინა დეპეშა სანაგვე ყუთში ჩაეგდო და აღმოსავლეთში გაღწევა დაეჩქარებინა. სამი წლის შემდეგ მას „წესრიგის დამცველი სპეციალისტის" როლში ვხვდებით შორეული აღმოსავლეთის — ჩინეთისა და იაპონიის ციხეებში. მან ჩინელ ქალთან იქორწინა. ჯერ რუსიდან ჩინელად იქცა, შემდეგ ჩინელიდან — იაპონელად. მისი მემუარების წინასიტყვაობაში დაზუსტებულია: „დღეებსა და ღამეებს იგი დასჯისა და მხეცური მკვლელობების ადგილებში ატარებდა". თუ როჟერ ბუდბერგს პეტერბურგის საიმპერატორო კარზე წარუმატებლობა ხვდა წილად, პეკინში მან, პირიქით, ნუგეში პოვა. „დასჯის ადგილებზე" გულმოდგინეობის გამოჩენისათვის იგი ორჯერ დააჯილდოეს ორმაგი დრაკონის ორდენით[28]. ბოგდიხანის მოწყალებამ ხელი არ შეუშალა როჟერს 1913 წელს მეტად აქტიური მონაწილეობა მიეღო ხარბინსა და ვლადივოსტოკში რომანოვების 300 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმის მოწყობაში. მან ამ ზეიმში იაპონელების ჩათრევაც კი მოახერხა[29].

ვიდრე მსოფლიო ომი იფეთქებდა, ყველაფერი რიგით მიდიოდა. შემდეგ კი ბალტიისპირელი ბარონის ხარბინული კარიერის ტალღისებური მსვლელობა რუსეთის კონტრდაზვერვამ დაარღვია. მან შეიპყრო როჟერი, როგორც გერმანიის ბლოკის სახელმწიფოების დაზვერვის ჯაშუში, და ციხის თანამშრომელი თავად აღმოჩნდა ციხეში.

მებადრაგეებმა როჟერ ბუდბერგი ხარბინის ქუჩების გავლით გამომძიებელს — როტმისტრ ბოკასტოვს წარუდგინეს, რომელმაც მალე შემდეგი ოქმი შეადგინა:

1915 წელი, 18 ოქტომბერი.

პროკურორ ა. დ. სულჟიკოვის თანდასწრებით სამართალში მიცემულმა მისცა ჩვენება: როჟერ ალექსანდრეს ძე ბენინგსჰაუზენ-ბუდბერგი, 49 წლის, ბარონი, ლიფლიანდიის, ესტლიანდიისა და კურლიანდიის გუბერნიების სამ თავადაზნაურულ კრებაზე მიწერილი. დაბადების ადგილი: კოენის გუბერნია, პონემუნი, იგივე ბუდბერგი. რუსეთის ქვეშევრდომი, ეროვნებით გერმანელი. ქორწინების ჩინური წესით

დაბორწინებული ვარ ჩინეთის ქვეშევრდომ ლიზე; მყავს 6 წლის ქალიშვილი ჯუნ დე-ხუა. დედაჩემის, ალექსანდრა ბუდბერგის ქალიშვილობის გვარია ანრეპ-ელმპტი; ძმა გოტპარტი ცხოვრობს ტობოლსკში; და მარია ბელონი ცხოვრობს რომში; და ცეცილია დისტელპორსტი ცხოვრობს დრეზდენში; და გრაფინია ანტუანეტა რაჯინსკაია ცხოვრობს პოზნანში; და ალექსანდრა ცხოვრობს ამერიკაში. ვიყავი თუ არა საზღვარგარეთ: მემკვიდრეობის საქმეების გამო 1893 წელს ვიყავი გერმანიაში. ჩემს ღვიძლ დედას გრაფინია ცეცილია ელმპტს, პრუსიაში, რაინლანდში ჰქონდა სასახლე; მე ორი სახლი მაქვს ხარბინში.

ბრალად მედება. რუსეთისადმი მტრულად განწყობილ ქვეყნებთან კავშირი. მათ სამეფოდრო ტყვეებს გაქცევაში ვეხმარებოდი. გაქცეულები ჩემი გემით მიმყავდა სუიგარზე[30].

ხეთი დღის შემდეგ პროკურორი სულეიკოვი უფროსობას მოახსენებდა:

თავისი საკუთარი ხელით დაწერილ ჩვენებაში ბარონმა ბუდბერგმა განაცხადა, რომ მას თვალის დასანახავად სძულს რუსეთის მთავრობა და რუსეთის ხელისუფლება. ამასთან იგი თავის ქალიშვილს ჯუნ დე-ხუას ანდერძად უტოვებს, მთელი ძალებით სძულდეს რუსები, რადგანაც მამამისს სძულდა ისინი.

სანამ ბოკასტოვი, სულეიკოვი და კანცელარიის სხვა მუშაკები ტიტულოვანი ხარბინელი ციხის თანამშრომელ-ჯაშუშის ირგვლივ ქაღალდების შეგროვებას აჭიანურებდნენ, ცარიზმის იმპერია დაიმსხვრა. ბარონმა ჩამოხრჩობას თავი დააღწია, პატიმრობიდან განთავისუფლდა და მაშინვე რუსეთის სიძულვილიდან დამხობილი რომანოვების დინასტიის სიყვარულზე გადავიდა. იმ დროსაც კი, როცა მონარქიული კონტრრევოლუციის სისხლიანი ეპოპეა დასასრულს უახლოვდებოდა, იგი კვლავ ბობოქრობდა: „მე გერმანელი ვარ... მაგრამ ჩემი წინაპრები რამდენიმე ასეული წელიწადია რუსეთის მეფის სამსახურში იმყოფებიან“ [31].

სწორედ ამ თავის ნათესავთან გაჩერდა ალექსი ბუდბერგი, როცა 1918 წლის ივნისის დამდეგს ხარბინში ჩავიდა. აქ იგი უკავშირდება კოლჩაკს, ელაქუცება მომავალ „უმაღლეს ხელისუფალს“, რომელთანაც მოგვიანებით, ომსკში, შემდგომი კარიერა გაიკეთა: 1919 წლის 29 მარტს იგი კოლჩაკის არმიის მომარაგების მთავარ უფროსად დანიშნეს, შემდეგ კი — 1919 წლის ოქტომბრამდე ომსკშივე „სამხედრო მინისტრი“ იყო [32].

ალექსი ბუდბერგი ხარბინში იაპონიისა და ჩინეთის ხელისუფალთა წინაშე როჟერ ბუდბერგის სამათხოვრო-გადასარჩენ მანევრებში ჩაება. ბარონებმა, რაღაცას მაინც მიაღწიეს.

1918 წლის 28 ივნისს მაიორი კუროკი ხარბინში კონფიდენციალურად ორივეს საქმის კურსში აყენებს, რათა შემდგომ მათ „რუსეთის სიღრმეში მონარქიული იდეებისათვის მებრძოლებს გადასცენ“: ტოკიოში ირწმუნებიან, რომ „თუ რუსეთის იმპერატორს იაპონიის, ანდა მის კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიის გავლით გამგზავრება დასჭირდება, მას ღირსეულ მიღებასა და მხარდაჭერას აღმოუჩენენ“. ბაგრამ ამ წამოწყებამ ხარჯები ვერ აანაზღაურა. გაიდისა და ჩეჩეკის პოლკებმა, ისევე როგორც დუტოვის, სემიონოვისა და კოლჩაკის ბანდებმა, რომლებიც მათთან ერთად მოქმედებდნენ, ვერ გაამართლეს ბახჰეტენელი ფინანსისტების მიერ მათზე დაბანდებული მილიონები. უკვე იმ დღეებში, შენიშნავს ამერიკელი ავტორი სიდნეი ჰარკეივი, „ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა იმ ილუზიისა, რომ ნიკოლოზ II შესძლებდა პეტრე-პავლეს ციხესიმაგრის მონასტერში წინამორბედ მეფეთა გვერდით მიეღო ადგილი თავისი სასაფლაოსთვის“ [33].

და მაინც ფაქტად რჩება, რომ თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, რომანოვების გადარჩენას ერთდროულად ცდილობდა ორი ერთმანეთს შორის მებრძოლი ბლოკი. მათი ინტერესების ბუნება კი ამ შემთხვევაში ერთი იყო: ვილჰელმ II და უკიდურესად მემარჯვენე ანტანტურ წრეებსაც მონარქიის აღდგენა რუსეთში ეაახლებოდათ როგორც ქვეყნის შემდგომი დამორჩილებისა და დაკაბალების, გავლენის სფეროებად მისი დაყოფისა და (კაიზერული, ანუ იაპონური ვარიანტით) ტერიტორიული დანაწევრების იარაღი.

2

სალმრთო კავშირი: მითები და სინამდვილე

ჩვენ არავისი არ გვეშინია ამქვეყნად, ღვთის გარდა.

ო. ბიხმარკი
(1888 წლის 6 თებერვლის სიტყვიდან)

თქვენ ყველასი გეშინიათ, არ გეშინიათ მხოლოდ ღვთისა.

ა. მ. გორჩაკოვი
(1888 წლის 28 თებერვლის სიტყვიდან)

ბ ი ო რ კ ე

მეფესაც და კაიზერსაც მრავალმხრივ განშტოებული ნათესაური კავშირი ჰქონდათ მთელ რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ინგლისში. მაგრამ ყველაზე უფრო ახლო, დროდადრო მჭიდრო მეგობრულ კონტაქტებს ერთმანეთთან ამყარებდნენ. ერთად სეირნობდნენ შარაბანებით, ავტომობილებით, ცხენებით. ნადირობდნენ სპალეს, შვარცვალდის, ბელოვეჟსკის ნაკრძალ ტყეებში. ამ საუკუნის დამდეგის ფოტოსურათიდან შემოგვცქერიან ქუდებშეცვლილი, ხელგადახვეული, გაღიმებული, ოდნავ ერთმანეთზე მიყრდნობილი მეფე და კაიზერი. ეს პოზა იყო მათი პოლიტიკური იდეალიც. ისინი შეძლებისამებრ გვერდს უვლიდნენ იმ ფაქტს, რომ მათი სახელმწიფოები ურთიერთშორის მებრძოლ კოალიციებში შედიოდნენ და მოწმეთა გარეშე არაერთხელ უოცნებიათ მეტერნიხის ტიპის ახალ სალმრთო კავშირზე. ერთი ჭიქა ღვინის შემდეგ ორივეს გონებაში ეხატებოდა საზოგადოებრივი განვითარების საწინააღმდეგო მდგრადი პირადი ავტოკრატული ალიანსი, რომელსაც ნებისმიერ დროს შეეძლებოდა ყოველგვარი ამბოხების ალაგმვა და ჩახშობაც კი.

მაგრამ მონარქების სოლიდარობის მეტერნიხული იდეა თავის დროზეც, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშიც, არ იყო ძალზე ქმედითი, მით უფრო ნაკლებ რეალური ჩანდა იგი თითქმის ასი წლის გასვლის შემდეგ.

ისტორიის უძლეველმა დინებამ უავგუსტოესი ნათესაეები სხვადასხვა მხარეს გაიტაცა. ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით მივიდნენ ისინი 1914 წლის 1 აგვისტომდე, როცა უკანასკნე-

ლად დაუკავშირდნენ ერთურთს სატელეგრაფო გზავნილებით და ჯერ კიდევ ნიკისა და ვილის ეძახდნენ ურთიერთს... უკანასკნელად მოუწოდეს ერთმანეთს „ჭკუისათვის მოეხმოთ“ და „დამშვიდებულიყვნენ“...

არც ერთმა და არც მეორემ დამშვიდება არ მოისურვა. არც იმათმა გენერლებმა და დიპლომატებმა მოინდომეს ჭკუის მოხმობა, რასაც აფეთქება მოჰყვა. იგი შეიძლებოდა სხვა დროსაც მომხდარიყო, მაგრამ არა სარაევოს მიზეზით: მისი გამომწვევი ძალები ღრმა და გარდუვალად მოქმედნი იყვნენ და შორს, ორი ნათესავის ნებასურვილის მიღმა იღებდნენ სათავეს.

და მაინც იმპერიალისტური წინააღმდეგობების შედეგად გამოწვეული სახელმწიფოთაშორისო მწვავე კონფლიქტების პერიოდშიც რომანოვებისა და ჰოჰენცოლერნების საგვარეულო კავშირი არასოდეს გაწყვეტილა; ეს კავშირი შეიძლებოდა რამდენიმე ხნით მხოლოდ შესუსტებულიყო. მას შემდეგაც კი, როცა მეფის რუსეთი ანტანტის ეტლში საბოლოოდ შეება, სასახლეში დაუღალავ მუშაობას განაგრძობდა პროგერმანული პარტია. ეს იყო გავლენიანი და ცხოველუნარიანი პარტია, რადგანაც მას მფარველობას უწევდა დედოფალი — ყოფილი ჰესენელი პრინცესა, რომელმაც რუსეთში 23 წლის ცხოვრების მიუხედავად მოახერხა და არ გარუსდა.

ამ ჯგუფს შემდგომში რასპუტინიც შეემატა და კიდევ უფრო გაძლიერდა. ჯგუფი მტკიცედ იცავდა ორი დინასტიის ცხოვრებისეულ ურთიერთდამოკიდებულების პრინციპს. პროგერმანული პარტია შთაგონებდა მეფეს, რომ მის პირად ინტერესებს ყველაზე უკეთ უზრუნველყოფდა რაიხთან ერთიანობის ორიენტაცია, რევოლუციის მუქარისაგან ურთიერთდამზღვევ რუსეთ-გერმანიის რომელიმე საზოგადოებაში შესვლა.

გარკვეული აზრით ისე გამოდიოდა, რომ რომანოვები ინტრიგას აწყობდნენ თავიანთი გერმანელი ნათესავის წინააღმდეგ და ამავე დროს მასვე ებღაუჭებოდნენ; რაიხი მათთვის იყო შინაპოლიტიკური მოწინააღმდეგეც და გადარჩენის საგვარეულო ღუზაც; კაიზერის საწინააღმდეგო ანტანტის კამპანიებში მონაწილეობის მიუხედავად, პირადი საშიშროების პირველსავე ნიშანზე რომანოვები მზად იყვნენ თავიანთ მხარდამჭერებთან ერთად შეკავშირებოდნენ მას. ერთმანეთის პირისპირ მდგარი ორი შეიარაღებული იმპერიალისტური ბლოკის პარალელურად მოქმედებდა რუსეთ-გერმანიის ფარული დინას-

ტიური ბლოკი, რომელსაც საფუძვლად ედო შემდეგი პრინციპი: თუ ერთი ჩავარდება გასაჭირში, მეორემ გამოიხსნას.

ამიტომ იყო, რომ 1905 წელს რუსეთის შავი რაზმები თავიანთ მონარქთან ერთად ვილჰელმ II ეთაყვანებოდნენ. მძიმე წუთებში მისკენ მიაპყრობდნენ მზერას როგორც ანდარმულ-პოლიციურ ინსტანციებში, ისე ყბადაღებულ „რუსი ხალხის კავშირში" მოკალათებული მძარცველები. ამ უკანასკნელის ფილიალების (კიევის, ხარკოვის, ტამბოვის, კიშინიოვის, ელიზავეტგრადის) ხელმძღვანელებმაც 1905—1907 წლებში არაერთხელ მიმართეს კაიზერს მხარდაჭერის ძოწოდებებით, მისალმების წერილებით. მლიქვნელობის რეკორდი დაამყარა კიევის „რუსი ხალხის კავშირმა". მან ვილჰელმს გაუგზავნა (იუზეფოვიჩის ხელმოწერით) დეპეშა, რომელშიც გამოთქმული იყო „მოკრძალებისა და თაყვანისცემის უსაზღვრო გრძნობები".

ფარული დინასტიური ბლოკი ნამდვილად რომ არსებობდა, ამას ადასტურებს დასავლეთგერმანული პუბლიცისტიკაც, კერძოდ, სებასტიან ჰაფნერი. იგი აღნიშნავს, რომ ომის პერიოდებშიც კი ორივე დინასტია კვლავ წარმოადგენდა კერძო ინტერესების რაღაც ერთობას, მონარქიულ საგვარეულოთა მთლიანობას რევოლუციისაგან დასაცავად, რევოლუციისა, რომელიც რომანოვებსაც და ჰოჰენცოლერნებსაც თავიანთ მოსისხლე მტრად ესახებოდათ. ამ ერთობლივი მისწრაფებით იყო გამოწვეული იმ ძველი ცარისტულ-კაიზერული საერთაშორისო კლუბის გამოცოცხლება, რომლის წევრებიც, ურთიერთშორის ბრძოლის მიუხედავად, ყოველთვის იტოვებდნენ უკანდასახევ გზას სოლიდარობისათვის.

თუ ზუსტად განვსაზღვრავთ, უნდა ითქვას, რომ ეს კლუბი სინამდვილეში მნიშვნელოვნად უფრო ფართო წრეს აერთიანებდა. მის საიდუმლო, ფარულ, ანდა ჩუმ მომხრეებს შორის შეიძლება დავასახელოთ ავსტრიელი ჰაბსბურგებიცა და რუმინელი ჰოჰენცოლერნებიც, ბულგარელი კობურგებიცა და სერბიელი კარაგეორგიევიჩებიც, ესპანელი ბურბონებიცა და იმდროინდელი ზოგიერთი სხვა ავტოკრატული მმართველებიც. მაგრამ ჰაფნერის თქმით, ამ კლუბში წამყვანი წყვილი გახლდათ „ცარსკოსელოელი და პოტსდამელი სუვერენები". ძველი ტრადიციის მიხედვით, ომი მათთვის გართობა იყო. მას თითქმის არავითარი კავშირი არ ჰქონდა იმ თამაშის პირად რისკთან, რომელიც „ასე ვთქვათ, საკლუბო წესების შესაბამისად წარმოებდა... მხარეები ზეერავდნენ ერთმანეთის ძალებს და, აქედან

გამომდინარე, დებდნენ ზავს: არც ერთ მათგანს აზრადაც არ მოსვლია ბრძოლა პარტნიორის სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სრულ განადგურებამდე". საკლუბო წესების დაცვა ერთ-ერთი სასიკეთო საქმე იყო რომანოვებისა და მათი გერმანელი ნათესავების ურთიერთობაში ორი საუკუნის მანძილზე. „რაღა უნდა ითქვას იმის შესახებ, — წერს ჰაფნერი, — თუ რა მნიშვნელობა მიიღო მათთვის ამ სოლიდარობის იდეამ, როცა ბოლშევიზმთან ბრძოლის პრობლემა წარმოიშვა" [1].

ამ „სოლიდარობის იდეის" ძალით უხდებოდა ხოლმე ნიკოლოზს ვილჰელმისათვის ზოგიერთი პირადი დახმარების თხოვნა. მაგალითად, 1905 წელს ვიტეს შუამდგომლობით ითხოვა მან ბერლინში ფულადი სესხი რევოლუციის დასათრგუნავად, ამავე დროს კაიზერის წინაშე დააყენა იმპერიის დასაშოშმინებელ რეიდებში მონაწილეობის მისაღებად გერმანიის საექსპედიციო კორპუსის გამოყოფის საკითხი. შემოდგომის ერთ დღეს მან ჩემოდნები ჩაალაგა და ოჯახთან ერთად საზღვარგარეთ გასაქცევად მოემზადა. მაშინ ფინეთის ყურეში, პეტერჰოფთან, გამოჩნდა ვილჰელმის მიერ თავისი ბიძაშვილისათვის გამოგზავნილი გერმანული ესმინეცი „110": ხოლო ესმინეცის უკან, როგორც ამას დედაქალაქის ერთ-ერთი გაზეთი დელიკატურად იუწყებოდა, „ყურეში უცხოური წარმოშობისა და სამსახურის მთელი ფლოტილია ტორტმანებდა". გაზეთ „ვეჩერნი პეტერბურგის" დამოწმებით, ეს ფლოტილია რუსეთის წყლებში მანამდე დარჩა, „სანამ საჭირო იყო". იმავე წლებში სავსებით საქმიანი ტონი შეიტანა თავიანთ თანამშრომლობაში ორმა დაცვითმა პოლიციურმა სამსახურმა, რომელთა აგენტებიც გამუდმებით აქეთ-იქით დაძვრებოდნენ ნევასა და უნტერ-დენ-ლინდენზე.

მეფის „ოხრანკამ" კაიზერის ხელისუფალთა დახმარებით ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი პუნქტი შექმნა ბერლინში ევროპის კონტინენტზე თავისი სადივერსიო-სამძებრო მოღვაწეობის საწარმოებლად. როგორც 1917 წელს ჟურნალ „ბილოეში" იყო აღნიშნული, იგი სხვა ქვეყნებშიაც სარგებლობდა საპოლიციო უწყებათა მხარდაჭერით, მაგრამ გერმანიის პოლიციის დამოკიდებულება მისდამი მაინც განსაკუთრებით „თანამგრძნობი და მეგობრული იყო". რა თხოვნითაც არ უნდა მიემართათ ბერლინის ჟანდარმერიისათვის „რუს თანამოძმეებს", ამ უკანასკნელთ შეეძლოთ დარწმუნებული ყოფილიყვნენ, რომ „მათი თხოვნა დაკმაყოფილებული იქნებოდა", ხოლო თუ ამ

მხრივ რაიმე „ფორმალური დაბრკოლებები“ წამოიჭრებოდა, პოლიციის პრეზიდენტი ყოველთვის მზად იყო კერძო ხასიათის, კონფიდენციალური დახმარებაც კი გაეწია მათთვის. თუ როგორ აბამდა ამას თავს იგი, მოწმობს, მაგალითად, ბერლინში მყოფი რუსი კონსულის ა. ვ. კუდრიავცევის მიერ პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის პ. ნ. დურნოვისადმი გაგზავნილი წერილი, რომლითაც აცნობებს, რომ კაიზერის პოლიციის შეფი ფონ მადანი სავსებით მხარს უჭერს „დამცველი განყოფილების ნადირობას რუს რევოლუციონერებზე ევროპაში“ [2].

ეს და სხვა დოკუმენტები მოწმობენ, რომ კაიზერის ხელისუფალნი სისტემატურად აწვდიდნენ ინფორმაციებს პეტერბურგს ლაიფციგსა და მიუნჰენის სტამბებში რუსული ლიტერატურის ბეჭდვის თაობაზე; ყოველთვიურად გადასცემდნენ ისინი პარიზში მეფის „ოხრანკის“ საზღვარგარეთული აგენტურის შეფს ლ. ა. რატაევს ცნობებს რუს რევოლუციონერთა ჯგუფის მოღვაწეობაზე გერმანიაში. იმ განსაკუთრებულ მომსახურებას შორის, რომელიც გერმანელმა ჯაშუშებმა იმ წლებში პეტერბურგელ თანამოძმეებს გაუწიეს, აღსანიშნავია: ბოლშევიკ კამოს (სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსიანის) დაპატიმრება და მათთვის ჩაბარება; ასევე მთელი რიგი სხვა რევოლუციონერების გადაცემა; პროვოკატორ ე. ფ. აზეფის * გამოხსნა სასჯელისაგან. თუმცა ყველა ეს მომსახურება შეიძლება წვრილმანად ჩაითვალოს იმ ურთიერთდახმარებისა და ურთიერთგამოხსნის ზოგიერთ ცდასთან შედარებით, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის წინა ხანებსა და ომის მიმდინარეობის პერიოდში ხდებოდა.

რაკი 1915 წლის დამდეგისათვის რომანოვები უკვე მიხვდნენ, რომ ომში არაფერ კარგს არ უქადდათ, გერმანიასთან სეპარატული ზავის

---

* მხილების შემდეგ აზეფი 1908 წელს გერმანიაში დაიმალა. კაიზერის კონტრდაზვერვამ იგი გერმანელი ქვეშევრდომის კურტ მაიერის ყალბ გვარზე შედგენილი დოკუმენტებით მოამარაგა. აზეფმა ბერლინში ცხრა წელიწადი იცხოვრა, გერმანიის დაზვერვის დახმარებით კიდევ ორჯერ თე სამჯერ გააღწია რუსეთში არალეგალურად. მოკვდა 1918 წელს ბერლინში. ვეგენერის საავადმყოფოში.

ამ პროვოკატორ-საფრთხობელას სამარცხვინო ეპოპეა ხელს არ უშლის ესერული პარტიის ყოფილ ლიდერებს დღესაც წარმოსახონ იგი „გმირად“, შეაქონ როგორც „რევოლუციისათვის მებრძოლი“. ასე აქებ-ადიდებს აზეფს, მაგალითად, მისი ყოფილი ხელქვეითი ორგანიზაციაში, ხოლო მოგვიანებით კონტრრევოლუციური „მთავრობის“ წევრი სამარაში (ომუჩში) ზენზინოვი (ე. მ. ზ ე ნ ზ ი ნ ო ვ ი, განცდილი, ნიუ-იორკი, 1953, გვ. 260).

დადების შესაძლებლობა მოსინჯეს. სანამ ომი ძველი საკლუბო პასიანსის ვარიანტად ეჩვენებოდათ, ისინი მას სიამოვნებითა და სპორტული ენინით აწარმოებდნენ. მაგრამ როცა ხოცვა-ჟლეტის გიგანტური მასშტაბები და გაჭიანურებული ხასიათი გამოიკვეთა, ხოლო ხანძარმა სასახლეების ფანჯრებამდე მიაღწია, ორივე მხარის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო ინტიმური კონტაქტების განახლება იმ მიზნით, რათა თავმთელი გასცლოდნენ ამ ორომტრიალს. ეს კი ძნელი გამოდგა. გამოირკვა, რომ ცარიზმს რისკის გარეშე არ შეეძლო ანტანტასთან ერთად თავისი სისხლიანი სრბოლის მოულოდნელად შეჩერება...

კატაკლიზმის შორეულ მისადგომებთან კი ევროპის ისტორიის მატიანეში ორივე დინასტიის მიერ ეგრეთ წოდებული ბიორკეს ინციდენტი იწერებოდა. ეს მოხდა 1905 წლის ზაფხულში, როცა რუსეთის დაფერდებულ ტახტს გერმანია ბიჯგის შედგმას დაჰპირდა და ამით მოხიბლულ ნიკოლოზს ვილჰელმმა თავიანთი მთავრობების ზურგს უკან პირისპირ შეხვედრა და ღვთაებრივ კავშირზე შეთანხმება შესთავაზა.

23 ივლისს ბიორკეს ყურეში, ვიბორგის ახლოს, მოწინააღმდეგე მხარეებიდან საიმპერატორო ალმებით მორთული ორი ორჩხომელი გამოჩნდა. ბიძაშვილები ერთმანეთს შეხვდნენ ევროპაში შექმნილი მდგომარეობის განსახილველად. ვილჰელმი მეფის ორჩხომელ „პოლიარნაია ზვეზდაზე“ გადავიდა.

იმპერატორები ორ დღეს (23 და 24 ივლისს) ბჭობდნენ. შემდეგ მეფემ საზღვაო მინისტრი, ადმირალი ა. ა. ბირილევი მიიწვია და მას რუსეთ-გერმანიის კავშირის შეთანხმების კონტრასიგნება შესთავაზა წაუკითხავად. ადმირალი მეფის ნება-სურვილს დაემორჩილა.

ბიძაშვილებმა კაიუტაში ცუდად როდი გაატარეს დრო. მაგრამ შრომამ, როგორც ეს მალე გამოირკვა, ფუჭად ჩაიარა. მიღებული ხელშეკრულება ეწინააღმდეგებოდა რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობათა და ვალდებულებათა მთელ სისტემას.

ჯერ ერთი, ამ ხელშეკრულებით რუსეთი ვალდებულებას იღებდა დაეცვა გერმანია საფრანგეთთან ომის შემთხვევაში; იმ დროისათვის მოქმედი სამოკავშირეო ხელშეკრულებით კი, რუსეთი ვალდებული იყო დაეცვა საფრანგეთი გერმანიასთან ომის შემთხვევაში.

მეორეც, კაიზერი კისრულობდა დაეცვა ევროპული რუსეთი „ნებისმიერი ევროპული სახელმწიფოს“ თავდასხმისაგან. კი მაგრამ,

მაინც რომელი სახელმწიფოსგან? თავად გერმანიისგან ხომ არა? შეიძლება საფრანგეთისაგან? მაგრამ რუსეთი ხომ მასთან კავშირში იყო. ავსტრია-უნგრეთისაგან? ისიც ხომ გერმანიასთან იყო კავშირში და, ბუნებრივია, თავის მოკავშირის მოკავშირეს თავს არ დაესხმოდა. იტალიისაგან? იგი, როგორც ავსტრია-უნგრეთი, გერმანიის (ტროისტეენის) ბლოკის მონაწილე იყო. ინგლისისაგან? მას რუსეთის წინააღმდეგ სახმელეთო ომის წარმოება არ შეეძლო.

იაპონიისაგან? დიახ, იგი იყო საშიშროების წყარო. მით უმეტეს, რომ იმ დროისათვის პორტსმუტის სამშვიდობო ხელშეკრულება ჯერ კიდევ არ ჰქონდათ რატიფიცირებული. მაგრამ ბიორკში ვილჰელმს რუსეთის წინაშე შორეული აღმოსავლეთის თაობაზე არავითარი ვალდებულება არ აუღია და, მაშასადამე, იქ ნიკოლოზს მარტოდმარტოს რამდენიც უნდოდა, იმდენი შეეძლო ებრძოლა.

ცნობამ ბიორკის შეთანხმების შესახებ ევროპის დედაქალაქებში, პეტერბურგის ჩათვლით, მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ს. ი. ვიტეს პორტსმუტიდან დაბრუნებისთანავე მასა და საგარეო საქმეთა მინისტრ ვ. ნ. ლამზდორფს შორის შემდეგი საუბარი გაიმართა:

ლ ა მ ზ დ ო რ ფ ი. წაიკითხეთ თუ არა ბიორკში დადებული შეთანხმება?

ვ ი ტ ე. არა, არ წამიკითხავს.

ლ ა მ ზ დ ო რ ფ ი. ნუთუ ვილჰელმმა და ხელმწიფემ იგი წასაკითხად არ მოგცეს? (აშშ-დან გერმანიაზე გამოვლისას ვიტემ ინახულა კაიზერი).

ვ ი ტ ე. არა, არ მოუციათ. როცა პეტერბურგში ჩამოვედი, ხელმწიფესთან გამოცხადებამდე თქვენთან ვიყავი, მაგრამ არც თქვენ მოგიციათ იგი წასაკითხად.

ლ ა მ ზ დ ო რ ფ ი. მე თავადაც არაფერი ვიცოდი მისი არსებობის შესახებ... ახლა ნახეთ, რაოდენ შესანიშნავია.

ვ ი ტ ე (დოკუმენტის წაკითხვის შემდეგ). ვფიქრობ, ეს ხელშეკრულება. მის არაეკვივალენტობაზეც რომ არაფერი ვთქვათ, აშკარად ვერაგულია. იგი უსინდისოდაა მიმართული საფრანგეთის წინააღმდეგ... განა ხელმწიფესათვის ცნობილი არ არის საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულება?

ლ ა მ ზ დ ო რ ფ ი. როგორ არ არის ცნობილი! ძალიანაც კარგად არის ცნობილი. შეიძლება ხელმწიფეს იგი გადააციწყდა, უფრო სწორად კი, ვილჰელმის მიერ შექმნილი ბურუსის გამო ვერ განსაზღვრა საქმის არსი...

ვ ი ტ ე. ამ დოკუმენტის განადგურება აუცილებელია, რადაც არ უნდა დაჯდეს.

პრემიერი ბირილევის როლმა დააინტერესა. მისი აზრით, შეთანხმება ძალადაკარგულად ითვლებოდა თუნდაც იმის გამო, რომ იგი კონტრასიგნებული არ იყო საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ. ბირილევს კი ამ საქმეში ბრალი არ მიუძღოდა.

ვ ი ტ ე. ადმირალო, იცით, რას მოაწერეთ ხელი ბიორკში?

ბ ი რ ი ლ ე ვ ი. არა, არ ვიცი.

ვ ი ტ ე. კი მაგრამ, როგორ თუ არ იცით?

ბ ი რ ი ლ ე ვ ი. არ უარვყოფ, რომ ხელი მოვაწერე რომელიღაც მეტად მნიშვნელოვან ქაღალდს.

ვ ი ტ ე. რაზე იყო შიგ ლაპარაკი?

ბ ი რ ი ლ ე ვ ი. თუ რაზე იყო შიგ ლაპარაკი, ამაზე წარმოდგენაც არა მაქვს. აი, საქმე როგორ წარიმართა: ხელმწიფემ კაიუტ-კაბინეტში მიხმო და მითხრა: „ალექსანდრ ალექსეევიჩ, თქვენ მენდობით?“ ჩემი პასუხის შემდეგ მან დასძინა: „მაშ, ასეთ შემთხვევაში ხელი მოაწერეთ ამ ქაღალდს. ხომ ხედავთ, ის ჩემ და გერმანიის იმპერატორის მიერ ხელმოწერილია... მას სურს, რომ იგი რომელიმე ჩემმა მინისტრმა განამტკიცოს“. მეც ავდექი და ხელი მოვაწერე [3].

მეფესთან გაიგზავნა ინიციატივიანი ჯგუფი ვიტეს, იზვოლსკისა და დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის შემადგენლობით. მეტერნიხის სამუზეუმო მოდელიდან გადაღებულმა დიპლომატიურმა კონსტრუქციამ განხეთქილების პირველსავე გამოცდას ვერ გაუძლო. ასისტენტების ზემოქმედებით ნიკოლოზი ვილჰელმს სწერს წერილს, რომელშიც სთხოვს, ბიორკეს ხელშეკრულება ძალადაკარგულად ჩაითვალოს მანამდე, სანამ მას საფრანგეთიც არ შეუერთდება. საპასუხო წერილში ვილჰელმი ნიკოლოზს საფრანგეთის წინააღმდეგ ამაოდ აქეზებდა: „შენმა მოკავშირემ ბთელი ომის მანძილზე მხარდაჭერის გარეშე დაგტოვა, მაშინ როდესაც გერმანია ყოველმხრივ გეხმარებოდა... ეს გარკვეულ ვალს აკისრებს რუსეთს ჩვენ მიმართ: do, ut des (გაძლევ, რომ შენც მომცე)...“ * (იგი აშკარა დაძსახურებად მიითვლიდა იმას, რომ რუსეთ-იაპონიის ომის დროს თავი შეიკავა ცთუნებისაგან და რუსეთს თავს არ დაესხა.) ამაოდ მოუწოდებს იგი მეფეს: „შენ და მე — ორივემ გავუწოდეთ ერთმანეთს ხელი და ხელი მოვაწერეთ ღმერთის წინაშე... რაც ხელმოწერილია, ხელმოწერილია“ [4]. ნიკოლოზმა ეს ჩივილი ყურად არ იღო. ბიორკეს ხელშეკრულების მნიშვნელობა ნულამდე დავიდა.

რამდენად მტკიცეა ეს ერთგულება და თაყვანისცემა! თანამედროვე რევანშისტები მოჯადოებულივით შეჰყურებენ თავიანთ

---

* ვილჰელმის წერილების მნიშვნელოვანი ნაწილი გაურკვეველი ვითარების გამო 1919 წელს ჩვენი არქივებიდან გაქრა. რამდენადმე მოგვიანებით იგი გამოქვეყნდა საზღვარგარეთ. მიმოწერა წარმოებდა ინგლისურ ენაზე, რომლითაც საფოსტო კავშირგაბმულობაში ორივე კორესპონდენტი სარგებლობდა. აქ მოტანილია წერილების თარგმანი.

კერპს, თავიანთ ღვთაებას — ვილჰელმს. არა იმიტომ, რომ იგი ხალხის რისხვას ჰოლანდიაში გაექცა, არამედ იმის გამო, რომ გაქცევამდე ოთხი წლით ადრე მან თავისი სასახლის აივნიდან ომი გამოუცხადა რუსეთს. რევანშისტების წარმოდგენით, იგი თითქოს დღესაც ცოცხალია, ულვაშებაპრეხილი დგას ბერლინის სასახლის აივანზე და მისი ბაგენი საომარი ლაშქრობების შედეგად გერმანელი ხალხისათვის უთვალავი სიმდიდრის აღმთქმელ სიტყვებს წარმოთქვამენ.

მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი...

„მშვიდად იყავით, — ომახიანად მიმართა ერთხელ ვილჰელმმა გერმანულ აუდიტორიას, თუმცა იცოდა, რომ მას რუსეთსა და საფრანგეთშიც გაიგონებდნენ, — გერმანული მშვიდობის სიკეთეს მე უზრუნველვყოფ თქვენთვის. ვაფრთხილებ ყველას, ვინც კი ამ კეთილდღეობის ხელყოფას გაბედავს, რომ აუცილებლობის შემთხვევაში მე მათ ისეთ გაკვეთილს ჩავუტარებ, რომელიც ას წელიწადს დაამახსოვრდებათ“. საფრანგეთის მისამართით წარმოთქმულ მეორე სიტყვაში, რომელშიც ამ ქვეყნის მიერ დაკარგული აღმოსავლეთის მიწების (ელზასისა და ლოტარინგიის) დაბრუნების ცდაზე იყო ლაპარაკი, ვილჰელმი ხაზგასმით აღნიშნავდა: „ჩვენ, გერმანელები, ვაცხადებთ: დაე ყველა ჩვენი თვრამეტივე კორპუსი დაიღუპოს, დაე მთელი ჩვენი ორმოცდაორი მილიონი ხალხი აღიგავოს პირისაგან მიწისა, ვიდრე ჩვენ მიერ დაპყრობილი ტერიტორიის თუნდაც მცირედი დავთმოთ“. ხოლო შემდეგ აშკარად რუსეთის მისამართით აცხადებდა: „უყოყმანოდ გავანადგურებ მას, ვინც კი ხელს შემიშლის საერთაშორისო გეგმების განხორციელებაში“. ბერლინში ასეთი სიტყვების მოსმენის შემდეგ შუვალოვი პეტერბურგში თავის უფროსობას ნაღვლიანად მოახსენებდა: „როცა კი შემთხვევა მიეცემა, კაიზერი ყოველთვის ხაზს უსვამს თავის გადაწყვეტილებას, დაძლიოს ყოველი წინააღმდეგობა, რომელიც კი მას გერმანელი ხალხისათვის ღმერთის მიერ ნაკარნახევ გზაზე გადაეღობება“ [5].

ვილჰელმის მსოფლმხედველობა სამ იდეაზე იყო დაფუძნებული. პირველი: გერმანელები ღმერთის რჩეული ხალხია და თავიანთ ღირსებათა მიუწვდომლობის გამო მოწოდებული არიან სხვა ხალხებზე იბატონონ; მეორე: თავად გერმანელებშიც განსხვავება არსებობს —

ზოგის კეთილდღეობა ერის კეთილდღეობაა, სხვებს ლაგამი უნდა ჰქონდეთ ამოდებული; მესამე: რაკი ტევტონური რასის უპირატესობა პრაქტიკულად რეალიზებული იყო, უფალმა ღმერთმა მას ჰოჰენცოლერნების დინასტია გამოუგზავნა, ადრე მოკრძალებული კურფიურსტების, ამჟამად კი დიდი და დაუმარცხებელი იმპერატორების სახით; ღმერთის ნება-სურვილით იგი სათავეში უნდა ჩადგომოდა ერს ისტორიაში არნახული სიმაღლეებისაკენ მიმავალ გზაზე.

მაგრამ, როცა ვილჰელმი პეტერბურგში ჩავიდა, მას არაფერი ღვთაებრივი არ გამოუვლენია. ყველამ დაინახა კოხტაპრუწა, ბაქია პრუსიელი ჰუსარი, რომელსაც თავის რუს ბიძაშვილზე უფრო მეტი სულიერი დიდება და ბრწყინვალება არ გააჩნდა. ზოგჯერ კითხვაც კი ებადებოდათ ხოლმე: ამ ორში რომელი უფრო მეტად გამოირჩეოდა ობსკურანტიზმითა და ტირანული ნიჭით. სწორედ ამ დროს გამოიწვია დიდი მითქმა-მოთქმა ლონდონელი „პანჩას“ კარიკატურამ, რომელიც ახირებული ხასიათის გამო პირველობას პოტსდამელ ბიძაშვილს აკუთვნებდა *.

ერთმანეთთან დადიოდნენ სტუმრად პარადებზე, აღნიშნავდნენ საოჯახო იუბილეებს, ცვლიდნენ საჩუქრებს. სტუმრად ყოფნისას ნატიფი კომპლიმენტებითა და სიყვარულის მაცდუნებელი გამჟღავნებით ერთმანეთს პატივმოყვარეობას უღიზიანებდნენ. ცალ-ცალკე კი თითოეული მათგანი უმოწყალოდ ავსიტყვაობდა და ერთი მეორეს შერქმეული მეტსახელებითა და გესლიანი ეპითეტებით ამკობდა. წვრილმანი კინკლაობა იმპერატორებს შორის დროგამოშვებით იმდენად მომაბეზრებელი ხდებოდა, რომ შეშფოთებული დიპლომატიური სამსახურები იძულებული იყვნენ მათ ურთიერთდამოკიდებულებაში ჩარეულიყვნენ. ზოგჯერ მცირე, ხან კი ფართო მასშტაბის სასკანდალო ინციდენტებიც წამოიჭრებოდა ხოლმე.

ასე მაგალითად, დაახლოებით 1906 წლიდან რუსეთში შენიშნეს, რომ ნათესავებთან სტუმრად ჩამოსვლისას პრინცი ჰენრიხ პრუსიელი (კაიზერის ძმა) და მისი ცოლი ირენა (რუსეთის დედოფლის და) ზედმეტ ცნობისმოყვარეობას იჩენდნენ იმ საიდუმლო სახელმწიფოებრივი ინფორმაციებისადმი, რომლებიც მათთვის თითქოს საინტერესო არ უნდა ყოფილიყო. შეიმჩნეოდა, რომ მეჯლისებსა და

* ამ კარიკატურაზე ნიკოლოზი რეპლიკით მიმართავს ვილჰელმს: „როგორი დერეფიმორდაც ვარ, ეს მე ვიცი, მაგრამ მიკვირს, შენი გერმანელები როგორ გიძლებენ!“ („Punch“, 14. XII. 1895, ნახ. 278).

წვეულებებზე ისინი სამხედროებთან, უწყებათა ხელმძღვანელებთან, სპეციალური საკითხების ექსპერტებთან უფრო ახლოს ყოფნას ცდილობდნენ, ვიდრე სხვა მაღალი წოდების წარმომადგენლებთან. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ისინი სტუმრები კი არ იყვნენ, არამედ ემისრები და ჯაშუშები. „მე, — იგონებს მათი თანამედროვე, — ერთ-ერთი ასეთი უცნაური დაკითხვა პირველად 1909—1910 წლების ზამთარში მომიწყვეს, როცა გრაფის მეუღლის ე. ნ. კლაინმიჰელის მიერ პეტერბურგში მოწყობილ მეჯლისზე ეს მაღალი თანამდებობის ცოლ-ქმარი გავიცანი... მოგვიანებით ისინი კვლავ რამდენჯერმე შეეცადნენ ზოგიერთი თამამი შეკითხვა მოეცათ 1913 და 1914 წლებში პეტერბურგისა და მოსკოვის ძველ, ცნობილ ოჯახებში, ასევე ირენას დასთან — მთავრის მეუღლის ელიზავეტა თეოდორეს ასულთან კრემლის მცირე სასახლეში შეხვედრისას...“

და შემდეგ იგივე თანამედროვე დასძენს: „უდიდესი ქედმაღლობის მიუხედავად, მათ „ღირსმყვეს“ თავიანთი ყურადღებითა და დაინტერესებით. დაჟინებით მეკითხებოდნენ რუსეთში შექმნილ ვითარებაზე. შესაძლებელია მათ მთელი თავიანთი ხანგრძლივი ცხოვრება ორივე დინასტიის გაერთიანებას, როგორც ერთის, ისე მეორის ინტერესების სამსახურს შესწირეს, მაგრამ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ამას ისინი გერმანიისთვის აკეთებდნენ. რითი ხელმძღვანელობდა ეს ცოლ-ქმარი, როდესაც ესოდენ შეუპოვრად და თანამიმდევრულად აგროვებდა ცნობებს რუსეთში? მარტოოდენ უბრალო ცნობისმოყვარეობით თუ გერმანიის იმპერიისა და დინასტიისათვის საინტერესო ცნობების შეგროვებით? მე ეჭვიც არ მეპარება, რომ მეორეთი“ *[6].

---

* ციტირებული ხელნაწერის ავტორი ს. ს. ონგირსკი (1886—1975) ძველ თავადაზნაურულ წოდებას ეკუთვნოდა. დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა. იყო მინისტრ ნ. ა. მაკლაკოვისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პ. ა. სტოლიპინის თანამშრომელი. 1913 წელს მუშობდა კურსკის ვიცე-გუბერნატორად. კავშირი ჰქონდა დიდ მთავარ დიმიტრი პავლეს ძესთან და ფ. ფ. იუსუპოვთან (რასპუტინის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილეებთან). 1975 წელს თავისი მოგონებების ხელნაწერი გამოუგზავნა ამ წიგნის ავტორს. რომელმაც იგი ლიტერატურისა და ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივს (ლიცსა) გადასცა დასაცავად. საბჭოთა პერიოდში ონგირსკი ხუთწლედების მშენებლობებზეა, ეწეოდა მეცნიერულ-პედაგოგიურ და საინჟინრო-ეკონომიკურ მუშაობას, დაწერა მთელი რიგი მეცნიერული ნაშრომები.

ამრიგად, კაიზერის მითითებით, მისივე საკუთარი ძმა რუსეთის დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის დასთან ერთად ჯაშუშობდნენ რუსეთში და ისეთი წყაროებიდან აგროვებდნენ ცნობებს ბერლინისათვის, რომლებიც საშუალო დონის ჯაშუშისათვის მიუწვდომელი იყო.

ვილჰელმის გამოხდომების შედეგად ორი სასახლის — პეტერბურგისა და ბერლინის გართულებული ურთიერთდამოკიდებულება საერთოდ „ნელთბილი უფრო იყო, ვიდრე მხურვალე", ხოლო პოლიტიკურ გართულებათა პირობებში „უფრო გრილი იყო, ვიდრე თბილი".

„კეთილ ვილის" რუსეთის მეფესთან ზოგჯერ ერთდროულად ორ სულ სხვადასხვა ხმაზე შეეძლო ლაპარაკი: დათაფლულ ტემბრში გაერია უხეშობა და მუქარა, რისი ნებაც რუსეთის რომელიმე სხვა პარტნიორს საგარეო პოლიტიკაში იშვიათად თუ ეძლეოდა. მაგალითად, როცა რუსეთის ესკადრა ევროპის შემოვლით იაპონიასთან საბრძოლველად მიემგზავრებოდა, ვილჰელმმა ისარგებლა ნიკოლოზისთვის არახელსაყრელი მომენტით და მას შემდეგი მოთხოვნა წაუყენა: დაე, მან ივალდებულოს გერმანიის დაცვა მესამე სახელმწიფოსთან ომის შემთხვევაშიო. დედანში წერილის ის ნაწილი, რომელშიც მუქარაა გამოთქმული, სიტყვასიტყვით ასე იკითხება:

ბერლინი, 1904, 7. XII

უძვირფასესო ნიკი!

...აუცილებელია მივიღო იმის გარანტია, რომ თუ ინგლისი ან იაპონია ომს გამომიცხადებს, დამეხმარები...

თუ გარანტიას არ მომცემ, რომ ომის შემთხვევაში ჩემთან ერთად პატიოსნად იბრძოლებ, მაშინ, სამწუხაროდ, დაუყოვნებლივ უნდა ავუკრძალო გერმანიის გემებს შენი ფლოტისათვის ქვანახშირის მიწოდება.

მომიკითხე ალისა.

მუდამ შენი მხურვალედ მოსიყვარულე ბიძაშვილი და მეგობარი ვილი[7].

ამ ულვაშებაპრეხილი სახელმწიფო მოღვაწის ბუნება სხვებზე ადრე — ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს, — ლ. ნ. ტოლსტოიმ შეიცნო. როცა, მაგალითად, თავადმა გ. მ. ვოლკონსკიმ 1899 წელს იასნაია პოლიანაში კაიზერის შესახებ დაწერილი თავისი ბროშურა გაუგზავნა და თან ბარათიც გააყოლა ტრანსვაალიის ომის თაობაზე, რომლის გამჩაღებლადაც ვილჰელმს ასახელებდა, ტოლსტოიმ ბროშურის სისუსტედ ის მიიჩნია, რომ მასში სათანადოდ არ

იყო ასახული „თანამედროვე ისტორიის კომიკური თუ არა, ერთ-ერთი უსაზიზღრესი პერსონაჟის გულისამრევი ხასიათი“. ტოლსტოი ვილჰელმს ახასიათებდა როგორც „გონებაშეზღუდულ, ნაკლებგანათლებულ, დიდებისმოყვარე კაცს პრუსიელი იუნკრის იდეალებით“, „დამრეტიანებელი ტრიუმფებისა და ბრწყინვალე ფეერიის წყურვილით აღსავსე ყბედს“. ტოლსტოისეულ ერთ-ერთ ლეგენდაში შეშფოთებული ველზევულის შეკითხვაზე: „ვინ განაგებს მძარცველებს ამჟამად დედამიწაზე?“ — წინ წამოდგამს ნაბიჯს აშკარად ვილჰელმის მსგავსი ულვაშებაპრეხილი სატანა და შესძახებს:

„მძარცველთა გამგე“.

თავის წამქეზებლურ სურათს „ყვითელი საფრთხე“ კაიზერმა მიაწერა: „ევროპის ხალხებო, დაიცავით თქვენი უწმინდესი უფლებანი ყვითელი საფრთხისაგან“.

ტოლსტოიმ ეს წარწერა შემდეგნაირად გადააკეთა: „ევროპის ხალხებო, დაიცავით თქვენი ჯიბეები კაიზერ ვილჰელმისაგან“ [8].

მაგრამ როგორიც არ უნდა ყოფილიყო ორი სასახლ[illegible] ერთ-ერთობა, როგორი სახეც არ უნდა მიეღო მათ საგვარეულო განხეთქილებასა და იდილიურ ყოფას — ყოველ ვითარებაში კაიზერი რომანოვებისათვის მუდამ ბიძაშვილად, ფრიად მშვენიერ და სასიამოვნო, თუმცა ქარაფშუტა და ამასთან ზოგჯერ საშიში ორომტრიალის მოყვარულ, მაგრამ მაინც თავიანთ ვილად რჩებოდა, იმდენად თავიანთად, რომ „ინტიმური კორესპონდენციების“ მასთან გაგზავნას რომანოვები პირველი მსოფლიო ომის წლებშიც კი არ წყვეტენ (რა თქმა უნდა, ძალზე საიდუმლოდ).

მოჩვენებანი და მედიუმები

მისდიე ყბედს სიცრუის ზღურბლამდე — გვამცნობს გერმანული ანდაზა.

ვილჰელმი ბედმა არაერთხელ მიიყვანა ამ ზღურბლამდე. მაშინაც, როცა იგი იმპერატორი იყო, და მაშინაც, როცა საფრთხეს თავი დააღწია და დოორნში ცხოვრობდა. უსაქმურობის დროს, გულის გადასაყოლებლად, ხშირად გაშლიდა ხოლმე პასიანსს ისტორიული პერსონაჟებით, რათა აღედგინა სახელი, თითქოს მას არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა ისტორიის წინაშე.

ჩემსა და ნიკოლოზ II შორის ბიორკში დადებულმა ხელშეკრულებამ რუსეთის გერმანიასთან მშვიდობიან და მეგობრულ შეთანხმებას ჩაუყარა საფუძველი... — მოუთხრობს ვილჰელმი ერთ-ერთი პასიანსის შესახებ ყოფილ სამხედრო მინისტრს ვ. ა. სუხომლინოვს მისდამი გაგზავნილ წერილში, — მაგრამ ეს ხელშეკრულება ძალაში არ შევიდა რუსული დიპლომატიის (იზვოლსკი, საზონოვი), რუსი გენერლების, სათათბიროს წევრებისა და სხვა მოღვაწეთა საქმეში ჩარევის შედეგად. მსოფლიო ომმა, რომლისკენაც ისინი ისწრაფოდნენ, არ გაუმართლათ იმედები, თავდაყირა დააყენა მთელი მათი გეგმები, და მეფემ ჩემსავით ტახტი დაკარგა. ის საშინელი შედეგები, რომლებიც განაპირობა რუსეთის გერმანიაზე თავდასხმამ, და აქედან გამომდინარე მთელი შემდგომი მოვლენები მოწმობს, რომ ორივე სახელმწიფო შველას პოვებს მომავალში, როგორც ეს ასი წლის წინათ მოხდა, მხოლოდ მჭიდრო ერთობლივი ძალით ორივე სახელმწიფოში მონარქიის აღდგენის შედეგად.

ვილჰელმ მეორე, იმპერატორი და მეფე[9].

როგორც მღვრიე წვეთს შეუძლია მთელი წყალსაცავის სიბინძურე წარმოსახოს, ისე აისახა დოორნელი ლტოლვილის ეპისტოლარულ შედევრში მეომარი გერმანული იმპერიალიზმის სიცრუე და ყოყოჩობა.

ხედავთ, გერმანელი კაიზერი ვილჰელმ II კი არ დასხმია თურმე თავს — არამედ მას დაესხნენ. იგი 1914 წლის 1 აგვისტოს შეტაკების წინააღმდეგი ყოფილა და ეს სისხლისმღვრელი აქცია მისთვის ძალით მოუხვევიათ თავს. მსოფლიო ომისაკენ ისწრაფოდნენ სხვები და მასზე ამყარებდნენ იმედს, ვილჰელმი და გერმანელი გენერლები კი აქ არაფერ შუაში ყოფილან. ომის შედეგებმა „თავდაყირა დააყენა სხვების გეგმები“, მას კი, კაიზერს, თავდაყირა დასაყენებელი არაფერი ჰქონია — თითქოს მის გენერალურ შტაბს არც გეგმები ჰქონოდეს და არც სხვა რამ ანგარიშები. ვილჰელმს ნიკოლოზის მიმართ პრეტენზიები სულაც არ გამოუთქვამს: ბიძაშვილები სწორი გზიდან მხოლოდ საზონოვს, იზვოლსკისა და ანტანტელ ლიდერებს აუცდენიათ, რის შედეგადაც „მეფეს, ზუსტად ისე, როგორც მას“ (კაიზერს — მთარგ.) ტახტები დაუკარგავთ. თუმცა თავის გადაყენებას დოორნელი განდეგილი უმართებულოდ თვლიდა — მას თავი კვლავ ისე ეჭირა, როგორც მეფესა და იმპერატორს შეშვენოდა. სამაგიეროდ, რუსეთს წილად ხვდა ისეთი „საშინელი შედეგები“, როგორიც იყო რევოლუცია, ნიკოლოზის გაქრობა, ყოფილი იმპერიის საზღვრებში საბჭოთა ხელისუფლების დაფუძნება. მართლაც, ისეთი ამბები მოხდა, რაც ვილჰელმს შიშის ზარს უნდა სცემდეს: ახალი,

საბჭოთა რუსეთის გამოჩენის შედეგად „დრანგ ნახ ოსტენის“ პროგრამის როგორც კაიზერული, ისე შემდგომი ჰიტლერული ვარიანტის განხორციელების იმედი გაქრა. მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი ჯერ-კარგული არ არის, ამშვიდებდა ყოფილი კაიზერი გერმანიის დაზვერვის ყოფილ ხელშემწყობს, სუხომლინოვს, რომელიც ერთ დროს რუსეთის სამხედრო მინისტრის თანამდებობას ჯაშუშობას უთავსებდა: იქნებ ჯერ კიდევ მოხერხდეს მსოფლიოს, რუსეთისა და გერმანიის ჩათვლით, ასი წლით უკან დახევა. რაც უფრო შორეულ წარსულში ამოვაყოფინებთ მათ თავს, მით უკეთესი. ბიორკეს საკაიუტო ხელშეკრულება „ძალაში არ შევიდა“, მაგრამ არა უშავს, ღმერთი მოწყალეა, ახალი მეფე ავა ტახტზე და მაშინ „მჭიდრო ურთიერთობით“ განახლებული საგვარეულო კავშირის საფუძველზე ახალ ლაშქრობათა სტრატეგები „თავიანთ გადარჩენას პოვებენ მომავალში“ როგორც „ნახ ოსტენ“, ისე „ნახ ვესტენ“...

ამ იდეას ეთაყვანებოდნენ ათობით წლის მანძილზე ემიგრაციაში მყოფი მეფის ყოფილი მინისტრები, გენერალ-ადიუტანტები, გუბერნატორები, სასულიერო პირები. ისინი მდაბლად უკრავდნენ თავს 1917—1918 წლებში ვილჰელმსა და მის გენერლებს, 1919—1920 წლებში კლემანსოს, ლოიდ-ჯორჯსა და ვილსონს. მუცლით ხოხავდნენ 1941—1944 წლებში ჰიტლერისა და მისი გენერლების წინაშე.

ს უ ხ ო მ ლ ი ნ ო ვ ი. თავისმომჭრელი და მთელი რუსეთისათვის სასჯანდალო იყო მისი გადაყენება სამხედრო მინისტრობიდან 1915 წლის 11 ივნისს. დააპატიმრეს 1916 წლის 21 აპრილს, ცოტა ხანს იჯდა პეტრე-პაველეს ციხეში და ნიკოლოზ II განკარგულებით გაათავისუფლეს. 1917 წლის ზაფხულში პეტროგრადში წარსდგა სამხედრო სასამართლოს წინაშე; 12 სექტემბერს მიუსაჯეს სამუდამო კატორღა. გაიქცა გერმანიაში. თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები გაატარა ვანზეეში (ბერლინის ახლოს), სკუთარ ვილაში. ბოლოს (1923 წლიდან 1926 წლამდე) რიხსვერთან არსებულ მთავარ შტაბში აღმოსავლეთ ევროპის საკითხების კონსულტანტად მოასწრო სამსახური; ეხმარებოდა სექტა-ბრაუხიჩ-ფრიჩის ჯგუფს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმის შემუშავებაში.

კ ო ლ ჩ ა კ ი. მიატოვა თავისი არმიის განადგურებული ნაწილები და წითელ მებრძოლებისა და პარტიზანების დევნით შეშინებული, თეთრგვარდიელი ჩეხების მატარებელში დაიმალა, უნდოდა მათთან ერთად და მათივე მეშვეობით წასულიყო რუსეთიდან. მატარებელი წითელმა პარტიზანებმა ჩაიგდეს ხელში. კოლჩაკი ირკუტსკის რევკომმა დააპატიმრა და გაასამართლეს. 1920 წლის იანვარში, როცა წითელი არმია ირკუტსკის მახლობლად კაპელის უკანდახეულ ბანდებს ებრძოდა,

საარტილერიო გრიალის დროს მდინარის ყინულჭრილთან ადმირალი სიცოცხლეს გამოესალმა (თავისი „მთავრობის“ მეთაურ პეპელიაევთან ერთად).

ს კ ო რ ო პ ა დ ს კ ი. 1918 წლის 14 დეკემბერს კაზერის არმიის აღლით დააღწია თავი კიევს და ბავარიისაკენ გაემართა. იქ 23 წელიწადზე მეტხანს ცხოვრობდა მალულად. 1941 წელს წერილი მისწერა ჰიტლერს, რომელშიაც თავის სამსახურს სთავაზობდა, კიევში ჩასვლის ნებართვას სთხოვდა, რათა „ესოდენ რთულ მომენტში ადგილზეევე აღმოეჩინა დახმარება გერმანიის ადმინისტრაციისათვის“. ფაშისტმა ფიურერმა მადლობა გადაუხადა „კეთილი სურვილებისათვის“, მაგრამ რადგან „არ უპირდა“, შეთავაზებულ სამსახურზე უარი უთხრა. უცნაური დამთხვევის შედეგად სკოროპადსკიმ სული 1945 წლის 30 აპრილს — სწორედ იმ დღეს განუტევა, როცა ჰიტლერმა ბერლინის ბუნკერში თაგვის საწამლავი მიიღო.

კ რ ა ს ნ ო ვ ი. გარდასახვის იშვიათი შემთხვევა მოხდა. გერმანიაში თავი ამოჰყო თუ არა (იუდენიჩთან ხანმოკლე გასტროლების შემდეგ), მათრახი კალმით შეცვალა. გამოსცა 30-მდე ანტისაბჭოური წიგნი, მათ შორის მთელი რიგი ნარკვევები და რომანები, რომელთაგან უაღრესი უნიჭობითა და უხამსობით გამოირჩევა მისი ისეთი თხზულებანი, როგორიცაა, „ორთავიანი არწივიდან წითელ დროშამდე“. „თეთრი ამალა“, „ნარშავას იქით“ და სხვები. თუ რამდენად აამა თავისი ლიტერატურული ნახელავით გებელსს, იმით დასტურდება, რომ ჰიტლერულ გერმანიაში ისინი 2 მილიონზე მეტი ტირაჟით გამოიცა. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის წინ და თვით ომის პერიოდში თეთრი ატამანის მთავარ მოღვაწეობას არა ამგვარი, არამედ სხვა სახის მხატვრულობა წარმოადგენდა.

აღმოსავლეთის ოლქების სამინისტროში აღფრედ როზენბერგთან სამსახურის დაწყების შემდეგ იგი „კაზაკებთან მუშაობის“ მთავარი კონსულტანტი გახდა. კითხულობდა ლექციებს სამინისტროში როგორც „კაზაკების სულის მცოდნე“, იზიდავდა გესტაპოსა და „სდ“ თანამშრომლებს: რასობრივი საკითხების რეფერენტებსა და სადაზვერვო რაზმების უფროსებს; გაზის ღუმელების კონსტრუქტორებსა და პოლიციის ძაღლების გამყოლებს; კრემატორიების მეცეცხლურებსა და ადამიანის კანისაგან შუქფარების დამზადების ოსტატებს. როზენბერგის უწყებაშივე დაწერა კრასნოვმა თავისი ორი მთავარი ლიტერატურული „შედევრი“: ა) წერილი „ჩემს საყვარელ დონელ კაზაკებს“ მოწოდებით „გერმანიის შეიარაღებულ ძალებთან ერთად გაინაწილეთ წყნარი დონის სახელისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ბედნიერება“; ბ) კეიტელისა და როზენბერგის ხელმოწერებით განმტკიცებული „განსაკუთრებული სიგელი“, რომლითაც დონი გამოცხადებული იყო (1943 წლის 10 ნოემბერს) ჰიტლერის სამხედრო მოკავშირედ, ამასთან გამოთქმული იყო რწმენა, რომ სსრ კავშირის მოსპობის შემდეგ მის „ძვირფას კაზაკებს“ დაუბრუნდებოდათ უწინდელი, მეფისდროინდელი პრივილეგიები და საკუთრება, პირველ რიგში მიწები.

დონიდან პირველი გაქცევის 25 წლის გასვლის შემდეგ კრასნოვი ვერმახტის გენერლის ფორმით კვლავ გამოჩნდა სსრ კავშირის სამხრეთის რაიონებში. იგი კაზაკთა ჯარების სამმართველოს (დონზე, უუბანსა და თერგზე განმკარგულებელი ხელისუფლება) გენერლის კესტრინგისა და აღმოსავლეთის ოლქების სამინისტროს ექიმის ჰიმპელის დავალებებს ასრულებს, ხოლო ბოლოს სს-ელთა ჯარების მთავარ შტაბში გენერალ ბერგერის უშუალო დაქვემდებარებაში გადადის.

იშვიათია ბიძისადმი ძმისწულის ისეთი მსგავსება, როგორიც მისდამი სიმონ კრასნოვს ჰქონდა. იგი იყო სსრ კავშირში, საფრანგეთსა და იტალიაში ფაშისტების მიერ განხორციელებული სადამსჯელო ოპერაციების გულმოდგინე მსახური, მიაღწია ვერმახტის გენერალ-მაიორის ჩინამდე და სამი ნაცისტური ორდენიც მიიღო. ორივემ შესაბამისად დაასრულა სიცოცხლე: ჩამოიყვანეს მოსკოვში, გაასამართლეს და დამსახურებისამებრ მიუზღეს. 1947 წლის 17 იანვარს „პრავდა“ იუწყებოდა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 1947 წლის იანვარში ორივე კრასნოვს ჩამოხრჩობა მიუსაჯა. განაჩენი მაშინვე იქნა მოყვანილი სისრულეში.

შკურო. ცირკში ჯირითის ნიჭი, რომელმაც ემიგრაციის პერიოდში გაიღვიძა, არ ყოფილა მისი ერთადერთი მოწოდება. იგი გამოდიოდა ანტრეპრენიორად, ეწეოდა მოიჯარეობას გზების მშენებლობებზე; თამაშობდა რულეტს, მისდევდა ქათმების მოშენებას, სანამ უფრო შემოსავლიანი საქმე — ნაცისტებთან სამსახური არ იშოვა (ოცდაათიანი წლების შუამდე). სწრაფად მოიპოვა მათი კეთილგანწყობილება, დაინიშნა ჰიმლერის ახლობლის, სს-ელთა დივიზიის გენერლის ფონ პანვიცის მიერ 1943 წელს ფორმირებული განსაკუთრებული რაზმის („რეზერვის“) მეთაურად. დივიზიას (რომელიც მალე კორპუსად გარდაიქმნა) ჰიმლერმა „კაზაკებისა“ შეარქვა, ფონ პანვიცს — „კაზაკთა ჯარების მოლაშქრე ატამანი“, ხოლო უფრო მეტი განდიდებისათვის მისი ამ თანამდებობაზე არჩევა შკუროს მიერ ინსცენირებულ „კაზაკების ყრილობაზე“ (იმავე კორპუსის) მოაწყო. ეს ტიტული პანვიცს ისე უხდებოდა, როგორც, ერთი ანდაზისა არ იყოს, ვირს კრიალოსანი. იოდლესა და ჰიმლერის მიერ ინსტრუქტირებული ეს „ფონ წინამძღოლი“ დამსჯელ რაიდებს ახორციელებდა სსრ კავშირის, საფრანგეთის, იუგოსლავიისა და ჩრდილოეთ იტალიის ოკუპირებულ რაიონებში, ხოლო მას მგლების ხროვასავით მისდევდნენ ხან ანტე პაველიჩის რაზმები, ხან დრაჟე მიხაელოვიჩის ცხენოსნები, ხან კიდევ დონელი და ყუბანელი რეაქციონერი-მოღალატენი; მათ ავანგარდში იმყოფებოდა ბედნიერებისაგან გაბრუებული ანდრია გრიგოლის ძე შკურო, რომელსაც მოლხენა და ძარცვა კვლავ წილად ხვდა. ოკუპირებულ საბჭოთა სამხრეთში გამოჩენისთანავე მან მოწოდებით მიმართა მოსახლეობას: „მე, სს-ელთა ხელმძღვანელისაგან მაღალი ნდობით აღჭურვილი პირი, ხმამაღლა მოგიწოდებთ ყველას, კაზაკებო, ხელში აიღოთ იარაღი, და ვაცხადებ საყოველთაო კაზაკურ შფოთს. აღსდგეს ყველა, ვის ძარღვებშიც ჩქეფს კაზაკური სისხლი... ერთსულოვნად გამოეხმაურეთ ჩემს მოწოდებას და დავუმტკიცებთ დიდ ფიერერს, რომ ჩვენ, კაზაკები, მისი ერთგულნი ვართ ლხინსა და ჭირში“ [10].

ამასწინანდელი თეთრგვარდიელი ემიგრანტი, ცირკის მუშაკი და მექათმე ფეხდაფეხ დასდევდა თავის სს-ელ „ფონ წინამძღოლს“ შავი დროშით, რომელზედაც სამოქალაქო ომისდროინდელი „მგლური რაზმის“ მემკვიდრეობისა და ზნეობრივი კავშირის ნიშნად ოვალურად გამოსახული იყო მგლის თავი... დაძრწოდა და ფაფხურობდა, სანამ არ გაჩუმეს: პანვიცთან ერთად შკურო საბჭოთა მართლმსაჯულების ხელში აღმოჩნდა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენით ორივე ჩამოახრჩვეს („პრავდა“, 1947 წელი, 17 იანვარი).

სემიონოვი. საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთში თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა განადგურების შემდეგ თავისი ბანდის ნარჩენებთან ერთად ინტერნი-

რებული იყო მანჯურიაში, უნგერნ-შტერნბერგის მსგავსი მოადგილეები ხარბინში გაგზავნა, თავად კი პორტ-არტურში დარჩა საცხოვრებლად. ოცდაათიან წლებში — გერმანიაში ფაშისტური დიქტატურის დამკვიდრებისას, განსაკუთრებით ბერლინი— რომი — ტოკიოს ღერძის წარმოშობის შემდეგ, — იგი კვლავ გამოცოცხლდა. სასამართლო საქმეში, რომელიც მოსკოვში ინახება, დაცულია 1933 წლის 29 მარტით დათარიღებული მლიქვნელური წერილის ასლი, სადაც იგი ჰიტლერს ულოცავს სახელმწიფოს სათავეში ჩადგომას. მოგვიანებით სემიონოვი სუნგარ მეორეში შეუდგა ახალი თეთრგვარდიული რაზმების ფორმირებას იმპერიალისტების სსრ კავშირზე თავდასხმის მოლოდინში. იაპონელ მილიტარისტთა და გერმანელ ფაშისტთა ფულით სემიონოვმა დააკომპლექტა სამხედრო ჯგუფი „ასანო", რომლის ბაზაზეც 1943 წელს მარიონეტული სახელმწიფოს მანჯოუ-გოს მხარდასაჭერად იწყებს „რუსული" არმიის შეკოწიწებას და ტანკებით, მოტორიზებული ქვეითი ჯარით, ცხენოსანთა და კაზაკთა ნაწილებით აღჭურვას. ამ არმიაში უმეტესად გადაბირებული იყვნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში დამკვიდრებული თეთრგვარდიელი ემიგრანტები. „ანტიკომინტერნის პაქტის" დროს სემიონოვის მიზანი იგივე იყო, რაც 25 წლის წინათ: საბჭოთა კავშირის დაქუცმაცება, რუსეთის შორეული აღმოსავლეთის რაღაც ბუფერულ სახელმწიფოდ გადაქცევა, რომლის იმპერატორობასაც თავად ლამობდა. პორტ-არტურში იგი სოროში შეძვრა იმ იმედით, რომ იქ ვერ მიაგნებდნენ. მაგრამ ცოდვების მონანიება მოუხდა. ძველი და ახალი საქმიანობისათვის მან სხვა დამნაშავეთა საბოლოო ხვედრი გაიზიარა: 1946 წლის აგვისტოში გ. მ. სემიონოვი მოსკოვში გაასამართლეს და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენის თანახმად ჩამოახრჩვეს[11].

დ უ ტ ო ვ ი. ისიც გაიქცა საბჭოთა საშობლოდან და თეთრგვარდიელთა ბანდის ნარჩენებთან ერთად ჩინეთში დაიმალა. ცდილობდა ძალა მოეკრიბა საბჭოთა რუსეთზე ახალი გამოლაშქრებისათვის, მაგრამ თავისმა ერთ-ერთმა კაზაკმა მოკლა.

იმავე ხერხებით იკაფავდნენ თავიანთ თეთრგვარდიულ-ემიგრანტულ გზას ზოგიერთი სხვა ყოფილი რუსი ადამიანებიც, წერდა ემიგრანტი დიმიტრი მაისნერი. მეორე მსოფლიო ომის წლებში ისინი „ლამპასებიან შარვლებში არ დასეირნობდნენ", „ფეხმარდი დოღის ცხენებით არ დაჯირითობდნენ", მაგრამ „შურისძიების ჟინი და წყურვილი მაინც ყოველთვის თან სდევდათ". მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც შეგნებული ჰქონდათ, რომ „საბჭოთა წყობილებამ ღრმად გაიდგა ფესვები, რომ მასში ბევრი რამ იყო ორგანულად აღმოუფხვრელი", მაგრამ მათ ძალას აღემატებოდა, „უარი ეთქვათ თავიანთ ტკბილ ოცნებაზე კანონიერი რუსი მეფის შესახებ". ყოველივე იმიდან, რაც საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს, ისინი ეჭიდებოდნენ ყველაზე უფრო დრომოჭმულს, ყველაზე უფრო საძულველს. ეს კი ჭეშმარიტად ტრაგიკომიკური ვარიაცია იყო თემისა:

„ჩვენი მოჩვენებითი განდიდება ბილწ სინამდვილეზე უფრო ძვირფასია ჩვენთვის“.

ვერმახტის საბჭოთა კავშირში შემოჭრის შემდეგ ისინი „ითვლიდნენ კილომეტრებს, რომლებიც მათ დონის ტრამალებს აშორებდათ“. სიხარბითა და ბოროტების წადილით მათ „თავიანთ სამშობლოს მტრებთან ერთად შორს შეტოპეს“, სამშობლოსი, რომელსაც თავადვე ჩამოშორდნენ. ჰიტლერელთა საამებლად ისინი მზად იყვნენ უარეყოთ თავიანთი სახელი, თავიანთი ჩრდილი, თავიანთი მე. „ზოგიერთი მათგანი... — წერს მაისნერი, — უარყოფდა, რომ წარმოშობით კაზაკები... რუსები იყვნენ და თავიანთი სამშობლოს სახელს ლაფში სვრიდნენ. ზოგიერთი პოპოვი, სტარიკოვი, ბიკოდოროვი, კოლოსოვი და სხვა მათი მსგავსი გვარების მატარებლები, თურმე ნუ იტყვით, და რუსები არ ყოფილან... მაშინ როდესაც ისინი წმინდა რუსულით აცხადებდნენ, სხვა ენა ხომ თავის დღეში არ უსწავლიათ, რომ „დონი და ყუბანი სულაც არ ეკუთვნოდა რუსეთს, რომ მათ მხოლოდ „ბოლშევიკების ძალადობა“ აკავებდათ ყოფილიყვნენ მის შემადგენლობაში“ [12].

რომანოვების დინასტიის ყველა ამ ერთგულ წარმომადგენელს ოდესღაც სწამდა, რომ სწორედ ისინი იყვნენ ნამდვილი რუსები. საზღვარგარეთ გაქცევის შემდეგ კი მისი უკეთილშობილესობისა და უდიდებულესობისაგან დატოვებულ რუსეთს ჯვარი გადაუსვეს.

მათ ნაღვლიანად იხსენებს ვინმე ბატონი ერიხ ედვინ დვინგერი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მისთვის ყველაფერი რიგზეა: ნეონაცისტები მზად არიან საიერიშოდ ჩირაღდნებით ხელში, შტრაუსი რევანშისტულ სიტყვებს წარმოთქვამს, ბუნდესვერი შეიარაღებას აფართოებს. ერთი შტრიხი აკლიათ მხოლოდ: თეთრგვარდიელი ცხენოსანი კაზაკები შკუროსა და კრასნოვის ტიპის მეთაურებით.

ბატონმა დვინგერმა მათ შესახებ ყურმოკრულად როდი იცის. იგი წერს, რომ დიდხანს იმყოფებოდა მათ შორის (თუ რას აკეთებდა, ამაზე დუმს) როგორც სამოქალაქო, ისე მეორე მსოფლიო ომების დროს და მათდამი „ღრმა სიმპათიითაა“ განმსჭვალული. ეს არცთუ ისე უბრალოდ მომხდარა. „თავიანთ ტრადიციულ ფორმის ტანსაცმელში გამოწყობილი კაზაკი ცხენოსნები მეორე მსოფლიო ომში გერმანელების მხარეზე იბრძოდნენ გერმანული იარაღითვე ხელში... გამონაკლისს შეადგენდა მარტო ცნობილი რუსული ხმლე-

ბი, რომლებიც მათ საბჭოთა სამხედრო საწყობების მიტაცების (ვერმახტის მიერ) შემდეგ დაურიგდათ". განსაკუთრებით ესიმპათიურება დვინგერს კრასნოვი, რომელიც შეთავსებით მწერალიც იყო. რა თქმა უნდა, მისი თხზულებები მხატვრული ღირსებით პუშკინის, ტოლსტოისა და სალტიკოვ-შჩედრინის ნაწარმოებებს ვერ გაუტოლდებოდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, არსებობდა სხვა მხარე: ეს რომანისტი „საუკეთესო ატამანი" იყო. და თქვენ წარმოიდგინეთ, მას არადელიკატურად მოექცნენ: „გერმანიაში ემიგრანტად ჩამოსული კაცი 1945 წელს საბჭოთა კავშირს გადასცეს", ხოლო 1947 წელს სიკვდილით დასაჯეს.

ბატონი დვინგერი ოდესღაც ბარონ ფონ უნგერნ-შტერნბერგსაც მოუხიბლავს. „მე მასაც პირადად ვიცნობდი", — წერს იგი. უნგერნ-შტერნბერგი წარმოშობით ბალტიისპირელი იყო. იგი „ატამანი კი არ გახლდათ, არამედ მეფის ცხენოსანთა ოფიცერი". ბარონი თავის სანუკვარ ოცნებებს ზოგჯერ ბატონ დვინგერსაც უზიარებდა ხოლმე. „მე ახალი ჩინგისხანი ვიქნები, — მეუბნებოდა იგი. — ისევე მოვიქცევი, როგორც ის იქცეოდა". ანუ „როცა პირადად იგი რუსეთში შეიჭრებოდა... ჩინგისხანის შთამომავალნი გაიღვიძებდნენ... და ბუდას მეფობა წყნარი ოკეანიდან პოლონეთამდე გავრცელდებოდა". როგორც ვხედავთ, ბარონი მართლაც ახირებული კაცი ყოფილა. ბუდაცა და ქრისტეც მისთვის ერთი იყო. ხოლო გლეხთა ქონების გადაწვისადმი მიდრეკილების გამო შეიძლებოდა ცეცხლთაყვანისმცემლადაც კი ჩაგვეთვალა. მისთვის მთავარი იყო, რუსეთში მეფე ყოფილიყო, რაც შეეხებოდა დანარჩენს, ყველაფერი შემდეგ თავისთავად მოგვარდებოდა.

მაგრამ ცნობილ „კიახტის ბრძოლაში" წითლებმა გაფანტეს მისტიკაზე ნახევრად შეშლილი ბარონის მხედრობა, რის გამოც რუსეთის გარდაქმნა ბუდას სამეფოდ, რომლის სათავეშიც მართლმადიდებელი კვერთხის მფლობელი მმართველი იდგებოდა, ვერ მოხერხდა. ასეთი პერსპექტივის ნიშანწყალიც კი არ ჩანდა. თავად ანტისაბჭოური „რომანტიკის" საფუძველიც გაქრა. ბატონი დვინგერი წუხს, რომ „თუმცა კაზაკობის ზოგიერთი ატრიბუტი სსრ კავშირში დაშვებულია — კონცერტებზე, მაგალითად, შეიძლება ტრადიციულ კოსტიუმებში გამოწყობილი სოფლელი კაზაკების ჯგუფის ნახვა, — მაგრამ კაზაკური თავისუფლება გაუქმდა, კაზაკები ჩვეულებრივი საბჭოთა ადამიანები გახდნენ, მათი რომანტიკა გაქრა..." [13].

ასე დამწუხრებული იყვნენ არა მარტო ატამანების ჭირისუფალნი, არამედ თავად ატამანებიცა და მეფის მღვდელმსახურნიც...

თეთრების ჯარის ნარჩენებთან ერთად საზღვარგარეთ გაქცეულმა ეკლესიის მსახურებმა ჯერ კიდევ 1921 წელს იუგოსლავიის ქალაქ სრემსკი კარლოვცში, თავიანთ მონასტერში, რუსეთში მონარქიის აღდგენისათვის „მებრძოლად“ გამოაცხადეს თავი და ანტისაბჭოური აქციების სერიები გააჩაღეს. 1922 წელს გენუეზის კონფერენციისადმი მიმართულ კლერიკალ-მონარქისტთა მოწოდებას რუსეთში ახალი ინტერვენციის დაწყების შესახებ, პირდაპირი კავშირი აქვს 1938 წელს მათ მიერ ჰიტლერისათვის გაგზავნილ ფარისეველურ წერილთან, ხოლო შემდეგ — 1943 წელს ვენაში გამართულ „არქიერთა თათბირთან“, რომლის მონაწილეებმაც ერთხელ კიდევ აღავლინეს ცად ნაცისტთა თავკაცის ლოცვა-კურთხევა და მას ცარიზმის აღდგენა დააფიცეს. ომის შემდეგ ამ მონარქიულმა ჯგუფებმა თავიანთი ცენტრი მიუნხენიდან ნიუ-იორკში გადაიტანეს. მათი წრიდან გამოვიდნენ: არქიეპისკოპოსი ანტონ ჟენევსკი, რომელიც 1968 წლის ივლისში სათავეში ედგა ბრიუსელში გამართულ ნიკოლოზ II ხსოვნის საზეიმო „საიუბილეო“ ცერემონიალს; არქიეპისკოპოსი იოანე სან-ფრანცისკოელი (იგივე თავადი შახოვსკი) — ფაშისტურ-თეთრგვარდიული რაზმების ყოფილი მოძღვარი ესპანეთში 1936—1938 წლებში, ვლადიმირის მართლმადიდებლური ეკლესიის ყოფილი წინამძღვარი ბერლინში 1939—1944 წლებში, ჰიტლერის სადიდებელი ქადაგებების ავტორი ომის წლებში; მეფის ყოფილი როტმისტრი კრაბე და მღვდელ-დეკანოზი გიორგი გრაბე, 1963 წელს ნიუ-იორკში ავანტიურისტ მიხეილ გოლენევსკისათვის უკანასკნელი მეფის ვაჟიშვილის ალექსანდრე რომანოვის სახელის მიკუთვნების თაღლითური მაქინაციის ორგანიზატორები [14].

შორეთიდან გამოწვდილი ხელებით ლოცავდა გრაბესა და კრაბეს ორივე უავგუსტოესი მოჩვენება — პოტსდამელიცა და ცარსკოსელოელიც. განსაკუთრებით პირველი: ზუსტად ისე, როგორც მან წარმოსახა საკუთარი თავი ვ. ა. სუხომლინოვისადმი გაგზავნილ წერილში.

ო, ყოფილი მეფის წმინდა აჩრდილო! იგი აღიზიანებდა დოორნელი ლტოლვილის მეხსიერებას. იგი დღესაც აღიზიანებს ნიკოლოზ II დასავლეთელ პატივისმცემელთა წარმოდგენას.

3

უავგუსტოესის ქრონიკის სათავესთან

თანამდებობის დაკავება

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ოცდაექვსი წლისა ავიდა ტახტზე. იგი ანგარიშით მეჩვიდმეტე მეფე იყო რომანოვების დინასტიიდან (მათ მიერ მოსკოვის დაარსების შემდეგ). ნიკოლოზმა ხელისუფლების სათავეში ოცდასამი წელიწადი დაჰყო. ისტორიამ დასცინა მას და წილად არგუნა 1913 წლის 21 თებერვალს, ზუსტად მისი დამხობის წინ, რომანოვების დინასტიის 300 წლისთავი ედღესასწაულა.

მასზე განაწყენებული ზოგიერთი მისივე თანაშემწის მოსაზრების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ იგი ამ კრახის არც ერთადერთი და არც მთავარი მიზეზი არ ყოფილა. მაგრამ ჭეშმარიტად ამ კრახის ისტორიაში მან თავისი გარკვეული წვლილი შეიტანა.

იმ ჩვიდმეტი რომანოვიდან, რომლებსაც სამეფო ტახტი ნიკოლოზ II-მდე ეკავათ, ბევრი ბუნებრივი სიკვდილით არ მომკვდარა. მამამისი — ალექსანდრე III — ხარკოვთან მომხდარი სარკინიგზო ავარიის დროს მიღებული დაუეჟილობისა თუ მაგარი სასმელების უზომოდ ყლურწვის შედეგად შეყრილი ნეფრიტის გამო გარდაიცვალა შედარებით ახალგაზრდა (49 წლის). ხასიათის ზოგიერთი თავისებურება ნიკოლოზ II მამისაგან ჰქონდა მემკვიდრეობით მიღებული — მაგალითად, დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე, თავმოთნეობა, მოვლენათა განჭვრეტის ნაკლები უნარი. ყოველივე ამან, მისივე თანამედროვის სიტყვებით რომ ვთქვათ, გააორკეცეს „ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის სულიერ სიღრმეში მიმალული სხვისი განცდებისადმი მკაცრი და გულგრილი დამოკიდებულება, რაც საერთოდ ესოდენ დამახასიათებელი იყო რომანოვების მოდგმისათვის“ [1]. ზოგიერთი რამ დედისაგან, დანიელი პრინცესა დაგმარასაგან ჰქონდა გამოყოლილი: გულჩახვეულობა, საძულველი ადამიანებისადმი თავაზი-

ანი, კეთილსასურველი, ზოგჯერ თითქმის მოსიყვარულე თვალებით მზერის უნარიც კი.

ცხრა წლის იყო ტახტის მემკვიდრე, როცა მისთვის საგანგებოდ ორგანიზებულ საშინაო სწავლა-განათლებას შეუდგა. პედაგოგიურ კოლეგიაში შედიოდნენ ნ. ხ. ბუნგე, გ. ა. ლეერი, ო. ე. შტუბენდორფი, ა. ვ. პუზირევსკი, ე. ე. ზამისლოვსკი, ნ. ნ. ბეკეტოვი, ც. ა. კიუი, აგრეთვე გენერალი გ. გ. დანილოვიჩი. ადრე დანილოვიჩი ქვეითთა სამხედრო სასწავლებლის უფროსი ყოფილა. სასწავლებლის დათვალიერებისას იგი ალექსანდრე III მოსწონებია და „უფლისწულ ნიკოლოზის სამოსწავლო საქმის გამგედ“ დაუნიშნავს (კ. პ. პობედონოსცევისათვის კი საერთო ხელმძღვანელობა დაუვალებია).

თორმეტ წელიწადს შრომობდა ეს კოლეგია უფლისწულის ინტელექტისა და გემოვნების განვითარებისათვის და შემდეგ მეცამეტე წელიწადიც დაემატა. მთავარი საგანი იყო: დოგმა თვითმპყრობელობის ღვთაებრივი წარმოშობის, მეფის ხელისუფლების შეუზღუდველობისა და ხელშეუხებლობის შესახებ, რასაც უფლისწულს პობედონოსცევი ასწავლიდა. შვილის ამგვარ სწავლა-აღზრდაზე მითითებებს იძლეოდა ალექსანდრე III, მძიმე ხასიათისა და ნაკლებად განათლებული ადამიანი, რომლის გარდაცვალების შემდეგაც იმპერატრიცა ჭკუის დარიგების მიზნით თავის პირმშოს ეუბნებოდა ხოლმე: „არც განათლება ჰქონდა და არც კითხვა უყვარდა, მაგრამ, ნახე, ხალხში მაინც გამოვიდაო“.

თუ კლასიკური ენების (ლათინურისა და ძველი ბერძნულის) პროგრამიდან ამოღებას, ხოლო ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენების, აგრეთვე ეგრეთ წოდებულ პოლიტიკურ ისტორიაში გაძლიერებულ მეცადინეობას მხედველობაში არ მივიღებთ, შეიძლება ითქვას, რომ პირველ რვა წელიწადს ტახტის მემკვიდრე გიმნაზიის ნორმალურ კურსს გადიოდა. უკანასკნელი ხუთი წელიწადი კი „უმაღლეს მეცნიერებებს“ — სამხედრო საგნების: სტრატეგიისა და ტაქტიკის, ტოპოგრაფიისა და გეოდეზიის სწავლებას დაეთმო. ლეერი უკითხავდა მას ომების ისტორიას, ბეკეტოვი ასწავლიდა ქიმიას, კიუი — ფორტიფიკაციას, შტუბენდორფი — ტოპოგრაფიას, ბუნგე — სტატისტიკასა და პოლიტიკურ ეკონომიას. პობედონოსცევის სკოლაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა მისტერ ჰიტს, ანუ კარლ ოსიპის ძეს, როგორც სასახლეში ეძახდნენ, ფაქტიურად არა

როგორც მასწავლებელს, არამედ როგორც გუვერნანტს. მან ადრეულ ასაკში ჩაუნერგა თავის აღსაზრდელს რუსულის მაგივრად ინგლისური ენით სარგებლობის ჩვევა, რის გამოც ნიკოლოზს ინგლისური უფრო ეხერხებოდა, ვიდრე რუსული. ამიტომაც მისი საუბარი მშობლიურ ენაზე ხშირად ინგლისურიდან თარგმანს ემსგავსებოდა.

ყველა საგნის პროფესორს მოწაფისათვის შეკითხვის მიცემა აკრძალული ჰქონდა, ამ უკანასკნელს კი თავად შეკითხვების მიცემა არ სურდა. ამიტომაც მის მიერ მეცნიერებათა ათვისების დონე ბოლომდე გაურკვეველი დარჩა. კლასგარეულ უნდა გაევლო აგრეთვე შემეცნებითი პრაქტიკა. ამგვარი სწავლა უფლისწულს უფრო მეტად მოსწონდა და დიდხანსაც გრძელდებოდა. რამდენიმე საბანაკო პერიოდი მან დედაქალაქის ახლოს განლაგებულ (უმეტესად წითელ სოფელთან) ჯარებში გაატარა: ორი ზაფხული პრეობრაჟენსკის პოლკში მსახურობდა ჯერ სუბალტერნ-ოფიცრად, შემდეგ კი ასეულის მეთაურად; ორი სეზონი დაჰყო აგრეთვე ჰუსართა პოლკში ჯერ ოცეულის მეთაურად, ხოლო შემდეგ — ესკადრილიისა. ერთი ზაფხული იმყოფებოდა საარტილერიო ნაწილების განლაგებებში. საბოლოოდ მან პოლკოვნიკის ჩინსა და ბატალიონის მეთაურობას მიაღწია.

განათლების მიღება რომ დაასრულა, მამამ მის განკარგულებაში გამოჰყო ბალტიისპირული კრეისერი და შორეულ აღმოსავლეთში მოგზაურობის ნება მისცა. მრავალი თვე დაცურავდა ნიკოლოზი ზღვებსა და ოკეანეებში, შთაბეჭდილებებით მდიდრდებოდა. ეს ტურნე იაპონიაში მასზე თავდასხმით დამთავრდა.

1894 წლის შემოდგომისათვის, როცა ალექსანდრე III მძიმედ დაავადდა, მსოფლიოსა და რუსეთის წინაშე წარსდგა მისი მემკვიდრე — ძალზე ინგლიზირებული ახალგაზრდა კაცი, გარეგნულად უაღრესად მორიდებული და მორცხვი, თავაზიანი მანერების მქონე, რომელიც ინგლისურად სხაპასხუპით, რუსულად კი რამდენადმე გაჭირვებით ლაპარაკობდა (თანაც უცნაური, ეგრეთ წოდებული, გვარდიული აქცენტით). მისი განვითარების საერთო დონე საშუალო განათლების მქონე ჰუსართა ოფიცრისას არ აღემატებოდა.

იმათი აზრები, ვისაც შეეძლო ახლოდან ედევნებინა თვალი ნიკოლოზისათვის, ერთმანეთისაგან საკმარისად განსხვავდებოდა. ერთნი ამბობდნენ: ნამდვილი იუნკერიაო. მეორენი: საშუალო რანგის ჰრაპორშჩიკიაო. მესამენი: პავლე I ახალი ვარიანტიაო. მეოთხენი ახა-

სიათებდნენ როგორც ზრდილ, მაგრამ ამასთანავე საშიშ ორპირა ახალგაზრდა კაცს, რომელსაც დიდი წარმოდგენა ჰქონდა საკუთარ თავზე.

საგარეო საქმეთა მინისტრ ი. ნ. დურნოვს ერთხელ ვიტესთვის უკითხავს, როგორი აზრის იყო ახალგაზრდა მეფეზე. ვიტეს გადაუცია თავისი აზრი, რომ ნიკოლოზი „სრულიადაც არ არის გამოცდილი, თუმცა არც სულელია". ამასთან „მეტად კარგად აღზრდილი ახალგაზრდა კაცის" შთაბეჭდილებას ტოვებსო. ამაზე დურნოვს უპასუხია: „თქვენ ცდებით, სერგეი იულევიჩ, აი, გამიხსენებთ, თუ იგი პავლე პეტროვიჩის განსახიერება არ იყოს, ოღონდ ამდროინდელ თანამედროვეობასთან შეხამებული..." რა თქმა უნდა, შენიშნავს მემუარების ავტორი, ნიკოლოზ II მთლად პავლე I არ არის, მაგრამ მას ამ უკანასკნელისაგან ბევრი რამ აქვს გამოყოლილი, აგრეთვე ალექსანდრე I-საც, კერძოდ, მისტიციზმი, გაიძვერობა და ვერაგობა... თუმცა მას არ გააჩნია ალექსანდრე I განათლება. იგი „ერთ-ერთი უგანათლებულესი რუსი ადამიანი იყო", ნიკოლოზს კი „კარგ ოჯახში აღზრდილი გვარდიის პოლკოვნიკის საშუალო განათლება აქვს" [2].

ალექსანდრე III ლივადიის სასახლის ტერასაზე სავარძელში კვდებოდა. გაზეთმა „იალტამ" იმ დღეს ხუთი ექიმის მიერ ხელმოწერილი უკანასკნელი ბიულეტენი დაბეჭდა მისი ჯანმრთელობის შესახებ. დილით ადრე მან მარია თედორეს ასულს უთხრა: „აღსასრულის მოახლოებას ვგრძნობ". გარდაცვალებამდე ორი საათით ადრე მემკვიდრე დაიბარა და უბრძანა, იქვე, ტერასაზე, მოეწერა ხელი იმპერიის მოსახლეობისადმი მიმართულ მანიფესტზე სამეფო ტახტზე ასვლის შესახებ. მან უპასუხა: „ზუსტად ასე იქნება, მამიკო" — და თავისი აღზევების დოკუმენტი საკუთარი ავტოგრაფით განამტკიცა.

„უფალი ღმერთის მიერ გვაქვს ნაბოძები ჩვენს ხალხზე მეფობის ძალაუფლება, — ნათქვამი იყო მანიფესტში, — მის წინაშე ვაგებთ კიდევაც პასუხს რუსეთის სახელმწიფოს ბედზე". ვალდებულება გაუგებარი, მაგრამ ნიკოლოზისათვის მოსახერხებელი იყო. ოდესღაც მაინც მოუხდებოდა იქ, უზენაესის წინაშე, ანგარიშით წარდგომა, მაგრამ ვინ იცის, იქნებოდა კი რამე ანგარიშსაგები. ახლა კი ხელთ ჰქონდა ერთპიროვნული და განუსაზღვრელი ძალაუფლება, რომელიც თითქოს მთელს დედამიწაზე არავისთვის არ უნდა გაეყო და არც მისი გამოყენების შესახებ არავისთვის არაფერი არ უნდა მოეხსენებინა. პასუხისმგებლობისაგან სრული და ყოვლისმომცველი

თავისუფლების პოსტულატი იდეალურად უბრალო და მოხერხებული გახლდათ. მდგომარეობის ეს სარგებლიანობა ნიკოლოზმა საკუთარ ბით შეიგნო და შეაფასა.

მანიფესტი ასეთ შემთხვევაში ტრადიციულად მიღებულ კიდევ ორ ცნობას შეიცავდა: ა) ვინ იყო მისი ცოლი; ბ) ვინ იყო მისი მემკვიდრე. ორივე პუნქტზე პასუხს ერთი ფრაზა იძლეოდა: „...ვუბრძანებთ ყველა ჩვენს ქვეშევრდომს დადოს ერთგულების ფიცი ჩვენდამი და ჩვენი მემკვიდრის, დიდი მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძისადმი, რომელიც მემკვიდრე-უფლისწული იქნება და ასე მოიხსენიება მანამ, სანამ პრინცესა ალისა ჰესენ-დარმშტადტელთან ჩვენი მომავალი ქორწინების შედეგად ღმერთი ვაჟიშვილის დაბადების ლოცვა-კურთხევას არ მოისურვებს“ [3].

1899 წელს, გიორგის გარდაცვალების შემდეგ, ტახტის მემკვიდრეობა მეფის მეორე ძმას მიხეილს დარჩა. ეს უკანასკნელი ასე იწოდებოდა 1904 წლამდე, სანამ ალექსი არ დაიბადა.

ტერასაზე მომხდარი აქტი 1894 წლის 20 ოქტომბრით თარიღდება. ახალგაზრდა იმპერატორი თავდაპირველად რამდენადმე შემკრთალი და დაბნეული იყო, მაგრამ დედისა და საცოლის მოთხოვნით საკუთარი თავი მალე დათრგუნა; მათ შეახსენეს, რომ მისი ძალაუფლება მარტო შეუზღუდველი კი არ არის, არამედ წინასწარაა განსაზღვრული ზევიდან. სწორედ ამის შესახებ 13 წელიწადს ჩასჩიჩინებდა პობედონოსცევი. ერთხელ კი დედამისმა განუმარტა. „პაპაშენმა, — ასწავლიდა იგი შვილს, — ლიბერალობა განიზრახა და ამიტომ ბომბმა გაგლიჯა. მამაშენს კი არავითარი ლიბერალობა არ სწამდა და, მადლობა ღმერთს, როგორც კეთილი ქრისტიანი, ისე გარდაიცვალა“ *.

---

* ნიკოლოზ II დედა მარია თეოდორეს ასული (1847 — 1928) დანიის მეფის ქრისტიან IX ასული იყო. მისი ნამდვილი სახელი გახლდათ დაგმარა სოფია დოროთეა. კოპენჰაგენის გარეუბანში — ჰამპენბორგში გარდაიცვალა. რუსეთში ჩამოვიდა 1864 წელს. ტახტის მემკვიდრე ალექსანდრეს ცოლად გაჰყვა 1866 წელს. მისი და ალექსანდრა (ალექსანდრინა) იყო ინგლისის მეფის ედუარდ VII მეუღლე და დედა გიორგი V. აქედან მომდინარეობდა რუსეთისა და ინგლისის დინასტიების (ნიკოლოზ II და გიორგი V დეიდაშვილები იყვნენ) ახლო ნათესაური კავშირი. ალექსანდრას შვილიშვილად ერგებოდა (დისწულის შვილად) დანიის მეფე ფრედერიკ IX, რომელიც 1972 წელს გარდაიცვალა. დანიის დედოფალი მარგრეტე II მარია თეოდორეს ასულის შვილიშვილის შვილი (დისწულის შვილიშვილი) იყო.

მამის სიკვდილიდან 10 დღის შემდეგ კრემლის დიდი სასახლის გეორგიევსკის დარბაზში გამართულ მაღალი წოდების წარმომადგენელთა პირველ მიღებაზე ახალი მეფე გამოჩნდა. დღიურის ჩანაწერი: „ამ დილით საშინელი ემოციები მაქვს". მეფეს შეკრებილთათვის უნდა შეეხსენებინა, რომ ძალაუფლება მინიჭებული ჰქონდა ღმერთის მიერ და ამიტომ შეურყეველი იყო; მაგრამ ორატორს შიშისაგან თვალთ უბნელდებოდა. დღიურში შვებით არის აღნიშნული. „მადლობა ღმერთს, ყველაფერი კეთილად დამთავრდა" [4].

მაგრამ შემდგომი ცერემონია, რომელიც პეტერბურგში, ანიჩკოვის სასახლეში გაიმართა (1895 წლის 17 იანვარს), ასე კეთილად არ დამთავრებულა. დიდ დარბაზში შეიკრიბნენ თავადაზნაურობის, ერობისა და ქალაქების დეპუტაციები. ნიკოლოზს აქაც უნდა ეთქვა რამე. პობედონოსცევმა მოუმზადა სიტყვა, რომელიც ტვერის ერობის ლიბერალური ჯგუფის ბურჟუაზიულ თავისუფლებებზე მეოცნებეთ მკვახე პასუხს აძლევდა. მსხვილი ასოებით დაწერილი ტექსტი ორატორს ფაფახში ედო. დღის 2 საათზე იგი მეფისათვის განკუთვნილ შემაღლებულ ადგილზე დადგა, დარბაზს თვალი მოავლო და დამსწრეთ სიტყვით მიმართა. „მე აშკარად ვხედავდი, — ჰყვებოდა შემდეგ ერობის ერთ-ერთი მოღვაწეთაგანი, — როგორ ხრიდა თვალებს ძირს, ქუდისაკენ, ყოველი ფრაზის წარმოთქმის შემდეგ, როგორც ამას სკოლაში ვაკეთებდით ხოლმე, როცა გაკვეთილი კარგად არ ვიცოდით" [5]. ორატორმა ალმაცერად ჩაიხედა ქუდში და წარმოთქვა: „ჩემთვის ცნობილია, რომ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთ საერობო კრებაზე გაისმოდა შინა მმართველობის საქმეებში ერობათა წარმომადგენლების მონაწილეობაზე უაზრო ოცნებებით გატაცებულ ადამიანთა ხმა". შპარგალკაში „უნიადაგო" ეწერა, ახალგაზრდა მეფემ კი მის ნაცვლად „უაზრო" წარმოთქვა, რამაც ეს სიტყვა „ისტორიული" გახადა. ვინაიდან ნიკოლოზი ხმამაღლა ლაპარაკობდა, მისმა მეუღლემ, რომელმაც იმ დროისათვის რუსული ჯერ კიდევ კარგად არ იცოდა, გვერდით მდგარ ფრეილინას შეშფოთებით ჰკითხა: „ხომ არაფერი მოხდა? რატომ ყვირის ეგი?" ფრეილინამ უპასუხა: „იგი მათ განუმარტავს, რომ სულელები არიან" [6]. ეს სიტყვები მან ისე მკაფიოდ და ხმამაღლა წარმოთქვა ფრანგულად, რომ დეპუტაციებმა გაიგონეს.

ახალგაზრდა იმპერატორი ახლა იმავე ანიჩკოვის სასახლეში მოწვეულ სახელმწიფო საბჭოს წევრების წინაშე წარსდგა. რაოდენ გა-

ოცდნენ ისინი, წერდა უცხოელი მეთვალთვალე, როცა მათ „ინფანტილური სიმსუბუქე, ფრატუნით სიარული, წარბებს ქვემოდან გამოხედვა და სპაზმატური ჟესტები იხილეს... ჭაბუკმა ძლივს გაიღწია ოთახში, სადაც მას გაჭაღარავებული დიდებულები უცდიდნენ. თვალები დახარა და ძლივძლივობით წარმოთქვა ერთადერთი ფრაზა: „ბატონებო, გარდაცვლილი მამაჩემის სახელით თქვენ მიერ გაწეული სამსახურისათვის მადლობას მოგახსენებთ“. ცოტა ხანს შეყოვნდა, თითქოს კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ვერ გაბედა. შებრუნდა და ოთახიდან გავიდა. იქ მყოფთ ერთმანეთს გადახედეს, „ზოგმა — გაკვირვებით, ზოგმაც — სიმწრით. ბევრმა კი უჩუმრად ზეცას ახედა ლოცვა-ვედრებით ერის ბედის გამო“. ახალგაზრდა მეფე „ისე მოვიდა და წავიდა, თითქოს ქარმა დაბერა ქვიშნარ უდაბნოშიო, მათ კი ისღა დარჩენოდათ, რომ გაუგებრობისა და გაოცებისაგან თვალები მოეფშვნიტათ“ [7].

არაჩვეულებრივად ჩვეულებრივი

იგი მამისეულ ზამთრის კაბინეტში წაუკითხავი ქაღალდებით დახვავებულ მაგიდასთან ზის. მოქმედებას იწყებს საგანმკარგულებლო და საჩოლვაწეო მექანიზმი, რომელმაც თითქმის საუკუნის მეოთხედი უნდა იმუშაოს. აქ იგი თავს უჩვეულოდ, უხერხულად გრძნობს. თითქოს ცოტა შეშინებულიცაა. როცა თავგასული ახოვანი ბიძები კაბინეტში ერთბაშად შედიან და ხმაურით სხდებიან, იგი სავარძელში ცდუკავს *. სანამ მაგიდასთან მორიგე ოფიცერი დგას, ნიკოლოზს კიდევ შეუძლია ბიძებს რაღაც საფუძვლიანი უთხრას და ისინიც ნათქვამს პატივისცემით იღებენ, მაგრამ საკმარისია უცხო პირი გავიდეს და კარი გაიხუროს, რომ ვლადიმერი ანდა სერგეი ვეება ბუშტს მაგიდას დასცხებს და ახალბედა თვითმპყრობელიც სავარძლის სილრმეში მიიკუნტება. გაივლის ცოტა ხანი, მეფე ყველაფერში გაერკვევა და მაშინ ისინი დაშოშმინდებიან, შეეცდებიან კაბინეტში წყნარად მოიქცნენ, თორემ ვაითუ კარს უკან აღმოჩნდნენ.

---

* მხედველობაშია ალექსანდრე III ძმები: ვლადიმერი (გარდაიცვალა 1909 წელს), ალექსი (გარდაიცვალა 1908 წელს), სერგეი (ყალიაევმა მოკლა 1905 წელს), პავლე (დახვრიტეს 1919 წელს პეტრე-პავლეს ციხესიმაგრეში).

ფიზიკურად იგი ძლიერი და მოქნილია — ორჩხომელებითა და ველოსიპედებით სრბოლაში, დოღსა, ფეხით სიარულსა და იარაღის სროლაში კარგად არის გაწვრთნილი (ჯარისკაცისათვის განკუთვნილ 10—15 ვერსს გადიოდა ხოლმე წითელი სოფლის გაღმა და ლივადიის რაიონში. ა. ჰ. ჩეხოვი მაშინ თავის შთაბეჭდილებებს შემდეგნაირად გვიზიარებდა: „მართალი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი ავადმყოფი, უჭკუო და ბრაზიანია. უბრალოდ ჩვეულებრივი გვარდიელი ოფიცერია. მე იგი ყირიმში ვნახე. ჯანსაღი შეხედულება აქვს, მხოლოდ ცოტა ფერმკრთალია“) [8].

კაცს, რომელსაც გონებრივი ჰორიზონტი და წარმოსახვის უნარი არ გააჩნდა, ბოლოდ წვრილმანი, ისიც უმეტესად პირადული ინტერესებიდან გამომდინარე მისწრაფებანი ჰქონდა. იმპერია სამართალად ისე მიიღო, როგორც ჩინოვნიკი კანტორაში რაიმე თანამდებობას ღებულობს ხოლმე. სამსახურში მოდის 9 საათსა და 30 წუთზე, საქმეს ამთავრებს 2 საათზე. მართავს აუდიენციებს, იძახებს თავისთან მინისტრებს, ისმენს მოხსენებებს, ზოგჯერ თავმჯდომარეობს თათბირზე.

ზოგვიანებით როძიანკო თავის თანამშრომლებთან ჩიოდა, რომ მეფე საუბარში „სიტყვაძვირია“, უმეტეს შემთხვევაში „თავიდან იშორებს მათ დუმილით“, შეკითხვებზე პასუხს არ იძლევა: მასთან შეხვედრა თავისებური წამებაა, რადგანაც ეს დაკავშირებულია აუცილებლობასთან „ილაპარაკო ყოველგვარი გამოხმაურების გარეშე“. იმისათვის, რომ იგი გამოეცოცხლებინა, ყურადღება მიეპყრო, როძიანკო ლაპარაკის დროს მას თვალებით ჭამდა; მაგრამ იგი მაინც კვლავინდებურად გულგრილად იყურებოდა განზე, მისი სახის გამომეტყველება „არაფერს გამოხატავდა“. და მაინც, სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი თავმჯდომარის დაკვირვებით, ეს დუმილი გულცივი როდი იყო. თუ საუბრისას „რაიმე მას შეეხებოდა“, პირადად ააშკარავებდა და უშუალოდ მასთან იყო დაკავშირებული, უმალ გარდაიქმნებოდა ხოლმე, „თვალები აენთებოდა, წამოხტებოდა და ოთახში ბოლთას სცემდა“. ასეთ შემთხვევაში როძიანკო ფეხდაფეხ დასდევდა კაბინეტში და ცდილობდა სიარულის დროს „დაემტკიცებინა მისთვის ის, რისი მოსმენაც რამდენიმე წუთის წინ არ სურდა“ [9].

ნიკოლოზს არასოდეს ჰყოლია არც მდივანი (პირადი ანდა სახელმწიფო), არც რომელიმე საკაბინეტო თანაშემწე საქმეების საწარმო-

ებლად და ქაღალდების საზედამხედველოდ. ამ საქმეს მარტო მორიგე ოფიცერს ანდა ფლიგელ-ადიუტანტს ანდობდა.

უამრავ ქაღალდს კითხულობდა. კითხულობდა საღამოობითაც, ვიდრე არ გამოთაყვანდებოდა ხოლმე. ამ მოვალეობას იგი ყველაზე მოსაწყენად თვლიდა და თავიდანვე უმძიმდა მისი შესრულება. ათვალიერებდა მისთვის წარდგენილ დოკუმენტებს და ცდილობდა, რაც შეიძლება მალე დაეღწია თავი მათთვის. დღიურში ასახულია ის მძიმე, სასოწარკვეთილი ბრძოლა ქაღალდებთან, რომელსაც მეფე პირველი ნაბიჯების გადადგმიდანვე შეუდგა. „სადილობამდე ვკითხულობდი, რათა ჩავწვდომოდი სახელმწიფო საბჭოს ანგარიშს...". „ბევრის წაკითხვა მომიხდა; მხოლოდ ის მამშვიდებს, რომ მინისტრთა საბჭოს სხდომები დამთავრდა..."; „სამხედრო სამინისტროს ანგარიშის წაკითხვა საღამოს დავამთავრე — ეს სპილო, ასე თუ ისე, მაინც დავძლიე...". ერთ დღეს მინისტრების სამი მოხსენების მოსმენის შემდეგ ნიკოლოზს დღიურში ჩაუწერია: „გამოშტერებული გამოვედი, მინდოდა ცოტა გამევლო" [10].

მარტო ქაღალდების წაკითხვა საკმარისი არ იყო. უნდა დაენახათ კიდეც, რომ წაიკითხა. მართალია, მას უფროსი არ ჰყავდა და არც არავისი შიში ჰქონდა, მაგრამ მაინც ეუხერხულებოდა, რომ ხელქვეითებს არაფერი სცოდნოდათ, რას ფიქრობდა იგი ამა თუ იმ დოკუმენტის თაობაზე. ამიტომ აჭრელებდა ხოლმე დოკუმენტებს მონიშვნებითა და რეზოლუციებით. პაკეტები ბევრი მოჰქონდათ, მისი აზრი და სიტყვა ყველას ხომ ვერ გასწვდებოდა. მაშინ იგი ტრაფარეტებს იშველიებდა, მაგრამ მათ შორის იმპროვიზაცია მაინც იპარებოდა ხოლმე.

მოხსენებას ერობის უფროსების ბოროტმოქმედებათა შესახებ, აწერია: „ო ჯ ა ხ ი უ გ ო ნ ჯ ო დ ა რ ა რ ი ს".

მოხსენებას ქერჩის ნავსადგურში მომხდარ უწესრიგობათა შესახებ — „ც ხ რ ა ძ ი ძ ი ს ხ ე ლ ში ბ ა ვ შ ვ ი შ ი მ შ ი ლ ი თ მ ო კ ვ დ ა ო".

ცნობას, რომ არყის გაყიდვის შედეგად ხაზინაში 8 მილიონი მანეთი შემოვიდა — „ნ უ თ უ!"

მოხსენებას პეტერჰოფ — პეტერბურგის უბანზე რკინიგზელთა გაფიცვის შესახებ — „მ ი დ ი დ ა გ ა დ ა ც უ რ ე".

ცნობას ოდესაში მომხდარი გაფიცვის შესახებ — „ნ ე ტ ა რ ი დ რ ო ე ბ ა ა".

ამ წარწერების მიუხედავად, იგი იუმორის გრძნობას მოკლებული იყო. ამას მოწმობს 1897 წელს სრულიად რუსეთის მოსახლეობის აღწერის დროს შედგენილი მისი საანკეტო ფურცელი. კითხვაზე, თუ რომელ წოდებას ეკუთვნოდა, მეფეს უპასუხია: „პირველი მთავარი". გრაფაში „საქმიანობის სახეობა" ჩაწერა: „რუსეთის მიწების ბატონ-პატრონი".

რამდენადაც ბანალური იყო ოფიციალურ დოკუმენტებზე დადებული მისი რეზოლუციები, იმდენად უფერული და ორიგინალობას მოკლებულია მისი პირადი დღიურები. მათი გარეგნული მხარე: პედანტური სწორი ნაწერი, მძიმებივით ასხმული სიტყვები, გულდასმით გამოყვანილი ორნამენტული ხვეული ასოები — ყოველივე ეს მეტყველებს, რომ აქ ვერ შეხვდებით ვერც თავისებურ აზრს, ვერც ინდივიდუალურ გამოთქმას. რამდენადაც თანაბარი და ერთფეროვანია სტრიქონები, იმდენად თანაბარი და ერთფეროვანია მათი აზრი, უდაბნოს სიცარიელე და ერთსახეობა იგრძნობა. მეფობის პირველი დღეები აღსავსე იყო შემაძრწუნებელი ამბებით, მაგრამ დღიურში გამოხმაურება ვერ პოვა საზოგადოებრივმა აზრმა ანდა მოვლენებმა. მასში არ იხსენიება იმ ეპოქის არც ერთი მნიშვნელოვანი პირი: მწერალი, მოაზროვნე, საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ლიდერი. არაფერია ნათქვამი მისი მუშაობის შინაარსის ანდა აზრის შესახებ. ფიქსირებულია მხოლოდ უაღრესად პირადი და წვრილმანი საყოფაცხოვრებო ამბები: სადილობა, ჩაის სმა, გასეირნება (ამასთან, რამდენი ყვავი მოკლეს), საღამოს წვეულებანი, ახალი შპალერებისა და სავარძლების ფერები, სტუმრების მოსვლა ანდა სტუმრად წასვლა. იშვიათი გულმოდგინებით არის რეგისტრირებული ყოველდღიური ამინდი: წვიმა, თოვლი, ყინვა, ქარი, მზისგული, ხვატი, აღნიშნულია ბარომეტრის ისრის მდგომარეობა.

ნიკოლოზი ჩვეულებრივ ოფიცრის ფორმას ატარებდა, მაგრამ ზოგჯერ მნახველებს აოცებდა ნაირ-ნაირი ეგზოტიკური ჩაცმულობით. ხან ქამარ-ხანჯალსა და ჩოხას ატარებდა, ხან ჟოლოსფერი, გვერდზე საყელოჩახსნილი, ზვმოდან ქამარშემორტყმული ხალათითა და გარმონივით ჩაკეცილ ჩექმებში ჩატანებული განიერი შარვლით გამოდიოდა მინისტრებთან. დეპუტაციების წინაშე, ბანკეტებზე უმეტეს შემთხვევაში მოკლე სიტყვების წარმოთქმა იცოდა; ერთად თუ განვიხილავთ, უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებენ: იქამდეც კი, რომ ხელისუფლება ერთხელ იძულებული გახდა დაეცვა მეფის ღირსება:

პოლიციამ 1894—1906 წლების „იმპერატორ ნიკოლოზ II სიტყვების სრული კრებულის“ კონფისკაცია მოახდინა, რომელიც „პრავიტელსტვენი ვესტნიკის“ ოფიციალური მონაცემებით წიგნის გამომცემლობა „დრუგ ნაროდას“ მიერ იყო შედგენილი [11].

ნიკოლოზი თავს ინტელიგენტ კაცად თვლიდა, მაგრამ სიტყვა „ინტელიგენტს“ ვერ იტანდა. როცა ერთხელ მის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე (დასავლეთის გუბერნიებში მოგზაურობისას) ვიღაცამ მაგიდასთან სიტყვა „ინტელიგენტი“ წარმოთქვა, ნიკოლოზი მისკენ მიბრუნდა და უთხრა: „რომ იცოდეთ, როგორ მძაგს ეგ სიტყვა“. თანაც დასძინა: მეცნიერებათა აკადემიას ვუბრძანებ განდევნოს აღნიშნული სიტყვა რუსული ენიდანო. ამ ეპიზოდის მოწმე იყო თავადი სვიატოპოლკ-მირსკი, მაშინ გენერალ-გუბერნატორი, მოგვიანებით შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც მოგზაურობის დროს თან ახლდა მეფეს [12].

კითხულობდა გაზეთებს „ნოვოე ვრემიასა“ და „გრაჟდანინს“, გორბუნოვის, ლეიკინის, ავერჩენკოს, ტეფის მსუბუქი, მხიარული მოთხრობების კრებულებს, რომლებიც ილუსტრირებული იყო სურათებითა და კარიკატურებით; ტოლსტოის, ტურგენევის, ლესკოვის, სალტიკოვ-შჩედრინის ნაწარმოებებს კი მრავალი წლის შემდეგ, ტობოლსკში გადასახლებისას გაეცნო.

ერთხელ მან გორბუნოვი სასახლეში მიიწვია ოჯახის წევრებისათვის მოთხრობების წასაკითხად; ამგვარი კითხვა „ძალზე გასართობად“ ეჩვენა. მსგავსი მიწვევა გაუგზავნა არკადი ავერჩენკოს, მაგრამ მან სტუმრობას თავი აარიდა.

ყოველდღიური, სახელმწიფოებრივი საქმიანობის შემდეგ ნიკოლოზს უყვარდა ალბომებში ფოტოსურათების ჩაწებება, დომინოს თამაში, შეშის ხერხვა. სიამოვნებდა აგრეთვე ერთი სასახლიდან მეორეში გადაბარგება: ზამთრის სასახლიდან — პეტერჰოფის დიდ სასახლეში, პეტერჰოფიდან — პავლოვსკისაში, პავლოვსკიდან — ცარსკოეში, ცარსკოედან — ლივადიაში, ლივადიიდან — ანიჩკოვოში; ასეთ შემთხვევებში სამეურნეო საქმეებზე პირადად ზრუნავდა, საკუთარი ხელით ალაგებდა ჩემოდნებს, თავად აღწერდა ინვენტარს, რათა არაფერი დაკარგულიყო; ახალ ადგილზე თვითონ ხსნიდა ჩემოდნებს, თვითონვე კიდებდა კედლებზე სურათებსა და ხატებს, მისი გემოვნებით განალაგებდნენ სავარძლებსა და ტახტებს.

თავს პროფესიონალ სამხედრო პირად თვლიდა (თუმცა წოდებით

უკმაყოფილო იყო: ერთხელ როგორღაც ცოლს შესჩივლა, პოლკოვნიკის ჩინში გავიყინეო, არადა ტახტზე ასვლის შემდეგ ჩინის მომატება არ შეიძლებოდა). უყვარდა ჯარების დათვალიერება და პარადები, ზოგჯერ ესწრებოდა საპოლკო დღესასწაულებს. გამეფებისთანავე ერთ-ერთ უპირველეს სახელმწიფოებრივ პრობლემად მიიჩნია არმიის უნიფორმის, განსაკუთრებით კი ღილების საკითხი. რითი უნდა იკვრებოდეს ბაბარა, კიტელი და გიმნასტური — ღილებითა თუ კავებით? მეუღლის ჩარევის შედეგად კონსულტაციებში მონაწილეობს მისი პოტსდამელი ბიძაშვილი, რომელმაც 1897 წლის 16 აგვისტოს შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა: „ნიკი, ნუთუ მართლა აპირებ ღილებზე გადასვლას? კარგად მოიფიქრე. როგორც საჭიროა, ისე აწონ-დაწონე". დიახ, ყველაფერი აწონილი მაქვსო. უპასუხა ნოვატორს. საკითხი ღილების სასარგებლოდ გადაწყვეტილა. მაგრამ როგორი უნდა ყოფილიყო ღილი — მუქი თუ ღია? ჯანსაღი განსჯის შედეგად ეს თავსატეხი საკითხიც გადაწყვეტილა: ღილი ღია ფერის უნდა ყოფილიყო, ბრეტყვიალა.

შპალერი — ჭრელი, წიგნები — მხიარული, ღილები კი ბრეტყვიალა. კი, მაგრამ მამის ძეგლი? მას უნდა შთაეგონებინა მნახველისათვის მოკრძალება უზენაესი ხელისუფლების მიუწვდომლობისადმი და იმავე დროს თრთოლვა ჩვეულებრივი პოლიციელის წინაშე. ამ მიუწვდომლობისა და ჩვეულებრივის განსახიერებას წარმოადგენდა თავად ნიკოლოზი. მისი თანამედროვის გამოთქმით, იგი მთლიანად უჩვეულოდ ჩვეულებრივი იყო.

ნიკოლოზის გემოვნებით, რაც მის ამ თვისებას შეესატყვისებოდა, პეტერბურგში, ზნამენსკის მოედანზე, აღმართეს კიდევაც ალექსანდრე III მონუმენტი, რომელიც სკულპტურული კარიკატურის ნიმუშს წარმოადგენდა. იგი იყო მამის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და შვილის სულიერ-ესთეტიკური დონის გამომხატველი ძეგლი.

თავისი განზრახვა — დაედგა მამისათვის ძეგლი, ნიკოლოზმა პირველად 1897 წელს გაანდო მინისტრებს. კონკურსი გამოცხადდა ექვსი წლის შემდეგ. ავტორები მონაწილეობდნენ ანონიმურად, პირობითი დევიზით. წარმოდგენილი პროექტების ექსპონირება ხდებოდა ზამთრის სასახლეში მოწყობილ დახურულ გამოფენაზე. დასათვალიერებლად შესვლის უფლება ჰქონდათ სამეფო გვარის წარმომადგენლებსა და ზოგიერთ დიდებულს. ნიკოლოზმა, დედის მხარდაჭერით, არჩევანი ერთ პროექტზე შეაჩერა, რომელიც მან საუკეთესოდ გამოაცხადა.

გახსნეს პაკეტი და წაიკითხეს ავტორის გვარი: პაოლო ტრუბეცკოი.

ავტორი ვიტესთან გამოიძახეს და შემდეგ მეფეს წარუდგინეს. გამოირკვა, რომ იგი იტალიაში დაბადებულა, 25 წლისაა, რუსეთში იმხანად ჩამოსულა, ასწავლიდა მოსკოვის სამხატვრო აკადემიაში; იყო რომში მცხოვრები გაღარიბებული თავადის ტრუბეცკოისა და იტალიელი ქალის უკანონო შვილი. მოსკოვის თავად-აზნაურთა წინამძღოლის პეტრე ნიკოლოზის ძე ტრუბეცკოის მიწვევით, მხატვარი, როგორც ნათესავი, მის სახლში დაბინავებულა. ვიტეს მოქანდაკე „გაუნათლებელ და ცუდად აღზრდილ, მაგრამ მხატვრის ნიჭით დიდად დაჯილდოებულ კაცად“ მიუჩნევია. ნიკოლოზსა და მარია თეოდორეს ასულს იგი „ძალიან მოეწონათ“.

პაოლო ტრუბეცკოის პროექტი დამტკიცდა. სამუშაოებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად შეიქმნა კომისია თავად ბ. ბ. გოლიცინის თავმჯდომარეობით, მხატვარ ა. ნ. ბენუასა (სხვა პირებთან ერთად) და გრაფ (ერთხანს განათლების მინისტრის) ი. ი. ტოლსტოის მონაწილეობით.

ნევის პროსპექტზე სპეციალურად მოწყობილ პავილიონში ტრუბეცკოი ენერგიულად, დაძაბულად, დიდი შემოქმედებითი გატაცებით შრომობდა. თავის თავისადმი მომთხოვნი იყო — გაკეთებული რამდენჯერმე გადაუკეთებია. კომისიას არ სცნობდა, გოლიცინთან ჭირვეულობდა, მითითებებს არ ემორჩილებოდა.

ნაწარმოების არსს ვერც ნიკოლოზი ჩასწვდა (მუშაობის პროცესში რამდენჯერმე მივიდა პავილიონში), ვერც მარია თეოდორეს ასული და ვერც კარისკაცები. მხოლოდ დიდმა მთავარმა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ აიღო ეჭვი, რომ „ნზადდებოდა გარდაცვლილი ძმის კარიკატურა“, მაგრამ ნიკოლოზმა არ ისურვა მისი მოსმენა.

ქანდაკების ჩამოსასხმელად ოსტატები მოიწვიეს იტალიიდან; მათ შესარჩევადა და ჩამოსაყვანად გოლიცინი გაემგზავრა. ჩამოსასხმელი სამუშაოების დაწყებამდე ერთი წლით ადრე ვიტემ მოისურვა შეემოწმებინა, როგორ აღიქმებოდა კომპოზიცია მოედანზე. ღამით ხის კვარცხლბეკზე დაიდგა მოდელი. „მახსოვს, ღამის 4 საათზე, გათენებისას, მივედი. კაცის ჭაჭანება არ იყო... გავხსენით... იმდენად მახინჯი იყო, რომ ქანდაკებამ ჩემზე მძიმე შთაბეჭდილება დატოვა“. ქანდაკება ხაზინას ერთი მილიონი მანეთი დაუჯდა; გაიხსნა იგი 1909 წელს.

ახალგაზრდა მეფე ზოგჯერ სახელმწიფო საბჭოსა და განსაკუთრებულ თათბირებს თავმჯდომარეობდა. ნელ-ნელა ითვისებდა ამ საქმესაც. მშვიდად იჯდა ხოლმე თავმჯდომარის ადგილზე, ყურადღებით უსმენდა სიტყვებში გამოსულთ. თავად ნაკლებად გამოთქვამდა აზრს, ზედმეტსა და უადგილოს არაფერს იტყოდა, და თუ იტყოდა რამეს, განხილვაში ღვთიური სხივი მაინც არ შეჰქონდა. ასე იყო დასაწყისში, ასე გრძელდებოდა წლების შემდეგაც. მისი რეპლიკები და მითითებანი, მაგალითად, პეტერჰოფში გამართულ საიდუმლო თათბირზე, ლაკონიური, მშრალი ბიუროკრატიული იყო [13].

მეფე — ჩინოვნიკი. ენა — ჩინოვნიკური. აზრები — ჩინოვნიკური. და მაინც ეს მხოლოდ მისი ერთი მხარე იყო. თანამედროვეთა — საკუთარი თვალით მნახველთა და დაახლოებულ პირთა მიერ დანატოვარი მოგონებები მისი ადრეული მმართველობის წლების გაორებულ პორტრეტს უფრო მკაფიოდ გვიხატავენ: გარეგნული თავმდაბლობა, მორცხვობაც კი — ამასთან შმაგი უჯიათობა და ახირებულობა; გარეგნული სიდინჯე — და თვალებში ჩაბუდებული ნეკროტიული შიში: მამაშვილური სიყვარული საკუთარ ოჯახში — და სხვების ცხოვრებისადმი გულგრილი დამოკიდებულება (როცა ზამთრის სასახლეში პირველ ლიფტს აყენებდნენ, შახტში მოკვდა მონტიორი. მეფემ დღიურში ჩაწერა: „დილით ჩვენი ამწე მანქანის ქვეშ მოყვა უბედური მემანქანე და თავის გაუფრთხილებლობის გამო სასიკვდილოდ დაშავდა“. იქვე დასძენს: „დიდხანს ვისეირნე. ამინდი ცივი და ნათელი იყო“) [14]; შინ ჯდომა — და სტუმრების მიპატიჟება საქეიფოდ; თავაზიანობა — და უკიდურესად მკაცრი განსჯა ზურგს უკან; ყოველივე არსებულისადმი ეჭვიანობა — და რომელიმე ვიგინდარის ანდა თაღლითისადმი ნდობა; მართლმადიდებლობისადმი თაყვანისცემა, სიზუსტე საეკლესიო წეს-ჩვეულებების შესრულებაში — და ჯადოსნობა, წარმართული ფეტიშიზმი.

მის აზროვნებასა და ქცევაში პირადი მოტივები ყველაფერს თრგუნავენ. ადამიანები საერთოდ, განსაკუთრებით კი მინისტრები და მეფის ამალა მისთვის ორ აშკარად განსხვავებულ კატეგორიად იყოფოდნენ: ცუდებად და კარგებად. პირველები იყვნენ ისინი, რომელთა პირად სარგებლობასა და ერთგულებაში იგი დარწმუნებული არ იყო. მეორენი კი პირადად მისთვის სასარგებლონი და ერთგულნი იყვნენ, ამასთან შეეძლოთ მისი გართობა და შექცევა.

ყოფილი პრემიერის ვიტეს მოგონებებით ვგებულობთ, ვინ რა მხრივ ხიბლავდა მას: სამხედრო-საზღვაო მინისტრი ადმირალი ბირილევი „თავისი ხუმრობებისა და ანეკდოტების გამო ყოველთვის სიყვარულით სარგებლობდა იმპერატორისა და იმპერატრიცას წინაშე“; იუსტიციის მინისტრი მურავიოვი „ძალზე ხუმარა და ანეკდოტების მოყვარული გახლდათ“; სამხედრო მინისტრი გენერალი კუროპატკინი — „კარგი მთხრობელი და კომედიანტი“; სასახლის კომენდანტი გენერალ-ადიუტანტი ჩერევინი — „უაღრესად დიდი გამრთობი“; თავადი ლობანოვ-როსტოვსკი — „ყოველთვის მეტად მომლხენი“; თავადი ობოლენსკი — „გამრთობი და მასხარა“; სამხედრო მინისტრი სუხომლინოვი — „ფრიად ოხუნჯი“. თუმცა როცა მოგვიანებით ეს უკანასკნელი პრეზიდენტ პუანკარეს წარუდგინა, ნიკოლოზმა მის სახუმარო ღირსებებს გვერდი ფრთხილად აუარა და მხოლოდ ეს უთხრა: „როგორც ხედავთ, იგი თავისი გარეგნობით არ გამოირჩევა. სამაგიეროდ მისგან საუკეთესო მინისტრი დადგა და ამიტომ ჩემი სრული ნდობით სარგებლობს“ (პრეზიდენტის კომენტარები: „ეს სწორედ ის სუხომლინოვია, რომელსაც ბრალად ედება ყველაზე მძიმე პასუხისმგებლობა სამხედრო მმართველობის უწესრიგობისა და გარყვნისათვის რუსეთში. კიდევ კარგი, რომ მან დატოვა სამხედრო მინისტრის პოსტი, რადგანაც ამ თანამდებობაზე ყოფნისას უამრავი დანაშაული ჩაიდინა“) [15].

თვით ყველაზე გულითადი მომლხენი და კომედიანტიც კი მისი უდიდებულესობის სულიერი სიკეთით არ სარგებლოდა. საკუთარი თავისა და რამდენიმე შინაურის გარდა მას არავინ უყვარდა. ცოტას თუ სწყალობდა, ყურმოჭრილ მონებს სამაგიეროს სიძულვილით უხდიდა. ამ წუთს რომ მიეფერებოდა, ერთი საათის შემდეგ შეეძლო გაეგდო. უამრავი საახალწლო მილოცვის მიღების გამო დღიურში აღუნიშნავს: „მთელი საღამო ვალს ვიხდიდი საძაგელი დეპეშებისათვის“ [16]. უსიამოვნებებს საგულდაგულოდ იმახსოვრებდა, დიდხანს იძიებდა შურს მათ გამო.

განსაკუთრებული დავალების შესრულებით თავის გამოჩენის საშუალებას აძლევდა რომელიმე მინისტრს, მაგრამ ამავე დროს, უნდობლობის გამო, იმავე დავალებას პარალელურად შესასრულებლად გადასცემდა მეორეს, რითაც თავის საუკეთესო თანაშემწეებში შინაგან შფოთს თესავდა. მაგალითად, კონსტიტუციის პროექტის განსახილველად მეფემ პარალელურად ორი თათბირი მოიწვია. ერთი

თათბირი (მასზე მომხსენებელი იყო ვიტე) მეორესაგან (მომხსენებელი — გორემიკინი) ფარულად ჩატარდა. შეიტყო თუ არა ყოველივე ეს, პირველმა მომხსენებელმა ჩაწერა, მეფის ამ „ბიზანტიური" ფანდით ძალზე განაწყენებული ვარო: „მას საქმის ნამუსიანად წარმოება არ შეუძლია, ყოველთვის შემოვლითი გზებისაკენ ისწრაფვის..." რადგანაც მის უდიდებულესობას არც მეტერნიხისა და არც ტალეირანის ნიჭი არ გააჩნდა, ასეთ ხაფანგებს იგი ყოველთვის ერთ შედეგამდე — გუბემდე მიჰყავდა. „უკეთეს შემთხვევაში ნარეცხი წყლის გუბემდე", ხოლო უარეს შემთხვევაში — სისხლის გუბემდე, ანდა სისხლით შეღებილ გუბემდე [17].

მინისტრებს ადვილად ნიშნავდა და ათავისუფლებდა. ზოგჯერ ამას თავისი ნახევრად ბუფონური გართობის მიზნითაც აკეთებდა. ერთხელ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა განთავისუფლდა. საჭირო იყო ახლის დანიშვნა. მის საქმეს დროებით მინისტრის ამხანაგი (მოადგილე) გორემიკინი ასრულებდა. მას კი რაიმე პასუხისმგებლობის აღება არ სურდა, მხოლოდ მიმდინარე საქმეებს აწარმოებდა. რადგანაც შეიძლებოდა ახალი მინისტრი დღე-დღეზე გამოჩენილიყო. მორიგ აუდენციაზე პრემიერმა (ვიტემ) მოახსენა ნიკოლოზს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის გარეშე შემდგომში ყოფნა აღარ შეიძლებოდა: სამინისტროში სულ უფრო იზრდება „გადაუჭრელი და შეჩერებული" საქმეების გორაო.

ამაზე მეფემ უპასუხა:

— მე და თქვენ, სერგეი იულევიჩ, პლევესა და სიპიაგინის შესახებ საუბარი უკვე გვქონდა. ამის თაობაზე თავისი მოსაზრების გამოთქმა ვთხოვე კონსტანტინე პეტროვიჩსაც (პობედონოსცევს). მან თავისი მოსაზრება გამოთქვა. მაგრამ ვინმეს დანიშვნა ჯერ არ გადამიწყვეტია, თქვენს ჩამოსვლას ველოდი *.

პრემიერმა ჰკითხა:

— როგორია კონსტანტინე პეტროვიჩის აზრი, თუ ინებებს ამის თქმას თქვენი უდიდებულესობა?

— მან ძალზე უბრალოდ მითხრა: პლევე არამზადაა, სიპიაგინი კი — შტერიო.

— თავად თუ მოგცათ ვინმეს რეკომენდაცია?

მეფემ ღიმილით უპასუხა:

---

* ვიტე მაშინ საფრანგეთში, ბიარიცში იყო წასული სამკურნალოდ.

— დიახ, ზოგიერთებს გაუწია რეკომენდაცია... სხვათა: შორის თქვენზეც მითხრა.

— თქვენო უდიდებულესობავ, — შენიშნა პრემიერმა, — თითქმის ვხვდები, ჩემს შესახებ რაც გითხრათ.

— მაინც რა?

— ალბათ ასე თქვა: ვიტე შეეფერება, მაგრამ ისიც... და ამ შემთხვევაში მან „მკვდარი სულების" ერთ-ერთი მოქმედი პირის საბაკევიჩის ცნობილი ფრაზის მსგავსი რამ წარმოთქვა: „იქ მხოლოდ ერთი წესიერი კაცია — პროკურორი, მაგრამ ისიც, სიმართლეს თუ ვიტყვით, ღორია".

მეფეს გაეცინა:

— რას იტყვით, გორემიკინი რომ დავნიშნო?

ვიტემ უპასუხა, მასზე რაიმე გარკვეულის თქმა არ შემიძლიაო; თანაც დასძინა, რომ გორემიკინს რეკომენდაციას ალბათ კონსტანტინე პეტრეს ძე აძლევდა, რადგანაც იგი სამართლისმცოდნეა და სამართლისმცოდნეა კონსტანტინე პეტრეს ძეც, ხოლო ცნობილია, რომ სამართლისმცოდნეები, ისევე როგორც ლიცეელები, ერთმანეთს უპერენ მხარს, ებრაელთა მსგავსად.

მაშინ მეფემ უპასუხა:

— რა გაეწყობა, გორემიკინს დავნიშნავ.

ამასობაში საუბარი ერთ-ერთ იმ უწყებაზე ჩამოვარდა, რომელთანაც მეფეს განსაკუთრებული სიმპათია აკავშირებდა. ეს უწყება მარტო პოლიციური წესრიგის დამყარებას კი არ უზრუნველყოფდა იმპერიაში, არამედ მისი, მეფის, ამ უწმინდესი არსების, უშიშროებასაც. ვიტეს თქმით, ზოგიერთი თანაშემწე ეკითხებოდა ხოლმე საკუთარ თავს: „ისეთ იმპერატორს, როგორიც ნიკოლოზია, ვინ შეეცდება თავს დაესხასო?" ჩანს, ყუმბართმტყორცნელნი მისი პიროვნებით დიდად დაინტერესებული არ იყვნენ. მასზე ნადირობის რაიმე ნიშანი, როგორც პაპამისსა და მამამისზე, არავის შეუმჩნევია არც მაშინ და არც შემდგომ. ისეთი შემთხვევები, როგორიც იყო პეტრეპავლეს ციხიდან გასროლა, ანდა ორჩხომელ „შტანდარტის" ავარია ფინეთის კუნძულოვან ნაპირებთან, უფრო გაუგებრობას ჰგავდა*.

* სისხლიანი კვირის წინ ნევასთან შედგა ნათლისღების ცერემონია. ნიკოლოზი ამალის თანხლებით ზამთრის სასახლის წინ აგებულ ფანჩატურში შევიდა, რათა მიტროპოლიტის მიერ წყლის კურთხევას დასწრებოდა. წესის თანახმად, პეტრეპავლეს ციხესიმაგრიდან გაისმა ზალპის ხმა. უცბად ფანჩატურთან გრიალით გას-

ბოგროვი პისტოლეტის ლულას (კიევის ოპერის თეატრში) გვერდიგვერდ მსხდომ მეფესა და სტოლიპინს უმიზნებდა. პირველმა ტერორისტ-პროვოკატორის ყურადღება ვერ დაიმსახურა და სასროლად მიზანში მეორე ამოიღო. მაგრამ ნიკოლოზი ბედის ამგვარი წყალობით დიდად მოხიბლული მაინც არ იყო, შემდგომში ასეთ გამოცდას აღარ აპირებდა. თავისი პერსონის უშიშროებისათვის შეიძლება უფრო მეტად ზრუნავდა, ვიდრე სხვა რამეზე.

ოციანი წლების დამდეგს პეტროგრადში ჩამოსული ფრანგი სტუმარი, ბულონის მერი ბატონი მორიზე დეკაბრისტების მოედანზე, ყოფილი სენატის შენობაში, იმისათვის მივიდა, რომ იქ „ოხრანკის“ არქივი ენახა. შემდეგში იგი თავის წიგნში წერდა, რომ ყველაზე მეტად ამ შენობაში დაცულმა საიდუმლო სამსახურების მუშაობის შესახებ მეფისადმი წარსადგენი ინფორმაციების სისტემის ამსახველმა დოკუმენტაციამ გააოცა. „ოხრანკის“ პატაკები ნიკოლოზ II რეგულარულად მისდიოდა კვირაში ერთხელ. მათ საფუძველს შეადგენდა სწორედ ეს საქმისმწარმოებლობა, რის გამოც ქაღალდებით იყო გამოტენილი რამდენიმე შენობა, მათ შორის ეგრეთ წოდებული პროვოკატორების ოთახიც. რევოლუციონერებზე შედგენილი ბარათებით საესე სამოცი ყუთი იყო რუსეთის პოლიციური პროვოკაციის ნივთიერი განსახიერების შედეგი 23 წლის მანძილზე — 1894-დან 1917 წლამდე.

„როგორი სანიმუშო წესრიგია, რაოდენ ბრწყინვალე სისტემაა! — აღტაცებას ვერა ფარავდა მორიზე. — მე აქ ვხედავ რუსეთის რევოლუციური მოძრაობის დევნის ისტორიას... „ოხრანკა“ მოწიწებით ახდენდა მის ყოველდღიურ რეგისტრირებას... ყველა საქმეს თავისი გამოკვეთილი სქემა აქვს. დევნილის თითოეულ ბარათში შეტანილია მისი ყოველი ცხოვრებისეული მონაცემი, მრავალი წლის მანძილზე წარმოთქმული ყოველი სიტყვა და ყოველი მოძრაობა...“ და

კდა ჭურვი. აღმოჩნდა, რომ ერთ ზარბაზანს ფეკი ჭურვი კი არ გაუსვრია, არამედ საბრძოლო. გამოძიებამ ცხადყო არტილერისტის უნებლიე შეცდომა. მაგრამ მეფე შეშინებული იყო, ხალხში კი თავდასხმაზე ლაპარაკობდნენ.

მეორე შემთხვევაში, მეფის ოჯახის ბალტიის ზღვაზე სეირნობისას ორჩხომელი წყალქვეშა ქვას დაეჯახა და დახიანდა. მგზავრები ნაპირზე გადმოსხეს. „ოხრანკამ“ გამოძიება დაიწყო. აღმოჩნდა, რომ წინასწარგანზრახვით არაფერი ჩაედენოთ. მიზეზი ორჩხომელის რაზმის სუსტი ბომბადება იყო. ამასთან ფლაგ-კაპიტანი ადმირალი ნილოვი, მიუხედავად იმისა, რომ მუდამ ხელმწიფესთან ტრიალებდა, ნასვამი გახლდათ.

მაინც, რა აზრი ჰქონდა ამგვარ ჭიანჭველისებურ პროფოკატორულ შრომისმოყვარეობას? ის, რომ ხელმწიფე-იმპერატორს ყველაფერი სცოდნოდა და მისი თანხმობით იმისთვის წაეკლოთ ხელი, ვისთვისაც საჭირო იყო... „აი, ყოველკვირეული ჟურნალი, აი, „ოხრანკის“ მიერ მეფისადმი წარდგენილი ანგარიშების ასლები... ყველა შესანიშნავადაა აკინძული და ერთიმეორეს მიყოლებით დაწყობილი. ნებისმიერ ტომში შეიძლება მეფის ხელით გაკეთებული აღნიშვნების ნახვა. თუ ასეთი აღნიშვნები არ არის არშიებზე, მაშინ შენიშნავთ წითელი ფანქრით გავლებულ ხაზებს, — ეს არის ტრადიციული ნიშანი იმისა, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას უთმობდა უავგუსტოესი შეფი პოლიციის მიერ წარდგენილი მოხსენებების შესწავლას“. დაბოლოს, ლირიკულ-ფილოსოფიური რეზიუმეს მსგავსი წარწერა: „ამდენი ძალა და დრო დაიკარგოს და მერე რისთვის? ალექსანდრე II, რომელმაც ამგვარ მუშაობას 26 წელიწადი შეალია, მაინც იმათი დარტყმის შედეგად მოკვდა, ვისაც იგი სდევნიდა... პლევე, დიდი მთავარი სერგეი... და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი იყო ასეთი? განა მათ თავიანთი სასჯელით ვინმეს რითიმე შეუშალეს ხელი?“ [18]

მათ არ შეუშლიათ ხელი, მაგრამ აი ნიკოლოზი კი შეუშლით... და იგი მმართველობის პირველსავე წლებიდან აორმაგებს თავისი პირადი დაცვის რიცხვს. მის წიაღში ქმნის თავის საკუთარ „შავ კაბინეტს“. არნახულ უფლებამოსილებას აძლევს სასახლის კომენდანტს. მისი მეფობის დროს ამ თანამდებობაზე შეიცვალნენ: გაიძვერა ტრეპოვი; მუდამ გამობრუჟული ჩერევინი (იგი ჯერ კიდევ ნიკოლოზის მამამ შეახურა); ტყვიასავით მძიმე თავადი ენგალიჩევი; ფაციფუცა კაცუნა ჰესე; არასანდო დედიულინი. სწორედ მათზე, „ოხრანკასა“ და პოლიციის დეპარტამენტზე დაყრდნობით ისწრაფოდა ეს „ღვთისაგან მირონცხებული“ ადამიანი ძალზე შორს ჰყოლოდა ერთგული ქვეშევრდომები. როცა იგი სასახლეში იჯდა, ეს მაინც-დამაინც რთული არ იყო, მაგრამ სულ სხვა საქმეა, თუ ლივადიაში წასვლას ანდა იმპერიაში მოგზაურობას მოისურვებდა ხოლმე.

იმპერატორი ხომ უწმინდესი არსებაა და არ შეუძლია შეყვარებულ ხალხთან ურთიერთობით საფრთხე შეუქმნას საკუთარ თავს. ამის გამო მისი მოგზაურობა შესაბამისად მზადდება.

რკინიგზისა და საგზატკეცილო მაგისტრალების ათიათასობით ვერსზე ცხადდებოდა სამხედრო (ანდა „მესამე“) მდგომარეობა. იქითკენ მიემართებოდნენ საბრძოლოდ გამზადებული პოლკები და დი-

ვიზიები. ჯარისკაცებს ურიგებდნენ ვაზნებს, სალაშქრო სურსათის რაციონს. სადგურები სავსე იყო ჟანდარმებით, მაძებრებითა და მოხალისე შავრაზმელებით. გზებსა და ხიდებს ქვეშ ყოველგვარი მოძრაობა წყდებოდა.

ძოგზაურობიდან ზამთრის სასახლეში დაბრუნებული ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მიმდინარე საქმეებში მონაწილეობდა. ყველაზე მეტად ძოსწონდათ წვეულებები და ბალ-მასკარადები. აღნიშნავდნენ თავიანთი და ნათესავების სადმე წასვლა-ჩამოსვლას, დაბადებისა და ქორწინების დღეებს, დინასტიურ იუბილეებს, ზოგჯერ სახელმწიფოებრივსაც. ამ საღამოებზე, ისევე როგორც საერთოდ სასახლეში, ცოლ-ქმარი, რა თქმა უნდა, თავს უფრო მყუდროდ და მშვიდად გრძნობდა, ვიდრე იმპერიის ტრიალ მინდვრებში.

ბევრი ლხინი გადაიხადა ხელმწიფე-იმპერატორმა ზამთრის სასახლეში დიდგვაროვან დიდებულთა პატივსაცემად. მეფობის დასაწყისში იგი ხალხსაც უწევდა მასპინძლობას.

ხოდინური მასპინძლობა

ნიკოლოზის ტახტზე ასვლის შესახებ მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ მისი მეფედ კურთხევა უნდა მომხდარიყო. იგი პირველ სატახტო ქალაქში — მოსკოვში აღსრულდა.

1896 წლის მაისისათვის დანიშნული მეფედ კურთხევის პროგრამა გულდასმით შეედგინათ. მისი შემდგენლები იყვნენ სამეფო კარის მინისტრი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი, მისი ამხანაგი (მოადგილე) ვ. ბ. ფრედერიქსი და ობერ-ცერემონმაისტერი კ. ი. ფონ დერ პალენი. ეს კომისია ახალგაზრდა იმპერატორის ბიძას, დიდ მთავარ სერგეი ალექსანდრეს ძეს ემორჩილებოდა, რომელსაც არცთუ ისე შორეულ წარსულში მეტსახელად „ქეიფების მენტორს“ ეძახდნენ, იმჟამად კი მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა ეკავა.

აღნიშნულ პირთა შრომით შედგა სამი ძირითადი დოკუმენტი, რომლებიც განსაზღვრავდნენ ცერემონიის დღის წესრიგს სამი კვირის განმავლობაში: „მეფედ კურთხევის ცერემონია“, „დებულება მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის კურთხევაზე მოსკოვში მივლინებულ სამხედრო პირთათვის ულუფის გაცემის შესახებ“, „დღის წესრიგი 1896 წლის 6-დან 26 მაისამდე“. ეს დოკუმენტები გამოცემული იყო მეფედ კურთხევის კანცელარიის მიერ [19].

რა არ არის ამ მრავალგვერდიან განრიგებში. შიგ ყველაფერია გათვალისწინებული უბრალო წვრილმანის ჩათვლით. გარდა ერთისა, რომ 18 მაისს ხოდინის მინდორში დანიშნულია სახალხო სეირნობა და მეფის საჩუქრების გაცემა. ვის და როგორ უნდა უზრუნველეყო პროგრამის ამ პუნქტების შესრულება, ამაზე დასახელებულ დოკუმენტებში ერთი სიტყვაც არ თქმულა. მარტო აღნიშნული იყო, რომ სეირნობის დროს, დღის ორი საათისათვის, მინდვრად, საიმპერატორო პავილიონში, შეიკრიბებოდნენ მოსკოვში სტუმრად მყოფი მაღალი თანამდებობის პირნი და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ხოლო 2 საათსა და 10 წუთზე აქ მოვიდოდა მეფე თავისი მეუღლით. ხოდინში გამართული დღესასწაულის მუსიკალურ ფონს ქმნიდა დიდი სიმფონიური ორკესტრი საფონოვის ხელმძღვანელობით; კონცერტი უნდა დაწყებულიყო იმავე დირიჟორის მიერ ამ ზეიმისათვის შეთხზული კანტატით.

ხოდინში დღესასწაულის გამართვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღსა — 1895 წლის 8 მარტი — და მეფედ კურთხევის დღეს შორის საკმაო დრო იყო დატოვებული — 14 თვე. ამ ხნის განმავლობაში თითქმის არაფერი გაუკეთებიათ, მხოლოდ ბუფეტების ფარეულები ააშენეს მინდვრის განაპირას, ის კი, თუ რას წარმოადგენდა თავად მინდორი — ამისთვის ხელისუფალთ ყურადღება არ მიუქცევიათ. ხალხისთვის იგი ნამღვილი ხაფანგი იყო.

იმ დროს ხოდინი უშენ ადგილს წარმოადგენდა, სადაც მოსკოვის გარნიზონის ჯარების წვრთნა ტარდებოდა. იგი დაღარული იყო სანგრეებითა და მიწაყრილებით, თავიდან ბოლომდე მოფენილი და დასეერილი გახლდათ თხრილებით, ორმოებით, მივიწყებული ჭებით. დიდმა მთავარმა სერგეიმ, ვორონცოვ-დაშკოვმა და ფონ დერ პალენმა გადაწყვიტეს ამ ხაფანგებს შორის გაემართათ მოსკოველი ხალხისათვის დღესასწაული: მოსულთათვის სათითაოდ გადაეცათ საჩუქარი — ქაღალდის პარკი, რომელშიაც ჩადებული იქნებოდა პური, ძეხვის ნაჭერი, თაფლიანი კვერი, ათამდე შაქარყინულის ნატეხი და 5 კაკალი. ამავე დროს სამახსოვროდ მიეცათ მომინანქრებული „საკორონაციო ტოლჩა“ ახალი მეფის ინიციალებით. სულ დამზადებული იყო 400 ათასი პარკი და ტოლჩა.

როცა ზედახოცვა დაიწყო, მეარტელეებმა პარკები ხალხს გადაუყარეს. რათა ამით ჩაეცხროთ აურზაური. ამან კი არ უშველა, არამედ გააღრმავა კატასტროფა. არავის უფიქრია, რომ საჭირო იყო წინასწარ

მოეგვარებინათ მინდვრად მოძრაობა, წესრიგი დაეცვათ ცენტრსა და კიდეებზე.

ხოდინისკენ კი ჯერ კიდევ საღამოს დაიწყო და მთელ ღამეს არ შეწყვეტილა ხალხის დენა... იქითკენ მიმავალი გზები ჩაეშავებინა ხალხის მოძრავ ნაკადს. მიდიოდნენ მოსკოველებიცა და მოსკოვის ახლოს მდებარე სოფლების მცხოვრებლებიც, მიდიოდნენ გულუბრყვილო ცნობისმოყვარეობით, დასვენების იმედით, ჰაერზე გასასეირნებლად, ყოველდღიური იძულებითი შრომისაგან თავის დასაღწევად... თავშეყრილთა შორის მარტო უბრალო ადამიანები როდი იყვნენ: აქაიქ ხალხში შეიძლებოდა ვაჭრებისა და 23 წლის თავადის ასულის რინა გოლიცინას მსგავსი არისტოკრატების ნახვაც, გოლიცინასი, რომელიც მუშა ემელიან იაგოდკოვთან (მან გადაარჩინა რინა) ერთად ცნობისმოყვარეობამ მოიყვანა ხოდინში.

ეს ბედუკულმართი დღე შემდეგში ლ. ნ. ტოლსტოიმ აღწერა. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ხალხი უმეტესწილად მიდიოდა „საზეიმოდ ჩაცმული და მხიარულად განწყობილი“. ემელიანმაც „საუკეთესო ტანსაცმელი ჩაიცვა“, ჩექმები გაიწმინდა, „რამდენიმე ლოცვა წაიკითხა, რომელთა მნიშვნელობა არც ესმოდა და მისი ამოცნობით არც არასოდეს დაინტერესებულა...“ და გაემგზავრა. რინამაც თავის ბიძაშვილს ჩაჰკიდა ხელი და „მხიარული, სახეგაბრწყინებული იმაზე ფიქრით, რომ იგი... ხალხთან ერთად სათაყვანებელი მეფის ტახტზე ასვლას იდღესასწაულებდა“ [20], იქითკენ გაემართა.

18 მაისს, გამთენიისას, ხოდინის მინდორში ნახევარ მილიონზე მეტი კაცი შეიკრიბა. შეფასება მინიმალურია. რამდენადმე ზუსტი ცნობა, რა თქმა უნდა, არ არსებობს. ზოგიერთი წყარო სხვა ციფრს ასახელებს — მილიონს და მილიონ-ნახევარ კაცსაც კი [21].

ერთი კვადრატული ვერსის სწორკუთხედზე, რომელიც შარაგზით, მდინარე მოსკოვით, სამხედრო ბანაკითა და ბუფეტების ფარდულებით იყო შემოზღუდული, უამრავი ხალხი შეგროვდა. ისინი, ვინც წინა საღამოს და ღამით მოვიდნენ, შეეცადნენ, რაც შეიძლება მაღლა, მიწაყრილზე მოხერხებულად დამსხდარიყვნენ. როგორც იუსტიციის მინისტრის ნ. ვ. მურავიოვის გამოქვეყნებისათვის გაუთვალისწინებელი ოფიციალური ანგარიში მოწმობს, დილის ხუთი საათისათვის ხალხის თავზე ისეთი სქელი ნისლისმაგვარი ორთქლი იდგა, რომ ცალკეული სახეების გარჩევა ახლო მანძილზეც ძნელი იყო. პირველ რიგებში მყოფთაც კი ოფლი სდიოდათ და განაწამები სახე-

ები ჰქონდათ". ყველაზე ადრე მოსულნი თითქოს ხაფანგში მოიმწყვდიესო. ხალხის შუაგულიდან გამოსვლა უკვე აღარავის შეეძლო. სულ უფრო ხშირად ისმოდა დაღლილთა და დასუსტებულთა კვნესა; თვით ღია ცის ქვეშ „ატმოსფერო ანაორთქლით ისე იყო დამძიმებული, რომ ხალხი იხრჩობოდა, ჰაერი არ ჰყოფნიდათ" [22].

დაძაბულობა სულ უფრო მატულობდა, საშინელი ზედახოცვა იყო. ზოგს გულიც კი წაუვიდა. ტოლსტოის აღწერით, გონებადაკარგულთ ხალხის ტალღა უნებლიეთ ზევით „ამოატივტივებდა"; „მათ თავებზე გადაატარებდნენ და ისინიც მიექანებოდნენ ბუფეტების რიგამდე, სადაც ჯარისკაცები იჭერდნენ" (ამ დროისათვის — ძალზე გვიან — მინდვრის ფლანგებზე სამხედრო რაზმები გამოჩნდნენ). ასევე მრავალმა ბავშვმა „ჩააღწია თავისუფალ ადგილამდე ხალხის თავებზე გადავლით".

— ეგ აქ მოიყვა, — შესძახა ემელიანთან ერთად მიმავალმა მეეტლემ, ბიჭს ხელი დაავლო და მაღლა ასწია.

— გადაურბინე ხალხს.

ემელიანე გაჰყურებდა ბიჭს, რომელიც ხან ხალხში ჩაყურყუმელავდებოდა, ხან კი, მაღლა ამოტივტივებული, ადამიანების მხრებსა და თავებზე გადადიოდა და სულ უფრო შორდებოდა იქაურობას [23].

კადრილი საფრანგეთის ელჩთან

მოგვიანებით ამბობდნენ, ხალხის ასეთი მასობრივი დაღუპვის მიზეზი პანიკა იყოო. ეს ასეა, მაგრამ ნ. ვ. მურავიოვის ციტირებული ჩანაწერებიდან, ისევე როგორც იმ მასალებიდან, რომლებითაც ლ. ნ. ტოლსტოი სარგებლობდა თავისი მოთხრობის დაწერისას, ჩანს, რომ პირველი მსხვერპლი მინდორში მანამდე გამოჩნდა, სანამ პანიკა ატყდებოდა. ესენი იყვნენ „დასუსტებულნი და გონებადაკარგულნი, ჯგლეთისაგან სიკვდილის პირას მისულნი... — აღნიშნავდა მურავიოვი, — ამგვარად მკვდარი რამდენიმე ადამიანი ხალხის ტალღამ თავებზე გადაატარა, მაგრამ მრავალი გვამი, ამ ჭყლეტაში, კვლავ ფეხზე დარჩა ხალხში, სანამ მათ გათრევას მოახერხებდნენ... შეშინებული ბრბო მკვდართაგან გარიდებას ცდილობდა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, რითაც ზედახოცვა უფრო ძლიერდებოდა".

დილის ექვსი საათისათვის, თითქოს ვიღაცამ ავის მომასწავებელი

ნიშანი გასცაო, მინდვრის სხვადასხვა მხარე ამოძრავდა, ხალხის მასა აღელდა, აბობოქრდა. თხრილებსა და ორმოებში ჩაცვენილი, ფეხქვეშ გათელილი ადამიანების სასოწარკვეთილმა ყვირილმა საერთო პანიკა გამოიწვია. „ხალხის ტალღით შებოჭილი მკვდრებიც მათთან ერთად დაიძრნენ“, — განაგრძობდა მურავიოვი. დაიწყო ორომტრიალი. ორმოებში, თხრილებსა და მიწაყრილებში სულს ღაფავდნენ ფეხქვეშ გათელილი მოხუცები, ქალები და ბავშვები. ჭები სასაფლაოებად იქცა, იქიდან ისმოდა მკვდრებში არეულ ცოცხალთა გოდება. სასწაულებრივად გადარჩენილნი „გასასვლელებიდან ამორბოდნენ სამოსშემოძარცულნი, გალუმპულები, შეშინებულნი... მრავალი მათგანი იქვე ეცემოდა კვნესით. ცოცხალთაგან ვიღაც გვამებზე იწვა, მას კი ზევიდან გაშეშებული სხეულები ეყარა“ [24].

ხალხი გასრესილ ადამიანებზე ალაჯებდა. ყვირილისა და კვნესისაგან მინდორი გუგუნებდა. „ადამიანთა თავების ოკეანე წინ, ფარდულებისაკენ მიირწეოდა, — მხატვრულად გადმოგვცემს მეორე წყარო. — და მგრძნობიარე, გაწამებულ არსებათა ეს ცოცხალი ტალღები მიგორავდა, თელავდა მათ, ვინც ორმოებში შემთხვევით ჩაცვივდა, ვინც დასუსტდა, ძალა გამოელია და მუხლმოკვეთილი დაეცა. გვამები, როგორც გემის კატასტროფის მსხვერპლნი, ხან აქ ამოტივტივდებოდნენ ამ სახიჩარი სახეებისა და მოკუმული მუშტების ზღვის ზედაპირზე, ხან იქ, მომაკვდავთა კვნესასა, წყევლა-კრულვასა და ყვირილში... ზევით კი ბრწყინავდა ალიონის გულგრილი მზე და ამ მხრჩოლავი ტალღის ნისლი ლაჟვარდოვან ცას უერთდებოდა. თითქოს სამსხვერპლო გუნდრუკს უკმევდა თვითმპყრობელ მოლოხს...“ [25]

ჯერ კიდევ რამდენიმე საათის წინ ეუბნებოდა რინა გოლიცინა მამას: „ხალხის ცქერა კი არ მინდა, არამედ მათთან ყოფნა“, „მსურს ვნახო ხალხის დამოკიდებულება ახალგაზრდა მეფისადმი“. ახლა კი მის გვერდით იწვა „კაბაშემოხეული, გაწეწილი ქერათმიანი ქალი... იგი გულაღმა იწვა... სახე ფერმკრთალი კი არა, მოლურჯო-თეთრი ჰქონდა, როგორც მკვდრებს აქვთ ხოლმე“. ეს ქალიც იმიტომ მოვიდა, რათა გამოეხატა თავისი „კეთილი დამოკიდებულება ახალგაზრდა მეფისადმი“. მაგრამ იგი „პირველი გასრისეს და მოისროლეს აქ, ზღუდის გადაღმა, მეფის პავილიონის წინ“. ხოლო როცა თავად რინაც ტალღამ სადღაც გაიტაცა, იგი სასოწარკვეთილებამ მოიცვა, „ყვიროდა, შველას ითხოვდა, მაგრამ მშველელი არავინ იყო... ქალი

დასუსტდა, ცუდად გახდა. დაეცა და მეტი არც აღარაფერი ახსოვდა“ [26].

ხოდინში იყო აგრეთვე მ. გორკის კლიმ სამგინიც, რომელიც ამ დღის შემდეგ დიდხანს განიცდიდა დაუძლეველ შიშს შეკრებილი ადამიანების მიმართ, მას ერთთავად ხოცვა-ჟლეტა და სიკვდილი ელანდებოდა [27].

ხალხის ტალღაში მოყვა ასევე არა მოგონილი პირი, არამედ მდიდარი მოქალაქე მოროზოვი. როდესაც იგი ამ ტალღამ სხვებთან ერთად თხრილებისა და ორმოებისკენ დასძრა, იყვირა, რომ 18 ათასს მისცემდა იმას, ვინც გადაარჩენდა... „რატომ მაინცდამაინც 18 ათასი? — გაოცებული იყო შემდეგ ტოლსტოი. — და რაც მთავარია, ამ ვარი მონაცვლეობა: თავდაპირველად ყველას მხიარული, საზეიმო განწყობილება ჰქონდა, შემდეგ კი იგი ამ ტრაგედიით შეიცვალა. ამ გადათელილი სხეულებით... საშინელებაა!“ [28].

უფროსობა მინდვრის გვამებისაგან გაწმენდას ჩქარობდა. რაც მალე წაშლიდნენ კვალს, მით უფრო მხიარული იქნებოდა ლხინი, მით უფრო ნაკლებ მოიწყენდნენ მსოფლიოს ყოველი კუთხიდან მოწვეული მონარქები და პრინცები. სწრაფად, სწრაფად! დაჭრილები და მკვდრები ერთსა და იმავე ფორანზე დაყარეს... აი, რომელიღაც ექიმი აპირებს დაჭრილს იარა შეუხვიოს, მაგრამ იგი ხელიდან გამოსტაცეს, გააქან-გამოაქანეს და ურემზე შეაგდეს. ექიმი პროტესტს აცხადებს, გვერდით მდგარ მინისტრს მიმართავს:

— თქვენო აღმატებულებავ! იმ დაჭრილის გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლება! სხვა მისი მსგავსებისაც!.. უბრძანეთ, გეთაყვა, დაჭრილები მიცვალებულებისაგან გააცალკევონ...

— ეგ თქვენი საქმე არ არის! — ღრიალებს მინისტრი. — მე თქვენ საყვედურს გამოგიცხადებთ! [29].

ოფიციალური მონაცემებით ხოდინში 1389 კაცი დაიღუპა. ეს ციფრი აშკარად შემცირებულია. სინამდვილეში, როგორც მაშინდელ პერიოდულ პრესაში იყო აღნიშნული, სიცოცხლეს გამოესალმა 4000-დან 4800 კაცამდე და კიდევ 3000 მძიმედ დაიჭრა, იმ ორომტრიალიდან ცოცხლად გადარჩენილი ათობით ათასი ადამიანი დაიჟეჟა და დასახიჩრდა.

ცნობა მომხდარი უბედურების შესახებ იმავე დილით მოედო მოსკოვს, სალამოსათვის ამ ამბით თავზარდაცემული იყო მთელი რუსეთი. მხოლოდ რამდენიმე კაცმა შეინარჩუნა სიმშვიდე: დიდმა მთა-

ვარმა სერგეიმ, ვორონცოვ-დაშკოვმა, ფონ დერ პალენმა კომისიის წევრებთან ერთად და კიდევ ახალგაზრდა მეფემ. მან იმ დღეს დღიურში ჩაწერა: „ბრბო, რომელმაც ხოდინის მინდორში გაათენა საღილისა და ტოლჩების დარიგების მოლოდინში (პურიან პარკს იგი საღილად თვლიდა — მ. კ.), მიაწვა ნაგებობებს, სადაც დაიწყო ზედახოცვა. გაისრისა, წამატება საშინელებაა, დაახლოებით ათას სამასი კაცი. მე ამის შესახებ თერთმეტის-ნახევრისათვის შევიტყვე... საზიზღარი შთაბეჭდილება დამრჩა ამ ცნობებისაგან“ [30].

„საზიზღარი“ შთაბეჭდილება დარჩა — რა იყო შემდეგ? არაფერი. საშინელი ამბით გაოგნებული მოსკოვი ელოდა, რომ ჯერ ერთი, მეფე გადადებდა დღესასწაულს; მეორეც, გასცემდა განკარგულებას დამნაშავეთა დაპატიმრების, გამოძიებისა და სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ, მესამეც, ოჯახთან და სახლეულთან ერთად გაეცლებოდა ქალაქს, სადაც ათასობით ოჯახი დასტიროდა დღესასწაულზე დახოცილთ. აღმოჩნდა, რომ უკვე გამოცხადებული სამხიარულო გრაფიკისათვის სწორედ ასეთ განკარგულებათა „მიმატება“ იქნებოდა „საშინელება“. მან არც ერთი გააკეთა, არც მეორე და არც მესამე.

ზოგიერთი საზღვარგარეთელი ბურჟუაზიული ლიტერატორი ირწმუნება, ხოდინის დღეს ნიკოლოზი „მწუხარებისაგან მკვდარივით“ იყოო, რომ მას „უსაზღვრო სურვილი დაეუფლა გასცლოდა იქაურობას, სადმე სალოცავად წასულიყო“. მან თითქოს უარი განაცხადა დასწრებოდა ბალს, რომელიც იმავე დღეს საღამოს ეწყობოდა მეფედ კურთხევის აღსანიშნავად, მაგრამ მისი ამალის წევრები ვითომც ძალით ეწეოდნენ საღამოზე; იგი „უხალისოდ დაჰყვა მათ თხოვნას და წავიდა იმ საზიზღარი წინათგრძნობით შეპყრობილი, რომ იქ იძულებული გახდებოდა სულ ცოტა ერთხელ მაინც ეცეკვა კადრილი...“ [31].

სხვანაირად აღწერს ნიკოლოზის ქცევას იმ დღეს პრემიერ-მინისტრი ს. ი. ვიტე. 18 მაისს, საღამოს, ბალი დანიშნული იყო საფრანგეთის ელჩ მონტებელოსთან. მას უნდა დასწრებოდა იმპერატორი იმპერატრიცასთან ერთად. მთელ დღეს არავინ იცოდა, მომხდარი კატასტროფის გამო გადაიდებოდა თუ არა წვეულება. ბოლოს ცნობილი გახდა, რომ ბევრი ურჩევდა ხელმწიფეს ელჩისათვის ბალის გადადება ეთხოვა, ანდა შეეტყობინებინა, რომ თავად ვერ მივიდოდა, მაგრამ ამ აზრს ხელმწიფე სულაც არ დაეთანხმა; მისი აზრით,

საჭირო იყო კატასტროფის იგნორირება. და მართლაც, დღესასწაული არ გადადებულა, ყველაფერი ისე ჩატარდა, თითქოს არავითარი კატასტროფა არ მომხდარიყოს... გადაწყდა, კატასტროფა არაფრად ჩაეგდოთ, მისთვის ანგარიში არ გაეწიათ [32].

რაკი „არაფრად არ უნდა ჩაეგდოთ“ და მისთვის „ანგარიში არ უნდა გაეწიათ“, ეს ნიშნავდა, რომ ის მიღებები, სპექტაკლები, კონცერტები, სადილები, რომლებიც პროგრამით იყო გათვალისწინებული, და, რაღა თქმა უნდა, მონტებელოს ბალი ძალაში რჩებოდა. მაგიდებზე დადგმული ახლად მოკრეფილი ასი ათასი ვარდი, იმ საღამოსთვის რომ იყო გამოწერილი პროვანსიდან, ნაზ სურნელებას აფრქვევდა დარბაზებში. ვახშამი გაწყობილი იყო ამ შემთხვევისათვის ვერსალიდან გამოგზავნილი ვერცხლის ჭურჭლით. ჭაღების შუქქვეშ შვიდი ათასი მოწვეული სტუმარი მხიარულობდა, შეექცეოდა, ცეკვავდა. სწორედ იმ საღამოს, როცა მეხანძრეები და ჯარისკაცები კვლავ ხოდინის მინდვრებში წვალობდნენ, ფარნების შუქზე გვამებს ეზიდებოდნენ, ბალზე წრეში საცეკვაოდ გამოვიდა მეფე-დედოფალი. უცხოელი დამსწრის აღწერით ეს ასე გამოიყურებოდა:

„ჭაღები ათასობით სხივს აფრქვევენ ყვავილების გირლიანდებსა და შადრევნის შხეფებს. ყველა მხიარულია... ყველგან ისმის ბედნიერი სიცილი... ეს დიდებულები კი მთელი დღე უყურებდნენ მკვდრებს, მზისაგან გარუჯულ მიცვალებულთა გროვას... ბალზე იქმნება წრეები, რომლებიც შუაგულისაკენ მიიწევენ: იქ იმპერატორი იმპერატრიცასთან ერთად ცეკვავს კადრილს...“. შემდეგ კვლავ თენდება და „მთავრები, საელჩოთა პასუხისმგებელი პირნი, სამხედრო ატაშეები მიწვევას ღებულობენ მტრედებზე სანადიროდ“. ტირი ასი მეტრის მანძილზეა სასაფლაოდან, სადაც ის-ის არის სამარეს მიაბარეს დახოცილები. და იმ დროს, როცა ხალხი ტიროდა, მოსკოვის ქუჩებში მოემართებოდა სუნამონაპკურები, ხრწნადი, დრომოჭმული ძველი ევროპის ჭრელი კორტეჟი... „გენერალი ბუადიოფრი * კორტეჟში არ იყო. მან მტრედების ნადირობაზე უარი განაცხადა. არ უნდოდა იმის მოწმე გამხდარიყო, თუ როგორ ამოიღებდნენ მიზანში თავადები მძორის სუნზე მოფრენილ ძერებს“ [33].

გენერალ ბუადიოფრის მსგავსნი უცხოელ სტუმრებს შორის ცო-

---

* საფრანგეთის გენერალური შტაბის უფროსი, რომელიც მოსკოვში მეფედ კურთხევის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა.

ტანი იყვნენ. თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს, ისე მხიარულობდა არა მარტო „სუნამონაპკურები, ხრწნადი“ ევროპა, არამედ ახალი მეფისადმი მისალმებებითა და მილოცვებით პატივისმცემელი ფეოდალურ-იმპერატორული, თვითმპყრობელური, ბოგდიხანური აზია. მისი წარმომადგენლებიდან მოსკოვში გამოირჩეოდა დიდებულთა ამალით გარშემორტყმული, ნიკოლოზის მეფედ კურთხევაზე ჩამოსული პეკინის საგანგებო რწმუნებული ლი ხუნ-ჩანი. ვიტეს შეფასებით: „გამოჩენილი მოღვაწე, რომელსაც იმ დროს ყველაზე მაღალი პოსტი ეკავა ჩინეთში“. ლი ხუნ-ჩანს არც კი ერიდებოდა გვერდით მდგომთა და ცინიკურად დასცინოდა „ხოდინის ამბავს“, როგორც უბრალო რაღაცას, რომელიც არა მარტო სინანულს, არამედ ჩვეულებრივ ყურადღებასაც არ იმსახურებდა. ჩინელი წარჩინებული პირი ურჩევდა ფონ დერ პალენსა და სხვა დიდებულებს, „რაც შეიძლება მშვიდი“, „გულგრილი“ დამოკიდებულება გამოეჩინათ ადამიანების მასობრივი დაღუპვისადმი, მოსახლეობის მწუხარებისადმი. დიდებულები ინტერესით უსმენდნენ მრჩეველს: მას თავისი დარიგებების საილუსტრაციოდ ორიგინალური მაგალითები მოჰყავდა „შუაგული იმპერიის“ ცხოვრებიდან.

ვიტე მოგვითხრობს:

— ლი ხუნ-ჩანი თავისი ამალით მოვიდა... იგი თალარში შემოვიდა და, როცა მივუახლოვდი, თარჯიმნის მეშვეობით მკითხა: „მართლა მოხდა რაიმე დიდი კატასტროფა, რომლის დროსაც დაახლოებით ორი ათასი კაცი დაიხოცა და დასახიჩრდა?“ მე ნაძალადევად ვუპასუხე: დიახ, ასეთი უბედურება მოხდა-მეთქი. მაშინ ლი ხუნ-ჩანმა მკითხა: „მითხარით, გეთაყვა, ნუთუ ამ უბედურების შესახებ ყოველივე დაწვრილებით უნდა მოხსენდეს ხელმწიფეს?“ მე ვუპასუხე, უკვე მოხსენდა-მეთქი. ლი ხუნ-ჩანმა თავი გააქნია და მითხრა: „აბა თქვენი სახელმწიფო მოღვაწენი გამოუცდელები ყოფილან. აი, როცა მე პეჩილის ოლქის გენერალ-გუბერნატორი ვიყავი, იქ შავი ჭირი გაჩნდა და ათიათასობით ადამიანი დაიღუპა. მე მუდამ ასე ვწერდი ხოლმე ბოგდიხანს, რომ ჩვენთან ყველაფერი რიგზე იყო... და როცა შემეკითხებოდნენ, რაიმე ავადმყოფობა ხომ არ გაჩნდაო, ვპასუხობდი: არავითარი ავადმყოფობა არ გაჩენილა, მოსახლეობა სრულ წესრიგშია-მეთქი“. და შემდეგ. თითქოს წერტილი დაუსვაო. მითხრა: „ბოგდიხანი ბოგდიხანია. რისთვის უნდა სცოდნოდა და რატომ უნდა გამენაწყენებინა, რომ მის იმპერიაში სულ რაღაც ათიათასობით კაცი დაიღუპა?“ [34]

სხვათა შორის, იმის გამო, რომ მეფეს კატასტროფის ამბავი მოახსენეს, არაფერი შეცვლილა. ვორონცოვ-დაშკოვი, ფონ დერ პალენი

და სასახლის სხვა დიდებულნი ხოდინური მგლის ორმოების გამო იმაზე მეტად არ დაზარალებულან, ვიდრე ჩინელი გენერალ-გუბერნატორი პეჩილის შავი ჭირისათვის. ხოლო მისი უდიდებულესობის ბიძა წაახალისეს კიდევაც: მოსკოვში გამოცემული უმაღლესი რესკრიპტით სერგეი ალექსანდრეს ძეს, ხოდინის მთავარ დამნაშავეს, „ზეიმის საინიმუშოდ მომზადებისა და ჩატარებისათვის“ მადლობა გამოეცხადა. ეს რესკრიპტი „ხალხის დაცინვად“ გაისმა. ყველამ იცოდა დიდი თავადის სერგეის როლი ამ ამბავში. მას შემდეგ, სადაც არ უნდა გამოჩენილიყო იგი — ქუჩაში, თეატრში, ხალხთა სხვა საკრებულოში, მოსკოველები უკან მისდევდნენ და უყვიროდნენ: „თავადო ხოდინსკო“ [35].

ბიძამისის ხელქვეითებს კი მისი უდიდებულესობა თითქოს რამდენადმე მკაცრად მოეკიდა. მან მთავრობის სენატს გაუგზავნა ბრძანებულება, რომელშიც ხოდინის ამბავი მოხსენიებული იყო როგორც „დიდი უბედურება“, ადამიანების ნება-სურვილისაგან დამოუკიდებელი, ვთქვათ, მიწისძვრის, ანდა წყალდიდობის მსგავსი სტიქიური და მოულოდნელი ავბედობა. ბრძანებულებაში გამოთქმული იყო სურვილი, გამოერკვიათ უზენაეს ხელისუფალთა როლი მომხდარ ამბავში, რადგანაც, თუმცა ეს უბედურება სტიქიური იყო, მათ მაინც ალბათ „თავის დროზე არ მიიღეს სათანადო ზომები ხალხთა მასების წასამართავად“. გამორკვევა დაევალა განსაკუთრებულ მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელს — კაიზერს. ხოლო იმისათვის, რომ გამოძიება პირუთვნელი ყოფილიყო, კაიზერის კურატორად დაინიშნა კატასტროფის ერთ-ერთი დამნაშავე, ობერ-ცერემონმაისტერი ფონ დერ პალენი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ობერ-ცერემონმაისტერმა საკუთარი თავი პირადად დაჰკითხა და თავის მოქმედებაში რაიმე საძრახისი ვერ დაინახა. მეფისადმი წარდგენილ პატაკში მან ხაზი გაუსვა, რომ პეტერბურგიდან ჩამოსული სამეფო კარის სამინისტროს წარმომადგენლები, მათ შორის პატაკის ავტორიც, ვალდებული იყვნენ მხოლოდ „მხიარულებასა და საჩუქრების გაცემაზე ეზრუნათ“, ხოლო ადგილზე წესრიგის დაცვა მოსკოვის პოლიციას ევალებოდა.

საპასუხო პატაკი წარადგინა მოსკოველმა ობერ-პოლიცმაისტერმა პოლკოვნიკმა ვლასოვსკიმ. მინდორში, იუწყებოდა იგი, მასპინძლობდა სასახლის კარის სამინისტრო. მისი წარმომადგენლები აწყობდნენ ყველაფერს — ტაკიმასხარობასაც და სასაჩუქრო პარკების დარიგებასაც, „პოლიციას კი ყოველივე ამის მზადებასთან საქმე არ ჰქონდა“; მას

მხოლოდ ის ეხებოდა, „რაც მინდვრის ახლოს და მინდვრამდე იყო. იქ კი არაფერი მომხდარა, ყველაფერი რიგზე გახლდათ“.

ყოველივე უბრალოდ დამთავრდა. კაიზერის მიერ დაწერილი საგამოძიებო ოქმების ორი ტომი „ხოდინის უწესრიგობათა შესახებ“ მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის ყუთებში ჩაკეტეს. სასამართლო არ შემდგარა. თუმცა კაიზერმა, რომელიც არ შეუშინდა თანამდებობის დაკარგვის საფრთხეს, მაინც გაბედა დაესახელებინა რამდენიმე დამნაშავე, მათ შორის ერთადერთ დამნაშავედ ოფიციალურად გამოცხადებულ იქნა ვლასოვსკი. იგი ნამდვილად საშინლად დასაჯეს: თანამდებობიდან გადააყენეს და მთელი სიცოცხლის მანძილზე წლიურად სამი ათასი მანეთი პენსია დაუნიშნეს.

მეფის დედამ, მარია თეოდორეს ასულმა, მოსკოვის საავადმყოფოებს 1000 ბოთლი პორტვეინი და მადერა გაუგზავნა მძიმედ დაჭრილთათვის კრემლის იმ მარაგიდან, რომელიც მეფედ კურთხევის აღსანიშნავად სამი კვირის მანძილზე გამართულ ბალებსა და ბანკეტებს გადაურჩა.

დედის შემდეგ შვილსაც გულმოწყალება მოეძალა და ბრძანა თითოეული დაობლებული ოჯახისათვის დახმარების სახით 1000 მანეთი მიეცათ. როგორც კი გამოირკვა, რომ დაღუპული იყო არა ათობით, არამედ ათასობით ადამიანი, მან ამ მოწყალებაზე უარი თქვა და სხვადასხვა მიზეზით ზოგიერთებს გასაცემი თანხა 50—100 მანეთამდე შეუმცირა, სხვებს კი სულ არ მისცა. მეფემ ამ მიზნისათვის მხოლოდ 90 ათასი მანეთი გამოყო; აქედან მსხვერპლთა დასაფლავების ხარჯების დასაფარავად მოსკოვის საქალაქო მმართველობამ 12 ათასი წაგლიჯა.

თავად მეფედ კურთხევის დღესასწაული კი 100 მილიონი მანეთი დაჯდა, რაც იმავე წელს სახალხო განათლებაზე გაწეულ ხარჯს სამჯერ აღემატებოდა. ეს კი დაიხარჯა არა მეფის ოჯახის პირადი სახსრებიდან, არამედ ხაზინიდან, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სხვანაირად რომ ვთქვათ, „მიიწვიეს ხალხი ზეიმზე, გამასპინძლების ნაცვლად დაასახიჩრეს და იგივე ხალხი აიძულეს გადაეხადათ დასახიჩრებისათვის, რომელიც მას მიაყენეს“ [36].

ამრიგად, მეფის კურთხევა მთლიანად „ხალხის მასხარად აგდება“ იყო. შიმშილისაგან სივდებოდნენ მილიონობით ქვეშევრდომნი მოუსავლიან გუბერნიებში. რუსეთის სამხრეთი ჯერ კიდევ განიცდიდა არცთუ ისე დიდი ხნის წინანდელი ქოლერის ეპიდემიის გამანადგუ-

რებელ შედეგებს. და ამ შიმშილისაგან ძალაგამოლეულ, ავადმყოფობითა და სიღარიბით განაწამებ ხალხს, ახალგაზრდა მეფემ თავისი დღესასწაულისათვის 100 მილიონი წაგლიჯა.

ფრანგი ჟურნალისტის კვალდაკვალ ხოდინის პეიზაჟს დაჟინებით ჩასციებოდა თავზარდაცემული ამერიკელი მწერალიც. „ვუმზერდი მეფედ კურთხევის პროცესიას, პარადებისა და ლხინის ბარბაროსულ ბრწყინვალებას, — წერდა იმ დღეებში მწერალი რობერტ ინგერსოლი, — და არ შემეძლო არ მეფიქრა ღარიბ გლეხებზე, ძალაგამოლეულ, ნახევრად მშიერ მშრომელებზე, უმეცართა მასებზე, რომლებიც სულითაც და ხორცითაც მეფეს ეკუთვნოდნენ". ინგერსოლი წერდა, რომ იმ წუთში შეუძლებელი იყო არ ეფიქრა „მათრახებით აჭრელებულ ზურგებზე, ციხეებში ჩალპობილ პატიმრებზე, ხალხთა მასებზე, რომლებსაც პირუტყვივით ერეკებოდნენ ციმბირის ჯოჯოხეთისაკენ მიმავალ გზებზე".

არა, შესძახა მწერალმა, „ვერც ზარების რეკვა, ვერც საყვირის ხმები ვერ ჩაახშობენ სახალხო კვნესას..." [37]

ეს კვნესა იყო გაფრთხილება. მასში მოისმოდა ფარული მუქარა. სასახლის კარისკაცებს წუთიერად შიშიც კი იპყრობდა: ხომ არ შეეცდებოდა მოსკოვში მცხოვრები ხალხი სამაგიეროს გადახდას მათი წამებისათვის.

დღესასწაულების დამთავრებიდან ორი დღის შემდეგ, 28 მაისს, დიდი მთავარი სერგეი მეფისაგან კიდევ ერთ დემონსტრაციულ ჯილდოს ღებულობს: იგი შეთავსებით მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად ინიშნება. და პირველი, რაც ახალმა სარდალმა მოიმოქმედა, ის იყო, რომ ოლქისა და გარნიზონის ჯარების დიდი ნაწილი კრემლისაკენ შეამჭიდროვა და ქალაქის ცენტრში შეიყვანა. პოლკები „შეუღწეველ კორდონებად გაიშალნენ კრემლის დიდი სასახლის ირგვლივ, სადაც მეფე თავისი ოჯახითა და მახლობელთა წრით კვლავაც განცხრომაშია" [38].

მოსკოვში გამართული დღესასწაულების შემდეგ ნიკოლოზი მეუღლესთან ერთად შუა ივლისში სამოგზაუროდ მიდის. მომხდარი ამბავი მათ დიდად არ აწუხებდათ. მხიარული გასეირნების მიზნით ისინი თავზარდაცემული მოსკოვიდან რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში გაემგზავრნენ. მოგზაურობა ხუთ თვეს გაგრძელდა.

17 ივლისს ნიკოლოზი ნიჟნი ნოვგოროდში ჩადის, რათა საზეიმო ვითარებაში გახსნას სრულიად რუსეთის ბაზრობა და იქვე მოილხი-

ნოს თავად-აზნაურთა და ვაჭართა შორის. 13 აგვისტოს იმპერატორ ფრანც-იოსებთან მიემგზავრება სტუმრად ვენაში. 22 აგვისტოს ბერლინში ჩადის ვილჰელ II-თან. 24 აგვისტოს, ვილჰელმის თანხლებით, ბრესლაუში აწყობს გერმანიის ჯარების დათვალიერებას, რის შემდეგაც კილის გავლით თავის პაპასთან, დედის მხრიდან, დანიის მეფე ქრისტიან IX-თან მიემგზავრება კოპენჰაგენში. 3 სექტემბერს კოპენჰაგენიდან დედოფალ ვიქტორიასთან მიდის სტუმრად ლონდონში. 23 სექტემბერს ლონდონიდან შერბურში ჩადის, სადაც მას საფრანგეთის პრეზიდენტი ხვდება. საფრანგეთში სამი კვირა ერთობოდა. 17 ოქტომბერს პარიზიდან დარმშტადტში თავის ცოლის ძმასთან ერნსტ ჰესენელთან მიდის.

და მხოლოდ 19 ოქტომბერს გამოჩნდა მეფე-დედოფალი ზამთრის სასახლის იორდანიის სადარბაზოსთან. დამხვდურნი მეფეს ხედავენ მზისაგან გარუჯულს, ხალისიანს, რომელსაც უკვე „ყველაფერი დავიწყებული აქვს“.

ხოლო ორთვე-ნახევრის შემდეგ, ახალი წლის წინ, ახალგაზრდა მეფემ დღიურში ჩაწერა: „ღმერთმა ინებოს და მომავალმა 1897 წელმაც ისე მშვიდობიანად ჩაიაროს, როგორც ამ წელიწადმა ჩაიარა“ [39].

4

ის, ვინც იქ არ იყო?

საბჭოს მდივანს ჰკითხეს, რამდენად ჭკვიანია მეფე ბერენდეიო? საბჭოს მდივანმა უპასუხა: მეფე ბერენდეი ძალზე კეთილი კაციაო.

მეფე-შიმშილი

„ეუპელი", 1905 წელი

თითქმის ყველა სათემო გამგეობაში, წერდა ამ საუკუნის დამდეგს ახალგაზრდა ლენინი, თქვენ შეგიძლიათ ნახოთ ასეთი სურათი: დგას ალექსანდრე III მის მეფედ კურთხევაზე მოწვეული თემის მამასახლისების წინ და სიტყვით მიმართავს მათ. მთავარი ის არის, რომ ამგვარი შემთხვევის გამო მეფეს მათთვის უთქვამს:

— დაუჯერეთ თქვენს წინამძღოლ თავადაზნაურობასო.

მამის შემდეგ იგივეს ეუბნება რუს ხალხს ნიკოლოზ II.

მეფეები თავადვე არწმუნებდნენ ხალხს, რომ თავადაზნაურობის დახმარებისა და მისი შუამავლობის გარეშე სახელმწიფოს მართვა არ შეეძლოთ. თავადაზნაურობას ემსახურებოდა, მათ ინტერესებს იცავდა, რუსეთზე მათ ბატონობას ასახიერებდა ხელმწიფე-იმპერატორი.

ამბობენ, რომ მეფე ყველაზე მაღლა დგას, ღარიბებზეც და მდიდრებზეცო. მეფე ერთნაირად სამართლიანია ყველას მიმართ — ღარიბებისა და მდიდრებისადმიცო. მაგრამ ამის თქმა ორპირობაა. რუსეთშიაც და მთელს მსოფლიოშიც, აღნიშნავდა ლენინი, კარგადაა ცნობილი, თუ რაოდენ სამართლიანია მეფის რეჟიმი, როგორი გულკეთილი და ადამიანურია მეფე.

და მართლაც, საკმარისია დავაკვირდეთ, ვინ დგას მის უკან, ვის ინტერესებს იცავს იგი, რას ფლობს თავად.

109 მილიონი დესეტინა მიწიდან, რომელსაც კერძო მესაკუთრეები ფლობდნენ, 7 მილიონი საუფლისწულო მამულს, ანუ საიმპერატორო ოჯახის კერძო საკუთრებას შეადგენდა. ეს ნიშნავს, რომ მეფე უპირველესი მემამულე, ყველაზე დიდი მემამულე იყო რუსეთში. მარტო მას უფრო მეტი მიწები ჰქონდა, ვიდრე ნახევარ მილიონ გლეხის ოჯახს.

მის ხელში იყო ერთპიროვნული, შეუზღუდავი, თვითმპყრობელური ძალაუფლება. იგი თავის ნებაზე, ყოველგვარი კონტროლისა და ცილობის გარეშე განაგებდა ყველა საქმეს სახელმწიფოში. გამოსცემდა კანონებს, ნიშნავდა მინისტრებს, გენერლებს, ჩინოვნიკებს, რომლებიც მხოლოდ მისი ერთპიროვნული განკარგულებებით მოქმედებდნენ. ცხადია, ისეთ უზარმაზარ ქვეყანაში, როგორიც რუსეთი იყო, მეფეს არ შეეძლო სცოდნოდა ყველა კანონი, ყველა ჩინოვნიკი. ერთი კაცი, რაოდენ დიდი სურვილიც არ უნდა ჰქონოდა, ვერ შეძლებდა ასეთი გიგანტური ქვეყნის მართვას. მაშ ვინ მართავდა მას? ყველაზე მდიდარი და ცნობილი დიდებულები—ერთი ძუჭა მემამულეები და კაპიტალისტები. და მათთან ერთად მეფე. იგი თავად იყო მემამულე და მთავარი... მეფისა და ამ ვაჟბატონების ინტერესები ერთი და იგივე გასლდათ [1].

მაშ, როგორ ცხოვრობდა მამა-ხელმწიფის ნებას მორჩილი მილიონობით ადამიანი, რომლებსაც იგი მანიფესტებსა და ბრძანებებში ჩვეულებისამებრ თავის ერთგულ ქვეშევრდომებად იხსენიებდა?

საუკუნის დასაწყისში (1904 წლის 1 იანვრისათვის) იმპერიის მოსახლეობა 144 მილიონ კაცს შეადგენდა. აქედან 18 მილიონ-ნახევარი ქალაქად ცხოვრობდა, 125 მილიონ-ნახევარი — სოფლად.

იმპერიაში 38 ათასზე ცოტა მეტი სამრეწველო საწარმო ითვლებოდა, სადაც ყოველდღიურ ჯოჯოხეთურ შრომაში დაკავებული იყო დაახლოებით 2,5 მილიონი მუშა. მათ რიცხვში შედიოდა 200 მეტალურგიული ქარხანა 300 ათასი მუშით, რომლებმაც 1904 წელს 180 ათასი ფუთი თუჯი და თითქმის იმდენივე (178 ათასი ფუთი) რკინა და ფოლადი მისცეს ქვეყანას [2].

უფრო სრული მონაცემებით, რუსეთის პროლეტარიატი იმ დროისათვის 3 მილიონზე მეტ კაცს ითვლიდა.

რუსეთი იყო ქრონიკული სიდუხჭირის — ხალხის პურით მასობრივად დაუკმაყოფილებელი ქვეყანა. შიმშილი მძვინვარებდა მუშათა რაიონებში, შიმშილობდნენ სოფლად. იმდროინდელმა სატირულმა ჟურნალმა გამოაქვეყნა პარაფრაზი ნეკრასოვის ცნობილი სტრიქონებისა:

> **გადი ვოლგაზე: ვისი კვნესა მიჰყვება ნაპირს —**
> **კარზე მომდგარი ძნელბედობის წინასწარ მაცნე?**
> **ამ კვნესას ჩვენში ამბოხებას ეძახის ხალხი, —**
> **მშიერ-მწყურვალნი ითხოვენ საჭმელს [3].**

მოუსავლიანობის წლებში შიმშილი ერთიანად მოიცავდა ხოლმე მთელ გუბერნიებსა და მხარეებს. ეწამებოდა მილიონობით გაუბედურებული და გაღატაკებული ადამიანი, ბევრი კვდებოდა. პროვინციაში თავისი ადგილ-მამულების დათვალიერების შემდეგ დედაქალაქში დაბრუნებული გამოჩენილი პირი ლამზდორფი წერდა: „პურის მთხოვნელები ქუჩაში გავლის საშუალებას არ გაძლევენ. ყველგან გროვად შემოგეხვევიან. გულისგანმგმირავი სანახაობაა. შიმშილის ნიადაგზე გავრცელებულია ტიფი და ცინგა“.

იქნებ ამ ამბის გამო მამა-ხელმწიფე დამწუხრებული იყო? იქნებ ღამ-ღამობით არ ეძინა? ვინ იცის, რცხვენოდა და გულიც სტკიოდა? მაგრამ ვაი, რომ ეს ასე არ იყო! ერთი დიდებული, რომელიც ახლოდან ადევნებდა მას თვალს, „გაოგნებული იყო იმის გამო, თუ როგორ დამოკიდებულებას იჩენდა უბედურებისადმი ხელმწიფე და იმპერატორის ოჯახის ინტიმური წრე“. მის უდიდებულესობას არ სჯეროდა, რომ შიმშილი მეფობდა ირგვლივ. საუზმეზე, ვიწრო წრეში, „იგი შიმშილზე თითქმის სიცილით ლაპარაკობდა“. მას მიაჩნდა, რომ დახმარების გაცემა მხოლოდ ხალხის დემორალიზაციას იწვევდა. მასხარად იგდებდა მათ, ვინც გუბერნიებში დახმარების აღმოსაჩენად მიემგზავრებოდა... ტანჯულთადმი ასეთ მიდგომას, „როგორც ჩანს, მთელი ოჯახი იზიარებდა...“

მეფის სასახლიდან გამოყოლილ „შემაძრწუნებელ“ შთაბეჭდილებას ლამზდორფი თავის უფროსს, საგარეო საქმეთა მინისტრ გირსს მიაწერდა. ერთი შეხედვით შეიძლება გეჩვენოთ, რომ გირსთან ერთად „შეძრწუნებულია“ მისი მოადგილე ლამზდორფიც. სინამდვილეში ეს უკანასკნელი კვერს უკრავდა თავის უავგუსტოეს შეფს, ორივენი ერთად კი კვერს უკრავდნენ მეფეს, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ მომაკვდავის შიმშილისაგან გადარჩენა „რყვნიდა“ მომაკვდავს. ლამზდორფი წერდა: „გლეხებისა და მუშების ძალზე დიდი ნაწილი“ დახმარების ძებნაში აქეთ-იქით დარბის და მას მუქთად ღებულობს, „იმის მაგივრად, რომ იმუშაოს და ეს დახმარება ისე დაიმსახუროს“. ამგვარი უწესრიგობა, ავტორის აზრით, თავად შიმშილზე საშიშია. „ასეთი სახის ქველმოქმედებამ შეიძლება საბოლოოდ კიდევ უფრო დიდ უბედურებამდე მიგვიყვანოს, ვიდრე თვით მოუსავლიანობის შედეგებმა, რომლისგანაც რუსეთის დიდი ნაწილი დაზარალდა“.

მეფე ქველმოქმედებასა და სახელმწიფო სუბსიდიებს შორის მერ-

ყეობდა. პირველი არ მოსწონდა, მეორესთვის კი, მისი აზრით, ძალზე ცოტა იყო ფული (ანდა სულ არ იყო).

ამასობაში ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოდიოდა პეტერბურგში არზები და მოთხოვნები: შემოეღოთ დამშეულთათვის ნებისმიერი ფორმის ორგანიზებული, სისტემატური დახმარება. რადგან მეფეცა და მთავრობაც ხაზინაში სახსრების ნაკლებობას იმიზეზებდნენ, გაჩნდა პროექტი: სამოც მილიონ მანეთად ნაღდ ანგარიშზე მიეყიდათ უცხოეთის ბანკებისათვის თურქეთის მიერ გადასახდელი სამხედრო კონტრიბუციის უფლება და აღებული ფულით დამშეულებისათვის პური ეყიდათ. არც ერთი ბანკი ამ გარიგებაზე არ წავიდა. ვიღაცამ წამოაყენა წინადადება, სესხი გერმანიისათვის ეთხოვათ. მაგრამ კაიზერმა სესხის გაცემაზე თავი შეიკავა. გადაწყვიტეს, კიდევ ერთხელ, ლატარიის გათამაშებითა და შეწირულობებით საქველმოქმედო კამპანია ჩაეტარებინათ. „პრავიტელსტვენი ვესტნიკი“ ყველას მოუწოდებდა გაეღო შესაწირავი. თვით დიდებულნიც არ იყვნენ დარწმუნებული, რომ ამდაგვარი რამ არსებითად შეამსუბუქებდა მდგომარეობას. მათ შორის იყო ლამზდორფიც. იგი, ჯერ ერთი, „სიცრუეს“ უწოდებდა დარხეულ ხმას, „თითქოს მეფემ საკუთარი თანხიდან მილიონობით მანეთი გაიღო დამშეულთა სასარგებლოდ“. მეორეც, კითხულობდა იგი, რის მიცემა შეეძლო რაღაც საქველმოქმედო ლატარიას, რომლის დახმარებითაც „უმნიშვნელო თანხის — ხუთი მილიონის შეგროვებას“ ფიქრობდნენ? ვისთვის რა შვების მოტანა შეეძლო ამ „ერთმანეთიანი კუპონების“ გათამაშებას? ამასთან, იმის გამო, რომ საცოდავად შეგროვილ სახსრებზე „დაწესებული არ იყო კონტროლი, ზოგან უკვე მომხდარიყო გაფლანგვა“ [4].

დაბრკოლებებისა და სიძნელეების მიუხედავად, საზოგადოებრიობა მაინც ყველაფერს აკეთებდა მეფის სკეპტიციზმის საწინააღმდეგოდ. ხალხიდან გამოსული მოხალისენი მთელს ქვეყანაში აგროვებდნენ ფულს, ყიდულობდნენ პურს და აგზავნიდნენ დამშეულ რაიონებში, ადგილებზე ხსნიდნენ სასადილოებს (ბევრს ზრუნავდა ამ საქმეზე ლ. ნ. ტოლსტოი, რომელიც ხალხის გაჭირვებას სულიერად განიცდიდა). მაგრამ საქმეს მარტო მეფე როდი უყურებდა ალმაცერად. საზოგადოებრიობას ხელს უშლიდნენ იგივე ჩინოვნიკები, რომლებსაც დამშეულთა დასახმარებლად არაფრის გაკეთება არ სურდათ და არც აკეთებდნენ. ამ მხრივ გამოირჩეოდა მეფესთან დაახლოებული პირი, იმ დროისათვის გზათა მიმოსვლის სამინისტროს ინსპექტორი (მოგვია-

ნებით მინისტრის მოადგილე) პოლკოვნიკი ა. ა. ფონ ვენდრიხი. დაზარალებულ რაიონებში განსაკუთრებულ რწმუნებულად ყოფნის დროს მან დეზორგანიზაცია შეიტანა საბარგო მატარებლების მოძრაობაში რკინიგზის ცენტრალურ მაგისტრალებზე, ჩიხში მოაქცია მარცვლეულით დატვირთული თერთმეტი ათასი ვაგონი; ჩახერგილ გზებზე დასველდა და ლპობა დაიწყო ექვს-ნახევარმა მილიონმა ფუთმა ჭვავმა და ხორბალმა. როცა ფონ ვენდრიხის საქციელი მეფეს მოახსენეს, მან ნერვიულად იყვირა: „ნუ ლაპარაკობთ მასზე სისულელეებ, იგი ღირსეული ოფიცერია“. და დასძინა: „მათხოვრები ყოველთვის ბევრნი იქნებიან, იმისთანა ერთგული ადამიანები კი, როგორიც ვენდრიხია, თითო-ოროლა თუ გამოერევა“.

ერთნი, ვენდრიხისნაირნი, პურს ალპობდნენ. მეორენი, ალაბინის მსგავსნი, სიდამპლეს აჩეჩებდნენ ხელში მშივრებს, ხაზინას კი ანგარიშებს უყენებდნენ, რითაც მსხვილ თანხებს ღებულობდნენ და ითვისებდნენ. თუ ვენდრიხს, რომელიც მეფის კეთილი განწყობით სარგებლობდა, ყველაფერს პატიებდნენ, სამაგიეროდ ალაბინის საქმემ ფართო გამოხმაურება პოვა და შესძრა რუსეთი.

გასული საუკუნის მიწურულს, ერთ-ერთ მოუსავლიან წელიწადს, მთავრობამ მისთვის უჩვეულო გულკეთილობა გამოიჩინა: ორჯერ გამოყო დამშეულთათვის პურის საყიდლად კრედიტის სახით — 1,5 და 4,7 მილიონი მანეთი. ყველაზე მეტად დაზარალებული სამარის გუბერნიისათვის შესყიდვა უნდა უზრუნველეყო გუბერნიის ერობის გამგეობის თავმჯდომარეს ალაბინს. იგი შიხაბადოვისა და დრეიფუსის პურით მოვაჭრე ორ ფირმას მოურიგდა. პირველმა დანიშნულ პუნქტს ფორმალურად „მე-5 ხარისხის“, ფაქტიურად კი დამპალი, მოსახმარებლად გამოუსადეგარი ფქვილი ჩააბარა; მეორემ კი — ჭიოტის მომწამლავი თესლითა და სხვა სარეველა ბალახებით შერეული მარცვლეული, რომელიც ასევე გამოუსადეგარი იყო. შიმშილით სიკვდილს ახლა მასობრივი დაავადებები და მოწამვლით დაღუპვა დაემატა. გამოირკვა, რომ ალაბინმა მიმწოდებლებისაგან ქრთამი აიღო.

იგი მოსკოვის სასამართლო პალატის წინაშე წარსდგა. თავის გამართლებას „უცოდინარობით“ შეეცადა. ბრალმდებელმა ა. ფ. კონიმ ეს არგუმენტი არ მიიღო, რადგანაც, მისი განცხადებით, ბრალდებულმა 48 წელიწადი იმსახურა და ამ ხნის განმავლობაში ისეთი თანამდებობები ეკავა, როგორიც იყო სახელმწიფო ქონების პალატის მმარ-

თველი, ელჩი ბულგარეთში, ქალაქის თავი სამარაში და ა. შ. ბრალმდებელმა გააფრთხილა სასამართლო, არ მიეღო მსუბუქი გადაწყვეტილება, რადგანაც ასეთი „პრეცედენტი საშიში იქნებოდა“: იგი შესაძლებლობას მისცემდა სხვებს, „საზოგადოებრივ უბედურებას ჭარაფშუტულად, უყურადღებოდ, ქედმაღლურად ანდა უსულგულოდ მიდგომოდნენ... გაქცეოდნენ კანონით დასჯას და უმეცრების მოხერხებულ, უშიშარ მანტიაში გახვეულიყვნენ“. მაგრამ სწორედ „უცოდინარობის“ საფუძველზე სასამართლომ ალაბინი გაამართლა[5].

ცოტა მოგვიანებით კვლავ მოუსავლიანი წელი დადგა, კვლავ ძლივს გამოგლიჯეს მთავრობას კრედიტი, კვლავ ატყდა ხმაური ამ ფულების ირგვლივ, მაგრამ ახლა უკვე სამინისტროს, საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბით. 8 მილიონი მანეთის მარცვლეულის რეზერვის შექმნა დაევალა მეფის ფავორიტს, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს ვ. ი. გურკოს. მან კანონი დაარღვია და თავისი რწმუნებულება მარცვლეულის შესყიდვის საქმეში უცხოელ ლიდვალიუსს დაუთმო (ქრთამის გამო). ამ უკანასკნელმა კონტრაქტი არ შეასრულა. სენატორმა ვ. ნ. ვარვარინმა გამოძიება დაიწყო. მისი მოთხოვნის თანახმად, გურკოს საქმე სენატის სასამართლოს გადაეცა, რომელმაც ბრალდებულს სახელმწიფო სამსახურიდან განთავისუფლება მიუსაჯა. გამომძიებელმა არ გაითვალისწინა მეფის დამოკიდებულება გურკოსადმი. როცა რამდენიმე ხნის შემდეგ იუსტიციის მინისტრმა ი. გ. შჩეგლოვიტოვმა ნიკოლოზს სახელმწიფო საბჭოს წევრებად დასანიშნი სენატორების სია წარუდგინა, რომელთა შორის ვარვარინიც იყო, მისი უდიდებულესობა ამ უკანასკნელის დანიშვნაზე არ დათანხმდა. მან თქვა, რომ იგი ვერ დაივიწყებდა ვარვარინის საქციელს გურკოს სასამართლოზე გადაცემის გამო[6].

და ყოველივე ეს — შიმშილით გამოწვეული უბედურება და აქედან გამომდინარე თაღლითობები ნიკოლოზის მეფობის დასაწყისიდან დასასრულამდე გრძელდებოდა. მთელი 23 წელიწადი ამოსუნთქვის, სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდა რუსეთს მეფე-შიმშილი.

ორმოცდაათიანი წლების შუა პერიოდში ნიუ-იორკში გამოიცა თეთრგვარდიელი ემიგრანტის, 1915—1916 წლებში მიწათმოქმედების მინისტრის ა. ნ. ნაუმოვის წიგნი. იგი მონაწილეობდა „სამარის შიმშილის“ წინააღმდეგ ბრძოლაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს, როდესაც „1897—1898 წლების არნახულ მოუსავლიანობას

თითქმის ყველგან ულუკმაპურობა მოჰყვა, ხოლო რიგ რაიონებში ნამდვილი შიმშილი თავისი შედეგებით — ცინგითა და ტიფით". ამის შემდეგ, თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე, ნაუმოვი თავმჯდომარეობდა სასურსათო მომარაგების განსაკუთრებულ თათბირებს, რომლებზედაც იხილავდნენ იგივე პრობლემებს. „რის ნახვა მხვდა წილად? — კითხულობს იგი და თავადვე იძლევა პასუხს: — რუსეთი ფაქტიურად თავს ვერ აღწევს შიმშილს ხან ერთ, ხან მეორე გუბერნიაში როგორც ომამდე, ისე ომის პერიოდში". კვლავინდებურად „შიმშილით გამოწვეული წამების" მსხვერპლნი ხდებიან მისთვის ნაცნობი სარატოვისა თუ სიმბირსკის, ყაზანისა და უფის გუბერნიები... ისევ ისე ფართოდაა გავრცელებული პურით სპეკულაცია, ბტაცებლობა, მექრთამეობა; „კომისიონერები, რომლებიც მარცვლეულის მიმწოდებელთა როლში გამოდიან, ტელეფონის მეშვეობით იხვეჭენ ქონებას". ისევ ძველებურად ძალაშია „ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოების მოუმზადებლობა, მათი უუნარობა მომარაგების უზრუნველყოფის, არსებული მარაგის აღრიცხვისა და განაწილების საქმეში".

ხალხის ერთი ნაწილის სრული სიღარიბის ფონზე აშკარად ჩანდა სხვების უსაზღვრო ფუფუნება. შიმშილით მომაკვდავ ადამიანთაგან ახლოს იმართებოდა მოყირჭებული ორგიები. ხელისუფალთა საკარმიდამო ნაკვეთების ირგვლივ წყდებოდა მთელი სოფლები; ისინი კი ამ დროს პიტერისა და მოსკოვის ახლოს, შავი ზღვის სანაპიროზე, საგვარეულო მამულებში ახალ ვილებსა და სასახლეებს იშენებდნენ.

იგივე ნაუმოვი იგონებს: ძნელია იმაზე უფრო მდიდარი და ლამაზი რამის წარმოდგენა, ვიდრე ყირიმის ფოროსია თავისი ზღაპრული და მშვენიერი პარკით, კორდებით, ვარდნარით, უცნაური ტროპიკული მცენარეებით, ვეებერთელა სურნელოვანი ყვავილნარით, აქა-იქ გაბნეული გუბურებით, ხელოვნური ნაკადულებითა და მათზე გადებული მსუბუქი ხიდებით. ეს გასაოცარი კუთხე თავისთვის შექმნა ფაიფურის ფაბრიკანტმა ა. გ. კუზნეცოვმა, რომლის საწარმოებშიც მუშები 14-საათიან სამუშაო დღეში საშუალოდ 42 კაპიკს ღებულობდნენ. როცა „ერთხელ ფოროსში ჩასულმა სტუმარმა ა. გ. კუზნეცოვს ჰკითხა, ძვირი ხომ არ დაგიჯდათ აქ სამოთხის ბაღის გაშენებაო, მან უპასუხა: „იმდენი, რამდენსაც შეადგენს თანხა ფერად-ფერადი ასმანეთიანებისა, რომლებითაც შეიძლება დაიფაროს მთელი ამ ბაღის ზედაპირი" [7].

ერთადერთი, რისი მოფიქრებაც შეძლეს ნიკოლოზ II მრჩევლებმა

პროლეტარიატის „სიმშვიდის შესანარჩუნებლად“, იყო ზუბატოვ-შჩინა *.

„მუშათა საკითხებში“ დახელოვნებული სასახლის კაცებისა და ჯაშუშების გამომგონებლობამ აქ კულმინაციას მიაღწია. ერთადერთი, რაც მოიფიქრა მეფის მთავრობამ, რათა გლეხობის საკითხი შეერბილებინა, — ეს იყო ე. წ. სტოლიპინის აგრარული რეფორმა.

იმის შიშით, რომ ყველაფერი არ დაეკარგათ, მემამულეთა ლიდერები ჩაფიქრდნენ, იქნებ სჯობდა ნაწილი გაეწირათ. საუკუნის პირველ წლებში დაიბადა აზრი მემამულეთა და სახაზინო მიწების ერთი ხაწილის გლეხებს შორის განაწილების (კომპენსაციით) შესახებ. კანონის პროექტი შეიმუშავა მიწათმოქმედებისა და მიწათმოწყობის მთავარმა მმართველმა კუტლერმა. მისი თანაავტორები იყვნენ პროფესორ-ეკონომისტი კაუფმანი და სახელმწიფო ქონების დეპარტამენტის დირექტორი რიტიხი. მათ წამოაყენეს წინადადება, გლეხებს გადასცემოდა 25 მილიონი დესეტინა სახელმწიფო და მემამულეთა სახნავი მიწები. მათ გლეხების ინტერესები კი არ ამოქმედებდათ, არამედ მისწრაფება, რომ ეკონომიურად განემტკიცებინათ მსხვილი მიწათმფლობელობა, რომელიც სულ უფრო მეტად ითვისებდა სოფლის მეურნეობის წარმოების კაპიტალისტურ წესს. ეს იყო სავსებით კეთილგონივრული მანევრი, თუმცა უჩვეულო მასშტაბის; მაგრამ მეფეს ესეც საეჭვოდ ეჩვენა. მიუხედავად იმისა, რომ კუტლერმა და მისმა კოლეგებმა გლეხობისაგან გამოსასყიდად უდიდესი თანხა დააპროექტეს, რომელიც საერთო ჯამში 1861 წლის რეფორმის შემდეგ „საცოდავ გლეხებზე“ შეწერილ გადასახადებს აღემატებოდა; მიუხედავად იმისა, რომ განზრახული იყო გლეხებისათვის გადაეცათ მეტწილად „უქმად დარჩენილი მიწები, აგრეთვე ის მიწები, რომლებსაც მფლო-

* იმისათვის, რომ მუშების ყურადღება რევოლუციური ბრძოლისათვის ჩამოეცილებინათ, მეფის მთავრობამ სამრეწველო ცენტრში შექმნა ე. წ. პოლიციური სოციალიზმის ორგანიზაციები. მუშების მოსყიდვისა და პოლიტიკური გახრწნის ამ სისტემას მოსკოვში სათავეში ედგა ადგილობრივი „ოხრანკის“ უფროსი, ჟანდარმერიის პოლკოვნიკი ზუბატოვი. პეტერბურგის ორგანიზაციას, რომელსაც მბარს უპერდა ქალაქის თავი ი. ა. ფულონი, მეთაურობდა გადასაგზავნი სატუსაღოს მღვდელი გიორგი გაპონი; 1905 წლის დამდეგისათვის მის ქსელში შედიოდა დედაქალაქის ჩრდილოეთის სხვადასხვა რაიონის 11 განყოფილება, რომელთა წევრების რიცხვი 9000 უდრიდა. მთლიანად ზუბატოვშჩინას ინსპირირებას უწევდა და წარმართავდა შინაგან საქმეთა მინისტრი ვ. კ. პლეეე; 1904 წლის 15 თებერვალს მან დაამტკიცა პეტერბურგის ორგანიზაციის წესდება.

ბელნი არენდით იძლეოდნენ“, ნიკოლოზმა პროექტი არ დაამტკიცა.

მთავრობის მეთაურის ს. ი. ვიტეს მოხსენებას მინისტრთა საბჭოში აგრარული საკითხის განხილვის შედეგების შესახებ („მემამულესათვის უმჯობესია დათმოს მიწის ნაწილი და შეინარჩუნოს დანარჩენი მიწები მფლობელობაში, ვიდრე გამოემშვიდობოს ყველაფერს...“) ნიკოლოზმა ასეთი რეზოლუცია წააწერა: „კერძო საკუთრება ხელშეუხებელი უნდა დარჩეს“ [8]. ამის შემდეგ (მეორე დოკუმენტზე) გამოჩნდა მისი სხვა რეზოლუცია: „ჩამოყენებულ იქნეს კუტლერი მთავარმმართველის თანამდებობიდან“.

რევოლუციისადმი შიში არ ნელდებოდა, რაღაც უნდა ელონა. რადგან „დაგორებული ურემი“ (ლ. ნ. ტოლსტოის გამოთქმაა) სულ უფრო მეტად განაგრძობდა „გორვას“, რაღაც რეფორმა მაინც განხორციელდა. მისი მთავარი „გმირი“ იყო პ. ა. სტოლიპინი. მან თავისი სახელი მისცა როგორც აგრარულ სიახლეს („სტოლიპინის ნადელები“), ასევე მისი ხრიკებისადმი მტრულად განწყობილთა მასობრივი ხოცვის სისტემას („სტოლიპინის ჰალსტუხი“). რეფორმის განხორციელებისას ნადელებად დაიყო მიწები და ზოგიერთ ადგილას 25 პროცენტამდე საგლეხო მეურნეობები შეიქმნა. რუსეთის ევროპულ ნაწილში 1916 წლის 1 იანვრისათვის ერობებს გამოეყო 2,5 მილიონი მეურნეობა, პირად საკუთრებაში დარჩა 16,9 მილიონი დესეტინა მიწა, რაც 1905 წლის სანადელო მიწისმფლობელობის 12 პროცენტს შეადგენდა [9].

შედეგი ისეთი იყო, როგორსაც რუსეთის მოწინავე ადამიანები წინასწარმეტყველებდნენ: მშრომელ გლეხობაზე გადაცემული მიწების ნახევარზე მეტი მაინც კულაკების ხელში აღმოჩნდა. უქონელთა და უმიწოთა წილი სოფლის მეურნეობაში კიდევ უფრო გაიზარდა.

ბემამულეთა მიწათმფლობელობას რეფორმა არსებითად არც შეხებია, მისი შემწეობით გლეხობის ფენებად დაყოფა კი გაღრმავდა. მან არათუ არ „დაამშვიდა“ სოფელი, არამედ უფრო გაამძაფრა კლასობრივი ბრძოლა გლეხობაში. ამრიგად, სოფლად არც საკუთრების ბაზის გაფართოება მოხდა და არც ის, რისი იმედიც სტოლიპინს ჰქონდა — გლეხთა მასების ჩამოშორება რევოლუციური ბრძოლისაგან. მარტო 1908 წლიდან 1913 წლამდე, რეფორმის თითქოსდა „დამამშვიდებელი“ ეფექტის ზენიტის პერიოდში, ქვეყნად ფიქსირებული იყო გლეხთა დაახლოებით 22 ათასი გამოსვლა [10].

სოფელი კვლავ რევოლუციის ერთ-ერთ მთავარ კერად დარჩა.

„ღვთის მიერ მირონცხებულ“ მეფეს შეშფოთების ჩრდილი მიადგა. მაგრამ მისი სიბრძნე როგორღაც განყენებულად, ჯანსაღი აზრის საწინააღმდეგოდ ამოქმედდა. როცა მეფეს ხელში მოხსენებითი ბარათი ჩაუვარდა, რომელშიაც შეტანილი იყო ზოგიერთი ეს საბოლოო მონაცემი, მან წააწერა: „საქმეც ისაა, რომ მეტისმეტად ბევრ შეღავათსა და სიკეთეს ხომ არ ვიძლევით? ეშიშობ, ეს მხოლოდ გაანებივრებს და გარყვნის ხალხს“.

წერილი გასპრიდან

მეფეს არ შეეძლო იმ სიგნალების ბუნდოვანებაზე დაეჩივლა, რომლებსაც იგი საერთო ვითარებისა და ცალკეული პირებისაგან ღებულობდა. ცდილობდნენ მისი ყურადღება მიექციათ ამ სიგნალებისთვის. უხსნიდნენ მათ მნიშვნელობას, შთააგონებდნენ სერიოზულ დამოკიდებულებას. ურჩევდნენ თავი არ აერიდებინა მათთვის — აფრთხილებდნენ მოსალოდნელი უსიამოვნო შედეგების გამო. მრჩევლები სხვადასხვანი იყვნენ, მათ შორის მეტად პატივცემულნიც, როგორიც, მაგალითად, ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი. 1902 წელს მან ნიკოლოზ II გაუგზავნა წერილი, ერთხელ კიდევ შეეცადა — ეს მერამდენეჯერ — თავისი „სოციალური პედაგოგიკის“ შესაბამისად შთაენერგა მეფისათვის ჯანსაღი აზრი და კეთილგონიერება *.

მწერლები ადრეც ცდილობდნენ „გამაჯანსაღებელი“ გავლენა მოეხდინათ მეფეებზე — ამ მხრივ საკმარისია გავიხსენოთ ა. ი. გერცენი. უკანასკნელი თვითმპყრობელისადმი გაგზავნილი ტოლსტოისეული წერილი გერცენის მიერ მეფე-„განმათავისუფლებლისადმი“ ადრესირებული მამხილებელი მიმართვების ტოლფასია. რაოდენ ილუზორულიც არ უნდა მოგვეჩვენოს დასახული მიზანი — შემოებრუნები-

---

* ლ. ნ. ტოლსტოი ბევრჯერ შეეცადა უშუალო ზეგავლენა მოეხდინა რუსეთის უკანასკნელ სამ მეფეზე: 1862 წლის 22 აგვისტოს წერილი მისწერა ალექსანდრე II; 1881 წლის 8—15 მარტსა და 1894 წლის 2—3 იანვარს — ალექსანდრე III; 1897 წლის 10 მაისსა და 19 სექტემბერს, 1900 წლის 7 დეკემბერს, 1901 წლის 26 მარტს, 1902 წლის 16 იანვარს (გასპრიდან) — ნიკოლოზ II. წერილი გაუგზავნა „მეფესა და მის თანაშემწეებს“ 1901 წლის 15 მარტს (ლ. ნ. ტ ო ლ ს ტ ო ი, თხზ. სრული კრებული, ტ. 60, გვ. 440—441; ტ. 63, გვ. 42—52; ტ. 67, გვ. 4—9; ტ. 70, გვ. 72—75, 140—141; ტ. 72, გვ. 514—516, 516—520; ტ. 73, გვ. 55, 184—196; ტ. 34, გვ. 239—244).

ნათ. შეეცვალათ თვითმპყრობელის აზრები და მოქმედება, ამ მიმართვებში ყველაზე ნაკლებად შეინიშნებოდა გულუბრყვილობა, იგი ნაკარნახევი იყო ცარიზმის მიერ განაწამები ხალხის ტკივილით. მათდამი გულის მომწყვლელი სიბრალულით განწყობილი ამ მიმართვების ავტორები მზად იყვნენ უშუალო მონაწილეობაც კი მიეღოთ შუამდგომლობაში მეფის წინაშე ხალხის მდგომარეობის შესამსუბუქებლად. როგორც გერცენის, ისე ტოლსტოის მიერ მეფისადმი გაგზავნილი წერილები სასოწარკვეთის გამოვლინება იყო. გერცენსაც და ტოლსტოისაც სურდათ დარწმუნებული ყოფილიყვნენ, რომ გადმობირების შემთხვევაში იმპერატორს შეუძლია და მოისურვებს რაიმე უშველოს უბრალო ხალხს.

1902 წელს ყირიმში, გასპრში, ტოლსტოიმ თავისი უკანასკნელი წერილი მეფისადმი ძლივს დაწერა. დიდი მწერალი მძიმე ავადმყოფი იყო, თავს ძალიან ცუდად გრძნობდა. მისი ერთ-ერთი ახლობელი ადამიანი ა. ბ. გოლდენვეიზერი მაშინ წერდა: „იგი ამ დღეებში ძალზე ბევრს მუშაობს მისთვის მეტად ამაღელვებელ საქმეზე (მეფისადმი გასაგზავნ წერილზე) და გადაიღალა. გუშინ გული ცუდად ჰქონდა და ამიტომ ლოგინიდან არ ამდგარა“. ამის შესახებ იგონებდა მისი ვაჟიშვილი სერგეიც: „თავისი ტანჯვისა და სისუსტის მიუხედავად, მამა... მაინც კარნახობდა. დეკემბრის ბოლოს მან შეადგინა ნიკოლოზ II-თან გასაგზავნი **წერილი** მოწოდებით, მოესპო ის ჩაგვრა, რომელიც ხელს უშლიდა ხალხს გამოეთქვა თავისი სურვილები და საჭიროებანი... მოესპო მიწის საკუთრება... 16 იანვარს მან ამ წერილის საბოლოო რედაქცია დაამთავრა და დიდი მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის საშუალებით გაგზავნა. 28 იანვარს ნიკოლოზ მიხეილის ძემ დეპეშა გამოუგზავნა, რომ წერილი მეფეს გადასცეს“ [11].

ალბათ პირველივე ორმა სიტყვამ, რომლებითაც იწყებოდა წერილი, ადრესატი მაშინვე განაცვიფრა. „ძვირფასო ძმაო!“ — ერთი შეხედვით ასეთი უცნაური მიმართვის ფორმა აირჩია ტოლსტოიმ ნიკოლოზ II-სადმი გაგზავნილ წერილში. ამის შემდეგ იქვე მოცემულია ამგვარი განმარტება: „ასეთი მომართვა უფრო გონივრულად ჩავთვალე იმიტომ, რომ ამ წერილით მოგმართავთ არა იმდენად მეფეს, რამდენადაც ადამიანსა და ძმას... არ მინდა ისე ვოვკვდე, რომ არ გითხრათ ის, რასაც თქვენი ახლანდელი მოღვაწეობისა და იმის შესახებ ვფიქრობ, თუ რაოდენ დიდი ზიანის მოყენება შეუძლია

მას ხალხისა და თქვენთვის, თუკი იმავე მიმართულებით გაგრძელდება, რომლითაც იგი ახლა მიდის“.

შემდეგი სტრიქონებიდან ადრესატს ადვილად შეეძლო შეეტყო, რას ფიქრობდნენ მოწინავე ადამიანები როგორც მისი მაშინდელი მოღვაწეობის, ისე ჩადენილ ბოროტებათა შესახებ. ტოლსტოი სწერდა ნიკოლოზს ტირანული ერთმმართველობის არქაულობის შესახებ საერთოდ, განსაკუთრებით კი ცარისტული თვითმპყრობელობის უაზრობასა და უსამართლობაზე, თვითმპყრობელობის ქომაგი და მეფის მხარდამხარ მდგარი პარაზიტული კლასის პრივილეგიებისა და თვითმმართველობის ღრმა უსამართლობის შესახებ. ტოლსტოი ურჩევს მეფეს, ჯერ ერთი, ხელი აიღოს ერთპიროვნულ ხელისუფლებაზე; მეორეც, მკვეთრად გააუმჯობესოს მუშების მდგომარეობა, ჩამოართვას მიწები მემამულეებს და გადასცეს იგი გლეხებს. „თვითმპყრობელობა, — ასწავლის ლევ ნიკოლოზის ძე მეფეს, — დრომოჭმული ფორმაა“; მას საფუძვლად უდევს იდეა „ისეთი აუსრულებელი განზრახვისა, როგორიცაა კაცობრიობის მარადიული მოძრაობის შეჩერება“. ცრუობენ ცარიზმის წყობილების დამცველნი, რომლებიც თავიანთი გამართლების მიზნით ირწმუნებიან, თითქოს „ცხოვრების ყოველგვარი მოძრაობის შეჩერება ხალხში, უზრუნველყოფს ამ ხალხის კეთილდღეობას“. რა კეთილდღეობაა ეს — ამის დამოწმება შეუძლია იმ „ას მილიონს, რომელზედაც დაფუძნებულია რუსეთის ძლიერება“, რომელიც „ღატაკდება ყოველწლიურად“ და იქამდის არის მისული, რომ მისთვის „შიმშილი ნორმალურ მოვლენად გამხდარა“. მოერიდეთ აფეთქებას, აფრთხილებდა ტოლსტოი მეფეს, იფიქრეთ აგრეთვე თქვენს პირად უსაფრთხოებაზე; არ დაელოდოთ „დაგორებული ურმის“ დაჯახებას. ნუ მოექცევით იმ ილუზიის გავლენის ქვეშ, თითქოს როგორც თვითმპყრობელი გარშემორტყმული ხართ მაღმერთებელი ერთგული ქვეშევრდომებით, — ეს თავის მოტყუებაა. ის ადამიანები, რომლებიც მეფეს მისდამი სახალხო სიყვარულის გამომხატველად ესახება, არსებითად პოლიციის მიერ შეგროვებული და ჩამწკრივებული ბრბოა. ისინი ვალდებულნი არიან გამოხატონ ერთგულება. ასე მოუწყვეს, მაგალითად, „პაპათქვენს ხარკოვში, როცა ეკლესია ხალხით იყო სავსე. მაგრამ ეს ხალხი გადაცმული გოროდოვოებისაგან შედგებოდა“ [12].

დიდი ლევისათვის პასუხის გაცემა „პატარა“ ნიკოლოზმა თავისი ღირსების დამცირებად ჩათვალა. ტოლსტოის მოწოდებებზე ადრესატს

პასუხი არ გაუცია. მოგვიანებით, როცა მწერალი მეფისა და მისი თანაშემწეებისადმი (ვიტე, სტოლიპინი) გაგზავნილი თავისი მიმართვების უშედეგობაში საბოლოოდ დარწმუნებულა, შინაურების წრეში უთქვამს: „ყოველ შემთხვევაში, მე ყველაფერი გავაკეთე, რათა მცოდნოდა, რომ მათთვის მიმართვა უშედეგოა“ [13].

თუმცა შემდეგში მეფე ნიკოლოზმა მწერლის ვაჟიშვილი ლევ ლევის ძე კერძო საუბრისათვის მიიღო. ამაოდ ცდილობდა იგი საუბარი იმ თემაზე ჩამოეგდო, რომელზედაც გასპრის წერილში იყო ლაპარაკი. ნიკოლოზმა მას მხარი არ აუბა. უკმეხად, თითქმის გაღიზიანებით დაიმოწმა თავისი პირობა, რომელიც მან ლივადიაში მისცა მომაკვდავ მამას, და ასევე მეფედ კურთხევის დღეს უსპენსკის ტაძარში დადებული თავისივე ფიცი. ლევ ტოლსტოი-უმცროსს სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ აუდიენციისთვის დარჩენილი დრო თავისი მშობლის სხვა მოწოდებების პოპულარიზაციისათვის გამოეყენებინა: არ მოეწია თამბაქო, არ დაელია, არ დაეხოცა ცხოველები. ეს შეგონებანი მეფემ მშვიდად, ცნობისმოყვარეობით და ერთგვარი მოჩვენებითი კმაყოფილებითაც კი მოისმინა, თუმცა შემდეგ თავი მაინც არ დაუნებებია არც სმისთვის, არც თამბაქოს წევისა და არც ფრინველ-ცხოველთა ხოცვისათვის.

ლ. ნ. ტოლსტოისადმი მეტი პატივისცემა მაშინ არც მეფის ზოგიერთ თანაშემწეს, მათ შორის ვიტესა და სტოლიპინს გამოუჩენიათ, რომლებსაც მწერალმა იგივე მოსაზრებებით მიმართა [14].

რაც შეეხება საიმპერატორო გვარის წევრებს, თითქოსდა იმავე ხათრიანი ნიკოლოზ მიხეილის ძის ბიძაშვილების ჩათვლით, ისინი თავიანთ უპატივცემლობას ტოლსტოისადმი არ მალავდნენ და ზოგჯერ ეს უპატივცემულობა უხეშობითაც კი ვლინდებოდა.

ლივადიის რაიონში ერთხელ ცხენით მიმავალ ტოლსტოის დიდი მთავრების ჯგუფმა გზა გადაუღობა. გზა გადაკეტეს აგრეთვე ერთ-ცხენიანმა მსუბუქმა ეტლებმა. ტოლსტოის მკაცრ შემოხედვაზე ცხენი განზე გადგა და მწერალი გაატარა; მისკენ ზურგშექცეული დიდი მთავრები ადგილზე დარჩნენ. ტოლსტოიმ დუმილით განაგრძო გზა. ორი წუთის შემდეგ კი თქვა:

— მიცნეს სულელებმა.

ერთი წუთის შემდეგ კი დაამატა:

— ცხენიც კი მიხვდა, რომ ტოლსტოის გზა უნდა დაუთმოს [15].

ტოლსტოის ცდა „გაენათლებინა ყაჩაღები“ ისე დამთავრდა,

როგორც მოსალოდნელი იყო — უშედეგოდ. საქმის ასეთმა დასასრულმა ტოლსტოი, შეწყალებისა და უანგარო სიყვარულის ქადაგებების მიუხედავად, რისხვითა და სიძულვილით აღანთო. ის, ვისაც „ძვირფასი ძმა“ უწოდა, შემდეგ საუბრებსა და წერილებში იხსენიება როგორც „ნაკლებგონიერი ჰუსარი-ოფიცერი“, ხოლო ბოლოს უკვე როგორც „ფარული ჯალათი“, „მკვლელი“. ხალხის ქვედა ფენებიდან მიღებული ცნობების საფუძველზე იგი ძალზე მკაცრად აფასებს მეფის მოღვაწეობას თავის მეგობრებში. სოფიო ანდრიას ასულს, მოგვითხრობს იგი, ერთხელ „ტანსაცმელშემოგლეჯილი გლახა შეხვედრია“ და გამოლაპარაკებია. გლახას უთქვამს: „ოდესღაც მეფედ გვეჯდა ნიკოლოზ ჯოხაძე, ახლა კი ნიკოლოზ თოკაძე გვყავს. მაგრამ მოიცა, მასაც მივწვდებით“ [16].

ტოლსტოის ამგვარი განწყობილება მეფისთვის ცნობილი იყო („ოხრანკისაგან“, რომლის აგენტები შეპარული იყვნენ იასნაია პოლიანას შინამოსამსახურეებშიც კი). როცა ერთხელ მწერალმა მაგიდასთან ოჯახის წევრებს უთხრა: „მეფეების დრო მთავრდებაო“, საიდუმლო პოლიციის მეშვეობით ამის შესახებ იასნაია პოლიანას მიღმა პირველმა ნიკოლოზ II შეიტყო. მსგავსი საშუალებით ინფორმაციის მიღების გამო იგი მასშტაბურ მოვლენებზე გამომუშავებულ თავის მცირეკალიბრიან რეფლექსს ვერ გასცდა: ვერ შეძლო ამაღლება ვერც იასნაიაპოლიანელი გიგანტის სიცოცხლეში და ვერც მას შემდეგ, როცა ასტაპოვის სადგურთან მდგარ პატარა სახლში დიდი გულის ცემა შეწყდა.

ტოლსტოის გარდაცვალების შესახებ პ. ა. სტოლიპინმა 1910 წლის 20 ნოემბერს მოხსენებით ბარათში მეფეს რამდენიმე სტრიქონით ოფიციალურად აცნობა:

> დღეს, დილის 6 საათსა და 5 წუთზე რიაზან-ურალის რკინიგზის ასტაპოვის სადგურში 83 წლის ასაკში გარდაიცვალა გრაფი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი, რის შესახებაც ვალდებულად ვრაცხ თავს უქვეშევრდომილესად მოვახსენო თქვენს იმპერატორობითს უდიდებულესობას.
>
> სტატს-მდივანი სტოლიპინი

ამ მოხსენებით ბარათს მეფემ წააწერა:

> დაე მაღალი ღმერთი იყოს მისი კეთილად განმკითხავი. ნიკოლოზი [17].

მცდარია მტკიცება, თითქოს ტოლსტოის ოჯახს მაშინვე დაენიშნა პენსია წელიწადში 10 ათასი მანეთის ოდენობით. პენსია არ დაუნიშნავთ არც 1910 წლის ნოემბერში და არც 1911 წლის მანძილზე.

მწერლის გარდაცვალების შემდეგ სოფიო ანდრიას ასულმა ორჯერ სთხოვა ნიკოლოზ II გამოესყიდა იასნაია პოლიანა (500 ათას მანეთად), რადგანაც ეშინოდა, მამული არ დანაწევრებულიყო და კერძო პირთა ხელში არ ჩავარდნილიყო. იგი მეფეს სწერდა: „მისი აკვნისა და საფლავის სახელმწიფოს დაცვაში გადაცემა ჩვენი მხურვალე სურვილია“. ხოლო მოგვიანებით იმავე ადრესატს სთხოვდა: „გემუდარებით, თქვენო უდიდებულესობავ, ნება არ მისცეთ საბოლოოდ გაანადგურონ იასნაია პოლიანა... ამასთან ერთად უშველეთ ჩემს ოჯახს... გულწრფელად მჯერა თქვენი სიკეთის, მოწყალებისა და დიდი სამართლიანობის...“

შავრაზმელებმა ერთი ამბავი ატეხეს. სინოდის ობერ-პროკურორმა ვ. საბლერმა საჯაროდ განაცხადა, რომ იასნაია პოლიანას გამოსყიდვა იქნება სიკვდილის შემდგომი „პრემია“ ტოლსტოისათვის მისი გამოსვლის გამო მთავრობის წინააღმდეგ.

1911 წლის 20 მაისს ნიკოლოზმა ს. ა. ტოლსტოის თხოვნა განსახილველად მინისტრთა საბჭოს გადაუგზავნა. 26 მაისის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა: ქვრივის წინადადება პრინციპში მიღებულ იქნეს, ფინანსთა მინისტრმა გამონახოს სახსრები. მაგრამ 1911 წლის 20 დეკემბერს მეფემ საქმეს შემდეგი რეზოლუცია დაადო: გრაფ ტოლსტოის მამულის შესყიდვას მთავრობის მიერ შეუძლებლად ვთვლი. მინისტრთა საბჭომ განიხილოს მარტო ის საკითხი, თუ რა ოდენობის პენსია შეიძლება დაენიშნოს ქვრივს. სხვანაირად რომ ვთქვათ, მეფემ „თავიდან მოიცილა“ დიდი მწერლის მეუღლე პენსიის დანიშვნის გზით.

იასნაია პოლიანას დაცვა სახელმწიფოს მიერ ეროვნული ღირსების საყოველთაო-სახალხო საქმედ მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გახდა.

პეტერჰოფის თათბირი

საკმარისი არ არის დაიმონო ხალხი — უნდა შთააგონო კიდეც, რომ ეს დამონება ნაკურთხია თვით უზენაესის მიერ და ამიტომ იგი მარადიულია. არ კმარა ხალხს მოუსპო უფლებები — უნდა დაარწმუნო, რომ ეს უუფლებობა ბუნებრივია და სამუდამოდ შეუცვლელი.

140 მიღ ,ოსნ ქვეშევრდომისათვის უმოწყალო ექსპლოატაციის რეჟიმის შემოღება, მათი სიღარიბესა და შიმშილში ჩაყრა — ეს მხოლოდ საქმის ნახევარია. საქმის მეორე მხარე, რომელსაც მთელი თავისი შემოქმედებითი გონიერება და ორგანიზაციულ-პოლიტიკური გამომგონებლობა მიუძღვნა მეფის მთავრობამ, ეს არის ხალხის გათიშვა ეროვნული შუღლის გაღვივების საშუალებით; ერთის დაშინება, სხვების „მოფერება“: ყველა ადამიანისათვის შიშისა და მორჩილების ერთნაირად შთაგონება; საიმპერატორო ხელისუფლების დიდებისა და ყოვლისშემძლეობის წინაშე ძრწოლის შთანერგვა.

ხელქვეითებისადმი ასეთი მბრძანებლობის მთავარი მიზანი იყო მათი უმეცრებაში ყოლა. სანამ ქვეშევრდომი უსწავლელი და ცრუმორწმუნეა, ფიქრობდნენ ტახტის მსახურნი, იგი ერთგული დარჩება. სანამ უმეცრების გამო თავისი უბედურების მიზეზებში არ გარკვეულა, იმედოვნებდნენ ექსპლოატატორები, იგი თუნდაც შიმშილით მოკვდეს, ყოველთვის თავგანწირვით ჩაუვარდება მათ ფეხებში. საეროოდ, ამბობდნენ ისინი, უბრალო რუსი კაცისათვის ისტორიულად დამახასიათებელია კონსერვატიზმისა და მონარქიული ძველი საფუძვლებისადმი ერთგულება; და იგი ასეთად დარჩება, თუ მას ახლოს არ მიუშვებ სკოლასა და განათლებასთან, არ მისცემ ხელში ჩვეულებრივ ანბანს.

რა გზით წარემართათ შემდეგში ეს ტრადიციული კურსი — ამის თაობაზე გააჩაღეს მსჯელობა მეფემ და მასთან დაახლოებულმა პირებმა საუკუნის დამდეგს ერთ-ერთ წარმომადგენლობითს თათბირზე. ეს თათბირი, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს შექმნის საკითხისადმი იყო მიძღვნილი, რვა დღეს მიმდინარეობდა ახალ პეტერჰოფში (1905 წლის 19 ივლისიდან 26-მდე). განხილვის არსი შემდეგი იყო: როგორ აეცილებინათ თვითმპყრობელობისათვის მზარდი რევოლუციური ქარიშხლით გამოწვეული რისხვა, „სახალხო წარმომადგენლობის“ სახით რომ იჩინა თავი. განხილვისას შეეხნენ რუსეთის ცხოვრების სხვა პრობლემებსაც, რომლებიც თუ თვალნათლივ არა, ერთგვარად მაინც ასახავდნენ იმ გასაჭირს, რომელშიაც იგი ცარიზმმა მოაქცია.

სასახლის მეორე სართულზე, შადრევნებისა და ზღვის სანაპიროსაკენ ყურთამდე ფანჯრებგამოღებულ დარბაზში, რიგებად ჩამწკრივებულ სავარძლებში 49 კაცმა მოიკალათა — ისინი გამოძახებული იყვნენ პეტერბურგიდან და მოსკოვიდან პირადად იმპერატორის

მიერ შედგენილი სიის მიხედვით. ყველაზე უფრო დაახლოებული მრჩევლები და კონსულტანტები იმპერატორის პირდაპირ, პირველ რიგში ისხდნენ. ესენი იყვნენ სინოდის ობერ-პროკურორი კ. ბ. პობედონოსცევი; შინაგან საქმეთა მინისტრი ა. გ. ბულიგინი; საიმპერატორო კანცელარიის მთავარი მმართველი ა. ა. ბუდბერგი; სახელმწიფო საბჭოს უხუცესი წევრი, სტატს-მდივანი ე. ვ. ფრიში; საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. ნ. ლამზდორფი; სამხედრო მინისტრი ა. ფ. რედინგერი; ძმები დ. თ. და ა. თ. ტრეპოვები; თავადი ა. ა. შირინსკი-შახმატოვი; გრაფი ა. ა. ბობრინსკი; გრაფი ა. პ. იგნატიევი; ა. ს. ტანეევი (ფრეილინა ა. ა. ტანეევა-ვირუბოვას მამა).

მათგან ცოტა უკან ისხდნენ: სტატს-მდივანი ბარონი ი. ა. იკსკულ ფონ ჰილდენბრანდტი; სამეფო კარის მინისტრი ბარონი ბ. ვ. ფრედერიკსი; თავად-აზნაურთა გაერთიანებული საბჭოს თავმჯდომარე ა. ა. ნარიშკინი; სახელმწიფო საბჭოს წევრი ო. ბ. რიხტერი; მიწათმოქმედებისა და მიწათმოწყობის მთავარი მმართველი პ. ხ. შვანებახი; მინისტრთა კომიტეტის საქმეთა მმართველი ბარონი ე. ი. ნოლდე; სტატს-მდივანი ა. გ. ტიმროტი; სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტის თავმჯდომარე ნ. ნ. ჰერალდი; წარჩინებულნი: ვ. ნ. კოკოვცოვი, ა. ს. სტიშინსკი, ნ. მ. პავლოვი, ვ. ვ. ვერხოვსკი, ნ. მ. ჩიხაჩევი და კიდევ ზოგიერთი სხვა; მათ შორის სახელოვანი ისტორიკოსი, პროფესორი ვ. ო. კლიუჩევსკი. ესწრებოდა ხუთი დიდი მთავარი.

თათბირს თავმჯდომარეობდა ნიკოლოზ II. გასხნა თუ არა პირველი სხდომა, იქვე გააფრთხილა მონაწილენი ყველა განხილული საკითხის „აბსოლუტურ და მტკიცე საიდუმლოდ“ შენახვის აუცილებლობის შესახებ. მან იკითხა: საჭიროა თუ არა განსახილველი საკითხების განსაკუთრებული საიდუმლოების გამო ოქმის შედგენა? აზრი გაიყო. ა. გ. ბულიგინმა გადაჭრით გაილაშქრა ოქმის შედგენის წინააღმდეგ. ნიკოლოზმა გასცა განკარგულება იკსკულ ფონ ჰილდენბრანდტს უზრუნველეყო ჩაწერა ორ ეგზემპლარად. თათბირიდან ორი თვის თავზე სტენოგრამის მთლიანი ტექსტი გამოაქვეყნა გამომცემლობა „ნეინასტმა“ გერმანიაში.

თავმჯდომარეს აინტერესებდა საკითხი: ექნებოდა თუ არა პროექტით გათვალისწინებულ სათათბიროს მის ერთმმართველობაზე ხელის აღმართვის შესაძლებლობა? სიტყვა ითხოვა შვანებახმა. მან მოიყვანა თეოლოგიური არგუმენტი: „თქვენო უდიდებულესობავ,

თავად მაღალი ღმერთი ემორჩილება კანონებს, რომელთა შემწეობითაც ეს ბრძენთა ბრძენი მართავს სამყაროს... კანონი თქვენია და თქვენვე განმარტეთ. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ სათათბირომ თქვენ შეგზღუდოთ". მეფემ დაასკვნა: „კარგი, ჩემი თვითმპყრობელობა, როგორც ძველად იყო, ისევე რჩება".

შემდეგი საკითხი: სად უნდა ჩაირთოს თეზისი თვითმპყრობელობის შეურყეველობის შესახებ — მანიფესტში, რომლითაც მეფე აუწყებს ქვეყანას სათათბიროს დაარსებას, თუ კონსტიტუციურ კანონში, რომლის საფუძველზედაც უნდა შეიქმნას იგი? სიტყვაში გამოსულები თვლიდნენ, რომ ეს სულ ერთი იყო. მანიფესტს წაიკითხავდნენ და დაივიწყებდნენ, სათათბიროს შესახებ კანონი კი მუდამ იქნებოდა მოქმედებაში. მეფემ განაცხადა: შესაბამისი ფორმულა შეეტანათ არა მანიფესტში, არამედ კანონში.

შემდეგ მას სურდა სცოდნოდა: იხსენიებდა თუ არა მის პიროვნებას სათათბიროს დეპუტატის მოღვაწეობის პასუხისმგებლობის ფორმულა? „აბა წამიკითხეთ დეპუტატის ფიცის პროექტის ტექსტი" — ითხოვა მეფემ. წაუკითხეს. პროექტში ეწერა: „პირობას ვდებთ ყოვლისშემძლე ღმერთის წინაშე ჩვენზე დაკისრებული მოვალეობა შევასრულოთ ისე, როგორც ჩვენი თვითმპყრობელი ხელმწიფის ერთგულმა ქვეშევრდომებმა". საკმარისი იყო ვითომ? რაიმე რომ არ დარჩენილიყო საეჭვო, მან მოისურვა სათათბიროს დეპუტატის ფიცის პროექტი სახელმწიფო საბჭოს წევრის ფიცისათვის შეედარებინა. ისიც წაიკითხეს. მეფე წუთით ჩაფიქრდა და შემდეგ დასძინა: „ეს ფორმულა (პირველი) მეტად მომწონს. იგი მოკლე და უფრო ნათელია". და მიუთითა პირველი ტექსტი მიეღოთ.

როცა მთავარი საკითხი, ანუ ის, რაც მისი პიროვნების ღვთაებრიობას შეეხებოდა, დაზუსტდა, შეიძლებოდა საქმის არსებით მხარეზე გადასვლა. განსახილველად დაისვა შემდეგი საკითხი: ვის შეეძლო არჩევა და ვინ შეიძლებოდა აერჩიათ სათათბიროში? ა. ს. სტიშინსკიმ თათბირის მონაწილეებს შეახსენა, რომ მომავალი კანონის 54-ე მუხლი სათათბიროში შესვლის გზას უღობავდა იმ პირთ, რომლებმაც „არ იცოდნენ რუსული წერა-კითხვა". რამდენადაც იმპერიის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი გაუნათლებელი იყო, განათლებულნი კი განსაკუთრებით ცოტანი იყვნენ გლეხებს შორის, წამოიჭრა საკითხი: როგორ, რა ნორმებითა და პირობებით მიეცათ მათთვის აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება? გაიმართა დისკუსია,

რომლის ცენტრშიც საერთოდ სახალხო განათლების პრობლემა აღმოჩნდა.

ს ტ ი შ ი ნ ს კ ი. განათლების მცნება ძალზე პირობითია და მეტად ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებებს შეიცავს. სოფლის მოხუცებს შორის ძალიან ცოტანი არიან წერა-კითხვის მცოდნენი. ასეთები უფრო საპატიო და გამოცდილ ადამიანებად ითვლებიან. მათ კი თავიანთი ფენის წარმომადგენლებად სათათბიროში გამოცხადება არ შეეძლებათ.

სტიშინსკის მხარი დაუჭირეს შვანებახმა, ნარიშკინმა, პავლოვმა და ბუდბერგმა.

ბ უ ლ ი გ ი ნ ი. სათათბიროში ისეთი წევრების დაშვება, რომელთაც ამა თუ იმ განსახილველი საკითხის ირგვლივ დაბეჭდილი მასალების წაკითხვა არ შეეძლებათ, დაუშვებელია.

ვ ე რ ხ ო ვ ს კ ი. სათათბიროს წევრებმა მასში შესვლისას ხელი უნდა მოაწერონ ფიცს. მაშასადამე, მათ უკიდურეს შემთხვევაში თავიანთი გვარის მოწერა მაინც უნდა იცოდნენ.

ნ ა რ ი შ კ ი ნ ი. არაფერია. წერა-კითხვის უცოდინარობა გლეხებს ხელს არ შეუშლით. ისინი სამ ჯვარს დაუსვამენ, ანდა მათ მაგივრად ფიცს სხვა წევრები მოაწერენ ხელს. უსწავლელი მოხუცები გაცილებით უკეთ ართმევენ თავს რთულ საქმეებს, ვიდრე წერა-კითხვის მცოდნენი.

მ ი ს ი ი მ პ ე რ ა ტ ო რ ო ბ ი თ ი უ დ ი დ ე ბ უ ლ ე ს ო ბ ა. მე ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ გლეხები, რომელთაც მტკიცე მსოფლმხედველობა აქვთ, მეტ ჯანსაღ აზრსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას შეიტანენ საქმეში.

პ ა ვ ლ ო ვ ი. წერა-კითხვის მცოდნენი ანდა თუნდაც მცირემცოდნენი ზნეობრივად დაცემულ და ჭეშმარიტი გზიდან აცდენილებად ითვლებიან... ისინი ამბოხების მოთავეები არიან.

მ ი ს ი ი მ პ ე რ ა ტ ო რ ო ბ ი თ ი უ დ ი დ ე ბ უ ლ ე ს ო ბ ა. შეიძლება მართლაც უკეთესი იყოს 54-ე მუხლის „გ" პუნქტი პირველ ხანებში მაინც ამოვიღოთ. განვაგრძოთ.

წამოიჭრა საკითხი: როგორ მოქცეულიყვნენ სხვა ეროვნებათა მიმართ? ყველასი თუ არა, ზოგიერთი მათგანის მიმართ მაინც. მისცენ მათ ამომრჩეველის უფლება თუ, პირიქით, ჩამოართვან?

სიტყვით გამოდიან შვანებახი და ნარიშკინი. მათ ჩამორთმევის პოზიცია დაიკავეს.

ნ ა რ ი შ კ ი ნ ი. ჩემი აზრით, სხვა ეროვნებებს უნდა ჩამოერთვათ ასეთი უფლება. ისინი სრულიად არასანდო ელემენტები არიან და ამიტომ მომავალში სათათბიროს ზიანის მეტს არაფერს მოუტანენ.

კ ო კ ო ვ ც ო ვ ი. მე ვფიქრობ, რომ სხვა ეროვნებებისათვის ამომრჩევლის უფლებების მოსპობა თითქმის უსამართლობის გამამართლებელი იქნებოდა.

ნ ა რ ი შ კ ი ნ ი. მინისტრთა საბჭოს მოსაზრებებს ვერ დავეთანხმები. მთავარ მოტივს — მღელვარებას სხვა ეროვნების ხალხში — განსახილველი საკითხისათვის არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს...

მ ი ს ი ი მ პ ე რ ა ტ ო რ ო ბ ი თ ი უ დ ი დ ე ბ უ ლ ე ს ო ბ ა. პროექტი შეუცვლელი დარჩეს [18].

სახელმწიფო საბჭოს წევრთა ჯგუფის სახელით განცხადებას აკეთებს ნ ა რ ი შ კ ი ნ ი. მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარემ გამოთქვა მოსაზრება ფაბრიკა-ქარხნების მუშების საკმაოდ მრავალრიცხოვანი კლასისათვის საარჩევნო ხმის უფლების მიცემის შესახებ. მოტივად ასახელებენ მუშებს შორის სერიოზული მღელვარების ნიშნებს... მერე, რა მოსდა?.. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ არის კიდევ მოსახლეობის არაძირითადი ფენა, უმეტესად მათ ვხვდებით ქალაქად, რომელიც იძენს (კანონის პროექტით) აღნიშნულ უფლებებს. ეს არის ინტელიგენცია, რომელსაც ქონებრივი ცესხი არ გააჩნია, ხოლო სარეწაო და ბინის გადასახადებს იხდის... მე წინააღმდეგი ვარ, რომ ეს ბინის დამქირავებლები არჩევნებში დავუშვათ, რათა ამ გზით სათათბიროში მეტად არასასურველი ელემენტები არ შეძვრნენ.

გადაწყვეტილება მიიღო მეფემ ამ ჯგუფის მოსაზრების გათვალისწინებით

1905 წლის 6 აგვისტოს — პეტერჰოფის დისკუსიის დამთავრებისთანავე — მეფის მიერ დამტკიცებულმა საარჩევნო კანონმა იმპერიის მოსახლეობა სამ უთანაბრო კურიად დაახარისხა: მიწათმფლობელობითი, საქალაქო და გლეხური. ამ უკანასკნელს მოწყალების სახით სათათბიროში 412 დეპუტატის ადგილიდან 51 გამოეყო. მუშებმა, მოჯამაგირეებმა და ხელოსნებმა საარჩევნო უფლებები არ მიიღეს. საერთოდ არ დაუშვეს არჩევნებში ქალები, ოცდახუთ წელზე ახალგაზრდა მამაკაცები, აგრეთვე მოსწავლეები, სამხედრო მოსამსახურეები და „უცხო ერის მოხეტიალე წარმომადგენლები“.

მოვლენები მოითხოვდა სწრაფი გარდაქმნების გატარებას. იმავე წლის 11 დეკემბერს ნიკოლოზმა დაამტკიცა ვიტეს მიერ შემუშავებული ახალი საარჩევნო კანონი, რომელმაც ძველის ყველა ძირითადი დებულება ძალაში დატოვა და სიახლეც შეიტანა: დაეარსებინათ მე-4, მუშათა კურია მრავალსაფეხურიანი ხმისმიცემით. ამომრჩეველს (მუშას) გარკვეულ ადგილას ცხოვრების სულ ცოტა ექვსი თვის სტაჟი მაინც უნდა ჰქონოდა. ამ კანონით 50 ათას მუშაზე, 30 ათას გლეხზე, 7 ათას ბურჟუაზე და 2 ათას მემამულეზე ერთი ამომრჩეველი მოდიოდა, ანუ, სხვანაირი გადაანგარიშებით, მემამულის ერთი ხმა იმდენს უდრიდა, რამდენსაც ბურჟუის 3 ხმა, გლეხის 15 ხმა ან მუშის 45 ხმა.

მაგრამ არც ასეთი შეფარდება აკმაყოფილებდა ნიკოლოზს. ამ საფუძველზე არჩეული პირველი სათათბირო მისთვის ძალზე მემარჯვენე გამოდგა, ხოლო მეორე — პირველზე უფრო მემარჯვენე. ცერემონიები არ დაუწყია: ერთიცა და მეორეც გარეკა.

არც პატრიარქალური ხუტორების მფლობელებს გაუხარებიათ იგი თავიანთი ეპიკური სიტყვებითა და სადეპუტატო ხელფასის — 12

მანეთის გასწვრივ ყოველთვიურ უწყისებში დასმული სამ-სამი ჯვრით. არ დააკმაყოფილა იგი აგრეთვე არც შეფარდებამ: 1 მემამულე=45 მუშას.

მეორე სათათბიროს გარეკვის შემდეგ მან ახალი საარჩევნო კანონით საარჩევნო ბიულეტენების წონასწორობის კიდევ უფრო ორიგინალური შეფარდება დააწესა. ახლა მემამულის ერთი ხმა ბურჟუის 4 ხმას, ან გლეხის 260 ხმას, ხოლო მუშის 550 ხმას უდრიდა. ამ კანონის საფუძველზე ჩატარებულმა არჩევნებმა მემამულეებსა და მსხვილ ბურჟუაზიას, რომლებიც (ქვეყნის ევროპულ ნაწილში) მოსახლეობის ერთ პროცენტზე ნაკლებს შეადგენდნენ, ორი მესამედი ადგილი მიაკუთვნა სათათბიროში.

ურჩხული ლოხია, მძვინვარე და ასთავიანი

თავისი თხზულების 650 ეგზემპლარი ტირაჟით დაბეჭდვისთანავე, კოლეგიის მრჩეველმა ა. ნ. რადიშჩევმა იგი წიგნით მოვაჭრე ზოტოვს გაუგზავნა „გასტინი დვორში“. სანამ ზოტოვი წიგნს გაყიდდა, ერთი ეგზემპლარი ზამთრის სასახლეში, იმპერატრიცას კაბინეტში იასპის ქვით ინკრუსტირებულ მაგიდაზე აღმოჩნდა. 450 გვერდიდან 30-ის წაკითხვა საკმარისი გახდა, რომ ეკატერინე II თხზულების არსი დაეჭირა. ავტორის ბედი წინასწარვე გადაწყდა: რადიშჩევი პეტრე-პავლეს ციხეში ჩააგდეს და სიკვდილი მიუსაჯეს. დაპატიმრების ბრძანება თავად იმპერატრიცამ გასცა „სანკტ-პეტერბურგში უმაღლესი მთავარსარდლის“ გენერალ-ანშეფ ბრიუსისადმი გაგზავნილი წერილით.

ეკატერინემ, ამ „სამეფო ტახტზე მყოფმა ფილოსოფოსმა“ დაიქადნა, რომ ერთხელ და სამუდამოდ გადააჩვევდა მეამბოხეებს თვითმპყრობელობის ლანძღვა-გინებას — „ურჩხული ლოხია, უზარმაზარი, ასთავიანი და მყეფარე“. გამოძიებას სათავეში ჩაუდგა დედაქალაქში ცნობილი „მემათრახე“ შეშკოვსკი. ამ უკანასკნელმა გამოავლინა ყველაფერი: ისიც, თუ როდის შეუდგა შემთხზველი ამ წიგნის „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვამდე“ დანაშაულებრივ წერას (1785 წელს); ვინ ააწყო წიგნი (საბაჟოს ზედამხედველმა ბოგოლოვმა); ვინ მიიტანა იგი ცენზურაში (ავტორის მეგობარმა მაისნერმა); ვინ გასცა ცენზურაში ნებართვა მისი გამოქვეყნების

შესახებ (პოლიცმაისტერმა ნიკიტა რილეევმა, რომელმაც სიზარმაცის გამო „არამც თუ არ წაიკითხა თხზულება, არამედ არც კი ჩაიხედა შიგ“).

ყველაზე მთავარი, რაც „მემათრახემ“ დაადგინა და იმპერატრიცას მოხსენდა, ეს იყო ცნობა, რომ დიდი ხანია „მოგზაურობის“ ავტორი რევოლუციურ იდეებს ქადაგებს. ჯერ კიდევ 17 წლის წინათ (1773 წელს) მას უკვე აშკარად ჰქონდა ჩამოყალიბებული ალმაშფოთებელი მტკიცება:

თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ ო ბ ა ა რ ი ს ა დ ა მ ი ა ნ ი ს ბ უ ნ ე ბ ი ს უ ა ღ რ ე ს ა დ ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა.

და კიდევ:

ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს უ ს ა მ ა რ თ ლ ო ბ ა ა ძ ლ ე ვ ს ხ ა ლ ხ ს, მ ი ს მ ს ა ჯ უ ლ ს, ი ს ე თ ს ა ვ ე დ ა კ ი დ ე ვ უ ფ რ ო მ ე ტ უ ფ ლ ე ბ ა ს ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს მ ი მ ა რ თ, რ ა ს ა ც ხ ე ლ მ წ ი ფ ე ს ა ძ ლ ე ვ ს კ ა ნ ო ნ ი დ ა მ ნ ა შ ა ვ ე თ ა მ ი მ ა რ თ*.

ეკატერინემ ბრძანება გასცა უსასტიკესად გასწორებოდნენ რადიშჩევს. „მოგზაურობაში“ ჩართულ ოდას „თავისუფლება“ იმპერატრიცამ შემდეგნაირი განმარტება მისცა: „იგი სრულიად აშკარად მეამბოხურია, მასში მეფეებს ცუდი რამ ემუქრებათ. მეამბოხეთა მაგალითი ქებით იხსენიება“.

ახალ დროში პროფესორი პ. ნ. მილიუკოვი, იგივე კადეტების ლიდერი, ცდილობდა რადიშჩევი ლიბერალად მოენათლა. მაგრამ მისი არავინ ირწმუნა. რევოლუციის ქარიშხლების მაუწყებელს, რომელიც თვითმპყრობელობას მოსპობას უწინასწარმეტყველებდა, შეწყალების თხოვნა არ შეეძლო. იგი იყო ავტორი ოდისა „თავისუფლება“ და თვითმპყრობელი მონარქის კარლ სტიუარტის დანაშაულის გაკიცხვისას შესძახა: „ერთი სიკვდილი ცოტაა შენთვის, ამიტომ გერგოს სიკვდილი ასჯერ!“ [19].

ასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც „შეწყნარებულმა“ რადიშჩევმა საწამლავი შესვა და წამებით გარდაიცვალა, მაგრამ ცარისტული ურჩხული განაგრძობდა ქვეყნის საუკეთესო შვილების დევნას, წამებას, მოსპობას. და ეს ისევე მეთოდურად ხდებოდა XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს, როგორც XVIII საუკუნის ბოლოს. და ასზე მეტი წლის გასვლის შემდეგ თვითმპყრობელობის

* მაბლის წიგნის „ფიქრები. საბერძნეთის ისტორიაზე“ თარგმანისათვის ა. ნ. რადიშჩევის მიერ გაკეთებული შენიშვნები.

„საზიზღრობანი“ ოდნავადაც არ შემცირებულა — იგი კიდევ უფრო აშკარა გახდა...

კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებით თვითმპყრობელობის მემამულურ-თავადაზნაურული საფუძველი რუსეთში ნელა, მაგრამ მტკიცედ იშლებოდა. საზოგადოების წიაღში მწიფდებოდნენ და მტკიცდებოდნენ ახალი ძალები, რომლებიც ფეოდალურ-ავტოკრატულ რეჟიმს უტევდნენ. მართალია ურჩხული ჯერ კიდევ ლოხი იყო, მძვინვარე, უზარმაზარი და ასთავიანი, მაგრამ მის ისტორიულ განწირულებას უკვე რადიშჩევის დროიდან ამჩნევდა მრავალი მოაზროვნე ადამიანი როგორც რუსეთში, ისე მის საზღვრებს გარმა. მარტო სამეფო ტახტზე წამოჭიმულთ და მათ ირგვლივ შემოკრებილთ არ სურდათ ამის დანახვა და შეგნება. მზარდი პროგრესული ძალების დაწოლისა და რევოლუციური განახლების შედეგად ფეოდალურ-იმპერატორული სისტემა ნაკერებზე იფხრიწებოდა. მაგრამ მისი იდეოლოგები და ადმინისტრატორები მაინც შეპყრობილი იყვნენ იმ იდეით, რომელიც ერთხელ მეჯიხურე მიმრეცოვმა ლაკონიურად დაახასიათა: „მიათრევს და ხელს არ უშვებს“.

ცარიზმის კრახის აცილებას გონებითა და სულით ნიკოლოზ II-ზე უფრო ძლიერი გამგებელიც ვერ შეძლებდა. ცარიზმის კრახი ისტორიამ იმისაგან დამოუკიდებლად განსაზღვრა, თუ რომელი თვითმპყრობელი როგორი ინდივიდუალური თვისებებით ასახიერებდა ამ თავიდან ბოლომდე დამპალ ანტიხალხურ სოციალ-ეკონომიკურ წყობას.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რევოლუციამდელი ათწლეულების ისტორიაში, როგორც ზოგიერთი სოვეტოლოგი, კერძოდ ბ-ნი ჰოიერი ირწმუნება, „რამდენადმე უფერულობის“, „პასიურობისა“ და მისი ბუნებისათვის დამახასიათებელი „არაამბიციურობის“ გამო ნიკოლოზ II როლი „იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მისი რაიმეში დადანაშაულება არ შეიძლება“ [20]. ჰოიერის აზრით, ნიკოლოზ II იმათი მსხვერპლი გახდა, ვინც მას გარს ეხვია. ისინი, დედოფლისა და რასპუტინის ჩათვლით, ავიწროებდნენ მას, ბოროტად იყენებდნენ მის დამთმობსა და დამყოლ ხასიათს; თითქოს მეფეს თავს ახვევდნენ ისეთ მანკიერ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხშირად თავადაც არ მოსწონდა. სუსტი ნებისყოფა და თანაშემწეთა სულელური რეკომენდაციებისადმი ანგარიშის გაწევის დაუძლეველი მიდრეკილება — აი რამ განსაზღვრა წინასწარ, უკანასკნელი რომანოვის პიროვნების ამ შეფა-

სების თანახმად, მისი ჩავარდნები, დაღუპვა და ეკატერინობურგული ფინალი.

ბ-ნ ჰოიერის განზრახვა საკმაოდ ნათელია: მინიმუმამდე დაიყვანოს ნიკოლოზ II მონაწილეობა 1894—1917 წლების მოვლენებში, რათა ამით 1918 წლის ურალის განაჩენი დაუსაბუთებლად წარმოაჩინოს. ვიყოთ სამართლიანნი: უკანასკნელ მეფეზე ასეთ შეხედულებას იზიარებდნენ თავის დროზე ისეთი ადამიანები, რომლებსაც სრულიადაც არ ჰქონდათ ბოროტი განზრახვა: ერთნი — პოლემიკური გატაცების შედეგად, მეორენი — სათანადო მასალებში ჩაუხედაობის გამო. დიდი ხანია წამოიჭრა და დაინტერესებული მხარე დღემდე იყენებს მითს ნიკოლოზ II პასიურობის, უწყინარობის, „სიმჩვარის", საქმეებში მისი რეალურად ჩაურევლობის შესახებ, რომ რაიმე ბრალდების წაყენება მისთვის თითქოს არც კი შეიძლება.

ამ აზრისაკენ იხრებოდა ლ. ნ. ტოლსტოი. უხერხემლობასა და სისუსტეს მიაწერდა ზოგჯერ თავის შეფს ს. ი. ვიტე. ნიკოლოზს „ქალური ხასიათი აქვს", ირონიით ამბობდა იგი. მხოლოდ ბუნების ჭირვეულობის შედეგია, რომ იგი დაბადებამდე ცოტა ადრე „მოამარაგა იმ ატრიბუტებით, რომლებიც განასხვავებენ მამაკაცს დედაკაცისგან".

ძველი ბურჟუაზიულ-ლიბერალური პუბლიცისტიკის ფურცლებიდანაც ნიკოლოზ II ჩვენ წინაშე წარმოდგება როგორც დონდლო გამგებელი, წინააღუდგომელი თვითმპყრობელი; ხოლო არცთუ ისე იშვიათად — როგორც გულგატეხილი მარცხიანი კრეტინი, რომელსაც უბრალოდ ბედი არ სწყალობდა. მას წარმოსახავდნენ „ტახტზე მჯდომარე ანტონ გორემიკად", უწოდებდნენ ჩეხოვის ეპიხოდოვს, რომელსაც თან სდევდა ოცდაორი უბედურება. საბჭოთა პუბლიცისტიკის ადრინდელ საუკეთესო ნიმუშებშიც კი ისეთ არარაობადაა წარმოდგენილი, რომ იგი რუსეთის ისტორიაში თითქოს არც ყოფილა. მიხეილ კოლცოვის მიერ 1927 წელს დაწერილი ფელეტონის „ნიკოლოზის" ლიტერატურულ ბრწყინვალებას არ შეუძლია გამოისყიდოს ავტორისეული გადაჭარბება, რომლითაც რომანოვებს მათ მიერ ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობა ფაქტიურად ეხსნებათ.

საბჭოთა ისტორიკოს მ. ნ. პოკროვსკიზე დაყრდნობით, რომელიც „რომანოვების" გვარს ბრჭყალებში სვამდა, მ. ე. კოლცოვი წერდა: „ბრჭყალები. ბრჭყალებში არაფერია. ცარიელია ბრჭყალები. როგორც ქურქი ადამიანის გარეშე. როგორც მაქსიმ გორკის მიერ სიზმარში

ნანახი ცარიელი ნაბდის ჩექმები“. კოლცოვი შენიშნავს, რომ თებერვლის რევოლუციის დროისათვის „რომანოვები აღარ იყვნენ“. უფრო ზუსტად: „მეფე არ იყო. ნიკოლოზ მეორე არ იყო. აი ჭეშმარიტად ის, ვინც არ იყო“. და მაინც განა შეიძლება ცარიზმის რეჟიმს ყოფილი ვუწოდოთ? კი, რეჟიმი იყო, მაგრამ რეჟიმის გარდა რა იყო? არაფერი. „ნამდვილად არაფერი. ნული. როგორც გოგოლის „ცხვირაშია“ — ცარიელი, სწორი ადგილი“. თავის ამ აზრს ავტორმა ხაზი გაუსვა მაშინაც, როცა უკანასკნელი რომანოვი შეადარა სათამაშო „ფარაონის გველს“. სათამაშო წარმოადგენდა მინიატურულ კონუსს, რომლიდანაც, თუ დასწვავდით მას, გამოსრიალდებოდა ფერფლის პატარა გველი. სანამ ფერფლს ხელს არ შეახებდით, იგი ნამდვილი გველივით იწვა. თუკი შეახებდით, ფერფლი მაშინვე გაიფანტებოდა. ნიკოლოზის ხელისუფლება, ავტორის აზრით, სწორედ ფერფლის გველი იყო. გასაკვირი არ არის, რომ რუსეთის მშრომელთა მასებმა ცარიზმის რეჟიმის დამხობის შემდეგ, „თებერვლის გადატრიალებისთანავე, დაივიწყეს იგი“. ასევეა, როცა „ნამძინარევი კაცი ჩექმას ესვრის ვირთხას და ჩექმის აღებისთანავე თავის ყოველდღიურ საქმეებს ჰკიდებს ხელს“ [21].

„ის, ვინც არ იყო“, სინამდვილეში არსებობდა. და მას ხელთ ეპყრა ძალაუფლების პულტი, რომელსაც 23 წელიწადი აჯახირებდა, მართავდა, ბევრჯერ შეიქნა მწვავე, სარისკო სიტუაცია — მაშინ თვითმპყრობელი იბნეოდა, გაუბედაობასა და მერყეობას იჩენდა, მღელვარებიდან აპათიაში ვარდებოდა. მეუღლე და რასპუტინი ხშირად აქეზებდნენ ხოლმე; ნებისყოფის გამოჩენას მოითხოვდნენ მაღალი თანამდებობის პირნი და კარისკაცები.

და მაინც მას არასოდეს შეუსრულებია პაიკის როლი. იცოდა, რასაც აკეთებდა, და რაც სურდა, იმას აკეთებდა. განურჩევლობისა და პასიურობის ნიღაბქვეშ იმალებოდა მისი როლის შეგნება. დასახული მიზნისაკენ მიმავალ გზაზე ნიკოლოზს შეეძლო გამოევლინა ენერგიაცა და გამომგონებლობაც. ამ ენერგიას ანიჭებდა ღრმად გამჯდარი ობსკურანტიზმი, მისი ორგანული და შეურიგებელი მტრობა ყოველივე იმისადმი, რაც კი ისტორიული სიახლისაგან, პროგრესისა და თავისუფლად მოაზროვნე ადამიანებისაგან მოდიოდა.

და საქმე მარტო ის კი არ არის, რომ მას სწამდა თვითმპყრობელური სისტემის პროვიდენციალური დანიშნულება, თავგანწირვით რომ ებღაუჭებოდა ერთმმართველობას, რადგანაც ისწრაფოდა გულ-

მოდგინედ შეესრულებინა მომაკვდავი მამისათვის მიცემული პირობა ავტოკრატული საფუძვლების უკომპრომისო დაცვის თაობაზე. „უმაღლესი თვითმპყრობელური ძალაუფლება სრულიად რუსეთის იმპერატორს ეკუთვნის. მისი ძალაუფლებისადმი მორჩილებას არა შიშით, არამედ სინდისით თავად ღმერთი ბრძანებს“ [22]. ხოლო ამ კანონის დამტკიცებამდე ოთხი თვით ადრე დოქტორ ა. ი. დუბროვინის მეთაურობით „რუსი ხალხის კავშირის“ დელეგაციის (23 კაცი) მიღებისას, შავრაზმელთა ადრესის მოსმენისთანავე მეფემ თქვა: „მოსკოვის კრემლში დაკისრებული ხელისუფლების ტვირთს თავად ვატარებ... ამ ხელისუფლების ანგარიშს ღმერთს ჩავაბარებ“.

იგი თავისი პიროვნული არსით მხარს უჭერდა უაღრესად რეაქციულ მოსაზრებებსა და განწყობილებებს. მთელი სიცოცხლის მანძილზე მწვავედ განიცდიდა ზიზღს ყოველივე პროგრესულისა და ახლისადმი, რომელიც თანამედროვეობას მოჰქონდა. ძალების ყოველგვარი მოძრაობა, რაც თავისუფლებისა და ადამიანურობის იდეებს გამოხატავდა, მისი პირადი უშიშროებისა და ოჯახის კეთილდღეობისადმი მიმართული მუქარა იყო. მისი მთავარი იდეალი იყო გაყუჩება და უძრაობა. მას სურდა ყოველივე იმის კონსერვაცია და ჩაკვლა, რასაც კი მისი თვალთახედვა მოიცავდა. იგი ერთგული მიმდევარი იყო ბარონ მ. ა. კორფისა, რომელმაც ისტორიას თანამედროვესთან თავისი საუბრის ჩანაწერი დაუტოვა: „ჩვენი უბედურება სწორედ ისაა, — უთქვამს თანამოსაუბრეს კორფისათვის, — რომ ერთი ნაწილის შეხებას მთელის შერყევის გარეშე თქვენ შეუძლებლად თვლით, ხოლო მთელისთვის ხელის შეხებაზე უარს აცხადებთ იმიტომ, რომ მილიონობით ხალხის შეხება საშიშიაო. მაშ როგორ უნდა დააღწიოთ თავი ამას?“ „ძალიან უბრალოდ, — უპასუხია ბარონს. — ხელი არ უნდა ეხლოს არც ნაწილს, არც მთელს... ასე შეიძლება ჩვენ უფრო დიდხანს ვიცოცხლოთ“ [23].

როგორც კი დამკვიდრდებოდა მის შეგნებაში თვითმპყრობელობისა და პირადად მისთვის სასარგებლო ანდა მავნე წარმოდგენები, შეეძლო თავგანწირვით ემოქმედნა. ამბოხებისა და ლიბერალიზმის მიმართ, რომლებშიც უწინარეს ყოვლისა თავისი ერთპიროვნული ხელისუფლებისა და, აქედან გამომდინარე, პირადი უშიშროების მუქარას ხედავდა, მან არც ყოყმანი იცოდა და არც შეწყნარება. უკვალოდ ქრებოდა სანტიმენტალობა, ისევე როგორც მისი მოჩვენებითი თავაზიანობა, რომელიც მეფესთან სამსახურით განაწყენების

მიუხედავად, მის ყოფილ პრემიერ-მინისტრს ცამდე აჰყავდა. სხვამ ვინ, მაგრამ სერგეი იულის ძე ვიტემ კი იგემა ერთ დროს თავის უავგუსტოეს პარტნიორთან თანამშრომლობით გამოწვეული სიტკბოება. ამ დიდი თანამდებობის პირმა კარგად იცოდა, რა ძნელი იყო ნიკოლოზის სიჯიუტის გატეხვა, მისი წინააღმდეგობის დაძლევა.

თავისი სიცოცხლის ბოლომდე იგონებდა ვიტე, როგორ ცდილობდა ზოგიერთ დიდ მთავართან ერთად ხუთი წლის შემოდგომაზე პეტერჰოფში კონსტიტუციით ნაწყალობევი თავისუფლების მანიფესტირებაზე უფლების მიღებას მეფისაგან. ოქტომბრის იმ დღეს ზღვის პირას, ერთ პატარა სახლში, ცხარე დებატები მიმდინარეობდა. ბიძები უტევდნენ ნიკოლოზს და ერთმანეთს ლანძღავდნენ. დაობდნენ, არის თუ არა რუსეთში რევოლუციაო. შეთანხმდნენ, რომ უკვე დაიწყო თუ ახლა იწყებოდა იგი, სულ ერთია, საჭირო იყო მანიფესტირება, დროს მოგება, ძალების მოკრება. ყველაზე მეტად გრძელის მეტსახელით ცნობილი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და პირის პატივითა და ქეიფებით სახელგანთქმული ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ცხარობდნენ. ორივე საწერი მაგიდისაკენ უბიძგებდა მეფეს, სადაც გადაშლილ ბიუვარზე წინასწარ მომზადებული ტექსტი იდო და მის ხელმოწერას ელოდა.

მაგრამ მეფე უარზე იდგა და ადგილიდან არ იძროდა. იგი ამაზე არ დათანხმდებოდა. ასეთ დოკუმენტს ხელს არ მოაწერდა. ტყუილად სთხოვდნენ, ამაოდ ცდილობდნენ დაყოლიებას. ყოველივე ეს დროის უქმად დაკარგვა იყო.

კვლავ, ეს უკვე მერამდენედ, წინ გამოიწია და ძმისწულს შეუტია გრძელმა. ვლადიმერ ალექსანდრეს ძე კი კაბინეტში დარბის და თან არცთუ მთლად დელიკატურ სიტყვებს აფრქვევს. ეს დათმობა დიდხანს არ გასტანსო, იმეორებდნენ ისინი. ეს დათმობა კი არა, ხრიკი გახლდათ. ეშმაკობა და თავის დაძვრენა იყო საჭირო. სხვაგვარად ყოველივე დაიკარგებოდა.

მეფე უარზეა. დიდი ხნითა თუ მცირეთი — სულ ერთია. განწყობილი არ არის.

შუადღისთვის ჩამციებლები მოტყდნენ. მაგრამ მათ დასახმარებლად პეტერბურგიდან მაშველი ძალა ჩამოვიდა: ეს იყო მთავრობის მეთაური, მანიფესტის პროექტის ერთ-ერთი ავტორთაგანი ვიტე. იგი ჯერ კიდევ მანამ ჩამოხტა ეტლიდან. ვიდრე გაჩერდებოდა, და ფოთლებით მოფენილ პარკში ქვევით გაიქცა.

კვლავ განახლდა კოტეჯში მეფის გადაბირება. ზღვის ზვირთებისა და ქარის ხმაურში ხავერდოვნად ეღერდა სერგეი იულის ძის დაჟინებული სიტყვები.

— მე თქვენ არ გირჩევთ, — ეუბნება იგი ნიკოლოზს, — არასაიმედო გემით იაროთ ოკეანეში. ჰექა-ქუხილის გადავლას ნავსადგურში დაელოდეთ. ამის საშუალებას თქვენ გაძლევთ მანიფესტი თავისუფლების შესახებ. როცა გამოიდარებს, კვლავ შეგეძლებათ ძველი კურსის აღება. ხელ-ფეხი ისევ გაგეხსნებათ.

მაგრამ მეფე კვლავ უარზეა. არამც და არამც არ სურს ლოდინი. მას სხვა სურვილი ამოძრავებს: არ დაიხიოს ამბოხების წინაშე; შეუტიოს ახალი, გაასმაგებული ძალით. ცეცხლითა და მახვილით ეკვეთოს. ხელს არ მოაწერს, შეღავათებზე არ წავა. იგი ასეთი არ არის. ის ვიღაც სხვაში ერევათ.

ახლა, ალბათ, სერგეი იულის ძის ჯერია. მაგრამ მას კიდევ ერთი კარტი აქვს ხელთ: ეს არის ამ დილით მთავრობის კანცელარიიდან წამოღებული უკანასკნელი ცნობები. იგი თავს მოვალედ თვლის შეატყობინოს მის უდიდებულესობას:

ა) რომ გაფიცულთა საერთო რიცხვმა იმპერიაში მილიონს გადააჭარბა, ხოლო მეამბოხეებისამ სოფლად — სამ მილიონს;

ბ) რომ გლეხების მიერ განადგურებულმა მემამულეთა მიწებმა ორ ათასს მიაღწია;

გ) რომ ამბოხებები აღინიშნა შორეული აღმოსავლეთიდან დაბრუნებულ ჯარებში;

დ) თუ ხელოსნების, გლეხებისა და ჯარისკაცთა გამოსვლები გაერთიანდება, ხოლო მანიფესტის მანევრირება არ მოხდება, შეიძლება მის უდიდებულესობას ოჯახიანად რუსეთიდან ემიგრირება მოუწიოს;

ე) ამასთან დაკავშირებით, ბერლინიდან მოსულიყო შეკითხვა: ხომ არ სურდა მის უდიდებულესობას, აუცილებლობის შემთხვევაში, პეტერჰოფში გაეგზავნათ გერმანული საესკადრო ნაღმოსანი, რომელიც მის განკარგულებაში იქნებოდა?

პაუზა. დუმილი. გავიდა ხუთი წუთი, ათი. თითქოს ყოველივე გაიგო მეფემ. მიხვდა, რასაც ეკითხებოდნენ: მანიფესტი ერჩია თუ გერმანული ნაღმოსნის შემოსვლა? მაინც მანიფესტი ამჯობინა, ნაღმოსანს ჯერ თავი დაანება.

„იგი ისევ მაგიდას მიუჯდა, საიდანაც ახლახან წამოდგა, რათა

პირჯვარი გადაესახა, და ხელი მოაწერა... ეს მოხდა შემაღლებულ ადგილას მდგარ მაგიდასთან კი არა, სადაც იგი მოხსენებებს ღებულობდა, არამედ მეორე მაგიდასთან, რომელზედაც მეცადინეობდა ხოლმე...“ [24].

ხუთი წლის ოქტომბრის დღეებში პეტერჰოფში გადატანილი შიშისა და დამცირების გამო, როცა კინაღამ რუსეთიდან გაიქცა, რევოლუციონერებსა და დემოკრატებზე უფრო ოსტატურად იძიებდა შურს, ვიდრე ადრე. მის მიერ „ნაწყალობევ“ თავისუფლებაზე მეტყველებდა არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ ფურცელზე დაბეჭდილი იმდროისათვის პოპულარული შემდეგი სტრიქონები:

შეეშინდა მეფეს და მანიფესტი გამოსცა:
მკვდრებსო თავისუფლება, ცოცხლებს — ციხის გამოცდა.
ო, რუსეთო, რუსეთო, მებრალები ძალიან!
შენი ბედი, წილხვედრი, ნაღველივით მწარეა [25].

მაგრამ მის შურისმაძიებლურ შეუპოვრობას არასოდეს ჰქონდა ფართო ტაქტიკურ-სტრატეგიული ჩანაფიქრი; საფრთხეზე მისი რეაქცია გაუბრალოებული იყო; მის წარმოდგენას მოწინააღმდეგეზე თვალსაწიერი აკლდა. იმ წლების ერთი პუბლიცისტის შენიშვნით, იმპერიის მართვის ბერკეტებთან მდგარი ნიკოლოზ II წააგავდა კაცს, რომელმაც ხელი მოჰკიდა ინტეგრალური გამოთვლითი ამოცანების გადაწყვეტას, მაშინ როდესაც მარტო გამრავლების ტაბულა იცოდა. მისი თითქმის ერთადერთი წადილი იყო ზრუნვა საკუთარ თავსა და ტახტზე; ერთადერთ რეალობას ითვალისწინებდა — ფიზიკურ ძალას; საშინაო პოლიტიკის ყველაზე პატივსაცემ საშუალებად თვლიდა ეგზეკუციას, დევნასა და დაშინებას. ისტორიული ვითარების ახალ პირობებთან შეხამება მას არ შეეძლო და არც ჰქონდა ამის სურვილი. ვერ ეგუებოდა სახელმწიფო სათათბიროს, მიუხედავად იმისა, რომ მისი „წყალობით“ დაარსდა. ვერ შეეჩვია მის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ უმრავლესობასაც, რომელმაც ძალზე ბევრჯერ გამოხატა ერთგული ქვეშევრდომობა. მისი ზიზღი ყველაფრისადმი განპირობებული იყო პირადი შიშით, რაც არც ოფიციალური ღმერთიდან მომდინარეობდა და არც საპოლიციო უწყებიდან.

ღრმა კვალი დატოვა მასზე ცამეტი წლის ასაკში გადატანილმა 1881 წლის 1 მარტის ემოციებმა: ეკატერინეს არხში მომხდარი აფეთქებიდან 37 წლის გასვლის შემდეგ, როცა იგი ტობოლსკის პატიმრობაში იმყოფებოდა, კვლავ ახსოვდა (წლისთავების აღნიშვნის

გამო) და წუხილით იგონებდა ალექსანდრე II „მოწამებრივ აღსასრულს“. ბავშვობაში პაპის მკვლელობით, ჭაბუკობაში მამის დესპოტიზმით, მეფობის პირველ თვეებში კი ძალად ხმადაბოხებული ტრაბახა ბიძებისაგან შეშინებულმა უკანასკნელმა თვითმპყრობელმა ახლა თავად განიზრახა რუსეთის შეშინება.

პობედონოსცევის მიერ ბავშვობიდანვე მეფობის იდეალით გამხნევებულმა ნიკოლოზმა დაიწყო ასორმოცმილიონიანი სახელმწიფოს მართვა. ხუდინის მგლის ორმოები უკან ჩამოიტოვა და გზა განაგრძო.

ნიამორის თვალები

შეეცდებით წარმოვიდგინოთ იგი „გაკარიკატურების“ გარეშე. ერთად შეკრებილი სხვადასხვა სახის წყაროები და ცნობები დაახლოებით შემდეგ მინიატურულ პორტრეტს იძლევა...

იგი იყო საშუალო სიმაღლის, მკვრივი აღნაგობისა და რამდენადმე არაპროპორციულად განვითარებული სხეულის ზედა ნაწილი ჰქონდა. მსხვილი კისერი ერთგვარად მოუქნელობის იერს აძლევდა. მოძრაობისას მისი სხეული მარჯვენა მხარით როგორღაც წინ იწეოდა. სახეზე ჩვეულებრივ დასთამაშებდა უცნაური, „ფარული“, ოდნავ შესამჩნევი ღიმილი, რომელიც ხშირ ულვაშსა და ყღალი ფერის წვერში იკარგებოდა.

მას დიდი, წყნარი, იდუმალებით მოცული მონაცრისფრო-მომწვანო თვალები (ზოგჯერ ცისფერი რომ გეჩვენებოდათ) ჰქონდა, რომლებსაც თითქოს მოსაუბრეს არიდებდა. შეიძლება ასეთი შთაბეჭდილება იმის გამოც იქმნებოდა, რომ იგი მოსაუბრეს თვალებში არ უყურებდა. ნიკოლოზს მზერა ან მოსაუბრის ზურგს უკან გაურბოდა, ანდა ნელ-ნელა მოავლებდა მთელ სხეულს ისე, რომ განსაკუთრებით არაფერზე შეაჩერებდა.

მასთან მისულთ ჩვეულებისამებრ თავაზიანად (ხშირად ალერსიანადაც), მაგრამ თავდაჭერით ხვდებოდა. ჟესტი და მოძრაობა ნელი, თანაბარზომიერი ჰქონდა. ლაპარაკობდა აუჩქარებლად, დაბალი მკერდისმიერი ხმით. თითოეულ ფრაზაზე ფიქრობდა, რის გამოც მის საუბარს ხანგრძლივი პაუზები სდევდა. ეს აკრთობდა მოსაუბრეს, რადგანაც ამ უკანასკნელს შეიძლებოდა მოსჩვენებოდა, რომ თემა ამო-

წურული ანდა უსიამოვნოა მეფისათვის და საუბრის გაგრძელება აღარ სურს. მისგან ვერასოდეს გაიგონებდით სხაპასხუპით ლაპარაკს. თუ რაიმე სასაცილო მოხდებოდა, თავდაჭერილად იცინოდა, თვალებსა და პირზე როგორღაც ხელს იფარებდა. საუბრისას იგი ზოგჯერ საკუთარ თავში დაეჭვებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომელიც მერყეობს, მაგრამ ცდილობს დამალოს თავისი მერყეობა და გაუბედაობა, რაც გარეგნულად მხრის უცნაურ მოძრაობაში, ხშირ, ნაძალადევ ხველასა და წვერსა და ულვაშებზე ხელის უანგარიშო გადასმაში გამოიხატებოდა.

ჯდომის დროს ფეხებს ხან მაგიდის ქვეშ ერთიერთმანეთზე აწყობდა, ხან კი სკამქვეშ გადააჯვარედინებდა ხოლმე. ადგომისას ნიკაპსა და კისერს ოდნავ წინ წამოსწევდა. მას ღონიერი ფეხები ჰქონდა და თუ კაბინეტში არ იყო, ფეხზე დგომას ამჯობინებდა. ასეთ დროს არც რამეს დაეყრდნობოდა და არც მიეყუდებოდა ხოლმე.

მისი გარეგნობის ზოგადი დახასიათებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. გენერალი ი. ნ. დანილოვი მას ლამაზ მამაკაცად თვლიდა. ცნობილი იურისტი და მწერალი ა. ფ. კონი, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა მეფესთან, წერდა, რომ იგი იყო „un charmeur“ („მომხიბლავი“) კაცი „ნიამორის ალერსიანი და მოკრძალებული გამოხედვით“. ამ შეფასებას იზიარებდა ვიტეც. მ. კ. ლემკე, მაგალითად, პირიქით, 1915 წლის 16 ოქტომბერს თავის საშტაბო დღიურში წერდა: „დღეს შევძელი ახლო მენახა იგი... და დიდხანს დავკვირვებოდი... მეფე ლამაზი არ არის, წვერ-ულვაში გლეხური, მოყვითალო-თამბაქოს ფერი აქვს, ცხვირი—განიერი, თვალები—გაქვავებული...“ მსტისლავსკი მას, სამეფო ტახტიდან გადადგომის ერთი თვის გასვლის შემდეგ, სახის გამომეტყველებითა და გამოხედვით დევნილ მგელს ადარებდა[26]. ყველა, ვისაც ციმბირსა და ურალში მასზე დაკვირვების საშუალება ჰქონდა, აღნიშნავს, რომ ცხოვრების უკანასკნელ თვეებში მას თვალები შეუშუპდა, გაშავებულ და ხშირი წვერით დაფარულ სახეზე ყვრიმალებქვეშ კოპები გაუჩნდა. ეკატერინბურგში მას თმაში ჭაღარა თანაბრად გაერია; გამელოტების ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. უკანასკნელ დღემდე წვერს თავისი ხელით იპარსავდა.

მეტყველებდა იგი მკაფიოდ, გარკვეულად. თითქმის არ ხმარობდა უცხო გამოთქმებს, მაგრამ ლაპარაკობდა ოდნავ შესამჩნევი უცხოური თუ ეგრეთ წოდებული გვარდიული აქცენტით. მის მიერ

წარმოთქმული სიტყვების კრებულის სკანდალურ ისტორიას (როცა პოლიციამ გამოცემის კონფისკაცია მოახდინა, რადგან იგი ბლალავდა მეფის ავტორიტეტს) კონმა მნიშვნელობა არ მიანიჭა: იგი თვლიდა, რომ ეს ტექსტები ტენდენციურად იყო შერჩეული და დამუშავებული. „ბანალური სიტყვებით და რეზოლუციებით აღსავსე ეს პატარა ბროშურა მტკიცებისათვის არ გამოდგება. მე არაერთხელ მომისმენია მისი სიტყვები სხვადასხვა შემთხვევის გამო... მახსოვს, მაგალითად, ტახტზე ასვლისას როგორი გონივრული და შინაარსიანი მისასალმებელი სიტყვით მიმართა მან სენატს...“ მოგვიანებით კი „მისი სიტყვები თავისებური ცენზურის გავლის შემდეგ, ისე იყო გაუფერულებული და შემცირებული, რომ ძლივსღა ვცნობდი“ [27].

მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურულად განათლებული იყო და თავისებურ სტილისტადაც კი თვლიდნენ, ზოგჯერ ელემენტარულ გრამატიკულ შეცდომებს (თუ უნებლიე შეცდომებს?) უშვებდა ხოლმე *. თავისუფლად ფლობდა ინგლისურ, ფრანგულ, დანიურ, ცოტათი — გერმანულ ენებს. თავისი კაბინეტის გვერდით ჰქონდა პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც სისტემატურად ღებულობდა ახალი რუსული და უცხოური წიგნების ძირითად გამოცემებს. ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლისას ბიბლიოთეკაც თან მიჰქონდა. მისი გამგე ს. ა. შჩეგლოვი ყოველთვიურად მას ოცამდე წიგნს აძლევდა წასაკითხად [28]. რასა და როგორ კითხულობდა, ამაზე ძალზე ძუნწი ცნობებია შემონახული. ა. ფ. კონი მას შედარებით ნაკითხ ადამიანად თვლიდა. „მე პირადად მინახავს მის საწერ მაგიდაზე „ვესტნიკ ევროპის“ ნომერი, შიგ ჩადებული ქაღალდის საჭრელით, ხოლო საუბრისას ლიტერატურის, ხელოვნებისა და თვით მეცნიერებისადმიც კი ისეთ ინტერესს იჩენდა და ამ დარგების მნიშვნელოვანი მოვლენების ისეთ ცოდნას ამჟღავნებდა, რომ მასთან, როგორც პოლკოვნიკ რომანოვთან, ყოველდღიური შეხვედრები შეიძლებოდა ცოცხალ ინტერესს მოკლებული არ ყოფილიყო“ [29].

სხვა მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, მისი ნაკითხობის დონე მეტად უთანაბრო იყო. დღიურში, მაგალითად, თავად წერდა, რომ ლ. ნ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობის“ მეოთხე ნაწილი პირველად ხელში აიღო მხოლოდ ტობოლსკში (როცა უკვე ორმოცდაათ წელს

---

* მის ტექსტებში ვხვდებით: «посетили ярмонку», «ярморочный собор», «убил двух тетеревей», «диакон поменул нас в церкве», «гулял с Мишой», «репетили пьесу», «снова стали репетить» и т. п.

იყო მიღწეული). იმავე დროს გაეცნო იგი მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინისა და ნ. ს. ლესკოვის ძირითად ნაწარმოებებს. გაზეთებიდან უპირატესად კითხულობდა „ნოვოე ვრემიას“, „რუსსკოე ვედომოსტს“, შულგინის „კიევლიანინს“, ზოგჯერ მოსკოვის ლიბერალურ „რუსსკოე სლოვოს“. უყვარდა კინოფილმების, უმთავრესად ქრონიკის ცქერა. გენერალ ალექსეევის წინადადება ფილმების გასასინჯი პირადი ოთახის მოწყობის შესახებ, უარყო, ხშირად დადიოდა საღამოს სეანსებზე (მემკვიდრესთან ერთად) უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკთან არსებულ ოფიცერთა კლუბში.

დროს კი ზუსტად იცავდა. არც ჩქარობდა და არც იგვიანებდა. მთელი ცხოვრების მანძილზე ერთგვარი დღის რეჟიმი ჰქონდა. დღისით არ იძინებდა, მაგრამ სადილის შემდეგ ისვენებდა ხოლმე. ახლომხედველი იყო, მაგრამ სათვალით არავის უნახავს (შესაძლოა შინაურების გარდა). მახვილი სმენის წყალობით შორიდანვე შეეძლო ადამიანების ცნობა ფეხის ხმაზე. საუკეთესო მხედველობითი მეხსიერება ჰქონდა: ერთხელ ნანახ კაცს მრავალი წლის შემდეგ იცნობდა.

გავრცელებული მოსაზრების მიუხედავად, ნიკოლოზი ცოტას სვამდა. მაგიდასთან სპირტიან სასმელებს მაინცდამაინც არ ეძალებოდა (სადილზე ერთი-ორი პატარა ჭიქა ქლიავის წვენი ანდა არაყი შეეძლო დაელია. უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში საღამოობით ერთ ჭიქა მშრალ ფრანგულ ღვინო „რაფაელს“ თუ სვამდა). დროდადრო ბევრს ეწეოდა. ჩვეულებისამებრ უბიდან იღებდა ხოლმე ხვართქლას მოღუნულ მუნდშტუკს და მასში პაპიროსს დებდა. ერთხანს ჩიბუხით სარგებლობდა; მას პაპიროსის („სალვე“) თამბაქოთი ტენიდა. მოწევისას სხვებსაც სთავაზობდა იგივე გაეკეთებინათ; სიგარას მისი თანდასწრებით არ ეწეოდნენ, სუნს ვერ იტანდა. თავის თამბაქოს ანდა პაპიროსს სხვებს არ შესთავაზებდა.

ვიზიტზე მოსულთ ფეხზე დამდგარი, თავის საწერ მაგიდასთან ღებულობდა. დაჯდომისას, მოსულს სავარძელს სთავაზობდა. ამასთან მაგიდიდან ფიცარს გამოსწევდა ხოლმე, რომელზედაც მოტანილი ქაღალდების დაწყობა შეიძლებოდა. აუდიენციის დროს ჩვეულებისამებრ ეწეოდა. ზოგჯერ წამოდგებოდა, კაბინეტში ბოლთას სცემდა და ასე განაგრძობდა მოსმენას. თუკი რაიმე დააინტერესებდა, ანდა გააკვირვებდა, მაშინვე ჩერდებოდა.

საუბრის მოსმენა გულდასმით იცოდა, მოსაუბრეს ყურს ისე უგ-

დებდა, რომ ლაპარაკს არ აწყვეტინებდა; თუ რაიმეზე არ ეთანხმებოდა, სათქმელს რბილად, ხმის აუწევლად იტყოდა. მინისტრს ანდა გენერალს არასოდეს დაუყვირებდა. ყოველივე ეს აცთუნებდა ადამიანს. ამით მას შეცდომაში შეჰყავდა თავისი ხელქვეითნი, რაც ბევრს კარიერის ფასად უჯდებოდა. ჩვეულებრივ, ვინმესთან კამათს გაურბოდა. მაგრამ კამათი შეეძლო და „განწყობის“ მიხედვით ზოგჯერ კამათობდა კიდევაც. მოსოლოვი გვიამბობს: 1909 წელს, როცა პოლტავშჩინაზე გავლით ისტორიული ბრძოლის 200 წლისთავის ზეიმზე მიემგზავრებოდნენ, მეფე გლეხების ჯგუფთან კამათში ჩაება, რომელმაც ორ საათზე მეტხანს გასტანა. აქ მან არაჩვეულებრივი პოლემიკური სიმტკიცე გამოავლინა. ავდეევი თავის ჩანაწერებში იგონებს ნიკოლოზის ხანგრძლივ პოლიტიკურ დისკუსიას სრულიად საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებულ რწმუნებულ იაკოვლევთან 1918 წლის აპრილში ტობოლსკიდან ტიუმენში მგზავრობისას. ამასთან ყოფილი მეფე, მეეტლე სევასტიანოვის მტკიცებით, თანამოსაუბრეს „აწვებოდა“, „პირდაპირ ხალიჩაზე აკრავდა ორივე ბეჭით“ [30].

იგი იშვიათად თუ გაამტყუნებდა ვინმეს ან გაუსწორებდა რაიმეს. მისი პოზიცია ანდა აზრი საუბარში გაურკვეველი რჩებოდა; გარეგნულად ჩვეულებისამებრ გულგრილი ჩანდა. არ იცავდა რომელიმე თავის მოსაზრებას და მოწინააღმდეგის გადარწმუნებას არ ცდილობდა. ამ უკანასკნელს კი ეგონა, რომ მისმა მოსაზრებამ გაიმარჯვა. იმით გატაცებული, რომ მეფე დამშვიდებით უსმენდა, იგი თავის მოსაზრებას ბოლომდე გამოთქვამდა და, რაკი ნიკოლოზის უარყოფით დამოკიდებულებას ვერ ამჩნევდა, მისგან ფრთებშესხმული მიდიოდა. სინამდვილეში კი მეფის თანხმობა მოჩვენებითი გახლდათ. მას უნდოდა გაერკვია, როგორი იყო თანამშრომლის მოსაზრებანი. როგორც კი დარწმუნდებოდა, რომ ისინი მის პირად შეხედულებებს არ ემთხვეოდნენ, ამ თანამშრომლის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. გასარკვევი მხოლოდ დროის საკითხიღა რჩებოდა, როდის გაათავისუფლებდნენ მას.

მოსოლოვი ნიკოლოზის ამ თვისებას „მოქალაქეობრივი ვაჟკაცობის ნაკლებობით“ ხსნის. ეს „ბოჭავდა მას, დაინტერესებულ პირთა თანდასწრებით საბოლოო გადაწყვეტილება გამოეტანა“ [31]. თავდაჭერილობა და გულჩახვეულობა ოდესღაც მას გენერალმა დანილოვიჩმა ასწავლა, მაგრამ მხედველობიდან გამორჩა, რომ გაბედულებისა და პირ-

დაპირობის მინიმუმი მაინც ჩაენერგა თუნდაც უახლოეს თანაშემწეებთან ურთიერთობის დროს. საკუთარ გრძნობათა დაფარვა ასწავლა, სამაგიეროდ თავისი აზრის ანდა გადაწყვეტილების აშკარად თქმა ოპონენტისათვის ვერ შეასწავლა. აქედან შეითვისა უმართებულო ხერხი: ვინმესთან საუბრისას წარმოშობილი აზრი ამ ადამიანის ზურგს უკან განეხორციელებინა, უსიამოვნება უკან დაედევნებინა. ასე, მაგალითად, სინოდის ობერპროკურორის სამარინის „მოხსენების კეთილგანწყობილად მიღებიდან“ მეორე დღეს პრემიერი გორემიკინი მეფისაგან შემდეგ ბარათს იღებს: „მე გუშინ დამავიწყდა სამარინისათვის მეთქვა, რომ იგი დათხოვნილია. გაისარჯეთ და უთხარით ეს“ [32]. ასე დაითხოვა სამსახურიდან მან ბევრი სხვაც. თუმცა, მტკიცედ გამჯდარი ორპირობის გარდა, არსებობდა სხვა მიზეზებიც, რაც განაპირობებდა ადამიანებისადმი მის ამგვარ დამოკიდებულებას. ეს იყო, ჯერ ერთი, ავადმყოფური თავმოყვარეობა; მეორეც, იმის შიში, რომ დაუმტკიცებდნენ თავის უმართებულობას; მესამეც, „იგი თავის მინისტრებს ისე უყურებდა, როგორც უბრალო მოურავებს“. საჭიროდ არ თვლიდა გადაერწმუნებინა მინისტრი, თავის მხარეზე გადაეყვანა და აძრიგად მისი თანამშრომლობა შეენარჩუნებინა. მეფე უმჯობესად თვლიდა, უბრალოდ, ხელის ერთი მოსმით მოეცილებინა ესა თუ ის თანამშრომელი, რა ღირსებითაც არ უნდა ყოფილიყო იგი დაჯილდოებული, და მის ადგილზე სხვა დაენიშნა. ძალზე აქტიურ და ინიციატივიან კაცს ეჭვის თვალით უყურებდა. როცა კოკოვცოვს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ნიშნავდა, უთხრა: „იმედი მაქვს, თქვენ ისე არ ჩამომეფარებით, როგორც ამას სტოლიპინი აკეთებდა“ [33].

ხანდახან უთანხმოებაც იჩენდა ხოლმე თავს. მაშინ გარეგნულად მშვიდი ნიკოლოზი აგრძნობინებდა თანამოსაუბრეს, რომ საკუთარ თავზე გავლენის უფლებას არავის მისცემდა, არ დაუთმობდა. მისი სიმშვიდე დაყოლიებას არ ნიშნავდა. სხვისი დაწოლით, თუ ამას ვინმე გაუბედავდა, „იგი ზოგჯერ იხრებოდა, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ დაუყოვნებლივ წელში გამართულიყო“ [34]. რაკი ერთხელ გარკვეულ თვალსაზრისს შეითვისებდა, მას ჩვეულებისამებრ აღარ გადაუხვევდა. კონი, რომელიც ხშირად იყო ხოლმე ნიკოლოზთან, წერდა, რომ „მეფის კაბინეტიდან დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილებებით არასოდეს გამოსულა“. „ნიამორის მოკრძალებული და ალერსიანი გამოხედვის მიუხედავად, იგრძნობოდა, რომ ამ თავაზია-

ნობის ფასი ძალზე დაბალი და, რაც მთავარია, მერყეევი იყო“. სხვების აშკარად ჯანსაღ და დასაბუთებულ აზრს მეფე ანგარიშს არ უწევდა. თანამოსაუბრის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე მისი პირველი რეფლექსი წინააღმდეგობა იყო. ყოველთვის, როცა კონი საუბარს „შინაგანი ცხოვრების უმსგავსობაზე“ ჩამოაგდებდა და „მისი ფიქრის ამ მიმართულებით წარმართვას“ შეეცდებოდა, „ნიამორის თვალები... ალერსით იყურებოდნენ, იმ ხელით, რომლის ერთ კალმის მოსმაზეც იყო დამოკიდებული მილიონობით ადამიანის ბედნიერება და მწუხარება, ანგარიშმიუცემლად იწიწკნიდა წვერს. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდებოდა ხოლმე, რაც სხვა საკითხით მთავრდებოდა“. პარადოქსული იყო: საკუთარ თავში შინაგანი დაურწმუნებლობის მიუხედავად, „შეხედულება საკუთარ თავზე, როგორც ღმერთის მიერ პროვიდენციულ მირონცხებულზე, მასში თავდაჯერების ისეთ მოზღვავებას იწვევდა, რომ მის ირგვლივ მყოფი მცირეოდენი პატიოსანი ადამიანების ყოველგვარი რჩევა-დარიგება არაფრად მიაჩნდა“ [35].

მინისტრებს თავაზიანად უსმენდა, სამაგიეროდ, მათ ადვილად ეთხოვებოდა. არასოდეს არც ერთ მათგანს, თვით იმასაც კი, რომელსაც ყველაზე მეტად აფასებდა, არ დაიცავდა. ჭორების, დაბეზღების ანდა ცილისწამების შემთხვევაში თითქმის არასოდეს უცდია გაერკვია, ვინ იყო დამნაშავე, ვინ კი მართალი, რა იყო სიმართლე, რა — გამონაგონი, უსაფუძვლოდ — საკითხის შესწავლის გარეშე, იმის მოხსნას უჭერდა მხარს, ვისაც ბრალს დასდებდნენ.

აუდიენციებზე მოსაუბრეს გარეგნულად მშვიდად უსმენდა, მაგრამ მნიშვნელოვან საკითხზე რეაქციას უმალ ახდენდა. მოხსენების არსს სწრაფად აღიქვამდა. აზრის სინატიფეს გულისყურით ეკიდებოდა. ხშირად უთქმელ სიტყვასაც საუცხოოდ იჭერდა. ნიჭიერი მომხსენებლებისადმი, განსაკუთრებით კი იმათ მიმართ. ვისაც დახლართული საკითხების ნათლად და მოკლედ გადმოცემა შეეძლო, ისე რომ სასაუბრო ტონი არ დაერღვია, სიმპათიით იყო განწყობილი. ის მომხსენებლები, რომლებსაც ასეთ ტონში რეფერირების უნარი შესწევდათ, მის ყურადღებას დიდი ხნით, ზოგჯერ ორ-სამ საათსაც იპყრობდნენ. ამას კარგად ახერხებდა სუხომლინოვი, ბრწყინვალედ — ვიტე, ცუდად — როძიანკო. ნიკოლოზს არგუმენტებით გადატვირთული მოხსენებები არ უყვარდა. როდესაც მაგიდიდან წამოდგებოდა და ფანჯარასთან მისული სხვა რამეზე წამოიწყებდა საუ-

ბარს, ეს ნიშნავდა, რომ აუდიენცია დამთავრებული იყო. თუ მაგიდაზე ანდა ფანჯარასთან მისული მინაზე თითებს აათამაშებდა, ეს თანამოსაუბრისათვის საშიში უკმაყოფილების ანდა გაღიზიანების მომასწავებელი იყო.

კონი სადავოდ ხდის ნიკოლოზის შესახებ არსებულ ორ ძირითად „გაბატონებულ აზრს“: ერთი მხრივ, თითქოს „იგი იყო უაღრესად უნებისყოფო კაცი“, ხოლო, მეორე მხრივ, — „ვიწრო ჰორიზონტის, უჭკუო და გაუნათლებელი, ვერაგი და ცრუ ბიზანტიელი“. ორივე ეს განსაზღვრა, ირწმუნებოდა კონი, სწორი არ არისო. „მეფესთან ჩემი პირადი საუბრების შედეგად მჯერა, რომ ეს კაცი უდავოდ ჭკვიანია“ — თუმცა, იქვე შენიშნავდა: „თუ ჭკუის უმაღლეს განვითარებად არ ჩავთვლით გონიერებას, როგორც მოვლენათა და გარემოებათა ერთობლიობის მთლიანად აღქმის უნარს“ [36].

ნიკოლოზს სხვებიც ჭკვიან კაცად მიიჩნევდნენ, ან, ყოველ შემთხვევაში, სულელად მაინც არ თვლიდნენ. მას, აღნიშნავდნენ ისინი, ჰქონდა ნათელი განსჯისა და რამდენადმე მახვილი აზროვნების უნარი. მაგალითად, ს. დ. საზონოვთან ლაპარაკში მან ერთხელ დასცინა მის გულუბრყვილო, ნახევრად ლიბერალურ წარმოდგენას რუსეთზე. „მერწმუნეთ, — უთხრა მეფემ თავის საგარეო მინისტრს, — თუ თქვენ და სხვა თქვენნაირები ოდესმე რუსი ხალხის პირისპირ აღმოჩნდებით, ორი კვირის შემდეგ თქვენგან აღარაფერი დარჩება“. ამასთან ერთად მეფე მოკლებული იყო შორსმჭვრეტელობას, მისთვის უცხო იყო იმის განსჯა, თუ რა მოჰყვებოდა პერსპექტივაში ამა თუ იმ მოქმედებას. მისი შეხედულებები საგნებზე უაღრესად ზედაპირულ ხასიათს ატარებდა, ვითარებას პრიმიტიულად აფასებდა. შეიძლება იგი მართლაც ჭკვიანი კაცი იყო, მაგრამ მისი ჭკუა სახელმწიფოებრივი არ გახლდათ. ჭადრაკის ენით რომ ვთქვათ, წინასწარ ორ სვლაზე მეტის მოფიქრება არ შეეძლო. იმისათვის, რომ შემდეგი სვლები გაეაზრებინა, თამაშის სტრატეგიული არსის წვდომის, ანალიზის, ამოცანის საკუთარი გადაწყვეტის უნარი არ ჰყოფნიდა. ლოგიკაც, რომელსაც მას საშინაო უნივერსიტეტში ასწავლიდნენ. ასეთივე ზედაპირული იყო — მხოლოდ ერთ სვლაზე სწვდებოდა. კონი მოგვითხრობს, როგორ ჩამოაგდო ერთხელ მან საუბარი ნიკოლოზთან რუსეთში „დამშვიდების“ სახეობათა შესახებ, იმ შემთხვევაში თუ 17 ოქტომბრის მანიფესტით მიცემული თავისუფლების პირობა შესრულებული იქნებოდა. „დიახ, — თითქოს თავს ინუგეშებსო, თქვა

ნიკოლოზმა, — ასეთი რამ უკვე ყველგან იყო. ეს გზა ყველა საბელმწიფომ გაიარა: ინგლისმაც, საფრანგეთმაც...“ „თავი ძლივს შევიკავე, რომ არ მეთქვა: კი, მაგრამ იქ თქვენს უდიდებულესობას ხომ თავს მოჭრიდნენ-მეთქი“.

ნიკოლოზს სტატიკური, მოუქნელი ლოგიკა ჰქონდა, რომელსაც დინამიურობა, განვითარება აკლდა. იგი ერთ დებულებას რომ მიიღებდა, ვერ გრძნობდა, რომ შემდეგ აუცილებლივ სხვა დებულებას მიღებას მოითხოვდა გარემოება. სამაგიეროდ, კონის აზრით, საყოფაცხოვრებო საკითხებში მეფე „შეზღუდული ანდა განუვითარებელი არ იყო“. იმის ახსნა, თუ რამ „შეუწყო ხელი რუსეთის უბედურებებსა და შერცხვენას“, უნდა ვეძიოთ „არა ნიკოლოზ II გონებრივი უნარის ნაკლოვანებაში, არამედ უგულობაში, რასაც მთელ რიგ შემთხვევებში იჩენდა. საკმარისია გავიხსენოთ ხოდინის საშინელებათა დღეს საფრანგეთის საელჩოში გამართულ ბალზე მისი დასწრება... ანდა პლევეს დარბევათა მიმართ გულგრილი დამოკიდებულება... სიმკაცრე ციმბირში გადასახლებული დუხობორებისადმი, სადაც მათ, როგორც ვეგეტერიანელებს, სიკვდილით შიმშილი ელოდათ“. ყველაფერი ეს და ამის მსგავსი სხვა მრავალი ფაქტი მეტყველებს ერთდროულად სიმკაცრესა და შიშზე, რადგანაც ეს ორივე „სათნოება“ ერთმანეთს უდგას გვერდში, ერთმანეთს ავსებს. „შიში და გამცემლობა, — აღნიშნავდა კონი, — წითელ ზოლივით გასდევს მთელ მის ცხოვრებას, მთელ მის მეფობას. ამაში, და არა ჭკუისა და ნებისყოფის სიმცირეში უნდა ვეძიოთ იმის ზოგიერთი მიზეზი, რითაც დამთავრდა მისთვის ერთიცა და მეორეც“. არა ჭკუის ნაკლებობა, არამედ უგულობა, იმეორებს კონი, და ამასთან დაკავშირებული პირადი ღირსების გრძნობის უქონლობა არის ის, „რის შედეგადაც გარშემო მყოფთა უბედურებასა და დამცირებაში მიათრევდა თავის გასაცოდავებულ სიცოცხლეს და ღირსეული სიკვდილი ვერ შეძლო“ [37]. ეს სტრიქონები ეკატერინობურგის ფინალამდე ერთი წლით ადრე დაიწერა.

ნიკოლოზი ცრუმორწმუნე იყო. თავს ჯანსაღად მოაზროვნე კაცად თვლიდა, სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტაში კი ირაციონალურ გრძნობებს — ინტუიციას, ბედისწერას, ინსტინქტს გულწრფელად ენდობოდა. მისი ცრუმორწმუნეობა შეპირობებული იყო ფატალიზმთან („ბედს ვერ გაექცევი“). აქედან მომდინარეობდა ის გარეგნული გულგრილობა, რომელსაც ხშირად ამოეფარებოდა ხოლმე. მას

შეეძლო დიდხანს ეფიქრა გადაწყვეტილების მიღებაზე, მაგრამ ბოლოს მაინც იმას ელოდა, თუ რას უკარნახებდა ინსტინქტი, ანდა რაზე მეტყველებდა ესა თუ ის შემთხვევითი ნიშანი. მინისტრის მიერ წარდგენილი მოხსენება გულდასმით დამუშავებული, უაღრესად დამაჯერებელი არგუმენტებისა და საბუთების შემცველიც რომ ყოფილიყო, მეფე მისი მოსმენის შემდეგ მისტიკურ თვითჭვრეტაში ჩაღრმავდებოდა, სხვადასხვა ნიშანსა თუ თვისებას აკვირდებოდა და გადაწყვეტილება „შინაგანი ხმის“ კარნახით გამოჰქონდა. ამბობდნენ, თითქოს გადაწყვეტილებებს შავი ფულის აგდებით („ორიოლი“ თუ „რეშკა“) ღებულობდაო.

სრული მარტოობა არ უყვარდა. დაპატიჟებულთა (განსაკუთრებით უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკიდან) ფართო წრეში სადილობა და ვახშმობა მისთვის დასვენება იყო. კბილები ცუდი ჰქონდა, ნაწილობრივ ხელოვნურით შეცვლილი, მაგრამ საგულდაგულოდ მოვლილი. ამიტომ სიცილის დროს ზოგჯერ პირზე ხელს იფარებდა. ანეკდოტები უყვარდა, თუმცა თავად არ ყვებოდა. უწმაწურობა არ იზიდავდა.

თავისუფალ დროს მისი უსაყვარლესი დასვენება იყო ავტომობილით, ორჩხომელითა და მოტორიანი ნავით სეირნობა; შეშის დახერხვა და დაპობა, და საერთოდ ფიზიკური მუშაობა სუფთა ჰაერზე; ფეხით სიარული შორ მანძილზე. ამ დროს თავისი ყველაზე ამტანი, ახალგაზრდა ფლიგელ-ადიუტანტებიც კი მხარს ვერ უბამდნენ. ყირიმში ცხოვრებისას ბევრს მოგზაურობდა მთებში ავტომობილით. მაგრამ მთებიდან ზღვისა და ველების ხილვით გამოწვეული სიხარული მისთვის უცხო იყო. საერთოდ პეიზაჟები ნაკლებად იზიდავდა და მათდამი თითქმის გულგრილად იყო განწყობილი.

ხშირად და ექსტრავაგანტურად იცვლიდა ტანსაცმელს. ამ მხრივ გემოვნებას ყოველთვის ვერ იჩენდა, რის გამოც ხშირად სერიოზულად არ გამოიყურებოდა (განსაკუთრებით ე. წ. გალა-უნიფორმაში). უყვარდა გარშემოკრებილთა გაოცება კოსტიუმების კონტრასტულობით. გალა-უნიფორმები შემკობილი იყო ბუმბულით, კუდებითა და ათასგვარი ყღარუნებით. მერე უცბად მათ მაგივრად ჩაიცვამდა ხოლმე გვერდზე შესაკრავ უბრალო პერანგს წელზე შემორტყმული ზონრით. საზღვარგარეთ ორბორტიან კოსტიუმს იცვამდა, მაგრამ ელეგანტურად არ ედგა: პიჯაკი ტომარასავით ეკიდა, პალტო უფორმო ჩანდა. ატარებდა ალექსანდრა თედორეს ასულის მიერ შერჩეულ

მუქი ფერის სადა, ყელში წაჭერილ ჰალსტუხებს. ხელებს არასოდეს არ იყოფდა შარვლის ჯიბეებში.

მისი ჩვეულებრივი, ყოველდღიური ტანსაცმელი, რომლითაც კაბინეტში ანდა ოჯახის წევრებს შორის იჯდა, იყო პოლკოვნიკის სამხრეებიანი, ჯარისკაცურად შეკერილი, ხაკისფერი მაუდის გიმნასტურა, რომელზედაც ტყავის ფართო ქამარს ირტყამდა. შაგრენის ტყავის ჩექმების გარმონივით ჩაკეცილ დაბალ ყელში იმავე ფერის განიერი შარვალი ჰქონდა ჩატანებული.

ფულს თან არ ატარებდა. მანეთზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. 1912 წელს სკერნევიცაში (პოლონეთი) ერთხელ მეფის ეკიპაჟი ცხენებმა გაიტაცეს. კატასტროფა მეგადრაგე კაზაკმა ააცილა: მან შუაში შებმულ დაოთხილ ცხენს აღვირში სტაცა ხელი, მასთან ერთად ერთხანს მიწაზე ეთრია და ისე გააჩერა ეტლი. კაზაკი ძლივს გადარჩა სიკვდილს. მეფემ მოსოლოვს უბრძანა:

— 25 მანეთი ან ოქროს საათი მიეცით. თავად აირჩიოს.

მოსოლოვმა კაზაკს ოქროს საათი მისცა, ხოლო მეორე მიღებაზე მეფეს საათის ღირებულებისა და ფულადი თანხის შეუსაბამობის შესახებ მოახსენა.

— დიახ, — შენიშნა ნიკოლოზმა სიცილით. — ეს ჩემი განათლების ხარვეზია. არ ვიცი, რა რამდენი ღირს [38].

დანილოვმა თავის დაკვირვებიდან შემდეგი დასკვნა გამოიტანა: „დარწმუნებული ვარ, იმპერატორი ნიკოლოზი უმოწყალო ბედს უზარმაზარი და რთული სახელმწიფოს სათავეში რომ არ დაეყენებინა და მასში იმის მცდარი რწმენა არ შთაენერგა, რომ ამ სახელმწიფოს კეთილდღეობა თვითმპყრობელობის პრინციპის შენარჩუნებაზე იყო დამყარებული, მასზე, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძეზე, შემოგვრჩებოდა მოგონებები, როგორც სიმპათიურ, გულმართალ და ურთიერთობაში სასიამოვნო ადამიანზე...“ [39]

რომ არა...

მეფის ზოგიერთი ავტოგრაფი

არც დიდსა და არც პატარა მიზეზს არ უშვებდა იმპერატორი ხელიდან თავის თანაშემწეებში ერთგულებისა და გულმოდგინების სულის განსამტკიცებლად. კი, მაგრამ, რომელი მიმართულებით?

ტომსკის გუბერნატორი წლიურ ანგარიშში წერდა, რომ „აუცილებელია მეტი ეკლესიების აშენება“ და ისიც არა მარტო ქალაქად, არამედ უფრო მეტად „სოფლად“. ამ ანგარიშს არშიაზე მეფის ასეთი რეზოლუცია აქვს: ეს საკითხი ძალზე ახლოა ჩემს გულთან.

გენერალი სუხომლინოვი კიევის სამხედრო ოლქიდან თავის მოხსენებითს ბარათში ჩიოდა, „საეკლესიო იგავებით ჯარების საკმაო რაოდენობით უზრუნველყოფა“ შეუძლებელიაო. მიზეზი: ფინანსთა სამინისტროს სიძუნწე ასიგნებაზე. რეზოლუცია: სამხედრო უწყებამ უფრო გაბედულად უნდა მოითხოვოს კრედიტი ჯარების ამ უმნიშვნელოვანესი საჭიროების დასაკმაყოფილებლად... აქ ამა თუ იმ პირის შეხედულების მომიზეზება ცოტას ნიშნავს, რაკი მე ასე მსურს.

სემირეჩინსკის ოლქის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი იონოვი წლიურ ანგარიშში წერდა, რომ „მწვავე აუცილებლობა“ მოითხოვდა გაეგრძელებინათ „მომთაბარე ყირგიზებისათვის რაც შეიძლება მეტი მიწების ჩამორთმევა“, რათა თანდათანობით გადაეცათ იგი „ახალი კაზაკური დასახლებების გასაშენებლად“. მეფემ წააწერა: საჭიროა ამ მხარის კოლონიზაციის დაბეჯითებით წინ წაწევა.

ტურგაის ოლქის სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-ლეიტენანტი ლომაჩევსკი ანგარიშში გამოთქვამდა რწმენას, რომ „ყირგიზებისათვის სასწავლებელი საჭირო არ არის“. წარწერა: თანახმა ვარ. სახალხო განათლების სამინისტროს საყურადღებოდ.

გენერალ-ლეიტენანტი გაზენკამპფი ასტრახანიდან იტყობინებოდა, რომ ქალაქის გიმნაზია „გადატვირთულია“. კიდევ ერთი გიმნაზიის გახსნა ქალაქში „დიდი ხნის წინათ მომწიფებული, ახლა კი უკვე თითქმის აუცილებელი მოთხოვნილებაა“. მისმა უდიდებულესობამ საკუთარი ხელით წააწერა: გიმნაზია არავითარ შემთხვევაში არა, ტექნიკური სასწავლებელი შეიძლება.

ოლონეცკის გუბერნატორი წლიურ ანგარიშში აღნიშნავდა, რომ ერობათა ცდის შედეგად მის დაქვემდებარებულ რაიონებში „გაიხსნა კიდევ ას ჩვიდმეტი სახალხო სკოლა“. რეზოლუცია: ზედმეტი

აჩქარება ამ მიმართულებით სასურველი სრულიადაც არ არის.

ვოლოგდის გუბერნატორი ლოდიჟენსკი მოახსენებდა, რომ ეროვნები ცდილობენ საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის გასაწევი ხარჯების შემცირებას, სახსრების გადანაწილებას სახალხო სკოლების სასარგებლოდ. მეფემ წააწერა: ეს მე ძალიან არ მომწონს.

პოლტავის გუბერნატორი წლიურ ანგარიშში აღნიშნავდა, რომ საეკლესიო-სამრევლო და საერობო სკოლების პროგრამებს შორის განსხვავების მიუხედავად, იგი მკაცრად ადევნებს თვალს, რათა აქაც და იქაც მეცადინეობა „მართლმადიდებლობისა და მეფისადმი თავდადების საფუძველზე“ ტარდებოდეს. ნიკოლოზს არშიაზე წაუწერია: ამ წამოწყებათა შენარჩუნება რუსული გულის მქონე ყველა კაცისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს, იგი ხალხთა მასების ნამდვილი განვითარების საწინდარია.

გუბერნატორი სტოლიპინი სარატოვიდან იტყობინებოდა, რომ მარიინის მიწათმოქმედების სასწავლებლის მსმენელები არალეგალურ პროკლამაციებსა და ბროშურებს ავრცელებდნენ გლეხებში. ამ სტრიქონების გასწვრივ მის უმაღლესობას აღუნიშნავს: საზიზღრობა! რა სასჯელი დაედო სასწავლებლის უფროსობას?

იგივე ვოლოგდის გუბერნატორი ლოდიჟენსკი წლიურ ანგარიშში ჩიოდა „ვაჟთა საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა ქცევაში მავნე გამოვლინებებზე“ და სვამდა საკითხს „საოლქო სასწავლო უწყების როლის“ შესახებ. ნიკოლოზის რეზოლუცია: კი არ შეიზღუდოს, არამედ უფრო მეტად გაფართოვდეს ყველა უწყების სასწავლებლებზე გუბერნატორების ზედამხედველობის უფლება.

იგივე სარატოვის გუბერნატორი სტოლიპინი წლიურ ანგარიშში აღნიშნავდა, რომ სახალხო სკოლების მასწავლებელთა მიდრეკილების მიზეზი „საძრახისი პროპაგანდისადმი“ იყო მათი ცხოვრების პირობებით, მატერიალური ხელმოკლეობით, წვრილ დასახლებულ პუნქტებში გაფანტვით გამოწვეული უკმაყოფილება. მეფე აწერს: მით უფრო სასურველია მამაკაც მასწავლებელთა პერსონალის შეცვლა ქალებით.

სტეპნის გენერალ-გუბერნატორი წერდა ამ მხარეში გადმოსახლე-

ბულ, „ფარულ და აშკარა ზედამხედველობაში მყოფთა“ აქტიურობის ზრდაზე. მისი განმარტებით, ისინი ეწყობოდნენ საგანმანათლებლო წრეებში, მონაწილეობდნენ სტატისტიკური ორგანოებისა და გეოგრაფიული საზოგადოების მუშაობაში, გაჰყავდათ თავისი წარმომადგენლები საქალაქო მმართველობაში. მეფეს წაუწერია: ამის მოთმენა არ შეიძლება.

ეკატერინოსლავის გუბერნატორი თავის ანგარიშში კითხულობდა, რამდენად სწორი იყო განზრახვა იმის შესახებ, რომ თითქოს ადმინისტრაციული ორგანოები ადგილზე მოკლებული იქნებოდნენ სასამართლო უფლებებს? ნიკოლოზის რეზოლუცია: ამაზე ლაპარაკიც არ ღირს.

სამოქალაქო გუბერნატორი კავკასიაში, თავადი გოლიცინი ნებას ითხოვდა, რათა გაეზარდა პოლიციელთა რიცხვი და მაღალი ჩინის პოლიციელებისათვის მოემატებინა ხელფასი. მისი უმაღლესობის რეზოლუცია: სამართლიანი მოთხოვნაა.

ქალაქ ნიკოლაევის მმართველი კონტრ-ადმირალი ენკვისტი საანგარიშო მოხსენებაში ყურადღებას ამახვილებდა „ქალაქ ნიკოლაევის პოლიციის შტატის 18 საუბნო ზედამხედველით გაზრდის გადაუდებელ აუცილებლობაზე“. მეფეს აღუნიშნავს: უნდა შესრულდეს.

ესტლიანდის გუბერნატორი ბელგარდი მოახსენებდა, რომ მისი ცდის შედეგად გუბერნიაში შეიქმნა ანთროპომეტრულ ძიებათა ბიუროების ქსელი, რომლის ცენტრიც რეველში იმყოფება. ამით „ძლიერ წაიწია წინ“ პოლიტიკური გამოძიების საქმემ. მეფეს წაუწერია: ძალზე მნიშვნელოვანია სხვა გუბერნიებისათვისაც.

ქალაქ ნიკოლაევის მმართველი, იგივე კონტრ-ადმირალი ენკვისტი საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ ეს ქალაქი „გადმოსახლებულთა და გამოძიებაში მყოფი სხვადასხვა კატეგორიის პატიმრებისათვის საგანგებო ციხის უქონლობას მწვავედ განიცდიდა“. წარწერა: როდის შეუდგებიან ამ ციხის მოწყობას?

იგივე სემირეჩინსკის გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი იონოვი ციხეების ნაკლებობაზე ჩიოდა. სპეციალურად აშენებული საპატიმრო სახლები მარტო ქალაქებში ვერნოსა და ჯარკენტში არსებობენ, სხვა დანარჩენები „მოუწყობელი და ვიწროებია“. ლეპსინსკში, მაგალითად, ციხეებად დაქირავებული ჰქონიათ ორი კერძო

პირის ჩვეულებრივი სახლები, რომლებიც ამასთან ქალაქის სხვადასხვა ბოლოში მდებარეობდა. მისი უმაღლესობის რეზოლუცია: მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ა უ ტ ა ნ ე ლ ი ა. დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ შ ე უ დ ე ქ ი თ ც ი ხ ე ე ბ ი ს ა შ ე ნ ე ბ ა ს.

გუბერნატორი ბულატოვი ანგარიშში წერდა, რომ ქალაქ იაკუტსკში არსებული ერთადერთი ფიცრული ციხე გადასაკეთებელი იყო; ამის გამო იგი „უკიდურეს შემთხვევაში 150 პატიმრისათვის მაინც“ ახალი ციხის აშენების ნებართვასა და სახსრებს ითხოვდა. მეფემ წაწერა: დ ა ჩ ქ ა რ დ ე ს.

კრონშტადტის სამხედრო გუბერნატორი მეფეს მოახსენებდა, რომ ადგილობრივი ციხე „სანიმუშო წესრიგში“ იმყოფებოდა და რომ ეს „უპირველეს ყოვლისა მისი უფროსის დამსახურება იყო“. მეფის მინაწერი: პ ა ტ ი ვ ს ა ც ე მ ი თ ა ნ ა მ შ რ ო მ ე ლ ი ა.

იგივე სარატოვის გუბერნატორი (შემდეგში პრემიერ-მინისტრი) სტოლიპინი საანგარიშო მოხსენებაში თავის გამოცდილებას უზიარებდა მეფეს. მისი განმარტებით, აჯანყებული გლეხების დასამშვიდებლად ეფექტურად გამოუყენებიათ შეიარაღებული მცირე ცხენოსანთა რაზმები, რომლებიც დაკომპლექტებული ყოფილა ნებაყოფლობით დაქირავებული „ასტრახანის ჯარის თავისუფალი კაზაკებისაგან“. გამორკვეულა ამ რაზმების უპირატესობა ქვეითებთან შედარებით: ისინი უფრო მოძრავნი ყოფილან და „თავიდანვე ძალზე წარმატებით ფანტავდნენ ბრბოს მათრახებით“. მისი უდიდებულესობის წარწერა: მ თ ლ ი ა ნ ა დ ვ ი ზ ი ა რ ე ბ ა ა მ შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ა ს.

იგივე სტოლიპინი ატყობინებდა, რომ დიდ მამულებში აღინიშნა ხანძრის გაჩენის რამდენიმე შემთხვევა. დამნაშავენი აღმოუჩენიათ და სასამართლოსათვის გადაუციათ. მეფის შეკითხვა არშიაზე: რ ა გ ა დ ა უ წ ყ ვ ი ტ ე ს? [40]

ცოტა სკოლები და ბევრი ციხეები; გიმნაზიები კი არა, ეკლესიები; მასწავლებლები კი არა, უბნის ზედამხედველები. მშივრებს კი არ უნდათ დახმარება, არამედ მემამულეებს ჭირდებათ მათგან დაცვა— ეს იყო სრულიად რუსეთის იმპერატორის მისასვლელი გზა „რუსული გულის მქონე ყველა კაცთან“.

საერთოდ შეზღუდული პიროვნება, საკუთარ ქვეშევრდომებთან ბრძოლაში დაუცხრომლობასა და ტემპერამენტს იჩენდა. კეთილშობილური აღზრდით მიღებული დელიკატობისა და ლმობიერების მიღმა ბოროტება და სიმკაცრე გამოსჭვიოდა.

5

„სიკვდილის რულეტი“

რაც უფრო შორი მანძილია მბრძანებელსა და მორჩილს შორის, მით პირველისათვის მეორის სისხლსა და ცრემლს ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

დიდრო

ზალპი სასახლის შანჯრებთან

ეკატერინობურგის ფინალამდე ცამეტ-ნახევარი წლით ადრე მეფემ უფლება მისცა თავის გენერლებს დიდი მთავრის ვლადიმერის ხელმძღვანელობით დედაქალაქის ქუჩებში და ზამთრის სასახლის წინ, მოედანზე, ხოცვა-ჟლეტა გაემართათ. ამ მიზნით პეტერბურგის ცენტრალურ და განაპირა კვარტალებში 40 ათასი ჯარისკაცი და ჟანდარმი, მათ შორის პრეობრაჟენსკის პოლკის ორი ბატალიონი შეიყვანეს. ეს იყო ის პოლკი, რომელშიც ბიძამისის სერგეი ალექსანდრეს ძის უფროსობით, ნეიდჰარდტისა და რენენკამპფის საზოგადოებაში მეფე თავის დროზე ოფიცრის პრაქტიკას გადიოდა. ჯარები და ჟანდარმერია თავს დაესხა მუშათა (გამოსული იყვნენ ცოლებითა და ბავშვებით — სულ 140 ათას კაცამდე) მშვიდ დემონსტრაციას, რომლის მონაწილეებსაც მღვდელმა გიორგი გაპონმა მოუწოდა — დასახმარებლად და დასაცავად „მეფე-მფარველისათვის“ მიემართათ. პირველი სროლის ხმა 12 საათზე ნარვის ჭიშკართან გაისმა. დღის ორი საათისათვის პრეობრაჟენელებმა და სემიონოველებმა ცეცხლი დაუშინეს ზამთრის სასახლესთან მისულ დემონსტრანტების მთავარ კოლონას — კეთილი განზრახვით, ლოცვა-კურთხევით, დროშებითა და ხატებით მიმავალ შეუიარაღებელ უამრავ ხალხს. ჯარისკაცები და პოლიციელები ხალხს ესროდნენ; ცხენოსანი ჟანდარმები ხმლებით ჩეხავდნენ, ცხენებით თელავდნენ ქალებსა და ბავშვებს, ხვრეტდნენ დაჭრილებს. სასახლის მოედანი და მიმდებარე ქუჩები დახოცილებითა და დაჭრილებით აივსო. ჟანდარმები ცეცხლს უშენდნენ ალექსანდრეს ბაღში დემონსტრაციის უკეთ საცქერლად ხეების კენწეროებზე ამძვრალ პატარა ბიჭებს; ტყვიით განგმირული ბავშვები ტოტებიდან დათოვლილ ყვავილნარში ცვიოდნენ... ხოცვა-ჟლეტა გაგრ-

ძელდა ნევის პროსპექტზე, ყაზანის ტაძართან, მორსკოისა და გოროხოვოს ქუჩებში, ნარვისა და ნევის საგუშაგოებთან, ვიბორგის მხარეს. დღის ბოლოსათვის სისხლიანი კვირის სანიტარიულ-ჰოსპიტალურ რეესტრში აღნიშნული იყო ათასობით მოკლული და დაჭრილი.

საღამოს მეფემ დღიურში ჩაწერა: „მძიმე დღე იყო. ზამთრის სასახლემდე მუშების მისვლის სურვილის გამო პეტერბურგში სერიოზული უწესრიგობანი მოხდა. ჯარებს ქალაქის სხვადასხვა მიმართულებით უნდა ესროლათ; ბევრი დაიხოცა და დაიჭრა. ღმერთო, რაოდენ მძიმე და მტკივნეულია“ [1].

„ზამთრის სასახლემდე მუშების მისვლის სურვილის გამო“ რატომ უნდა ყოფილიყო „ბევრი დახოცილი და დაჭრილი?“ რატომ „უნდა ესროლა ჯარს“ აუცილებლად? ვინ მისცა სროლის ნება, ვინ უბრძანა? ამ კითხვებს აყენებს დღიურის ჩანაწერები, მაგრამ მათზე პასუხი გაცემული არ არის. მეფე მწარედ ოხრავს — „რაოდენ მძიმე და მტკივნეულიაო“, თუმცა აქ შეიძლება ტოლსტოი გავიხსენოთ. როცა ერთხელ ვიღაცას ტოლსტოის თანდასწრებით უთქვამს, მეფე 9 იანვრის მოვლენებით დამწუხრებულიაო, მწერალს ჩაუცინია: „მე არ მჯერა, რადგანაც იგი მატყუარაა“ [2].

მართლაც ასე იყო. როცა ამბობს, „ბევრი დაიხოცა და დაიჭრაო“, ამის შემდეგ, რამდენიმე სტრიქონის ქვეშით, წერს: „ქალაქიდან დედა პირდაპირ წირვაზე მოვიდა ჩვენთან. ყველასთან ერთად ვისაუზმე. მაშასთან ერთად ვისეირნე“. მაშასადამე, იგი არცთუ ცუდ გუნებაზე ყოფილა და არც ჭამის მადა ჰქონია მთლად დაკარგული. მეორე დღეს კვლავ წერს: „ძია ალექსიმ ისაუზმა. მივიღე ურალელი კაზაკების დეპუტაცია, რომელსაც თან ჩამოეტანა ხიზილალა. ვისეირნეთ. დედასთან დავლიეთ ჩაი“ [3].

გუნებ-განწყობა აშკარად გამოჰკეთებია. მზადაც კი ყოფილა თავისი მონარქიული შეწყალება გამოეცხადებინა იმათთვის, ვისთვისაც „ჯარებს ქალაქის სხვადასხვა ნაწილში უნდა ესროლათ“. პატიების აქტი ასეთი იყო: სისხლიანი კვირიდან 10 დღის გასვლის შემდეგ „ოხრანკას“ ქარხნებში შეუგროვებია მეფესთან წარსადგენი „მუშათა დელეგაცია“ 34 კაცის შემადგენლობით. ეს ჯგუფი ასეთნაირად დაუკომპლექტებიათ: ერთ-ერთი ფაბრიკის კანტორის თანამშრომელი შინ მჯდარა და ჩაის სვამდა თურმე. კარზე მაგრად დაუკაკუნებიათ, კანტო-

რის თანამშრომელს კარი გაუღია და შეშინებულა: მის წინ მდგარან ბოქაული, ჟანდარმერიის ოფიცერი, პოლიციელი და მეეზოვე.

— თქვენ ხართ ნ.?

— მე ვარ.

— ჩაიცვით და უკან გამოგვყევით.

— რატომ?

— იჩქარეთ.

კანტორის თანამშრომელი კარეტაში ჩაუსვამთ და ზამთრის სასახლეში კომენდატურის სადარბაზოსთან მიუყვანიათ. ჟანდარმი გამუდმებული მუჯლუგუნით აჩქარებდა თურმე: „მალე! მალეო!“ შესულან დარბაზში, რომლის შუაშიც გენერალი ტრეპოვი მდგარა. „გაჩხრიკეთ!“ — უბრძანებია ქალაქის უფროსს. გაუჩხრეკიათ. „გახადეთ!“ გაუხდიათ. „ჩააცვით აი ეს“. რაღაც ჩაუცმევიათ. შემდეგ ცარსკოე სელოს ვაგზალში წაუყვანიათ და ვაგონში ჩაუსვამთ, სადაც ჯაშუშების დაცვის ქვეშ ამგვარად გატაცებული სხვა „მუშა დეპუტატებიც“ მსხოლარან. ვაგონში მყოფთ ერთმანეთთან გადალაპარაკება აკრძალული ჰქონიათ [4].

ცარსკოე სელო. ეკატერინეს დიდი სასახლის დარბაზი. ტრეპოვის კოსტიუმებში გამოწყობილ ფერდაკარგულ და სახეჩამომჭკნარ კანტორის თანამშრომლებთან მეფე გამოსულა. მას მოკლე სიტყვა წარმოუთქვამს. მისთვის თურმე ცნობილი ყოფილა, რომ „ფაბრიკა-ქარხნების მუშებს იოლი ცხოვრება არა აქვთ“, რომ ბევრი რამ ნამდვილად „უნდა გაუმჯობესდეს და მოწესრიგდეს“. მაგრამ იქვე მუქარით გაუფრთხილებია მუშები: „მეამბოხე ბრბოს საშუალებით თქვენი გასაჭირის ჩემთვის გამოცხადება დანაშაულია“. შემდეგ დამდგარა ის მომენტი, რისთვისაც ტანსაცმლის გადაცმის ფარსი ყოფილა დაგეგმილი. „მე მჯერა, — წამოუძახია მეფეს, — მუშა ხალხის პატიოსანი გრძნობებისა და მათი ჩემდამი ურყევი ერთგულებისა, ამიტომაც მიპატიებია მათთვის დანაშაული“ [5].

9 იანვრის ამბებიდან ორი კვირის თავზე გაზეთ „ვპერიოდში“ გამოქვეყნებულ თავის სტატიაში „ტრეპოვი მბრძანებლობს“ ლენინმა ამ სცენას „საზიზღარი კომედია“ უწოდა. მან აღნიშნა, რომ „მეფემ ცარსკოეში მიიღო პოლიციის მიერ შერჩეული 34 მუშის დეპუტაცია და წარმოთქვა გაცვეთილი, პირმოთნეობით აღსავსე სიტყვა მთავრობის მამობრივი მზრუნველობისა და მუშებისათვის დანაშაულის პატიების შესახებ“. ლენინმა გამოთქვა რწმენა, რომ ეს მანევრი ვერ შე-

აცდენდა რუსეთის პროლეტარიატს და წინასწარმეტყველურად განსაზღვრა: „პროლეტარიატი კიდევ მოელაპარაკება მეფეს სხვაგვარად!“ [6].

ტრეპოვის მიერ შედგენილი დელეგაციების მნიშვნელობა კარგად ესმოდა კაპიტალისტ სავა მოროზოვს. იგი იმდროინდელი რუსეთის მაღალი წრის ერთ-ერთი გონიერი ადამიანი იყო და ზედმიწევნით იცნობდა მუშებსაც და კანტორის მოხელეებსაც. იანვრის იმ დღეებში, როცა პეტერბურგის დათოვლილ ქვაფენილს ჯერ კიდევ წითლად ეტყობოდა მუშათა სისხლის ლაქები, იგი ა. მ. გორკის შეხვდა.

— მეფე რეგვენია, — უხეშად და ზიზღით ლაპარაკობდა თურმე მოროზოვი.—მას დაავიწყდა, რომ ხალხი, რომელიც დღეს მისი თანხმობით დახვრიტეს, წელიწად-ნახევრის წინათ მისივე სასახლის წინ დაჩოქილი იდგა და მღეროდა „ღმერთო, დაიფარე მეფე...“

იგი მწერლის გვერდით ჩამომჯდარა და უთქვამს:

— დიახ, რევოლუცია ახლა უკვე უზრუნველყოფილია... წლობით გაწეული პროპაგანდა ვერ მისცემდა იმდენს, რამდენსაც მიაღწია თავად მისი უდიდებულესობის საშუალებით ამ ერთ დღეში [7].

შეძრწუნებული გარე სამყაროს ხმები რუსეთშიც აღწევდა: ერთნი გაოცებულნი იყვნენ („ნუთუ მსგავსი რამ შესაძლებელია?“); მეორენი — განრისხებულნი („ეს როგორ გაბედა მეფემ?“); სხვებს ულმობელი განაჩენი გამოჰქონდა ცარიზმისათვის. ამ უკანასკნელთ მიეკუთვნებოდა ჟან ჟორესი, რომელმაც სპეციალური სტატია გამოაქვეყნა იმ დღეებში „იუმანიტეში“.

აქამდე, წერდა იგი, რუსეთსა და მთელ კაცობრიობას შეეძლოთ კიდევ ეფიქრათ, რომ ნიკოლოზ II „აბსოლუტიზმის პირველი ტყვე“ იყო; რომ ბიუროკრატია მის გარეშე ჩაგრავდა და ანადგურებდა ხალხს. აქამდე ზოგიერთებს კიდევ შეეძლოთ ჰგონებოდათ, რომ იგი არც პოლიციის მიერ საზიზღრად მომზადებულ კიშინიოვის ამბებზე, არც იაპონიასთან დამღუპველ ომზე და არც სხვა სისაძაგლეებზე პასუხისმგებელი არ იყო... მაგრამ „ამჯერად ხალხი თავად მას მიმართავდა“. ამიერიდან სისხლის მდინარე ჩადგა მეფესა და „მის“ ხალხს შორის. მუშებზე დარტყმით „ცარიზმმა სასიკვდილოდ დასჭრა საკუთარი თავი“. და ახლა, ხმამაღლა აცხადებდა ჟორესი, ყველა ხედავს, რომ „მეფე ნამდვილი მკვლელია“ [8].

მეფემ კი მუქარით აღსავსე მკაცრი „პატიება“ გამოუცხადა ხალხს, რომელსაც 9 იანვარს ტყვიები დაუშინა, და შემდეგ გულისამაჩუყე-

ბელი სამადლობელი სიტყვით მიმართა იმათ, ვინც მისი ნებართვით დემონსტრანტებს ესროდა. მისთვის ჩვეული თავშეკავებული და მონოტონური წერის მანერისაგან განსხვავებით იგი სემიონოვის პოლკისადმი მიმართულ სტრიქონებში სანტიმენტალურ გრძნობებს თავისუფლად გამოთქვამდა: „გმადლობთ, ჩემო ძვირფასო სემიონოველებო! სულითა და გულით გიხდით მადლობას იმ სამსახურისათვის, რომელსაც ეწევით. თქვენი მამაცობის, სიმტკიცისა და ერთგულების წყალობით მღელვარება ჩავახშეთ“. და მეორეჯერ: „მიყვარს და პატივს ვცემ ძვირფას სემიონოველებს. ჩემს მემკვიდრეს ანდერძად ვუტოვებ, რომ მასაც ასევე უყვარდეთ თქვენ. უღრმეს მადლობას ვუთვლი თქვენს პოლკს მემკვიდრისათვის პატარა და დიდი ხმლის ჩუქებისათვის. პატარას იგი ახლა ატარებს, დიდს კი, ღვთის წყალობით, — შემდეგში“ [9].

მან სემიონოველებს უჩვეულო შეღავათები მისცა: თითოეულ მათგანს უფლება ეძლეოდა, სამსახურის ვადის გავლის შემდეგ, უშუალოდ და პირადად მისთვის მიემართა. „თქვენ, რომლებიც თადარიგში გადიხართ, მალე დაუბრუნდებით ოჯახებს. თუკი ვინმე გაგანაწყენებთ ანდა ისე არ მოგექცევათ, როგორც ეს ნამდვილ სემიონოველს შეჰფერის, უფლებას გაძლევთ მომმართოთ პირადად მე. დაე, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი“. ეს არცთუ პატარა შეღავათი იყო. სემიონოვის პოლკმა 1905 წელს ჯალათის რეპუტაცია მოიხვეჭა. თავისი პირადი მფარველობის დაპირებით ნიკოლოზი ამხნევებდა ოპრიჩნიკებს, რომელთაგან ბევრს რუსეთის პირველი რევოლუციის მოახლოების შიშით უკვე აკანკალებდა.

ორი ბრძანება

დედა პატიმარ შვილთან მიდის. შვილი გისოსის იქითა მხარეს დგას, დედა — აქეთ და ასე ელაპარაკებიან ერთმანეთს ჟანდარმის თანდასწრებით. ეს ხდება სარატოვის ციხეში. დედა ეუბნება შვილს, რომ გუშინ გამომძიებელ ალბიცკისთან იყო.

— ვკითხე მას, მალე გამოვლენ-მეთქი ციხიდან ჩვენი ბავშვები?

— მერე, რა გიპასუხა?

— მითხრა: ჩვენი ციხიდან კი არ გამოდიან, გამოაქვთო.

— შენ რა უთხარი?

— რას ბრძანებთ! რატომ? ისინი ხომ მკვლელები არ არიან-მეთქი!

— მან რაღა გითხრა?

— უარესიო, მიპასუხა გამომძიებელმა ალბიცკიმ. მკვლელები ვინ არიან? არავინო. თქვენები რომ მკვლელები ყოფილიყვნენ, ის ჯობდაო. იცით სადამდის მივიდნენ? აბა წარმოიდგინეთ, რა საშინელებაა: მეფის წინააღმდეგ გამოვიდნენ [10].

გამომძიებელ ალბიცკის აზრს იზიარებდა თავად მეფეც: არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ამქვეყნად ისეთი დანაშაული, რომელიც თავისი სიმძიმით ისეთ „საშინელებას" გაუტოლდებოდა, როგორიც მისი, „ღმერთის მიერ მირონცხებულის", წინააღმდეგ გამოსვლის ცდა იყო.

არქივში შემონახულია კანცელარიის საქაღალდე. გარეკანზე მომრგვალებული, ხვეული ასოებით წერია: „სამხედრო-საველე სასამართლოების წესების შემოღების შესახებ", და ცოტათი ქვევით „1906 წელი". პირველი, რაც საქაღალდის გახსნისას უნებლიეთ იქცევს ყურადღებას, ეს არის იმავე წლის 8 ივლისით დათარიღებული მთავარი სამხედრო-სასამართლო სამმართველოს მიმართვა სამხედრო სამინისტროსადმი. მას იმპერატორის ხელით შემდეგი რეზოლუცია აქვს წაწერილი: შ ე ვ ა ხ ს ე ნ ე ბ მ თ ა ვ ა რ ს ა მ ხ ე დ რ ო-ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს ა მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ს ჩ ე მ ს ა ზ რ ს ს ი კ ვ დ ი ლ ი ს მ ი ს ჯ ი ს შ ე ს ა ხ ებ. მ ე ი გ ი ს წ ო რ ა დ მ ი მ ა ჩ ნ ი ა, რ ო ც ა ს ი ს რ უ ლ ე შ ი მ ო ჰ ყ ა ვ თ დ ა ნ ა შ ა ო ს ლ ი ს ჩ ა დ ე ნ ი დ ა ნ 48 ს ა ა თ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ო ბ ა შ ი, — ს ხ ვ ა გ ვ ა რ ა დ ი გ ი შ ურ ი ს ძ ი ე ბ ი ს ა დ ა გ უ ლ გ რ ი ლ ი ს ი მ კ ა ც რ ი ს ა ქ ტ ი ა. ხ ი კ ო ლ ო ზ ი [11].

თითქოს გულკეთილობას წააგავს, ხომ მართალია? იგი წინააღმდეგი ყოფილა შურისძიების აქტებისა: მისთვის საძულველია გულგრილი სიმკაცრე. იგი მშვიდობისმოყვარეა, ლმობიერია, გულჩვილია. მას ადამიანის წვალება აუტანლად მიაჩნია, რაც ქრისტიანულ სიბრალულსა და ანგელოზურ შეწყნარებას ნიშნავს. მსჯელობდა რა მის ზოგიერთ პირად ნიშან-თვისებაზე, ბ-ნი კატკოვი ჯერ კიდევ 1967 წელს ამტკიცებდა: ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის კეთილშობილებასა და ლმობიერებაში მისი ბუნებისათვის დამახასიათებელი ღვთიური სიწმინდე გამოსჭვივისო; მისი ეს ბუნება ძირითადი ნიშნებით

თ. მ. დოსტოევსკის ისეთ პერსონაჟებს ენათესავება, როგორიცაა ალიოშა კარამაზოვი ანდა თავადი მიშკინი. მეორე შედარება ბ-მა ალექსანდროვმა შემოგვთავაზა: იგი ნიკოლოზ II რაღაცით დანიის პრინც ჰამლეტის დუბლიკატად თვლის [12].

ჯერჯერობით ალიოშასა და ჰამლეტს თავი დავანებოთ. უწინარეს ყოვლისა გადავფურცლოთ არქივიდან ამოღებული ზემოაღნიშნული საქაღალდე. მასში 8 ივლისის რეზოლუციის გარდა ინახება იმავე წლის 20 აგვისტოთი დათარიღებული მისი უმაღლესობის გადაწყვეტილება — სამხედრო-საველე სასამართლოების შემოღების შესახებ. ეს არის მეფის სწორედ ის გადაწყვეტილება, რომელიც მისი გამოქვეყნებისთანავე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პეტერბურგის კომიტეტის ფურცელში („ქალაქ პეტერბურგის ყველა მუშას") კვალიფიცირებული იყო როგორც უსაზღვრო და უმაგალითო თვითნებობა [13].

ეს ორივე უავგუსტოესი ბრძანება, ერთად აღებული, ქვაკუთხედია ცარიზმის ეგრეთ წოდებული სწრაფმსროლელი იუსტიციის სისტემისა, რომელიც მისი არსებობის ბოლო ათწლეულში მოქმედებდა. როგორც 8 ივლისის რეზოლუციიდან ჩანს, „გულმოწყალე" მეფეს უნდოდა, რომ სასჯელი „დანაშაულის ჩადენიდან 48 საათის შემდეგ აღსრულებულიყო". მას კიდევ სურდა, რომ ეს წესები არავის დაერღვია. ამიტომ იმავე წლის 20 ივლისს სამხედრო მინისტრი აფრთხილებს ყველას, ვისაც გამგებლობა ავალია და ვინც ამ ბრძანების შესასრულებლად არის მოწოდებული, პირველ რიგში სამხედრო ოლქის სარდლებს, გენერალ-გუბერნატორებს, სამხედრო პროკურორებსა და მოსამართლეებს, რომ აღნიშნული ბრძანების გადახვევისათვის წარსდგებოდნენ „მისი უდიდებულესობის წინაშე პირადი პასუხისმგებლობისათვის".

არა, გადახვევას არც ერთი მათგანი არ აპირებდა. მაგრამ დადგენილი წესის (48 საათის შესახებ) შესრულება არცთუ ისე ადვილი იყო. ასეთი წესი არასოდეს ყოფილა სადმე, არც ერთ სახელმწიფოში, მათ შორის არც რუსეთში.

საქმე ისაა, რომ 48 საათში შეუძლებელია თვით უბრალო სასამართლო პროცესის ჩატარებაც კი. რაკი ლაპარაკია სიკვდილით დასჯის განაჩენზე, მაშასადამე, საჭიროა სასამართლო (დაე, თუნდაც ფორმალური), საჭიროა მოკვლევა, წინასწარი და სასამართლო გამოძიება, მოწმეთა გამოძახება, პროკურატურის ღონისძიებანი, თვით

პროცესი და სხვა — როგორ უნდა მოესწროს ყოველივე ეს 48 საათში?

უმორჩილესად სთხოვეს მის უდიდებულესობას, ყურადღება დაეთმო ამ რთული საკითხისათვის. მთავარმა სამხედრო პროკურორმა გენერალმა პავლოვმაც კი (შემდეგში მოკლეს რევოლუციონერებმა სიმკაცრისათვის) სამხედრო მინისტრის მეშვეობით კრიტიკული შენიშვნები გაგზავნა უმაღლეს ინსტანციაში. იგი წერდა: იმპერიის უზარმაზარ ტერიტორიაზე მოქმედებს 12 სამხედრო-საოლქო სასამართლო; იმისათვის, რომ სასწრაფოდ ჩატარდეს პროცესი ამ ტერიტორიის ნებისმიერ მონაკვეთში, საჭიროა მთელი სასამართლოს მიყვანა დამნაშავესთან, ანდა დამნაშავისა — დანიშნულ ცენტრში. ერთსა და მეორე შემთხვევაშიც, მანძილის გათვალისწინებით, პროცედურისათვის საჭიროა არა 48 საათი, არამედ 7—8 დღე, ჩვეულებრივ კი ამისათვის კვირები და თვეებიც იხარჯება.

მთავარ სამხედრო პროკურორს შეუერთდა იუსტიციის მინისტრი შჩეგლოვიტოვი. და კიდევ სხვები — ზოგი გაუბედავად, ზოგიც გაბედულად.

საწინააღმდეგო აზრი უარყოფილ იქნა.

რა იყო ეს 48 საათი? იმპერატორის შეცდომა? თუ სათანადო მოუფიქრებლობის შედეგად ანგარიშში მოტყუება? ანდა — რამდენადაც 48 საათში საქმის ნამდვილი გარჩევა შეუძლებელია, ამ ბრძანებით ხომ არ იფარებოდა მეორე ფაქტობრივი ბრძანება — დაეხოცათ ხალხი სასამართლოს გარეშე და მართლმსაჯულების ზოგიერთი პროცედურით თვალი აეხვიათ.

სწორედ ასეა — შეცდომა არავის დაუშვია. არც რაიმე გაუგებრობა მომხდარა. მისმა უდიდებულესობამ ყოველთვის კარგად იცოდა, რასაც ამბობდა და რასაც აკეთებდა; 48 საათის მითითებით იგი უბრალოდ ფართო გზას აძლევდა სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯის პრაქტიკას. ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე ანგარიშსწორების იმ პრაქტიკას, რომელსაც უკვე ახორციელებდნენ დამსჯელი ექსპედიციების უფროსები იმპერიის სხვადასხვა კუთხეში პირადად ხელმწიფე-იმპერატორის მიერ მიცემული განუსაზღვრელი უფლებამოსილების ძალით. იმ პრაქტიკას, რომლის დემონსტრირებაც უკვე მოახდინეს დუბასოვმა და მინმა მოსკოვში პრესნიაზე, რენენკამპფმა და მილერმა ჩიტაში, ორლოვმა რიგასთან. ახლა პროცედურათა შეუძლებელი სიჩქარეების შემოღე-

ბით, იმავე ლიანდაგზე გადაპყავდათ სამხედრო-საოლქო სასამართლოებიც.

ეს მან თავად დაუდასტურა სამხედრო მინისტრ ა. ფ. რედიგერს, როცა ერთხელ იგი მორიგი მოხსენებისათვის მიიღო. და რედიგერმაც, მეფის კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ, 1906 წლის 29 ივლისს პრემიერ-მინისტრ სტოლიპინს აცნობა, რომ მეფემ „დაუდასტურა თავისი მითითება არაუგვიანეს 48 საათის განმავლობაში დასჯის შესახებ“, თან განუმარტა: „ასე სწრაფად შესრულება უფრო მეტად დააშინებთო“ [14]. „დაშინების“ თაობაზე რედიგერისათვის სიტყვიერად უთქვამს. წერილობით რეზოლუციაში კი ასეთ მოტივზე დუმს, მის მაგივრად ვითომდა „შურისძიება“ და „სიმკაცრე“ ჩაუსვამს, თუმცა, ცხადია, რომ „დაშინება“ ცარისტულ პრაქტიკაში „შურისძიებასაც“ გულისხმობს და „სიმკაცრესაც“. აი სწორედ ეს გრძნობები კარნახობდნენ მის გულსა და ხელს, როცა იგი თავის ამ ცნობილ 8 ივლისის რეზოლუციას წერდა. ეს რეზოლუცია მინისტრთა საბჭოს 1906 წლის 20 აგვისტოს დადგენილებით სახელმწიფო კანონად გადაიქცა.

მეთოდები და საშუალებები შეიძლებოდა სხვადასხვანაირი ყოფილიყო: მისთვის მისაღები, სამართლიანი და უსამართლო, ფორმალური და ფაქტობრივი — მთავარი იყო, როგორც ვიტემ თქვა, „სიკვდილის რულეტის“ განუწყვეტელ წრიულ მოძრაობაში მოყვანა, რათა ამ მოძრაობას უზრუნველეყო „საბოლოო — დამამშვიდებელი — ანუ სასაფლაოსებური ეფექტი“. და იგი — მართებულ-უმართებულო სიკვდილის რულეტი — მთელი ძალით ტრიალებდა.

სწრაფმსროლელი იუსტიციის ორივე აგრეგატი: სამხედრო-საოლქო სასამართლო (საქმის გარჩევითა და 48 საათში სისრულეში მოყვანით) და სამხედრო-საველე სასამართლო (გარჩევა და სისრულეში მოყვანა დაუყოვნებლივ, იქვე, ადგილზე) რეკორდებს ამყარებენ.

1906 წელს სიკვდილით დასჯა სისრულეში მოჰყავთ იმპერიის 94 საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ქალაქში. 1906 წლის 31 აგვისტოდან 1907 წლის 31 იანვრამდე განვლილი 154 დღიდან მხოლოდ 31 დღე იყო რუსეთში ისეთი, როცა სიკვდილით არავინ დაუსჯიათ. დანარჩენი 123 კი დასჯის დღე იყო, ანუ ყოველი 5 დღიდან 4 სიკვდილის განაჩენის აღსრულების დღეს წარმოადგენდა. მსხვერპლთა რიცხვი ათიათასობით განისაზღვრებოდა [15].

რაც უფრო ძლიერად ტრიალებდა „სიკვდილის რულეტი“, მით უფრო ხშირად წამოიჭრებოდა ხოლმე დავა უწყებებს შორის: ვის

უნდა ეწარმოებინა დასჯა: ერთი უწყება ცდილობდა „ტვირთი“ მეორისათვის გადაელოცა. სამეფო ტახტისათვის ასეთი სამსახურის გაწევა დიდი პატივი იყო, მაგრამ მაინც სჯობდა იგი სხვისთვის გადაეცათ — ასე უფრო იოლიც იყო და, რაც მთავარია, უსაფრთხოც.

1906 წლის დამდეგიდან ამ თემის ირგვლივ ერთმანეთში დაობდნენ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები; ციხეებისა და ჟანდარმერიის მთავარი სამმართველოები; სამხედრო და სამოქალაქო სასამართლოები და პროკურატურები; გენერალ-გუბერნატორები და სამხედრო ოლქების სარდლები. ჩვეულებისამებრ, ერთი მხარე ამტკიცებდა, რომ ასეთი საქმისათვის მეორე უფრო კარგად იყო აღჭურვილი და მომზადებული, უწინარეს ყოვლისა კი — ასეთი საქმიანობა ახლო იყო მის პროფილთან და ძირითად სპეციალობასთან. მაგალითად, სამხედრო მინისტრი რედიგერი ჩიოდა, რომ მისი სასამართლოები (სამხედრო-საველე და სამხედრო-საოლქო) გადატვირთულია სიკვდილმისჯილთა საქმეებით; მოსამართლეებს, ამბობდა იგი, ხელები წაერთვათ განაჩენების წერითო. დაე, შინაგან საქმეთა მინისტრმა დურნოვმა და იუსტიციის მინისტრმა შჩეგლოვიტოვმა შეწყვიტონ სამოქალაქო პირების სამხედრო სასამართლოებზე გადაცემა, თავად გამოუტანონ განაჩენი მათ და თავისივე ციხეებში დასაჯონო. მაგრამ შჩეგლოვიტოვს ეს არ უნდოდა, მას უფრო მეტად მოსწონდა ბეილისის რიტუალური საქმის მსგავსი სკანდალური სასამართლო დადგმები, ვიდრე სიკვდილმისჯილ რევოლუციონერებთან სახიფათო საქმის დაჭერა. და მან რედიგერს უპასუხა: რადგან იმპერატორის მითითებიდან აშკარად ჩანს, რომ სწრაფმსროლელი იუსტიციის მთელი არსი დაშინებაში მდგომარეობს, ვერც ერთი სამოქალაქო სასამართლოს სიმკაცრე ვერ მოგვცემს იმ ფსიქოლოგიურ ეფექტს, რის მოცემაც სამხედრო სასამართლოს სისასტიკეს შეუძლია. ამიტომ სასიკვდილო განაჩენების გამოტანაცა და მათი სისრულეში მოყვანაც შემდეგშიაც დაე სამხედროებმა აწარმოონ.

ჩამოხრჩობა თუ დახვრეტა?

1906 წლის 20 სექტემბერს ოდესის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალი ა. ვ. კაულბარსი № 1443 დაშიფრული დეპეშით პეტერბურგში სამხედრო მინისტრ ა. ფ. რედიგერს ატყობინებდა:

„სამხედრო-საველე სასამართლოების განაჩენებით უკვე დახვრეტილია 25 კაცი“. შემდეგ მოდის დეპეშის ავტორისათვის რამდენადაც უჩვეულო განმარტება: „მაგრამ ჩემს მოვალეობად ვთვლი მოვახსენო თქვენს მაღალიმატებულებას, რომ მსგავსი ხშირი დახვრეტები უაღრესად არახელსაყრელ შთაბეჭდილებას ახდენენ ჩემდამი რწმუნებულ ჯარებზე“.

ოდესის „დამამშვიდებელი“ კაულბარსი და უცბად ასეთი „არახელსაყრელი შთაბეჭდილებები...“ რისთვის დასჭირდა ეს მას. აი რისთვის: „სასურველად არ მიმაჩნია, რომ ზოგიერთი სიკვდილის განაჩენი დახვრეტით კი არ მოჰყავთ სისრულეში, არამედ ჩამოხრჩობით“, წერდა იგი.

თუ რითი განსხვავდებოდა მეფის მსახურებისათვის ერთგულ ქვეშევრდომთა დამშვიდების ეს ორი ხერხი — ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. ახლა კი უნდა აღინიშნოს, რომ რამდენადაც კაულბარსი არა მარტო მისი უდიდებულესობის გენერალი იყო, არამედ პრუსიელი ბატონიც, თავისი აზროვნების უნარის შესაბამისად დაშიფრულ დეპეშას უაღრესად საქმიანი რეზიუმეთი აგვირგვინებდა: „ჯალათების ხელფასის ასანაზღაურებლად საჭიროა სახსრები. ამიტომ უნდა ვთხოვო თქვენს მაღალიმატებულებას აღნიშნული მიზნისათვის ფულადი ავანსის ასიგნება“ [16].

მინისტრმა შეკითხვით მიმართა მთავარ სამხედრო პროკურორ პავლოვს. 22 სექტემბერს პავლოვმა რედიგერს გააცნო თავისი მოსაზრება (საიდუმლო), რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყებოდა: „სამხედრო-საველე სასამართლოების წესდების მეექვსე მუხლის თანახმად, მათი განაჩენების სისრულეში მოყვანა წარმოებს დაუყოვნებლივ...“ მაგრამ: „ასეთი სიჩქარე პრაქტიკულად შესაძლებელია მხოლოდ დახვრეტის შემთხვევაში და არა ჩამოხრჩობით დასჯის დროს, რადგანაც ჩამოსახრჩობად მსჯავრდადებული, ჩვეულებისამებრ, უნდა გადავიდეს სამოქალაქო ხელისუფლების განკარგულებაში, რომელსაც შეიძლება იმ მომენტისათვის არ ჰყავდეს ჯალათი და არ აღმოაჩნდეს დასჯისათვის საჭირო აუცილებელი მოწყობილობანი. მაშინ როდესაც დახვრეტას უშუალოდ თავად ჯარი აწარმოებს“.

რა გამოდის აქედან? ის, რომ „სასამართლოს მიერ გამოტანილი სასჯელი — ჩამოხრჩობა დიდად არასასურველი იყო, რადგანაც სამოქალაქო აღმასრულებელს ეგზეკუტორის უყოლობისა და მოწყობილობის უქონლობის გამო შეეძლო არა მარტო დაერღვია განაჩენის სის-

რულეში მოსაყვანად დაწესებული მოკლე ვადა, არამედ საერთოდ მისთვის დავალებული საქმის შესრულებაც ჩაეშალა". თუმცა, ასკვნის მთავარი სამხედრო პროკურორი, უპირატესობა სახრჩობელასაც რომ მიეცეს, სულ ერთია, — „განაჩენის სისრულეში მოსაყვანად დაშვებული იქნება თუ არა სამოქალაქო უწყება" — ნებისმიერ შემთხვევაში დასჯის ხარჯები „მას უნდა დაეწეროს".

და რედიგერს პავლოვის ბარათისათვის შემდეგი რეზოლუცია წაუწერია: „თანახმა ვარ" [17]. ეს იმას ნიშნავდა, რომ რედიგერს არ უნდოდა ჩამოხრჩობა, რათა ფული არ გადაეხადა. მას სურდა — როგორც ამას პავლოვი კარნახობდა — ხალხის უფასოდ დახვრეტა. ხოლო ის, რომ ასეთი საქმიანობა „ჯარებზე არახელსაყრელ შთაბეჭდილებას ტოვებდა", — არაფერი იყო, შეეჩვეოდნენ.

ასე განიხილებოდა პრობლემა სამინისტროს დონეზე, მისი პრაქტიკულად განხორციელება კი ერთი საფეხურით დაბლა ხდებოდა.

1905 წლის ივნისში ქალაქ ფეოდოსიაში ვილენის 52-ე ქვეითი პოლკის დათვალიერებისას, როცა მისმა მეთაურმა პოლკოვნიკმა გერციკმა სანაპიროსთან მოსულ აჯანყებულ ჯავშნოსან „პოტიომკინისათვის" „ტყვიის წარმატებით დაშენის გამო" პირად შემადგენლობას მადლობა გამოუცხადა, რიგითმა (მედოლე) მოგიდლოვერმა შაშხანა შემართა, პოლკოვნიკს პირდაპირ მწყობრიდანვე დაუმიზნა და სამჯერ ესროლა.

დაკითხვაზე ჯარისკაცმა განაცხადა, რომ სურდა აჯანყებისას დახოცილი მეზღვაურების გამო შური ეძია. ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს პეტერბურგს. მოხსენებით ბარათს მეფემ წააწერა: „გაასამართლოს სამხედრო სასამართლომ". ჯარისკაცს ჩამოხრჩობის განაჩენი გამოუტანეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩამომხრჩობი არავინ იყო. თავად ხელისუფალთაც ეშინოდათ ამ ჯარისკაცის ადგილზე დასჯა: ქალაქი ბობოქრობდა, ვაითუ მოსახლეობა ფეხზე დამდგარიყო. გადიოდა დღეები და კვირები, მედოლე სიკვდილს ელოდა. ბოლოს, 4 სექტემბერს, ტავრიის გუბერნატორმა გენერალმა ვოლკოვმა ოდესის სამხედრო ოლქის სარდლობას (რომელშიაც ყირიმიც შედიოდა) გაუგზავნა დეპეშა № 4686: „52-ე პოლკის მეთაურმა მთხოვა რიგით იოსეკ მოგიდლოვერისათვის გამოტანილი განაჩენის შემსრულებლის გამონახვა. აგრეთვე სასჯელის სისრულეში მოყვანა ფეოდოსიის ციხის დახურულ ეზოში". ახლა, აცნობებდა გენერალი, „შემიძლია მოვახსენო თქვენს მაღალიმატებულებას, რომ ჯალათი, რომელსაც მთხოვ-

დით, გამონახულია". მაგრამ იგი „გასამრჯელოდ ითხოვს 25 მანეთს". რაც შეეხება ფეოდოსიის ციხის ეზოს. გაცნობებთ, რომ „მისი სიპატარავის გამო, ხომ არ გასცემდით განკარგულებას, დასჯა ქერჩის ციხესიმაგრეში გადაგვეტანა?"

მალე მიიღეს ოლქის სარდლის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის გენერალ ბეზრადეცკის პასუხი. „25 მანეთი, — ატყობინებდა იგი, — გადმოიგზავნება თქვენს განკარგულებაში". დასჯის ქერჩში გადატანა კი უარყოფილ იქნა. „თქვენთან, — ურჩევს იგი, — ილის კონცხთან, არსებობს ამისათვის სრულიად მოსახერხებელი ადგილი". თუ „ხალხში", ანუ მოსახლეობაში რაიმე ეჭვი გეპარებათ, შეგიძლიათ, ჯერ ერთი, მსჯავრდადებული „დახურული ოთხთვალათი" წაიყვანოთ კონცხზე, მეორეც, „ჩამოაშორეთ ხალხი ამ ადგილს, ჯარები გარშემოარტყით" [18].

გუბერნატორი თანახმა იყო, მაგრამ მოულოდნელი რამ მოხდა: სანამ 25 მანეთისა და ჩამოსახრჩობი მოედნის შერჩევის თაობაზე დაშიფრული აზრთა გაცვლა-გამოცვლა მიმდინარეობდა, შტატგარეშე ჯალათი გაქრა. 1905 წლის 27 სექტემბერს კაულბარსი № 641 დაშიფრული დეპეშით პეტერბურგში რედიგერს მიმართავდა: „განაჩენის სისრულეში სწრაფად მოსაყვანად ყველა ზომა იქნა მიღებული" მან, კაულბარსმა, პირადად დაავალა ფეოდოსიაში მივლინებულ გენერალ-მაიორ შულცს „ყოველი ღონე ეხმარა მედოლის საქმის დასამთავრებლად". შულცი „ჯერ კიდევ 1902 წელს, როცა იგი ბრესტის 49-ე ქვეითი პოლკის მეთაური იყო, თავად ხელმძღვანელობდა ასეთი განაჩენების სისრულეში მოყვანას ანალოგიურ პირობებში". მას ახლაც იმედი ჰქონდა, რომ უზრუნველყოფდა დასჯას არა უგვიანეს 20 სექტემბრისა. მაგრამ „ჯალათმა უკანასკნელ წუთს უარი განაცხადა, მისი შემცვლელი კი არავინ არის". გამოგზავნეთ ჯალათი ცენტრიდან.

რედიგერმა დახმარებისათვის დ. ფ. ტრეპოვს მიმართა. ტრეპოვის მიერ დეკემბერში მივლინებული „სპეციალისტი" ფეოდოსიაში ჩავიდა. ჯარისკაცი ჩამოახრჩვეს. მან სიკვდილის მოლოდინში თითქმის ნახევარი წელიწადი ტანჯვით გაატარა [19].

თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ნიკოლოზ II ადმინისტრაცია უფრო გასართობი ხასიათის პრობლემებით იქცევდა თავს. მაგალითად: ჯარისკაცების ფარაჯებისთვის დუგმები მიეკერებინათ თუ ღილები? თუ ღილები, მაშინ როგორი: ბრჭყვიალა თუ მჭრქალი ფერის?

ახლა წყდებოდა უფრო მნიშვნელოვანი საკითხი: დამნაშავე დაეხვრიტათ თუ ჩამოეხრჩოთ?

თავისი არსებობის ბოლომდე, 1917 წლის თებერვლამდე, მეფემ მაინც ვერ განსაზღვრა საბოლოო არჩევანი. დასჯის, უფრო სწორად, ანგარიშსწორების ორივე საშუალებას იყენებდა. მაგრამ უპირატესობა თითქოს უფრო ხშირად სახრჩობელას ეძლეოდა: იგი „უხმაუროც“ იყო და ადვილად დასამალიც, არც ჯარისკაცების საშიში მონაწილეობა გახლდათ საჭირო... ხშირად დასჯის სახეობა იმ რაიონის გეოგრაფიითაც განისაზღვრებოდა, სადაც ეწირებოდა სიკვდილს „მეამბოხე“.

ყოველ სამხედრო სასამართლოს თავისი ციხე ჰქონდა (რომელიც მასზე იყო მიმაგრებული, მას ემსახურებოდა). ყოველ ციხეს გააჩნდა თავისი საჯალათო ფილიალი (რომელიც მასზე იყო მიმაგრებული, მას ემსახურებოდა).

პეტრე-პავლეს ციხესიმაგრეს № 6 ფორტი ემსახურებოდა თავისი სახრჩობელებით. დედაქალაქის ციხე „კრესტის“ — ლისი ნოსი. პეტერბურგის სხვა ციხეებზე მიმაგრებული იყო შლისელბურგის ეშაფოტი. სახრჩობელებისათვის თავიანთი მოედნები ჰქონდათ მოსკოვის (ბუტირკი), ორიოლის (ორიოლის საკატორღო ცენტრალი), ვარშავის (ალექსანდრეს ციტადელი), კიევის (ლუცკაია), ვილნის (ტროკსკაია) და სხვა ციხეებს. სიკვდილმისჯილთა მოედნებამდე მიყვანის წესი მრავალი წლის მანძილზე ზუსტად იყო შემუშავებული.

წინასწარ დათქმულ საათზე, გამთენიისას, ნიკოლოზის ხიდთან მოდიოდა გემი. სასიკვდილოდ განწირულნი, მებადრაგეთა თანხლებით, ბორკილების ჩხარაჩხურით ადიოდნენ გემბანზე. მათთან ერთად იყვნენ ბღვდელი, ჩინიანი ჟანდარმები, რამდენიმე ხელოსანი, ჯალათი.

გემი ნევისა და უბის გავლით მიემართებოდა. ბოლო პუნქტი კრონშტადტი, № 6 ფორტი იყო. მთელ გზაზე გემის კიჩოს ფრენით მისდევდნენ თეთრფრთიანი თოლიები. ბორკილების ჩხარუნი არ წყდებოდა... *

---

* სამდინარო გზის გარდა არსებობდა სახმელეთოც (რომელსაც უმეტესად ზამთარში იყენებდნენ). პეტრე-პავლეს ციხიდან გამოყვანილი მსჯავრდადებულნი კამენოოსტროვსკის პროსპექტის გავლით მიპყავდათ ნოვაია დერევნიაში, რკინიგზის სადგურში, იქიდან კი მატარებლით — ლისი ნოსში.

სასაწყობო ბარაკებიდან გამოჰქონდათ ნაწილებად დაშლილი სახრჩობელები. ფაბრიკა-ქარხნების მუშები იწყებდნენ მათ აწყობას. ეს სიახლე იყო. ასეთები წინათ არ არსებობდა. უწყება ეკონომიისათვის ზრუნავდა, რომელიღაც უფროსმა წამოაყენა ამგვარი კონსტრუქციის სახრჩობელების შექმნა. იგი სარგებლიანი იყო. ნაკლები წვალება და ხარჯი უნდოდა. არ საჭიროებდა ერთ ჯერზე უამრავი ძელის აღმართვას და შემდეგ ისევ მოხსნას. ახლა ცოტა მასალა იხარჯებოდა ძელებზე, არც დურგლებისთვის უნდა გადაეხადათ ფული, მათი დაშლა და საწყობში შენახვა უფრო ადვილი იყო. ასეთი ნაგებობა ადვილად იმართებოდა მყუდრო ადგილას, პატარა ტყეში ანდა თოფის წამლის საწყობის უკან, ისე რომ ვერც გუშაგი დაინახავდა და ვერც სხვა ვინმე.

ერთი საათის შემდეგ ყველაფერი მთავრდებოდა. მსხვერპლს ჩამოხსნიდნენ ზედა ძელიდან, გვამს ბორკილებს მოხსნიდნენ (მსჯავრდადებულთ ბორკილებიანად ახრჩობდნენ), სახრჩობელებს შლიდნენ და საწყობში ინახავდნენ. გვამები ნავებით გაჰქონდათ ზღვაში, რაიმე სიმძიმეს გამოაბამდნენ და წყალში ყრიდნენ. გვამების ჩაძირვა ადვილი იყო და თანაც უფრო იაფი ჯდებოდა, ვიდრე მიწაში დამარხვა. ამასთან არც იმის შიში ჰქონდათ, რომ ვინმე მივიდოდა „დაღუპულთან სიმპათიის გამოსახატავად“ [20]. ბოლოს დასჯის მონაწილეები გემზე სხდებოდნენ და იმავე გემით პეტერბურგში ბრუნდებოდნენ.

ხშირ შემთხვევაში ადმინისტრაცია არ ჯერდებოდა სისხლის სამართლის დამნაშავეთა ხელით უდანაშაულო ადამიანების ხოცვას. გამომგონებლობის უმაღლესი მწვერვალი გახდა მსჯავრდადებულთა მოკვლა მათივე ამხანაგის ხელით. ის, ვისაც სასამართლომ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა, უნდა მომკვდარიყო მეორე მსჯავრდადებულის ხელით, რომელსაც იმავე პროცესზე „მხოლოდ“ კატორღა მიუსაჯეს.

ეს ხერხი ვიღაც სამხედრო-საველე მოსამართლის პრიშიბეევის შეთითხნილი როდი იყო. იგი არც აზარტში შესული უწყების უფროსის თვითმოქმედებას წარმოადგენდა. ეს იყო უზენაეს საიმპერატორო ორგანოდან მთელი რიგი ოფიციალური ბრძანებების ფორმით დაშვებული ოფიციალური მითითება. ერთი ასეთი ბრძანება კრეისერ „პამიატ აზოვის“ მეზღვაურების სამხედრო სასამართლოში გასამართლების დღეებში გამოქვეყნდა:

.რეველის სამხედრო გენერალ-გუბერნატორს.

მისმა იმპერატორობითმა უმაღლესობამ, უზენაესმა მთავარსარდალმა* ბრძანა: სიკვდილმისჯილი მეზღვაურები დახვრიტონ კუნძულ კარლოსზე.

კონტრ-ადმირალ ეულფთან შეთანხმებით, დამხვრეტებად დანიშნეთ იმავე კრეისერის მეზღვაურები, რომელთაც მისჯილი აქვთ სხვა სასჯელი.

თუ განაჩენის სისრულეში მოსაყვანად დანიშნული მეზღვაურები დავალების შესრულებაზე უარს იტყვიან, მაშინ ამის გაკეთება მათ ქვეითმა რაზმმა უნდა აიძულოს იარაღის ძალით.

დახვრეტილთა გვამები დამარხეთ იმავე კუნძულზე ანდა გადაყარეთ ზღვაში იმავე კრეისერის მეზღვაურთა გამოყენებით, რომელთაც სხვადასხვა სასჯელი აქვთ მისჯილი.

დამარხვის ადგილი გულდასმით დატკეპნეთ.

პირველი რანგის კაპიტნის ბოსტრემის ესკადრიდან არც ერთმა სხვა მეზღვაურმა ეგზეკუციაში მონაწილეობა არ მიიღოს.

ხელს აწერს: რაუხი,
მისი უდიდებულესობის ამალის გენერალ-
მაიორი, ოლქის გენერალ-კვარტირმაისტერი [21].

ეგზეკუტორების შინაგან ბუნებასა და მათი ბრძანებების სტილს შეეფერებოდა განაჩენის სისრულეში მოყვანაც, განსაკუთრებით მაშინ, როცა ორივე მეთოდი ერთ აქციაში ხვდებოდა. 1906 წლის 21 სექტემბერს კრონშტადტის კომენდანტმა, გენერალ-ლეიტენანტმა ადლერბერგმა** გასცა ბრძანება, ციხესიმაგრის გალავნის გარეთ გაეყვანათ 19 მეზღვაური, რომლებსაც სამხედრო სასამართლოს მიერ დახვრეტა ჰქონდათ მისჯილი. გემებმა „მინერმა“ და „არტილერისტმა“ ისინი მებადრაგეთა თანხლებით მოშორებით მდებარე უდაბურ

---

* მეფის ბიძა, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, იმ დროს პეტერბურგის სამხედრო ოლქისა და გვარდიის ჯარებს სარდლობდა. იგი ძალზე ახლო იყო ნიკოლოზ II-თან. ამიტომ შეუძლებელია ამ უკანასკნელს მსგავს განკარგულებათა შესახებ რაიმე არ სცოდნოდა. დაახლოებით იმავე პერიოდში, როცა დიდმა მთავარმა მიიღო ცნობა პეტრე-პავლეს ციხესიმაგრეში პატიმრების მასობრივად დაავადების შესახებ, მოხსენებით ბარათს წააწერა: „ძაღლებს — ძაღლური სიკვდილი“ (ა. პოლუექტოვი, 1905 წელი ყაზარმებსა, სიმაგრესა და ციხეში. კრებ. ციხეებში, მ., 1925).

** ადლერბერგი სამეფო კარის ცნობილი ოჯახიდან იყო. მან სახელი „გაითქვა“ იმით, რომ 1906 წლის 20 ივლისს შვიდ მესაზღვრე-მენაღმეს დახვრეტის წინ იძულებით გაათხრევინა საფლავი. მერე კი გამომწვევად დაუყვირა: „თხარეთ, თხარეთ, ბიჭებო! მიწა გინდოდათ და აჰა მიწაც, თავისუფლებას კი ზეცაში ჰპოვებთ!“ (ნ. ოლშანსკი, 1906 წლის კრონშტადტის აჯანყება. — „კრასნაია ლეტოპის“, 1922, № 8, გვ. 199).

ადგილზე მიიყვანეს დასასჯელად; განკარგულებებს იძლეოდა პოლკოვნიკი ტურბინი.

თითოეული მსჯავრდადებული ძელზე უნდა მიებათ. ტურბინმა გადაწყვიტა ეს უფრო „იაფად და მარტივად“ გაეკეთებინა. უშენ ადგილას წელის სიმაღლეზე გარდიგარდმო ბაგირი გაჭიმა და ცხრამეტივე მასზე „აასხა“. გაისმა ზალპის ხმა. ბაგირზე მიბმულთაგან ზოგი მოცელილი დაეცა, ზოგიც დაიჭრა, სხვები უვნებელნი გადარჩნენ. ეს უკანასკნელნი აქეთ-იქით მიაწყდნენ, ბაგირის ხლართებში იკლაკნებოდნენ. ვინაიდან ტურბინმა ეკონომია გასწია და მარტო ორი ვაზნა მისცა ეგზეკუტორებს, ამიტომ მათ შეეძლოთ კიდევ ერთხელ გაესროლათ. ტურბინმა ბრძანება გასცა მეორედ (უკანასკნელად) ესროლათ. მსროლელები დაიბნენ, ცუდად უმიზნებდნენ, ალალბედზე ისროდნენ. დახოცილები ბაგირს გადმოეკიდნენ, მომაკვდავნი იკრუნჩხებოდნენ. ბაგირის გასწვრივ უნტერ-ოფიცერი დაალაჯებდა, მსჯავრდადებულთ აცქერდებოდა, და ვისაც სიცოცხლის ნიშანწყალი ჯერ კიდევ შერჩენოდა, ხერეტდა. თითქოს ყველაფერი დამთავრდა, ყველაფერი მიწყნარდა. მაგრამ უცბად ბაგირს იქით სისხლში მოსვრილი ფიგურა წამოდგა და მისუსტებული ხმით დაიყვირა:

— ძმებო, ეს როგორ მოხდა? მე ხომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, ძმებო!

ამ უკანასკნელსაც ტყვია დაახალეს. გვამები ტომრებში ჩააწყვეს; თითოეულ ტომარაში ფუთნახევრამდე ქვა ჩაყარეს; გვამები გემით ტოლბუხინის შუქურას იქით გაიტანეს და წყალში გადაყარეს. შემდეგ, მრავალი წლის მანძილზე, მეზღვაურები ხელიდან ხელში გადასცემდნენ ბალადას „მეფის სტუმრები“.

გვამები ზღვაში სვენებ-სვენებით,
მწვანე ტალღათა ფერმკრთალ არილში
ცურავენ უკან გაკრულ ხელებით,
სახე ეწვებათ მისვე მარილში...
წყლის ნაპირას კი თვით მეფის სახლი —
პეტერჰოფი დგას თეთრი, ქათქათა...
„სადა ხარ, მეფევ? ეგ ურცხვი სახე
ვერ დაგიფაროს ვეღარც ბადრაგმა!..
ხედავ, სისხლი დის, სისხლი მილეთის,
მკერდდაკოდილნი ყრიან ეულად!..“
მკვდრებით ივსება ყურე ფინეთის,
ნისლის ბურუსში რომ გახვეულა...
„მეფე ნიკოლოზ! გამოდი ჩქარა! —
შურისძიების ჟამი დამდგარა!“ [22]

ეს შურისძიება ჯერ არ იყო შემდგარი. იგი შემდეგში შედგა, მაგრამ არა პეტერპოფში, არამედ ურალში, 12 წლის შემდეგ.

საათი დროს ითვლის

წესი საერთოდ ასეთი იყო: არავითარი ჩმახვა. ადმინისტრაციას გეგმაზომიერება, რიტმი, სუბორდინაცია სჭირდებოდა.

მთავარი იყო: არავისთვის არავითარი შეღავათი არ მიეცათ. ყველაფერი ისე მკაცრად და სწრაფად მოემოქმედათ, როგორც უფროსობისაგან იყო ნაბრძანები. სიმკაცრისა და სიზუსტის დაცვა კი ნაბრძანები ჰქონდა ყველას — მაღლიდან დაწყებული და დაბლით დამთავრებული.

შინაგან საქმეთა მინისტრმა პ. ნ. დურნოვმა 1906 წლის 12 თებერვალს ყველა გუბერნატორს გაუგზავნა ცირკულარი, რომელშიც ნათქვამი იყო:

> განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ მეამბოხურ პროპაგანდას მოსახლეობაში, მათ შორის გლეხობაში.
>
> განდევნეთ სოფლებიდან ყველა სტუდენტი, ერობათა მოსამსახურე და უსაქმოდ მოხეტიალე ებრაელი.
>
> ჩაყარეთ ისინი ციხეში.
>
> არ მისცეთ ერობათა უფროსებს ხელისუფალთა მიმართ რაიმე ურჩობის გამოჩენის ნება.
>
> ციხეების გადატვირთვის გამო გადაისინჯოს პატიმართა დანაშაულებანი. შედარებით ნაკლებ საშიშნი გაათავისუფლეთ, რათა შეიქმნას ახალი რევოლუციონერების ჩასმის საშუალება[23].

დურნოვის უახლოესმა კოლეგამ, დედაქალაქის გენერალ-გუბერნატორმა ტრეპოვმა, ცოტა ადრე, 1905 წლის 14 ოქტომბერს, გამოსცა ბრძანება, რომლის მთავარი პუნქტიც მაშინვე შეეიდა ცარიზმის კონვულსიის მატიანეში: ფუჭად ნუ გაისვრით, ვაზნებს ნუ დაინანებთ[24].

ბარონი მედემი 1905 წლის 15 დეკემბერს გაგზავნილი წერილით მოსკოვის გენერალ-გუბერნატორ დუბასოვს რეკომენდაციას აძლევდა „კატეგორიულად ჩაენერგათ ჯარებისათვის“ ხელში ჩაგდებული რაზმელებისადმი მოპყრობის პრინციპი: სადაც წააწყდებით, ამოხოცეთ.

მოსკოვში ჩისტი პრუდიზე მდებარე ი. ი. ფიდლერის სასწავლებლის განადგურების ოპერაციას, სასწავლებლისა, სადაც დასაცავად

თავი შეაფარა ასმა რაზმელმა, როტმისტრი რახმანინოვი ხელმძღვანელობდა. იგი არტილერიისა და ხიშტების დახმარებით მოქმედებდა. მოგვიანებით მას სასამართლოზე ჰკითხეს: რა გქონდათ ნაბრძანები? მან უპასუხა: ყველა იმის ხიშტზე წამოცმა და დახვრეტა, ვინც დანებებას არ მოისურვებდა. მეორე შეკითხვაზე მანვე ასეთი პასუხი გასცა: გიმეორებთ, მივიღე კატეგორიული მითითება შევჭრილიყავი შენობაში, რათა ყველა ხიშტზე წამომეცვა და დამეხვრიტა.

ასეთივე თვალსაზრისს ადგა გენერალი შეიდემანი, როცა 19 დეკემბერს მოითხოვდა: გაევლოთ პრესნა და ისე მოესპოთ ყველა, რომ არავინ დაეპატიმრებინათ[25].

როცა პოლკოვნიკმა მინმა პრესნაზე გასასვლელი გზა ცეცხლით გაიკაფა, თვითონ გასცა ბრძანება, რომლის მთავარი პუნქტი ასეთი იყო: პატიმრები არ იყოლიოთ, არავინ დაინდოთ[26].

რამდენიმე დღის შემდეგ ლიუბერცში რიმანთან ჩასულმა მინმა ბრძანა მოედანზე შეეკრიბათ ახლომახლო სოფლების გლეხები და მათ სიტყვით მიმართა: თუ ორატორები დაბრუნდებიან, დახოცეთ. დახოცეთ რითაც მოგხვდებათ — ცულით, კეტებით. ამისათვის პასუხს არ აგებთ. თუ თავად ვერაფერს გახდებით, სემინოველებს შეატყობინეთ. მაშინ ჩვენ ისევ აქ მოვალთ[27].

როგორც პეტერბურგის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენერალი რაუხი თავის დღიურში წერს, დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს 1906 წელს გენერალ ორლოვისათვის, „ბალტიისპირეთის დაშშოშმინებლისთვის“ უთქვამს: იქრილე ყველგან და გახსოვდეს, რომ სიმკაცრისათვის ზემდგომი ორგანოები არ განგსჯიან, ამ მხრივ ნაკლოვანების გამოჩენისათვის კი უსათუოდ მოგხვდება[28].

იასაულმა გრაბემ ბალტიისპირეთში განხორციელებული სადამსჯელო რეიდის დროს თავის ხელქვეითებს უბრძანა: ტყეში შეხვედრილი ხალხი დახვრიტეთ, სახლები გადაწვით[29].

კავკასიის მეფისნაცვლის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის მიერ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე გენერალ ალიხანოვ-ავარსკის დანიშვნის გამო დაწერილ ბრძანებაში შეტანილი იყო შემდეგი პუნქტი: მოსახლეობისაგან შექმნილი ადგილობრი-

ვი მილიციის რაზმები ისეთნაირად უნდა განადგურდნენ გუბერნიის საზღვრებში, რომ მათი აღორძინების აზრიც კი არავის დაებადოს[30].

ჩერნიგოვის გუბერნიის სადამსჯელო რეიდის მეთაურმა პოლკოვნიკმა იაბლონსკიმ სარნის სადგურში მისვლისთანავე რაზმს უბრძანა: ტყვიები და ხიშტები მზად იქონიეთ. შედეგებისა ნუ შეგრცხვებათ. თუ მუშები დეპოდან ორთქლმავალს არ გამოუშვებენ, მათ წინააღმდეგ თოფებისა და ტყვიამფრქვეველების ცეცხლს გახსნით[31].

როგორც ვხედავთ, თავიანთი სადამსჯელო ოპერაციების განხორციელების ცხარე დღეებში მეფის მსახურნი განსაკუთრებულ შეზღუდვას არაფერში ავლენდნენ. სიცხარეში ისინი არც დასჯის შესახებ ბრძანების სიტყვების გამონახვასა და არც თავად სასჯელის შერჩევაში ყოყმანს არ იჩენდნენ. მაგრამ ზოგიერთ მათგანს წამიერი შიში მაინც იპყრობდა ხოლმე. ყველასათვის ერთნაირად უცხო არ იყო აზრი მათი საქმიანობის მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

საათი დროს ითვლიდა. მსოფლიო წინ მიდიოდა. რუსეთშიც რაღაც ხდებოდა. იგი ხელისუფალთა მუხრუჭებიდან აშკარად თავდახსნას ცდილობდა, საითკენღაც მიიწევდა. განა შეიძლებოდა მისი იმ „გაყინულ“ მდგომარეობაში შეკავება, რომლის რეკომენდაციასაც ოდესღაც ობსკურანტი ლეონტიევი იძლეოდა. და საბოლოოდ როგორ შემობრუნდებოდა პოლიციური ბურჯების მცველებისათვის მთელს იმპერიაში გაჩაღებული მიმრეცოვ-პრიშიბეევისეული ორგიები? ამის გამო ზოგჯერ ცუდ გუნებაზე დგებოდნენ ყველაზე მაღალი თანამდებობის პირებიც კი, სწორედ ისინი, ვინც განსაზღვრავდა აჯანყებულებთან ბრძოლის როგორც ტაქტიკას, ისე სტრატეგიასაც.

ჯერ კიდევ მაშინ, პირველი რევოლუციის წლებში, ზოგიერთები, ვინც უშუალოდ გარს ეხვევნენ მეფეს, უკვე ფიქრობდნენ იმაზე, თუ როგორ ჩაივლიდა მათი სიმკაცრე. მკითხაობდნენ, ვის როგორ უნდა ეგო პასუხი განკითხვის ჟამს, როდის და სად დადგებოდა ეს ჟამი. საღად მოაზროვნეთა და შორსმჭვრეტელთა ერთი ნაწილი, რომელიც უმცირესობას შეადგენდა, შეშფოთებული იყო, რომ დირექტივისათვის „პატიმრები არ იყოლიოთ“, ბრძანებისა „ვაზნები არ დაზოგოთ“, განკარგულებისა „ფუჭად არ ისროლოთ“ და დევიზისათვის „ასე იყო, ასე იქნება“ ანგარიშს მოსთხოვდნენ. „სიკვდილის რულეტისათვის“

თავის არიდება, ზურგსუკან საქმეების მოგვარების ოსტატებისაგან გამიჯვნა, ყოველი შემთხვევისათვის, თუნდაც სხვის მოსაჩვენებლად ალიბის მოპოვება, ყველას აცდუნებდა.

ასეთ წუთებში საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი ვიტე წინასწარ ვარჯიშობდა ნიკოლოზის, როგორც „უგულო გამგებლის", მიმართ საყვედურების გამოთქმაში, რომლის მეფობა „მეტ-ნაკლებად უდანაშაულოთა სისხლის" დაღვრით ხასიათდებოდა; სტოლიპინის მისამართითაც გამოთქვამდა სამდურავს, სტოლიპინისა, რომელმაც „მოსპო სიკვდილით დასჯა და სასჯელის ეს სახეობა უბრალო მკვლელობად, ხშირად უაზრო გაუგებრობით გამოწვეულ მკვლელობად გადააქცია; რომ, მართალია, ფორმალურად, მაგრამ მაინც არსებული მართლმსაჯულების ადგილი „არეულ-დარეულმა მთავრობისეულმა მკვლელობებმა" დაიკავა. ვიტე სარკასტულად კითხულობდა: „საინტერესოა, როგორ მოეკიდებოდნენ ახლა სტოლიპინს ანარქისტები, ახლა, ესე იგი მას შემდეგ, რაც მან ათიათასობით ადამიანი დახვრიტა და ჩამოახრჩო, ხოლო ბევრი უდანაშაულოდ შეიწირა, ჯაშუშებისა და პოლიციელების არმიას რომ არ დაეცვა, რომლის შენახვაზედაც წელიწადში ათიათასობით მანეთი იხარჯება". თითქოს ეჭვს არ იწვევს, რომ საყვედურების ავტორს „არეულ-დარეულობასთან" არავითარი კავშირი არ ჰქონია. იგი თითქოს გარეშე მაყურებელი ყოფილა. ისე კიცხავს ყოველივეს, როგორც უცხო; საკუთარი თავის დაცვა მას არავისგან არ სჭირდება, რადგანაც არავის წყენა არ დაუმსახურებია. მართალია, შეეცადნენ იგი დევნისა და დაშინების საძრახის საქმიანობაში ჩაეთრიათ, მაგრამ ვერ დაითანხმეს. „... რა მიმაჩნია ჩემს განსაკუთრებულ დამსახურებად, — ის, რომ ჩემი პრემიერობის ნახევარი წლის მანძილზე, თვით რევოლუციის დროსაც, პეტერბურგში სულ რამდენიმე ათეული კაცი დაიღუპა და აქედან არც ერთი არ დაგვისჯია სიკვდილით. საერთოდაც მთელს რუსეთში იმ დროის განმავლობაში სიკვდილით უფრო ნაკლები დაისაჯა, ვიდრე ახლა ამ რამდენიმე დღეში სჯის სტოლიპინი..." დიდი ბრაფერი, სულ რაღაც „რამდენიმე ათეული კაცი" დაუსჯიათ მის დროს, მაგრამ ყველაფერი რომ ასე იოლად წარიმართა, ამას თავისი სიმტკიცითა და თავშეკავებით მიაღწია, რადგანაც მაღალ სფეროებში მას სერიოზულ ბრალდებებს უყენებდნენ. „ერთ-ერთი მთავარი ბრალდება, რომელსაც დღემდე მიყენებენ, — ამბობს იგი, — ის არის, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ყოფნისას, 17 ოქტომბრის შემდეგ ცოტას

ვხვრეტდი და ამის გაკეთებაში სხვებსაც ხელს ვუშლიდი". ამბობდნენ, რომ „ვიტე შეკრთა, შეშინდა კიდეც, ცოტას ხვრეტდა, ცოტას ახრჩობდა; ვისაც არ შეუძლია სისხლის დაღვრა, მას არ უნდა ეკავოს ასეთი მაღალი თანამდებობები" [32].

თუნდაც ისიც გავითვალისწინოთ, რომ ვიტეს წუწუნი ნაკარნახევია განაწყენებით ნიკოლოზისადმი, რომელმაც მას პრემიერის სავარძელი ჩამოართვა, და სიძულვილით სტოლიპინისადმი, რომელმაც ეს სავარძელი ხელში ჩაიგდო, — ამ დიდი შეღავათის მიუხედავად, ტერორით გამოწვეულ „უსიამოვნებებს" გრაფი საკმაოდ გადაჭარბებულად წარმოგვიდგენს. არც „შეკრთომა", არც „შიში" მისთვის დამახასიათებელი არ ყოფილა. თავისი მაღალი თანამდებობაც მან „სიკვდილის რულეტის" თამაშში მონაწილეობისათვის გათვალისწინებული წესების მთლიანად დაცვის შედეგად დაიკავა.

მეფესთან დაახლოებულ თავის მეტოქეებზე განაწყენებული (დაგვიანებით) ვიტე ცდილობს თავი ლიბერალად წარმოგვიდგინოს. მას უნდა ერთგვარად განახლების მომხრედ, რეაქციის მოწინააღმდეგედ, სტოლიპინისა და ტრეპოვის ანტიპოდად გამოიყურებოდეს. მაგრამ მის ნათქვამს დამაჯერებლობა აკლია. მართლაც: ვიტეს, ისევე როგორც ცარიზმთან მჭიდროდ დაკავშირებულ რუსეთის ბურჟუაზიას, არასოდეს წამოუყენებია და არც შეეძლო წამოეყენებინა ნამდვილად დემოკრატიული, პროგრესული პროგრამა. იგი აყენებდა რუსეთის ბურჟუაზიული განვითარების მხოლოდ ისეთ პროგრამას, რომლის განხორციელებაც რეფორმების საშუალებით, თავადაზნაურობის თაოსნობითა და ნიკოლოზ II მფარველობით შეიძლებოდა. ამ უკანასკნელს ერთნაირი გულმოდგინებით, ოღონდ სხვადასხვა როლებში, ემსახურებოდნენ ვიტეცა და სტოლიპინიც ტრეპოვთან ერთად, შავრაზმელთა მეთაურებიც. ლენინი მიგვითითებდა, რომ „მეფეს ერთნაირად ესაჭიროება ვიტეც და ტრეპოვიც: ვიტე — ზოგიერთთა მისატყუებლად; ტრეპოვი — სხვათა შესაკავებლად; ვიტე — დაპირებებისათვის, ტრეპოვი — საქმისათვის; ვიტე — ბურჟუაზიისათვის, ტრეპოვი — პროლეტარიატისათვის... ვიტე სიტყვათა ნიაღვრად იცლება. ტრეპოვი სისხლის ნიაღვრად იცლება" [33].

ვიტე ციმბირში განხორციელებული რენენკამპფ-მელერის სადამსჯელო რეიდის ერთ-ერთი ინიციატორი იყო; მისი თეზისის—„სისხლის დაუღვრელობის" ილუსტრაციას წარმოადგენს ის ხელმძღვანელი როლი, რომელიც მან მინისა და დუბასოვის მოსკოვზე ლაშქრობათა

ორგანიზაციაში, რიხტერის რიგაზე, რომანის მოსკოვის მისადგომებთან რეიდებში, კაულბარსის, ნეიდჰარდტისა და ტოლმაჩოვის ბალტიისა და შავიზღვისპირა სისხლიან ორგიებში შეასრულა; და განა მარტო ეს. ვიტეს მთავრობისაგან მომდინარეობდა 1905 წელს მიღებული ცირკულარებისა და დადგენილებების მთელი ის სერიები, რომლებიც ავალებდნენ სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალთ მიეღოთ ყველაზე უკიდურესი ზომები — სასამართლოსა და გამოძიების გარეშე სიკვდილით დასჯის შემოღების ჩათვლით — განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დონის ჯარების ატამანს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მეფის დავალებით პირადად გადასცემდა ტელეგრაფით: „არაფრის არ შეგრცხვეთ, როსტოვ-დონზე აჯანყება ჩაახრჩეთ". 1905 წლის 15 დეკემბერს ვიტეს თავმჯდომარეობით ჩატარებულ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე მიღებული დადგენილების საფუძველზე სამხედრო მინისტრმა სამხედრო ოლქების სარდლებს დაუგზავნა საიდუმლო ცირკულარი, რომელიც მოითხოვდა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გამოეყენებინათ იარაღი უწესრიგობათა შესაწყვეტად. იმავე გადაწყვეტილების საფუძველზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს გაუგზავნა დირექტივა. მასში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ამჟამად ერთხელ და სამუდამოდ მოსპობილიყო თვითმმართველობა. ვინაიდან, ნათქვამი იყო დირექტივაში, დაპატიმრებები ახლა მიზანს ვერ აღწევს, ხოლო ასობითა და ათასობით ადამიანის გასამართლება შეუძლებელია, ხელისუფალთა მოვალეობაში შედის: მეამბოხეთა დაუყოვნებლივ მოსპობა იარაღის გამოყენებით, ხოლო წინააღმდეგობის შემთხვევაში, მათი საცხოვრებლის დანგრევა ანდა გადაწვა[34].

განათლებული გრაფი, ერთი მხრივ, ცდილობს თავი მშვიდობიან და გულკეთილ ადამიანად წარმოგვიდგინოს, მეორე მხრივ, კი ვგებულობთ, რომ გაისმოდა მისი ბრძანებები დახოცვისა და გადაწვის შესახებ. ასეთი რამ ძნელად შესათავსებელია, მაგრამ გრაფი ვიტე მათ მაინც მოხერხებულად ათავსებდა.

რენენკამპფ-მელერის ლაშქრობის შედეგი ნიკოლოზს მოეწონა. ორივე დამსჯელი მეფემ სადილად მიიწვია. ის იყო ორივენი წამოდ-

გნენ მაგიდიდან, რომ ვიტემ მათი პრაქტიკის სხვა მიმართულებით გამოყენება განიზრახა. მან გადაწყვიტა ახალი „საეგზეკუციო მატარებლების“ ფორმირების საკითხი. ამას მოწმობს 1906 წლის 11 მარტს შინაგან საქმეთა მინისტრ დურნოვისადმი გაგზავნილი შემდეგი წერილი:

მოწყალეო ხელმწიფე პეტრე ნიკოლოზის ძეო!

იმ პირთა უფრო მეტად დასაშინებლად, რომლებიც შფოთის დათესვას ცდილობენ, მინისტრთა საბჭომ უმჯობესად ცნო უმთავრეს საკვანძო სადგურებში განსაკუთრებული საეგზეკუციო მატარებლების ფორმირება სამხედრო რაზმებით, რომლებიც შეძლებენ საჭიროების შემთხვევაში თავის დროზე გამგზავრებას წესრიგის დასამყარებლად.

მაქვს პატივი ამის შესახებ ვაცნობო თქვენს აღმატებულებას.

ხელი მოაწერა: გრაფმა ვიტემ[35].

„დაანგრიეთ ანდა გადაწვით მათი საცხოვრებელი“ — ზევიდან მიღებული ასეთი განკარგულება ფრთხილად გადასცა მან თავისზე დაბლა მდგომთ. ერთი რამ არ მოსდიოდა აზრად, რომ დანგრევის საშიშროება შეიძლებოდა თავს დატეხოდა მის საკუთარ საცხოვრებელსაც.

იგი გულისყურით აკვირდებოდა თავის უავგუსტოეს შეფს, მაგრამ მისი ერთი თვისება საბოლოოდ მაინც ვერ გაითვალისწინა: გუნებაგანწყობის ცვლილების ან ორპირობის შედეგად შეეძლო ნებისმიერი თანაშემწე გაეწირა. ხელმწიფისადმი უაღრესად ერთგული სამსახური არავის აძლევდა არც მდგომარეობის სიმტკიცისა და არც უსაფრთხოების უფლებას.

მაღალი თანამდებობის პირთა ყველაზე მგზნებარე ქვეშევრდომული გულმოდგინებაც კი აღარ იძლეოდა ხელშეუხებლობის გარანტიას იმ წუთიდან, როგორც კი გაირკვეოდა, რომ ამ მაღალი თანამდებობის პირმა მეფეს თავი მოაბეზრა, რაღაცით გააღიზიანა იგი, ანდა მეფის საყვარელ შავრაზმელთა რისხვა დაიმსახურა. ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი განებივრებული მსახური შეიძლებოდა იმ კუნძზე აღმოჩენილიყო, რომლის გამოთლაშიაც თავადვე იღებდა მონაწილეობას, და იმ ცულის ქვეშ მოქცეულიყო, რომელსაც პირადად ლესავდა.

ათვალწუნებულთა შორის მოხვედრილი სტოლიპინი საბოლოო დაცემისაგან იხსნა „ოხრანკის“ ბნელ საქმეებში მის მიერვე გამოზრდილი და მსგავს ოპერაციებზე გაწვრთნილი აგენტი-პროვოკატორის ტყვიით სიკვდილმა.

1911 წლის 1 სექტემბერს კიევის საოპერო თეატრში, საზეიმო ვითარებაში, დიდგვაროვანთა შეკრებისას, ნიკოლოზ II და მისი ქალი-

შვილების თანდასწრებით პროკურატორმა დიმიტრი ბაგროვმა რევოლ-ვერიდან ორჯერ მიბრჯით ესროლა პრემიერ-მინისტრ სტოლიპინს და სასიკვდილოდ დაჭრა იგი. გაძლიერებული დაცვით ალყაშემორტყმულ მაყურებელთა დარბაზში შეძრომა ბაგროვმა ადგილობრივი დაცვის განყოფილების უფროსის პოლკოვნიკ კულიაბკოს დახმარებით შეძლო.

ვიტეს სიტყვებს თუ ვირწმუნებთ, ყველა დიდი ხანია ლაპარაკობ-და, რომ სტოლიპინის კარიერა ამით დამთავრდებოდა. სამეფო ტახტის ირგვლივ ისეთი ატმოსფერო შეიქმნა და „სიკვდილის რულეტმა" სა-იმპერიო მმართველობაში ისეთი პოლიციურ-პროკურატორული აჟიო-ტაჟი გამოიწვია, რომ „ოდნავ კეთილგონიერი კაცისათვის საესებით ცხადი იყო, რომ თავის ადგილს ჩაბღაუჭებული სტოლიპინი ამ ად-გილზე მოკვდებოდა" [36].

მაგრამ თავად ვიტესაც კინაღამ იგივე ბედი ეწია. ნამსახურობის აღსანიშნავად ნიკოლოზმა იგი ჯერ უამრავი ჯილდოთი დაასაჩუქრა და გრაფის ღირსებაში აღამაღლა, შემდეგ კი პრემიერობა ჩამოართვა და შავრაზმელებს გადასცა. მაგრამ ახლად გამომცხვარი გრაფიცა და კამენოოსტროვსკის პროსპექტზე მდებარე მისი სახლ-კარიც მხოლოდ შემთხვევითობამ იხსნა დაღუპვისაგან.

თუმცა სახალხო რისხვის პირისპირ, ქარიშხლის ძლიერი ქროლ-ვის პერიოდში, მეფისაგან ნაფერებნიცა და მის მიერ შერისხულნიც, ისევე როგორც თავად მეფეც, ყუჩდებოდნენ.

1905 წლის შემოდგომაზე, როცა რუსეთიდან გაქცევის მიზნით ნიკოლოზი ჩემოდნების ჩასალაგებლად ემზადებოდა, ობერ-ჰოფმარ-შალი ბენკენდორფი დაბნეული დადიოდა სასახლეში და შინამსახუ-რებში წუწუნებდა: „იმპერატორის ხუთი ბავშვი გასაჭირში ჩაგვაგ-დებსო". იმავე დღეებში შორეულ აღმოსავლეთიდან სამხედრო ეშე-ლონით მომავალ წითელი ჯვრის რწმუნებულს, თავად ვასილჩიკოვს ჩელიაბინსკში დაუნახავს ჯარისკაცების ჯგუფი, რომელიც განიხილავდა ცნობას „დედაქალაქში, მარსის ველზე, მინისტრთა კაბინეტის ყველა წევრის ჩამოხრჩობის შესახებ". სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე გრაფი სოლსკი ისე დაეცა სულით, რომ გაიგო თუ არა მოსკოვში აჯანყების ამბავი, მინისტრებისა და თავისი თანამშრომლების თვალ-წინ ატირდა. მეფის ოჯახში მტკიცე პიროვნებად ცნობილი დიდი მთა-ვარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეც კი შეშინდა. მან უარი განაცხადა მეფის მიერ შეთავაზებულ სამხედრო დიქტატორის თანამდებობაზე იმ მოტივით: რომ არ უნდოდა რევოლუციონერების „შურისძიებას"

გადაყროდა. მოგვიანებით მან ერთ-ერთი თავისი თანაშემწე, გენერალი გაზენკამპფი გაგზავნა ვიტესთან სათხოვნელად, რომ დედაქალაქი სამხედრო მდგომარეობაზე კი არ გადაეყვანა, როგორც ეს გათვალისწინებული იყო, არამედ საგანგებოზე. განსხვავება ის იყო, რომ პირველ შემთხვევაში სიკვდილის განაჩენი სამხედრო ოლქის სარდალს უნდა დაემტკიცებინა, მეორეში — შინაგან საქმეთა მინისტრს. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს კი, როგორც ოლქის სარდალს, სულაც არ უნდოდა რევოლუციონერების სამიზნე გამხდარიყო. რაკი ასე მსჯელობდა სარდალი, ასევე შეეძლოთ ემსჯელათ მის ხელქვეითებსაც. და არა სხვაგან სადმე, არამედ იქვე, სასახლის კედლებთან, პეტერჰოფში. „პეტერჰოფის გარნიზონის ოფიცრები ძრწოლას აუტანია. ისინი შიშით მოელიან პროლეტარიატის დიქტატურას და სახალხო სასამართლოს მიერ სამხედროების გასამართლების გარდუვალობას; იმარაგებენ ქალის კაბებს და, ვინც სად მოასწრებს, იქ დაიმალება. ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამხედრო პირს ნერვები იმდენად მოეშალა, რომ სამოქალაქო ტანსაცმლით გაიქცა პიტერში და თანაც არც გადადგომისა და არც ავადმყოფობის შესახებ მოხსენებითი ბარათი არ წარუდგენია“ [37].

თუ ეს ხდებოდა პეტერჰოფში, მით უფრო შეიძლებოდა მომხდარიყო როსტოვ-დონში. როგორც კი ეს ქალაქი მღელვარებამ მოიცვა, ქალაქის თავი გრაფი პილარ ფონ პილჰაუ ავად გახდა და უფროსობა თავის მოადგილეს ფონ დერ ვეიდს გადააბარა. დიდხანს ვერც ვეიდმა გაძლო: ისიც „ავად გახდა“ და ხელისუფლება პროკოფოვიჩს გადასცა. მაგრამ არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ პროკოფოვიჩმა თანამდებობა სამხედრო უფროსს მაკეევს დაუთმო. მან პირველი დღეებიდანვე მაგრად მოჰკიდა საქმეს ხელი: სტანიცებში 400 კაზაკი დაიქირავა. თითო კაცს კვირაში 40 მანეთი მისცა. სამდიუმიანი ქვემეხების ბატარეა ჩააბარა და მუშათა კვარტალებს თავს დაატყდა. გულმოდგინებისათვის ტრეპოვმა მაკეევს დილით მადლობა შემოუთვალა დეპეშით, მაგრამ საღამოს ამ გულმოდგინებას ბოლო მოუღო ბარიკადებიდან გამოსროლილმა ტყვიამ, რომელიც ქალაქის თავს მოხვდა.

ასეთი შედეგისაგან მეფის მოწყალება ვერავის იფარავდა. გადარჩენის უებარი წამალი არც პეტერბურგიდან გამოგზავნილი მადლობები, არც ფულადი პრემია, არც მეფის სხვა ჯილდოები: ჯვარი, ბაბთა ანდა ბრილიანტი იყო.

პეტერბურგის ქალაქის თავი ფონ დერ ლაუნიცი, რომელსაც მრავალ ჯილდო ჰქონდა მიღებული, 1905 წლის 22 იანვარს ექსპერიმენტულ სამედიცინო ინსტიტუტში ახალი განყოფილების (დერმატოლოგიურის) გახსნას დაესწრო და ამით დიდი პატივი დასდო ამ ცერემონიას. როცა პარაკლისი დამთავრდა და ლაუნიცი კიბეზე ჩამოდიოდა, ვიღაც უცნობმა ტყვიები დაახალა და იქვე სული გააფრთხობინა. პოლიციელები ეცნენ თავდამსხმელს, ფეხქვეშ გაიგდეს და ისე გათელეს, რომ სიკვდილის პირას მიიყვანეს. როცა პოლიციას უცნობის შესახებ ცნობები მოსთხოვეს, ის კი იმდენად უძლური აღმოჩნდა, რომ მისი პიროვნების დადგენა ვერ შეძლო, ამოცნობის უპრეცედენტო ხერხი გამოიყენეს: მოკლულს თავი მოჭრეს, სპირტიან მინის ჭურჭელში მოათავსეს და ყველას დასანახად ინსტიტუტის შენობის წინ გამოდგეს.

საათი დროს ითვლიდა. იგი არა მარტო აფრთხილებდა დამსჯელებს, არამედ ანგარიშსაც უსწორებდა დანაშაულის ჩადენისათვის.

სამართლიანმა ტყვიამ განგმირა ტრეპოვიც.

სახალხო სასამართლოს განაჩენით 1918 წელს სიკვდილი მიესაჯა სამხრეთში რენენკამპფს.

სადღაც უკვალოდ გაქრნენ, დაიმალნენ მელერ-ზაკომელსკი და დუბასოვი.

მხსნელი ტყვია წამოეწია როტმისტრ ტრეშჩენკოვს მის მიერ ლენაზე ჩადენილი დანაშაულიდან სამი წლის გასვლის შემდეგ, როცა იგი ფრონტზე გალიციის სანგრებში მოხვდა.

„გულითადობის“ გამოჩენისათვის დაჯილდოებული იყო მინიც. 1906 წლის მარტში მან გენერალ-მაიორის ჩინი მიიღო, ხოლო აპრილში „მეფის კოცნასთან ერთად“ ფულადი პრემიაც დაიმსახურა. მაგრამ ამ წამახალისებელი ჯილდოებით სარგებლობა ვერ მოასწრო: ნოვოპეტერჰოფის ვაგზლის ბაქანზე მინი ზ. ვ. კონოპლიანიკოვამ მიაბვრიტა.

კონოპლიანიკოვას თავდასხმა თავგანწირვის აქტი იყო, მაგრამ რევოლუციის საქმისათვის უსარგებლო. ბოლშევიკური პარტია უარყოფდა ინდივიდუალურ ტერორს, როგორც პოლიტიკური ბრძოლის საშუალებას, და ხაზგასმით განმარტავდა, რომ ცარიზმის ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენელთა მოკვლა არამცთუ ასუსტებს, არამედ უფრო აძლიერებს მის სიმკაცრეს, რასაც მოჰყვება სახალხო საქმისათვის მებრძოლთა უმიზნო სიკვდილი, სიკვდილი ისეთი მებრძოლებისა, როგორიც ამ შემთხვევაში ზ. ვ. კონოპლიანიკოვა იყო.

6

როცა ყოველი საშუალება კარგია

ველური და ლაჩრული სასოწარკვეთის პარტია

წყალწაღებული ხავსს ეჭიდებაო.
აღმოსავლური თქმულება

სხვენის ფანჯრიდან თავი გამოუყვია წითელულვაშა ჩია ტანის კაცს, რომელსაც ყარყუმის მანტია აქვს შემოცმული და მეზობელი სახლის სახურავზე კვამლსადენთან მოკალათებულ ორ თმააბურძგნილ კაცს უყვირის:

— ეი, თქვენ, რაღას აყოვნებთ! ხომ გითხრეს: ჩატენეთ და ააფეთქეთო!

ასეთი კარიკატურით გამოეხმაურა მიუნხენელი მხატვარი რაუხვერგერი იმ ამბავს, რომელიც 1906 წლის 29 იანვარს ღამით პეტერბურგში დატრიალდა [1].

შემთხვევის ადგილი: მაშინდელი მთავრობის მეთაურის ს. ი. ვიტეს განცალკევებული სახლი. ღამით ეზოსა და მეზობელი სახლის სხვენებიდან ს. ი. ვიტეს სახლის სახურავზე შეიპარნენ ვინმე კაზანცევი და ფედოროვი, რომლებიც წინადღეს დილის მატარებლით მოსკოვიდან ჩამოვიდნენ და ჩემოდნით ორი „ჯოჯოხეთური მანქანა“ ჩამოიტანეს. დილის ბინდბუნდში მათ თავიანთი ტვირთი პრემიერ-მინისტრის რეზიდენციის კვამლსადენ მილებში ჩაუშვეს და იმავე გზით ქუჩაში დაბრუნდნენ. მათ ალექსანდრეს ბაღის თოვლით მოფიფქული ხეივნიდან დაუწყეს ჰვრეტა, რა ეფექტს მოახდენდა იგი.

აფეთქება დილის ცხრა საათზე უნდა მომხდარიყო. მაგრამ ჰურვებმა უმტყუნეს მათ.

მომხდარი ამბავი იმავ დღეს მთელ ქალაქს მოედო. ისიც ცნობილი გახდა, თუ ვისი ნახელავი იყო ეს საქმე. თავდასხმა მოაწყო „რუსი ხალხის კავშირმა“. ვიტეს მიერ ლიბერალებთან კომპრომისობანასა და დათმობანას თამაშის გამო.

ვიტეს მოკვლა გადაწყდა 1905 წლის 16 დეკემბერს „კავშირის“ ორი — პეტერბურგისა და მოსკოვის — ფილიალის ლიდერების შეხვედრისას. საიდუმლოების დაცვის მოტივით საქმის მოგვარება დაევალა მოსკოვის ორგანიზაციას, რომელმაც ამ მიზნით წარავლინა პეტერბურგს კაზანცევი და ფეოდოროვი.

მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის საგანგებო დავალებათა ჩინოვნიკმა ბუკსჰევდენმა 27 იანვარს ორივენი პიტერში ჩაიყვანა და სტარონევსკის ქუჩაზე მდიდრულად გაწყობილ ოთახებში მოათავსა. ღამით აქედან გადაიტანეს მათ ჭურვები ლიდვალის სახლთან. 29 იანვარს დილით ბუკსჰევდენმა წარუმატებლობის ამბავი შეიტყო თუ არა, ტერორისტებს უბრძანა მეორე ღამით ხელახლა ამძვრალიყვნენ სახურავზე და კვამლსადენში გაჩხერილი ჭურვები ქვეეით ჩაეწიათ. ამასობაში ვიტეს მოსამსახურე ქალმა მილებში რაღაც უცნაური საგნები შენიშნა და პოლიციამ სახლს ალყა შემოარტყა *.

საით მიემართება ამ ოპერაციის ძაფები, კითხულობდნენ გამოცდილი დამკვირვებლები. ამას ალბათ თავხედი, მაგრამ მშიშარა „მოკავშირეები“ თავად ვერ გაბედავდნენ? მაგრამ რადგანაც პეტერბურგელები ჩუმ-ჩუმად ლაპარაკობდნენ, ამ „მამაცობისათვის“ გზა შავოაზმელებს ეფის სასახლიდან დაულოცესო. ზოგი საგონებელში ჩავარდა: ნუთუ შეიძლება „ღმერთის მიერ მირონცხებული“ ისე დაეცეს, რომ საკუთარ პრემიერ-მინისტრზე თავდასხმის მონაწილე გახდესო?

შეიძლებაო, პასუხობდნენ მეორენი. მაგრამ მალულად. ს. ი. ვიტე ადასტურებს, რომ პირადად თვითონ ასეთ სისხლიან საქმეებში მონაწილეობას არ ღებულობდა. მაგრამ „ყველა ეს მკვლელობა და თავდასხმა მისთვის სასიამოვნო თუ არა... კურიოზული მაინც იყო“. ამ საქმეების მონაწილეებმა იცოდნენ, რომ მისი უდიდებულესობისათვის ისინი ბევრს არაფერს წარმოადგენდნენ, მაგრამ თუ საჭირო იქნებოდა, იგი შეეცდებოდა და ყველაფერს ხელს დააფარებდა [2].

---

* ოთხი თვის შემდეგ შავრაზმელებმა მცდელობა გაიმეორეს. ისევ ეს ორნი ჩამოვიდნენ მოსკოვიდან, რათა აეფეთქებინათ მარინის სასახლისაკენ (სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე) მიმავალი ვიტეს ეტლი კამენოოსტროვსკის პროსპექტზე. მაგრამ იმ დილით, 29 მაისს, როდესაც თავდასხმა იყო განზრახული, პოროხოვის ქუჩაზე იატაკქვეშა სახელოსნოში კაზანცევი და ფეოდოროვი ბუკსჰევდენისაგან მიღებული ფულის გამო წაიკიდნენ და ფეოდოროვმა ხანჯლით მოკლა თავისი კომპანიონი.

მეფობის ანალებში ასახვა პოვეს იმათ, ვინც „რუსი ხალხის კავშირის“ იდეალებისადმი სამსახურმა 29 იანვარს ღამით კამენოოსტროვსკზე კვამლსადენებთან მიიყვანა.

ფ ი ლ ი მ ო ნ კ ა ზ ა ნ ც ე ვ ი. 1901 წლამდე ასენიზატორად მუშაობდა როგოჟის საგუშაგოზე. შემდეგ — მექისედ ნეგლინის სანდუნებში. გასახდელში ჩადენილი ქურდობისათვის ტაშტებითა და გოვზაკებით სცემეს და ბოლოს აბანოდან გააძევეს. ადგილის ძებნისას შემთხვეეთ ტაგანკის ახლოს ბუკსჰევდენის განცალკევებული სახლის ეზოში შევიდა. მოურავმა იგი გრაფს წარუდგინა. ამ უკანასკნელს მაშინვე თვალში მოუვიდა და მეეზოვედ აიყვანა. შემდეგ კი ტაგანკის მოედანზე ტრაქტირში გადაიყვანეს, სადაც იმ ხანებში კვირაობით და დღესასწაულების საღამოებზე შაერაზმელთა ძმობა იკრიბებოდა.

კაზანცევი აქაურობას მალე შეუსისხლხორცდა და ცემა-ტყეპაში გაწაფულ ახალგაზრდებს შეუამხანაგდა. მერე ცენტრსა თუ გარეუბნებში „მოკავშირეთა“ არც ერთ მუშტი-კრივს არ ჩაუვლია კაზანცევის გარეშე, რომელიც მთვრალების ბრბოს უძღოდა. უფროსობის ნებართვითა და წახალისებით იგი თანდათანობით „სველ“ საქმეებზე გადავიდა, ხელს ჰკიდებდა ისეთ რამეს, რაზედაც სხვები უარს ამბობდნენ. იყო პოლიტიკურ მკვლელობათა სერიების თანამონაწილე. ლიბერალი პროფესორის, სათათბიროს დეპუტატისა და „რუსსკიე ვედომოსტების“ რედაქტორის გ. ბ. იოლოს მკვლელობაში მონაწილეობისათვის (ფეოდოროვთან ერთად) ბუკსჰევდენისაგან 80 მანეთი მიიღო; სათათბიროს დეპუტატის, პროფესორ მ. ი. გერცენშტაინის მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის — 75 მანეთი; მოსკოვის პროლეტარიატის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ნ. ე. ბაუმანის მკვლელობაში მონაწილეობისათვის — 90 მანეთი; პრემიერის სახლის სახურავზე ასვლისათვის — 100 მანეთი. იგი საკუთარ თავს გადამდგარ ჯარისკაცს უწოდებდა, თუმცა ჯარში არასოდეს უმსახურია.

ა თ ა ნ ა ს ე ფ ე ო დ ო რ ო ვ ი. ექვსი წელიწადი მსახურობდა მეფორნედ მარინის წარაფში. შემდეგ მსუბუქ ეტლზე გადავიდა და ილინკის ბირჟასთან იდგა ხოლმე. 1900 წელს მკვლელობასა და მგზავრის გაძარცვაში ეეჭმიტანილი ძიებას დაეძვრა, ეტლს თავი დაანება და რესტორან „იარში“ კარისკაცად („გამპანღურებლად“) დაიწყო მუშაობა. აქ იგი ტანადობით, ომახიანი ხმითა და სახის მკაცრი გამომეტყველებით თვალში მოუვიდა „რუსი ხალხის კავშირის“ მოსკოვის ორგანიზაციის ხელმძღვანელს გრინგმუტს. იგი ჩაება „კავშირის“ ტაგანკის ჯგუფის საქმიანობაში და მას შემდეგ კაზანცევთან ერთად მონაწილეობდა თავდასხმებსა და თვითგასამართლებებში. იოლოსის მკვლელობის გარდა ჩაიდინა მთელი რიგი სხვა ტერორისტული აქტები (შემდეგში „მოინანია“ და თავს იმით იმართლებდა, რომ კაზანცევმა და სხვა შაერაზმელებმა იგი თითქოს „მოატყუეს“, ისარგებლეს მისი ნდობით). ბუკსჰევდენისაგან მიღებული ფულით „პატარა მეპატრონედ“ იქცა, ააშენა საკუთარი საჩაიე რაზგულიაიასთან. აქ ბნელ კუთხეში მიიმწყვდიეს კაზანცევის მკვლელობისათვის თავისავე მეგობრებმა და ისე მიბეგვეს, რომ სიკვდილის პირამდე მიიყვანეს. მათი შურისძიებისაგან თავდასაღწევად ფეოდოროვი საზღვარ-

გარეთ გაიქცა. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას იგი საფრანგეთის „უცხოელთა ლეგიონს“ მიეკერა. „ლიტერატურულ მოგონებებში“, რომლის ავტორია იმავე ლეგიონის მსახური ვიქტორ ფინკი, შეტანილია ნარკვევი ფეოდოროვზე [3].

კაზანცევისა და ფეოდოროვის მსგავსი პირებისაგან კომპლექტდებოდნენ ძირეული შავი რაზმეულები. ეს ორი თითქოს მათი ეტალონი, მათი მშვენება და დამრტყმელი ძალა, მათი ფიზიკური და სულიერი იერსახე იყო. უკანასკნელი თვითმპყრობელი ასეთებს მტკიცე და ურყევი სიმპათიით ეკიდებოდა.

ფაქიზმა აღზრდამ, პობედონოსცევის მიერ შთაგონებულმა თეოლოგიურმა ფილოსოფიამ, არისტოკრატულმა ჩვევებმა და დახვეწილმა მეტყველებამ ინგლისურ ენაზე, ხელი არ შეუშალა მეფეს დაკავშირებოდა ტრაქტირების „გამპანღურებლებს“ და მეფორნეებს, რომლებიც, მისი აზრით, განასახიერებდნენ „წიგნიერებისა და ეკვებისაგან თავისუფალ, ოდიდანვე ჭეშმარიტ რუს ხალხს“. გარდა ამისა, ნიკოლოზ II მიერ მონარქიული ორგანიზაციების დეპუტაციებთან წარმოთქმული სიტყვები რომ გავიმეოროთ [4], ისინი „დარაზმული არიან ჩემთვის ძვირფასი რუსი ხალხის კავშირის“ გარშემო.

მისი დამოკიდებულება ამ კავშირთან თითქმის სანტიმენტალური იყო. და ამის მიზეზიც არსებობდა.

რუსეთში შექმნილი ვითარების შედეგად რომანოვების მონარქიის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. სულ უფრო ცხადი ხდებოდა ისიც, რომ თვითმპყრობელობის გადარჩენისათვის არც ერთ წერტილზე გაყინულ ბიუროკრატიასა და არც სამხედრო მარცხით დასუსტებულ გენერალიტეტს საკმაო ძალები არ გააჩნდათ. მაშინ ვ. კ. პლევეს (იგი ჯერ პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი იყო, შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრი და ბოლოს ჟანდარმთა შეფი) უწყებაში დაიბადა იდეა: მეშჩანურ-კულაკური ქვედა ფენების ბნელი მორევიდან ამოეტივტივებინათ დამატებითი პრომონარქიული ძალები.

„მონარქიას არ შეეძლო თავი არ დაეცვა რევოლუციისაგან, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — ხოლო რომანოვების ნახევრად აზიურ, ბატონყმურ, რ უ ს უ ლ მონარქიას არ შეეძლო თავის დაცვა სხვა გზით, თუ არ უაღრესად ბინძური, საზიზღარი, ფლიდი და სასტიკი საშუალებებით...“ [5] ასეთ საშუალებათა სისტემა, რომელიც განსაკუთრებით ფართოდ აამოქმედა პლევემ, ხოლო შემდეგ სრულყო

სტოლიპინმა, საბოლოოდ დააგვირგვინა შავმა რაზმმა*, პირველ ყოვლისა მისმა ყველაზე მეტად მძვინვარე და თავის საშუალებებში დაუზოგავმა ჯგუფმა, რომელმაც თავის თავს „რუსი ხალხის კავშირი“ უწოდა.

სტრუქტურულად „რუსი ხალხის კავშირი“ საბოლოოდ 1905 წლის ოქტომბერში გაფორმდა. ამ დროიდან იგი აშკარად გამოდის როგორც მონარქიული, რასისტულ-შოვინისტური და დამრბევ-ტერორისტული ორგანიზაცია.

1906 წელს „კავშირის“ ირგვლივ თავი მოიყარეს სხვა მონარქიულმა ორგანიზაციებმა (კერძოდ, ეგრეთ წოდებულმა „რუსულმა კრებამ“). „კავშირმა“ მთელი რიგი მსგავსი ჯგუფები შთანთქა და 1907 წელს ურთიერთმტრულად განწყობილ რამდენიმე ორგანიზაციად დანაწევრდა: დუბროვინის „რუსი ხალხის კავშირად“ (ლიდერი ა. ი. დუბროვინი) და „მიხეილ მთავარანგელოსის პალატად“ (ლიდერი ვ. მ. პურიშკევიჩი). არსებითი განსხვავება მათ შორის არ იყო; ისინი ძირითადად სახელმწიფო სათათბიროს საკითხთან დაკავშირებით გაითიშნენ. ამ ორგანიზაციათა მთავარ ორგანოებს წარმოადგენდნენ „რუსკოე ზნამია“ (გამოდიოდა 1905 წლის ოქტომბრიდან 1917 წლის თებერვლის ჩათვლით), „ობედინენიე“ და „გროზა“, რომლებიც, ვიტეს თქმით, დაოსტატებულები იყვნენ „გინებაში საროსკიპოების ჟარგონით“. რუსეთის პირველი რევოლუციის მოვლენების კულმინაციურ პერიოდში „კავშირს“ ფილიალები („განყოფილებები“) ჰქონდა რუსეთის თითქმის ყველა დიდ ქალაქსა და სოფლებშიც კი; მისი ყველაზე განტოტებული და აქტიური რაზმები მოქმედებდნენ პეტერბურგში, მოსკოვში, კიევსა და ოდესაში. ისინი ფაქტიურად სახელმწიფო კმაყოფაზე იმყოფებოდნენ. მათ მეურვეობას უწევდნენ და იყენებდნენ „ოხრანკა“, პოლიცია, ჟანდარმერია. ამგვარად, 1905 წლის 17 ოქტომბრის შემდეგ იმპერიის პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოჩნდა მნიშვნელოვანი და საკმაოდ საშიში ძალა, რომელსაც ფულადი ფონდები, პროპაგანდისტული ცენტრები და პოლიგრაფიული ბაზა გააჩნდა.

„რუსი ხალხის კავშირი“ დააარსა მსხვილი მემამულეების, მეწარ-

---

* ასე უწოდებდნენ ძველად მეშჩანთა რაზმებს, რომლებიც იქმნებოდა მეფის დასაცავად გარეუბნებსა და რაბათებში.

მეთა და სახლის მფლობელთა ჯგუფმა. მათ აქტიურ და რიგით წევრებს უგზავნიდნენ შემდეგი სოციალური ფენები: მეშჩანები, ვაჭრები, კულაკები, ჩინოვნიკები, სასულიერო წოდება და, ბოლოს, ქალაქის „ფსკერზე ჯალექილი“ დეკლასირებული ელემენტები. უპირატესად შემოკრებილი იყვნენ მეეზოვეები, შეეტლეები, ნოქრები, ოფიციანტები და „გამპანღურებლები“, წვრილი მედუქნეები და მევახშეები, გადამდგარი ფელდფებელები და ურიადნიკები, მეტრაქტირეები და ავაზაკთა ბუნაგების მფლობელები, ქალაქის ჯურღმულების, ღამის სათევებისა და ბაზრების მკვიდრნი — ციხეებში ნაჯდომი ქურდები, მძარცველები და სუტენიორები. სწორედ ეს ლაშქარი დასძრეს მეამბოხეთა წინააღმდეგ, მეფის ხელისუფლების გადასარჩენად „წინამძღოლებმა — პოლიტიკურმა ვიგინდარებმა, სულით ხორცამდე ბინძურმა ადამიანებმა, რომლებსაც არ გააჩნდათ არც ერთი ცხოველმყოფელი და პატიოსანი პოლიტიკური იდეა და მთელი თავისი ძალ-ღონე მიმართული ჰქონდათ ველური, ბნელი ხროვის ყველაზე ქვენა მისწრაფებების გასაღვივებლად“. მათ ორგანიზაციას, ვიტეს თქმით, შეუძლია მხოლოდ „საშინელი დარბევებისა და თავზარდამცემი ამბების დატრიალება. მას უარყოფითის გარდა სხვა არაფრის გაკეთება არ ძალუძს. მას მხეცური, ნიჰილისტური პატრიოტიზმი ამოძრავებს, რომელსაც ასაზრდოებს სიცრუე, ცილისწამება და ტყუილი... იგი ველური და ღაჩრული სასოწარკვეთის პარტიაა“. ამ ადამიანთა მოქმედება, ხახს უსვამდა მეფის მთავრობის ყოფილი მეთაური, დაფუძნებულია „უკიდურეს სიცრუეზე, უკიდურეს უსინდისობასა და უკიდურეს სისასტიკეზე. სიცრუე, ვერაგობა და მკვლელობა მათი სტიქიაა“ [6]. ასეთ „იდეურ“ ღერძზე ტრიალებდა „რუსი ხალხის კავშირის“ პრაქტიკული მოღვაწეობა 1905 წელს მისი წარმოშობის მომენტიდან.

ამხელდა რა მონარქისტი დამქირავებლების ამ ბანდას, ვ. ი. ლენინი წერდა: „სადაც კი შესაძლებელია, პოლიცია რაზმავს კაპიტალისტური საზოგადოების ნაძირალებს და წარმართავს მათ ძარცვა-გლეჯისა და ძალადობისაკენ... ხალხს უშენენ მიტრალიზებიდან (ოდესა), თხრიან თვალებს (კიევი), მეხუთე სართულიდან ჰყრიან ქვაფენილზე, მთელ სახლებს იერიშით იღებენ, არბევენ და ძარცვავენ, ცეცხლს უკიდებენ და ჩაქრობის ნებას არ აძლევენ. ხვრეტენ, ვინც გაბედავს შავი რაზმების წინააღმდეგობის გაწევას“. პოლონეთიდან ციმბირამდე, ფინეთის ყურიდან შავ ზღვამდე „იგივე ამბავი

ხდება". იმპერიის უზარმაზარ ტერიტორიაზე „კონტრრევოლუცია მთელი ძალით მუშაობს" [7].

მაგრამ ქვეშევრდომთა წინააღმდეგ მეფის ბრძოლის ფართო ტერიტორიაზე გამოირჩეოდა ერთი უბანი, სადაც მისი გამხეცებული მსედრობა განსაკუთრებული გულმოდგინებით ეწეოდა ებრაელთა რბევას. რბევის ხელობა მეფის ადმინისტრირების ერთ-ერთი დასაყრდენი ხდება. 1903 წლის 6 და 7 აპრილს კიშინიოვში მოკლეს 500-მდე კაცი. ცენტრისადმი წარდგენილ ადგილობრივ ხელისუფალთა მოხსენებითს ბარათში კიშინიოვური ანგარიშსწორება „თავისი სისასტიკით გამორჩეულად" [8] მოიხსენიება.

იმავე წლის სექტემბერში ასეთივე სისხლისღვრა მოხდა გომელში. დარბევების სერია 1904—1905 წლებზეც ვრცელდებოდა. მისმა აზვირთებამ უმაღლეს წერტილს ოქტომბერში მიაღწია. 17-ში გამოცხადდა მანიფესტი თავისუფლების შესახებ, ხოლო 18-ში იმპერია მისი არსებობის მანძილზე ფერფლისა და ჭუჭყის არნახულმა ღრუბელმა მოიცვა. თითქმის ყველა მხარეში მძვინვარებდა ხანძარი და დებოში. შემოდგომის ამ დღეებიდან დარბევა ახალ, ჭეშმარიტად კაენურ ხასიათს ატარებდა: აღნიშნულ პერიოდში დამრტყმელ ძალად გვევლინებიან შავრაზმელები „რუსი ხალხის კავშირის" სახელწოდებით. შექმნისთანავე „კავშირი" ხულიგნური დებოშებისათვის „კადრებისა" და „იდეების" მიმწოდებელია. „ჭეშმარიტი რუსი ხალხის" სახელს ამოფარებულმა შავრაზმელთა ისეთმა ლიდერებმა, როგორიც იყვნენ ნეიდჰარდტი და ბუკსჰევდენი, ფონ დერ ლაუნიცი და ფონ რაუხი, მარკოვ მეორე და ზამისლოვსკი, კამენსკი და პურიშკევიჩი, დევნა და ხოცვა-ყლეტა გააჩაღეს. დარბევების სტერეოტიპულ გამართლებას ეს პოლიტიკანები ჩვეულებრივად „ხალხთა ძირითადი მასების რისხვის" მოშველიებით ცდილობდნენ. მეფე-მფარველისადმი ვითომდა სიყვარულით განწყობილი უბრალო რუსი კაცი სტიქიურად გამოდიოდა ქუჩაში და საძულველ „წითელ მედროშეებს" თვითგასამართლებას უწყობდა. მაგრამ მიუკერძოებელი დამკვირვებლისათვის ნათელი იყო, რომ „ძირითად მასებში" გულისხმობდნენ არა „ჭეშმარიტ რუსებს", არამედ „კავშირის" ხელმძღვანელობის მიერ მოსყიდულ და წაქეზებულ, პოლიციის პროვოკატორებისა და „ოხრანკის" მიერ საიდუმლო ფონდებით დაფინანსებულ მდაბიოთა და სისხლის სამართლის დამნაშავეთაგან შემდგარ ბრბოს.

ასეთი ხოცვა-ყლეტითა და ძარცვა-გლეჯით იძიებდა შურს ცარიზ-

მი თავისი დამცირებისა და დაშინებისათვის 1905 წელს: ებრაელებზე — ოდესაში, კიევში, ეკატერინოსლავში, ელიზავეტგრადში, ბერდიჩევსა და სამხრეთის სხვა ქალაქებში; სომხებზე — თბილისში, ბაქოსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში; პოლონელებზე — ბელოსტოკში, ჟიტომირსა და იმპერიის დასავლეთის სხვა ოლქებში; ებრაელებსა და ინტელიგენტებზე — ტომსკში, ნოვოსიბირსკსა და ჩრდილო-აღმოსავლეთის სხვა ქალაქებში; მუშათა ორგანიზაციებისა და ინტელიგენციის წინააღმდეგ იყო მიმართული დარბევები პეტროგრადში, მოსკოვში, ივანოვო-ვოზნესენსკში; აქ დაქირავებული მკვლელების ხელით დაიღუპნენ ა. ლ. კარავაევი, ნ. ე. ბაუმანი, თ. ა. აფანასიევი და რევოლუციური მოძრაობის სხვა მოღვაწენი. ანტიინტელიგენტური დარბევები უმეტესად მოხდა ტვერში 17 ოქტომბერს, ვლადიმირსა და კურსკში — 18 ოქტომბერს, ყაზანში — 19 ოქტომბერს.

„რუსი ხალხის კავშირიდან“ მოვლენილ დამრბევებს რომ სათავეში ედგნენ მეფის რწმუნებულები, ამაში იმ დღეებშიც კი ცოტას თუ ეპარებოდა ეჭვი. არც ის იყო საეჭვო, რომ ეს რწმუნებულები თავად იწვევდნენ დარბევებს.

ოდესა. 1905 წლის ოქტომბერი. ქალაქის თავი ნეიდჰარდტი. ის ნეიდჰარდტი, რომელიც ჭაბუკობაში ტახტის მემკვიდრე ნიკოლოზთან ერთ პოლკში მსახურობდა. ამ დარბევის პრელუდია იყო იმპერატორის მიმართვა მოსახლეობისადმი, რომელიც ასე ბოლოვდებოდა:

გაფიცულთა ბრძანებით გუშინ დილიდანვე დაიკეტა ჩვენს ქალაქში აფთიაქები, ხოლო მათ მიერ წინასწარ გათვალისწინებულ ზოგიერთ პუნქტებში, სადაც ბარიკადები უნდა აღმართულიყო, შესახვევი პუნქტები გახსნეს. ვინ მოაწყო ყოველივე ეს, წინასწარ ვინ განსაზღვრა და მოამზადა? თქვენ ეს იცით. რა უნდა ქნათ ახლა — თავად გადაწყვიტეთ, კეთილგანმზრახველო ადამიანებო!

ნიშანი გასაგები იყო. ნებართვა გაიცა. შავრაზმელები სამი ფერის დროშებითა და მეფის პორტრეტებით ქუჩაში გამოვიდნენ და „პატრიოტული“ განზრახვით ქალაქის თავისაკენ გაემართნენ. ნეიდჰარდტი აივანზე გამოვიდა და საქვეყნოდ განაცხადა: „გმადლობთ, ძმებო!“ ქვევით დააგუგუნეს ჰიმნი „ღმერთო, შენ დაიფარე მეფე“. ბრბო ჯგუფებად დაიყო და უახლოესი ქუჩებისაკენ გაემართა. დაიწყო გამვლელებზე თავდასხმები, ვიტრინების მსხვრევა, მაღაზიებისა და საცხოვრებელი სახლების ძარცვა და გადაწვა განურჩევლად ყველასი: ებრაელთა თუ მართლმადიდებელ-ქრისტიანთა. თარეში არაადამიანური იყო: ასახიჩრებდნენ და ხოცავდნენ უდანაშაულოებს,

მუცლებს უფატრავდნენ, კეფას უმსხვრევდნენ, ბავშვებს კედელზე თავით ანარცხებდნენ და ისე კლავდნენ, ზედა სართულებიდან ყრიდნენ. აქა-იქ სახელდახელოდ შექმნილი მუშათა თავდაცვითი რაზმები ხოცვა-ყლეტის შეჩერებას ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ. პოლიციამ და სამხედრო ნაწილებმა გზა გადაუღობეს მათ; ქეაფენილზე ბრმა ტყვიით მოცელილი დამცველები ვარდებოდნენ.

ანგარიშსწორება ოთხ დღეს — 18-დან 22 ოქტომბრამდე გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში შავრაზმელებმა მოკლეს 500 კაცი, დაეჭრეს ათასობით, გაძარცვეს და დაანგრიეს ათას ხუთასზე მეტი საცხოვრებელი სახლი. როცა თარეში ჩაცხრა, ბადრაგით გარშემორტყმულმა ნეიდჰარდტმა დანგრეულ და გადამწვარ ქუჩებში ეკიპაჟით გაისეირნა, ხოლო იმ დღეს ქალაქის თავთან მისულ მოსახლეობის დეპუტაციას განუცხადა:

— თქვენთვის არაფრის გაკეთება არ შემიძლია და არცა მსურს. თქვენ თავისუფლება გინდათ. აი, თქვენი თავისუფლება [9].

შავრაზმელებმა და მათმა თანმხლებმა პოლიციამ და ჟანდარმერიამ 1905 წლის ოქტომბერში, 10 დღის განმავლობაში (18-დან 29 რიცხვამდე), 660 ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში ზოგან ორ-სამჯერ ზედიზედ დაარბიეს ებრაელები. მსხვერპლი: ათიათასობით მოკლული, ხანძარსა და ნანგრევების ქვეშ დაღუპული, დამტვრეულ-დასახიჩრებული, ქვრივები, ნახევრად ობლები და ობლები. მარტო 100-მა ქალაქმა ამ დღეებში მოკლულთა სახით დაკარგა 4 ათასი კაცი, ხოლო 10 ათასამდე მოქალაქე დასახიჩრდა [10].

თეთრგვარდიულ ემიგრაციაში ყოფნისას ვ. ა. შულგინს მოგონებები აეშალა და შავრაზმელთა თარეში კიევში 1905 წელს დაწვრილებით აღწერა. თავისუფლების შესახებ მანიფესტის გამოცხადების დღეებში მან — მესანგრეთა მე-14 ბატალიონის პრაპორშჩიკმა, დემიევკის რაიონში შავრაზმელთა ძალადობისა და ძარცვა-გლეჯის აღსაკვეთად სამხედრო ქვედანაყოფი გამოიყვანა. შულგინი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც შავი რაზმეულის შექმნა ლოცვა-კურთხევით მოიხსენია, ვინც მათ ექსცესებისაკენ აქეზებდა და უბიძგებდა. და აი, ეს კაცი ჭკუას არიგებს მძარცველებს, რომ საჭიროა თავშეკავება სამარცხვინო მსვლელობისაგან, რომელსაც „წინ მიუძღვის მეფე, ხოლო მეფეს უკან მიჰყვებიან მძარცველები და ქურდები“ [11]. მგონი, შემრიგებელმა-ორატორმა თავისი საყვედურები უმართებულო მისამართით გამოთქვა. საქმე ის კი არ იყო, რომ მოთარეშეებმა მო-

ისურვეს თავიანთი ლაშქრის სათავეში მეფე მდგარიყო, არამედ ის, რომ ეს თავად მეფემ მოინდომა და ამიტომაც იგი ფაქტიურად ედგა კიდევაც სათავეში ამ ლაშქარს.

შიშის საზღაური

„რუსი ხალხის კავშირის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ნ. ე. მარკოვ მეორემ 1912 წლის 24 ივლისს დეპუტატებითა და საზოგადოებით გაჭედილ ტავრის სასახლის დარბაზის ტრიბუნიდან წამოროშა:

— თქვენ ჩვენ შავ ასეულებს გვეძახით. მაგრამ რა ასეულები ვართ? არა, ჩვენ ასეულები კი არა, მილიონები ვართ. ჩვენთან არის რუსი ხალხი.

ხოლო ხუთი წლის შემდეგ, სწორედ იმავე დღეს, იგი საგანგებო საგამოძიებო კომისიის წინაშე დაკითხვაზე წარსდგა და განაცხადა: „რუსი ხალხის კავშირის“ წევრთა ზუსტი აღრიცხვა არ გვიწარმოებიაო.

1912 წელს მარკოვ მეორე სათათბიროს ტრიბუნიდან მისთვის ჩვეული მოურიდებელი მანერით უარყოფდა ხელისუფალთა მიერ მისი ორგანიზაციის საერთოდ „რაიმე მატერიალურ დახმარებას“, კერძოდ, ნაღდი ფულის აღებას. ხუთი წლის შემდეგ კი დაკითხვაზე ასეთი საუბარი გაიმართა:

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე (ს. მურავიოვი). თქვით, როგორ ეკიდებოდით მთავრობის სახსრებიდან სუბსიდირებას?

მ ა რ კ ო ვ მ ე ო რ ე. ჩვენ მას ვღებულობდით და ამაში რაიმე სამარცხვინოს ვერ ვხედავდით.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. მაშასადამე, მთავრობისაგან დამოუკიდებლობის იდეა პარტიის იდეებში არ შედიოდა?

მ ა რ კ ო ვ მ ე ო რ ე. ეს იდეა არსებობდა, მაგრამ ფულის გარეშე მარტო იდეებით ვერ იცხოვრებ. ორგანიზაციები ფულს თხოულობდნენ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. რატომღა უარყოფდით ამას სათათბიროში?

მ ა რ კ ო ვ მ ე ო რ ე. არ მინდოდა, რომ თავი საძრახის მდგომარეობაში ჩამეყენებინა.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. რატომ არ შეეცადეთ, რომ ამ სირცხვილისაგან თავდაცვის პოზიციაზე დამდგარიყავით?

მ ა რ კ ო ვ მ ე ო რ ე. ცუდს არაფერს ვხედავდი იმაში, რომ პარტია, რომელიც მხარს უჭერდა მონარქიას, ფულს იღებდა თავისი მონარქის მთავრობისაგან.

მას შემდეგ, რაც გამომძიებლებმა დიდი დამაჯერებლობით დაადგინეს „დამატებითი კვების“ ფაქტი, მათ წინაშე დადგა საკითხი, გაერკვიათ, ტახტის დამცველთაგან მსგავსი ხერხით რომელი „იკვებებოდა“. უმალვე გაირკვა: უპირველეს ყოვლისა და ყველაზე მეტად — თავად დამცველთა კოპორტის თავკაცი.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. მონარქის მთავრობისაგან მიღებულ ფულს ორგანიზაციებს აძლევდით თუ თავად ხარჯავდით?

მ ა რ კ ო ვ მ ე ო რ ე. ნაწილს მათ ვაძლევდი, ნაწილს თვითვე ვხარჯავდი.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ანგარიშს ვინმეს უდგენდით?

მ ა რ კ ო ვ მ ე ო რ ე. არც ვუდგენდი და არც ვალდებული ვიყავი წარმედგინა.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. პირადად თქვენ მთავრობისაგან რამდენი მიიღეთ?

მ ა რ კ ო ვ მ ე ო რ ე. ჩვეულებრივ ერთბაშად ვიღებდი ხოლმე 144 ათას მანეთს.

მაშ მან რამდენჯერმე მიიღო თითქმის 150 ათასი მანეთი? იდებდა ამ თანხას ჯიბეში და „ვალდებული არ იყო“ ანგარიში ჩაებარებინა ვინმესთვის. სად მიდიოდა ის ნაღდი ფული, რომელიც, ასე ვთქვათ, მშვიდობიანად უქცევდა გვერდს მის ჯიბეს?

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. „რუსი ხალხის კავშირის“ წევრებიდან საწევროებს იღებდით?

მ ა რ კ ო ვ მ ე ო რ ე. დიახ, წელიწადში 50 კაპიკს.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ხომ არ ყოფილა შემთხვევა, როცა წევრი კი არ უხდიდა კავშირს, არამედ, პირიქით, კავშირი — წევრს?

მ ა რ კ ო ვ მ ე ო რ ე. ესე იგი, თქვენ გინდათ თქვათ, რომ ვყიდულობდით თუ არა წევრებს?

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. დიახ, მიზიდვის მიზნით... ახდენდით თუ არა მათ სუბსიდირებას?

მ ა რ კ ო ვ მ ე ო რ ე. რასაკვირველია, ვახდენდით.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ცალკეული წევრების?

მ ა რ კ ო ვ მ ე ო რ ე. დიახ, რა თქმა უნდა...

ს ო კ ო ლ ო ვ ი (კომისიის წევრი). რა სახის გამოსვლებისაკენ მოუწოდებდით ფულით ნაყიდ წევრებს?

მ ა რ კ ო ვ მ ე ო რ ე. ეუნერგავდით მეფის ხელისუფლების სიმტკიცის სარგებლიანობის შეგნებას [12].

უსაზღვრო იყო „მოკავშირეთა“ ერთგულება მათ მიერ გაღმერთებული მონარქისადმი, ოღონდ მოპკურებული მაცოცხლებელი ოქროს წვიმით. რბევა კეთილ საქმედ ითვლებოდა, მაგრამ ამ სიკეთისათვის საჭირო იყო ნაღდი ფული — პირველ ყოვლისა სახაზინო.

მხოლოდ სუბსიდიებითა და მოწყალებებით კარგად გაგოზილ პროვოკაციულ მანქანას შეეძლო მონარქიის გადასარჩენად მუშაობა.

როგორც რევოლუციის შემდეგ დადგინდა, „კავშირის“ ხელმძღვანელობას ასიგნება ეძლეოდა „მისი უმაღლესობის ბრძანებით“ შექმნილი სპეციალური ფონდიდან. თავიდან ეს ფონდი დ. ფ. ტრეპოვის გამგებლობაში იყო, მოგვიანებით კი მას განაგებდნენ შინაგან საქმეთა მინისტრები პოლიციის დეპარტამენტების უფროსების განაცხადის საფუძველზე. ამ სახსრების ათვისება იმდენად ეფექტიანად ყოფილა დამუშავებული, რომ ერთ-ერთ მის წამყვან აგენტს, ეინდარმერიის როტმისტრს კომისაროვს იმ დღეებში თანამოსაუბრესათვის უთქვამს: „ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენ ფულს გასცემთ. მაშინ ისეთ დარბევას მოვაწყობ, როგორსაც ისურვებთ: გნებავთ — ათი კაცისას, გნებავთ — ათი ათასისას“. ფონ პლეგვეს ანგარიშით, „საშუალო სიდიდის დარბევა“ საპოლიციო ფონდს შეეძლებოდა დაახლოებით 6—10 ათასი მანეთი დაჯდომოდა.

დიდხანს არ იცოდნენ, ვინ წერდა, სად იბეჭდებოდა და როგორ ვრცელდებოდა შავრაზმული პროკლამაციები, რომლებმაც აავსო ქვეყანა 1905 წლის შემოდგომაზე. მათში სასტიკი კაცთმოძულეობა იგრძნობოდა: მათი გამოჩენა ჩვეულებრივ დარბევას მოასწავებდა; მათ გარეშე ატმოსფერო ისე ძლიერ აღარ იქნებოდა მოწამლული, რისი წყალობითაც მოსახლეობის ერთ ნაწილს მეორის ამოხოცვის შესაძლებლობა ეძლეოდა. ფურცლები მარტო დარბევისაკენ როდი მოუწოდებდნენ. მაგალითად, „კავშირის“ განყოფილების ფურცელი ქალაქ ალექსანდროვსკში (1906 წლის თებერვალში) სავსებით კონკრეტული მითითებით ითავრდებოდა:

ამრიგად, ჭეშმარიტო რუსებო, ვინც მეფესა და მართლმადიდებლურ რწმენას ეპერთ მხარს, თავი მოიყარეთ თოფებით, ცელებით, ორთითებით ქალაქის მოედანზე, შედით ჩვენ მიერ ფორმირებულ ალექსანდრეს მებრძოლ რაზმში, რომელსაც სამი ფერის დროშა აქვს, და როგორც კი დავცხებთ ნაბათს, მეფის პორტრეტითა და წმინდა ხატით შევებათ ჩვენს მტრებს, წითელდროშიანებს [13].

გაირკვა. პროკლამაციები ვრცელდება პეტერბურგიდან და მოსკოვიდან „რუსი ხალხის კავშირის“ აპარატის მიერ. იბეჭდება ისინი მილიონობით ტირაჟით ნაწილი პოჩაევში, ნაწილიც პატარ-პატარა სამაზრო და საგუბერნიო სტამბებში; ძირითადი ნაწილი კი, მართლაც რომ საოცრებაა. — სპეციალურად ამ მიზნით მოწყობილ საიდუმლო სტამბაში, უშუალოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში.

სულიერი მოწამვლის ეს ფაბრიკა აამუშავეს ბარონმა ფონ დერ ლიპემ, სენატორმა ბარონ ფონ ტიზენჰაუზენმა და გენერალმა ფონ რაუხმა; თანამშრომლებად ჰყავდათ საიდუმლო სამსახურის შეფი რაჩკოვსკი და ჟანდარმერიის როტმისტრი კომისაროვი, ხოლო ტექნიკურ მხარეს უზრუნველყოფდნენ ვუიჩი და კლიმოვიჩი; დაბოლოს, პროკლამაციების ტექსტი ხშირად სასახლიდანაც კი მოდიოდა. საზელდობრ ვისგან? ამ ავბედითი ნაწერებიდან ყველაზე უფრო უხეშს, როგორც პრესამ დაადგინა, თხზავდა დ. თ. ტრეპოვი; ნაწილს — ფონ კრამერი, რომელიც ხშირად იყო ხოლმე დედოფლის მოსასვენებელ დარბაზში; ამ ლიტერატურულ შემოქმედებაში ვარჯიშობდნენ აგრეთვე ბუკსჰევდენი, ნეიდჰარდტი და გენერალი ბოგდანოვიჩი. რამდენიმე ფურცელი კი დაუწერია ვინმე „უზენაეს ავტორს“, რომელმაც უმჯობესად ჩათვალა თავისი გვარი არ დაესახელებინა. ამასთან დაკავშირებით პეტროგრადის პრესა თებერვლის რევოლუციის შემდეგ აღნიშნავდა, რომ სამეფო კართან დაახლოებულ წრეებს მიაჩნდათ, თითქოს ნიკოლოზმა „კარგი წერა იცოდა“; განადიდებდნენ მის „მოქნილ ენას“, „სტილის გრძნობას“. ეტყობა, თავადაც თვლიდა, რომ ასეთი ღირსებები გააჩნდა. ამიტომაც დიდ დატვირთვად არ ჩაუთვლია, სრულიად რუსეთის ისტორიკოსთა საზოგადოების შეფობასთან ერთად, კაზმულსიტყვაობის მოყვარულთა რუსეთის საზოგადოებაში შესვლა.

პეტერბურგში გამართულ წვეულებაზე პრემიერ ვიტეს მეუღლემ სუფრასთან განაცხადა: „რაჩკოვსკის თავისი საზიზღარი სტამბისათვის ჯილდოდ სამოცდაათი ათასი მანეთი მისცეს“. ამის შემდეგ სტუმრების წრეში „უხამსი ლაყბობისათვის“ ქალბატონ ვიტეს მასპინძლის ოჯახში მისასვლელი გზა დაეხშო. მეფის მთავრობის დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ 1906 წლის მიწურულს ტრეპოვმა ნამდვილად წარუდგინა ნიკოლოზ II მოხსენება პროკლამაციების იატაკქვეშა ფაბრიკის მუშაობის შესახებ, რომელსაც მან თავისი ხელით წააწერა: მ ი ე ც ე ს რ ა ჩ კ ო ვ ს კ ი ს 75 ა თ ა ს ი მ ა ნ ე თ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ძ ა ლ ე ბ ი ს წ ა რ მ ა ტ ე ბ ი თ ი გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. კაცმა რომ თქვას, ქ-ნ ვიტეს „უხამსი ლაყბობა“ შეიძლებოდა უფრო „უხამსი“ ყოფილიყო, თუ დაუმატებდა, მაგალითად, რომ „საზოგადოებრივ ძალებთან“, ანუ ტრაქტირის ლაქიებთან და მეფორნეებთან კონტაქტების დამყარებისათვის წახალისების მიზნით რაჩკოვსკი და კომისაროვი მეფის ბრძანებით დაჯილ-

დოვდნენ ორდენებით: პირველი — სტანისლავის, მეორე — ვლადიმირისა და კიდევ სხვა მრავალი წყალობა და შეღავათი მიიღეს.

რაც ქალბატონ ვიტეს სადილზე გამორჩა, ის თავის მემუარებში შეიტანა მისმა მეუღლემ. იგი წერს, რომ მეფემ შეიყვარა შავრაზმელები როგორც „რუსეთის მოწინავე ადამიანები, როგორც სამაგალითო პატრიოტები, როგორც ეროვნული სიამაყენი“ — ეს „მყრალი ბაზრის გმირები, რომლებსაც პატიოსანი ხალხი ერიდება და ხელს არ ართმევს“. ამიტომაც გახდა შესაძლებელი და შავრაზმელებმა „პოლიციის დეპარტამენტთან მოაწყვეს დარბევათა პროკლამაციების საფაბრიკაციო სტამბა“.

თავდაპირველად მეფის კონტაქტები „კავშირის“ ლიდერებთან როგორღაც ინიღბებოდა. კონსპირაციულობის ზოგიერთი წესის დაცვით ამ კონტაქტებს შუამავლობდნენ დიდი მთავრები ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე და ვლადიმერ ალექსანდრეს ძე, აგრეთვე გენერალი რაუხი და თავადი პუტიატინი. სანამ მიეჩვეოდა, ნიკოლოზ II ეუხერხულებოდა და თავს არიდებდა „ამ კავშირს, რომელიც ქურდებისა და ხულიგნებისაგან შედგებოდა“, წერს ვიტე. შემდეგში „რუსი ხალხის კავშირისადმი“ მეფის „ფარული თუ, უფრო სწორად, არადემონსტრაციული მხარდაჭერა აშკარა იყო და მას არაფერი ზღუდავდა“ [14].

მართლაც რომ „არაფერი ზღუდავდა“ ორივე მხარეს უკვე იქიდან ჩანს, რომ ორგანიზაციის მეთაურს ა. ი. დუბროვინს ნიკოლოზ II აშკარად იწვევდა ხოლმე სასახლეში პირადი საუბრებისათვის; იქვე ოფიციალურად იღებდნენ „რუსი ხალხის კავშირის“ დეპუტაციებს. 1905 წლის დეკემბერში სასახლეში გამართულ მორიგ მიღებაზე შავრაზმელთა ჯგუფმა ნიკოლოზს საჩუქრად მიართვა „კავშირის“ ორი სამკერდე ნიშანი; ერთი მან თავის გიმნასტურაზე მიიმაგრა, მეორე კი თავისი წლინახევრის ვაჟის პერანგს მიაბნია.

ძმობა იზიდავდა მას. ამ წრეში მეფე თავს თავისუფლად გრძნობდა. სასახლის ტალანებში შესვლის ნებასაც აძლევდა, უმასპინძლდებოდა, მათთვის ჯილდოს გადაცემის ცერემონიალებს აწყობდა. შეეძლო ამ საზოგადოებაში სახელდახელოდ გადაეკრა და „ბარინიაც“ ეცეკვა. იგი შავრაზმელებს სადღეგრძელოებით, მისალმებებითა და მისალოცი დეპეშებით მოუწოდებდა ხოლმე: ჰ ე შ მ ა რ ი ტ ო რ უ ს ე ბ ო, გ ა ე რ თ ი ა ნ დ ი თ!.. თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ თ მ უ დ ა მ შ ე ვ ი წ ყ ა ლ ე ბ... თ ქ ვ ე ნ მ ე მ ჭ ი რ დ ე ბ ი თ... მ ე ფ უ რ ი მ ა დ ლ ო ბ ა თ ქ ვ ე ნ... თ ქ ვ ე ნ ჩ ე მ ი ბ უ რ ჯ ი დ ა ი მ ე დ ი

ხ ა რ თ... მეეტლეობის სამრეწველო კავშირმა, რომელიც შავრაზმელებს „აქტივს“ აწვდიდა, მეფეს ერთგულ-ქვეშევრდომული ადრესი მიართვა, რაზედაც მეფემ 1906 წლის 23 დეკემბერს ასე უპასუხა: გ ა დ ა ე ც ი თ ჩ ე მ ი მ ა დ ლ ო ბ ა მ ე ე ტ ლ ე ე ბ ს, გ ა ე რ თ ი ა ნ-დ ი თ დ ა გ უ ლ მ ო დ გ ი ნ ე ბ ა გ ა მ ო ი ჩ ი ნ ე თ. სასახლეში მიღებისას მან შეკრებილნი არად ჩააგდო და იაროსლავის გუბერნატორს რიმსკი-კორსაკოვს ადგილობრივი „მოკავშირეების“ მეთაურის კაცაუროვის ჯანმრთელობის ამბავი გამოჰკითხა, — კაცისა, ვისთან ნაცნობობაც იაროსლავში სამარცხვინოდ ითვლებოდა.

1906 წლის სექტემბერში, როცა „რუსი ხალხის კავშირის“ თავმჯდომარე დუბროვინი შეუძლოდ შეიქნა, გენერალმა რაუხმა იგი ბინაში ინახულა და იმპერატორის პირადი თანაგრძნობა გადასცა. მეფე მას მალე გამოჯანმრთელებას უსურვებდა. შავრაზმელებთან მეფის ახლა უკვე აშკარა კეთილგანწყობას მოწმობს ნიკოლოზის მიერ ექიმ ა. დუბროვინისათვის 1907 წლის 3 ივლისს გაგზავნილი დეპეშა. ეს ის დღე იყო, როცა სახელმწიფო სათათბიროს მეორე მოწვევის განდევნით სტოლიპინმა ფაქტიურად სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა. თვითმპყრობელს არაფერი დაუმალავს და თავის წერილობით დოკუმენტში აღნიშნა: დ ა ე, რ უ ს ი ხ ა ლ ხ ი ს კ ა ვ შ ი რ ი ი ყ ო ს ჩ ე მ ი ს ა ი მ ე დ ო ბ უ რ ჯ ი. „მეორე სათათბიროს დათხოვნის შესახებ გამოცემულ მანიფესტთან დაკავშირებულმა ამ უსაზიზღრესმა დეპეშამ, — წერდა შემდეგ ვიტე, — დაგვანახვა ჩვენი თვითმპყრობელი იმპერატორის პოლიტიკური აზრის სრული უბადრუკობა და სულიერი ავადმყოფობა“. აფსუს, ოხრავდა ექს-პრემიერი, სასახლის კართან დაახლოებულმა პირებმა, ვისაც შეეძლო დაეშალა მეფისათვის შავრაზმელებთან ამფსონობა, „დაკარგეს ყოველგვარი პრინციპები და, ფეხის ხმას აყოლილნი, წამიერი ვნებით მოქმედებენ კარგი მეძებრებივით“ [15].

სერგეი იულის ძე საკუთარ თავს, ცხადია, მეძებრებში არ რაცხდა. სხვათა შორის, „ფეხის ხმის აყოლას“ მეფე ყველა თავისი თანაშემწისაგან მოითხოვდა და აკვირდებოდა, ვინ როგორ ავლენდა ამ მზადყოფნას. იმ თავის დაახლოებულ პირებს, რომლებიც „რუსი ხალხის კავშირში“ არ შედიოდნენ ანდა ვისაც უთანხმოება ჰქონდა მათთან, მეფე სიფრთხილით, ხშირად ეჭვის თვალითაც ეკიდებოდა. ჩანდა, რომ იგი შავი რაზმებისათვის ახალი წევრების გადმობირებას აპირებდა და ამ მიზნით მინისტრების დამუშავებასაც არ ერიდებოდა.

— პიოტრ ალექსანდროვიჩ, რატომ არ შედიხართ რუსი ხალხის კავშირში? — ჰკითხა მან ერთხელ სტოლიპინს. — ახლა ხომ დუბროვინი იქ აღარ არის (სტოლიპინი და დუბროვინი ერთმანეთის მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილი).

ასეთივე შეკითხვით მიმართა მეფემ თავის დროზე სტოლიპინის წინამორბედს — ვიტესაც, როცა გადაკვრით უთხრა, მახსოვს მსგავსი ორგანიზაციის წევრი იყავიო. ერთხელ საუბრის დროს ვიტე სახტად დარჩა, როცა ნიკოლოზმა კითხვები დააყარა:

— მართალია, თქვენზე რომ ამბობენ, ებრაელებს მხარს უჭერსო?

ალბათ ეჭვისა და ფარული მუქარის იგივე კილო გამოკრთებოდა მეფის შეკითხვაში, თუკი მოინდომებდა გარკვევას, ხომ არ „იდგა" მისი პრემიერი, ვთქვათ, უკრაინელების („მალოროსიელების") ანდა სომხების, ფინელების ან კიდევ, რაც ყველაზე მეტად სამარცხვინო იქნებოდა, პოლონელების მხარეზე?.. რადგან ნიკოლოზ II დამოკიდებულებას სხვადასხვა ეროვნების თავის ქვეშევრდომებთან საფუძვლად ედო „არარუსი წარმოშობის ყველა ქვეშევრდომის დევნა", სხვანაირად რომ ვთქვათ, იმპერიის დაახლოებით სამოცი მილიონი მცხოვრების დევნა[16].

თუ წინა მეფეების დროს ზოგიერთი განაპირა ოლქის მცხოვრებლები ერთგვარი შეღავათებითა და ელემენტარული ეროვნული უფლებებით მაინც სარგებლობდნენ და თავიანთი შინაგანი კულტურული ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ნიკოლოზის ადმინისტრაცია ამ შეღავათების წართმევასა და გაუქმებას არნახული სიმკაცრით შეუდგა. უკანასკნელ მეფეს გადაუჭარბებლად შეიძლება ვუწოდოთ ეროვნულ უმცირესობათა ყველა უფლებაზე იმპერიის ისტორიაში უდიდესი შეტევის ორგანიზატორი. სწორედ მის დროს ეჯიბრებოდა ყველაზე ეფექტიანად იმპერია ზოგიერთ ისეთ მრავალეროვან თავადაზნაურულ-კაპიტალისტურ სახელმწიფოს, როგორიც იყო, მაგალითად, ავსტრია-უნგრეთი, „ხალხთა საპყრობილის" რეპუტაციის დამკვიდრებაში.

ამ ერაში, აღნიშნავდნენ ფრანგი ისტორიკოსები ლავისი და რამბო, რომლებიც საერთოდ დიდად არ აკრიტიკებდნენ ცარიზმის ადმინისტრაციის მოღვაწეობას, ყველაფერი, ისევე როგორც ალექსანდრე III დროს, ერთი ზომით იზომება. იმპერიაში დასახლებულ ხალხებს „ერთნაირი ლაგამი" აქვთ ამოდებული: აკრძალულია ეროვ-

ნული ენები, დათრგუნვილია ეროვნული კულტურა. დისკრიმინაციის, დევნისა და დათრგუნვის, ეროვნული შუღლის გაღვივების დრაკონული პოლიტიკა ხორციელდება მეფის მითითებით „ყველა არარუს გუბერნიასა“ და ყველა განაპირა მხარეში ბალტიისპირეთიდან კავკასიამდე [17].

ანტისემიტიზმი რომ ოფიციალურად იყო გამოცხადებული მეფის მთავრობის იდეოლოგიად და პრაქტიკად, მის თითქმის უმნიშვნელოვანეს პრინციპულ-პოლიტიკურ პლატფორმად, რასაც ეფუძნებოდა სხვადასხვა რეაქციულ-შოვინისტური და ობსკურანტული ძალების ერთიანობა (სხვათა შორის, ხშირად მხოლოდ მოჩვენებითი), — ეს კარგად არის ცნობილი. მაგრამ ლავისისა და რამბოს თქმით, „პოლონელების წინააღმდეგ მიღებული ზომები ხშირად კიდევ უფრო მკაცრი იყო“. ამ ავტორებს მიაჩნდათ, რომ თავიანთი ენისა და რელიგიისადმი ერთგულებისათვის ყველაზე მეტად ცარიზმის იმპერიაში პოლონელები იტანჯებოდნენ.

პოლონელებს (რომლებიც მაღალ არისტოკრატიას არ ეკუთვნოდნენ) არ შეეძლოთ მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობის დაკავება იმპერიაში. არ შეეძლოთ მიწის მესაკუთრენი ყოფილიყვნენ სამხრეთ-დასავლეთ გუბერნიებში. პოლონური ენა თვით პოლონეთშიც კი ამოღებული იყო საშუალო სკოლების პროგრამებიდან — თავდაპირველად საშუალოში, შემდეგ დაწყებითსა და, ბოლოს, უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებიდანაც ვარშავის უნივერსიტეტის ჩათვლით. პოლონეთის სამეფოს დაწესებულებებში პოლონური ენით სარგებლობა იკრძალებოდა. მეფის ჩინოვნიკების კონტროლქვეშ აგლეჯდა პოლიცია სახლების ფასადებიდან პოლონურ ენაზე დაწერილ აბრებს; ქუჩებისა და მოედნების პოლონურ წარწერებს. როგორც იგივე ავტორები აღნიშნავდნენ, მეზობელ ლიტვაში „პოლონური ენის დევნამ ნამდვილი ინკვიზიციის ხასიათი მიიღო“. მაგრამ არანაკლები სისასტიკით იდევნებოდა ლიტვური კულტურაც — ხელოვნება, წიგნი, პრესა და თვით ფიქრიც კი ეროვნულ ცხოვრებაზე, შემოქმედებითს თვითმყოფადობაზე.

ბალტიისპირეთის პროვინციები — ლიფლანდია, ესტლანდია და კურლანდია ტრადიციულად თითქოს მეფის წყალობით სარგებლობდნენ. საუკუნე-ნახევრის მანძილზე აქაური თავადაზნაურობა — იგი კი ძირითადად „გერმანელი ბარონებისაგან — ძველი მახვილის მატარებლების შთამომავალთაგან შედგებოდა“ — იმპერიისათვის გენერ-

ლების, მინისტრების, პოლიციელებისა და დიპლომატების აღზრდის კერას წარმოადგენდა. ისინი პრივილეგირებულნი იყვნენ, ფლობდნენ მიწების დიდ ნაწილს, ქალაქის გერმანულ ბურჟუაზიასთან ერთად რიგაში, რეველსა და სხვა დიდ ქალაქებში ტონს აძლევდნენ ყოველდღიურ ცხოვრებას. მათ ცარიზმის იმპერიისათვის სასაყვედურო არაფერი ჰქონდათ. იმავე ფრანგი ისტორიკოსების გადმოცემით, ერთხელ, როდესაც ნიკოლოზ I რაღაცის გამო ა. პ. ერმოლოვის დაჯილდოება მოუწადინებია და უკითხავს, რისი სურვილი გაქვსო, ერმოლოს უპასუხია:

— ხელმწიფევ, გერმანელი გამხადეო [18].

სხვა საქმე იყო ამ გაბატონებული გერმანული ფენის მიერ ექსპლოატირებულ ესტონელ და ლატვიელ ხალხთა მასები. ჯერ კიდევ 1883 წელს ალექსანდრე III დაუვალებია სენატორ მანასეინისათვის გარკვეულიყო ბალტიისპირეთის ადმინისტრაციის „მანკიერებებში", გაფაციცებით ედევნებინა თვალყური მისი „შინაგანი რყევისათვის", ისიც ამდგარა და გაურკვევია. მოუხაზავს გეგმა. როგორ „ჩაეჭირათ ხელში" ეს მმართველობის სისტემა. ნიკოლოზ II გამეფების შემდეგ ცენტრალური ხელისუფალნი უკვე შესდგომიან მანასეინის მონახაზის განხორციელებას. დაწყებითი სკოლები ადგილობრივი ხელისუფლებიდან განათლების სამინისტროს კონტროლს დაუქვემდებარეს. ლანდგერიხტები შეცვალეს მოსამართლეებით, რომელთა დანიშვნა და შეცვლა მხოლოდ იუსტიციის სამინისტროს შეეძლო. რეველის, რიგის, მიტავისა და ლიბავის საოლქო სასამართლოები დაექვემდებარნენ პეტერბურგის სასამართლო პალატას. ამასთან, ისევე როგორც პოლონეთში, ბალტიისპირეთშიც ეროვნული კულტურული ცხოვრების დათრგუნვას, ბრძოლას ენის წინააღმდეგ თან ახლდა ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ, უფრო ზუსტად, ტრადიციულად მომდინარე ხალხთა მასების რელიგიურ-საეკლესიო ერთგულების წინააღმდეგ. ეს ხდებოდა უხეში პოლიციური ძალადობის, მოსახლეობისათვის კაზიონური მართლმადიდებლობის თავს მოხვევის ცდის ფონზე.

ესტონელები და ლატვიელები ლუთერანობის მიმართ ასე თუ ისე მუდამ გულგრილად იყვნენ განწყობილნი. მათთვის ეს იყო უმთავრესად გერმანელი ბატონების რელიგია. მას შემდეგ, რაც გრაფმა პროტასოვმა ათიათასობით ესტონელსა და ლატვიელს მართლმადიდებლობა ძალად მოახვია თავს, ხოლო შემდეგ ასეთივე სისასტიკე

გამოიჩინეს ცარიზმის სხვა ადმინისტრატორებმა, ამას უკურეაქცია მოჰყვა, გაიზარდა წინააღმდეგობა. ბევრი უბრალო ადამიანი, რომლებიც აქამდე რელიგიის მიმართ გულგრილად იყვნენ განწყობილი, მართლმადიდებლობას განუდგა და ლუთერანული სარწმუნოების თავგანწირული დაცვა დაიწყო. განსაკუთრებით გააშმაგა მოსახლეობა ბალტიისპირეთსა და იმპერიის სხვა პერიფერიულ რაიონებში ბავშვების მოწყვეტამ „არარუსი მშობლებისაგან“ ერთგულ-ქვეშევრდომული და მართლმადიდებლური სულისკვეთებით აღზრდის მიზნით. ბალტიისპირელ პროტესტანტებს, კათოლიკე-პოლონელებს, უკრაინელ დუხობორებსა და უნიათებს, ებრაელებსა და ა. შ. ბავშვებს ართმევდნენ (და შორს, სხვა გუბერნიებში მიჰყავდათ).

ამ ბარბაროსული პრაქტიკისადმი თავიანთი ზიზღის დაფარვა ზოგჯერ მაღალი თანამდებობის პირებსაც არ შეეძლოთ. ლამზდორფი ერთხელ გულდამძიმებული აღნიშნავდა „სამწუხარო ცნობების შესახებ ბალტიისპირეთში მომხდარ ძალადობაზე“. მისი განცხადებით, იქ ცხოვრობდა მრავალი „მართლმადიდებელი“, რომლებიც ლუთერანულ გარემოში აღიზარდნენ. თუ ასეთი ქვეშევრდომები შერეული ქორწინების შემდეგ გვერდს უვლიდნენ თავიანთი შვილების მართლმადიდებლურ ეკლესიაში მონათვლას, „გაიგებდნენ თუ არა ამას ხელისუფალნი. ასეთ ბავშვებს მშობლებს ართმევდნენ. განა შეიძლება მსგავსი საშინელების წარმოდგენა?“ [19].

ერთი შტრიხი კავკასიასთან დამოკიდებულების შესახებ. მეფისნაცვალი გოლიცინი იმპერატორს ატყობინებდა, რომ, მისი აზრით, „სომხებს საკუთარ თავზე ძალზე დიდი წარმოდგენა აქვთ“. ამასთან „სომხური ეკლესია ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის გარევოლუციონერებას“. ურჩობისათვის რომ ჭკუა ესწავლებინა, იმპერატორის თანხმობით მეფისნაცვალმა სომხური ეკლესიის ქონებას ყადაღა დაადო. მაგრამ სახელმწიფო სინოდმა ყადაღის დადება უკანონოდ სცნო და გააუქმა. სინოდის სხდომის ჟურნალის (ოქმის) დამტკიცებაზე მეფემ უარი განაცხადა, რითაც მისი გადაწყვეტილება გააუქმა. ბრძანება ყადაღის დადების თაობაზე ძალაში შევიდა.

ფინელებთან ურთიერთობა. ნიკოლოზ II გამეფების შემდეგ მათთან დამოკიდებულება სულ უფრო სასტიკი ხდება. 1899 წელს ფინეთში გენერალ-გუბერნატორად დანიშნულმა ბობრიკოვმა მკვეთრად გააძლიერა განსაკუთრებულ განკარგულებათა გაცემის პრაქტიკა. ამ სისტემის დამაგვირგვინებელია 1899 წლის 3 თებერვლის მეფის მანი-

ფესტი, რითაც ფინეთის დაწესებულებების ტრადიციულ უფლებათა ნაწილი გაუქმდა. ჰელსინგფორსში სენატმა ამის გამო პროტესტი გაანაცხადა. საგანგებო დეპუტაცია გაიგზავნა პეტერბურგში პეტიციით, რომელსაც ხელს აწერდა 500 ათასი კაცი. ნიკოლოზმა დეპუტაცია არ მიიღო. 1901 წელს სხვა დეპუტაცია მიემგზავრება მასთან ისეთივე მიმართვით. იგი მის მიღებაზედაც უარს აცხადებს. პოლიციურ სისასტიკეს ბობრიკოვის სიცოცხლე შეეწირა. 1904 წლის 3 ივნისს ფინელმა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტმა, სენატორ შაუმანის შვილმა იგი მოკლა. მაგრამ ფინეთის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე ყოფნისას იმავე პრაქტიკას აგრძელებდნენ 1905—1908 წლებში ნ. ნ. ჰერარდი და 1908—1909 წლებში ვ. ა. ბეკმანი. თხოვნით „ნუ დევნით ფინელებს“ მეფეს მიმართა მისმა პაპამ დედის მხრიდან, დანიის მეფემ, მაგრამ ეს გამოსარჩლებაც უყურადღებოდ დატოვეს.

1910 წლის 17 მარტს ნიკოლოზ II მითითებით სტოლიპინმა სახელმწიფო სათათბიროში განსახილველად შეიტანა დებულების პროექტი „ფინეთთან დაკავშირებული კანონებისა და საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დადგენილებათა გამოცემის წესის შესახებ“. ამ ღონისძიებით მეფეს უნდოდა ერთხელ კიდევ მოეხდინა იმის დემონსტრირება, რომ იგი არის „ფინეთის დიდი მთავარი“, რომ მისი უზენაესი გამგებლობა ამ ქვეყანაზე შეურყეველია. რომ მას განზრახული აქვს კი არ შეასუსტოს, არამედ კიდევ უფრო გააძლიეროს თავისი ერთპიროვნული კანონმდებლობის მექანიზმი — ყოველ შემთხვევაში „იმ საკითხებში, რომლებიც ერთდროულად ეხებოდა დიდ სამთავროსაც და მთლიანად იმპერიასაც“.

ამ მოვლენების არსის გაანალიზებისას ვ. ი. ლენინმა სტატიაში „შეტევა ფინეთზე“, რომელიც 1910 წლის 26 აპრილს გამოქვეყნდა, ერთხელ კიდევ დაგმო „თვითმპყრობელობის ნაციონალიზმი, რომელიც ყველა „ინოროდეცს“ თრგუნავდა“. იგი ააშკარავებდა ბურჟუაზიული ლიბერალების ცრუპენტელობას, ფარისეველურ თანაგრძნობას რომ უცხადებდნენ ცარიზმის მიერ დაჩაგრულ ეროვნებებს: „ფრაზა ფრაზადვე დარჩა, დედაარსმა კი ს ა რ გ ებ ლ ო ბ ა მ ო უ ტ ა ნ ა თვითმპყრობელობის კაცთმოძულე პოლიტიკას“. შემდეგ კი წინასწარმეტყველურად ამბობს: „მოვა დრო — ფინეთის თავისუფლებისათვის, დემოკრატიული რესპუბლიკისათვის რუსეთში აღდგება რუსეთის პროლეტარიატი“ [20].

ვიტე ურჩევდა მეფეს „გაეთანაბრებინათ ებრაელები სხვა ქვეშევ-

რდომებისათვის“, მაგრამ რაკი არც „სხვა ქვეშევრდომებს“ ჰქონდათ უფლებები, ამიტომ უფლებათა რაიმე გათანაბრებაზე ლაპარაკიც კი უაზრობა იყო — ყველანი უუფლებობასთან იყვნენ გათანაბრებულნი. მათ შორის უკრაინელებიცა და ბელორუსებიც, ვისაც ეროვნული კულტურაც და მშობლიური ენაც ეკრძალებოდათ. მათ მდგომარეობაში იყვნენ კავკასიის ხალხებიც, რომლებიც ცარიზმის მათრახმა ისე „გააცხარა, რომ ბევრი ალაპარაკდა, კავკასიას ხელახლა უნდა დაპყრობაო“. თუმცა სახელმწიფო სფეროებში ზოგიერთები ასე მსჯელობდნენ, „საჭიროა რუსეთის დაპყრობა და მაშინ კავკასიის დაპყრობა და განაპირა რაიონების ჭკუაზე მოყვანა ძნელი აღარ იქნებაო. მაშ, დაე დაიპყრონ რუსეთი“ [21].

ნიკოლოზ II რწმენის შერყევა არავის შეეძლო: ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ მიმართულ ყველა სპეციალურ კანონს გაუქმება კი არა, გაძლიერება სჭირდება; და თუ არსებობს იმპერიაში ძალა, რომელიც აღსავსეა გადაწყვეტილებით, მხარი დაუჭიროს და დაიცვას განადგურებისა და დევნის ასეთი სისტემა, მისი აზრით, ასეთ ძალას შავრაზმელები წარმოადგენდნენ.

რუსეთის იმპერიაში მოქმედი ძირითადი დებულების თანახმად, ახალი კანონების პროექტები, სანამ მეფეს გადასახედად წარუდგენდნენ, სახელმწიფო საბჭოზე (1905 წლის შემდეგ — აგრეთვე სახელმწიფო სათათბიროზეც) წინასწარ უნდა ყოფილიყო განხილული და დამტკიცებული. ცარიზმის არსებობის უკანასკნელ ათწლეულში ძალაში შესულ არც ერთ რასისტულ-შოვინისტურ აქტს დასახელებულ ინსტანციებში ასეთი პროცედურა არ გაუვლია. ყველა მსგავსი კანონი შემოვლითი გზითა და ფარული წესით იყო გატარებული.

საკანონმდებლო პროექტები, რომლებიც სათათბიროში ან სახელმწიფო საბჭოზე აშკარად განწირული იყო ჩასაფუშად, გაჰქონდათ ეგრეთ წოდებულ მეფესთან არსებულ განსაკუთრებულ სათათბიროზე „უმაღლესი მმართველობის“ წესით. მათ რომ კანონის ძალა მიეღოთ, საკმარისი იყო მხოლოდ და მხოლოდ მეფის ხელმოწერა მინისტრის შესაბამის მოხსენებაზე. ნიკოლოზ II ერთპიროვნული ძალაუფლებით იქნა მიღებული 1905—1910 წლებში ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ მიმართული თითქმის ყველა დადგენილება.

კანონის შემოვლა თუ მასზე დაყრდნობა არაფერს ცვლიდა: იმპერიას დიდხანს ვერ ამყოფებ დარბევათა ატმოსფეროს მუდმივ დაძაბულობაში; „რუსი ხალხის კავშირის“ ბანდებისათვის საჭირო იყო

ფსიქოლოგიური შესაძლებლობის უზრუნველყოფა, რათა ნებისმიერ მომენტში გასულიყო საყაჩაღოდ; დემოკრატიული საზოგადოებრიობა გათანგული უნდა ყოფილიყო „ოხრანკისა“ და შავრაზმელთა მომაკვდინებელი თვალთვალისაგან. რის გაკეთებასაც დუბროვინი და ბუკსჰევდენი ვერ ასწრებდნენ, მას იუსტიციის მინისტრი შჩეგლოვიტოვი და პროკურორი ვიპერი ასრულებდნენ. და პირიქით, შჩეგლოვიტოვსა და ვიპერს შემზარავი რასისტული სასამართლო სპექტაკლებით ტაგანკელი და დემიეევკელი ვაჟბატონებისათვის ახალ საგმირო საქმეთა ჩასადენი გზა გაჰყავდათ. იუსტიცია და პოლიცია, „ოხრანკა“ და გენერალიტეტი, სამხედრო-საველე სასამართლოები და ჟანდარმერია ურთიერთშეთანხმებით მოქმედებდნენ. თითოეული მათგანი კი კოორდინირებდა „მშრომელი ხალხის კავშირთან“, ხოლო ყველა ერთად — „წყალობითა ღვთისათა“ ნიკოლოზ მეორესთან. ნაძირალა შავრაზმელებთან ამფსონობით, სუბსიდიებით, ჯილდოებით, პრემიებით იხდიდა იგი საზღაურს შიშის გამო. შიშისა რევოლუციის წინაშე. შიშისა რუსეთის წინაშე. შიშისა რუსი ხალხის წინაშე — ნამდვილი მშრომელი ხალხის და არა ისეთთა წინაშე, როგორებიც იყვნენ საზოგადოების ნაძირალები.

სწორედ ის ტიტულიანი და უტიტულო ლანდსკნეხტები, რომლებიც იმპერატორის მიერ ჩატარებულ თათბირებზე წლების მანძილზე ასაბუთებდნენ შიმშილის, უცოდინარობისა და მათრახის სიკეთეს რუსი ხალხისათვის, ასეთივე გულმოდგინებით მონაწილეობდნენ წარჩინებულ თანამემამულეებთან ერთად 1905 წლის დარბევებში. პრუსიელ-ოსტზეელი ბარონები და გრაფები ასევე ებმებოდნენ ცემატყეპის ოპერაციებში ცენტრსა და ადგილებზე.

... წვიმიან უკუნეთში ორი კაცი, სველი ქუდები თვალებამდე რომ ჩამოეფხატათ, საელჩოს ფასადისაკენ მიიპარებოდა... ორივენი შესასვლელს მიაწყდნენ; აკანკალებული ხელი ზარს მისწვდა... ვინ არიან ისინი, პროლოგში აღწერილი რუსეთ ს მეფის შუაკაცები გერმანიის ელჩთან?

პირველი ვიზიტიორი: დ ი მ ი ტ რ ი ბ ო რ ი ს ძ ე ნ ე ი დ ჰ ა რ დ ტ ი. ბარონი. სენატორი, მემამულე. მამულები ჰქონდა ნიჟეგოროდისა და პერმის გუბერნიებში. განათლება მიიღო პეტერბურგის პაჟთა კორპუსში. ნიკოლოზ II-თან დაკავშირებული იყო ახალგაზრდობის წლებიდან—პრეობრაჟენსკის პოლკში ერთად მსახურობდნენ. მოგვიანებით ნიკოლოზმა ნეიდჰარდტი არაერთხელ დანიშნა თანამდებობებზე. მსახურობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, იყო ქალაქის თავი ოდესაში, ნიჟეგოროდისა და ეკატერინოსლავის გუბერნატორი. არაჩვეულებრივი სისასტიკე გამოიჩინა სახალხო მღელვარებათა ჩახშობაში. არაერთხელ იყო მხილებული ხაზინის

ქურდობასა და მექრთამეობაში, მაგრამ უავგუსტოესი მფარველის დახმარებით წყლიდან ყოველთვის მშრალი გამოდიოდა. ნასაუს მოდგმისა რუსეთის თავადაზნაურობაში იყო „ჩასიძებული“, დ. ბ. ნეიდჰარდტის ღვიძლი და ცოლად ჰყავდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს პ. ა. სტოლიპინს. ნიკოლოზის მეფობის დასასრულს ნეიდჰარდტი სენატორის ჩინით მონაწილეობდა მაღალ ინსტანციებში მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების გარჩევისას. ამ დროს მოუსწრო მას თებერვლის რევოლუციამ. 1918 წელს დენენის შესახვევში გერმანიის ელჩთან გამართული წარემატებელი მოლაპარაკების შემდეგ გერმანიაში გაიქცა და იქ. რაიხენჰალეში დაასრულა სიცოცხლე *.

მეორე ვიზიტიორი: ალექსი ალექსანდრეს ძე ბუდბერგი ეკუთვნოდა ბუდბერგებისა და ბენინგსჰაუზენების ბარონთა განშტოებულ საგვარეულოს, რომელიც ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ვესტფალიიდან ლიფლანდიაში გადასულა, ხოლო XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთში მოღვაწეობდა სამხედრო და დიპლომატიურ სარბიელზე.

მეფეებთან ბევრი ბუდბერგი მსახურობდა, თანაც ყველას მაღალი თანამდებობა ეკავა: მათ შორის იყვნენ მინისტრები, ელჩები, ჯარების სარდლები, ხოლო ერთ-ერთ ბუდბერგს (ალექსანდრე ალექსანდრეს ძეს) ორი უკანასკნელი მეფის დროს, ოცდაორი წლის მანძილზე (1891-დან 1913 წლამდე), მისი უმაღლესობის სახელზე შემოსულ თხოვნათა კანცელარიის მთავარი მმართველის თანამდებობა ეკავა. იგი ფაქტიურად ნიკოლოზ II პოლიტიკური მრჩეველი იყო, მასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მონაწილეობდა „თავისუფლების შესახებ“ 1905 წელს გამოცემული მანიფესტის შემუშავებაში. იმავე პერიოდში იღვწოდა „რუსი ხალხის კავშირისათვის“ საიდუმლო ფულადი ფონდების შექმნისათვის. ალექსანდრე ბუდბერგიც და მისი ოჯახის ახლო მეგობარი — ჰანოვერიდან გადმოსახლებული ტულელი მემამულე გუსტავ კესტრინგიც, რომელსაც 1914 წლამდე

---

* მცირეოდენი დამატება. ჟურნალ „ზნამიას“ ერთ-ერთმა მკითხველმა, გორკელმა პეტრე ივანეს ძე შმელიოვმა, ამ წიგნის ავტორს წერილი გამოუგზავნა. იგი იწერება: „...ეს ბარონი კარგად დაამახსოვრდა ჩვენს ოჯახს.

მსხვილი მემამულე იყო. ერთ-ერთი მამულთაგანი ჩვენთან კნიაგინინსკის მაზრის იჩალკოვსკის თემში ჰქონდა. მამაჩემი, ჯერ კიდევ პატარა ბიჭი, ბარონის საქონელს მწყემსავდა. ერთხელ საქონელი სადღაც ნაკრძალში გადასულა. როგორც შემდეგ მამამ მიამბო, ბარონს მისი გაწკეპვლა უბრძანებია. ნეიდჰარდტის თვალწინ მამასახლისმა იუდინმა მამას მხეცურად სცემა, ჭრილობების ნაწიბურები მას მთელი სიცოცხლის მანძილზე აწამებდა.

ეს ის ნეიდჰარდტი იყო, ვისთანაც მეფე ჭაბუკობის წლებიდან მეგობრობდა და ლამის ხვევნა-კოცნით გულშიც იკრავდა. ჭეშმარიტებაა: მითხარი ვინ არის შენი მეგობარი, და მე გეტყვი, ვინა ხარ შენ“.

არ გაუწყვეტია კავშირი კაიზერის რაიხთან, ყოველმხრივ ცდილობდნენ დახმარებოდნენ შავრაზმელებს მატერიალური სახსრებით.

შავრაზმული აღტყინება ბეჭედივით აზის ბარონ ალექსანდრე ბუდბერგის რევოლუციის შემდეგდროინდელ გზასაც, როცა იგი გენერლის ჩინით მსოფლიო ომში რუსულ კორპუსს მეთაურობდა. ამან მიიყვანა იგი კონტრრევოლუციონერთა ბანაკში. მირბახთან ცნობილი ვიზიტის შემდეგ ბუდბერგი შორეულ აღმოსავლეთში დაბრუნდა, სადაც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ უნდა დამკვიდრებულიყო. იქ, ხარბინში, იგი კოლჩაკის გარემოცვაში აღმოჩნდა და მისი ახალი აღზევება დაიწყო. 1919 წლისათვის ომსკში „უზენაეს გამგებელთან" სამხედრო მინისტრია. თავისი მოღვაწეობის ომსკის პერიოდს უძღვნა შემდეგში მემუარები, რომელიც გამსჭვალულია რუსეთისადმი ზიზღით. თავისებური ლოგიკაც არის და ბედის ირონიაც, რომ ეს ყოფილი ერთგული მომხრე „რუსი ხალხის კავშირისა", უკვე თეთრგვარდიულ ემიგრაციაში მყოფი, რუს ხალხს „ძ.-შ. (ძაღლის შვილების) პარტიას" უწოდებდა და ამტკიცებდა, თითქოს „რუს ხალხს ნამდვილი გმირობა და თავგანწირვა არ ძალუძს" [22].

განა ბუდბერგები და ნეიდჰარდტები არ იყვნენ, ამ ცოტა ხნის წინათ ვიტრინების მსხვრევისა და ცემით გატანჯული ხალხის კვნესის ხმაზე შემწყნარებლურ-ფარისევლურ კომპლიმენტებს რომ ეუბნებოდნენ რუს ხალხად გასაღებულ „ძმებს". მაგრამ აღსანიშნავია, რომ შავრაზმულმა ინერციამ ისინი უფრო შორს წაიყვანა. შეიძლება ეს ის ხალხი კი არ იყო, ვინც მეფის რუსეთის დროს „რუსი ხალხის კავშირში" მოღვაწეობდა, არამედ მათი შვილები, სწორედ ისინი, ვინც მესამე იმპერიაში ჰიტლერის ერთგული ქვეშევრდომები აღმოჩნდნენ.

ოტო ოიჰენ ბუდბერგი. 1921 წელს მამასთან ერთად წავიდა გერმანიაში პაბაჟი-საულკრასტის რაიონიდან (რიგასთან ახლოს მდებარეობს).

ოციანი წლების შუა ხანებში შევიდა რაიხსვერში. წინ მიიწევდა როგორც თანამდებობრივად, ისე სამხედრო ჩინითაც. 1940—1941 წლებში ვერმახტის 22-ე სატანკო დივიზიაში მაიორის ჩინით მონაწილეობს ბელგიაზე, საფრანგეთზე, საბერძნეთზე, იუგოსლავიასა და საბჭოთა კავშირზე თავდასხმაში. ლენინგრადთან, პუშკინის რაიონში, გამართული ბრძოლებით ხელს უწყობდა იმ სასახლეების ნგრევას, სადაც ოცდაათი წლის წინათ მისი ნათესავი ალექსანდრე ანდრიას ძე ნიკოლოზ II მოხსენებებს წარუდგენდა ხოლმე. ო. ო. ბუდბერგი უშუალო დამნაშავეა პუშკინში ეკატერინეს დიდი სასახლის გაძარცვისა. იგი იყო ორგანიზატორი ცნობილი „ქარვის კაბინეტის" გატაცებისა, რომელიც დღემდე ნაპოვნი არ არის.

ვანდალიზმის ეს აქტი ჩაიდინა ლეიტენანტ ზოლმსლაუბახთან ერთად, რომელიც მისი ბრძანებითა და ხელმძღვანელობით მოქმედებდა. 1945 წლის 5 მარტს ბუდბერგი ჰიტლერელთა უმაღლესი მთავარსარდლობის ცნობაში მოხსენიებული იყო როგორც შეტევაზე გადმოსული საბჭოთა ჯარებისაგან ბრესლაუს დაცვის „გმირი“.

ერნსტ კესტრინგი. ოტო ბუდბერგის მსგავსად ისიც რუსეთში დაიბადა და გაიზარდა. სწავლობდა მოსკოვსა დ პეტერბურგში. რუსულ ენას ისე ფლობდა, როგორც მშობლიურს. ჩვენს ქვეყანაში ბევრს მოგზაურობდა. 19 წლისა წავიდა გერმანიაში, მოხალისედ შევიდა ცხენოსანთა რაზმში, იბრძოდა აღმოსავლეთის ფრონტზე. კაიზერის ჯარებში ყოფნისას, კერძოდ, 1918 წელს, მონაწილეობდა უკრაინაზე შეტევაში. იმყოფებოდა სკოროპადსკის მისიაში. ვაიმარის გერმანიის დროს მსახურობდა რაიხსვერში პოლკოვნიკის ჩინით. ორჯერ იყო გერმანიის სამხედრო ატაშე მოსკოვში: 1931—1933 და 1935—1941 წლებში, ფაშისტური გერმანიის თავდასხმამდე საბჭოთა კავშირზე. ექვსი წლის განმავლობაში ამარაგებდა მოსკოვიდან ჰიტლერს მოხსენებებითა და ყოველგვარი შესაძლებელი ინფორმაციებით, რომლებმაც საკმაო როლი შეასრულეს სსრ კავშირზე თავდასხმის გადაწყვეტაში. ომის წლებში ფრონტისპირა ხაზზე ანტისაბჭოური ნაძირალებისაგან ბანდებს აყალიბებდა. ომის ბოლოს ტყვედ ჩაუვარდა ამერიკელებს, რომელთაც იგი გაათავისუფლეს. ომის შემდეგ ცხოვრობდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ადენაუერისა და შტრაუსის ნაწყალობევი პენსიით, წერდა მემუარებს, დასტიროდა ნაცისტების მიერ სსრ კავშირის წინააღმდეგ წამოწყებული ბლიცკრიგის წარუმატებლობას.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური არქივის სამხედრო განყოფილების მიერ „რაიხის გამოჩენილი ჯარისკაცების“ სერიით გამოცემულ აპოლოგეტურ თხზულებათა შორის ყურადღებას იქცევს მოგონებების კრებული გერმანიის ყოფილ მოსკოველ ელჩზე შემდეგი სახელწოდებით: „გენერალი ერნსტ კესტრინგი“. ამ რევანშისტული სულისკვეთებით გაჟღენთილმა წიგნმა, რომლის დანიშნულებაა ნამუსი მოსწმინდოს ჰიტლერულ მხედრობას, საერთაშორისო დემოკრატიული პრესის, მათ შორის საბჭოთა პერიოდიკის სამართლიანი კრიტიკა დაიმსახურა [23].

დროთა სიღრმიდან გაისმის დღევანდელ ჰიტლერელთა თანამოაზრის, „რუსი ხალხის კავშირის“ ერთგული ტრუბადურის, ბალტიისპირელი მემამულის, სახელმწიფო საბჭოს წევრის ადალბერტ კრამერის ხმა. რუსეთის პირველი რევოლუციის დღეებში იგი რასიზმისა და კაცთმოძულეობის ერთ-ერთი მხურვალე მქადაგებელი იყო რუსეთში. მის მიერ იმ დროს წარმოთქმულ სიტყვებსა და გებელსისა და შტრაიპერის მიერ სამი ათეული წლის შემდეგ მიუნხენსა და ნიურნბერგში წარმოთქმულ მონოლოგებს შორის საოცარი მსგავსებაა. მოწონებით უსმენდნენ მის პროვოკატორულ ყბედობას მიღებებსა და თათბირებზე გენერლები, გუბერნატორები, მაღალი ჩინის პოლიციელები. ადგილიდან დგებოდნენ და მისთვის ხელის ჩამორთმევას ისწრაფოდნენ ფონ დერ ლაუნიცი, მელერ-ზაკომელსკი, ბუსსჰევდენი და მათი მსგავსი მოღვაწენი, რომლებმაც ხანძრის ალში გახვიეს უკრაინისა და ბალტიისპირეთის ცა ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინ, სანამ მათი საქმის მიმდევრები — ესესელ-გესტაპოელთა ზონდერკომანდები გამოჩნდებოდნენ.

ღიმილითა და თანაგრძნობით უსმენდა კრამერს მეფეც სასახლეში ჩატარებულ თათბირებზე. როდესაც ფონ კრამერის გამოსვლებმა ზოგიერთი ბურჟუაზიული პოლიტიკოსიც კი აღაშფოთა და თვითგასამართლების წამქეზებლობისათვის მისი სამართალში მიცემაც მოითხოვეს, ნიკოლოზ II მას დემონსტრატიულად მიაკუთვნა სტატს-მდივნის წოდება და მამულში რიგასთან მისასალმებელი დეპეშაც გაუგზავნა.

დაუსჯელობამ შავრაზმელებს — მოთავეებსა და მათ მიერ გადმობირებულ ბრბოსაც ფრთები შეასხა. იყო შემთხვევები, როცა დარბევებში მონაწილე დამნაშავეების დასჯას (თუ მათ დააკავებდნენ) თვით მეფის იუსტიციაც კი ვერ უვლიდა გვერდს. მაშინ მათ ნიკოლოზი თავად ათავისუფლებდა სასჯელისაგან. ეს იმ დროს, როდესაც მისი თანდასწრებით რევოლუციონერთა შეწყალებაზე ლაპარაკიც კი აკრძალული იყო: „კავშირის წევრებს“ პირველსავე თხოვნაზე ესარჩლებოდა, ზოგჯერ თხოვნის გარეშე თავისი ინიციატივით მოქმედებდა. ერთხელ კონოვნიცინთან საუბარში მან თვითონვე აღიარა, რომ „გამუდმებული ბრძოლა აქვს საკუთარ სასამართლოსთან“ შავრაზმელების სასარგებლოდ. „მე ვიცი, — უთქვამს მას თანამოსაუბრისათვის, — რუსული სასამართლოები დარბევის მონაწილეებს ზედმეტი სიმკაცრითა და პედანტიზმით ეკიდებიან. გაძლევთ მეფურ სიტყვას, რომ ყოველთვის შევასწორებ მათ განაჩენს ჩემთვის ძვირფასი „რუსი ხალხის კავშირის“ თხოვნით“ [24]. განაჩენს „ასწორებდა“, „გასწორების“ შემდეგ კი შეეძლო ბრალდებულისათვის გაეგზავნა მისასალმებელი დეპეშაც, „მეფური კოცნაც“, მადლობაც და ჯილდოც. მის ყარყუმის მოსასხამში შავი რაზმი იმალებოდა, წერდა მისი თანამედროვე, და რუსეთის ტახტს ამოფარებული თავის შხამიან ენას ასისინებდა; რაზმი „ისე იყო შემჭიდროებული და ორგანიზებული, როგორც მხოლოდ ქურდებისა და ყაჩაღების ბანდებს შეუძლიათ, რადგანაც სხვაგვარად მათ ბოლო მოეღებათ“ [25].

ამრიგად შეიქმნა ერთადერთი თავისებურად მრავალფენიანი სასამართლო-ბაშიბუზუკური ამალგამა, რომელსაც საზოგადოებრივ წრეებში „დამსჯელ თვითმპყრობელობას“ უწოდებდნენ. ეს იყო ცბიერი და ამასთან პრიმიტიულობამდე გაუბრალოებული სისტემა, რომელშიც ხალხის ერთობლივი წამების საფუძველზე, მათივე მათრახისა და ცულის ერთსულოვან მოქნევაში გაერთიანდნენ ქურდი და პოლიციელი, დაქირავებული ჯარისკაცი და დიდი მთავარი, სამეკიტნოს ხელზე მოსამსახურე და გენერალ-გუბერნატორი.

იმპერატორის როლი ამ სისტემაში უმთავრესი იყო; პრაქტიკაში მონაწილეობა — მაკოორდინირებელი და აღმაფრთოვანებელი. ხოლო ამ დამსჯელი და დამცველი სისტემის თვალსაჩინო მოღვაწენი კრამერი და პურიშკევიჩი სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნებიდან ამხელდნენ ორთავიანი არწივის წინააღმდეგ მიმართულ „იუდეველ-მასონურ მსოფლიო შეთქმულებას“ და მოუწოდებდნენ ხელმწიფე-იმპერატორს გავარვარებული შანთით ამოეწვა და ამოეძირკვა რუსეთის ნიადაგიდან „იროდის თესლი“.

მაგრამ თვითმპყრობელს ასეთი მოწოდებები არ სჭირდებოდა. ბიძგი ზედმეტი იყო — იგი თავადაც მიდიოდა.

მხოლოდ საით მიდიოდა და სად მიიყვანდა ეს გზა — არც მისთვის და არც მასთან დაახლოებულთათვის ჯერ კიდევ მთლად ნათელი არ იყო.

დედანში წერია

ვინ იყო მეფე — ადამიანი თუ ღმერთი?

— გულახდილად მითხარით, სერგეი იულიევიჩ, — უთხრა ერთხელ დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს,— თქვენ როგორ ფიქრობთ, ხელმწიფე ადამიანია თუ არა?

მან უპასუხა:

— ხელმწიფე ჩემი ხელმწიფეა, მე კი მისი ერთგული მსახური ვარ, და თუმცა იგი ჩვენ ღმერთმა თუ ბუნებამ მოგვივლინა, ის მაინც ადამიანია, ადამიანისათვის დამახასიათებელი ყველა თავისებურებით.

— არა. — შეეპასუხა დიდი მთავარი. — მე ხელმწიფე ადამიანად არ მიმაჩნია. იგი არც ადამიანია და არც ღმერთი, რაღაც საშუალოა [26].

დედამიწაზე მყოფ თვითმპყრობელსა და ზეცაში არსებულ უზენაეს ძალას შორის ერთ-ერთი განსხვავება, როგორც ჩანს, ის იყო, რომ იმ დროს, როდესაც დასახელებული ძალა შემოსულ და გასულ ქაღალდებს არ კითხულობდა და ჩამორჩენილ საქმისწარმოებას არ წარმართავდა, მეფეს საქმის წარმოება ჰქონდა, რის გამოც არქივებს შემორჩა მრავალი პატაკი, ანგარიში, ცნობა და მოხსენება, რომ-

ლებზედაც შავით თეთრზე აღბეჭდილია რეზოლუციები დიდი ხნის წინათ დადგენილი ფორმით: მ ი ს მ ა ი მ პ ე რ ა ტ ო რ ო ბ ი თ მ ა უ დ ი დ ე ბ უ ლ ე ს ო ბ ა მ კ ე თ ი ლ ი ნ ე ბ ა მ ა თ ზ ე ს ა კ უ თ ა-რ ი ხ ე ლ ი თ წ ა ე წ ე რ ა...

78-მა პეტერბურგელმა ლიტერატორმა მოაწერა ხელი მისი უმაღლესობის სახელზე გაგზავნილ პეტიციას. იგი შეიცავდა თხოვნას: „კეთილინებეთ, ხელმწიფეო, და მიიღეთ რუსული ლიტერატურა კანონის მფარველობაში“. მწერლები რაიმე შეღავათებს ანდა უპირატესობებს კი არ ითხოვდნენ, არამედ მარტო იმას, რომ „ლიტერატურა არ მდგარიყო მართლმსაჯულების გარეშე“, ანუ მწერლებისათვის სასჯელი განესაზღვრათ არა ადმინისტრაციული (პოლიციურ-ჟანდარმული), არამედ სასამართლო წესით. მიმართვა მეფეს გაღაეცა თხოვნათა საიმპერატორო კანცელარიის (მას განაგებდა ა. ა. ბუდბერგი) საშუალებით. პასუხი გაეგზავნა ერთ-ერთ ხელისმომწერს, აკადემიკოს ბილბასოვს, რომელიც მას გადასცა უბნის ზედამხედველმა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მასში ნათქვამი იყო: დ ა რ ჩ ე ს ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი შ ე დ ე გ ი ს გ ა რ ე შ ე. ნ ი კ ო ლ ო ზ ი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მეფეს წარუდგინა მოხსენება საგაფიცვო მოძრაობის შესახებ, რომელშიც აღნიშნული იყო, თუ სად რამდენი გაფიცვა ჩაიშალა შტრაიკბრეხერების დახმარებით, რამდენი დაითრგუნა ძალის გამოყენებით. მოხსენებას ერთვის ნიკოლოზის წარწერა: შ ე მ დ ე გ შ ი ა ც ი მ ო ქ მ ე დ ე თ შ ე უ წ ყ ნ ა რ ე ბ-ლ ა დ.

რამდენიმე გუბერნატორი ჩიოდა შტრაიკბრეხერების მოზიდვის სიძნელეებზე, რადგანაც მუშები მათ ჩვეულებრივ ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ. 1905 წლის 2 დეკემბერს მეფემ ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რის თანახმადაც, ის შტრაიკბრეხერები და პროვოკატორები, რომლებიც მონაწილეობდნენ გაფიცვების ჩაშლაში, ხელისუფლებას ოფიციალური დაცვის ქვეშ უნდა აეყვანა: გაფიცვების „მოთავეთათვის“ დადგინდა პატიმრობა ოთხი წლიდან და მის ზემოთ[27].

1905 წლის 22 ივლისს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი დ. თ. ტრეპოვი უგზავნის მეფეს პატაკს და ითხოვს ნებართვას კურლიანდიის გუბერნიაში პოლიციის შტატის გაზრდის თაობაზე. ამას მოჰყვა მისი უმაღლესობის ბრძანება: გ ა ი ზ ა რ დ ო ს პ ო ლ ი ც ი ი ს შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა ი მ ა ნ გ ა რ ი შ ი თ, რ ო მ 400 მ ო ს ა ხ-ლ ე ზ ე მ ო დ ი ო დ ე ს ე რ თ ი პ ო ლ ი ც ი ე ლ ი. ამასთან მითითე-

ბულია: პოლიციელთათვის ხელფასის მოსამატებლად გამოიყოს 19 მილიონი მანეთი [28].

კიევის სამხედრო ოლქის სარდალი მოახსენებს, რომ მუშათა რევოლუციური განწყობილება ჯარისკაცებზეც გადადის; ჯარების მოსახლეობასთან დაახლოება, მისი აზრით, არმიას დაშლით ემუქრება. და სთავაზობს: განარიდონ გარნიზონები ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან, რისთვისაც ყაზარმები უნდა შემოაკაონ ფიცრის მაღალი მესრით. მეფე არშიაზე აწერს: შ ე მ ო კ ა ვ ე ბ ა ზ ე რ ა ც ა რ ი ს ნ ა თ ქ ვ ა მ ი, ს წ ო რ ი ა, ს რ უ ლ ი ჰ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ა.

მესერი კარგი იყო, მაგრამ გაროზგვა კიდევ უკეთესი. იმპერიაში მოქმედი „გაჯოხვის დებულების“ შესაბამისად, ადგილობრივი პოლიციის უფროსს შეეძლო თავისი შეხედულებისამებრ გაეროზგა ნებისმიერი გლეხი. ამ „დებულებას“, როგორც სამარცხვინო დოკუმენტს, წინ აღუდგა სახელმწიფო საბჭო. საბჭოში გამართული დისკუსიის ანგარიშზე წარწერაა: რ ო ც ა მ ი ნ დ ა, მ ა შ ი ნ გ ა ვ ა უ ქ მ ე ბ.

პეტერბურგის ქალაქის თავი წინადადებას იძლეოდა: ყველაზე უფრო „ჭირვეულ“ გაფიცულთათვის ადმინისტრაციული წესით მიესაჯათ პატიმრობა „მუშათა სახლებში განსაკუთრებულად მკაცრი რეჟიმის დაწესებით“, ანუ ქალაქის თავი სასამართლოს გარეშე იძულებითი შრომის პოლიციური ფორმის კიდევ ერთ რეკომენდაციას იძლეოდა. მოხსენებით ბარათს აქვს მეფის შემდეგი რეზოლუცია: დ ი ა ხ, ა ნ დ ა რ ო ზ გ ე ბ ი, რ ო გ ო რ ც დ ა ნ ი ა შ ი ა.

ხერსონის გუბერნატორი წლიურ ანგარიშში იტყობინებოდა მუშათა რაიონებში „სამართალდარღვევათა“ გახშირების შესახებ. არშიაზე რეზოლუციაა: რ ო ზ გ ე ბ ი!

გაროზგვა კარგი იყო, მაგრამ ჩამოხრჩობა უკეთესი. შორეული აღმოსავლეთის სარდლობა პეტერბურგში იტყობინება, რომ თითქოს არმიის დაშლის მიზნით მასში ქვეყნის ცენტრიდან მივიდნენ „ანარქისტი-აგიტატორები“. მეფე არ დაინტერესებულა არც გამოძიებით და არც სასამართლოთი, თვით ფაქტის უბრალო დამტკიცებაც არ უცდია, ისე ბრძანა: დ ა კ ა ვ ე ბ უ ლ ნ ი ჩ ა მ ო ა ხ რ ჩ ე თ.

ჩამოხრჩობა კარგი იყო, მაგრამ დახვრეტაც ხომ შეიძლებოდა. ვიტე მოახსენებდა ბალტიისპირეთის გუბერნიებში სადამსჯელო ექსპედიციის სარდლის რიხტერის „ზედმეტი გულმოდგინების“ შესახებ. მისი ჟანდარმები როზგავდნენ უკლებლივ ყველა გლეხს, ხვრეტდნენ

მათ სასამართლოსა და გამოძიების გარეშე, სწვავდნენ სოფლებს. ბარათს ახლავს მისი უმაღლესობის რეზოლუცია: ა ი ყ ო ჩ ა ღ![29]

სახელმწიფო სათათბიროში (მეორე) ცხარე კამათი ატყდა რიგის ციხეში პატიმრების დახვრეტის გამო. მეფის მოთხოვნით, შინაგან საქმეთა სამინისტრო მოხსენებით ბარათს ურდგენს მას მომხდარი ამბის შესახებ. იქ, სადაც დაწვრილებითაა მოთხრობილი, როდის და ვინ ესროლა პატიმრებს, აღნიშნულია: ყ ო ჩ ა ღ მ ე ბ ა დ რ ა გ ე ე ბ ო! ა რ დ ა ბ ნ ე უ ლ ხ ა რ თ!

პრესნიაზე გამართული ბრძოლების შედეგების შესახებ მოსკოველ ხელისუფალთა მიერ წარდგენილი პატაკის წაკითხვის შემდეგ მან დღიურში აღნიშნა: მ ა დ ლ ო ბ ა ღ მ ე რ თ ს, ა მ ბ ო ხ ე ბ ა მ ო ს კ ო ვ შ ი ი ა რ ა ღ ი ს ძ ა ლ ი თ ჩ ა ქ რ ა[30].

გაიგო თუ არა, რომ ფიდლერის სასწავლებლის ალყა, სადაც 100 რაზმელი იცავდა თავს, შენობის დანგრევით (არტილერიის დახმარებით) და ალყაში მყოფთა სიკვდილით დამთავრდა, ნიკოლოზმა ცარსკოე სელოდან მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: გ ე ნ ე რ ა ლ-გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი ს დ ა მ ო წ მ ე ბ ი ს თ ა ნ ა ხ მ ა დ, ჯ ა რ ე ბ ს ს ა უ ც ხ ო ო მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს გ ა ვ ა ლ ე ბ თ გ ა მ ო უ ც ხ ა დ ო თ ჩ ე მ ი გ უ ლ ი თ ა დ ი მ ა დ ლ ო ბ ა[31].

მუშათა დემონსტრაციის დახვრეტისა და 47 კაცის მოკვლის შესახებ გამოგზავნილ უფის გუბერნატორის მოხსენებას ნიკოლოზი აწერს: ს ა მ წ უ ხ ა რ ო ა, რ ო მ ც ო ტ ა ნ ი დ ა ხ ო ც ი ლ ა ნ[32].

სროლა შეიძლება, მაგრამ არც დახრჩობაა ურიგო. ვიტეს მიერ ქვეყნის მდგომარეობაზე მოხსენების შემდეგ, მეფე ფანჯარასთან მივიდა, ნევას გახედა და თქვა: ე ს რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ ე ბ ი ყ ვ ე ლ ა ნ ი ე რ თ ა დ უ ნ დ ა შ ე კ რ ი ბ ო დ ა ყ უ რ ე შ ი ჩ ა ა ხ რ ჩ ო.

დაწვა... ტომსკში ციმბირის რკინიგზის სამმართველოს სამსართულიან შენობაში დემოკრატიული საზოგადოებრიობის მიტინგია გამართული. გუბერნატორ აზანჩევსკ-აზანჩეევის ნიშანზე შავრაზმელებმა შენობას ალყა შემოარტყეს და ცეცხლი წაუკიდეს. სამივე სართულს ალი მოედო. ცეცხლის ჩაქრობა აკრძალულია. მოედნის მეორე მხარეს თავისი სახლის აივანზე გადმომდგარი გუბერნატორი ხანძრის ცქერით ტკბება. ყველა, ვინც კი შენობის უკანა კარიდან გამოსვლა მოიწადინა, ადგილზევე მოკლეს. პროვოკაციის შედეგი სასწაულებ-

რივი გამოდგა: დაიღუპა ათასი კაცი. სამაგიეროდ, პეტერბურგიდან გუბერნატორის სახელზე მადლობის დეპეშა და „მეფური კოცნა“ მოვიდა.

1905 წლის დეკემბერში გომელში მომხდარი დარბევის შემდეგ დადგინდა, რომ მოსახლეობის ცემა-ტყეპა „რუსი ხალხის კავშირის“ დახმარებით მოუწყვია ადგილობრივი ჟანდარმერიის ოფიცერს გრაფ პოდგორიჩანს. გამოძიების მონაცემები ვიტემ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე გაიტანა. მოისმინა რა შინაგან საქმეთა მინისტრის დურნოვოს მოხსენება, მთავრობამ დაადგინა: გადაეყენებინათ პოდგორიჩანი თანამდებობიდან და გადაეცათ სასამართლოსთვის. მეფეს მიუღია თუ არა სხდომის ჟურნალი (ოქმი) დასამტკიცებლად, წაუწერია: კაცმა რომ თქვას, ამასთან ვის რა საქმე აქვს? და ოქმის დამტკიცებაზე უარი უთქვამს.

ღმერთკაცი ციხის გასაღებებს თითქოს არ უნდა აეღარუნებდეს. მაგრამ სინამდვილეში მას მაგრად აქვს ჩაბღუჯული დათრგუნვისა და ტერორის მექანიზმის უშუალო მართვის ბერკეტები და ხელიდან არ უშვებს. პირადად ადევნებს თვალს სადამსჯელო დოლაბის ბრუნვას. მეფე იმპერიის მართვის ამ დარგის სულისჩამდგმელია. აქ არაფერი კეთდება მისი ნებართვისა და სანქციის გარეშე.

დედაქალაქში, პეტრე-პავლეს ციხესიმაგრის ტრუბეცკის ბასტიონში სამხედრო-საველე სასამართლოს სხდომა მიმდინარეობდა. ეს დასტურდება გენერალ მ. ა. გაზენკამპფის მიერ 1906 წლის 11 სექტემბერს ოლქის ჯარების დროებითი სარდლისა და გვარდიის გენერლის ა. ვ. ელისისადმი გაგზავნილი წერილით. საოლქო შტაბის სექტემბრის იმავე რიცხვის № 1687 „საიდუმლო გამოხმაურებაზე“ (ანუ სურვილზე) დაყრდნობით პირველი საქმის ვითარებას აცნობს მეორეს: „თქვენდამი რწმუნებული ციხესიმაგრის ტრუბეცკის ბასტიონი შერჩეულია როგორც ერთადერთი (პეტერბურგში — მ. კ.) ადგილი, სადაც სავსებით უზრუნველყოფილია სხდომების უშიშრად ჩატარება, სიკვდილის განჩინებათა სისრულეში მოყვანა კი უნდა მოხდეს დედაქალაქის გარეთ“ [33].

ორსართულიანი ბასტიონის ყოველი სართული 36 ერთადგილიან საკანს ითვლიდა; სულ კი ასეთი საკანი 72 იყო. აქ ათავსებდნენ იმ პატიმრებს, რომლებთაც ხელისუფლება ყველაზე საშიშად თვლიდა და ამიტომ ჰყავდა ისინი საიმედო იზოლაციაში. პოლიციის დეპარტამენტი პატიმრებს გადასცემდა ბასტიონს, ხოლო ბასტიონი სიკვდილ-

მისჯილთ — სამხედრო-საველე სასამართლოს, რომელიც სხდომებს იქვე, საკანთა რიგებს შორის, კომენდანტის ბინაში მართავდა. საუკუნოვანი ტრადიციის თანახმად, პეტრე-პავლეს (როგორც შლისელბურგისა) ციხის კომენდანტის თანამდებობა შეეძლო დაეკავებინა მხოლოდ იმ პირს, ვინც სარგებლობდა მეფის უსაზღვრო ნდობით, ვისაც ნებისმიერ დროს ჰქონდა მასთან შესვლის უფლება და პირადად მისგან ღებულობდა მითითებებს.

პირველი რევოლუციის წლებში ასეთი პიროვნება იყო გენერალი ა. ვ. ელისი. კომენდანტი სისტემატურად უგზავნის ნიკოლოზ II სამუშაო კაბინეტში კრებით მოხსენებასა და დაპატიმრებულთა სიას ყოველი თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით. თუ რამდენად მეთოდურად და შეუნელებლივ მისდიოდა მეფეს ეს ინფორმაცია თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე, ამას მოწმობს არქივებში შემონახული პეტრე-პავლეს ციხის კომენდანტის მიერ ნიკოლოზ II-საღმი 1900 წლის 1 იანვრიდან 1917 წლის 1 იანვრამდე გაგზავნილი მოხსენებები და აგრეთვე „სანკტპეტერბურგის ციხესიმაგრეში 1900—1916 წლებში მყოფი საიდუმლო პატიმრების ანბანური წესით შედგენილი სია“ [34].

იგი ასეთსავე სისტემატურ ინფორმაციას იღებდა სხვა წყაროებიდანაც: „ოხრანკიდან“ (ყოველკვირეულ ცნობებს ძებნასა და დაპატიმრებათა შესახებ); ჟანდარმთა კორპუსიდან; დამსჯელი ექსპედიციის უფროსებისაგან.

აი პატაკების ნიმუშები. ციმბირში განხორციელებული ერთ-ერთი დასჯის შესახებ გენერალი გროდეკოვი მას ცარსკოე სელოში დეპეშით ატყობინებს:

სიკვდილის განაჩენის სისრულეში მოყვანისას ხალხის ტალღა მოგვაწყდა და რკალის გარღვევას ცდილობდა, მაგრამ სროლით შევაჩერეთ [35].

სასახლის კომენდანტის ყოველკვირეული მოხსენებითი ბარათი ამბოხებასთან ბრძოლის შესახებ:

1906 წლის 26 იანვარი

ჩერნიგოვის გუბერნიის სურაჟის მაზრაში წესრიგს ამყარებს ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი გენერალი რუდოვი.

კაზაკების რაზმის თანხლებით მან მოიარა ორმოცზე მეტი სოფელი. ატარებს ყრილობებს, მოითხოვს წამქეზებელთა დასახელებას, მემამულეებისათვის ქონების დაბრუნებას. ამასთან წამქეზებლები იქვე ისჯებიან გაწკეპვლით.

როცა ყრილობა უარს აცხადებს მოთავეთა გაცემაზე, გენერალი რუდოვი იძ-

ლეა ბრძანებას გადაწვან ქოხები, რის შემდეგაც გლეხები დიდ სინანულს გამოთქვამენ.

გაწყეპლილია 120 კაცი. იყო შემთხვევები, როცა გლეხები ცულებითა და ცელებით თავს ესხმოდნენ კაზაკების ასეულის მეთაურს. მაგრამ მათ აღგილევე კლავდნენ.

რის შესახებაც ყოველად უქვეშევრდომილეს მოვალედ ვრაცხ თავს თქვენს იმპერატორობითს უდიდებულესობას მოვახსენო.

მისი უდიდებულესობის მხლებელი
გენერალ-მაიორი ტრეპოვი[36].

ყოველ კვირას წარუდგენდა სოლმე პირადად მას ცნობას რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე შინაგან საქმეთა მინისტრი პ. ნ. დურნოვო. ერთ-ერთი მათგანი გვამცნობს:

1906 წლის 11 იანვარი

ბალტიისპირა მხარეში აჯანყება შეიძლება ჩახშობილად ჩაითვალოს. 3 იანვარს ორმოცდაექვსი თემის დელეგატებმა გენერალ-მაიორ შტოფს განუცხადეს თავიანთი სრული მორჩილებისა და თვინიერების შესახებ, ამასთან ერთხმად იმღერეს ჰიმნი „ღმერთო, შენ დაიფარე მეფე“. სიმღერა დაამთავრეს ვაშას ერთსულოვანი შეძახილით.

მაგრამ მაზრებში ძალმომრეობის შემთხვევები მემამულეების მიმართ მეორდება.

აჯანყება კავკასიაში ვლადიკავკასის გზის მიმართულებით ჩახშობილია.

სერსონის გუბერნიის ალექსანდრიისა და ელისავეტგრადის მაზრებში გლეხობამ წინააღმდეგობა გაუწია ჯარებს, ამ უკანასკნელთ ისროლეს და მოკლეს 15, ხოლო დაჭრეს 80.

რის შესახებაც ყოველად უქვეშევრდომილეს მოვალედ ვრაცხ თავს თქვენს იმპერატორობითს უდიდებულესობას მოვახსენო.

დურნოვო[37].

ნიკოლოზ II არ თაკილობდა ლივადიასა და ცარსკოე სელოში მაგიდასთან მიეწვია ყველაზე უფრო მძვინვარე დამსჯელები, ინტერესით მოესმინა მათი ნაამბობი. წერილებსა და დღიურში ვხვდებით ჩანაწერებს ასეთ სტუმრებზე: მ ო ს კ ო ვ ი ს დ ა მ ა შ ო შ მ ი ნ ე ბ ე ლ ი მ ი ნ ი გ ა მ ო ც ხ ა დ დ ა დ ა ჩ ვ ე ნ თ ა ნ ე რ თ ა დ ი ს ა უ ზ მ ა... მ ა დ ლ ო ბ ა ს ი ხ დ ი დ ა ი მ ი ს გ ა მ ო, რ ო მ ი ს ი ნ ი გ ა ი გ ზ ა ვ ნ ე ნ მ ო ს კ ო ვ შ ი ა მ ბ ო ხ ე ბ ი ს ჩ ა ს ა ქ რ ო ბ ა დ... ჰ უ ს ა რ თ ა მ ა ნ ე ჟ ზ ე გ ა მ ო მ ე ც ხ ა დ ა ბ ა რ ო ნ მ ე ლ ე რ-ზ ა კ ო მ ე ლ ს კ ი ს ს ა ე ქ ს პ ე დ ი ც ი ო რ ა ზ მ ი... ვ ს ე ი რ ნ ო ბ დ ი, მ ო ვ კ ა ლ ი ო რ ი ყ ვ ა ვ ი... დ ი დ ხ ა ნ ს ვ ს ე ი რ ნ ო ბ დ ი დ ა მ ო ვ კ ა ლ ი ო რ ი ყ ვ ა ვ ი... ვ ი ს ა დ ი ლ ე თ მ ე-

ლერ-ზაკომელსკიმ და ციმბირის ექსპედიციიდან დაბრუნებულმა მისი რაზმის ოფიცრებმა. თუ როგორ ჩაიარა ტრაპეზმა, შეიძლება შევიტყოთ პორუჩიკ ევეკის დღიურიდან, რომელიც მელერთან ერთად იმყოფებოდა სასახლეში: „მისი უდიდებულესობა, ჩანს, საქმის კურსში იყო და ბევრს მეკითხებოდა ჩვენი რეიდის წვრილმანებზე: იგი კარგად იცნობს ბარონის დეპეშა-მოხსენებებს და ეთანხმება მის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რევოლუციის ჩახშობა საჭიროა უფრო მეტი სისასტიკით — ერთხელ და სამუდამოდ“ [38].

ასეთ მოსაუბრეებთან ყოფნა მეფეს სიამოვნებს. მათ ხომ უნარი აქვთ შეთხზან სიუჟეტები და მის შესახებ ილაპარაკონ. დიდია მეფის ნდობა მათდამი. დიდია, მაგრამ არა უსაზღვრო. არის ზოგიერთი რამ, რასაც ვერ შეელევი და ვერ ანდობ ასეთ მოადგილეებსაც კი. მაგრად ებღაუჭებოდა იგი უპირველეს ყოვლისა ადამიანთა სიკვდილ-სიცოცხლეზე თავისი ბატონობის პრეროგატივს. მაგალითად, უფლება მისცა გენერალ-გუბერნატორებს სამოქალაქო პირები გადაეცათ სამხედრო სასამართლოსათვის და დაემტკიცებინათ მათ მიერ გამოტანილი სიკვდილის განაჩენი. მაგრამ სიკვდილის განაჩენის შემსუბუქებისა და მისი პატიმრობით შეცვლის უფლება კი არ მისცა.

ნიკოლოზ II ავალებდა თავის რწმუნებულებს ადამიანებისათვის სიცოცხლე წაერთმიათ და არ ეჩუქებინათ. იგი შემწყნარებლობის კარტბლანშს კი არ იძლეოდა, არამედ ულმობელი მოქმედებისას. ამით აღკვეთა თავისი სასამართლოების პრაქტიკაში „თავზე ხელის გადასმის“, არასათანადო სისასტიკის გამოჩენის შესაძლებლობა. თუ გენერალ-გუბერნატორს დიდი სურვილი ჰქონდა მსჯავრდადებულის სიცოცხლე გადაერჩინა, მას შეეძლო მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრის მეშვეობით მიემართა მეფისათვის შესაწყნარებლად. მაგრამ გენერალ-გუბერნატორს ასეთი სურვილი იშვიათად ებადებოდა, ხოლო კიდევ უფრო იშვიათად თუ გაბედავდა ამ მიმართვის გადაცემას მინისტრის საშუალებით (ვინ იცის, დათანხმდებოდა თუ არა მინისტრი წარდგინების ზემოთ გადაცემას?), და უკვე სრულიად უნიკალური, თითქმის წარმოუდგენელი იყო ისეთი შემთხვევა, რომ მეფეს ასეთი თხოვნა დაეკმაყოფილებინა.

იუსტიციის მინისტრმა ს. ს. მანუხინმა სამინისტროს მუშაობის შესახებ მორიგი მოხსენებისას მეფეს ჰკითხა, რა ექნა 28 წლის ი. პ. კალიაევისათვის, რომელსაც სიკვდილი ჰქონდა მისჯილი; მან

ჭალზე ფრთხილად, გადაკვრით შეაპარა: ხომ არ ინებებდა მისი უდიდებულესობა სიკვდილმისჯილისათვის რაიმეს შეცვლას. შემდგომში ბანუხინის დამოწმებით, ნიკოლოზი „უჩუმრად მიმდგარა ფანჯარასთან და მინაზე თითები აუთამაშებია“. მინისტრისათვის ხმა აღარ გაუცია და ისე გამოუსტუმრებია, რომ აღარც გამომშვიდობებია. საასახლის მინისტრს ფრედერიკს მანუხინისათვის მაშინვე გაფრთხილება გაუგზავნია, რომ შემდეგ აუდიენციებზე ასეთი „უტაქტო შეკითხვებისაგან“ თავი შეეკავებინა, თორემ სამსახურიდან გადაყენებით დამუქრებია.

ახალგაზრდა კაცმა ტავრის ბაღში მოსეირნე დუბასოვს ათიოდ ნაბიჯზე ბრაუნინგიდან ესროლა. მას ტყვია ასცდა, ახალგაზრდა კი დაიჭირეს. მან პოლიციაში განაცხადა, რომ უნდოდა შური ეძია მოსკოვში აჯანყების ჩახშობისას მომხდარი ანგარიშსწორებისათვის. დუბასოვმა სთხოვა მეფეს შეეწყალებინა ჭაბუკი, რომელსაც „თითქმის ბიჭუნა“ უწოდა. ნიკოლოზმა თხოვნაზე უარი განაცხადა, „თითქმის ბიჭუნა“ კი სამხედრო-საველე სასამართლოს წინაშე წარსდგა და იგი ჩამოახრჩეს.

ტავრის ბაღში მომხდარი ინციდენტის შესახებ დუბასოვმა ვიტეს უამბო: „ახლაც თვალწინ მიდგას ეს ბავშვური უაზრო თვალები, შეშინებული იმის გამო, რომ მე მესროლა... მეფეს მივწერე, ვთხოვე შეებრალებინა ჭაბუკი და საერთო წესით გაესამართლებინათ“. ერთი დღის შემდეგ დუბასოვს შეუტყობინებია ვიტესთვის მეფისაგან მიღებული პასუხი. „არავინ არ უნდა დაამციროს კანონების ძალა, — უთქვამს მისთვის ნიკოლოზს, — კანონები მექანიკურად უნდა მოქმედებდნენ; ის, რაც კანონით არის გასაკეთებელი, არავისზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, არც მასზე — ხელმწიფე იმპერატორზე“. ვიტეს კომენტარები: „ვითომ კანონი, რომლითაც ეს ჭაბუკი გაასამართლეს და შემდეგ დაუყოვნებლივ ჩამოახრჩეს, იმპერატორ ნიკოლოზ II მიერ არ იყოს დაწესებული... ვითომ მისი უდიდებულესობა იმავ დროს არ იწყნარებდა მსჯავრდადებულთ უკიდურეს მემარჯვენეთა ბრბოდან... უფრო ხშირად პოლიცია უბრალოდ ვერ პოულობდა ამ აშკარა მკვლელებსა და თავდასხმათა ორგანიზატორებს, რის გამოც ვერ გადასცემდა ხოლმე მათ გამოძიებას. განა ყოველივე ეს ხელმწიფისათვის ძალიან კარგად არ იყო ცნობილი?“ [39].

თუმცა, ზოგჯერ — წარმოგიდგენიათ! — არც შეწყნარება იყო მისთვის უცხო.

1906 წლის 23 თებერვალს რენენკამპფმა ციმბირში სამხედრო სასამართლოს გადასცა სამი შეპყრობილი ლიბერალი: სახალხო სასწავლებლების ინსპექტორი ოკუნცოვი, ექიმი შინკმანი და ერობის მოღვაწე მირსკი. მათ ბრალად ედებოდათ „აღმგზნები“ გამოსვლები მიტინგებზე და ლიბერალური გაზეთის „ვერხნეუდინსკი ლისტოკისათვის“ საძრახისი სტატიების დაწერა. სამივე „დამნაშავეს“ სიკვდილი მიესაჯა.

11 მარტს ცარსკოე სელოდან ტელეგრაფით იღებენ მისი უმაღლესობის ბრძანებას: სიკვდილით დასჯა შეიცვალოს სამუდამო კატორღით. ვიღაცას მოეხსენებინა თურმე მეფისათვის, რომ ერთ-ერთი მსჯავრდადებული სწორედ ის პროვოკატორი ლ. თ. მირსკი იყო, რომელმაც ოდესღაც პეტრე-პავლეს ციხეში გასცა ნეჩაევი და ამით მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია დაცვის განყოფილებას. ამ ერთი კაცის გამო ნიკოლოზმა თავისი გულკეთილობა სამივეზე გაავრცელა.

იგი სანიმუშო მამაა, თავის ვაჟს აღმერთებს. როცა საუბარი მემკვიდრე ალექსიზე ჩამოვარდება, იმპერატორს თვალზე ცრემლი ადგება. „მე მახსოვს, — წერდა ამ ამბის მომსწრე თანამედროვე, — როგორ აუთრთოლდა ხმა გრძნობებისა და შეკავებული ცრემლებისაგან, როცა მან 1906 წელს ზამთრის სასახლის სამეფო დარბაზში სახელმწიფო სათათბიროს გახსნის წინ სიტყვის წარმოთქმისას თავისი ვაჟიშვილი ახსენა“ [40].

ეს იმ პიროვნების თვითგამოვლენის ერთი მხარეა, რომელიც სათავეში ედგა რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებას. ხოლო იმავე პიროვნების გამოვლენის მეორე მხარე, მისივე ნება-სურვილიდან გამომდინარე, უკვე მისი მოღვაწეობის დამახასიათებელია.

მოსკოვში დაწყებული მღელვარებისას თოთხმეტი წლის ბიჭმა რაღაცით გაანაწყენა ჟანდარმი და იმწამსვე ეკატერინეს საავადმყოფოს სვეტის უკან მიიმალა. ჟანდარმმა ამოიღო რევოლვერი და ბიჭი მოკლა.

და კიდევ. კოკნესში 30 კაცი დახვრიტეს. მათ შორის 14 წლის გრაუძინი იმის გამო მოკლეს, რომ ვიღაცის მიერ გადაგდებული დაჟანგული და უვარგისი რევოლვერის ბურბუშელაში დამალვას ცდილობდა [41].

კეთილი მამა კეთილი შვილიც არის. ვერც ასაკმა, ვერც თანამდებობრივმა მღელვარებებმა ვერ წაშალეს მის გულში სათუთი გრძნობა დედისადმი. წერილებში იგი ჩვეულებრივ უზიარებს ხოლმე აზრს თავის საქმეებზე.

ცარსკოე სელო
1906 წელი, 12 იანვარი

ჩემო ძვირფასო დედა!

გასულ ხუთშაბათს ნამდვილად არ შემეძლო, ბომეწერა შენთვის... ვრცელი წერილი უნდა გამეგზავნა გრაფ ვორონცოვისათვის. საბედნიეროდ, ახლა მან ენერგიულად დაიწყო მოქმედება — ამჟამად იქ (კავკასიაში) ყველაფერი უკეთ მიდის...

ორლოვი, რიხტერი და ბარონი ფერზენი ბალტიისპირა გუბერნიებში შესანიშნავად მოქმედებენ — დაზავება უკვე ახლოს არის...

ციმბირშიც საქმე უკეთაა, მაგრამ ყოველგვარი სიბინძურის თავიდან მოშორება კიდევ არ დამთავრებულა...

მოსკოვის ამბების შემდეგ ვიტე ძალზე გამოიცვალა: ახლა მას ყველას ჩამოხრჩობა და დახვრეტა უნდა.

შენი მხურვალედ მოსიყვარულე ნიკი[42].

ამ წერილზე ქვრივი იმპერატრიცა პასუხობს, რომ იმედი აქვს ამბოხება ბოლოს და ბოლოს ჩაცხრება.

1905 წლის 17 ოქტომბერს იგი დედას აცნობებს: სამსახურიდან გაგდებულმა ვიღაც ოფიცერმა, ყოფილმა ლეიტენანტმა შმიდტმა, „ოჩაკოვის“ მეთაურად გამოაცხადა თავი. რასაკვირველია, მისი დახვრეტა მოგვიხდება.

პასუხში ნათქვამია: იმედი მაქვს შმიდტის საქმე უკვე მოთავებულია, თორემ, ერთიც ვნახოთ, და გაიქცეს. ოჯახური მორალი მკვეთრად არის გამოხატული: ასეთ მამაძაღლებთან ცერემონია რა საჭიროა[43].

რჩევას მას მეუღლეც აწვდის. რევოლუციონერებისა და ლიბერალების შესახებ იგი სწერს: ჩემო მზეო, ცხვრის რქებივით მოუგრიხე კისერი... ჩემო ჩიტუნია, არც ერთი მათგანი არ დაინდო.

კი, მაგრამ ტყვია და სახრჩობელა ხომ „ჩიტუნიას“ საქმე არ იყო და არც ეს ზუმბით ცემა ან კიდევ სამუდამო კატორღაში განდევნა იყო „ჩემო მზეოს“ საკადრი მოქმედება.

მაგრამ რა გაეწყობა, ასეთი იყო ამ კაცისა და მისი ოჯახის წევრების მორალური სახე. მიუხედავად ამისა, დასავლეთში არა მარტო მონარქისტები და თეთრგვარდიელი ემიგრანტები, არამედ სხვადასხვა ჯურის სოვეტოლოგებიც დასტირიან რუსეთის უკანასკნელი თვითმპყრობელის ბედს, სამართლიანად არ მიაჩნიათ მის მიერ დამსახურებული სასჯელი.

7

გრძნეული ბერი

— ახლა თქვენით დუნკა დაინტერესდა. გაიძვერაააო, თქვა მან, და ვიღაცის შვილიო.

— ჩვენ ყველანი რუსეთის შვილები ვართ, პავლა პეტროვნა.

— არა, იგი როგორღაც სხვაგვარად ხატავს თქვენს გენეალოგიას.

ხეტიალი

კ. ტ რ ე ნ ე ვ ი. ლიუბოვ იაროვაია

თავისი გამეფებიდან 10—11 წლის შემდეგ ნიკოლოზ II გზის პირას უცნობი გლეხი დაინახა, თითით მოიხმო იგი, იდაყვში ხელი მოჰკიდა და მხარდამხარ მასთან ერთად გასწია. თუ უკანასკნელი მეფის ზოგიერთ თავისებურებას და მდგომარეობას, ასევე მის ხასიათს გავითვალისწინებთ, უცნაური კავშირია.

საკუთარი თავის (და თავისი შვილების) გარდა მას არც არავინ უყვარდა, არც არავინ ებრალებოდა და არც არავის უფრთხილდებოდა, თვით ყველაზე თავდადებულ მსახურებსაც კი. ესენი თუ არა, ცხვები იქნებიანო, — იტყოდა ხოლმე. ნიკოლოზი იოლად ატყუებდა მათ, ადვილად თმობდა თითოეულს; მიეფერებოდა, დალოშნიდა და ნაშინვე შეეძლო სამსახურიდან დაეთხოვა; ხოლო როცა რომელიმე ერთგული, მაგრამ აბეზარი მსახური იმქვეყნად გაემგზავრებოდა, ჩუმ-ჩუმად ხარობდა კიდეც.

მას აცნობეს, შინაგან საქმეთა მინისტრი და ჟანდარმერიის შეფი დ. ს. სიპიაგინი მოკლესო. ამის გამო საღამოს დღიურში წერს: ს ა პ ი რ ო ა უ ფ ა ლ ი ღ მ ე რ თ ი ს მ ი ე რ ჩ ვ ე ნ დ ა ს ა ს ი კ ე თ ო დ ზ ე გ ა რ დ მ ო მ ო ვ ლ ე ნ ი ლ ი გ ა ნ ც დ ი ს მ შ ვ ი დ ა დ ა მ ტ კ ი ც ე დ გ ა დ ა ტ ა ნ ა. ცუდი ქნეს, რომ მოკლეს, თუ კარგი—პირდაპირ არ არის ნათქვამი, მაგრამ უფრო კარგი იგულისხმება, რაკი ამბობს: „ჩვენდა სასიკეთოდო“.

მას მოახსენეს, რომ მოკლეს სიპიაგინის მემკვიდრე ვ. კ. პლევე. საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი ნიკოლოზი ასეთ დასკვნას აკეთებს — უზენაეს ღმერთს ალბათ უფლება აქვს მეფის ნებისმიერი მსახური თავისთან იხმოსო, და წერს: ე ს მ ი ს ი უ წ მ ი ნ დ ე ს ი

ნება-სურვილია. და იქვე განაგრძობს: დეიდა მარუსია საუზმობდა... დედასთან ერთად ვსეირნობდით... ვისადილეთ აივანზე, საუკეთესო საღამო იყო...[1] დღეც საუკეთესო იყო, საღამოც საუკეთესო, პლეევეც აღარ არის ცოცხალი, ამაზედაც მადლობა ღმერთს...

გაიგო, რომ მისი ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვიტე საზღვარგარეთ გარდაიცვალა და სიხარული ძლივს დამალა. იმ დღეს ცოლს მისწერა: ჩემს გულში ჭეშმარიტად სააღდგომო სიმშვიდე გამეფდა. ელჩ პალეოლოგთან საუბარში კი აღიარა: გრაფ ვიტეს სიკვდილი ჩემთვის მეტად შემამსუბუქებულია[2]. ამგვარადვე გამოეხმაურა თავის თითქმის ყველაზე ერთგული მსახურის პ. ა. სტოლიპინის სიკვდილს. მის დაკრძალვაზეც არ წავიდა.

ტახტისა და მის დამცველთა შორის არსებული დამოკიდებულების ამგვარი წესიდან ერთადერთი გამონაკლისი იყო რასპუტინი. მარტო მას არ აშინებდა სასახლისეული კონიუნქტურული ზიგზაგები, მონარქიული გუნებაგანწყობის ცვალებადობა.

წინათ, სხვა მეფეების დროსაც არსებობდნენ ფავორიტები, მედროვენი, ნათელმკვრეტელნი, ხუმარები. ჩვეულებრივ ისინი იმავე სასახლის კარიდან, უფრო ხშირად არისტოკრატთა წრიდან იყვნენ გამოსულები. არც ერთ მათგანს არა ჰგავდა რასპუტინი. უნიკალური პიროვნება იყო. უმაგალითო, უჩვეულო ფავორიტი გახლდათ. საბჭოთა პოეტმა პეტრე ორეშინმა იგი თავის პოემაში შემდეგნაირად დაგვიხატა:

ზოგიერთს სუნთქვა ეკვროდა დიდხანს,
ზოგი გახდა და დაჩაჩანაკდა,
მაგრამ მოუხმეს რასპუტინს, გრიშკას.
და ყველაფერი უცებ დალაგდა.
გამოიარა გრიშკამ გზა შორი,
თან სდევდა ყინვა, სუსხი და ქარი.
მოჰყვა ცხვრის სუნი, ტაიგის შმორი,
სურნელი ნედლი მიწის და კვარის[3].

სასახლეში ტაიგიდან მოვიდა, — წერს ალექსეი ტოლსტოი, — იმპერატორის ტახტამდე მიაღწია „და გიჟისთვალებიანმა, უდიდესი მამაკაცური ძალის მქონე გაუნათლებელმა გლეხმა აბუჩად აიგდო და დასცინა რუსეთს, სამარცხვინო ბოძზე გააკრა იგი“[4].

რასპუტინი კი არ ეძებს მოწყალებას თავისი უავგუსტოესი პატ-

რონებისაგან, არამედ ისინი იხრიან ქედს და მლიქვნელობენ მის წინაშე. შესთხოვენ მფარველობას ბედისწერისაგან, ლოცვა-კურთხევასა და რეკომენდაციებს ღმერთის სახელით. როგორი დოკუმენტები, ოქმები და შემაჯამებელი მიმოხილვები არ შეადგინა საიდუმლო პოლიციამ მის საზიზღარ თავგადასავლებსა და საქმეებზე მეფის კაბინეტისათვის წარსადგენად, მაგრამ გრიგოლ ეფიმის ძეს ვერაფერი მოუხერხეს, შეაყარე ცერცვი კედელსო.

უმაღლესი კარიერის მიღწევის შემდეგ სასახლეში არც ერთი იდეა ანდა პროექტი არ წამოიჭრებოდა, რომ ამ ვიგინდარას სახელთან არ ყოფილიყო დაკავშირებული.

და ახლაც, მისი სიკვდილიდან მრავალი წლის შემდეგ, იგი კვლავ გაუხუნარ, უჭკნობ ისტორიულ სენსაციად რჩება და კარგი მაზანდა აქვს დასავლეთის პროპაგანდისტულ ბირჟაზე. ჰოლივუდის, მიუნხენის, ლონდონისა და სხვა დასავლეთელი პროდიუსერების მიერ მარტო ბოლო 25 წლის მანძილზე დადგმულ სულ ცოტა 20 კინოსა და ტელეფილმში იგი მთავარ მოქმედ პირად არის გამოყვანილი.

მსახიობმა კლოდ ჟუვენელმა კინოსურათ „რასპუტინში“ მისი სახით ჰერცოგ რიშელიეს რუსული სახესხვაობა, პარიზელი „შავი“ კარდინალის პეტერბურგული ვარიანტი შემოგვთავაზა, მხოლოდ იმ მცირე განსხვავებით, რომ პეტერბურგელს უფრო ხშირი და გრძელი წვერი აქვს და ინტრიგებს შორის პაუზების დროს ზოგჯერ ღამის სამიკიტნოებში დაწანწალებს.

აქტიორმა ჰერტ ფრებსმა ფილმში „რასპუტინი მე მოვკალი“ იგი რაღაც დემონური, ზეადამიანური ძალის პატრონად წარმოგვიდგინა. რასპუტინი ოცნებობს იხსნას იმპერია და დინასტია მოახლოებული დაღუპვისაგან, მაგრამ ამ ჩანაფიქრის განხორციელებას ხელი შეუშალეს იუსუპოვმა და პურიშკევიჩმა, რომლებმაც ეს ტიტანური აზრისა და სულის ადამიანი ნევის ყინულში ჩამარხეს. სცენარი დაწერილი იყო ფ. ფ. იუსუპოვის ამავე სახელწოდების წიგნის მიხედვით. სურათის რეკლამირებას ხელი შეუწყო სასამართლო საქმემ, რომელიც 1967 წელს მისმა 75 წლის ასულმა მარია (მატრონა) სოლოვიოვამ აღძრა რეჟისორ ოსეინისა და იუსუპოვის წინააღმდეგ რასპუტინის ცილისწამებისათვის.

იგი გამოყვანილია ათობით წიგნის, მათ შორის სპეციალურად მისდამი მიძღვნილი პოემების, მოთხრობების, ტრილოგიების გმირად. სამშობლოდან გაქცეულმა ივანე ნაჟივინმა ჯერ კიდევ ოცდან

წლებში მიუძღვნა მას სამტომიანი რომანი, რომელიც სავსეა ნახევრად ნაბოდვარი დიალოგებით მეფესთან, ბანკის საქმოსნებთან, იოანე ვოსტორგოვის მსგავს შავრაზმელ აქტივისტებთან. ამ ნაწარმოებში გრძნეული ბერის ყოველი მოძრაობა წვრილმანი შიშითა და მლიქვნელობითაა განპირობებული, რაც სინამდვილეს არ შეეფერება; მისი თითქმის პაროდიულად სტილიზებული მეტყველება „უბრალო ხალხურ“ და „გამარტივებულ“ ენასთანაა გაიგივებული[5]. უცხოეთში მყოფი სხვა ასეთი ავტორების მოთხრობებიც როგორც სიუჟეტურად, ასევე გრძნეული ბერის სამეტყველო ლექსიკონითაც ნახევრად პაროდიულია.

უმაქნისი, ნახევრად გამობრუჟული, ცეტი, მანდილოსნებისა და მადერის მოტრფიალე, უგუნური თავხედია იგი გერმანელი ლიტერატორების რობერტ ჰეიმანისა და კონრად ლინცის, ინგლისელი უილიამ ლე კუეს, ამერიკელი ჯეიმს ბილინგტონის ნაწარმოებებში[6]. წარმოსახვის სარეკორდო სიმაღლეს მიაღწია ავტორმა თხზულებისა „საშიში ბერი“, რომელიც რუსულ და უკრაინულ ენებზე გამოვიდა კანაღაში. ამ ნაწარმოების მიხედვით ციმბირში გზავნიან აგენტს, რომელსაც დავალებული აქვს რადაც უნდა დაუჯდეს ჩამოიყვანოს რასპუტინი ცენტრში. დედაქალაქში ჩამოსვლისთანავე გრძნეული ბერი სასიყვარულო თავგადასავლებში ჩაეფლო; სიუჟეტში მაშინვე გამოჩნდნენ თავად ფელიქსის ცოლი, მშვენიერი ირინე, მასზე არანაკლებ დამატყვევებელი ბოშა ქალი ანა და ხანჯლით შეიარაღებული ვინმე ზონია. თავადი გრძნეულ ბერს ღამით თავისი ცოლის საძინებელ ოთახში შეუსწრებს, მაგრამ იგი „უკანა ეზოებით იქვე ბოსტნებში“ გადაძვრება და ბეწვზე გადარჩება სიკვდილს. რასპუტინის ოინებს ბოლოს უღებს ცხენოსანი კაზაკი: იგი პირდაპირ ცხენით შედის სამიკიტნოში, სადაც გრძნეული ბერი ქეიფობს, და კლავს მას[7].

რასპუტინის შესახებ სხვადასხვა ლიტერატურულ მოსაზრებათა ანალიზის გარეშე უნდა ითქვას, რომ დასავლეთის პროდიუსერებსა და რომანისტებს დღემდე მხედველობიდან რჩებათ, რომ დაახლოებით ხუთიოდე წლით ადრე, სანამ იგი რომანოვების ოჯახურ წრეში გამოჩნდებოდა, ციმბირის ერთ ბნელ ღამეს თანასოფლელმა სხვის თავლაში გამოიჭირა და ცხენების მოპარვის ცდისათვის მაგრად მიბეგვა. 1917 წლის გაზაფხულზე 67 წლის გლეხი ე. ი. კარტავცევი ტიუმენთან ახლოს მდებარე სოფელ პოკროვსკიდან პეტერბურგში გაიხმეს დროებითი მთავრობის საგანგებო საგამოძიებო კომისიისათ-

ვის რასპუტინის პიროვნების შესახებ ჩვენების მისაცემად. კომისიამ პირველი პირიდან მიიღო ცნობები, თუ როგორ მიბეგვეს კეტით საიმპერატორო ტრიუმვირატის მომავალი წევრი.

რასაკვირველია, იმისათვის, რომ ეგორ ივანეს ძე კარტავცევის სამი ცხენის ქურდს ნიკოლოზ რომანოვის მონარქიული პრეროგატივისათვის მიეღწია, მას სჭირდებოდა რაღაც არაჩვეულებრივი ნიჭი, მაგრამ როგორი? ამ კითხვაზე პასუხს არც მელოდრამატული ეუვენელი იძლევა და არც ეპიკური ფრებსი. არქივში შემონახული საგამოძიებო კომისიის ოქმების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კარტავცევმაც კი ცოტა რამ თქვა ამ თემაზე, მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე სხვებზე უფრო ახლოს იყო ამ ისტორიულ პირთან, იმდენად ახლოს, რომ კინაღამ უცხენოდ დარჩა. ოქმებიდან ჩანს, რომ რასპუტინი წინათაც ყოფილა შემჩნეული გლეხებისაგან ფქვილის (წისქვილიდან), თივისა (ფარდულებიდან) და ა. შ. მოპარვაში. ადრე იმავე კარტავცევისათვის კვიცებიც მოუპარავს [8].

დედაქალაქში გამოჩენისას რასპუტინი ალბათ 30—32 წლისა იქნებოდა (პირადად მან თავისი დაბადების თარიღი არ იცოდა). იგი „შეძლებული ოჯახიდან“ იყო. მამამისს არტელი ჰქონდა, რომელიც მდინარე ტურეზე კარჭაპების დატვირთვა-გადმოტვირთვას აწარმოებდა. ზოგიერთი მონაცემით, იგი (ისევე, როგორც მისი შვილი გრიგოლი) ერთხანს მეეტლედ იყო სამცხენიან საფოსტო კარეტაზე ტიუმენ-ტობოლსკის გზაზე [9]. ჯერ კიდევ მოზარდმა გრიგოლმა ხელი მიჰყო არყის სმას, უმეტესად უსაქმოდ დახეტიალობდა, დაქორწინდა ოცი წლისა *. სოფელში ჩხუბისთავად და ყიამყრალად თვლიდნენ. ეჩხუბებოდა ძმასა და მამასაც კი. ასე იქცეოდა არა მარტო კარიერის შექმნამდე, არამედ დიდების ზენიტში ასულიც. კარტავცევთან მომხდარი ამბის გამო სოფლის თემმა შუამდგომლობით მიმართა მთავრობას, სადმე მოშორებით გაესახლებინათ იგი. მაგრამ სანამ ეს თხოვნა იხილებოდა, რასპუტინი თავად წავიდა სოფლიდან.

მისი „გარდაქმნა“ მოგზაურობებში იწყება. ნახევრად ბერის სამოსში გამოწყობილი დაეხეტებოდა იგი მონასტრებსა და მრევლში,

---

* გრიგოლ რასპუტინის ოჯახი შემდეგი წევრებისაგან შედგებოდა: ცოლი პრასკოვია, ვაჟი დიმიტრი, ქალიშვილები — მატრონა და ვარვარა. ნათესავები სხვადასხვა დროს ჩადიოდნენ მასთან პეტროგრადში. მსოფლიო ომის დაწყების წინ ქალიშვილები პეტერბურგის დახურულ სასწავლებელში შევიდნენ.

სალოსობდა და მათხოვრობდა, ორი-სამი ყარიბი ქალიც აიყოლია და ერთად დახეტიალებდნენ, ერთად ათენებდნენ და აღამებდნენ. სადაც მოხვდებოდათ. ცოტათი შეისწავლა ძველი სლავურის კითხვა, შეითვისა ყვირილითა და გულყრით ლოცვის მანერა, წმინდა ტექსტების აბდაუბდა ბურტყუნი; მისი სიტყვები უაზრო და ნაწყვეტ-ნაწყვეტი გახდა. რუსეთის ერთი ბოლოდან მეორემდე (სამხრეთში იგი ახალ ათონამდეც მივიდა) ხეტიალის შემდეგ, მშობლიურ სოფელში უკვე „ღვთის კაცის" სახელით დაბრუნდა.

სალოსობს შინაც. მის ირგვლივ პოკროვსკში შეიქმნა იმ დროს ციმბირში გავრცელებული თვითმგვემელთა (ხლისტების) სექტის მიმდევრების (მათ შორის უმეტესობა ქალები იყვნენ) წრე. ეს სექტა, რომლის არსებობაც მოგზაურობის დროს შეიტყო, მისი გემოვნებისა იყო. სასულიერო წიგნებს არ სცნობდა. სწამდა მხოლოდ „ღვთის ცოცხალი სიტყვისა", ასეთი სიტყვა კი ღვთის მორწმუნეს ისეთი „ღირსეული" პირისაგან გადაეცემოდა, როგორიც ამ შემთხვევაში მის ირგვლივ მყოფთათვის გრიშა რასპუტინი იყო.

ორგანიზაციული საფუძველი: სექტა შედგებოდა „კორაბლიკებისაგან" * ანუ ცალკეული წრეებისაგან; თითოეული „კორაბლიკისათვის" რეგულარულად ეწყობოდა ერთობლივი ეკზალტირებული ლოცვა „მზრუნველობის" სახელწოდებით. იდეური საფუძველი: სულის გადარჩენა შეიძლება მხოლოდ ცოდვებითა და მონანიებით. ცოდვას თუ არ ჩაიდენ — ვერ გადარჩები. რაც მეტია გარყვნილება, მით შთამაგონებელია მონანიების სიმამაცე, მით უფრო მეტად შეფასდება ჩადენილი სიმამაცე მაღლა ზეცაში. ამ პლატფორმით გრიგოლმა თავი საკუთარ სტიქიაში იგრძნო. რაკი უზენაეს ძალას ცოდვიანობა სჭირდება, ბარემ ასიამოვნებს. და დაიწყო პოკროვსკის „კორაბლიკში", რომლის „ეკიპაჟშიც" მეტწილად ქალები იყვნენ, ღამეული ლოცვების ორომტრიალი საგალობლების თანხლებით. ეროტიული ცეკვებითა და ჯგუფური უხამსობებით. ყოველივე ეს ადგილობრივ ხელისუფალთ თვალში არ მოსდით. ამასთან, მათ არ დავიწყებიათ კარტავცევის თავლაში დაშვებული ღამეული შეცდომა. გრიგოლმა მოვლენებს დაასწრო და მშობლიურ არემარეს ისევ გამოემშვიდობა.

---

* „კორაბლიკი" — ამ სექტის წევრებს თავზე გემის მაგვარი ქუდი ეხურათ და აქედან მომდინარეობდა ეს სახელიც (მთარგმნელი).

კვლავ გაწალდული გზებითა და ტყის ბილიკებით დაეხეტება, ღამის გასათევი ადგილების ახლოს, ბაკებთან და სამონასტრო სავანეებთან იკალათებს, სანამ ბედი პეტერბურგში მიიყვანს (1902 წელს). იგი ყაზანის ეპარქიის ქორეპისკოპოსის ხრისანთეს სარეკომენდაციო წერილით ცხადდება სასულიერო აკადემიის რექტორ სერგისთან, მორჩილად სთხოვს ყურადღება მიაქციონ მას საერთოდ, კერძოდ კი აღმოუჩინონ ფულადი შემწეობა („თქვენის წყალობით...“). სერგის კაბინეტში სხედან რასპუტინის მომავალი მეგობრები — შვანებახი და ნეიდჰარდტი, მათთან ერთად კი აკადემიის ინსპექტორი და მეფე-დედოფლის ფარული მოძღვარი თეოფანე. მათ მაცდური ბერის მოძრაობაში, საუბარში, გამოხედვაში, რაღაც უცნაურობა შენიშნეს.

მალე თეოფანე ღვთისმლოცველ ხეპრე კაცს აკადემიის საერთო საცხოვრებელში დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის ცოლს ანასტასია ჩერნოგორსკაიას გააცნობს. შემდეგ ანასტასია და მისი მეუღლე მწირს იმპერატრიცა ალექსანდრა თედორეს ასულს წარუდგენენ. რასპუტინის გამჭოლი, მომნუსხველი მზერით მოჯადოებული ზის დედოფალი და მის შემპარავ, მისტიკურ, ოკრობოკრო აზრებით აღსავსე მდაბიურ სიტყვებს ისმენს. ამას მოჰყვება ნიკოლოზ II-თან წარდგენა, პირველი მიწვევა სასახლეში, სადაც იგი სწრაფად იპყრობს ოჯახის ყურადღებას და „შინაური კაცის“ როლში შედის.

რომანოვების ოჯახურ წრეში შესვლა მან „ღვთის კაცის“, ქრისტიანული დოგმების მცოდნის როლის გათამაშებით დაიწყო, კაცისა, რომელიც „უზენაეს ძალასთან“ ურთიერთობის გამუდმებულ წყურვილს განიცდიდა. ჯერ მეფე-დედოფლის, შემდეგ კი პეტერბურგის არისტოკრატიულ სალონებში სუფრაზე წარმოთქმული ქადაგებების მისტიკურ-ევანგელიურ ფრაზეოლოგიაში შეაქვს ძველი, პოკროვსკის პერიოდის ლოცვები და ხლისტების ბილწსიტყვაობა სხეულისა და სულის ერთიანობაზე. არ არსებობს ღვთიური ჭეშმარიტება, გარდა ეროტიკაზე აღმოცენებული სულიერი ექსტაზის ჭეშმარიტებისა, ხოლო ამ იდეის მქადაგებელია გრიგოლ ეფიმის ძე. მქადაგებლისა და წინასწარმეტყველისგან კი სულ ერთი ნაბიჯია მაცხოვრამდე. ამ ერთ სახეში აერთიანებდა იგი ცოდვებსაც, ხსნასაც და ნეტარებასაც. ამის გარდა, იგი თითქოს ზეციდან იყო მოვლენილი, რათა წინასწარჭვრეტით დაეფარა დინასტიაცა და მეფე-დედოფალიც. განსაკუთრებით უნდა დაეცვა (ეს დაემატა რამდენადმე მოგვიანებით, როცა

ალექსი დაიბადა) საფრთხისა და შემთხვევითობისაგან ავადმყოფი ტახტის მემკვიდრის სიცოცხლე *.

ტიუმენელი თაღლითის საზოგადოებაში უავგუსტოესი ოჯახი კარგავს დროის შეგრძნების უნარს. რასპუტინის გაცნობის პირველ თვეებში ნიკოლოზი დღიურში წერს: კვლავ შევიკრიბეთ შვიდივენი ჩვენს მეგობართან... და სულ მინდა ვუსმინო და ვუსმინო დაუსრულებლივ. ერთ-ერთი ჩანაწერი მოწმობს, რომ რასპუტინი დღის სამ საათზე მისულა სასახლეში და საღამომდე იქ დარჩენილა, ამასთან, არაფერი უშლიდა ხელს შესულიყო ინტიმურ ოთახებში: მან შემოიარა ყველა ჩვენი ოთახი, — წერს ნიკოლოზი[10]. ამჯერად მეფის საძინებელ ოთახშიც მოხვედრილა. მას განსაკუთრებით აინტერესებდა ასეთი მყუდრო კუთხეები. აქ იგი კიდევ ერთხელ მოხვდება, მაგრამ არა მარტო წმინდა სანთლის ასანთებად და ჩასაქრობად, არამედ სხვა რამისთვის, რაც სულიერი ზნეობის შავრაზმელმა დამცველმა, მღვდელ-მონაზონმა ილიოდორმა მოგვიანებით სასკანდალოდ გააჯმაურა[11].

წინათ გრძნეული ბერის საუკეთესო მეგობარმა, შემდეგში კი მისმა დაუძინებელმა მტერმა ილიოდორმა 1914 წელს რასპუტინზე თავდასხმა მოაწყო, პოკროვსკში ფანატიკოსი ქალი ფეონია (ხიონია) გუსევა მიუგზავნა, რომელმაც მას მძიმე ჭრილობა მიაყენა დანით მუცელში. შურისძიებისაგან თავდასახსნელად ილიოდორი ნორვეგიაში გაიქცა, სადაც მან რასპუტინის შესახებ მამხილებელი წიგნი დაწერა. სხვა ამბებთან ერთად მასში გამოქვეყნებული იყო დოკუმენტური სამხილი — რასპუტინთან დედოფლის მიერ საკუთარი ხელით მიწერილი წერილი, რომელიც მათ შორის ინტიმური კავშირის არსებობას გვაფიქრებინებს. შინაგან საქმეთა მინისტრმა ა. ა. მარკოვმა თავისი აგენტების დახმარებით ქრისტიანში (ოსლოში) დედოფლისა

---

* ალექსი დაბადებიდანვე დაავადებული იყო ჰემოფილიით (სისხლის შეუდედებლობით). ოდნავი დაჟეჟვა, გაკრა ანდა გაკაწვრა, ჩვეულებრივ, ნორმალური ბავშვისათვის არაფერია, უფლისწულს კი ყოველივე ეს სიკვდილს უქადდა. აღნიშნული ავადმყოფობა მას ჰესენების საგვარეულოდან გამოჰყვა მემკვიდრეობით: ბევრი იმსხვერპლა მან გერმანიაში ალექსანდრა თედორეს ასულის ახლო ნათესავთაგან. მოხერხებულად ჯადოქრობდა რასპუტინი ავადმყოფს, სხვადასხვაგვარი თაღლითობითა და ყალთაბანდობით შთააგონებდა ბავშვსაცა და მის ნათესავებსაც, რომ თვითონ იყო მისი ერთადერთი და შეუცვლელი მკურნალი და მხსნელი.

და დიდი ქალბატონების საეჭვო წერილები მოიპარა და მეფეს წარუდგინა. ნიკოლოზმა ცოლს აყალმაყალი აუტეხა, ხოლო ქაღალდები ბუხარში შეყარა.

ჯერჯერობით კი დღიურში კვლავ ვხვდებით: ჩ ვ ე ნ თ ა ნ ი ჯ დ ა გ რ ი გ ო ლ ი. და კიდევ დიდხანს, თითქმის თავისი მეფობის ბოლომდე, ნიკოლოზ II არ მოჰკლებია ბედნიერება, რომ ექს-თვითმგვემლის საზოგადოებით დამტკბარიყო. მ ი ს ი ყ ო ვ ე ლ ი ს ი ტ ყ ვ ა ჩ ე მ თ ვ ი ს ს ი ხ ა რ უ ლ ი ა, — წერს იგი, — მ ა ს თ ა ნ ს უ ლ ი ე რ ა დ ვ ც ო ც ხ ლ დ ე ბ ი.

რობერტ მესი, რომელმაც თავის 500-გვერდიან პრორომახოვულ მონოგრაფიას საფუძვლად ალექსის ავადმყოფობის ისტორია დაუდო, ამტკიცებს, რომ რასპუტინმა დააშინა მშობლები შვილის სიკვდილის მუქარით. ეს ნაწილობრივ სწორია. მაცდურმა ბერმა ასევე დააშინა მეფე-დედოფალი დედოფლის სიკვდილითაც. მის შიშს იყენებდა, ხოლო როცა საბოლოოდ დარწმუნდა თავის ჰიპნოზურ შეგონებათა სიმტკიცეში, მთელი სიცოცხლის მანძილზე ამით მიიკვლევდა გზას. რასპუტინის გულმოდგინე სამსახური თავისი პატრონების წინაშე არც მათზე ძალდატანებასა და არც პირდაპირ შანტაჟს არ გამორიცხავდა. იგი ემუქრებოდა მათ: უ ფ ლ ი ს წ უ ლ ი ც ო ც ხ ა ლ ი ა, რ ა დ გ ა ნ ც ო ც ხ ა ლ ი ვ ა რ მ ე. შემდეგ ეს ფორმულა უფრო განავრცო: ჩ ე მ ი ს ი კ ვ დ ი ლ ი თ ქ ვ ე ნ ი ვ ე ს ი კ ვ დ ი ლ ი ი ქ ნ ე ბ ა[12].

რასპუტინის მკვლელი იუსუპოვი ირწმუნებოდა, რომ „მისი რელიგიურობა ნიღაბი იყო“, ხოლო მის შემპარავ საქციელში „სიცრუე და სიბინძურე“ იფარებოდა. ამის მიუხედავად იუსუპოვი აღიარებს, რომ რასპუტინი „ზეადამიანურ ძალას“ ფლობდა. რაც, მისივე განცხადებით, განსაკუთრებით ამ პიროვნების მოკვლის დროს გამოვლენილ „არაჩვეულებრივ გამძლეობაში გამოიხატა“[13].

რასპუტინმა თავისი კლიენტურა ამოიცნო. დაკვირვებამ უკარნახა, რომ მისტიკური წამოძახილები და თავგზის ამბნევი შელოცვები ხშირად უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა მეფე-დედოფალზე, ვიდრე ყველაზე მეტად დამუშავებული ლოგიკური არგუმენტები. დაუნაწევრებელი ბუტბუტით, საიდუმლოებით მოცული ღმუილით სდევნიდა მაცდური ბერი ოჯახიდან ავსულებს, თრგუნავდა ალექსის ავადმყოფობას. შეტევები ალექსის ჩვეულებრივ დედის ისტერიკებისა და შიშის გამო ურთულდებოდა. სიმშვიდე, რომელსაც შთააგო-

ნებდა მას რასპუტინი, შვილსაც გადაეცემოდა ხოლმე. როგორც ჩანს, რაღაც ჰიპნოზის მაგვარს ახდენდა რასპუტინი უშუალოდ ავადმყოფზედაც. საღამოობით იგი უფლისწულს ეახლებოდა საძინებელ ოთახში, საწოლის კიდეზე ჩამოჯდებოდა, ბინდბუნდში თავის ანთებულ თვალებს ბავშვს მიაპყრობდა, თავზე ხელს გადაუსვამდა და ძლიერი, დამაჯერებელი ხმით ათასგვარ გამონაგონს უამბობდა, ამშვიდებდა, ყურადღებას გადართავდა და აძინებდა. იგი თავისი ხმით, ღამის ამ საუბრებით, ათასგვარი იგავ-არაკითა და ნართაულებით იმდენად მიიჩვია, რომ ზოგჯერ ავადმყოფი საძინებელ ოთახში მისი გამოჩენისთანავე კვნესა-ტირილს წყვეტდა და „სასწაულით" გაოგნებული მშობლების თვალწინ მშვიდდებოდა და იძინებდა.

რასპუტინმა დინატიას ჯადოქრული ძალით კეთილდღეობა და უსაფრთხოება უწინასწარმეტყველა. მისი ენაბლუობის გარეშე შეუძლებელი იყო მისივე მაგიურობის რწმენა. როგორც ექიმბაში თაღლითური რიტუალით იმორჩილებს თავის პაციენტებს, ასევე რასპუტინიც თავბრუს ახვევდა ყველას სალოცავი აბდაუბდით, რომელთა ადამიანურ ენაზე არც გაშიფვრა და არც თარგმნა არ შეიძლებოდა.

იგი ტიუმენიდან ანდა ახალი ათონიდან აგზავნიდა სასახლეში დეპეშებს, რომლებიც კაცს შეიძლებოდა მხოლოდ თეთრი ხურვების ნაყოფად მოსჩვენებოდა, უავგუსტოეს ადრესატებს კი ეს დეპეშები მოწიწებას უნერგავდა:

Увенчайтесь земным благом небесным венцом по пути с Вами Григорий.

Словно бо прославился у нас в Тобольске новоявленный святитель Иоанн Максимович бытие его возлюбил дом во славе и не уменьшить его ваш и с вами любитель архиепископство пущай там будет он.

Ставка Вырубовой моего птенца из гнезда трепещущей пташки жалостливой мамы гостью опять на испытание понедельник я верю вам это ширма и для чего нам такая ширма они еще скажут загородить весь свет огородом что нам в пользу то дайте как волки овец ой не нужно твердыня это бог а узники дети его довольно пусть мой дух будет на небе не на земле Распутин новых * [14].

---

* რასპუტინის გვარს ცუდი ეღერადობის გამო შეფემ მიამატა თავსართი „ნოვი" ან ნოვიხ". ეს თითქოს იმიტომ, რომ როცა მცირეწლოვან უფლისწულს რასპუტინი პირველად უნახავს, შეუძახია: „ეს ძია ახალიაო!"

გრძნეული ბერის ამ ნაწარმოებებს გამოეხმაურა პეტროგრადის ჟურნალი „ბილოე“, რომელსაც 1917 წელს კონტროლს უწევდა ვლადიმერ ბურცევი. იგი წერდა, რომ „ისინი დაწერილია კარგი რუსული ენით, მკვეთრი და ძარღვიანი სტილით“. თუმცა იქვე განმარტებული იყო, რომ „სტილის მხრივ ისინი მედავითნეთა და ნაწილობრივ ქურდების პირობით ენასაც მოგვაგონებენ“ [15].

მაცდური ბერი თავის „ძარღვიან“ ენაზე რაღაცას გაუგებრად ბუტბუტებს, მაგრამ როცა დასჭირდება და გარემოება აიძულებს, შეუძლია მისტიკური სიტყვათწყობაც დაარღვიოს. იმ შემთხვევებში კი, რომლებსაც ა. ნ. ხვოსტოვმა უკვე თებერვლის შემდეგ რასპუტინისეული „გავლენით ვაჭრობა“ უწოდა, გრიგოლ ეფიმის ძე სასახლეში მოპოვებული მდგომარეობით სარგებლობდა და ცდილობდა — რა-საკვირველია, ქრთამის საფასურად — დახმარებოდა ნებისმიერ მთხოვნელს ყოველგვარ გასაჭირში [16]. საკომისიო საწყისებზე უზრუნველყოფდა სამეფო კართან დაახლოებულ პირს თანამდებობით, სამრეწველო მაგნატს — საინტენდანტო შეკვეთით; მსჯავრდადებულ სისხლის სამართლის დამნაშავეს — შეწყნარებით: ტყვე გერმანელ ოფიცერს — განთავისუფლებით. რასპუტინის ყოფილი მდივნის დამოწმებით, ომის დროს ყოველთვიურად მის ხელში გადიოდა 150-მდე ასეთი ბარათი [17]. თუ რა მკაფიო ხდება ასეთ შემთხვევებში მისი სტილი, ამას ცხადყოფს მაცდური ბერის ეპისტოლარული მემკვიდრეობის შემდეგი ნიმუშები.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ი. გ. გორემიკინს: Дорогой старче божей выслушай ево он пусть твому совету и мудрости поклонитца роспутин.

სასახლის კომენდანტს ვ. ნ. ვოეიკოვს: Ставка генералу Воейкову вот дорогой милый обидят инженера Кульжинского которому я слышал вы симпатизируете он мне устроил моих бедных минимум 150 и пристроил всего лишь месяц устройте его на место уходящего инженера Борисова начальника управления железных дорог Григорий.

საგარეო საქმეთა მინისტრს ს. დ. საზონოვს: Слушай министер я послал к тебе одну бабу бог знает что ты ей наговорил оставь это устрой тогда все будет хорошо если нет намну тебе бока расскажу любящему Распутин.

გრძნეული ბერის ლექსიკონი ემოციურად რამდენადმე ამაღლებულია, მაგრამ მისთვის საერთოდ არც მკაცრი ლაკონიზმია უცხო.

იგი ცდილობს თანამდებობის შოვნას და ორჯერ ასეთ დეპეშას გზავნის: Доспел тебе губернатором. Распутин [18].

უხეში ფეტიშიზმით იყო გამსჭვალული უკანასკნელი რომანოვების ცხოვრება ცარსკოე სელოსა და კრემლის სასახლეების თაღებქვეშ. მაცდური ბერის სიმარჯვის შედეგად აქ თავი იჩინა ჯადოქრობის ტექნიკის თავისებურმა მრავალსახეობამ. აუღარუნებენ დაირას, უსიამოვნებაზე აფრთხილებენ ზარები, სხაპასხუპით წარმოთქმული ლოცვები მიმართულია სხვადასხვა ღვთაებისადმი: ჯირკებისადმი, ქერელისადმი, მცირეკალიბრიანი კერპებისადმი, გამოძერწილი და ამოკვეთილი პატარა-პატარა კერპებისადმი, ჯოხის ბუნიკზე გამოსახულ თევზისთავიან ავგაროზებისადმი, „წმინდა“ ქამრებისადმი. სალოსური ფეტიშიზმი შერწყმული იყო ევროპული განათლების გარეგნულ ელვარებასთან, საზეიმო გამოსვლების სილამაზესთან, ბალმასკარადებისა და ნადიმების ბრწყინვალებასთან. შამანის კარავი სატახტო დარბაზს მეზობლობდა.

რომანოვების უკანასკნელ წყვილს დიდი ხანია იტაცებს კუდიანები და ჯადოქრები. თანამემამულეთაგან მათ თვალწინ რიგრიგობით გაიარეს: ღვთისმლოცველმა დარია ოსიპოვამ, ყარიბმა ანტონმა, მკითხავმა მატრონა-ფეხშიშველმა, გვემულმა მეშჩანმა მიტკა კოზელსკიმ და სხვებმა. საზღვარგარეთიდან მოწვეულთაგან პირველები იყვნენ ფრანგი პაპიუსი და ავსტრიელი შენკი. რასპუტინის უშუალო წინამორბედი იყო საფრანგეთიდან ჩამოყვანილი ვინმე მუსიე ფილიპი — წინათ ლიონის მეძეხვე, შემდეგ კი ფერშალი, რომელსაც თაღლითობის გამო საფრანგეთის პოლიცია დევნიდა. იგი მოათავსეს მეფის საძინებელი ოთახის გვერდით, რათა სპირიტული, ჰიპნოზური და სხვა ხერხებით მეფე-დედოფლის მემკვიდრე ვაჟიშვილზე (ოთხი ქალიშვილის შემდეგ) ელოცა. იგი რომანოვებისათვის სახელმწიფოს მართვის საკითხებში კონსულტანტის მსგავს როლს ასრულებდა [19].

პოკროვსკელი „კორაბლიკების“ ღამეულ ცახცახს განათლებული ალექსანდრა თედორეს ასული, ფილოსოფიურ მეცნიერებათა ჰაიდელბერგელი ბაკალავრი, საკუთარი სულიერი სიმდიდრით — ფსიქოპათიური ჰალუცინაციებით — ავსებდა და აძლიერებდა. იგი ასე სწერდა მეუღლეს: ჩვენმა მეგობარმა ფილიპემ მაჩუქა ხატი ზარით, რომელიც მაფრთხილებს

უკეთური ადამიანების მოახლოებისას. ხელს უშლის მათ მომიახლოვდნენ.

ანდა: ნოვგოროდის გუბერნიაში მოგზაურობისას დედოფლისთვის წარუდგენიათ ასი წლის ღვთისმლოცავი ქალი, რომელიც ბორკილებს ატარებდა. იგი აღუწერს ქმარს ამ ქალთან შეხვედრას და ურთავს: მოხუცი შენ გიგზავნის ვაშლს. გთხოვ, შეჭამო იგი. დედოფალს მიაჩნია, რომ მოხუცის ხილი ძალას ჰმატებს ადამიანს. მოგვიანებით დედოფალი ეკითხება მეფეს, რა შედეგი გამოიღო წმინდა ნაყოფმა და პასუხიდან გებულობს, რომ მან და მისმა ვაჟიშვილმა მიირთვეს მოხუცის მიერ გამოგზავნილი ვაშლი და ორივეს ძალზე ეგემრიელა.

გოროხოვის ქუჩა, 64

მას შემდეგ, რაც გრძნეული ბერი პეტერბურგში პირველად გამოჩნდა, ექვსი ბინა გამოიცვალა. გოროხოვზე იგი ინგლისის პროსპექტიდან გადავიდა 1914 წლის 1 მაისს.

გრიგოლ ეფიმის ძეს ვიზიტიორები წინათაც ბევრი ჰყავდა, მაგრამ გოროხოვზე გადასვლისას, განსაკუთრებით კი ტიუმენის მხარეში ორთვიანი მოგზაურობის შემდეგ, სადაც მას ფეონიას შურისმაძიებელი ხელი მისწვდა (რამაც მას კიდევ უფრო მეტი პოპულარობა შესძინა), ქალბატონები და ბატონები გრძნეული ბერის სავანისაკენ ნაკადად მიედინებიან.

მესამე სართულის ფარდებჩამოშვებული ფანჯრებიდან განუწყვეტლივ ისმის ქუჩაში გუგუნის ხმა. მასში არეულია სადღეგრძელოები, სალოცავი საგალობლები, ბოშური გიტარის წკრიალი, მოცეკვავეთა ფეხების ბაკუნი, ნასვამი მამაკაცების წამოძახილები და ქალების წივილ-კივილი. ნახევრად მრგვალ ეზოში, საპარადო შესასვლელთან, თაღის უკან, ერთმანეთის მიყოლებით ჩერდებიან კოტად მორთული ფაეტონები, ძვირფასი მოტორები (ავტომობილები) და ჩვეულებრივი ორთვალები. ყველაზე უფრო სოლიდურ ვიზიტიორებს უკან მიჰყვებიან ლაქიები, რომლებიც ეკიპაჟიდან ეზიდებიან ღვინით სავსე ყუთებს, საჭმელ-სასმელს და ყვავილებით სავსე კალათებს.

ორმილიონიან დედაქალაქში ათასგვარი საქეიფო ბუდეები და დაწესებულებები არსებობდა, მაგრამ აქედან, როგორც მაშინ ამბობდნენ, განსაკუთრებული სურნელება იფრქვეოდა. მწკრივად გაბმულან ამ ბინისაკენ მიმავალი მაღალი წოდებისა და სიმდიდრის მქონე პირნი, ვის შესახებაც ერთი შეხედვით ვერც კი იტყოდით, რას შეეძლო მათი აქ შეკრება და ერთმანეთთან დაკავშირება: მინისტრები, რესტორნების მეპატრონენი და ბირჟის მაკლერები; თავადები, ადვოკატები და ბრილიანტებით მოვაჭრენი; სეფექალები, მექისეები და თეატრების ანტრეპრენიორები. ზოგჯერ დღისითაც, მაგრამ უფრო ხშირად კი საღამოს ბინდბუნდში ამ სახლისაკენ მიძვრებოდნენ რუსეთის მთავრობის გადამდგარი თუ ჯერ კიდევ მოქმედი თავკაცები — გორემიკინი, ტრეპოვი, შტიურმერი, მინისტრები ხვოსტოვი და პროტოპოპოვი, პოლიციის დეპარტამენტის შეფი ბელეცკი, სასახლის კართან დაახლოებული პირნი კრამერი და შვანებახი, არქიეპისკოპოსი ვარნავა, თავადი ფელიქს იუსუპოვი, სწორედ ის, რომლის ხელითაც მოკვდა ორი წლის შემდეგ სტუმართმოყვარე გრძნეული ბერი.

მრავალი ამ სტუმართაგანი ადრეც იყრიდა თავს მის მაგიდასთან, ხან წვნიან თევზს შეექცეოდნენ ღვეზელთან ერთად და ხანაც ტორტს მადერასთან ერთად. მაგრამ 1915 წლიდან ვიზიტიორთა ნაკადში სულ უფრო ხშირად გაიელვებდნენ ხოლმე სამხედროები — ოფიცრები და გენერლები, რომლებიც აქ ჩვეულებისამებრ თავად ანდრონიკოვს მოჰყავდა. თითქოს ბუნებრივიცაა, როცა სტუმართა ნაკადში ირევიან ქალბატონები და ბატონები, რომლებიც სხვადასხვა ვითარებამ აიძულა მოქმედი არმიების განლაგებები შემოევლოთ. ვერ ვიტყვით, თითქოს გოროხოვზე უცნაური შეკრებების მიმართ იმპერიის საიდუმლო სამსახური გულგრილი დარჩენილიყო, რომ იგი სულაც არ აინტერესებდა. არა, რაღაც თვალყურის მსგავსი რამ დაუწესეს. ამას მოწმობს არქივში შემორჩენილი ინფორმაციების ნაწყვეტები. მაგრამ ეს მაინც ძალზე პასიურად ხდება, არავითარ ქმედითობას არ იჩენენ — აქ ხომ ამბოხებას არ ახშობენ, არც რევოლუციონერებზე ნადირობენ...

გრძნეულ ბერთან აშკარა ახლო ურთიერთობას იჩენენ: იმპერატრიცას ფრეილინა ანა ალექსანდრეს ასული ვირუბოვა; პირველი გილდიის ვაჭარი, წარმოშობით მოზირიელი, გრძნეული ბერის პირადი მდივანი, 42 წლის არონ სიმონის ძე სიმანოვიჩი; გრძნეული

ბერის მეორე მდივნის, მსხვილი ჩინოვნიკის ქალიშვილი, 26 წლის მარია (მუსია, მუნია) ევგენის ასული გოლოვინა; მსხვილი ბანკირი, კომერციის მრჩეველი, 63 წლის მოსე აკიმის ძე გინზბურგი; მსხვილი ბანკირი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 39 წლის დიმიტრი ლეონის ძე რუბინშტეინი; გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ საერთაშორისო განყოფილების ლიტერატურული თანამშრომელი, კოლეგის მსაჯული, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირადი მდივანი ივანე თედორეს ძე მანასევიჩ-მანუილოვი; შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩინოვნიკი, 28 წლის თავადი მიხეილ მიხეილის ძე ანდრონიკოვი; გვარდიის შტაბის ოფიცრის ცოლი, 25 წლის ალექსანდრა ალექსანდრეს ასული ფონ პისტოლკორსი (ა. ა. ვირუბოვას და), რომელიც საფრონტო ზოლში დაჭრილების ვაგონით დადიოდა; მოწყალების და, 29 წლის აკულინა (აკილინა) ნიკიტას ასული ლაპტინსკაია, წარმოშობით მოგილევის გუბერნიიდან. მგზავრობდა მისი უდიდებულესობის სანიტარიული მატარებლით, შემდეგ გრძნეულ ბერთან გადავიდა და კვირაობით ცხოვრობდა მის ბინაში; ამასთან, ქალბატონი ლაპტინსკაია გასცა სტუმართმოყვარე მასპინძლის მიერ მისთვის ცალკე გამოყოფილ ოთახში ჩამოფარებულმა თხელმა ფარდებმა, ვინაიდან ზოგჯერ მისი ურთიერთობა გრძნეულ ბერთან მოპირდაპირე მხარეს მდებარე სახლების მაცხოვრებელთათვის უფასო გასართობს წარმოადგენდა.

მუდმივი სტუმრები იყვნენ აგრეთვე ექიმი ბადმაევი, ქალბატონი სუხომლინოვა (გენერლის ცოლი), ამასთან გრძნეულ ბერთან მეტად დაახლოებული ცოლ-ქმარი: უწმინდესი სინოდის წარჩინებული ჩინოვნიკი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი, 52 წლის ნიკოლოზ ვასილის ძე სოლოვიოვი და მისი ცოლი, გრძნეული ბერის თავგადაკლული თაყვანისმცემელი 30 წლის ელიზავეტა პეტრეს ასული. ცოლ-ქმარი ამ სახლიდან ორიოდე ნაბიჯზე ცხოვრობდა[20]. ეს სოლოვიოვი იყო მამა სწორედ იმ ბ. სოლოვიოვისა, რომელმაც 1917 წელს ჯვარი დაიწერა გრძნეული ბერის ქალიშვილზე და მასთან ერთად გაემგზავრა ციმბირში მეფის ოჯახის დასახსნელად.

მთელი საზოგადოების სული და გული გრიგოლ ეფიმის ძე იყო. უხეში მანერები და მუდმივი ზარხოში სულაც არ უშლიდა ხელს, დაემორჩილებინა ეს ჭრელი საზოგადოება და ამ წრის კონტაქტები და ურთიერთდამოკიდებულება წარემართა. ამასთან იგი ირგვლივმყოფთაგან ყველაზე ახლობლებს ეყრდნობოდა; თითქმის ყველა მათგანს ჰქონდა მის მიერ შერქმეული მეტსახელი. გრძნეული ბერის ამ

ჩვევას მაშინ მისი გლეხური იუმორის გრძნობას, ხუმრობისადმი მიდრეკილებას მიაწერდნენ. მაგალითად, სიმონოვიჩს სიმოჩკას ეძახდა: რუბინშტეინი მისთვის მიტრიაი, ხუჭუჭა იყო; პროტოპოპოვი — კალინინი; გორემიკინი — ყრუანჩელა; შტიურმერი — დოყლაპია, ბებრუცუნა; ვარნავა — ფარვანა; ვოეიკოვი — ვიეიეიკა და ა. შ. „გვარების დამახინჯების მისეული მანერა, — წერდა ვოეიკოვი, — გასართობად მიაჩნდათ და ჩვენს წრეში ბევრს მოსწონდა“ [21]. საეჭვოა.

ვ. მ. რუდნევმა, რომელიც საგანგებო საგამოძიებო კომისიაში მუშაობდა, გამოთქვა მოსაზრება, რომ მეტსახელების შერქმევა რასპუტინის ვიწრო წრეში მიღებული იყო კონსპირაციის მიზნით (საქმე ისაა, რომ, მაგალითად, ვარნავას მეტსახელს — ფარვანას ვხვდებით დედოფლისა და ვირუბოვას მიმოწერაში). რომანოვებისა და მათთან დაახლოებულ პირთა მაშინდელი წლების წერილები და დეპეშები სავსეა მეტსახელებითა და ყოველგვარი პირობითი გამოთქმებითა თუ ტერმინებით, რომელთა მნიშვნელობაც შეიძლებოდა გასაგები ყოფილიყო მარტო ადრესატებისათვის. ეს შენიშნა ა. ა. ბლოკმაც, როცა იგი საგამოძიებო კომისიაში თანამშრომლობდა. ზოგიერთებმა იმპერიის „უმაღლეს წრეებში“, წერდა იგი, „ერთმანეთი და ისინიც, ვისთანაც ურთიერთობა ჰქონდათ, ისეთივე კონსპირაციული მეტსახელებით მონათლეს, როგორებსაც ყველაზე დაბალ საფეხურზე — პოლიციის დეპარტამენტში ხმარობდნენ“ [22].

მართალია, შიფრის ენა პრიმიტიული იყო, მაგრამ იგი გასართობად კი არ აითვისეს, არამედ თავიანთი ფიქრებისა და ზრახვების დასაფარავად, რადგანაც დასამალი მართლაც რომ ჰქონდათ. მათი მოქმედების არსს განსაზღვრავდა ის, რომ ისინი იყვნენ „კაიზერული გერმანიის დამხობის გააფთრებული მოწინააღმდეგენი“. მათ მიაჩნდათ, რომ „რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ უნდა წაჩხუბებოდა გერმანიას, რომელიც მონარქიზმის დასაყრდენი იყო. და ამიტომ, ამ და ასევე ეკონომიკური მიზეზებით, მასთან კავშირიც კი უნდა დაემყარებინა“ [23].

რასპუტინის გერმანოფილობა „მტკიცე, აქტიური, დაჟინებული იყო, რუსული თვითდამდაბლებისა და თვითგანადგურების კონცეფციით“ განმსჭვალული [24]. თავის მდივანს იგი შთააგონებდა: „ჩვენ მას (კაიზერის გერმანიას) მხარი უნდა გავუსწოროთ, პირშიაც კი ვუყურეთ... იგი ძალაა, მისი ვაჭარი ძალაა... რუსი მიეჩვია გერმანულ საქონელს. გერმანელმა იცის მუშაობა... გერმანელი ყოჩა-

ლია“ [25]. ასეთი მოწინააღმდეგე რასპუტინს არ უნდოდა. და იგი ვიწრო წრეში ირწმუნებოდა, რომ „ომს ჩვენს მეფესა და გერმანიას შორის“ არ დაუშვებდა, ივლისის კრიზისის დღეებში პეტერბურგში რომ ყოფილიყო. თუ ეს აზრი რამდენადმე გადაჭარბებულია, მასში რეალურობის მარცვალიც მოიპოვება.

როგორც ცნობილია, ილიოდორის მიერ მიგზავნილ თეონია გუსევასაგან მძიმედ დაჭრილი გრძნეული ბერი იმ თვეში საწოლზე იყო მიჯაჭვული. მოგვიანებით ციმბირში სამოგზაუროდ მყოფი ლონდონის გაზეთ „ტაიმსის“ კორესპონდენტისათვის ტიუმენის საავადმყოფოში უამბნიათ: „როცა რასპუტინს პალატაში მისი უმაღლესობის დეპეშა გადასცეს, რომელიც შეიცავდა ცნობას ომის დაწყების შესახებ, იგი საავადმყოფოს პერსონალის თვალწინ სასტიკად განრისხდა, ილანძღებოდა, მეფეს ემუქრებოდა, სახვევებიც შემოიგლიჯა და ჭრილობა ისევ გაეხსნა“ [26].

თავად გრძნეული ბერის ქალიშვილი მატრენა (მარია), რომელიც ერთი თვე გვერდით უჯდა მამას ტიუმენში, ემიგრაციაში ყოფნისას იგონებდა: „მამა საიმპერატორო გერმანიასთან ომის სასტიკი წინააღმდეგი იყო. როცა ომი გამოცხადდა, მაშინ იგი გუსევას მიერ დაჭრილი ტიუმენში იწვა. ხელმწიფე დეპეშებს უგზავნიდა ხოლმე რჩევის სათხოვნელად... მამა თავის საპასუხო დეპეშებში ყოველნაირად ურჩევდა ხელმწიფეს „სიმტკიცე“ გამოეჩინა და ვილჰელმისათვის ომი არ გამოეცხადებინა. მე მაშინ მამაჩემთან ვიყავი და ვნახულობდი როგორც ხელმწიფის დეპეშებს, ისე მამაჩემის საპასუხო დეპეშებს“ [27].

რასპუტინმა და მისმა თანამოაზრეებმა „გერმანიის მეფესთან“ ომის თავიდან აცილება ვერ შეძლეს, მაგრამ სოლიდარობის, ორივე დინასტიის შეკავშირებისა და რევოლუციის საფრთხისაგან გადარჩენის მიზნით მის ჩაქრობას კი პირველსავე თვეებში შეეცადნენ. ეს მისწრაფება იყო მისი მთავარი საიდუმლო.

ლაპარაკობდნენ, ვითომ რასპუტინი ჯაშუში იყო. მკითხაობდნენ, უცხოეთის დაზვერვაში ხომ არ მსახურობდა იგი. ამის მტკიცების აშკარა საფუძველი არ არსებობს. მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ უცხოეთის აგენტურა გვერდს ვერ აუვლიდა გოროხოვის ქუჩაზე მდებარე № 64 სახლში მიმსვლელთ და შეეცდებოდა არსებული ბუნაგი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ნამდვილად შეძლეს თუ არა რასპუტინის ირგვლივ მყოფთაგან რაიმეს გამორჩენა, ეს ამბავი წყვდიადითაა

მოცული. მაგრამ ამ არეულობაში რომ სახელმწიფო ცნობების გაბნევა მოსალოდნელი და შესაძლებელი იყო, ესეც აშკარაა.

საბჭოთა ისტორიკოსის მ. ნ. პოკროვსკის მიერ ჯერ კიდევ ოციან წლებში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, რასპუტინი, რომელსაც რუსეთში ყველაზე მდიდარი ოჯახის — რომანოვების ქისასთან ხელი მიუწვდებოდა, საეჭვოა გერმანიის ანდა უცხოეთის სხვა საიდუმლო სამსახურის ფულს დახარბებოდა. რაკი რასპუტინი თავისებურად რომანოვების ერთგული იყო, შეეძლო მხოლოდ მათი მიბაძვით ვინც გნებავთ გაეყიდა და გაეცა: ანტანტის ლიდერები, კაიზერი, ანდა რომელიმე მისივე კაცი. რაკი რომანოვებზე ზრუნავდა, რაკი მათთან ერთად, მათთვის და მათი სახელით მოქმედებდა, იგი მათივე ეგიდის წყალობით ვაჭრობდა და აწარმოებდა ყველაფერს, რაც დინასტიისთვის და პირადად მისი გამორჩენისა და მოგების მიზნით სასარგებლო იქნებოდა ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. შეგნებული განზრახვით, პირადი სურვილით კი იგი უცხოელების მიერ მოსყიდული აგენტი ალბათ არ ყოფილა [28].

მაგრამ თავისი უცნაური ქცევით შეეძლო დაზვერვისათვის „შეუგნებლად“ გაეწია სამსახური. მისი ყბედობა და სახელმწიფო ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროებთან ახლოს დარდიმანდული პატარპაში თავისუფლად შეეძლოთ გამოეყენებინათ როგორც გერმანიის, ისე მისი მოწინააღმდეგე ანტანტის საიდუმლო სამსახურებს. ამ საშიშროების შეცნობა არც ისე ძნელი იყო და ავალდებულებდა ზემოაღნიშნულ ორგანოებს გოროხოვზე მდებარე სახლის მუდმივი მდგმურების ძიმართ განსაკუთრებული სიფრთხილე გამოეჩინათ; ყოველ შემთხვევაში — ისინი უნდა ჰყოლოდათ ამ შესაძლებელი წყაროებიდან მაქსიმალურად შორს, ხოლო სეიფები, რომლებშიაც დოკუმენტები ინახებოდა, მათთვის ყრუდ უნდა დაეხშოთ.

სინამდვილეში ასეთი სიფრთხილე დაცული არ იყო. საწინააღმდეგო რამ უფრო ხდებოდა ხოლმე. ყოფილი პრემიერი ა. ფ. კერენსკი ემიგრაციაში ყოფნისას ირწმუნებოდა, რომ „რასპუტინთან ახლოს შეუფერხებლივ მუშაობდნენ არა მარტო გერმანოფილები, არამედ გერმანელი აგენტებიც“. კადეტთა ყოფილი ლიდერი ვ. ა. მაკლაკოვი წერდა: „როცა შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, ხვოსტოვმა მიამბო: მას რასპუტინზე თვალყურის დევნება დაუწესებია და სრულიად აშკარა გამხდარა, რომ რასპუტინი გარშემორტყმული ყოფილა ისეთი ადამიანებით, რომლებიც ეჭვმიტანილი იყვნენ გერმანიის აგენტობა-

ში... ხვოსტოვს თავის მოვალეობად ჩაუთვლია, ამის შესახებ მოეხსენებინა ხელმწიფისათვის და ეს გამხდარა მისი შერისხვისა და გადაყენების მიზეზი".

რასპუტინის ბინის საპოლიციო ზედამხედველობის მონაწილე პიროვნება, რომლის ვინაობაც უცნობია, უფრო მკაფიოდ გამოთქვამს აზრს: „მაშინ ჩემთვის ნათელი გახდა, რომ მისი ბინა იყო ის ადგილი, სადაც გერმანელებს თავიანთი აგენტურის საშუალებით შეეძლოთ მიეღოთ საჭირო ცნობები" [29].

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ უცხოეთის დაზვერვა რუსეთში დიდი ხანია აქტიურობდა. პირველ რიგში ეს ითქმის ბრიტანეთის, იაპონიისა და ავსტრიის დაზვერვებზე. ხოლო ომის წინა ათწლეულში საგრძნობლად გამოიკვეთა გერმანიის დაზვერვაც. სამაგიეროდ, სუსტად და არაკვალიფიციურად მოქმედებდა რუსეთის კონტრდაზვერვის სამსახური [30] ისარგებლა რა უცხოეთის ჯაშუშობისაგან რუსეთის ნაკლებეფექტიანი თავდაცვითი ღონისძიებებით, 1908 წელს კოორდინირებულმა ცენტრალური ბლოკის სახელმწიფოების საიდუმლო სამსახურმა შეძლო თავისი რეზიდენტურები განელაგებინა ორ სამხედრო ოლქში — პეტროგრადსა და კიევში, ხოლო საზღვრო სადგური ვერეჟბოლოვო გადაექცია მოპოვებული ინფორმაციის გადაცემის მთავარ პუნქტად.

ომის დაწყების წინ გერმანიის სამხედრო დაზვერვის მეთაურმა პოლკოვნიკმა ნიკოლოზმა შეძლო კაიზერისათვის მოეხსენებინა თავისი სამსახურის რამდენიმე მნიშვნელოვანი წარმატების თაობაზე: რუსეთში მოპოვებულ იქნა სრულიად საიდუმლო დოკუმენტების სერია უშუალოდ სამხედრო სამმართველოს აპარატიდან. მათი ერთი ნაწილი მომდინარეობდა ვინმე პორუჩიკ ადალბერტ ზივერტისაგან. იგი მუშაობდა კიევის სამხედრო ოლქის შტაბის საიდუმლო ნაწილში, ეგრეთ წოდებულ შავ კაბინეტში, სადაც ოლქის ოფიცრებისა და გენერლების, მათ შორის თვით სარდლის სამსახურებრივი და პირადი მიმოწერის მალული პერლუსტრაცია წარმოებდა. ავსტრია-გერმანიის გაერთიანებული საიდუმლო სამსახურის ხელმძღვანელის ალტშულერის მიერ კიევში გადმობირებულმა პორუჩიკმა ზივერტმა ოფიცრებისა და გენერლების წერილების მიხედვით ალტშულერისათვის შეადგინა რამდენიმე მიმოხილვა ჯარებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ზივერტის მიერ კიევიდან პოტსდამში გადაცემული ინფორმაცია, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ იგი გააფერმკრთალა პეტერბურგიდან, უფრო ზუსტად, სამხედრო მინისტრის კაბინეტიდან ისევ პოტსდამში მიღებულმა დოკუმენტმა. ავსტრია-გერმანიის დაზვერვამ გენერალ ვ. ა. სუხომლინოვის ირგვლივ ჯერ კიდევ მაშინ გააბა ქსელი, როცა იგი 1904 წლიდან კიევში სამხედრო ოლქის სარდალი იყო. ჯერ მისი ცოლი (ყოფილი ბუტოვიჩი) გადაიბირეს. მეუღლესთან ერთად პეტერბურგში გადასვლისთანავე (1908 წლიდან იგი სათავეში ედგა გენერალურ შტაბს, ხოლო შემდეგ, ექვსი წლის განმავლობაში, 1909 წლიდან 1915 წლამდე — სამხედრო სამინისტროს) ქალბატონი სუხომლინოვა რასპუტინის ხშირი სტუმარი, მის მიერ გამართული საღამოებისა და ქეიფების მონაწილე გახდა. ალტშულერისათვის ცნობების მიწოდების საქმეში იგი ითრევს სამხედრო სამინისტროს კანცელარიის თანამშრომლებს — პოლკოვნიკ ვ. ივანოვსა და კაპიტან ა. ველერს, შემდეგ სამინისტროს საქმეებთან დაკავშირებულ ინჟინერ ა. გოშკევიჩს, ა. პოლი-პოლაჩეკს, ვ. დუმბაძეს (თავისი სიმკაცრით ცნობილი იალტის გუბერნატორის დუმბაძის ძმისწულს) და, ბოლოს, გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოს კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსს, პოდპოლკოვნიკ ერანდაკოვს.

აი ამ კამპანიამ მოიპარა და წაიღო სამხედრო სამინისტროდან სუხომლინოვის მიერ პირადად მეფისათვის შედგენილი განსაკუთრებული მნიშვნელობის დოკუმენტი: „ანგარიში რუსეთის არმიის მდგომარეობისა და მომზადების ღონისძიებათა შესახებ 1909 წლიდან 1913 წლამდე“. გასაგებია, თუ რას ნიშნავდა ამგვარი მონაპოვარი კაიზერელი სტრატეგებისათვის, რომლებსაც სწორედ იმ დროს შეჰქონდათ უკანასკნელი შესწორებები შლიფენის „ორი ფრონტის“ კონცეფციის საფუძველზე შედგენილ რუსეთში შეჭრის ოპერატიულ გეგმაში...

დაიწყო ომი. ამან, რა თქმა უნდა, გააძნელა გერმანიის ჯაშუშობა რუსეთის „ჰინტერლანდში“. მაგრამ იგი არც შეწყვეტილა და მაინცა და მაინც არც შესუსტებულა. გერმანელებმა დაკარგეს გადამცემი პუნქტი ვერჟბოლოვში, რადგანაც იქ ფრონტის ხაზი გადიოდა; მაგრამ ასეთი პუნქტი „მწვანე ცენტრის“ სახელწოდებით შეიქმნა სტოკჰოლმში. მას ხელმძღვანელობდა შვეციის ელჩი ფონ ლიუციუსი, რომელიც აბვერის ხაზით მჭიდროდ იყო დაკავშირებული

პოლკოვნიკ ნიკოლოზთან. ვინ სად მუშაობდა ლიუციუსისათვის, ანუ ნიკოლოზისათვის?

ანტანტის საიდუმლო სამსახურები თავიანთ მთავრობებს აცნობებდნენ, რომ საომარ მოქმედებათა მსვლელობისას ევროპის აღმოსავლეთით გერმანიის სარდლობა საქმეში უცნაურ ჩახედულობას იჩენს: იგი ხშირად ზუსტ დარტყმებს აყენებს, რაც საფრონტო დაზვერვის ჩვეულებრივი საშუალებებით შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან სუსტად იყო დაყენებული საქმე რუსეთის კონტრდაზვერვის სამსახურში, რასაც ემატებოდა დეზორგანიზება ერანდაკოვის გამცემლობის წყალობით, იგი მაინც დროდადრო მთავარსარდლობისა და პირადად მეფის ყურადღებას მიაქცევდა იმავე საეჭვო ვითარებებისაკენ. ეჭვს გარეშეა, ირწმუნებოდა ორივე მხარე, მოწინააღმდეგე იმიტომ ახერხებს ასეთ ზუსტ დარტყმებს განსაზღვრული მიზნით, რომ მას სიგნალს აძლევენ სადღაც რუსეთის ზურგის სიღრმეში მოკალათებული აგენტები.

1915 წლის ზაფხულის ერთ ღამეს პეტროგრადის კონტრდაზვერვა ბოლშოი მორსკოიზე მდებარე ოტელ „ბელვიუს“ 28-ე ნომერში შეიჭრა, რომელიც თავად მ. მ. ანდრონიკოვს ეკავა, და ჩხრეკა მოაწყო. ამ კაცს მთელი ოფიციალური პეტროგრადი იცნობდა და მაინც მის შესახებ ბევრი რამ ბურუსით იყო მოცული. 1942 წელს ერთ-ერთმა გერმანელმა ფაშისტმა ავტორმა გამოაქვეყნა ცნობები ამ პიროვნების ზოგიერთ ცხოვრებისეულ მხარეზე. მამამისი ქართველი იყო, ოფიცრად მსახურობდა რუსეთის არმიაში, მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში. დედამისი—უნგერნ-შტერნბერგი ბარონესა იყო. ანდრონიკოვ-უმცროსი გერმანიაში დაიბადა და გაიზარდა. რუსეთში იგი ახალგაზრდობის წლებში ჩამოვიდა და „რუსი ხალხის კავშირს“ დაუახლოვდა, მეგობრობდა პეტროგრადის ქალაქის თავთან ფონ დერ ლაუნიცთან, გამოსცემდა გაზეთს „გოლოს რუსსკოგოს“ [31]. მაგრამ ზოგიერთ რამეს მიხაკისფერმა ავტორმა დუმილით აუარა გვერდი. კერძოდ იმას, რომ თანდათანობით ანდრონიკოვმა რასპუტინის ნდობა დაიმსახურა და შემდეგში მისი ერთ-ერთი ყველაზე ახლობელი და ნდობით აღჭურვილი პირი გახდა. „სულმდაბალი პიროვნებაა“, — თქვა მის შესახებ ყოფილმა პრემიერმა ს. ი. ვიტემ. თითქოს არც ჯაშუში იყო, არც გაიძვერა. სულ რაღაცას ჯახირობდა, ფლიდობდა, ინტრიგანობდა, ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებდა ადამიანებს. მლიქვნელობდა ყველა მინისტრთან. იგი უახლოესი მეგობარი იყო

სუხომლინოვის, მისი მეუღლის, შინაგან საქმეთა მინისტრ მაკაროვის. „ჩემს სამსახურებრივ კაბინეტშიც შემოძვრა... — განაგრძობს ს. ი. ვიტე. — შეძვრა კოკოვცევთანაც, რომელმაც მასზე თქვა: დიდი გაიძვერაა“ [32].

ჩხრეკის დროს ანდრონიკოვს აღმოუჩინეს სამხედრო დოკუმენტები, რომლებთანაც მას არავითარი დამოკიდებულება და მით უფრო სარგებლობის უფლება არ შეიძლებოდა ჰქონოდა. ირკვევა, რომ მან როგორღაც შეძლო და იშოვა მე-12 არმიის განლაგებაში შესვლის საშვი, დადიოდა იქ ნაცნობ არისტოკრატ ოფიცრებთან და მათგან იღებდა სამხედრო ინფორმაციებს, დაათრევდა რუკებსა და ბრძანებების ასლებს. იგივე ნაცნობები და მეგობრები ფრონტიდან მოკლევადიანი ჩამოსვლისას ანდრონიკოვის მიპატიჟებით მოინახულებდნენ ხოლმე რასპუტინის ბინას. აქ აწყობდა იგი მათთვის ქეიფებს, ახვედრებდა ქალებს და ამ გზით სცინცლავდა სამხედროებს უკანასკნელ მონაცემებს ჯარების მდგომარეობის შესახებ. იგი იყენებდა თავადის ტიტულს და იმავე მიზნით ახერხებდა ნაცნობობის დამყარებას ქალაქის ოფიცრობასთან, შესაფერის კომპანიონებს ეძებდა რესტორნებში „ასტორიასა“ და „ევროპაში“. დაეპატრონა თუ არა სასტუმრო „ბელვიას“ ნომერს, იქ, თეჯირს იქით, მოაწყო კერძო საქმისწარმოება: იქვე მალავდა ფრონტსა და ზურგში მოპოვებულ სამხედრო დოკუმენტებს, ადგენდა აგრეთვე გერმანიიდან მიღებული შეკითხვების მიხედვით ცნობებს რუსეთში მოხვედრილ გერმანელ ტყვეებზე.

თეჯირს იქით უჯრიდან გადმოვარდა ქაღალდი... კონტრმზვერავები დაიძაბნენ. ახლა კი ელეგანტურ თავადს, მგონი, საქმე კარგად არ უხდა წაუვიდეს. ქაღალდზე ასეთი სათაურია: „საარმიო რეზერვისა და შეიარაღების მდგომარეობის შესახებ“. ხელს აწერს გენერალი ეპანჩინი. რატომ და ვისთვის დაიწერა იგი? ამის გონივრული ახსნა დაკითხვაზე ვერც ეპანჩინმა და ვერც ანდრონიკოვმა ვერ შეძლეს. ამ შემოხვევასთან დაკავშირებით დაიწერა ბრძანება, საიდანაც ირკვევა, რომ გენერალი ეპანჩინი „უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით სამსახურიდან დაითხოვეს მუნდირის ტარების უფლების გარეშე იმ ბარათის შედგენისათვის, რომელშიც მან, ეპანჩინმა, თავს ნება მისცა, აესახა სამხედრო ხასიათის მეტად საიდუმლო ცნობები“. ანდრონიკოვს კი საერთოდ ხელი არ ახლეს. იგი თავისუფლად დადიოდა 1916 წლის დეკემბრამდე და ბნელ-ბნელი საქმეებით იყო დაკავებული მანამ, სანამ გრძნეული ბერი ნევის ყინულში არ ჩაიკარგა, რის

გამოც გოროხოვზე მდებარე სამხეღრო-საინფორმაციო ბირჟა სამუდამოდ დაიკეტა. შემდეგ მეფემ ბრძანა, ანდრონიკოვი რიაზანში გადაესახლებინათ.

1916 წლის ზაფხულში პოლკოვნიკმა ნიკოლოზმა შეძლო პირველი მსოფლიო ომის პერიოდში თავისი ერთ-ერთი უდიდესი დივერსია განეხორციელებინა. ბრიტანეთის ნავსადგურ სკაპა-ფლოუდან არხანგელსკის მიმართულებით კრეისერი „ჰემპშაირი“ გავიდა. მას მოკავშირეთა შორის ოპერატიული გეგმების კოორდინაციის მიზნით რუსეთში მოსალაპარაკებლად მიჰყავდა სამხედრო მინისტრი ფელდმარშალი ლორდი ჰორაციო ჰერბერტ კიტჩენერი. გამგზავრება განსაკუთრებული საიდუმლოებით იყო მოცული. რეისის მარშრუტისა და საბოლოო პუნქტის შესახებ გემის მეთაურმა მხოლოდ სკაპა-ფლოუდან ზღვაში გასვლის შემდეგ შეიტყო, როცა ადმირალიტეტის მოწერილობით პაკეტი გახსნა. გერმანიის წყალქვეშა ნავმა V-22-მა, რომელიც ინგლისის კრეისერს ორკნეისკის კუნძულებთან მითითებულ კვადრატში უცდიდა, 5 ივნისს ტორპედირებით კრეისერი ზღვის ფსკერზე ჩაუშვა; ეკიპაჟთან ერთად კიტჩენერიც დაიღუპა. ამის შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში გერმანიაში (თითქმის ნაცისტურ პერიოდამდე) V-22-ის „ჰემპშაირზე“ თავდასხმა სადავოდ იყო გამხდარი; ამტკიცებდნენ, რომ კრეისერი ნაღმს წააწყდა და იმიტომ აფეთქდაო. მაგრამ იმავე ინგლისის სამსახურის „სიკრეტ სერვიზის“ მიერ სკოტლანდ-იარდის კონტრდაზვერვის განყოფილებასთან ერთად დაწყებული გამოძიებით გამოირკვა, რომ „ჰემპშაირი“ აფეთქდა წყალქვეშა ნავის ტორპედოთი და რომ ფონ ლიუციუსის სტოკჰოლმის „მწვანე ცენტრმა“ ცნობა გემის რეისის შესახებ უფრო ადრე მიიღო პეტროგრადიდან ვინმე შვედოვის მეშვეობით, რომელიც გოროხოვზე მდებარე ბინის მუდმივი სტუმარი იყო. 1921 წელს ეს მონაცემები რასპუტინის ყოფილმა მდივანმაც დაადასტურა. მისი წიგნიდან ვგებულობთ, რომ ლონდონიდან მიღებული საყვედურებით შეშფოთებულმა ნიკოლოზ II სთხოვა რასპუტინს „ეცნობებინა, ვინ იყო კიტჩენერის დაღუპვაში დამნაშავე“. ავტორის თქმით, რასპუტინს ანდრონიკოვსა და ვოეიკოვზე მიუთითებია, მაგრამ „მეფეს არც ერთისა და არც მეორესათვის ხელი არ უხლია“ [33] (თებერვლის რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე მხოლოდ შვედოვი გაასამართლეს და ჩამოახრჩვეს).

„ჰემპშაირის“ დაღუპვაში რასპუტინის თანამდგომთა მონაწილე-

ობის შესახებ ბევრი რამ ითქვა 1924 წელს ჟანდარმერიის გენერლის კომისაროვის მიერ დასავლეთის პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში — სწორედ იმ კომისაროვისა, რომელიც თავის დროზე რბევისაკენ მომწოდებელ ფურცლებს ბეჭდავდა სამინისტროს სტამბაში, ხოლო მოგვიანებით რასპუტინის საპოლიციო დაცვას განაგებდა. მისი ინტერვიუ საბჭოთა პრესაშიც გამოქვეყნდა[34]. 1933 წელს ლონდონში გამოქვეყნებულ თავის მემუარებში ეს სკოტლანდ-იარდის კონტრდაზვერვის განყოფილების ყოფილმა ინსპექტორმა ჰერბერტ ფიტჩმაც დაადასტურა[35].

„ჰემპშაირის“ დაღუპვით გამოწვეული დედოფლის რეაქცია რაღაც ჭვრეტით-ფილოსოფიური იყო. მთავარსარდლობის ბანაკში მან ქმარს მისწერა, რომ ამ შემთხვევაში, ისე როგორც საერთოდ ცხოვრებაში, „ზოგი ჭირი მარგებელია“. შემდეგში მისი პოზიცია უფრო დაკონკრეტდა: წმინდა გრიგოლი, აცნობებდა იგი მეუღლეს, აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით ამაღლებულ განწყობილებაზეა. როგორც „ჩვენი მეგობარი“ (იგულისხმება რასპუტინი — მთარგ.) ფიქრობს, „ჩვენთვის უკეთესია, რომ კიტჩენერი დაიღუპა, რადგანაც მოგვიანებით ეს ლორდი რუსეთს ბევრ ზიანს მიაყენებდა. არც იმაზე გვმართებს ჭმუნვა, რომ მასთან ერთად მისი ქაღალდებიც დაიკარგა“[36]. სავსებით სწორია, რომ კიტჩენერისაგან რაიმე კარგის მოლოდინი არ უნდა ჰქონოდათ, მაგრამ რუსეთისათვის შესაძლო ზიანის თავიდან ასაცილებლადაც საკმაოდ ორიგინალური ხერხი გამოიყენეს: გერმანიის ტორპედოები დაუმიზნეს როგორც საკუთარ, რუსეთის, ისე მოკავშირეთა გემებს...

დაახლოებით იმავე პერიოდს მიეკუთვნება კიეველი შაქრის მეფაბრიკეების (ბაბუშკინის, დობრისა და ხეპნერის) ერთი ჯგუფის საქმე, რომლებიც შეეცადნენ მოწინააღმდეგე რუსეთის შაქრით მოემარაგებინათ. სამივეს ჩამოხრჩობით სიკვდილი ელოდა. მათ დახმარებისათვის გოროხოვზე მდებარე № 64 სახლს მიმართეს. დამნაშავეთა გადარჩენა რასპუტინისთვისაც კი საძნელო საქმე გამოდგა, რადგანაც ისინი დაპატიმრებული იყვნენ ბრუსილოვის (სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდლის) ბრძანებით, რომელსაც, დედოფლის მხრივ მეფაბრიკეებისათვის მხარდაჭერის მიუხედავად, მათ სასარგებლოდ სიტყვის გაგონებაც არ სურდა. სპეკულანტებმა სახრჩობელისაგან თავდახსნილებად მხოლოდ მაშინ ცნეს თავი, როცა ნიკოლოზ II ბრძანა საქმე სამხედრო სასამართლოდან სამოქალაქოში გადაეტანათ. 1916 წლის მიწურულს კი ამ საქმის წარმოება საერთოდ შეწყდა[37].

დ. ლ. რუბინშტეინი რუსეთ-საფრანგეთის ბანკის დირექტორის პოსტს სადაზღვევო საზოგადოება „იაკორის“ დირექტორის თანამდებობას უთავსებდა. მაშინდელი წესის თანახმად, სამხედრო უწყების თავისი შეკვეთები უნდა დაეზღვია საზღვარგარეთ განლაგებულ იარაღებსა და რუსეთში მათ ტრანსპორტირებაზე: დაზღვევის ოპერაციებს მეტწილად „იაკორი“ აწარმოებდა. 1915 წელს რუბინშტეინი დააპატიმრეს იმის გამო, რომ მას ბრალი ედებოდა შეკვეთებისა და სამხედრო უწყების მიერ დაფრახტული გემების მარშრუტების შესახებ ნეიტრალური ქვეყნების სადაზღვევო კამპანიებისათვის ცნობების გადაცემაში, მიუხედავად იმისა, რომ ეს კამპანიები თავის მხრივ გერმანიის ფირმებთან იყვნენ დაკავშირებულნი. აშკარა იყო, რომ მოწინააღმდეგე ამ ინფორმაციას იჭერდა. მისი წყალქვეშა ნავები მითითებული კოორდინატების მიხედვით პოულობდნენ სამხედრო ტვირთით სავსე რუსეთის ტრანსპორტს და ძირავდნენ. ამას გარდა, „იაკორი“ შვედების ფირმებს უგზავნიდა მასთან დაზღვეული რუსეთის სამრეწველო საწარმოების სიმძლავრეთა და საწარმოო გეგმების მონაცემებს და ამ შემთხვევაშიც შვედების კავშირი გერმანელებთან იგნორირებული იყო. რუბინშტეინს სახრჩობელა ელოდა, მაგრამ რასპუტინი თავდებად დაუდგა მას მეფისა და დედოფლის წინაშე, რის შედეგადაც 1916 წელს იგი პატიმრობიდან გაათავისუფლეს[38]. თებერვლის შემდეგ მანასევიჩ-მანუილოვმა გამომძიებლებს განუცხადა, რუბინშტეინმა რასპუტინს „მადლობა“ 100 ათასი მანეთით გადაუხადაო.

რუბინშტეინის დაუსჯელობის საიდუმლოებას რასპუტინის ყოფილი მდივანი ამ ბანკირის მიერ დედოფლისადმი გაწეულ სამსახურში ხედავდა. გრძნეული ბერის რეკომენდაციით დედოფალმა მიტიაი პირადი ფინანსური საქმეების აგენტად აიყვანა. ალექსანდრა თედორეს ასულის დავალებით იგი სისტემატურ სატრანსფერნო ოპერაციებს ასრულებდა რუსეთსა და გერმანიას შორის, კერძოდ, ეხმარებოდა „მისი ღარიბი ნათესავებისათვის“ ჰესენში მსხვილი თანხების გადარიცხვაში. ომმა ეს პრაქტიკა თითქოს შეწყვიტა, მაგრამ მისი კლიენტი „განუწყვეტლივ ზრუნავდა თავის ნათესავებზე“ და კვლავ ეძებდა „გერმანიაში ფულის ფარულად გადაგზავნის“ გზებს. რუბინშტეინიც „უწინდელი მოხერხებულობით“ ვანაგრძობდა იმავე ოპერაციებს, თუმცა ისინი „განსაკუთრებით დელიკატური და საშიში გახდნენ“. მადლიერმა ალექსანდრა თედორეს ასულმა იმ

დროს გაუწოდა მას ხელი საშველად, როცა სახრჩობელას მარყუჟი ელოდა.

თუმცა თვით იმპერატრიცასათვისაც კი მსგავსი გამოქომაგება საშიში იყო. თავდაპირველად ცნობამ რუბინშტეინის დაპატიმრების შესახებ მას თავზარი დასცა. ეს იყო დარტყმა. მარტო იმიტომ კი არა, რომ დავალებათა შემსრულებელს კარგავდა, მას აშინებდა მოსალოდნელი დისკრედიტაცია, რაც ტახტისათვის არნახულ აურზაურს გამოიწვევდა. თავდაპირველად მას მოეჩვენა, რომ რუბინშტეინის დაპატიმრება „გამოწვეული იყო თანხის გადაგზავნით... რომ მასთან კავშირი გაიხსნებოდა". რაკი გაირკვა, რომ დაპატიმრების მიზეზს მის საქმეებთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა, დამშვიდდა და გამბედაობა მოემატა. ზეგავლენა მოახდინა ხელისუფლებაზე და რუბინშტეინი პატიმრობიდან განთავისუფლდა. იმავე ავტორის მტკიცებით, მას იმ დღეებში ფარულად გადასცეს ბარათი: „სიმანოვიჩ, გილოცავ. ჩვენი ბანკირი თავისუფალია. ალექსანდრა" [39].

ფონ ლიუციუსის „მწვანე ცენტრის" შესახებ ცნობილი გახდა აგრეთვე პარიზის წყაროებიდანაც: ბუნებრივია, რომ ამ დაწესებულებით რუსებზე ნაკლებ არც ფრანგები იყვნენ დაინტერესებულნი. ასე, მაგალითად, პარიზის ჟურნალმა „მერკიურ დე ფრანსმა" გამოაქვეყნა, ხოლო პეტროგრადის „ისტორიჩესკი ვესტნიკმა" 1917 წელს გადმობეჭდა ბინშტოკის ვრცელი ცნობა, რომლის თანახმადაც „მწვანე ცენტრი" წარმოშობილა 1915 წელს, მის განკარგულებაში ყოფილან ძალზე გამოცდილი ავსტრია-გერმანიის აგენტები, ლიუციუსთან ერთად მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი ყოფილა ჟავინერი, „დოიჩე ბანკის" ერთ-ერთი დირექტორთაგანი. ბინშტოკი წერდა, რომ ფრეილინა ვასილჩიკოვა, სასახლის მინისტრი ფრედერიკსი და გენერალი რენენკამპფი ამ ორგანიზაციის ხრიკებში მონაწილეობდნენ. იგი ხაზგასმით ლაპარაკობდა იმ დოკუმენტების მნიშვნელობაზე, რომლებიც აღმოაჩინეს 1915 წლის ბოლოს პეტერბურგში ოტელ „ასტორიაში" ვასილჩიკოვას გაჩხრეკის დროს, განსაკუთრებით კი ვილჰელმ II მიერ დიდი ქალბატონის მარია პავლეს ასულისადმი გაგზავნილ დაშიფრულ წერილს გამოარჩევდა: „ამ წერილში, — დასძენს ბინშტოკი, — რომელიც ახლა დროებით მთავრობას ხელთა აქვს, სხვათა შორის, ნათქვამი იყო, რომ რომანოვებსა და ჰოჰენცოლერნებს შორის არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს მტრობა, რომ ამ

ომს გერმანია აწარმოებს მხოლოდ რუსი ხალხის წინააღმდეგ, რადგანაც მას ეშინია და არ სურს გერმანიის გავლენის ქვეშ მოექცეს“ [49].

ინფორმაციის წყარო შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგრამ ყველაზე ძვირფასი ინფორმაცია, რასაკვირველია, ის არის, რომელსაც პირველი ხელიდან ვიღებთ. ესე იგი, ძალზე სანდო, თავად მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მიერ უშუალოდ ღვთის კაცისადმი პირადად მიწოდებული ცნობა.

ნუთუ ასეთი ცნობებიც არსებობდა? დიახ, არსებობდა.

1916 წელი. გაზაფხული. რასპუტინის ბინაში მაგიდაზე სამოვარი თუხთუხებს. ერთმანეთის პირისპირ ორი კაცი ზის: გრძნეული ბერი და მიტიაი. თითქმის ერთმანეთს აკვრიან, ცხვირი ცხვირზე მიუდვიათ და ჩურჩულებენ. ისეთ რამეზე ჩურჩულებენ, რომ კედლებმაც არ უნდა გაიგონ. დიმიტრი ლეონის ძე სთხოვს გრიგოლ ეფიმის ძეს პირველსავე შესაფერის შემთხვევაში შეიტყოს „თვით მისგან“, როდის შეიძლება დაიწყოს რუსეთის სავარაუდო გადამწყვეტი შეტევა გალიციაში.

რამდენიმე დღის შემდეგ ღვთის კაცი სასახლეში „თვით მასთან“ ათენ რამეზე ყბედობდა და თითქოს სხვათა შორის სუფრასთან დიალოგის დროს ჩაურთო:

— დაიწყებ განა შეტევას?

— შეტევა არ იქნება, გრიგოლ ეფიმოვიჩ, — პასუხობს თანამოსაუბრე.

— მაინც როდის გადახვალ შეტევაზე?

— იარაღი საკმარისი არა გვაქვს. საკმარისი გვექნება მხოლოდ ორი თვის შემდეგ. აი მაშინ კი გადავალ შეტევაზე. ადრე ვერაფრით ვერ შევძლებ.

შეიტყო თუ არა მეფის სუფრაზე გამართული ამ საუბრის შესახებ, მინისტრმა ხვოსტოვმა გრძნეულ ბერს ჰკითხა, რატომ აინტერესებდა სწორედ ისეთი ამბები, რომლებიც ესოდენ შორს იყო მაცხოვრის ქადაგებათაგან, აგრეთვე სულისა და ხორცის ურთიერთკავშირის პრობლემისაგან? მან განუმარტა: მიტიაიმ განიზრახა ტყის სავარგულების ყიდვა-გაყიდვა დასავლეთის გუბერნიებში; ვინაიდან მიტიაისათვის გაუგებარია, როგორ წარიმართება შემდგომში საომარი მოქმედებანი, ყოყმანობს — შეუდგეს საქმიანობას თუ თავი შეიკავოს. მას რჩევა სჭირდება. „ამიტომაც იყო, რომ მამას მოველაპარაკე... მერე შენ რა, ძაღლიშვილო?“ ანალებში აღბეჭდილია ხვოსტოვის კო-

მენტარები: „ტყის საყიდლად სჭირდებოდა ბანკირს ეს ცნობები, თუ იმისათვის, რომ ბერლინში შეტყობინებით გერმანელებისათვის შესაძლებელი ყოფილიყო რუსეთის ფრონტიდან ვერდენისაზე ხუთიექვსი კორპუსის გადასროლა, — ამის დადგენა ახლა უკვე ძნელია“ [41].

მეფე-დედოფალს რასპუტინისაგან დამალული არც სახელმწიფო და არც სამხედრო საიდუმლოება არ ჰქონია. იგი ეკითხებოდა მათ, რაც უნდოდა და ისინიც ყველა შეკითხვაზე უპასუხებდნენ. არ ერიდებოდა, რომ ზედმეტი ცნობისმოყვარეობის გამოჩენისათვის ეჭვს ან თუნდაც საყვედურს გამოიწვევდა და ყოველგვარი რისკის გარეშე იღებდა მათგან ისეთ ინფორმაციებს, რომლებსაც არ ანდობენ არა მარტო უფროს ოფიცერთა უმეტესობას, არამედ ბევრ გენერალსაც კი. ცოლ-ქმარ რომანოვების 1914—1916 წლების მიმოწერიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ისინი პირველ ყოვლისა იმით იყვნენ შეწუხებული, რომ წმინდა გრიგოლის ყურადღების გარეშე არ დარჩენილიყო არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა და მხედველობიდან არ გამოპარვოდა არც ერთი სტრატეგიული საიდუმლო. ამიტომაც ერთიანი ძალით ავსებდნენ მოქმედი არმიის მდგომარეობისა და გეგმების შესახებ მის წარმოდგენაში დარჩენილ მცირეოდენ ღიობსაც კი.

ჩ ვ ე ნ ი მ ე გ ო ბ ა რ ი, — სწერს მეუღლეს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში ალექსანდრა თედორეს ასული, — გ ა მ უ დ მ ე ბ ი თ ლ ო ც უ ლ ო ბ ს დ ა ო მ ზ ე ფ ი ქ რ ო ბ ს. მ ი ს ი თ ქ მ ი თ, ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა, რ ო მ ჩ ვ ე ნ მ ა ს მ ა შ ი ნ ვ ე ვ ა ც ნ ო ბ ო თ ხ ო ლ მ ე ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი, თ უ კ ი რ ა ი მ ე გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი მ ო ხ დ ე ბ ა. ერთი სტრიქონის შემდეგ კი წერია: მ ა ნ ს ა ყ ვ ე დ უ რ ი მ ი თ ხ რ ა ი მ ი ს გ ა მ ო, რ ო მ ა მ ი ს შ ე ს ა ხ ებ თ ა ვ ი ს დ რ ო ზ ე ა რ ვ ა ც ნ ო ბ ე თ. როგორც ჩანს, „მეგობარი“ არა მარტო სთხოვს ცნობების მიწოდებას, არამედ ავალდებულებს კიდეც. და თუ ცოლ-ქმარი სათანადო ფხიანობას ვერ გამოიჩენს, მათთვის სასჯელიც გამოაქვს (მათ უდიდებულესობას საყვედურს უცხადებს).

რამდენადმე ადრე ნიკოლოზმა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკიდან მეუღლეს გამოუგზავნა მთელი ოპერატიული პატაკი ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ, რომელშიაც შეტანილი იყო უაღრესად საიდუმლო ცნობები. ახლა, წერს უმაღლესი მთავარსარდალი, მან უნდა თქვას რ ა მ დ ე ნ ი მ ე ს ი ტ ყ ვ ა ს ა მ ხ ე დ რ ო მ დ გ ო-

მარეობის შესახებ: დვინისა და ვილნის მიმართულებით იგი საშიში ეჩვენება, შუაში, ბარანოვიჩთან, სერიოზული... გარემოების სერიოზულობა ჩვენი პოლკების საშინლად სუსტი მდგომარეობით აიხსნება, რადგანაც ისინი თავიანთი შემადგენლობის მეოთხედზე ნაკლებს ითვლიან; მათი შევსება ერთ თვეზე ადრე ვერ მოხერხდება, იმიტომ რომ ახალგაწვეულები მომზადებული არ იქნებიან და შაშხანებიც ძალზე ცოტა გვაქვს. ბრძოლები კი გრძელდება და მასთან ერთად ზარალიც იზრდება. და შემდეგ: მიუხედავად ამისა, დიდ მონდომებას ვიჩენთ იმისათვის, რომ მცირეოდენი შესაძლებელი რეზერვებიც კი გადმოვისროლოთ დვინსკთან სხვა ადგილებიდან... ამასთანავე ჩვენს რკინიგზებზე უწინდელივით იმედის დამყარება აღარ შეიძლება. მხოლოდ 10 ანდა 12 სექტემბერს დამთავრდება ჩვენი თავმოყრა, თუკი, ღმერთმა გვაშოროს და, იქ ჩვენზე ადრე მტერი არ მივა[42].

თარიღები, ვადები, პუნქტები, მიმართულებები, სიმცირე — ყველაფერი დაწვრილებითაა ამოწერილი; ყოველივე მნიშვნელოვანი და საშიში ხელისგულივით ნათელია. საოცარია, როგორ შეიძლებოდა ელემენტარული სამხედრო წესის თანახმად ეს ცნობები კერძო მიმოწერის არხისათვის ენდოთ: მათი გაჟონვა ხომ ათობით და ასიათასობით ჯარისკაცის დაღუპვას ნიშნავდა. წერილის ბოლოს ავტორი თითქოს გონს მოეგოო, დასძენს: გთხოვ, ჩემო სიყვარულო, ამ დეტალების შესახებ არავის აცნობო, ისინი მხოლოდ შენ მოგწერე. ასეთი პირობის დათქმა იმას მოწმობს, რომ მსგავსი ცნობების გაუვრცელებლობა ადრესატისათვის თავისთავად ცხადი საქმე არ იყო. ამასთან ეს პირობა რასპუტინს არ ეხებოდა. დედოფლის საპასუხო წერილიდან ნათლად ჩანს, რომ გრძნეული ბერი ამ „დეტალებს“ უმალვე გასცნობია. მიუხედავად ამისა, ნიკოლოზი მაინც განაგრძობდა მეუღლის მომარაგებას უაღრესად საიდუმლო სამხედრო ცნობებით.

მოგვიანებით დროებითი მთავრობის საგამოძიებო კომისიის წინაშე პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა ბელეცკიმ განაცხადა, რომ „გერმანელებმა იცოდნენ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მატარებლე-

ბის როგორც ფრონტზე, ისე ფრონტისპირა ზოლში გასვლის მარშრუ-ტები და დრო“ [43].

ყველაფერი ეს ის შემთხვევაა, როცა უმაღლესი მთავარსარდალი თავად იჩენდა ინიციატივას ცოლისა და მისი კონსულტანტისათვის უაღრესად საიდუმლო ინფორმაციის მიწოდებაში. მაგრამ ისეც ხდებოდა ხოლმე, რომ უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის შტაბის უფროსის გენერალ ალექსეევის დაწოლით იგი სიტყვაძუნწობას იჩენდა. მაშინ ნიკოლოზ II ორივე ცარსკოსელოელი კორესპონდენტი იძულებული ხდებოდა ინფორმაცია მისგან ძალით გამოეწოვათ. დედოფალი პირდაპირ აყენებდა საკითხებს, რომლებიც აინტერესებდა გრძნეულ ბერს, იგი არც მალავდა, ვის მიერ იყო შეკვეთილი ეს ინფორმაცია, ვისთვის ითხოვდა ამ ცნობებს.

ჩემო ძვირფასო ანგელოზო, დიდი სურვილი მქონდა ბევრზე-ბევრი შეკითხვა მომეცა შენი გეგმების შესახებ რუმინეთთან დაკავშირებით. ყველაფერი ეს ჩვენს მეგობარს მეტად აინტერესებს. მოგვიანებით წერს: ახლა კი სრულიად კონფიდენციალურად... თუ იმ მომენტში, როცა ჩვენი შეტევა დაიწყება, გერმანელები რუმინეთის საშუალებით ჩვენს ზურგს დაარტყამენ, რომელი ძალებით იქნება დაცული ზურგი? გაიგზავნება თუ არა გვარდია სამხრეთით კელერის ჯგუფიდან და ოდესის მიმართულების დასაცავად?.. ხოლო, თუ გერმანელები რუმინეთზე გავლით გაიჭრებიან და ჩვენს მარცხენა ფლანგს თავს დაატყდებიან, რომელი ძალები შეძლებენ ჩვენი საზღვრის დაცვას?.. როგორი გეგმები გვესახება ახლა ჩვენ კავკასიაში მას შემდეგ, რაც აღებულია ერზერუმი?.. მაპატიე, თუ თავს გაბეზრებ, მაგრამ ასეთი საკითხები თავისთავად მებადება თავში.

და ყველა ამ საკითხის შემდეგ, რომლებიც ძნელი წარმოსადგენია „თავისთავად დაბადებოდა თავში“, დასმულია საკითხი, რომლის წარმოშობაც დედოფლის წარმოსახვაში კიდევ უფრო საეჭვოა: საინტერესოა ვიცოდე, ვარგა თუ არა ალეკის აირსაწინააღმდეგო ნიღაბი? [44].

რასაკვირველია, გრძნეული ბერისათვის გვერდზე საყელოჩახსნილი აბრეშუმის ხალათების მოსაქარგად, ალექსანდრა თედორეს ასულისათვის აუცილებელი არ იყო სცოდნოდა საიდუმლო ცნობები ახალი აირწინაღის ანდა ერზერუმზე ახალი შეტევების შესახებ, მით უმეტეს საომარ მოქმედებათა კერძო საიდუმლო რუკის წარმოება, რომელიც თებერვლის შემდეგ სასახლის სამალავში იპოვეს.

გრძნეული ბერისათვის მხოლოდ საომარი საქმეების ცოდნა ცოტა იყო — მას უნდოდა მათი რეგულირებაც. გოროხოვზე მდებარე № 64 სახლიდან იგი არა მარტო სამხედრო ინფორმაციებისაკენ მიილტვოდა, არამედ სამხედრო ხელმძღვანელობისკენაც. 1915 წლის ზაფხულიდან ვლინდება მისი პრეტენზიაც — არმიისა და ფრონტისათვის განსაზღვრული ამოცანების დაგეგმვის ოპერაციებში მონაწილეობაზე. ალექსანდრა თედორეს ასულის მიერ მოპოვებულ ცნობებზე დაყრდნობით ცდილობს იგი სამხედრო-პოლიტიკური მითითებები მისცეს უმაღლეს მთავარსარდლობას. და პარადოქსულია, რომ ამ მითითებებში, რომლებიც უცოდინარი ტიუმენელი შამანისაგან მომდინარეობდნენ, სულაც არ შეინიშნებოდა შეუსაბამობანი ანდა უაზრობანი. მათში იგრძნობოდა თავისებური ლოგიკური თანამიმდევრობა, რომელიც განპირობებული იყო გარკვეული იდეით: რუსეთის შეიარაღებული ძალების აქტიურობის განუხრელი შემცირებით მოეხდინათ ვილჰელმ II წინაშე დათმობის, შერიგებისაკენ მისწრაფების დემონსტრირება. შესაფერის მომენტში კი მასთან სეპარატული ზავიც დაედოთ, რათა შემდეგ შესაძლებელი ყოფილიყო ტახტის შინაგანი მტრების წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლა.

ადვილი ამოცანა არ იყო... უკუსვლით პრუსიელ-ჰესენელ ნათესავებთან დაკავშირება ახლა გაცილებით რთული საქმე იყო, ვიდრე ძველი დროის საგვარეულოთაშორისო პასიანსების პერიოდში, რომელთა იდილიური მშვენიერებაც ესოდენ პოპულარულად დაგვისურათა სებასტიან ჰაფნერმა დასავლეთგერმანულ ჟურნალ „შტერნში“ [45]. ნახევარი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც უავგუსტოესმა ბიძაშვილებმა ტელეგრაფის მეშვეობით ერთურთს გესლიანი მიმართვები გაუგზავნეს და ევროპის ველებმა უდიდესი მსხვერპლი შეიწირეს. დიდძალი სისხლი დაიღვარა ომის დაწყების პირველსავე თვეებში, რომ შეძლებოდათ ფარულად შემოებრუნებინათ ეს ომი და იგი დიპლომატიურ გაუგებრობად მოენათლათ. ძალზე მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთის ბურჟუაზიამ თავისი ანგარებითი ინტერე-

სები ამ ომსა და ანტანტას, რათა სასახლის გერმანოფილურ პარტიას მისი ადვილად და უშიშრად გათიშვა შეძლებოდა. ანტანტა იქნება თუ გერმანელები, უმჯობესია მათ „მოგვჭრან კუდი, — აცხადებდა ბურჟუაზია, — ვიდრე გლეხაჭუებმა თავი“. რომანოვების მფარველი ღმერთის გარდა არ არსებობს სხვა და მისი წინასწარმეტყველი რასპუტინია.

მამა გრიგოლის სტრატეგიული ჭვრეტის წყარო, როგორც წესი, იყო საიდანღაც მოვლენილი მაგიური ძალა ანდა უზენაესის ნებასურვილის შინაგანად შეგრძნება, თუ ციდან მოვლენილი მისტიკური ხილვა. როდესაც გრძნეული ბერი რაიმე მოსაზრებას გამოთქვამდა, აუცილებლად რაიმეს ეყრდნობოდა, ვთქვათ, სიზმარს, ეს კი რომანოვებისათვის ბრძანების ტოლფასი იყო. ყველაფერი: ხრინწიანობა, სლოკინი, ნასვამზე ბურახის ნდომა, ჩვეულებრივი ხველაც კი — ამ ღვთის კაცში საიდუმლოებით გახლდათ მოცული. გრძნეული ბერის შინაგანი წვის ამ მონაცემებზე დაყრდნობით წელიწად-ნახევარში (1915—1916 წლები) ალექსანდრა თეოდორეს ასულმა მოგილიოვში 150-მდე მისი რეკომენდაცია, გაფრთხილება და პირდაპირი მოთხოვნა გადასცა.

გრიგოლი ახველებს და ღელავს საბერძნეთის საკითხის გამო, — ატყობინებს დედოფალი მეუღლეს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში. როგორც ამ წერილიდან ჩანს, გრძნეული ბერი ისე, უბრალოდ კი არ ახველებს: მას უნდა გაცივების ამ სიმპტომით მეფის ხელისუფლების ეგრეთ წოდებული ბალკანეთის (სამხრეთ-აღმოსავლეთის) პოლიტიკის მთელი მიმართულება შემოაბრუნოს, რასაც მოწმობს დედოფლის მიერ ხველებისადმი საკუთარი ხელით გაკეთებული კომენტარები: *ჩვენი მეგობარი, რომელიც მეტად აღელვებულია, გთხოვს* (სამხრეთ-აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით) *სერბიის მეფეს დეპეშა გაუგზავნო...* დეპეშის ტექსტიც კი გამზადებულია: *გიგზავნი მის ქაღალდსაც, რომლის მიხედვითაც შენ შეადგენ დეპეშას: მასში მოცემული აზრი შენი სიტყვებით გამოხატე*[46].

ნიკოლოზ რომანოვი, რომელიც ათწელიწად-ნახევარი იმპერიის გამოჩენილ პროფესორებთან სწავლობდა, თავის ბალკანური სტრატეგიისათვის სახელმძღვანელოდ იღებს ყოფილი ციმბირელი სალო-

სის ნაჯღაბნს. და ყველაფერი ის, რაც მას, რუსეთის არმიის მთავარსარდალსა და განათლებულ ევროპელს, მოეთხოვებოდა, ეს იყო „მასში მოცემული აზრის თავისი სიტყვებით გამოხატვა“. ამის მიუხედავად, მეუღლეზე გული არ მოსდიოდა. მსგავსი რამ მანამდეც და მას შემდეგაც დედოფალს მისთვის ბევრჯერ მიუწერია.

ღვთის კაცის, გრძნეული ბერის სტრატეგიული გენია არც 1916 წლის ზაფხულში თვლემდა. რუსეთის ჯარები გააფთრებით უტევენ და ამ დროს ალექსანდრა თეოდორეს ასული უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში გზავნის წერილს: ახლა კი იგი თვლის, რომ მიზანშეწონილი არ არის ძალზე დაჟინებითი იერიშის მიტანა ფრონტის დასავლეთის უბანზე... შეიძლება შეტევაზე სასწრაფოდ გადასვლა და ომიც ორ თვეში დამთავრდება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ათასობით ადამიანის მსხვერპლი იქნება საჭირო, ხოლო თუ მოთმინებას გამოიჩენ, მიზანს მაინც მიაღწევ ისე, რომ ესოდენ ბევრი სისხლი არ დაიღვაროს. გოროხოველი „ჰუმანისტი“ გერმანელების დასამარცხებლად „მოთმინების“ რეკომენდაციას იძლევა, ამასთან არ აცდუნებს თავისივე გამონაგონი — ორ თვეში ომის მოგების შესაძლებლობაზე; ყველაფერი ეს იმისათვის ჭირდება, რომ დამუხრუჭდეს ოპერაციები ფრონტის ჩრდილოეთ ზონაში და იგივე განმეორდეს დასავლეთში.

მას შემდეგ, რაც გრიგოლ ეფიმის ძე შეეცადა ჩრდილოეთი და დასავლეთი შეეკავებინა, იგივეს მისაღწევად იღვწოდა სამხრეთ-დასავლეთით, რის შესახებაც ალექსანდრა თეოდორეს ასული დროულად ატყობინებს მეუღლეს: ჩვენი მეგობარი იმედოვნებს, რომ კარპატებს იქით არათუ არ გადავალთ, არც კი შევეცდებით მათ დაპყრობას. შემდეგ კი კვლავ განაგრძობს: ოჰ, ჩემო ძვირფასო მეუღლევ, რატომ მოძვრებიან ისინი (ბრუსილოვის ჯარისკაცები), თითქოს კედელზე მოცოცავენო; უმჯობესია, მოხერხებულ მომენტს დაელოდონ. ნება არ მისცე, რომ წინ-წინ წავიდნენ... ხოლო სამი დღის შემდეგ გაგზავნილ მორიგ წერილში შეპარებულია ვითომდა ნაკლებ მნიშვნელოვანი სტრიქონი, სადაც სინამდვილეში რასპუტინისეული სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგიის არსის ამოხსნის გასაღები იმა-

ლება: რა მოხარული ვარ, რომ მიუთითე პ-ს საბოლოოდ სერიოზულად მოელაპარაკოს გ-სა და ბ-ს [47].

თითქოს ძნელი ამოსაცნობია, მაგრამ გაშიფვრა მაინც შეიძლება: „პ“ პროტოპოპოვს ნიშნავს, „გ“ — გრიგოლს (რასპუტინს), „ბ“ — ბადმაევს. ამ სამეულის ხელით აწარმოებდა ალექსანდრა თეოდორეს ასულის ჯგუფი კაიზერის მთავრობასთან საიდუმლო კონტაქტებსა და მოლაპარაკებებს, რომლის პირველი ფაზა 1915 წლის გაზაფხულზე დაიწყო.

მეფის რეჟიმის გახრწნის მთელი სიღრმით წარმოდგენა რომანოვების დინასტიის არსებობის ბოლო ათწლეულში რასპუტინის ჭეშმარიტად ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის გარეშე შეუძლებელია. რა თქმა უნდა, მაინცდამაინც ადვილი არ არის იმის განსაზღვრა, თუ მისი შეხედულებების რა ნაწილი მომდინარეობდა საგნების პირადად მისთვის ხელმისაწვდომი გაგებიდან, — ძალზე პრიმიტიულისა მისი უკულტურობის შედეგად (ის ხომ ძლივძლივობით კითხულობდა, არ იცნობდა წიგნებსა და დოკუმენტებს, ვერ ერკვეოდა მსოფლიო რუკაში, ბევრი სახელმწიფოს შესახებ არაფერი სმენოდა). ყოველ შემთხვევაში, იმ პირთა შორის, ვინც მას აკვირდებოდა, იყვნენ ადამიანები, რომლებსაც სჯეროდათ, რომ ჭიუხედავად ცბიერი გონების ყოველმხრივი გაწაფულობისა, ივი მაინც უმთავრესად იმეორებდა რომელიღაც წყაროდან ნაკარნახევსა და მოჭორილ რაღაცას. ამ „რაღაცის“ პრინციპული საფუძველი სხვას ეკუთვნოდა, პრაქტიკული ახსნა-განმარტების ფორმა კი მისეული იყო.

თავდაპირველად რომანოვების საოჯახო საქმეებში ჩართული რასპუტინი თავის გავლენას თანდათან შინაპოლიტიკურ, საგარეოპოლიტიკურ და სხვა სახელმწიფოებრივ პრობლემათა ფართო კომპლექსზეც ავრცელებს. მაგიდასთან წარმოთქმული მისი მგზნებარე მონოლოგები ნიღბავდნენ განსაზღვრულ პროგრამასა და ცივ ანგარიშიანობას. მიზანი, რომელიც რასპუტინს ჰქონდა დასახული (უფრო ზუსტად — როგორიც მას დაუსახეს საიდუმლო ძალებმა, რომლებმაც მას გზა გაუკაფეს), იქამდე იყო დაყვანილი, რომ ქადაგებებისა და ოინბაზობათა წყალობით სასახლეში ფესვგამდგარს, სასახლის პროგერმანული ჯგუფისათვის ძალა შეემატებინა, გავლენა მოეხდინა პოლიტიკურ საქმეებზე ამ ჯგუფის ინტერესების სასარგებლოდ, ხოლო თუ შესაძლებელი იქნებოდა, ხელთ ეგდო უმაღლესი ხელისუფ-

ლება იმავე ჯგუფის ინტერესებისათვის. პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდსა და მისი გაჩაღების წლებში მხვნელ-მთესველ კარტავცევის ხელკეტის ყოფილი მსხვერპლი უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფო ხელისუფლებას და განსაზღვრულ მომენტებში გარკვეული აზრით მასზე მბრძანებლობს კიდეც.

ხელისუფლების კარიბჭესთან

მონაწილეობდა თუ არა რასპუტინი რუსეთის იმპერიის მართვაში? რა ზომით იყო გამოხატული მისი დამოკიდებულება სახელმწიფო საქმისადმი?

პეტრე-პავლეს ციხეში მოხვედრილი მეფის თანმდგომი ზოგიერთი პირი გრძნეული ბერის ამგვარ დამოკიდებულებას უარყოფდა, თუმცა, დაკითხვებზე ისინი იძულებული იყვნენ მოეყვანათ ფაქტები, რომლებიც მეფის ამ ფავორიტის ყოვლისშემძლეობაზე მეტყველებს. ამასვე უარყოფდნენ (მოგვიანებით) თეთრგვარდიელი ემიგრანტები. აღნიშნულის გაბათილებას ცდილობენ ანტისაბჭოური მონაჩმახის მომწოდებლები და გამსაღებლები, ყოველი სახის სოვეტოლოგები, ყველა ისინი, ვინც ისწრაფვიან შეამსუბუქონ მეფის დანაშაული რუსეთის წინაშე და ცდილობენ გრძნეული ბერის „დეპოლიტიზირებას“, მის ანგარიშზე ძირითადად ტოვებენ მხოლოდ ჰიპნოზურ სეანსებს, შეუსმელ მადერას და მოტყუებულ ბარონესებს.

უტყუარი ფაქტები კი მოწმობენ, რომ რასპუტინი ცარსკოე სელოში მიემგზავრებოდა როგორც მთავარი სახელმწიფო კონსულტანტი, როგორც დიდი ვეზირი, როგორც საიდუმლო საიმპერატორო ტრიუმვირატის წევრი.

ამ როლს იგი მრავალი წლის მანძილზე ასრულებდა, განსაკუთრებით კი მსოფლიო ომის პერიოდში, რასაც მოწმობს დედოფლის მიერ მოგილიოვში, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში მეუღლისადმი გაგზავნილი წერილები. ისინი სავსეა რეკომენდაციებითა და ფაქტიური მითითებებით, რომლებშიც პირდაპირ არის მინიშნებული, რომ თითოეული მათგანი პირდაპირ გრძნეული ბერისაგან მომდინარეობს. შეხვედრით კი (შეძლებისდაგვარად მალულად და შენიღბულად). დედოფალი მას ცარსკოე სელოში ხვდება, ვირუბოვის განცალკევებულ ბინაში, სწორედ იმ სახლში, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრმა ერთხელ „ხელისუფლების კარიბჭე“ უწოდა.

აი ტიპიური სტრიქონები, რომლებითაც სავსეა 1915—1916 წლებში დედოფლის მიერ მეუღლისადმი გაგზავნილი წერილები: ანიას მოვკარი თვალი. ჩვენი მეგობარი იქ ჩემთან მოსალაპარაკებლად მოვიდა... ანიასთან წასვლას ვაპირებ, რათა ჩვენს მეგობარს შევხვდე... ჩვენმა მეგობარმა გუშინდელი დღე ანიასთან დაჰყო. იგი ისეთი კარგი იყო... ბევრი რამ გამომკითხა შენზედაც... ანიასთან წავედი და ხუთ საათამდე ვიჯექი იქ, ველაპარაკე ჩვენს მეგობარს... კვლავ ვაპირებ ანიასთან წასვლას ჩვენი მეგობრის მოსანახულებლად... მთელი რიგი მსგავსი მონოტონური ცნობებიდან ერთხელ გამოკრთა თითქოსდა უსიამოვნო მდგომარეობიდან გამომდინარე იძულებითი განმარტება: მე მას ანიასთან ვხვდები, თორემ სასახლეში, ღმერთმა უწყის, რას იფიქრებენ ჩემზე[48]. როგორც ვხედავთ, იგი მაინცდამაინც გულუბრყვილო არ ყოფილა, რომ არ სცოდნოდა. როგორ ახსნიდნენ რასპუტინის ვიზიტებს სასახლეში ნიკოლოზის არყოფნის დროს. მაშასადამე, დედოფლის აზრითაც. შეუძლიათ „ღმერთმა უწყის, რა იფიქრონ“ — მიუხედავად ვირუბოვას შემდგომი მტკიცებისა გამომძიებლის წინაშე, წმინდა გრიგოლი „გულმიუსავალიაო“.

ზოგჯერ წმინდანი ცარსკოე სელოდან შორს იმყოფებოდა. ამის მიუხედავად, რასპუტინისეული ყველა განაწესი ნიკოლოზამდე მაინც აღწევდა: რა შესანიშნავი დეპეშა მოვიდა ჩვენი მეგობრისაგან... მომხიბვლელი დეპეშაა მეგობრისა, იგი სიამოვნებას მოგანიჭებს... გადაწერე თუ არა შენთვის განსაკუთრებულ ფურცელზე მისი ეს დეპეშაც? ეს იყო დედოფლის ერთ-ერთი მეთოდი გაემდიდრებინა მეუღლე გრძნეული ბერის სიბრძნით: მეფეს უნდა გადაეწერა მისი მითითებები, შეედგინა თავისთვის რაღაც „ფიცარი სჯულისა“ და მუდამ ხელთ სჭეროდა იგი. ზოგჯერ თავად დედოფალიც აძლევს მითითებებს: ეს ქაღალდი მუდამ თან გქონდეს... უბრძანე მას (პროტოპოპოვს) უფრო დამჯერი იყოს ჩვენი მეგობრისა... აი ნიკოლოზის რეაქცია შეჩეჩებულ „შპარგალკებზე“: გულითად მადლობას გიხდი თბილი წერილისა და პროტოპოპოვთან სალაპარაკო ზუსტი ინსტრუქციის მოცემისათვის[49].

თვითმპყრობელის მიერ, რომელიც 23 წლის განმავლობაში შეუვალად იცავდა თავის ღვთაებრივ უფლებას ერთპიროვნულ ხელისუფლებაზე, „ზუსტი ინსტრუქციისათვის“ გამოთქმული მადლობა ერთი შეხედვით შეიძლება ირონიულადაც გვეჩვენოს. მაგრამ ნიკოლოზს ეს ირონიულად არ უთქვამს. ალექსანდრა თეოდორეს ასულის შეგონებები მეუღლის დაშორებით გამოწვეული მოწყენილობა და უბრალო ჭირვეულობა როდი იყო. ამ დარიგებებს სერიოზულად აძლევდნენ და იღებდნენ. თუმცა მოხდა ისე, რომ ეს განაწესი დაირღვა. ერთხელ მეფემ ეჭვი გამოთქვა, ღირს თუ არა არც მთლად ნორმალური ა. დ. პროტოპოპოვის შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე დატოვება (როგორც ამას დედოფალი ითხოვდა). რაკი წინასწარ იცოდა, რომ რასპუტინი დაიცავდა თავის პროტეჟეს, ნიკოლოზი მეუღლეს სწერდა: მხოლოდ გთხოვ, ჩემო ძვირფასო, ჩვენს მეგობარს ამ საქმეში ნუ ჩარევ. პასუხისმგებლობა მე მაკისრია და ამიტომ მინდა ჩემს არჩევანში თავისუფალი ვიყო[50].

მაშასადამე, სასწაულებიც ხდება! ამჯერად მან მოისურვა „დამოუკიდებელი ყოფილიყო თავის არჩევანში“ და განიზრახა რასპუტინის სასურველი მინისტრი გადაეყენებინა. მაგრამ ვერ მიართვეს. მეუღლემ უპასუხა: ჩემო ძვირფასო!.. შეიძლება მე საკმაოდ ჭკვიანი არა ვარ, მაგრამ დიდად განვითარებული მაქვს გრძნობა, ეს კი უფრო ხშირად მეხმარება, ვიდრე ჭკუა. ჩვენს შეხვედრამდე ნურავის შეცვლი, მოდი ყველამ ერთად დამშვიდებით განვიხილოთ[51]. რასპუტინის მიწვევითა და „ყველასთან ერთად დამშვიდებით განხილვით“ დატყვევებულმა ნიკოლოზმა პროტოპოპოვი თანამდებობაზე დატოვა, საიდანაც იგი მხოლოდ თებერვლის რევოლუციამ „მოხსნა“.

თუ რასპუტინის შეგონებათა შემცველი დედოფლის წერილების თარიღებს იმპერატორის მიერ იმ დღეებში დაწერილ ბრძანებულებათა თარიღებს შევადარებთ, შეგვიძლია დავინახოთ, რაოდენ დიდი იყო მისი გავლენა სახელმწიფო საქმეების მსვლელობაზე.

რასპუტინმა გაიყვანა ვ. ა. სუხომლინოვი სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე (იმსახურა 1909 წლიდან 1915 წლამდე), ხოლო როცა იგი უფრო პატიოსანმა და საქმიანმა ა. ა. პოლივანოვმა შეცვალა (იმსახურა 1915 წლის 13 ივნისიდან 1916 წლის 13 მარტამდე), რა-

პუტინმა მისი ამ თანამდებობიდან მოხსნასაც მიაღწია. სამხელო ფენებში რასპუტინის ჯგუფის მიერ ეანხორციელებულ მსგავს ხრიკებს მრავალი რამ ადასტურებს[52].

მისი შეგულიანებით მოხდა ა. ნ. ხვოსტოვის შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე დანიშვნა (1915 წელი). მისი დაჟინებით იგივე თანამდებობა მიეცა ა. დ. პროტოპოპოვს (მას იგი 1916 წლის სექტემბრიდან 1917 წლის თებერვლამდე ეკავა).

მისი რეკომენდაციით იქნა დანიშნული მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ი. ლ. გორემიკინი (ამ თანამდებობაზე იყო 1914 წლის იანვრიდან 1916 წლის იანვრამდე), შემდეგ ბ. ვ. შტიურმერი (1916 წლის იანვარ-ნოემბერი) და უკვე რასპუტინის სიკვდილის შემდეგ, მის მიერ რეკომენდებული ნ. დ. გოლიცინი (1916 წლის დეკემბერი-1917 წლის თებერვალი).

მინისტრისა და სხვა საპასუხისმგებლო პოსტებზე მის მიერ დანიშნული იყვნენ ლ. ა. კასო, ი. გ. შჩეგლოვიტოვი, გ. ი. ტიზენჰაუზენი, ს. ვ. რუხლოვი, პ. გ. ბარკი, ი. ლ. ტატიშჩევი, ვ. ნ. ვოეიკოვი, ა. ა. რიტიხი, ნ. ა. დობროვოლსკი, ს. პ. ბელეცკი და მრავალი სხვა. ყველა ისინი და მათი მსგავსი სახელმწიფო მოღვაწენი მას შემდეგ დაწინაურდნენ, რაც რასპუტინის მორჩილებისა და მისი ქოთოლენების შესრულების ვალდებულება იკისრეს. ამა თუ იმ პროტეჟეს სახელმწიფო მოღვაწეობის ვარგისიანობის მთავარი მაჩვენებელი იყო ფრიად პატივცემული გრიგოლის წინაშე ქედის მოხრის ხარისხი. თუ მინისტრი მას ემორჩილებოდა, მაშასადამე, ვარგოდა, თუ მის მიმართ კეთილგანწყობილი არ იყო — საეჭვო პიროვნებად ითვლებოდა და ამიტომაც სჯობდა მისი თავიდან მოცილება. გაირკვეოდა თუ არა, რომ პროტეჟირებულმა მინისტრმა თავისი მფარველის წინაშე პირადი საშიმსრულებლო ვალდებულება დაარღვია, მაშინვე რასპუტინის მხარდაჭერას კარგავდა, ხოლო შემდეგ — თითქმის ავტომატურად — მეფის ნდობასაც.

ამგვარი ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე მარტო ომის წლებში დაინიშნა და განთავისუფლდა დაახლოებით 20 მინისტრი და რამდენიმე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. მათ შორის ყველაზე მაღალ საფეხურზე სწრაფად ზეაღსვლისა და ასევე სწრაფად დაშვების მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ბ. ვ. შტიურმერი — მეფის ბოლოსწინა პრემიერ-მინისტრი, რასპუტინის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული დამქაში. მათ შორის დამაკავშირებელი რგოლი იყო საკ-

მაოდ ბნელი პირიუნება ი. თ. ნანასევიჩ-მანუილოვი *. პრემიერ-მინისტრად ყოფნის დროს შტიურმერს მიჰყავდა ხოლმე იგი რასპუტინთან საქმის ვითარების მოსახსენებლად. ერთხანს რასპუტინი შტიურმერს სწყალობდა კიდეც, თუმცა მის მიმართ ზიზღსაც გამოთქვამდა. გარშემომყოფთ ეუბნებოდა: „ეს გერმანელი ჩემდა საუბედუროდ დავსვი თანამდებობაზე. არ მომწონს. ძალზე გაიძვერაა. ერთი კია, ჩემგან ვერსად წავა. ასეც ვუთხარი: მართე, მაგრამ იმგვარად, რომ ჩემი თვალები ხედავდნენ არა მარტო იმას, რასაც აკეთებ, არამედ იმასაც, რაზედაც ფიქრობო“. შტიურმერს იგი „ბებრუცუნას“ ეძახდა. მფარველობისათვის პრემიერი სამაგიეროს მონური მორჩილებით უხდიდა: მუდამ უსიტყვოდ ასრულებდა გრძნეული ბერის ნება-სურვილს თანამდებობებზე დანიშვნის, დაჯილდოების, სახაზინო სუბსიდიებისა და კონცესიების გაცემის, შეწყალებების, სამხედრო სამსახურში გაწვევიდან განთავისუფლების შესახებ; მინისტრთა საბჭოზე გაჰქონდა მის მიერ რეკომენდებული (გრძნეული ბერის მიერ შერჩეული „კლიენტების“ ინტერესების დამცველი) დადგენილებები. დადგა თუ არა თანამდებობაზე, შტიურმერმა უპირველეს ყოვლისა უბრძანა პოლიციის დეპარტამენტს უზრუნველეყო რასპუტინის პირადი დაცვა იმპერატორის სახლის წევრების დონეზე **.

ძალაუფლების ხელში ჩაგდებით გაბრუებულმა შტიურმერმა დაკარგა სიფრთხილე და თავის კეთილისმყოფელს ერთხელ რაღაცით ვერ ასიამოვნა. მიტროპოლიტ პიტირიმის ბინაში, სადაც მანასევიჩ-მანუილოვმა დამნაშავე მიიყვანა, გათამაშდა სცენა. როცა რასპუტინი და პრემიერი განმარტოვდნენ, გვერდითი ოთახიდან მოისმა ყვირილი: „შენ ვერ გაბედავ ჩემს წინააღმდეგ მოქმედებას!.. იცოდე, გვერდზე თუ გაგიდექი, შენი საქმე წასულია!“ მოგვიანებით მანასევიჩმა განაცხადა: „როცა შტიურმერი წავიდა, რასპუტინს ვკითხე:

---

* გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ თანამშრომელი და პოლიციის საიდუმლო აგენტი, შტიურმერის მდივანი და მარჯვენა ხელი, რასპუტინის „შინაური“ კაცი, სულით ხორცამდე ავანტიურისტი. რუსეთში მყოფი საფრანგეთის ელჩის მ. ე. პალეოლოგის განსაზღვრით, მანასევიჩ-მანუილოვი ერთდროულად იყო „ჯაშუშიცა და მაძებარიც, გაქნილიც და გაიძვერაც, შულერიცა და ყალბის მქნელიც, გარყვნილიც — პანურგის, ჟილ ბლაზის, კაზანოვის, რობერტო მაკერასა და ვიდოკის უცნაური ნარევი“.

** რასპუტინს ოთხი სამსახური იცავდა (ერთმანეთისაგან დამოუკიდებლივ): „ოხრანკა“, პოლიცია, სასახლის კარის პოლიცია, აგრეთვე საგანგებო კერძო დაცვა, რომელიც ბანკირების ჯგუფის მიერ იყო ორგანიზებული დ. ლ. რუბინშტეინის მეთაურობით.

თქვენ რა, გრიგოლ ეფიმოვიჩ, უყვირეთ მას? მან მიპასუხა: ბებრუ-ცუნას აღარ სურს მორჩილება... მან უყოყმანოდ უნდა შეასრულოს ჩემი სურვილი, ბეწვის ხიდზე უნდა იდგეს, ასე არ მოიქცევა და კისერს მოვუგრეხ“ [53].

ასე „გამოთათხა“ გრძნეულმა ბერმა მინისტრთა საბჭოს თავ-მჯდომარე მისი დანიშვნიდან სულ რაღაც ათი დღის შემდეგ.

საგანგებო კომისიის ოქმებიდან ჩანს, რომ გამომძიებლებს გან-საკუთრებით აინტერესებდათ მეფის უპრეცედენტო ჩასვლა 1916 წელს სახელმწიფო სათათბიროს სესიის გახსნაზე (წინათ არასოდეს გაუხდია იგი თავისი დასწრების ღირსად). გამომძიებლებს უნდოდათ სცოდნოდათ: მართლა რასპუტინის მითითებით დაესწრო გახსნას მეფე? შტიურმერის თქმით, პოლიციის აგენტების საიდუმლო მასა-ლებიდან მისთვის მაშინვე ცნობილი იყო, რომ მისი უდიდებულე-სობა სათათბიროს ესტუმრა რასპუტინის მოთხოვნით, მან „გაგზავ-ნა“ იგი იქ. „ასე მოვიქცევი, — უთქვამს რასპუტინს ერთ-ერთი ინ-ფორმატორის თანდასწრებით. — მე მას სათათბიროში გავგზავნი... დაე წავიდეს, გახსნას (სესია — მ. კ.), მაშინ ვერავინ გაბედავს რაიმე საწინააღმდეგოს“. მანასევიჩ-მანუილოვმა დაკითხვაზე განაცხადა: იმ დღეებში რასპუტინთან ვიყავი და ვუთხარი: „ამბობენ, თქვენ ისეთი გავლენა გაქვთ, რომ შეგიძლიათ აიძულოთ მეფე სათათბიროში წა-ვიდეს“. იგი ოთახში მოჰყვა სირბილს და შემდეგ თქვა: „დიახ, მე ამას მართლაც გავაკეთებ, მამიკო სათათბიროში წავა... შენ კი ბებ-რუცუნას (შტიურმერს) უთხარი, რომ არსებობს წინასწარი მოსაზ-რება და მეფე სათათბიროში ნამდვილად მოვა-თქო...“ [54]

ერთგვარად ცდილობენ დააკნინონ რასპუტინის როლი ცარიზმის მიერ ჩადენილ დანაშაულებში იმ მოტივით, თითქოს „მთავარი რაა-პუტინი კი არ იყო, არამედ რასპუტინელობა“, ვითომდა ერთი მეო-რეს გამორიცხავდეს. ისინი ეყრდნობიან შულგინის სიტყვებს, რომ თითქოს „რასპუტინი კი არ არსებობდა, არამედ საერთოდ გარყვნი-ლება სუფევდა“, რომ ყველა სერიოზულად როდი იღებდა მის ნაჯ-ღაბნებს, რომ თუკი რასპუტინი მასთან, შულგინთან, მივიდოდა, კიბეებიდანვე „აცეკვდებოდა“. თითქოს საქმე ეხებოდა არა თვით რასპუტინს, არამედ პეტერბურგის მმართველი სფეროების სულმდაბ-ლობას. იგივე გაიმეორა შულგინმა ამ წიგნის ავტორთან ერთ-ერთი საუბრისას 1975 წლის აგვისტოში, მხოლოდ ერთი შესწორებით: „...შერწყმული იყო ერთმანეთში ბოროტების ორივე მხარე — ჩვენი

სულმდაბლობა და უდიდესი სულმდაბლობა რასპუტინისა, რომელმაც ჩვენი მოშვებულობით ისარგებლა და ძალაც და უფლებაც ხელთ იგდო". „ძლიერი პოზიციები" კი, დასძინა შულგინმა, რასპუტინს უდავოდ გააჩნდა, თორემ იუსუპოვი და პურიშკევიჩი მას არ მოკლავდნენ (თავად იგი, შულგინი, ცდილობდა ხელი აეღებინებინა პურიშკევიჩისათვის ამ აქციაზე მისი სრული უაზრობის გამო — „რა აზრი აქვს გველის მოკვლას, თუ გველმა უკვე დაგშხამა") [55].

ამ კონტექსტში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, „არამზადა" ბატისფეხურად წერდა თუ ნატიფი კალიგრაფიული გაკრული ხელით. არაფერს ასაბუთებს არც რიხიანი განცხადება იმის შესახებ, როგორ „აცეკვდებოდა" რასპუტინი კიბეებიდანვე, თუკი იგი შულგინთან „მივიდოდა". არაფერს ასაბუთებს უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ რაკი რასპუტინმა იცოდა მისი მტრული დამოკიდებულება, არასოდეს მივიდოდა მასთან, ისევე როგორც თავად შულგინიც არ წავიდოდა თავის მოწინააღმდეგეებთან, ვისგანაც შეიძლებოდა უსიამოვნებას გადაყროდა. ამასთანავე კავშირებითი კილო მოკლებულია საბუთიანობასა და განსაკუთრებულ დამაჯერებლობას, მით უმეტეს არაფრის მთქმელია შულგინის მუქარა ემიგრაციაში ყოფნისას უკვე გასული რიცხვით — თუ რა მამაცურად გაუსწორდებოდა იგი რასპუტინს მეფის დროს. გრძნეული ბერი „არ დადიოდა" არა მარტო შულგინთან, არამედ სიკვდილის ღამემდე მას ფეხიც არ დაუდგამს, მაგალითად, მისთვის საეჭვო იუსუპოვის სასახლეში; საჭირო გახდა შეთქმულთა მთელი ჯგუფი და ასევე ამ ჯგუფის მიერ საგანგებოდ შედგენილი გეგმა, რომ გულდასმით მოფიქრებული ხრიკის საშუალებით გრძნეული ბერი ამ სასახლეში შეეტყუებინათ *. ყოველ შემთხვევაში, შულგინის 1925 წლის ქადილი 1910 წლისათვის რასპუტინის ძლიერებისა თუ სისუსტის საკითხის გარკვევაში არაფერს იძლევა.

ზოგიერთები ამბობენ, რომ რასპუტინის გავლენა იმპერიის უმაღლეს მმართველობაზე „გადაჭარბებულია", რომ მისი „აშკარად გამოკვეთილი" ფუნქცია მეფის დროს „მისტიკური ლაყბობა" იყო. არა გვგონია, რომ ასეთი მტკიცება შეესაბამებოდეს როგორც ისტორიულ ფაქტებსა და დოკუმენტებს, რომელთა ერთი ნაწილიც აქ

---

* ხელისუფლებამ არაერთხელ ააცილა რასპუტინს საფრთხე. შინაგან საქმეთა მინისტრი პროტოპოპოვი აშკარად ურჩევდა მას მორიდებოდა ფ. ფ. იუსუპოვს.

არის მოტანილი, ასევე განსაკუთრებით უტყუარი ფაქტობრივი და დოკუმენტური მასალების იმ ღრმა ანალიზსა და პრინციპულ განზოგადებებს, როგორსაც ვ. ი. ლენინი იძლევა.

ნიკოლოზ II და რასპუტინი, როგორც მრავალმილიონიანი ხალხის უამრავ უბედურებასა და ტანჯვა-წამებაში თანამზრახველნი და დამნაშავენი, ლენინის ნაშრომებში ერთმანეთის გვერდით დგანან და ტოლმნიშვნელოვნად არიან დახასიათებულნი.

ძველი რუსეთი, ლენინის მიხედვით, — ეს არის ნიკოლოზისა და რასპუტინის ქვეყანა [56].

მეფის რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებას ლენინი უწოდებს „რომანოვისა და რასპუტინის მსგავს საცოდავ, ნახევრად ჭკუასუსტ ადამიანთა ბრბოს...“ [57].

ეხებოდა რა თვითმპყრობელობის საგარეო პოლიტიკას, ლენინი სვამდა კითხვას: ვინ იყვნენ მისი სულისჩამდგმელნი? და პასუხობდა: „რა თქმა უნდა, მეფე, რასპუტინი, მეფის ხროვა“ [58].

„წერილებში შორიდან“ ლენინი გმობდა „მეფის ხროვის ცინიზმსა და გარყვნილებას საზიზღარი რასპუტინის მეთაურობით...“ [59].

ლენინი მიუთითებდა, რომ „სარგებლობდა რა თავად მეფის ანდა მისი ნათესავების მფარველობით“, რასპუტინი ფეხქვეშ თელავდა ყველაფერსა და ყოველგვარ კანონებს [60].

რევოლუციამ, წერდა ლენინი, „გააშიშვლა და იზოლირებულ ჰყო ნ ი კ ო ლ ო ზ II და K⁰ (რასპუტინი)“ [61].

რა არის საერთო ლენინის განსაზღვრით „საზიზღარ რასპუტინსა“, როგორც მეფის თავისებურ წყვილსა, რომელიც მის გვერდით იდგა მართვის საქმესთან, და სასახლის შედარებით უწყინარ, ოხუნჯ მასხარას შორის, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა მეფესთან მისტიკური ლაყბობის ფუნქცია?

სრულიადაც არ არის გადაჭარბებული რასპუტინის შეფასება, როგორც მეფის დანაშაულებრივი კამარილიის ერთ-ერთი წამყვანი მონაწილისა, რომელიც, ლენინის თქმით, მას „სათავეში ედგა“.

8

მსოფლიო ჟლეტის წინ

მგელმა უთხრა ფარას: „მოდით, ცხვრებო, მოვილაპარაკოთ ეკონომიკურ საფუძველზე — მე არ შევჭამ თქვენს ბალახს, თქვენ კი ხორცს მომცემთ ხოლმე“.

სამარცხვინო დამარცხება

კარელ ჩაპეკი

საშინაო სწავლების კურსის დამთავრებისთანავე, ტახტის მემკვიდრე ნიკოლოზმა გამოსაშვები გამოცდები ჩააბარა მამას — არცთუ ისე დიდად განათლებულს, მაგრამ მკაცრ გამომცდელს — და წარმატებისათვის მაშინვე წაახალისეს: გაიცა ბრძანება, მოემზადებინათ დედამიწის ირგვლივ სამოგზაუროდ,

22 წლის „ტურისტისათვის“ ბალტიისპირეთის ესკადრიდან გამოიყო კრეისერი „პამიატ აზოვა“. თანმხლებლად გააყოლეს საბერძნეთის მემკვიდრე პრინცი გიორგი (ჯორჯი) და რამდენიმე ახალგაზრდა გვარდიელი ოფიცერი, მათ შორის თავადი ობოლენსკი ცხენოსანთა გვარდიიდან, თავადი კოჩუბეი კავალერგარდიდან და ვოლკოვლეიბ-ჰუსარებიდან. მოგზაურობის ხელმძღვანელებად დაინიშნენ თავადები ვ. ა. ბარიატინსკი და ე. ე. უხტომსკი. მოგზაურობის საბოლოო მიზანი იაპონია იყო.

1890 წლის სექტემბრიდან 1891 წლის აპრილამდე ზღვებითა და ოკეანეებით მგზავრობდნენ. იაპონიამდე მშვიდობით მიაღწიეს. 23 აპრილს მოგზაურობა დასრულდა ქალაქ ოტსუში ჰომხდარი ინციდენტით: ვიწრო ქუჩებში რუსი მემკვიდრის ეტლ-ჯენრიკშით საზეიმო გასეირნებისას იაპონელთა დაცვის რიგებიდან უეცრად გამოხტა პოლიციელი სანძო ცუდა, იძრო ქარქაშიდან ხმალი და ხელუკუღმა ჩასცხო თავში ნიკოლოზს. ხმალი ოდნავ ასხლტა, მეორე დარტყმას გეორგ გრეჩესკიმ მიუსწრო და ააცილა. ნიკოლოზმა მცირე ჭრილობით დაალწია თავი ამ ამბავს. ქვეყნიერების გაცნობის რეისი ამით დამთავრდა. რაკი ტოკიოში შესვლის „სავიზიტო ბარათი“ არ მისცეს (იაპონიაში რუსეთის ელჩის დ. ე. შევიჩის თხოვნის მიუხედავად), თავშეხვეული ნიკოლოზი კიოტოს გავლით ნაცნობი გემბანისაკენ გაე-

შურა, სადაც მალე ბოდიშის მოსახდელად თვითონ მიკადოც გამოცხადდა. ვლადივოსტოკიდან გამოძახებული ჯავშნოსანი ესკადრილიის ესკორტით „პამიატ აზოვი“ თავისი მგზავრებიანად მალე მშობლიურ ნაპირებს მიადგა [1].

ზოგიერთი თანამედროვე აღნიშნავდა, რომ ხმლის დარტყმამ ნაიარევი დაამჩნია არა მარტო ტახტის მემკვიდრის სხეულს, არამედ მის სულსაც და ეს უფრო მას შემდეგ დაეტყო, როცა იგი საიმპერატორო ტახტზე ავიდა. „იმპერატორ ნიკოლოზს, როდესაც ტახტზე ავიდა, არ შეეძლო იაპონელებისადმი განსაკუთრებით კეთილგანწყობილი ყოფილიყო... — წერდა ვიტე. — იგი იზიარებდა აზრს იაპონელების როგორც ანტიპათიური, უმნიშვნელო და უძლური ერის შესახებ, რომელიც შეიძლებოდა გიგანტ რუსეთს ერთი წკიპურტით მოესპო...“ [2]. ამ უპასუხისმგებლო უგულებელყოფით და წინასწარაკვიატებული ბრმა გრძნობით ადვილად შეეძლოთ ესარგებლათ იმათ, ვინც თავისთვის გამორჩენას ეძებდა.

ასეთ ნიადაგში ჩაყრილ წაქეზების თესლს ავის მომასწავებელი ჯეჯილი უნდა აღმოეცენებინა. კაიზერი ვილჰელმი თავისი მონაჩმახით იაპონიის სისუსტისა და არარაობის შესახებ უბიძგებდა რუსეთის მეფეს იაპონიას შეჯახებოდა. ხოლო ტოკიოში (თავისი დიპლომატების მეშვეობით) კომპლიმენტებს უძღვნიდნენ იაპონურ დინამიზმს, ქება-დიდებას ასხამდნენ ამომავალი მზის იმპერიას, არწმუნებდნენ „თიხისფეხებიანი რუსი გოლიათის“ სისუსტეში, გარდა ამისა, გერმანიის მიერ იარაღის მიწოდების შესახებ ფარული შეთანხმებით, სამხედრო ინსტრუქტორებითა და სადაზვერვო ინფორმაციების დახმარებით საწინააღმდეგო გრძნობებს აღვივებდნენ.

კაიზერი არწმუნებს მეფეს, რომ სურვილი აქვს ხელი გაუმართოს მას იაპონიიდან და ჩინეთიდან გამომდინარე „ყვითელი საფრთხის“ თავიდან აცილების საქმეში, ხოლო მიკადოსა და პეკინის ბოგდიხანს ჰპირდება თანაგრძნობას რუსების შორეული აღმოსავლეთიდან მოსკოვამდე თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ბაიკალამდე და უარეს შემთხვევაში ჩიტამდე შევიწროების იდეაში. ყოველივე ამას შორეული მიზანი ედო საფუძვლად: ჩაეთრია შორეული აღმოსავლეთის კონფლიქტში რუსეთის ჯარი და ამით იძულებული გაეხადა იგი შეესუსტებინა ქვეყნის დასავლეთის საზღვრების დაცვა; ამ საზღვრების შესუსტების შედეგად თავს მოეხვია რუსეთისათვის რაიხთან ისეთი შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულების პირო-

ბები, რომლებიც მას ევროპაში ჰეგემონიისკენ გზას გაუხსნიდნენ.

ამ მიმართულებით დიპლომატიური სვლებისათვის რაიმე სპეციალური ვითარება საჭირო არ იყო. გამოიყენებოდა ნებისმიერი შემთხვევა. მაგალითად, კაიზერი სტუმრად ჩამოვიდა პეტერჰოფში. მეფესთან ერთად შარაბნით სეირნობდა პარკში. მოულოდნელად სტუმარმა მასპინძელს ჰკითხა: წინააღმდეგი ხომ არ იქნებოდა იგი, თუ გერმანიის სამხედრო ფლოტი ჩინეთის პორტ ცინდაოს ჩაიგდებდა ხელში?

ნიკოლოზი წინააღმდეგი იყო, მაგრამ მოულოდნელობისაგან არ იცოდა, რა ეპასუხა. თუმცა თავის თანაშემწეებს ამ ოინბაზური შეკითხვის შესახებ მაინც აცნობა. ინციდენტს სერიოზული შედეგები მოჰყვა. გერმანიის გემები ცინდაოს ყურეში შევიდნენ და ჯარები გადასხეს. ტოკიოში მყოფი თავისი ელჩის საშუალებით კაიზერმა იაპონელებს აცნობა, თითქოს ნიკოლოზმა თავად შესთავაზა მას „ერთად დაძრულიყვნენ აზიის სილრმისაკენ“, ვითომც მან ურჩია გერმანელებს „გადაედგათ ასეთი ნაბიჯი ცინდაოსათვის“, იმავე დროს რუსეთთან „ერთად მომზადებულიყო იაპონური დაბრკოლების გადასალახავად“.

შეიქმნა რუსეთის წინააღმდეგ იაპონიის პოლიტიკისა და საომარი მოქმედების მკვეთრი აქტივიზაციის პერსპექტივა, რის მიღწევასაც ცდილობდა ვილჰელმი. ეჭვს გარეშე მიაჩნია ვიტეს, რომ „ამისაკენ ერთ-ერთი ბიძგი მისცა ვილჰელმმა ცინდაოს დაპყრობით“. იგი ყოველმხრივ ცდილობდა „ჩავეთრიეთ შორეული აღმოსავლეთის ავანტიურაში... ისწრაფოდა იმისაკენ, რომ მთელი ჩვენი ძალები შორეულ აღმოსავლეთში გადაგვესროლა... ამას უნაკლოდ მიაღწია კიდევაც“ [3].

საბჭოთა ისტორიკოსების ბ. ა. რომანოვისა და ა. ს. ერუსალიმსკის გამოკვლევებმა დიდი ხანია დაადასტურა, რომ კაიზერი აშკარად ტყუოდა, როცა იაპონელებს აუწყებდა მეფესთან თავისი შეთანხმების შესახებ. სინამდვილეში ნიკოლოზს არც პეტერჰოფში, არც რომელიმე სხვა ადგილას არ მიუცია თანხმობა საერთოდ ჩინეთში გერმანიის შეჭრაზე, კერძოდ კი ცინდაოს დაპყრობაზე. ვილჰელმმა პროვოკაციული მიზნებით გააზვიადა რუსეთ-გერმანიის შეთანხმების ცრუ ვერსია შორეული აღმოსავლეთის შესახებ, რათა ბიძგი მიეცა კონფლიქტის გაჩაღებისათვის მსოფლიოს ამ რაიონში. იგი მოქმე-

ებდა მისთვის დამახასიათებელი ხერხებით: ქვემეხიანი ნავებისა და კრეისერთა დიპლომატიით, ერთგული ხალხის სამსახურით, იყენებდა აგრეთვე თავისი ჩანაფიქრისათვის მეტ-ნაკლებად კეთილსასურველ ნებისმიერ ვითარებას. მართალია, ნიკოლოზს შემდგომ, ვილჰელმთან შეხვედრების დროს, ფრთხილად ეჭირა თავი, როგორც, მაგალითად, პოტსდამში მათი მომავალი შეხვედრებისას, მაგრამ საკუთარი წინდაუხედაობის შედეგად ეს სიფრთხილე მაინცდამაინც დიდხანს არ გაჰყოლია.

სამხედრო აფეთქებას წინ უძღოდა რუსეთ-იაპონიის ხანგრძლივი მოლაპარაკება. იმ მომენტში, როცა ეს მოლაპარაკება მკვეთრად გართულდა და უკვე აშკარა იყო, რომ პეტერბურგის დამთმობი პოლიტიკის მიუხედავად, იაპონელები განხეთქილების მომხრენი იყვნენ, მეფე-დედოფალი სტუმრად გაემგზავრა ნათესავებთან დარმშტადტში. მეფემ არად ჩააგდო ომის წარმოშობის საფრთხე და თან წაიყვანა სამხედრო და საგარეო პოლიტიკურ უწყებათა ხელმძღვანელები (მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრი ლამზდორფი), აგრეთვე გენერლების ჯგუფი თავისი სამხედრო-საველე კანცელარიიდან (მთავარი შტაბის მოძრავი ფილიალის მსგავსი რამ). თანმხლებთა ეს ჯგუფი დიდი ჰერცოგის (დედოფლის ძმის) სასახლეში დაბინავდა. ნიკოლოზი ცდილობდა მათი-დახმარებით ჰესენიდან ეხელმძღვანელა როგორც საერთოდ იმპერიის საქმეების, ისე განსაკუთრებით შორეულ აღმოსავლეთში მყოფი თავისი მოადგილის ალექსეევის მოქმედებისათვის.

ვილჰელმისათვის, რომელიც იმ დღეებში მთელ ძალას იმას ახმარდა, რომ შეებოჭა რუსეთი შორეულ აღმოსავლეთში ჩაფიქრებული შეიარაღებული კონფლიქტით, რუსეთის ხელისუფლების ცენტრის გერმანიის ტერიტორიაზე გამოჩენა ღვთის წყალობა იყო. მისი დაზვერვისა და გენერალური შტაბის თვალწინ გადიოდა ყოველდღიურად აღმოსავლეთში გასაგზავნი და უკან დაბრუნებული საიდუმლო ინფორმაციების ნაკადი. კაიზერის ჯაშუშებით (მათ შორის პირველი იყო თავად სტუმართმოყვარე მასპინძელი) სავსე ჰერცოგის სასახლეში მეფის ოფიცრები ყოველდღე ამუშავებდნენ საშტაბო დოკუმენტაციას, შიფრავდნენ ბრძანებებსა და დირექტივებს, ხსნიდნენ პეტერბურგიდან, ხარბინიდან, პორტარტურიდან მიღებულ მოხსენებებსა და პაკეტებს. გერმანელი ამომშიფვრელები ყოველდღიურად კაიზერის მაგიდაზე აწყობდნენ ხელში ჩაგდებული ცნობების ასლებს.

მისთვის ცნობილი იყო შორეულ აღმოსავლეთში მეფის ხელისუფლების მიერ ჩაფიქრებული ყოველი სვლა და მანევრი, მათ შორის შეიარაღებული ძალების გადაადგილება და საბრძოლო მზადყოფნა. ნიკოლოზის მთელი მიმოწერა ვილჰელმის წინ გადაიშალა.

დადგენილია, რომ კაიზერი დარმშტადში მიღებულ ინფორმაციას გადასცემდა (ყოველ შემთხვევაში, ნაწილს მაინც) იაპონიის გენერალურ შტაბს. ვიტეს ელდა ეცა, როცა შეიტყო, რომ ერნსტ ლუდვიგ ჰესენელის სასახლეში დაბინავებული კამპანია „უდარდელად ატარებდა დროს". დარმშტადტიდან პეტერბურგში ჩამოსულ სასახლის მინისტრ ფრედერიკსს ვიტემ ჰკითხა, როგორ შეძლო მან გულგრილი დარჩენილიყო სახელმწიფოებრივი უშიშროების ინტერესებისადმი ესოდენ დანაშაულებრივი დამოკიდებულების მიმართ. ფრედერიკსმა უპასუხა, რომ მან ხელმწიფე-იმპერატორის ყურადღება გააშახვილა ცნობების დაკარგვისა და სხვების მიერ მათი ხელში ჩაგდების საშიშროებაზე, მაგრამ ამ უკანასკნელმა არაფრის შეცვლა არ ისურვა. უშედეგო იყო აგრეთვე ვიტეს მიერ ლამზდორფისადმი მიცემული ასეთივე გაფრთხილება[4].

თანამედროვენი მოწმობენ, რომ იაპონელი მილიტარისტების მოულოდნელი და ვერაგული თავდასხმით მიყენებული ზარალის სიმწარეს 1904 წელს მთელი რუსეთი განიცდიდაო. უბრალო ადამიანებს გულში რისხვისა და წყენის გრძნობა უტრიალებდათ. რუსეთში მცხოვრები პატიოსანი ადამიანები აღშფოთებული იყვნენ მეფის ხელისუფლების საქციელით — მისი ავანტიურიზმითა და მტაცებლობით, სიბრმავით, დამყაყებულობით, უნიჭობით, რითაც ქვეყანა დაასუსტეს გარეშე საფრთხის წინაშე. ცნობამ პორტარტურის რეიდის დროს მომხდარი კატასტროფის შესახებ მოსახლეობა დათრგუნა. ამაოდ ცდილობდნენ ხელისუფლება და შავრაზმელები მოეწყოთ პრომონარქიული მანიფესტაციები — თითქმის არავინ დაუჭირა მხარი. არ ჩანდა ქუჩებში აღფრთოვანება, ის დიდად არც სასახლეში შეინიშნებოდა. თუმცა გვირგვინოსანმა საკუთარი თავი წინასწარ გამარჯვებულებში ჩარიცხა.

თუ რაოდენ შეუშალა მას ხელი თვითდაჯერებამ საშიშროების სირთულის განსაზღვრაში, იქიდან ჩანს, რომ პორტარტურის რეიდის დროს მომხდარ აფეთქებამდე სულ რაღაც ერთი თვით ადრე ნოვგოროდში მოწყობილ საახალწლო მიღებაზე მან ირონიულად ჩაიცინა

და იაპონიის ელჩს ფრანგულად უთხრა: „იაპონია საქმეს იმით დაამთავრებს, რომ მე გამაჯავრებს“ [5].

ეროსალოდნელი უბედურება რომ წინასწარ სათანადოდ არ ყოფილა განჭვრეტილი, ამას მოწმობს შემდეგი ფაქტი: როცა ბესარაბიიდან ჩაბოსულ იქაური თავადაზნაურობის წინამძღოლს კრუპენსკის შეშფოთებით უკითხავს მეფისთვის: რა იქნება ახლა, პორტარტურის რეიდის დროს ესკადრის ღამეული განადგურების შემდეგო, მას უხეშად უპასუხია:

— იცით რა, ყველაფერ ამას მე ისე ვუყურებ, როგორც რწყილის კბენას [6].

ის, რასაც ნიკოლოზმა თავისი უპასუხისმგებლობით რწყილის კბენა უწოდა, ხანგრძლივ და სისხლისმღვრელ ომად გადაიქცა. იგი ცხრამეტ თვეს გრძელდებოდა; რუსეთის არმიამ მოკლულთა, დაჭრილთა, სნეულთა და ტყვედ წაყვანილთა სახით დაკარგა 400 ათასი კაცი: თუ არ ჩავთვლით იმ 500 მილიონ მანეთს, რომელიც დაკარგა იაპონიის ხელში გადასული ქონებისა და ჩაძირული სამხედრო თუ სავაჭრო გემების სახით, რუსეთს ომი პირდაპირი სამხედრო ხარჯებით 2,5 მილიარდი მანეთი დაუჯდა ოქროთი.

ომი პორტსმუტში ნშვიდობიანი ხელშეკრულების დადებით დამთავრდა. ამ ხელშეკრულებით ფიქსირებულ იქნა შედეგები და ძვრები, რომლებსაც დასავლეთის პრესა იმ დღეებში აღფრთოვანებით განსაზღვრავდა როგორც „შორეულ აღმოსავლურ ფენომენს“, „იაპონურ სასწაულს“. სინამდვილეში არავითარი სასწაული არ მომხდარა. თავსატეხი საკითხი შედარებით უბრალოდ გადაწყდა.

იაპონიის მილიტარიზმს მანჯურიაში გამარჯვების კვარცხლბეკზე ასასვლელად მხარი შეაშველა გერმანიის იმპერიალიზმმა. და ვანა მარტო მან.

1904 წლის აპრილიდან 1905 წლის ივლისამდე იაპონიამ გერმანიიდან, ინგლისიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან ოთხჯერ მიიღო სესხი საერთო ჯამში ნახევარი მილიარდი დოლარის ოდენობით, რითაც თითქმის ნახევრად გადაფარა ომის ხარჯები. მეტი თუ არა, ნაკლები როლი არც გერმანულმა და ინგლისურმა იარაღმა, დასავლეთის სამხედრო ინსტრუქტაჟმა შეასრულა. იაპონელებისათვის ყოველმხრივი სამხედრო დახმარების გაწევა რაიოს პორტარტურამდე სულ ცოტა ათი წლით ადრე მაინც ჰქონდა მოგვარებული.

იაპონიის არმია, რომელიც 1904 წელს გადმოსხდა მატერიკზე, ფაქტიურად შექმნეს და გაწვრთნეს კაიზერის ოფიცრებმა. იაპონიის ჯარების რიცხვის სამჯერადი გაზრდა 1896—1903 წლებში მათივე ხელმძღვანელობით განხორციელდა. 1905 წლის 27 მაისს როჟესტვენსკის ესკადრის დასახვედრად ცუსიმის სრუტეში განლაგებული იაპონიის არმადის აშენებასა და შეიარაღებაში მონაწილეობდნენ გერმანელი და ინგლისელი გემთმშენებლები, ადმირალები. მათივე მატერიალურ-ტექნიკური დახმარებითა და კონსულტაციით იმ რვა წლის განმავლობაში იაპონური სამხედრო-საზღვაო ტონაჟი ოთხნახევარჯერ გაიზარდა. ამის შედეგი იყო, რომ შორეულ აღმოსავლეთში ომის დაწყებისას, რუსეთის წყნარი ოკეანის ესკადრის დიდი ხნის ნამსახური 69 ხომალდის წინააღმდეგ იაპონიის 168 ახალი ტიპის საბრძოლო ხომალდი დაიძრა.

ის, რაც რაიხმა თავისი შორეულაღმოსავლეთელი ნამოწაფრებისთვის არ დაიშურა, იყო ფარული სამსახურის, ჯაშუშური მომსახურების ყიდვა-გაყიდვის გამოცდილება; ხშირ შემთხვევაში კი ეს ატარებდა მეგობრული გაცვლის ხასიათს პირადი ანგარიშების გარეშე. გერმანიისა და ბრიტანეთის დაზვერვის ფრთებქვეშ დაიზარდა ასობით იაპონელი ჯაშუში, რომლებიც მოკალათებული იყვნენ რუსეთის არმიის ზურგში, პეტერბურგსა და მოსკოვში, ჩვენს სხვა დიდ ქალაქებში; ისინი თვალყურს ადევნებდნენ სარდლობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, ჯარების გადაადგილებას, სამხედრო მრეწველობას და მოპოვებულ ინფორმაციას ტოკიოს ცენტრს აწვდიდნენ. ერთდროულად ბერლინიც უწილადებდა ხოლმე იაპონიას პეტერბურგის პროგერმანული ხროვისაგან მიღებულ საიდუმლო ინფორმაციებს. ამრიგად, იმ დროს, როცა ნიკოლოზ II ადმინისტრაცია იაპონელებისათვის „კუდით ქვის სროლის“ იმედით უგულებელყოფდა იაპონიის მოსალოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლად ელემენტარულ მომზადებას, აშკარა მოწინააღმდეგე საკმაოდ გულდასმით სინჯავდა რუსეთის სამხედრო და ეკონომიკურ მექანიზმს, წინასწარვე გაითვალისწინა მისი ბზარები თუ სუსტი კვანძები და კონფლიქტის პირველსავე დღეს მზად აღმოჩნდა უშეცდომო დარტყმები მიეყენებინა.

„გენერლები და სარდლები უნიჭონი და არარანი აღმოჩნდნენ... — წერდა ვ. ი. ლენინი 1905 წლის იანვარში სტატიაში „პორტარტურის დაცემა“. — სამოქალაქო და სამხედრო ბიუროკრატია ისეთივე მუქთახორა და მოსყიდული აღმოჩნდა, როგორც ბატონყმობის

დროს. ოფიცრობა გაუნათლებელი, განუვითარებელი, მოუშზადებელი, ჯარისკაცებთან მჭიდრო კავშირის არმქონე და მათ ნდობას მოკლებული გამოდგა... თვითმპყრობელი რუსეთის სამხედრო ძალერება მოჩვენებითი გამოდგა. ცარიზმი აღმოჩნდა სამხედრო საქმის თანამედროვე, უახლეს მოთხოვნათა სიმაღლეზე მდგომი ორგანიზაციის ხელშემშლელი...“ და ლენინი ასკვნიდა: „რუსმა ხალხმა კი არა, არამედ თვითმპყრობელობამ განიცადა სამარცხვინო დამარცხება“ [7].

პორტსმუტი

იმის თქმა, რომ ამ ომის მსვლელობისა და მისი შედეგისადმი ნიკოლოზი ფულგრილი იყო, არ შეიძლება. მან შეწყვიტა პატაკებისა და ანგარიშების კაბინეტური კითხვა და იმპერიაში მოგზაურობას შეუდგა, ჯარების ინსპექტირება დაიწყო. 1904 წელს მისი მარშრუტი ასეთი იყო: მაისში მოინახულა პოლტავა, ბელგოროდი, ტულა და მოსკოვი; ივნისში — კოლომნა, პენზა და სიზრანი; სექტემბერში — ელიზავეტგრადი, ნიკოლაევი, ოდესა, კიშინიოვი, ქვეყნის სამხრეთისა და დასავლეთის სხვა ქალაქები; წრე შეიკრა რიგასა და რეველში; ოქტომბერში იყო მინსკში, ვიტებსკში, სუვალკსა და დასავლეთ გუბერნიების სხვა ქალაქებში; დეკემბერში — ჟიტომირში, ემერინკაში, ბირზულასა და სამხრეთ-დასავლეთის სხვა რაიონებში.

იგი ყველგან ინსპექტირებას უწევდა და დარიგებას აძლევდა შორეულ აღმოსავლეთში გასაგზავნ სამხედრო ნაწილებს: დროშებს აკურთხებდა, ჯარისკაცებსა და ოფიცრებს ხატებსა და ჯვრებს ურიგებდა: მონაწილეობდა იმ ახალი სამხედრო გემების კურთხევის ცერემონიებში, რომელთა მშენებლობაც იწყებოდა ანდა უკვე დამთავრებული იყო. გენერალი მ. ი. დრაგომილოვი მაშინ ოხუნჯობდა: „იაპონელებს ჩვენი წმინდანების ხატებს ვუშენთ, ისინი კი ყუმბარებსა და ბადროებს გვტყორცნიან. ჩვენ მათ ხატებით ვებრძვით, ისინი კი — ტყვიით“. შენ მას სახარებით, ხოლო ის შენ — ტყვიით. არა უშავს რა, მხიარული ომია! [8].

გვირგვინოსანი გულგრილად განწყობილი არ ყოფილა, მაგრამ არც შიში ჰქონია რამის და, მით უმეტეს, არც სასოწარკვეთილებისათვის მიუცია თავი. ცნობამ პორტარტურის დაცემის შესახებ მას გზაში, ბარანოვიჩის სადგურში, მოუსწრო. საღამოს დღიურში ჩაწერა:

შემაძრწუნებელი ცნობა მოვიდა სტესელისაგან უდიდესი დანაკარგების, გარნიზონებში ავადმყოფობის გავრცელებისა და საჭურვლის მთლიანად დახარჯვის შედეგად პორტარტურის ჩაბარების შესახებ. მძიმე და მტკივნეულია, თუმცა ეს გათვალისწინებული გვქონდა, მაგრამ მინდოდა მერწმუნა, რომ არმია დაიხსნიდა სიმაგრეს. დამცველები გმირები არიან და მათ ყველაფერი გააკეთეს, რისი გაკეთებაც კი შეიძლებოდა. ასეთია, მაშასადამე, ღვთის ნება[9].

პეტერბურგში მიიღეს ცნობა საფლავმანო ჯავშნოსან „პეტროპავლოვსკის“ დაღუპვის შესახებ. ეს სამწუხარო ამბავი მეფისათვის სასახლის მინისტრის შემცვლელს კ. ნ. რიდზევსკის უნდა მოეხსენებინა. აუდიენცია დღის 3 საათისათვის იყო დანიშნული. რიდზევსკი შეშფოთებული ფიქრობდა იმ ამბავზე, რაც მომხდარი შემთხვევის თაობაზე მეფისათვის მოხსენების შემდეგ დატრიალდებოდა. მოულოდნელად ზამთრის სასახლიდან შიკრიკი მოსულა და უთქვამს, მიღება გადადებულიაო. მართალია დროებით, მაგრამ რიდზევსკიმ მაინც შვებით ამოისუნთქა. შიკრიკი ისევ მალე მობრუნებულა და უცნობებია: მიღება დანიშნულ დღეს შედგებაო.

მეფესთან გავემგზავრე, ჰყვებოდა შემდგომ რიდზევსკი. ივი თურმე ადმირალ მაკაროვის პანაშვიდზე წასულიყო. ყველაფერი რა ცუდად აეწყო-მეთქი, ვფიქრობდი მე. მაგრამ აი წირვა მთავრდება. საზღვაო ფორმაში გაწოწყობილი ხელმწიფე ეკლესიიდან ბრუნდება, მხიარულად მესალმება, ხელს მკიდებს და კაბინეტში მიმათრევს, ფანჯარაზე მიმანიშნებს, სადაც მოფარფატე თოვლის ფიფქები მოჩანს, და მეუბნება:

— რა ამინდია! კარგი იქნებოდა გვენადირა, დიდი ხანია სანადიროდ ერთად არ ვყოფილვართ. დღეს რა დღეა — პარასკევი? გინდათ, ხვალ წავიდეთ?

შემკრთალმა რიდზევსკიმ გაურკვევლად ჩაიბუტბუტა რაღაც, წასვლას ჩქარობდა. გზად მიმავალმა, როცა დერეფანი და ვესტიბიული გაიარა და სასახლის კიბეზე დაეშვა, მოედნიდან დაინახა: მეფე ფანჯარასთან იდგა, თოფი გადმოეღო და ზამთრის ნაცრისფერ ცაში ყვავების გუნდს უმიზნებდა...

მოგვიანებით, 1904 წლის ზაფხულში, ვაფანგოუსა და ლიაოიანას

დღეებში, იგი როჟოებზე ნადირობით არის .გართული. დღიურში წერს: მ ო ვ კ ა ლ ი ო რ ი რ ო ჟ ო (?). იმ დღეებში, როცა კურაპატ-კინმა გენერლების შტაკელბერგისა და ფოკის ბრძოლის ველზე მარცხის დამღუპველ შედეგებზე დაშიფრული ცნობები მიაყარა, დღიურში აღნიშნავს: მ დ ი ნ ა რ ე შ ი ვ ჭ ყ უ მ პ ა ლ ა ო ბ დ ი, (?) ფ ე ხ შ ი შ ვ ე ლ ა დ ა ვ დ ი ო დ ი[10].

ცუსიმის დღეების (ბრძოლა მოხდა 14—27 ეაისს) ჩანაწერებში ვკითხულობთ:

16 მაისი. ვიარე ცხენითა და ვისეირნე ბაიდარით, დღეს უაღრესად ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობები მოვიდა ჩვენი ესკადრის იაპონიის ფლოტთან ბრძოლის თაობაზე — ყველაფერი ჩვენს დანაკარგებზე მეტყველებს და არაფერია ნათქვამი მათ ზარალზე. ეს ამბავი საშინლად ტანჯავს კაცს. ოლღამ, პეტიამ და კირილემ ისადილეს.

17 მაისი. ცუსიმის სრუტეში წარუმატებელი ბრძოლების შესახებ მძიმე და ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობები კვლავ მოდის. ვსეირნობდით ორნი. შესანიშნავი ამინდი იყო, ცხელი. აივანზე ვსვამდით ჩაის და ვსადილობდით.

18 მაისი. საუცხოო ამინდია. სერგეიმ ისაუზმა. მიშა ჩამოვიდა გამოსამშვიდობებლად, რადგანაც საღამოს ბერლინში კრონპრინცის ქორწილზე მიემგზავრება. ცხენით კარგად ვისეირნე... აივანზე ვისადილეთ და პავლოვსკში გავისეირნეთ.

19 მაისი. ახლა საბოლოოდ დადასტურდა საშინელი ცნობები ორდღიან ბრძოლაში თითქმის მთელი ესკადრის დაღუპვის შესახებ. თავად დაკრილი როჟესტვენსკი ტყვედ წაუყვანიათ. შესანიშნავი დღე იყო, რაც კიდევ უფრო მეტ სევდას მგვრიდა. პეტიამ ისაუზმა. ცხენებით ვიარეთ.

20 მაისი. ძალიან ცხელოდა. დილით, სადღაც შორს, გრუხუნის ხმა გაისმა. ე. ა. ნარიშკინამ ისაუზმა. მივიღე ტრეპოვი. ვისეირნე ბაიდარით[11].

1904—1905 წლების ომში რუსეთი არ დამარცხებულა. ყოველგვარი წარუმატებლობისა და უკან დახევის, თვით ცუსიმთან, ვაფანგოუსა და მუკდენთან დამარცხების მიუხედავადაც კი, რუსეთის სამხედრო და ეკონომიკური სიძლიერე ომის ბოლოსათვის იაპონიისას ბევრად სჭარბობდა. მოწინააღმდეგე უკვე მოქანცული და ძალაგამოლეული იყო.

სისხლისგან დაცლილი იმპერიალისტური იაპონია ზეიმობდა. სინამდვილეში კი მისი მდგომარეობა — ქვეყნად სწრაფად მზარდი რევოლუციური მღელვარების ჩათვლით — ისეთი იყო, რომ ცუსიმის ამბიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 1905 წლის 18 (31) მაისს, იაპონიის მთავრობამ თხოვნით მიმართა აშშ-ის პრეზიდენტს თეოდორ რუზველტს სამშვიდობო შუამავლობა ეკისრა. რუზველტმა თანხმობა განაცხადა. მან ტელეგრაფით დირექტივა მისცა პეტერბურგში მყოფ

ამერიკის ელჩს: ეთხოვა მეფისათვის აუდიენცია და ცდილიყო დაერწმუნებინა იგი, რომ კონფლიქტის გაგრძელება არც ერთი მებრძოლი მხარისათვის სასარგებლო არ იყო, პირიქით, იგი ორივეს ემუქრებოდა საშიში საშინაო გართულებებით, რომ მშვიდობა განსაკუთრებით სჭირდებოდა მღელვარებებითა და აჯანყებებით შეძრწუნებულ რუსეთს.

25 მაისს (7 ივნისს) ნიკოლოზმა მოუსმინა ელჩს და უთხრა, რომ მოლაპარაკებაზე თანახმა იყო. მეორე დღეს რუზველტმა ოფიციალურად მიმართა რუსეთისა და იაპონიის მთავრობებს წინადადებით, დაეწყოთ მოლაპარაკება ომის შეწყვეტისა და ზავის დადების თაობაზე. ორივე მთავრობამ თანხმობა განაცხადა: რუსეთისამ — პრეზიდენტის მოსაზრების შესაბამისად, მთელი ძალების რევოლუციის დასათრგუნავად გამოყენების მოტივით; იაპონიისამ — თავისი ფაქტიური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომ აღარ შეეძლო გაეგრძელებინა ბრძოლა რუსეთთან და ასევე, რევოლუციურად განწყობილი მასების ზრდის წინაშე იმავე ფარული შიშის მოტივით, იმის სულ უფრო მეტი შეგნებით, რომ ეს ომი უცხო იყო როგორც რუსეთის, ისე იაპონიის მშრომელთა ნამდვილი ინტერესებისათვის. მოლაპარაკების ადგილად შეირჩა აშშ-ის ქალაქი პორტსმუტი.

დაზავების საშუალებით რუსეთის რევოლუციის ჩახშობა — ასეთი იყო ჩანაფიქრი. მაგრამ სულ სხვა რამ მოხდა: დაზავებამ ხელი შეუწყო ახალ რევოლუციურ აღტყინებას, შორეული აღმოსავლეთის ავანტიურით აღშფოთებული ხალხთა მასების შემდგომ გააფთრებას. რუსეთის მდგომარეობის თავისებურება კიდევ ის იყო, რომ მღელვარებაში სულ უფრო ფართოდ ებმებოდნენ ჯარისკაცთა მასები. აღმოსავლეთიდან ქვეყნის ცენტრში დაბრუნდა მეფის გენერლების წყალობის შედეგად სამარცხვინო წარუმატებლობით აფორიაქებული არმია. ჯარისკაცებმა თავიანთი განწყობილება მოსახლეობას გადასდეს, და, პირიქით, მუშათა მოძრაობის აღმავლობის გავლენით ქვეყნად იზრდება რევოლუციური განწყობილება ჯარისკაცებს შორის.

ჯარის დაბრუნება მთავრობას სწადია, მაგრამ ეშინია კიდეც მისი — სასახლის მაღალი წრეები არმიის მიმართ ორმხრივ დამოკიდებულებას იჩენენ. მათი სურვილია ჯარები ხალხს შეუსიონ, ხიშტებით დათრგუნონ რევოლუცია. იმავე წრეებიდანვე გაისმის ხმები, რომ ქვეყნის ცენტრში არმიის შეშვება არ შეიძლება. მრავალი იმ ოფიცერთაგანი, რომლებსაც სამხედრო ეშელონები მოჰყავდათ შო-

რეული აღმოსავლეთიდან, დარწმუნებული არ იყვნენ, დახვდებოდათ თუ არა წესრიგი რუსეთის ცენტრში, გადარჩა კი იგი? თავადი ვასილჩიკოვი, რომელიც ზავის დადების შემდეგ თავისი პოლკით პეტერბურგში დაბრუნდა, ნიკოლოზ II უამბობდა, რომ მან „ჩელიაბინსკში მისვლამდე ზუსტად არც იცოდა, რა ხდებოდა ქვეყნად"; მას ეგონა: „ვეღარ ნახავდა მეფის ოჯახს, რომელიც გავრცელებული ხმების თანახმად, თითქოს საზღვარგარეთ გაიქცა". პრემიერ ვიტეს კი თავისი კაბინეტის კოლეგებთან ერთად „მარსის ველზე სახრჩობელებზე ჩამოკიდებულს ელოდა". მაგრამ სწორედ იმიტომ დაიდო პორტსმუტის ზავი, რომ მსგავსი რამ არ მომხდარიყო. ვიტეც, რომელმაც თავის ხელმოწერით დაამოწმა ხელშეკრულება, შემდეგ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თუ პორტსმუტის ზავი დადებული არ იქნებოდა, მაშინ ერთმანეთს მოჰყვებოდა ისეთი საშინაო და საგარეო კატასტროფები, რის შედეგადაც ტახტს ვეღარ შეინარჩუნებდა რომანოვების საგვარეულო [12].

პორტსმუტის ზავი აზიის მატერიკზე იაპონიის იმპერიალიზმის განმტკიცებას მოასწავებდა. პორტსმუტის ზავის დადებიდან ორთვენახევრის გასვლის შემდეგ ტოკიოს მთავრობამ თავს მოახვია კორეას პროტექტორატის ხელშეკრულება, ხოლო ხუთი წლის შემდეგ, 1910 წელს, კორეა შეიყვანა იაპონიის იმპერიაში. იაპონიის ხელში გადავიდა კვანტუნის ნახევარკუნძული პორტარტურითა და დალნით, კორეა-ვიეტნამის რკინიგზის სამხრეთის შტო, აგრეთვე რუსეთის კუნძულ სახალინის ნახევარი (სამხრეთით 50-ე პარალელზე).

მაგრამ კონფლიქტიდან ნადავლით მარტო იაპონია როდი გამოვიდა. შორეული აღმოსავლეთის კოცონზე კარგად მოითბო ხელი ვილჰელმ მეორემაც. მას იმედი ჰქონდა, რომ რუსეთი კარგა ხანს დაუძლურდებოდა ამ ომში. იგი ანგარიშში დიდად არ შემცდარა: ამ ბრძოლით, რომელმაც რუსეთი რამდენიმე წლით ნამდვილად დაასუსტა, ვიტეს აზრით, „ყველაზე მეტად მოიგო" გერმანიამ. ჯერ კიდევ 1904 წლის 28 ივლისს ვიტემ ნიკოლოზის უშუალო მითითებით ბერლინში გერმანიასთან დადებულ ახალ სავაჭრო ხელშეკრულებას, უფრო ზუსტად, რუსეთ-გერმანიის 1894 წლის ხელშეკრულების დამატებით კონვენციას ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ უსიტყვოდ მოაწერა ხელი. ამ შეთანხმებით გერმანელები მკვეთრად ზრდიდნენ ბაჟს რუსეთის ხორბალსა და ჭვავზე; რუსეთის საბეგრო განაკვეთები კი გერმანიის სამრეწველო ნაწარმის რუსეთში შეტანა-

ზე ადრინდელ მეტისმეტად დაბალ დონეზე რჩებოდა. რუსეთიდან გერმანიისათვის მისაწოდებელი ხე-ტყის ბაჟი შემცირდა, ხოლო რუსეთის ხის დამმუშავებელი მრეწველობის ნაწარმზე — გაიზარდა. საერთოდ და მთლიანად რუსი ეკონომიკური პარტნიორის, როგორც ნედლეულის მიმწოდებლის, როლი 1894 წელთან შედარებით კიდევ უფრო გაძლიერდა. ხელშეკრულება გამსჭვალული იყო გერმანელი ექსპანსიონისტების მისწრაფებით, ჰყოლოდათ რუსეთი გერმანიის მრეწველობისათვის იაფი ნედლეულის მიმწოდებლის როლში, აგრეთვე გერმანული სამრეწველო საქონლის ფართოდ კარგახსნილ, საბაჟო დაბრკოლებებით შეუზღუდველ გასაღების ბაზრად.

ეს იყო მხოლოდ ერთ-ერთი ჯილდო, რომელიც საკუთარ თავს უბოძა ვილჰელმმა შორეული აღმოსავლეთის ინტრიგის გაჩაღებაში მოპოვებული წარმატებისათვის. პეტერბურგის ტოკიოსთან შეტაკებით მან რაღაც-რაღაცეებით მოითბო ხელი.

1904 წლის გაზაფხულიდან ვერჟბოლოვის ცენტრი ეილენბერგის მეშვეობით სისტემატურად აწვდიდა ცნობებს კაიზერს რუსეთის დასავლეთის საზღვრის ფაქტიურად გაშიშვლების შესახებ, რაც გამოწვეული იყო ჯარების შორეულ აღმოსავლეთში გადასროლის შედეგად. ამით რუსეთმა დაკარგა თავისი წინანდელი დაცვა საარმიო კონტინგენტებით. ამ კონტინგენტების ბედი ასეთი იყო: ნაწილი შთანთქა ბრძოლებმა (400 ათასი მოკლული, დაჭრილი და ტყვედ ჩავარდნილთა სახით); ნაწილი დაიშალა შორეულ აღმოსავლეთსა და ციმბირში ჯარისკაცებს შორის ნადელების განაწილებისა და ამ მიწებზე დამაგრების გზით. ყველაზე უფრო საიმედო პოლკები კი, პირველ რიგში კაზაკებისა, შიდა გუბერნიებში განალაგეს იმ მიზნით, რომ ისინი დახმარებოდნენ ხელისუფალთ, მორჩილებაში ჰყოლოდათ მოსახლეობა. ამრიგად, დასავლეთის საზღვრების დაცვა რამდენიმე წლით კვლავ შესუსტებული იყო.

ისარგებლა რა რუსეთისა და იაპონიის შეიარაღებული შეტაკებით, კაიზერული გერმანია განსაკუთრებული დაბრკოლების გარეშე გამაგრდა ჯერ კიდევ 1898 წელს მიტაცებულ პლაცდარმზე, რომელიც ჩინეთში შემდგომი იმპერიალისტური შეღწევის გზას უხსნიდა. კაიზერის საზღვაო სტრატეგებმა ტირპიცის მეთაურობით 1904—1905 წლებში ხელახლა აღჭურვეს ცინდაო, როგორც თავიანთი სამხედრო ფლოტის მთავარი ბაზა აღმოსავლეთ აზიაში. თუმცა ეს ბაზა მათ დიდხანს ვერ შეინარჩუნეს. იაპონელმა ნამოწაფრებმა მათ იქ

დარჩენის უფლება არ მისცეს. 1914 წლის 23 აგვისტოს ანტანტასთან შეერთებულმა იაპონიამ გერმანიას ომი გამოუცხადა და ცინდაო დაიპყრო, ხელში ჩაიგდო აგრეთვე წყნარი ოკეანის მთელი რიგი კუნძულები (კაროლინის, მარიანის და მარშალის). 1904—1905 წლებში შორეულ აღმოსავლეთში დანთებული ხანძარი 1914—1918 წლების მსოფლიო ომის თავისებური პრელუდია იყო. ცხრა წლის შემდეგ „სასიცოცხლო სივრცისათვის“ სალაშქროდ გამოვიდნენ კაიზერის გენერლები.

გასროლა სარაევოში ლათინურ ხიდთან

1914 წლის 16 (29) ივნისს, შუადღის 4 საათზე, შიკრიკი, პორუჩიკი სკურატოვი ხანკოს სანაპიროსთან გაჩერებულ მეფის ორჩხომელ „შტანდარტზე“ ავიდა. ფლაგ-კაპიტნის ადმირალ ნილოვის ნებართვით იმ მაგიდასთან მივიდა, რომელზედაც მეფე-დედოფალი და ფრეილინა ვირუბოვა ბანქოს თამაშობდნენ. ნიკოლოზმა პატაკის მიღების შემდეგ პორუჩიკს კონვერტი გამოართვა და გახსნა. კონვერტში ჩადებული დეპეშები გადაიკითხა, წამოდგა და ნილოვის თანხლებით გემბანით თავის სალონ-კაბინეტისაკენ გაემართა, ამასთან ქალბატონებს თვალით ანიშნა უკან გაჰყოლოდნენ.

არც ერთი ამ სამთაგანი საღამომდე გემბანზე არ გამოჩენილა. ორჩხომელი ხანკოდან ზღვისაკენ შებრუნდა და საოცარი სიჩქარით აიღო გეზი კრონშტადტისაკენ.

სკურატოვის მიერ მოტანილი ორთავე დეპეშა საგანგებო ცნობებს შეიცავდა. ერთ-ერთ მათგანში დამოწმებული იყო ორჩხომელზე წინა დღეს მოსული გაურკვეველი ცნობა: 15 (28 ივნისს) ბოსნიის ქალაქ სარაევოში რევოლვერით მოკლეს ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი და მისი მეუღლე სოფი ფონ ჰოჰენბერგი. ანექსირებული ბოსნიის ტერიტორიაზე, სერბიის საზღვრის მისადგომებთან, ავსტრიის ჯარების მანევრების შემდეგ მათ სარაევოში შეევლოთ. თავდამსხმელები შეიპყრეს *.

* სროლის ხმა გაისმა სანაპიროდან ლათინური ხიდის ასასვლელთან. 18 წლის სერბიელმა გავრილო პრინციპმა, რომელიც ტროტუარზე ხალხში იდგა, ორჯერ ესროლა ღია ავტომობილით ნელა მიმავალ ცოლ-ქმარ ჰაბსბურგებს და ორივე მოკლა. კორტეჟს, ჩვეულების მიუხედავად, არავითარი დაცვა არ ახლდა, რაც მეტად საეჭვო იყო: პოლიციამ კარგად იცოდა ქალაქში არსებული დაძაბულობის შესახებ. ჯარების მანევრები ბოსნიაში და ფრანც ფერდინანდის ჩასვლა სარაევოში აშკარად პროვოკაციულ ხასიათს ატარებდა.

მეორე ცნობამ არანაკლებ ააღელვა მეფე-დედოფალი, ვიდრე პირველმა. სარაევოში მომხდარ ამბავზე ერთი ღღე-ღამით ადრე ციმბირში, სოფელ პოკროვსკში, მუცელში დანის დარტყმით მძიმედ დაეჭრათ რასპუტინი. ეს მოხდა სოფლის გზაზე, როცა იგი ღვთისმოსავ-თაყვანისმცემელი ქალებით გარშემორტყმული მიდიოდა. თავს დაესხა ადევნებული ფეონია თუ ხიონია გუსევა, მისი ყოფილი თაყვანისმცემელი, რომელიც სამონასტრო მოგზაურობისას თან ახლდა ხოლმე. გლეხები დასაჭერად დასდევდნენ სოფელში, იგი კი გაურბოდა მათ და გაჰყვიროდა: „სულ ერთია მოვკლავ მაგ ანტიქრისტეს!“ — და იმავე დანით ცდილობდა თავის დაჭრას...

საღამოს „შტანდარტმა“ სინათლე ჩააქრო და ისე ჩაუარა კრონშტადტს, პეტერჰოფისაკენ წავიდა. სასახლეში ალექსანდრა თეოდორეს ასული, რომელიც ცრემლებს ძლივს იკავებდა, ფრეილინას თანხლებით მაშინვე თავის აპარტამენტებში განმარტოვდა. შინამოსამსახურეთ ეგონათ, ფრანც-ფერდინანდს გლოვობენო, შემდეგ კი მიხვდნენ, რომ გრიგოლს დასტიროდნენ.

1914 წლის 2 აგვისტოს, როცა ორჩხომელ „შტანდარტზე“ კონვერტიანი შიკრიკის გამოჩენიდან ოცდათხუთმეტი დღე იყო გასული, ნიკოლოზ II ზამთრის სასახლეში მაღალი თანამდებობის პირთა თანდასწრებით ოფიციალურად ამცნო ქვეყანას, რომ გერმანიამ მას ომი მოახვია თავს. რამდენიმე დღის შემდეგ კი მოსკოვის წარჩინებული წრეების წარმომადგენელთა თანდასწრებით მეფემ იგივე მანიფესტი გამოაცხადა კრემლის დიდი სასახლის გეორგიევსკის დარბაზში.

სარაევოსა და პოკროვსკში მოხდარ ამბებს ერთურთთან არაფერი ჰქონდა საერთო. ისინი ერთმანეთს მხოლოდ იმით უკავშირდებოდნენ, რომ ორივე თითქმის ერთდროულად მოხდა. და მაინც...

მოგვიანებით რასპუტინი ამბობდა: წყეულ ფეონიას ეს ამბავი რომ არ დაეტრიალებინა, არც ომი იქნებოდაო. იგი ყოველთვის წინააღმდეგი იყო განხეთქილებისა „ისეთ სამეფო ქვეყანასთან, როგორიც გერმანიაა“, და აკი აკავებდა კიდეც ნიკოლოზ II მასთან შეჯახებისაგან, ჰოდა, ასე მოიქცეოდა იმ ზაფხულშიც. ამას იმიტომ კი არ მოიმოქმედებდა, რომ იგი საერთოდ ომის წინააღმდეგი იყო, არამედ იმისათვის, რომ მტკიცედ იცავდა მონარქიასთან კავშირს რევოლუციის წინააღმდეგ: ასეთი კავშირის გამო, მისი აზრით, კაიზერი უნდა წასულიყო დათმობაზე.

ვილჰელმმა იცოდა რასპუტინის ეს პოზიცია და ამიტომაც სწყა-

ლობდა მას. ვილჰელმის შემდეგ მახლობელთა ვიწრო წრეში რასპუტინს კეთილად იხსენიებდა ჰიტლერიც. ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის სტენოგრაფიული ჩანაწერებით ფიქსირებულია, რომ 1941 წლის 11 ნოემბერს, მოსკოვზე გაცხარებული ნაცისტური შეტევის დროს, ჰიტლერმა თავისი დამქაშების ვიწრო წრეში რასპუტინზე წამოიწყო ლაპარაკი და თქვა: „მათ (რუსებმა) თავიდან მოიშორეს რასპუტინი და ამასთან ერთად ის მთავარი ძალაც, რომელსაც შეეძლო სლავურ ელემენტზე ჯანსაღი, სასიამოვნო ცხოვრება დაემყნო“ [13].

მეფის ამ ფავორიტის შესახებ და მასზე მომხდარ თავდასხმაზე სიამოვნებით ბჭობენ დასავლეთ გერმანიის საგაზეთო მაგნატის შპრინგერის კონცერნის პუბლიცისტები და ასევე ზოგიერთი ამერიკელი სოვეტოლოგიც, კერძოდ, მესი. მაგრამ იგი ცდილობს ტიუმენის ამბავი რამდენადმე მაღალფარდოვნად განმარტოს. ეს შემთხვევა, მისი აზრით, სარაევოსას მარტო დროში როდი დაემთხვა. სამწუხაროდ, ხანდახან ისტორია ძალზე ალოგიკურ, ირაციონალურ სვლებს აკეთებს. განა უფრო მეტი ისტორიული აზრი არ ექნებოდა როგორც ერთი, ისე მეორე ეპიზოდის საწინააღმდეგო შედეგს, ანუ იმას, რომ ერცჰერცოგი უვნებელი გადარჩენილიყო, ხოლო მის ნაცვლად ფეონიას ხელით მამა-პაპასთან მოკითხვის ბარათი წაეღო ტიუმენელ სასწაულმოქმედს [14]. მაშინ ხომ რომანოვები, ჰოჰენცოლერნები და ჰაბსბურგები 3—4 წლის შემდეგ აღარ განიცდიდნენ თავიანთ ტოტალურ, თითქმის ჯგუფურ კრახს.

სარაევოს ამბავი რომ არ დატრიალებულიყო, არ დავკარგავდით ჩვენს ტახტებს „როგორც მე, ისე ნიკოლოზი“, სწერდა ვილჰელმ II სუხომლინოვს. 1964 წლის 27 და 28 ივნისს ვენის გაზეთ „დი პრესეს“ ფურცლებზე კელნელი და გეტინგენელი პროფესორების ჯგუფის მიერ გამოთქმული რწმენით, სარაევოში მომხდარი მკვლელობა მოაწყვეს „პეტერბურგის მთავრობამ და მისმა სამხედრო პირებმა“. მსოფლიო ომი, თვლიან ეს სწავლულები, ყველაზე მეტად სურდათ დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს, გენერლებს ბრუსილოვს, სამსონოვსა და მათ კოლეგებს. მათ თავიანთი ბელგრადელი აგენტურის — სერბიის საიდუმლო სამსახურის — საშუალებით გაგზავნეს გიმნაზისტი გავრილო პრინციპი ერცჰერცოგის ავტომობილის შესახვედრად და აღნიშნული ხერხით შეძლეს აფეთქების პროვოცირება, რაც მოულოდნელი იყო როგორც კაიზერის, ასევე მოლტ-

კესათვის. კბილებამდე შეიარაღებული რუსეთი თავს დაესხა გერმანიას, რომელიც არაფერს ეშვობდა, აგრეთვე ავსტრია-უნგრეთს. ამ უკანასკნელთ კი როგორღაც მხედველობიდან გამორჩათ, რომ ამის მსგავსი შემთხვევისათვის მზად უნდა ყოფილიყვნენ. 1914 წელს ცბიერი ნიკოლოზი მოულოდნელად შეება გულმართალ ვილჰელმს.

დასახელებული ჯგუფის წევრი, კელნის უნივერსიტეტის პროფესორი თეოდორ შიდერი თავად არის დარწმუნებული და უნდა სხვაც დაარწმუნოს, რომ 1914 წელს ვილჰელმ II და ბეტმან-ჰოლვეგი, ისე როგორც 1939 წელს ჰიტლერი და რიბენტროპი, ომის წინააღმდეგნი იყვნენ. ზოგიერთი განსხვავება ამ ორ წყვილს შორის, პროფესორის აზრით, თურმე ისაა, რომ „იზოლაციასა და მუქარის“ მდგომარეობაში მოქცეული და „შიშის რეაქციას“ აყოლილი კაიზერი უფრო თავდაცვის მიზნით მოქმედებდა, ფიურერმა კი 25 წლის შემდეგ შეტევითი ტაქტიკა აირჩია. თუ ერთიცა და მეორეც შინაგანად მზად იყვნენ ომის რისკისათვის, ეს იქნებოდა მცირე, ლოკალური ხასიათის ომი — „პირველ შემთხვევაში ავსტრიისა სერბიასთან. მეორე შემთხვევაში გერმანიისა პოლონეთთან“, ეს იყო და ეს. ყოველ შემთხვევაში, აღნიშნავს პროფესორი, „კაიზერის გერმანიის სახელმწიფო პირები, ისევე როგორც თავად კაიზერი, სახელმწიფოს ექსპანსიონისტურ პოლიტიკაში შესაძლებლობათა ზღვარის გადალახვას განიხილავდნენ როგორც დაგეგმილ თამაშს; სულის სიღრმეში მათ იმედი ჰქონდათ, რომ საქმე ამ თამაშამდეც არ მივიდოდა“.

დაახლოებით ასევე იყო საქმე ჰაბსბურგის იმპერიაში. „ავსტრიის სახელმწიფო მოღვაწენი, — წერს მეორე კელნელი პროფესორი ადამ ვანდრუჩკა, — 1914 წლის ზაფხულში თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ისტორიკოსს ხელი ვერ უბრუნდება მათი მისამართით დაწეროს მკაცრი სიტყვა „დამნაშავენი“; აქ უფრო შესაფერისი იქნება სიტყვები „მათ წილად ხვდათ“, რადგანაც ეს სიტყვები გამოუცნობი ძალების მოქმედების რწმენას გამოხატავენ“. მაშ რაკი ასეა, ამთავითვე ნათლად ჩანს, რომ მშვიდობის გადასარჩენად არაფრის გაკეთება არ შეეძლო არც ვილჰელმს ბეტმან-ჰოლვეგთან ერთად და არც ფრანც-იოსებს ბერხტოლთან ერთად. ამ უკანასკნელმა, საგარეო მინისტრად ყოფნისას, მართლა ყველაზე მეტად იშრომა ვენაში ისეთი არსისა და ფორმის ულტიმატუმის შესადგენად, რომ სერბიას მისი მიღება არ შეძლებოდა. მან ხომ ულტიმატუმი გადასცა და თითქმის მაშინვე გაგზავნა ბელგრადში ომის გამოცხადების ამბავი. მაგრამ, ამტკიცებს კიდევ ერთი პროფესორი

ჰუგო ხანჩი, „თუმცა ბერხტოლდი არასოდეს უარყოფდა თავის პასუხისმგებლობას 1914 წლის ივლისის მოვლენებში, იგი სიცოცხლის ბოლომდე დარწმუნებული იყო, რომ სხვა გამოსავალი მისთვის არ არსებობდა“.

ხანჩს კვერს უკრავს ჰანს ვეიჩეკტი: რუსეთი თავს დაესხა ჰაბსბურგის იმპერიას, რომელიც აქ დასახლებული ხალხის „სამოთხე“ იყო“; სამწუხაროდ, „ამ სამოთხეში, რომელიც შემდგომში ხელიდან გამოეცალათ, ჩამონტაჟებული გახლდათ ჯოჯოხეთური მანქანა“, და ეს მანქანა იყო „მრისხანე დინამიტის ჭურვით დატენილი სლავური ხაციონალიზმი, რომელთანაც რუსეთმა 28 ივნისამდე დიდი ხნით ადრე გააბა ბიკფორდის ზონარი“. ვენას, ისევე როგორც ბერლინს, თითქოს პეტერბურგულმა ხრიკებმა გამოუთხარეს ძირი. უსაზღვრო იყო სლავი ხალხის სიყვარული და თავდადება ვილჰელმისა და ფრანც-იოსების მიმართ, მაგრამ ეს დამოკიდებულება თავისი მაბეზღარობითა და დივერსიებით რუსულმა პოლიტიკამ მოწამლა. გაიხსენეთ, წერს იოჰან კრისტოფ ალმაიერ-ბეკი, „პირველი მსოფლიო ომის დაწყების დაუვიწყარი დღეები, რომელთა სიდიადესაც მეორე მსოფლიო ომის დაწყების პირველი დღეებიც კი ვერ დაჩრდილავს“. ზღვა ხალხმა აავსო ვენის ბულვარები, მთელი იმპერიის ქალაქების ქუჩები და მოედნები, ისინი მზერით აცილებდნენ ფრონტზე მიმავალ ჯარებს და აღტაცებულნი გაჰყვიროდნენ: თქვენ ჩვენი გმირები ხართ! გამარჯვება ნუ მოგშლოდეთ! მალე შეხვედრამდე შობაზე!

მაგრამ „გმირებმა“ შობისათვის ვენა ტრიუმფალური დაბრუნებით ვერ გააახარეს. მათი ნაწილი მხოლოდ სამი შობის შემდეგ, მეოთხის დადგომისას დაბრუნდა, მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, მაგრამ მაშინ მხიარული ვენის ქუჩებში აღარ იყო არა მარტო მოზეიმე ხალხი — აღარ დარჩა არც ძველი კაიზერი, არც ახალგაზრდა კაიზერი, არც იმპერიის არმია, არც თავად იმპერია. ჰაბსბურგის „ნაკუწა მონარქია“ დაიშალა და ახლა ნამდვილად მათთვის ახლობელ და მღელვარე საზრუნავში ჩაფლულმა ჩეხებმა სლოვაკებთან ერთად, ხოლო ბოსნიელებმა ხორვატებთან ერთად თავ-თავიანთ სახლებს მიაშურეს...

თუმცა გაზეთ „დი პრესეს“ კიდევ ერთი ავტორი, პიერო კისმანდო ცდილობს დაამტკიცოს, რომ ბოსნიელები გარკვეულად პატივს სცემდნენ ჰაბსბურგელებს. დუნაის იმპერიის ერთგული ქვეშევრდომი ყველა სლავი კი უნუგეშოდ დასტიროდა ერცჰერცოგ ფრანც-

ფერდინანდს. ამას მოწმობს მისი სიკვდილის გამო ბარბითზე დამღერებული სიმღერა, რომელიც თითქოს „მესამე რაიხშია“ ჩაწერილი 1942 წელს ორი იუგოსლაველი სამხედრო ტყვის შესრულებით.

მაგრამ დასახელებულ სწავლულთა სტატიებშიც კი სხვა რამ იგრძნობა. პროფესორი ფრიც ფელნერი კმაყოფილებით იმეორებს თავად ანდრაშის სიტყვებს, რომელმაც ერთხელ ფრანც-იოსებსა და ფრანც ფერდინანდს მოახსენა: „ჩვენი პოლიტიკა (აღმოსავლეთში) მარტო ტერიტორიულ შეძენამდე კი არ არის დაყვანილი; ჩვენ უნდა ვისწრაფოდეთ აგრეთვე მორალური და ეკონომიკური გაძლიერებისაკენ; მიწების დაპყრობის პარალელურად უნდა განხორციელდეს მშვიდობიანი შეღწევაც. კულტურისა და საქონლის შეტანა აღმოსავლეთში — ასეთია ამჟამად ჰაბსბურგის მონარქიის ამოცანა“. რაკი რუსებმა, სერბიელებმა და სხვა სლავმა ხალხებმა უარი თქვეს ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის კულტურისა და საქონლის შეტანის პატივზე, გაზეთმა „ნოიე ფრაიე პრესემ“ გადაჭრით მოითხოვა: „თუკი ავთვისებიანი ციებ-ცხელების მოსპობა გვინდა, ჭაობები უნდა დაშრეს“. ხოლო ფრანც-ფერდინანდი და მისი თანამოღვაწენი, შეგვახსენებს პროფესორი ვანდრუჩკა, თვლიდნენ, რომ ამ საქმეში წარმატება ექნებოდა „არა შიშნეულ თავშეკავებას, არამედ ნახტომს წინ... სისხლისა და ფოლადის წვიმა ერთობლივად განხორციელებული გამარჯვებული ომია“. როცა იგი სარაევოში ტყვიამ განგმირა, მისი მომხრეების საათმაც ჩამოჰკრა — იმათ საათმა, რომლებსაც დიდი ხანია სურდათ ევროპა და მსოფლიო „სისხლის განახლების გზაზე“ დაეყენებინათ, ვინც მამაცურად აცხადებდა: „სიკვდილი ბრძოლის ველზე და არა ჩალის გროვაზე!“

შეჭრა, დაპყრობა და ეგზეკუციები ჰოჰენცოლერნებისა და ჰაბსბურგების დიდიხნისდროინდელი საგვარეულო საქმიანობა იყო, თუმცა დამპყრობლურ მისწრაფებებში ანტანტელები მოწინააღმდეგეს ცოტათი თუ ჩამორჩებოდნენ. მაგრამ აგრესიებით, ექსპანსიონისტური სიშმაგით ჰოჰენცოლერნები და ჰაბსბურგები თავიანთ მოწინააღმდეგეებს აჭარბებდნენ. გაძლიერებულ ექსპლოატაციას უწევდნენ რა რური-რაინის „იარაღის სამჭედლოს“, რომელიც განკარგულებაში გადასცა 1871 წელს შექმნილმა ბისმარკის რაიხმა, მათ მსოფლიო ომამდე 20—30 წლით ადრე დაიწყეს გამალებული შეიარაღება და კბილებამდე აღჭურვილნი სულ მალე ევროპის ცენტრში გამომწვევ საბრძოლო პოზაში დადგნენ.

პირველ მსოფლიო ომს ყველა იმპერიალისტი ამზადებდა, მაგრამ განსაკუთრებით აგრესიულად იყვნენ განწყობილნი გერმანელი იმპერიალისტები, რომელთაც სურდათ მსოფლიოს ძირფესვიანი გარდაქმნა თავიანთ სასარგებლოდ. „გერმანიის ბურჟუაზია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ავრცელებს ზღაპრებს, თითქოს იგი თავდაცვითს ომს აწარმოებდეს, ნამდვილად კი მან შეარჩია, მისი თვალსაზრისით, ყველაზე მარჯვე მომენტი ომისათვის; იგი იყენებს სამხედრო ტექნიკაში მიღწეულ თავის უკანასკნელ გაუმჯობესებებს, რათა დაასწროს რუსეთისა და საფრანგეთის მიერ უკვე დასახულ და წინასწარგადაწყვეტილ ახალ შეიარაღებას“ [15].

კაიზერის გერმანიას ომი უნდოდა და გააჩაღა კიდეც. ორივე მხარის სამხედრო საშუალებებში არსებული განსხვავებით შეგულიანებული, უფრო ზუსტად, მოწინააღმდეგე მხარის, პირველ რიგში კი რუსეთის არმიაზე თავისი მატერიალურ-ტექნიკური უპირატესობით შეცდომაში შესული ბერლინის გენერალური შტაბი გლობალურ ბრძოლაში ჩაება.

საგარეო საქმეთა სტატს-მდივანი ფონ იაგოვი 1914 წლის ივლისში გერმანიის ელჩს ლონდონში წერილობით განუმარტავდა, რატომ უნდა ესარგებლა გერმანიას თავდასასხმელად სარაევოს ინციდენტით. „რუსეთი, — ხაზს უსვამდა იგი, — ამჟამად ომისათვის მზად არ არის, არც საფრანგეთი და ინგლისი მოინდომებენ ახლა ომს“ [16]. ძალთა უთანაბრობა, აღნიშნავდა იგი, დროებითია, იგი აუცილებლივ ზეიცვლება. დასკვნა: სანოკაუტო დარტყმაა საჭირო ცუდად თუ ნაკლებად მომზადებული მოწინააღმდეგისათვის.

ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ვილჰელმ II და ფრანც-ფერდინანდი კონოპიშტში თავიანთ ომისწინა შეხვედრის დროს. ორივე მონაწილეს წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი ულტიმატუმების ენიდან ქვემეხების ენაზე გადასვლა.

სერბიელი ჭაბუკის სუბიექტური მისწრაფებისაგან დამოუკიდებლად ნათელია პასუხი შეკითხვაზე: ვის სწყუროდა ასეთი ინციდენტი და ვისთვის იყო ხელსაყრელი ეს შემთხვევითობა?

შპრინგერული პუბლიცისტიკის წარმოდგენით, შეიტყო თუ არა სარაევოში გასროლის ამბავი, თავზარდაცემულმა ვილჰელმ II ხელები აღაპყრო და შეეევედრა უზენაეს ძალებს, აეცილებინათ მისთვის დეტონაციით გამოწვეული ხალხის აზვავება. პაულ ზეტემ თავისი ნარკვევი ასეც დაასათაურა: „კაიზერს ეშინოდა ომის — მას იგი არ უნდოდა“ [17].

1905 წლის სექტემბერში პორტსმუტში წერტილი დაესვა რუსეთ-იაპონიის კონფლიქტს. 1914 წლის ივნისამდე თითქმის ცხრა წელი გავიდა. ეს ძალიან ბევრი არ არის, მაგრამ არც ისე მცირე დროა. კიდევ უფრო მცირე დროში მოუწესრიგებია საომარ წარუმატებლობას გამოვლილ ქვეყანას საკუთარი თავდაცვითი საშუალებები, თავის საზღვრებზე აღუდგენია აუცილებელი საფარები. რომანოვების იმპერიას ასეთი ამოცანების გადასაწყვეტად ძალა არ შესწევდა.

თუმცა ცხადი იყო, რომ გერმანიის მუქარა იზრდებოდა, რუსეთის შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობა და საბრძოლო მზადება სასურველ სიმაღლეზე მაინც არ იდგა. არსებითად არაფერი შეცვლილა ცარიზმის სამხედრო მანქანის მდგომარეობაში, რომელსაც ესოდენ ღრმა და გამანადგურებელი დახასიათება მისცა 1905 წელს, პორტარტურის დაცემის შემდეგ, ვ. ი. ლენინმა.

მსოფლიო ომის დაწყებამდე ორი კვირით ადრე ნიკოლოზმა მიიღო საფრანგეთის პრეზიდენტი და დაარწმუნა იგი, რომ მზადაა ომში ჩაებას — დაახლოებით ისევე, როგორც მანამდე ცოტა ხნით ადრე კონოპიშტში მსგავსი რწმუნებებით მიმართეს ერთმანეთს ვილჰელმმა და ფრანც-ფერდინანდმა.

მაგრამ როდესაც ხანძარმა იფეთქა, ნიკოლოზ რომანოვი წუთით შეყოყმანდა. შეიძლება მან ბუნდოვნად განსვრიტა იმ გზის ფინიში, რომლისკენაც მას ვილჰელმმა და პუანკარემ უბიძგეს. გასცა თუ არა მობილიზაციის ბრძანება, ვილჰელმის დეპეშის მუქარით დაშინებულმა, ტელეფონით სთხოვა გენერალური შტაბის უფროსს ნ. ნ. იანუშკევიჩს მიღებული ზომები ერთხანს შეეჩერებინა. მაგრამ უკან დახევა დიდხანს არ გაგრძელებულა, სამხედროების გავლენით განკარგულება მობილიზაციის შესახებ აღადგინეს.

გაივლის რამდენიმე კვირა და რუსეთი გენერალ სამსონოვის ტრაგიკული სიკვდილის ამბავს გაიგებს. გაივლის რამდენიმე თვე და ქვეყანა შეიტყობს, რომ ჭურვებისა და ვაზნების გარეშე დარჩენილი დივიზიები, რომლებმაც ლვოვი აიღეს და გალიცია გაათავისუფლეს, ხოლო მოწინააღმდეგე აღმოსავლეთ პრუსიის სიღრმეში მოიმწყვდიეს და ავსტრიის არმია პერემიშლთან გაანადგურეს, იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ. 1915 წლის ზაფხულის დამდეგს გაირკვევა, რომ ტყვია-წამალს მოკლებული, უკანდახეული ჯარები თავიანთი საარტილერიო პარკის ნახევარზე მეტს ბრძოლის ველზე დატოვებენ და დახოცილ-დაჭრილთა სახით მილიონზე მეტ კაცს დაკარგავენ.

9

ომი

კონტინენტი ცეცხლშია გახვეული

სისხლიანი სისულელეები გამოუსწორებელია.

სტენდალი

დაიწყო შეიარაღებული ბრძოლა, რომელიც ოთხმა იმპერიამ — ცარიზმის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და თურქეთისამ ვერ გადაიტანა.

მას შემდეგ, რაც პურტალესი საზონოვის კაბინეტიდან გამოვიდა და მაგიდაზე ომის გამოცხადების ნოტა დატოვა, საბრძოლო მოქმედებები სწრაფად განვითარდა. ეშმაკისეული სპირალი, რომელსაც ვილჰელმ II დამცველები მოაგლიჯა, ნელ-ნელა იშლებოდა და თავდაპირველად მთელი ევროპა აჰყვა მის ბრუნვას, ხოლო შემდეგ იგი უფრო გლობალური გახდა. საბოლოოდ პირველი მსოფლიო ომის ალმოდებულ წრედში სამი ათეული სახელმწიფო აღმოჩნდა ჩართული მილიარდ-ნახევარი მოსახლეობით.

პირველ კვირებში ანტანტის მთავრობებმა ევროპის ბრძოლის ველზე გაგზავნეს 290 დივიზია, საიდანაც ნახევარზე მეტი რუსეთისა იყო. მაგრამ მომზადებასა და აღჭურვაში დაშვებული შეცდომებია, აგრეთვე ნელი თავმოყრის (სატრანსპორტო საშუალებათა სისუსტის შედეგად) გამო რუსეთის არმია იძულებული იყო პირველ შეტაკებებში მხოლოდ ნახევარი ძალით ჩაბმულიყო. ამასთან მას თავიდანვე ტვირთად დააწვა მოკავშირეთა სისტემატური გამოხსნა, რასაც რუსეთი მსოფლიო ომში თავისი მონაწილეობის მთელი ორმოცი თვის განმავლობაში ახორციელებდა.

და მაინც, ყოველგვარი სიძნელეების მიუხედავად, რუსეთის შეიარაღებული ძალები პირველ ბრძოლებში წარმატებით გამოვიდნენ, მთელი რიგი გამანადგურებელი დარტყმები მიაყენეს მტერს. გალიციის ბრძოლაში (1914 წლის აგვისტო-სექტემბერი) რუსეთის ოთხმა არმიამ (სამხრეთ-დასავლეთი ფრონტი) მძიმე დამარცხება აგებინა ავსტრია-უნგრეთის ოთხ არმიას — გაარღვია ფრონტი ფართო უბანზე

და აიძულა მოწინააღმდეგე საერთოდ უკან დაეხია. მაგრამ ამ წარმატებით სამხრეთ-დასავლეთის ფრონტმა სტრატეგიულ შედეგს ვერ მიაღწია, ამისათვის მას საჭირო რეზერვი არ აღმოაჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოზ II ბრძანებით რეზერვი თითქოს გამოყოფილი იყო.

სანამ გალიციაში ეს ბრძოლები მიმდინარეობდა, საფრანგეთის დედაქალაქის მისადგომებთან, მდინარე მარნის გასწვრივ, მოკავშირეთა ქანცგაწყვეტილი ჯარები გერმანიის არმიის დაწოლას თავგამოდებით აკავებდნენ. პარიზს საშინელი საფრთხე დაემუქრა. პუანკარე ნიკოლოზისადმი წერილში დახმარებას ემუდარებოდა მას.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი დაემორჩილა მეფის პირად ბრძანებას და აღმოსავლეთ პრუსიაზე ელვისებური შეტევა განახორციელა ორი არმიით: 1-ლი — რენენკამპფისა და მე-2 — სამსონოვისა. სამსონოვის არმია ლომჟა-მლავას ხაზზე გაიშალა და თავდაპირველად რენენკამპფის 1-ლი არმიის მხარდაჭერით გაბედულად მიიწევდა წინ. ბირკენფელდ-აუგაუს რაიონში სამსონოვმა ძლიერი დარტყმა მიაყენა ცენტრსა და ფლანგებზე გერმანიის უკანდახეულ მე-8 არმიას ფონ პრიტვიცის სარდლობით. პრიტვიცმა მძიმე დანაკლისი განიცადა, მიატოვა ტექნიკა და თავზარდაცემულმა გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკს (კობლენცში) აცნობა, რომ განზრახული აქვს ვისლის იქით დახევა, თუმცა დარწმუნებული არ არის, შეძლებს თუ არა ამ მიჯნის შენარჩუნებას. გერმანია შეშფოთდა, როცა აღმოსავლეთიდან წამოსულ ლტოლვილთა ნაკადი დაინახა. კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით, გერმანიის გენერალური შტაბის უფროსმა მოლტკემ მარნის ფრონტიდან ორი კორპუსი და ცხენოსანთა დივიზია მოხსნა, მეცის რაიონში მესამე კორპუსს მოუყარა თავი და ეს ძალები აღმოსავლეთ პრუსიაში გადაისროლა.

იმ დღეებში ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის სარდალი ჟილინსკი სამსონოვს არწმუნებდა, რომ რენენკამპფის პირველი არმია განაგრძობს შეტევაში მონაწილეობას, მოწინააღმდეგეზე დაწოლას; წამდვილად კი, კრიტიკულ მომენტში, დასავლეთიდან გერმანიის ახალი ძალების მისვლისას რენენკამპფი ბრძოლიდან გამოვიდა და მეორე არმიის ფლანგი გააშიშვლა. გინდენბურგმა, რომელმაც პრიტვიცი შეცვალა, მოულოდნელად შექმნილი ვითარებით ისარგებლა და შეტევებით მოქანცულ და უტყვიაწამლოდ დარჩენილ მეორე არმიას თავს დაატყდა. მეორე არმია სოლდაუს რაიონში მარწუხებში მოექცა და განადგურდა.

სამაგიეროდ მოკავშირეებმა შეძლეს თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესება. თავისი დამრტყმელი ძალის ერთი ნაწილის აღმოსავლეთში გაგზავნით დასუსტებული კაიზერის არმია მარნასთან შეაჩერეს, ხოლო შემდეგ უკუაგდეს. ამის შედეგად მოკავშირეებმა ფრონტი შეინარჩუნეს. მარნის ნაპირებზე ჟოფრმა დაამარცხა კლუკი, მაგრამ ამ წარმატებას ხელი შეუწყო სამსონოვმა, როცა ვისლის გაღმა, მისი გამოთქმით, პრიტვიცი „დაჩეჩქვა“.

„სასწაული მარნასთან“ საკუთარი სისხლისა და სიცოცხლის ფასად დაუჯდა მე-2 არმიის ათასობით ჯარისკაცს, რომელთაც რენენკამპფმა უღალატა. ამავე გამცემლობის მსხვერპლი გახდა არმიის სარდალი ალექსანდრე ვასილის ძე სამსონოვიც. 1914 წლის 30 აგვისტოს სოლდაუსთან ბრძოლების რაიონში მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა. ორი დღით ადრე კი რენენკამპფმა თავისი ჯარები მიატოვა და ვილნოში გაიქცა.

ფიქრობდნენ, რომ ნიკოლოზ II დეზერტირსა და მოღალატეს სამხედრო სასამართლოს გადასცემდა, მაგრამ ასე არ მოხდა. რენენკამპფი კიდევ რამდენიმე ხანს მოღვაწეობდა ფრონტზე მაღალ საკომანდო თანამდებობაზე. შემდეგ, მართალია, რაღაც გამოძიების მსგავსი მოაწყვეს, მაგრამ იგი უშედეგოდ დამთავრდა: იმპერატრიცამ აუდიენციის უფლება მისცა რენენკამპფს და ყველას თვალწინ გულთბილად ესაუბრა, რის შემდეგაც ხელისუფლებმა მის მიმართ ფაქტიურად ვეღარაფრის გაკეთება ვერ შეძლეს.

გამოძიება საბჭოთა ხელისუფლებამ დაასრულა. გაუხსენეს გენერალს ცხრაას ხუთი წლის დამსჯელი რეიდები, თოთხმეტი წლის აღმოსავლეთ პრუსიის ეპოპეაც. რევოლუციური ტრიბუნალის განაჩენით რენენკამპფი 1918 წელს დაბვრიტეს.

1914 წლის 28 სექტემბერს რუსეთის არმიამ ვარშავა-ივანგოროდის ბრძოლა გააჩაღა, რომელიც მოწინააღმდეგის სასტიკი დამარცხებითა და დასავლეთისაკენ უკან დახევით დამთავრდა. 1915 წლის 22 მარტს კაპიტულირებულია პერემიშლის სიმაგრე. ტყვედ არის წამოყვანილი 120 ათასი ჯარისკაცი, ხელში ჩაუვარდათ 900 ქვემეხი. ამ გაზაფხულიდან ურთიერთსაწინააღმდეგო ბრძოლის სიმძიმე თანდათან აღმოსავლეთისაკენ ინაცვლებს, სადაც რუსეთის წინააღმდეგ გერმანიის ბლოკის 268 დივიზიიდან 120 იბრძვის. რაკი გერმანელთა სარდლობა დარწმუნდა, რომ ნიკოლოზ II ძალებს ფანტავს და აქეთ-იქით აწყდება და უპირატესად მოკავშირეთა სამხედ-

რო და პოლიტიკური მოთხოვნილების შესაბამისად მოქმედებსო, განიზრახა გადმწყვეტი წარმატებისათვის აღმოსავლეთზე ზაფხულის შეტევით მიეღწია.

მოწინააღმდეგემ გორლიცთან ფრონტის გარღვევა მოახერხა. რუსი ჯარისკაცების მამაცობამ ვერ შეძლო დაეძლია საბრძოლო მასალების ნაკლებობა, კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო საშუალებების სიმცირე, დაზვერვის სამსახურის სისუსტე, სარდლობის შეცდომები. გერმანიის ქვემეხების გრიგალისებური ცეცხლის შედეგად მასობრივი უკან დახევა დაიწყო; თითქმის არაფერი გააჩნდათ, რომ მტრისათვის სამაგიერო მიეზღოთ — ტყვია-წამლის მარაგი ერთი ქვემეხისათვის დღე-ღამეში მხოლოდ სამ ჭურვს შეადგენდა. 22 ივნისს ლვოვი დაეცა. შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, ივნის-ივლისის განმავლობაში არმიამ გალიცია დატოვა. დაიკარგა აგრეთვე ბალტიისპირეთის ნაწილი. 22 აგვისტოს დაეცა ციხესიმაგრე კოვნო გენერლების გრიგორიევისა და მელერ-ზაკომელსკის ზურგში გაქცევის შედეგად, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ მის დაცვაზე. ზაფხულის ბოლოსათვის გერმანიის ოკუპაციაში აღმოჩნდა ეგრეთ წოდებული რუსეთის პოლონეთი. ცოტაოდენი ძალაც და, ვარაუდობდნენ კაიზერის გენერლები, რუსეთის მთავარ დაჯგუფებას მწყობრიდან გამოვიყვანთო. ეს მიზანი მიუღწეველი აღმოჩნდა. არმიამ სივრცე დაკარგა, მაგრამ წინააღმდეგობის შედეგად გერმანელებს გარშემორტყმის საშუალება არ მისცა, ცოცხალი ძალა შეინარჩუნა. მან შეძლო დვინსკ-პინსკ-ტარნოპოლ-ჩერნოვიცის თავდაცვის ზღუდეზე გამაგრება; აქ ავსტრია-გერმანიის შეტევა ჩაკვდა.

ცხრაას თხუთმეტი წლის ზაფხულის წარუმატებლობამ განსაკუთრებით თვალნათლივ დაანახვა რუსეთის ხალხებს, რომ ცარიზმს ქვეყნის ეფექტიანად დაცვის უზრუნველყოფის ძალა არ შესწევდა, იგი მსხვერპლად სწირავდა არმიას ანტანტაში შემავალი იმპერიალისტური ქვეყნების ინტერესებს და საქმე კატასტროფამდე მიჰყავდა, ამასთან დაუსჯელს ტოვებდა მარცხსა და სასაჭურვო შიმშილში დამნაშავეებს, შტაბებსა და სამინისტროებში მოკალათებულ მტრის აშკარა და ფარულ ხელშემწყობთ. გადააყენეს მხოლოდ სამხედრო მინისტრი სუხომლინოვი (1915 წლის 11 ივნისს). მაგრამ მალე ამის შემდეგ წარუმატებლობის ყველაზე მწარე დღეებში ნიკოლოზ II მაღალ სამხედრო პოსტებზე ნიშნავს სხვა ცნობილ გერმა-

ნოფილებს, მათ შორის ევერტს — დასავლეთის ფრონტის სარდლად, ფონ პლევეს — ჩრდილო-დასავლეთის ფრონტისა.

რუსეთის არმიისათვის ამ მძიმე გამოცდის ჟამს დასავლეთის მოკავშირეებს თითქმის არაფერი გაუკეთებიათ მისი მდგომარეობის შემსუბუქებისათვის, თუნდაც იმის საზღაურად, რაც რუსეთის არმიამ მათთვის გააკეთა. კვლავ აშკარაა, რომ მოკავშირეები უმეტესად დაკავებული არიან საკუთარი თავით და რუსეთის არმიის სიძნელეები ნაკლებად თუ აწუხებთ, მათ უმთავრესად აინტერესებთ მისი უნარი — თავიდან მოაშოროს და შებოჭოს საერთო მოწინააღმდეგე. სინამდვილეში, თხუთმეტი წლის გაზაფხულ-ზაფხულის უკან დახევის სერიოზულობის მიუხედავად, რუსეთის არმიამ თავგანწირული წინააღმდეგობის შედეგად საშუალება მისცა დასავლეთის სარდლობას დაეძლია საშიში კრიზისი, რომელიც გამოწვეული იყო იპრზე გერმანელების მიერ გაზის შეტევებით. მოკავშირეთა ათასობით ჯარისკაცი გამორბოდა წინა ხაზიდან, საიდანაც დაგროვილი მომწამლავი ნისლი დასდევნებოდა; რუსეთის კონტრშეტევებით მოკავშირეთა სარდლობამ შეძლო თავისი პოზიციები გაეუმჯობესებინა ფლანდრიაში, შამპანსა და არტუასთან; რაკი სული მოითქვეს, მოკავშირეებმა ეს იმისათვის გამოიყენეს, რომ შეევსოთ საბრძოლო ტყვია-წამალი, გაეძლიერებინათ მძიმე არტილერია, გადმოეყვანათ კოლონიური სამფლობელოებიდან სამხედრო კონტინგენტი, შეესყიდათ აშშ-ი სამხედრო აღჭურვილობა და იგი ოკეანით გადმოეზიდათ.

დასავლეთელ მოკავშირეებს, განსაკუთრებით ინგლისს, განზრახული ჰქონდათ შეიარაღებული ბრძოლა გამარჯვებამდე მიეყვანათ. რამდენადმე სხვანაირად განეწყვნენ ერთმანეთის მიმართ გარკვეული ელემენტები პეტროგრადისა და ბერლინის უმაღლეს სფეროებში. იქ იყვნენ ადამიანები, რომლებმაც თავისებური „დაღლილობის“ ნიშნები გამოავლინეს ორ ავტოკრატულ იმპერიას შორის უთანხმოების გამო. სისხლისმღვრელი ომის უკვე პირველ რვა თვეში — მარტო ამ ხნის განმავლობაში თითოეულმა მხარემ მოკლულთა და დაჭრილთა სახით მილიონამდე კაცი დაკარგა — მეფისა და კაიზერის ამალის ზოგიერთ მოღვაწეს უნერგავდნენ იმ აზრს, რომ ეს წამოწყება არც ერთს არავითარ მოგებას არ ჰპირდებოდა.

თხუთმეტი წლის გაზაფხულსა და ზაფხულში გერმანიის მთავრობასთან ფარული კონტაქტების დამყარების მიზნით რასპუტინის ჯგუფმა პირველი ნაბიჯები გადადგა. იმ ჯგუფში სასახლის

ჯართან დაახლოებული პირები შედიოდნენ. ასეთივე ნაბიჯები გადადგეს აგრეთვე გერმანელებმაც. ორივე მხარე ერთობლივად აწარმოებდა სეპარატული ზავისათვის ნიადაგის მოსინჯვას. ფალკენგაინის (მარნის შემდეგ დაიკავა მოლტკეს ადგილი) საიდუმლო მემორანდუმგამოკითხვაზე, რამდენად სასურველი იყო რუსეთთან მოლაპარაკება დაზავებაზე, ვილჰელმმა „უსიტყვო „ჰოთი“ უპასუხა“ [1].

დაგვიანებული გალანსები

ძველი ვლადიმირის ეზოთა ბაღებს თბილი, ლაჟვარდოვანი საღამო წამოეპარა. სურნელოვან და გაფოთლილ ბაღებში ფრინველთა სტვენა-ჭიკჭიკი ისმის. აი ქალაქის თვალწარმტაც ციცაბო გორაკებსა და ფერდობებს იქით მიმავალი წყნარი, მწვანე შუკა. შუკის სიღრმეში დგას ოთხსართულიანი ქვის კარგი სახლი, რომელთა შესასვლელებიც ეზოსაკენ, ბაღჩის სიღრმისაკენ არის შექცეული. სახლის ქვედა სართულზე გამოღებულ ფანჯარასთან მიმჯდარა ღრმა მოხუცი ჭაღარა კაცი. ეს ვ. ვ. შულგინია. იგი ოთხმოცდაჩვიდმეტი წლისაა. წვერზე ხელს ისვამს და მკაფიო, მოხუცისათვის მეტად ახალგაზრდული ხმით ლაპარაკობს:

— პეტროგრადში მაშინ ასე მეძახდნენ: ულვაშა შულგინი. ახლა მე თეთრი გრძელწვერა შულგინი ვარ. რასაკვირველია, წვერიან შულგინს არ შეუძლია ზუსტად იგივე ილაპარაკოს, რასაც ულვაშა შულგინი ამბობდა ხოლმე *.

— დღეს სხვა რისი თქმა შეგიძლიათ, ვასილი ვიტალიევიჩ?

— ეგ სხვა უკვე ვთქვი „წერილებში რუსი ემიგრანტებისადმი“. ერთ-ერთ თანამედროვე ისტორიულ ჟურნალში [2]. შეიძლება წაიკითხეთ კიდეც?

— რა თქმა უნდა. ასეთი პროგრესი შეხედულებებში ადვილად გასაგებია. ასეა თუ ისე, უდიდესი მოვლენებით აღსავსე ექვსი ათეული წელი გავიდა.

— დიახ, ზუსტად სამოცი წლის წინათ, აი ასეთსავე ზაფხულის

---

* მემამულე, სამი მოწვევის (პირველის გარდა) სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი შულგინი სათავეში ედგა მისი მემარჯვენე ფრთის რუსი ნაციონალისტების ფრაქციას, აქტიურად გამოდიოდა მონარქიისა და რომანოვების დასაცავად. უკიდურესად რეაქციული გაზეთის „კიევლიანინის“ გამომცემელი და რედაქტორი. ლენინმა არაერთხელ ამხილა და გაამათრახა მისი რეაქციული მოსაზრებანი.

დღეებში, 1915 წლის ივლისში, წავედი პეტროგრადიდან ფრონტზე, გალიციაში. მე იქ მარტო პოლიტიკური მოღვაწე კი არა, ოფიცერიც გახლდით. მე მხოლოდ დამკვირვებელი როდი ვიყავი იმისა, რაც ხდებოდა, ბრძოლებშიც ვმონაწილეობდი... ჯარისკაცებთან ერთად გადავდიოდი შეტევაზე...

— მოგვიანებით თუ ყოფილხართ კიდევ მოქმედ არმიაში?

— როგორ გითხრათ... თუ ფრონტის შტაბს ჯარების ნაწილად ჩავთვლით, მაშინ ვიყავი ფრონტზე, გენერალ რუზსკის შტაბში, 1917 წლის 2 მარტს, როცა ხელმწიფემ ტახტიდან გადადგომის აქტი გადმომცა.

— როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდით ფრონტიდან, ბრძოლების ცეცხლიდან თხუთმეტ წელს?

— რაღა თქმა უნდა... იქ ნახულითა და განცდილით ძლიერ დავდარდიანდი. ვნაღვლობდი, რომ არმია უზრუნველყოფილი არ იყო. მაშინ, სხვათა შორის, გენერალ ერდელის მე-14 დივიზიის პოლკებშიც ვიყავი, სწორედ იმ მე-14 დივიზიისა, რომელმაც ომის პირველსავე დღეებში შეაჩერა გერმანელები ჩენსტოხოვოსთან. მისი პოლკები კარპატებიდან უკან იხევდნენ და საკმაოდ უწესრიგოდაც. ოცდაათ წელს პარიზში შევხვდი ამ ივანე ეგორის ძე ერდელს, ტაქსზე მუშაობდა. დიდ ბულვარებზე გამასეირნა და მითხრა: საკმაო რაოდენობის ჭურვები რომ მოეცათ მაშინ ჩემთვის, ახლა ამ საჭესთან არ ვიჯდებოდიო.

— და თქვენ მას დაუჯერეთ?

— წარმოიდგინეთ, რომ არა... ეს ბავშვური წარმოდგენა იყო მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთკავშირზე... საბავშვო ზღაპარი ჭივჭავის შესახებ, რომელიც ფიქრობდა, ქარი იმიტომ უბერავს, რომ ხეები ირხევიანო... ანდა კიდევ: ზღაპარი იმის შესახებ, თუ როგორ დაიკარგა სამეფო, ლურსმნის დაკარგვის გამო *.

---

* მან შემდეგ განმიმარტა, რომ მხედველობაში ჰქონდა ინგლისური სიმღერის სიუჟეტი: ლურსმანი ამოძვრა — ნალი დაიკარგა; ნალი დაიკარგა — ცხენმა კოჭლობა დაიწყო; ცხენმა უღალატა — მოკლეს სარდალი; არ არის სარდალი — არმია გაიქცა და სამეფო დაეცა:

მტერი შედის ქალაქში,
არ ინდობენ ტყვეს,
რადგანაც სამჭედლოში
არ ჭედავენ ცხენს.

— მაგრამ ასე ხდება ხოლმე მხოლოდ საბავშვო სიმღერებში, — დასძინა შულგინმა.

— მას, იმ ერდელს, არტილერიისათვის მართლა ცოტა ჭურვები მისცეს?

— ცოტა. რამდენადაც შემეძლო მაშინ მე თავად ამეწონ-დამეწონა, საერთოდ მატერიალური ნაწილი მოისუსტებდა. ჯარისკაცები გმირებზე გმირები იყვნენ. ზარბაზნები, ჭურვები და თვით შაშხანებიც კი არ გვყოფნიდა და, პირდაპირ გეტყვით, ყოველივე ამის საშინელ ნაკლებობას განვიცდიდით. ჩექმები და ქუდები გვყოფნიდა, დიახ, ეს გვყოფნიდა, მაგრამ მთავარს, რითაც იბრძვიან, რაც არმიისათვის აუცილებელია, საკმარისი რაოდენობით არ გვაძლევდნენ.

— თქვენ ამის შესახებ პეტროგრადში ვინმეს თუ უამბეთ?

— როგორ არა. ყველას. ხელმწიფესაც მოვუყევი. მახსოვს, სწორედ მაშინ მოგილიოვში გასამგზავრებლად ემზადებოდა უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობის დასაკავებლად, თან ალექსეევის წაყვანასაც აპირებდა.

— მერედა, რა გითხრათ მეფემ?

— ხელმწიფემ ყურადღებით მომისმინა და ჩემს ანალიზსა და დასკვნებს დაეთანხმა.

— რა შედეგი გამოიღო ამან?

— იცით რა, მისი გარეგნულად დამყოლი ხასიათი ჯერ კიდევ ცოტას ნიშნავდა. იგი ხომ სიამოვნებით თანხმდებოდა ხოლმე ასევე სხვებსაც. მაშინ გავრცელებული იყო ერთი სახუმარო ვერსია. ხელმწიფესთან მიდის მინისტრი და მოახსენებს. მეფე უსმენს მას და ეუბნება: „მეც იმავე აზრისა ვარ, როგორისაც თქვენ ბრძანდებით“. ცოტა ხანში მასთან მიდის მეორე მინისტრი და იმავე საკითხზე სულ სხვას, საწინააღმდეგოს მოახსენებს. ხელმწიფე მასაც უსმენს და ეუბნება: „მე თქვენ სავსებით გეთანხმებით“. მთელი დღის საქმეებში ჩახედული დედოფალი საღამო ხანს მაგიდასთან საყვედურობს მას: „რატომ მოქმედებ ესოდენ ურთიერთსაწინააღმდეგოდ, ნიკი? ეს უბედურების გარდა სხვას არაფერს მოგიტანს“. და მეფე ასე პასუხობს: „დიახ, ალიკს, მე შენ გეთანხმები“.

— იგი ყველას მართლა ასე ადვილად ეთანხმებოდა?

— არავითარ შემთხვევაში. ეს მოჩვენებითი იყო. შინაგანად ხელმწიფე ჯიუტი გახლდათ, წარმოუდგენლად ჯიუტი. საკმარისი იყო გაჯიქებულიყო, მისი ადგილიდან დაძვრა თითქმის არავის შეეძლო. და ეს იყო მისი დაღუპვის ერთ-ერთი მიზეზი, თუმცა, შესაძლოა, არცთუ არსებითი. მე მგონია იგი მანევრირების უუნარობამ, ინიციატივის

უქონლობამ, არსებული სიტუაციისადმი წარმოუდგენელი სიჯიუტით ჩაბღაუჭებამ, ნებისმიერი საქმის ორგანიზაციული ელემენტებისადმი გულგრილობამ, ხოლო ბოლოს, რაც მთავარია, სურსათ-სანოვაგის საკითხის საბედისწერო შეუფასებლობამ დაღუპა.

— თქვენ ამის შესახებ სათათბიროში თუ თქვით რამე?

— ვინ მოთვლის, რამდენჯერ... და თანაც როგორ გაცხარებით... მაგრამ ამაოდ... თქვენ, მგონი, ჩემი „დღეები“ გაქვთ?

სტუმარი პორტფელიდან იღებს წიგნს სახელწოდებით „დღეები“. თავფურცელზე წინა შეხვედრისას შულგინის მიერ გაკეთებული სამახსოვრო წარწერა აქვს. მოხუცი სთხოვს ხმამაღლა წაუკითხოს რამდენიმე სტრიქონი მეოთხე თავიდან (თავად მას სუსტი მხედველობის გამო კითხვა უკვე აღარ შეუძლია). ეს სტრიქონები მას რაღაც ამაღელვებელს აგონებს. სტუმარი ხმამაღლა კითხულობს, ხოლო ნახევრად თვალმოჭუტული მოხუცი კითხვის ტაქტს თავს აყოლებს. სახე ეღუშება. იგი ფიქრებითა და გრძნობებით წარსულში, ტავრის სასახლის დარბაზში გადადის. ხოლო მისი თანამოსაუბრე, მოხუცთან ერთად, აზრით იმ სამუდამოდ დასამარებულ ეპოქაში გადაერთვება და ცდილობს წარმოიდგინოს როგორც ტრიბუნა, ისე ამ ტრიბუნაზე მდგარი იმ დროის ბრწყინვალე ორატორი, რომელსაც ყურს უგდებდა რუსეთი, რომლის ენითაც აღფრთოვანებულები იყვნენ. („შალიაპინმა ქათინაური მითხრა ჩემი მეტყველების გამო:

— ასეთი წმინდა რუსულის მოსმენა იშვიათად გვიხდება.

ამ შენიშვნამ უაღრესად მომიფონა გული. ჩვენთვის, კიეველებისათვის, „წმინდა რუსული“ ჩვენი სუსტი მხარეა... და უცებ...“) [3].

ახალგაზრდა, ტემპერამენტიანი „ულვაშა შულგინი“... სათათბიროს ტრიბუნაზე დგას... მოწოდებისა და გაფრთხილების მხურვალე სიტყვებს აფრქვევს გარინდულ დარბაზში...

უბედურება გველის, ამბობს იგი. რუსეთი უიმედოდ ჩამორჩება. ჩვენს გვერდით არიან დიდი ნებისყოფის ქვეყნები. ასეთ შეუსაბამობაში ცხოვრება არ შეიძლება. ასეთი მეზობლობა საშიშია. ერთ-ერთ საშიშ მეზობელს, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო საშიშ, იგი პირდაპირ ასახელებს: „გერმანია ეძებს თავისთვის გამოსავალს...“ მისი „თვალები ხარბად არის მიპყრობილი“ აღმოსავლეთისაკენ... გამუდმებით ისმის გერმანიაში საბრძოლო შეძახილი — „დრანგ ნახ ოსტენ“ — და გაისმის კრუპის ჩაქუჩთა ყრუ დარტყმის ხმები... მაგრამ ტავრის სასახლის თეთრი მარმარილოს კოლონებს შორის ამაოდ

მოუწოდებს დამსწრეთ შულგინი, „გამოიყენონ რაღაც დიდი ძალა“. ტყუილად არწმუნებს მინისტრებსა და დეპუტატებს, რომ მზარდი მუქარის პირისპირ საქმის წარმოებაში საჭიროა „გაქანება, გამომგონებლობა, შემოქმედებითი ნიჭი“, რომ აუცილებელია „გამომგონებლები სახელმწიფო საქმეშიც“, საჭიროა „სოციალური ედისონი“.

საიდან უნდა ჰქონოდა ყოველივე ეს — გაქანება, ნიჭი, გამომგონებლობა — გადაჯიშებულ, ეგოიზმით დაბრმავებულ, საზღვარგარეთელი ნათესავებისა და სხვა კავშირების გაუღწეველ ქსელში გახვეულ მმართველ წრეს, რომელსაც არსებითად დაკარგული ჰქონდა შინაგანი კავშირი ქვეყანასთან, მის ნამდვილ ინტერესებთან და იმედებთან... დარბაზში შემდეგი პასუხი გაისმა:

— ჩემგან ითხოვენ, რომ მე ვიყო ვიღაც სახელმწიფო ედისონი... ძალზე მოხარული ვიქნებოდი... მაგრამ განა დანაშაული მიმიძღვის, რომ ედისონი არა ვარ და მხოლოდ ვლადიმერ ნიკოლოზის ძე კოკოვცოვი გახლავართ *.

ვასილი ვიტალის ძემ, ჯერ ერთი, გულითადი უშუალობით აღიარა, რომ გარეშე შემოსევების მოსაგერიებლად მმართველ წრეს სათანადოდ მომზადება არ შეეძლო; მეორეც, მან, ახალგაზრდა და მდიდარმა ვოლინელმა მემამულემ, წინასწარვე მიუტევა მას ყოველგვარი სისუსტე და დაუდევრობა. „რა თქმა უნდა, ვლადიმერ ნიკოლოზის ძე არ იყო დამნაშავე“. და აი, ყოვლისშემნდობი განზოგადება: „ისევე, ვითარც არ იყო დამნაშავე მთელი კლასი, რომელიც აქამდე ქვეყანას აწვდიდა ხელისუფალთ, ხოლო მეტს აღარ აწვდის... იყო კლასი და წავიდა...“ [4].

ზოგიერთ ნიჭიერ კადრს ეს კლასი, რა თქმა უნდა, კიდევ იძლეოდა, მაგრამ მათი ნიჭი რამდენადმე სხვა მიმართულებით წარიმართა. არა „სოციალურ-ედისონურ“, არამედ სამხედრო-პოლიციურ და სადამსჯელო სარბიელზე მათ კიდევ შეეძლოთ გამოეჩინათ გაქანებაც, გამომგონებლობაცა და შემოქმედებითი ნიჭიც. აქ „გამომგონებლობის“ საზომად შეიძლებოდა გამომდგარიყვნენ რენენკამპფი მილერ-ზაკომელსკისთან ერთად, „სოციალური ედისონის შემოქმედებითი ნიჭის“ ნიმუშად — ზუბატოვი გაბონთან ერთად, „გაქანე-

---

* ვ. ნ. კოკოვცოვი ორჯერ იყო ფინანსთა მინისტრი (1904—1905 და 1906-დან 1914 წლამდე), ხოლო აღწერილ მომენტში სათავეში ედგა მინისტრთა საბჭოს (ეს პოსტი ეკავა 1911-დან 1914 წლამდე).

ბისა“ კი — თუნდაც თვით ვასილი ვიტალის ძე, რომელმაც მემუარებში რევოლუციის დათრგუნვის ანაზღაურების კალკულაცია მოგვცა: „ნიკოლოზ I ჩამოახრჩო ხუთი დეკაბრისტი, მაგრამ თუ ნიკოლოზ II 50 000 „თებერვლელს“ დახვრეტს, მაშინ რუსეთისათვის ეს იაფად ნაყიდი თავდახსნა იქნება“ *[5].

ამ მიმართულებით ცარიზმის მსახურთა აზრიცა და ენერგიაც ინტენსიურად მუშაობდა. გარდა ამისა, მათ ყურადღებას იქცევდა სპარადო ნაბიჯები და მუნდირის ღილები. ამ წლების განმავლობაში, წერდა თებერვლის შემდეგ პეტროგრადის ერთ-ერთი ჟურნალი, არმიაში თუ რაიმე შეიცვალა არსებითად, ძირითადად ტანსაცმლის ფორმა და განმასხვავებელი ნიშნები იყო. აქ კი ნამდვილად „პროგრესი განუწყვეტლივ მიმდინარეობდა“. პორტარტურიდან გუმბინენამდე გასულ პერიოდში „ნიკოლოზმა განკარგულებების ისეთი გრძელი სერია გამოაქვეყნა ღილების, ფოჩების, ამონაჭრების, ქუდებისა და წარწერების შესახებ, ასევე მედლების, ჯვრებისა და ყოველგვარი სამკერდე ნიშნების რიცხვის თაობაზე“, რომ ბოლოს და ბოლოს თვით მეფეცა და მისი სამხედრო უწყებაც დაიბნა: „ცხენოსნები ოპერეტის ჰუსარებს დაემსგავსნენ, ხოლო გვარდიისა და პოლიციის ოფიცრებს, ზიზილ-პიპილებით მკერდდამშვენებულებს, თავისუფლად შეეძლოთ გაჯიბრებოდნენ ცირკის ცნობილ მოჭიდავეებს ანდა ოინბაზებს“. თვით გენერლებიც იმდენად დაიბნენ, რომ ერთხელ პეტერბურგში გერმანიის ელჩთან სადილზე სამხედრო მინისტრი სუხომლინოვი გვერდით მჯდომ რუს ოფიცერს გერმანულად გამოელაპარაკა, ვინაიდან ფორმის გამო შეცდომით პრუსიელად შეიცნო [6].

და უცებ, წერდა შულგინი, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: გერმანიის არმია რუსეთს შეესია. ხოლო უკვე რამდენიმე თვის შემდეგ, გალიციის ერთ-ერთ ბრძოლაში მონაწილეობის მერე ფრონტიდან პეტერბურგში დაბრუნებულმა, „მე თავი იმ არმიის წარმომადგენლად ვიგრძენი, რომელიც ასე უდრტვინველად, ასე ტყუილუბრალოდ ღაფავდა სულს. ხოლო ყურებში მიწიოდა:

---

* ამ „იაფად ნაყიდ“ პოლიტიკურ საქმესთან დაკავშირებით ანგარიშსწორების მიზნით 1944 წელს საბჭოთა კავშირში ჩამოყვანილ შულგინს 25 წლით პატიმრობა მიესაჯა. გულმოწყალე საბჭოთა ხალხმა 1956 წელს იგი გაათავისუფლა და სსრ კავშირის მოქალაქის უფლება მისცა. ამ უფლებით სარგებლობდა იგი ვლადიმირში ჩუუდრო ბინაში ცხოვრების მანძილზე.

— გამოგვიგზავნეთ ჭურვები".

აი სწორედ მაშინ წარმოთქვა მან: „იყო კლასი და წავიდა".

ასეთი კონსტატაციით შეეძლო დაკმაყოფილებულიყო ვოლინელი მიწათმფლობელი შულგინი, მაგრამ არა მილიონობით გლეხი და მუშა, რომლებიც 1914 წელს მობილიზაციით გაგზავნეს 3 ათასი ვერსის სიგრძის ფრონტზე და სადაც იხილეს, როგორ ეწირებოდნენ ისინი გერმანიის გრიგალისებურ ცეცხლს იმის გამო, რომ არ იყვნენ აღჭურვილები სათანადო საპასუხო საშუალებებით. აქ მათ შენიშნეს ზოგიერთი თავისი სამხედრო მეთაურის არაკომპეტენტურობა, დაინახეს თავიანთი არმია, თავიანთი თავი უჭურვებოდ, უქვემეხებოდ და დარწმუნდნენ, რომ საკუთარი სიცოცხლის უაზრო შეწირვით უნდა აენაზღაურებინათ უნიჭობა იმ გაბატონებული კლასისა, რომელიც „იყო და წავიდა".

თუ რამდენად „წავიდა" მმართველი კლასი, ნაწილობრივ წარმოგვიდგინა თვით ვასილი ვიტალის ძემ. ჯერ კიდევ მაშინ, ფრონტზე ყოფნისას, იგი დარწმუნდა, რომ რუსეთის არმია, რომელიც მტერს აღჭურვილობით ჩამორჩებოდა, „უსაშინელეს ზარალს" განიცდიდა. 1917 წლისათვის რუსეთმა მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ წაყვანილთა სახით დაკარგა 8 მილიონი კაცი; ამ ფასად „მოწინააღმდეგის მწყობრიდან გამოიყვანა 4 მილიონი კაცი". საბედნიეროდ, აღნიშნავდა იგი, ქვეყანამ იმხანად ჯერ კიდევ არ იცოდა „სიკვდილის ეს საშინელი ბალანსი: ერთ გერმანელზე ორი რუსი". ისინი კი, რომლებმაც ეს ბალანსი იცოდნენ, დუმდნენ. მარტო ეს შედარებაც კი, წერდა იგი, გაისმის როგორც განაჩენი, განაჩენი წარსულისა და აწმყოსი. განაჩენი „ყველა ჩვენგანისა. მთელი მმართველი და არამმართველი კლასისა, მთელი ინტელიგენციისა, რომელიც უზრუნველად ცხოვრობდა და ყურადღებას არ აქცევდა, თუ რა უიმედოდ ჩამორჩებოდა რუსეთი მეზობლებს მატერიალური კულტურის მხრივ" [7].

ძლიერად არის ნათქვამი. და მაინც ტყუილად ცდილობდა ვასილი ვიტალის ძე თავისი განაჩენი გაევრცელებინა „არამმართველ" კლასზეც. სწორედ რუსეთის მუშათა კლასი, რომელმაც 1917 წელს ხელში ჩაიგდო სახელმწიფო ხელისუფლება, მშრომელ გლეხობასთან ერთად წარმოადგენდა იმ ისტორიულ ძალას, რომელმაც იხსნა რუსეთი კატასტროფისაგან. ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლაში იხსნა იმ კლასისაგან, ვისაც შულგინი ეკუთვნოდა; იხსნა თავდადებული, გმი-

რული შრომით, იმ ჩამორჩენილობის დაძლევით, რომელსაც რევოლუციის წინა დღეებში შულგინმა „უიმედო“ უწოდა; იხსნა, შეა და აღზარდა ახალი, სახალხო ინტელიგენცია, რომელსაც აზრადაც არ მოუვა „იცხოვროს უდარდელად“, არად ჩააგდოს სამშობლოს მოთხოვნილებები და მისი სასიცოცხლო ინტერესები.

მაგრამ „სიკვდილის ბალანსი“, რომელიც მას აძრწუნებდა, ჯერ კიდევ სრული სიცხადით არ იყო წარმოდგენილი, რის თაობაზეც „საბედნიეროდ“ არ იცოდა მაშინ ქვეყანამ. ეს ბალანსი შეიძლება საგრძნობლად შეივსოს. „წავიდა კლასი“, ხოლო რუსეთისათვის ანგარიშის გასწორება ძნელი იყო. ომის მანძილზე არმია ყოველთვიურად მოკლულთა, დაჭრილთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სახით საშუალოდ 175 კაცს კარგავდა. ცალკეულ პერიოდებში ეს სტატისტიკა კიდევ უფრო პირქუშად გამოიყურებოდა. 1915 წელი: აგვისტოდან ნოემბრამდე არმია ყოველთვიურად შესაბამისად 585, 418, 366 და 347 ათას კაცს კარგავს. 1916 წელს: თებერვალში კარგავს 293 ათასს, აგვისტოში — 274, სექტემბერში — 334, ოქტომბერში — 364, დეკემბერში — 278 ათასს. სიკვდილის ეს წისქვილი რეკორდებს იმ თვეებში ამყარებდა, როცა მოწინააღმდეგე მძიმე არტილერიის მხარდაჭერით დიდ შეტევებზე გადადიოდა, რუსეთის კორპუსები კი ტექნიკისა და ტყვია-წამლის ნაკლებობის გამო იძულებული გახდა „დადუმებულიყო“ და უპირატესად ხიშტებით გადასულიყო კონტრშეტევებზე. სწორედ ერთ-ერთი ასეთი თვე იყო 1915 წლის აგვისტო, როდესაც უთანასწორო ბრძოლის დოლაბებზე 600 ათასი რუსი ჯარისკაცისა და ოფიცრის სიცოცხლე ერთიანად ჩამოიფქვა [8].

ასეთია დოლაბების ბრუნვის საერთო ჯამი.

ომის დაწყებიდან ცარიზმის დაღუპვამდე რუსეთის არმიაში მობილიზებული იყო 14,5 მილიონი კაცი. მობილიზაციამ მოიცვა მამაკაცთა მოსახლეობის თითქმის ნახევარი (ყოველ ათას კაცზე მოდიოდა 474 მობილიზებული); ცალკეული რაიონების მიხედვით ეს მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო (მაგალითად, პენზის გუბერნიაში ათასი მოსახლიდან გაწვეული იყო 503, ტულისაში — 536). მთავარი შტაბის სტატისტიკის თანახმად, 1917 წლის 1 თებერვლისათვის რუსეთის არმიის დანაკარგმა მოკლულთა, დაჭრილთა, კონტუზირებულთა, გაზით მოწამლულთა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და ტყვედ ჩავარდნილთა სახით შეადგინა: ჯარისკაცი — დაახლოებით 6 მილიონამდე; ოფიცერი — 63 ათასზე მეტი; ომის ბოლოსათვის ეს მაჩვენებლები

შემდეგნაირად შეიცვალა: მობილიზებული იყო 15 მილიონზე მეტი; დანაკარგის საერთო რიცხვი (რიგითები და ოფიცრები ერთად) 8 მილიონამდე გაიზარდა[9]. ამრიგად, დანაკარგმა საუკეთესო ასაკის მობილიზებული მამაკაცების ნახევარს გადაამეტა.

„ვიბრძოდით იმით, რაც ღმერთმა მოგვცა", — პირქუშად გადმოანთხია გესლი სათათბიროს დეპუტატმა და პრაპორშჩიკმა ვ. ვ. შულგინმა 1915 წელს მოქმედ არმიაში მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ. იგივე გაიმეორა მან 60 წლის მერე ვლადიმირში ზაფხულის წყნარ საღამოსაც. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით, რასაც ბევრი აღიარებდა, მან ცარიზმის იმპერიასთან დაახლოებულ სხვა პირებთან შედარებით რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური გაღატაკების ნამდვილი მიზეზები ყველაზე ნათლად ამოიცნო. ცარიზმი გაძვალტყავდა და თავისი დრო მოჭამა, ისტორიულ ანაქრონიზმად იქცა; თავისი კლასობრივი სკლეროტიკული მოდუნებულობით — „მოქანცულობით", „გაცვეთილობით", პოტენციური უსუსურობით — განწირული იყო.

შულგინის სოციალური ბანაკიდან ბევრმა ვერ შეძლო ისტორიული რეალობის ასეთი გაგება. როგორც თავიანთ კრახამდე, ისე, განსაკუთრებით, შემდეგ, საზღვარგარეთ გაქცევისას, ისინი ცარიზმს ამართლებდნენ, მის მიერ რუსეთის წინაშე ჩადენილ დანაშაულს უარყოფდნენ, მისი რეაბილიტაციის მიზნით ყოველი დაშვებული და დაუშვებელი ღონისძიების მობილიზაციას ახდენდნენ, ყოველგვარ გასამართლებელ მიზეზს ეძებდნენ, რომ ისტორიის საბრალდებო აქტისათვის აბსულუტიზმისა და პირადად უკანასკნელი მეფის რაიმე ალიბი წაეყენებინათ.

1930 წელს პარიზში გამოცემული მოგონებების მოზრდილ ტომში ყოფილმა პოლკოვნიკმა ნაზანსკიმ მთელი თავი დაუთმო იმის მტკიცებას, თუ რაოდენ ბევრს ზრუნავდა მეფე და მისი მთავრობა მსოფლიო ომამდე ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისათვის. რათა გვიჩვენოს, „რაოდენ ბევრი გაკეთდა ნიკოლოზ II მეფობაში რუსეთის სამხედრო ძლიერების განვითარების, სრულყოფისა და განმტკიცებისათვის", ეს ავტორი იშველიებს 1928 წელს თეთრგვარდიულ „ვესტნიკ სოიუზა ოფიცეროვის" მე-3 და მე-4 ნომრებში გამოქვეყნებულ გენერალ ე. მილერის სტატიას — „სამხედრო უწყების მიერ განხორციელებულ მნიშვნელოვან ღონისძიებათა მოკლე ჩამოთვლა". რალა არ არის ამ ჩამოთვლაში! აქ ლაპარაკია „საველე არტილერიის გადა-

იარაღებაზეც“, რომლის ზოგიერთმა ნიმუშმა „გერმანიისა და თვით საფრანგეთის ზარბაზნებსაც კი აჯობა“, მათ შორის მძიმე არტილერიასაც. ლაპარაკია საარტილერიო უწყების იდეალურად აწყობილ მუშაობაზე, რომელმაც ჯერ კიდევ 1910 წელს „წარმოაჩინა თავი საუთანადო სიმაღლეზე, მსხვილი კალიბრის მძიმე ქვემეხებითა“ და ჟურნალებით „არმიის მომარაგების საკითხის“ გადაწყვეტის დროს, „რასაც შეუნელებელ ყურადღებას უთმობდა თავად ხელმწიფე“. მასში ნათქვამია აგრეთვე სტრატეგიული განვითარების გეგმების დამუშავებაზე. სამხედრო წესდების გადახედვაზე იაპონიასთან ომის გამოცდილების გათვალისწინებით, მობილიზაციის სისტემის სრულყოფასა და მერეზერვეთა მომზადებაზე, გენერალური ინსპექციების შექმნაზე იარაღის სახეობათა მიხედვით და ყოველგვარ სხვა პრობლემებზე, რომლებსაც „ხელმწიფე უდიდეს ყურადღებას უთმობდა... სწავლობდა მათ და დაინტერესებული იყო საქმის მსვლელობით. ყველგან, სადაც კი იოტისოდენა დაბრკოლება წარმოიშობოდა, რბილად, მაგრამ თავისი მტკიცე გავლენით სპობდა ამ დაბრკოლებას და უფრო სწრაფ მოძრაობას აღწევდა“. ამის შედეგად ·ქვეყანა ყოველმხრივ შეიარაღებული და გაძლიერებული ჩაება ომში, რაც სავსებით საკმარისი იყო, რათა შემოჭრილი მტერი რუსეთის იმპერიის საზღვრებიდან გაეძევებინა.

სხვათა შორის, ნაზანსკი მეფის დამსახურებად თვლის ჯერ კიდევ ომამდე მიღებულ ეგრეთ წოდებულ არმიის რეორგანიზაციის დიდ პროგრამას. იგი სამ წელიწადზე იყო გაანგარიშებული და მის მიზანს შეადგენდა: გაედიდებინათ ჯარების საბრძოლო ძალა, „შეემცირებინათ მობილიზაციის ვადები, გაეძლიერებინათ ტექნიკური საშუალებით მომარაგება მძიმე არტილერიიდან და ტყვიამფრქვევებიდან კავშირგაბმულობის სამსახურამდე, ნაპერწკლური ტელეგრაფიდან საავიაციო ნაწილებამდე“. კარგი პროგრამა იყო, პატარა მინუსი რომ არ ჰქონოდა: იგი მიიღეს „შესასრულებლად 1914 წლის თებერვალში“ [1], ანუ მსოფლიო ომის დაწყებიდან ოთხი თვით ადრე.

სამშობლოდან გაქცეული ბატონებიდან სხვებიც ამტკიცებდნენ და კვლავაც განაგრძობენ მტკიცებას, რომ სიძლიერე და რესურსები ცარიზმს იმაზე მეტი ჰქონდა, ვიდრე ეს საჭირო იყო სამხედრო მოწინააღმდეგის გასანადგურებლად. ტემზის ნაპირებზე, კერძოდ, რომელიღაც „რუსეთის უმაღლესმა მონარქიულმა საბჭომ“, ბატონ კნუპფერის მეთაურობით, შეთხზა და გამოაქვეყნა სპეციალური მიმოხილ-

ვა — „სიმართლე იმპერატორ ნიკოლოზ II მმართველობის შესახებ“ — იმავე თემაზე და იგივე არგუმენტაციით [11].

რამ შეუშალა ხელი ამ სამხედრო-ეკონომიკურ მანქანას, რომ ეფექტიანად ემუშავა მსოფლიო ომის არენაზე? რატომ არ იქნა მიღწეული ის საბოლოო სტრატეგიული შედეგი, რომლისკენაც ისწრაფოდა ცარიზმი?

ამ კითხვაზე უყოყმანოდ იძლევიან პასუხს გაქციული შავრაზმელები და თეთრგვარდიელები: დაბრკოლებებს ქმნიდნენ ტახტის მტრები. მტრები კი უპირველეს ყოვლისა ისინი იყვნენ, რომლებიც ჯერ კიდევ გოგოლის სკვოზნიკ-დმუხასოვსკიმ შეარცხვინა — ჯერ ერთი, წყეული ლიბერალები, ეშმაკის ნაშიერნი (ძირს უთხრიდნენ მეფეს, რათა ხელიდან გამოეგლიჯათ ძალაუფლება), მეორეც, ყოველგვარი მჯღაბნელ-მჩხაპნელები (პეტროგრადის გაზეთებში განუწყვეტლივ აკრიტიკებდნენ და არცხვენდნენ მეფის ადმინისტრაციას, რითაც შეარყიეს მისი ავტორიტეტი).

მსოფლიო ომის დროს უცხოელთა შემოსევის მოგერიებაში ხელმწიფე-იმპერატორს ხელი შეუშალეს მისი ხელისუფლების „მოწინააღმდეგეებმა“, რომელთაგან ზოგიერთები სიტყვიერების ყაზარმულ გაკვეთილზე ზუსტად ჩამოთვალა კუპრინისეულმა ეფრეიტორმა სერეშტანმა: „მეამბოხეები, სტუდენტები, ცხენიპარიები, ურიები (ურიამასონები) და პოლონელები“

ჭურვები მტარვალებმა გადამალეს. ვაზნები დაფანტეს და გაანადგურეს. გადამყიდველ-სპეკულანტებს მიჰყიდეს, რის შესახებაც გენერალმა მანიკოვსკიმ თავის დროზე რამდენჯერმე მოახსენა ხელმძღვანელობას. ზიანს აყენებდნენ მეფეს, როგორც შეეძლოთ, ლიბერალები, მასონები და სტუდენტები (სკუბენტები). ღმერთია მოწამე, რომ ხელმწიფე ნიკოლოზ ალექსანდრეს ძეს უნდოდა თავის გენერლებით ომი მოეგო, ამისათვის რაც კი რამ იყო საჭირო, ყველაფერი გააკეთა, მაგრამ წყეულმა ბანკირებმა, მექარხნეებმა და ფაბრიკანტებმა საქმის ბოლომდე მიყვანის საშუალება არ მისცეს.

რატომ მოხდა ასე? თურმე, ერთი მხრივ, ბურჟუაზიულ (მილიუკოვი, გუჩკოვი) და მემამულურ (როძიანკო, ლვოვი) ლიდერებსა და, მეორე მხრივ, მეფეს შორის მტრობა ჩამოვარდა, თანაც არა უბრალო მტრობა, არამედ მძაფრი, შეურიგებელი, სამკვდრო-სასიცოცხლო. ეს იყო ისეთი გაშმაგებული მტრობა, რომ შუა ომში ბურჟუაზია (მემამულე მოღვაწეთა გარკვეული მონაწილეობით) სა-

ჭურვლის გადამალვითა და სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის ძირის გამოთხრით რუსეთის თავდაცვისუნარიანობის ნგრევის გზაზე დგება და ამით მიზნად ისახავს ბოროტ განზრახვას: გამოიწვიოს რუსეთის სამხედრო დამარცხება, ხელში ჩაუგდოს ქვეყანა გერმანიის ბლოკს დასაგლეჯად, რათა გოლიცინის ანდა შტიურმერის მაგივრად მთავრობის სათავეში როძიანკო ანდა ლვოვი დასვას.

თუმცა აქ ვლინდება გაუგებრობის წარმომშობი რამდენიმე შეუთანხმებლობა. მაგალითად: თუ ანტანტის მხარეს ომი რუსი კაპიტალისტების, მემამულეებისა და ბანკირების ინტერესებისათვის არ წარმოებდა, მაშინ ვილასი ინტერესებისათვის წარმოებდა? შეიძლება პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის? ანდა: როცა მილიუკოვი და გუჩკოვი ჭურვებსა და ვაზნებს მალავდნენ, რათა ამით არმია მოეხრჩოთ, როგორ ახერხებდნენ ამას ტექნიკურ-ორგანიზაციულად? სად მალავდნენ ამ მილიონობით ჭურვს? თუ რომელიმე საწყობში მალავდნენ — რას უყურებდა პოლიცია, „ოხრანკა“, უმაღლესი მთავარსარდლობა და საერთოდ ხელისუფლების მმართველობა? იქნებ სამხედრო მასალებით მომარაგების უფროსი მანიკოვსკი თვითონ მალავდა ჭურვებს? რა გამოდის, მეფის გენერლებიც იღებდნენ მონაწილეობას ჭურვებისა და ვაზნების ამ ფანტასტიკურ ქურდობაში?

თავისი დანაშაულის სიმძიმით დაღუპვის პირამდე მისული ცარიზმის უსაყვარლესი თეზისი იყო რამდენიმე ვერსია „ზურგში დანის დარტყმის“ შესახებ, რაც კრახის მიზეზად მიაჩნდათ. ცარიზმის აპოლოგეტებმა აქ ვერაფერი გამოიგონეს. ისინიც ათასნაირად იმეწმებენ „ზურგში დარტყმას“, რომელიც იმპერიას მიაყენეს მსოფლიო ომში მტერთან ბრძოლის დროს. „ზურგში დარტყმა“ უპირველეს ყოვლისა თავად ნიკოლოზ II გამოაცხადა თავის დამარცხების მთავარ მიზეზად. ტახტიდან გადადგომის დღეს მან დღიურში ჩაწერა: ირგვლივ ღალატი, სიმხდალე და სიცრუე[12]. შემთხვევით როდი გამოიყენა თავისი წიგნის სატიტულო ფურცელზე სწორედ ეს სიტყვები ეპიგრაფად ნაზანსკიმ. მათში მოცემულია მომხდარი ამბის თეთრგვარდიული გაგების კვინტესენცია. მეფესა და მის თანაშემწეებს ძალიან უნდოდათ დამსგავსებოდნენ ღალატისა და მოტყუების მსხვერპლთ — ამ თეჯირს ამოფარებულნი ყველაზე უკეთ შეიძლებოდა დამალვოდნენ ისტორიის ბრალდებას. ეს მიაჩნდათ და დღესაც მიაჩნიათ შავრაზმელებსა და თეთრგვარდიელებს იმის საუკეთესო საშუალებად, რომ ჩამოეცილებინათ ცარიზმისაგან სა-

ომარი თავდასხმისათვის რუსეთის მოუმზადებლობის, პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისა და შედეგის დანაშაული.

განსაკუთრებული გატაცებით ავითარებდნენ ისინი ემიგრაციაში ვერსიას ცარიზმის ზოგიერთი ხელოვნური „დისკრედიტიზაციის“ შესახებ, რომლის მიღწევასაც ცდილობდა თითქოს ბურჟუაზიულ-ლიბერალური ოპოზიცია სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ოპოზიციამ თითქოს თავად მოშალა ეკონომიკა, გამოიწვია „ჭურვებით შიმშილი“, ადმინისტრაციის დეზორგანიზება, კატასტროფული უკან დახევა ფრონტზე, ხოლო მის მიერვე პროვოცირებულმა ომის წარმოების სიძნელეთა და ნაკლოვანებათა „გაბერვამ“ მუხანათურად იმოქმედა მათზე და შემოაბრუნა ისინი თავიანთი ინტრიგანული მიზნებისაკენ. ცარიზმის მოსისხლე მტრობის შედეგად რუსეთის ბურჟუაზია თითქოს განზრახ ეწეოდა მავნებლობას, კერძოდ, უმალავდა არმიას ჭურვებს, რათა ომში რუსეთის დამარცხებისათვის მიეღწია (ასეთი ბრალდებები უფრო მეტად ადრესირებული იყო ქვეყნის ჭეშმარიტად პროგრესული და დემოკრატიული ძალებისადმი, მუშათა კლასის მოწინავე ორგანიზაციებისადმი, განსაკუთრებით ბოლშევიკებისადმი). ყველაფრის მიზეზი იყო „მავნებლობა“, „გამცემლობა“, „ბოროტი ზრახვები“ და სხვა მსგავსი — ყველა დამნაშავე იყო, გარდა მეფისა და მისი უნიჭო მსახურებისა, გარდა ძირგამომპალი ცარიზმის ხელისუფლებისა.

მილიუკოვისა და გუჩკოვის „მოსისხლე მტრობა“ ცარიზმის მიმართ აბსურდია. მათი მზადყოფნა ხელში ჩაეგდოთ მეფის არმია ვილჰელმისათვის გასანადგურებლად, ხოლო რუსეთის კაპიტალი — გერმანიის მონოპოლისტური ოლიგარქიისათვის შესაჭმელად, უგუნური გამონაგონია. მაგრამ ამ გამონაგონის დანიშნულება ნათელია: ცარიზმის უდიდესი დანაშაულთაგანი — მილიონობით ადამიანის იმპერიალისტურ ომში დაღუპვა — გადაებრალებინათ მისი ბურჟუაზიული ოპონენტებისათვის, რათა ამით გაემართლებინათ თვითმპყრობელი და გაეთავისუფლებინათ მისი რეჟიმი ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობისაგან. სინამდვილეში პასუხს ორივე მხარე თანაბრად აგებს. ისინი ერთმანეთის მტრები კი არ იყვნენ, არამედ პარტნიორები და მოკავშირეები. წინააღმდეგობისა და კინკლაობის მიუხედავად, ისინი მაინც ერთობლივად ერთსა და იმავე, მათთვის საერთო ანტიხალხურ საქმეს აკეთებდნენ. ერთიანი იყვნენ ექსპლოატატორთათვის დამახასიათებელი კლასობრივი ბუნებით, მჩაგვრელთა და დამ-

მონებელთა ერთგვაროვანი კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთაც. ნიკოლოზ II-ზე ნაკლები „დარდანელელი“ როდი იყო მილიუკოვი. თავდაცვის ირგვლივ გამართულ განსაკუთრებულ თათბირზე, როგორც შულგინმა აღწერა, ერთმანეთს გვერდს უმშვენებდნენ და ერთნაირად ზრუნავდნენ ჟურვების წარმოების გადიდებაზე მთავარი საარტილერიო სამმართველოს უფროსი მანიკოვსკიც და შავრაზმელთა მოთავე მარკოვ მეორეც: ბურჟუაზიული ოპოზიციის ლიდერები როძიანკო და მილიუკოვიც, ცარიზმის ბიუროკრატიის ტიპიური წარმომადგენელი სტიშინსკიცა და მათი სხვა კოლეგებიც [13].

თებერვლის დღეებში კი როძიანკო, მილიუკოვი და გუჩკოვი ბოლო წუთებამდე ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ეხსნათ ნიკოლოზ II, შთაეგონებინათ მისთვის რევოლუციის წინააღმდეგ მანევრირება, შეენარჩუნებინათ ტახტი. როცა მათ ეს ვერ შეძლეს და ნიკოლოზს გადადგომა მოუხდა, მეორე დღესვე მილიონის ქუჩა № 12-ში გამართულ ბურჟუაზიულ მემამულეთა გაფართოებულ თათბირზე მილიუკოვი და გუჩკოვი კვლავ შეეცადნენ გადაერჩინათ რომანოვების დინასტია და მოუწოდებდნენ მიხეილს თავზე დაედგა ნიკოლოზის მიერ დაკარგული გვირგვინი; დაჟინებით მოითხოვდნენ ამას სხვების მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ; რომანოვების მონარქიის შენარჩუნების საკითხში ისინი თვით უკიდურეს მემარჯვენე შულგინზეც უფრო მარჯვნივ აღმოჩნდნენ [14]. რომელი გახლდათ მათ შორის ხელგანთქმული რომანოვების დინასტიის პრინციპული მოწინააღმდეგე?

ორგანული სოციალური მანკიერებით, განუკურნებელი მარაზმით იყო დაავადებული მეფის თვითმპყრობელობაც და მისი ბურჟუაზიული პარტნიორ-მოწინააღმდეგეც. მსოფლიო ომში ხელიხელჩაკიდებულნი რომ გამოდიოდნენ ანტანტის მხარეზე. ამ ღრმა მანკიერებათა ძალით და არა სხვა რაიმე „საიდუმლო“ მიზეზით იყო გამოწვეული ნგრევა და ქაოსი. აქედან მომდინარეობდა ჟურვებისა და შაშხანების ნაკლებობა; აქედან იყო სამხედრო-ტექნიკური გაკოტრების სხვა ნიშნებიც. არმიისათვის 40 მილიონი ჩექმის მიწოდება კი, რის შესახებაც შულგინი წერდა როგორც სიუხვის რეკორდზე [15], სრულიადაც არ წარმოადგენდა გასაოცარ რეკორდს. არმია 15 მილიონამდე კაცს ითვლიდა, მაშასადამე, ოთხი წლის ლაშქრობების, გადასვლების, შეტევებისა და უკან დახევების დროს მრავალი ათასი ვერსი უგზოობის,

ჭაობებისა და მთათა დაძლევის უმძიმეს პირობებში საშუალოდ ჯარისკაცზე ორ წყვილზე ცოტა მეტი მოდიოდა — ვინც კი ომში ყოფილა, ყველამ იცის, რომ ეს ძალზე მოკრძალებული ნორმაა.

იმის შესახებ, თუ ომის ბოლოსათვის როგორ „ფუფუნებაში“ იმყოფებოდა რუსეთი, რომელსაც თითქოსდა თავზე საყრელად ჰქონდა სახელმწიფო ფეხსაცმელიცა და ტანსაცმელიც, შეიძლება განვსაჯოთ თუნდაც რომანოვების ეკატერინობურგში ყოფნის ეპიზოდით. ბაღში სეირნობისას ყოფილმა მეფემ მზერა შეიარაღებულ გუშაგს მიაპყრო. ეს იყო სისერტელი მუშა ფომინი, რომელსაც გაცვეთილი პიჯაკი და მაღალყელიანი მოღრეცილი ფეხსაცმელები ეცვა, გაქონილი კეპი ეხურა.

ნიკოლოზი მასთან მივიდა:

— აი თქვენ შეიარაღებული ხართ, თითქოს ჯარისკაცი უნდა იყოთ, არავითარი სამხედრო ფორმა კი არ გაცვიათ. რატომ?

ფომინმა უპასუხა:

— არაფერი მაქვს არც ჩასაცმელი და არც დასახური. ტანსაცმელიცა და ფეხსაცმელიც ომში გამიცვდა, ჩვენ არაფერი შეგვრჩა [16].

რითი დაიწყო ომი ნიკოლოზ რომანოვმა — ეს თითქოს უკვე მაშინვე, 1914—1915 წლებში, ზოგიერთისათვის ცნობილი იყო. ნაკლებად იცოდნენ, როგორ მიჰყავდა მას ეს ომი, ხოლო უფრო ნაკლებად შეეძლოთ ევარაუდათ, რითი დამთავრდებოდა იგი.

ანგარიში იზრდება

დიდი იყო „რუხი ჯარისკაცუნების“ ტანჯვა, უთვალავი იყო მათი მსხვერპლი, ხან გამძვინვარებული, ხან კიდევ მინელებული ცეცხლის ალი რომ ნთქავდა. ამ ტანჯვათა ტრაგიზმი უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობდა, რომ ჯარისკაცებმა არ იცოდნენ, რისი გულისათვის იბრძოდნენ; მიზანი და ინტერესები „უფროსებისა“, „ბატონებისა“ იმ ომში მათთვის უცხო და გაუგებარი იყო. მაგრამ ისტორიული ტრადიციის მიხედვით, რუს მეომარს, როცა იგი ბრძოლის ველზე გადიოდა, სხვა განზრახვაზე უფრო მეტად საბრძოლო სინდისი, მეომრის მოვალეობა სძლევდა. თუმცა ამას არ შეუძლია იმ ფაქტის პრინციპული მნიშვნელობის დამდაბლება, რომ ჯარისკაცები ბრძოლის ველზე მიდიოდნენ სიცოცხლის შესაწირად და გარკვეულად არ

იცოდნენ, რისთვის, ვისთვის უნდა გაეღოთ ასეთი მსხვერპლი.

გენერალი ა. ა. ბრუსილოვი წერდა: „რამდენჯერ ვკითხე ჯარისკაცებს სანგრებში, რისთვის ვიბრძვით-მეთქი, და ყოველთვის ერთი და იგივე პასუხი მივიღე, რომ იქ ვიღაც ერც-ჰერც-ჰერცი მოუკლავთ ცოლთან ერთადო... მაშასადამე, ხალხი სასაკლაოზე მიჰყავდათ და არ იცოდნენ, რისთვის, ესე იგი, მეფის ჭირვეულობის გამო... ჩვენი ჯარები გაწვრთნილი, დისციპლინებული იყვნენ და მორჩილად წავიდნენ ბრძოლის ველზე, მაგრამ არავითარი აღფრთოვანება არ იგრძნობოდა. არც იმის შეგნება, თუ რას წარმოადგენდა ეს ომი, სრულიად არ გააჩნდათ“ [17].

ეჭვს გარეშეა, რომ რუსეთი სერბიას უდიდესი თანაგრძნობით ეკიდებოდა. სამხრეთელი სლავების უბედურება გამოძახილს პოვებდა ყოველი რუსის გულში. აღშფოთებას იწვევდა ავსტრია-გერმანიის იმპერიალისტების აგრესიის სიმკაცრე, რომელთა განზრახვასაც. მაშინდელი კაიზერული კანცლერის ცინიკური გამოთქმით, პატარა ხალხისათვის „ყოველგვარი ხავერდის ხელთათმანების გარეშე ყელში წვდომა“ წარმოადგენდა [18].

მაგრამ სერბიელებისადმი ჩვენი ხალხის სოლიდარული გრძნობის მთავარი წყარო იყო ის, რაზედაც ჯერ კიდევ მაშინ წერდა ლენინი: ყველა მეომარ სახელმწიფოდან მარტო სერბიელები იბრძოდნენ თავიანთი ეროვნული არსებობისათვის; მარტო სერბიაში იყო მრავალწლიანი და მილიონობით ადამიანის მომცველი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის გაგრძელებასაც ავსტრიის თავდასხმისაგან დაცვა წარმოადგენდა. ამასთან ერთად ლენინი იმაზეც მიუთითებდა, რომ ამ მომენტს სერიოზული მნიშვნელობა არ ჰქონდა საერთო-ევროპულ ომში: განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეები მოქმედი იყო მარტო სერბიისათვის, ანუ ომის მონაწილეთა რაღაც „მეასედი ნაწილისათვის... 99 - თვის ომი არის იმპერიალისტური პოლიტიკის გაგრძელება...“ [19].

100

ბრძოლის ახლობელსა თუ შორეულ უბნებზე მეფის ბრძანებით გაგზავნილი რუსი ჯარისკაცი ყველგან, ყველაზე რთულ ვითარებაშიც, მისთვის დამახასიათებელი მამაცობითა და სიმტკიცით იბრძოდა. მაგრამ ჯარისკაცთა მასას მაშინ არ შეეძლო სცოდნოდა (მხოლოდ ნაწილობრივ თუ ხვდებოდა), რომ იმ დროს, როცა ხელისუფალნი მას სისხლს სწოვდნენ ანტანტასთან დადებული კონტრაქტის გამო, ზო-

გიერთი მათგანი კაიზერისთვის როგორც თავიანთი მოკავშირეების, ისე რუსეთის არმიის მისაყიდად სასახლის კუნჭულებში პროგერმანული შეთქმულების ქსელს აბამდა.

გერმანოფილური ჯგუფის ხელმძღვანელ ბირთვში შედიოდნენ დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული (მისი ნამდვილი სახელი და გვარი იყო ალისა ვიქტორია ელენა ბრიგიტა ლონიზა ბეატრისა პრინცესა ჰესენ-დარმშტადტელი) და გ. ე. რასპუტინი.

ბრძოლის ველი ომის პირველსავე წლებში აივსო ურიცხვი მსხვერპლით. იმავე წლის მთელ მანძილზე სასახლის კარის პროგერმანული ჯგუფი ფარულად და დაუღალავად მუშაობდა ვილჰელმ მეორისათვის, რათა, ერთი მხრივ, არ დაეშვა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ მისი მოსალოდნელი განადგურება, მეორე მხრივ, მიეღწია მასთან შერიგებისათვის შემდგომი მეგობრული შეთანხმების ანდა კავშირის გზით.

ამ ხრიკების მამოძრავებელი ზამბარა იყო ნიკოლოზ II და მისი ამალის რევოლუციით გამოწვეული შიში. რომ არაფერი ვთქვათ 1905 წლის თავზარდამცემ ამბებთან დაკავშირებულ მწარე მოგონებებზე, ისინი დამფრთხალნი უყურებდნენ აგრეთვე ომის წინა წლების მრავალ მოვლენას.

ეს იყო ახალი რევოლუციური აღმავლობის წლები რუსეთში. ბოლშევიკების პარტიის მიერ საბრძოლველად ორგანიზებული და შთაგონებული მუშათა კლასი სულ უფრო ხმამაღლა აცხადებდა თავის უფლებებსა და მოთხოვნებს. ლენაზე მომხდარი დახვრეტის საწინააღმდეგო საპროტესტო გაფიცვამ, რომელიც 1912 წლის აპრილში მთელ ქვეყანას მოედო, 300 ათასი კაცი მოიცვა. პროლეტარიატის კიდევ უფრო მძლავრი გამოსვლებით აღინიშნა 1912 წლის 1 მაისი: მარტო ამ ერთ დღეს 50 გუბერნიაში ათასობით გაფიცვა მოეწყო — უფრო მეტი, ვიდრე 1905 წლის მაისში. „ლენის ამბები გახდა რევოლუციურად განწყობილი მასების მეფის მონარქიისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ მასობრივ შეტევაზე გადასვლის მიზეზი... — აღნიშნულია „სკკპ ისტორიაში“ — ამ დღიდან საგაფიცვო მოძრაობის გაქანებითა და ხასიათით განისაზღვრებოდა მთლიანად რევოლუციური აღმავლობის განვითარება. მაგრამ ეს არ იყო ხუთ წელთან დაბრუნება. ისტორია არ გამეორებულა. ხუთი წელი დაიწყო გაპონიადით, „მეფე-მწყალობლისაკენ“ მსვლელობით. 1912 წლის აპრილ-მაისის გაფიცვებმა გამოაცხადეს: „ძირს მეფის მთავრობა“! ეს ლოზუნგი მისცა მათ ბოლშევიკურმა პარტიამ“ [20].

შემდგომ ბოლშევიკური გავლენა მშრომელთა მასებზე ყველგან აღინიშნებოდა. 1913 წელს ბოლშევიკური ორგანიზაციები მუშაობდნენ ქვეყნის ყველა ძირითად სამრეწველო რაიონში; მუშების გამოსვლები, როგორც წესი, ეწყობოდა ბოლშევიკების ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. იმ პერიოდში მეფის პოლიციის დეპარტამენტი მოხსენებაში „რსდმპ-ის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ" აღნიშნავდა: „...ყველაზე უფრო ენერგიული, მხნე, დაუღალავი ბრძოლის, წინააღმდეგობის გამწევ და მუდმივი ორგანიზაციის ელემენტად ითვლებიან ის ელემენტები, ის ორგანიზაციები და ის პირები, რომლებიც კონცენტრირებული არიან ლენინის ირგვლივ... რუსეთსა და საზღვარგარეთ არსებული ყველა რევოლუციური ორგანიზაციიდან, ერთადერთი, რომელმაც... მოასწრო შემჭიდროება და თავისი ლოზუნგებისა და კავშირის ფიქსირება... — ეს არის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკური ფრაქცია" [21].

ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, იმ დროს ქვეყანა განიცდიდა „ცუდად დაფარული **სამოქალაქო ომის** მდგომარეობას... მთავრობა კი არ მართავს, არამედ იბრძვის" [22].

იმ წლების მდგომარეობისათვის დამახასიათებელი იყო ის, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. ა. მაკლაკოვმა ნიკოლოზ II-სადმი გავზავნილ წერილში „საფაბრიკო-საქარხნო ხალხის განწყობილების შესახებ", მზარდი „ამბოხების" ჩახშობის მიზნით წამოაყენა დედაქალაქის საგანგებო დაცვაზე გადაყვანის გეგმა. ამ გეგმას ნიკოლოზ II დაეთანხმა, მაგრამ მის რეალიზაციას ხელი შეუშალა მთავრობის მეთაურის კოკოვცოვის წინააღმდეგობამ. თუ რაოდენ საგანგაშო ვითარება შეექმნა ომის წინ მეფის მთავრობას, მოწმობს ის ფაქტი, რომ 1914 წლის ზაფხულისათვის გაფიცულთა საერთო რიცხვმა რუსეთში 1905 წლის დონეს გადაამეტა. 7 ივლისს, ანუ იმ დღეს, როცა ნიკოლოზ II-თან მოსალაპარაკებლად პეტერბურგში საფრანგეთის პრეზიდენტი პუანკარე ჩამოვიდა, დედაქალაქში ყველა ფაბრიკა-ქარხანამ შეწყვიტა მუშაობა, დაიკეტა მაღაზიები, შეჩერდა ტრამვაის მოძრაობა — გაიფიცა 130 ათასი კაცი. ქალაქის ქუჩებში გამოვიდნენ დემონსტრანტთა კოლონები წითელი დროშებით, რევოლუციური სიმღერებით, მუშები შეეჯახნენ პოლიციელებს; 1905 წლის შემდეგ პირველად გამოჩნდა პიტერში ბარიკადები. იმ დღეებში რევოლუციური გამოსვლების ტალღა გავრცელდა ქვეყნის სხვა ქალაქებშიც: მოსკოვში გაიფიცა 35 ათასი კაცი, რიგაში — 54 ათასი,

ვარშავაში — 20 ათასი, ხარკოვსა და თბილისში — 12—12 ათასი. შეიძლებოდა გვევარაუდა, იგონებდა შემდეგ სათათბიროს წევრი ბოლშევიკი ა. ე. ბადაევი, რომ „თუ არა ომი, ცარიზმზე საბოლოო შეტევა უნდა ყოფილიყო მომდევნო, ივლისის შემდეგ ძალიან მალე განხორციელებული ეტაპი“ [23].

რუსეთის მშრომელები სულ უფრო გაბედულად ირაზმებოდნენ მომავალი რევოლუციის დროშით. ბოლშევიკები რაზმავდნენ მათ კლასობრივი მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის. „იქნება რევოლუცია თუ არ იქნება, — წერდა ვ. ი. ლენინი — ეს დამოკიდებულია *არა მარტო* ჩვენზე. მაგრამ ჩვენ *ჩვენს* საქმეს გავაკეთებთ, და ეს საქმე არასოდეს არ დაიკარგება. იგი მასებში ღრმად დათესავს დემოკრატიზმისა და პროლეტარული თვითმოქმედების თესლს, და ეს თესლი *აუცილებლად* მოგვცემს ნაყოფს, ხვალ იქნება ეს დემოკრატიულ რევოლუციაში თუ ზეგ სოციალისტურში“ [24].

ომის წინა წლებში აღინიშნებოდა სწრაფად მზარდი კლასობრივი ბრძოლის გამწვავება სოფლად (სტოლიპინის აგრარული რეფორმის ერთ-ერთი შედეგი), აგრეთვე რევოლუციური განწყობილების გაძლიერება არმიაში (ჯარისკაცების მღელვარება კიევსა და ტაშკენტის გარნიზონებში, მატროსებისა — კრონშტადტში, სევაბორგსა და სევასტოპოლში). კერძო მოთხოვნებიდან რუსეთის მშრომელთა მასები, მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, სულ უფრო ხშირად გადადიან პოლიტიკურ მოქმედებაზე მეფის თვითმპყრობელობის დამხობის ლოზუნგით.

ხანმოკლე შენელების შემდეგ 1914 წლის მეორე ნახევარში მუშათა კლასის ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ, ომის პირობების მიუხედავად, ახალი ძალით გაჩაღდა. 1915 წელს რუსეთში მოხდა 1063 გაფიცვა — თხუთმეტჯერ მეტი, ვიდრე ომის პირველ ნახევარში. გაფიცულთა რიცხვმა 569 ათასს მიაღწია — გაიზარდა 15-ჯერ და მეტად. „რატომ უნდა დავიხოცოთ ჩვენი მტრების გამო, — ნათქვამი იყო ივანოვო-ვოზნესენსკის მუშათა ერთ-ერთ ფურცელში, — მოვკვდებით ბარიკადებთან მუდმივი მშვიდობისა და თავისუფლებისათვის“ [25]. იმ დღეებში, როცა ეს ფურცელი გავრცელდა, პოლიციამ ივანოვო-ვოზნესენსკის პროლეტარიატის მხეცური დარბევა მოაწყო. ათობით მოკლული და დაჭრილი — ასეთი იყო მეფის ხელისუფალთა მიერ ქალაქის ქუჩებში მოწყობილი ანგარიშსწორების შედეგი.

მაგრამ ყველაზე უმკაცრეს რეპრესიებსაც კი არ შეეძლო კლასობრივი ბრძოლის აღმავლობის შეჩერება. ომიანობის დროს, დრაკონული რეჟიმის მიუხედავად, რუსეთში სულ უფრო მწიფდებოდა რევოლუციური კრიზისი. 1915—1916 წლებში მასობრივი გამოსვლები მოხდა დონბასის შახტებში, ნიჟნი ნოვგოროდის (განსაკუთრებით სორმოვოს), ტულის, ეკატერინოსლავის, ხარკოვის მუშათა რაიონებსა და სხვა სამრეწველო ცენტრებში და, რასაკვირველია, მათ შორის მთავარში — ორივე დედაქალაქის რაიონებში. აქედან, მუშათა მოძრაობის კერებიდან, ომის წლებში რევოლუციური მღელვარება გადადის სოფლადაც (მემამულეთა მამულების განადგურება და დაწვა, „დედაკაცების ამბოხება", მინდვრებისა და მდელოების გაფუჭება). ეროვნულ განაპირა რაიონებში (აჯანყება ყაზახეთში), არმიაში (ჯარისკაცების დაძმობილება გაფიცულებთან და დემონსტრანტებთან, ანტისაომარი აფეთქებები გარნიზონებსა და ნაწილებში, საფრანგეთსა და საბერძნეთში მყოფ რუსეთის საექსპედიციო ჯარებში). 1916 წლის მიწურული აღინიშნა პარტიის დაძაბული ბრძოლით რევოლუციისათვის მასების მოსამზადებლად. „კმარა მოთმენა! — წერდნენ ერთ-ერთ თავიანთ ფურცელში ეკატერინობურგის ბოლშევიკები. — დროა ჩვენ თვითონ მოვუღოთ ბოლო ამ უაზრო ომს", „მოემზადეთ გადამწყვეტი ბრძოლისათვის თქვენი მჩაგვრელების წინააღმდეგ" [26], — ასე მიმართავდნენ მშრომელებს როსტოველი ბოლშევიკები.

ფართოდ მოედო ქვეყანას სახალხო უკმაყოფილებისა და აღშფოთების ტალღა, მომავალი ქარიშხლის ეპიცენტრი კი, რა თქმა უნდა, ორივე დედაქალაქში მდებარეობდა. აქ ხდებოდა მოახლოებული რევოლუციის წამყვანი, დამრტყმელი ძალების ფორმირება. ეს ორი რაიონი, რომელშიც თავმოყრილი იყო რუსეთის მთელი მუშათა კლასის 40 პროცენტი, ომის წლებში მრავალი გაფიცვის კერა იყო. მარტო პეტროგრადმა 1916 წლის დეკემბრისათვის საერთოდ ყველა გაფიცვის მონაწილეთა 30 პროცენტი და პოლიტიკური გაფიცვების მონაწილეთა 75 პროცენტი შეადგინა. სისხლიანი კვირის 12 წლის თავზე, 1917 წლის იანვრის დამდეგს, პეტროგრადში მოწყობილი გაფიცვები და დემონსტრაციები თებერვლის რევოლუციაში გადაზრდილ სახალხო მღელვარებათა დასაწყისი გახდა.

სწორედ ასეთი საბოლოო შედეგისა ეშინოდა ყველაზე მეტად ნიკოლოზ II: მისი ხელისუფლებისა და ტახტის დამხობისა ახალი

რევოლუციურ-დემოკრატიული ტალღის არნახული დარტყმით. მას უნდოდა კაიზერულ რაიხთან „წმინდა კავშირით“ დაეზღვია თავი და „ისე გაეყინა რუსეთი, რომ სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ჰქონოდა“ [27]. იგი თავის მთავარ და მტკიცე იდეალს, მკვდარი, უძრავი რუსეთის იდეალს ებღაუჭებოდა. იმ იდეალს, რისი ურყევად ერთგული იყო მთელი 23 წლის მეფობის მანძილზე:

შუბლით პოლუსს მიბჯენია, ქუსლებით კი კავკასიას,
საუკუნო ძილით სძინავს ჩვენს სამშობლოს, რუსეთს წმინდას [28].

ამ პრინციპიდან გამომდინარე, კაიზერთან დაზავების ფარულ ანდა აშკარა სურვილზე სხვადასხვა პირები ასეთ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ:

მ. მ. ანდრონიკოვი, თავადი. ნუ დავივიწყებთ, ბატონებო, 1905 წელს. ჩემი აზრით, უმჯობესია გერმანელებმა მოგვკრან კუდი, ვიდრე ჩვენმა გლეხებმა თავი [29].

გ. ე. რასპუტინი. სჯობს გერმანია, ვიდრე რევოლუცია [30].

იგივე. გერმანია ძალზე ძლიერია საომისოდ, რომ მასთან ბრძოლა გავბედოთ. ამასთან იგი სიკეთის მეტს არაფერს გვიკეთებს [31].

ვ. ი. ბრეევი. მონარქიული ლიდერი. საფრანგეთ-რუსეთის ეს კავშირი უბადრუკი შეცდომაა, ქორის დათვთან მეგობრობას ჰგავს: ერთი ცაშია, მეორე — ტყეში და არც ერთს ერთმანეთი არაფერში სჭირდება... ჩვენთვის სასარგებლო იქნებოდა გერმანიის იმპერიასთან მეგობრობა — ქვასავით, რკინასავით მტკიცე მეგობრობა... [32].

ტ. ე. ბოტკინა, ლეიბ-მედიკოსის ასული. ისინი (სასახლესთან დაახლოებულნი — მ. კ.) ამბობდნენ, რომ რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეებრძოლოს გერმანიას, რადგანაც გერმანია მონარქიზმის დასაყრდენია... ამის და აგრეთვე ეკონომიკური მიზეზების გამო ჩვენ მასთან, პირიქით, კავშირში უნდა ვიყოთ [33].

ა. ა. მოსოლოვი, სასახლის კარის სამინისტროს კანცელარიის უფროსი. იგი (ფრედერიქსი — მ. კ.) თვლიდა, რომ რუსეთის მონარქიული პრინციპის საკეთილდღეოდ საჭიროა გერმანიასთან უფრო მეტი მეგობრული დამოკიდებულება. პრუსია, მისი აზრით, ლეგიტიმიზმის პრინციპის უკანასკნელი ბურჯი იყო ევროპაში; ამ მხრივ იმდენად ვჭირდებოდით ჩვენ მას, რამდენადაც ჩვენ იგი... არც საფრანგეთი და არც თვით ინგლისი, მითხრა ერთხელ გრაფმა, არ დაიცავენ ჩვენს დინასტიას... მათ იციან, როგორი იყო სამსონის ბედი მას შემდეგ, როცა დალილამ თმა შესჭრა [34].

ვ. ნ. ვოეიკოვი, სასახლის უფროსი კომენდანტი. მათ (რევოლუციურმა ხელისუფლებმა — მ. კ.) ბრალდებად წამომიყენეს ის, რომ იმ მომენტში, როცა ცნობამ რევოლუციის დაწყების შესახებ ხელმწიფემდეც მოაღწია, მე მას ვუთხარი: „თქვენო უდიდებულესობავ! ახლა ერთიღა გვრჩება: გა-

ეუხსნათ გერმანელებს მინსკის ფრონტი. დაე შემოვიდნენ გერმანიის ჯარები ამ ნაძირალების დასამშვიდებლად“ [35].

ანდრონიკოვის ტიპის არისტოკრატები კი, აგრეთვე ვოეიკოვის ტიპის მსახურნი დაბეჯითებით ამტკიცებდნენ: „ნუ დაივიწყებთ ცხრაას ხუთში განცდილს“. მაგრამ საქმე ისაა, რომ საუკუნის დამდეგის მოვლენები უკვე საზომად აღარ გამოდგებოდა. ხალხის ანგარიში ნიკოლოზ II მიმართ 1905 წლისას ბევრად აღემატებოდა. მარტო ორწლინახევრის მანძილზე რუსეთის არმიამ ხომ იმდენივე კაცი დაკარგა, რამდენიც მოკავშირეთა ყველა არმიამ ერთად აღებულმა.

სახალხო პროტესტი მარტო რუსეთში როდი მწიფდებოდა. მღელვარება იზრდებოდა ევროპის სხვა რაიონებშიც, ორივე კოალიციის ქვეყნებში. მაგრამ რომანოვებს მომავალი განსაკუთრებულ უსიამოვნებებს უწინასწარმეტყველებდა.

10

სასახლესა და უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკს შორის

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი მოგილიოვში

დათესილი ქარი ქარიშხალს მოიმკის.

ოსე წინასწარმეტყველის წიგნი, თავი 8

თხუთმეტი წლის შემოდგომიდან მეფე ბევრს მოგზაურობდა რუსეთის რაიონებში, საფრონტო ზონაში. მისმა სასახლის კომენდანტმა შეუდეგ დაიანგარიშა, რომ 1917 წლის თებერვლამდე იმპერატორის ცისფერ მატარებელს (მის უკან მიმავალ ამალასთან ერთად) ასი ათას ვერსზე მეტი ჰქონდა გავლილი [1].

მთავარი მარშრუტი იყო: სასახლე — უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი, რომელიც ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მთავარსარდლობის დროს ბარანოვიჩში იმყოფებოდა. პირველად მეფე იქ 1914 წლის 20 სექტემბერს ჩავიდა. მისი მატარებელი მეზობლად მდებარე მურყნის ჭალაში შემალეს სპეციალურად დაგებულ ლიანდაგზე. ამ მგზავრობისას მას თან ახლდნენ სამხედრო მინისტრი ვ. ა. სუხომლინოვი, სასახლის მინისტრი ვ. ბ. ფრედერიქსი, ფლაგ-კაპიტანი კ. დ. ნილოვი, სასახლის კომენდანტი ვ. ნ. ვოეიკოვი, ჰოფმარშალი ვ. ა. დოლგორუკოვი, გენერალი ა. ა. მოსოლოვი და ფლიგელ-ადიუტანტი ა. ა. დრენტელნი.

ყოველდღე, ზუსტად დილის 10 საათზე, მეფე შტაბში მიდიოდა. უმაღლესი მთავარსარდლის თანდასწრებით შტაბის უფროსი ნ. ნ. იანუშკევიჩი (ანდა გენერალ-კვარტირმაისტერი ვ. ნ. დანილოვი) მოახსენებდა მას, რა მდგომარეობა იყო ფრონტებზე. ასეთივე პუნქტუალობით ესწრებოდა მეფე სამხედრო საბჭოს სხდომებს, რომლებსაც ჩვეულებრივად იანუშკევიჩი ან დიდი მთავარი ხელმძღვანელობდნენ. მეფე გვერდით რუსეთის არმიისა და ფლოტის დეკანოზპრესვიტერს, მღვდელ გ. ა. შაველსკის მოისვამდა ხოლმე; ნიკოლოზ II-თან ურთი-

ერთობის შესახებ მას მოთხრობილი აქვს 1954 წელს ნიუ-იორკში გამოცემულ მოგონებებში [2].

ამ თათბირზე მეფე მოკრძალებით, თითქმის მდუმარედ იჯდა. განხილვებში ჩარევისაგან თავს იკავებდა, თავის ბიძას ხელს არ უშლიდა, მის ავტორიტეტს გენერლების წინაშე არ ლახავდა, მის გვერდით უბრალოდ საპატიო სტუმარივით გამოიყურებოდა. ხანდახან ჯიბიდან პორტსიგარს ამოიღებდა, პაპიროსს გამოაძრობდა და გამოაცხადებდა: „ვისაც სურს მოწევა, მოწიოს“.

მაგრამ მისი საქმეში ჩაურევლობა მოჩვენებითი იყო. უმაღლესი მთავარსარდლის ზურგს უკან ათასი რამ ხდებოდა. მას ძირს უთხრიდნენ სასახლის კარის დამქაშები რასპუტინის მეთაურობითა და დედოფლის შთაგონებით. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე არ მოსწონდა დედოფალს არც თავისი თავაწყვეტილი ხასიათით, არც გამოკვეთილი პროანტანტური ორიენტაციით, არც დედოფლის ირგვლივ შემოკრებილი „მდაბიო ვიგინდარებისადმი“ დემონსტრაციული სიძულვილით.

ნიკოლოზ გრძელს ჰქონდა საფუძველი სინანულისა. ათი წლის წინათ იგი თავად დაეხმარა ციმბირელ მაწანწალას შემძვრალიყო მეფის სასახლეში. პეტერბურგში მისი გამოჩენის პირველ ხანებში, ადასტურებს პალეოლოგი, ბერყოფილს „იმაზე დიდი პატივისმცემლები არავინ ჰყავდა, ვიდრე დიდი მთავრები ნიკოლოზ და პეტრე ნიკოლოზის ძეები და მათი ჩერნიგორელი მეუღლეები ანასტასია და მილიცა“. სწორედ მათ წარუდგინეს გრძნეული ბერი 1903 წელს ალექსანდრა თეოდორეს ასულს. როცა გამოირკვა, რომ მათ მეურვეობაში მყოფი რასპუტინი თავს დამოუკიდებლად გრძნობდა და სიტუაციას საკმაოდ ადვილად შეეგუა, თანაც იმდენად გათამამდა, რომ მათ უდიდებულესობებს „შენობით“ მიმართავდა, გვიანღა იყო. ამაოდ აფიცებდა აყლაყუდა ბიძა თავის ძმისწულს „განეგდო ბილწი ბოგანო“. მისმა უდიდებულესობამ არათუ ყურად არ იღო ეს შეგონებანი, პირიქით, მოვალეობად ჩათვალა, დაწვრილებით ეამბნა გრიგოლ ეფიმის ძისათვის საკუთარი ბიძის ზიზღის შესახებ. „მას შემდეგ, — აღნიშნავს პალეოლოგი, — რასპუტინს მუდამ თან სდევდა შურისძიების ფიქრი“ [3].

როგორც კი ამისათვის კეთილსასურველი ვითარება შეიქმნა — წარუმატებლობანი ფრონტებზე, გარდატეხა სასახლის განწყობილებაში სეპარატული ზავის სასარგებლოდ, რისი მოწინააღმდეგეც იყო უმაღლესი მთავარსარდალი, — გრძნეულმა ბერმა ბრძოლა გაუმართა ნიკოლოზ გრძელს და მალე დასცა კიდეც. კინკლაობა, რომელშიაც პო-

ლიტიკური ორიენტაციის შეუთანხმებლობა და ურთიერთისადმი ჰირადი სიძულვილი იყო გარეული, იმით დამთავრდა, რომ 1915 წლის 23 აგვისტოს, რასპუტინის დაჟინებითი რეკომენდაციის შედეგად, რომელსაც მხარს უჭერდა დედოფალი, მეფემ თავისი ბიძა თანამდებობიდან გადააყენა და უმაღლეს მთავარსარდლად თავად დაინიშნა.

ვეღარ მოასწრო გრძელმა თავისი სანუკვარი ოცნების შესრულება, რომელიც მან 1914 წლის მიწურულს შტაბის ოფიცრებს გაანდო: თუ გრიგოლ ეფიმის ძე უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში ანდა თუნდაც სადმე ფრონტის ზოლში გამოჩნდება, პირველსავე ორკაპიან ტოტზე ჩამოვკიდოთ და შემდეგ მეფე-დედოფალს გაუგებრობისათვის ბოდიში მოვუხადოთ, ეს ყოველივე ომიანობის პირობებმა გამოიწვიაო. გენერალმა დენიკინმა თავის მემუარებში დაადასტურა, რომ ასეთი განზრახვა ნამდვილად არსებობდა: „რასპუტინის ცდამ მოხვედრილიყო უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მუქარა გამოიწვია, რომ ჩამოახრჩობდა მას. იგივეს ემუქრებოდა მისდამი ცუდ დამოკიდებულებაში მყოფი ალექსეევიც“ [4].

სათვალავით მეორე უმაღლესი მთავარსარდლის თვითდანიშვნის ამბავში გარკვეული როლი შეასრულა აგრეთვე ბიძისადმი მისმა ფარულმა ანგარიშებმა. მეფე სავსებით როდი ენდობოდა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის ლოიალობას, ეჭვის თვალით უყურებდა ამ მტკიცე ხასიათის ნათესავის — პროფესიონალი სამხედრო პირის პატივმოყვარეობას, რომელსაც მაგრად ეჭირა ხელში 12—15 მილიონიანი არმია და მცირეოდენ წარმატებასაც კი სახელის განდიდებისათვის იყენებდა; შემდეგ, სასახლის ინტრიგანებისა და მაბეზღარების წაქეზებით, გრძელის მიერ ტახტის მიტაცების ფარულ ზრახვაში ეჭვი შეეპარა. დიდი მთავრის მტრები, რასპუტინელები, ჭორებს ავრცელებდნენ სასახლეში მეფის ასეთი საშიშროების შესახებ [5]. 1915 წლის გაზაფხულისათვის მათ განსაკუთრებით გულმოდგინედ გაავრცელეს ხმა „ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მომავალ დიქტატურაზე, მისი ტახტზე ასვლის შესაძლებლობაზეც კი...—წერს მოსოლოვი.—ამის შესახებ იცის კონტრდაზვერვამ, მაშასადამე, არ შეიძლება არ იცოდეს ხელმწიფემაც. ჩაუვარდა თუ არა მას ხელში რაიმე დამამტკიცებელი საბუთი — არ ვიცი, მაგრამ ამ დროიდან მათ (მეფისა და დედოფლის) მიმოწერაში გამოსჭვივის შიშის კილო დიდი მთავრის მზარდი გავლენის გამო...“ [6]

გადაწყვეტილება საკუთარი თავის დანიშვნის შესახებ ყოყმანის გარეშე არ ყოფილა მიღებული (მეფე გაწითლდა, როცა პირველად

გაანდო ვიწრო წრეს თავისი განზრახვა). მისმა ამ ნაბიჯმა მინისტრებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა.

1915 წლის 6 აგვისტოს მინისტრთა საბჭოს სხდომა ტარდებოდა. თავმჯდომარეობდა კაბინეტის თავკაცი ი. ლ. გორემიკინი. სიტყვა აიღო ცარსკოე სელოდან დაბრუნებულმა სამხედრო მინისტრმა პოლივანოვმა.

პ ო ლ ი ვ ა ნ ო ვ ი. ბატონებო, განა საშინელება არ არის ის, რაც ახლა ფრონტზე ხდება. მწიფდება კიდევ ერთი გარემოება, ალბათ ყველაზე საშინელი მათ შორის, რომლებიც კი აქამდე ემუქრებოდა რუსეთს. ჩემი დღეანდელი დილის მოხსენების დროს მისმა უდიდებულესობამ გამომიცხადა: დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობიდან გადაყენებულიაო.

ხ მ ე ბ ი. კი მაგრამ, ვინ არის მის ადგილზე?

პ ო ლ ი ვ ა ნ ო ვ ი. განა თქვენთვის ეს თავისთავად ცხადი არ არის, ბატონებო?

გ ო რ ე მ ი კ ი ნ ი. ვინ?

პ ო ლ ი ვ ა ნ ო ვ ი. თავად მისი უდიდებულესობა.

ოქმში ჩაწერილია: ეს ცნობა მინისტრებს შორის უდიდეს მღელვარებას იწვევს.

9 აგვისტოს კაბინეტს კვლავ სხდომა ჰქონდა. სიტყვა აიღო სამხედრო მინისტრმა.

პ ო ლ ი ვ ა ნ ო ვ ი. ბატონებო, პირდაპირ უნდა გითხრათ: მის უმაღლესობასთან ახალ მიღებაზე უმართებულოდ ჩავთვალე გავჩუმებულიყავი იმის შესახებ, როგორი შედეგი შეიძლება მოჰყვეს გარემოებას, თუ მისი პირადი წინამძღოლობა არ გაუმჯობესებს მდგომარეობას ფრონტზე... საშინელია იმის გაფიქრება, რა იქნება, თუ ხელმწიფე იმპერატორს თავადვე მოუხდება ბრძანების გაცემა პეტროგრადის ანდა, ღმერთმა ნუ ქმნას, მოსკოვის ევაკუაციაზე. მაგრამ მისმა უდიდებულესობამ მომისმინა და მითხრა, რომ მისი გადაწყვეტილება შეუცვლელია.

ს ა ზ ო ნ ო ვ ი. საქმე ეხება რუსეთის ბედს. ადრე რომ გეცოდნოდა, შეიძლებოდა წინააღმდეგობა გაგეწია ხელმწიფის ამ გადაწყვეტილებისათვის, რომელსაც არ შეიძლია სხვა რამ ვეწოდო, თუ არ დამღუპველი...

გ ო რ ე მ ი კ ი ნ ი. მე მას არ ვეკიცხავ. ფრონტზე თითქმის კატასტროფული მდგომარეობაა. მეფე თავის უწმინდეს მოვალეობად თვლის, იყოს ჯარებთან და მათთან ერთად ან გაიმარჯვოს, ანდა დაიღუპოს... ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ქედი მოვიხაროთ მისი სურვილის წინაშე და დავეხმაროთ მას...

ს ა ზ ო ნ ო ვ ი. არა! ცოტას თუ სჯერა ხელმწიფის ხასიათის სიმტკიცისა. ეს ყველაფერი საშინელებაა... რუსეთს უფსკრულისაკენ უბიძგებენ...

კ რ ი ვ ო შ ე ი ნ ი. პროტესტი უნდა გამოთქვათ, ეემუდაროთ, არ მოვეშვათ, ეთხოვოთ... უნდა შევაკავოთ მისი უდიდებულესობა, არ გადადგას ეს ნაბიჯი... ხალხი ჯერ კიდევ ხოდინისა და იაპონიის კამპანიის დროიდან თვლის ხელმწიფეს უიღბლო მეფედ, მარცხიანად...

შ ჩ ე რ ბ ა ტ ო ვ ი. ეჭვს გარეშეა, ხელმწიფის ეს გადაწყვეტილება ხალხის მიერ აღქმული იქნება, როგორც ყბადაღებული რასპუტინის გავლენის შედეგი...

ს ა მ ა რ ი ნ ი. უნდა მივიდეთ ხელმწიფესთან, მუხლებზე დავეჩოქოთ და ვთხ
ვოთ...

ხ ა რ ი ტ ო ნ ო ვ ი. ვერ წარმომიდგენია, რა იქნება...

ხ მ ე ბ ი. რა? რა? რა იქნება?

სხდომა დაიხურა.

მეორე დღეს სხდომა კვლავ გაიმართა. დაძაბული სიჩუმეა. ფეხზ
დგება პრემიერი.

გ ო რ ე მ ი კ ი ნ ი. ბატონებო! ნება მომეცით გაცნობოთ. მისი უდიდებულესი
ბის დავალებით სამხედრო მინისტრი მთავარბანაკში გაემგზავრა, რათა უმაღლეს
მთავარსარდლობის გადაბარება მოამზადოს [7].

რასპუტინის მომხრეებსაც კი ამ ცნობისათვის ერთსულოვნად „ა
დაუჭერიათ“ მხარი. ასეთი იყო, მაგალითად, ფრედერიკსი, მაგრა
„როცა მეფემ მას თავისი გადაწყვეტილება გააცნო (მთავარსარდლო
ბის მიღებაზე), გრაფმა უძალვე პროტესტი განუცხადა“ [8]. სხვები
„აფრთხილებდნენ მას საში'ში ნაბიჯის გადადგმაზე... ძოტივებიც ჰქონ
დათ: ა) მართვისა (ქვეყნის) და სარდლობის შეთავსების სიძნელე
ბ) არმიაზე პასუხისმგებლობის რისკი მისთვის ესოდენ მძიმე პერი
ოდში“. და კიდევ არსებობდა იმის შიში, რომ „ახალი უმაღლესი მთა
ვარსარდლის ცოდნისა და გამოცდილების სიმცირე უფრო მეტად გა
ართულებდა სამხედრო ვითარებას“ [9]. მართლაც რომ „ყველამ იცო
და მეფის მოუმზადებლობა, რის გამოც მან სამხედრო სამსახურშ
მხოლოდ ერთ-ერთი გვარდიული პოლკის პოლკოვნიკის მოკრძალებუ
ჩინს მიაღწია“. ბუნებრივია, რომ მის თვითდანიშვნას, როგორც წესი
„უნდობლობითა და სასოწარკვეთილებით“ შეხვდნენ, და აქ მთავარ
მაინც ის იყო, რომ „მთელი მისი შინაგანი ბუნება ნაკლებად შეესა
ბამებოდა ამ ომის გრანდიოზულ მასშტაბებს“ [10].

მიუხედავად ამისა, უმაღლესი მთავარსარდლის შეცვლა მაინც მოხ
და. 1915 წლის 20 აგვისტოს ნიკოლოზ II უმაღლესი მთავარსარდლო
ბის ბანაკს უბრძანა, ბარანოვიჩიდან მოგილიოვში გადაბარგებულიყ
და მალე თავადაც იქით გაემგზავრა.

1915 წლის 23 აგვისტოს იმპერატორის მატარებელი მოგილიოვი
ბაქანს მიუახლოვდა. სადგურის იქით გადაშლილი იყო შედარები
პატარა ქალაქი, რომელსაც პროვინციელი სატრაპის დონეზე განაგებდ
გუბერნატორი პილცი. ვაგონიდან ახალი უმაღლესი მთავარსარდალ
გადმოვიდა ახლად დანიშნული (ნ. ნ. იანუშკევიჩის ადგილზე) უმაღლეს
მთავარსარდლობის ბანაკის შტაბის უფროსის გენერალ მ. ვ. ალექსე

ევის თანხლებით, რომელიც ცოტა ხნის წინათ ჩრდილო-დასავლეთის ფრონტს სარდლობდა.

ვიწროლიანდაგიანი ტრამვაის ხაზებითა და ამომტვრეული ტროტუარებით მოფენილ წყნარ ქალაქში, დაბალ სახლებსა და მყუდრო სკვერებს შორის, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის შტაბისათვის გამოყოფილია გალავანშემოვლებული რამდენიმე შენობა, რომელთა სახურავებზეც ცეპელინებისა და აეროპლანებისაგან დასაცავად 18 ტყვიამფრქვევი დგას. გარე და შიდა დაცვაში ათას ხუთასი ჯარისკაცი შედის. ერთ-ერთ ორსართულიან სახლში მეფეს ორი ოთახი უკავია: ერთი სამუშაო კაბინეტია, მეორე — საძინებელი. მოგვიანებით ნიკოლოზმა მოისურვა თავისი საწოლის გვერდით დაედგათ მეორე საწოლი თავისი მემკვიდრისათვის, რომელსაც ფრონტზე ატარებდა ხოლმე, რომ ჯარებს გაეცნოთ *. უკანასკნელ მეფეს ალექსეევი აქ წელიწადნახევრის განმავლობაში, 1917 წლის თებერვლამდე, წვრთნიდა უმაღლეს სამხედრო-სტრატეგიულ მოღვაწეობაში.

რასპუტინს, რომელიც ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის წინააღმდეგ ინტრიგანობდა, გარკვეული ჰქონდა თავისი მიზანი, იცოდა, საითაც უმიზნებდა. 1915 წლის აგვისტოდან დაიწყო ძვრები არა მარტო სამხედრო ხელმძღვანელობის აპარატში, არამედ საერთო ადმინისტრაციულ სისტემაშიც. გადაინაცვლეს სიმძიმის ცენტრებმა ქვეყნის მართვის მექანიზმში. გარდაქმნების არსი საკმაოდ ზუსტად აღნიშნა ა. ა. ბლოკმა: „უმაღლეს მთავარსარდლად გახდომის შემდეგ იმპერატორმა დაკარგა თავისი ცენტრალური მდგომარეობა. და უმაღლესი ძალაუფლება... ალექსანდრა თეოდორეს ასულისა და მის მომხრეთა ხელში საბოლოოდ გაცამტვერდა“ [11].

სამხილის ლიკვიდაცია

იმ გაზაფხულიდან ქვეყანამაც და არმიამაც ბევრი რამ გადაიტანა. გადაიქუხეს მკაცრმა ბრძოლებმა. გადატანილია უმაგალითო დანაკარ-

* შპრინგერის პრესა გასართობად თვლის ეპიზოდს, რომელიც უფლისწულ ალექსის თავის მშობლებთან კონფუზიურ გაორებას ადასტურებს. მთავარბანაკის დერეფანში გენერალი მოწუწუნე უფლისწულს შეხვდა.—რა დაგემართათ, თქვენო უმაღლესობავ? — ალექსიმ უპასუხა: — როცა რუსეთს ურტყამენ, მამა შეწუხებულია. როცა გერმანელებს ურტყამენ, მგლოვიარეა დედა, მითხარით, მე რომელი შემთხვევის გამო უნდა ვიყო შეწუხებული? („Welt am Sonntag“ (№ 29), 21,VII.1968, S. 27).

გით გამოწვეული სიმწარე. ზურგში კი, მიყუჩებული სასახლეების კუნჭულებში, მათი ბინადარნი თავის საქმეს განაგრძობდნენ, დიდი ინტრიგის ქსელებს ხლართავდნენ. მისი არსი იყო კაიზერთან დაზავება. მიზანი: ორივე ტახტის — რომანოვებისა და მათი ნათესავების, ჰოჰენ-ცოლერნების გადარჩენა.

არმიის აქტივობას ერთგვარად სხვა გარემოებანიც ამუხრუჭებდნენ, მაგრამ ამ ინტრიგებმაც უკანასკნელი როლი როდი შეასრულეს. მათი ძაფები თუმცა დედოფლისაკენ მიემართებოდნენ, მაგრამ ზოგჯერ მეფესაც არ უვლიდნენ გვერდს.

იგი იბრძოდა, მაგრამ პრძოლის სურვილი თანდათან უნელდებოდა. ანტანტის წამოწყებაში მონაწილეობის ინტერესი მნიშვნელოვნად დაკარგა. თანდათან შეერყა რწმენა ამ წამოწყების საბოლოო კეთილსასურველ შედეგში, თითქმის მთლიანად გაუქრა ნდობა მათდამი, ვისაც მისი სახელით უნდა გაეწირა სიცოცხლე. როცა ერთხელ ელჩმა ბიუკენენმა მილოცვას რამდენიმე ჩვეულებრივი სიტყვა დაუმატა ხელმწიფისადმი ხალხის ნდობის თაობაზე, ნიკოლოზმა მას საუცხოო ინგლისურით უპასუხა: „თქვენ ლაპარაკობთ, ძვირფასო ელჩო, ხალხის ჩემდამი ნდობაზე. უკეთესი იქნებოდა, რომ ჩემს ხალხს მათდამი ჩემს ნდობაზე ეზრუნა?“ [12].

მეფეს ექვი ეპარებოდა, რომ რუსეთი მზად იყო თავი გაეწირა წინაპრების ტახტისათვის. რუსმა ხალხმა უნდა დაუმტკიცოს მას, რომ ისინი ასეთი დიდი პატივის ღირსნი არიან. ბიუკენენთან საუბრისას იგი თითქოს თავისთვის წონიდა: ღირდა თუ არა ბრძოლის გაგრძელება. მაგრამ რაკი საქმის არსიდან გამომდინარე, სულ უფრო მკვეთრად ისახებოდა პირადად მისი და მისი ოჯახის საშიშროებაც, იგი წინააღმდეგი არ იყო ძალზე ფრთხილად მიეცა ნიშანი ბერლინელი ნათესავებისათვის, რომ საერთოდ ბრძოლა აღარ ეწადა.

მრავალი თეთრგვარდიელი და მონარქისტი, მათთან ერთად კი სოვეტოლოგები და მათი თანამგრძნობნი უარყოფენ რუსეთის ცარიზმის დასასრულის ამ ფურცელს. კულისებს მიღმა არსებულ არც ერთ იმდროინდელ ინტრიგას არ იცავენ ისე თავგამოდებით, როგორც ამას: მეფისა და კაიზერის ცდას, მსოფლიო ომის ცხარე დღეებში მათ მიერ აღმართულ გვამების გორებზე ერთმანეთს შორის სასიყვარულო საგვარეულო გარიგება მოეხდინათ.

ჯერ კიდევ ოციანი წლების დამდეგს, თეთრი ემიგრანტული გამომცემლობის „ორთავიანი არწივის“ მეშვეობით და ნ. გ. ტალბერგისა და

ბ. ვ. გარანინის დახმარებით ერთ-ერთ ამ სახის საადვოკატო ოპერაციას მიმართა იურისტმა ვ. მ. რუდნევმა. კერენსკიმ პროკურორი რუდნევი ოდესღაც ეკატერინოსლავიდან პეტროგრადში გამოიძახა და მეფის რეჟიმის დანაშაულობათა შემსწავლელი განსაკუთრებული საგამოძიებო კომისიის შემადგენლობაში შეიყვანა. წელიწად-ნახევარს შრომობდა რუდნევი კომისიაში იმის დასამტკიცებლად, რომ სასახლეში არსებობდნენ „ბნელი ძალები“, რომლებიც „სისხლისაგან დაცლილი“ არმიის ზურგს უკან „მტერს უნამუსოდ ელაციცებოდნენ“. ასე განაცხადა მან 1917 წლის 27 ივნისს გაზეთ „დენის“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში. ხოლო როცა ემიგრაციაში აღმოჩნდა, მაშინ საწინააღმდეგოს მტკიცება დაიწყო: თითქოს პეტროგრადის სასახლეების სფეროებში არავითარი ბნელი ძალები არ ყოფილა და „უმაღლესი ხელისუფლების ორგანოებიდან რუსეთის არმიასთან და მის სამხედრო მოწინააღმდეგესთან არავის არავითარი ორმაგი თამაში არ წამოუწყია“. ამ თეზისს მიუძღვნა მან ორ თანაავტორთან ერთად გამოცემული სპეციალური თხზულება [13].

ღვარძლიანად გამოდის ამ წიგნის ფურცლებზე ნ. გ. ტალბერგი — იმ ტალბერგის შვილი, რომელიც 1919 წელს ომსკში „საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმეთა მმართველად“ ყოფნისას „უმაღლესი მმართველის“ მითითებით ამარაგებდა დასავლეთის სამხედრო მისიებს ციმბირში, კოლჩაკელთა საგამოძიებო მონაცემებით რომანოვების დასჯის თაობაზე [14]. განყოფილებაში „ღვთის სასჯელი“ ტალბერგ-უმცროსი სწყეველის რუსეთს იმისათვის, რომ მან „ქედი მოუხარა რევოლუციურ მოლოხს“ და ამით „მძიმედ შესცოდა“ ნიკოლოზ II წინაშე; ერთ-ერთი „ცოდვა“, მისი აზრით, იყო „ბილწი ცილისწამება, რომელიც გველის სისინივით გავრცელდა“ და განსაკუთრებით უკავშირდებოდა „იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის ღალატში დანაშაულს“. რამდენად მონაწილეობდნენ მათში ბოლშევიკები — სათქმელიც არ არის. არანაკლებ აღმაშფოთებელია ის, რომ ალექსანდრა თეოდორეს ასულის ცილისწამებას ხელი შეუწყვეს „ამ გუჩკოვებმა, მილიუკოვებმა, როძიანკოებმა, ლვოვებმა, ვინავერებმა, მაკლაკოვებმა“, „რუსეთის შავბნელი ეპოქის ყველაზე უფრო სამარცხვინო პიროვნებებმა“, „რევოლუციის ნათლიმამებმა“ [15]. ენამოსწრებულია ბორის გარანინიც: „ტალახში სვრიან ხელმწიფისა და დედოფლის კრისტალურად სუფთა სახელებს“. გამომძიებელმა რუდნევმა „ვერაფერი, ვერც ერთი ფაქტი ვერ იპოვა, რომელიც დაადასტურებდა დანაშაულს“. ყველა იმ ბრალ-

დებიდან, რომლებიც მეფე-დედოფალს წაუყენეს, „არც ერთი არასოდეს ყოფილა გამაგრებული რაიმე თუნდაც სუსტი მტკიცებითაც კი: ყველა ერთიანად ბოროტი ჭორების ნაყოფი იყო“ [16].

თავად ყოფილი გამომძიებელი რაღას ამბობს? მის მიერ 1919 წლის 28 მარტს ეკატერინოსლავში შედგენილი ვრცელი ჩანაწერებიდან ცხადად ჩანს, რომ 1917 წელს მარტო ანდრონიკოვთან ჩხრეკვას ორი დღე შეალიეს, მისგან ამოღებული უზომო რაოდენობის საქმიანი ქაღალდები ორი ავტომანქანით გადაჰქონდათ საგანგებო კომისიის რეზიდენციაში (ზამთრის სასახლეში). არანაკლებ სადავიდარაბო იყო მეფისა და დედოფლის, დიდი მთავრების, ვოეიკოვის, ბადმაევის, ეპისკოპოს ვარნავისა და სხვათა არქივები. და მერე რა? არავითარი შეთქმულების ანდა მისი მსგავსი რაიმეს კვალი მათში არ აღმოჩნდა. თუმცა ალექსანდრეს სასახლეში ვირუბოვა უამრავ ქაღალდს წვავდა. როცა რუდნევი მივიდა, „მისი თვალების გამომეტყველებამ გააოცა: სავსემ ზეციური სიმშვიდით“. რაც შეეხება რასპუტინს, გამოძიებამ ა. ფ. კერენსკის ხელმძღვანელობით „ვერავითარ მითითებას“ ვერ მიაკვლია „მის რაიმე ჩარევაზე პოლიტიკურ ცხოვრებაში“ [17].

თუ რაოდენ კეთილსინდისიერი იყო ეს მტკიცებები, შეიძლება განვსაჯოთ რასპუტინის ქონების ასეთივე მართებული შეჯამებით. ამასთან დაკავშირებით თავგამოდებულმა თეთრგვარდიელმა ნ. ა. სოკოლოვმა გესლიანად თქვა: „რუდნევი რასპუტინს ღარიბ, უფულო კაცად თვლის. ჩემ მიერ კი დადგენილია, რომ მარტო ტიუმენის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში მისი სიკვდილის შემდეგ 150 ათასი მანეთი აღმოჩნდა“ [18].

თეთრგვარდიელმა ემიგრანტმა ს. პ. მელგუნოვმა ნახევარი საუკუნის განმავლობაში ასობით გვერდი მიუძღვნა იმის მტკიცებას, რომ „ნიკოლოზ II არ შეიძლებოდა მოსვლოდა აზრი სეპარატული ზავის შესახებ“. ამიტომ ასეთი ზავის დადების „ლეგენდა“ „უნდა მიეკუთვნოს მეფის წინააღმდეგ მიმართულ ყველაზე უხეშ და არსებითად უმართებულო ცილისწამებას“ [19].

დაახლოებით ამავე პოზიციიდან გამოთქვამდნენ საკუთარ აზრს თავის დროზე „თებერვლის დემოკრატიის“ ყოფილი ლიდერები, მათ შორის ისინიც, რომლებმაც ემიგრაციაში ყოფნისას ჩვენებები მისცეს ნ. ა. სოკოლოვს. დროებითი მთავრობის ყოფილი პრემიერ-მინისტრის თავად ლვოვის აზრით, „მეფისა და დედოფლის უდანაშაულობა დადგენილია“. ეს მტკიცება გაიმეორა იუსტიციის მინისტრის ყოფილმა

მოადგილემ პერევერზევმა. 1920 წლის 14 აგვისტოს კერენსკიმ სოკოლოვს ასეთი ჩვენება მისცა: 1917 წელს რომანოვებთან პირადმა საუბარმა დამარწმუნა, რომ „თვითონ იგი, მარტო იგი, ნიკოლოზ II, არ იყო მოღალატე“, ანუ ომის დროს მებრძოლი არმიის ზურგს უკან მას ვილჰელმ II-თან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია. მაგრამ სოკოლოვის იმავე ოქმში ვხვდებით კერენსკის სხვა ჩვენებასაც: „მე საჭიროდ ვთვლი დადგინდეს შემდეგი ფაქტი: დოკუმენტებში (ცარსკოე სელოში) აღმოჩენილ იქნა იმპერატორ ვილჰელმის წერილი ხელმწიფისადმი, რომელშიაც ვილჰელმი გერმანულ ენაზე სეპარატული ზავის დადებას სთავაზობდა. აღმოჩნდა ამ წერილზე გაცემული პასუხიც (პირი — მ. კ.). ნიკოლოზის დავალებით ვიღაცა (გადაჭრით არ შემიძლია გავიხსენო, სახელდობრ, ვინ) ვილჰელმს ფრანგულად აცნობებდა, რომ ხელმწიფეს არ სურს მის წერილს უპასუხოს. ეს ფაქტი ცნობილი იყო საგამოძიებო კომისიისთვისაც... ეს იყო 1916 წელს“[20].

მაშასადამე, ნიკოლოზს ვილჰელმთან ურთიერთობა მაინც ჰქონია. მხოლოდ ვინ იყო, სახელდობრ, შუამავალი, ვისი მეშვეობით ხორციელდებოდა ეს ურთიერთობა, ვინ იყო განდობილი ვილჰელმთან მიმოწერის შინაარსში — ეს კერენსკის სულ რაღაც სამიოდე წლის შემდეგ აღარ შეეძლო გაეხსენებინა, თუმცა გაცილებით უფრო ვრცელ ცნობაცემებს მემუარების ასობით ფურცელზე 50 წლის შემდეგაც კარგად იხსენებდა.

სინამდვილეში, როგორც კი ცოლ-ქმარ რომანოვებს კარი ურდულით გადაუკეტეს, მათ ალექსანდრეს სასახლეში, თავიანთ აპარტამენტებში, ღუმელებსა და ბუხრებში ქაღალდების დაწვას მიჰყვეს ხელი (ამ საქმეში მათთვის დახმარებას ცდილობდა ვირუბოვა). ეს უპირველეს ყოვლისა თვითონ ნიკოლოზმა დაადასტურა. 23 მარტს იგი დღიურში წერს: წ ე ს რ ი გ შ ი მ ო მ ყ ა ვ დ ა ქ ა ღ ა ლ დ ე ბ ი დ ა ვ წ ვ ა ვ დ ი. რამდენიმე დღის შემდეგ: წ ე რ ი ლ ე ბ ი ს ა დ ა ქ ა ღ ა ლ დ ე ბ ი ს დ ა წ ვ ა ს გ ა ნ ვ ა გ რ ძ ო ბ დ ი[21].

ამავე საქმით იყო დაკავებული ალექსანდრა თედორეს ასულიც: მან ექვს ფუთამდე ქაღალდი დაწვა, მათ შორის უცხოელი ადრესატებისაგან მიღებული 500-მდე წერილი. ამას ყველა ხედავდა. ამის შესახებ იცოდა დროებითი მთავრობის იუსტიციის მინისტრმა კერენსკიმაც, რომელიც პასუხისმგებელი იყო სასახლეში პატიმრობის რეჟიმის დაცვაზე, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა არ უცდია. იცოდნენ და იქვე ლაპარაკობდნენ ამის თაობაზე სასახლის კარისკაცები. ფრეილინა დენი,

მაგალითად, ხუმრობდა, რომ ვირუბოვა „ბუხრის ჭვარტლისაგან ისე გაშავებული დადის სასახლეში, როგორც ცეცხლფარეშიო“ და მას ქალბატონ „ღუმელის ხუფს“ ეძახდა“ [22].

ამასვე ადასტურებენ სოვეტოლოგებად მონათლული თეთრგვარდიელი ემიგრანტებიც. „ძვირფას ანას დახმარებით (ანა ვირუბოვა), — წერს ერთ-ერთი მათგანი, — ალექსანდრამ უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანა დაისახა მიზნად — იგი შეუდგა მთელი თავისი პირადი მიმოწერის, რასპუტინის ყველა წერილის, თავისი დღიურის ყველა რვეულის დაწვას. ათ ყუთზე მეტი უძვირფასესი დოკუმენტი, რომლებსაც, ეჭვს გარეშეა, შეეძლო ნათელი მოეფინა იმპერატრიცას დამოკიდებულებისათვის მის „დამქაშებთან“, იმ ღამეს კვამლად იქცა“ [23].

დაიწვა გერმანელი ნათესავების მიერ რომანოვებისადმი გამოგზავნილი მომართვის მრავალრიცხოვანი ორიგინალები. რომანოვების ადვოკატები უარყოფენ ამ მიმოწერის დამადასტურებელი ფაქტის არსებობას იმათი მხრიდან. გასაკვირი არაფერია. ძველი რაიხის მემკვიდრენი საკმაოდ აკურატულად მალავენ მნიშვნელოვან საიდუმლოებებს. ბონელი არქივარიუსები ძნელად თუ გამოიტანენ რამეს თავიანთი საცავებიდან. მაგრამ ზოგიერთი რამ როგორღაც მაინც გამოჟონავს ხოლმე. 1967 წელს, მაგალითად, სებასტიან ჰაფნერმა ჰამბურგის ჟურნალ „შტერნის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა დასავლეთ გერმანიის არქივებიდან ამოღებული და 1915 წლით დათარიღებული კრონპრინცის წერილი. „მე ვთვლი, — სწერდა ვილჰელმ მეორის ვაჟი ჰესენელ ჰერცოგს თავისი პეტროგრადელი ბიძაშვილი ქალისათვის გადასაცემად, — რომ ჩვენთვის აუცილებელია დავდოთ რუსეთთან ზავი...“

ჯერ ერთი, „დიდი სისულელეა, რომ ჩვენ ერთმანეთს ვაწამებთ“; მეორეც, „თუ ჩვენ იქიდან (რუსეთიდან) ჩვენს სამხედრო ძალებს უკან დავწევთ, მაშინ მოგვეცემა ფრანგებთან ანგარიშსწორების საშუალება“. და აი, საქმიანი დავალებაც: „არ შეგიძლია დაუკავშირდე ნიკის და ურჩიო კეთილად მოგვირიგდეს?.. მხოლოდ უთხარი, თავიდან მოიცილოს ის ნეხვი — ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე“ [24].

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რამდენადმე მოგვიანებით, აგვისტოში, „მოიცილეს თავიდან“, ხოლო მანამდე მიღებულ იქნა ზომები, რომ აღდგენილიყო საგვარეულო კონტაქტები. თუმცა ახალი, 1915 წლის დადგომის წინ, სასახლეში მიღებისას, ნიკოლოზმა კიდევ ერთხელ აღუთქვა საფრანგეთის ელჩს თავისი ერთგულება კავშირისადმი [25]. მაგრამ არსებობს იმის ნიშნები, რომ თუ ცარსკოედან არ იქნებოდა სიგ-

ნალი „კეთილად მორიგებისადმი“ სასურველი დამოკიდებულების შესახებ, არა გვგონია პოტსდამს ზონდაჟის თავისეული აქციები წამოეწყო. მათ შორის გამოირჩევა აქცია, რომლისთვისაც მისი გმირის სახელის თანახმად, შეიძლებოდა კოდური სახელწოდება დაგვერქმია: ოპერაცია „ფრეილინა ვასილჩიკოვა“.

მარია ალექსანდრეს ასული ვასილჩიკოვა ერმიტაჟის დირექტორის ჰოფმაისტერ ვასილჩიკოვისა და მისი ცოლის გრაფინია ოლსუფიევას ქალიშვილი იყო; 1880 წელს გახდა დედოფლის ფრეილინა. მისი 1917 წლის წერილიდან ჩანს, რომ 1906 წელს იგი რუსეთიდან ავსტრიაში გადასახლდა, იყიდა მამული და მსოფლიო ომის დაწყებამდე იქ ცხოვრობდა. მის მეგობართა შორის იყო მეფის გენერალი სკოროპადსკი (სწორედ ის, რომელიც 1918 წელს გერმანელებმა კიევში „მთელი უკრაინის ჰეტმანად გამოაცხადეს“). ომის დასაწყისში იქაურმა ხელისუფლებმა ვასილჩიკოვას ხელი არ ახლეს (თუმცა რუსეთის სხვა ქვეშევრდომები ინტერნირებული ჰყავდათ ანდა ციხეში ჩაყარეს); იგი „სრულიად თავისუფალი“ იყო, შეეძლო „ესარგებლა ტელეფონით. ეწარმოებინა მიწერ-მოწერა, მიეღო თავისთან მეგობრები“. მხოლოდ ერთი შეზღუდვა ჰქონდა: მამულიდან გასვლა აუკრძალეს [26]. მაგრამ მალე ეს აკრძალვაც მოეხსნა.

ერთხელ ვასილჩიკოვას მამულში სამი კაცი ეწვია. რომლებმაც მას დელიკატური წინადადებით მიმართეს. ამ და შემდგომ შეხვედრებს შედეგად მოჰყვა ვასილჩიკოვას მიერ რუსეთში ხელმწიფე-იმპერატორისათვის გაგზავნილი სამი წერილი: ორი — ავსტრიიდან 28 თებერვალსა და 17 მარტს, მესამე — ბერლინიდან იმავე 1915 წლის 27 მაისს. საქმის არსი სრულად არის ასახული პირველ წერილში, რასაც მოწმობს შემდეგი საიდუმლო ჩანაწერი, ანუ ეგრეთ წოდებული რუსეთის საგარეო საქმეთა სადღიურო ჩანაწერები:

„შვედეთის წარმოგზავნილმა ბარონ შილინგს * მოუტანა სტოკჰოლმიდან მიღებული პაკეტი, რომელიც იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულისადმი მ. ა. ვასილჩიკოვას გამოგზავნილ წერილს შეიცავდა. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ამ წერილში ჩადებული იყო მეორე, ასევე მ. ა. ვასილჩიკოვას მიერ ხელმწიფე-იმპერატორის სახელზე გამოგზავნილი ბარათი, რომელიც 28 მარტს გადაეგზავნა საგარეო საქმეთა მინისტრს. იქვე განმარტებულია: ომის დროს ავსტრიაში, ზვერინგში, თავის ვილა „კლაინ ვარტენშტაინში“ დარჩენილი ვასილჩიკოვა ახლა ატყობინებს მის უდიდებულესობას, რომ იგი მოინახულა სამმა გავლენიანმა პირმა (ორმა გერმანელმა

* რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი.

და ერთმა ავსტრიელმა). მათ აღნიშნეს ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიაც ომის შედეგად აღმოჩნდნენ გერმანია და ავსტრია, აგრეთვე მოიშველიეს ისიც, რომ .ამ ქვეყნებს მტრული დამოკიდებულება არა აქვთ რუსეთთან, და სთხოვეს მას (ვასილჩიკოვას) მიემართა ხელმწიფე-იმპერატორისათვის, რომლის მშვიდობისმოყვარეობაც ყველასათვის ცნობილია, და ეთხოვა მისთვის შეეწყვიტა დამღუპველი ომი, რადგანაც გერმანიასა და ავსტრიაში უკვე სავსებით დარწმუნდნენ რუსული იარაღის ძალაში. მისი უდიდებულესობის მხრივ ამ შუამდგომლობისადმი კეთილი განწყობილების გამოჩენის შემთხვევაში, ავსტრიის, გერმანიისა და რუსეთის რწმუნებულთ შეეძლოთ შეკრებილიყვნენ სადმე ნეიტრალურ სახელმწიფოში, ამასთან რუსეთს იქედი უნდა ჰქონოდა, რომ მის სურვილებს ძალზე გულისყურით მოეკიდებოდნენ... [27]

ამ ჩანაწერში გამოტოვებულია შემდეგი დეტალები: ა) ვასილჩიკოვა შეახსენებდა მეფეს, რომ 15 წლის წინათ იგი იყო ჰააგის სამშვიდობო კონგრესის მოწვევის ინიციატორი და უკვე მარტო ამიტომაც უნდა ისწრაფოდეს მიმდინარე ომის შეწყვეტისაკენ; ბ) ვასილჩიკოვა მოუწოდებდა მას, თავისი „ძლიერი სიტყვით“ შეეჩერებინა სისხლის ღვრა, სანამ მეომარი მხარეები თანაბარ სამხედრო მდგომარეობაში იყოფებოდნენ; რაც შეეხება დარდანელის საკითხს, რომელიც ძლიერ აინტერესებდა რუსეთს, „საკმარისი იყო რუსეთის მეფეს მოესურვებინა“, „და სრუტეზე გასასვლელი მისთვის თავისუფალი იქნებოდა“. მეორე წერილი ძირითადად პირველის გამეორებაა (იგი იმის გამოა გამოგზავნილი, რომ შიშობდნენ, ვაითუ პირველმა წერილმა ადრესატამდე ვერ მიაღწიოსო) [28].

მესამე (ბერლინურ) წერილს უფრო მეტი წონა აქვს, რადგანაც ამ დროისათვის გერმანიაში მიწვეულ ვასილჩიკოვასთან უკვე უსაუბრია კაიზერის საგარეო საქმეთა მინისტრს ფონ იაგოვს, ხოლო ზოგიერთი მონაცემით, თვით კაიზერსაც. მათ პირდაპირ სთხოვეს ვასილჩიკოვას გადაეცა მეფისათვის, რომ „გერმანიას რუსეთთან ომის შეწყვეტა სურდა“. იგივე თხოვნა გაუმეორა დარმშტადტში მიწვეულ ვასილჩიკოვას დედოფლის ძმამ, დიდმა ჰესენელმა ჰერცოგმა. მეფისადმი გაგზავნილ თავის ამ მესამე წერილს ვასილჩიკოვა შემდეგი სტრიქონებით ამთავრებს: „იგი ჩაბარდება მორიგე ფლიგელ-ადიუტანტს პირადად თქვენი უდიდებულესობისათვის გადმოსაცემად... უფლებას ვიტოვებ ვთხოვო თქვენს უდიდებულესობას, მიბრძანოს პასუხი, რომელიც შემეძლება ფონ იაგოვს გადავცე... თუ თქვენი უდიდებულესობა გადაწყვეტს, თქვენი ტახტის სიმაღლიდან წარმოთქვას სიტყვა „მშვიდობა“

და გამოჰყოფს ნდობით აღჭურვილ პირს, ერთდროულად ასეთივე პირი გამოიგზავნება აქედან პირველი მოლაპარაკებისათვის“ [29].

ტყუილად ეშვობდა ვასილჩიკოვა ვილჰელმისა და ფრანც-იოსების მიერ მისთვის ნაკარნახევი წერილების ბედზე. სამივე მივიდა დანიშნულებისამებრ და საკმაოდ სწრაფადაც. „გიგზავნი მაშას მიერ ავსტრიიდან მოწერილ წერილს, — ვკითხულობთ, მაგალითად, 1915 წლის 9 მარტს ალექსანდრა თედორეს ასულის მიერ მეუღლისათვის გაგზავნილ დეპეშაში. — მას იქ სთხოვეს მოეწერა შენთვის ზავის დადების სასარგებლოდ“ [30]. მეფემ ეს დეპეშა თავადაც წაიკითხა და ვისაც ენდობოდა, იმ ახლობლებსაც გააცნო: ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს, სუხომლინოვს, საზონოვს, კუდაშევს (საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი მთავარბანაკში). „ვილჰელმი, — წერს სუხომლინოვი 24 მარტს თავის დღიურში, — ანკესებს ისვრის საზღვარგარეთ მყოფთა და ხელმწიფის დაახლოებულ პირთა მეშვეობით“ [31]. რომანოვების მხრივ პასუხის გაგზავნა დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული. ამიტომ მათ ვასილჩიკოვა შინ იხმეს. ავსტრია-გერმანიის საერთოდ მკაცრმა და უკომპრომისო დაზვერვამ ამჯერად რუსი ფრეილინა პატივისცემით გამოისტუმრა. უფრო მეტიც, გასაცილებლად მან ოთხი აგენტი გამოჰყო და საზღვრამდე თავაზიანად მიაცილებინა.

კვამლს გაატანეს

ნიკოლოზ II-სადმი გაგზავნილი მესამე წერილიდან (ბერლინის) ექვსი თვის გასვლის შემდეგ, 1915 წლის 2 დეკემბერს, ფრეილინა ვასილჩიკოვა რუსეთში ჩამოვიდა. პირველი წუთები მისთვის უსიამოვნო გამოდგა. მე-6 არმიის ოფიცრებმა (ჩრდილოეთის ფრონტი) იგი დააკავეს, თავიანთ შტაბში მიიყვანეს და დაჰკითხეს. ფრეილინამ წარუდგინა მათ სტოკჰოლმში რუსეთის საელჩოს მიერ გაცემული საზღვარზე გადასვლის საშვი და განუმარტა, რომ რუსეთში ჩამოვიდა ოჯახური მდგომარეობის გამო, გერმანიიდან გამომგზავრებაში მას დიდი ჰესენელი ჰერცოგი დაეხმარა და უკან დაბრუნდებოდა „12—15 დღის შემდეგ“. არმიის შტაბის უფროსმა გენერალმა ბონჩ-ბრუევიჩმა ტელეგრაფით აცნობა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის შტაბის უფროსს გენერალ ალექსეევს დაკავებულის შესახებ. მისდა გასაოცრად, ალექსეევისაგან იგი შემდეგ დეპეშას ღებულობს: „ვასილჩიკოვა

გაატარეთ, შემოწმება საჭირო არ არის. არც პირადი დამცირება არის საჭირო". ეჭვს გარეშეა, რომ ალექსეევის ამ მითითებების უკან დედოფალი ან მეფე იდგა.

ვასილჩიკოვამ გართულების გარეშე გადაიტანა საზღვარზე კრონპრინცის, დიდი ჰესენელი ჰერცოგის, პრუსიელი და ბავარიელი პრინცებისა და პრინცესების წერილების დასტა. წერილები ცოლ-ქმარ რომანოვებს, დიდ ქალბატონებს ელიზავეტა თეოდორეს ასულს (დედოფლის დას) და მარია პავლეს ასულს (მეკლენბურგ-შვერინელ ყოფილ პრინცესას), ს. დ. საზონოვს, ა. მ. გოლიცინს, ა. დ. სამარინს გადაეცათ. როძიანკომ იმ დღეებში სათათბიროს ტრიბუნიდან ამხილა ვასილჩიკოვა და განაცხადა: მართალია ამაოდ, მაგრამ მაინც ცდილობს ვასილჩიკოვა, რომ საზონოვმა მიიღოს. იგი ცდებოდა: იმ დროისათვის ვასილჩიკოვა უკვე ესაუბრა საგარეო საქმეთა მინისტრს [32].

სანამ ვასილჩიკოვა „ასტორიაში" ცხოვრობდა (სადაც ვიღაცამ წინასწარ შეუკვეთა მისთვის ერთ-ერთი საუკეთესო ნომერი), მისი არყოფნის დროს, პოლიციის დეპარტამენტის მეთაურმა ს. პ. ბელეცკიმ თავისი პასუხისმგებლობით გაჩხრიკა ნომერი. თებერვლის რევოლუციის შემდეგ მან თქვა (საგამოძიებო კომისიაზე), რომ გაჩხრეკის დროს ქაღალდებს შორის აღმოაჩინა ფრანც-იოსების მიერ ვასილჩიკოვასადმი მიწერილი წერილი, ბეტმან-ჰოლვეგისა და ერნსტ ჰესენელის ინსტრუქციები პეტროგრადში მის შესაძლო შეხვედრებზე და ა. შ. ბელეცკის უნდოდა ამ მასალებისათვის მსვლელობა მიეცა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. მალე ვასილჩიკოვა ცარსკოე სელოში გადადის და იმპერატორის სასახლის ახლოს სახლდება.

კიდევ ერთი წერილი გადასცეს დედოფალს ადრე. ცნობა ამის შესახებ უმალვე მივიდა მთავარბანაკში: მ ი ვ ი ღ ე ე რ ნ ი ს ვ რ ც ე ლ ი ძ ვ ი რ ფ ა ს ი წ ე რ ი ლ ი. ი გ ი ი წ ე რ ე ბ ა: თ უ კ ი ვ ი ნ მ ე ს შ ე უ ძ ლ ი ა მ ი ს ი (ე ს ე ი გ ი შ ე ნ ი) გ ა ა გ ე ბ ა დ ა მ ი ს ი გ ა ნ ც დ ე ბ ი ს წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა, ე ს მ ე ვ ა რ ო. ი გ ი მ ა გ რ ა დ გ კ ო ც ნ ი ს... ს უ რ ს რ თ უ ლ ი ს ი ტ უ ა ც ი ი დ ა ნ გ ა მ ო ს ა ვ ა ლ ი გ ა მ ო ნ ა ხ ო ს დ ა ფ ი ქ რ ო ბ ს, რ ო მ ვ ი ნ მ ე უ ნ დ ა შ ე უ დ გ ე ს მ ო ლ ა პ ა რ ა კ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ხ ი დ ი ს გ ა დ ე ბ ა ს. მ ა ს ა ს ე თ ი გ ე გ მ ა დ ა ე ბ ა დ ა: ა რ ა ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ა დ გ ა გ ზ ა ვ ნ ო ს ს ტ ო კ ჰ ო ლ მ ი ს ა ნ დ ო პ ი რ ი, რ ო მ ე ლ ი ც ი ქ შ ე ხ ვ დ ე ბ ო დ ა ა ს ე ვ ე კ ე რ ძ ო გ ზ ი თ შ ე ნ გ ა ნ გ ა ა გ ზ ა ვ ნ ი ლ კ ა ც ს, დ ა ი ს ი ნ ი ე რ თ ა დ გ ა-

დაწყვეტდნენ გარდამავალ სირთულეებს. მისი გეგმა იქიდან გამომდინარეობს, რომ გერმანიაში რუსეთისადმი ნამდვილ ზიზღს არ განიცდიან[33].

შემდგომში ზუსტდება, რომ ეს გეგმა უკვე რეალიზაციაშია: ორი დღის წინ ერნიმ განკარგულება გასცა 28-სათვის გაიგზავნოს იქ (სტოკჰოლმში) პიროვნება, რომელიც დარჩება იქ ერთი კვირა... დაუყოვნებლივ დავწერე პასუხი და იმ პიროვნებას დეზის მეშვეობით გავუგზავნე. ვაცნობე მას, რომ შენ ჯერ კიდევ არ დაბრუნებულხარ (მთავარბანაკიდან)... რა თქმა უნდა, ვ.-მ ყოველივე ამის შესახებ აბსოლუტურად არაფერი იცის. ერნი იწერება, რომ ისინი (გერმანელები) საფრანგეთში, აგრეთვე სამხრეთსა და კარპატებში სალი კლდესავით დგანან. ისინი ირწმუნებიან, რომ უკვე ხელში ჩაიგდეს 500 ათასი ჩვენი ტყვე. საერთოდ ყველა წერილი ძვირფასი და თავაზიანია. მათ მე დიდი სიხარული მომანიჭეს.

ერნი იყო დედოფლის ღვიძლი ძმა — დიდი ჰერცოგი ერნსტ ლიუდვიგ ჰესენელი; დეზი — შვედეთის მეფის ასული პრინცესა მარგარეტი, ალექსანდრა თეოდორეს ასულის მეგობარი; ვ. — ვილჰელმ II, რომელმაც „არაფერი იცოდა" და თითქოს ერნის შეეძლო დაეწყო ზავის შესახებ მეფესთან ფარული მოლაპარაკების ორგანიზება კაიზერისაგან რწმუნების მიღების გარეშე. თავად ალექსანდრა თეოდორეს ასული არ შემცდარა, მან სწორად შეაფასა ამ შეკითხვის ავტორიტეტულობა და ისე, რომ არ დაუცდია მეუღლის ჩამოსვლისათვის, მის მაგივრად და მისი სახელით „დაუყოვნებლივ დაწერა პასუხი".

როგორი იყო ეს პასუხი? ხომ არ არსებობდა სხვა წერილები და მათზე პასუხები? ამ მიმოწერის საიდუმლოება ცარსკოე სელოს ბუხრების ნაცრის გროვამ შთანთქა. და მაინც, როგორც ცნობილია, არ არსებობს ისეთი საიდუმლო, რომ არ გამომჟღავნდეს.

ცნობილი საბჭოთა ისტორიკოსის კ. თ. შაცილოს გამოკვლევებით დოკუმენტურად დადგენილია, რომ 1915 წლის გაზაფხულზე ნიკოლოზ II ნებართვითა და თანხმობით კაიზერულ მთავრობასთან მოსალაპარაკებლად გერმანიაში გაიგზავნა სპეციალური აგენტი. იგი იყო

ვ. დ. დუმბაძე (იალტის ქალაქის თავის გენერალ ი. ა. დუმბაძის ძმისწული). მან ბერლინში 1915 წლის 24 მაისიდან 11 ივნისამდე დაჰყო და შეხვდა მმართველი წრეების გამოჩენილ წარმომადგენლებს, გერმანიის დაზვერვის ხელმძღვანელებს (კერძოდ, ლიუციუსს), აწარმოებდა მათთან მოლაპარკებას, რის შესახებაც უკან დაბრუნებისას გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოს უფროსს გენერალ მ. ა. ბელიაევს ოფიციალურად მოახსენა პატაკით. მოგვიანებით დუმბაძე სუხომლინოვის საქმესთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს და სიკვდილი მიუსაჯეს. ნიკოლოზმა თავის წარგზავნილს რეაბილიტაცია არ მისცა, მაგრამ სასჯელი „მოწყალედ" შეუცვალა 20 წლის კატორღით [34].

კონტაქტების მოგვარების ცდა შემდგომში განახლდა. ვინ წავიდა შემდეგ პეტროგრადიდან საზღვარგარეთ ამ ბნელი საქმეებისათვის, ვის შეხვდნენ სტოკჰოლმსა და ბერლინში — ამის შესახებ შპრინგერული და დემოკრისტიანული პუბლიცისტები, არქივარიუსები დუმან. ცარსკოე სელოს დოკუმენტაცია კი, როგორც ითქვა, ბუხრებში ნაცრად იქცა. გამორიცხული არ არის, რომ კრონპრინცის ემისარი სტოკჰოლმში ერთი კვირა ტყუილად იჯდა. იმიტომ, რომ ყური მოკრეს თუ არა უთანხმოებას, პროანტანტელმა პოლიტიკოსებმა პრესასა და სათათბიროში ხმაური ატეხეს.

თავის მხრივ რომანოვებმაც იგრძნეს, რომ ცეცხლს ეთამაშებოდნენ. ეს ჩანს ალექსანდრა თედორეს ასულის მიერ მეუღლისადმი გაგზავნილი შემდეგი წერილიდან: მიშა ბენკმა პავლესთან თქვა, მაშა გადმოგვცემს ხოლმე ერნის წერილებსო. ა.-ს უთქვამს, რომ არაფერი არ იცის. პავლე კი ამტკიცებდა, რომ მიშას ნათქვამი მართალია. ვიღამ უთხრა ეს პავლეს? პრესაში, მგონი, გამოქვეყნებულია კნეინა გოლიცინას წერილი მაშასადმი. საშინელი წერილია, რომელშიც მაშა დადანაშაულებულია ჯაშუშობასა და სხვა ბოროტმოქმედებაში, მაგრამ მე ეს უწინდებურად არ მჯერა, თუმცა მგონია, რომ იგი (ვასილჩიკოვა) ბევრ რამეში მოუფიქრებლად მოიქცა. ვშიშობ, რომ ეს გააკეთა ფულისადმი სიხარბის გამო. ამასთან არ მსიამოვნებს, რომ ჩემი სა-

ხელი ერნის სახელთან ერთად კვლავ იხსენიება[35].

მაშა — კვლავ და კვლავ მოუსვენარი ვასილჩიკოვაა; ა. — ანა ვირუბოვა; მიშა ბენკი — სასახლის ჰოფმარშალი ბენკენდორფი; პავლე — დიდი მთავარი, მეფის ბიძა. ჩანს, მაშას თავგადასავლების გამო სასახლეში კამათი გაიმართა და გამოითქვა აზრი, რომ იგი ურცხვ საქმეს მისდევდა. ამ დისკუსიისადმი ალექსანდრა თეოდორეს ასულის მიერ გაკეთებული კომენტარების ლოგიკა განუმეორებელია: ა) არავითარი გერმანული ხრიკები არ არსებობს; ბ) მაშ ვინღა ყბედობს მათ შესახებ? გ) ალბათ თავად მაშა, მას არ შეუძლია ენას კბილი დააჭიროს; დ) ცუდი ის კი არ არის, რომ მინდობილი სამსახურის გაწევისათვის მაშა გერმანელებისაგან ფულს იღებს, არამედ ის, რომ მას ფულისადმი სიხარბე სძლევს; ე) ერნი თუმცა ჩემი ღვიძლი ძმაა, მაგრამ ამ სიტუაციაში მის გვერდით ჩემი სახელის ხსენება არ მსიამოვნებს.

ვასილჩიკოვას ჯაშუშობა უსიამოვნო გახდა. 1916 წლის ზაფხულში მორიგი წერილით საჩივარი იგზავნება მოგილიოვში: მარია ვასილჩიკოვა კუთხის მწვანე სახლში დაბინავდა და იმ სახლის ფანჯრიდან კატასავით ყველას უთვალთვალებს, ვინც კი ჩვენს სასახლეში შემოდის და გადის... იზა (ფრეილინა ბუკსჰევდენი) გააწამა შეკითხვებით: რატომ გავიდნენ ბავშვები ერთ შემთხვევაში ჭიშკრიდან ფეხით, ხოლო მეორე დღეს სხვა ჭიშკრიდან — ველოსიპედებით; რატომ გამოვიდა დილით ოფიცერი მუნდირითა და პორტფელით, ხოლო საღამოს — სხვა ტანსაცმლითა და უპორტფელოდ და ა. შ. იგი გრაფინია ფრედს (ფრედერიკს) ყველაფერს უყვება, როდის მოდის სასახლეში გრ. (რასპუტინი), — რა საზიზღრობაა ეს! იმისათვის, რომ დაგვესაჯა იგი, დღეს ა-სთან (ვირუბოვასთან) სხვა გზით წავედით, ისე რომ მან ვერც კი დაგვინახა, როგორ გამოვედით და საით გავუხვიეთ[36].

შერცხვენილი ფრეილინა თავის მხრივ რომანოვებსაც არცხვენდა. ეს მათ საშიშროებას უქადდა. ამიტომ, როცა შესაფერისი მომენტი დადგა, იმპერატრიცამ ადიუტანტის საშუალებით პოლიციას აცნობა და ვასილჩიკოვა ჩერნიგოვის გუბერნიის სოფელ მილორადოვიჩში ეტაპით

გაისტუმრეს. ის საქმე, რისთვისაც იგი რუსეთში ჩამოვიდა, სხვა პირებმა განაგრძეს.

რასპუტინის კრეატურის — ბ. ვ. შტიურმერის პრემიერობის დროს სასახლის კარის გერმანოფილურმა ჯგუფმა საქმე სტოკჰოლმში რუსეთ-გერმანიის ფარული მოლაპარაკების ფაქტიურ გახსნამდე მიიყვანა. კაიზერის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდა ბანკირი გრაფი ფონ ვარბურგი, ნიკოლოზ II მხრიდან — ა. დ. პროტოპოპოვი, რომელიც ინგლისში მიწვეული პარლამენტის დელეგაციაში იყო, ამას ამოეფარა და გზად გავლისას თითქოს პირადი საქმეების გამო შვედეთის დედაქალაქში დარჩა[37]. ეს მოლაპარაკება მოულოდნელმა ამბავმა — რასპუტინის მკვლელობამ შეწყვიტა, რომელიც 1916 წლის 16 დეკემბრის ღამით მოიკის სანაპიროზე მდებარე იუსუპოვის სასახლეში მოხდა.

ამის შემდეგ ვასილჩიკოვას ძალიან გაუჭირდა. მას არცთუ დიდად სწყალობდნენ პეტროგრადის საზოგადოებაში თვით იმ დღეებშიც კი, როცა იგი ჯერ ისევ „ასტორიაში“ ცხოვრობდა. უკვე მაშინ უჩიოდა იგი ყველას, თვით ნათესავების დამოკიდებულებასაც კი: ყველა პირს მარიდებს, ხელსაც არ მართმევენ. თებერვლის შემდეგ მისი მდგომარეობა უფრო გაუარესდა. ამიტომაც იყო, რომ იგი ზოგჯერ ჩერნიგოვის გუბერნიიდან მოუწოდებდა ცენტრალური გაზეთების რედაქციებს სამართლიანობაზე ეზრუნათ. მას ხომ ცილი დასწამეს. მასზე ათასგვარი ჭორი ვრცელდება. ავიღოთ, მაგალითად, „ისტორიჩესკი ვესტნიკის“ 1917 წლის აპრილის წიგნი. რა არის მის შესახებ ნათქვამი? ის, რომ თითქოს იგი დაეხმარა კაიზერს მოეწყო რუსეთის წინააღმდეგ პოლიტიკურ-დივერსიული ოპერაციები. განა ამაში არის თუნდაც ერთი ბეწო სიმართლე? წმინდა წყლის გამონაგონია!..

როგორ და რას უარყოფს იგი? იმას, რომ მას, ვასილჩიკოვას, რაიმე პოლიტიკურ საქმესთან არავითარი საერთო არც ჰქონია და არცა აქვს. მაგრამ გაზეთ „რუსკოე სლოვოს“ რედაქციისათვის გაგზავნილ იმავე წერილში ნათქვამია: „1915 წლის მაისში გერმანიის ხელისუფლების სათავეში მდგომმა ზოგიერთმა პირმა მთხოვა მიმეწერა ხელმწიფე ნიკოლოზ II-თვის ზავის სასურველობის შესახებ“. რაც მან გააკეთა კიდეც. სეპარატული ზავის თაობაზე არასოდეს არაფერი სმენია და არც კი იცის, რა არის ეს. თუმცა დარმშტადტში დიდ ჰერცოგს ერნსტ ლიუდვიგს უთხოვია მისთვის „გადაეცა ხელმწიფისათვის გერმანიის სურვილი ომის შეწყვეტის თაობაზე“. იმის შესახებ, რომ 1915

წელს „ასტორიაში“ იგი გაუჩხრეკიათ და დოკუმენტები უპოვიათ, პირველად მხოლოდ 1917 წელს შეუტყვია. მის ჩემოდანში რომ წერილები ნახეს, ეს იყო „მონაჭორი და სიცრუე, რადგანაც ასეთი რამ მას არ ჰქონია“. მაგრამ: გერმანიიდან ჩამოიტანა ჰერცოგის წერილი და შეეცადა იგი მეფისათვის გადაეცა. რუსეთში ჩამოსვლის შემდეგ იგი არც ერთ ოფიციალურ პირს არ შეხვედრია. მაგრამ: საზონოვი მოინახულა, მასაც გადასცა წერილი. რუსეთში ჩამოსვლის შემდეგ აზრადაც არ მოსვლია ვინმესთან მიწერ-მოწერა გაება. მაგრამ: ჩავიდა თუ არა პეტროგრადში, მეფესაც გაუგზავნა წერილი, მ. ვ. როძიანკოსაც, ბ. ა. ვასილჩიკოვსაც, ა. დ. სამარინსაც. და აი, ნაკადად ძოედინება „საშინელი საგაზეთო სტატიები“, რომლებშიც მას „ლაფში სვრიან, მოღალატეს უწოდებენ“. ჯერ კიდევ გადატრიალებამდე იგი მეფისა და ფრედერიკსის წინაშე პროტესტს აცხადებდა და დაწვრილებით აცნობებდა: „თუ ფრეილინას წოდება არ დამიცავს ამ ყოვლად დაუმსახურებელი თავდასხმისაგან (?) და სასახლის სამინისტრო არ გამომექომაგება, გთხოვთ ჩამომართვათ ფრეილინას წოდება“. შემდგომ რა მოხდა? „1916 წლის 1 იანვრიდან მე უკვე აღარ ვითვლები ფრეილინად“ [38].

1917 წლის შემოდგომაზე იგი რუსეთიდან გაიქცა. ფინეთიდან შვეციაში გააღწია, ხოლო 1918 წლის მაისიდან ზემერინგში, კვლავ თავის ვილაში მოგვევლინა.

თეთრგვარდიელი ემიგრანტი მემატიანენი და სოვეტოლოგები ირწმუნებიან: თითქოს არავითარი პროკაიზერული ჯგუფი მეფის სასახლეში არ არსებობდა; რომ რომანოვების მიერ ანტანტასთან დადებული კონტრაქტების რაიხზე გადაფორმება პეტერბურგში არავის მოსვლია აზრად. მეფის დაახლოებულ პირებს შორის რუსული მომსახურების დასავლეთის იმპერიალისტური ბლოკისათვის მიყიდვა არავის უფიქრია.

ერთ-ერთ ფრანგულ ზღაპარში ფერმერმა თავის საქათმეში ქურდბაცაცა გამოიჭირა; იგი იფიცებოდა, არაფერი მომიპარავსო, უბიდან კი მამლის ბოლო მოუჩანდა. ფერმერმა ახედ-დახედა მას და უთხრა: „ჰაბუკო, მინდა დაგიჯერო, მაგრამ ნათქვამია: ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო“. თეთრგვარდიელი ემიგრანტი მემატიანენი რუდნევიცა და მელგუნოვიც, ასევე უახლესი დროის სოვეტოლოგები ირწმუნებიან, რომ თითქოს მეფის ამალაში არც „ბნელი ძალები“ ყოფილან და არც მაქინაციები უკეთებიათ. კარგი, დავუშვათ, რომ ეს მართლაც ასეა.

მაშ როგორღა მოვიქცეთ მამლის ბოლოს მსგავსი ფაქტების შემთხვევაში, ბოლოსი, რომელიც იმ დროის ზოგიერთი მასალიდან ამოჩრილა?

ყველაფრის საგულდაგულოდ უარმყოფელი მელგუნოვიც კი იძულებულია უნებლიეთ მოგვითხროს:

... როგორ ჩამოვიდა პეტროგრადში „სამშვიდობო მისიით“ კაიზერის ერთ-ერთი პირველი ფარული ემისართაგანი, დანიელი ბიზნესმენი ანდერსენი და რაოდენ თავაზიანად იღებდნენ მას მეფე-დედოფალი და საუბრობდნენ მასთან. ამგვარ ვიზიტს მოწმობს თვით დედოფლის მიერ დღიურში ჩანაწერი: მ ო ვ ი დ ა კ ე თ ი ლ ი ა ნ დ ე რ ს ე ნ ი... დ ა გ ვ ა რ წ მ უ ნ ებ დ ა, რ ო მ ს ა ჭ ი რ ო ა ზ ა ვ ის დ ა დ ებ ა.

შემდეგ როგორ ჩაებნენ მეფესა და კაიზერს შორის კონტაქტების დამყარებაში და ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს მათ შორის მოლაპარაკების ორგანიზაციას შვედეთის მეფე გუსტავი, დანიის მეფე ქრისტიანი, სტოკჰოლმელი ბანკირები კიულბერგი და მენდელსონი, ჰამბურგელები მონკეიცი და ვარბურგი.

როგორ ჩაება ამ ხრიკებში ავსტრიის ყოფილი სამხედრო ატაშე პეტერბურგში — ავსტრიის ელჩი ბერლინში მსოფლიო ომის წლებში — თავადი ჰოჰენლოე; იგი მალულად არწმუნებდა ნიკოლოზს, დაეწყო მოლაპარაკება ზავზე, სთხოვდა მას შვეიცარიაში გაეგზავნა სანდო პირი ფრანც-იოსების ასეთსავე სანდო პირთან შესახვედრად. და მეფეც ამ წინადადებებს აკურატულად აწვდიდა „განსახილველად“ საზონოვს.

... როგორ მიმართავდა ასეთივე წინადადებებით, კაიზერის დავალებითა და „უცნობი ემისრის“ მეშვეობით, გრაფი ეიულენბურგი მეფის სასახლის კარის მინისტრს ბარონ ფრედერიკსს, რომელთანაც „ოცდაათწლიანი მეგობრობა“ აკავშირებდა, და როგორ აღწევდა ეს მიმართვებიც ასევე აკურატულად საბოლოო ადრესატამდე — მეფემდე.

... როგორ უგზავნიდა ომის პერიოდში ალექსანდრა თედორეს ასული ვიღაც ამერიკელის საშუალებით, რომლის სახელსაც იგი არ იხსენიებს, გერმანიაში წერილებს პრინც მაკს ბადენელს (იგი რაიხსკანცლერი გახდა 1918 წელს) და პრინცესა ვიქტორიას, რაც მტკიცდება, კერძოდ, მეფისადმი გაგზავნილი მისი ერთ-ერთი წერილით (1915 წლის 25 ივნისი: მ ე ვ ა გ რ ძ ნ ობ ი ნ ე ა მ ე რ ი კ ე ლ ს, რ ო მ ე ლ ი ც ხ ვ ა ლ გ ერ მ ა ნ ი ა შ ი მ ი ე მ გ ზ ა ვ რ ებ ა, რ ო მ ი ნ ა ხ უ ლ ო ს მ ა ქ ს ი დ ა გ ა დ ა ს ცე ს მ ა ს ზ ო გ ი ე რ თ ი ქ ა ღ ა ლ დ ი); გერმანიიდან მიღებულ პასუხებს კი დედოფალი მეფეს უგზავნიდა. ესეც ასევე დასტურდება მეფისადმი გაგზავნილი მისი საკუთარი ხელით დაწერილი წერილებით, რომლებშიაც სთხოვს მეუღლეს „ამ წერილების შესახებ არავის არაფერი უთხრას“, „მათ შესახებ არავინ არაფერი უნდა იცოდეს, იქნებ მხოლოდ უმაღლესი მთავარსარდლის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის გარდა“ [39].

და კიდევ ამის მსგავსი ბევრი რამ... ასეთია ის მეთოდები, რომლებითაც სარგებლობენ როგორც ორიგინალები, ისე მათი მიმდევრები თავიანთ გამოსვლებში ისტორიული სიმართლის წინააღმდეგ: ჯერ ერთი, ასეთი რამ არ ყოფილა; მეორეც, იყო, მაგრამ წარუმატებლად დამთავრ-

და; მესამეც, წარმატება ექნებოდა, რომ რევოლუციასა და ბოლშევიკებს ხელი არ შეეშალათ. მათ ცენტრში დგას ხელმწიფე-იმპერატორის რაინდული ხატება, რომელიც მზად არის დაჰკარგოს ტახტიცა და სიცოცხლეც, ვიდრე მოატყუოს მოკავშირენი, რომლებსაც მან ერთგულების აღთქმა მისცა. ეს ერთგულება, ამბობენ ისინი, იყო სწორედ მისი საბედისწერო შეცდომა.

და აი, კიდევ რა იყო: მასონების ყოვლისმომცველი ოინბაზობა. სწორედ მან ამოატრიალა ორი იმპერატორის ტახტი. ხალხთა მასები არაფერს წყვეტენ. ისინი მხოლოდ სტატისტები იყვნენ მასონების მიერ გამართულ გრანდიოზულ სპექტაკლებში, რომელთაც ომებსა და რევოლუციებს უწოდებენ.

ეს საიდუმლო თავის დროზე ჯერ კიდევ ძველი რაიხის უწყებაში რიბენტროპის წინამორბედმა ფონ იაგოვმა ამოიცნო. ფონ იაგოვის კონცეფციის თანახმად, „ომის პოლიტიკური ავანჩავანნი არიან ფრანმასონები, რადიკალები და tutti quanti (ყველა მათი მსგავსნი), რომელთა მიზანია ტახტების დამხობა“. სწორედ ამიტომ, თვლიდა იგი, „ორივე მეზობელმა სამეფო სახლმა უნდა დაიცვას თავისი ძველი მონარქიული და მეგობრული ტრადიცია“, ვინაიდან შეგნებული აქვს, რომ „ომის გაგრძელება საშიშია დინასტიებისათვის“. სხვანაირად რომ ვთქვათ, მეფისა და კაიზერის მიერ სეპარატული ზავის დადება „ორივე ქვეყნისათვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია“ [40].

ორი მონარქიის სოლიდარობის ამ პოზიციიდან გამოდიოდა პ. ნ. დურნოვო, როცა მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ცოტა ადრე, 1914 წლის თებერვალში, სპეციალური მემორანდუმით იცავდა ნიკოლოზ II კაიზერულ გერმანიასთან ომისაგან. დურნოვო უმტკიცებდა მეფეს, რომ თვითმპყრობელობის სასიცოცხლო ინტერესები უკარნახებდნენ მას ანტანტასთან კი არ დაემყარებინა კავშირი კაიზერის წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, კავშირი შეეკრა საიმპერატორო რაიხთან დასავლეთის „დემოკრატიული“ სახელმწიფოების წინააღმდეგ[41]. იმავე „მხურვალე დარწმუნებით“, მაგრამ უკვე ომის დროს (1916 წელს) პეტროგრადის მაღალ წრეებში განგაში ატეხა ბარონმა რ. რ. როზენმა *, რომ ომს, რომელიც გერმანიის წინააღმდეგ მიმდინარეობდა, „იმპერიის დაღუპვის გარდა, სხვა არაფერი მოჰყვებოდა“ [42].

* დიპლომატი რომან რომანის ძე როზენი ორჯერ იყო რუსეთის ელჩი იაპონიაში (1897 — 1898 და 1902 — 1904 წლებში), ხოლო შემდეგ აშშ-ში (1905—1911). 1912 წლიდან იყო სახელმწიფო საბჭოს წევრი.

უახლესი დროის სოვეტოლოგები კვერს უკრავენ წინამორბედთ და დიდად არ ზრუნავენ თავიანთ მოსაზოებათა რაიმე სახეცვლილებაზე მაინც. მათი განცხადებით, ცნობა რუსეთის გერმანიასთან ფარული მოლაპარაკების შესახებ სიცრუეა; სეპარატული ზავი გამონაგონი მტკიცებაა. თუ მეცნიერულ მიმოქცევაში ახალი სარწმუნო ფაქტები არ შევა, არ არსებობს საფუძველი იმის დასამტკიცებლად, თითქოს მეფის მთავრობა ანდა სასახლის კარის კამარილია ხელისუფლების გვერდის ავლით რეალურ ნაბიჯებს დგამდა სეპარატული ზავის დასადებად. ვ. ი. ლენინი ამბობდაო, — ირწმუნებიან ისინი, — იმპერიალისტური სამყაროსაკენ შემობრუნების შესახებ და ეს დასკვნა თითქოს გერმანიასა და რუსეთს შორის სეპარატული ზავის შესახებ გავრცელებული ხმებიდან გამოჰქონდა...

მაგრამ ლენინი „ხმებზე“ სულაც არ ლაპარაკობს. ცდას, ისე წარმოადგინონ ლენინი, თითქოს „გავრცელებულ ხმებს არ ამოწმებდეს“, ისეთივე ფასი აქვს, როგორიც ცდას, 1917 წლის თებერვალში თვითმპყრობელობის დამხობა წარმოსახონ მასონების შეთქმულების შედეგად და არა ბოლშევიკური პარტიის მოწოდებით პეტროგრადის პროლეტარიატისა და გარნიზონის შეიარაღებული აჯანყების პასუხად.

აღნიშნავდა რა, რომ მეფის ხელისუფლებას „არ შეეძლო ეღიარებინა სეპარატული ზავის შესახებ მოლაპარაკების წარმოება“, ვ. ი. ლენინი მიგვითითებდა, რომ ასეთი ტაქტიკა ცარიზმს სჭირდებოდა, რათა დაეფარა გადასვლა გერმანიის საწინააღმდეგო ინგლისურ-რუსული იმპერიალისტური კავშირიდან ინგლისის საწინააღმდეგო გერმანია-რუსეთის ასეთსავე კავშირზე. ლენინი გაფრთხილებას იძლეოდა, რომ სეპარატული ზავის დადება შეიძლებოდა უკვე „ხვალ ან ზეგ“, „ფარულად“ კი იგი შეიძლება უკვე დადებულიც იყო, რადგანაც „დიპლომატიის ისტორიამ იცის ფარული შეთანხმების მაგალითები, რომელთა შესახებ 2—3 კაცის გარდა არავინ იცოდა, თვით მინისტრებმაც კი“. „ხმებით“ კი არა, არამედ მტკიცე რწმენით შეიძლებოდა ყოფილიყო ნაკარნახევი ლენინის ასეთი სტრიქონები: „გერმანიასა და რუსეთს შორის სეპარატული ზავის დადების შესახებ მოლაპარაკება რომ ამ ცოტა ხანში წარმოებდა, თვით ნიკოლოზ II ან სასახლის ფრიად გავლენიანი ხროვა რომ ასეთი ზავის მომხრეა, რომ მსოფლიო პოლიტიკაში დაისახა მობრუნება გერმანიის წინააღმდეგ ინგლისისა და რუსეთის იმპერიალისტური კავშირიდან არანაკლებ იმპერიალისტური კავშირისაკენ რუ-

სეთსა და გერმანიას შორის ინგლისის წინააღმდეგ, — ყველაფერი ეს ეპვს გარეშეა“ [43].

იბადება კითხვა, რა საერთო აქვს, ერთი მხრივ, „ხმებს“, „სიცრუესა“ და „გამოგონილ მტკიცებებს“, და მეორე მხრივ, ლენინის სიტყვებს: „ყოველივე ეს ეპვს გარეშეა“?

აქ მოტანილი და სხვა ახალი ფაქტების (მაგალითად, კ. ფ. შაცილოს მიერ დადგენილი) შუქზე „ხმები“ სეპარატული ზავის ირგვლივ მანევრირების შესახებ არცთუ ისე „შეუმოწმებელი“ ჩანს, როგორც ეს ვიღაც-ვიღაცეებს ეჩვენებათ, ანდა, უფრო სწორად, როგორც ზოგიერთებს უნდოდათ დაეხატათ.

ᲗᲘᲚᲘᲡᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲯᲚᲐᲑᲜᲔᲑᲘ

იუსუპოვის სასახლეში გატარებულ სიცოცხლის უკანასკნელ ღამემდე რასპუტინი დაუდეგარ ცხოვრებას ეწეოდა. საქმე ყელამდე ჰქონდა. ერთთავად რაღაცას ჯახირობდა, რაღაცას გულმოდგინედ აკეთებდა: ერთ შემთხვევაში — უავგუსტოეს მფარველთა ერთგულების გამო; მეორე შემთხვევაში — თავისი ფულიანი კლიენტურისათვის: მესამე შემთხვევაში — ისე, უბრალოდ, ეშხში შესული, სითამამის გამო, რაც მან სამეფო ტახტთან სიახლოვით შეიძინა და შეითვისა. არც ერთი საათით არ წყვეტდა იგი თავის მძაფრ პოლიტიკურ-სტრატეგიულ და პრივატულ-საკინკლაო მოღვაწეობას, აქეთ-იქით აბნევდა დირექტივებსა და მითითებებს, ყოველგვარი მისამართით გზავნიდა წერილებსა და დეპეშებს.

ვ. ნ. ᲙᲝᲕᲝᲙᲝᲕᲡ. Генералу Фаейкову вот дорогой без привычки даже каша и та не сладка а не только Пуришкевич с бранными устами теперь таких ос расплодилось миллионы так вот и поверь как касается души а надо быть сплоченными друзьями хоть маленький кружок да единомышленники, а их много да разбросаны силы не возьмет в них злоба а в нас дух правды. Григорий Новых.

ᲐᲐ. ᲐᲐ. ᲕᲘᲠᲣᲑᲝᲕᲐᲡ. Твердыня это бог пусть мой дух будет на небе не на земле а почему репа хороша когда зубы есть Хвостов беззубый а укусить охота в думе лают маму собираются мучить а что Хвостов смотрит ваше солнце а моя радость Грегорий.

ᲛᲐᲡᲕᲔ: Старикашу пусть бог судит никуда не годится убрать бы его Григорий.

ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲡ: Все страхи ничто время крепости воля человека должна быть камнем божья милость завсегда на вас вся слава терпенье только крепость своих поддержите Григорий.

მასვე: Письмо да здесь что то выбрано для меня скорби чертог божий прославит вас господь своим чудом.

მასვე: О письме Калинин приедет сам расскажет и многова расскажет Григорий Новый.

მეფეს: Твердость стопа божия против немцев не наступайте держись румынского фронта оттуда слава воссияет господь укрепит оружие молюсь горячо Григорий.

მასვე: Очень кротко и ласково беседовал с Калининым умоляет чтобы ему никто не мешал также контрразведка пущай ведет свое дело ласково беседовали об узнике по христиански...* дай власть одному чтобы работал разумом Григорий.

მასვე (პასუხად შეკითხვაზე). Вставку его величеству пущай Григорий[14].

ამ სტილით ბევრი იყო გაოცებული. მისი „სიდიადით“ — ბურცევი... მისი „თაღლითობით“ — შულგინი. მისი „დაშიფრულობით“ — რუდნევი. მისი „ბოდვით“—ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი პოხვისნევი, რომლის ხელშიც გაიარა 1913 წლიდან 1916 წლამდე რომანოვების ოჯახისათვის გაგზავნილმა რასპუტინის ყველა დეპეშამ. მაგრამ სასახლისათვის არ იყო იგი გაუგებარი, დედოფალს კი ეს სტილი გულს უჩვილებდა, იდუმალ თრთოლვას გვრიდა. რასპუტინისეული აბდაუბდა ალექსანდრა თედორეს ასულის ისტერიკამდე მისულ აღფრთოვანებას იწვევდა.

თუმცა ისტერიკა მისი მდგომარეობისათვის ნორმალური იყო. 23 წლის მანძილზე და კრახის უკანასკნელ წუთამდე მისი ცხოვრება განმსჭვალული იყო პოლიტიკური, რელიგიური და ყოველდღიური ყოფითი ისტერიკით. ისტერიული იყო მისი შიშიცა და სიხარულიც, მწუხარებაცა და სიყვარულიც. თითქმის არაფერში არ იცოდა ზომიერი თავშეკავება და ფხიზელი განსჯა. მისი მეგობრობაცა და მტრობაც პაროქსიზმი იყო. როგორღაც ნიკოლოზ II დაინტერესდა ცოლის მდგომარეობის ფარული მიზეზებით და სასახლის ექიმს ფიშერს სთხოვა ამ საკითხის ირგვლივ მისთვის ცნობა წარედგინა. დედოფალმა ექიმის დასკვნა ქმრის უჯრაში იპოვა და უიღბლო მომხსენებელი კინწისკვრით გააძევა.

მოახლოებული რევოლუციური საფრთხის შეჩერებას დედოფალი თილისმებითა და წყევლა-კრულვით ცდილობდა. თავისი დამოკიდებულება რუსი ხალხისადმი, რომელსაც ერთთავად აჯანყების გამო საყვედურობდა, არ შეეძლო მისთვის დამახასიათებელი სიძულვილით არ გამოეხატა.

---

* პატიმარი — ბანკირი და მისი მაჩანჩალა დ. ლ. რუბინშტეინი.

ძვირფასო, — სწერს იგი ნიკოლოზს თებერვლის გადატრიალების წინ, — იყავი მტკიცე, დაანახვე შენი ხელის სიძლიერე. აი რა უნდათ რუსებს... აგრძნობინე მათ შენი მუშტი. ისინი თავად თხოულობენ ამას—რადგანაც ამას წინათ ბევრი მეუბნებოდა, ჩვენ მათრახი გვჭირდებაო. ეს უცნაურია, მაგრამ ასეთია სლავური ბუნება — უდიდესი სიმტკიცე, სიმკაცრეც კი და ამასთან ერთად მხურვალე სიყვარული. და შემდეგ ქმარს ასწავლის: მე ძალზე კარგად ვიცი, როგორ იქცევა აღრიალებული ხალხი, როცა შენ ახლოს ხარ. მათ ჯერ კიდევ ეშინიათ შენი. კიდევ უფრო მეტად უნდა ეშინოდეთ, ისე, რომ სადაც არ უნდა იყო, ყოველთვის ძრწოდნენ შენს გახსენებაზე [45].

ვის შეეძლო ამის შემდეგ დაეჭვებულიყო ალექსანდრა თეოდორეს ასულის ნათესაურ სიახლოვეში პოტსდამელ ბიძაშვილთან? ეს მისი ხმა იყო, მისი ენა, მისეული აზროვნება: „მუშტი“ და „მათრახი“ — „აი, რა უნდათ რუსებს“. იმავე კატეგორიულ სტილში ახასიათებს იგი ყველას და ყველაფერს, მათაც კი, ვისთანაც კარგ დამოკიდებულებაშია.

სათათბიროში ყველა სულელია; მთავარბანაკში სულ ერთიანად იდიოტები სხედან, სინოდში — მარტო პირუტყვები; მინისტრები არამზადები არიან; ჩვენი დიპლომატები უნდა ჩამოახრჩო; გაყარე ყველა, დაუნიშნე გორემიკინს ახალი მინისტრები... გთხოვ, ჩემო მეგობარო, ეს ჩქარა გააკეთო; მხოლოდ მალე დახურე სათათბიროო, სანამ მათგან შეკითხვები მოვიდოდეს; გაზეთები ყველაფრით უკმაყოფილონი არიან, ეშმაკსაც წაუღია მათი თავი; სათათბირო უნდა გააუქმო: აიძულე ისინი ძრწოდნენ; ყველა მათგანმა უნდა ისწავლოს, რომ საჭიროა შენ წინაშე ძრწოდნენ; ბოლოს და ბოლოს როდის დაარტყამ მაგიდას და იყვირებ? შენი უნდა ეშინოდეთ; დაანახვე, რომ შენ ხარ ბატონ-პატრონი; დაიხსომე, რომ შენ ხარ მბრძანებელი, რუსეთის პატრონი; მადლობა ღმერთს, ჩვენ კონსტიტუციური სახელმწიფო არა ვართ; ლოძად იქეცი არამზადებისა და რესპუბლიკელთა პატარა ხროვის წინააღმდეგ ბრძოლაში; იყავი პეტრე დიდი, ივანე. მრისხანე და პაველ პირველი; გაანადგურე ყველა ისინი; იყავი გაბედული და უფრო თვითმპყრობელი, გამოაჩინე შენი ძლიერი მუშტი იქ, სადაც ეს აუცილებელია; დაამტკიცე, რომ შენ ერთი ხარ მბრძანებელი და გაგაჩნია ძლიერი ნება; იყავი მკაცრი. ეს აუცილებელია, მათ უნდა ესმოდეთ შენი ხმა და უკმაყოფილებას ხედავდნენ შენს თვალებში; ისინი უნდა ძრწოდნენ, აუცილებლად უნდა ძრწოდნენ შენს წინაშე, არადა ყველა თავზე დაგვაჯდება, საჭიროა ამას ახლავე მოეღოს ბოლო; კმარა, ჩემო ძვირფასო, ნუ მაიძულებ ტუუილუბრალოდ ვხაოჯო სიტყვები...

საზონოვი სულელია; ვოეიკოვი — მხდალი და სულელი; ელჩი დემიდოვი — ჩამოუალიბებული სულელი; სამარინი — ნამდვილი სულელი; ყველა მინისტრი — ერთიანად სულელი; იმედი მაქვს, რომ სათათბიროელ კედრინსკის (ცერენსკის) თავისი საშიელი სიტყვის გამო ჩამოახრჩობენ — ეს აუცილებელია და კარგი მაგალითი იქნებოდა; მე დამშვიდებული და სუფთა სინდისით გადავასახლებდი ციმბირში ლეოვს; წავართმევდი წოდებას სამარინს; მილიუკოვი, გუჩკოვი და პოლივანოვი — ყველანი ციმბირში უნდა გაიგზავნონ [46].

რაკი გუჩკოვი რევოლუციონერებში ჩარიცხა, მარტო მისი სახელის გახსენებაზეც კი დედოფალი ცხარობს, არ იცის, რა სასჯელი მოიფიქროს მისთვის. გუჩკოვი პარუტკუვია, თუმცა კი ჰკვიანი. იგი უმღვრევს გონებას ყოველგვარი სისაზიზღრით ალექსეევს, რა საძაგლობაა, რომ გუჩკოვი, რიაბუშინსკი, ეანშტაინი, ლაზარევი და ეუკოვსკი ამ არაძხადების მიერ სახელმწიფო საბჭოში არიან აორეული. ერთხელ იგი შეეცადა ალეექსეევ შემდეგი ცხობით გაეხარებინა: გუჩკოვი ძალზე ავადაა; მას იმქვეყნად გაძგზავრებას ვუსურვებ. ამის შემდეგ იგი კვლავ მალე აცნობებს: გუჩკოვს გაძოჯანმრთელება ეტყობა. დედოფლის კომენტარები: სინდისის ქენჯნით უნდა გითხრა, ჩემო ანგელოზო: გუჩკოვის გამოჯანმრთელება ჩვენი უბედურებაა. მაგრამ! მართლა აპირებს გუჩკოვისა და სხვების გამოგზავნას შენთან მოსალაპარაკებლად? საშინელი სარკასიზმი ავარია, რომელშიაც მარტო ეგ დაშავდებოდა, ღმერთის მიერ ღირსეული სასჯელი იქნებოდა. დედოფალი სერიოზულად არის შეწუხებული: რა თქმა უნდა, გუჩკოვის ჩამოშორება საჭიროა, მაგრამ როგორ — აი, ეს არის საქმე. ახლა ომინანობის პერიოდია — არ შეიძლება ისეთ რამეში გამოდავება, რის საფეძველზედაც მოხეოხდება მისი ხასმა? და ყოველგვარი წილადობილას გარეშე ამბობს: გუჩკოვის ადგილი მალალი ხის კაპზეა. ოჰ, ოღონდაც კი შეიძლებოდეს გუჩკოვის ჩაოოხრობა! [47].

დედოფალი რასპუტინის ჭეშმარიტად ღირსეული პარტნიორი იყო. გაასდო რა ქმარს თავის მორიგ წერილში ფარული ოცნება საძულველი ადაძიანისათვის ანგარიშსწორების შესახებ, იგი ვირუბოვასთან ერთად ინკოგნიტოდ მიდის პეტროგრადის მხარისკენ ჩვანოვის რესტორანში, რათა როგორც მეფობის პირველ დღეებში, კვლავაც მოისმინოს მგრძნობიარე რომანსები რუმინელი მევიოლინეს შესრულებით და მუქი პირბადის ქვეშ ცრემლად დაიღვაროს.

დედოფალი სანტიმენტალური პიროვნება იყო. ზოგიერთ შემთხვევაში შეეძლო გულითადობაც კი გამოეჩინა, ვინმე შესცოდებოდა, ვინმეს გამო დარდს მისცემოდა... რა თქმა უნდა, თუკი ამ „ვინმეს“ პირადად მისგან და განსაკუთრებით „ჩვენი მეგობრისაგან“ ძალზე დიდი დისტანცია არ აშორებდა. ასე გამოიყურებოდა პირადულის სახელმწიფოებრივთან შეხამება მის ვარიანტში.

თხუთმეტი წლის ზაფხულში უმაღლესმა მთავარსარდლობამ გადაწყვიტა, გალიციის ბრძოლებში სისხლდაცლილი კორპუსების შესავსებად მეორე თანრიგის სათადარიგო მებრძოლები გაეწვიათ. რასპუტინი ამის წინააღმდეგი იყო. მის მოსაზრებაზე დაყრდნობით დედოფალი თავის მეუღლეს მთავარბანაკში სწერდა: მე-2 თანრიგის გაწვევასთან დაკავშირებით: უთხარი ნ.-ს (ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს), რომ საჭიროა მოცდა, რომ შენ ამ ღონისძიების წინააღმდეგი ხარ. ამასთან დედოფალმა უკვე იცის, რომ ნ. არ დაეთანხმება და ამიტომაც მეუღლეს წინასწარ განაწყობს: ნურავითარ მაგის ბოდიშებს ყურს ნუ დაუგდებ ასეთ სიმკაცრეს რატომ ვიხენ? იმიტომ, რომ ეს ღონისძიება შეიძლება მომაკვდინებელი გაძოდგეს, რაზედაც იგი (რასპუტინი) წი-

ნასწარ გეაფრთხილებს. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი კვლავ იმეორებს: მე თან მდევს ჩვენი მეგობრის გაფრთხილება... თუ იგი გათვალისწინებული არ იქნება, შედეგი საბედისწერო გამოდგება ჩვენთვისაც და ქვეყნისთვისაც... გთხოვ, ჩემო ანგელოზო, მე-2 თანრიგის გაწვევის ნება არ მისცე... სჯობს მომავალ წელს გაიწვიო. გთხოვ მის რჩევას ყური უგდო. რაკი იგი ასეთი სერიოზულობით ამბობს... ამ ერთი შეცდომის გულისთვის შეიძლება ჩვენ ყველამ პასუხი ვაგოთ [48].

კი, მაგრამ, რატომ „სჯობდა მომავალ წელს გაწვევა?“ იმიტომ თურმე, რომ მე-2 თანრიგის მებრძოლებთან იყო მიწერილი რასპუტინის შვილი. მებრძოლთა გაწვევის ოპოზიციის საიდუმლოება იმალებოდა ბიბლიურ არაკში, რომელიც 1915 წლის ივნისში ცარსკოე სელოში გადასაცემად მიიღო ტიუმენის ტელეგრაფმა: Анне Вырубовой получил весть (Из Покровского) что сына моего забирают я сказал в сердце неужели я Авраам века прошли один сын и кормилец надеюсь пущай он владычествует при мне как при древних царях помогли Григорий.

რაკი პასუხი უმალვე ვერ მიიღო, იგი იმავე მისამართით უფრო კონკრეტულ დეპეშას აგზავნის: Первого объявление ратников вести узнай тщательно когда губерния пойдет наша. ამ დეპეშასაც სხვათა შორის, ალეგორიული ბოდვებით აზავებს: Воля божия это последние крохи всего мира многомилостивец Никола творящий чудеса. ვიღაც ნიკოლას, მიანიშნებს დეპეშის გამგზავნი, შეუძლია მიიღოს მისთვის სავსებით დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება.

ალექსანდრა თედორეს ასულიც ბუნდოვანი გაფრთხილებებიდან და „როგორც ჩვენთვის, ისე ქვეყნისათვის“ საბედისწერო შედეგებზე მექარისაგან რასპუტინ მცირეს ფრონტიდან გამოხსნაზე გადადის: შეგახსენებ, ჩვენი მეგობარი სასოწარკვეთილებაშია იმის გამო, რომ მისი შვილი ჯარში მიჰყავთ — ეს მისი ერთადერთი ვაჟია, რომელიც მამის შინ არყოფნისას მთელ მეურნეობას უძღვება... ჩემო საყვარელო, რისი გაკეთება შეიძლება მისთვის? მომდევნო წერილში წერს: არ შეგიძლია გაარკვიო, ჩემო საყვარელო, გაწვევის რა ვადაა დანიშნული მის გუბერნიაში და ამის შესახებ მაშინვე მაცნობო? მე მგონია, შენს შტაბში ყველაფერი ეს ზუსტად არის წინასწარ განსაზღვრული. შეიძლება თუ არა ეს გაწვევა შეეხოს მის შვილს, რომელიც არც კია მებრძოლი? გთხოვ მალე მიპასუხო [49].

გრძნეული ბერის დეპეშიდან ცხადი ხდება, რომ საჭიროა მისი შვილის, სწორედ როგორც მებრძოლის, გამოხსნა, დედოფალს კი მეტისმეტი გულმოდგინების გამო აერია. ასე იყო თუ ისე, რამდენიმე დღის შემდეგ საჭირო შედეგი მიღწეულ იქნა. ტობოლსკის გუბერნიის მეორე თანრიგის სათადარიგო მებრძოლები რასპუტინის შვილის გარეშე გავიდნენ სალაშქროდ. დიმიტრი რასპუტინი დიდი ქალბატონის ტატი-

ანას (ნიკოლოზ II მესამე ქალიშვილის) სახელობის საქველმოქმედო კომიტეტის მიერ დაჭრილებისათვის აღჭურვილ მატარებელზე მოაწყვეს სანიტრად.

დაახლოებით იმავე დღეებში ალექსანდრა თეოდორეს ასული მეუღლეს სწერს: გაზეთების გადათვალიერებისას წავაწყდი, რომ ლიტკე (მისი საშეფო პოლკის ოფიცერი) მოუკლავთ. ძალიან მეწყინა... ღმერთო ჩემო, როგორი დანაკლისია... მაგრამ ჩვენმა მეგობარმა თქვა, ისინი (ომში დაღუპულები) სანთლები არიან, რომლებიც უფალი ღმერთის ტახტთან ანთიანო. ეს, რა თქმა უნდა, აღმაფრთოვანებელია; რა შესანიშნავი სიკვდილია. და შემდეგ: მაგრამ ამის შესასებ ძალზე ბევრი ფიქრი საჭირო არ არის, ამის გამო დიდად ძლიერდება ტკივილი[50].

ნამდვილად „მტკივნეული“ იყო თუ არა მისთვის ეს, ძნელი განსასჯელია. ხალხმა ომის იმ წლებში უაძრავი უბედურება და ტანჯვა გამოიარა. მაგრამ კარგად არის ცნობილი, რომ რაც უშუალოდ რომანოვების პირად ინტერესებს არ შეხებია, მათ მიმართ ისინი მეტ-ნაკლებად გულგრილნი რჩებოდნენ. თავად ცინიკოსი რასპუტინიც კი დროდადრო გაოცებული იყო იმით, თუ რაოდენ გულცივობას იჩენდნენ რომანოვები მათ ირგვლივ გათამაშებული სისხლიანი ტრაგედიისადმი. იგი მიუთითებდა, რომ ეს გულქვაობა მილიონობით დანთებული „სანთლის“ მიმართ საშიშია, რომ გულგრილობას შეძლებისამებრ შენიღბვა უნდა.

1914 წლის მიწურულიდან მეფის ოჯახის წევრები საჯაროდ ახდენენ თავიანთი თანაგრძნობის დემონსტრირებას „დასახიჩრებული და დაჭრილი მეომრებისადმი“. ყალიბდება დედოფლისა და მეფის ქალიშვილების სახელობის სანიტარული მატარებლები. სასახლეებთან ეწყობა ჯარისკაცებისათვის თეთრეულის შესაკერი სახელოსნოები, პრინცესები მონაწილეობას იღებენ არმიისათვის თბილი ტანსაცმლის შეგროვებაში. დედოფალი ცარსკოე სელოს ლაზარეთებში დადის, დაჭრილებს ხატებს, ლოცვანსა და კამფეტებს ურიგებს. ყოველივე აქედან შპრინგერულმა პრესამ, რომელიც ადრე აღებული ხაზის ერთგული იყო: წარმოესახა ალექსანდრა თეოდორეს ასული რუსული პატრიოტიზმისა და ადამიანურობისათვის „წამებულად“, შეთხზა ლეგენდა, თითქოს დედოფლის მოთხოვნით გადააკეთეს ცარსკოე სელოს ეკატერინეს დიდი სასახლე სამხედრო ლაზარეთად; რომ მან აიღო პეტროგრადის რაიონის ყველა 85 ლაზარეთზე მფარველობა; რომ „ორთვიანი სანიტარული კურსების დამთავრების შემდეგ იგი მიუძღოდა მოწყალების დების კოლონას წითელი ჯვრის დიპლომის მისაღები პუნქტისაკენ“,

ხოლო შემდეგ ასისტენტობას უწევდა ქირურგებს, „დარბოდა სტერილური ინსტრუმენტებით... თავისი ხელით უსუფთავებდა, ბანდა და უხვევდა ჭრილობებს... მისი ხელები მოსვრილი იყო დაჭრილთა სისხლით, რომელთაც უელიდა საოპერაციო ძაგიდებთან და საავადმყოფოების პალატებში“ [51].

ზოგიერთი რამ ამაში მართალია, ხოლო უფრო მეტი — გადაჭარბებული. მაგრამ, რაც მთავარია, ეს კაცთმოყვარეობა, რომელიც უფრო მოჩვენებითი იყო, ვიდრე ნამდვილი, რუსეთს არ აღელვებდა და ალექსანდრა თეოდორეს ასულის ყოველგვარ მსგავს ჟესტებს ისე აღიქვამდა, როგორც ძალდატანებითს. ძალზე სუსტად ეხამებოდა მის სახეს, მთელ მის საქციელს ყველა ეს პრეტენზია: დაახლოებოდა „გლეხობას“ და „ჯარისკაცებს“, სულიერი კონტაქტები დაემყარებინა მათთან.

აქედან გამომდინარეობდა ჰოსპიტლებში გათამაშებული სანტიმენტალური სცენების უბადრუკობა, მათ შორის ისეთებისა, რომლებშიაც თავისი ნებისა და შეგნების გარეშე ხშირად იყო ჩაბმული ტახტის ნორჩი მემკვიდრეც. მისი ერთ-ერთი ვიზიტი დედასთან ერთად ცარსკოე სელოს ჰოსპიტალში, რომელსაც ექიმი ე. ს. ბოტკინი ხელმძღვანელობდა, ასე გამოიყურებოდა:

> დაჭრილებს შორის გამოჩნდა დედოფალი ვაჟიშვილთან ერთად. ვიღაცამ გრამაფონი მომართა, ისმის ჰიმნი („ღმერთო, შენ დაიფარე მეფე“). მემკვიდრე ჯიუტობს, წასვლა არ უნდა, იგი შემკრთალია. დაჭრილები საწოლებზე სხედან, ზოგს ხალათი აცვია, ზოგს მარტო ქვედასაცვალი, ზოგი ბანქოს თამაშობს. დედოფალი მიდის საწოლებთან, ეკითხება, რას თამაშობენ. „დურაკობანას“, თქვენო უდიდებულესობავ, — გაისმის პასუხი. ერთ დაჭრილთან მიდის, იგი 35 წლისაა, მაგრამ იმდენად განაწამებია, რომ შეიძლება 75 წელიც მისცე. მწოლიარე კითხულობს დედოფლის მიერ ჰოსპიტალში აღრე გამოგზავნილ სახარებას. ჯარისკაცი ვერ ხვდება, ვინ ელაპარაკება. „რას კითხულობ?“ — ეკითხება დახრილი დედოფალი. „აი, მთელი ფეხები მტკივა“, — პასუხობს შეუსაბამოდ ჯარისკაცი. სტუმარმა გაიღიმა და მეორე შეკითხვა მისცა, მაგრამ ისეთივე უაზრო პასუხი მიიღო. გამოთხოვების შემდეგ იგი წინკარში გავიდა. „ზამთრისათვის მოამზადეთ უკვე?“ — თქვა მან გასვლისას და იქვე დაწყობილ თბილ ჩექმებზე მიუთითა. პარმაღთან გამოსულმა ექიმებსა და მედდებს თავი დაუკრა და შვილთან ერთად ავტომობილში ჩაჯდა... [52]

ასეთი იყო ხალხთან მისი ნამდვილი კონტაქტი... არაფერს შეეძლო მისი თავქვე დაქანების დამუხრუჭება. არც რასპუტინთან ერთობლივ ცდას, ჭკუა ასწავლოს ქმარს, უხელმძღვანელოს მის საქციელს. არც ირგვლივ მყოფთათვის განსაზღვრულ სალანძღავ ეპითეტებსა და არც

მისთვის არასასიამოვნო პირების მიმართ მოწყობილ უსაზღვრო ინტრიგებს.

საქმე ცუდად წავიდა. იმდენად შორს შეტოპეს, რომ თვით სახელმწიფო საბჭომ, საუკუნეების მანძილზე ტახტის ამ დასაყრდენმა და ერთგული ქვეშევრდომობის ნიმუშმა, 1916 წლის შუა პერიოდში მოსთხოვა მეფეს რასპუტინელი პროტოპოპოვი მინისტრთა საბჭოდან გამოეყვანა.

სერიოზულ შემთხვევებში გრძნეულ ბერს შეეძლო საიდუმლოებით მოცული ღვთიური ენიდან საქმიან-კანცელარიულ ენაზე გადასვლა. გოროხოვზე განმარტოებულმა რასპუტინმა და პროტოპოპოვმა მეფესთან გასაგზავნი შემდეგი დეპეშა-იგავი შეადგინეს:

Не соглашайтесь на увольнение директора-распорядителя. После этой уступки потребуют увольнения всего правления. Тогда погибнет акционерное общество и потеряет должность даже его главный акционер[53].

ორივე ავტორს ეჭვიც არ ეპარებოდა, რამდენად მარჯვე და წინასწარმეტყველური იქნებოდა მათი ეს ალეგორიული დეპეშა. სამი თვეც არ იყო გასული, რომ „მთავარმა აქციონერმა“ თანამდებობა დაკარგა. ერთდროულად შეწყვიტა არსებობა მისი ხელმძღვანელობით დაარსებულმა ორთავიანი არწივის „აქციონერულმა საზოგადოებამ“.

11

დაღუპვა

მშვიდობა ქოხებს, ომი სასახლეებს!

წინადღე

სებასტიან შამფორი

მოგილიოვი, 1916 წელი. დეკემბრის მოღრუბლული დილაა. კანდელაბრებით განათებულ შტაბის საკონფერენციო დარბაზში სამხედრო საბჭოს სხდომა მიმდინარეობს. მთავარბანაკის შტაბის უფროსის ალექსეევის თავმჯდომარეობით გენერლები 1917 წლის მომავალ გაზაფხულ-ზაფხულის კამპანიის გეგმას იხილავენ.

მეფე ყურადღებით ადევნებს თვალს სიტყვაში გამოსულთ, ზოგჯერ რეპლიკებს, შეკითხვებს აძლევს, პაპიროსს აბოლებს. მოულოდნელად კარში კომენდანტ ვოეიკოვის ჩასკვნილი ფიგურა გამოჩნდება. იგი ცოტა ხანს ყოყმანობს, შემდეგ გაბედულად მიდის უმაღლეს მთავარსარდალთან და აწვდის დეპეშას, რომელზედაც აღნიშნულია: „ცარსკოე სელოდან". ნიკოლოზი კითხულობს, სახე უჭარხლდება. რასპუტინი მოკლეს... დეპეშის ტონი ისტერიულია: „წყალში იპოვეს. ლოცვებიც, აზრებიც თან გაიყოლა. დაე, ღმერთი იყოს ჩვენი შემწე. ალექსანდრა". მეფე დგება და დარბაზიდან გადის. ვოეიკოვს უბრძანებს მატარებელი მოამზადოს გასამგზავრებლად. გამგზავრებამდე კი დაცვის განყოფილების შეფის გენერალ გლობაჩევის მიერ ალექსეევისათვის გაგზავნილი პარალელური ინფორმაციიდან დაწვრილებით ეცნობა მომხდარ ამბავს.

რასპუტინი მოუკლავთ 16 დეკემბერს ღამით, მოიკის ქუჩაზე, იუსუპოვის სასახლეში. მკვლელობის მონაწილენი ყოფილან ფ. ფ. იუსუპოვი, ვ. მ. პურიშკევიჩი და დიდი მთავარი დიმიტრი პავლეს ძე („ოხრანკის" უფროსმა მაშინ არ იცოდა, რომ მკვლელობაში კიდევ ორი კაცი მონაწილეობდა: პორუჩიკი ა. ს. სუხოტინი და სამხედრო ექიმი ს. ს. ლაზავერტი). მკვლელობის მოტივები და ვითარება შეთქმულების მოთავეებმა შემდგომ, ემიგრაციაში ყოფნისას ჩამოაყალიბეს და გამოაქვეყნეს[1].

გამონათქვამი „წყალში იპოვეს" ასე უნდა გავიგოთ: ღამით იგი გამოიტანეს მალაია ნევკაზე და ხიდიდან გადააგდეს. მყვინთავებმა

პეტრეს ხიდთან მდინარის ფსკერი მოიხილეს და ვერაფერი იპოვეს, მაგრამ ერთ-ერთმა პოლიციელმა შემთხვევით ყინულჭრილთან რასპუტინის წავის ქურქის სახელო შენიშნა და გვამი წყლიდან ამოათრიეს. იმ ადგილს ჯარებმა ალყა შემოარტყეს. აქ მოვიდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი პროტოპოპოვი, იუსტიციის მინისტრი მაკაროვი და მთავრობის სხვა წევრები, „ოხრანკის“ შეფი გლობაჩევი, პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირნი, პეტროგრადის სამხედრო ოლქის სარდალი. ცნობა გვამის პოვნის თაობაზე მთელ ქალაქს მოედო, ყოველი კუთხიდან უწყვეტ ნაკადად დაიძრნენ ცნობისმოყვარეთა ეტლები და ავტომობილები, მაგრამ ხელისუფალთ პეტროგრადის მხარეს მაგისტრალი გადაკეტეს.

ჩიჩობგადაფარებული გვამი მდინარის ნაპირას ფარდულში დაასვენეს, შემდეგ პეტროგრადიდან ცარსკოე სელოსაკენ მიმავალ გზაზე მდებარე ჩესმენის სამლოცველოში გადაიტანეს. მისმა ასულებმა მატრონამ და ვარვარამ და ამ უკანასკნელის საქმრომ, პოდპოლკოვნიკმა ფხაკაძემ მიცვალებულის გოროხოვის 64-ში გადასვენება მოისურვეს, მაგრამ ხელისუფალთ ნება არ დართეს.

მოგვიანებით დადგინდა, რომ რასპუტინი მდინარეში ცოცხალი გადააგდეს. მან თოკით გაკოჭილი მარჯვენა ხელი გაითავისუფლა და სიცოცხლისათვის ბრძოლას ყინულის ქვეშაც განაგრძობდა. საწამლავით მოწამლული, ტყვიებით გულსა და ყელში სასიკვდილოდ დაჭრილი, ორ ადგილას თავჩამტვრეული დაიხრჩო კიდეც.

როცა ერთი დღე-ღამის შემდეგ მეფე ცარსკოე სელოს ბაქანზე მატარებლიდან გადმოვიდა, მან ჯგუფად შეკრებილი დანაღვლიანებული ქალიშვილები, ვაჟიშვილი და ცოლი დაინახა. ალექსანდრა თეოდორეს ასულმა სასახლეში მისვლამდე მოასწრო ეთქვა, რომ, ჯერ ერთი, განკარგულება გასცა დაწყებული გამოძიება შეეწყვიტათ „დინასტიის მტრების მიერ შეურაცხმყოფელი სკანდალის გაღვივების თავიდან აცილების მიზნით“; მეორე, პროტოპოპოვს სთხოვა რასპუტინის ბინის სახლ-მუზეუმად გადაკეთება, ხოლო ერთ ცნობილ პეტროგრადელ არქიტექტორს დაავალა დაეპროექტებინა ცარსკოე სელოში მარმარილოს მავზოლეუმი, სადაც არა უგვიანეს 1918 წლის ზაფხულისა გადაასვენებდნენ გრიგოლის ცხედარს. მანამდე კი იგი დაკრძალული იქნებოდა ცარსკოე სელოში, სასახლეებთან ახლოს, პარკის მიღმა.

ნაშუადღევს მთელი ოჯახი (უფროსი ქალიშვილის ოლგას გარდა)

დასაფლავებაზე წავიდა. „მოვისმინეთ მამა ვასილის ლოცვა და შინ დავბრუნდით“[2], ჩაწერა დღიურში ნიკოლოზ II.

ოჯახის წევრები ყოველდღე დადიოდნენ სასაფლაოზე. დიდხანს იდგნენ ბორცვთან, რომელსაც ხის სამლოცველო იფარავდა, და ლოცულობდნენ. დედოფალს „სასაფლაოზე თეთრი ყვავილები დააქვს; იგი ფერმკრთალია და სადაცაა აქვითინდება, მაგრამ ცდილობს თავი შეიკავოს“[3]. ალექსანდრა თეოდორეს ასული იმ დღეებში თავის თავზე წერს: „მზე კაშკაშებს... მე ისეთ სიმშვიდესა და სიწყნარეს ვგრძნობ მის ძვირფას საფლავზე. იგი მოკვდა, რათა ჩვენ გადავერჩინეთ“[4]. მაგრამ ამ გრძნობებს ყველა როდი იზიარებდა. უფრო სწორად, რასპუტინის დაობლებული წრის გარდა არავის სჯეროდა. ამის ერთგვარი გამოხატულება იყო ის, რომ მამა ვასილის ლოცვის შემდეგ პირველსავე ღამეს სასაფლაოზე ცარსკოე სელოს ოფიცრების ჯგუფმა სამლოცველოსთან საასენიზაციო კასრი მიაგორეს და შიგთავსი საფლავის ბორცვზე გადმოღვარეს. სამი თვის შემდეგ კი, თებერვალში, ჯარისკაცებმა გვამი ამოთხარეს და დაწვეს, სამლოცველო დაანგრიეს, ხოლო საფლავი მიწას გაუსწორეს.

ზოგიერთი ერთგულ-ქვეშევრდომული გაზეთი ახალ წელს ოპტიმისტურად შეხვდა. ახალ 1917 წელს მრავალი სიკეთის მომასწავებელი ამბით ვეგებებით, წერდა 30 დეკემბერს „მოსკოვსკი ვედომოსტი“. სხვა პროგნოზი შეიტანა თავის უბის წიგნაკში საფრანგეთის ელჩმა პალეოლოგმა: „რუსეთის ცის თანავარსკვლავედით თუ ვიმსჯელებთ, ახალი წელი საკმაოდ ავის მომასწავებლად იწყება. მე აქ ირგვლივ მოუსვენრობასა და სასოწარკვეთას ვხედავ... გამარჯვების უკვე აღარ სჯერათ...: მორჩილებით ელიან, რა საშინელება უნდა მოხდეს შემდეგში“[5].

„მორჩილების“ შესახებ გამოტანილი დასკვნა მის დაკვირვების უნარზე კარგს არას მეტყველებს. მაგრამ თუ „მოუსვენრობასა“ და „სასოწარკვეთილებაზე“ ვიმსჯელებთ, ამაში სიმართლე მეტი იყო. ქვეყანა მძიმე გასაჭირს განიცდიდა. 1916 წლის მიწურულისათვის, აღნიშნავდა კომპეტენტური მეთვალყურე ალექსანდრ ბლოკი, „რუსეთის სახელმწიფოს სხეულის ყველა ნაწილი ისე იყო დასნებოვნებული, რომ სატკივარი თავისთავად ვერ გაიელიდა, ვერც ჩვეულებრივი საშუალებებით განიკურნებოდა“[6].

მილიონობით ომში წაყვანილ მუშასა და გლეხს სანგრებში ძალღონე ელეოდა. ცხოვრების პირობები ზურგში სულ უფრო უარეს-

დებოდა. ახლოვდებოდა ნგრევა — ცარიზმმა უმწეობის შედეგად თავ ვერ გაართვა ომიანობის სიძნელეებს. ტრანსპორტი დაძაბულობას ვერ უძლებდა. მუშაძალის, საწვავისა და ნედლეულის მწვავე ნაკლებობის გამო ზოგიერთმა ფაბრიკა-ქარხანამ შეამცირა წარმოება, ხოლო სხვები საერთოდ გაჩერდნენ. გამოილია ქალაქებში პურის მარაგი; პეტროგრადს მხოლოდ 10—12 დღის ფქვილიღა ჰქონდა. სულ უფრო მატულობდა ფასები. შიმშილის საფრთხე შეექმნათ სამრეწველო ცენტრებს. არნახულ მასშტაბს მიაღწია სპეკულაციამ და კორუფციამ, გამორჩენამ სამხედრო მასალების მიწოდებასა და საბირჟო მაქინაციებში. ამავე დროს გრძელი რიგები იმართებოდა საფუნთუშეებსა და ფარდულებთან.

როცა სოციალოლოგები 1917 წლის თებერვალში ცარიზმის „მოულოდნელ" დაღუპვაზე ლაპარაკობენ, ამ რიგებს საბედისწერო როლს აკუთვნებენ. მათზე დაწვრილებით ჩერდება კენანი. მათ არსებობას ხაზს უსვამს რედკი. ამას აკეთებს იგი ზოგიერთ ემიგრანტ ლიდერზე დაყრდნობით, რომლებიც ამტკიცებენ, თითქოს პეტროგრადელი მუშები 1917 წლის თებერვალში „მეფე-შიმშილმა" ქუჩაში „გაყარა". მურხედიც თვლის, რომ „პეტროგრადის უბრალო ადამიანების გონებაში დომინირებდა საჭმლის სურვილი"[7]. ოჰ, როგორ ძალიან უნდათ ანტიკომუნისტებს, რუსეთის ხალხთა მასები იმ დღეებში წარმოადგინონ როგორც „მოქალაქეობრივ სულს მოკლებულნი", რომლებიც გატაცებული იყვნენ უშუალოდ „კუჭის ინტერესებით" და აქედან გამომდინარე, ამ რიგების გამო ცოფი ერეოდათ... რაღა თქმა უნდა, პურის რიგებმა, ისე როგორც თოვლით ამოვსებულმა სანგრებმა, უკიდურესად აღაშფოთა უბრალო ადამიანები. მაგრამ ცარიზმს კისერი სასურსათო სიძნელეების გამო არ წაუტეხია, თუმცა ისინი სერიოზულ ხასიათს ატარებდნენ. 1917 წლის დამდეგის მოვლენები საბოლოო რგოლი იყო იმ ხანგრძლივი ბრძოლისა, რომელსაც ხალხი ეწეოდა თაობათა მანძილზე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და რომელმაც არნახულ გაქანებასა და გაბედულებას მიაღწია მეოცე საუკუნის დამდეგიდან.

მუშათა და განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთში 1917 წელს კი არ წარმოიშვა, არამედ მასზე დიდი ხნით ადრე, და ვითარდებოდა იგი მუშათა კლასის ავანგარდის — ბოლშევიკური პარტიის დაუცხრომელი და შეუნელებელი ხელმძღვანელობით. ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა ცდა, დაამცირონ როგორც მოძრაობის, ისე ამ ხელმძღვანელო-

ბის როლი, უაზრობაა. საკმარისია ითქვას, რომ საგაფიცკო მოძრაობის მასშტაბი რუსეთში 1914 წლის პირველ ნახევარში აღემატებოდა მთელი რევოლუციური 1905 წლის მასშტაბებს. რუსეთის მუშათა მოძრაობის ეს საოცარი აღმავლობა მსოფლიო ომის წინ მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტთან, რომ იმ დროისათვის რუსეთის მუშების შეგნებული ნაწილის $^4/_5$ ბოლშევიკები იყვნენ, რომ 1912—1914 წლებში ბოლშევიკურ პარტიას მიჰყვებოდა რუსეთის მუშათა კლასის უმეტესი ნაწილი. ომის წლებში კი პოლიციურ-ჟანდარმული ტერორის უმოწყალო პირობების მიუხედავად ბოლშევიკური ორგანიზაციები არსებობდნენ და განაგრძობდნენ მუშაობას ქვეყნის 200-ზე მეტ ქალაქში[8]. ისინი მოქმედებდნენ შეიარაღებულ ძალებშიც: მარტო ჩრდილოეთისა და დასავლეთის ფრონტებზე 110 ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაცია ითვლებოდა.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციურ იატაკქვეშეთში არ არსებობდა იმაზე უფრო შემჭიდროებული, ძლიერი და ავტორიტეტული პარტია, ვიდრე ბოლშევიკებისა. მისი კავშირი ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროსთან, რომელსაც სათავეში ედგა ლენინი, ისევე მტკიცე იყო, როგორც ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროსი, რომელიც სისტემატური დევნისა და დანაკარგის მიუხედავად (დაპატიმრებათა შედეგად) მაინც შეუპოვრად განაგრძობდა მუშაობას. თუ რაოდენ საშიში იყო ცარიზმისათვის ბოლშევიკების ეს მოღვაწეობა ხალხთა ფართო მასებში, ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს შორის, მეფის ხელისუფალთ ძალიან კარგად ესმოდათ. ამას მოწმობს რევოლუციის შემდეგ „ოხრანკისა“ და პოლიციის, ცენტრალური და ადგილობრივი ჟანდარმერიის სამმართველოების არქივებიდან ამოღებული ვრცელი დოკუმენტაცია, რომელიც სხვადასხვა დროს ნაწილ-ნაწილ ქვეყნდებოდა სსრ კავშირის პერიოდულ პრესაში[9]. ეს ხანგრძლივი, შეუპოვარი, ხშირად გმირული გულმოდგინებით გაწეული მუშაობა მთლიანად გამოვლინდა 1917 წლის თებერვალში, როცა ცარიზმის წინააღმდეგ ხალხის აშკარა შეიარაღებული შეტაკების საათმა ჩამოჰკრა.

ვ. ი. ლენინის სხარტი გამოთქმით, „სისხლითა და ტალახით სავსე რომანოვების მონარქიის ფორანი“ 1917 წლის თებერვლის ძალზე საშიშ ისტორიულ მოსახვევში „უ მ ა ლ ვ ე“ გადაბრუნდა. ასეთი რამ რომ მომხდარიყო, აუცილებელი იყო მთელი რიგი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის პირობების შესაბამისობა; მსოფლიო ისტორი-

ის არაჩვეულებრივი დაჩქარებაც. პირველი მსოფლიო ომი გახდა კიდევაც რევოლუციის დიდი, მძლავრი და ყოვლისშემძლე რეჟისორი, რომელმაც, ერთი მხრივ, დააჩქარა უზარმაზარი მასშტაბით მსოფლიო ისტორიის დინება, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოშვა „არნახული ძალის მსოფლიო კრიზისები: ეკონომიკური, პოლიტიკური, ეროვნული და ინტერნაციონალური“[10].

აი, ამ პროცესების შედეგები: სულ რვა დღეში დაემხო რუსეთში საუკუნეების მანძილზე არსებული მონარქია. ზოგიერთ ბურჟუაზიულ პოლიტიკოსს მოვლენათა ესოდენ სწრაფი დინება „სასწაულად“ მოეჩვენა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რაოდენ ხანგრძლივი რევოლუციური ბრძოლა უძღოდა წინ თებერვალს, რაოდენ ძნელი და თავგანწირული გმირობის გზით მიდიოდა რუსეთის მშრომელი ხალხი ცარიზმზე გამარჯვებისაკენ, „სასწაული“ არ მომხდარა.

თვითმპყრობელობის დამხობამდე 12 წლით ადრე, რუსეთის პირველი რევოლუციის დაწყებისას, ვლადიმერ ილიას ძე აღნიშნავდა, რომ რუსეთში „პოლიტიკური ზედნაშენის ჩამორჩენილობა საზოგადოებრივ ურთიერთობაში მომხდარი გადატრიალებისაგან, ზედნაშენის კრახს გარდუვალს ხდის“, და იქვე ხაზგასმით ამბობს: „... სავსებით და სავსებით შესაძლებელია კრახი ერთბაშად, ერთი დაკვრით, რადგან „სახალხო რევოლუციამ“ რუსეთში უკვე ასჯერ დაარტყა ცარიზმს, და არ ვიცით, მას ასპირველი თუ ასმეათე დარტყმა მოუღებს ბოლოს“[11].

ამ „ასი დარტყმიდან“ ერთ-ერთი, ამასთან ყველაზე ძლიერი, რომელმაც ცარიზმს საძირკველი შეურყია, აღმოჩნდა 1905—1907 წლების რევოლუცია. მისი მნიშვნელობა მომდევნო — თებერვლის რევოლუციისათვის, გამოხატულია ლენინის შემდეგ სტრიქონებში: „თუ არა სამი წლის უდიდესი კლასობრივი ბრძოლები და რუსეთის პროლეტარიატის 1905—1907 წლების რევოლუციური ენერგია, ისე შეუძლებელი იქნებოდა ესოდენ სწრაფი მეორე რევოლუცია, სწრაფი იმ აზრით, რომ მისი დაწყებითი ეტაპი რამდენიმე დღეში დამთავრდა“. და შემდეგ: „ეს რვა დღის რევოლუცია, თუ შეიძლება ასე მეტაფორულად ითქვას, ზუსტად იქნა „გათამაშებული“ ათიოდე მთავარი და მეორეხარისხოვანი რეპეტიციის შემდეგ: „მსახიობები“ თავით ფეხებამდე იცნობდნენ ერთმანეთს, ჩინებულად იცოდნენ თავიანთი როლები, თავიანთი ადგილები, გარემო, პოლიტიკურ მიმარ-

თულებათა ყველა რამდენადმე თვალსაჩინო ელფერი და მოქმედების ხერხები"[12].

ლენინის თქმით, „რეპეტიციის" მთავარ ძალას, რომელიც წინ უსწრებდა თებერვლის რევოლუციას, პროლეტარიატი წარმოადგენდა. ლენინს ძალზე გარკვევით აქვს აღნიშნული, რომ მოვლენებს წინ სწევდა პროლეტარიატის რევოლუციური ენერგია. კლასები, სოციალური ჯგუფები — აი, ვინ იყვნენ, ლენინის განსაზღვრით, „აქტიორები", რომლებიც თებერვლამდე კარგახნით ადრე სწავლობდნენ ვითარებას, ერთმანეთს და შეიგნეს თავიანთი როლი და ადგილი რევოლუციაში. უახლესი სოვეტოლოგები აქ პატარა ოინბაზობას მიმართავენ. ლენინის ზემოთ მოტანილ მეტაფორას ორ ნაწილად ჰყოფენ: პირველს, იმ სტრიქონებს, სადაც პროლეტარიატსა და მის რევოლუციურ ენერგიაზეა ლაპარაკი, ყურადღების გარეშე ტოვებენ; მეორე ნაწილში პროლეტარიატს მასონებით ცვლიან, მის რევოლუციურ ენერგიას — მასონური ხრიკებით და, ამგვარად, ლენინის დებულების თავიდან ბოლომდე დამახინჯებით, საზეიმოდ აცხადებენ: აი, ხედავთ, ლენინიც ადანაშაულებდა მასონებს, ლენინიც ხედავდა მათში ბოროტების საწყისს! რა თქმა უნდა, ასეთი ოინების ავტორების გაგება ადამიანურადაც შეიძლება. მათ უნდათ დაამტკიცონ თებერვლის „მასონური" წარმოშობა, მაგრამ დასამტკიცებელი არა აქვთ რა, გარდა შულგინის ვითომდა მოწმობისა და თეთრგვარდიელი ემიგრანტი მოხუცი ქალის კუსკოვას რაღაც წერილისა. მანიპულაცია თითქოს არცთუ ისე დიდია, მაგრამ სოლიდურ გაიძვერობას კი მოიცავს.

სინამდვილეში ლენინს მასონობის შესახებ არაფერი უთქვამს. შავრაზმული გამონაგონი „მსოფლიო მასონურ შეთქმულებაზე" იმდენად აშკარაა, რომ მისი „გარჩევა" ანდა „ანალიზი". სადავოდ გახდომა ანდა უარყოფა რომელიმე დისკუსიაზე, მუშათა კლასის ბელადმა საჭიროდ არ ჩათვალა. ლენინს, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე მშრომელი ხალხის მტრების ყოველგვარი ვერაგობის წინააღმდეგ იბრძოდა, მთელ დროს ბურჟუაზიის მიერ მშრომელთა მასების მოტყუებისა და ექსპლოატაციის ნებისმიერი განზრახვის მხილებას ანდომებდა, ყურადღება არათუ არ შეუჩერებია მასონობაზე—იგი მოხსენიების ღირსადაც არ ჩაუთვლია. ლენინის 55-სავე ტომში, სადაც საუკუნის სამი მესამედი მუშათა კლასის საქმისათვის ცხარე ბრძოლებს აქვს დათმობილი, თვით სიტყვა „მასონობა" არც ერთხელ მოხსენიებული არ არის.

საბჭოთა ისტორიოგრაფია და პუბლიცისტიკა დროდადრო საკადრის პასუხს აძლევდა „მსოფლიო მასონური შეთქმულების“ მომხრე ბნელეთის მოციქულთა ვერსიას, ასევე იძლეოდა ამ მოვლენის ზოგიერთ ზოგად მხარეთა მეცნიერულ შეფასებას[13]. მართებული იქნება აქვე აღვნიშნოთ, რომ თავად ბურჟუაზიული ავტორებიც ხშირად გამოთქვამენ სკეპტიკურ დამოკიდებულებას ზოგიერთი თავიანთი კოლეგის „მასონური“ გამონაგონების მიმართ. სეტონ-უოტსონის აზრით, მაგალითად, „მასონების როლი თებერვლის რევოლუციაში დამაჯერებელი არ არის“. აშერი 1917 წლის თებერვლის „მასონურ შეთქმულებას“ უწოდებს „ხელოვნურ მითს“, ვერსიას მის შესახებ კი — „წინასწარ აკვიატებულს, ცალმხრივსა და არადამაჯერებელს“[14].

ამ „კონცეფციას“ საგრძნობი დარტყმა მიაყენა ოდესღაც კადეტების პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, ყოფილმა თავადმა ვ. ა. ობოლენსკიმ, რომლის მოგონებებიც (ნაწყვეტებად) ამერიკელმა ისტორიკოსმა ნათან სმიტმა ერთ-ერთ თავის ნაშრომში ჩართო. 1910/11 წლების ზამთრიდან 1916 წლამდე ობოლენსკი მასონური ლოჟის მოთავედ ითვლებოდა პეტერბურგში. საქმესთან პირდაპირი და უშუალო დამოკიდებულებიდან გამომდინარე, იგი ადასტურებს, რომ „კერძოდ რუსეთში ნამდვილი მასონები არ ყოფილან, იყვნენ მხოლოდ რაღაც მათი მსგავსნი“ (როგორც გოგოლი ამბობს — „არც ის და არც ეს, ეშმაკმა იცის, რა“). ყოველ შემთხვევაში, ამტკიცებს ობოლენსკი, ისინი არავითარ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენდნენ. და განა მარტო ეს. ობოლენსკი აცხადებს, რომ მასონებს არავითარი კავშირი არ ჰქონდათ რევოლუციურ მოძრაობასთან. თუკი მათ პირად პოლიტიკურ სიმპათიებზე ვიტყვით რაიმეს, უნდა აღინიშნოს, რომ „მასონებს შორის ბევრი იყო რევოლუციის მოწინააღმდეგე. უმეტესობა, რომელსაც მეც ვეკუთვნოდი, ყოველ შემთხვევაში, რევოლუციის წინააღმდეგი იყო... საერთოდ კი მასონობა რევოლუციის მხარეზე არ იდგა“. მაგრამ შეიძლება მასონობას უნდოდა რევოლუცია თავისი ამა თუ იმ მიზნისათვის გამოეყენებინა? — სვამს კითხვას იგი. არა. „მე ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხო“.

უფრო მეტიც. წერს იგი: „შეუძლებელიც კია იმის წარმოდგენა, თითქოს მასონებს შეეძლოთ რაიმე როლის შესრულება თებერვლის რევოლუციაში, თუნდაც მარტო იმის გამო, რომ ისინი ერთმანეთისაგან მტრულ სხვადასხვა პარტიას ეკუთვნოდნენ, შეჭიდულობის ძალა კი ნებისმიერ ამ პარტიაში განუზომლად უფრო დიდი იყო, ვიდრე

ეგრეთ წოდებულ მასონურ ძმობაში... მტრობა ისე თიშავდა მათ ერთმანეთისაგან, რომ თებერვლის დღეებში მათი ერთად შეკრება ვერც ერთხელ ვერ შევძელი, ერთად მაგიდასთან ჯდომა უკვე აღარ შეეძლოთ. ხოლო ბოლშევიკურ რევოლუციაში და სამოქალაქო ომში ჩვენმა ლოჟამ არსებობა საერთოდ შეწყვიტა"[15].

შულგინის დამოწმებას მასონობის „ძლიერების" შესახებ დღესაც ეყრდნობიან. 1975 წლის აგვისტოში ამ წიგნის ავტორთან საუბრისას შულგინმა სულ სხვა რამ თქვა: „ამ შემთხვევაში მე არავითარი მოწმე არა ვარ. მასონები არ მინახავს, მათ არ შევხვედრივარ, რა ხალხია არ ვიცი. მხოლოდ ერთხელ წამოიწყო ლაპარაკი მათ შესახებ ჩემი თანდასწრებით ვ. ა. მაკლაკოვმა პარიზში. იგი რაღაცას ჰყვებოდა მათზე, დამცინავი ყოყოჩობით საკუთარი თავიც მათ მიაკუთვნა, მაგრამ მისი ყბედობისათვის რაიმე მნიშვნელობა არ მიმიცია. ყბედები და ტაკიმასხარები რომ იყვნენ და თავს ისულელებდნენ, ეს ჯერ კიდევ ტოლსტოის აქვს ნაჩვენები, როცა პიერ ბეზუხოვზე ლაპარაკობს".

1917 წლის დამდეგია... რასპუტინი აღარ არის. სასახლის პარკის უკან, მინდორში, მის საფლავთან მისასვლელი ბილიკი იანვრის ნამქერმა დაფარა. წარჩინებულთ და საქმოსნებს უკვე აღარ შეეძლოთ თავიანთი შეცდომები და მარცხი მისთვის გადაებრალებინათ. ხალხის მოთმინების ფიალაც აიესო...

ჯერ კიდევ 1916 წლის ბოლოს ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურომ პეტერბურგისა და მოსკოვის ორგანიზაციებს შესთავაზა საყოველთაო გაფიცვისათვის მზადება, უფრო ფართო გამოსვლებზე გადასვლა. ხელმძღვანელობა ორიენტაციას უწევდა პარტიულ ორგანიზაციებს ეკონომიკური ხასიათის ცალკეული გაფიცვებიდან მასობრივ-პოლიტიკურ ბრძოლაზე გადასვლისათვის, რევოლუციურ მოძრაობაში ჯარისკაცების ჩაბმისა და შეიარაღებული აჯანყებისათვის მომზადებაში. ორივე დედაქალაქის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს ქუჩებში გამოსვლები დაეკავშირებინათ 9 იანვრისათვის — სისხლიანი კვირის 5 წლისთავისათვის. იმ დღეს პეტროგრადში გაიფიცა 150 ათასი მუშა. გაიფიცნენ აგრეთვე მოსკოვში, ნიჟნი ნოვგოროდსა და სხვა დიდ ქალაქებში.

მთელი იანვარი მეტწილად პოლიტიკური ხასიათის გაფიცვებით აღინიშნა. დედაქალაქი ომისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული ყოველდღიური სახალხო გამოსვლების არენად იქცა. 1917 წლის დამდეგისათვის დაახლოებით 400 ათასი კაცისაგან შემ-

დგარი პიტერის პროლეტარიატი მზარდი რევოლუციის პირველ რიგებში იდგა. ბოლშევიკები გაჰყვნენ მასებს და წინ მიუძღოდნენ მათ. წარმოადგენდნენ რა რევოლუციური იატაკვეშეთის ძლიერ პარტიას, რომელსაც ფესვები პროლეტარიატის სიღრმეში ჰქონდა გადგმული, ბოლშევიკებს რევოლუციურ მოძრაობაში შეჰქონდათ ორგანიზებულობა, უმზადებდნენ მას საბრძოლო ლოზუნგებს, მიუთითებდნენ რევოლუციურ პერსპექტივებზე, განამტკიცებდნენ მუშებისა და ჯარისკაცების კავშირს. მენშევიკ-ობორონცების საპირისპიროდ, რომლებიც აცხადებდნენ დაეცვათ სახელმწიფო სათათბირო, კუდში გაჰყოლოდნენ ლიბერალურ ბურჟუაზიას, ბოლშევიკები მოუწოდებდნენ პროლეტარიატს მოეწყოთ გაფიცვები და დემონსტრაციები, აშკარა ბრძოლა გაეჩაღებინათ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ეს მოწოდება „ითვალისწინებდა ქვეყნად მომწიფებულ რევოლუციურ სიტუაციას და პასუხობდა პიტერის პროლეტარიატის საბრძოლო განწყობილებებს. იგი ავითარებდა მის რევოლუციურ ენერგიას, მიმართავდა ცარიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი მოქმედებისაკენ“[18].

მეფე ორ თვეს ალექსანდრეს სასახლეში ცხოვრობდა და რასპუტინის დასაფლავების შემდეგ საკუთარი სულიერი წონასწორობის აღდგენას ლამობდა. გრძნეული ბერის სიკვდილით გამოწვეული მწუხარების გამო ხელმწიფეს როგორღაც დაავიწყდა, რომ არსებობდა სამიათასვერსიანი ფრონტი, სადაც მუხლამდე თოვლსა და ტალახში გერმანელთა შრაპნელებით მიზანში ამოღებული 12 მილიონი ჯარისკაცი იბრძოდა, რომ იგი, უმაღლესი მთავარსარდლის წოდების მქონე სრულიად რუსეთის იმპერატორი, მათ სიცოცხლესა და სიკვდილს განაგებდა. მაგრამ დრო იყო მოგილიოვში მიტოვებული საქმეებისათვის მიეხედა. 22 თებერვალს თედორეს ტაძრის ზარების რეკვამ ტრადიციული წესის თანახმად იმპერატორი ალექსანდრეს სადგურამდე მიაცილა, საიდანაც მისი ცისფერი მატარებელი ნიკოლოზის რკინიგზაზე უნდა გასულიყო. ფრედერიკსის (სასახლის მინისტრი), ნარიშკინის (სამხედრო-საველე კანცელარიის უფროსი), ვოეიკოვის (სასახლის კომენდანტი), გრაბეს (მებადრაგეთა უფროსი), ფეოდოროვის (ლეიბ-ექიმი), პრინც ლაიხტენბერგისა და მორდვინოვის (ფლიგელ-ადიუტანტი) და კიდევ ზოგიერთთა თანხლებით იგი კვლავ მიემგზავრება მთავარბანაკში, რათა განაახლოს იქ თავისი სამხედრო-სტრატეგიული მოღვაწეობა. მგზავრობისას მეფე „გალის ომის ჩანაწერების“ კითხვით ირთობს თავს.

გვიანია. რომანოვების მეფობისათვის ისტორიის მიერ დაშვებული უკანასკნელი ვადები იწურება. ცისფერ მატარებელს პეტროგრადიდან უკან მიჰყვება რევოლუციური ჭექა-ქუხილი. ნიკოლოზს აზრადაც არ მოსვლია, რომ ამ მგზავრობიდან სულ რაღაც 16 დღის შემდეგ მას ტახტიდან ჩამოაგდებდნენ და დააპატიმრებდნენ, რომ თავის სიცოცხლეში, რომელიც აღსასრულს უახლოვდებოდა, ვეღარ იხილავდა თავისუფლებას.

23 თებერვალს, საღამოს, იმპერატორის მატარებელი მოგილიოვში ჩავიდა. ბაქანზე მას დახვდა ალექსეევი, რომელიც მხოლოდ წინა დღით დაბრუნდა ყირიმიდან (მეფემ მას სანატორიუმის კურსის გასავლელად სევასტოპოლში 1916 წლის 8 ნოემბრიდან 1917 წლის 22 თებერვლამდე შვებულება მისცა; ამ პერიოდში მთავარსარდლის ბანაკს ალექსეევისა და ნიკოლოზ II მაგივრად გენერალი ვ. ი. გურკო ხელმძღვანელობდა).

ის იყო ალექსეევმა და გურკომ მაგიდაზე რუკა გაშალეს, რათა უმაღლესი მთავარსარდლისათვის ფრონტზე შექმნილი ვითარება მოეხსენებინათ, რომ იმავე მაგიდაზე წარჩინებულთა და სათათბიროს წევრთა დეპეშები ერთმანეთის მიყოლებით დახვავდა. ისინი იტყობინებოდნენ ზურგის მდგომარეობის შესახებ. ცნობები ერთიმეორეზე საგანგაშო იყო: დედაქალაქს სახალხო მღელვარება აზანზარებდა. ეტყობოდა რევოლუცია იწყებოდა.

ნიკოლოზ II მოსარჩლენი დასავლეთში თითქმის ერთხმად ირწმუნებიან, რომ ეს დეპეშები მოულოდნელი იყო მისთვის. რევოლუციამ თითქოს უეცრად დაიქუხა. მას არავინ, მათ შორის თვით მეფეც, არ მოელოდა და არც წინასწარ გრძნობდა.

მთლად ასე როდია, დროთა სიღრმიდან გვაწვდის ხმას „ოხრანკის“ შეფი გენერალი გლობაჩევი. მას საყვედურობენ, რომ თებერვლის რევოლუციის „მოულოდნელობამ“ თითქოს გამოავლინა სრული უმწეობა ცარიზმის საიდუმლო სამსახურისა. რომელმაც დროულად ვერც რაიმეს განჭვრეტა შეძლო და ვერც შეტყობინება. მაგრამ, მოითმინეთ, რა იყო აქ მოულოდნელი?

1917 წლის 5 იანვარს გლობაჩევი მოხსენებით ბარათში მთავრობას აფრთხილებდა. „განწყობილება დედაქალაქში განსაკუთრებით საგანგაშოა“, პოლიტიკური მომენტი 1905 წლის წინა პერიოდს მომაგონებს... 19 იანვარს იგი კვლავ სრულიად საიდუმლოდ ატყობინებდა იმპერატორს, რომ „მოსახლეობა დაუშვებელი მკაცრი ტოხით

აშკარად აკრიტიკებს მთავრობის ყველა ღონისძიებას“, ამასთან გაისმის ხმები, რომლებიც „ხელმწიფე-იმპერატორის უწმინდეს პიროვნებასაც კი შეეხება“. შეიძლება მთავრობას „ბრძოლა მოუხდეს არა უმნიშვნელო ჯგუფთან... სათათბიროს წევრებთან, არამედ მთელ რუსეთთან“. გლობაჩევმა 26 და 31 იანვარს, 1, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10 და 13 თებერვალს ატეხა განგაში. იგი მთავრობისათვის წარდგენილ თავის საიდუმლო მოხსენებებში შიშს გამოთქვამდა, რომ მოსახლეობის მზარდი უკმაყოფილება არ გამხდარიყო „უკანასკნელი ეტაპი ყველაზე საშინელი რევოლუციის დაუნდობელი ექსცესების დაწყების გზაზე“[17].

მეფეს სასწრაფოდ აცნობა დედაქალაქში დაწყებული მღელვარების შესახებ მისმა მეუღლემაც. იგი მისთვის დამახასიათებელი სტილითა და თავისებური შორსმჭვრეტელობით იტყობინებოდა პეტროგრადში მომხდარ ამბებზე, თითქოს ეს მხოლოდ „ხულიგნური მოძრაობაა“, ახლა „გოგო-ბიჭები ქალაქში დარბიან და ყვირიან, რომ არა აქვთ პური. და ეს უბრალოდ იმისთვის ხდება, რომ გამოიწვიონ მღელვარება... ცივი ამინდი რომ ყოფილიყო, ისინი სახლებში ისხდებოდნენ...“[18]. კენანისა და რედკის აზრით, გადატრიალება არ მოხდებოდა, პეტროგრადის საფუნთუშეებში კალაჩები საკმაოდ რომ ყოფილიყო. ალექსანდრა თეოდორეს ასულის თეზისის თანახმად კი, რევოლუცია არ მოხდებოდა, ყინვას რომ ცოტა მაგრად მოეჭირა. მაგრამ არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც (ალექსანდროვისა): „თერმომეტრი ზოგჯერ 40°-მდე ეცემოდა... დედაქალაქთან რელსებს ლოდებივით მიჰყინვოდა 200 სასურსათო მატარებელი... პურის ფარდულები გამოცარიელდა“[19].

ასეთი იყო შემთხვევითობანი და ესოდენ შორს წასული მისი შედეგები... ჰარკეივის გამოთქმით, თავგასული „ლუმპენები“ მთელს პეტროგრადს მოედვნენ, ისინი დასდევენ უმწეო პოლიციელებს და კლავენ, მხოლოდ არ იციან, რისთვის და რატომ; „ლუმპენებს“ არ აქვთ არც ლოზუნგები, არც პროგრამა, არ ჰყავთ ლიდერები, მათ უბრალოდ აიწყვიტეს დაუსჯელობის გამო და აზარტში შესულნი გიჟობენ: ხელისუფალთ ხელები ჩამოუშვიათ, თვითონ იმპერატორს კი მოგილიოვში არაფრის გაკეთება არ შეუძლია. „ეს კრიზისი, რომელსაც რომანოვები შეეჯახნენ, — წერს ჰარკეივი,—არავის მიერ არ ყოფილა დაგეგმილი, არავის მიერ არ ყოფილა მომზადებული. იგი იყო ლოკალური, თავდაპირველად დრამატულობას მოკლებული, და მი-

უხედავად ამისა, — თითქმის წარმოუდგენელია! — რომანოვებისათვის უკანასკნელი გახდა"[20]

მაშ ასე, რა ედო საფუძვლად ძოვლენებს? შემთხვევითობა. უიღბლობა. დამთხვევები. ამინდის ჭირვეულობა. სასტიკი ქარაფშუტობა და საბედისწერო ლაყბობა. მეფე ვერაფერს გრძნობდა წინასწარ. არაფერში ეჭვი არ ეპარებოდა. თითქოსდა მოულოდნელად წაადგნენ თავს.

არა, მან ყველაფერი იცოდა. თავის დროზე იყო ინფორმირებული და გაფრთხილებული. ობერ-დამცველმა განგაში მაშინ ატეხა, როცა საჭირო იყო. იგი კეთილსინდისიერად აწვდიდა ცნობებს. დადგა ისტორიული თებერვალ-მარტის კვირა, თვითმპყრობელობის დამხობის კვირა. და აი, ამ რვა დღე-ღამეში, ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე, როგორ მოექცა ნიკოლოზი მისთვის მიწოდებულ ინფორმაციას, თავის თანამშრომლებს, დროსა და ბედს.

დღეები პირველი—მეოთხე

ხ უ თ შ ა ბ ა თ ი, 23 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი.

მოგილიოვში მეფემ სადილად ანტანტის სამხედრო მისიათა მეთაურები მიიწვია.

პეტროგრადის ქუჩებში გამოვიდა 128 ათასი გაფიცული. ისინი ყვიროდნენ: „ხავი და პური!" გამოჩნდა წითელი დროშები და პლაკატები წარწერებით: „ძირს ომი!" „გაუმარჯოს რევოლუციას!" ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მიტინგებსა და დემონსტრაციებში აქტიური მონაწილეობა მიიღო ათიათასობით მუშა ქალმა. ქალაქის სხვადასხვა კუთხეში მღეროდნენ „მარსელიოზას".

შუადღემდე მდგომარეობას ჯერ კიდევ პოლიცია აკონტროლებდა, მაგრამ 2 საათიდან, როგორც საპოლიციო პატაკშია აღნიშნული, „დედაქალაქში წესრიგისა და სიმშვიდის დაცვა სამხედრო ხელისუფლებმა ითავეს".

საღამოს მუშა ი. ალექსანდროვის ბინაზე შედგა პეტროგრადელი ბოლშევიკების ხელმძღვანელობის სასწრაფო თათბირი ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს წარმომადგენლების მონაწილეობით. გადაწყდა: გაფიცვის გაგრძელება და გაფართოება; დემონსტრაციების მოწყობა ნევის პროსპექტზე; აგიტაციის გაგრძელება ჯარისკაცებს შორის; მუშების შეიარაღების დაწყება; განისაზღვრა მოძრა-

ობის ორი მთავარი ლოზუნგი: მონარქიის დამხობა და ომის შეწყვეტა

იმავე საღამოს ბოლშევიკების პარტიის ნარვის რაიკომმა მიიღო გადაწყვეტილება პუტილოვის ქარხანაში მომუშავე ჯარისკაცების მუშათა კლასის მხარდასაჭერად ბრძოლაში ჩაბმის შესახებ.

დედაქალაქი შიმშილობდა. ფქვილის მარაგი 500 ათას ტონას შეადგენდა. ყოველდღიურად მინიმუმ 40 ათასი ფუთის გაცემის შემთხვევაში, იგი შეიძლებოდა მხოლოდ 10—12 დღეს ჰყოფნოდათ.

პ ა რ ა ს კ ე ვ ი, 24 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი.

მეფე დღიურში აღნიშნავს, რომ იგი ბელგიის ორდენით „Croix de Guerre“ დააჯილდოეს. ალექსანდრა თეოდორეს ასულმა ცარსკოე სელოდან დეპეშით აცნობა მას, რომ მათი ვაჟი და ორი ქალიშვილი წითელათი გახდნენ ავად. დედოფალი ახლა ბავშვების საწოლთან არის მიჯაჭვული.

გაფიცულთა რიცხვი პეტროგრადში 200 ათასამდე გაიზარდა. ვასილის კუნძულზე მუშებს შეუერთდნენ სტუდენტები. დემონსტრანტები ისწრაფიან გაიჭრან ქალაქის ცენტრისაკენ, აი, უკვე გამოჩნდნენ ნევის პროსპექტზე. პოლიცია და მასთან ერთად ქვეითი და ცხენოსანი ქვედანაყოფები, რომლებიც ჯერ კიდევ მონაწილეობენ ხალხის დამშვიდებაში, ცდილობენ მათ გაფანტვას, იშველიებენ მათრახებს, კონდახებს, ხმლებს. შუადღისათვის ზნამენსკის მოედანი ზღვა ხალხით გაივსო. ცხენოსან პოლიციელთა ცდას, ხელი შეეშალათ დემონსტრაციისათვის, სტვენით, საპროტესტო შეძახილებით შეხვდნენ, სეტყვასავით დაუშინეს ყინულის ნამსხვრევები... გვიან ღამემდე არ შემწყდარა ნევის პროსპექტზე მიტინგები, გაისმოდა მგზნებარე სიტყვები. ლოზუნგი „პური!“, რომელიც წინათ დომინირებდა, ახლა შთაინთქა წარწერებიან დროშებში: „ძირს ცარიზმი! ძირს ომი!“

იმ დღეს ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურომ დაადგინა: ენერგიულად განევითარებინა მოძრაობა შემდგომში, რათა იგი გადაზრდილიყო საერთო-პოლიტიკურ გაფიცვაში: კიდევ უფრო გაეაქტიურებინათ აგიტაცია ჯარისკაცებს შორის. გადაწყდა, ფართო ინფორმაცია მიეწოდებინათ მოვლენათა მსვლელობის შესახებ „დედაქალაქის მიმდებარე ქალაქებისათვის“ და მოსკოვის პარტიული ორგანიზაციისათვის.

მოგილიოვში მეფე ბრძანებას აძლევს ალექსეევს: ტელეგრაფით

აცნობოს პეტროგრადის სამხედრო ოლქის სარდალს გენერალ ს. ს. ხაბალოვს, რომ მას ეკისრება დედაქალაქში ყოველგვარი დამაშოშმინებელი ოპერაციების ხელმძღვანელობა.

მარინის სასახლეში, როგორც ყოველთვის, პარასკევს მინისტრთა საბჭოს სხდომა ტარდება. სხდომიდან გამოსული მინისტრები გაოცებულნი არიან, რომ შინამდე ვერ გაუღწევიათ; კერძოდ, პრემიერ-მინისტრმა ნ. დ. გოლიცინმა ვერ შეძლო მოხოვოიზე მოხვედრა, ისე იყო ქუჩა დემონსტრანტებით გადაჭედილი.

შემდგომში სოვეტოლოგებმა განსაკუთრებით მკაცრად გააკრიტიკეს მეფის მთავრობა მასობრივი მღელვარების მეორე დღეს დაშვებული შეცდომებისათვის. მათი აზრით, „ჯერ კიდევ ბევრი რამის გადარჩენა შეიძლებოდა". მესი, ფრენკლენდი და პარკეიევი შინაგან საქმეთა მინისტრს ა. დ. პროტოპოპოვსა და პეტროგრადის სამხედრო ოლქის სარდალს ს. ს. ხაბალოვს „უუნარობისათვის" კიცხავდნენ. ამ ავტორებს მიაჩნდათ, რომ მათ მიერ „მიღებული არ იყო რაიმე წინასწარი ზომები, ხოლო რაც მიიღეს, ისიც უწესრიგო და გაბნეული გამოდგა... ქალაქის ზოგი რაიონი კორდონში აღმოჩნდა, სხვები კი ღიად დარჩა..." ესე იგი, „ვერც ერთმა და ვერც მეორემ ვერ გამოავლინა ის მონაცემები, რომლებიც ასეთ მომენტში მათ თანამდებობებს მოეთხოვებოდა". ხაბალოვს „არც მდგომარეობის შეფასების, არც მასობრივ უკანონობაზე კონტროლის, არც წვრილ-წვრილი ჯგუფების დიდ ჯგუფებთან შეერთების აღკვეთის უნარი აღმოაჩნდა". პროტოპოპოვს კი „ორგანიზებული ურჩობის პირველსავე გამოვლინებაზე ნერვებმა უმტყუნეს". გამოირკვა, რომ „ის პირებიც კი, რომლებთაც ხუთ წელში მეფე მშიშარა ქათმებს უწოდებდა, ამ ორთან შედარებით უშიშარ არწივებად უნდა მიგვეჩნია"[21].

ლუიზიანელი და ალაბამელი თანამედროვე დამშოშმინებლების სულიერი საჭურველთმტვირთველები მოგვიანებით ასწავლიან მეფის ჟანდარმებს, როგორ უნდა ემოქმედათ 1917 წლის თებერვალში პეტროგრადის ქუჩებში, როცა თვითმპყრობელობის დამხობის თავიდან აცილება უკვე აღარაფერს შეეძლო.

შ ა ბ ა თ ი, 25 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი.

ამ დღეს მუშათა მოძრაობა საერთო-პოლიტიკურ გაფიცვაში გადაიზარდა, რომელმაც 300 ათასზე მეტი კაცი მოიცვა. ხალხის ნაკადი შეუკავებლივ ილტვოდა მუშათა კვარტალებიდან ქალაქის ცენტრისა-

ქენ. დემონსტრანტთა რიგები იზრდებოდა. დედაქალაქის მოსახლეობის დიდი უმეტესობა ქუჩაში გამოვიდა. აჯანყებულები ფაქტიურად ქუჩების ბატონ-პატრონები გახდნენ. პოლიცია მუშათა გარეუბნებიდან გაიქცა და ცენტრში შეგროვდა, რათა აბობოქრებული ხალხის ბრბო შეეკავებინა. ალყა შემოარტყეს ხიდებს, გადაკეტეს ნევაზე გადასასვლელი ყინულის ბილიკებიც კი. უიარაღო დემონსტრანტებს ესროლეს, დაეცნენ პირველი მოკლულები და დაჭრილები. დაიწყო მუშების გააფთრებული შეტაკება პოლიციასთან.

დილიდანვე დაიწყო ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და პეტროგრადის კომიტეტის წარმომადგენელთა თათბირი. გადაწყდა განევითარებინათ შემდგომი შეტევითი მოქმედება, აღემართათ ბარიკადები, მოეწოდებინათ მუშებისა და ჯარისკაცებისათვის დაძმობილებულიყვნენ. ღებულობენ ზომებს, რომ პეტროგრადის პროლეტარიატის მოძრაობას მთელს ქვეყანაში ჰქონოდა გამოძახილი. ჯარისკაცთა მასების გადასვლა რევოლუციის მხარეზე განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანად გამოცხადდა, რსდმპ (ბ) პეტროგრადის კომიტეტმა გამოუშვა ფურცელი „თანამოძმე ჯარისკაცებისადმი“. იმ დღეს „ბოლშევიკები სიცოცხლეს საფრთხეში იგდებდნენ და შედიოდნენ ყაზარმებში, ესაუბრებოდნენ ჯარისკაცებს ან დემონსტრაციებს აწყობდნენ ყაზარმის ახლოს, აცხადებდნენ რევოლუციურ ლოზუნგებს, ერთი სიტყვით, სარგებლობდნენ ყოველი მოხერხებული შემთხვევით, რომ მოწოდებით მიემართათ ჯარისკაცებისათვის შეერთებოდნენ მუშებს“[22].

ხაბალოვი მთავარბანაკში ალექსეევს დეპეშით აცნობებდა, რომ გასტინი დვორთან „დემონსტრანტებმა რევოლუციური სიმღერები წამოიწყეს“ და წითელი დროშები ააფრიალეს წარწერით „ძირს ომი“. ერთ-ერთი დრაგუნთა ოცეული აჩქარდა და ხალხს ცეცხლი დაუშინა; მოკლეს ორი და დაჭრეს 10 მუშა. იმ დღეს სამხედრო მინისტრმა ბელიაევმა ხაბალოვს უთხრა: „საშინელ შთაბეჭდილებას მოახდენს ჩვენს მოკავშირეებზე, როცა ხალხი დაიშლება და ნევის პროსპექტზე გვამები დარჩება“[23].

პროტოპოპოვი ვოეიკოვს მთავარბანაკში დეპეშით აცნობებდა, რომ ზნამენსკის მოედანზე ბოქაული კრილოვი მოკლეს, ხოლო ვიბორგის მხარეს პოლიციის პოლკოვნიკი შალფეევი ბრბომ ცხენიდან ჩამოაგდო და სცემა. დამატებით ნათქვამი იყო, რომ სულ უფრო ხში-

რად შეინიშნება ჯარისკაცების თანაგრძნობა დემონსტრანტებისადმი. როცა „ფარაონები“ მუშებს გაურბიან, ჯარისკაცები იცინიან.

ხაბალოვმა გამოაცხადა: თუ მუშები სამშაბათამდე სამუშაოზე არ დაბრუნდებიან, 1917, 1918 და 1919 წლების ვადაზე ადრე გასაწვევი წვევამდელები, რომლებიც გადავადებით სარგებლობენ, მობილიზებული იქნებიან და ფრონტზე გაიგზავნებიანო.

მინისტრები რიგგარეშე სხდომაზე შეიკრიბნენ ნ. დ. გოლიცინთან მოხოვოიზე. მიუხედავად იმისა, რომ პრემიერმა არაერთხელ სთხოვა ხაბალოვს გამოეყო პირადად მისთვის დაცვა და ხაბალოვმაც დაარწმუნა იგი, რომ უკვე გაიგზავნა ასეული, რომელიც მოხოვოის ორივე მხრიდან გადაღობავდა, სინამდვილეში ასეთი დაცვა არ ჩანდა. სხდომაზე მინისტრები ვ. ა. ბელიაევი, ნ. ა. დობროვოლსკი და ა. ა. რიტიხი დაჟინებით მოითხოვდნენ, მღელვარება შეიარაღებული ძალით ჩაექროთ. მოგვიანებით გოლიცინი ამბობდა, რომ იმ სხდომაზე ხაბალოვი „ძალზე არაენერგიული, მძიმედ მოაზროვნე და ნაკლებმცოდნე ეჩვენა, ხოლო მისი მოხსენება — აბდაუბდად“. პროტოპოპოვი კი, საგარეო საქმეთა მინისტრის ნ. ნ. პოკროვსკის თქმით, კაბინეტის წინა სხდომაზე ისეთ რამეებს „როშავდა“, რომ მინისტრები ერთმანეთს გადახედავდნენ ხოლმე და კითხულობდნენ: თქვენ რაიმე გაიგეთო?[24].

მეფე მთავარბანაკში მშვიდად იყო და ჩვეულ დღის განაწესს იცავდა: 9 საათსა და 30 წუთიდან 12 საათსა და 30 წუთამდე შტაბის უფროს ალექსეევთან მუშაობდა, შემდეგ საუსაუბრობდა, დღის 2 საათზე მანქანით სეირნობდა, 5 საათზე ჩაის მიირთმევდა, 7 საათსა და 30 წუთზე სადილობდა... საგანგაშო დეპეშებით თავს აბეზრებდა როძიანკო. სათათბიროს თავმჯდომარე მოახლოებული კატასტროფის შესახებ აფრთხილებდა, აშინებდა, მოითხოვდა. რას? დათმობას. შეღავათებს. „საზოგადოებრივი ნდობის“ ბურჟუაზიული მთავრობის ფორმირებას, რომელიც უკეთ წარმართავდა ომს, პასუხს აგებდა თავის მოქმედებაზე სათათბიროს წინაშე. ქარიშხალი ახლოვდება, თქვენო უდიდებულესობავ, იჩქარეთ მანევრირება, თორემ ყოველივე დაიმსხვრევა.

და, როგორც პეტერჰოფის ზღვის პირას გამართული კამათის დროს: მას ახლაც არ სურს დათმობა, ამაზე არ წავა.

საჭირო იყო, ფიქრობს იგი, მაშინაც, ხუთ წელს, ბოლომდე მოეგერიებინა შემოტევა. სამაგიეროდ, ახლა უკვე გამოცდილია. ვეღარ შეაცდენთ.

ჩვეული მოძრაობით, როგორც ამას 12 წლის წინათ აკეთებდა ხოლაე, ახლაც უნდა მისწვდეს მათრახს. გართულებაზე მისი რეფლექსი ისეთივეა, როგორიც მინისა და დუბასოვის დროს იყო.

საღამოს გამოვიდა თუ არა თავისი კაბინეტიდან, რათა შტაბის სინემატოგრაფს დასწრებოდა, იმპერატორი გზაში პირდაპირი დანიშნულების ხაზთან რამდენიმე წუთით შეყოვნდა და ხაბალოვს დეპეშა უკარნახა: ვბრძანებ ხვალვე შეწყდეს დედაქალაქში არეულობა, ვინაიდან გერმანიასა და ავსტრიასთან ომის მძიმე პირობებში ეს დაუშვებელია. ნიკოლოზი[25].

ეს სატელეგრაფო ექსპრომტი, რა თქმა უნდა, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მის ავტორს „ომის მძიმე პირობებამდე" უწესრიგობა „დასაშვებად" მიაჩნდა, მაგრამ სხვა დროს დამშომშინებლებს ესოდენ მკაცრ ვადებს არ უწესებდა. ახლა კი ხაბალოვს ბრძანება ერთი დღე-ღამის განმავლობაში უნდა შეესრულებინა. და მეფის მსახური ხაბალოვი, მოსკოველი დუბასოვის პეტროგრადელი დუბლიკატი, ცდილობდა მიცემულ ვადაში ჩატეულიყო.

სულ სამი კვირის შემდეგ, როცა ხაბალოვი საგანგებო საგამოძიებო კომისიის წინაშე წარსდგა, მასსა და თავმჯდომარეს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

ხ ა ბ ა ლ ო ვ ი. დაახლოებით ათი საათისათვის მივიღე დეპეშა მისი უდიდებულესობის ხელმოწერით: „ვბრძანებ, ხვალვე შეწყდეს არეულობა დედაქალაქში".

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სად არის ახლა ის დეპეშა, გენერალო?

ხ ა ბ ა ლ ო ვ ი. ვერ გეტყვით. მე იგი შტაბის უფროსს გადავეცი... შეიძლება მან უკანვე დამიბრუნა, მაგრამ არ მახსოვს...

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. შემდეგ რა მოხდა?

ხ ა ბ ა ლ ო ვ ი. ამ დეპეშამ, როგორ გითხრათ?.. თითქოს თავში დამკრა... როგორ უნდა შემეწყვიტა ხვალვე? როცა ამბობდნენ „პური მოგვეციოთო" ციეციით პური და ამით მორჩა ყველაფერი. მაგრამ როცა დროშებზე ეწერა „ძირს თვითმპყრობელობაო" — განა პური დაამშვიდებდათ? მაშ რა უნდა მექნა? მეფემ ბრძანა, მაშასადამე, საჭირო იყო სროლა...

ამ დეპეშის მიღებიდან ერთი საათის შემდეგ. განაგრძობს თხრობას ხაბალოვი, მან თავისთან შეკრიბა სამხედრო და პოლიციის უბნების უფროსები.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ეს 25 თებერვალს მოხდა?

ხ ა ბ ა ლ ო ვ ი. სავსებით სწორია... როცა ისინი შეიკრიბნენ, დეპეშა წავუკითხე.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. მერე რა იყო?

ხ ა ბ ა ლ ო ვ ი. მაშინ განვუცხადე: ბატონებო! ხელმწიფემ ბრძანა... ეს უკანასკნელი საშუალებაა და გამოყენებული უნდა იქნეს... თე ბრბო მცირერიცხოვანია

და დროშები არა აქვთ — ცხენოსნები გამოიყენეთ და მათრახებით გარეკეთ... თუ ბრბო აგრესიულია და დროშებით მოდიან — სამჯერ მიეცით ნიშანი და შემდეგ გაუხსენით ცეცხლი!

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ხომ არ დაიღალეთ, გენერალო? იქნებ წყალს ინებებთ?

ხ ა ბ ა ლ ო ვ ი. არა, გმადლობთ... მე სრულიადაც არ ვნერვიულობ[26].

კ ვ ი რ ა, 26 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი.

მეფის ბრძანება ძალაში შევიდა. როცა გაფიცულები და დემონსტრანტები კვლავ ქალაქის ცენტრისაკენ დაიძრნენ, ხაბალოვმა და პროტოპოპოვმა ბრძანება გასცეს მათ ცეცხლით შეხვედროდნენ. პეტროგრადი სამხედრო ბანაკს დაემსგავსა. შეიარაღებული პოლიციელები მაღალი შენობების სახურავებსა და სხვენებზე, სამრეკლოებსა და სახანძრო კოშკებში ჩასაფრდნენ. ამ მაღალი წერტილებიდან ესროდნენ ისინი მუშებს. პოლიცია ტყვიამფრქვევს უშენდა ნევის პროსპექტს, ისროდნენ მის მოსაზღვრე ქუჩებში, ტყვიით ირწყვეზოდა ხიდები. ჟანდარმერიის ცხენოსანთა რაზმები ყველგან უტევდნენ დემონსტრანტებს, ჩეხავდნენ მათ ხმლებით, მიბრჯით ხვრეტდნენ. მარტო ზნამენსკის მოედანზე ორმოცი კაცი მოკლეს.

ახლა ხალხს სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ იარაღით ხელში გამოსულიყო თვითმპყრობელობის მსახურთა წინააღმდეგ. ბოლშევიკების პარტიის პეტროგრადის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით საერთო პოლიტიკური გაფიცვა შეიარაღებულ აჯანყებაში უნდა გადაზრდილიყო.

მაგრამ მოწინააღმდეგეც ემზადებოდა.

შეიარაღებული ბრძოლა ძველი რეჟიმის წინააღმდეგ რთული, ძნელი და საშიში იყო. მისი შესაძლო შედეგი პირველ დღეებში სრულიად გაურკვევლად ისახებოდა. რევოლუცია სრულიადაც არ ჰგავდა საღილეებში წითელბაბთაგაჩრილი მანიფესტანტების მხიარულ და საზეიმო გასეირნებას, როგორც ამას თანამედროვე სოვეტოლოგები წარმოსახავენ. იგი თავისი გმირებისაგან სიმტკიცესა და მამაცობას მოითხოვდა. მრავალმა მათგანმა შეხედა სიკვდილს თვალებში.

ქალაქის ბევრ რაიონში ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ჯარისკაცები აჯანყებული ხალხის მხარეზე არ იყვნენ გადასულები, საომარ ძალთა თანაფარდობა ხელისუფლების მხარეზე იყო. ქალაქის ხელმძღვანელთა მონაცემებიდან ჩანს, რომ რევოლუციის ჩასახშობად თავდაპირველად გადაისროლეს ქვეითთა 55 ასეული, ცხენოსანთა 23 ასეული და ერთი ესკადრონი, ანუ 20 ბა-

ტალიონზე მეტი[27]. მათ უკან (აჯანყებასთან შეერთებამდე) იდგა პეტროგრადის გარნიზონი, რომელიც 180 ათასამდე ჯარისკაცს ითვლიდა. ამას უნდა დაემატოს 80 ათასი პეტროგრადელი პოლიციელი, მათ შორის „ქუჩის ბრბოსთან ურთიერთობისათვის“ სპეციალურად გაწვრთნილი 5 ათასი პოლიციელი. აი რა განუცხადა თებერვლის შემდეგ გამოძიებას პროტოპოპოვმა: ხელისუფლებას იმედი ჰქონდა, რომ ამ ძალებით არა უმეტეს ოთხ დღეში ჩაახშობდა ნებისმიერ რევოლუციურ გამოსვლას პეტროგრადში[28] წინასწარ იყო შედგენილი აგრეთვე ამ ძალების გამოყენების გეგმა, დედაქალაქის ტერიტორიის „განყოფილებად“, ხოლო „განყოფილებების“ — „რაიონებად“ პირობითად დაყოფის მიხედვით. ყველა ამ უბანში განლაგებული უნდა ყოფილიყო 250 ათასზე მეტი შეიარაღებული დამშოშმინებელი[29].

სულ უფრო ხმამაღლა გაისმოდა ბოლშევიკური პარტიის მიმართვები ჯარისკაცებისადმი. ფურცელი, რომელიც იმ დღეებში ბოლშევიკების პეტერბურგის კომიტეტმა გაავრცელა ჯარისკაცებს შორის, შემდეგი სიტყვებით იწყებოდა: „ძმაო ჯარისკაცებო! მესამე დღეა ჩვენ, პეტროგრადის მუშები, აშკარად მოვითხოვთ თვითმპყრობელური წყობილების მოსპობას, რომელსაც ბრალი მიუძღვის ხალხის სისხლის ღვრაში, ქვეყნის დამშევაში, თქვენი ცოლებისა და შვილების, დედებისა და ძმების სასიკვდილოდ განწირვაში...“[30].

პარტიის მიერ ჯარისკაცებს შორის გაწეულმა დიდი ხნის მუშაობამ ნაყოფი გამოიღო. იმ დღეს პავლოვსკის ოლქის სათადარიგო ბატალიონის მეოთხე ასეულმა, რომელიც მუშების დახვრეტაში პოლკის საწვრთნელი რაზმის მონაწილეობით აღშფოთებული იყო, აჯანყება დაიწყო, ჯარისკაცები გამოვიდნენ ყაზარმებიდან და ცხენოსანი პოლიციელების რაზმს სროლა აუტეხეს. ეს იყო მთელი სამხედრო ქვედანაყოფის რევოლუციის მხარეზე პირველი გადასვლა.

გოლიცინთან მოხოვიზე შედგა კერძო თათბირი. პროტოპოპოვი ისე იყო დაბნეული, რომ როძიანკოს დაპატიმრებას მოითხოვდა. დუბენსკი თავის დღიურში ამას შემდეგ კომენტარს უკეთებს: „პირველი, რაც უნდა გაკეთებულიყო, — ეს იყო თვითონ პროტოპოპოვის თავიდან მოცილება“[31]. მინისტრები გაოცებით აღნიშნავდნენ, რომ ხაბალოვს ხელები უკანკალებდა, წონასწორობა დაკარგული ჰქონდა. თურმე იმდენი ვაზნები დაუხარჯავს, რომ ცოტა ხანში გასასროლი აღარაფერი ექნებოდა. მას ტყვია-წამალი სესხად კრონშტადტისათვის უთხოვია, მაგრამ იქაურ უფროსებს აჯანყებისა შეშინებიათ და თავიანთ მარაგს

გაფრთხილებიან. გარდა ამისა, ხაბალოვს ვერ უშოვია რამდენიმე ჯავშნოსანი, რომლებიც ძალზე სჭირდებოდა; პუტილოვის ქარხნისათვისაც მიუმართავს — არ მიუციათ; უთხოვია გენერალ სეკრეტოვისათვის, რომელიც ჯავშნოსნებს განაგებდა, — არც ამჯერად გამოსვლია რაიმე. რადგანაც ხაბალოვი აშკარად დაბნეული იყო, გადაწყდა მისთვის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ზანკევიჩი დაეხმარებინათ.

ამ სხდომაზე განიხილეს აგრეთვე პეტროგრადის საალყო მდგომარეობაში გადაყვანის საკითხი. ხაბალოვს დაევალა: მოემზადებინა განცხადება. მოგვიანებით იგი შეეცადა ქალაქის მმართველობის სტამბაში დაებეჭდა აფიშა 1000 ეგზემპლარი ტირაჟით, მაგრამ ასეთი შეკვეთის მიღებაზე იქ უარი უთხრეს. მისი დაბეჭდვა როგორღაც ადმირალიტეტის სტამბაში მოახერხა. შემდეგ გამოირკვა, რომ განცხადების ქალაქში გაკვრა შეუძლებელი იყო: ქალაქის მმართველმა ბალკმა თქვა, რომ მას საამისოდ არც ხალხი ჰყავს, არც ფუნჯები აქვს და არც წებო. მაშინ ხაბალოვმა უბნის ორი ზედამხედველი გამოიძახა და პირადად უბრძანა მათ რამდენიმე ფურცელი მაინც გაეკრათ ალექსანდრეს ბაღის მესერზე. ზედამხედველები ბრძანების შესასრულებლად წავიდნენ, მაგრამ საღამოსათვის ფურცლები ადმირალიტეტის მოედანზე ქალაქის მმართველობის შენობის წინ ეყარა.

ხელისუფალნი შეეცადნენ რევოლუციური მოძრაობისათვის მეთაურები ჩამოეცილებინათ. რაიონებში ბოლშევიკების, მათ შორის პარტიის პეტროგრადის კომიტეტის წევრების მრავალრიცხოვანი დაპატიმრებები დაიწყეს.

დღის ბოლოსათვის რსდმპ (ბ) ბიურო იტყობინებოდა: „გაისმა ბათქის ხმა ნევის პროსპექტის გასწვრივ, ზნამენსკის მოედანსა და სხვა ადგილებში. ისვრიან ტყვიამფრქვევებს. ბევრია მოკლული და დაჭრილი“[32].

დღეები მეხუთე—მერვე

ო რ შ ა ბ ა თ ი, 27 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი.

შეიარაღებული აჯანყება, რომლისკენაც მოუწოდებდნენ ბოლშევიკები, გაჩაღებულია. გამოქვეყნდა იმ დღეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი — პარტიის ცენტრალური კომიტეტის მანიფეს-

ტი „რუსეთის ყველა მოქალაქისადმი“. იგი მოითხოვდა დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნას, რომელსაც უნდა გამოეცხადებინა რესპუბლიკა, 8-საათიანი სამუშაო დღის დაწესება, მემამულეთა მიწების კონფისკაცია და ხალხისათვის გადაცემა, იმპერიალისტური ომის შეწყვეტა და დემოკრატიული ზავის უზრუნველყოფა. ეს მოწმობს, წერს აკადემიკოსი ი. ი. მინცი, რომ ბოლშევიკების პარტია იყო „პირველი და ერთადერთი პარტია, რომელმაც ჯერ კიდევ რევოლუციის საბოლოოდ გამარჯვებამდე გამოაქვეყნა თავისი პლატფორმა. რევოლუციური ლოზუნგები და კონკრეტული წინადადებები რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის“[33].

მუშებმა იერიშით აიღეს მთავარი არსენალი, წამოიღეს იქიდან 40 ათასი შაშხანა და 30 ათასი რევოლვერი. ჯარისკაცები ეხმარებოდნენ მუშებს შეიარაღებაში. გარნიზონის ჯარების განწყობილებაში საბოლოო გარდატეხა მოხდა. ნაწილები ერთმანეთის მიყოლებით უერთდებოდნენ მუშებს. ვოლინსკის პოლკის აჯანყებული ჯარისკაცები მეზობელი — ლიტვისა და პრეობრაჟენსკის — პოლკების ყაზარმებისაკენ გაემართნენ და იქაური ჯარისკაცებიც გამოიყვანეს ქუჩაში; შემდეგ ყველანი ერთად მოსკოვის პოლკის ყაზარმისაკენ გაემართნენ, რომელმაც თავის მხრივაც განაცხადა ხალხის მხარეზე გადასვლა. თუ ამ დღის დილისათვის რევოლუციის მხარეზე 10 200 ჯარისკაცი იყო, შუადღისათვის მათ 25 700 შეადგინეს, საღამოსათვის — 67 700, ხოლო მეორე დღის ბოლოსათვის — 127 000[34]. ჯარისკაცების მხარდაჭერით მუშები ბრძოლით წმენდნენ „ფარაონებისაგან“ კვარტალებსა და ქუჩებს.

მაგრამ მისი უდიდებულესობის ბრძანების შესრულებას კვლავ განაგრძობდნენ ტახტის დამცველები ხაბალოვის მეთაურობით. იგი დეპეშით აცნობებდა მთავარსარდლობის ბანაკს, რომ ბრძოლები მიმდინარეობდა ქალაქის სხვადასხვა რაიონში, კერძოდ, ლიგოვკაში, ზნამენსკის მოედანზე, ნევის პროსპექტის, ვლადიმირისა და სადოვოის გადაკვეთაზე; იყენენ მოკლულები და დაჭრილები, „რომლებიც გაფანტვისას ხალხს თან მიჰყავდა“[35].

ექვსი ასეულიდან და ერთ-ნახევარი ესკადრონიდან ფორმირებული რაზმი პოლკოვნიკ კუტეპოვის მეთაურობით იერიშზე გადავიდა, 15 ქვემეხით ტავრის სასახლის რაიონს შეუტია, მაგრამ კუტეპოვმა მალე აცნობა ხელმძღვანელობას, რომ კიროჩნისა და სპასკის ქუჩების იქით წაწევას ვეღარ შეძლებდა. ეს „მეკორკოტე კულაკი“, რომელიც

სასახლის მოედნიდან გამოსვლისას კბილებამდე შეიარაღებულ 1500 დამშოშმინებელს ითვლიდა, კირორჩინის შემდეგ ისე „განადგურდა, ნარჩენებიც აღარ დარჩენია“, მიზანთან ახლოსაც ვერ მისულა[36]. შემდეგ ხაბალოვმა მიიღო პატაკი, რომ სამპსონიევის პროსპექტიდან წამოსულმა ხალხის ტალღამ გადათელა მეტყვიამფრქეველთა ასეული, რომელიც ვიბორგის მხრიდან იფარავდა ლიტეინის ხიდს.

როძიანკომ ბელიაევს დაურეკა და ურჩია სახანძრო მილებიდან წყალი მიეშვა და ისე გაერეკა ხალხი. ბელიაევმა ამის შესახებ ტელეფონით შეატყობინა ხაბალოვს, მაგრამ მან ეს წინადადება უარყო, რადგანაც „წყლით გაწუწვა უკუმოქმედებას იწვევს, ე. ი. უფრო მეტად აღაგზნებს ხალხს“[37]. გარდა ამისა, მისი უდიდებულესობის ბრძანებიდან ნათლად ჩანდა, რომ საჭირო იყო მეამბოხეებისათვის მიეშვათ არა წყალი, არამედ ტყვიები...

როძიანკომ სანაპიროზე გაიარა, რათა დაენახა, როგორ უვლიდნენ გვერდს მუშები გადაკეტილ ხიდებს და გაყინული ნევით მიეშურებოდნენ ქალაქის ცენტრისაკენ. შინ დაბრუნებულს დახვდა მეფის შემდეგი ბრძანება: ძ ი რ ი თ ა დ ი კ ა ნ ო ნ ე ბ ი ს 99-ე მ უ ხ ლ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ: ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა 26 თ ე ბ ე რ ვ ლ ი დ ა ნ შ ე წ ყ დ ე ს დ ა გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ი ს ვ ა დ ა დ ა ი ნ ი შ ნ ო ს ა რ ა უ გ ვ ი ა ნ ე ს 1917 წ ლ ი ს ა პ რ ი ლ ი... ნ ი კ ო ლ ო ზ ი. როძიანკო ტავრის სასახლისაკენ გაეშურა და უხუცესთა საბჭოზე გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება: დაემორჩილონ მეფის ბრძანებულებას, მაგრამ სასახლიდან არ გავიდნენ, თავიანთ ადგილებზე დარჩნენ სხვადასხვა შენობაში.

იმ დღეს ტავრის სასახლეში აშკარად განაახლა საქმიანობა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭომ. ერთდროულად როძიანკოს ჯგუფის ძალებით იქვე შეიქმნა სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი. ამრიგად, რევოლუციამ ტავრის სასახლე თითქოს ორ ნაწილად გაყო: მის ერთ ფრთაზე მოთავსდა საბჭო; მეორეზე — ბურჟუაზიული პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებმაც რევოლუციის პირველი წუთებიდანვე თავიანთი ძალები მონარქიის გადასარჩენად, ხელისუფლების სათავეში რომანოვების დინასტიის შესანარჩუნებლად მიმართეს.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შექმნით „პეტროგრადის პროლეტარიატმა ჩაშალა სახელმწიფო სათათბიროს დრო-

ებითი კომიტეტის ცდა, რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ბურჟუაზიის ერთმმართველობა დაემყარებინა... მაგრამ არც საბჭო იყო ქვეყნის ერთადერთი ხელისუფლება. მოხდა უაღრესად თავისებური გადახლართვა ორი ხელისუფლებისა, ორი დიქტატურისა — ბურჟუაზიული დიქტატურისა დროებითი მთავრობის სახით და პროლეტარიატის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურისა პეტროგრადის საბჭოს სახით“ [38].

ეს იყო თებერვლის რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი წინააღმდეგობა — წინააღმდეგობა ბურჟუაზიასა, რომელმაც წარმოშვა დროებითი მთავრობა, და მუშურ-გლეხურ მასებს შორის, რომელმაც პეტროგრადის საბჭო შექმნა. ხელისუფლების სათავეში ერთდროულად მოექცა სხვადასხვა კლასი, რომელთაგან ვერც ერთმა ვერ მოიპოვა აბსოლუტური ძალაუფლება.

აღორძინებულ საბჭოში იმ დღეებში ჯერ კიდევ ხშირად წარმართავდნენ გეზს მენშევიკი ლიდერები. მოძრაობის გააქტიურებით შეშინებულნი ესერებთან ერთად ისწრაფოდნენ, რევოლუციის ნაკადი ბურჟუაზიული პარლამენტარული რეჟიმის მშვიდ. „ნორმალურ“ კალაპოტში გადაეყვანათ. მენშევიკებს არ სჯეროდათ პროლეტარიატის შემოქმედებითი შესაძლებლობებისა, ვერ ჩაწვდნენ მათ მიერ შექმნილი ხელისუფლების ახალი ორგანოების მნიშვნელობას და შიში დაეუფლათ, არ მოწყვეტილიყვნენ ლიბერალურ ბურჟუაზიას, არ დაპირისპირებოდნენ მას. სიტყვით ისინი არა მარტო დემოკრატიის, არამედ სოციალიზმის მომხრენიც იყვნენ, საქმით კი ქვეყნის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული განვითარების გზას მიჰყვებოდნენ. საბოლოოდ პეტროგრადის საბჭოს ხელმძღვანელობაში შეიქმნა მენშევიკურ-ესერული ბლოკი, რომელმაც რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლის ნაცვლად ბურჟუაზიისათვის ძალაუფლების ნებაყოფლობით გადაცემის პოლიტიკა გაატარა. ბურჟუაზიულმა პოლიტიკოსებმაც არ დააყოვნეს, რათა ამით ესარგებლათ.

იმ დროს, როცა შემთანხმებლები არწმუნებდნენ საბჭოს დეპუტატებს, თითქოს ბურჟუაზია ეხმარებოდა რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცებაში, სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი ყველაფერს აკეთებდა, რათა იგი თავისი პრომონარქიული მიზნებისათვის გამოეყენებინა, მოეგო დრო და აეძულებინა ნიკოლოზ II წასულიყო „თავისსავე საკეთილდღეოდ“ დათმობაზე. ბურჟუაზია რომიანკოს ჯგუფის სახით ისწრაფოდა ხელში ჩაეგდო რევოლუციის ერთპიროვნული ხელმძღვანელობა, რათა შეენელებინა, დაემუხრუჭე-

ბინა იგი, აეცილებინა რომანოვების დინასტიისათვის დარტყმა. უკიდურეს შემთხვევაში, ამისათვის შეიძლებოდა ნიკოლოზიც კი შეეწირათ.

იმ დღეს როძიანკო განაგრძობს ნიკოლოზის დაბომბვას დეპეშებით. იგი კვლავ არწმუნებს მას გამოიჩინოს მოქნილობა, წავიდეს დათმობაზე. ურჩევს გადაიფიქროს სათათბიროს დათხოვნა... მოითხოვს „პასუხისმგებელი“ მთავრობის შექმნას. მაგრამ როძიანკომ და მისმა კოლეგებმა განგაში ატეხეს არა მარტო იმის გამო, რომ „დემოკრატიული განახლება“ სწყუროდათ, არამედ იმიტომაც, რომ ეშინოდათ რევოლუციისა და მისი დაუყოვნებლივ დათრგუნვა უნდოდათ. ამ თვალსაზრისით ისინი არანაკლებ აქტიურობენ ცარიზმის დაცვაში, ვიდრე თავად მეფე. შეიძლებოდა ვინმეს მოჩვენებოდა, რომ ისინი მასების გამოსვლებს ხელმძღვანელობდნენ; მათი სურვილი იყო შეენარჩუნებინათ ასეთი ილუზია. სინამდვილეში კი ეშინოდათ მასებისა და ისწრაფოდნენ, რათა მეფეზე დაწოლით ეხსნათ ცარიზმი. აქედან გამომდინარეობს როძიანკოს მხრივ მეფისადმი იმ დღეების მიმართვებში ესოდენ უჩვეულო აგრესიულობა, გააფთრებაც კი. „მდგომარეობა უარესდება, — იტყობინებოდა მისი ერთ-ერთი დეპეშა, — საჭიროა დაუყოვნებელი ზომების მიღება, თორემ ხვალ უკვე გვიან იქნება. დადგა უკანასკნელი საათი, როცა წყდება სამშობლოსა და დინასტიის ბედი“. „შეწყვიტეთ ჯარების გამოგზავნა, — სთხოვს მეორე დეპეშით როძიანკო, — რადგანაც ისინი ხალხის წინააღმდეგ არ იმოქმედებენ“[39]. კიდევ ერთი: „მდგომარეობა სერიოზულია... მთავრობა პარალიზებულია... ქუჩებში უწესრიგო სროლაა, საჭიროა დაუყოვნებლივ დაევალოს იმ პირს, რომელიც ქვეყნის ავტორიტეტით სარგებლობს, შეადგინოს ახალი მთავრობა... ყოველგვარი დაყოვნება სიკვდილის მომასწავებელია“[40]. ამ მიმართვების ასლები მეფის მხარდაჭერის თხოვნასთან ერთად დაეგზავნათ ფრონტების სარდლებს. მათ პოზიტიურად გამოეხმაურნენ ბრუსილოვი და რუზსკი. აი, როგორია ნიკოლოზის რეაქცია (ფრედერიკსთან საუბრისას): „იმ ძონძროხა როძიანკომ ისევ მომწერა ათასგვარი სისულელე, რაზედაც მე მას არც კი ეუპასუხებ“[41].

მაგრამ ასეთივე „სისულელეები“ მიაყარეს მას სხვებმაც. თავისივე ძმა მიხეილი ურჩევდა მეფეს დაეთმო სათათბიროსათვის. სამხედრო მინისტრი ბელიაევი სთხოვს მოქნილობა გამოიჩინოს. კომპრომისზე წასვლას კარნახობს თავადი ლვოვი. დაკავებული თანამდებო-

ბიდან განთავისუფლებას ითხოვს მეფის უკანასკნელი პრემიერი გოლიცინი: იგი მზადაა სიამოვნებით დაუთმოს თავისი ადგილი იმას, ვინც სათათბიროს საქმის მოგვარებას შეძლებს, ოღონდაც კი ყველაფერი მოწესრიგდეს, დამშვიდდეს. ბოლოს ხაბალოვმაც აღიმაღლა ხმა: „დაუშვებელი უწესრიგობანი“ თურმე ისეთ რამეში გადაიზარდა, რასაც ვერც „ხვალ“, ვერც „ზეგ“, და საერთოდ ვერც მომავალში ველარ დაძლევენ; იმისათვის, რომ გენერალს ადმირალიტეტის ვესტიბიულსა და დერეფნებში მიმდინარე უკანასკნელი ბრძოლების ზღურბლზე თავის შემაგრება შეძლებოდა, საჭირო იყო ლიბერალური შეღავათიანი დაპირებებით მტრის ზურგში მოქცევა.

ტახტი ჭრიალებს, ირყევა, მაგრამ მეფე ამას ვერ ხედავს. სხვებს ეშინიათ და აქეთ-იქით აწყდებიან, იგი კი ასეთი არ არის. მშვიდია, თავის თავში დარწმუნებული, იცის, რასაც აკეთებს, მეამბოხეებთან დათმობაზე წასვლა მისი სტილი არ არის. მას თადარიგში აქვს პრაქტიკულად მრავალჯერ გამოცდილი საშუალება: დამსჯელი რეიდი.

კაბინეტში გამოძახებული ჰყავს ტანდაბალი, ტლანქი, ხრინწიანი გენერალი ნ. ი. ივანოვი. მას ნიჩბის მსგავსი წვერი, დანაოჭებულ ქუთუთოებში ჩამჯდარი წვრილი, ეშმაკური თვალები და იხვისებური მეჭეჭიანი ცხვირი აქვს. იგი ნაძირალებიდან არის გამოსული და ამიტომაც ახასიათებს რაღაც ძველი მეკობრისა. მის შესახებ ჯერ კიდევ 1905 წლიდან დადის უსიამოვნო, ცუდი ხმა: მისი უმოწყალო ხელით მოხდა მაშინ კრონშტადტში რევოლუციონერ მატროსთა აჯანყების ჩახშობა. მას კიდევ ორი ღირსება გააჩნია: ჯერ ერთი, ნათლიად მოხვდება მემკვიდრეს; მეორეც, მეფე მისგან დავალებულია არმიის თვალში ძალზე ძვირფასი საბრძოლო ჯილდოს — გიორგის ჯვრის მიღებით*.

---

* 1915 წლის შემოდგომაზე ნიკოლოზმა შვილთან ერთად ინახულა ფრონტი, იყო წინა ხაზზე კლევენის სადგურთან, რის შემდეგაც სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის გიორგიევსკის სათაობირომ დაადგინა: „წმინდა გიორგის ორდენის უხუცესი კავალერი გენერალ-ადიუტანტი ნ. ი. ივანოვი ფეხებში ჩაუვარდეს ხელმწიფეს ყოვლად უქვეშევრდომილესი თხოვნით — მოწყალება მოიღოს და სიხარული მოჰგვაროს სათაყვანებელმა სახელმწიფოს ბელადმა ჯარებს, ინებოს მეოთხე ხარისხის გიორგის ორდენით საკუთარი თავის დაჯილდოება“ (ვ. ნ. ვ ო ე ი კ ო ვ ი, მეფითა და მეფის გარეშე. იმპერატორ ნიკოლოზ II სასახლის უკანასკნელი კომენდანტის მოგონებანი. ჰელსინგფორსი, 1936, გვ. 145).

— ნიკალაი იუდოვიჩ, თქვენი ნათლულის გულისათვის, მისი მომავლის კეთილ-

ალექსეევთან მოლაპარაკების შემდეგ მეფე ივანოვს პეტროგრადის სამხედრო ოლქის სარდლად ნიშნავს (ხაბალოვის მაგივრად) და უთვლის, რომ რაზმის დაკომპლექტებისთანავე დაუყოვნებლივ გამოემგზავროს. ალექსეევისა და ძორიგე გენერლის კონძუროვსკის ხელმოწერილ № 3716-ე მოწმობაში ფიქსირებულია მისი უდიდებულესობის დავალება ივანოვისადმი — „დამყარდეს სრული წესრიგი დედაქალაქსა და მის გარეუბნებში“. გენერალს ეძლევა დიქტატორის უფლებამოსილებანი. დადგამს თუ არა პეტროგრადში ფეხს, ყველა მინისტრი და სხვა მაღალი თანამდებობის პირი მას უსიტყვოდ დაემორჩილება.

დასავლეთელი ავტორები, რომლებიც თებერვლის რევოლუციაზე, ივანოვის სადამსჯელო ექსპედიციაზე წერენ, ამჯობინებენ საერთოდ გაჩუმდნენ ანდა რაიმე მიკიბულ-მოკიპული თქვან მის შესახებ, როგორც წვრილმანსა და უმნიშვნელოზე. მათ უნდათ ისეთი შთაბეჭდილება შექმნან, თითქოს მეფეს სერიოზული რამ განზრახული არ ჰქონია. თავად ივანოვმა კი სალაშქროდ წასვლაზე თანხმობა მხოლოდ იმიტომ განაცხადა, რომ მან თითქოს მიაღწია მეფისაგან მიეღო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ლიბერალიზაციის პირობა. მეფე ამის მსგავსს არაფერს შეპირებია და ივანოვსაც არაფერი უთხოვია; თუ გენერალმა რაიმე ითხოვა, მხოლოდ და მხოლოდ მეტი ჯარი, ვაზნები და ჭურვები. ეს ყოველივე აკი მისცეს კიდეც.

ნიკოლოზ II უშუალო ბრძანებით ივანოვის განკარგულებაში გადადის საკმაო ძალები. ჩრდილოეთის ფრონტიდან: ტარუტინის 67-ე და ბოროდინოს 68-ე (ქვეითი), ულანელი თათრების მე-15 და ურალის კაზაკების მე-3 პოლკები. დასავლეთის ფრონტიდან: სევის 34-ე და ორლოვის (ქვეითი) 36-ე, დონის კაზაკთა მე-2 და პავლოგრადის

დღეობისათვის წახვალთ თუ არა პეტროგრადის შეტევაზე?

— წავალ, თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ გავბედავ და გკითხავთ, რითი წავიდე?

მეფემ გამოყოფილი ნაწილები და ქვედანაყოფები ჩამოუთვალა.

— „კოლტის“ ტყვიამფრქვევები გვექნება?

— მეტყვიამფრქვევეთა მთელი რაზმი გეყოლება.

— მესმის, თქვენო უდიდებულესობავ.

— მიაღწევთ, ნიკალაი იუდოვიჩ?

— რადაც უნდა დამიჯდეს, მივაღწევ, თქვენო უდიდებულესობავ[42].

ჰუსართა მე-2 პოლკები არტილერიის ორი ბატარეიისათვის. მოგვიანებით უნდა მოსულიყვნენ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ნაწილები. მეფემ დამსჯელი ჯარების შემადგენლობაში ჩართო აგრეთვე წმინდა გიორგის ორდენის კავალრების ორი ბატალიონი თავისი პირადი დაცვიდან მთავარ ბანაკში და რამდენიმე საარტილერიო ქვედანაყოფი, ვიბორგის ციხესიმაგრის საარტილერიო ბატარეის ჩათვლით. ყველა ამ ჯარს უმოკლეს ვადაში თავი უნდა მოეყარა ცარსკოე სელოსა და იქვე ახლომდებარე ალექსანდრეს სადგურის რაიონში, რათა აქედან დაეწყოთ შეტევა დედაქალაქზე[43].

სანამ ივანოვი საღამოს ემზადებოდა, ხაბალოვის ოპერაციები დასასრულს მიუახლოვდა. ამ დღის (27 თებერვალი) მიწურულს აჯანყებული მუშები და ჯარისკაცები პეტროგრადს დაეუფლნენ. ყველა მთავარი პოზიცია — ხიდები, ვაგზლები, მთავარი ფოსტამტი, ტელეგრაფი, მთავარი არსენალი, მთავრობის მნიშვნელოვანი შენობები ხალხის ხელში გადავიდა. ხაბალოვის ცდამ გამოეძახა ჯარები პეტროგრადის გარეუბნებიდან, არავითარი შედეგი არ გამოიღო: ჯარისკაცები ყველგან ხალხის მხარეზე გადავიდნენ. მხოლოდ ადმირალიტეტში ისხდნენ ჯერ კიდევ და უკანასკნელი თავდაცვის ხაზი ეკავათ სამხედრო მინისტრს ბელიაევს, ოლქის ჯარების სარდალს ხაბალოვსა და გენერალური შტაბის უფროსს ზანკევიჩს. მათთან ერთად არის მეფის ძმა. დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე. მათ განკარგულებაშია 1500 ჯარისკაცი, 15 ქვემეხი, 2 ზარბაზანი. ყველაფერი ისეა განლაგებული შენობის ფასადის გასწვრივ და კუთხეებში, რომ კონტროლი უნდა გაუწიოს ნევის პროსპექტის, ვოზნესენსკისა და გოროხოვის ქუჩებს, ანუ სამი ვაგზლის — ნიკოლოზის, ცარსკოე სელოსა და ვარშავის მისადგომებს. მათ კიდევ აქვთ ივანოვის მოსვლის იმედი. ფანჯარასთან, რომელიც ნევის პროსპექტს გადაჰყურებს, ტყვიაწფრქვევთან სხედან გენერლები ტიაჟელნიკოვი და მიხაილიჩენკო. მათ ესმით, როგორ კარნახობს მეზობელ ოთახში ბელიაევი მთავარბანაკის შტაბის უფროსისათვის გასაგზავნ დეპეშას (ასლი სასახლის კომენდანტს): „ველოდებით ჯარების სასწრაფოდ მოსვლას“.

იმ დროს, როცა დედაქალაქის ქვაფენილზე სისხლი ისევ მოჩქეფს, მეფე თავის დღიურში წერს: ალიქსმა მომწერა და ბობრუისკის გზატკეცილის მიმართულებით სამლოცველოსაკენ გავეშურე, სადაც ვისეირნე... ჩაის შემდეგ ვკითხულობდი, სადილობამდე მივიღე

სენატორი ტრეგუბოვი. საღამოს დომინო წაითამაშე[44].

ვოეიკოვთან დომინო წაითამაშა, როძიანკოსთან კი — დაუსწრებლად — დახუჭობანა. ახლა ივანოვთან მოუწევს ასკინკილას თამაში. საერთოდ კი მისი ყოველგვარი თამაში დასასრულს უახლოვდება.

სამშაბათი, 28 თებერვალი.

სალაშქროდ გასვლის წინ ნ. ი. ივანოვმა შემდეგი ორი ქაღალდი გაგზავნა:

მთავარბანაკის შტაბის უფროსს

1917 წლის 28 თებერვალი. № 1.

მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ კეთილინება მოგახსენოთ, რომ საქმის ვითარება აცნობოთ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს:

ყველა მინისტრმა გენერალ-ადიუტანტ ნ. ი. ივანოვის ყველა მოთხოვნა უსიტყვოდ უნდა შეასრულოს.

ივანოვი

ცარსკოე სელოს კომენდანტს

1917 წლის 28 თებერვალი. № 4.

გთხოვთ მოამზადოთ შენობა 13 ბატალიონის, 16 ესკადრონისა და 4 ბატარეის დასაბინავებლად. შედეგების შესახებ მაცნობეთ ხვალ, 1 მარტს, სად. ცარსკოე სელოში.

ივანოვი

წინა დღეს ობერ-ჰოფმარშალმა ბენკენდორფმა მთავარბანაკში დარეკა და დედოფლის დავალებით აცნობა, რომ რადგანაც „მოსალოდნელია რევოლუციის ტალღის პეტროგრადიდან ცარსკოე სელოსაკენ დაძვრა“, მან განიზრახა ბავშვებთან ერთად მოგილიოვში წავიდეს. მეფის მითითებით ვოეიკოვმა ბენკენდორფს უპასუხა, რომ ალექსანდრა თედორეს ასულის გამგზავრება სასურველი არ არის, ვინაიდან „მისი უდიდებულესობა თავად მიდის ცარსკოე სელოში“.

უზრუნველჰყო თუ არა ივანოვი დიქტატორისა და დამსჯელის უფლებამოსილებით, ნიკოლოზმა ბრძანა მოემზადებინათ მისი მატარებელი. დილის 4 და 5 საათებზე ორივე სალიტერო მატარებელი (იმპერატორისა და ამალისა) ორშა — ვიაზმა — ლიხოსლავლი — ტოსნოს მარშრუტით გავიდა. ამის შემდეგ ვოეიკოვი დაშიფრულ დეპეშას გზავნის და პროტოპოპოვს აფრთხილებს, რომ ნიკოლოზი ცარ-

სკოე სელოში „ოთხშაბათს, 1 მარტს, დღის 3 საათსა და 30 წუთზე“ ჩავა [45].

მთავარბანაკიდან მეფის გამგზავრებას ზოგიერთი დასავლეთელი ავტორი, კერძოდ, ბრიტანეთის სამხედრო მისიის ყოფილი მეთაური მოგილიოვში ჯონ ჰენბერი-უილიამსი განიხილავს, როგორც „მის მიერ თავისი თავისა და საკუთარი ოჯახისათვის დამღუპველ პირველ გაუთვალისწინებელ და თითქმის უგუნურ ნაბიჯს“ [46]. ნიკოლოზ II დაახლოებულთა წრიდან ერთნი (მაგალითად, ვოეიკოვი) მის ამგვარ საქციელს სავსებით ამართლებდნენ: მეფე, ამბობდნენ ისინი, უსაფუძვლოდ როდი იმედოვნებდა, რომ ივანოვის დახმარებით ცარსკოე სელოს უმოკლესი დისტანციიდან შეძლებდა დედაქალაქზე დაკარგული კონტროლის აღდგენას. მეორენი (ჰენბერი-უილიამსი, ფრენკლენდი, ალმედინგენი, ალექსანდროვი) თვლიდნენ, რომ მოგილიოვის დატოვების გადაწყვეტილება „იყო უკანასკნელი და ყველაზე უფრო ბრმა შეცდომა მთელი მისი მმართველობის მანძილზე“. რადგანაც, სანამ მრავალმილიონიანი არმიის ცენტრში „იმალებოდა“, პირადადაც უვნებელი იყო და ძალაუფლების დაბრუნებისათვის საბრძოლველადაც უამრავი საშუალება გააჩნდა, მაგრამ როცა „თავისი ყველაზე საიმედო თავშესაფარი დატოვა, იგი უბრალოდ უაზრო ავანტიურაში გადაეშვა“ [47].

დასახელებული ავტორები თავს იკატუნებენ, თითქოს არ იცოდნენ, რომ პეტროგრადში ხალხის მხარეზე გადავიდა თითქმის მთელი გარნიზონი, ხოლო მოგილიოვში გენერლები იდუმალი შიშით ელოდნენ საფრონტო შენაერთების რევოლუციის მხარეზე გადასვლას. თავიანთი სიმტკიცითა და გაბედულებით აჯანყებულმა მუშებმა საბრძოლველად აამოქმედეს ჯარისკაცთა მასები და თან გაიყოლიეს ისინი, ამასთანავე ჯარისკაცურ-გლეხურ სტიქიურობაში პროლეტარული ორგანიზებულობა შეიტანეს. ჯარისკაცებმა პროლეტარიატში თავიანთი ხელმძღვანელი დაინახეს და უკან გაჰყვნენ მას. მოწინავე მუშებთან ერთად და მათი ხელმძღვანელობით იმ დღეებში ჯარისკაცებმა დაანგრიეს საპოლიციო უბნები, შელეწეს ციხეთა კარები, დააპატიმრეს მაღალი თანამდებობის პირები, განაიარაღეს ჟანდარმები და პოლიციელები. „ასე შეერწყნენ ერთ ნაკადად პროლეტარიატისა და ჯარისკაცების მასები სახალხო რევოლუციას, რამაც მას უძლეველობის ძალა მისცა“ [48].

ფრონტისა და ფლოტის შტაბებში მთავარსარდლები ყოველ საათს

ელოდნენ აფეთქებას მათ დაქვემდებარებულ არმიებსა და გემებზე. საჭირო იყო მხოლოდ ნაპერწკლის გაელვება, ლოდინი კი, ეტყობა, დიდხანს არ მოუხდებოდათ...

კავკასიის ჯარების მთავარსარდალმა, დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ შავი ზღვის ფლოტის სარდალი, ადმირალი კოლჩაკი ბათუმში მიიწვია სავარაუდო ერთობლივი მოქმედების განსახილველად. ადმირალი ესკადრის ნაღმოსნით ჩავიდა. თათბირის შემდეგ, ხომალდზე დაბრუნებისას, კოლჩაკმა პეტროგრადიდან თავისი შტაბის უფროსის მ. ი. სმირნოვის დაშიფრული დეპეშა მიიღო. მასში აღნიშნული იყო: „დედაქალაქში უწესრიგობაა. ქალაქი აჯანყებულთა ხელშია. გარნიზონი მათ მხარეზე გადავიდა“. კოლჩაკმა ტელეგრაფით უბრძანა სევასტოპოლის ციხესიმაგრის კომენდანტს: „დაუყოვნებლივ გაწყვიტეთ ყოველგვარი კავშირი, მათ შორის სატელეგრაფო და საფოსტოც, ყირიმის ნახევარკუნძულიდან მთელს დანარჩენ რუსეთთან“ [49]. ასეთივე ბრძანებები მისცეს თავიანთ ფრონტებს სხვა მთავარსარდლებმაც.

სანამ იმპერატორის მატარებელი მოგილიოვიდან მიქროდა, ხოლო დივანზე მჯდარი მთავარი მგზავრი კვლავ იულიუს ცეზარის „ჩანაწერების“ კითხვით იყო გართული, მისი ბედის ჩარხი ტრიალს უმატებდა.

ივანოვის რაზმი ცარსკოე სელოსაკენ მოკლე გზით, დნოზე გავლით მიიწევდა, ნიკოლოზის მატარებელი კი — ლიხოსლავლის (ნიკოლოზის რკინიგზით) გავლით. ივანოვის რაზმის გასაძლიერებლად ცარსკოე სელოსაკენ, ამ დამსჯელი ჯარების თავშეყრის პუნქტისაკენ, გაემართნენ ჩრდილოეთის ფრონტიდან ტარუტინის 67-ე და ბოროდინოს 68-ე პოლკების ბატალიონები, დასავლეთის ფრონტიდან — ორი ქვეითი და ორი ცხენოსანთა პოლკი, ქვემეხთა რაზმი.

ვიტებსკში მისვლისთანავე, 5 საათზე, ივანოვი პირველ წინააღმდეგობას წააწყდა: მუშებმა არ მოისურვეს მისი აქედან გაშვება...

დღის 2 საათსა და 20 წუთზე ბელიაევი დაშიფრული დეპეშით მთავარბანაკში ალექსეევს ატყობინებს, რომ დაახლოებით დღის 12 საათზე ადმირალიტეტიდან გამოიყვანეს ჯერ კიდევ მეფის ერთგული ქვედანაყოფები, რათა შენობა დანგრევისაგან ეხსნათ. დღის 4 საათზე რევოლუციონერმა ჯარისკაცებმა დაცარიელებულ შენობაში იპოვეს და დააპატიმრეს ხაბალოვი...

ცისფერი მატარებელი ჯერჯერობით შეუფერხებლად მიდის, სადგურებში მას ვუბერნატორები და მაღალი ჩინის პოლიციელები ხვდებიან. „გალის ომის“ კითხვით გართული მგზავრი ხელიდან არ უშვებს შემთხვევას, რომ გზადაგზა რაღაც განკარგულებები გასცეს.

ვიაზმიდან მან ცოლს დასამშვიდებელი დეპეშა გაუგზავნა: ი მ ე დ ი მ ა ქ ვ ს თ ა ვ ს კ ა რ გ ა დ გ რ ძ ნ ო ბ თ დ ა მ შ ვ ი დ ა დ ხ ა რ თ. ფ რ ო ნ ტ ი დ ა ნ დ ი დ ძ ა ლ ი ჯ ა რ ი გ ა ი გ ზ ა ვ ნ ა[50] (მან არ იცის, რომ ივანოვი უკვე შეჩერებულია); იგი ერთხელ კიდევ აცნობებს ტელეგრაფით გოლიცინს, რომ მთავრობაში არავითარ ცვლილებებს არ ეთანხმება (არ იცის, რომ ამ მთავრობამ არსებობა შეწყვიტა); დეპეშას უგზავნის ხაბალოვს, რომ მის დასახმარებლად მიდის ივანოვი (არ იცის, რომ ხაბალოვმა თავისი მოღვაწეობა უკვე დაამთავრა).

თუ რითი დამთავრდა ხაბალოვისეული ეპოპეა, ნათლად ჩანს იმავე საგამოძიებო კომისიის ოქმიდან.

ხ ა ბ ა ლ ო ვ ი. ნევის პროსპექტზე გამავალი ფასადი იმ ვარუდით დავიკავეთ, რომ აქ, ადმირალიტეტში, უნდა დაგვეცვა თავი. არტილერია ეზოში დააყენეს. ქვეითი ჯარი მეორე სართულზე განლაგდა, ტყვიამფრქვევებიც მეორე სართულზეა, სროლისათვის ვარგის კუთხეებში... მაგრამ მოვლენებმა მალე დაგვანახა, რომ ჩვენი თავდაცვაც საიმედო არ იყო.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. რატომ?

ხ ა ბ ა ლ ო ვ ი. ჩვენ არა მარტო ვაზნები არ გვქონდა, ჭურვებიც თითქმის არ გაგვაჩნდა, ამას გარდა, არც საკმელი გვქონდა.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. საბრძოლო ძალა რამდენი იყო?

ხ ა ბ ა ლ ო ვ ი. ვფიქრობ, ათას ხუთასი...

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. შემდეგ?

ხ ა ბ ა ლ ო ვ ი. გვინდოდა გაგვეწმინდა ადმირალიტეტი. გადაწყდა: მთელი იარაღი აქ დაგვეწყო...

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. რაზმი არავისთვის გადაგიციათ?

ხ ა ბ ა ლ ო ვ ი. თანდათანობით ყველა წავიდ-წამოვიდა, იარაღი მიატოვეს... გადაცემა არ მომხდარა, ვისთვისღა უნდა გადაგვეცა?.. ჩამბარებელი არავინ იყო...

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. გენერალო, თქვენ ვინღა დაგაკავათ?

ხ ა ბ ა ლ ო ვ ი. მე დაბალი ჩინის ბრბომ დამაკავა, რომელიც ამ შენობას ჩხრეკდა...[51]

მეფემ არა მარტო ხაბალოვის აღსასრული არ იცოდა, იგი ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო, რომ ახლა თვითონ მასაც ცარსკოე სელოსაკენ გზა გადაკეტილი ჰქონდა.

ოთხშაბათი, 1 მარტი.

ღამის 2 საათზე იმპერატორის მატარებელი მალაია ვიშერას სადგურს მიუახლოვდა. ვოეიკოვმა დააკაკუნა მეფესთან, გააღვიძა და უთხრა, რომ მგზავრობის გაგრძელება შეუძლებელი იყო; საშიშია და გზაც გადაკეტილიაო. აღმოჩნდა, რომ სალიტერო მატარებლებს მალაია ვიშერას იქით წასასვლელი გზა უკვე არ ჰქონდათ. ტოსნოსა და ლიუბანს კონტროლს უწევდნენ რევოლუციური ჯარები. ამას გარდა, ტავრის სასახლიდან რკინიგზებს მიეცა მითითება: ცისფერი მატარებელი ცარსკოე სელოში არ შეეშვათ.

ამალის წევრებს სწადიათ დნოსა და ფსკოვის გავლით წასვლა. სალიტერო მატარებლის მსვლელობის დროს გენერალმა დ. ბ. დუბენსკიმ თავისი ვაგონიდან მეზობელ ვაგონში მყოფ ლეიბ-ექიმს პროფესორ ს. პ. ფედოროვს ბარათი გაუგზავნა იმ იმედით, რომ იგი უსათუოდ აჩვენებდა მას მეფეს. გენერალი დაჟინებით ურჩევდა „მოეხვიათ ფსკოვისაკენ და, რუზსკის ფრონტზე დაყრდნობით, იქიდან დაეწყოთ მოქმედება პეტროგრადის წინააღმდეგ“. ამასთან წინდახედულად სთხოვდა ბარათის განადგურებას [52].

ვოეიკოვის მისვლის გამო მეფე ადგა საწოლიდან, ხალათი გადაიცვა და თქვა:

— მაშ ასე, გავეშუროთ უახლოეს კვანძამდე.

ეს ნიშნავდა: ფსკოვში, ნ. ვ. რუზსკისთან.

გახარებულმა ვოეიკოვმა ამალის წევრებს უთხრა:

— ფსკოვში მივდივართ. ახლა ხომ კმაყოფილი ხართ?

სალიტერო შემადგენლობები უკან გაბრუნდნენ. სტარაია რუსა-ს სადგურში, სანამ ორთქლმავალი მოხსნილი იყო და წყალს იღებდნენ, ვოეიკოვმა შეძლო ტელეფონით გაეგო, რომ ივანოვს მხოლოდ დღეს დილით გაევლო დნო. „ამ ცნობამ, რომელიც ხელმწიფეს მოვახსენე, მასზე უაღრესად მძიმე შთაბეჭდილება დატოვა, — იგონებდა შემდეგში ვოეიკოვი. — მისმა უდიდებულესობამ მხოლოდ ესღა მკითხა: ასე ნელა რატომ მიდის იგი?“ [53].

საღამოს 10 საათზე მეფის მატარებელი ფსკოვში ჩავიდა. გენერალმა ნ. ვ. რუზსკიმ შედგა თუ არა ფეხი ვაგონის კიბეზე, მეფესთან ერთად ჩამოსულ ამალის წევრებს მიუბრუნდა ბაქანზე და ოდნავ შესამჩნევი ღიმილით უთხრა:

— ბატონებო, მე ბგონია მოგვიწევს გამარჯვებულს ჩავბარდეთ.

ახლა ნიკოლოზს ისღა დარჩენია, რომ მისი მატარებელი ყრუ ჩიხში, ჩაბნელებულ ლიანდაგებზე შეაგდონ... და იქ დაელოდოს ცხობების მიღებას... ელოდოს და ითმინოს. ითმინოს სენტენციებიც კი კეთილგონიერებაზე იმ თავხედი გენერლისაგან, ვის ხელშიაც აღმოჩნდა.

რუზსკი ეუბნება მას, რომ ახლა მთავარია არ დაუშვან არმიის დაშლა. ამის გამო ყველაფრის გაწირვა შეიძლება. თუ იგი, ნიკოლოზი, სათათბიროსთან შეთანხმების გზით აჯანყების ლოკალიზაციას არ მოახდენს პეტროგრადში, მაშინ ჯარების ბრძოლისუნარიანობის გაღარჩენის შანსი დაიკარგება. გამარჯვებულისათვის ხარკის გადახდის გარდა სხვა არჩევანი არ არსებობს. და ეს ხარკი, იქნებ, არცთუ ისე საშიშია: ესაა პასუხისმგებელ სამინისტროს შექმნაზე თანხმობა.

გათენდება და ვნახოთ, ეუბნება მეფე ჩრდილოეთის ფრონტის სარდალს. ვნახოთ, როგორი ვითარება იქნება ხვალ. ეს ნიშნავს, რომ მას უნდა კიდევ დაელოდოს ცნობებს ივანოვის მოძრაობის შესახებ პეტროგრადისკენ. მას ჯერ კიდევ აქვს იმედი დამსჯელი ექსპედიციის წარმატებისა. ამ იმედის უკანასკნელი ძაფია მეკობრე. მაგრამ ამაოდ — ეს ძაფიც წყდება.

მეფემ, მართალია, ჯერ კიდევ არ იცის, რომ „გადასაყვანი ისრების მოშლილობის გამო... მთელი მატარებელი გიორგეველთა ბატალიონიანად უკან, ვირიცაში, დააბრუნეს“. რომ „სადღაც ლუგასა და გატჩინას შორის“ ივანოვისათვის მიცემული პოლკების ჯარისკაცებმა მორჩილებაზე უარი თქვეს და განაცხადეს, რომ პეტროგრადის წინააღმდეგ საბრძოლველად არ წავიდოდნენ. მას „დასავლეთის ფრონტიდან წამოყვანილი ბრიგადაც აღარ ემორჩილება“ [54]. ნიკოლოზმა ასევე არ იცის, რომ მისი პირადი დაცვის ორი ბატალიონიდან ერთ-ერთის მეთაურმა, გენერალმა პოჟარსკიმ, დღეს ეშელონში თავის ოფიცრებს გამოუცხადა: ხალხს არ ვესვრით, ივანოვმა კი ალბათ, თვით... იმპერატორმაც რომ გვიბრძანოსო.

ხელქვეითების გარეშე დარჩენილმა გენერალმა ივანოვმა გადაწყვიტა მარტო წასულიყო წინ — ზამთრის სასახლისაკენ თუ არა, ალექსანდრესაკენ მაინც. პეტროგრადში მიმავალი, გზაში ეშელონებიანად დააკავეს. ბუბლიკოვს * სთხოვა თუნდაც... ცალკე ორთქლ-

* იგი დროებითი კომიტეტის გზათა მინისტრი იყო სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტის გზათა მინისტრად. ბოგაევსკი — გზათა მიმოსვლის მინისტრი დროებითი მთავრობის პერიოდში.

მავლით გაეშვა მხოლოდ მისი ვაგონი ცარსკოე სელოში ანდა სააგარაკო მატარებლისათვის მაინც მიებათ. ბუბლიკოვმა სათათბიროს მიმართა, როგორ მოვიქცეო. სათათბიროს წევრებმა გადაწყვიტეს: დემოკრატიის უმაღლესი პრინციპების თანახმად, დემოკრატიის ჯალათი „გაეტარებინათ". ამასთან ისინი ფიქრობდნენ, რომ კარგი იქნებოდა თუ შეეცდებოდნენ და კეთილი ლიბერალური სიტყვით ზეგავლენას მოახდენდნენ ივანოვზე. მასთან შესახვედრად ცარსკოე სელოში გაიგზავნა ორი „სათათბიროელი პოლკოვნიკი" — დომანევსკი და ტილი. მათ გადასცეს ივანოვს გენერალური შტაბის უფროსის მ. ი. ზანკევიჩის წერილობითი რეკომენდაცია, მშვიდობიანად მორიგებოდა სათათბიროს დროებით კომიტეტს, ამასთანავე მოახსენეს დედაქალაქში შექმნილ მდგომარეობაზე: ძველი წესის აღდგენა ძალით, ამბობენ ისინი, ძნელია, შეიარაღებული ბრძოლა მხოლოდ გაართულებს, გააუარესებს მდგომარეობას... წესრიგის აღდგენა ყველაზე ადვილი შესაძლებელია დროებით მთავრობასთან შეთანხმებით[55].

მოისმინა რა თებერვლის დემოკრატიის წარგზავნილთა სენტენციები, რომლებსაც მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, გენერალმა ივანოვმა დაუბუსტა, ვინ ჰყავდა ხელთ, რომ მისი უდიდებულესობის დავალება შეესრულებინა — ყელში წვდომოდა აჯანყებას. თითქმის არავინ იყო. ალექსანდრეს სადგურში მატარებლიდან მარტო ტარუტინის პოლკი გადმოვიდა და მისი დიდი ნაწილი მაშინვე რევოლუციას შეუერთდა, ცარსკოე სელოს გარნიზონის მხარეზე გადავიდა. ივანოვი ვირიცაში გაჩხერილ გიორგეველებისკენ გაეშურა. მას ჯერ კიდევ არ დაკარგვია იმედი, თუნდაც მათთან ერთად გააღწიოს პეტროგრადამდე. იგი ცდილობს ეშელონებთან ერთად წინ წავიდეს, გზადაგზა აპატიმრებს და ხვრეტს ხალხს. მაგრამ ნაზღვლევი, რითაც მას დედაქალაქისაკენ მიმავალი გზა გადაუღობეს რკინიგზელებმა, დაუძლეველი აღმოჩნდა. ლიბერალურმა შეგონებებმა კი არ შეაჩერა ივანოვი, არამედ მუშათა კლასის რეალურმა მოქმედებამ. და მან, უკვე პარალიზებულმა, ხელები დაუშვა. გადაწყვიტა მოგილიოვში დაბრუნებულიყო. 5 მარტს იგი კვლავ იხილეს მთავარბანაკში, ძველ ადგილზე. და სულ რაღაც 3—4 კვირის შემდეგ გამარჯვებული რევოლუციის პირისპირ მდგარი საჯაროდ იმართლებდა თავს, ამტკიცებდა: მე არა ვარ მე, და არც ეს ექსპედიცია არის ჩემიო. არაფერი ვიცი, არაფერი მინახავს. არც ექსპედიციის მსგავსი რამ ყოფილა საერთოდ, და თუ იყო, მას მე არ ვმოთავეობდიო[56].

იმ დღეს ხალხის მხარეზე გადასულმა პოლკების წარმომადგენლებმა პეტროგრადის საბჭოს მოსთხოვეს: მიეღოთ ზომები, რათა განემტკიცებინათ ჯარისკაცთა მასების რევოლუციური მონაპოვარი; ახლებურად, დემოკრატიულ საფუძველზე განესაზღვრათ მათი ურთიერთობა ოფიცრობასთან. ტავრის სასახლეში სპეციალური კომისიის მუშაობის შედეგი იყო თებერვლის ისტორიაში ცნობილი ბრძანება № 1. ეს იყო დიდი რევოლუციური ძალის მქონე დოკუმენტი — თავისებური „თავისუფლების ქარტია“ ჯარისკაცებისათვის. № 1-მა ბრძანებამ „ხელი შეუწყო არმიის შემდგომ გარეევოლუციონერებას და ჩაფუშა ბურჟუაზიის ცდა განეიარაღებინა რევოლუცია“ [57].

ზოგიერთი სოვეტოლოგი დასტირის ამ დღეს და ადასტურებს, რომ მან გამოავლინა რუსეთის საბოლოო განხეთქილება თავის ყოფილ „მეთაურთან და სუვერენთან“ [58].

ოთხშაბათი, 2 მარტი

რომანოვების დინასტიის არსებობის უკანასკნელი დღეა. ამ დღეს, 304 წლის შემდეგ, რაც 16 წლის მიხეილ რომანოვს მეფის გვირგვინი დაადგეს თავზე (1613 წლის 21 თებერვალს), კვლავ შეეცდებიან ეს გვირგვინი სხვა მიხეილ რომანოვს — ნიკოლოზ II ძმას, 39 წლის დიდ მთავარს გადასცენ.

დილით ფსკოვის სადგურის ლიანდაგებზე გენერალმა რუზსკიმ მეფეს მოახსენა, რომ ივანოვისათვის დავალებული მისია ვერ განხორციელდა. წარუმატებელი გამოდგა აგრეთვე ტახტის დასაცავად საიმედო ძალების გამონახვისათვის განხორციელებული ზოგიერთი სხვა ღონისძიებაც, როგორიც იყო, მაგალითად, ოფიცრების სკოლები, იქვე, ფსკოვში, არსებულის ჩათვლით.

ახლა, როცა ნიკოლოზმა იგრძნო, რომ ძალაუფლება ხელიდან გამოეცალა და ტავრის სასახლის ნებართვის გარეშე ცისფერი მატარებელი ადგილიდან ვერ დაიძვრებოდა, რომ ეს ყველაზე უნიათო გენერალიც კი მასზე უფრო მაღლა იდგა, — ახლა მის შეგნებამდე დავიდა მოარული სიტყვა „გადადგომა“.

მოძველდა და წაიშალა „პასუხისმგებელი სამინისტროს“ შექმნის იდეაც, სათათბიროს მოწვევაც, ყოველგვარი კონსტიტუციური დათმობა და შეღავათები. თურმე ნიკოლოზ II ერთხელ და სამუდამოდ თავიდან მოშორება — „აი, რა უნდათ რუსებს“. ასეც განუცხადა როძიანკომ გენერალ რუზსკის, როცა მას პირდაპირი დანიშნულების

სატელეფონო ხაზით უხმო. მოვლენები დედაქალაქში იმდენად განვითარდა, რომ დავა პასუხისმგებელი სამინისტროს შესახებ იმხანად უკვე აღარ შეიძლებოდა; ეს საკითხი მოიხსნა — ახლა ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ იმპერატორმა უარი თქვას ტახტზე, მისი უდიდებულესობისათვის ამის მოხსენება კი თვით ფრონტის სარდალს მართებს. იგი თავის მხრივაც უნდა შეეცადოს და დაარწმუნოს მეფე ასეთი გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობაში.

სამეფო ტახტიდან გადადგომა

სიტყვა „გადადგომა" მეფის ვაგონში პირველად 2 მარტს დილის 10 საათზე გაისმა. იგი გენერალმა რუზსკიმ წარმოთქვა, როცა შექმნილ მდგომარეობაზე მოხსენების გასაკეთებლად გამოცხადდა.

მოხსენება მოკლე იყო. მეფემ მშვიდად მოისმინა. სიტყვა „გადადგომას" მისთვის თავზარი არ დაუცია, არ შეუძრწუნებია და თითქოს არცთუ დიდად გაუკვირვებია. მოხსენების მოსმენის შემდეგ თქვა, რომ რეკომენდებულ გადაწყვეტილებას პრინციპში არ ეწინააღმდეგება, მაგრამ სურვილი აქვს გაიგოს ფრონტის სარდლების მოსაზრებანი ამ საკითხზე.

რუზსკი თავისი შტაბის ტელეგრაფისაკენ გაემართა და მოგილიოვში ალექსეევს გადასცა: მეფეს სარდლობის გამოკითხვა სურსო. თავის მხრივ მთავარბანაკის შტაბის უფროსმა შეკითხვები დაგზავნა ფრონტებზე. მათი ტექსტი ასეთი იყო:

> დაიწყო ერთ-ერთი უსაშინელესი რევოლუცია... ომის გაგრძელება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესრულდება მიხეილ ალექსანდრეს ძის რეგენტობით შვილის სასარგებლოდ ტახტიდან მეფის გადადგომისადმი წაყენებული მოთხოვნები...
>
> თუ თქვენ ამ შეხედულებას იზიარებთ, მაშინ ხომ არ ინებებდით გედეპეშნათ თქვენი ერთგული ქვეშევრდომული თხოვნა მისი უდიდებულესობისათვის გლავკოსევის საშუალებით და გეცნობებინათ ჩემთვის...
>
> არმია მთელი ძალებით უნდა ებრძოლოს გარეშე მტერს. მას თავიდან უნდა აეცილოთ გადატრიალებაში მონაწილეობის მიღების ცთუნება, გადატრიალებისა, რომელიც უფრო უმტკივნეულოდ აღსრულდება ზედა სფეროებში მიღებული გადაწყვეტილების შედეგად.
>
> ალექსეევი

საათნახევარი — ორი საათის შემდეგ შეკითხვას, სასურველი იყო თუ არა მეფის ტახტიდან გადადგომა, დადებითად უპასუხეს:

დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ (კავკასიის ფრონტი)
გენერალმა ბრუსილოვმა (სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი)
გენერალმა ევერტმა (დასავლეთის ფრონტი)
გენერალმა სახაროვმა (რუმინეთის ფრონტი)
გენერალმა რუზსკიმ (ჩრდილოეთის ფრონტი)
ადმირალმა ნეპენინმა (ბალტიის ფლოტის სარდალი).

შავიზღვისპირა ფლოტის სარდალმა ადმირალმა კოლჩაკმა ნიკოლოზისათვის პასუხის გაგზავნაზე თავი შეიკავა, მაგრამ ალექსეევისა და როძიანკოს წარდგინება „უსიტყვოდ მიიღო“ [59].

„მომხრე“ იყო აგრეთვე მთავარბანაკის შტაბის უფროსი გენერალი ალექსეევი.

ზოგიერთები მწუხარებისაგან მართლაც განადგურებული არიან. სწყევლიან იმ დღესა და საათს, როცა ასეთი დილემის წინაშე აღმოჩნდნენ. სიტყვები არ ჰყოფნით იმისათვის, რომ თანაგრძნობა გამოუცხადონ უავგუსტოეს შეფს, ხოლო ზიზღი — რევოლუციას, სიძულვილი — სათათბიროს წევრებს, რომლებმაც უბიძგეს მის უდიდებულესობას ასეთი ნაბიჯი გადაედგა... მაგრამ რაკი ისინი ხელს ჰკრავენ, შენც იძულებული ხარ ჰკრა. სამარის კარამდე გაჰყვებათ ხსოვნა საყვარელ მონარქზე, მაგრამ შეიძლება მართლაც უკეთესია მისთვის გადადგომა. ეს პოზიცია განსაკუთრებული გრძნობითაა გამოხატული გენერალ სახაროვის ტელეგრაფით მიღებულ პასუხში. სათათბიროდან მომდინარე წინადადებას გადადგომის შესახებ გენერალი „დანაშაულებრივსა და აღმაშფოთებელს“ უწოდებს. ასეთი „სიბილწის“ მოფიქრება, მისი აზრით, შეეძლო მხოლოდ „ავაზაკურ ხროვას ადამიანებისას, რომლებმაც გამცემლურად ისარგებლეს ზოხერხებული წუთით თავიანთი დანაშაულებრივი ზრახვების განსახორციელებლად“. გასაგებია. სათათბიროს საქციელი დაუშვებელია. მისი უდიდებულესობის „მხურვალე სიყვარული“ რაიმე მსგავსისადმი შერიგების საშუალებას არ იძლევა. სახაროვი დარწმუნებულია. რომ რუს ხალხს ამ საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვს. და არმიაც, მისთვის რომ ეკითხათ, „უყოყმანოდ აღსდგებოდა თავისი თვითმპყრობელი ბელადისათვის“.

მაშ რაღაშია საქმე? რატომ არ აღსდგება? არა, ალბათ არ გამოექომაგება. და რაკი ასეა... „გადავდივარ გონივრულ ლოგიკაზე... იძულებული ვარ ქვითინით... ვთქვა, რომ თითქმის ყველაზე უფრო

უმტკივნეულო გამოსავალს წარმოადგენს უკვე გამოთქმულ პირობებზე დათანხმება“.

„გადავიდა რა გონივრულ ლოგიკაზე“, თვითონ „თვითმპყრობელი ბელადიც“ თითქოს ფინალისაკენ — გადადგომისაკენ მიიწევს.

გენერლების 1917 წლის 2 მარტის დილის გადაწყვეტილებამ გააშმაგა სოვეტოლოგები და კრემლმცოდნეები, რომლებიც დაოსტატებული იყვნენ რუსეთის რევოლუციის განქიქებაში. ამასთან განსაკუთრებულ პრინციპულობას ანდა თანამიმდევრობას ისინი ვერ იჩენენ. როცა სჭირდებათ, თებერვლის რევოლუციას ოქტომბრისას უპირისპირებენ და ამტკიცებენ, რომ თუ ოქტომბრის რევოლუცია დასაწყისშივე „დაგეგმილი იყო შეთქმულებიდან გამომდინარე პუტჩად“, თებერვლისაში, რომელიღაც სტადიაზე მაინც, იყო „აბობოქრებული ხალხის ნება-სურვილიდან“ მომდინარე რაღაც. ანუ „იგი ატარებდა დემოკრატიის ელემენტს“. როცა ამ ვაუბატონებს სჭირდებათ, ისინი სრულიად დაუფიქრებლად 180 გრადუსით შემობრუნდებიან ხოლმე და ვითომდა მათთვის სიმპათიურ თებერვლის რევოლუციას კიცხავენ, მას „თავშეუკავებლობის აფეთქებასა“ და „მოვალეობისადმი ვერაგულ ღალატს“ [60] უწოდებენ. 2 მარტის გადადგომას კი წარმოსახავენ, როგორც გენერლების პუტჩის შედეგს მეფის წინააღმდეგ. საერთოდ, ამბობენ ისინი, ნიკოლოზს თავისი გადაწყვეტილება რაიმე გამოკითხვაზე დამოკიდებული არ უნდა გაეხადაო, თუ ტახტის უარყოფით მეფეს უნდოდა ქვეყნისა და არმიისათვის სასხლიანი უსიამოვნებანი აეცილებინა, მან ამით მაინც ვერაფერს მიაღწია, პირიქით — სწორედ ტახტზე უარის თქმიდან იწყება რუსეთში არეულობა, ქაოსი და განხეთქილებაო. ინსტინქტურად, ირწმუნებოდა უკანა რიცხვით ვოეიკოვი, თავადაც წინააღმდეგი ყოფილა მეფის მიერ ტახტიდან გადადგომისა. იგი ეუბნებოდა თურმე ნიკოლოზს, რომ „გადადგომის შემდეგაც გარდუვალია იმგვარივე სისხლისღვრა, როგორც წარმოშობილი უწესივრობების დათრგუნვისასო... იგი ემუდარებოდა მის უდიდებულესობას არ გადამდგარიყო“ [61].

ნიკოლოზს სიკვდილის შემდეგ საყვედურობდნენ, თითქოს მან ვერ გაითვალისწინა, რომ მასობრივი ანგარიშსწორება პეტროგრადის ქუჩებში უფრო სასარგებლო იქნებოდა, ვიდრე გადადგომა. მაგრამ ეს უსამართლობაა: ნიკოლოზს ძალღონე არ დაუზოგავს, რათა ხაბალოვისა და ივანოვის დახმარებით შეინარჩუნებინა გვირგვინი; მას სულაც არ გვრიდა ზიზღს „გარდაუვალი სისხლისღვრა“. სხვა საქმეა,

რომ მეფისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მისივე ბრძანებები არ სრულდებოდა.

მიუხედავად ამისა, ამ კატეგორიის ავტორები 2 მარტის შეკითხვების საფუძველზე ამტკიცებდნენ: საქმე ის კი არ არის, რომ მეფემ გამოკითხვა დაიწყო, არამედ ალექსეევმა თითქოს ისარგებლა თავისი შეფის ნდობით და „მისი ტახტიდან გადმოგდება მოაწყო“ [62]. თითქოს მთავარბანაკის შტაბის უფროსმა სარდლების შეთანხმებული პასუხი უზრუნველყო „მათი წინასწარი სატელეგრაფო და სატელეფონო დამუშავებით... დააშინა მუქარით, რომ ზურგი შეწყვეტდა ფრონტის მომარაგებას... რომ იგი ზიანს მიაყენებდა არმიის ბრძოლისუნარიანობას...“ ამ მოქმედებათა შედეგად (აგრეთვე მისი დამხმარე „ბოგილიოველი ბრძენების“ გენერლების ლუკომსკის, კლემბოვსკის, კონძეროვსკისა და ადმირალ ბუბნოვის მოქმედებით) „არმიისა და ფლოტის ყველა სარდალი, რომლებიც უფლებამოსილი იყვნენ თავიანთი თვითმპყრობელი ბელადის ნდობით, ტახტისა და მამულის მსახურების ნაცვლად კამერჰერ როძიანკოს ბრძანებების სასწრაფო შემსრულებლებად გადაიქცნენ და წინააღმდეგობა არ გაუწიეს ტავრის სასახლეში ჩასაფრებულ სახალხო წარმომადგენლებს... რათა ქუჩური ამბოხება სრულიად რუსეთის რევოლუციად არ გარდაქმნილიყო“. სწორედ ისინი, შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობაა „ის რვა კაცი, რომლებმაც უღალატეს სამხედრო ნაწილებსა და ფიცით ნაკისრ მოვალეობას, აიძულეს მეფე ტახტიდან გადამდგარიყო“ [63].

სასახლის ყოფილი წევრების კვალდაკვალ ფსკოვში მოტყუებულ მეფეს დასტირიან აგრეთვე თანამედროვე სოვეტოლოგები. ამ მხრივ ყველაზე მეტი რუზსკის ხვდება: ეს პირქუში, სწორკუთხამხრებიანი, ოქროს პენსნედან ცივად მზირალი კაცი თითქმის ერთ-ერთი პირველი აღმოჩნდა „იმათ“ შორის, ვინც მისთვის სიცოცხლის გაწირვაა იფიცებოდა, ახლა კი თითქოს გამცემლობაში ეცილებოდნენ ერთმანეთს. თუ რა სულმდაბლობა გამოიჩინა ამ გენერალმა, აღშფოთებით წერს ჰარკეივი, იქიდან ჩანს, რომ, როცა ნიკოლოზმა „რუზსკის ჰკითხა, იქნებ პეტროგრადელი მეამბოხეების დასათრგუნად სამხრეთის ჯარებისა და კაზაკების გადმოსროლაა შესაძლებელიო, ამის საკმაოდ მჭევრმეტყველური პასუხი იყო გენერლის დუმილი“ [64]. ამგვარი „ვერაგობამდე მისული არალოიალური“ ცოდვებისათვის რუზსკიცა და თითქმის მისი ყველა კოლეგაც ალექსეევთან ერთად „ღმერ-

თმა აკი კიდევაც დასაჯა“ [65]. ამ გამოთქმის ავტორი, ვოეიკოვი, ალბათ გამოკითხვის მონაწილეთა საბოლოო ბედს გულისხმობს *.

2 მარტს, დღის 1 საათზე, რუსკი თავისი შტაბის უფროს დანილოვთან და გენერალ-კვარტირმაისტერ სავინ-თან ერთად ნიკოლოზს ეახლება ვაგონში და სარდლების გამოკითხვის შედეგებს მოახსენებს, აცნობებს აგრეთვე ალექსეევისა და თავის აზრს. გარდა ამისა, სთხოვს მოუსმინოს მასთან ერთად მისულ გენერლებს. ისინი უმალვე მოკლედ გამოთქვამენ რუსკის მოსაზრების მხარდასაჭერ აზრს. „ფრონტების მთავარსარდლები მართალი არიან... — ამბობს დანილოვი, — თუ კეთილინებებთ ჩვენი მოსაზრების გაზიარებას, გთხოვთ, თქვენო უდიდებულესობავ, გაიღოთ ეს მსხვერპლი სამშობლოსათვის“. დიახ, იგი კეთილინებებს, რაკი ყველამ მარტოდმარტო დატოკა, უერთგულესმა გენერლებმაც კი...

დგება როძიანკოსა და ალექსეევისათვის გასაგზავნი ორი დეპეშის ტექსტი გადადგომისათვის მზადყოფნის შესახებ.

სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს

არ არსებობს ისეთი მსხვერპლი, რომლის გაღებაც არ შემეძლოს მშობლიური დედარუსეთის ჰეშმარიტი კეთილდღეობისა და ხსნისათვის. იყოს ასე. მე მზად ვარ უარი ვთქვა ტახტზე ჩემი ვაჟიშვილის სასარგებლოდ. იმ განზრახვით, რომ იგი სრულწლოვანებამდე დარჩეს ჩემთან, ხოლო რეგენტად დაინიშნოს ჩემი ძმა, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე.

ნიკოლოზი

ნაშტაევრხი. მთავარბანაკი

მხურვალედ საყვარელი რუსეთის კეთილდღეობის, სიმშვიდისა და ხსნისათვის მზად ვარ გადავდგე ტახტიდან ჩემი ვაჟიშვილის სასარგებლოდ. ყველას ვთხოვ ემსახუროს მას ერთგულად და პირფერობის გარეშე.

ნიკოლოზი 66

გადადგომის ფორმასაც და დეპეშების გაგზავნის დროსაც განსაზღვრული აზრი ჰქონდა: შემდეგ გენერალმა დუბენსკიმ ჩაწერა,

---

* ვიცე-ადმირალი ნეპენინი აჯანყებულმა მატროსებმა მოკლეს მეფის ტახტიდან გადადგომის რამდენიმე დღის შემდეგ. ადმირალი კოლჩაკი სამი წლის შემდეგ ციმბირელმა წითელმა პარტიზანებმა სიკვდილით დასაჯეს. რუსკი, საბჭოთა სასამართლოს განაჩენის თანახმად, 1918 წელს ესენტუკში დახვრიტეს. ევერტი ჯარისკაცებმა მოკლეს ფრონტზე 1917 წლის მიწურულს. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე პარიზში განდევნილი მოკვდა. ალექსეევი მთელი რიგი, მათ შორის კორნილოვისა და კალედინის მარცხისა და წარუმატებლობის შედეგად განაწამები მოკვდა დონში 1918 წლის აგვისტოში. მხოლოდ ბრუსილოვმა დაასრულა თავისი ცხოვრება ღირსეულად. იგი ჩადგა თავისი ხალხის სამსახურში: მუშაობდა წითელი არმიის ცენტრალურ აპარატში. გარდაიცვალა მოსკოვში 1924 წელს.

„რომ ტახტზე უარის თქმა არ განხორციელებულა სათათბიროს წარმომადგენლების გუჩკოვისა და შულგინის დაწოლით“, რომლებიც, როგორც ფრონტის შტაბში გახდა ცნობილი, აქ შუადღისათვის უნდა მისულიყვნენ.

რუზსკი ტელეგრაფში წავიდა. ახლა კი თითქოს ყველაფერს წერტილი უნდა დასმოდა.

მაგრამ არა, საქმე მთლად ასე არ იყო.

როგორც კი რუზსკი წავიდა, ნიკოლოზთან აფორიაქებული დიდებულები მივიდნენ. „ჩემი აზრით, — განუცხადა მეფეს, კერძოდ, ვოეიკოვმა, — არავითარი საბოლოო გადაწყვეტილების მიღება არ შეიძლება, სანამ გზაში მყოფ გუჩკოვსა და შულგინს არ მოუსმენთ“ [67].

— თქვენი აზრით, მე ავჩქარდი? — ეკითხება ნიკოლოზი.

მეფეს კვლავ მოეძალა გააფთრება. მას არ სურს მეფობაზე უარის თქმა. ნიკოლოზმა ნარიშკინს უბრძანა მისულიყო რუზსკისთან და დეპეშის ბლანკები უკანვე გამოერთმია. რუზსკიმ განუცხადა, რომ ისინი უკვე ხელთ აღარა აქვს, ტელეგრაფისტებს მისცა. ნარიშკინი მიდის, მაგრამ მალე ისევ უკან ბრუნდება. ნიკოლოზი დეპეშების დაბრუნებას მოითხოვს. რუზსკი აძლევს მათ, თან ეუბნება, რომ ტექსტი უკვე დაიგზავნა სატელეფონო ხაზებით. ნარიშკინს რუზსკი ტელეგრაფის უფროსთან მიჰყავს. იგი ორივე გენერალს ჰპირდება, რომ დაგზავნილი ტექსტების შეჩერებას შეეცდება, თუმცა ამის დიდი იმედი არა აქვს.

როცა სალონში დაბრუნებული ნარიშკინი ყოველივე ამის შესახებ ნიკოლოზს უამბობს, დამსწრენი ერთხმად შესძახებენ: „ყველაფერი დასრულდა!“

სათათბიროს წევრთა მოლოდინში ნიკოლოზმა პროფესორ ს. ა. ფეოდოროვს უხმო და სთხოვა შეკითხვებზე გულახდილად ეპასუხა: როგორ გესახებათ მომავალში ალექსის ჯანმრთელობა? ექიმმა განუცხადა: ვშიშობ, რომ იგი მხოლოდ 16 წლამდე იცოცხლებს, მეტს ვერა (ჰარკევი კი რატომღაც ფეოდოროვს მიაწერს, რომ თითქოს მას ეთქვას: „ალექსანდრე 40 წლამდე იცოცხლებს“)[68]. ნიკოლოზი ერთხანს დაფიქრებულია, მერე კი ამბობს, რომ სურს თავისი დარჩენილი სიცოცხლე რუსეთში „უბრალო მცხოვრებად“ გაატაროს, რომ მას აზრადაც არ აქვს „ინტრიგანობა“, რომ უნდა „ალექსის ახლოს იცხოვროს და აღზარდოს იგი“ [69]. ფეოდოროვი ეპასუხება,

რომ საეჭვოა ახალმა მთავრობამ მცირეწლოვან მეფეს მამასთან დარჩესის უფლება მისცეს. ნიკოლოზმა თქვა: მაშინ ტახტიდან გადავდგები არა ალექსის, არამედ მიხეილის გამეფების სასარგებლოდო.

სათათბიროს წევრები ოთხ-ხუთ საათზე კი არ ჩამოვიდნენ, როგორც ამას ელოდნენ, არამედ საღამოს ათის ნახევარზე. ორივე, ასე ვთქვათ, კერძო პირი იყო: ისინი ამ მოგზაურობაში არავის რწმუნებით არ წასულან როძიანკოს გარდა, არავის წარმომადგენლობდნენ. ხოლო თუ რისთვის ჩამოვიდნენ, იქიდანაც ჩანს, რომ გზაში ისინი შეეცადნენ დაკავშირებოდნენ ივანოვს. შულგინის გადმოცემით, ეს ეპიზოდი ასეთი იყო:

„არ მახსოვს რომელ სადგურში პირდაპირი ხაზით დაგვაკავშირეს გენერალ-ადიუტანტ ნიკოლოზ იუდის ძე ივანოვთან... ხელმწიფის ბრძანებით იგი პეტროგრადის მიმართულებით გაემართა ამბოხების ჩასახშობად. იგი გატჩინამდე მივიდა, მაგრამ იქ ვიღაცას რელსები აეყარა... მას არაფრის გაკეთება არ შეეძლო, ადგანაც აგიტატორები გამოჩნდნენ და ჯარისკაცები მაშინვე დაიშალნენ... მათზე დაყრდნობა არ შეიძლება. ისინი უკვე აღარ ემორჩილებიან.

საჭირო იყო აჩქარება... ჩვენ ამ სატელეფონო ლაპარაკით დავკმაყოფილდით...“ [70].

რადგანაც ივანოვს სატრაბახო არაფერი ჰქონდა, სათათბიროს წევრებმა გზა განაგრძეს. ისინი, ფიქრობს ოკეანისგაღმელი სოვეტოლოგი ჰარკეივი, უსაფუძვლოდ როდი ვარაუდობდნენ, რომ თუ ნიკოლოზი დაუყოვნებლივ გადადგებოდა, „რეგენტად გამოცხადებული მიხეილი სწრაფად აიღებდა ხელში ძალაუფლებას, უწინდელი წესი აღსდგებოდა და დინასტია ამგვარად გადარჩებოდა“ [71].

მატარებელი გაჩერდა. სათათბიროს ორი წევრი ბაქანზე გადმოვიდა. ცოტა მოშორებით სხვა განათებული მატარებელი იდგა — მეფისეული. მოსულებთან მაშინვე გაჩნდა ფლიგელ-ადიუტანტი პოლკოვნიკი ა. ა. მორდვინოვი.

— ხელმწიფე თქვენ გელოდებათ... — მან რელსები გადაკვეთა და გუჩკოვს შულგინთან ერთად წინ გაუძღვა.

მაშასადამე, ყველაფერი ეს ახლა მოხდება, შიშობს გულში „თებერვლის დემოკრატიის“ წარმომადგენელი. განა არ შეიძლება ამის აცილება?

არა, არ შეიძლება... ასეა საჭირო... გამოსავალი არ არის... წერს შემდეგში შულგინი: „ისე წავედით, როგორც ადამიანები ყველაზე

უფრო საშინელ რაიმეზე მიდიან — საქმის შინაარსი მთლიანად არ გვესმოდა... წინააღმდეგ შემთხვევაში არ წავიდოდით...“

არც ხელმწიფეს სურს გადადგომა, არც ხაბალოვსა და ივანოვს, შულგინიც გუჩკოვთან ერთად გულში ამის წინააღმდეგია, მაგრამ რაკი ნიკოლოზ იუდის ძემ პეტროგრადის ფარნების ბოძების ხელში ჩაგდება ვერ შეძლო, რომ „მეამბოხენი“ მათზე ჩამოეხრჩო, რაღას გახდებიან. „და აი შედეგი... ვცდილობთ გადავარჩინოთ მონარქია გადადგომის გზით“ [72].

ლიანდაგებზე ხალხი შეიყარა, სათათბიროს წევრებს „ვაშას“ შეძახილებით მიესალმნენ. ბაქანზე მყოფი ჩინოვნიკები ამ „გამოხდომით“ აღშფოთებული არიან. ვოეიკოვმა გაიგონა, ზურგშექცეულმა ფსკოვის სამხედრო კომენდანტმა გენერალ-ლეიტენანტმა უშაკოვმა დაცინვით რომ თქვა: „დროა, ბატონებო, მიეჩვიოთ... სხვა ჟამი დადგა“.

მეფის ვაგონში სათათბიროს წევრებს ვ. ბ. ფრედერიკსი და კ. ა. ნარიშკინი შეეგებნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ნიკოლოზიც შემოვიდა. იგი მწვანე აბრეშუმით აკრულ კედელთან მიდგმულ პატარა ოთხკუთხედ მაგიდასთან ჩამოჯდა და სხვებსაც დაჯდომა შესთავაზა. შემოვიდა ნ. ვ. რუზსკი; თითქოს მეფე არც დაენახოს, მორდვინოვის გამო აბუზღუნდა: „ყოველთვის არეულ-დარეულობაა, როცა ბრძანებას არ ასრულებენ... — ბუტბუტებდა თავისთვის. — მე ხომ გარკვევით ვბრძანე, დეპუტატები ჯერ ჩემთან მოეყვანათ. რატომ არ გაკეთდა ასე? მუდამ ასე თავნებობენ...“ [73].

ნიკოლოზმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს არ ესმოდა. ნარიშკინმა მოლაპარაკების ჩასაწერად უბის წიგნაკი ამოიღო. ვოეიკოვმა მატარებლის კომენდანტი გომზინი სასადილოს მხრიდან კართან დააყენა, რომ უცხო პირებს მათთვის ყური არ დაეგდოთ, ხოლო თავად ბაქნის მხრიდან მეორე კართან დადგა, რათა მოესმინა და დაენახა ყოველივე.

ნიკოლოზი მოსულთ მშვიდად, თავაზიანად და თითქოს მეგობრულადაც შეხვდა. ვიზიტის მიზანი ჰკითხა. გუჩკოვმა, რომელიც მღელვარებისაგან თავს ძლივს იკავებდა, ყრუდ უთხრა, რომ სურს რჩევა მისცეს, როგორ გამოიყვანოს ქვეყანა მძიმე მდგომარეობიდან. პეტროგრადი „მთლიანად მეამბოხეთა ხელშია“; მათ დასაწყნარებლად გაგზავნილი ნებისმიერი სამხედრო ნაწილი „როგორც კი პეტროგრადის ჰაერს შეისუნთქავს“, აჯანყებულთა მხარეზე გადავა. ამიტომ,

დაასკვნა გუჩკოვმა, „ყოველგვარი ბრძოლა თქვენთვის უშედეგოა. ჩვენი რჩევა იქნება ტახტიდან გადადგეთ“.

მეფე უძრავად ზის. მშვიდად მისჩერებია ერთ წერტილს, ვერაფერს ამოიცნობ. მის სახეზე ერთი რამის წაკითხვა შეიძლება: „ეს გრძელი სიტყვა ზედმეტია...“

რუზსკი, რომელიც შულგინის უკან ზის, მისკენ იხრება და ძლივს გასაგონი ხმით ეუბნება:

— პეტროგრადიდან აქეთკენ გზატკეცილით შეიარაღებული ავტომანქანები მოდის... ნუთუ თქვენია? სახელმწიფო სათათბიროსი?

ამგვარი ვარაუდით სასტიკად შეურაცხყოფილი „თებერვლის დემოკრატიის“ წარმომადგენელი გენერლისაკენ მკვეთრად ტრიალდება:

— როგორ მოგივიდათ თავში ამგვარი რამ...

— მადლობა ღმერთს, მაშ მაპატიეთ... მე მათი დაკავება ვბრძანე [74].

გუჩკოვმა სხვათა შორის განაგრძო: „მე ვიცი, თქვენო უდიდებულესობავ, რომ დიდი მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტას გთავაზობთ... თუ თქვენ ამ ნაბიჯის გადადგმისათვის მოფიქრება გჭირდებათ, მზად ვარ ვაგონიდან გავიდე და დაგელოდოთ... მაგრამ ყველაფერი ეს დღეს საღამომდე უნდა მოხდეს“. ნიკოლოზი ეუბნება: „ეს საკითხი უკვე მოფიქრებული მაქვს და გადავწყვიტე გადავდგე“. გუჩკოვი აფრთხილებს, რომ მას მოუწევს შვილთან განშორება, რადგანაც „ვერავინ გაბედავს ანდოს მას მომავალი ხელმწიფის ბედი და აღზრდა“. ნიკოლოზი დეპუტატებს სრულიად მოულოდნელად აუწყებს: „დღის 3 საათზე მივიღე გადაწყვეტილება გადავმდგარიყავი შვილის სასარგებლოდ. მაგრამ ახლა, როცა დავფიქრდი, იმ დასკვნამდე მივედი, რომ მასთან განშორება არ შემიძლია და ტახტს ჩემს ძმას, მიხეილს ვაძლევ“ [75].

ნიკოლოზმა, აღნიშნავს შულგინი, ეს თქვა „მშვიდად, უბრალოდ და ზუსტად, მხოლოდ აქცენტი ჰქონდა სხვაგვარი — გვარდიული“. მერე ხმადაბლა დაამატა: „იმედი მაქვს გაიგებთ მამის გრძნობას...“

დათანხმდნენ. თუმცა ეწადათ წინააღმდეგობის გაწევა. მას შეეძლო ტახტიდან გადადგომა, მაგრამ არ შეეძლო „გადაეცა“ ანდა „ეჩუქებინა“ იგი ვისთვისაც უნდოდა. საეჭვო მანევრია, ვაითუ მაშინვე „მეორესაც გადადგომა მოუწიოს“. მაგრამ კამათის დრო არ არის. რადგანაც „ყოველი წამი ძვირად ფასობს. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ გზატკეცილით შეიარაღებული ავტომობილები მოიწე-

ვენ, რომელთა ცქერითაც პეტროგრადში საკმაოდ იჯერეს გული... და რომელთა შეჩერებაც ბრძანა გენერალმა რუზსკიმ (მაგრამ შეაჩერებენ კი?)...“ არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ რევოლუციის ნოთხოვნილება „კიდევ უფრო გაიზრდება. იქნებ ახლა ჯერ კიდევ შეიძლება მონარქიის გადარჩენა...“ როძიანკო და მისი ჯგუფი მზად არიან უკიდურეს შემთხვევაში ნიკოლოზი გასწირონ, რათა გადაარჩინონ ცარიზმი და დინასტია. თუნდაც მეფეს უფლება არ ჰქონდეს ძმის გასამეფებლად გადადგეს, მთავარი მაინც ის არის, რომ „ამიერ დროს მოიგებენ... რამდენიმე ხანს ქვეყნის მმართველად იქნება მიხეილი, ხოლო შემდეგ, როცა ყველაფერი მიწყნარდება და გაირკვევა, რომ მას მეფობა არ შეუძლია, ტახტიც ალექსი ნიკოლოზის ძის ხელში გადავა...“.[76]

დაე იყოს ასე. სათათბიროს წევრები აცხადებენ, რომ დაახლოებით ერთი საათის ან საათ-ნახევრის შემდეგ უნდა წავიდნენ; ხვალ დილით აუცილებლად უნდა იყვნენ პეტროგრადში, თანაც გადადგომის აქტით; ამიტომ ითხოვენ დაუყოვნებლივ შეუდგნენ გაფორმებას. ტექსტის მონახაზი არსებობს, იგი შულგინმა მოამზადა; ისინი თავს კი არ ახვევენ მეფეს გადადგომას, არამედ მხოლოდ სთავაზობენ საფუძვლის სახით *.

ნიკოლოზი ქაღალდს იღებს და მიდის. ერთი საათის შემდეგ ბრუნდება და სათათბიროს წევრებს მანქანაზე დაბეჭდილ ტექსტს გადასცემს, რომლის ქვეშაც ხელმოწერაა: ნ ი კ ო ლ ო ზ ი **.

ყველაფერი მოთავდა, ბატონებო? შეიძლება დავიშალოთ?

არა, სათათბიროს მოღვაწეებს კიდევ ერთი რამ სურთ. შულგინი ითხოვს, რომ აქტში აღნიშნული დრო რამდენიმე საათით უკან გა-

---

* ამ წიგნის ავტორს ვ. ვ. შულგინმა 1975 წლის აგვისტოში ვლადიმირში კატეგორიულად განუცხადა, რომ ნიკოლოზის მიერ ხელმოწერილი ტახტიდან გადადგომის ტექსტი შედგენილი იყო პეტროგრადში და იგი ფსკოვში მან, შულგინმა, ჩამოიტანა. იქ კი რამდენიმე სტილისტური შესწორების შედეგად მეზობელ ვაგონში გადაათვერა რემინგტონისტმა პორუჩიკმა საველევმა.

** საუცხოოდ შენახული ეს დოკუმენტი დაცულია ოქტომბრის რევოლუციის მოსკოვის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. მის ირგვლივ დასავლეთში მიმდინარეობს გამონაგონი დისკუსიები. კერძოდ, საკამათოდ არის გამხდარი საკითხი: ვის მიერ არის დაწერილი მისი ტექსტი? აი ასეთი განხილვის ნიმუში: Sworakowsky W. The authorship of the abdication document of Nickolas II.— „The Russian review“, 1971, №30, p. 277—286.

დაიწიოს — რომ თითქოს მას ხელი მოაწერეს არა დელეგატების ჩამოსვლის შემდეგ, არამედ მათ ჩამოსვლამდე: „მე არ მსურს, რომ ოდესმე ვინმეს შეეძლოს თქმა, მანიფესტი ხელიდან გამოგლეჯილიაო...“ რადგანაც ეს აშკარად „დაემთხვა მის სურვილს“, ნიკოლოზმა დააწერა: „15 საათი“, თუმცა „საათის ისრები ღამის თორმეტის დასაწყისს აჩვენებდნენ“.

კიდევ ერთი საკითხი. რაკი მეფე გადადგა, თანამდებობას კარგავს მთავრობის მეთაურიც. ვინ დანიშნავს ახალს? ვინაიდან ამის გაკეთება ჯერ არავის შეუძლია, ამიტომ გადაწყდა პრემიერიც მანვე, ყოფილმა მეფემ დანიშნოს. მაგიდასთან მჯდარმა ნიკოლოზმა სათათბიროს წევრებს დაღლილი თვალები მიაპყრო და ჰკითხა:

— ვინ გინდათ?

სათათბიროს წევრები ამბობენ: თავადი ლვოვი.

„ხელმწიფემ როგორღაც განსაკუთრებული ინტონაციით წარმოთქვა, რომლის გადმოცემაც მე არ შემიძლია:

— მაშ, ლვოვი? კარგი — ლვოვი...

და მაშინვე დაწერა მთავრობის მაგივრად დარჩენილი სენატის სახელზე ბრძანებულება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ და ხელიც მოაწერა“ [77].

და კიდევ ერთი საკითხი. საჭიროა ახალი უმაღლესი მთავარსარდალი. ვინ იქნება იგი? ფიქრი დიდხანს არ დასჭირებიათ. ნიკოლოზი კიდევ ერთხელ მიუჯდა მაგიდას და ხელი მოაწერა ბრძანებულებას ამ თანამდებობაზე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის დანიშვნის შესახებ.

თუმცა ეს მთლად ლოგიკური არ იყო. „მთავარსარდალიცა და პრემიერიც მას შემდეგ დანიშნა, რაც ხელი მოაწერა აქტს ტახტიდან თავის გადადგომის შესახებ“ [78]. ძალაუფლებაზე უარი განაცხადა და მაშინვე ისევ თანამდებობას მოეპოტინა. „ეს აქტები რომ ძალაში შესულიყო, დააწერეს 13 საათი, ე. ი. გადადგომამდე ორი საათით ადრე“.

დაემშვიდობნენ, გამოვიდნენ, ვაგონთან ხალხი შეგროვილიყო. გუჩკოვმა კიბიდან მიმართა მათ: „რუსო ხალხო, მოიხადეთ ქუდები, პირჯვარი გადაიწერეთ, ილოცეთ ღვთისათვის... ხელმწიფე-იმპერატორმა რუსეთის გადარჩენისათვის მოიხსნა სამეფო მოვალეობა... რუსეთი დგება ახალ გზაზე“ [79].

გზა კი იყო ახალი, მაგრამ არა ისეთი, როგორიც წარმოიდგინეს საკუთარი თავისთვის მოსკოველმა მექარხნემ გუჩკოვმა და ვოლინელმა მემამულემ შულგინმა.

* * *

სამას წელიწადს ტირანად ეჯდა რუსეთს რომანოვების „ასთავიანი ლოხი ურჩხული“.

და აი, ურჩხული აღარ არის. გაქრა, გალღვა, დაინთქა პეტროგრადის ჯერ კიდევ ცივ, მაგრამ წინასაგაზაფხულო სურნელებით აღსავსე ჰაერში. უკანასკნელ ორთავიან არწივებს სასახლეების ფასადებიდან აგლეჯდნენ, ფხეკდნენ ფირუზისფერი ცის ფონზე, დამდნარი თოვლის ნამქერების ხმაზე.

ვიღაც-ვიღაცეებს მოეჩვენათ კიდეც, რა ადვილად, რა უბრალოდ, რა ჩვეულებრივად მოხდა ყველაფერიო.

იმ დროის თებერვლის ამ „ჩვეულებრიობას“, „სიმარტივეს“, „უბრალოებას“ ამტკიცებენ ემიგრანტი მემატიანენი და სოვეტოლოგები. ერთნი ამასთანავე ასაბუთებენ, რომ ცარიზმის დამხობა საერთოდ არ მომხდარა. სიდამპლეშეპარული თავისთავად დაიმსხვრა და „უბრალოდ დაეცა“. მეორენი თვლიან, რომ თუ „ერთგვარი“ დამხობა მოხდა, იგი „საოცრად მსუბუქი და უმტკივნეულო“ გამოდგა.

მესამენი აცხადებენ თებერვლის დღეებში ცარიზმის მხრივ „წინააღმდეგობის ტოტალურ არარსებობას“, მის თითქმის „თავისთავად გაქრობას“, იმას, რომ იგი, როგორც „სათამაშო კარტისაგან აგებული კოშკი“, რევოლუციის სუსტი ნიავის დაბერვაზე გადაწვა, დაეცა და „მეამბოხეთა“ შეხებით დაიშალა.

ასეა თუ ისე, რევოლუციის გამარჯვება თებერვალში, ამბობენ ეს სოვეტოლოგები, მოპოვებულია თითქმის უომრად. მეფის ხელისუფლება თავისთავად დაეცა, თითქოს მეფემ იგი წინააღმდეგობის გარეშე დათმო.

დოკუმენტები მსგავს მოსაზრებებს უარყოფენ. მეფის ხელისუფლება სრულიადაც არ „დაცემულა“, მით უმეტეს „თავისთავად“. ხალხმა წაართვა ხელმწიფეს ძალაუფლება, ჩაშოაგდო ნიკოლოზ II პირადად მისი და მთელი ცარიზმის ადმინისტრაციის შეუპოვარი წინააღმდეგობის დაძლევის შედეგად.

ხალხმა თვითმპყრობელობა დაამარცხა მძიმე ბრძოლაში, რამაც მისგან მოითხოვა გმირული ძალა და თავგანწირვა. ეს სრულიადაც არ ამცირებს იმ ფაქტს, რომ თავისი კრახის პერიოდში თვითმპყრობელობა გაკოტრებული იყო. გამართლდა ლენინის დებულება, იმის თაო-

ბაზე, რომ ცარიზმის რეჟიმი ყველაზე კრიზისულ პირობებშიც კი თავისთავად „არ „დაეცემა“, თუ არ „გადმოაგდებ“ მას“ [80].

ხალხის მხრივ მამაცობა და მსხვერპლის გაღება იყო საჭირო ჯერ ნიკოლოზ II ტახტიდან „გადმოსაგდებად“, ხოლო შემდეგ მთელი მისი კამარილიისა.

„დროებითი მთავრობის უწყებანის“ 1917 წლის 25 მარტის ცნობით, აჯანყებულებს შორის დახოცილთა რიცხვმა 1917 წლის თებერვალში პეტროგრადში 1443 კაცი შეადგინა. მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ციფრი სრული არ არის.

იმავე დროს მეორე წყარომ (გაზეთმა „ბირჟევიე ვედომოსტიმ“) სხვა ციფრი დაასახელა: 2 ათასი კაცი [81].

დაახლოებით ასეთივე ციფრი დაასახელა ბოლშევიკურმა „პრავდამ“.

ლენინი უცილობლად თვლიდა, რომ პეტროგრადის თებერვლის რევოლუციის დროს დახოცილთა რიცხვი 2 ათასს აღემატებოდა [82].

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თებერვლის „სასწაულის“ რვა დღე მოიცავდა მხოლოდ პეტროგრადის მოვლენებს. დასავლეთის ვერსიათა საწინააღმდეგოდ პეტროგრადში მომხდარი გადატრიალება არ ყოფილა ავტომატური და დანარჩენი რუსეთის მიერ დუმილით მიღებული. ცარიზმის მსახურნი პროვინციებში კვლავ თავგანწირვით ებღაუჭებოდნენ ხელისუფლებას. მათ წინააღმდეგობას გუბერნიებსა და მაზრებში ხალხი სძლევდა, ხშირად ცეცხლსა და ხიშტებს არ ერიდებოდა, საკუთარ სიცოცხლეს სწირავდა. მუშები, „როგორც ლომები, ისე იბრძოდნენ მეფის პოლიციის, ჟანდარმერიისა და ჯარების იმ მცირე ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც მაშინვე არ გადავიდა ხალხის მხარეზე... — წერდა ვ. ი. ლენინი. — რუსმა მუშებმა თავიანთი სისხლით იყიდეს ჩვენი ქვეყნის თავისუფლება“ [83].

აი როგორია თებერვლის რევოლუციის ცარიზმზე გამარჯვების ნამდვილი ფასი და არა სოვეტოლოგების მიერ გამონაგონი.

კვლავ უარი სამეფო ტახტზე

იმ დროს, როცა სათათბიროს წევრებმა წასვლა დააპირეს და ნიკოლოზმა თითოეულ მათგანს გამომშვიდობების ნიშნად ხელი ჩამოართვა, მოულოდნელად იკითხა:

— თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატონებო, სად სჯობს წასვლა — ცარსკოე სელოში თუ მოგილიოვში?

გუჩკოვმა უპასუხა:

— ჩვენ რა ვიცით, თქვენო უდიდებულესობავ. მოიქეცით ისე, როგორც გული გიკარნახებთ.

შულგინმა უფრო გადაწყვეტით უპასუხა:

—მე მგონია, თქვენ უწინარეს ყოვლისა მოგილიოვში უნდა წახვიდეთ *.

იმავე ღამეს ფსკოვის შეხვედრის მონაწილენი სხვადასხვა მხარეს გაემგზავრნენ. სათათბიროს წევრები — პეტროგრადში, ნიკოლოზ რომანოვი — მოგილიოვში, დაკარგული სამხედრო სამსახურის ადგილისაკენ, რომელმაც მას 18 თვე წაართვა (ეს აღწერილია მრავალ მემუარში [84]).

გზიდან, სადგურ სიროტინოდან, იგი დეპეშას გზავნის:

პეტროგრადი. მის იმპერატორობითს უდიდებულესობას მიხეილ მეორეს.

უკანასკნელი დღეების მოვლენებმა მაიძულეს მტკიცედ გადამეწყვიტა ამ უკიდურესი ნაბიჯის გადადგმა. მაპატიე თუ გაწყენინე და ვერ მოვასწარი გამეფრთხილებინე. დავრჩები სამუდამოდ ერთგულ და თავდადებულ ძმად. მხურვალედ ვევედრები ღმერთს, იყოს შენი და შენი სამშობლოს შემწე.

ნიკი [85]

ის იყო გუჩკოვმა და შულგინმა პეტროგრადის ქვაფენილზე დაადგეს ფეხი, რომ ოკეანისგაღმელი მემატიანის ჰარკეივის მწარე გამოთქმით, მათთვის მაშინვე ცხადი გახდა, რომ „ტყუილად გაისარჯნენ“ [86]. მართლაც: ცნობამ მონარქიის გადარჩენის მიზნით ნიკოლოზის მიხეილით შეცვლის შესახებ ხალხში მძაფრი აღშფოთება გამოიწვია.

როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, მშრომელთა მასები უმალვე მიხვდნენ, რომ ახალი ხელისუფლება „უკვე მუშაობს მეფის მონარქიის აღსადგენად და ეპატიჟება მეფობის ახალ კანდიდატს—მიხეილ რომანოვს“, ზრუნავს ლეგიტიმური მონარქიის ბონაპარტისტული მონარქიით შეცვლაზე. ცხადი იყო, რომ ბურჟუაზიისა და მემამულეთა ლიდერების მიერ შექმნილ ახალ მთავრობას „არ სურს რუსეთში შეიქმნას დემოკრატიული რესპუბლიკა. მას ის უნდა, რომ ცუდი მეფის ნიკოლოზ II მაგივრად ტახტზე აიყვანოს თითქოს

---

* აღწერილი სცენის შესახებ ვ. ვ. შულგინმა ამ წიგნის ავტორს მოუთხრო 1975 წლის აგვისტოში ვლადიმირში.

„კარგი“ მეფე — მიხეილი. მას უნდა, რომ რუსეთში ხელისუფლება ეპყრას არა თვით ხალხს, არაც ედ ახალ მეფეს ბურჟუაზიასთან ერთად“ [87].

შულგინმა ჯერ კიდევ ვაგზლიდან დარეკა ტავრის სასახლეში და პირველი, რაც მან მოისმინა ყურმილში, იყო პ. ნ. მილიუკოვის შემდეგი სიტყვები:

— ვასილი ვიტალიევიჩ, გთხოვთ და გევედრებით: გადადგომის აქტი არ გამოაქვეყნოთ. ხალხი უსაზღვროდ აღშფოთებულია, — ლაპარაკობდა ტელეფონში კადეტების ლიდერი. — მას შემდეგ, რაც თქვენ წახვედით, განწყობილება ძალზე გაუარესდა. მეფის გადადგომა უკვე აღარავის აკმაყოფილებს... ნუ გადადგამთ შემდეგ ნაბიჯებს, შეიძლება უბედურება მოხდეს...

მაგრამ გუჩკოვს უკვე გამოეჩინა წინდაუხედაობა. ვაგზლიდან იგი როგორღაც მეზობლად მდებარე რკინიგზის სახელოსნოებში მოხვდა. აქ მან მიტინგზე მუშებს განუცხადა, რომ ნიკოლოზი გადადგა და მის მაგივრად მიხეილი გამეფდებოდა, რომ შეიქმნა „დემოკრატიული“ მთავრობა თავად ლვოვის მეთაურობით.

— თავადი!.. — შეჰყვირა რომელიღაც ოსტატმა და ტრიბუნაზე ახტა, — მაშ რისთვის მოვახდინეთ რევოლუცია, ამხანაგებო... თავადებისა და გრაფებისაგან ყველაფერს ვითმენდით... და ესეც შენ!.. ფინანსთა მინისტრად, გესმით თუ არა, ტერეშჩენკო დაუნიშნავთ... კი მაგრამ, ვინ არის ეს ვაჟბატონი ტერეშჩენკო? მას შაქრის ათი ქარხანა აქვს... მიწები ასი ათასობით... ახლა ფულები — ოცდაათ მილიონამდე მაინც შეუგროვდება [88].

გასასვლელთან რამდენიმე სხვა ოსტატი მიიჭრა, კარი გადაკეტეს. თვითგასამართლების სიტუაცია შეიქმნა.

— მოიტა აქ სიგელი! — ყვიროდნენ ყოველი მხრიდან. — დავხიოთ იგი!

გუჩკოვს დოკუმენტი ვერ უპოვეს. მან, როგორც იქნა, დააღწია თავი იქაურობას... მოგვიანებით გამოირკვა, რომ შულგინმა და გუჩკოვმა ჯერ კიდევ ვაგზალში შეუმჩნევლად ჩასჩარეს გადადგომის აქტი სათათბიროელ ლებედევს, მან კი იგი ლომონოსოვს გადასცა. ლომონოსოვმა გზათა მიმოსვლის სამინისტრომდე მიაღწია და დოკუმენტი პუბლიკოვს მისცა. ამ უკანასკნელმა კი გაზეთების გროვაში დამალა და მდივნის თაროზე შემოდო შესანახად... [89]

თუ-ცა თვითონ შულგინსაც წასძლია სულმა. პეტროგრადში ჩას-

ვლისთანავე ვაგზალში გამწკრივებული სამხედრო ნაწილის წინაშე გამოვიდა და უამრავი ხალხის თანდასწრებით თავისი გადაწყვეტილება შემდეგი სიტყვებით დაამთავრა:

— ხელმწიფე-იმპერატორს, მიხეილ მეორეს „ვაშა!“ [90].

მოვლენებს შემთხვევით კინაღამ ადმირალმა კოლჩაკმაც დაასწრო. შავი ზღვის ფლოტში მეფის გადადგომის შესახებ აქტის გადაცემისას ტელეგრაფის მავთული გაწყდა. უფროსებისათვის საშიში სიტუაცია შეიქმნა: ფლოტში შეეძლოთ ეფიქრათ, რომ უფროსობა ნიკოლოზ II ტახტიდან ჩამოგდებას მალავდა. მაშინ კოლჩაკმა ბრძანა, ახალი იმპერატორის მიხეილ II ერთგულების ფიცი დაედოთ. ხომალდებზე ბრძანების შესრულებას შეუდგნენ, მაგრამ იმ დროს ხაზი აღადგინეს, ორივე აქტი მიიღეს და ფიცის დადების ცერემონია შეწყვიტეს [91].

როძიანკოს წარგზავნილებმა ფსკოვში გამგზავრების შემდეგ სულის მოთქმა ვერ მოასწრეს, რომ ახალ ხათაბალაში გაებნენ. მილიონის ქუჩაზე მდებარე თავად პ. პ. პუტიატინის ბინაში 3 მარტს, დილის 10 საათზე, დაიწყო შემდეგი საკითხის განხილვა: მიიღოს თუ არა მიხეილ რომანოვმა მისთვის გადაცემული გვირგვინი, ანუ გამოაცხადოს თუ არა თავი იმპერატორად?

თათბირზე ძველი რუსეთის წამყვანი ბურჟუაზიისა და მემამულეთა ლიდერები გამოცხადდნენ. მიხეილ რომანოვის * გარდა მასში მონაწილეობდნენ მ. ვ. როძიანკო, ა. თ. კერენსკი, პ. ნ. მილიუკოვი, გ. ე. ლვოვი, ვ. ნ. ლვოვი, ვ. ვ. შულგინი, ა. ი. გუჩკოვი, მ. ი. ტერეშჩენკო, ი. ვ. გოდნევი, ი. ნ. ეფრემოვი, გ. ა. კარაულოვი, ნ. ვ. ნეკრასოვი [92]. მათ სახეზე აღშფოთება და შიში ეტყობოდათ:

---

* აი ზოგიერთი მონაცემი. მის შესახებ: დაიბადა 1878 წლის 22 ნოემბერს, ნიკოლოზ II-ზე ათი წლით ახალგაზრდა იყო. უმეტესად გატჩინაში ცხოვრობდა. 1899 წელს თავისი ძმის გიორგის (ალექსანდრე III მეორე ვაჟის) გარდაცვალებიდან 1904 წლამდე, ანუ ალექსის დაბადებამდე, ოფიციალურად ტახტის მემკვიდრედ ითვლებოდა. მსოფლიო ომის დაწყებისას კავკასიის ცხენოსანთა ე. წ. ველურ დივიზიას მეთაურობდა, რომელიც მონაწილეობას იღებდა ბრძოლებში. 1911 წელს მეფის სურვილის წინააღმდეგ ფარულად იქორწინა მოსკოველი ადვოკატის ქალიშვილ ნ. ს. შერემეტიევა-მამონტოვა-ეულფერტზე, რომელიც ორჯერ იყო გათხოვილი (უკანასკნელი ორი გვარი ქმრებისაა, მიღებული პქონდა გრაფინია ბრასოვას ტიტული). მიხეილის ცხოვრება, მთელი თავისი ოჯახური აურზაურითა და ამასთან დაკავშირებით მეფესთან წარმოშობილი კონფლიქტებით, დაწვრილებით აქვს აღწერილი მის გერს ნატალია მამონტოვას, რომლის ქმრის გვარიც მეჯოლიერი იყო. (Majolier N. Step-daughter of Imperial Russia. London, 1910).

ისინი შეიკრიბნენ უზარმაზარ, აბობოქრებულ და უსაზღვროდ გახეულებულ ქალაქში; ყოველ წუთს შეიძლებოდა მოსულიყვნენ აქ მუშები და ჯარისკაცები; დაცვა თითქმის არ არსებობდა: სადარბაზოსა და შიდა კიბესთან რამდენიმე ჯგუფად იდგნენ პრეობრაჟენსკის პოლკიდან ძლივძლივობით შეკრებილი ოფიცრები. სალონის შუაში მიხეილი იჯდა, მისგან მარჯვნივ და მარცხნივ, დივნებსა და სავარძლებზე ნახევარწრედ ისხდნენ მოწვეულნი. მან სთხოვა დამსწრეთ გამოეთქვათ თავიანთი აზრი.

რიგრიგობით ამბობენ სიტყვას. ურჩევენ მიხეილს ძალაუფლებას თავის თავზე ნუ აიღებს. მოტივი: არსებულ ვითარებაში ასეთი ნაბიჯის გადადგმა მიხეილს დიდ პირად საშიშროებას უქადდა. უკვე ახლავე ყველას, ვინც მოისურვებდა, შეეძლო შემოჭრილიყო აქ. და თუნდაც მიხეილს მოეხერხებინა თავის დაღწევა, ვერსად რუსეთში რეალურ უსაფრთხოებას ვერ იპოვიდა. ასეთ ვითარებაში, ეუბნებოდნენ მრჩევლები, როცა ხალხთა მასები მონარქიის შენარჩუნების იდეისადმი უკიდურესად გააფთრებულ მტრობას ამჟღავნებდნენ, მიხეილს ტახტზე ასვლის ცდა შეიძლებოდა სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა.

— მე უფლება არა მაქვს დაგიმალოთ, — განაცხადა კერენსკიმ, — როგორ საფრთხეში ჩაიგდებთ თავს ტახტის მიღების გადაწყვეტის შემთხვევაში... მე პასუხს არ ვაგებ თქვენს სიცოცხლეზე, თქვენო უდიდებულესობავ.

აღგზნებული მილიუკოვი კი ამტკიცებდა, რომ მიხეილს არა მარტო შეეძლო, არამედ კიდევაც უნდა დაეკავებინა ტახტი.

— თუ თქვენ, თქვენო უდიდებულესობავ, უარს იტყვით, დავიღუპებით... იმიტომ რომ რუსეთი მაშინ დაკარგავს თავის ღერძს... მონარქი — ეს ღერძია... მონარქია კი — ერთადერთი შესაძლებელი ცენტრი რუსეთში... ერთადერთი საერთო რამ, რაც ყველამ იცის, ერთადერთი მცნება ძალაუფლების შესახებ... თუ თქვენ უარს იტყვით, საშინელება მოხდება...

ეს მთლად გათეთრებული კაცი შავი ყვავივით ჩხავის... მონარქის გარეშე, ამბობს იგი, დროებითი მთავრობა „დანჯღრეულ ნავს“ დაემსგავსება, რომელიც ხალხთა მღელვარების ოკეანეში ჩაიძირება. მეფის გარეშე „ქვეყანას სახელმწიფოებრიობის ყოველგვარი არსის დაკარგვა ემუქრება“. მეფის გარეშე დროებითი მთავრობა დამფუძნებელი კრების მოწვევას „ვერ ეღირსება“.

პირობის თანახმად, მხოლოდ ერთხელ უნდა გამოსულიყვნენ სი-

ტყვით, მაგრამ მილიუკოვს ლაპარაკის საღერღელი აეშალა და ერთ-ხელ გამოსვლით ვერ დაკმაყოფილდა. რამდენიმე ორატორის შემდეგ, პროტესტების მიუხედავად, მან კვლავ ითხოვა სიტყვა. განაცხადა: ისინი, ვინც მიხეილის პირად უსაფრთხოებაზე ზრუნავენ, მართალნი არიან, მაგრამ საჭიროა გამბედაობა. სავსებით შესაძლებელია პეტ-როგრადის გარეშეც შეიკრიბოს საჭირო სამხედრო ძალა ბრბოს და-საშორჩილებლად, დიდი მთავრის დასაცავად [93].

მილიუკოვს მხარი დაუჭირა გუჩკოვმა. სავსებით დაეთანხმა მას. მოუწოდა მიხეილს განეცხადებინა „თანხმობა", თავის მხრივ კი გა-მოთქვა რწმენა, რომ მეფის გარეშე „რუსეთი ვერ იარსებებს". გუჩკოვი არწმუნებდა მიხეილს:

— თუ მეფის გვირგვინის სიმძიმისა გეშინიათ, მაშინ, უკიდურეს შემთხვევაში, დროებით მაინც ჩაიბარეთ ხელისუფლება როგორც იმპერიის რეგენტმა... შეპირდით ხალხს, რომ ომის დამთავრების-თანავე ძალაუფლებას დამფუძნებელ კრებას გადასცემთ [94].

რომანოვების მონარქიის შენარჩუნებისათვის ასეთი მებრძოლები შავრაზმელმა მოწინააღმდეგეებმა იცით რად გამოაცხადეს? ო, ღმერ-თო! მასონებად, თითქმის ხელის შემშლელებად, ბომბის მტყორცნ-ელებად და მეფის მკვლელებადაც კი აღიარეს. მონარქისტმა შავ-რაზმელებმა მეფის უერთგულესი თებერვლის დამცველები — მილი-უკოვი და გუჩკოვი გაანწყენეს. ისინი, რომლებიც ერთგულ ქვე-შევრდომთა შორის უერთგულესი იყვნენ, სამშობლოდან გაქცეულმა ავყიებმა „იუდა-ისკარიოტელებადაც" მონათლეს. მათ თეთრგვარ-დიულ ემიგრაციაში ყოფნის დროსაც კი ჯანსაღი აზრის საწინააღმდე-გო პოზიცია დაიკავეს. ისინი ბოროტებამ დააბრმავა, სიძულვილმა გააძვინვარა. გონება აუმღვრია. მონარქზე დანაღვლიანებულმა ერთ-ერთმა ასეთმა ჭკუანაღრძობმა ერთხელ პავლე ნიკოლოზის ძე მი-ლიუკოვს ესროლა კიდევაც (ვ. დ. ნაბოკოვი, კადეტების სხვა ლი-დერი, მას გადაეფარა და თვითონ მოკვდა) [95].

მიხეილს იმდენი ჭკუა ეყო, რომ დიდხანს არ ეყოყმანა. მოსა-ფიქრებლად გავიდა და მალე უკან დაბრუნდა იმ გადაწყვეტილებით, რომ ტახტზე უარი ეთქვა. „გუჩკოვ-მილიუკოვების მოკავშირე მი-ხეილ რომანოვი მიხვდა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ ასეთ ვითა-რებაში უფრო გონივრულია უარის თქმა, ვიდრე მას ტახტზე არ აირჩევს დამფუძნებელი კრება..." [96].

საღამოს 6 საათისათვის ხელი მოაწერეს ვ. ვ. შულგინის,

ნ. ვ. ნეკრასოვისა და ვ. დ. ნაბოკოვის მიერ შედგენილ აქტს. დაშლისას როძიანკო მიხეილს გადაეხვია და მას „უკეთილშობილესი ადამიანი“ უწოდა. თავის მხრივ მრავალსიტყვიანი კომპლიმენტი უთხრა კერენსკიმაც. მან ყველას წინაშე თქვა, „ახლა ვაცხადებ, რომ დიდ მთავარს მიხეილ ალექსანდრეს ძეს ღრმა პატივს ვცემ და მუდამ მისი პატივისმცემელი ვიქნები“ [97].

უკანასკნელი მეფის ძმის მიმართ თავის პატივისცემაზე გასული რიცხვით საქვეყნოდ ლაპარაკობს ზოგიერთი სოვეტოლოგიც, თუმცა მათგან თითო-ოროლა ტახტზე უარის თქმისათვის მას სიმხდალეს მაინც საყვედურობს. სხვებს ამ საყვედურის აცდენა სურს: მას, ამბობენ ისინი, „საკმაო ვაჟკაცობა გააჩნდა, მაგრამ ტემპერამენტი არ ეყო, რომ ბრძოლას სათავეში ჩადგომოდა“ [98]. საერთოდ კი ბურჟუაზიული პროპაგანდის მიერ მიხეილ რომანოვის, როგორც „წესიერი“ და „ლოიალური“ კაცის, იდეალიზაცია არა გვგონია საიმედო რამეზე იყოს დაფუძნებული. თებერვლის რევოლუციის დროს იგი ჩათრეული იყო მონარქიული კონტრრევოლუციის სასარგებლო აქტიურ ბრძოლაში. არ არის მართალი, რომ თითქოს იგი პეტროგრადში მხოლოდ 3 მარტს, მილიონის ქუჩაზე თათბირის დროს გაჩნდა. როძიანკომ იგი გატჩინიდან ჯერ კიდევ 27 თებერვალს იხმო და მას შემდეგ პეტერბურგიდან აღარ წასულა, მოვლენათა ცენტრში იყო და ხაბალოვთან, როძიანკოსა და ბიუკენენთან ერთად კულისებში ინტრიგებს აწყობდა.

პირველ მათგანს იგი ადგილზე, ადმირალიტეტშივე აძლევდა მითითებებს შეიარაღებული ბრძოლის მეთოდებზე, რაზედაც შემდეგში თავად ხაბალოვმაც განაცხადა [99].

ნიადაგს სინჯავდა ინგლისის ელჩთან რევოლუციის მოსახრჩობად, ანტანტის მხარდაჭერის შესაძლებლობის გამოვლენის მიზნით, რის შესახებაც შემდეგში თავად ბიუკენენმა მოგვითხრო [100].

მესამესთან საკუთარი თავის სამხედრო დიქტატორად გამოცხადების შესაძლებლობას განიხილავდა, რაც პირადად როძიანკომ დაადასტურა. სათათბიროს წევრების ნ. ვ. ნეკრასოვისა და ი. ი. დმიტრიევკოვის თანდასწრებით სიტყვა ჩამოვარდა იმის შესახებ, რომ მიხეილს „გამოცხადების წესით საკუთარ თავზე უნდა აეღო პეტროგრადზე დიქტატორობა, აეძულებინა ძველი მთავრობა გადამდგარიყო და, დინასტიის გადარჩენის ინტერესებიდან გამომდინარე, თავისი შეხედულების მიხედვით შეედგინა ახალი“ [101].

არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ 27 თებერვალს, სათათბიროს წევრების კერძო თათბირზე, მიხეილ რომანოვს სამხედრო დიქტატურა შესთავაზეს [102].

გადადგომის აქტის შემდეგ მისი მონაწილენი უმალვე დაემშვიდობნენ ერთმანეთს და მოგილიოვიდან ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით გაეშურნენ. გადადგომის აქტის შემდეგ ქალბატონმა პუტიატინამ მილიონის ქუჩაზე ყველა მონაწილე დიდებულად გაწყობილ სასადილო მაგიდასთან მიიწვია.

ტახტისათვის ბრძოლამ ნიკოლოზს რვა დღე — ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე წაართვა. მიხეილმა კი ამ საქმეს ერთი ხუთშაბათი მოანდომა, დილის 10-დან საღამოს 6-მდე.

12

ალექსანდრეს სასახლეში დაცვის ქვეშ

ბრიტანული მეთოდია — კურდღელთან ერთად გაქცევა და მისი დადევნება მონადირესთან ერთად.

დაპატიმრება ოგიუსტ ბარბიე.

გადადგომის აქტზე ხელმოწერის შემდეგ ნიკოლოზმა პოლკოვნიკის ფარაჯა ჩაიცვა, სალონიდან ტამბურში გავიდა და ბაქანზე ჩავიდა.

დაცვა სადღაც გამქრალიყო. მას მხოლოდ ერთ-ერთი მისი ფლიგელ-ადიუტანტი პრინცი გიორგი ლაიხტენბერგი გაჰყვა.

გადამდგარი მეფე დიდხანს დადიოდა ბაქანზე, ლიანდაგებზე მატარებლებს შორის, ჩიოდა ბედზე, ორგულ თანამშრომლებზე. იგი სინანულით უყვებოდა ლაიხტენბერგს იმ მდგომარეობის შესახებ, რომელშიაც აღმოჩნდა მოკავშირეთა წინაშე: „მთავარბანაკში უცხოელ აგენტებთან შეხვედრისა შემრცხვება და ისინიც უხერხულად იგრძნობენ თავს ჩემს დანახვაზე". აქტზე ხელის მოწერამდე მეფე ჯერ კიდევ იღიმებოდა, „გადადგომის შემდეგ კი სახე გაუქვავდა, იგი ყველას ესალმებოდა და ხელს უწვდიდა ჩამოსართმევად, მეც გამომიწოდა..." [1] — იგონებდა შემდეგში დ. ნ. დუბენსკი.

ცოტა მოგვიანებით იგი გასეირნებას სთავაზობს მორდვინოვს და მასაც შესჩივის. მორდვინოვი ამშვიდებს: „არა უშავს, თქვენო უდიდებულესობავ, დიდად ნუ იწუხებთ, თქვენ ხომ არ გითხოვიათ ტახტზე ასვლა... დაე თავად მართონ, თუ უნდათ... ძალად მაცხონე ხომ არ გახდებით..." ამ სიტყვებზე ხელმწიფე შეჩერდა. „დიახ, — წარმოთქვა მან კბილების ხრჭიალით. — ვერაფერს იტყვი, კარგი რამაა ეს მათი ხალხის ნება-სურვილი..." [2].

ათასგვარი რამ ითქვა შემდგომ იმ დუმილით აღსავსე პასიუროობის, თითქოსდა გასაოცარი გულგრილობის შესახებ, ნიკოლოზმა ძალაუფლება რომ „დათმო" („ისე როგორც ესკადრონებს თმობენ ხოლმე"). ფელეტონური ჰიპერბოლის ოსტატმა ა. ტ. ავერჩენკომ,

რომელიც ლამაზი სიტყვის გამო არც დედასა და არც მამას არ დაინდობდა, ფსკოვის ლიანდაგებში გაჩერებული მატარებლის სალონ-ვაგონში მყოფი ნიკოლოზი ასეთნაირად დაგვიხატა: „იჯდა იგი და ფანჯარს ულვაშებზე ისვამდა... შემდეგ უჩუმრად მოაწერა ხელი გადაგვიმის აქტს და თქვა: „მაშ კარგით, ლივადიაში წავალ და ყვავილებს ვავაშენებ“ [3].

იმ საათებში ნიკოლოზი ლივადიის ყვავილებზე როდი ფიქრობდა. ღამით, ბორბლების ხმაურში, იგი წერს „ღალატზე, სიმხდალესა მოტყუებაზე“, რომლის მსხვერპლიც, მისი რწმენით, თვითონ გახდა. მისი საკუთარი აღწერით გასული დღის (2 მარტის) მოვლენათა არსი ასეთი იყო: დ ი ლ ი თ მ ო ვ ი დ ა რ უ ზ ს კ ი... ს ა ჭ ი რ ო ა ჩ ე მ ი გ ა დ ა დ გ ო მ ა. რ უ ზ ს კ ი მ ე ს ა უ ბ ა რ ი მ თ ა ვ ა რ ბ ა ნ ა ს გ ა დ ა ს ც ა, ა ლ ე ქ ს ე ე ვ მ ა კ ი — ყ ვ ე ლ ა ს ა რ დ ა ლ ს. ს ა-მ ი ს-ნ ა ხ ე ვ რ ი ს ა თ ვ ი ს ყ ვ ე ლ ა ს პ ა ს უ ხ ი მ ო ვ ი დ ა. ა რ ს ი ი ს ა ა, რ ო მ რ უ ს ე თ ი ს ხ ს ნ ი ს ა თ ვ ი ს, ფ რ ო ნ ტ ზ ე ა რ-მ ი ი ს ა დ ა ს ი მ შ ვ ი დ ი ს შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ს ა ჭ ი-რ ო ა ა მ ნ ა ბ ი ჯ ი ს გ ა დ ა დ გ მ ა. მ ე დ ა ვ თ ა ნ ხ მ დ ი... ს ა-ღ ა მ ო ს პ ე ტ რ ო გ რ ა დ ი დ ა ნ გ უ ჩ კ ო ვ ი დ ა შ უ ლ გ ი ნ ი ჩ ა მ ო ვ ი დ ნ ე ნ... ხ ე ლ მ ო წ ე რ ი ლ ი მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი მ ა თ გ-დ ა ვ ე ც ი... ღ ა მ ი ს 1 ს ა ა თ ზ ე წ ა მ ო ვ ე დ ი თ ფ ს კ ო ვ ი დ ა ნ გ ა ნ ც დ ი ლ ი ს მ ძ ი მ ე გ რ ძ ნ ო ბ ი თ. ი რ გ ვ ლ ი ვ ღ ა ლ ა ტ ი, ს ი მ ხ დ ა ლ ე დ ა ც ბ ი ე რ ე ბ ა ა [4].

იგი განაწყენდა ბიძაზე, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეზე, ევერტსა და სახაროვზე — ალექსეევისათვის თავიანთი „თანხმობის“ ნაჩქარევად გამოთქმისათვის. განაწყენდა მოგილიოვის გარნიზონის ოფიცრებზეც, რომლებმაც ყური მოჰკრეს თუ არა „მარსელიოზას“, საღილეებში წითელი ბაფთები გაიკეთეს, ქუჩაში გამოვიდნენ და მანიფესტაციის მონაწილეებს შეუერთდნენ. და ძალზე ბრაზობდა გენერალ რუზსკიზედაც.

მეორე დღეს (3 მარტს): მ ე ძ ი ნ ა დ ი დ ხ ა ნ ს დ ა ღ რ მ ა დ. გ ა მ ე ღ ვ ი ძ ა, რ ო ცა დ ვ ი ნ ს კ ი დ ა ნ უ კ ვ ე კ ა რ გ ა შ ო რ ს ვ ი ყ ა ვ ი თ. მ ზ ი ა ნ ი დ ა ყ ი ნ ვ ი ა ნ ი დ ღ ე ი დ გ ა... ი უ ლ ი უ ს ც ე ზ ა რ ზ ე ვ კ ი თ ხ უ ლ ო ბ დ ი. ი მ ს ა ღ ა მ ო ს, რ ო ცა ქ ალ ბ ატ ონ პ უ ტ ი ა ტ ი ნ ა ს ს ა ს ა დ ი ლ ო მ ა გ ი დ ი დ ა ნ „თ ე ბ ე რ ვ ლ ი ს დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ი“ მ ი ლ ი უ კ ო ვ ი, კ ე რ ე ნ ს კ ი დ ა მ ა თ ი კ ო ლ ე გ ე ბ ი წ ა მ ო დ გ ნ ე ნ, ც ი ს ფ ე რ ი მ ა ტ ა-რ ე ბ ე ლ ი მ ო გ ი ლ ი ო ვ ს უ ა ხ ლ ო ვ დ ე ბ ა. გ ა დ ა ყ ე ნ ებ უ ლ ს მ ე ფ ე ს ბ ა ქ ა ნ ზ ე

ალექსეევი და შტაბის მუშაკები ხვდებიან. ზოგს შემკრთალი სახე აქვს, ზოგსაც უხალისო. რა უნდა აკეთოს მან აქ? ეს კარგად თავადაც არ იცის. იმავე დღის ჩანაწერის გაგრძელება: 8 საათსა და 20 წუთზე ჩავედი მოგილიოვში. შტაბის ყველა თანამდებობის პირი ბაქანზე იყო. ალექსეევი ვაგონში მივიღე. 9 საათსა და 30 წუთზე შინ გადავბარგდი[5],

დილით იგი ალექსეევთან ერთად ჩაის მიირთმევს; შემდეგ შტაბში მიდის, რათა უკანასკნელად მოისმინოს ალექსეევის მოხსენება ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ; შემდეგ ვაგზალზე მიეშურება კიევიდან ჩამოსული დედის დასახვედრად. მარია თეოდორეს ასული შვილს ბაქანზე გადაეხვია და მასთან ერთად სადგურთან მდებარე ფიცრული ბარაკისაკენ წავიდა. დიდხანს ისხდნენ ისინი იქ განმარტოებით; ქვრივი იმპერატრიცა ბარაკიდან ნამტირალევი თვალებით გამოვიდა. მოგილიოვში რამდენჯერმე ნახეს დედაშვილი ერთსა და იმავე პოზაში: დედა შვილს რაღაცას ეუბნება, შვილი უსიტყვოდ უსმენს. დაღლილი, უძრავი მზერა ქვემოთ აქვს მიპყრობილი, პაპიროსს ეწევა (ნიკოლოზ რომანოვის ურთიერთობა დედასთან შემდეგში არაერთხელ იქნა აღწერილი)[6].

მთავარბანაკში ჩასვლისას მისთვის არც ფოსტა მიუტანიათ და არც სააგენტო დეპეშები. პოლკოვნიკი, რომელიც პრესის განყოფილებას განაგებდა, მიტანას შეპირდა, მაგრამ თავისი დაპირება იმავე დღეს „დაავიწყდა“.

მოვიდა როძიანკოს მიერ ალექსეევის სახელზე გამოგზავნილი დეპეშა მილიონის ქუჩაზე ჩატარებული თათბირის შესახებ. აი ნიკოლოზის კომენტარები მასზე: მიშა თურმე გადადგა. მისი მანიფესტი მთავრდება ექვსი თვის შემდეგ დამფუძნებელი კრების არჩევისათვის საჭირო ოთხი პუნქტით. ღმერთმა უწყის, ვინ შთააგონა ასეთი სისაძაგლის დაწერა. პეტროგრადში არეულობა შეწყდა — ნეტავი ასე მაინც გაგრძელდებოდეს შემდგომაც. 7 მარტს წერს: ჩაის შემდეგ ნივთების ჩალაგება დავიწყე. დედასთან ერთად ვისადილე და კარტი წავითამაშე[7].

არ არსებობს სიბრალულის გამომხატველი ისეთი სიტყვა, რომლის მიმართაც ოკეანისგაღმელ სოვეტოლოგებს სიძუნწე გამოეჩინოთ და

იგი თებერვალ-მარტის დღეებში ნიკოლოზ რომანოვის დასასტად არ გამოეყენებინოთ. ცოლ-შვილსა და ხელისუფლების ცენტრიდან მოწყვეტილ, 800 ვერსით დაშორებულ პროვინციულ მოგილიოვში გადაკარგულ ყოფილ მეფეს მათი წარმოსახვით დევნიან და ბოლოს უღებენ როგორც მომწყვდეულ ნადირს. ფრენკლენდი წერს, რომ იგი ნიკოლოზის „სხვადასხვა პრობლემის მიმართ გულგრილია" და „საერთოდაც არ აინტერესებს იგი", მაგრამ ადამიანურად ებრალება მეფე, „როგორც საბრალოა ბრმა, რომელიც ხელების ფათურით გადადიოდა ქუჩას და ავტომობილმა გასრისა" [8].

ალექსანდროვის წიგნში დამხობილი მეფე წარმოდგენილია როგორც „იმედდაკარგული კაცი ჩამქრალი თვალებით, ნაოჭებით დაღარული, გაყვითლებული ბებრული სახით, მოვლენებით განადგურებული, მთვარეულივით უნებისყოფოდ რომ დააბიჯებს, სულიერად მოწყვეტილი ყველასაგან და ამიტომაც წამებისათვის წინასწარ განწირული". სწორედ ამ ავტორმა გამოიჩინა თავი ორიგინალური აღმოჩენით (რომელიც შემდეგ ზოგიერთებმა აიტაცეს), რომ ნიკოლოზ რომანოვი არის ჰამლეტი, დანიის პრინცი; და არა მარტო იმიტომ, რომ მოქმედების მაგივრად მოგილიოვსა და ფსკოვში თავი გაიწამა გაუთავებელი ყოყმანით „ყოფნა არყოფნის" თემაზე; საქმე კიდევ ისაა, რომ დედამისი წარმოშობით დანიელი პრინცესა იყო; ამრიგად, უკანასკნელი მეფე ერთგვარად ჰამლეტის შთამომავალია; მაშასადამე, ყოყმანი მას ჰამლეტიდან მემკვიდრეობით ჰქონია გამოყოლილი. აი ის გარემოებანი, რომელთა უგულებელყოფაც შეუძლებელია, თუ გინდა ჩასწვდე რუსეთის რევოლუციის საიდუმლოებას... [9].

მით უფრო იმსახურებს სიბრალულს ნიკოლოზ II, ირწმუნებიან ეს ვაუბატონები, რომ „რევოლუციონერთა სიმკაცრითა" და „თანამშრომელთა ღალატით" გამოწვეულ მძიმე წუთებში თავი იჩინა ნათესავების უდარდელობამაც. „იგი გასცეს და გაყიდეს როგორც შტაბის მუშაკებმა, ისე არისტოკრატიამ, მოკავშირეებმა და სამეფო სახლის წევრებმა; სხვა ვინმე კი არა, მისი ბიძაშვილი კირილე გამოცხადდა ტავრის სასახლეში კიტელზე წითელი ბაბთით, რაც რევოლუციისადმი დამორჩილების მზადყოფნას მოწმობდა" [10].

საჭიროა თუ არა იმის მტკიცება, რომ „კბილების მოხრჭიალე" ნიკოლოზი ნაკლებად წააგავს წინააღმდეგობის უნარს მოკლებულ მთვარეულს, როგორსაც გვიხატავს ოკეანისგაღმელ პრორომანოველთა ფანტაზია. განა მთვარეული არ უგზავნიდა ბრძანებებს ხაბა-

ლოვს „აბბოხების“ უმოწყალოდ ჩახშობისათვის, განა ჰამლეტის ორეულმა არ შეაიარაღა ივანოვის დამსჯელი ექსპედიცია. რაც შეეხება ნათესავების დამოკიდებულებას ნიკოლოზისადმი, შეიძლება აღინიშნოს, რომ გააფთრებით ეჭიდებოდა რა თავის ერთპიროვნულ ძალაუფლებას, თავადვე შეაჩვია ახლობლები (ცოლის გარდა), რათა აზრადაც არ გაევლოთ მის საქმეებზე ზემოქმედება. ნიკოლოზმა ისიც კი აუკრძალა ახლობლებს, რომ მასთან საუბრისას რაიმე პოლიტიკურ თემას შეხებოდნენ. ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიაც არ უღონია არაფერი იმისათვის, რომ შეეკრიბა ისინი და ერთად განეხილათ მათთვის უზარმაზარი მნიშვნელობის ნაბიჯი. აქ საქმე იმდენად გეოგრაფიულ განცალკევებულობას კი არ ეხება, რამდენადაც ქრონიკულ კინკლაობასა და აყალმაყალს, რაც რომანოვების ოჯახს ბოლოს უღებდა. ნიკოლოზს არ უკითხავს მათთვის აზრი ტახტიდან გადადგომის შესახებ არც მანამდე და არც მის შემდეგ; მათ ხომ არც უცდიათ შექმნილი კრიტიკული მდგომარეობის განხილვა ვინმესთან ერთად ან თუნდაც ერთმანეთთან. გადადგომის ამბავი ნათესავებმა მას შემდეგ შეიტყვეს, როცა უკვე ფაქტი მომხდარი იყო. ამასთან რომანოვების ოჯახი დინასტიის კრახის დროისათვის ისეთ უმწეოთა გალერეას წარმოადგენდა, რომ თითქმის არავინ იყო ისეთი, ვისთანაც მოლაპარაკება შეიძლებოდა. დიდ მთავართა წრეში ერთადერთ სერიოზულ პიროვნებად ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ითვლებოდა, რომელმაც რჩევის გარეშე არ დატოვა თავისი ძმისწული, მიღებულ შეკითხვაზე მან უყოყმანოდ უპასუხა გადამდგარიყო.

20 მარტს, მოგილიოვიდან მისი წასვლის წინა დღეს, ნიკოლოზმა შეადგინა გამოსათხოვარი „მიმართვა მოქმედი არმიისადმი“. „დაემორჩილეთ ახალ მთავრობას, — ნათქვამი იყო მასში. — გაუგონეთ თქვენს უფროსებს. დაე შემწე იყოს უფალი ღმერთი მათი, რათა წარუძღვნენ რუსეთს დიდებისა და კეთილდღეობის გზით“ [11]. ალექსეევმა მიმართვა 21 მარტის № 371-ე ბრძანებაში ჩართო, მაგრამ გუჩკოვმა შეიტყო ამის შესახებ და პეტროგრადიდან დეპეშით კატეგორიულად მოითხოვა, რომ ყოფილი მეფის მიმართვა ბრძანებიდან ამოეღოთ.

ოკეანისგაღმელი პროპაგანდისტები ამ ეპიზოდს აგვიწერენ, ერთი მხრივ, როგორც ნიკოლოზის მამაცობასა და თავგანწირვას, მეორე მხრივ, მათ მიერვე ერთხანს ნაქები „თებერვლის დემოკრატების“ მორიგ სულმდაბლობას. სინამდვილეში კი ერთმანეთს და-

ემთხვა ორი უბრალო სვლა, უფრო ზუსტად, პოლიტიკური თავდაზღვევის პარალელური ცდა ორივე მხრიდან: ყოფილ მეფეს სურდა გამომშვიდობებოდა მოგილიოვს „ლოიალურად“ და „პატრიოტულად“, ხოლო კაპიტალისტ გუჩკოვსა და მის კოლეგებს მაშინდელ ვითარებაში მიზანშეწონილად მიაჩნდათ, რაც შეიძლებოდა „რევოლუციურად“ გამოეძევებინათ ექს-იმპერატორი მთავარბანაკიდან. ამას ქალბატონი ე. მ. ალმედინგენი ვერ ხედავს და არც უნდა მის შესახებ რაიმე იცოდეს. იგი ამ ეპიზოდის მიმართ საერთოდ ქალურად არის განწყობილი. „დიდი იყო ამ ტექსტის პატარა ფრაგმენტის კეთილშობილება, — წერს იგი, — და მიუხედავად ამისა, მთავრობამ ნება არ დართო გაეცნოთ იგი არმიისათვის“. ეს გასაგებია: მთავრობას ეშინოდა, რომ „მეფის წერილის უბრალო და ამაღელვებელ ფრაზებს კვლავ არ გაეღვიძებინა ჯარებში ტახტისადმი ლოიალობის გრძნობა“. და თუმცა დოკუმენტი „არასოდეს წაუკითხავთ ჯარებისათვის“, თითქოს ის მოწმობს, რომ „უკანასკნელი რომანოვი არ იყო მარიონეტი, რომ იგი ბოლომდე ლოიალური დარჩა თავისი მოკავშირეებისადმი და რომ ქვეყნის კეთილდღეობა მისთვის რაღაც უფრო დიდს ნიშნავდა, ვიდრე მისი მტრები ამტკიცებდნენ“ [12].

ისღა დაგვრჩენია, რომ კიდევ ერთხელ გამოვთქვათ გაოცება იმის გამო, თუ როგორი შეუპოვრობით აცხადებენ პრეტენზიას დასავლეთელი სოვეტოლოგები რუსული პატრიოტიზმის შესახებ დიპლომების დარიგების უფლებაზე თავიანთი შეხედულებისამებრ.

პეტროგრადის საბჭომ გაითვალისწინა რა ხალხმრავალ მიტინგებსა და კრებებზე გამოთქმული მოთხოვნები, მეფის გადადგომის მეორე დღესვე დაადგინა, მიეღო ზომები ცოლ-ქმარ რომანოვების დასაპატიმრებლად. საბჭოს მოწოდებას დროებითი მთავრობისადმი — ერთობლივად გადაედგათ ეს ნაბიჯი — ლვოვმა და კერენსკიმ არ უპასუხეს. მაგრამ როცა ისინი დარწმუნდნენ, რომ პეტროგრადის საბჭოს შეეძლო და უკვე განზრახულიც ჰქონდა დამოუკიდებლად განეხორციელებინა დაპატიმრება, დროებითმა მთავრობამ მიიღო (7 მარტს) დადგენილება: „ცნონ გადამდგარი იმპერატორი ნიკოლოზ II და მისი მეუღლე თავისუფლებააღკვეთილებად და მოყვანილ იქნას გადაყენებული იმპერატორი ცარსკოე სელოში“ [13].

ამის შესრულება დაევალა მთავრობის 4 კომისარს: ა. ბუბლიკოვს, ს. გრიბუნინს, ი. კალინინს, ვ. ვერშინინს (ყველა სათათბიროს წევრია). იუსტიციის მინისტრი კერენსკი მათ დარიგებას აძლევს:

„პირადად ყოფილ ხელმწიფეს ნუ შეაწუხებთ, მასთან ურითერთობა გენერალ ალექსეევის საშუალებით დაამყარეთ“.

დროებითი მთავრობის ფორმალური მიწერილობით 7 მარტს ღამის 11 საათზე კომისრები სასწრაფო მატარებლით მოგილიოვში გაემგზავრნენ. მეორე დღეს ისინი ადგილზე იყვნენ; ვაგზლიდან ავტომობილით მთავარბანაკში წავიდნენ, ალექსეევის წინაშე წარსდგნენ და სიხოვეს ნიკოლოზისათვის გადაეცათ, რომ მას გამოცხადებული აქვს თავისუფლების აღკვეთა, მთავრობა რეკომენდაციას აძლევს დაუყოვნებლივ გაემგზავროს ოჯახთან ცარსკოე სელოში. ალექსეევმა განუცხადა კომისრებს, რომ მეფის მატარებელი მზად არის და შეუძლია გასვლა ნებისმიერ დროს, როცა კი მოისურვებენ. კომისრებმა მოითხოვეს წარმოედგინათ ამალის წევრთა და მოსამსახურეთა სრული სია, იმათი, ვინც ნიკოლოზს თან გაჰყვებოდა. ასეთი სია (47 კაცზე) მისცეს.

მარია თედორეს ასულის მატარებლის ვაგონ-რესტორანში საუზმე იყო გაწყობილი. აქ დედა-შვილი უკანასკნელად შეხვდა ერთმანეთს და ისაუბრეს. ალექსეევმა აქ გააცნო ნიკოლოზს დროებითი მთავრობის დადგენილება. გამგზავრება დანიშნული იყო შუადღის ხუთი საათისათვის (8 მარტს).

თავის უკანასკნელ გზაზე მიმავალი იმპერატორის მატარებელი, როგორც ყოველთვის, ათი ვაგონისაგან შედგება. ვაგონი ოთხი კომისრისათვის ბოლოშია მიბმული. ალექსეევის ბრძანებით, შემადგენლობის დაცვა, რომელსაც უნტერ-ოფიცერი ეროფეევი მეთაურობს, ფორმირებულია რკინიგზის ბატალიონის ჯარისკაცებისაგან. გასვლამდე რამდენიმე წუთით ადრე ნიკოლოზი ბაქნის გავლით დედამისის მატარებლიდან თავის მატარებელში გადადის. მისალმების ნიშნად მას ხელი საფეთქელთან მიაქვს. ფარაჯა გაუხდია და ტანთ თავისი მებადრაგის ფორმა ჩაუცვამს, ყაბალახი აქვს მოხვეული. ბაქანზე შეკრებილი მთავარბანაკის ოფიცრები და ახლობლები თვალს აყოლებენ და სამარისებური დუმილით აცილებენ. არ ისმის არც თანაგრძნობისა და არც მტრობის გამომხატველი რაიმე შეძახილები. მარტო ადმირალი ნილოვი მიიჭრა მასთან და ხელზე აკოცა.

მოგილიოვის ვაგზლიდან შუადღის 4 საათზე პირველად ქვრივი დედოფლის მატარებელი გავიდა. ნიკოლოზი გულგრილად გაჰყურებდა მიმავალ შემადგენლობას. 4 საათზე და 45 წუთზე საწინააღმდეგო მიმართულებით გავიდა იმპერატორის ცისფერი მატარებელი. როცა

მეფის სალონ-ვაგონმა გასაცილებლად მოსულ გენერლებსა და ოფიცრებს ჩაუქროლა, ალექსეევმა, რომელიც შეკრებილთა ჯგუფის წინ იდგა, ფაფახი მოიხადა, დაიხარა და მატარებელს თაყვანისცემა დაადევნა.

ამ დროს ალექსანდრა თეოდორეს ასული ცარსკოე სელოს სასახლეში ისტერიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. უნწეობის შეგნებამ გონება დაუბინდა. განელილი ორი კვირის განმავლობაში მეუღლის გვერდით რომ ყოფილიყო და მის გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა შეძლებოდა, ეჰვს გარეშეა მეფე უფრო მეტ სიმტკიცესა და სისასტიკეს გამოავლენდა, რათა, დედოფლის სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელი წაეევლო მათრახისათვის. მაგრამ ალექსანდრასა და ნიკოლოზს 800 ვერსი აშორებდათ. უზომო იყო მისი ზიზღი, უსაზღვრო — მისი გააფთრება. მას ხომ მოვლენებში სუსტი ორიენტაციის უნარი ჰქონდა.

როცა კამერდინერმა ვოლკოვმა დედოფალს უთხრა: „მგონი რევოლუცია იწყება, კაზაკებიც კი სანდონი არ არიან“, მან უპასუხა: „არა, ეს ასე არ არის. რუსეთში რევოლუცია არ შეიძლება მოხდეს. კაზაკები ჩვენ არ გვიღალატებენ“ [14].

როცა ვოლკოვის შემდეგ კირილე ვლადიმერის ძის ცოლმა ვიქტორიამაც იგივე უთხრა, ალექსანდრამ მას ინგლისურად მიუგო: „ოცდასამი წელიწადია ტახტი მიკავია. მე ვიცნობ რუსეთს. ვიცი, როგორ უყვარს ხალხს ჩვენი ოჯახი. ვინ გაბედავს ჩვენს წინააღმდეგ გამოსვლას?“ [15].

ნიკოლოზის გადადგომის შესახებ მან დიდი მთავრის პავლე ალექსანდრის ძისაგან გაიგო; იგი დედოფალთან გაზეთით ხელში შევიდა და გადადგომის აქტის ტექსტი ხმამაღლა წაიკითხა. დედოფალმა შეჰყვირა: „არ მჯერა, ეგ ყველაფერი ტყუილია. გაზეთის ჰორია. მე მწამს ღმერთისა და არმიისა. მათ ჯერ არასოდეს მივუტოვებივართ“ [16].

რაკი ნიკოლოზთან გამგზავრება ვერ შეძლო და ამის გამო წინააღმდეგობას წააწყდა, ალექსანდრა ადგილს ვერ პოულობს, დეპეშას დეპეშაზე გზავნის ხან მოგილიოვში, ხან ფსკოვში, ტყუილუბრალოდ სწერს დარიგებებს, მოწოდებებს. შიკრიკებს კი პასუხად მოაქვთ მისთვის ალექსანდრეს სასახლეში ტელეგრაფიდან უკან დაბრუნებული ბლანკები. რომლებზედაც აღნიშნულია: „ადრესატის ადგილსამყოფელი უცნობია“.

ბოლოს ცარსკოე სელოში თავად ალექსანდრეს გამოცხადდა. მის მატარებელს შემხვედრ სადგურებში არავისი ყურადღება არ მიუქცევია. იგი დღის 2 საათზე (9 მარტს) ალექსანდრეს სადგურზე სამეფო პავილიონს მიუახლოვდა. ბაქანზე სულ რამდენიმე კაცი იყო. გვერდით პატარა ჯგუფად იდგნენ პეტროგრადელი ჟურნალისტები. ნიკოლოზი ვაგონის საფეხურიდან ჩამოხტა და ისე, რომ არავისთვის შეუხედია, ავტომობილისაკენ წავიდა. მასთან ერთად მანქანაში ჩაჯდა ჰოფმარშალი ვ. ა. დოლგორუკოვი. ამის შემდეგ მატარებლიდან პევრნი გადმოვიდნენ, მაგრამ როგორც კი იგი ბაქნიდან ჩავიდა, ისინიც „ძალზე სწრაფად სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ, თან აქეთიქით იყურებოდნენ, ალბათ იმიტომ, რომ ეშინოდათ, არავინ გვიცნოსო“.

ავტომობილი ალექსანდრეს სასახლესთან გაჩერდა. შესასვლელთან მდგარი მორიგე ჯარისკაცი კარს დიდხანს არ აღებდა. გულგრილად შეჰყურებდა ყოფილ მეფეს. ბოლოს შენობიდან მორიგე ოფიცერი გამოვიდა და გუშაგს შორიდანვე დაუყვირა:

გაუღე კარი ყოფილ იმპერატორს!

ნიკოლოზი მანქანიდან გადმოვიდა. „კიტელზე წითელბაბთებიანი ოფიცრები პარმაღზე იდგნენ, ხელები ჯიბეებში ჩაეწყოთ, ზოგიერთს პაპიროსი ჰქონდა გაჩრილი პირში. ნიკოლოზი ხელის აწევით მიესალმა მათ, არც ერთ მათგანს სალმითვე არ უპასუხია, პატივი არ დაუდიათ“ [17].

რამდენიმე წუთის შემდეგ ნიკოლოზმა გაიგონა, თუ როგორ გაიჩხაკუნა მის ზურგს უკან ურდულმა. ამიერიდან იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე პატიმარია. ერთდროულად გატჩინაში შინაურ პატიმრობაში აიყვანეს მიხეილ რომანოვიც. ფორმალურად იგი „რევოლუციის მეთვალყურეობის ქვეშ“ გამოაცხადეს.

წინა დღით პატიმრის მდგომარეობაში აღმოჩნდა ალექსანდრა თეოდორეს ასულიც. დროებითი მთავრობის დადგენილებით ეს ღონისძიება პეტროგრადის ოლქის ჯარების ახლად დანიშნულ სარდალს ლ. გ. კორნილოვს უნდა განეხორციელებინა. ობერ-ჰოფმარშალ პ. კ. ბენკენდორფის მიერ ყოფილი დედოფლის აპარტამენტებში შესვლის ნებართვით უფლებამოსილმა გენერალმა მოკრძალებით დახარა თავი ალექსანდრას წინაშე: „თქვენო უდიდებულესობავ, მძიმე ამოცანის განხორციელება მხვდა წილად — უნდა გამოგიცხადოთ მინისტრთა საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ დღეიდან

თქვენ აღკვეთილი გაქვთ თავისუფლება". იგი კრიჭამეკრული, თავდახრილი უსმენდა, მაგრამ ყელზე და გარეგნულად აუღელვებელ სახეზე ნელ-ნელა მოწითალო ლაქები გამოესახა. კორნილოვი ცოტა ხანს შეჩერდა და შემდეგ მის დამშვიდებას შეუდგა. იგი არწმუნებდა, რომ არც თვითონ და არც იუსტიციის მინისტრი კერენსკი, რომელმაც იგი გამოგზავნა, დედოფლის „თავმოყვარეობის შელახვას" ანდა მის „შეწუხებას" არ დაუშვებდნენ; პრემიერ-მინისტრ ლვოვის მითითების თანახმად, „თავისუფლების აღკვეთის" (და არა დაპატიმრების) ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა მეფის ოჯახის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ხოლო ასეთი ამოცანის იდეალურ შემსრულებლად შეიძლებოდა ჩათვლილიყო სასახლის იმდროინდელი კომენდანტი შტაბს-როტმისტრი პ. ი. კოცებუ. როგორც კი ვითარება გაუნმუხტებოდა, თავისუფლების შეზღუდვაც მოიხსნებოდა[18].

სარდლის თავაზიანობით გულაჩვილებულმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა ღირსჰყო იგი თავისი დავალებაც მიეცა. ხომ არ მოელაპარაკებოდით, გენერალო, ამავე თემაზე ჩემს ქალიშვილებსა და ვაჟს? ყველაფერი ძალზე დამაჯერებლად და ოპტიმისტურად გამოგდით. ო, დიახ, რა თქმა უნდა. ამ წუთში. სიამოვნებით შევეცდები. ქალიშვილებთან ახსნა-განმარტებით მუშაობას ლავრ გიორგის ძემ ნახევარი საათი მოანდომა და ისინი გამარჯვებული დემოკრატიით თითქმის მოხიბლულნი დატოვა. რაც შეეხება მემკვიდრეს, მის შესახებ აღმზრდელ ჟილიარს სახელდახელოდ მოეთათბირა და გადაწყვიტა: მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ ალექსის მოვლენათა მსვლელობას თვითონ ხსენებული პედაგოგი გააცნობდა*. ამის შემდეგ დამრიგებელსა და მის აღსაზრდელს შორის შემდეგი საუბარი გაიმართა:

— იცით, ალექსეი ნიკალაევიჩ, მამათქვენი დაბრუნდა მოგილიოვიდან და იქ მეტი აღარ წავა.

— მერედა რატომ?

---

* პიერ ჟილიარი ქენევიდან იყო. 1904 წელს დაამთავრა ლოზანის უნივერსიტეტი. 1905 წელს მეფის ნათესავმა პრინცმა ლაიხტენბერგმა ჟილიარი პეტერბურგში მოიწვია თავის მცირეწლოვან ვაჟიშვილ სერგეისათვის ფრანგული ენის სასწავლებლად. ერთი წლის შემდეგ ლაიხტენბერგმა შვეიცარიელი ჟილიარი მეფის ოჯახს „დაუთმო". იგი ოლგას და ტატიანას ფრანგულ ენას ასწავლიდა. 1913 წელს ჟილიარი 9 წლის ალექსის მასწავლებელი და ფაქტიური აღმზრდელი ხდება. რომანოვებთან იმყოფებოდა ცარსკოე სელოში 1917 წლის აგვისტომდე, ტობოლსკში 1918 წლის მაისამდე, ისინი ეკატერინბურგში გააცილა.

— იმიტომ, რომ აღარ უნდა უმაღლეს მთავარსარდლად ყოფნა.

ამ ცნობამ უფლისწული გაანაწყენა, რადგანაც მას მთავარბანაკში წასვლა უნდა-როდა ხოლმე.

პაუზის შემდეგ დავუმატე:

— იცით, ალექსეი ნიკალაევიჩ, მამათქვენს აღარც იმპერატორად ყოფნა უნდა.

იგი შეშინებული მიყურებს, ცდილობს ჩემს სახეზე ამოიკითხოს, რა მოხდა.

— როგორ? რატომ?

— იმიტომ, რომ ძალიან დაიღალა და ამ დღეებში ბევრი რამ გადაიტანა.

— ჰო, მართლა. დედა მეუბნებოდა, რომ როცა აქეთ მოდიოდა, მისი მატარებელი გააჩერეს. მაგრამ მამა ხომ ისევ იქნება იმპერატორი?

მე ავუხსენი, რომ იმპერატორი მიხეილ ალექსანდრის ძის სასარგებლოდ გადადგა, და მანაც თავის მხრივ დატოვა ტახტი.

— მაშ, ვიღა იქნება იმპერატორი?

— არ ვიცი. როგორც ჩანს, ახლა არავინ.

იგი მთლად გაწითლდა... და რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ თქვა:

— თუ იმპერატორი აღარ გვეყოლება, ვიღამ უნდა მართოს რუსეთი? [19].

რა თქმა უნდა, ჟილიარისათვის ძნელი იყო ასეთ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. მას, ცხადია, შეეძლო აეხსნა ცნობისმოყვარე ბიჭისათვის, რომ თუ რუსეთში იმპერატორი აღარ იქნებოდა, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ მას ვეღარავინ მართავდა. თუმცა ჭკუანაკლულ ალექსის მსგავსად ფიქრობდა რუსეთის მომავალზე იმ დროს ზოგიერთი წამყვანი ბურჟუაზიული პოლიტიკოსიც. ამას მოწმობს თუნდაც პუტიატინის ბინაში 1917 წლის 3 მარტს გამართულ თათბირზე მასონობაში უმართებულოდ ეჭვმიტანილი მილიუკოვისა და გუჩკოვის გამოსვლა. ერთპიროვნული ხელისუფლების სისტემაც და პირადად თავისი პერსონაც შეუცვლელად მიაჩნდა ექს-იმპერატორსაც, ამ აზრს უზიარებდა იგი სხვებსაც გადადგომისთანავე. ფლიგელ-ადიუტანტ ძორდვინოვთან სეირნობისას, რის შესახებაც უკვე ითქვა, „მას რაღაც ახრჩობდა, რისი დაძლევაც ვერ შეძლო“. თურმე ეს იყო განაწყენება „საკუთარ თავზე, წართმეულ წოდებაზე“ და კიდევ „შიში რუსეთზე, რომელმაც დაკარგა ღერძი და საშინლად ირყევა მისთვის უცნობ საყრდენზე“. აი სწორედ მაშინ „გააღრჭიალა კბილები“ [20].

გააღრჭიალებს აბა რა იქნება, თუ ერთხელ კიდევ ჩაერია საქმეში „ანონიმური ბრბო“, თუ ისევ დადო თავისი ნება-სურვილი მისი ბედის სასწორზე. „ბრბოს“ ამგვარი ჩარევა რომ არ მომხდარიყო

პეტროგრადის საბჭოს სახით. ვინ იცის, გაბედავდა თუ არა ბატონი ბუბლიკოვი თავისი კომპანიით მოგილიოვში გამოცხადებას...

„მთავრობამ ყოფილი მეფე თავისუფლად დატოვა. — წერდა ვ. ი. ლენინი. — მუშებმა აიძულეს დაეპატიმრებინათ იგი. მთავრობას უნდოდა არმიის მთელი სარდლობა ნიკოლოზ ნიკოლოზის ქე რომანოვისათვის გადაეცა. მუშებმა აიძულეს გადაეყენებინათ იგი. ცხადია, მემამულე ლვოვ-გუჩკოვები ხვალვე შეეხმატკბილებოდნენ რომანოვს ან სხვა მემამულეს, მუშათა და ჯარისკაცთა ღეპუტატების საბჭო რომ არ ყოფილიყო“ [21].

კაბინეტებსა და კაზემატებში

როცა ნიკოლოზი და ალექსანდრა დააპატიმრეს, ზოგიერთი მათი თანაშემწე და მსახური შეეცადა გაქცევით ეშველა თავისათვის.

ის იყო ტახტიდან ჩამოგდებული მეფე ცარსკოე სელოში დაბრუნდა, რომ დიდებულები ისევე სწრაფად გაიფანტნენ, როგორც ლაქიები. ერთნი პირდაპირ მის თვალწინ გაიპარნენ ჯერ კიდევ ალექსანდრეს სადგურში; მათ შორის აღმოჩნდნენ ისეთი დაახლოებული პირები, როგორიც იყვნენ საიმპერატორო სამხედრო-საველე კანცელარიის უფროსი კ. ა. ნარიშკინი, იმპერატორის დაცვის უფროსი გ. გ. ფონ გრაბე, ფლიგელ-ადიუტანტი ნ. პ. საბლინი. გაიქცნენ ის ორნიც, რომლებსაც ნიკოლოზმა სული და გული გადაუშალა გადადგომის შემდეგ ლიანდაგებსა და სემაფორებს შორის სეირნობისას: პრინცი გ. ნ. ლაიხტენბერგი და პოლკოვნიკი ა. ა. მორდვინოვი. ერთნი „თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ“ და ისე გარბოდნენ, მეორენი უკანმოუხედავად იპარებოდნენ. ჯერ კიდევ ადრე მოგილიოვიდან გაქრნენ ვ. ბ. ფრედერიკსი და ვ. ნ. ვოეიკოვი. თუმცა ფრედერიკსი რამდენიმე დღის შემდეგ გომელში იპოვეს და დააპატიმრეს, ვოეიკოვი კი—ვიაზმაში. როძიანკოს შეეძლო იმ დღეებში ღვარძლიანად ეთქვა: „ეს ადამიანები იყვნენ პირველები, რომლებმაც მძიმე წუთებში მიატოვეს მეფე. აი რაოდენ არ შეეძლო ხელმწიფეს ახლომდგომთა შერჩევა“ [22].

ზოგიერთები სასახლიდანაც გაიქცნენ. ყოფილმა მეფემ დღიურში მელანქოლიურად აღნიშნა, რომ მისგან 46 ლაქია წავიდა [23].

მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც თავიანთი სურვილით და-

თანხმდნენ მასთან ერთად გაეზიარებინათ პატიმრობა. მათ შორის აღმოჩნდნენ ვ. ა. დოლგორუკოვი, პ. კ. ბენკენდორფი, ორი ფრეილინა — ს. კ. ბუკსჰევდენი და ა. ვ. გენდრიკოვა, წამკითხველი ქალი ე. ა. შნაიდერი, ექიმები ე. ს. ბოტკინი და ვ. ნ. დერევენკო, მასწავლებლები პიერ ჟილიარი და სიდნეი გიბსი, ფრეილინები ა. ა. ვირუბოვა და ი. ა. დენი[24].

3 აპრილს (სასახლის კომენდანტის შტაბს-როტმისტრის კოცებუს თანამდებობიდან გადაყენების დღეს) ალექსანდრეს სასახლეში გამოცხადდნენ ჯარისკაცები, ვირუბოვა დააპატიმრეს და პეტრე-პავლეს ციხეში წაიყვანეს. აქ იგი 70-ე საკანში მოათავსეს, 69-ე საკნის გვერდით, რომელშიაც ვიაზმიდან ჩამოყვანილი ეოეიკოვი იმყოფებოდა.

იმ დროისათვის ნევაზე არსებულ ციხეში უჩვეულო გამოცოცხლება იგრძნობოდა. ყოველი კუთხიდან ჩამოჰყავდათ აქ დამხობილი რეჟიმის დაპატიმრებული მოღვაწენი. ყველა კაზემატი დაკავებული იყო. კაზემატებში პატიმრების გასაცნობად და ზოგჯერ დასაკითხადაც დადიოდნენ ძველი რეჟიმის დანაშაულებათა გამოსაძიებელი საგანგებო კომისიის წევრები. კომისია ფორმირებული იყო მარტის პირველ რიცხვებში ტავრის სასახლეში.

საკნიდან საკანში მოსიარულე ჯგუფის ცენტრში იდგა მხცოვანი ნაფიცი რწმუნებული, კომისიის თავმჯდომარე ნ. კ. მურავიოვი. მის გვერდით იყო: ვიწრესახიანი, ქერა, ხუჭუჭთმიანი კომისიის მდივანი ფრონტულ გიმნასტურაში, რომელსაც ზემოდან ტყავის ბრტყელი ჯარისკაცური ქამარი ჰქონდა შემორტყმული. მისი ღია ფერის, თითქოს მოცისფრო თვალები ნაღვლიანი და შემპარავი ღიმილით აკვირდებოდნენ პატიმრობაში მყოფთ, გადატკეცილი შუბლი ამ კაცის ნათელ აზროვნებაზე მეტყველებდა, ბაგეებთან გაჩენილი ნაოჭები კი ღრმად გამახვილებულ ყურადღებას მოწმობდა. ეს იყო წიგნის მოყვარული რუსეთისათვის ცნობილი და საყვარელი პოეტი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბლოკი.

ოქტომბრის დღეებში ბლოკი მოქმედ არმიაში გაიწვიეს, ნახევარი წელიწადი მე-13 საინჟინრო-სამშენებლო რაზმში იმსახურა ფრონტის ზონაში, ხოლო 1917 წლის 8 აგვისტოს პეტროგრადიდან გამოიძახეს და საგანგებო საგამოძიებო კომისიის განკარგულებაში მიავლინეს. მურავიოვმა მას სხდომების ოქმების გაფორმება და სტენოგრამების რედაქტირება სთხოვა. პოეტი იყო მოწმე და მონაწილე ციხესა თუ კომისიის რეზიდენციაში — ზამთრის სასახლეში გამოკეტილ წარჩი-

ნებულ პატიმართა ყველა დაკითხვისა. ბლოკის ხელში გაიარა 33 კაცის 48 დაკითხვის მასალებმა, რომლებიც მოგვიანებით, საბჭოთა ხელისუფლების წლებში, შვიდ ტომად გამოიცა. მაშინ ჩაიწერა პოეტმა პატიმართა დაკითხვებისაგან მიღებული შთაბეჭდილებები. პოეტის მიერ იმ დღეებში აღქმული ეს შტრიხები მისმა კალამმა ქაღალდზე გადაიტანა დამხობილი მეფის ყოფილი თანაშემწეების ცოცხალი პორტრეტების სახით *.

ა. ვირუბოვა. კომისიის წევრები მის საკაბში შედიან: იგი საცოდავად დგას საწოლთან ყავარჯენზე დაყრდნობილი. მუდარით შესცქერის განსაკუთრებით ბლოკს. კომენდანტი ამბობს, რომ იგი სულ ჩივის და ტირის. „მას ყოველგვარი ნინაცემი გააჩნია, რომ „რუსი მზეთუნახავი“ იყოს, მაგრამ ყველაფერი დიდი ხნის წინათ გამოუსწორებლად დამახინჯებული, გაცვეთილა“ **.

ი. ლ. გორემიკინი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი. „ჯიშიანი... ბატონი“. დიდი ცხვირი, დიდი ყურები; კანი ადგილ-ადგილ მუქ ინსფერ ლაქებს დაუფარავს, მოწითალო ხელები ჭორფლიანი აქვს. რეზინისძირიანი, ბებრული, მაღალყელიანი რბილი ჩექმები აცვია. „ნამდვილი დამბლადაცემულია... ისე ლაპარაკობს, რომ ძლივს ისმის, ამბავს კარგად ვერ იხსენებს... ო, როგორი მიხრწნილია, ანე მგონია ახლა მოკვდება“. თავად ამბობს: „ბევრი რამ აღარ მახსოვს, მეხსიერება არ მემორჩილება. ძალზე მიჭირს იმის გარჩევა, თუ რა არის კანონიერი და რა უკანონო — ეს შეიძლება სხვადასხვაგვარად განმარტო“.

ბ. ვ. შტიურმერი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი. „ბილწი“. „სევდისმომგვრელი ვეება ბეხრეკი, რომელსაც ცხვირზე მაცდურად (სულელურად) აქვს წამოკმული კუს რქის სათვალე“.

მ. ა. ბელიაევი, ყოფილი სამხედრო მინისტრი: მოწუწუნე, ყელში მობჯენილი ნევრასთენიული სპაზმებით.

ს. პ. ბელეცკი, პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი. შეშუპებული თვალებით გამჭოლად, ავისმომასწავებლად იყურება. მოკლე თითები, მსუქანი ხელები და ცხიმიანი სახე აქვს. „პაჭუა ცხვირი“ აზის. ჩუმი სიცილი იცის. ზოგჯერ ოდნავ ხუჭავს თვალებს, რომ სათქმელი კარგად გაიგოს. სიტყვაუხვია, მაგრამ დროზე იცის გაჩუმება, თუკი არ უსმენ. გამოთქმისას ზოგჯერ მალოროსიულის მსგავსად „უ(-ვ)“-ს ხმარობს. ამბობს; „Адэсса“; „Азэф“; „газэты“; „теле-

---

* ა. ა. ბლოკი, ჩანაწერების წიგნაკები (1901—1920), მ., 1965, გვ. 327, 328, 331, 350, 378—379.

** კერენსკის განკარგულებით ვირუბოვა პატიმრობიდან გაათავისუფლეს 1917 წლის 24 ივლისს. თავის მსახურთან ნ. ბერჩიკთან ერთად იმალებოდა მანსარდში პეტროგრადის მხარეს. ფარულად მიდიოდა სოლმე კრონსეერკსკის პროსპექტით ა. მ. გორკისთან, რომელიც მას რამდენჯერმე ესაუბრა. პეტროგრადიდან კავშირი ჰქონდა დამყარებული რომანოვებთან ციმბირსა და ურალში. 1920 წლიდან ემიგრაციაში იმყოფებოდა ფინეთში, სადაც დაამთავრა კიდეევაც თავისი სიცოცხლე.

храма"; „заговтурен"; „вопрос так же сáмо стоял", ზოგჯერ „самó"-ს ხმარობს: გვაცნობა, რომ ნიკოლოზ II-გან მას დავალებული [illegible] „ეკუთვნებინა" ახლო პირები, რევოლუციონერი თავადის ვ. პ. მეშჩერსკის წრეც კი. „როცა საუბარი მორალსა და ბოროტმოქმედებაზე ჩამოვარდება ხოლმე, ბელეცკის სახე გულგრილ გამომეტყველებას ღებულობს".

ა. ი. დუბროვინი, „რუსი ხალხის კავშირის" ყოფილი თავმჯდომარე. „საზისწარი თვალები". აქვს. საგამოძიებო კომისიის წევრთა გამოჩენაზე ასლუკუნდა, მუხლებზე მივარდა ხელზე სამთხეევად, შემდეგ ქვითინით დაეცა საწოლზე.

ნ. ე. მარკოვი, შავრაზმელთა ყოფილი ლიდერი. ფართო, ბნელი „სიფათი" და შავი თვალები აქვს. თეთრი კბილები მოუჩანს. საფეთქლებთან თმა წინ აქვს გადმოვარცხნილი. მკაცრი სახის ნაკვთებით, ყრუ და ბრაზიანი ხმით გამოირჩევა. ტონი თავხედური აქვს: «Дело ихнее там, что они знают». «Засим-с». «Нет-с, жечко это дело понимаю». «Погромы были до СРН и будут после него». ბოლო თქმით, ყოველწლიურად ღებულობდა მთავრობისაგან 12—16 ათასი მანეთის საიდუმლო სუბსიდიას.

საგამოძიებო კომისიის თავკაცს ნ. კ. მურავიოვს დაკითხვებზე სულ უფრო ორაზროვნად ეჭირა თავი. ბელეცკის ფარისევლურ-მონანიებით განცხადებაზე: „ჩემში სულიერი გარდატეხა მოხდა, ბევრი რამ შეეგრძნე", მურავიოვმა უპასუხა: „ამით ჩვენი განიარაღება გსურთ". ეი პოეტის ირონიული კომენტარი ამაზე: „ამგვარად აფუჩეჩებენ საუზაოს. ბელეცკი მემარცხენეობს, თავმჯდომარე კი მემარჯვენეობს" [25].

მაგრამ მთავარი პატიმრები, რა თქმა უნდა, ნიკოლოზი და ალექსანდრა რომანოვები იყვნენ. ისინი „კბილების კრაჭუნით" შეეჩვევნენ შედარებით მშვიდ და არცთუ უწინდელ კომფორტს მოკლებულ განკერძოებულ ცხოვრებას. მკაცრი პატიმრობა არ ჰქონიათ. განსაკუთრებულ შევიწროებას არ განიცდიდნენ. მათი ოჯახის მომსახურეობისათვის სასახლეში დატოვებული იყო 150 კაცი.

ოჯახის თავკაცი პარკში თოვლსა ყრის, გზებს წმენდს, დიდი ხნის საყვარელ საქმეს მისდევს — შეშას ხერხავს. დიდხანს ზის ხოლმე ვაჟიშვილის ოთახში, ართობს მას სხვადასხვა თამაშით, უკითხავს წიგნებს. აღნიშვნებს აკეთებს საომარ მოქმედებათა რუკაზე. ნებადართული ჰქონდა ყველა გაზეთის წაკითხვა, მაგრამ კითხულობდა მხოლოდ „ნოვიე ვრემენას", „ვეჩერნი ვრემენას" და „რუსკოე ვოლიას". პარკში სეირნობისას ან შეშის ხერხვისას განსაზღვრულ მანძილზე მას უკან დაყვებოდა ანდა თვალყურს ადევნებდა ყარაულიდან გამოყოფილი მორიგე ოფიცერი. დაცვას რიგრიგობით ასორციელებდნენ ცარსკოე სელოს გარნიზონის მსროლელთა ოთხი პოლკის ოფიცრები და ჯარისკაცები. ისინი გაფრთხილებული იყვნენ,

რომ ყოფილი მეფის არავითარი ბრძანება არ შეესრულებინათ. ტიტულატურა „თქვენო უდიდებულესობავ“ მოიხსნა. მიმართვა შეიძლებოდა შემდეგი სიტყვებით: „ბატონო პოლკოვნიკო“, და პატივიც ამ ჩინის მიხედვით უნდა ეცათ. ცხოვრება სასახლეში ადრე წყდებოდა. საღამოს ცხრა საათზე ნიკოლოზი დაემშვიდობებოდა ხოლმე ბავშვებს, ათზე ყველა დასაძინებლად მიდიოდა, ფხიზლობდნენ მხოლოდ ყარაულები [26].

ყველა მაღალი თანამდებობის პირი რომანოვების მიმართ თავაზიანობასა და მზრუნველობას იჩენდა. რამდენადმე ცუდად იყო საქმე დაბლამდგომებთან. მაგალითად, თავზარდაცემულმა მეუღლემ მთავარბანაკიდან დაბრუნებულ ნიკოლოზს უამბო, რომ ერთ ღამეს ჯარისკაცები ზედ მისი ფანჯრების წინ მიათრევდნენ საფლავიდან ამოთხრილ რასპუტინის გვამს. მათ იგი დაწვეს. „ის იყო, ჩვენი ძვირფასი გრიგოლი“, — მოთქვამდა ნადედოფლარი ხელების მტვრევით, და როგორც ამ ამბის მომსწრე აღნიშნავს, იგრძნობოდა, რომ ამ ეპიზოდით იგი „უფრო მეტად იყო თავზარდაცემული, ვიდრე მეფის გადაყენებით“. რომანოვებს ზოგჯერ უსიამოვნებას აყენებდნენ უმცროსი მეთაურები, განსაკუთრებით სამნი შიდა საყარაულო სამსახურიდან: მიჩმანები შუმოვიჩი და დომოდიანცი, ლეიტენანტი იარინიჩი. როცა ერთხელ ამ უკანასკნელმა სასახლეში ყარაულები გაანაწილა, ნიკოლოზმა მას ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად. იარინიჩმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და მისალმება არ მიიღო. გაოგნებული ნიკოლოზი სიტუაციის გამოსწორებას შეეცადა. მასთან ახლოს მივიდა, მხარზე ხელი დაადო და უთხრა: „ასე რატომ მექცევი, ჩემო მეგობარო?“ ოფიცერმა უპასუხა: „მე ხალხიდან ვარ გამოსული. როცა ხალხი თქვენ გიშვერდათ ხელს საშველად, არ მიიღეთ. ახლა არც მე გამოგიწვდით“ [27].

სამაგიეროდ გადამეტებულ თავაზიანობას იჩენდნენ გენერალი კორნილოვი და სასახლის კომენდანტი პოლკოვნიკი ,ოროვიჩენკო, ხოლო ამ უკანასკნელის სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ — მისი მემკვიდრე პოლკოვნიკი კობილინსკი. დროდადრო სიმშვიდისა და იმედის კაშკაშა სხივს ჰფენდა სასახლის აპარტამენტებს 36 წლის იუსტიციის მინისტრი ა. თ. კერენსკი, რომელსაც დროებითი მთავრობის მიერ ექს-თვითმპყრობელის ოჯახის დაცვის, სიმშვიდისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა ჰქონდა მინდობილი.

იმპერატრიცობიდან პატიმრად გახდომამდე სულ რაღაც ოთხი

თვით ადრე სათათბიროში გამართული არათავაზიანი ლიბერალური მონოლოგებით აღშფოთებული ალექსანდრა თეოდორეს ასული თავისი მეუღლისაგან მოითხოვდა „ჩამოეხრჩო კედრინსკი საშინელი სიტყვისათვის“. იგი თვლიდა, რომ ეს „სასარგებლო მაგალითი“ იქნებოდა სხვებისათვის. მაგრამ კედრინსკი-კერენსკი, რომელიც გადატრიალების შემდეგ იუსტიციის მინისტრი გახდა დროებით მთავრობაში, მეტად სასარგებლო შეიქნა რომანოვებისათვის მათი დაცვისა და უშუალო მომსახურების თვალსაზრისით. ისეთ რამეებს ლაპარაკობდა იგი სათათბიროში, რომ თავდაპირველად რომანოვები მის პიროვნებაში ვერც გაერკვნენ. და რისი მოლოდინი უნდა ჰქონოდათ ახლა, როცა მის ხელში იმყოფებოდნენ... 3 აპრილს (1917 წელს), როცა იგი პირველად გამოჩნდა ალექსანდრეს სასახლეში პატიმართა მიმართ ზედამხედველობის მთავრობის რწმუნებულის როლში, ალექსანდრა თეოდორეს ასულმა მის დანახვაზე სასოწარკვეთილი ბარათი გაუგზავნა ვირუბოვას სასახლის მეორე ფრთაზე: „ძვირფასო ანა, კერენსკი აქ არის... ეს კერენსკი (ახლა იგი ზუსტად იხსენიებს მის გვარს) ჩვენს ოთახებს შემოივლის ხოლმე... ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!“ [28].

მაგრამ არაფერი საშინელი არ მომხდარა. კერენსკი თავაზიანი კაცი აღმოჩნდა, თუმცა პირველ წუთებში იგი ცოტა ნერვიულიც იყო. ალექსანდრეს სასახლეში მის ვიზიტებს ყოფილი ობერ-ჰოფმარშალი პ. კ. ბენკენდორფი ემიგრაციაში ყოფნისას ასე იგონებდა:

3 აპრილი. იგი დღის 2 საათზე გამოცხადდა 15 კაცის თანხლებით... მაღალი ჩექმები ეცვა, ღილებშეკრული ლურჯი ქურთუკი... სამზარეულოდან შემოვიდა, დაცვის ხალხი დერეფანში შეკრიბა და „ულტრარევოლუციური სიტყვა წარმოთქვა“. საკლასო ოთახში, სადაც მას ნიკოლოზი ალექსანდრა თეოდორეს ასულთან და ვაჟიშვილთან ერთად უცდიდა, მარტო შევიდა. ზღურბლთან შეჩერდა, თავის დაკვრით თითქოს მიესალმაო, და წარუდგა: „იუსტიციის მინისტრი“. აღელვებულს, ხელებაკანკალებულს, „ადგილზე მშვიდად დგომა არ შეეძლო, მაგიდაზე დაწყობილ საგნებს ეპოტინებოდა... შემდეგ მეფეს გამოეთხოვა, ერთხელ კიდევ შემოირბინა შენობა, პატიმრების დაცვისა და თვალთვალის მდგომარეობა შეამოწმა და წავიდა“.

შემდეგ 9 აპრილს მოვიდა. „შემოსვლისთანავე განმიცხადა, რომ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძესთან ლაპარაკი სურდა“. ყოფილ მეფესთან საუბრისას ხაზი გაუსვა, რომ „პეტროგრადში პოლიტიკური ცეცხლი“ ჩაღდება: „უკიდურესი მემარცხენეები ხელმწიფის ციხეში ჩასმას მოითხოვენ, რათა გამოყვანილ იქნეს იგი დედოფლის გავლენისაგან, რომელიც კონტრრევოლუციურ შეთქმულებას ამზადებს“. დროებით მთავრობას ამის მოწესრიგება უნდა; აუცილებელია ნიკოლოზის განცალკევება ალექსანდრა თეოდორეს ასულისაგან, ამიტომ ყოფილი დედოფალი სასახლის

მეორე ნაწილში უნდა გადაიყვანონ, ისე რომ მათ ერთმანეთის ნახვა შეძლონ მხოლოდ ღვთისმსახურებისა და სუფრაზე ყოფნის დროს, ამასთან ყოველთვის მორიგე ოფიცრის თანდასწრებით... შეთანხმდნენ. კერენსკიმ დაარწმუნა ცოლქმარი, რომ ის არის ამ მომენტში მათი „ერთადერთი დამცველი" და რომ მხოლოდ მას „შეუძლია თავიდან ააცილოს ს ფ ერთხე, რომელიც ემუქრებათ".

შემდეგ იგი (პოლკოვნიკ კოროვიჩენკოს თანხლებით) 25 აპრილს გამოჩნდა. „ამჯერად მისი მოსვლისას ხელმწიფე სასეირნოდ იყო, ამიტომ მე განმიცხადა დედოფლის ნახვის სურვილი. მე ალექსანდრა თეოდორეს ასულს მოვახსენე. მან მიბრძანა კერენსკისათვის გადამეცა, რომ ტუალეტით იყო დაკავებული და დალოდებოდა..." სანამ იუსტიციის მინისტრი იცდიდა, მას ექიმი ბოტკინი გამოელაპარაკა იმის შესახებ, რომ ოჯახის წევრები ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო „უკეთეს კლიმატსა და ცოტა უფრო მყუდრო ვითარებას" საჭიროებდნენ, რომ თუ საზღვარგარეთ წაყვანის საშუალება არ იყო, კარგი იქნებოდა მათი ლივადიაში გადაყვანა. მინისტრი ამაზე სავსებით დაეთანხმა, უთხრა, რომ უთუოდ შეძლებდა მათ გადაყვანას ყირიმში. „მისმა პასუხმა, — აღნიშნავს ბენკენდორფი, — დიდი იძედი მოგვცა".

შეძდეგ კერენსკი კოროვიჩენკოსთან ერთად ალექსანდრა თეოდორეს ასულთან შევიდა. „თავაზიანად და დინჯად ეკითხებოდა იმ როლის შესახებ, რომელსაც დედოფალი პოლიტიკურ საქმეებში ასრულებდა გადატრიალებამდე, კერძოდ, მისი ჩარევების შესახებ მინისტრების დანიშვნებში. ალექსანდრა თეოდორეს ასულმა გაუცხადა, რომ რადგანაც მას ქმართან ერთად „ერთსულოვანი ოჯახი" ჰქონდა შექმნილი, ამიტომ, ბუნებრივია, მათ „ერთმანეთისათვის დაფარული არაფერი ჰქონდათ". გარდა ამისა, ვინაიდან მეუღლე თითქმის ყოველთვის შორს, ჯარში იყოფებოდა, იგი უტოვებდა ხოლმე ნაკლებმნიშვნელოვან დავალებებს შესასრულებლად. ბენკენდორფი შენიშნავს: მან შემდეგში ყური მოკრა, რომ „იმპერატრიცას განმარტების სიცხადემ და სიმტკიცემ მინისტრი კერენსკი გააოცა. თავად იმპერატრიცამ კი მითხრა, რომ მას კერენსკიზე ცუდი შთაბეჭდილება არ დარჩენია. დიდად კმაყოფილი იყო მის მიერ ნათქვამი რამდენიმე სასიამოვნო ფრაზით. სეირნობიდან დაბრუნებულმა ხელმწიფემ ნება მისცა კერენსკის, მისი კაბინეტის კარადებიდან წაეღო ყველა ის ქაღალდი, რომლებიც შეიძლებოდა საგამოძიებო კომისიას გამოსდგომოდა. ამჯერად მათი უდიდებულესობათა ნდობა კერენსკისადმი კიდევ უფრო გაიზარდა" [29].

იგივე ვიზიტები ა. ფ. კერენსკის წარმოსახვით:

პირველი გაცნობის ჩვეულებრივი სიტყვების შემდეგ რომანოვებს ვკითხე, ხომ არ ჰქონდათ რაიმე საჩივარი ანდა განცხადება. მერე გადავეცი „ინგლისის მეფის ოჯახის სალამი... ამ შეხვედრის დროს დავათვალიერე სასახლის შენობა, შევამოწმე ყარაულები და სახელმძღვანელო ხასიათის ზოგიერთი მითითება მივეცი მათ" [30]

ასე უამბობდა იგი ოციანი წლების დამდეგს ყოფილ კოლჩაკელ გამომძიებელს სოკოლოვს. იმ დღის მითითებათა არსი გაუხსნელი დარჩა, მაგრამ ის კი უდავოდ ცნობილია, რომ ისეთ უცნაურ მოვლენას, როგორიც იყო ფუთობით ქაღალდის

დაწვა სასახლის ბუხრებში, მოსაუბრენი რატომღაც არ შეხებიან; გერმანელ ნათესავებთან მიმოწერის ექვსი უთის ნაცრადაქცევისათვის ინსპექტორს უურადღება არ მიუქცევია და მისი წასვლის შემდეგ ალექსანდრეს სასახლის გათბობის სისტემა ისეთივე უხეველო დატვირთვით განაგრძობდა მუშაობას, როგორც კერენსკის გამოჩენამდე.

და აი რა დაწერა კეოენსკიმ რვა წლის შემდეგ თავის წიგნში „რუსეთის რევოლუცია".

„ძალიან კარგად მახსოვს ჩემი პირველი შეხვედრა უოფილ იმპერატოროთან... ის კეოფერს მისაუკვედურებდა ჩემს მიადგში დამოკიდებულებაზე...

შეეედი. მთელი ოჯახი უწესრიგოდ შეჯგუფებულიყო ფანჯრის ახლოს ძველ პატარა მაგიდასთან. სამხედროფორმიანი საშუალო ტანის კაცი მათ გამოეყო და ტუალეტზე მომდგარი ოდნავი ღიმილით გაუბედაკად წამოვიდა ჩემს შესახვედრად, ეს იყო იმპერატორი... შეჩერდა, თითქოს ყოყმანობდა, რა იღონოსო. წარმოდგენა არ ჰქონდა, მე როგორ მოვიქცეოდი. ისე უნდა მიეღე, როგორც მასპინძელს, თუ დალოდებოდა ჩემს მიმართვას? გამოეწოდებინა ხელი, თუ ჩემი მისალმებისათვის დაეცადა?

ეე ვიგრძენი მისი, ისევე როგორც მთელი რომანოვების ოჯახის მძიმე განცდა იმის გამო, რომ ისინი საშიში რევოლუციონერის წინაშე იდგნენ. სწრაფად მივედი ნიკოლოზ II-თან, ღიმილით გავუწოდე ხელი და თავი [illegible] ოდენ ღიმილიერად მომიბრუნა ხელი, გამიღიმა და, საგრძნობლად დამშვიდებულმა, თავის ოჯახთან მიმიყვანა. ცნობისმოყვარეობისაგან გათანგული მისი ვაჟი და ქალიშვილები [illegible]ნებით მიყურებდნენ...

[illegible]ეკითხე ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის მდგომარეობა და ეუთხარი, რომ მათი ნათესავები საზღვარგარეთ წუხან მათზე... შეეპირდი, რომ დაუბოკოლებლად მიგაწვდიდი ყოველგვარ ცნობას.. [illegible]ეკითხე, ხომ არ [illegible]ოდათ რაიმე პრეტენზია, როგორ ეპირათ თავი მცველებს, ხომ არაფერი სჭირდებოდათ. ვთხოვე არ ედარდათ და მე მომნდობოდნენ. მათ მადლობა გადამიხადეს".

„საშიში რევოლუციონერის" ზოგადი დასკვნები ყოფილი იმპერატორის მიმართ ასეთია: „ნიკოლოზ II იყო ადამიანი, რომელსაც გააჩნდა ჰუმანური გრძნობები. საერთოდ კი ეს შესანიშნავი ცისფერთვალა კაცი ჩემთვის გამოცანას წარმოადგენდა. შეგიგებულად სარგებლობდა თუ არა იგი თავისი წინაპრებისაგან მეტაკიდრეობით მიღებული მომბიბველობით? დაბელოვნებული მსახიობი იყო თუ ცბიერი პიროვნება?.. დაეჭვებულად მიგაჩნდათ, რომ ეს უბრალო კაცი, ასეთი ხელი მოძრაობებით, მთელი რუსეთის იმპერატორი იყო... არაფერთ ამეღვენებდა იმას, რომ ჯერ კიდევ ერთი თვის წინ მის მიერ ნათქვამ სიტყვაზე ესოდენ ბეჯერი რამ იყო დამოკიდებული".[3]

1917 წლის 3 აპრილიდან 13 აგვისტომდე კერენსკი, როგორც მინისტრი და პრემიერ-მინისტრი, ათზე მეტჯერ მივიდა ალექსანდრეა სასახლეში. ამ ოთხთვე-ნახევრის მანძილზე სასახლეში მიღებული შთაბეჭდილებანი მას ნიკოლოზ II მიმართ ლირიკულ-პუბლიცისტური ვაი-ვიშის გაპოსახატავად ნახევარი საუკუნის მანძილზე ეყო. რა

თქმა უნდა, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ თუ ჩვიდმეტ წელს კერენსკის ჯერ კიდევ შეეძლო საკუთარი თავისათვის ნება მიეცა მიტინგზე „რევოლუციური“ გამოხდომები მოეწყო დინასტიის წინააღმდეგ, მოგვიანებით, დასავლეთში, იგი იძულებული გახდა იმ უკიდურესი რეაქციული გარემოს შეხედულებებისა და გემოვნებისათვის აეწყო ფეხი, რომელსაც იგი მიეკედლა და რომელზედაც დამოკიდებული იყო. სიცოცხლის ბოლოსაც კი თავის უზარმაზარ დასკვნითს მემუარულ ფოლიანტში, დაწვრილებით იხსენებს რა ნახევარი საუკუნის წინანდელ ურთიერთობას ნიკოლოზთან, კერენსკი ისევ და ისევ ახასიათებს მას როგორც „პირდაპირ კაცს, რომლისთვისაც უცხო არ იყო ადამიანური გრძნობები“, „შესანიშნავ ციფერთვალა მოსაუბრეს“, „ბუნებით კეთილ, მაგრამ გარემო პირობებითა და ტრადიციებით დამახინჯებულ ადამიანს“. რაც შეეხება ალექსანდრა თედორეს ასულს, რომელიც მემუარების ავტორს 1917 წლის 25 აპრილს საათ-ნახევარი ჰყავდა დაკითხვაზე (და მაინც ვერაფერი შეიტყო) მისი პოლიტიკური ინტერესების გასარკვევად, — კერენსკი სიკვდილამდე იმ აზრისა დარჩა, რომ იგი „უბრალოდ თავის შვილებზე გულდარდიანი, შეშფოთებული და თვალცრემლიანი დედა იყო“ [32].

გასაკვირი არ არის, რომ სხვადასხვა ქვეყნის მონარქისტებმა რომანოვების უკანასკნელ წყვილთან კერენსკის დამოკიდებულება „კლასიკურ ნიმუშად“ მიიჩნიეს *. შპრინგერული „დი ველტიც“ მზად არის სიამოვნებით დაადასტუროს, რომ კერენსკი როგორც მაშინ, შორეულ დღეებში, ასევე თითქმის სიცოცხლის ბოლომდე, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ნიკოლოზ II ძალდაუტანებელი და სრულიად ბუნებრივი მანერების ღრმა შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა... მის (კერენსკის) თვალში ეს იყო ბუნებრივი უბრალოება, რო-

---

* ამისათვის იგი განადიდა, მაგალითად, ავსტრიის პრომონარქიული კლერიკალიზმის წამყვანმა ორგანომ: უკეთეს დამოკიდებულებას „ვერ ინატრებდა ვერავითარი ლეგიტიმისტი“. ჟურნალი ავსტრიელ პოლიტიკოსებს კერენსკის მაგალითად უსახავს: ვითომდა მათ ისეთი თანაგრძნობა არ გამოუჩენიათ დამხობილი უკანასკნელი პაბსბურგისადმი, როგორიც კერენსკიმ უკანასკნელი რომანოვისადმი გამოავლინა: „განა ბევრი შეძლებდა ამ ვაჟბატონთაგან იმდენი თბილი სიტყვა გამოეთქვა ჩვენი უკანასკნელი კაიზერის მისამართით, რამდენიც კერენსკიმ მეფე ნიკოლოზის მიმართ გამოთქვა?“ (Schwarzenberg K. Von der Palais — zur Oktoberrevolution.—„Die Furche“ (Wien), 12. VIII, 1967).

ბელიც ნიკოლოზს იმ იშვიათ მომხიბვლელობას ანიჭებდა, რასაც კიდევ უფრო ხაზს უსვამდა მშვენიერი თვალები, მისი ღრმა, სევდიან ალსავსე მზერა“ [33].

ამ მომხიბვლელობის გავლენით და „დროებითი მთავრობის მიმართ პატივისცემის“ გამო, ამბობდა თავის დროზე კერენსკი, იგი „მოვალედ თვლიდა თავს დაეცვა რომანოვების ოჯახის ხელშეუხებლობა და უზრუნველეყო მისდამი ჯენტლმენური დამოკიდებულება“ [34].

რა კეთილი ახალგაზრდა კაცი ყოფილა, ვინ იფიქრებდა... სრულიადაც არ ჰგვანებია, იმ „კედრინსკის“, რომლისთვისაც რაც შეიძლება მაგარ კაპს დაეძებდნენ. ჯანმრთელობის მდგომარეობასაც კითხულობდა, დაცვასაც ტუქსავდა, რომ არ ეწყენინებინათ... მესამე ვიზიტის შემდეგ, როცა სასახლეში კერენსკის უკვე შეეჩვივნენ, ოფიციალური შემოვლის დამთავრებისას იგი ყოფილ მეფესთან ერთად დივანზე ჩამოჯდებოდა ხოლმე და ამა თუ იმ ამბავზე გაუბამდა საუბარს, უზიარებდა მინისტრად მოღვაწეობის პირველი ნაბიჯებით გამოწვეულ სიხარულსა და მწუხარებას. გულმოწყალედ უსმენდა ნიკოლოზი სიტყვაუხვი „საშიში რევოლუციონერის“ გაბედულ ნაამბობს იმის შესახებ, თუ როგორ განაგებს საქმეებს და მბრძანებლობს, რაოდენ ბევრი საქმე აქვს და როგორ თვითნებურად წყვეტს მათ.

— როგორ მწყინს, ალექსანდრ ფეოდოროვიჩ, რომ ადრე ისეთი კარგი მინისტრი არ მყავდა, როგორიც თქვენ ხართ. — უთხრა ერთხელ ნიკოლოზმა. — თქვენ ჩემთან ძალიან კარგი მინისტრი იქნებოდით, ყოველთვის სიმართლეს მეტყოდით ხოლმე... [35].

„თებერვლის დემოკრატიის“ წარმომადგენელი დატყვევებულია...

— აი ახლა თქვენთან სტუმრად იმყოფება ალბერტ ტომა (ფრანგი სოციალისტების ერთ-ერთი ლიდერთაგანი), — უთხრა ერთხელ ნიკოლოზმა კერენსკის. — გასულ წელს იგი ჩემთან იყო სადილად, საინტერესო კაცია, გაახსენეთ ჩემი თავი.

და კერენსკი შემდეგში მოგვითხრობს: „მე ეს შევასრულე. სიტყვების „გასულ წელს“ და „ახლა“ წარმოთქმის თავისებურებამ მაფიქრებინა, რომ ექს-იმპერატორი ზოგჯერ ნანობდა წარსულზე... თითქოს უმძიმდა მასზე ლაპარაკი, განსაკუთრებით იმ ადამიანებზე, რომლებმაც მიატოვეს. ასე მალე უღალატეს... დიახ, იგი ასეთ ვერაგობას არ მოელოდა...“ თებერვლის დემოკრატს სულითა და გულით ეცოდებოდა ტახტს ჩამოშორებული საბრალო იმპერატორი.

— როგორი უბედურება მოხდა... — უთხრა მან როგორღაც ცარსკოე სელოდან დაბრუნების შემდეგ მეფის უკანასკნელი იუსტიციის მინისტრის ნ. ა. დობროვოლსკის მეუღლეს (იგი სამინისტროს შენობაში ცხოვრობდა, ქმარი კი ციხეში იჯდა). — ეს რა ვქენით.. როგორ შეგვეძლო იმის გაკეთება, რაც ჩავიდინეთ, ისე რომ მას არ ვიცნობდით... პირველსავე გაშოლაპარაკებაზე ვაპირებდი სახელითა და გვარით მიმემართა „ნიკოლოზ რომანოვ...“ მაგრამ მე დავინახე იგი, მან თავისი შესანიშნავი თვალებით შემომხედა, და მეც უმალვე გავიჭიმე და ვუთხარი: „თქვენო უდიდებულესობავ...“ რაოდენ ბრძნულად და შთამბეჭდავად ლაპარაკობდა... რაოდენი სიმშვიდე, კეთილშობილება, ხალხისადმი სიყვარული და სიბრალული იგრძნობოდა... ის იყო ნამდვილი იდეალი სახალხო მმართველისა... და ჩვენ კი სწორედ ის დავამხეთ... [36]

ორივეს თვალში მოუვიდა ერთმანეთი. ერთს მეორესი თითქმის უმალვე რაღაც მოეწონა.

თუ „ხალხის ნება-სურვილი“, როგორც ეს „კბილების კრაჭუნით“ წარმოთქვა ნიკოლოზმა მორდვინოვთან საუბრის დროს, განსახიერებულია ამ გულდასმით გაპარსულ, აქტიორის სახის მქონე იუსტიციის მინისტრში, ყოფილი მეფე ამგვარი ნება-სურვილის წინააღმდეგი ამ მომენტში დიდად არ იქნება, აღნიშნულ ვითარებაში იგი მზად არის „კბილების კრაჭუნის“ გარეშეც ანგარიში გაუწიოს მას. ერთობ სასიამოვნო ახალგაზრდა კაცია, ფიქრობდა ნიკოლოზი, მართლაც „დაე მართოს“: მის მიმართ „ძალად სიკეთის“ გამოჩენა არ გინდა — იგი თავად განგაწყობს პატივისცემისა და ზრუნვის გამოსახატავად. ეს ნიკოლოზის ჩანაწერი კერენსკის შესახებ: ეს კაცი ამ წუთში შესაფერისია თავისი ადგილისათვის და რაც მეტი უფლებები ექნება, მით უკეთესი[37]. ნიკოლოზის დამოკიდებულება მისდამი ისეთივე იყო, როგორც თავისი მთავარი მოურავისადმი. იკისრა რა ქვეყნის მნიშვნელოვანი უბნის მართვა მძიმე მომენტში, უნდა შეინარჩუნოს იგი შედარებით წესიერ მდგომარეობაში იმ დრომდე, სანამ მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო დროებით განშორებული პატრონი დაბრუნებას შეძლებდეს. ახლა გულმომბალი ალექსანდრა თედორეს ასულიც ეუბნება ზოგიერთ შინაურს ჩამოსახრჩობად შერჩეული თავისი ყოფილი კანდიდატის შესახებ: „მის მიმართ საყვედურის თქმა არ შემიძლია. წესიერი კაცია. მასთან ლაპარაკი შეიძლება“ [38].

„მასთან ლაპარაკი შეიძლება...“ რის შესახებ? პრაქტიკულად ყველაფერზე, რაც კი აწუხებს, აშინებს ანდა გულს უწვრილებს ექს-შეფის წყვილს, სასახლის საპატიმროდან გასვლის შესახებაც კი.

გაქცევის ცდა

დიახ, განთავისუფლება. ლივადიაში ანდა საზღვარგარეთ გამგზავრება. საერთოდ მოშორებით ყოფნა რევოლუციიდან, რომელიც ჯერ გამოუმჟღავნებელ მრავალ საფრთხეს იფარავს.

მართალია, რომანოვებმა ძალაუფლება დაკარგეს, მაგრამ მისი დაბრუნების იმედი არ დაუკარგავთ. „შენ კიდევ გიხმობენ“, — ეუბნებოდა ალექსანდრა თეოდორეს ასული მეუღლეს. ამას რომ მოსწრებოდნენ, საჭირო იყო რევოლუციის გადატანა, ხოლო რევოლუციის გადასატანად სჯობდა მისგან გაქცევა. მაგრამ სად? მოშორებით, მისი მისაწვდომობის საზღვრებს მიღმა. ყველაზე უკეთესია — საზღვარგარეთ

ამაზე ოცნებობდნენ რომანოვები იმ დღიდან, როცა პატიმრობაში აღმოჩნდნენ. ისინი უკანა რიგში აყენებდნენ ყველა სხვა ზრახვასა და საზრუნავს და ერთი სანუკვარი სურვილით იყვნენ შეპყრობილნი: გასცლოდნენ რუსეთს, წასულიყვნენ რაც შეიძლება შორს. მაგრამ სამუდამოდ არა. გასცლოდნენ მას იმ იმედით, რომ შესაფერის მომენტში, საჭირო გამორბენის შემდეგ, კვლავ ზურგზე მოხტომოდნენ მას.

მსახურთა ერთი ნაწილი გაიფანტა. მეორენი პეტრე-პავლეს საპატიმროში საგანგებო-საგამოძიებო კომისიას ჩვენებებს აძლევდნენ. მაგრამ გამოჩნდნენ სხვა მსახურნიც და მათზედაც შეიძლებოდა დაყრდნობა. ესენი იყვნენ კეთილისმსურველი და მფარველი ლიბერალ-დემოკრატები. მათ შორის პირველ რიგში იდგნენ ყოფილი მეჯინედეოფლის მომავალზე მზრუნველი გ. ე. ლვოვი, პ. ნ. მილიუკოვი და ა. ფ. კერენსკი. ამ ჯგუფმა, რომელიც დომინირებდა დროებით მთავრობაში, ნიკოლოზისა და ალექსანდრა თეოდორეს ასულისათვის განსაკუთრებული მომსახურება იტვირთა: რევოლუციის აზვირთებისას ხელში ჩაგდებული ძალაუფლების წყალობით, ეხსნათ ისინი რევოლუციის სანქციისაგან, ხალხის გულკეთილობაზე დაყრდნობით, დაეცვათ ხალხის წინააღმდეგ მოქმედების პასუხისმგებლობისაგან. და

აღნიშნულმა ჯგუფმა რომ ამის გაკეთება ვერ შეძლო, ეს მისი ბრალი არ არის...

ჩვიდმეტი წლის დაუვიწყარი ქარიშხლიანი გაზაფხული იდგა; ცარიზმის ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებაში დარწმუნებული ხალხი თავის გამარჯვებას ზეიმობდა. თებერვალმა მთელი უზარმაზარი ქვეყანა აამოძრავა, ნაღარის ხმამ მის ყველაზე შორეულ კუთხეებშიც იქუხა. მეშჩანები და ობივატელებიც კი, რომლებიც ერთი სიტყვის — „რევოლუციის" გაგონებაზე ჯერ კიდევ გუშინ განზე ხტებოდნენ და სიტყვა „აჯანყება" აშინებდათ, ინტერესით ისმენდნენ პეტროგრადში, ცარსკოე სელოსა და მოგილიოვში მომხდარი მოვლენების ამსახველ ცნობებს. დარბაისელმა ბურჟუებმაც კი მიიმაგრეს მკერდზე წითელი ბაბთები. აღტაცებისა და ზეიმის გულუბრყვილო მოთვალთვალეს ამ ატმოსფეროში შეიძლებოდა მოსჩვენებოდა, რომ ყველა და ყველაფერი ერთმა მისწრაფებამ გააერთიანა, თითქოს რუსეთში ერთიანი კლასობრივი მშვიდობა მყარდებოდა. ეს იყო ილუზია. სინამდვილეში „კლასობრივი ბრძოლა უფრო მეტად გამწვავდა, თავისი განვითარების ახალ ფაზაში შევიდა" [39].

თუმცა სახელმწიფო ძალაუფლება ოფიციალურად ბურჟუაზიულმა დროებითმა მთავრობამ ჩაიგდო ხელში, რომელმაც მართვის ძველ აპარატზე თავისი კონტრროლი დააწესა, მაინც ნამდვილი და რეალური ძალა აღორძინებული საბჭოების მხარეზე იყო, რომელსაც მხარში ედგა არმია და რევოლუციურად განწყობილი ხალხი. პეტროგრადის საბჭოს თანხმობის გარეშე არ შეიძლებოდა არც ერთი კანონის გამოცემა. დედაქალაქის საბჭოს მხარს უმაგრებდნენ მთელს რუსეთში შექმნილი საბჭოები. შემდეგში დროებითი მთავრობის პირველი თავკაცი გ. ე. ლვოვი აღიარებდა, რომ ეს იყო ხელისუფლება, რომელსაც ძალა არ გააჩნდა, მაშინ როდესაც, მუშათა დეპუტატების საბჭო წარმოადგენდა ძალას ხელისუფლების გარეშე. სარგებლობდა რა არმიისა და ხალხის მხარდაჭერით, საბჭოებს, ეკვგარეშეა, შეეძლოთ ხელში აეღოთ მთელი ძალაუფლება, ისე რომ იარაღი არ აემოქმედებინათ. მაგრამ წვრილბურჟუაზიულმა ჯგუფებმა — მენშევიკებმა და ესერებმა, რომლებიც იმ დროს საბჭოების ხელმძღვანელობაში უმეტესობას წარმოადგენდნენ, ნებაყოფლობით დაუთმეს ძალაუფლება ბურჟუაზიულ დროებით მთავრობას და

ხალხისა და რევოლუციის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მისი პოლიტიკის დასაყრდენი გახდნენ.

ეს ინტერესები კი აქტიურ მოქმედებას მოითხოვდა. ქვეყნის ეკონომიკა დაცემული იყო, ტრანსპორტის მოშლა და სათბობის კრიზისი გაძლიერდა, საფინანსო სისტემა დაირღვა. მატერიალურ წარმოებას მოსწყდა მოზარდი მამაკაცი მოსახლეობის თითქმის ნახევარი; მრეწველობა ომის საჭიროებისათვის მუშაობდა. ქვეყანა არნახული გაჭირვებისა და გაღატაკების მორევში ჩაეფლო, საქონელი სულ უფრო კლებულობდა, მატულობდა სიძვირე. ომი კი გრძელდებოდა და ნთქავდა სიცოცხლესა და უზარმაზარ სახსრებს: საომარი მოქმედების ყოველი დღე რუსეთს 50 მილიონი მანეთი უჯდებოდა [40], კაპიტალისტური გაერთიანებები კი სამხედრო მასალების მიწოდებისა და საბირჟო სპეკულაციის შედეგად მდიდრდებოდნენ.

ამ დროს ბურჟუაზიული მთავრობა არ აპირებდა არც კაპიტალისტების შემოსავლის შეზღუდვას, არც ქვეყნის გამოყვანას ომის საშინელებიდან. პირიქით, მან კიდევ უფრო მტკიცედ დაუკავშირა რუსეთის საგარეო პოლიტიკა ანტანტას: მშრომელ ხალხს, პირველ რიგში მუშათა კლასს, მხრებზე დააწვა დამატებითი გადასახადებისა და მაღალი ფასების სიმძიმე: შეამცირეს ხელფასები. საფინანსო უწყების გამოანგარიშებით, მშრომელებზე შეწერილ ახალ გადასახადებს 1917 წელს მილიარდზე მეტი მანეთი უნდა მიეცა.

ადგილობრივი ხელისუფალნი დროებითი მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროში, მაგალითად, ასეთ ცნობებს აგზავნიდნენ: „მუშების ხელფასისა და საყოფაცხოვრებო პირობების დაბალმა დონემ მუშა მოსახლეობა ფიზიკურ დაუძლურებამდე მიიყვანა ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით, რაც თვალში საცემია ზერელე დაკვირვების შედეგადაც კი“ [41].

მუშათა კლასი — რუსეთის რევოლუციის ჰეგემონი — ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარ ძალას წარმოადგენდა: მისი მამაცობისა და გამბედაობის შედეგი იყო 1917 წლის თებერვალ-მარტში საერთო-სახალხო მოძრაობის გამარჯვება ცარიზმზე. თავის მასობრივ ორგანიზაციებზე (პროფკავშირები, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები, საბჭოები) დაყრდნობითა და ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მუშებმა უკუაგდეს ბურჟუაზიის ცდა — მოეხდინათ მონარქიის რესტავრაცია და აიძულეს პეტროგრადის საბჭო გადამწყვეტი სიტყვა ეთქვა ამ მიზნით.

მაგრამ ხალხისადმი მტრულად განწყობილმა ელემენტებმა არ მოიკავეს. რევოლუციისაგან დარეტიანებული უკიდურესად მემარჯვენე ელემენტები გონზე მოდიოდნენ. ოდნავ მომჯობინებისთანავე ისინი იმ წრეების თანამონაწილენი და თანამოქმედნი ხდებოდნენ, რომლებსაც არავითარ შემთხვევაში არ უნდოდათ დაეკარგებინათ რუსეთში მონარქიული წყობის შესანარჩუნებელი თებერვალ-მარტის გეგმების ჩაფუშვა. ყველა ეს ჯგუფი — ლიბერალებიდან დაწყებული და შავრაზმელებით დამთავრებული — იმ აზრისა იყო, რომ „ყოველი შემთხვევისათვის“ შეენარჩუნებინათ ჩამოგდებული მეფე. გაირკვა მათი საერთო პრაქტიკული მიზანი: დაეცვათ ყოფილი მეფე-დედოფალი მოსალოდნელი უსიამოვნებისაგან, რასაც აბობოქრებულ პეტროგრადთან ახლოს ყოფნა უქადდათ, აეცილებინათ მათთვის ჩადენილი დანაშაულისათვის შურისგების მუქარა. სხვანაირად რომ ვთქვათ, შეენარჩუნებინათ რომანოვებისათვის ხელისუფლების სათავეში დაბრუნების შესაძლებლობა. ეს კი ნიშნავდა: დახმარებოდნენ მათ საზღვარგარეთ გაქცევაში, სადაც შეეძლებოდათ დალოდებოდნენ კეთილსასურველ საათს.

ერთ დროს ცნობილი ადვოკატი ნ. პ. კარაბჩევსკი ემიგრაციაში ყოფნისას წერდა, თითქოს თებერვლის შემდეგ კერენსკი მეფის მიმართ „ძალზე გადაჭრით“ აპირებდა მოქმედებას (იგულისხმება მისი პასუხისგებაში მიცემა). ერთხელ კერენსკიმ მას, კარაბჩევსკის, სახელმწიფო სამსახური (სენატორობა) შესთავაზა.

— არა, ალექსანდრ ფეოდოროვიჩ, — უპასუხა თითქოს კარაბჩევსკიმ, — ნება მიბოძეთ იმადვე დავრჩე, რაცა ვარ: ადვოკატად. მე ჯერ კიდევ გამოვდგები როგორც დამცველი...

— ვისი? — უკითხავს კერენსკის. — ნიკოლოზ რომანოვის?..

— დიახ, მე მისი დამცველი ვიქნები, თუ თქვენ მის გასამართლებას ინებებთ.

კერენსკი საგარძლის ზურგზე გადაწვა, ერთი წამით ჩაფიქრდა, შემდეგ მარცხენა ხელის თითი ყელზე შემოიტარა და ენერგიულად შემართა. მივხვდი, რომ ამით ჩამოხრჩობაზე მიანიშნა.

— ორი, სამი მსავრპლი თითქმის აუცილებელიც არის, — თქვა კერენსკიმ და არ ვიცი, გამომცდელად თუ ბეციერით შემომხედა...

— ბოლოდ ეგ არა, — მხარზე შევახე ხელი. — საფრანგეთის რევოლუციის ამბავი დაივიწყეთ, ჩვენ მეოცე საუკუნეში ვართ, სირცხვილია. გარდა ამისა, მის კვალდაკვალ სიარული უაზრობაცაა...[12]

თითქოს კერენსკი მოითხოვდა სასამართლოს საშუალებით გამოესყიდა მეფეს დანაშაული, რაღაც ამის მსგავსი განაცხადა ყბადაღებულმა სოვეტოლოგმა ვიქტორ ალექსანდროვმა. ცოტა აღრე, სანამ კერენსკი გარდაიცვლებოდა, მან ყოფილი იუსტიციის მინისტრი ნიუიორკში ინახულა.

„მან 93-ე სტრიტზე მდებარე თავის ელეგანტურ ბინაში მიმიღო. ამ 82 წლის ნახევრად უსინათლო მოხუცს ჯერ კიდევ შერჩენოდა სიმკვირცხლე... მე ვკითხე: რევოლუციის იმ შორეულ წარსულში ხომ არ ჰქონდა განსაზღვრული გეგმები რომანოვებთან დაკავშირებით?

— ო, დიახ, — მითხრა მან, — ჩემი განზრახვა საკმაოდ განსაზღვრული იყო.

— რა გსურდათ?

— მინდოდა უფრო მეტი ნათელი მომეფინა ცარიზმის ეპოქისა და საქმისათვის... ყოველმხრივ ვცდილობდი, რომ მეფე-დედოფალი წარმდგარიყვნენ რევოლუციური და დემოკრატიული სასამართლოს წინაშე. ამიტომაც იყო, რომ მივუთითე პოლკოვნიკ კოროვიჩენკოს ჩამოერთვა მეფისათვის ქაღალდები, დაეცილებინა იგი დედოფლისაგან, ვაჩქარებდი საგამოძიებო კომისიის მუშაობას... აი როგორი იყო ჩემი ნამდვილი ზრახვები. ვაი, რომ ამ საშინელი თავსმოხვეული ომის გამო მათი სააშკარაოზე გამოტანა ვერ შევძელი“ [43].

მართლა ასეთი იყო მისი „ნამდვილი ზრახვები?“

იმ დღეს, როცა სათათბიროს ოთხი წარმომადგენელი მოგილიოვში გაემგზავრა ნიკოლოზის დასაპატიმრებლად, ერთდროულად გენერალ ალექსეევს ლვოვისა და კერენსკის ხელმოწერით გაეგზავნა დეპეშა. მასში აღნიშნული იყო, რომ დროებითი მთავრობა უზრუნველყოფდა ყოფილი მეფის დაბრუნებას ოჯახთან ცარსკოე სელოში, რათა უახლოეს ხანში ისინი „მურმანსკზე გავლით ინგლისში“ გაეგზავნათ. ამ დეპეშის მიღება ემიგრაციაში ყოფნისას დააადასტურა მთავარბანაკის ყოფილმა გენერალ-კვარტირმაისტერმა ა. ს. ლუკომსკიმ: მას პირადად მიუღია იგი და ალექსეევისათვის გადაუცია. „დროებითი მთავრობა, — მოახსენებდა იგი სოკოლოვს, — იმპერატორს თავისუფლებასა და მისი ოჯახის საზღვარგარეთ გამგზავრების გარანტიას აძლევდა“. მეორე მოწმის, დუბენსკის, თქმით, მას აშკარად ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა, რომ მაშინ კერენსკისა და ალექსეევს შორის მიღწეული იყო შეთანხმება „ხელმწიფის ცარსკოე სელოში თა-

ვისუფლად გამგზავრების, მისი იქ თავისუფლად ჩასვლისა და მურმანსკზე გავლით საზღვარგარეთ თავისუფლად წასვლის თაობაზე“ [44].

ყველაფერი ეს ნიკოლოზის გადადგომიდან მეორე-მესამე დღეს ხდებოდა. ეჭვგარეშეა, რომ კერენსკის მიერ შემუშავებული „მურმანსკის“ გეგმა გადატრიალებისთანავე წარმოიშვა. ჯერ ერთი, იგი დაადასტურა თავად ნიკოლოზმა: ჩემს ნივთებსა და წიგნებს ვარჩევდი და ყოველივე იმის გადაწყობა დავიწყე, რისი წაღებაც თან მინდა, თუ ინგლისში გამგზავრება მომიხდება... მეორეც, დროებითი მთავრობის პირველმა თავკაცმა ლვოვმა სოკოლოვს განუცხადა, რომ თავად იგი, იუსტიციის მინისტრი კერენსკი და მთელი კომპანია „თვლიდნენ, რომ მეფისთვის უკეთესი იქნებოდა, თუ მისი ოჯახი რუსეთიდან წავიდოდა. თავშესაფრად მაშინ ინგლისსა და დანიას ასახელებდნენ... ამ შესაძლებლობას საგარეო საქმეთა მინისტრი მილიუკოვი არკვევდა“. ამ უკანასკნელმა თავის მხრივ დაადასტურა, რომ „როგორც კი რევოლუციური ხელისუფლება შეიქმნა, სასურველად და აუცილებლად იქნა მიჩნეული, ნიკოლოზ II ოჯახით დაეტოვებინა რუსეთის საზღვრები და უცხოეთში წასულიყო. ამასთან, ის ქვეყანა, საითკენაც ჩვენი მზერა იყო მიპყრობილი, ინგლისი გახლდათ... მაშინ მე თავი ვალდებულად ჩავთვალე, ამ საკითხის ირგვლივ მოლაპარაკება დამეწყო ბიუკენენთან“ [45].

ყოველივე აქედან გამომდინარეობს, რომ იმ დღეებში, როცა მოსკოვის შემოგარენში ჯერ ისევ რევოლუციის გმირებს ასაფლავებდნენ, კერენსკი და მისი კოლეგები აჯანყებული ხალხის ზურგს უკან უკვე აპირებდნენ ყოფილი მეფისათვის საზღვარგარეთ გასაქცევი გზა გაეხსნათ. მათი თანხმობა იმპერატორის პატიმრობაზე (ისინი გაურბოდნენ ამ სიტყვას, უპირატესობას აძლევდნენ „თავისუფლების შეზღუდვას“) დაკავშირებული იყო მისი ინგლისში გაგზავნის გეგმასთან. ისინი იმედოვნებდნენ, რომ დაპატიმრებით დაამშვიდებდნენ საბჭოს, მოადუნებდნენ მუშათა და ჯარისკაცთა სიფხიზლეს და. რაც მთავარია, უზრუნველყოფდნენ რომანოვების უსაფრთხოებას იმ მომენტამდე, როცა შესაძლებელი იქნებოდა ქვეყნის დაყენება მოხდარი ფაქტის წინაშე — მეფის ოჯახის რუსეთის ფარგლებს იქით ევაკუირებასთან დაკავშირებით.

რაკი „თავი ვალდებულად ჩათვალა“ (ვის წინაშე?), მოლაპარაკე-

ბაც გაჩაღდა. იგი ფარულად მიმდინარეობდა, მაგრამ მაინც ოფიციალურ ხასიათს ატარებდა. ელჩი ჯორჯ უილიამ ბიუკენენი ეკითხება თავის მთავრობას, როგორ მოიქცეს. განიხილა რა უახლოეს სხდომაზე ბიუკენენის შეკითხვა, ლოიდ ჯორჯის კოალიციურმა კაბინეტმა დაადგინა: დაეკმაყოფილებინათ მილიუკოვისა და კერენსკის თხოვნა: მიეწვიათ ნიკოლოზი ოჯახთან ერთად საცხოვრებლად ინგლისში. ეს იყო ერთსულოვანი გადაწყვეტილება, „კაბინეტის არც ერთი წევრი არ გამოსულა ამ ჰუმანური და პოლიტიკურად ბრძნული ღონისძიების წინააღმდეგ". ინსტრუქციის თანახმად, დაუნინგ-სტრიტიდან ელჩი 2 აპრილს სასახლის მოედანზე მდებარე სამინისტროში გამოცხადდა მილიუკოვთან და ოფიციალურად აცნობა, რომ „მისი უდიდებულესობა მეფე და მისი უდიდებულესობის მთავრობა ბედნიერი იქნებიან თავშესაფარი აღმოუჩინონ რუსეთის იმპერატორს ბრიტანეთის კუნძულებზე". ბიუკენენმა დაამატა, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა მზად არის რომანოვების ოჯახის რუსეთიდან გასაყვანად გამოყოს სამხედრო გემი (კრეისერი), რომელსაც ნაბრძანები ექნება პეტროგრადის კაბინეტის მიერ მითითებული მომენტისათვის დაიძრას მურმანსკისაკენ. შემდეგ დაზუსტებულ იქნა, რომ რომანოვებისათვის გამოჰყოფდნენ ჩრდილოეთის ზღვაში მოცურავე ერთ-ერთ ბრიტანულ გემს. ცარსკოე სელოდან მურმანსკში გადაყვანის ორგანიზაცია დროებითმა მთავრობამ კერენსკის დაავალა [46].

მოლაპარაკებამ თითქოს შედეგებს მიაღწია. კერენსკიმ და მილიუკოვმა ელჩთან შეათანხმეს გამგზავრების დეტალები, ცოლ-ქმარ რომანოვებს მარტო ისღა დარჩენოდათ, რომ ჩემოდნები ჩაელაგებინათ. ნიკოლოზმა ნივთების ნაწილი მართლაც ჩააწყო. მაგრამ თავი იჩინა სიძნელემ, რომელიც არ შეიძლება ითქვას, რომ გაუთვალისწინებელი იყო.

ყოველივე ამის შესახებ შეიტყვეს პეტროგრადის საბჭოში. თუმცა ხელმძღვანელობა მენშევიკებისა და ესერების ხელში იყო, მაგრამ მასების დაწოლის შედეგად საბჭომ პროტესტი განაცხადა. ნ. ს. ჩხეიძემ პეტროგრადის საბჭოს ერთ-ერთი სხდომის თავმჯდომარეობისას დარბაზში მყოფ ქალაქის მსხვილი საწარმოების მუშათა კოლექტივების წარმომადგენლებს შიშით გადახედა და საჭიროდ ცნო განეცხადებინა, რომ მხარს უჭერს მოთხოვნას, რათა ახალი რუსეთი „დაიცვან რომანოვების ისტორიულ არენაზე დაბრუნებისაგან" [47].

როცა ზოგიერთი დასავლეთელი ავტორი თებერვალში მომხდარ

ამ მოშენტს ეხება, აღიარებს, რომ საბჭოს სხდომაში მონაწილეობ-დებენ ადამიანები, რომლებიც არსებითად „არავითარი განსაკუთრებული სიმკაცრის გამოჩენას არ განიზრახავდნენ ყოფილი მონარქის წინააღმდეგ“, მათ უბრალოდ „აშინებდათ ხალხის რეაქცია მოვლენათა განვითარებაზე“. საბჭოსა და დროებით მთავრობაში მყოფ ამ ადამიანებს ერჩიათ ურთიერთშორის მოელაპარაკათ, ვიდრე „პირიპირ შეხვედროდნენ რისხვასა და ეჭვებს ხალხთა მასებისა, რომლებიც მზად იყვნენ თავიანთი გარეუბნებიდან და ბარაკებიდან ქალაქის ცენტრისაკენ დაძრულიყვნენ...“ [48].

სწორედ ასეთი რეაქცია — „რისხვა და ეჭვები“ — გამოიწვია პეტროგრადის მუშათა რაიონებში სწრაფად გავრცელებულმა ცნობამ იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიული მთავრობის მიერ უკვე შემუშავებულია და ძალაში შედის რომანოვების საზღვარგარეთ გაგზავნის გეგმა. ერთდროულად პეტროგრადში ხმა დაირხა მონარქისტების შეთქმულებაზე, რომლებიც თავდასხმას ამზადებდნენ ალექსანდრეს სასახლეზე იმ მიზნით, რომ გაეთავისუფლებინათ მეფის ოჯახი და საზღვარგარეთ გაეყვანათ. ამ დავიდარაბის აღკვეთის აუცილებლობაზე ლაპარაკი იყო მიტინგებსა და კრებებზე, საბჭოს ყოველ სხდომაზე. საბჭოს წევრთა უმეტესობა კორნილოვისათვის მინდობილ და კერენსკის კონტროლს დაქვემდებარებულ სასახლის დაცვას საეჭვოდ თვლიდა. პოლკოვნიკ კოროვიჩენკოსათვის (მოგვიანებით პოლკოვნიკ კობილინსკისათვის) მინდობილი ყარაულები საიმედონი არ იყვნენ. სასახლის ირგვლივ საეჭვო ფაციფუცი შეინიშნებოდა.

და მართლაც, ვინც ყურადღებით დააკვირდებოდა, ძნელი არ იყო შეენიშნა, რომ სასახლის ირგვლივ ჯგუფებად და ცალ-ცალკე საეჭვო პირები დაძვრებოდნენ. მსახურთა და კომენდანტთა მეშვეობით ისინი პატიმრებთან კავშირს ამყარებდნენ. შემდეგში, ემიგრაციაში ყოფნისას, ბარკოვ ძეორე თავად მოგვითხრობს, თუ როგორ მოამზადა პეტროგრადში 1917 წლის მარტსა და აპრილში ყოფილი მცველებისა და ჟანდარმთა ჯგუფი მეფის ოჯახის ბალით გასათავისუფლებლად და ფინეთის საზღვარზე გადასაყვანად. მისმა ხელქვეითმა, შტაბს-კაპიტანმა სერგეი მარკოვმა, მოამზადა დივერსია, რომლის შემწეობითაც რომანოვები უნდა გაქცეულიყვნენ: განზრახული იყო „ბოლშევიკებისა და ანარქისტების“ სასახლეზე თავდასხმის ინსცენირების მოწყობა, ბომბის აფეთქება კორპუსის მარჯვენა ფრთაში და, ამ არეულობით სარგებლობის შედეგად, მეფის ოჯახის გაყვანა. მსახურთაგან

ერთ-ერთ თავის თანამონაწილეს სერგეი მარკოვმა გადასცა ნაღმი; მან შეიმუშავა პაროლებისა და სიგნალების სისტემა, დაადგინა საზღვრამდე მისასვლელი მარშრუტი, გამონახა და მოამზადა ავტომობილი. იმ დღეებში, როცა მილიუკოვი და კერენსკი ინგლისელებთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას, მარკოვ მეორემ ნიკოლოზს აცნობა, რომ „ზზადება მთავრდება“ და „დათქმული საათი ახლოვდება“. ნიკოლოზმა დაავალა ბენკენდორფს შეთქმულთათვის „გადაეცა ნადლობა ერთგულებისათვის“, ამასთან ეთხოვა მათთვის „მოეცადათ“. ცოტა ხანს ლოდინს, თქვა მან, აზრი აქვს, — ვნახოთ, საზღვარგარეთ ევაკუაციის ოფიციალური და უფრო უსაფრთხო გეგმიდან რა გამოვა. თუ ასეთი გამგზავრების ორგანიზება ხელისუფალთ არ გამოუვათ, მაშინ უკვე „თავად მოვკიდებთ ხელს“. ორივე მარკოვი შესწორებას დაეთანხმა. მათ ქალბატონ დენის მეშვეობით სასახლეში გადასცეს: „მაგრამ იცოდეთ, რომ ჩვენ ყველაფრისათვის მზადა ვართ“ [49].

ისახებოდა საწინააღმდეგო ღონისძიებებიც. პეტროგრადის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება: მოწოდებით მიემართათ ცარსკოე სელოს გარნიზონისათვის — გაეძლიერებინათ რევოლუციური სიფხიზლე, რათა თავიდან აეცილებინათ მონარქისტების გამოხდომები. და კიდევ: არ მიეცათ მთავრობის აგენტებისათვის რომანოვების ოჯახის მურმანსკში გაყვანის ნება, გაეწიათ მათთვის გადამწყვეტი წინააღმდეგობა. საბჭოს ერთგულ შეიარაღებულ ძალებს ებრძანათ, კონტროლზე აეყვანათ რუსეთის ჩრდილო-დასავლეთის რკინიგზის კვანძები და სადგურები. ასევე პუნქტებში, როგორიც ტოსნო და ზვანკა იყო, სათვალთვალოდ მიავლინეს კომისრები. ხელისუფლების ორგანოებსა და დემოკრატიულ ორგანიზაციებს ადგილებზე ებრძანათ: რომანოვების გაქცევის შემთხვევაში, ყოველგვარი ხერხი ეხმარათ მათ საპოვნად და დასაკავებლად. გამოენახათ შესაფერი მომენტი და მოეთავსებინათ ყოფილი მეფე პეტრე-პავლეს ციხის ტრუბეცკოის ბასტიონში. ამას გარდა, გადაწყდა გაეგზავნათ ცარსკოე სელოში რაზმი, რომელიც, ჯერ ერთი, შეამოწმებდა, იქ იმყოფებოდნენ თუ არა პატიმრები, მეორეც, გამოარკვევდა დაცვის მდგომარეობას და, ბოლოს, ადგილზევე განსაზღვრავდა იმ პირობებს, რომლის მიხედვითაც, თუ საბჭო საჭიროდ ჩათვლიდა, გამოიყვანდნენ რომანოვებს სასახლიდან.

მსროლელთა და მეტყვიამფრქვეველთა ასეთი რაზმი მართლაც გაიგზავნა ჯავშნოსნებით ცარსკოე სელოში. მას მეთაურობდა გენე-

რალური შტაბის აკადემიის ყოფილი ბიბლიოთეკარი, ხოლო აღწერილ მომენტში ოფიცერ-რესპუბლიკელთა კავშირის საბჭოს წევრი, სათათბიროსა და პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამხედრო კომისიის აქტივისტი, მემარცხენე ესერი ს. დ. მასლოვსკი (იგივე მსტისლავსკი). მისი მოადგილე იყო ასევე მემარცხენე ესერი ვ. ი. იაკოვლევი, რომელიც ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ მასლოვსკიმ მოაწყო იმავე ბიბლიოთეკაში. მოვიდნენ თუ არა ალექსანდრეს სასახლეში, მათ შეამოწმეს გარე დაცვის მდგომარეობა, ბრძანეს გამოეთიშათ შენობაში სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი, შემდეგ პატიმრების წარდგენა მოითხოვეს *. ბენკენდორფმა წინააღმდეგობა გაუწია, რადგანაც ნაბრძანები ჰქონდა კორნილოვისაგან, არავინ შეეშვათ შენობაში მისი, კორნილოვის, მიერ ხელმოწერილი სახელობითი საშვის გარეშე. როცა მასლოვსკი ძალის გამოყენებას დაემუქრა, მხოლოდ მაშინ დათანხმდა ბენკენდორფი „წარედგინა“ მისთვის და მისი თანამგზავრებისათვის ნიკოლოზი.

თავდაპირველად მსტისლავსკი ითხოვდა, რომ იგი მიეყვანათ უშუალოდ ნიკოლოზის ოთახში და იქ „წარედგინათ“ იგი. ამჯერად კომენდატურამ მას უკვე მტკიცე და მუქარით აღსავსე წინააღმდეგობა გაუწია. შეჯახებისა და აგრეთვე ნიკოლოზისათვის დამამცირებელი სცენების თავიდან აცილების მიზნით შეთანხმდნენ, რომ ნიკოლოზი დერეფნის გავლით ერთი ოთახიდან მეორეში გადავიდოდა და მსტისლავსკი მას იქ ნახავდა. პეტროგრადის საბჭოს კი აცნობებდნენ, რომ „წარდგენა“ შედგა.

მოგვიანებით კერენსკი ამ ეპიზოდს განიხილავდა როგორც პეტროგრადის საბჭოს მცდელობას ყოფილი მეფის ხელში ჩაგდების მიზნით. მეფის ოჯახის შესაძლო გამგზავრების შესახებ დარხეულმა ხმამ, წერდა იგი, გამოიწვია საბჭოს მიერ გაგზავნილი რაზმის ალექსანდრეს სასახლეზე „თავდასხმა“: „სამხედრო სექციის წევრი მასლოვსკი გამოცხადდა ჯავშნოსანი მანქანებით და მეფის წაყვანას ცდილობდა. მან ეს იმიტომ ვერ გააკეთა, რომ ბოლო წუთებში დაიბნა“ [50].

---

* მსტისლავსკი თავის მოგონებებში უარყოფს, თითქოს მან ჯარებით ალყა შემოარტყა სასახლეს ანდა თითქოს მისი ჯარისკაცების უწესრიგო ხროვამ აავსო ვესტიბიული. მისი მტკიცებით, მხოლოდ თვითონ გაემგზავრა სასახლისაკენ მეორე ოფიცრის თანხლებით, რაზმი კი ვაგზალში დატოვა.

„ზღვით გაქცევის“ გეგმის ავტორებმა რამდენიმე ხნით უკან დაიხიეს. მაის-ივნისისათვის პეტროგრადის რაიონში და მთელს რუსეთში ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ჯერ კიდევ მარტში დაგეგმილი ცარსკოე სელოს ავანტიურის განხორციელებაზე არც მარკოვ მეორეს და არც ტავრის სასახლის პოლიტიკანებს ფიქრიც არ შეეძლოთ.

რევოლუციის დაწყებიდან სამი თვე იყო გასული, ხოლო მისი უმნიშვნელოვანესი საკითხები — ზავის, მიწისა და პურის შესახებ ჯერ კიდევ გადაუჭრელი რჩებოდა. ბურჟუები ქალაქად, ხოლო მემამულენი სოფლად თავხედობდნენ: არმიაში თავს მაღლა სწევდა კონტრრევოლუციური ოფიცრობა, რომლის მიზანიც იყო „ჯარისკაცებისათვის ლაგამის ამოდება“. სამეურნეო მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. მასების საყოველთაო უკმაყოფილების ვითარებაში 18 ივნისს პეტროგრადსა და მთელს ქვეყანაში ექსპლოატატორული კლასების საწინააღმდეგო დემონსტრაციები მოეწყო. ეს დღე რუსეთის ისტორიაში შევიდა როგორც მისი გარდატეხის ერთ-ერთი დღე. ივნისის დემონსტრაციებმა „გამოააშკარავეს ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის სიმძაფრე, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება“ [51]. რევოლუციის განვითარების პროცესის დაჩქარების შედეგად მათ, ერთი მხრივ, გამოავლინეს მუშათა და ჯარისკაცთა მოქმედების ერთიანობის სიმტკიცე, ბოლშევიკური პარტიის მზარდი გავლენა მასებში, ხოლო, მეორე მხრივ, ბურჟუაზიის პოზიციების შესუსტება, კადეტურ-მენშევიკურ-ესერული მთავრობის რყევა. სწორედ იმ დღეებში, აფეთქების მოლოდინით დამუხტულ ვითარებაში, პეტროგრადში შედგა სრულიად რუსეთის საბჭოების პირველი ყრილობა. მისი ტრიბუნიდან მენშევიკების ერთ-ერთმა ლიდერმა ი. გ. წერეთელმა განაცხადა: „ამ მომენტისათვის რუსეთში არ არსებობს პოლიტიკური პარტია, რომელიც იტყოდა: მოგვეცით ხელში ძალაუფლება, წადით, ჩვენ დავიჭერთ თქვენს ადგილს“ [52]. პასუხად დარბაზიდან მტკიცედ გაისმა: „არის ასეთი პარტია!“ ეს ისტორიული სიტყვები ბოლშევიკური პარტიის სახელით წარმოთქვა ვ. ი. ლენინმა.

მოახლოებული მოვლენების, რევოლუციური ტალღის შემდეგში აზვირთების შიშით ბურჟუაზიულმა პოლიტიკოსებმა ზაფხულის პირველ კვირებში განაახლეს ცდა — გაეყვანათ რომანოვები პეტროგრად — ცარსკოე სელოს რაიონიდან, გაეხსნათ მათთვის უცხოეთში გასასვლელი გზა, მაგრამ ეს ცდაც ჩაიფუშა.

ბიუკენენთან მოლაპარაკება თავდაპირველად „სასიამოვნოდ“ მიმდინარეობდა, წერდა თავის პარიზულ გაზეთში მილიუკოვი, მაგრამ შემდეგ „როგორღაც იგრძნობოდა, რომ საქმე ჭიანურდებოდა“. მაშინვე გამოისახა კიდევ ერთი ვარიანტი: რომანოვებისათვის თავშესაფრის ესპანეთში მიღების შესაძლებლობა. მაგრამ რადგანაც ალფონს XIII ოფიციალური მიწვევა ვერ გაბედა, ამასთან, ამგვარი კონტაქტი ინგლისთან არსებობდა, საკითხის გადაწყვეტა უწინდებურად ინგლისელებთან დიალოგს ითვალისწინებდა[53]. მილიუკოვმა კი სოკოლოვს აცნობა, რაც მერე მოხდა: მას შემდეგ, როგორც კი „ლონდონის მთავრობამ მეფის ოჯახის მიღებაზე თანხმობა განაცხადა“, რაც „ბიუკენენმა მაცნობა, რომ წასაყვანად კრეისერი უსდა მოსულიყო, — არავითარი კრეისერი არ მოსულა და მათი გამგზავრებაც ვერ მოხერხდა“. და უცბად ერთხელ ბიუკენენი საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოცხადდა და მილიუკოვი საქმის კურსში ჩააყენა, რომ „ბრიტანეთის მთავრობა მეტს აღარ „მოითხოვს დაჟინებით“ მეფის ოჯახის ინგლისში გაგზავნას“[54].

თავის მხრივ ჟილიარიც ადასტურებს, რომ მეფის ოჯახი ალექსანდრეს სასახლეში პატიმრობას „ხანგრძლივად“ არ ვარაუდობდა, იგი ინგლისში „გამგზავრებას ელოდა“. მაგრამ „როგორც ჩანს, — ფიქრობდნენ რომანოვების ოჯახში, — დროებით მთავრობას ძალაუფლება ნელ-ნელა ეცლებოდა ხელიდან“. „ჩვენ მხოლოდ რამდენიმე საათის სავალით ვიყავით დაშორებული ფინეთის საზღვრიდან... და გაბედული და ფარული მოქმედების შედეგად შეიძლებოდა ფინეთის ერთ-ერთ ნავსადგურამდე მიღწევა დიდი შრომის გარეშე და ოჯახის საზღვარგარეთ გაყვანა“[55].

„გაბედულად და ფარულად მოქმედება...“ ადვილი სათქმელია! სწორედ ამის გამო მოხვდა კერენსკის ემიგრაციაში ყოფნისას განსაკუთრებით მაგრად. ლოიდ ჯორჯიც, ინგლისის მსხვილ მიწათმოქმედ თავადაზნაურთა პოლიტიკური პარტიის პრესაც და თეთრგვარდიელი ემიგრანტებიც ლანძღავდნენ მას იმისათვის, რომ 1917 წელს გამბედაობა ვერ გამოიჩინა და ვერც მოლაპარაკების საიდუმლოება დაიცვა. ლოიდ ჯორჯმა, მაგალითად, თავის მემუარებში პირდაპირ განაცხადა, რომ რომანოვები „დროებითი მთავრობის სისუსტის გამო დაიღუპნენ“, რომელმაც ვერ შეძლო მათი მოშორება „აბობოქრებულ“ ხალხთა მასებისაგან და საზღვარგარეთ დროულად გაყვანა. მას, კერენსკის, ჩვიდმეტი წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ჯერ კიდევ საკმაო ძა-

ლაუფლება და პირადი გავლენა ჰქონდა იმისათვის, რომ დახმარებოდა რომანოვებს რუსეთიდან წასვლაში.

თავდაპირველად კერენსკი მაგრად იდგა, ამ თავდასხმებს ითმენდა, შემდეგ კი წყენას ვეღარ მალავდა. მან განაცხადა დასავლეთის პრესაში, რომ ტყუილად სდებენ ბრალს. იგი მცდელობას არ აკლებდა. ინგლისელები პირდებოდნენ კრეისერს. კრეისერი რომ ყოფილიყო, ტობოლსკისა და ეკატერინობურგის ამბები არ მოხდებოდა. რაც შეეხება მოლაპარაკების საიდუმლოების დაცვას — იგი თავად ბიუკენენმა დაარღვია. ეს იმ ფაქტით დასტურდება, რომ თადარიგში გასვლისას ფორინ-ოფისმა უარი უთხრა მას პენსიის მიცემაზე საზელმწიფო საიდუმლოების დარღვევის გამო, რომელსაც რომანოვების ინგლისში გაყვანის გეგმა ითვალისწინებდა. ჭეშმარიტების მოყვარულ კერენსკის სურს მთელი სიცხადით ახსნას, „რატომ არ მოხვდნენ ნიკოლოზ II და მისი ოჯახი ინგლისში“.

მათი საზღვარგარეთ გაგზავნა დროებითმა მთავრობამ ჯერ კიდევ მარტში გადაწყვიტა. მაშინ მან, კერენსკიმ, თქვა: მათ ინგლისში გავაგზავრებთ და მე თავად ჩავიყვან მურმანსკამდე... „ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებდით ლონდონის კაბინეტთან, მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა მათი ცარსკოე სელოში დარჩენა შეუძლებელი გახდა, ინგლისელებისაგან მივიღეთ ცნობა, რომ ყოფილი მონარქის ბრიტანეთის იმპერიის საზღვრებში გასვლა ომის დამთავრებამდე შეუძლებელი იყო“. და შემდეგ: „მე ვამტკიცებ: ეს უარი რომ არ ყოფილიყო, ჩვენ არათუ გავბედავდით, არამედ გავიყვანდით კიდევაც ნიკოლოზ II და მის ოჯახს რუსეთის საზღვრებს იქით, ისე როგორც ჩვენ ისინი მოგვიანებით ტობოლსკში გავიყვანეთ“ [56].

უარის მიზეზი პალმერსტონის პრინციპში მდგომარეობს, რომლის თანახმადაც ბრიტანეთს „არა ჰყავს არც მუდმივი მეგობრები და არც მუდმივი მტრები — მას მხოლოდ მუდმივი ინტერესები აქვს“. კარგად გაიაზრეს რა პერსპექტივა ისეთი ემიგრანტების მიღებისა, როგორიც ნიკოლოზი და ალექსანდრა თეოდორეს ასული იყვნენ, განსაკუთრებით რუსეთის ბობოქარი მოვლენებისა და ევროპაში მზარდი რევოლუციური მღელვარების შუქზე, დაუნინგ-სტრიტზე დარწმუნდნენ, რომ რომანოვების ბუდის წარმოქმნა ბრიტანეთის კუნძულებზე ინგლისს არავითარ სარგებლობას არ მოუტანდა, უსიამოვნება კი უთუოდ მოსალოდნელი იყო.

მთავარი სიძნელე ის გახლდათ, აღიარებს ერთ-ერთი ოკეანის-

გალმელი სოვეტოლოგი ფრენკლენდი, რომ „ყოფილი მეფის ჩასვლასადმი ინგლისში მტრულად იყო განწყობილი და მას ფაქტიურად წინააღმდეგობას უწევდა ინგლისელი ხალხი“. თუმცა ბრიტანეთის მმართველ წრეებს ძველთაგანვე ჩვეულებად ჰქონდათ, თავშესაფარი მიეცათ ლტოლვილი მონარქებისა და ტახტზე ასვლის პრეტენდენტებისათვის (შეიძლება გავიხსენოთ ლუდოვიკო XVIII, ლუი-ფილიპი, ნაპოლეონ III და სხვები), მაგრამ 1917 წელს ლონდონელმა ლიდერებმა გადაწყვიტეს თავი შეეკავებინათ რომანოვების თავიანთ ქვეყანაში მიწვევისაგან, რადგანაც იცოდნენ, რომ ინგლისელ მუშებს დავიწყებული არ ჰქონდათ არც 9 იანვარი და არც 1905 წლის დეკემბერში პრესნაზე მოწყობილი ხოცვა-ჟლეტა, არც 1912 წელს ლენაზე ჩადენილი მკვლელობები და არც ცარიზმის სხვა ბოროტმოქმედებანი. ამასთანავე, როგორც ინგლისის მაშინდელმა ელჩმა საფრანგეთში ლორდმა ბერტმა ფორინ-ოფისში წარმოდგენილ ერთ-ერთ პატაკში აღნიშნა, ევროპაში ბევრი ეჭვს გამოთქვამდა, რომ „რაკი ბრიტანეთის მთავრობა ყოფილ მეფეს თავის რეზერვში ჩართავდა, შეეცდებოდა კიდეც ოდესმე მაინც გამოეყენებინა იგი რესტავრაციის მიზნით, როცა კი ამას თავისი ეგოისტური ინტერესების შესაბამისად ჩათვლიდა, ანდა იმავე თავისი მზაკვრული მიზნებისათვის მომავალში რუსეთში შინაომისა და განხეთქილების ჩამოგდებას შეეცდებოდა“.

მიუხედავად ამისა. ლონდონელი პოლიტიკოსები განაწყენდნენ. სახელდობრ, რისი თქმა უნდოდა ყოფილ პეტროგრადელ პრემიერს? ის, რომ მეფე რევოლუციას გადასცეს მათ, გვირგვინის ტრადიციულმა ქომაგებმა? კი, მაგრამ, ხომ ყველასთვის ცნობილია, რომ ამას ისინი არ გააკეთებდნენ? მათ კი არ განაცხადეს უარი მეფის ოჯახის მიღებაზე, არამედ იგი, კერენსკი, აღმოჩნდა უძლური და ვერ გადასცა რომანოვები. ბიუკენენის პირველივე პასუხის მიღების შემდეგ მას დაუყოვნებლივ უნდა მიეყვანა რომანოვების ოჯახი დათქმულ ნავსადგურში და იქ ყველაფერი უეჭველად მოგვარდებოდა. ლოიდ ჯორჯმა ხომ ავტორიტეტულად განმარტა, რომ მათ „სულაც არ უთქვამთ უარი თავიანთ მიწვევაზე. — იშველიებს ფრენკლენდი ჯორჯის ციტატას, — საქმის საბოლოო შედეგი განსაზღვრა რუსეთის მთავრობის მოქმედებამ, რომელიც თავად ხერგავდა მეფის გამგზავრების გზას“ [57]. კერენსკი თვითონ აშიანურებდა საქმეს ისეთი მიზეზების წამოყენებით, როგორიც იყო, მაგალითად, ბაშვების ჯერ კიდევ სუსტი ჯანმრთელობა წითელას შემ-

დეგ; მურმანსკში გამგზავრებისას გზაში რომანოვების ოჯახზე მოსალოდნელი თავდასხმა; მეფისათვის ჩამორთმეული ქაღალდების შესწავლის აუცილებლობა; საგამოძიებო კომისიის მიერ დაკითხვის დაუმთავრებლობა და ა. შ. ერთი სიტყვით, ასკვნიდა კეთილშობილური აღშფოთების ამ კამპანიის მოთავე „დეილი ტელეგრაფი“, ბრიტანეთის კაბინეტის უარი კი არა, არამედ „მისტერ კერენსკის აუჩქარებლობა, პლუს მისი სულმოკლეობა ბოლშევიკებისადმი დამოკიდებულებაში“ იყო იმის მიზეზი, რაც მოგვიანებით ეკატერინობურგში მოხდა...

ამრიგად, ლონდონელმა ოპონენტებმა ექს-პრემიერი იმ პოზიციაზე შეავიწროვეს, საიდანაც მას უნდა დაემტკიცებინა უკვე არა მარტო. თავისი დამსახურება მეფისათვის ბრძოლაში, არამედ ვერაგი ბოლშევიკების წინააღმდეგ გალაშქრების უნარიც. მაგრამ „თებერვლის დემოკრატიის“ ყოფილმა გმირმა ნება არ მისცა საკუთარ თავს ყურადღება მოსაზღვრე თემაზე გადაეტანა. მას საპასუხო სტატიაში პოლემიკური მუხტი კვლავ პირველ პუნქტზე — კრეისერზე გადააქვს. ყოფილიყო გემბანი და მეფეს როგორმე მივიყვანდითო. რა თქმა უნდა, ეს ადვილი საქმე არ იყო. „მე არასოდეს მიცდია დამემტკიცებინა, რომ ეს უბრალო რამ იყო... პირიქით, ეს ძალიან ძნელი გახლდათ. და მაინც საფუძველი მაქვს ვამტკიცო, რომ ნიკოლოზ II მიყვანა საზღვრამდე, ანუ მურმანსკამდე, ტექნიკურად უფრო ადვილი განსახორციელებელი იყო, ვიდრე ტობოლსკამდე“ [58].

მაშ რაშია საქმე? აი რაში... და აქ განრისხებულმა ბატონმა კერენსკიმ თავის ბრიტანელ ოპონენტებს ისეთი ძლიერი დარტყმა მიაყენა, რომ დიდხანს უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ბატონ ლოიდ ჯორჯს, აცხადებს ექს-პრემიერი, არ სურს მთელი სიმართლის თქმა. იგი ნახევარსიმართლეს ამჯობინებს. ამიტომ „მე ახლა ყველას გასაგებად ვამბობ: ლოიდ ჯორჯის მიერ გამოტოვებული ნახევარი სიმართლე ისაა, რომ მისთვის პირადად, ისევე როგორც ჩემთვის, სულ უფრო და უფრო მძიმე ხდებოდა დასახული გეგმის შესრულება. მას ბოჭავდა მუშათა კლასის საზოგადოებრივი აზრი ევროპაში... საზოგადოებრივი განწყობილება საფრანგეთში... დაბოლოს, რუსეთის რევოლუციის ძალთა პოზიცია“ [59]. სხვანაირად რომ ვთქვათ, ლოიდ ჯორჯმა იმიტომ კი არ შეიკავა თავი კრეისერის მიწოდებაზე, რომ კერენსკი ნაკლებოპერატიული იყო, არამედ იმის გამო, რომ ინგლისის პრემიერის სატრანსპორტო-სატვირთო ცდის პარალიზება ევროპაში იმავე რევოლუციურ-დე-

მოკრატიულმა ძალებმა მოახდინეს, რომლებიც ბობოქარ ტალღად წამოიმართნენ მაშინ აღმოსავლეთში.

დიახ, არცთუ ხშირად იყო ხოლმე კერენსკი ჭეშმარიტებასთან ესოდენ ახლო, როგორც ამ შემთხვევაში... მართლაც, რა მოხდა 1917 წლის იმ დღეებში, როცა ლოიდ ჯორჯის მთავრობამ უკან წაიღო რომანოვების ოჯახის ინგლისში გამგზავრების თანხმობა? ღრმა გავლენა მოახდინა როგორც ინგლისელებზე, ისე ფრანგებზე ალექსანდრა თეოდორეს ასულის მიმართ არაკეთილგანწყობილებამ, მათ თვალში კაიზერის გერმანიის სასარგებლო ფარული გამოხდომების პროგერმანულ ჯგუფს რომ ასახიერებდა რუსეთში. არ გამქრალიყო ინგლისელთა მეხსიერებიდან აგრეთვე „ჰემპშაირის“ დაღუპვა ორკნეისკის კუნძულებთან — მათთვის კიტჩენერი უწინდებურად რჩებოდა რასპუტინის ბანდის დანაშაულის მსხვერპლად, ალექსანდრა თეოდორეს ასულის მფარველობით რომ მოქმედებდა. მსგავს სამხედრო და პოლიტიკურ დივერსიებზე იყო გადაკრული სიტყვა ერთ-ერთ ბრიტანულ ნოტაში, რომელიც პ. ნ მილიუკოვის გადაყენების შემდეგ მის მემკვიდრეს მ. ი. ტერეშჩენკოს ჩაბარდა. მასში, კერძოდ, ნათქვამი იყო: „ბრიტანეთის მთავრობას არ შეუძლია ურჩიოს მის უდიდებულესობას, სტუმართმოყვარეობა აღმოუჩინოს იმ ადამიანებს, რომელთა სიმპათიებიც გერმანიისადმი ყველასათვის ცნობილია“[60].

ისე რომ, რომანოვების გადაადგილების ისტორიაში, ასკვნის ფრენკლენდი, ბრიტანეთის პოლიტიკა „ერთდროულად ორმხრივი, როგორც პოლიტიკური, ისე ემოციური, დაწოლის შედეგად მუხრუჭებში მომწყვდეული აღმოჩნდა“ [61].

და მაინც საქმისათვის გადამწყვეტი იყო არა ეს, არამედ სხვა, გაცილებით უფრო დიდმნიშვნელოვანი ვითარებანი. მოგვიანებით მათ ნათელი მოჰფინა ბრიტანეთის პეტერბურგელი ელჩის ქალიშვილმა მერიელ ბიუკენენმა:

> საელჩოს შიკრიკმა დაშიფრული ლონდონური დეპეშა მოუტანა მამაჩემს. მისი წაკითხვისას მამას სახე შეეცვალა.
>
> — კაბინეტს აღარ სურს მეფის ჩასვლა დიდ ბრიტანეთში, — თქვა მან.
>
> — რატომ?
>
> — მათ ეშინიათ... ეშინიათ, რომ ინგლისში არეულობა წარმოიშობა, ეშინიათ, რომ გაფიცვები იფეთქებს... ყველგან მოსალოდნელია შეტაკებები: დოკებში, სამხედრო ქარხნებში, სხვა საწარმოებში, შახტებში... აც იმისი საშიშროებაა გამორიცხული, რომ თუ რომანოვები ინგლისში გადავლენ, ჩვენს ქვეყანაში აჯანყებები მოხდება. ამრიგად, მე მომიწევს ვაცნობო რუსეთის მთავრობას, რომ ჩვენი შეთანხმება მათთან უკვე აღარ არსებობს.

ასეთი საშიშროების პირისპირ მისი უდიდებულესობის „მუხრუჭებში“ მოქცეული მთავრობის მეთაურს სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ თავის მხრივ დაწოლა მოეხდინა მის უდიდებულესობაზე... „რათა ჩაეხშო მისი კეთილი გრძნობები“[62].

ეს ადვილი არ იყო. გიორგი ძალ-ღონეს არ იშურებდა ნიკოლოზისათვის*. მან, ნათესავებიდან პირველმა, მაშინვე გაუგზავნა ნიკოლოზს თანაგრძნობის დეპეშა მისი გადაყენების გამო. ეს ემიგრაციაში გაჩნდა მილიუკოვმა: „გადატრიალების პირველსავე დღეებში გადაყენებული ხელმწიფის სახელზე მოვიდა გიორგი V დეპეშა, რომელშიც მეფე მას პირად თანაგრძნობას უცხადებდა... მაგრამ რაკი ოფიციალური პირი, ვისთანაც დეპეშა იყო ადრესირებული, უკვე აღარ არსებობდა, მე იგი ბიუკენენს დავუბრუნე“[63]. მაგრამ ამან ბუკინჰემის სასახლის ბინადარს იხტიბარი არ გაუტეხა. იგი თავისი პრემიერისა და კაბინეტის წინაშე ნიკოლოზს გამოესარჩლა, როცა კამათი თავშესაფრის მიცემის შესახებ გაიმართა. გიორგი, კერძოდ, იმას ეყრდნობოდა, რომ სულ რაღაც ერთი წლის წინათ, 1916 წლის 16 თებერვალს, მისი, გიორგის, დავალებით მოგილიოვში გაგზავნილმა გენერალმა პეჯეტმა და ლორდმა პემბროკმა ნიკოლოზს ბრიტანეთის არმიის ფელდმარშლის კვერთხი გადასცეს. მოგილიოვის მთავარბანაკის შტაბში წარმოთქმულ თავის ოფიციალურ სიტყვაში პეჯეტმა მას სთხოვა, „მიეღო ეს წოდება და კვერთხი როგორც გულწრფელი მეგობრობისა და სიყვარულის საწინდარი“. რაზედაც ნიკოლოზმა „მისი უდიდებულესობის—მეფე გიორგის... თავისი ძვირფასი დეიდაშვილის, მეგობრისა და მოკავშირის“[64] საპატივცემულო სადღეგრძელოთი უპასუხა.

განა შეიძლება დავიწყებას მიეცეს ნიკოლოზ II-სადმი მიცემული ბრიტანეთის ფელდმარშლის წოდება მხოლოდ იმის გამო, რომ პეტროგრადში, ისევე როგორც ოდესღაც ლონდონში, ქუჩები მდაბიო ხალხმა წალეკა? მეფის მოსაზრებებს, თუმცა დიდხანს არა, მაგრამ მაინც სოლიდარობას უცხადებდა საგარეო საქმეთა მინისტრი სერ არტურ ჯეიმს ბალფური. მეფის მიწვევაზე უარი მან გააპროტესტა იმ მოტივით, რომ რაკი იგი მიღებულია, „სამარცხვინო სკანდალს“ ვერ გავექცევითო. მაგრამ ლოიდ ჯორჯმა, რომელიც უელსის მელას მეტსახელით იყო ცნობილი, თავის ნომინალურ შეფსა და მის მხარდამჭერ მინისტრებზე

---

* გიორგი V და ნიკოლოზ II დედები ღვიძლ ღრბი, დანიის მეფის ქრისტიან IX ქალიშვილები იყვნენ.

მაინც გაიმარჯვა. არც გიორგი V გამორჩა მხედველობიდან, რომ რომანოვებისათვის ინგლისში თავშესაფრის მიცემას მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი მიაწერდა მის, მეფის, ნათესაურ პროტექციას და რომ „გაცილებით გონივრული იქნებოდა, თუ რომანოვების ოჯახის მეტისმეტად დაჟინებითი გამოქომაგებით, ოჯახისა, რომელიც გერმანიასთან საუკუნეობრივ საგვარეულო და პოლიტიკურ კავშირს განასახიერებდა, არ შეარცხვენდა ინგლისურ საქსონ-კობურგულ სახლს“ [65]. მეფის დავალებით მისი მდივანი ენდრიუ ჩელფორდი ლოიდ ჯორჯს უგზავნის წერილს, რომელიც გადაწყვეტილებაზე ხელის აღების მომასწავებელია: „მისი უდიდებულესობა თავის მხრივ ეჭვს გამოთქვამს, თუ რამდენად გონივრული იქნება მეფის ოჯახის ინგლისში გამგზავრება. ამ შემთხვევაში იგი ითვალისწინებს არა მარტო რისკს, რომელიც რომანოვებს ომიანობის პერიოდში მოგზაურობისას მოუწევდათ, არამედ არანაკლებ მნიშვნელოვან და უფრო ფართო ეროვნული და საიმპერიო უსაფრთხოების მოსაზრებებს“. აქედან გამომდინარე, სწორია რონალდ ჰინგლის შენიშვნა, რომ ეპიზოდის გადამწყვეტ, ბოლო სტადიაში „რუსი იმპერატორის ოჯახისათვის ინგლისში თავშესაფრის მიცემაზე უარის თქმის ინიციატორად გამოვიდა პირადად მისი დეიდაშვილი, მეფე გიორგი V“ [66].

ცხადია, მოსაზრება მგზავრობის „რისკის“ შესახებ ფორმალური მომიზეზება იყო. ტერეშჩენკო მას ჩაეჭიდა: ამით უნდოდა ემხილებინა ძვირფასი მოკავშირენი არაგულწრფელობაში, სირცხვილში ჩაეგდო. რა თქმა უნდა, ეს ვერ შეძლო, მაგრამ თავის დაცვის ქვეშ მყოფთ ცოტა ზიანი როდი მიაყენა.

დანიელი პოლიტიკური მოღვაწის სკავენიუსის მეშვეობით ტერეშჩენკომ საიდუმლო შეკითხვით მიმართა კაიზერის მთავრობას: შეუძლია თუ არა დროებით მთავრობას ყოფილი მეფისა და მისი ოჯახის უსაფრთხოების იმედი იქონიოს, თუ ისინი საზღვაო გზით გაიგზავნებიან დასავლეთ ევროპის ერთ-ერთ რომელიმე ქვეყანაში? კოპენჰაგენის მეშვეობით ვილჰელმ II ახლომყოფთაგან შემდეგი პასუხი მოვიდა: „იმპერატორის მთავრობას თავის მოვალეობად მიაჩნია დაგარწმუნოთ, რომ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის არც ერთი საბრძოლო ერთეული ნებას არ მისცემს საკუთარ თავს დაესხას რომელიმე გემს, თუ მის გემბანზე რუსეთის იმპერატორი და მისი ოჯახი იქნება“ [67].

ამავე ფაქტს იმეორებს თავის წიგნში ალექსანდროვი. მას სიტყვა-

სიტყვით ასე აქვს ნათქვამი: „დანიელი მინისტრის სკავენიუსის საშუალებით მისტერ ტერეშჩენკომ მიიღო რწმუნება, რომ კრეისერს, რომლის გემბანზედაც ავლენ მურმანსკში რომანოვები, წყალქვეშა ნავები თავს არ დაესხმიან". რაკი გერმანელები არ დაესხმიან, მაშასადამე, შეიძლება მათი წაყვანა? არა, მაინც არ წავიყვანთ, ამბობენ ინგლისელი ნათესავები. რატომ? რაღაცას გაუგებრად ლუღლუღებენ. მაგრამ ლუღლუღებენ ცრემლიანი თვალებით — სიბრალულით, თანაგრძნობით. ასეთი მივიდა ბიუკენენი ტერეშჩენკოსთან საბოლოო უარის სათქმელად. იგი გამოცხადდა „ღრმად დამწუხრებული...—წერს ალექსანდროვი, — და მინისტრს სამეფო ტახტთან მჭიდრო კონტაქტების მქონე ფორინ-ოფისის მაღალი თანამდებობის პირის მიმართვის წერილი გადასცა". თვალზე მომდგარი ცრემლით აცნობა სერ ჯორჯმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ ბრიტანეთის მთავრობამ ერთხელ და სამუდამოდ დაადგინა: არ ძალუძს თავშესაფარი მისცეს ყოფილ მეფეს. სოვეტოლოგის კომენტარის თანხმად, ეს ნიშნავდა, რომ „მას შემდეგ, რაც რომანოვები გასცეს და მიატოვეს თავიანთმა ქვეშევრდომებმა, უმოწყალოდ მიივიწყეს ისინი აგრეთვე თავისმა მოკავშირეებმა" [68].

მაგრამ განა მარტო დევიდ ლოიდ ჯორჯზე მიდგა საქმე? და მართლაც, ინგლისი ერთადერთი ქვეყანა როდი იყო, სადაც კერენსკი რომანოვების შეფარებას ცდილობდა. მაგრამ საქმე უცნაურად წარიმართა. მრავალ მოკავშირეთა და მოკეთეთა მიუხედავად, თებერვლის შემდეგ რომანოვებმა ვერსად შეძლეს თავის შეფარება.

დანია? იქ ნიკოლოზს ბიძაშვილი ჰყავდა — მეფე ქრისტიან X; მაგრამ თურმე მეორმარი რუსეთის ყოფილი სუვერენის ოჯახის მიღება დანიას, როგორც ნეიტრალური სტატუსის მქონე ქვეყანას, არ შეეძლო. საბერძნეთი? მეფე კონსტანტინე I დედა, დაქვრივებული დედოფალი ოლღა, რომელიც წარმოშობით რომანოვების საგვარეულოს ეკუთვნოდა, რუსეთში ცხოვრობდა; მაგრამ არც პროგერმანულად განწყობილ საბერძნეთის მეფეს, არც პროანტანტურად განწყობილ მთავრობას ქვეყნის ნეიტრალიტეტის იგივე მოტივით არ შეეძლოთ რომანოვებისათვის ჩასვლის ნებართვა მიეცათ. ესპანეთი? დედოფალი ევგენია ასევე ახლო ნათესავად მოხვდებოდა ალექსანდრა თეოდორეს ასულს: მეფე ალფონს XIII ყოველთვის განსაკუთრებულ სიმპათიებს გამოთქვამდა ნიკოლოზ II-მიმართ. მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა — ისინიც ნეიტრალიტეტს დაეყრდნენ. ნორვეგია? ნეიტრალური იყო. პორტუგალია? ისიც. სერბია, ჩერნოგორია? ისინი თავიანთ მძიმე სამხედრო

მდგომარეობას — ავსტრიის ოკუპაციას იმიზეზებდნენ. საფრანგეთი? მას, ყველაზე ერთგულ მოკავშირეს, ანლა უკვე გულახდილად შეეძლო განეცხადებინა, რომ არ სურდა გვირგვინახდილ ტირანს და განსაკუთრებით მის კერძანული წარმოშობის ცოლს რესპუბლიკურ პიწაზე ფეხი დაედგათ

კრეპერებს რაც შეეხება, ისინი კერენსკისაც ჰყავდა. თუმცა ბეფის ოჯახის წევრებისათვის ისინი არცოუ დიდად საჭირონი იყვნენ, იმიტომ რომ ეკონომიზე გავლით რომანოვების ნებისმიერ მოგზაურობა (მათ შორის სკანდინავიურ) ევეყანაში გაუვანა სხვა სახის ტრანსპორტითაც შეიძლებოდა. მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ გაქცევის ყოველგვარი ვარიანტი, მურმანსკის ჩათვლით, განწირული იყო ჩასაფუშად არა ტრანსპორტთან დაკავშირებული ვითარების გამო, არამედ ხალხთა მასების ნებისაგან გამომდინარე. მასები ხომ რუსეთში ბუმბები, გლეხები და ჯარისკაცები იყვნენ. რომლებიც რევოლუციური ინსტინქტით გრძნობდნენ დაბნეული რომანოვების ოჯახიდან მომდინარე საფრთხეს, ამიტომაც გადაწყვეტილი ეონ ეაეწვათ ისინი თავიანთი ქვეყნიდან.

საშგარი დეკანეზ

რომანოვების შესახებ ჟულიანეს ბრძანებულ გამაროულ ინტრიგებში უკეთელების ჩარევა (ვიდ ჭელმ II კიორგი V. ალფონს. XIII. ლოიდ ჯორჯი. ბალფური. სკანდინავეთი და სხვები) ხალხის შეგნებული თუ ქვეცნობიერი. ულ ერთია. ძირში ბევეთრად გაამძაფრა. როგორც ადრე არაერთხელ ნოსტალგია. რევოლუციური გარდატეხის ისტორიაში უცხოელის იაღეტის ჩარევამ დაბნეული ანტიოლუტიზმის. რეჟიმის მმართველი წრეების მეგობარობა გაუკარეა რომანოვების გამოხსნის პირველად ინგლისელები შეეცადნენ შეცდეგ რუსეთის ამ საშინაო საქმეში გერმანელები ჩაერევნენ. რომანოვიანების გახთავისუფლების ძრავალი გეგმიდან არ იყო არც ერთი. რომელიც უცხოელის დახმარებაზე არ ყოფილიყო დაბალანსებული. და ეს გეგმები ერთი და იგივე მიზეზით იფუშებოდა. მათ განხორციელებას ამბოლებდა ქვეყნის ეროსახლეობა. ადგილობრივი ადეთოკოალტიული ორგანიზაციები. თავად ბეფის ოჯახის დაცვაც კი. ამიტომაც იყო. რომ პროთოხარჭიული გამოხდომების უკვე პირველსავე. ცარსკოე სელოს ეტაპზე. რომანოვების საზღვარგარეთ გაუვანის როგორც „ოფიციალურმა“ (კერენსკ-მილიუკოვის), ისე „არა-

ოფიციალურმა“ (მარკოვ მე-2) გეგმებმა მარცხი განიცადეს. ცხადი იყო, რომ სადაც არ უნდა მიეყვანა რომანოვები მათი გაქცევის გზას, ისინი სიმშვიდეს ვერსად ჰპოვებდნენ. შურისძიების წყურვილი, ძალაუფლების დაკარგვით გამოწვეული მწუხარება გააათმაგებდა მათ აქტივობას. თუ ისინი პატიმრობიდან თავის დაღწევას მოახერხებდნენ, უთუოდ კონტრრევოლუციის დროშად, ყველაზე ძვირფასი ელემენტების კონსოლიდაციის ცენტრად გადაიქცეოდნენ. მთელი სიცოცხლის მანძილზე ისინი თავიანთ სასახლეებში შეჭრას ეცდებოდნენ და ამით არც თავიანთ თავს, არც რუსეთსა და არც მსოფლიოს მოსვენებას არ მისცემდნენ.

დღესაც კი ბ-ნი ჰოიერი, მიუხედავად იმისა, რომ ყოველნაირად ცდილობს თავის ნარკვევებში ნიკოლოზი „მშვიდად“, „თვინიერად“, „თავის ბედს ფატალურად დამორჩილებულად“ წარმოსახოს, ამ თავის პორტრეტულ ეტიუდს მაინც შემდეგ შენიშვნას უკეთებს: „ჩამოგდებული მეფე სულის სიღრმეში, როგორც ჩანს, მაინც ვერ შერიგებოდა ბედს“. ნიკოლოზსა და მის ცოლს „იმის დიდი იმედი ჰქონდათ ალბათ, რომ მათი ცხოვრების უკანასკნელი ფურცელი ჯერ კიდევ არ იყო გადაშლილი“. ალექსანდრა თედორეს ასული „დარწმუნებული გასლდათ, რომ გაათავისუფლებდნენ, რომ ეს დღე დადგებოდა. სწამდა, რომ ჯერ კიდევ იყვნენ ერთგული ადამიანები, მამაცი ოფიცრები, რომლებიც მისთვის სიცოცხლეს გასწირავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ცენზურა, კარჩაკეტილ ალექსანდრეს სასახლეში გარედან შეღწეული საიდუმლო ცნობები არწმუნებდნენ დედოფალს, რომ განთავისუფლება შესაძლებელია და ახლოც არის“. ეს გამონათქვამები, რომლებიც თითქოს სხვათა შორის ახლავს ბ-ნ ჰოიერის მტკიცებებს, უფრო დამაჯერებელია, ვიდრე თავად მტკიცებანი. მოგილიოვიდან ალექსანდრეს სასახლეში ნიკოლოზის უკანასკნელი დაბრუნების შესახებ დაწერილი სანტიმენტალური მონათხრობის საწინააღმდეგოდ (იგი იდგა ცოლის წინაშე „დაბნეული“, „მისი თვალები ცრემლით იყო სავსე“, ორივემ იმწუთში თავი „უძლურ მსხვერპლად“ წარმოიდგინეს) ეს სოვეტოლოგი აღიარებს: „ისინი წარმოადგენდნენ მსხვერპლს, მაგრამ უდანაშაულონი როდი იყვნენ. როგორც ეს ემართებათ ხოლმე სუსტ ადამიანებს, ნიკოლოზს დაუფლებოდა მხურვალე, შეიძლება ბოლოდ სანახევროდ შეცნობილი წყურვილი ძალაუფლებისა, და მას მიაჩნდა, რომ ისინი, ვინც გაათავისუფლებდნენ, მხოლოდ კეთილმსახურების მისიას შეასრულებდნენ“[69].

კერენსკისთან ერთად დივანზე იჯდა ყოფილი იმპერატორი და

ალერსით შეჰყურებდა თვალებში, კვერს უკრავდა მის ნათქვამს, ყუ
რადღებით ადევნებდა თვალს ყოველ მოძრაობას, ძალზე წინდახედუ
ლი, მშვიდი და თვინიერი გახლდათ. ასეთი როდი ნახა მეფე მსტის
ლავსკიმ, როცა იგი პეტროგრადის აღმასრულებელი საბჭოს დავალე
ბით შეიარაღებული რაზმით შევიდა ცარსკოე სელოში, რათა სახე
ლოვანი პატიმრის ადგილზე ყოფნა შეემოწმებინა.

„წარდგინებაზე“ მასთან ერთად მივიდნენ შიდა დაცვის უფროს
და დაცვის სხვა თანამდებობის პირნი. კარი გაიღო. „ჩვენ ვესტიბი
ულში შევედით, სასახლის შინამსახურნი პატივისცემითა და ცნობის
მოყვარეობით შემოგვეხვივნენ. იმ მწუხარე დღეების ფონზე ისინ
ფანტასტიკურად გამოიყურებოდნენ... ყველაფერი ძველებურადაა
ქვეყნის ერთი ბოლოდან მეორემდე გადავლილი რევოლუციის ქარი
შხალი ამ უზარმაზარ სასახლეში თითქოს არც კი გახმიანებულა“.

კომისარი და მისი თანმხლები პირები დერეფანში მოხვდნენ, სა
დაც მათ კარისკაცები ელოდნენ ბენკენდორფის მეთაურობით. ახლ
შემოწმებაზე მთავარი პატიმარი უნდა გამოსულიყო. სადღაც გვერდზ
კარის საკეტმა გაიჩხაკუნა. ბენკენდორფი აცახცახებული ხელით ის
წორებს ჭაღარა ბაკენბარდებს. დაცვის ოფიცრები გაიჭიმნენ, ფაცა
ფუცით შეიკრეს ხელთათმანები. მოისმა დეზების ოდნავ გასაგონი წკა
რაწკური და სწრაფი ნაბიჯების ხმა...

მას პატიმრის ზოლიანი ტანსაცმელი როდი ეცვა. ო, არა!.. პოლ
კოვნიკის მოხდენილი კიტელი ემოსა — ლეიბ-ჰუსართა პოლკის ოფი
ცრის საგარეო ფორმა. „მისთვის ჩვეული მხარის ნერვული მოძრა
ობითა და ხელების ფშვნეტით, თითქოს იბანსო, დერეფნების გადა
კვეთაზე შეჩერდა. შეშუპებული წითელი სახე ჰქონდა, შესიებულ
დაწითლებული ქუთუთოები. მქრქალი, ტყვიისფერი თვალებით გამო
გვხედა. შეჩერდა, თითქოს ყოყმანობსო. მერე ხელები მოიფშვნიტ
და ჩვენი ჯგუფისაკენ წამოვიდა. გეგონებოდათ, ახლა დაიწყებს ლა
პარაკსო. ერთმანეთს თვალი თვალში გავუყარეთ. ყოველი გადმოდგმუ
ლი ნაბიჯი სულ უფრო გვაახლოვებდა. სამარისებური სიჩუმე სუ
ფევდა. დევნით ქანცგაცლილი მგლის ყვითელი გაყინული თვალებ
უცბად გამოცოცხლდა: გუგების სიღრმეში ბოროტმა ცეცხლმა იელვ
და პირქუში გულგრილობა გაალხო.

ნიკოლოზი შეჩერდა, ფეხი მოინაცვლა, მკვეთრად შეტრიალდა დ
მხრის ნერვული მოძრაობითა და კოჭლობით უკანვე სწრაფად გაბ
რუნდა...“

„დორბლიანი ბენკენდორფი სისინით“ არიგებდა მსტისლავსკისა და მისი რაზმის წევრებს, რომლებიც გასასვლელისაკენ დაიძრნენ. რომელიღაც თანმხლებმა ვესტიბიულში თქვა: „ტყუილად არ მოიხადეთ ფაფახები: ხელმწიფეს, როგორც ჩანს, თქვენთან გამოლაპარაკება უნდოდა, მაგრამ რომ დაგინახათ, როგორ იდექით...“ მეორემ დაამატა: „აბა, ახლა კი მოერიდეთ. თუ ოდესმე რომანოვები ხელისუფლებას კვლავ სათავეში მოექცევიან, ამ წუთს შეგასსენებენ: სამარეშიც მოგაგნებენ...“ [70].

ოდესმე დინასტია კიდევ შეძლებს და შეურაცხმყოფელთ სამარეშიც მიაგნებს.. .ახლა კი თვითონ რომანოვებს სჭირდებათ შემდგომი უსიამოვნებისაგან დაცვა. და მათ მფარველ ანგელოზად რჩება კერენსკი, წინათ იუსტიციის მინისტრი, იმ წუთას კი მთავრობის მეთაური. თანამდებობით იგი ამაღლდა, მაგრამ შესაძლებლობები შეუმცირდა... ახლა თავად მასაც უჭირს.

1917 წლის შუა ზაფხული მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების ერთობლივი გამოსვლებით ხასიათდებოდა. ხალხთა მასების განწყობილებაში შეინიშნება შემდგომი მკვეთრი შემობრუნება მარცხნივ, კონტრრევოლუციის წინააღმდეგ მძაფრი ბრძოლისაკენ, ბოლშევიკებისადმი ხალხის ნდობის ზრდა. ამის პასუხად 3—5 ივლისს ბურჟუაზიამ დედაქალაქში დაიწყო მუშათა კლასისადმი, მისი ბოლშევიკური ავანგარდისადმი, მშრომელი მოსახლეობის სხვა დემოკრატიული ელემენტებისადმი შურისძიება.

ისეთი მოვლენების ღრმა ანალიზმა, როგორიც იყო დროებითი მთავრობის მიერ ესერებისა და მენშევიკების უშუალო მხარდაჭერით განხორციელებული ივლისის რეპრესიები და დახვრეტები, ლენინი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ორხელისუფლებიანობა დამთავრდა, კონტრრევოლუცია ჩამოყალიბდა და რეალური ძალაუფლება ხელში აიღო.

რეაქციის თარეში იზრდებოდა. 7 ივლისს გაიცა განკარგულება პეტროგრადში ივლისის დემონსტრაციაში მონაწილე სამხედრო ნაწილების დაშლის შესახებ. 9 ივლისს პეტროგრადში დაანგრიეს მთელი რიგი ბოლშევიკური და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების შენობები. ესერ-მენშევიკთა ლიდერებმა, რომლებმაც ერთმანეთის მიყოლებით გამცემლურად დაუთმეს პოზიციები ბურჟუაზიას, დროებითი მთავრობა „რევოლუციის მხსნელ მთავრობად“ გამოაცხადეს და მას

განუსაზღვრელი რწმუნებანი მისცეს შემდგომი რეპრესიების განსა
ხორციელებლად.

12 ივლისს დროებითმა მთავრობამ ფრონტზე შემოიღო სიკვდი
ლით დასჯა. იმავე დღეებში დაანგრიეს და დახურეს მთელი რიგ
ბოლშევიკური გაზეთების რედაქციები. 18 ივლისს რუსეთის არმიის
მთავარსარდლად დაინიშნა გენერალი ლ. გ. კორნილოვი, რომელმა
უპირველეს ყოვლისა იმისი ბრძანება გასცა, რომ იარაღის ძალით გა
ეფანტათ ჯარისკაცების მიტინგები.

შეიქმნა ერთიანი ანტიბოლშევიკური ფრონტი, რომელშიაც გაერ
თიანდნენ კონტრრევოლუციის მთავარი ძალები: კადეტების პარტია—
რუსეთის ბურჟუაზიის ბელადი: რეაქციული მხედრიონი, რომელსაც
აქტიურად უჭერდნენ მხარს რუსეთის საშინაო საქმეებში უხეშად ჩა
რევას მისეული ანტანტის იმპერიალისტები. გაჩაღდა ბოლშევიკების
წინააღმდეგ გაშმაგებული ცილისმწამებლობის, შეურაცხყოფისა და ტერო
რის კამპანია.

განსაკუთრებით გულმოდგინეობდა კერენსკი. მისი ბრძანებით ად
გეხდნენ რევოლუციონერ მებრძოლთა სიებს, რომელთაც დაპატიმრე
ბა. ფაქტიურად კი სიკვდილი ელოდათ. კერენსკის ზრუნვა მეფის
ოჯახის უშიშროებისა და ამავე დროს მათი კომფორტის შექმნისათვის
რუსეთის ბურჟუაზიამაც და დასავლეთის სახელმწიფოთა პეტროგრა
დის წარმომადგენლობებმაც ღირსეულად შეაფასეს. 8 ივლისს მან მთავ
რობის მეთაურის პოსტზე შეცვალა გ. ე. ლვოვი და სამხედრო დ
საზღვაო მინისტრის პორტფელიც შეინარჩუნა.

22 ივლისს, რსდმპ (ბ) VI ყრილობის გახსნამდე ოთხი დღით ადრე
კერენსკიმ ინსპირაციის მიზნით პრესაში გაავრცელა ცნობა „პეტრო
გრადის სასამართლო პალატის პროკურორისაგან“, რომელიც ეგრეთ
წოდებული ივლისის ამბების გარჩევას, „ღალატისა და შეიარაღებუ
ლი აჯანყების მოწყობისათვის“ ვ. ი. ლენინისა და სხვა ცნობილ
ბოლშევიკების სასამართლო პასუხისგებაში მიცემას შეეხებოდა. ბურ
ჟუაზიულმა პრესამ სიამოვნებით აიტაცა პროკურორის ცნობა და
რევოლუციურ პარტიასა და საუკეთესო რევოლუციონერ მებრძოლებ
ზე ცილისმწამებლური ჭორები გაავრცელა. კერენსკის უშუალო მითი
თებით ივლისის დაბრკოლებათა ორგანიზატორმა, პეტროგრადის სამხედ
რო ოლქის სარდალმა გენერალმა პ. ა. პოლოვცევმა თავისი ხელქვე
ითების დახმარებით დევნა დაუწყო ვ. ი. ლენინს. „ლენინის დაჭერის
იმედით ტერიოკში გამგზავრებული ოფიცერი, — წერდა გენერალ

ემიგრაციაში, — შემეკითხა, როგორ მსურდა მიმეღო ეს ვაუბატონი, მთლიანად თუ ნაწილ-ნაწილ... ღიმილით ვუპასუხე, პატიმრები ძალზე ხშირად მიმართავენ გაქცევის ცდას-მეთქი" [71]. ეს იყო პირდაპირი მინიშნება გასწორებოდნენ რევოლუციის ბელადს.

ბურჟუაზია ცდილობდა ივლისის დღეებში მოპოვებული დროებითი გამარჯვება აშკარა სამხედრო დიქტატურის დასამყარებლად გამოეყენებინა. კონტრრევოლუციური ძალების გენერალური დათვალიერება უნდა მომხდარიყო ეგრეთ წოდებულ ოთხდღიან სახელმწიფო თათბირზე, რომელიც აგვისტოში მოსკოვში, დიდი თეატრის შენობაში ჩატარდა. იმ დღეს, როცა იგი გაიხსნა, მისი წინააღმდეგობის ნიშნად გაიფიცა მოსკოვის სამრეწველო რაიონის 400 ათასი მუშა, აგრეთვე ასიათასობით მუშა რუსეთის მრავალი სხვა მსხვილი ქალაქის საწარმოებში.

ხელისუფლებმა დიდი თეატრის ირგვლივ პოლიციისა და ჯარების სამმაგი კორდონი მოაწყვეს. თათბირზე რევოლუციის ჩახშობის, ფრონტსა და ზურგში სიკვდილით დასჯის მძაფრი მოწოდებებით გამოვიდნენ უმაღლესი მთავარსარდალი ლ. გ. კორნილოვი, კაზაკების ატამანი ა. მ. კალედინი, კადეტთა პარტიის ლიდერი პ. ნ. მილიუკოვი; ხოლო მთავრობის მეთაურმა ა. თ. კერენსკიმ თავის მხრივ იმ დღეებში რეაქციას აღუთქვა, რომ იგი ყველაფერს გააკეთებდა, რაც კი შეიძლებოდა, რათა „სისხლითა და მახვილით" ჩაეხშო რევოლუციური მოძრაობა.

ივლისის ამბების შემდეგ შექმნილი ეს მდგომარეობა ლენინმა დახასიათა როგორც ბონაპარტიზმის დასაწყისი. მენშევიკები და ესერები, აღნიშნავდა იგი, „ლაზღანდარების როლს თამაშობენ ბონაპარტისტ კერენსკის ახლო". სახეზე იყო ბონაპარტიზმის ძირითადი ისტორიული აჩრდილი: „სამხედრო ხროვაზე... დაყრდნობილი სახელმწიფო ხელისუფლების გაძრომ-გამოძრომა ორ მტრულ კლასსა და ძალას შორის, რომელნიც მეტად თუ ნაკლებად აწონასწორებენ ერთიმეორეს". იმდროინდელი რუსეთისათვის ბონაპარტიზმი შემთხვევითი არ იყო. ეს წარმოადგენდა „ბუნებრივ პროდუქტს კლასობრივი ბრძოლის განვითარებისა წვრილბურჟუაზიულ ქვეყანაში, სადაც მნიშვნელოვნად განვითარებულია კაპიტალიზმი და არსებობს რევოლუციური პროლეტარიატი". „ნუ მოგვატყუებს ფრაზები, — წერდა ლენინი. — ნუ შეგვაცდენს ის, რომ ჩვენს წინაშე ბონაპარტიზმის ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია". ამასთანავე „ბონაპარტიზმის გარდუვალობის აღიარე-

ბა სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ დაივიწყო მისი კრახის გარდუვალობა“ [72].

ჯერ კიდევ სრული სიცხადით არ იყო გარკვეული, რუსი ბონაპარტების რომელ კანდიდატებს აძლევდნენ უპირატესობას რუსეთის ბურჟუაზია და მისი ანტანტელი მოკავშირეები. ჩანდა, რომ ასეთი როლის ყველაზე დიდი შანსი კორნილოვს ჰქონდა. თუმცა დროდადრო ნაპოლეონს ასახიერებდა აქტიორული პოზებით და იმედს არ კარგავდა კერენსკიც.

მაგრამ იგი ჯერჯერობით ხმაურითა და ფუსფუსით განაგრძობს რომანოვების მეურვეობას. როგორიც იყო, ისეთივე მფარველ ანგელოზად დარჩა მათთვის ბოლომდე.

9 აგვისტოს იგი ავტომანქანით მივიდა სასახლის სადარბაზოსთან საპარადო კიბით აირბინა მისი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფთა მდიდრულ ბინაში. ყოფილ მეფესთან ერთად დივანზე ჩამოჯდა, ჰკითხა, როგორი იყო ოჯახის თითოეული წევრის ჯანმრთელობა და გაწყობილება და შემდეგ უთხრა:

— იცით რა, ნიკოლაი ალექსანდროვიჩ, თქვენს ოჯახთან ერთად აქედან წასვლა მოგიწევთ.

— რატომ?

— ასე გადაწყვიტა გუშინ მთავრობამ. მერწმუნეთ, მას მხოლოდ სიკეთე უნდა. ახლა ეს თქვენთვის უფრო მეტ უსაფრთხრებას ნიშნავს.

— კი, მაგრამ, სად უნდა წავიდეთ, ალექსანდრ ფეოდოროვიჩ?

— მაპატიეთ, მაგის თქმა ჯერჯერობით არ შემიძლია...

— მე ყირიმში. ლივადიაში, მინდოდა...

— მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. მიმართულების შესახებ უფრო ზუსტად მოგვიანებით გაცნობებთ.

გაჩუმდა და შემდეგ დაუმატა:

— თუ თქვენ, როგორც ვიმედოვნებ, არსებითად წინააღმდეგი არა ხართ, გთხოვთ დაუყოვნებლივ შეუდგეთ მზადებას.

მცირე პაუზის შემდეგ კი კვლავ მიმართავს:

— არც თქვენ, არც დედოფლის უდიდებულესობას არავითარი შეზღუდვები არ გექნებათ. ნივთებიდან, რაც გნებავთ, იმის წაღება შეგიძლიათ. გამყოლადაც, თქვენი პირადი სურვილისამებრ, ვინც გნებავთ, შეგიძლიათ ის წაიყვანოთ“.

13

ბოლოსწინა მარშრუტი: ტობოლსკი

Volentem ducunt fata, nolentem trahunt

(ბედი მსურველს ეწევა, არამსურველს კი მიათრევს)

ძველ სტოიკოსთაგან

რატომ ტობოლსკი?

გაზაფხულის არეულობა სასახლეში ჩაცხრა. თანდათანობით თითქოს ყველაფერი მიწყნარდა. მხოლოდ პარკის კუთხეში დახვავებულ შეშებთან მონოტონურად ჭრიალებს ხერხი — ეს ნიკოლოზ რომანოვი ირთობს თავს თავისი უსაყვარლესი საქმიანობით. როგორც ჩანს, მას სულიერი წონასწორობა უბრუნდება.

ბლოკს ეს უცნაურად ეჩვენებოდა... 25 მაისს მას თავის უბის წიგნაკში შეაქვს გასაოცრად შორსმჭვრეტელური რამდენიმე სტრიქონი— პოეტი აქ წინასწარმეტყველურად გვაუწყებს: „საუზმის დროს... ცარსკოე სელოს კომენდანტი დაწვრილებით მიამბობდა მეფის ოჯახის ცხოვრებაზე. ამ ნაამბობიდან მე ის დასკვნა გამოვიტანე... რომ ტრაგედია ჯერ არ დაწყებულა; იგი ან სულ არ დაიწყება (მინიშნება რომანოვების საზღვარგარეთ გასვლის შესაძლებლობაზე — მ. კ.), ანდა საშინელება მოხდება. როცა ისინი გამძვინვარებული ხალხის პირისპირ დადგებიან...“ [1]

„საშინელებამდე“, ბლოკის წინასწარმეტყველებით, ჯერ კიდევ შორს იყო, მაგრამ სიტყვაში „ტობოლსკი“ ამ საშინელების ოდნავ შესამჩნევი სუნთქვა იგრძნობოდა... რევოლუციამდელ ცნობარებში ნათქვამია: ტობოლსკი საგუბერნიო ქალაქია და იგი ირტიშის მარჯვენა ნაპირზე, ამ მდინარესთან ტობოლის შესართავის ახლოს მდებარეობს: დაარსებულია 1587 წელს კაზაკების თავკაცის დანილ ჩულკოვის მიერ. 1708 წლიდან 1824 წლამდე ტობოლსკი წარმოადგენდა მთელი ციმბირის მართვის ცენტრს. აღწერილი მოვლენების დროს უწინდელი მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა. მასში 22 ათასი კაცი ცხოვრობდა. მათი მთავარი საქმიანობა თევზჭერა და ხელოსნობა იყო. იქ 25 ეკლესია არსებობდა. მოქმედებდა საწარმოები, რომლებშიც სულ 600 მუშა

იყო დასაქმებული, ისინი წელიწადში 250 ათასი მანეთის პროდუქციას უშვებდნენ. არსებობდა აგრეთვე ნავმისადგომი, ბანკი, მუზეუმი, ერმაკის ძეგლი, სახანძრო რაზმი, დავრდომილთა თავშესაფარი, სახლი უდედმამო ბავშვებისათვის, სიფხიზლისა და წყალში მაშველთა საზოგადოებები. 2332 სახლიდან 50 ქვის იყო*.

ამ ორმოცდაათი სახლიდან ერთ-ერთს ხვდა წილად გამხდარიყო უკანასკნელი რომანოვების უკანასკნელისწინა თავშესაფარი.

ტობოლსკი პირველად ივნისის შუა რიცხვებში მოიხსენია დროებითი მთავრობის სხდომაზე ა. თ. კერენსკიმ. თუ რასთან დაკავშირებით— ამის შესახებ მან თავად შემდეგი განაცხადა:

მიზეზი, რომელმაც აიძულა მთავრობა მეფის ოჯახი ტობოლსკში გადაეყვანა, ბოლშევიკების სულ უფრო მზარდი გამძაფრებული ბრძოლა იყო... ამ საკითხისადმი დიდ აღშფოთებას იჩენდნენ ჯარისკაცთა და მუშათა მასები... ცარსკოე სელო ჩვენთვის, დროებითი მთავრობისათვის, ყველაზე მტკივნეული ადგილი იყო... ისინი (ბოლშევიკები) მხურვალე პროპაგანდას ეწეოდნენ იმ ჯარისკაცებს შორის, რომლებიც ცარსკოე სელოს დაცვაში იმყოფებოდნენ, და ხრწნიდნენ მათ. მე ცარსკოე სელოს სასახლეში დავდიოდი და იქაურ არეულობათა შესახებ ვიგებდი. რეაგირება უნდა მომეხდინა, რის გამოც ზოგჯერ უხეშ გამოთქმებსაც კი ვიყენებდი. ჯარისკაცებს დაძაბული განწყობილება ჰქონდათ. სასახლის ძველი ტრადიციის თანახმად, მორიგე ოფიცერი სამეფო მარნიდან ნახევარ ბოთლ ღვინოს ღებულობდა. ეს რომ ჯარისკაცებმა გაიგეს, აურზაური ატეხეს. რომელიღაც შოფერმა მანქანა გაუფრთხილებლად გააქროლა და ავტომობილით პარკის ღობე დაანგრია. ამანაც ჯარისკაცებს შორის ეჭვი დაბადა: ალბათ მეფის წაყვანა სურთო. ყველაფერი ეს... გვართმევდა რეალურ ძალას — ცარსკოე სელოს გარნიზონს, რომელშიაც ჩვენ უკვე გახრწნის გზაზე დამდგარი პეტროგრადის წინააღმდეგ მებრძოლ საიმედო ძალას ვხედავდით[2].

აქედან გასაგები ხდება, თუ რატომ მიიპყრო ტობოლსკმა კერენსკის ყურადღება: პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავებამ პეტროგრადის რაიონში რომანოვების სხვა, მათთვის ნაკლებ საშიშ რაიონში

---

* რევოლუციამდელი ცნობარები, როგორც წესი, დუმან იმ გამოჩენილი ადამიანების შესახებ, რომელთა სახელებიც დაკავშირებულია ტობოლსკთან. მისი მკვიდრი და საპატიო მოქალაქე იყო დ. ი. მენდელეევი. აქ დაიბადნენ მხატვარი ვ. გ. პეროვი და კომპოზიტორი ა. ა. ალიაბიევი, აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ მხატვარი ვ. ი. სურიკოვი, პოეტი პ. პ. ერშოვი. ნიკოლსკის გზით ადიოდნენ გადასაგზავნ ციხეში ოდესღაც ა. ნ. რადიშჩევი, ვ. კ. კიუხელბეკერი, ა. პ. ბარიატინსკი, ფ. მ. დოსტოევსკი, ნ. გ. ჩერნიშევსკი, ვ. გ. კოროლენკო და რუსეთის მრავალი სხვა შესანიშნავი მოღვაწე. ტობოლსკის გავლით გაიარა ათასობით კატორღელმა და გადასახლებულმა, რომლებსაც მეფის ხელისუფლება საწამებლად და დასაღუპად მიერეკებოდა ციმბირის დაუსრულებელ გზაზე.

გადაყვანა მოითხოვა. ერთი მხრივ, ჩაიფუშა მათი საზღვარგარეთ გაყვანის გეგმა; მეორე მხრივ, რევოლუციის ძალებსა და ბურჟუაზიულ-მემამულურ კონტრრევოლუციას შორის ბრძოლის დაძაბულობის ზრდა საშიშროებას ქმნიდა, რომ მისი ტალღა რიკოშეტით ცარსკოე სელოს სასახლის პატიმრებს არ მოხვედროდა; პეტროგრადისა და კრონშტადტის სიახლოვე ალექსანდრეს სასახლის კორნილოვისეულ დაცვას თანდათან ასუსტებდა და გაურკვეველს ხდიდა. ივლისის დახვრეტის გაგრძელების მიზნით მუშათა კლასის წინააღმდეგ ახალ, უფრო მკაცრ ზომებს რომ ამზადებდა, დროებითი მთავრობა ჩქარობდა გაეყვანა რომანოვები ბრძოლის ეპიცენტრიდან, რათა ცხარე გულზე მათრახი მათაც არ მოხვედროდათ. ამრიგად, არც კერენსკისა და არც კორნილოვის წინასწარგანზრახულ ბონაპარტისტულ კარიერას ზიანი არ ადგებოდა — პირიქით, ისინი მოგებულნიც რჩებოდნენ ყოფილი მეფის რაც შეიძლება სოლიდურ მანძილზე გაყვანით იმ რაიონებიდან, სადაც ბურჟუაზიის ხანმოკლე ბატონობისას კარიერისტული გრძნობების გათამაშება ხდებოდა. ამ ვითარებაში წარმოიშვა სწორედ აზრი, განაგრძობდა ჩვენების მიცემას კერენსკი,

„რომ გამონახულიყო მეფის ოჯახის დასახლებისათვის რომელიმე სხვა ადგილი; და ამ საკითხის გადაწყვეტა მოხდობილი მქონდა მე; დავიწყე ამ შესაძლებლობის გამორკვევა. თავდაპირველად მათ წაყვანას სადმე რუსეთის ცენტრში ვფიქრობდი; მიხეილ ალექსანდრის ძის ანდა ნიკოლოზ მიხეილის ძის მამულებზე შევჩერდი. გამოირკვა, რომ იქ მათი წაყვანა აბსოლუტურად შეუძლებელი იყო. უარალოდ შეუძლებელი იყო მეფის ამ ადგილებში გადაყვანის თვით ფაქტი მუშურგლეხური რუსეთის გავლით. ასევე უაზრობა იყო მათი წაყვანა სამხრეთში. იქ უკვე ზოგიერთი დიდი მთავარი და მარია თეოდორეს ასული ცხოვრობდნენ და ამის გამო გაუგებრობები ხდებოდა. ბოლოს და ბოლოს ტობოლსკზე შევჩერდი და ჩემი მოსაზრება მინისტრებს გავუზიარე...

მისი განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა, რაც გამოწვეული იყო ცენტრიდან დაშორებით, არ იძლეოდა იმის საფუძველს, რომ იქ მოსალოდნელი გახლდათ რაიმე სტიქიური ექსცესები. ამას გარდა, ვიცოდი, რომ იქ გუბერნატორის კარგი სახლი დგას. ამიტომ სწორედ მასზე შევჩერდი... მახსენდება, ვითარების გასარკვევად ტობოლსკში კომისია გავგზავნე, რომელშიც, მგონი, ვერშინინი და მაკაროვი შედიოდნენ. მათ კარგი ცნობები მოიტანეს 3.

არჩევანს ხელი შეუწყო კოლორიტულმა პიროვნებამ — არქიეპისკოპოსმა გერმოგენმა. თავის დროზე რასპუტინის მეგობარმა და თანამზრახველმა, მასთან მეგობრობით მოიკიდა ფეხი, ხოლო შემდეგ მისი დაუძინებელი მტერი გახდა. წავიდა ამ ქვეყნიდან რასპუტინი, ხოლო გერმოგენის საქმეები კვლავ აღმავლობით მიდიოდა; უკვე „თებერვლის

დემოკრატიის“ დროს ვ. ნ. ლვოვისაგან, სინოდის „რევოლუციონერი“ ობერპროკურორისაგან, ღებულობს არქიეპისკოპოსობას ტობოლსკში. იგი გაფაციცებით ადევნებდა თვალს შორეული ციმბირიდან ალექსანდრეს სასახლის ირგვლივ მომხდარ მოვლენებს. როცა მისთვის ცნობილი გახდა, რომ დროებითი მთავრობა ყოფილი მეფისათვის ახალი აღგილსამყოფლის საკითხს იხილავდა, პირადად გამოცხადდა პეტროგრადში და კერენსკის შესთავაზა: თუ რომანოვების გადაყვანას აპირებთ, სჯობს არჩევანი ტობოლსკზე შეაჩეროთო.

კერენსკის წინადადება მოეწონა. მართალია, ტობოლსკი საგუბერნიო რანგის პატარა ქალაქია, მაგრამ, სამაგიეროდ, მშვიდია, ნახევრად მძინარე. მუშები ცოტანი არიან, ხელოსნები და მეშჩანები კი ჭარბობენ: წარჩინებულ მოსახლეობას ვაჭრები და ჩინოვნიკები წარმოადგენენ. ამასთან ქალაქშიც და მის მიმდებარე რაიონებშიც ბევრი პრომონარქიულად განწყობილი სამღვდელო პირი ცხოვრობს. და მთელ ამ ბნელ ლაშქარს სათავეში უდგას ბოროტების დაუცხრომელი ქომაგი გერმოგენი. უახლოესი რკინიგზის სადგური — ტიუმენი თითქმის 240 ვერსზე მდებარეობს. ზაფხულობით ქალაქი მას სამდინარო გემებით უკავშირდება, ზამთრობით — მარხილების საშუალებით*.

პირქუშ ტაიგასა და ჭაობებს შორის მოქცეული ქალაქი ქვეყნიდან მოკვეთილი, გარე სამყაროდან სრულიად მოწყვეტილი ჩანს. სინამდვილეში კი. თუ დააკვირდებით, აქედან მიემართება პირდაპირი სამდინარო გზა ირტიშითა და ობით ოკეანისაკენ, ხოლო ზამთარში — კარგად გაკვალული სამარხილო გზა ციმბირის მთავარი ქალაქებისაკენ... ჰოდა, ტობოლსკში მშვიდად ცხოვრებაც შეიძლება და კეთილსაიმედოდაც, ხოლო თუ გადასახლებულები გაქცევას განიზრახავენ, საწადელს განსაკუთრებული სიძნელისა და რისკის გარეშე მიაღწევენ.

გაკიცხვა ხომ არ იქნება მოსალოდნელი? ამაზე ფიქრი არცა ღირს. ჯერ ერთი, ვინ იცის, ყველაფერი ეს როგორ შემობრუნდება. თუ მთავრობა ბოლშევიკებს გაუსწორდება, ინგლისში, იაპონიასა და ყი-

* დღეს ტობოლსკი (ტიუმენის ოლქის რაიონული ცენტრი) ციმბირის ერთ-ერთი აყვავებული ქალაქია. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ირტიშის ნაპირებზე გაშენდა მსხვილი სამდინარო პორტი, აგებულია მძლავრი გემთსაშენი და სარემონტო სახელოსნოები, თანამედროვე აეროპორტი. მნიშვნელოვნად განვითარდა მრეწველობა, გააქტიურდა კულტურული ცხოვრება. აქ არსებობს პედაგოგიური ინსტიტუტი, 8 საშუალო სპეციალიზებული სასწავლებელი, დრამატული თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, კლუბები და ბიბლიოთეკები. ქალაქის მოსახლეობა სამჯერ გაიზარდა... მასში თითქმის 70 ათასი კაცი ცხოვრობს.

რიმშიც კი მეფის გაგზავნა ფარულად კი არა. ცხადლივაც შესაძლებელი იქნება. შემდეგ: ეს მიყრუებული ქალაქი შორეული წარსულიდანვე დაღუპული ადგილის რეპუტაციით სარგებლობდა, საითაც ცარიზმი უმეტეს შემთხვევაში ტრანზიტით ერეკებოდა აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლებულ თავისუფლებისათვის მებრძოლ ათასობით რევოლუციონერს. კერენსკი ფიქრობდა, რომ რომანოვების ასეთ ადგილზე გადასახლებას ხალხი წინ არ აღუდგებოდა. ამ ვარაუდის საზრიანობა აღნიშნა ბ-მა ჰოიერმა: „ტობოლსკი რევოლუციური მგზნებარებით მოცული ევროპული რუსეთისაგან განსხვავებით თითქმის ხელუხლებელი რჩებოდა. ნიკოლოზ II და მის ოჯახს იქ საერთო ყურადღების გარეშე შეეძლოთ ყოფნა, შემდეგ კი გამოისახებოდა მათი საზღვარგარეთ, მაგალითად, იაპონიაში გადაყვანის პერსპექტივა. მეფის ოჯახისათვის ამ შესაძლებლობის უზრუნველყოფის გარდა, თავად ბ-ნი კერენსკი ეჭვგარეშე რჩებოდა, რადგან ყველამ იცოდა, რასაც წარმოადგენდა მაშინ ციმბირი: პოლიტიკურ და სხვა მსჯავრდადებულთა გადასახლების კლასიკურ ადგილს. მაშასადამე, არავის არ შეეძლო ბ-ნ კერენსკისათვის ესაყვედურა, რომ რომანოვების იქ გაგზავნით რევოლუციის საქმეს უღალატა“. ამავე აზრისაა ვიქტორ ალექსანდროვიც: „როგორც ყოველთვის, კერენსკიმ ამ შემთხვევაშიც თავისი პოზიცია იმ ანგარიშით გაამაგრა, რომ გამოეყენებინა იგი როგორც მემარჯვენეების, ისე მემარცხენეების წინააღმდეგ საბრძოლველად“[4].

მან მართლაც რომ მოსახერხებელი პოზიცია აირჩია: საშუალება ეძლეოდა ჯერჯერობით კვლავ ყოფილიყო გარეული დემოკრატებში, ამასთან კონტრრევოლუციის რეზერვში ჰყოლოდა გვირგვინახდილი მონარქი. ერთნი ტობოლსკის ოპერაციისათვის აქებენ მას. მეორენი ლანძღავენ. ირტიშს იქით ტრანსპორტირება, ისევე როგორც თეთრ ზღვაზე განუხორციელებელი გადასვლა. მოგვიანებით დისკუსიის საგანი გახდა. ლორდები თავს ესხმოდნენ კერენსკის იმის გამო, რომ მან ვერ შეძლო ნიკოლოზის აყვანა კრეისერის გემბანზე. თეთრგვარდიელები საყვედურობდნენ რომანოვების ჩრდილოეთსა და არა სამხრეთში გადასახლებისათვის. „ვერ გამიგია, — ბუზღუნებდა ერთ-ერთი მათგანი, — რატომ უნდა წაეყვანათ მეფე ცარსკოე სელოდან ტობოლსკის გარდა სხვაგან სადმე მუშურ-გლეხური რუსეთის გავლით, ტობოლსკში წაყვანისათვის კი მუშურ-გლეხურ რუსეთზე გავლა საჭირო არ იყო“. რაკი წაყვანაა, წაყვანა იყოს. არა საზღვრიდან შორს, არამედ მასთან ახლოს — იქიდან გადასვლა შეიძლება. „იმდროინდე-

ლი ცხოვრება საკმაო იყო ალასგვარი გაუგებრობებით, მაგრამ ჩვენ ხომ ვხედავთ, რომ უკვე ალექსი, რომელიც მაშინ რუსეთის სამხრეთში ცხოვრობდა, ყველანი გაღარჩენენ, რადგანაც საზღვრის ახლოს იმყოფებოდნენ“[5].

სოვეტოლოგებს შორის ამ შირივ ერთსულოვნება როლია. ერთი, მაგალითად, აღნიშნავს, რომ „მართალია დედოფალი თაეის დროს ოცნებობდა ყველაზე მაღალ კაპზე ჩამოეკიდა კერენსკი ცარსკოე სელოს პარკში, მაგრამ მაინც სწორედ მისი წყალობით ჰპოვა მეფის ოჯახმა უსაფრთხოება აბობოქრებული დედაქალაქიდან ათასობით ვერსის დაშორებით...“ დაე, გახიდევნონ — ეს მაინც სჯობდა ცარსკოე სელოში საფრთხეში ყოფნას. აი რას ეუბნებოდა ხოლმე მეფის პოლკოვნიკი კობილინსკი: „ბოლოს და ბოლოს ციმბირი სჯობია თვითგასამართლებას“[6]. შპრინგერული „დი ველტი“ ტობოლსკის არჩევანს, პირიქით, აკრიტიკებდა: „რომანოვების ბედი, ეშვგარეშეა, სხვა იქნებოდა, კერენსკის რომ ისინი ციმბირში კი არ გაეგზავნა, არამედ ყირიმში. აქ დინასტიის ზოგიერთი წევრები უკვე შედარებით უშიშრად ცხოვრობდნენ. მოგვიანებით, ემიგრაციაში ყოფნისას, ბ-ნი კერენსკი ამტკიცებდა, რომ ექს-მეფის ესოდენ შორს გაგზავნა (სამხრეთში) მღელვარე რუსეთზე გავლით ვერ შეძლო. მაგრამ პეტროგრადიდან ტობოლსკამდე მგზავრობა ხომ მაინცდამაინც მოკლე არ ყოფილა, ვიდრე იალტამდე, ამასთან, ეს გზაც ხომ საშიში ოლქების გავლით მიემართებოდა..“[7].

ამ ეპიზოდს განსაკუთრებით მკაცრად აფასებენ ამერიკელი სოვეტოლოგები. ჰარკეივი აცხადებს, რომ რომანოვები ალექსანდრეს სასახლის პატიმრების მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ მთელი რუსეთის მასშტაბის ტუსაღები გახდნენ. აღნიშნავს რა, რომ ნიკოლოზს ყველგან მძიმე ტვირთად აწვა ხალხის საწინააღმდეგო დანაშაულის ბრალდება, ჰარკეივი ბოლო სიტყვებს ირონიულად ბრჭყალებში სვამს. კიდევ უფრო მკაცრია ფრენკლენდი. „ცხადია, — წერს იგი, — კერენსკის გადაწყვეტილი ჰქონდა არ დაეშვა რუსეთში საფრანგეთის ისტორიის განმეორება. ცარსკოე სელო საკმაოდ დაშორებულია პეტერბურგიდან, ისევე როგორც ვერსალი პარიზიდან, მაგრამ არც ისე დაშორებული, რომ მდაბიო ხალხს იქ თავდასხმა არ შეძლებოდა. კერენსკიმ თავისი გადაწყვეტილებით თავიდან აიცილა საფრანგეთის შემთხვევის განმეორება, მაგრამ ეს ძალზე ძვირი დაუჯდა, რადგანაც შემდეგში ურალის სარდაფში ნიკოლოზ II დასჯა სიმძიმით

უდავოდ აღემატება ლუდოვიკო XVI საჯაროდ დასჯას პარიზის შუაგულში, რომელსაც ამჟამად უცნაური გაუგებრობის შედეგად თანხმობის მოედანი ჰქვია"[8].

კერენსკის პასუხები ამ საყვედურებზე მისი სიცოცხლის ბოლო ხანებში სტერეოტიპული გახდა. ოპონენტები, ამტკიცებდა იგი, ისევ და ისევ ქარაფშუტობას იჩენენ. ისინი მსჯელობენ და ჭორაობენ ძალზე დიდ მანძილზე დროსა და სივრცეში; იგი კი, კერენსკი, ამ საქმესთან ახლოს იდგა და უშუალოდ მონაწილეობდა მასში. მისთვის მაშინაც, ჩვიდმეტი წლის ზაფხულში, ცხადი იყო, რომ ნიკოლოზ II სამხრეთის საზღვრებთან ან ნაპირებთან მიყვანა ჯობდა, მაგრამ განა შეეძლო ვისმე ამის პრაქტიკულად გაკეთება? მისთვის აშკარა იყო, რომ „მეფის ოჯახის სამხრეთში წაყვანას, სადაც ადრე (და ამიტომ წარმატებითაც) გააღწიეს დიდმა მთავრებმა და მარია თეოდორეს ასულმა, უკვე აზრი აღარ ჰქონდა"[9].

დარწმუნდა თუ არა შუა ზაფხულში, რომ რომანოვებს სამხრეთშიაც „უსიამოვნება" აქვთ, კერენსკიმ გადაწყვიტა ციმბირის ექსპედიცია არ გადაედო. აცნობა თუ არა ნიკოლოზს (9 აგვისტოს) მომავალი გამგზავრების შესახებ, იგი ცარსკოე სელოს კომენდატურისაკენ გაემართა. აქ დილიდანვე გამოიძახეს საქალაქო საბჭოს წევრები, პოლკოვნიკი კობილინსკი, რამდენიმე ოფიცერი და უნტერ-ოფიცრები ცარსკოე სელოში დისლოცირებული პოლკებიდან, მათ შორის, გარნიზონის ჯარისკაცთა კომიტეტის თავმჯდომარე პრაპორშჩიკი ეფიმოვი. „ვიდრე რაიმეს გეტყოდეთ, — გახსნა თათბირი კერენსკიმ, — პირობა მომეცით, რომ ის, რაც მალე მოხდება და რაზედაც ახლა უნდა შევთანხმდეთ, ჯერჯერობით ჩვენს შორის დარჩება როგორც მკაცრი საიდუმლო"[10]. პირობა მისცეს და მან განაგრძო: დაე, დამსწრეთათვის ცნობილი იყოს, რომ მთავრობის დადგენილებით მეფის ოჯახი გაგვყავს ტობოლსკში. საჭიროა გადავწყვიტოთ, როკორ მოხერხდეს ეს.

თათბირის მსვლელობისას განსაზღვრეს გეგმა. უნდა შედგეს ორი მატარებელი: ერთი ოჯახისა და უშუალოდ გამცილებლებისათვის, მეორე — დანარჩენებისა და მათ შორის დაცვისათვის. გასაცილებლად გამოყოფილი სამხედრო რაზმის (ბატალიონის) რაოდენობა დაახლოებით 350 კაცი უნდა იყოს. სასახლის ირგვლივ განლაგებული 1-ლი, მე-2 და მე-4 გვარდიული პოლკები გამოყოფენ ჯარისკაცებსა და 6 ოფიცერს. რაზმის მეთაურად, რომელიც მატარებელში წესრიგის და-

ცვაზე იქნება პასუხისმგებელი, დაინიშნება პოლკოვნიკი ევგენი სტეფანეს ძე კობილინსკი*. ექსპედიციას უხელმძღვანელებენ მთავრობის საგანგებო რწმუნებულები, რომლებიც ცოტა ხნის წინათ ტობოლსკში იმყოფებოდნენ — სათათბიროს დეპუტატი ვ. ა. ვერშინინი და სასახლის სამინისტროსთან არსებული მთავრობის კომისიის თანაშემწე (პრემიერის პირადი მეგობარი) ინჟინერი პ. მ. მაკაროვი. თანახმა ხართ? მაშინ — შევუდგეთ.

კობილინსკი ენერგიული კაცია. მას ეფიმოვი ეხმარება. 12 აგვისტოსათვის დაცვის რაზმი ფორმირებული იყო. ჯარისკაცები ერთიმეორეზე უკეთესები შეარჩიეს, ყველანი გიორგის ჯვრის კავალრები, რომლებსაც 3 წლამდე ბრძოლის გამოცდილება ჰქონდათ. პრემიერის მითითებით ყველას დაურიგდა ახალი კიტელი და ფარაჯა. შაშხანა. გვარდიელები ოცეულებად გამოიყვანეს სავარჯიშო მოედანზე, პრემიერმა მათი დათვალიერება მოიწადინა, მწკრივებს ჩამოუარა და კმაყოფილი დარჩა; დასასრულ ჩამწკრივებულ ოცეულებს განუცხადა, რომ მოგზაურობის მანძილზე ოფიცრებსაც და ჯარისკაცებსაც დამატებით მიეცემოდათ მივლინების თანხები და ჯილდოები.

სანამ ჯარისკაცებს ფორმით უზრუნველყოფდნენ და შეაიარაღებდნენ, ნიკოლოზი თანამგზავრებს ირჩევდა. მიწვევა ყველამ არ მიიღო. მაგალითად, ამალის ყოფილმა გენერალმა ნარიშკინმა, სწორედ იმან, რომელიც 22 მარტს ვაგზლის ბაქნიდან გაიპარა, სთხოვა მეფეს 24 საათი მიეცა მოსაფიქრებლად და აღარც გამოჩენილა. ასევე მოიქცნენ ზოგიერთი სხვებიც. მაგრამ ბევრმა, 40-მდე კაცმა, თანხმობა განაცხადა მას თან ხლებოდნენ გაძევებაშიც. ესენი იყვნენ — გენერალ-ადიუტანტი ი. ლ. ტატიშჩევი; ობერ-ჰოფმარშალი ე. ა. დოლგორუკოვი; ფრეილინები და მოახლეები ს. კ. ბუკსჰევდენი, ა. ვ. გედრიკოვა, ე. ა. შნაიდერი, ე. ნ. ერსბერგი. მ. გ. ტუტელბერგი. მ. ვ. ზანოტი;

---

* ამ კაცზე, რომელიც წელიწად-ნახევრის მანძილზე იმყოფებოდა მეფის ოჯახთან გადასახლებაში, ცნობილია შემდეგი: ომამდე ლეიბ-გვარდიაში მსახურობდა. 1914 წელს მოხვდა ფრონტზე. 1915 წელს ლოძთან გამართულ ბრძოლაში დაიჭრა, გამოჯანმრთელების შემდეგ ფრონტზე დაბრუნდა; სტარაია გუტასთან კონტუზია მიიღო, ჰოსპიტლიდან კვლავ მოწინავე ხაზზე დაბრუნდა. როცა კონტუზია ნეფრიტით გაურთულდა, ზურგში დარჩა; 1916 წლის სექტემბრამდე ცარსკოე სელოს ჰოსპიტალში იმყოფებოდა. 1916 წლის მიწურულიდან პოლკოვნიკი კობილინსკი გენერალ კორნილოვთან ირიცხებოდა, მისი პირადი ნდობით სარგებლობდა 1917 წლის მაისში მანვე დანიშნა ცარსკოე სელოს სასახლეების კომენდანტად იმ განზრახვით, რომ უზრუნველეყო რომანოვების უსაფრთხოება.

აღმზრდელ-მასწავლებლები სიდნეი (ივანეს ძე) გიბსი, პიერ (ანდრიას ძე) ჟილიარი; ორი ექიმი — ლეიბ-მედიკოსი ე. ს. ბოტკინი და მემკვიდრის ექიმი ვ. ნ. დერევენკო. ოჯახის შვიდი წევრისათვის მოსამსახურედ წაიყვანეს 6 ლაქია, 3 მსახური მემკვიდრისათვის (გამზრდელი კ. გ. ნაგორნი, ს ი. ივანოვი და 10 წლის ივან სედნევი), 3 მზარეული, 5 მსახური, 3 მოახლე გოგო, მწერალი, მეგარდერობე, დალაქი. წაიყვანეს აგრეთვე მსახური — „სარდაფის გამგის" მოვალეობის შემსრულებელი. დასახელებულთაგან ორნი — გიბსი და მზარეული ხარიტონოვი — პეტროგრადში დაყოვნდნენ და ტობოლსკში მოგვიანებით გაემგზავრნენ. დედოფლის მოახლეები უტკინა და რომანოვა სიაში არ იყვნენ, ტობოლსკში ორი თვის შემდეგ ჩავიდნენ ხელისუფალთა ნებართვის გარეშე.

ნიკოლოზმა პირადად შეიტანა სიაში კიდევ ერთი „მამამტე" — ბოცმანი დერევენკო. ეს კაცი, რომელიც მილიონობით ადამიანისათვის ფოტოსურათებითა და საპარადო გამოსვლებით იყო ცნობილი (იგი ხელით ატარებდა მემკვიდრე ალექსის), მეფე-დედოფლის განსაკუთრებული სიმპათიით სარგებლობდა. ტობოლსკში გამგზავრების წინ დერევენკომ კობილინსკის უფლისწულზე გაწეული აშკარად გაბერილი ხარჯები წარუდგინა. ანგარიშის თანახმად, 1917 წლის 1—5 თვეში თითქოს 700 მანეთის ღირებულების ჩექმები გაცვითა, ხოლო როცა „მამამტეს" სკივრი შემთხვევით გახსნეს, სასახლეში მოპარული ყოველგვარი ნივთი აღმოჩნდა შიგ. კობილინსკიმ დერევენკოს განუცხადა, რომ მას არ წაიყვანს. ბოცმანმა ალექსანდრა თედორეს ასულთან იჩივლა. მან პოლკოვნიკი გამოიძახა.

— ახლავე ირღვევა, — უთხრა დედოფალმა მას, — კერენსკის დანაპირები: ჩვენთვის თავდადებული ადამიანების შერჩევა.

— თქვენ მაგ მატროსს თავდადებულად და უანგაროდ თვლით?— ჰკითხა კობილინსკიმ.

ალექსანდრა თედორეს ასულმა დადებითად უპასუხა. მაშინ კობილინსკიმ მატროსის მიერ წარდგენილი ანგარიში უჩვენა და ნაქურდალი ნივთები დაუსახელა. ნიკოლოზი და ალექსანდრა თედორეს ასული შეშფოთდნენ. ბოცმანი ტობოლსკში არ წაიყვანეს. იგი კიდევ დიდხანს ეკითხებოდა ფოსტით კომენდანტს, როდის გამოიძახებდნენ ბოლოს და ბოლოს მას „მემკვიდრესთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გასაგრძელებლად" [11].

გამგზავრება 14 აგვისტოს ადრიანი დილისათვის იყო დანიშნული. წინადღეს კერენსკი ცარსკოე სელოში მივიდა. კობილინსკის უბრძანა სასახლის წინ მოედანზე მცველთა რაზმი გამოეყვანა. ერთხელ კიდევ ჩაუარა მწკრივებს, დაათვალიერა ჯარისკაცები, პოზაში დამდგარმა დამრიგებლური სიტყვით მიმართა მათ და გაკვრით უთხრა: „დაიხსომეთ, ჯარისკაცებო: წაქცეულს არ ურტყამენ. თავი თავაზიანად დაიჭირეთ, ნუ ითავხედებთ, ნუ დაივიწყებთ, რომ იგი ყოფილი იმპერატორია. არც მან და არც მისმა ოჯახმა არაფერში არ უნდა იგრძნონ უფლების აყრა“ [12].

ეს ზნეობრივი მოძღვრება მენშევიკურ-კორნილოვული დემოკრატიის ანალებში შევიდა, მაგრამ ფიქსირების გარეშე დარჩა ის, თუ რა შეგონება წაუკითხა იმავე დღეს კერენსკიმ თავის სხვა მსმენელებს რკინიგზის დეპოში. როცა იგი ტრანსპორტის მზადყოფნის შემოწმებას შეუდგა, გამოირკვა, რომ მუშებმა, რომლებმაც გაიგეს მატარებლების დანიშნულება, ორთქლმავლების მიცემაზე უარი განაცხადეს. ვერშინინისა და მაკაროვის დახმარებით პრემიერს როგორღაც დაუყოლიებია რკინიგზელები შეესრულებინათ მისი განკარგულება. ორთქლმავლები დეპოდან გამოვიდნენ. შემდეგ მან ვერშინინსა და მაკაროვს გადასცა მეფის ოჯახის მომსახურების საკუთარი ხელით შედგენილი ინსტრუქცია დაწვრილებითი დარიგებებით საყოფაცხოვრებო და კვების საკითხებში. მასში გათვალისწინებული იყო რეკომენდაციები იმის შესახებაც კი, თუ რა სახის კერძები შეედგინათ.

13 აგვისტოს, საღამოს, კერენსკი კვლავ მივიდა სასახლეში და თან მიხეილ რომანოვიც მიიყვანა. ძმების ეს გამოსათხოვარი შეხვედრა ტყუილად როდი მოაწყო: მას უნდოდა გაემხნევებინა ნიკოლოზი, სანამ ეტყოდნენ, თუ სად მიჰყავდათ. იმ დღეს შუადღემდე იმუშავა ნიკოლოზმა და უკანასკნელად მოჭრა ცულით სამი ფიქვი პარკის განაპირას. მიხეილთან შეხვედრაზე იგი შესამჩნევად დაღლილი მივიდა. „ისინი ერთმანეთს კერენსკის თანდასწრებით შეხვდნენ... ნიკოლოზსა და მიხეილს ერთმანეთი გადატრიალების შემდეგ არ ენახათ და დარწმუნებული არ იყვნენ, კიდევ შეხვდებოდნენ თუ არა. ისინი ერთმანეთის პირდაპირ იდგნენ... დაბნეულობის გამო არ იცოდნენ, რა მოემოქმედათ — ფეხს ინაცვლებდნენ, ხელს სჭიდებდნენ ერთმანეთს, ხან კი ღილებზე ეხებოდნენ... ნიკოლოზთან გამომშვიდობებისას მიხეილ-

მა სთხოვა კერენსკის ბავშვებსაც გამოთხოვებოდა... კერენსკიმ უთხრა, რომ ამის ნებართვის მიცემა მას არ შეეძლო...“[13].

როგორც კი მიხეილი გავიდა, კერენსკიმ ნიკოლოზს მომავალი გამგზავრების მთავარი მიზანი გააცნო.

— ნიკალაი ალექსანდროვიჩ, — უთხრა მან, — ახლა მე უფლება მაქვს და უნდა გითხრათ კიდეც, რომ ჩემმა მთავრობამ გადაწყვიტა ტობოლსკში გაგგზავნოთ. თქვენ და თქვენი ოჯახი კარგ პირობებში იქნებით იქ ყოფილი გუბერნატორის რეზიდენციაში. დამიჯერეთ. იქ კარგად იგრძნობთ თავს. ამას გარდა, მოსცილდებით მუქარასა და შეურაცხყოფას. ნუ აღელდებით.

ნიკოლოზმა დაღლილი, თითქმის გულგრილი მზერა მიაპყრო და უპასუხა:

— მე არა ვღელავ. ჩვენ გვჯერა თქვენი. რაკი ამბობთ, რომ ეს აუცილებელია, დარწმუნებული ვარ, რომ ნამდვილად ასეა. ჩვენ გვჯერა თქვენი, — ერთხელ კიდევ გაიმეორა მან[14].

მოუსვენარი, დაძაბული ღამე იყო. სამგზავროდ გამოყოფილი ოჯახის წევრები წასვლის მოლოდინში პირველ სართულზე სასახლის შრგვალ დარბაზში შეიკრიბნენ. შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, მაგრამ აღგზნებული მეფის ძე მაინც შფოთავდა, მამამტე ნაგორნის ერთი სავარძლიდან მეორეში გადაპყავდა, სანამ პლედმოხურულმა არ ჩაიძინა. კერენსკი ნერვულად დარბოდა სასახლეში და განკარგულებებს იძლეოდა, ზოგჯერ რამდენიმე წუთით მიწვებოდა ხოლმე დასასვენებლად ხან პარკში მდგარ ავტომობილში, ხან მეფის კაბინეტში. ბენკენდორფმა რამდენჯერმე შეცდომით მისცა ადგომის ნიშანი და ოჯახის წევრები უკანვე დაუბრუნდნენ თავიანთ საავარძლებს. ბოლოს, დილის 5 საათზე შეიტყვეს, რომ მატარებლები ჩამოდგა.

პატიმრობაში ყოფნის 5 თვის შემდეგ მეფის ოჯახის 7 წევრი კერენსკის თანხლებით ალექსანდრეს სასახლის მთავარი სადარბაზოდან გადის, ორ ავტომობილში სხდებიან და ბალტიისპირა მე-3 პოლკის დრაგუნთა თანხლებით ახლომდებარე ალექსანდრეს სადგურისაკენ მიემგზავრებიან. ოჯახს თავისი მანქანით უკან მიჰყვება კერენსკი. მაღალი თანამდებობის პირნი ჯგუფებად დგანან, ისინი მზერით აცილებენ თავიანთ ბატონებს.

სადგურის ბაქნის იქით ორი სარკინიგზო შემადგენლობა მოჩანს. კერენსკის თხოვნით რომანოვები თავიანთი ავტომობილებიდან გადმოდიან და ვაგონებისაკენ მიეშურებიან. კერენსკი მიეშველა ალექსანდრა თედორეს ასულს ასვლაში, კუპეში შეიყვანა, ხელზე ეამბორა და

უთხრა: „ნახვამდის, თქვენო უდიდებულესობავ, — როგორც ხედავთ, უმჯობესად ვთვლი მოგმართოთ ძველი ტიტულით“. ყველაფერი რიგი აეწყო. სიების შედარებისას ზოგიერთი მსახური სახეზე არ აღმოჩნდა. „კერენსკი დარეტიანებული დარბოდა აქეთ-იქით, ხან განკარგულებებს იძლეოდა გაეშვათ შემადგენლობები, ხან ცვლიდა თავის ბრძანებებს“[15].

პირველი მატარებელი 6 საათსა და 10 წუთზე გავიდა: საერთაშორისო დანიშნულების ვაგონში მეფის ოჯახი და ამალის ერთი ნაწილი იყოფებოდა, დანარჩენ რვა ვაგონში — მოსამსახურეთა ნაწილი და დაცვა (1-ლი პოლკის მსროლელები). მას მიჰყვა მეორე შემადგენლობა: მის ათ ვაგონში იმყოფებოდნენ ამალის დანარჩენი წევრები. სხვა მსასურნი და დაცვა (მე-2 და მე-4 პოლკების მსროლელნი), აქვე იყო ბარგი.

ყოფილი მეფის მატარებელი იაპონიის დროშით მიდიოდა. საძინებელ ვაგონს, რომლის შუა ოთხი კუპე მეფის ოჯახს ეკავა, ჰქონდა წარწერა: „წითელი ჯვრის იაპონიის მისია“. შემადგენლობები მაქსიმალური სიჩქარით მიდიან. ქალაქებსა და დიდ-დიდ სადგურებში გაჩერებებს თავს არიდებენ. პეტროგრადიდან მითითება აქვთ: ამ ორი მატარებლის მიახლოებისას საკვანძო სადგურებისათვის სამხედრო ნაწილებს ალყა შემოერტყათ, გაერიდებინათ ხალხი ვაგზლებიდან და ბაქნებიდან. პატარა სადგურებში ცოტა ხანს ჩერდებოდნენ. ტრიალ მინდერებში — უფრო დიდხანს. აქ ძირითად მგზავრებს ვერშინინისა და მაკაროვის თანხლებით შეეძლოთ ზოგჯერ მუხლის გაშლა. დანარჩენებს ვაგონებიდან ჩამოსვლა აკრძალული ჰქონდათ

„მუშურ-გლეხურ რუსეთზე გავლით“ მგზავრობა თითქოს კარგად მიდიოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზვანკასა და პერმის სადგურებში მომხდარ ინციდენტებს. პირველ პუნქტში რკინიგზელებმა, ხოლო მეორეში — ადგილობრივი საბჭოების წარმომადგენლებმა მგზავრების ტვირთისა და დოკუმენტების წარდგენა მოითხოვეს. ერთი ორჯერ ვერშინინმა და მაკაროვმა მინისტრ-თავმჯდომარის ხელმოწერილი კომისრის მანდატებით შთაბეჭდილების მოხდენა შეძლეს და ეშელონებმა გზა განაგრძეს.

17 აგვისტოს გამთენიისას, ბინდბუნდში, მატარებლებმა ნელი სვლით გაიარეს ეკატერინობურგი. ნიკოლოზი და ალექსანდრა (მათ არ ეძინებოდათ) დერეფანში ფანჯარასთან იდგნენ. გასცქეროდნენ, როგორ მიცურავდა შორიახლოს ურალის უძველესი ქალაქის ქვაო-

ტალები, უკვე არ ეპარებოდათ, რომ მათ კვლავ მოუხდებოდათ მომავალ გაზაფხულზე აქ ყოფნა — და ეს იქნებოდა მათი უკანასკნელი მარშრუტი.

17 აგვისტოს. საღამოს ბინდბუნდში, ორივე მატარებელი ოცდაათწუთიანი ინტერვალით ტიუმენის სადგურის ბაქნებს მიუახლოვდა. საქალაქო სათათბიროს მიერ ვაგზალში გაგზავნილი ავტომობილებით კომისრებმა მეფის ოჯახი ნავმისადგომთან მიიყვანეს. აქ, ნავსაბმელთან, სამი გემი იდგა: „რუსეთი“, „კორმილეცი“ და მარქაფი „ტიუმენი“. რომანოვები „რუსეთში“ მოთავსდნენ: ამალა, მოსამსახურენი, ბარგი და სხვა ტვირთი — „კორმილეცსა“ და „ტიუმენში“. მებადრაგენი სამივეში განლაგდნენ. 18 აგვისტოს ადრიანი დილისათვის დატვირთვა დამთავრდა, გემები შუა მდინარეში შეცურდნენ და კურსი ტობოლსკისაკენ აიღეს.

ღიდი კომფორტი არ ჰქონდათ. მთავარმა მგზავრმა დღიურში ჩაწერა: ა ლ ი კ ს ს, ა ლ ე ქ ს ი ს ა და მ ე ა რ ა კ ე თ ი ლ მ ო წ ყ ო ბ ი ლ ი თ ი თ ო კ ა ი უ ტ ა გ ვ ა ქ ვ ს[16]. დაე მოუწყობელი იყოს, ჯანდაბას... რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამას მღელვარე განცდებით აღსავსე წუთებთან შედარებით; ჰორიზონტზე სოფელი პოკროვსკი გამოჩნდა — სამშობლო რასპუტინისა, რომელმაც სულ რაღაც ნახევარი წლის წინათ შესვა უკანასკნელად იუსუპოვთან არყის ჭიქით მადერა. რიკულებთან მიმდგარი რომანოვები ჩამუქებულ ქოხმახებს შორის აღმართულ დიდ თეთრ სახლს მიაშტერდნენ. ალექსანდრა თეოდორეს ასულმა, ქვითინს ძლივს რომ იკავებდა, გვერდით მდგარ ფრეილინებს უთხრა: „აქ ცხოვრობდა ჩვენი ძვირფასი გრიგოლ ეფიმეს ძე. აქ, ამ მდინარეში, იჭერდა თევზებს. გახსოვთ, იგი გვიგზავნიდა ხოლმე ცარსკოე სელოში ახალ თევზს. ღმერთმა აცხონოს ღვთისკაცი, სასუფეველი დაუმკვიდროს“[17]. მოზღვავებული გრძნობების გამო გონს მოსვლა დიდხანს ვერ შეძლო აგრეთვე მეუღლემაც, როცა დაბალ თიხნარ ნაპირს თვალი გააყოლა.

19 აგვისტოს, შუადღისათვის, ქარავანი ტობოლსკს მიუახლოვდა. გამოირკვა, რომ სახლი, რომელიც რომანოვების ოჯახისათვის იყო გათვალისწინებული, მცხოვრებლების მისაღებად მზად არ იყო. 7 დღე გემზე გაატარეს ზაფხულის თბილი და მზიანი დღეები იდგა. ბოლოს, როცა გემზე ყოფნა მოსაწყენი გახდა, კომისრებმა თავიანთ მეურვეობაში მყოფთა გართობა გადაწყვიტეს და ნავებით აჰყვნენ ტობოლს აბალაკის მონასტრის სანახავად. ექსკურსია ხმაურიანი და

მრავალფეროვანი გამოდგა... მტირალი ღვთისმლოცველნი, მონაზვნები. ისტერიით დაავადებულნი, ვაჭართა და ჩინოვნიკთა ცოლები და ქალიშვილები, ფარული მძვინვარებით შეპყრობილი კულაკები მჭიდროდ შემორტყმიან რომანოვებს, რომლებიც კომისრების თანხლებით დადიან საეკლესიო სენაკებში, მონაწილეობენ ღვთისმსახურებაში, ლოცვით ევედრებიან უზენაესს, არ დატოვოს თავისი მოწყალებისა და შეფარველობის გარეშე...

26 აგვისტოს ნაპირთან თავშეყრილი ათასობით ტობოლელის თანდასწრებით დაიწყო გადმობარგება. ნავმისადგომის ჭრიალა ფიცარფენილიდან ქალაქისაკენ დაიძრა კოლორიტული მსვლელობა. წინ მიდიოდა ოჯახის თავი. მიდიოდა მშვიდად, მტკიცედაც კი, წელგამართული. მხოლოდ უწინდელზე მეტად ემჩნეოდა მხრის ნერვული მოძრაობა და თვალში ჩამდგარი დაღლილობა. მას პოლკოვნიკის ოქროს სამხრეებიანი ოფიცრის ხაკისფერი გიმნასტურა და ქრომის ჩექმებში გარსონივით ჩატანებული ბრიჯი ეცვა.

მას უკან მსუბუქად, თითქმის ხტუნვა-ხტუნვით მისდევდა საკმაოდ მოზრდილი, სასიამოვნო, ლამაზად გაკრეჭილი ბიჭი, რომელსაც სანდოიანი, მაგრამ მოზარდისათვის ძალზე უფერული სახე ჰქონდა. დიდრონი, ცოცხალი თვალებით ცნობისმოყვარედ ათვალიერებდა იქ მყოფთ. მას ოფიცრის ისეთივე ფორმა ეცვა, როგორც მამამისს: ოქროს სამხრეებიანი გიმნასტურა, ბრიჯი და ნაგორნის (მამამტეს) მიერ ძალზე გაპრიალებული ქრომის ჩექმები*.

---

* ამ ბიჭზე ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე იქმნებოდა ლეგენდები, ეძღვნებოდა მდიდრულად გამოცემული წიგნები. ვინც ახლო იცნობდა მას, აღწერდა, რომ „იგი ზაზმაცი იყო, დიდად არ უყვარდა წიგნები... მარტო მამამისს ემორჩილებოდა... ავადმყოფობამ მძიმე კვალი დაჩნია. სიძუნწით დედამისს ჰგავდა... აგროვებდა სხვადასხვა სახის გადაყრილ ნივთებს: ლურსმნებს, ტყვიის ქაღალდს, თოკებსა და ა. შ. მამას რუსულად ელაპარაკებოდა, დედას — ინგლისურად (ნ. ა. მეფის ოჯახის მკვლელობა. ბერლინი, 1925, გვ. 53). 12 წლისამ დაიწყო დღიურების წერა. ჩვეულებრივ წერდა, როდის ადგა დილით, როდის დაწვა დასაძინებლად, როგორი ამინდი იყო, რა თამაშობებით გაირთო თავი; თითქმის არაფერი აქვს ნათქვამი გაკვეთილების შესახებ, ნახსენები არ არის მის მიერ წაკითხული არც ერთი წიგნი, ათაფეროს ამბობს მასწავლებლებზე. აი ის ამბები, რომელთა აღნიშვნაც საჭიროდ მიაჩნია „მივიღე საფრანგეთის მედალი“; „გავწმინდე ხიშტი“; ვიღაცას „უკბინა ლეკვმა“; „ნაგორნის (მამამტეს) საფულესთან ერთად მოპარეს 90 მანეთი“; დადიოდა ნევის პროსპექტზე მაღაზიებში, „ვიყიდე საანგარიშო, სამარილე და სანთებელა“. 5 წლის სწავლის შემდეგ წერდა: „был у заутрины“; „после ихнего обеда“; „читал по английски“ (სხვა შემთხვევაში — „по англизки“) და ა. შ. (ცსარგ, ფონდი 628, აღწ., 1, საქმე 189. ალექსი რომანოვის დღიური, 1916 წ.).

რბილრესორებიან ფაეტონში დედამისი — რუსეთისა და მსოფლიოსათვის ცნობილი ალექსანდრა თედორეს ასული იჯდა. მას კიდევ უფრო წაწვეტებოდა პროფილი. ამპარტავნობა, სევდა და ყველაფრისადმი უზომო სიძულვილი იხატებოდა მის გამყინავ მზერაში.

ეტლის უკან ფაციფუცით მოცუნცულებს შევიოტის გრძელ ქვეღატანებში გამოწყობილი ოთხი პრინცესა; ოთხივეს ერთნაირი შემოდგომის ჯემპრი აცვია, ხელში ასევე ერთნაირი ჩანთები უჭირავთ. მარა მოხდენილია, დანარჩენები თითქმის უსახურნი არიან. თითქოს აც მამას გვანან და არც დედას.

ქუჩის გასწვრივ ნაირფრად გაჭიმულა ამალა და შინამოსამსახურენი. აქ არიან ტიტულებიანი და უტიტულონი, პირისფარეშები და ძიები, მზარეულები და ლაქიები, ცოლ-ქმრის, ქალიშვილებისა და ვაჟიშვილის მსახურები, ამალის მსახურები და მსახურთა მსახურები.

ბარგი ჯერ არ გადმოუტვირთავთ. იგი სამივე გემზეა. უამრავი ბარგი აწყვია, ავეჯის გარნიტურებიც კი, ცარსკოე სელოს სასახლიდან რომ წამოუღიათ. ამჯერად ყველაზე მსუბუქი ნივთები ამალის წევრებსა და მოსამსახურეებს მოაქვთ.

ეს არ ჰგავდა ახლო წარსულში რომანოვების სასახლიდან წასვლას. არ ჩანდა მაშინდელი ბრწყინვალება, რაც თან სდევდა იმპერატორს მისი ძლიერებისა და განდიდების 23 წლის მანძილზე. ყოფილ იმპერატორს განდევნილობაში თან ახლდა ნებაყოფლობით წამოსული 50-მდე კაცი, რომელთაც პოლკოვნიკმა კობილინსკიმ მტკიცე პირობა მისცა, რომ უწინდელი რაოდენობითა და უწინდელ ვადებში მიეცემოდათ განკუთვნილი გასამრჯელო...

ახლად შეღებილ ორსართულიან სახლთან მივიდნენ. ყველამ, ალექსანდრა თედორეს ასულის გარდა, რომელსაც არაფრის ნახვა არ სურდა, შეათვალიერა სახლი. ერთხანს ასე იდგნენ. ნიკოლოზი დოლგორუკოვს მიუბრუნდა.

— ვინ ცხოვრობდა აქ, თავადო?

— გუბერნატორი, თქვენო უდიდებულესობავ.

— რომელი?... — მან შუბლი შეიჭმუხნა და მოწითალო წვერი ნეკით მოიქექა, ცდილობდა რაღაც თუ ვიღაც გაეხსენებინა.

— აი ის, რა ჰქვია... ორდოვსკი-ტანაევსკი...

— ახლა სადაა იგი?

— ამბობენ, სადღაც წავიდაო... ჯერ კიდევ მარტში წასულა, უფრო სწორად, გაქცეულა, და არავინ იცის, სად არის, რას აკეთებს.

— უცნაურია... არ მაგონდება, რომ მიმეღოს. მე იგი ვინმემ წარმომიდგინა?.. ნუთუ ჩემთან არც ერთხელ არ ყოფილა?

დოლგორუკოვმა არ უპასუხა. მან არაფერი იცოდა. ეს მისთვის შეეძლო სტოლიპინს, მაკლაკოვს, ტრეპოვს ანდა კიდევ სხვა ვინმეს ეთქვა. მაგრამ იმათგან ერთნი უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ, დანარჩენები კი შორს იმყოფებოდნენ.

ნარდის თამაში და სამოყვარულო სპექტაკლები

ეს ჩვეულებრივი სახლია. იგი გუბერნატორისათვის შენდებოდა. ქვისა იყო, აივნიანი. ქუჩის მხრიდან რკინის მესრით შემოკავებული ბაღჩა ემიჯნებოდა. მთელი კარ-მიდამო დამხმარე სათავსოებითა და ბაღით თლილი ქვის გალავნით იყო შემოღობილი. გალავნის კუთხეებში და ჭიშკართან გუშაგების ჯიხურები იდგა. ჯერ კიდევ გუშინ ქუჩას დვორიანსკის სახელი ერქვა, დღეს კი, რომანოვების ჩამოსვლისას, ახალი ფირნიში მიაკრეს წარწერით: თავისუფლების ქუჩა.

ოთახი 18 იყო, დიდები, კორიდორული სისტემის. სახლს ჰქონდა ელექტრო და წყალგაყვანილობა. ოჯახი მაღლა მოთავსდა: აქ იყო ნიკოლოზის კაბინეტი, ალექსის ოთახი, ოთხი ოთახი ქალებისათვის, სასტუმრო და სასადილო. ოთახები საუკეთესო ავეჯით გახლდათ გაწყობილი: ზოგიერთი რამ გუბერნატორს დაეტოვებინა, ბევრი კი ცარსკოე სელოდან წამოეღოთ. აქაურობას ამშვენებდა ძვირფასი დივნები, საკარძლები, პუფები, ხალიჩები, გობელენები, აბრეშუმისა და ხავერდის ფარდები, ლაქიების ოქროთი მოსირმული ლივრეები.

ზემოთ შედარებით ხალვათობაა: პირველი სართული. რომელიც გამოუყვეს მოსამსახურეებსა და დაცვის ერთ ნაწილს. ხალხით არის გაჭედილი. სახლს აქვს აგრეთვე ნახევრად სარდაფის ტიპის სართული, სადაც სამზარეულო და საკუჭნაოებია მოთავსებული. იქ უფრო უარესია. კობილინსკიმ მოსამსახურეები უწესრიგოდ განალაგა ანტისანიტარიულ პირობებში. ქურასთან მომუშავეებს ავეჯს. შორის იატაკზე ეძინათ. სივიწროვე კიდევ იმის გამოც იყო, რომ ძალზე ბევრი ავეჯი შემოზიდეს. სარდაფისა და პირველი სართულის ოთახები და დერეფნები ჭერამდე ჩემოდნებით იყო გაჭედილი. რაიმე ნივთის ამოღება

ბარგიდან ხშირად შეუძლებელიც ხდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ლაქია თავის დარგს განაგებდა: ერთი — თეთრეულს, მეორე — კოსტიუმებს, მესამე — ფეხსაცმელს და ა. შ. ცალკეული ჩემოდნები დატენილი იყო ჩიბუხებით, ქოლგებით, სტეკებითა და ა. შ. მარტო ჩემოდნების გასაღებები 20 ფუნტს იწონიდა.

ვინაიდან გუბერნატორის სახლში სივიწროვე იყო, ამალის ზოგი-ერთი წევრი და მოსამსახურეთა ნაწილი ვაჭარ კორნილოვის ასევე ორსართულიან მოპირდაპირე სახლში მოთავსდა. იქვე, ქუჩის გადაღმა, დაბინავდა ორივე კომისარი და კობილინსკი. ინსტრუქცია უკრძალავდა თანმხლებ პირებს კერძო ბინების დაქირავებას. მათ ეს ინსტრუქცია პირველსავე დღეს დაარღვიეს.

გუბერნატორის სახლის მობინადრეებს საერთოდ კარგი, ოპტიმისტური განწყობილება ჰქონდათ. მათი პატიმრობა ასატანი იყო. თბილად, მყუდროდ, მშვიდად ცხოვრობდნენ. ალექსანდრეს სასახლის საგანგაშო დაძაბულობა სასიამოვნო სიწყნარითა და ძალდაუტანებლობით შეიცვალა. კომისრები თავაზიანნი და ზრდილნი იყვნენ. კობილინსკი ყოველდღეის ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდა. დღისით მთელი ოჯახი ეუჩისა და სკვერის გავლით წირვა-ლოცვაზე მიდიოდა ღვთისმშობლის ეკლესიაში. მცხოვრებლები მორბოდნენ, რომ მათთვის თვალი მოეკრათ. ორ რიგად მწკრივდებოდნენ.

ამავე ეკლესიიდან წამოიყვანეს მეფის ოჯახის ღვთისმსახურებისათვის მღვდელი ალექსი ბელიაევი. საღამოობით იგი სასტუმრო ოთახში საუბრობდა და დამსწრეთა ხალისიან ღიმილს იმსახურებდა. კორნილოვის სახლიდან ამალის წევრები მოდიოდნენ ჩაის დასალევად, ბანქოს ასდა ნარდის სათამაშოდ, უღიმღამო ახალი ცნობების გასაზიარებლად.

სადღაც იქ, შორს, აფორიაქებული ქვეყანა ღელავს, უჩვეულო მოვლენათა ზვირთები ბობოქრობს. აქ კი, ციმბირის სიღრმეში, ჭაობისა და ტაიგის პირას, მიმაღულა ამას წინათ ყოვლისშემძლე, ახლა კი რუსეთისათვის თითქოს დაკარგული, თითქმის ყველასაგან მივიწყებული საიმპერატორო წყვილი. ახლოვდება შემოდგომის გრძელი საღამოები, ქალაქი ნისლსა და წყვდიადში ეხვევა. საღამოობით ზედა სართულის ფანჯრებიდან ტენიან ნისლში სინათლე გამოკრთის და მდინარეს ეცემა. სიჩუმიდან ხანდახან თითქოს გზააბნეული გემების საყვირის ხმაც მოისმის. მაგრამ სიჩუმე მაცდურია. ბინდბუნდში სახლის ირგვლივ უცნობნი დაძრწიან, ფანჯრებში იცქირებიან, ერთმანეთს

ნიშანს აძლევენ, ბარათებს ტენიან ღრიჭოებში, ხოლო მორიგე ოფიცრის დანახვისთანავე ცდილობენ სიბნელეს შეაფარონ თავი.

ორ კვირასაც არ გაევლო მას შემდეგ, რაც რომანოვებმა ამ სახლის ზღურბლს გადააბიჯეს, რომ ცენტრიდან ავისმომასწავებელი ცნობა მოვიდა, რომელმაც შესძრა ქვეყანა: ამასწინანდელ მეფის გენერალს, იმდროისათვის კი უკვე უმაღლეს მთავარსარდალს — კორნილოვს აჯანყება მოეწყო.

ხალხის მასების აქტივობა, ბოლშევიკებისადმი მათი ნდობის სწრაფი ზრდა — ყველაფერი იმას მოწმობდა, რომ რევოლუციის ახალი აღმავლობა შორს არ იყო. კერენსკიმ განიზრახა მოესპო ბოლშევიკური პარტია, მოეხდინა საბჭოების ლიკვიდაცია, სისხლისაგან დაეცალა და დაესუსტებინა მუშათა კლასი, აელაგმა რევოლუცია.

25 აგვისტოს კორნილოვმა „სამშობლოს გამოხსნის“ მიზნით პეტროგრადისაკენ დასძრა გენერალ კრიმოვის ცხენოსანთა მე-3 კორპუსი. შეთქმულებაში თავდაპირველად კერენსკიც მონაწილეობდა. მაგრამ როცა საქმე დაიწყო, მან კორნილოვი დროებითი მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებულად გამოაცხადა. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა მუშებსა და ჯარისკაცებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწიათ, ამასთან, როგორც ლენინი მოითხოვდა, განაგრძობდნენ დროებითი მთავრობისა და მისი ესერ-მენშევიკი დამქაშების ანტიხალხური პოლიტიკის მხილებას.

მრისხანე საშიშროებამ აამოძრავა ხალხთა მასები. ბოლშევიკური პარტია იმ კრიტიკულ დღეებში გამოვიდა როგორც ხელმძღვანელი ცენტრი, რომლის ირგვლივაც მოხდა რევოლუციური ძალების კონცენტრაცია. მუშები იარაღდებოდნენ. წითელგვარდიული რაზმების რიცხვი იმ დღეებში რამდენჯერმე გაიზარდა. კორნილოვის პოლკების შესახვედრად გაიგზავნენ აგიტატორები. აჯანყების მეოთხე დღესვე მათ უარი განაცხადეს რევოლუციური პეტროგრადის წინააღმდეგ შეტევაზე. კორნილოვშჩინა განადგურებულ იქნა. კრიმოვმა თავი მოიკლა. კორნილოვი და მისი თანამოსაგრენი — მათ შორის ლენიკინი და ლუკომსკი — დააპატიმრეს და ბიხოვში გაგზავნეს (საიდანაც შემდეგ გაიქცნენ).

კორნილოვის აჯანყების დამარცხების ცნობამ ტობოლსკამდეც მიაღწია. ალექსანდრა თედორეს ასულმა ფრეილინა ბუკსჰევდენს სასოწარკვეთით უთხრა, რომ „თვალთ კიდევ ერთხელ დაუბნელდა“ მაგრამ ქალაქი ჯერ კიდევ მშვიდად იყო, ირგვლივ სიწყნარე სუფევდა.

იმ ზამთრის დამდეგს რუსეთის უმეტეს პროვინციულ ქალაქებში არ დარჩა არც სათათბირო, არც ერობა, თითქმის ყველგან საბჭოების ძალაუფლება დამკვიდრდა. აქ კი, ტობოლსკში, თვრამეტი წლის დამდეგსაც საბჭო კი არ ბატონ-პატრონობდა, არამედ საქალაქო სათათბირო, რომელსაც მენშევიკ-ესერები მეთაურობდნენ. საბჭოში მათ ხმების უმეტესობა გააჩნდათ, მაგრამ არ ჰქონდათ არც ძალაუფლება, არც ავტორიტეტი, რომ თუნდაც ერთხელ შეეხედათ გუბერნატორის სახლში: მათ იქ ფეხს არ ადგმევინებდნენ.

სამაგიეროდ, მტკიცე კავშირი დაამყარეს გუბერნატორის სახლთან გერმოგენმა და მისმა თანამოაზრეებმა. რომანოვების რეზიდენციასა და მონარქიულ კონტრრევოლუციას შორის მთავარი შუამავლის როლს ასრულებდა მამა ალექსი. იგი სახლში მიღებული იყო როგორც სულიერი მამა; კავშირის დამყარებაში მას ეხმარებოდნენ ლაქიები უტკინა და რომანოვა. ისინი ორი თვით გვიან ჩამოვიდნენ ტობოლსკში და თავისუფალ მოქალაქეთა უფლებით მოეწყვნენ, რამაც გაუადვილა იატაკქვეშა ინტრიგებში მონაწილეობა. გერმოგენის წყალობით მეფის ოჯახის კარი პრაქტიკულად ღია იყო იმათთვის, ვინც მისი განთავისუფლების მზადებაში მონაწილეობდა. ეს მზადება კი ცნობილ პირთა ჩამოსვლის პირველსავე დღეებში დაიწყო.

გერმოგენი თავისთვის ანგარიშობდა ტობოლსკის მიმდებარე ციმბირის სივრცეებში ძალების განლაგებას, განსაკუთრებულ იმედს მონასტრებზე ამყარებდა, სადაც თავმოყრილი იყო მის ძალაუფლებაში მყოფი მატერიალური საშუალებები და ადამიანები: აბალაკის მამათა მონასტერი; ასევე ზნამენსკისა, რომელიც ეპისკოპოსთა რეზიდენციას წარმოადგენდა თავად ტობოლსკში; იოანო-ვედენსკის, ანუ ივანოვსკის დედათა მონასტერი... მთელი ქალაქები თავიანთი ხაზინებით, ადგილმამულებით, სახელოსნოებით, სასტუმროებით. საეკლესიო ფრონტს ემიჯნებოდა საერო ფრონტი. პირველ ხანებში ეს იყო ადგილობრივი მოსახლეობის ბურჟუაზიული და კულაკური ფენებიდან გამოსული ოფიცრებისა და უნტერ-ოფიცრების ორგანიზაცია — „ფრონტელთა კავშირი". მას სათავეში ედგა შტაბს-კაპიტანი, ვინმე ვასილი ლეპილინი, თითქოს ყოფილი პოლიტიკური გადასახლებული, ბნელი წარსულის მქონე სუბიექტი, რომელიც 1917 წლის დეკემბრიდან გერმოგენმა თავის კმაყოფაზე აიყვანა—მასა და მის ორგანიზაციას ყოველ თვე სუბსიდიად 12 ათასი მანეთი დაუნიშნა.

ლეპილინი ტობოლსკში სერიოზულ საშიშროებას ქმნიდა. მისი ორგანიზაცია შემოდგომიდან მნიშვნელოვან შეიარაღებულ ძალად გადაიქცა. იგი დაუფარავად იმუქრებოდა, რომ საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს დააპატიმრებდა, საბჭოს დაითხოვდა და მის მომხრეებს სისხლის ღვრას მოუწყობდა იმის მსგავსად, როგორც ეს დუტოვმა ორენბურგში გააკეთა. დეკემბერში ბოლშევიკებმა შეძლეს ლეპილინის დამქაშების განიარაღება ადგილობრივ გარნიზონში. ამას გარდა, ბოლშევიკებმა საგუბერნიო არქივში მიაკვლიეს და გამოაქვეყნეს ლეპილინის დანაშაულებრივი წარსულის ამსახველი დოკუმენტები. იგი დააპატიმრეს და ომსკის რევოლუციურ ტრიბუნალს გადასცეს, მაგრამ რატომღაც განთავისუფლდა და ტობოლსკში დაბრუნდა[18]. მოგვიანებით ლეპილინი კაპელთან და უნგერნ-შტერნბერგთან ნახეს. იგი მონაწილეობდა საბჭოთა ხელისუფლების მომხრეთა დახვრეტაში აღმოსავლეთ ციმბირში.

ქალაქის ახლოს, ირტიშის უკაცრიელ ნაპირზე, მიმალული იყო ორანძიანი ნავი „წმინდა მარიამი", რომელსაც სინათლეები ჩაექრო. ვის ეკუთვნოდა იგი და რატომ იდგა აქ, ვისთან ერთად და საით აპირებდა ცურვას? ქალაქში ლაპარაკობდნენ: პირველსავე მოსახერხებელ შემთხვევაში, ჯერ კიდევ ამ შემოდგომაზე (1917 წელი), ხოლო თუ ყინვების დადგომამდე ვერ მოხერხდა, მაშინ გაზაფხულზე, როგორც კი მზე ოდნავ დააცხუნებს და მდინარეებში ყინული გადნება, არქიეპისკოპოსი გერმოგენი ამ ნავის დახმარებით დიდ ისტორიულ საქმეს გააკეთებსო, ანუ აქედან პირდაპირი გზით გაგზავნის ოკეანისკენ იმას, ვინც საჭიროა, და ნავის ვერც მონახვა, ვერც დაწევა, ვერც დაჭერა ვერ მოხერხდებაო... კომენდანტი კობილინსკი მოღუშული დადიოდა. დროებითი მთავრობის კომისრებთან საუკეთესო დამოკიდებულება ჰქონდა, მაგრამ უკვე მათი პეტროგრადში დაბრუნების დრო იყო.

როგორც კერენსკი შეპირდა. ახალი რწმუნებული — ვასილ სიმონის ძე პანკრატოვი ჩამოვიდა ტობოლსკში. ერთი შეხედვით ჩასკვნილი, მოუხეშავი იყო, მაგრამ თუ დააკვირდებოდით, შეამჩნევდით, რომ ვიწრო მკერდი, უფერული და გაურკვეველი სახის ნაკვთები, თხელი წარბები და ასევე თხელი წვერი ჰქონდა. გაქუცულ პალტოზე ცხვრის ტყავის დაგლეჯილი საყელო ეკეთა, თავზე რატომღაც ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკის დაჭმუჭნილი ქუდი ეხურა. თუმცა იგი მთავრობის პირსონად ითვლებოდა და მინისტრ-პრეზიდენტის ხელმოწერილი მან-

დატით ჩამოვიდა, მორჩილი, თითქოს შეშინებული გამოხედვა ჰქონდა; გამხდარ. მოყვითალო, დანაოჭებულ სახეზე გაუბედაობა და კრთომა ეტყობოდა.

მისი ხვედრი უჩვეულო იყო. ჭაბუკობაში პეტერბურგის სემიანიკოვის ქარხანაში ხარატად მუშაობდა. იყო „ნაროდნაია ვოლიას“ ორგანიზაციის წევრი. ჰქონდა ნასამართლობა, თხუთმეტი წელიწადი შლისელბურგის ციხის საკანში იჯდა. გადასახლებაში მოხვდა ვილიუისკში. გადასახლებიდან დაბრუნდა 1905 წელს, მონაწილეობა მიიღო რევოლუციურ გამოსვლებში მოსკოვში. 1907 წელს ისევ შეიპყრეს და გადასახლეს. 1912 წლიდან პიტერში იმყოფებოდა პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ, ხოლო 1917 წლის მარტში კვლავ პოლიტიკურ მოღვაწეობაში ჩაება. სემიანიკოველი ხარატი ესერებმა თავიანთი პარტიის ვეტერანად და გმირად მონათლეს. სწორედ იგი გამოგზავნა კერენსკიმ ვერშინინისა და მაკაროვის შესაცვლელად. ყოფილი შლისელბურგის ციხის მკვიდრი ტობოლსკში ახალ თანამდებობაზე განსაკუთრებული პატივით გამოაცილა, სამჯერ მიიღო იგი ზამთრის სასახლეში, დიდხანს უწევდა თავად ინსტრუქტირებას. უფრო მეტიც, იგი საკონსულტაციოდ გაუზავნა თავის მეგობარ ე. კ. ბრეშკო-ბრეშკოვსკაიასთან. რომელსაც ესერები „რუსეთის რევოლუციის დიდედას“ ეძახდნენ. მან შემდეგი სიტყვებით დაარიგა იგი: „ყური დამიგდე, პანკრატოვ, შენ ყველაფერი გამოსცადე და მათი განცდები გასაგები უნდა იყოს. შენც ადამიანი ხარ და ისინიც ადამიანები არიან“.

დიდედას ამ დარიგებებით დაბრძენებული ყოფილი შლისელბურგელი 1917 წლის სექტემბერში გავიდა პეტროგრადიდან ტობოლსკისაკენ და თან თანაშემწედ ვინმე ვ. ა. ნიკოლსკი წაიყვანა, ხოლო ჯიბეში № 3019 მანდატი ჩაიდო, რომელშიც ეწერა:

ამის წარმომდგენი ვასილი სიმონის ძე პანკრატოვი დროებითი მთავრობის მიერ დანიშნულია. ქ. ტობოლსკში ყოფილი მეფის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე რომანოვისა და მისი ოჯახის დაცვის კომისრად.

მინისტრი-თავმჯდომარე
ალექსანდრე კერენსკი

ახალი კომისრის პირველი გამოცხადება გუბერნატორის სახლში მისი პირადი აღწერით ასე გამოიყურება: რადგანაც არ მინდოდა ზრდილობის წესი დამერღვია, კამერდინერს განვუცხადე, რომ ყოფილი

მეფის ნახვა მსურს. კამერდინერმა დავალება შეასრულა და მისი კაბინეტის კარი გამიღო.

ურთიერთმისალმების შემდეგ კომისარს ასეთი შეკითხვა მოესმის:

— მითხარით, გეთაყვა, როგორ არის ალექსანდრ ფეოდოროვიჩ კერენსკი?

ამ შეკითხვაში უზადო გულწრფელობასთან ერთად სიმპათიაცა და მადლიერებაც გამოკრთოდა... მე ვუთხარი: თქვენი ოჯახის გაცნობა მსურს-მეთქი.

— სიამოვნებით... ბოღიშს გიხდით, მე ახლავე... — მიპასუხა ყოფილმა მეფემ კაბინეტიდან გასვლისას და რამდენიმე წუთით მარტო დამტოვა. შემდეგ დაბრუნდა და მითხრა: — მობრძანდით, ბატონო კომისარო.

დიდ დარბაზში შევდივარ და, ჰოი, საშინელებავ, ასეთ სურათს ვხედავ: მთელი ოჯახი სმენაზე გაჭიმულა ერთ მწკრივად. ყველაზე ახლოს გასასვლელთან დგას ალექსანდრა თეოდორეს ასული, მის გვერდითაა ალექსი, შემდეგ მეფის ქალიშვილები დგანან.

რა არის ეს? დემონსტრაცია? — გამიელვა თავში. მაგრამ ეს აზრი უმალვე უკუვაგდე და მისალმებას შევუდექი[19].

რა თქმა უნდა, ტყუილად აჩქარდა ესერელი კომისარი „ამ აზრის უკუგდებას". დემონსტრაცია შედგა. ვერც მაშინ და ვერც შემდეგ პანკრატოვი ვერ ხვდებოდა, რომ იმ დროს, როცა იგი თავის მეურვეობაში მყოფთ ფეხქვეშ ეგებოდა, წითელ კვერცხებს უგორებდა, მებადრაგეთა „თავგასულობისაგან" იცავდა, ისინი ზურგსუკან და დღიურებში მას მხოლოდ „უწმინდურს" და „არარაობას" უწოდებდნენ. ნიკოლოზი კი ოჯახურ წრეში „პატარა კაცს" ეძახდა (კომისარი დაბალი ტანის კაცი იყო).

შლისელბურგის გმირული რეპუტაციის მქონე „პატარა კაცის" (ჯარისკაცები თავდაპირველად მას დიდი პატივისცემით ექცეოდნენ) მფარველობაში მყოფი რომანოვები გუბერნატორის სახლში ზომიერ ცხოვრებას ეწეოდნენ. მათი ციმბირ-ურალში განდევნის 18 თვის მანძილზე ტობოლსკში ყოფნის ამ პერიოდს დასავლეთის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია „ყველაზე კეთილსა და მგრძნობიარეს" უწოდებს.

შპრინგერული პრესა ლირიკულ-მელანქოლიურ, ზოგჯერ ოდნავ ტრაგიკულ კოლორიტსაც კი აძლევს რომანოვების ტობოლსკურ ყოველდღიურ ცხოვრებას: „სახლი, ეზო, ბაღი, ტერასები, ეკლესია — ასეთი იყო მათი ვიწრო ჰორიზონტი... ოქროს გალია სიკვდილზე უარე-

სია, დაწერა 1918 წლის ზამთრის ერთ-ერთ დღეს სეფექალმა შნაიდერ-მა ქაღალდის ნაგლეჯზე... ფანჯრებზე რაიმე მხატვრულ გამოსახულებას ვერ ნახავ, გარდა ყინულის სქელი ფენისა". და აი, მოსახლეობის მხრივ პატიმრებისადმი თანაგრძნობის გამოხატვის ცდაც: „მცხოვრებლები დიდ სიმპათიას იჩენდნენ მათ მიმართ. როგორც კი ფანჯარაში ოჯახის რომელიმე წევრი გამოჩნდებოდა, გამვლელნი ჩერდებოდნენ, ქუდებს იხდიდნენ და ესალმებოდნენ"[20]. ასეთი ცალკეული შემთხვევები შეიძლება მართლაც იყო, მაგრამ ქალაქის მშრომელთა უმეტესობა რომანოვებისადმი ნეგატიურ, ხშირად აშკარად მტრულ დამოკიდებულებას იჩენდა.

საზოგადოება ბანქოს ანდა ნარდის თამაშში ატარებდა დროს. საოჯახო თარიღები აღინიშნებოდა საღამოს წვეულებებით. იდგმებოდა შინაური წარმოდგენები. მხატვრული თვითმოქმედების ხელმძღვანელი და მსახიობი ოჯახის თავი იყო*. სადილზე ჩვეულებრივად ოჯახის წევრებთან ერთად მაგიდას უსხდნენ ტატიშჩევი, დოლგორუკოვი, ექიმი ბოტკინი, ჟილიარი და გიბსი, ზოგჯერ ექიმ დერევენკოსაც იწვევდნენ (თავის გიმნაზისტ შვილთან ერთად). სეფექალები, როგორც ძველად, ახლაც მოკრძალებულნი იყვნენ, თუმცა შეეძლოთ ზოგჯერ საკუთარი თავისათვის ოდნავ თავისუფლად მოქცევის უფლება მიეცათ. ალექსანდრა თედორეს ასული ხშირად მოღუშული იყო; სავარძელში ჩამჯდარი უცზერდა ხოლმე ფეხებთან მთვლემარე ძაღლებს ჯიმისა და ორტიპოს. ჩვეულებისამებრ კი იგი ხან ხელსაქმობდა, ხან პასიანსს შლიდა, ხშირად კი წერილებს წერდა. წერდნენ სხვებიც, ოჯახის თავკაცის ძირითადი კორესპონდენტები იყვნენ ყირიმში მყოფი დედა, დები ოლღა და ქსენია. მაგრამ ალექსანდრა თედორეს ასული განსაკუთრებული გატაცებით წერდა, ზოგიერთ დღეებში თითქმის გაუთავებლადაც კი. უფრო ხშირად სწერდა ვირუბოვას, ზოგჯერ სასახლის ყოფილი კომენდანტის ცოლს ნ. ვ. ვოეიკოვას.

ყოფილი დედოფალი თავის მიმოწერაში რუსულ ენას იყენებდა — პანკრატოვმა ურჩია, რომ იმ ვითარებაში ამით თავიდან აიცილებდა ზედმეტ გაუგებრობასა და უსიამოვნებებს (მის ხელში გადიოდა ოჯახის მთელი კორესპონდენცია, იგი იჭერდა და უმალავდა რომანოვებს

---

* პირადად ნიკოლოზი თვლიდა, რომ ტობოლსკში გამართულ შინაურ წარმოდგენებში ნათამაშები როლებიდან ყველაზე უკეთ გამოუვიდა ა. პ. ჩეხოვის კომედია „დათვში" განსახიერებული მემამულე გრიგოლ სტეფანეს ძე სმირნოვის სახე.

მუქარისა და წყევლა-კრულვის წერილებს, რომლებიც ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდიოდა). რუსეთში ცხოვრების 23 წლისთავის ბოლოს იგი მაინც დაეუფლა რუსულ წერა-კითხვას, თუმცა მთლად უშეცდომოდ მაინც ვერ წერდა. ამაში შეიძლება დავრწმუნდეთ ვოეიკოვასთან გაგზავნილი მისი ერთ-ერთი წერილით (ორთოგრაფია და პუნქტუაცია მთლიანად დაცულია):

Милая Нина,
Самое сердечное спасибо за хорошее письмо — так обрадовано была наконец иметь от вас всех известии. Надеюсь, что M Zizi (обергофмейстерина Е А. Нарышкина) передали ему привет. Бедный Папа! Больно его таким видеть, скажите ему что хозяйка целует Nuss knacher («щипцы для орехов»—прозвище министра двора В. Б. Фредерикса, отца Нарышкиной) и часто с любовью его помнит и надеется что еще увидимся что не надо падать духом—Господу Богу все возможно и Он еще дорогую родину спасеть... А нам лучше всех живется. Были весные дни, теперь опять 17, 20 гр. мороза, но на солнце уже тепло —они даже немного загорели. На дворе усердно дрову рубят и колят. Много учятся — время скоро бежит — 7 м: уже что сюда переселились. Тяжелая годовщина сегодня! Но господь милостив. — Как у Голово (прозвище Воейкова) глаза? И сердце. Передайте ему и всем Вашим наш искренний привет.— По вечерам Муж читает нам в слух — мы вышиваем или играем в карты. — Иногда выхожу, когда не слишком холодно, даже два раза наслаждался, сидя на балконе.

Очень рады знать, что котик здоров...*
Можете ли быть Ангелом, т. к. на островах живете и переслать письмо Ольге К. (королева греческая, жила на Петроградской стороне); почта не идет, а этим Образом могу ее за письмо благодарить.
Прощайте, нет, досвиданье, Милая Нина — Господь с Вами[21].

ნიკოლოზმა სთხოვა პანკრატოვს გამოეწერა მისთვის საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთები. პეტროგრადმა ნება დართო. ყოფილი უმაღლესი მთავარსარდალი ახლა უკვე მსოფლიო ომს თვალს ადევნებდა საზღვარგარეთის პრესის საშუალებით. დღისით მარტო ანდა ქალიშვილებთან ერთად ბევრს სეირნობდა ეზოში, ხვეტდა თოვლს, კვალავდა ნამქერში გზებს. სასეირნოდ გადიოდა ნებისმიერ ამინდში, დიდხანს მუშაობდა ფიზიკურად სუფთა ჰაერზე, ხერხავდა და აწყობდა შეშას. მისი იმ დღეების დღიური სავსეა ამ მოგონებებით. ჩვეულებრივ მას მეწყვილედ ჰყავდა ტატიშჩევი, დოლგორუკოვი, ანდა რომელიმე თავისი ქალიშვილი, მაგრამ ისინი მალე იღლებოდნენ და ერთმანეთს ცვლიდნენ, მას კი საათობით შეეძლო მუშაობა. ერთხელ

* ტობოლსკში გამგზავრების წინ უფლისწულმა ვოეიკოვებთან თავისი კატა დატოვა.

პანკრატოვმა ჰკითხა, სადურგლო-სახელოსნო ხომ არ მოგიწყოთო, — უარი უთხრა. დურგლობა არ მოსწონდა.

რომანოვები ბავშვების სწავლას განაგრძობდნენ. ზოგიერთი მასწავლებელი პეტროგრადიდან ჰყავდათ მოწვეული. ძირითად საგნებს ასწავლიდნენ: კობილინსკის ცოლი, გიმნაზიის მასწავლებელი ბიტნერი (გეოგრაფია); პეტერბურგიდან გამოძახებული გიმნაზიის მასწავლებელი ბატურინი (მათემატიკა); ნიკოლოზ რომანოვი (ისტორია); ალექსანდრა რომანოვა (ღვთისმეტყველება): ყოფილი ფრეილინა გენდრიკოვა (ძველი ისტორია); ექიმი ბოტკინი (ბიოლოგია): ყოფილი თავადი ტატიშჩევი (რუსული ენა); პიერ ჟილიარი (ფრანგული ენა). გაკვეთილების დაწყებამდე ბიტნერი თავის გულისწყრომას უზიარებდა ხოლმე პანკრატოვს: „სრულიად არ მოველოდი იმას, რაც ვნახე: ასეთი დიდი ბავშვები არიან და ასე ცოტა რამ იციან რუსულ ლიტერატურაზე, ასე ნაკლებ არიან განვითარებულნი. ცოტას კითხულობენ პუშკინს, კიდევ უფრო ცოტას — ლერმონტოვს, ხოლო ნეკრასოვი სულაც არ აქვთ გაგონილი... ალექსის ჯერ არ გაუვლია სახელდებული რიცხვები, მას ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს რუსეთის გეოგრაფიაზე". პანკრატოვის რჩევით ბიტნერმა გაკვეთილი ნეკრასოვის პოემის „რუსი ქალების" წაკითხვას დაუთმო. „გასაოცარი შთაბეჭდილება დარჩათ, — ყვებოდა შემდეგ იგი, — მეფის ასულებმა მითხრეს: რატომ არასოდეს უთქვამთ, რომ ასეთი შესანიშნავი პოეტი გვყავსო" [22].

ამ პედაგოგიურ კოლექტივს კინაღამ კომისარიც შეუერთდა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი გზაში იმყოფებოდა, რომანოვებმა გაიგეს, რომ მათთან მოდიოდა ყოფილი მეამბოხე, რომელმაც შლისელბურგის ციხის კედლებში 15 წელიწადი გაატარა. მოლოდინი არ გამართლდა. საფრთხობელას ნაცვლად გამოცხადდა „პატარა კაცუნა", რომლის შესახებაც საქები გამოხმაურებანი დატოვეს ყოფილი მეფის შინაკაცებმა. პოლკოვნიკი კობილინსკი, მაგალითად, ახასიათებდა მას როგორც „ჭკვიან, განვითარებულ, ამასთან, შესანიშნავ თვინიერ და გულითად კაცს". ერსბერგმა დაადასტურა, რომ „შეხვედრისას ხელმწიფე სიამოვნებით საუბრობდა ხოლმე მასთან" [23].

ისე მოხდა, რომ ცენტრიდან გამოძახებულმა კბილის ექიმმა ერთხელ პანკრატოვს მისი მოგონებების წიგნი „ცხოვრებასთან დაბრუნება" გამოართვა, რომელიც ახალი გამოსული იყო პეტროგრადში. წაკითხვის შემდეგ მან წიგნი ნიკოლოზს გადასცა, ამ უკანასკნელმა კი — ცოლსა და შვილებს. „იცით რა, — უთხრა რამდენიმე დღის შემ-

დეგ ექიმმა კომისარს, — მათ წაიკითხეს თქვენი წიგნი და, წარმოიდგინეთ, ყოველგვარი გადამეტების გარეშე გეუბნებით, რომ ისინი აღტაცებული არიან ამ წიგნით“.

მალე ნიკოლოზმა პანკრატოვს სთხოვა ზეპირად გამოსულიყო ოჯახის წინაშე იმავე თემაზე. ესერელ რწმუნებულს ეყო საკუთარი თავის უპატივცემულობა, რათა კატორღასა და გადასახლებაში გადატანილი პირადი განცდების მოყოლით გაერთო ისინი, ვინც მთელ ამ სადამსჯელო სისტემას განასახიერებდა და მეთაურობდა. ეტყობოდა, მისი მონათხრობის არსი ალექსანდრა თედორეს ასულს ძნელად ესმოდა. იმიტომ რომ ერთხელ მან ასეთი შეკითხვით გააწყვეტინა სიტყვა: „მე მაინც არ მესმის, ბატონო კომისარო, ასე რატომ გეჯავრებოდნენ ჩვენი ჟანდარმები?“ ქალიშვილები და ალექსი ფართოდ გახელილი თვალებით უსმენდნენ მთხრობელს. ერთხელ მათ სთხოვეს კიდეც, ისტორიის გაკვეთილების ნაწილი მას აეღო. ბრეშკო-ბრეშკოვსკაიასა და კერენსკის იდეურ ნამოწაფარს გული აუჩვილდა: „რაოდენ უცნაურია ბედისწერა. თითქმის მთელი შენი სიცოცხლე დევნილი იყო, მავნე კაცად, დინასტიის მტრად ითვლებოდე. მაგრამ, აი, პირობები იცვლება — და ამ მავნეზე მავნე კაცს ყოფილი თვითმპყრობელის ბავშვების მასწავლებლად, აღმზრდელად იწვევენ“. კომისარს რომანოვები „ჩვეულებრივ ოჯახად“ ეჩვენებოდა, მათ მიერ ქვეყნისა და ხალხის წინაშე ჩადენილ მცირეოდენ დანაშაულსაც ვერ ხედავდა.

თვალს ადევნებდნენ რა კომისრის ორაზროვან მოქმედებას, ჯარისკაცებს მასზე გული გაუტყდათ. საერთოდ, ჯარისკაცები ღირსეულად, თავდაჭერილად და კორექტულად იქცეოდნენ, რასაც ვერ იტყოდით ალექსანდრეს სასახლიდან წამოყვანილ მსახურთა შესახებ, რომლებიც პირადად რომანოვებმა გამოყვეს ტობოლსკში წასაყვანად. როგორც ყველაზე ერთგულნი და ღირსეულნი.

ოჯახის წევრები მებადრაგეებს სხვადასხვანაირად ექცეოდნენ. მარია საყარაულოში შერბოდა ხოლმე. ახალგაზრდა ჯარისკაცებს ეპრანჭებოდა. ალექსი საგუშაგოდან საგუშაგოზე ადიოდა, თავისი კოლექციისათვის ღილებს, ბალთებს, დაცლილ ვაზნებს აგროვებდა. საყარაულოში ზოგჯერ ნიკოლოზიც შედიოდა რიგით ჯარისკაცებთან შაშის სათამაშოდ. ალექსანდრა თედორეს ასული თითქოს სულ ვერ ამჩნევდა მებადრაგეებს, უსიტყვოდ ჩაუვლიდა ხოლმე გვერდით, სრულ გულგრილობას გამოხატავდა.

იმ დროს (ჩვიდმეტი წლის შემოდგომაზე) ტობოლსკში, ისევე რო-

გორც რუსეთის სხვა ქალაქებში, მოქმედი არმიისათვის შეწირულობებს აგროვებდნენ. ტატიშჩევისა და კობილინსკის მეშვეობით [illegible] გადოებრივმა ორგანიზაციებმა გუბერნატორის სახლს გადასცეს ხელმოსაწერი ფურცელი. მასზე გამოიყვანეს: 300 მანეთი. ტობოლსკელები აღშფოთდნენ. მოითხოვეს რომანოვებისათვის ძუნწი შენატანი დაებრუნებინათ („რასპუტინისათვის ხომ სიძუნწე არ გამოუჩენიათ"). გულისწყრომას გამოთქვამდა პანკრატოვიც: „მე ამ სიძუნწემ გამაოცა. შვიდი კაცისაგან შემდგარი ოჯახი 300 მანეთს სწირავდა, მაშინ როდესაც მარტო რუსეთის ბანკებში ას მილიონზე მეტი ჰქონდათ". 300 მანეთი თურმე ალექსანდრა თეოდორეს ასულს ჩაეწერა. „დიახ, — ადასტურებს იგი, — ალისა ძუნწი იყო რუსეთისათვის. მას შეეძლო იმ ადამიანებთან დაემყარებინა კავშირი, რომლებიც მზად იყვნენ გაეწირათ რუსეთი. ხომ ცნობილი იყო მისი შეწირულობანი ომის დროს გერმანიის წითელი ჯვრისათვის" [24].

თავიანთი ტობოლსკური ცხოვრების პირველ თვეებში რომანოვები სახსრების გაჭირვებას არ განიცდიდნენ. პროდუქტებს დიდი რაოდენობით ყიდულობდნენ ფარდულებსა და ბაზარში. ამის გამო ფასები ავარდა და ასორტიმენტი გაღარიბდა, რამაც მოსახლეობაში დრტვინვა გამოიწვია. ჰო, მართლა, იყო კიდევ ერთი, პირველ ხანებში საკმაოდ უხვი მომარაგების წყარო: ადგილობრივ ქველმოქმედთა წყალობანი. „რომანოვებისათვის სურსათს ბაზარში ყიდულობდნენ. — გვატყობინებს მომსწრე. — იმ შემთხვევაში, როცა ბაზარში რაიმე პროდუქტი არ აღმოჩნდებოდა, მაგალითად, შაქარი, მაშინ იგი მონაზვნებს გარეუბნის მონასტრებიდან მოჰქონდათ. იმისათვის, რომ ყოფილი მეფის სამზარეულოში ერთი ჭიქა ყავის შესმის ღირსნი გამხდარიყვნენ, ამ შავ კუდიანებს რომანოვებთან საჩუქრად . უთვალავი რაოდენობით მოჰქონდათ შაქარი, კარაქი, ნაღები, კვერცხი და სხვა სანოვაგე. ამ სურსათის ღირებულების გადახდაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო" [25].

და მაინც, მარტო მოსაკითხით ხომ ვერ იცხოვრებდნენ, საჭირო იყო ფული. ის კი ძველი ჩვეულების თანახმად ისე მალე იხარჯებოდა, რომ ბოლოს და ბოლოს ხელზე აღარაფერი დარჩათ. დროებითი მთავრობის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ლვოვი ემიგრაციაში ყოფნისას ადასტურებდა: „გადავწყვიტეთ აგრეთვე მეფის ოჯახის სახსრების საკითხი. რა თქმა უნდა, მას პირადი სახსრებით უნდა ეცხოვრა. მთავრობა ვალდებული იყო მხოლოდ ის ხარჯები აენაზღაურებინა,

რომლებიც საკუთრივ მთავრობის მიერ ოჯახისათვის განხორციელებული ღონისძიებებით იქნებოდა გამოწვეული". ამ მტკიცებას დასავლეთის პრესა დღეს სადავოდ ხდის. იგი ეყრდნობა კერენსკის განცხადებას (ემიგრანტულს) იმის თაობაზე, რომ თითქოს „დროებითმა მთავრობამ აიღო თავის თავზე ყოფილი მეფის ოჯახის შენახვა". ამ აზრის განსამტკიცებლად იმოწმებენ კობილინსკის ნათქვამს: „ტობოლსკში გამგზავრების წინ კერენსკიმ მითხრა: ყოფილი მეფე თქვენი საზრუნავი იქნება. მისმა ოჯახმა არაფერში არ უნდა განიცადოს გაჭირვებაო"[26].

და ასეთი ჟესტების შემდეგ სოვეტოლოგები „დი ველტის" საშუალებით გულისწყრომას გამოთქვამენ, რომ „დროებითმა მთავრობამ თავისი დაპირება და ვალდებულება არ შეასრულა და უდანაშაულოდ ტყვეობაში მყოფი საბრალო ოჯახი საარსებო საშუალებათა გარეშე დატოვა". საყვედურების აზრი ასეთია: თავად წაიყვანეს რომანოვები და თავადვე უნდა ეკვებათ ისინი. მაგრამ „ამაოდ მიმართავდა კობილინსკი პეტროგრადს — ყველა მისი წერილი უპასუხოდ რჩებოდა... და პოლკოვნიკ კობილინსკის სხვა არაფერი დარჩენოდა იმის გარდა, რომ გასულიყო ქალაქში სესხის საშოვნელად, რათა გამოეკვება მის მეურვეობაში მყოფი ოჯახი" [27].

სესხის მხრივ კი საქმე ასე იყო. პირველ ხანებში ტობოლსკელი ვაჭრები რომანოვებს საერთოდ მეტად თანაგრძნობით ექცეოდნენ. მათთვის პროდუქტებისა და საქონლის კრედიტით გაცემა პატივად ითვლებოდა. მაგრამ როცა რომანოვებს (ჯერ კიდევ დროებითი მთავრობის დროს) მატერიალური სიძნელეები შეემჩნათ, ადგილობრივი მიმწოდებლები უავგუსტოესი კლიენტურის მიმართ ხელმოჭერილნი და დაუყოლიებლები გახდნენ. მზარეული ხარიტონოვი, რომელიც მაღაზიებსა და ბაზარში დადიოდა პროდუქტების საყიდლად, სულ უფრო ხშირად ბრუნდებოდა უკან ნახევრად ცარიელი კალათებით და კობილინსკის ეუბნებოდა: ვაჭრებს „აღარ სჯერათ ჩვენი" და „მალე კრედიტით საერთოდ აღარაფერს მოგვცემენ". ამის შემდეგ წავიდა სწორედ კომენდანტი ქალაქში სესხის საშოვნელად (მანამდე კი, ეკონომიკური მოსაზრებით, მოსამსახურეთა ნაწილი დაითხოვა). იგი კრედიტორებს თამასუქებს აძლევდა სამი კაცის ხელმოწერით: ტატიშჩევის, დოლგორუკოვისა და თავისი.

ეს როდი ნიშნავდა, რომ რომანოვებს ფული არ ჰქონდათ. მათ მსხვილი სახსრები გააჩნდათ. როგორც ემიგრაციაში ყოფნისას ლვოვმა და კერენსკიმ განაცხადეს, ჯერ კიდევ დროებითი მთავრობის მიერ

იყო დადგენილი, რომ რომანოვებს საზღვარგარეთ ბანკის ანგარიშზე ჰქონდათ მინიმუმ 14 მილიონი მანეთი, სხვა წყაროების მიხედვით კი — 20-ჯერ მეტი. მაგრამ იმ დროს მათ იმ თანხის გამოყენება არ შეეძლოთ, რადგანაც გერმანიისა და ინგლისის ბანკებიდან მათი მიღება შეუძლებელი იყო. დროდადრო ფინანსური დახმარება მოსდიოდათ ცენტრიდან, მონარქისტებიდან; საკმაო თანხებს უგზავნიდნენ, კერძოდ, იაროშინსკი და ვირუბოვა. 1918 წლის 25 მარტს ნიკოლოზმა დღიურში ჩაწერა: მოსკოვიდან მეორედ ჩამოვიდა ვლადიმერ ნიკოლოზის ძე შტეინი, რომელმაც იქიდან ჩვენი ნაცნობი კეთილი ადამიანების მიერ გამოგზავნილი კარგა დიდი თანხა ჩამოგვიტანა...

1918 წლის 23 თებერვალს კობილინსკიმ პეტროგრადიდან მიიღო ოფიციალური დეპეშა, რომლითაც მას ატყობინებდნენ, რომ „ხალხს არა აქვს მეფის ოჯახის შესანახი სახსრები". დეპეშას ხელს აწერდა სახელმწიფო ქონების სახალხო კომისარი, მემარცხენე ესერთა პარტიის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ლიდერი ვ. ა. კარელინი (ოქტომბრის შემდეგ მარია სპირიდონოვასთან და ამ პარტიის სხვა მოღვაწეებთან ერთად ცოტა ხნით შედიოდა საბჭოთა მთავრობის შემადგენლობაში). კარელინი იტყობინებოდა, რომ სახელმწიფოს შეეძლო საკუთარ თავზე მარტო იმ სახსრების აღება, რომლებიც ბინასთან, გათბობასა და განათებასთან, აგრეთვე ოჯახის წევრების ჯარისკაცური ულუფით უზრუნველყოფასთან იყო დაკავშირებული. სხვა მხრივ რომანოვებს თავიანთი ხარჯით უნდა ეცხოვრათ: მათ უფლება ეძლეოდათ ერთ კაცზე თვეში 600 მანეთი დაეხარჯათ, მთლიანად ოჯახისათვის კი — თვეში 4200 მანეთი.

ზოგიერთი დასავლეთელი ავტორი სიამოვნებით მიუთითებს ოჯახის მატერიალურ სიძნელეებზე, რათა დაამტკიცონ, თითქოს რომანოვები პატრიოტული გრძნობების გამო მზად იყვნენ მოეთმინათ ნებისმიერი უბედურებანი, ოღონდაც კი „შინ, რუსეთში დარჩენილიყვნენ"; თითქოს მათი გაჭირვება აამკარავებდა იმ სიდიადეს, რომელიც სადმე, განსაკუთრებით საზღვარგარეთ გაქცევაზე უარის თქმით იყო გამოწვეული. თითქოს მათი ტობოლსკში ყოფნის მთელი პერიოდი ხასიათდება „ბედისადმი მორჩილებითა და შემრიგებლობით". დასავლეთის პრესის მტკიცებით, ისინი „სულაც არ აპირებდნენ რუსეთის ტერიტორიის დატოვებას... დედოფალი მაშინ ტობოლსკში, როგორც

ადრე ცარსკოე სელოში, ამბობდა: ვერაფერი ვერ მაიძულებს დავტოვო რუსეთი“ [28]. სხვათა შორის, ამასვე ამტკიცებდნენ თავის დროზე თეთრგვარდიელი ემიგრანტები, კერძოდ, ტ. მელნიკი-ბოტკინა: „საკმარისი იყო ერთი სიტყვა ეთქვა მას გადაკვრით და იმპერატორი ვილჰელმი მშვიდი და მყუდრო ცხოვრების პირობებს შეუქმნიდა მის უდიდებულესობას სამშობლოში. მაგრამ სუსხიან ტობოლსკში პატიმრად ყოფნისას, სადაც მოთმინებით იტანდა ყოველგვარ შეზღუდვას და უხერხულობას, მისი უდიდებულესობა ამბობდა: „უმჯობესია იატაკის მრეცხავი გავხდე და რუსეთში ვიყო“. იშვიათია ვინმეს ისეთი მხურვალე სიყვარულით უყვარდეს რუსი ადამიანი და ისეთი რწმენა გააჩნდეს მისი, როგორითაც გამსჭვალული იყო ხელმწიფე-იმპერატრიცა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენგან, რუსებისაგან, მას დაცინვისა და შეურაცხყოფის გარდა არაფერი უნახავს“ [29].

ყოველივე ეს და მათი მსგავსი მტკიცებები, რბილად რომ ვთქვათ, დაუსაბუთებელია. ცარიზმის დამხობის პირველსავე კვირის შემდეგ, რომანოვები ისწრაფოდნენ, უსიამოვნებათა თავიდან აცილების მიზნით გასცლოდნენ რუსეთს, რათა თავისთვის შესაფერის მომენტში დაბრუნებოდნენ დაკარგულს. ამასთან, ისინი საღად მსჯელობდნენ, რომ ფარული გაქცევა გაცილებით საშიშია, ვიდრე აშკარა, ბურჟუაზიულ ხელისუფალთა მიერ თავის ნებაზე მიშვებითა და მონარქისტების ხელშეწყობით. ტობოლსკში ყოფნის პირველ თვეებში რომანოვებს არცთუ დიდად ეხატებოდათ გულზე ავანტიურისტული გაქცევის ვარიანტები: მათ არ უნდოდათ, როგორც ისინი ფიქრობდნენ, გაეცვალათ „ნამდვილი არანამდვილზე“. მაგრამ როცა გამოირკვა, რომ „ნამდვილის“ ლოდინი უშედეგო იყო, იმედი გადაიტანეს „არანამდვილზე“, ოღონდ უკვე გვიან იყო. თუმცა მათ არასოდეს უფიქრიათ, რომ გაქცევა გვიანია.

დღეებს დღეებზე, კვირას კვირაზე ითვლიდა განაწამები ნიკოლოზი თავისი ბედის გარდატეხის მოლოდინში, იგი დროს წიგნების კითხვითა და შინაურ სპექტაკლებში თამაშით კლავდა. ტოლსტოის შემდეგ კითხულობს ლეიკინს, ტურგენევის შემდეგ — ავერჩენკოს, სალტიკოვ-შჩედრინის „პოშეხონის წარსულის“ შემდეგ — კონან დოილის „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალს“. იმის შესახებ, თუ რას კითხულობდა იგი, შეიძლება ვიმსჯელოთ მის მიერ დღიურში საკუთარი ხელით შეტანილი ჩანაწერების მიხედვით: ბ ე ზ ი კ ი ს დ რ ო ს ა ხ ლ ა ხ მ ა მ ა ღ ლ ა ვ კ ი თ ხ უ ლ ო ბ ტ უ რ გ ე ნ ე ვ ი ს „ყ ი-

ნა დღეს“; გატაცებით ვკითხულობ „ანა კარენინას“: სადილობამდე ვკითხულობდი „ომისა და მშვიდობის“ მეოთხე ნაწილს, რომელსაც ადრე არ ვიცნობდი. მისი ხელმძღვანელობითა და მისივე აქტიორული მონაწილეობით ზედა სართულის მობინადრენი იწერღნენ პიესებიდან როლებს, სწავლობდნენ მათ, გადიოდნენ რეპეტიციებს, საღამოობით თამაშობდნენ სპექტაკლებს. დღიურის ფურცლებიდან გამოკრთის შემდეგი: ძალზე მეგობრულად ვითამაშეთ პატარა პიესა... ბევრი ვიცინეთ: სადილის წინ მართლაც რომ მთელი მონდომებით ვითამაშეთ ჩემი პიესა... ვგრძნობდით, რომ ცოცხლად და რიგიანად ჩატარდა; საღამოს წარმოდგენა გვქონდა... ყველაფერი კარგად და სასაცილოდ დამთავრდა; საღამოს შედგა სპექტაკლი... წარმოდგენის დაწყებისას ბევრი ვინერვიულეთ, მაგრამ თითქოს კარგად დამთავრდა.

14

ბოლო მარშრუტი: ეკატერინოგურგი

თუ ვინმე შეეცდება მის წყენას — ჯოხით მიბერტყეთ. თუ ვინმე ტაშს დაუკრავს — ჩამოახრჩეთ.

გარდაქმნათა ქარტეხილები

კონვენტის კედლებზე გაკრული აფიშა ლუდოვიკო XVI შესახებ.

ჩვიდმეტი წლის ზაფხულის მიწურულს რუმიიეთის ფრონტიდან ტობოლსკში დაბრუნდა ამ ქალაქის მკვიდრი, 33 წლის ჯარისკაცი, სტამბის მუშა, ბოლშევიკი კოგანიცკი [1].

ცარიზმის „ოხრანკამ“ პირველად იგი ჯერ კიდევ საუკუნის დამდეგს შენიშნა როგორც სოციალ-დემოკრატი აგიტატორი ტომსკის სტამბის მუშებს შორის, ხოლო შემდეგ აჩინის გარნიზონის ჯარისკაცებში ნახა. მას შემდეგ სასჯელს სასჯელი მოჰყვა — დაპატიმრებები, გადასახლებები, ციხეში ჩაგდება, მაგრამ ახალგაზრდა რევოლუციონერის სული და ნებისყოფა ვერ გატეხეს. პოლიციის მიერ დევნილი, რსდმპ წევრი 1904 წლიდან ისაი იაკობის ძე კოგანიცკი ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა და ტობოლსკსა და ტიუმენში, უფასა და პერმში, სიმფეროპოლსა და ივანოვო-ვოზნესენსკში პარტიის დავალებებს ასრულებდა. აქ ბეჭდავდა იგი ფურცლებსა და პროკლამაციებს, შოულობდა შრიფტებს იატაკქვეშა სტამბისათვის, აგროვებდა (1912 წლიდან) ხელმოწერებს გაზეთ „პრავდაზე“. მსოფლიო ომის დაწყებისას ჯარში გაიწვიეს და ბოლშევიკურ აგიტაციას ეწეოდა ჯარისკაცებს შორის, ხოლო თებერვლის შემდეგ მონაწილეობდა არმიაში ჯარისკაცთა პირველი კომიტეტების შექმნაში. მძიმე ჭრილობამ, შერყეულმა ჯანმრთელობამ (ტიფის გამო) დააძაბუნა. გამხდარი, დაუძლურებული ჯარისკაცი, გაქუცული ფარაჯითა და დაგლეჯილი ჩექმებით, შინ გამოგზავნეს.

კოგანიცკი საქალაქო საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაება, აირჩიეს საბჭოს დეპუტატად. მაშინ საბჭოში მენშევიკები და ესერები ჭარბობდნენ: ტონს იძლეოდა დროებითი მთავრობის საგუბერნიო კომისარი, მოლაყბე ადვოკატი ბატონი პიგნატი: „რუსეთის რევოლუციის დიდედის“ მიბაძვით საზოგადოებას ალამაზებდა რამდენიმე ესერი მანდილო-

სანი, ტრიბუნიდან გაისმოდა სიტყვები „ბოლშევიკური გამცემლობის“ შესახებ. პეტროგრადის „შეთქმულებზე, რომლებიც რუსეთს უფსკრულისაკენ უბიძგებდნენ“ [2].

დიდ ძალას ახმარდა მოსახლეობას შორის პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას მეორე გამოჩენილი ბოლშევიკი — ნიკოლოზ მიხეილის ძე ნემცოვი; დუხჭირი იყო მისი ცხოვრების გზა. 1897 წელს ტულის იარაღის ქარხნის ზეინკალი 18 წლის ნემცოვი რსდმპ რიგებში მიიღეს, მეცადინეობდა ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვის წრეში. გაფიცვებში მონაწილეობისათვის ბევრჯერ იყო რეპრესირებული, ქარხნიდან გაგდებული. იძულებული გახდა მგლის ბილეთით პეტერბურგში წასულიყო. 1905 წელმა ნემცოვს (ამხანაგ მაკარს) ლითონის ქარხანაში მოუსწრო. პოლიუსტროვის ქვერაიონის პარტიული ორგანიზატორი, პეტერბურგის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ნემცოვი — მაკარი — მეგობრულ კავშირს ამყარებს მ. ი. კალინინთან, რომელიც პუტილოვის ქარხანაში მუშაობდა, მასთან ერთად იბრძვის მუშების დასარაზმავად, მათი ახალი კლასობრივი ბრძოლისათვის მოსამზადებლად. შემდეგ მას წილად ხვდა სამუდამო გადასახლება ციმბირში.

იგი მეთევზედ მუშაობდა ობდორსკში, ხის მჭრელად ტიუმენის გარეუბანში, ცეცხლფარეშად ტობოლსკის ერთ-ერთ სამრეცხაოში. მაკარი ძლიერ შეეჩვია ამ მხარეს. და როცა თებერვლის შემდეგ პეტროგრადში ჩამოსულ ყოფილ გადასახლებულს ი. მ. სვერდლოვმა შესთავაზა ციმბირში დაბრუნება ახალი პარტიული ამოცანების გადასაწყვეტად, მასების მოსამზადებლად ახალი რევოლუციური მოღვაწეობისათვის, ნემცოვი სიამოვნებით დათანხმდა. ასე ჩავიდა კვლავ ტობოლსკში 1917 წლის ივნისში [3].

რსდმპ გაერთიანებულ ორგანიზაციაში შემავალი ტიუმენის ბოლშევიკური ჯგუფი 1917 წლის ივლისის დღეების შემდეგ ჩამოყალიბდა ნემცოვის გავლენით. მის გვერდით იყვნენ ნ. ვ. შიშკოვი (რომლის ბინასაც იყენებდნენ ბოლშევიკების შესახვედრად), პ. ა. სიკოვი და ა. ა. ნეველოვი. იმავე წლის სექტემბერში ნემცოვისა და კოგანიცკის გავლენითა და ერთობლივი ძალით შეიქმნა ბოლშევიკური ჯგუფი ტობოლსკში (ისიც რსდმპ გაერთიანებული ორგანიზაციის შემადგენლობაში). ერთსა და იმავე დროს წარმოიშვა საქალაქო საბჭოში ბოლშევიკური ფრაქცია, ხოლო გუბერნატორის სახლის დაცვაში — ბოლშევიკების თანამგრძნობთა მჭიდრო პატარა ჯგუფი პოდპრაპორშჩიკ მატვეევის მეთაურობით. ამ მუშაობაში კოგანიცკის აქტიური მხარდა-

ჭერა აღმოუჩინა გ. ა. კოზლოვამ, პარტიის წევრმა 1915 წლიდან, რომელიც არჩეული იყო ბოლშევიკური ჯგუფის მდივნად. ომსკიდან და ეკატერინობურგიდან ჩამოდიოდნენ აგიტატორები და ორგანიზატორები მასებში მუშაობის გამოცდილების გასაზიარებლად; აქ იმყოფებოდნენ აგრეთვე პარტიის პეტროგრადისა და მოსკოვის კომიტეტების წარგზავნილები, კერძოდ, პიტერელები პეტროვი და გოლოვანოვი. ასე გაიშალა მასების ბოლშევიზაციის, მათი გაერთიანებისა და საბჭოების ძალაუფლებისათვის ბრძოლის მომზადების პროცესი ოქტომბრის წინ. პიგნატიმ ჯერ კიდევ ადრეულ შემოდგომაზე მოახსენა პეტროგრადის შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ „ტობოლსკის მოსახლეობის განწყობილებაში შეინიშნება გარდატეხა, რომელიც კარგს არაფერს გვპირდება“ [4].

1917 წლის დეკემბრის დამდეგს ტიუმენელი ბოლშევიკები ცალკე ორგანიზაციად გამოეყვნენ და თავიანთი პირველი პარტიული კომიტეტი აირჩიეს, რომელშიაც სხვებთან ერთად შევიდნენ ყველაზე აქტიური კომუნისტები — ნ. მ. ნემცოვი, გ. პ. პერმიაკოვი და ნ. ვ. შიშკოვი. დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაცია ტობოლსკში ჩამოყალიბდა 1918 წლის 2 აპრილს. მის პირველ პარტიულ კომიტეტში სხვებთან ერთად აირჩიეს ი. ი. კოგანიცკი, ტ. ი. ნაუმოვი, კ. ი. პიჩურინი და ვ. დ. პოვარნინი. ეს პარტიული კომიტეტები ჩაუდგნენ სათავეში დასავლეთ ციმბირის ირტიშისპირა რაიონში საბჭოების არჩევნების პირველ კამპანიას, საბჭოებისა, რომლებმაც თავიანთ ხელში აიღეს ძალაუფლება [5].

მაშინვე ცხადი გახდა, რომ საგუბერნიო ცენტრის ტობოლსკში დატოვება არ შეეფერებოდა ახალი რუსეთის სოციალურ-გეოგრაფიულ სახეს. საბჭოების საგუბერნიო ყრილობის გადაწყვეტილებით, ორმა ქალაქმა სტატუტები გაცვალა. ტობოლსკი სამაზრო, ტიუმენი კი საგუბერნიო ცენტრი გახდა.

თავდაპირველად საგუბერნიო საბჭოს სათავეში ედგა (მცირე ხნით) ტიუმენელი მკვიდრი, 23 წლის გიორგი პროკოფის ძე პერმიაკოვი. მაგრამ პარტიულმა ორგანიზაციამ მას საბჭოთა არმიის ნაწილების დაკომპლექტება დაავალა და ამიტომ ტიუმენის საგუბერნიო აღძასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ ნ. მ. ნემცოვი აირჩიეს.

იმ დროისათვის ი. ი. კოგანიცკი და მისი ამხანაგები ტობოლსკში გადამწყვეტ გარდატეხას ამზადებდნენ. იგი რამდენადმე გვიან განხორ-

ციელდა, როცა აქაურ საბჭოს სათავეში ჩაუდგა ურალის პარტიული ორგანიზაციის მიერ ეკატერინობურგიდან გამოგზავნილი ბალტიისპირელი მეზღვაური პ. დ. ხოხრიაკოვი.

ცხრებები პეტროგრადიდან

ქვეყნის ცენტრში მომხდარი მოვლენებისათვის თვალყურის დევნება ყოფილ მეფეს გაზეთების საშუალებით შეეძლო, რითაც მას პანკრ ტოვი აკურატულად ამარაგებდა; ბევრ რამეს კი იგი წერილებითა და განსაკუთრებით ჩამოსულთა ნაამბობით გებულობდა. 7 ოქტომბერს ნიკოლოზი დღიურში წერს: მ ო ვ ი დ ა ბ ა ტ ო ნ ი გ ი ბ ს ი, რ ო მ ე ლ მ ა ც ბ ე ვ რ ი რ ამ ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო მ ი ა მ ბ ო პ ე ტ რ ო გ რ ა დ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ. რამდენიმე ხნით ადრე (22 სექტემბერს) ასეთივე „საინტერესო" ინფორმაციით ჩ ო ვ ი დ ა... კ ე თ ი ლ ი ბ ა რ ო ნ ი ბ ო ლ დ ე (რომელმაც, სხვათა შორის, თან ჩამოიტანა დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი ს ა გ ნ ე ბ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ა თ ვ ი ს და ზ ო გ ი ე რ თ ი ჩ ვ ე ნ ი ნ ი ვ თ ი ც ა რ ს კ ო ე ს ე ლ ო დ ა ნ). სხვადასხვა საორიენტაციო ცნობის შემცველ წერილებს უგზავნიან მას თავისი და ქსენია (10 ოქტომბერი), „ძვირფასი დედა" (12 ოქტომბერი) და სხვები. ჩანაწერები, რომლებიც საერთო-პოლიტიკურ მდგომარეობას ეხება, თანდათანობით სულ უფრო უსიამოვნო და ა-განგაშო ხდება: ნიკოლოზი აღნიშნავს უჩვეულო შეფერხებას ინფორმაციის მიღებაში: უ კ ვ ე ო რ ი დ ღ ე ა ა გ ე ნ ტ ე ბ ი ს დ ე პ ე შ ე ბ ი ა რ მ ო დ ი ს. იგი ფიქრობს, რომ ალბათ ცუდი ამბები ხ დ ე ბ ა დ ი დ ქ ლ ა ქ ე ბ ს ი (4 ნოემბერი). დ ი დ ი ხ ა ნ ი ა უ კ ვ ე ა რ ც ე რ თ ი გ ა ზ ე თ ი ა რ მ ო დ ი ს პ ე ტ რ ო გ რ ა დ ი დ ა ნ, ა ს ე ვ ე ა დ ე პ ე შ ე ბ ი ც. ა მ მ ძ ი მ ე დ რ ო ს ი ე ს ს ა ი ნ ტ ე ლ ე ბ ა ა (11 ნოემბერი).

მან ჯერ კიდევ არ იცის, რომ სწორედ იმ დღეებში [illegible] შემობრუნება მოხდა კაცობრიობის ისტორიაში, რითაც [illegible] ანის ახალი თავი გადაიფურცლა, და რომ ამ წიგნის ფურცლებზე [illegible] გილი აღარ იქნებოდა არც მისთვის, არც მისი ქომაგებისა და [illegible] საერთოდ, იმ სამყაროსათვის, რომლის დაბრუნების [illegible] ჯერ [illegible] ჰქონდა. „ცუდ ამბებად" ითვლებოდა: მუშათა და ჯარისკაცთა [illegible]

ღებული აჯანყების გამარჯვება პეტროგრადში, დროებითი მთავრობის დაპატიმრება; კერენსკის გაქცევა.

1917 წლის შემოდგომისათვის რუსეთის ხალხთა მასები საბოლოოდ დარწმუნდნენ მმართველი წრეების პოლიტიკის უღიმღამობაში და შეგნებულად, პირადი თავისუფალი არჩევანით დადგნენ ბოლშევიკების მხარეზე. ამ პერიოდს რომ ახასიათებდა, ლენინი წერდა: „სექტემბერში და ოქტომბრის დამდეგს მუშები და ჯარისკაცები დიდი რაოდენობით გადმოვიდნენ ჩვენს მხარეზე“ [6].

არნახულ მოკლე დროში ბოლშევიკურმა პარტიამ შექმნა სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმია. ხალხის უმეტესობა მას გაჰყვა. ხალხთა ძალაუფლებისათვის ბრძოლის ლენინური იდეები დაეუფლა მასებს და მატერიალურ ძალად იქცა. მუშათა კლასმა — რევოლუციის ავანგარდმა — უდიდესი ენერგია განავითარა; მან დუღაბის ძალა მოიპოვა საბჭოებში, გაამაგრა პროფკავშირები, გამოაწრთო მრისხანე წითელი გვარდია. „პროლეტარული მოძრაობის ყოველ ფორმას მჭიდროდ აკავშირებდა მთავარი მიზანი — საბჭოების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება“ [7].

1917 წლის 25 ოქტომბერს საღამოს 9 საათსა და 40 წუთზე (მოსკოვის დროით — მთარგმნელი) კრეისერმა „ავრორამ“ მსოფლიოს ამცნო, რომ დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერა.

25 ოქტომბერს, ღამით, რევოლუციურმა მუშებმა, ჯარისკაცებმა და მატროსებმა იერიშით აიღეს ზამთრის სასახლე.

25 ოქტომბერს სმოლნში გახსნილ სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობაზე გამოცხადდა, რომ მთელი ძალაუფლება გადაეცა საბჭოებს. მიიღეს დეკრეტი ზავისა და მიწის შესახებ, შეიქმნა პირველი საბჭოთა მთავრობა — სახალხო კომისართა საბჭო ვ. ი. ლენინის მეთაურობით.

ყრილობის დახურვის შემდეგ დელეგატები თავიანთ ადგილებზე გაემგზავრნენ, რათა ეამბნათ ხალხისათვის პეტროგრადში საბჭოების გამარჯვების ამბავი, რომ ხელი შეეწყოთ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის მთელს ქვეყანაში.

პეტროგრადმა გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა. მას აჰყვა მთელი ქვეყანა. 1918 წლის თებერვლისათვის საბჭოთა ხელისუფლება გავრცელდა მთელს რუსეთში. ლენინმა ეს დაახასიათა როგორც „ტრიუმფალური სვლა“. ამ პერიოდში ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კო-

მიტეტმა და სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ათასობით მტკიცე მებრძოლი გაგზავნა ადგილებზე ახალი წყობის განსამტკიცებლად. მარტო პეტროგრადმა 15 ათასამდე მუშა — მასებზე ბოლშევიკური გავლენის ენერგიული გამტარებელი — გაგზავნა.

პარტიის ამ წარგზავნილთა და რევოლუციური აქტივის ერთობლივმა ღონისძიებებმა ადგილებზე ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების ტრიუმფალურ სვლას ციმბირ-ურალის უდიდეს სამრეწველო რაიონებშიც. პროლეტარიატის კონცენტრაცია ამ რაიონებში ძალზე დიდი იყო, ტრადიციის თანახმად ისინი ბოლშევიკური პარტიის დასაყრდენ ბაზებს წარმოადგენდნენ. ამ თავისებურებამ გავლენა მოახდინა აქ 1917 წლის 25 ოქტომბრის შემდგომდროინდელი მოვლენების ტემპზეც. ეკატერინობურგში, ურალის პოლიტიკურ ცენტრში, საბჭოთა ხელისუფლება დაძყარდა პეტროგრადში შეიარაღებული აჯანყების გამარჯვების მეორე დღესვე; ურალის სხვა ქალაქებში — 26 და 27 ოქტომბრის განმავლობაში. ომსკში ჩატარებულმა დასავლეთ ციმბირის საოლქო საბჭოების მესამე ყრილობამ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა დეკემბრის პირველ დეკადაში. მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო „საბჭოების ხელისუფლება რეალურად მნიშვნელოვნად გვიან დამყარდა ტობოლსკის გუბერნიაში“ [8]. ამ გუბერნიის ქალაქებში (ტიუმენში, ტიუკალინსკში, ტობოლსკში, იშიმში, ტურინსკში, იალუტოროვსკში, ტარაში) ძალაუფლება საბჭოების ხელში გადავიდა 1918 წლის იანვარ-მარტის განმავლობაში, კურგანის გარდა, სადაც იგი 1917 წლის 20 ნოემბერს დამყარდა.

მარტო ნოემბრის მეორე ნახევრამდე მიდის ტობოლსკში მეტნაკლებად საყურადღებო ინფორმაციები. თავის დღიურში ნიკოლოზი წერს: გულისამრევია გაზეთებში აღწერილი იმ ამბების წაკითხვა, რაც ორი კვირის წინ პეტროგრადსა და მოსკოვში მოხდა. გაცილებით უარესი და სამარცხვინოა შფოთიანი დროის (17 ნოემბერი) მოვლენები. იმის შესახებ, თუ როგორ წარმოედგინა მას პეტროგრადში მომხდარი ოქტომბრის ამბები, გადმოცემული აქვს პანკრატოვს თავის მოგონებებში:

მან (ნიკოლოზმა) ნერვულად მკითხა:
— ნუთუ კერენსკის არ შეუძლია ასეთი თვითნებობის შერერება?
— როგორც ჩანს, არა...

— ეს როგორ? ალექსანდრ ფედოროვიჩი ხალხის მიერ არის დაყენებული. ხალხი უხდა დაეძორჩილოს... არ ეუდა თვითნებობდნენ... კერენსკის ბომ ჯარისკაცები ეთაყვანებიან, — ღვარძლიანად შენიშნა ყოფილმა მეფემ...

რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ ძან განაგრძო:

— რატომ უხდა დაინგრეს სასახლე? რატომ არ შეიძლება ბრბოს ალაგმვა? რატომ უნდა დაუშვან სიმდიდრის ძარცვა და განადგურება?

უკანასკნელი სიტყვები ძან ხმის კანკალით წარმოთქვა. სახე გაფითრებული ჰქონდა, თვალებში სიძულვილი ეელავდა[9].

პირადად იგი, ნიკოლოზი, საკუთარ თავს არაფერში არ ადანაშაულებს, იმას, რაც რუსეთში ხდება, თითქოს შორიდან უყურებს. კერენსკის „ჯარისკაცების სათაყვანებელ“ კაცად ნათლავს და „ბრბოს ალაგმვის“ უუნარობას უსაყვედურებს. თითქოს რვა თვის წინათ თავად არ ცდილობდა ხაბალოვისა და ივანოვის დახმარებით (ასევე წარუმატებლად) იგივე გაეკეთებინა „ბრბოსათვის“.

შემდგომ ჩანაწერებში ნათქვამია: მივიღეთ წარმოუდგენელი ცნობა იმის შესახებ, რომ ჩვენი მე-5 არმიის ვიღაც სამმა პარლამენტარმა დვინსკთან ხელი მოაწერა გერმანელებთან ზავის დადების წინასწარ პირობებს. ამგვარ საშინელებას არაფრის დიდებით არ მოველოდი. შემდეგ მისთვის ცნობილი ხდება, რომ მოლაპარაკება შეწყდა. დეპეშებით თუ ვიმსჯელებთ, გერმანელებთან ომი განახლდა, რადგანაც ზავის ვადა გავიდა. მაგრამ ფრონტებზე თითქოს არაფერი არ ხდება, ჯარი დემობილიზებულია, იარაღი და ტყვია-წამალი ბედისა და შეტევაზე გადმოსული მტრის ანაბარაა მიტოვებული. სირცხვილი და საშინელება! (7 თებერვალი). შეთანხმება მაინც მიღწეულია და დღიურში ჩნდება ჩანაწერი: დღეს მოვიდა დეპეშები, რომლებიც იტყობინებიან, რომ ბოლშევიკები, ანუ როგორც ისინი საკუთარ თავს უწოდებენ, საბჭოთა სახალხო კომისარიატი, დამამცირებელი პირობებით უნდა შეუთანხმდეს ზავზე გერმანიის მთავრობას იმის გამო, რომ მტრის ჯარები მოიწევენ წინ და ვერაფრით ვერ შეუჩერებიათ. საშინელებაა (12 თებერვალი).

დღიურის ავტორი ლანძღავს ბოლშევიკებს გერმანელებთან მოლაპარაკებისათვის, ავიწყდება, რომ სამი წლით ადრე — მაგრამ კარდი-

ნალურად საწინააღმდეგო მიზნით — თავად ოცნებობდა „შეეთავაზებინა მტრისათის ზავის დადება“. გააჩაღეს რა საიდუმლო მიმოწერა ერნისთან და პროტოპოპოვი ფონ ვარბურგთან გაგზავნეს, მეფე და დედოფალი სულაც არ დაინტერესებულან „ხალხის აზრით“... დაავიწყდათ აგრეთვე ისიც, თუ რამდენჯერ „ეყარა ღვთის ახაბარა იარაღი და ტყვია-წამალი“ ნემანთან, ვისლასთან და კარპატებში, განსაკუთრებით კი 1915 წელს გალიციაში. და ომის წლებში რამდენჯერ მოუხდათ შეშფოთებით ედევნებინათ თვალი, თუ როგორ ძოიწევდნენ რუსეთში ჯიქურ მტრის ჯარები და „ვერაფრით აჩერებდნენ“.

იმავე ტოხით იგი წერს: კიდევ რამდენ ხანს იქნება ჩვენი უბედური სამშობლო გარეშე და შინაური მტრების საწეწ-საგლეჯი? ზოგჯერ მგონია, რომ შემდგომში მოთმინების ძალა აღარ მეყოფა, არც კი ვიცი რას დავეყრდნო, რა ვისურვო (2 მარტი). შემდეგ ასეთი ჩანაწერებია: დღეს გიორგობის დღესასწაულია. მისი სახელობის ორდენის კავალრებისათვის ქალაქმა სახალხო სახლში სადილი და სხვა გართობანი მოაწყო. ჩვენი ყარაულის შემადგენლობაში... გიორგის ორდენის რამდენიმე კავალერი იყო, რომლებიც თავიანთმა ამხანაგებმა, არაკავალრებმა, არამც თუ არ შეცვალეს, არამედ აიძულეს ასეთ დღესაც კი სამსახურში განაწესის მიხედვით გასულიყვნენ! თავისუფლება!!! (25 ნოემბერი). მსროლელთა რაზმის კომიტეტმა დაადგინა მოეხსნათ ჩვენთვის სამხრეები. წარმოუდგენელია! (1918 წლის 3 იანვარი)*. სეირნობის გრა-

---

* ინციდენტის მიზეზი ასეთი იყო: ჯარისკაცთა გარნიზონის საერთო კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება გაეუქმებინათ ძველი არმიის სამხრეები, მათი ტარება შემდგომში იკრძალებოდა. ამ გადაწყვეტილების თანახმად, სამხრეები მოიხსნა გუბერნატორის სახლის დაცვამ. იგივეს გაკეთება შესთავაზეს ნიკოლოზსა და ალექსის, რომლებიც სამხედრო ფორმას ატარებდნენ.

ნიკოლოზი წინააღმდეგი წავიდა. კობილინსკიმ სთხოვა რაზმეულის კომიტეტის წევრებს რომანოვები ამ მოთხოვნით „არ შეეწუხებინათ“, თავი შეეკავებინათ მათი „ახალი შეურაცხყოფისა და დამცირებისაგან“. ჯარისკაცები თავისას მოითხოვდნენ. მხოლოდ მას შემდეგ, როცა ისინი სამხრეების ძალით ჩამოგლეჯას დაემუქრნენ, რომანოვები დაემორჩილნენ, მაგრამ მოსკოვში, სრულიად ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში, საჩივარი გაგზავნეს.

ფიქში ცვლილებების შეტანის შემდეგ წერს: დილით ფანჯრიდან დავინახეთ, რომ ბორცვი გადაუღობავთ: თურმე სულელურ კომიტეტს ეს იმიტომ გაუკეთებია, რომ ხელი შეეშალათ ჩვენთვის ავსულიყავით მასზე და მესერიდან გვეცქირა (20 თებერვალი). აი, რას წერს წითელგვარდიული რაზმის ომსკიდან დაბრუნების შემდეგ: ამ „წითელი გვარდიის" ჩამოსვლამ, როგორც ახლა უწოდებენ ყოველგვარ შეიარაღებულ ნაწილს, აბნეულობა და შიში გამოიწვია... ჩანს, კომენდანტი და ჩვენი რაზმიც შეცბნენ, რადგანაც აგერ უკვე ორი ღამეა ყარაულობა გააძლიერეს და საღამოობით ტყვიამფრქვევი მოაქვთ. არა უშავს რა, ამ დროში კარგ ჩვეულებად კი იქცა ერთმანეთისადმი ნდობა! (14 მარტი). კობილინსკიმ მაჩვენა მოსკოვიდან მიღებული დეპეშა, რომელშიც დადასტურებულია რაზმის კომიტეტის დადგენილება ჩემთვისა და ალექსისათვის სამხრეების მოხსნის შესახებ... მათ ამ ღორობას არ დავივიწყებ! (8 აპრილი) [10].

კერენსკი ალარ არის, მის ადგილზეა პანკრატოვი

გუბერნატორის სახლში ცხოვრება გართულდა. სუფრა შესამჩნევად გაღარიბდა. მოსამსახურეთა ნაწილი დაითხოვეს. განზრახული იყო ახალი შემცირების ჩატარება. ნარდისა და შაშის თამაშის დროს სულ უფრო მეტად ეუფლება სევდა. ამ მივარდნილ, გამოყრუებულ ტობოლსკში საერთოდ ძნელი იყო მოლოდინითა და იმედით ცხოვრება. გუბერნატორის სახლის ირგვლივ უჩინრად მოქმედებდნენ მხსნელი ძალები, ხოლო ყოფილი იმპერიის მეორე ბოლოში, სამხრეთში, კორნილოვი და ალექსეევი თავს უყრიდნენ მონარქიულ ჯარს, უკვე გაეჩაღეს ბრძოლები კალედინმა და კრასნოვმა. რამდენიმე ბოროტი ინციდენტი გათამაშდა ტობოლსკში.

ღვთისმშობლის ეკლესიაში მეფის ოჯახს გარშემორტყმული მრევლის წინაშე დიაკვანმა ევდოკიმოვმა „დიდი ხნის სიცოცხლე უსურვა

რომანოვების სახლს“ და ძველებური რეჟიმის მიხედვით „ხელმწიფე-იმპერატორი“, „ხელმწიფე-იმპერატრიცა“, „უფლისწული“, თითოეული დიდი მთავარი — ყველა თავისი ტიტულითა და წოდებით მოიხსენია. ეკლესიაში იყვნენ დაცვის ჯარისკაცები, რომლებიც თან ახლდნენ ხოლმე ოჯახს ღვთისმსახურებაზე. დაცვის უფროსი ევდოკიმოვთან მივიდა და ჰკითხა: „ეს როგორ გავიგოთ?“ დიაკვანმა განუმარტა, რომ ამ სიბრძნეს იგი ვერ ჩასწვდებოდა, თავად კი ისე მოიქცა, როგორც ეს წინამძღვარმა მამა ალექსიმ უბრძანა. შემდეგ საბჭოდან დეპუტატები მოვიდნენ — რამდენიმე მუშა და ჯარისკაცი. მათ დიაკვანი და მღვდელი დააპატიმრეს და ორივენი თან წაიყვანეს. დაკითხვაზე ორივეს თავხედურად ეჭირა თავი, ევდოკიმოვმა მუქარითაც კი შენიშა: „თქვენი ბატონობა წუთიერია, ცოტაც მოიცადეთ, მალე მოვა მეფის დაცვა და თქვენსას მთლიანად მიიღებთ“.

გერმოგენი, რომელიც თავის თავს ხელშეუხებელ და უვნებელ პიროვნებად თვლიდა (მართლაც ვერ ბედავდნენ მის ხელის ხლებას), საბჭოს წინაშე თავის ხელქვეითთა დასაცავად გამოვიდა, არსებითად კი თავად უბიძგა მათ პროვოკაციისაკენ, გაათავისუფლა პატიმრობიდან და მონასტერში გაისტუმრა. საბჭოს დეპუტატების შეკითხვაზე, თუ როგორ გაბედა მან რევოლუციურ რუსეთში დამხობილი მეფის დღეგრძელობის ინსპირირება, გერმოგენმა წერილობით (პირადად გამოცხადებას თავი აარიდა) უპასუხა, რომ ჯერ ერთი, „რუსეთი იურიდიულად რესპუბლიკა არ არის, ასეთად იგი არავის გამოუცხადებია და არცა აქვს ვინმეს ამის გამოცხადების უფლება, ნავარაუდევი დამფუძნებელი კრების გარდა“; მეორეც, „საღვთო წერილის, სახელმწიფო სამართლის, საეკლესიო კანონებისა და კანონიკური სამართლის მონაცემებით, აგრეთვე ისტორიის მონაცემებით, თავიანთი ქვეყნის მმართველობის მიღმა მყოფი ყოფილი მეფეები და იმპერატორები, არ ექვემდებარებიან ღირსების, როგორც ასეთის, და მათი შესაბამისი ტიტულების აყრას“, ამიტომ მამა ალექსის საქციელში „არაფერ საძრახისს“ არ ხედავს [11].

აღშფოთებულმა დეპუტატებმა და ჯარისკაცებმა გააფრთხილეს გერმოგენი, რომ თუ პროვოკაციები არ შეწყდებოდა, შეიძლებოდა საქმე მისთვის ცუდად დამთავრებულიყო *. რომანოვებს კი პანკრატოვისა და კობილინსკის საშუალებით გამოუცხადეს, რომ მათ შემდგომში

---

* გერმოგენი დააპატიმრეს და ტობოლსკიდან გაგზავნეს 1918 წლის 28 აპრილს, ნიკოლოზ რომანოვის გამგზავრების შემდეგ.

ეკლესიაში სიარული ეკრძალებოდათ; ლოცვა უნდათ? — დაე, შინ ილოცონ. წინამძღვარი თითქოს გაქრაო, შემდეგ კვლავ დაუბრუნდა გუბერნატორის სახლსა და არქიეპისკოპოსის რეზიდენციას შორის მეკავშირის უწინდელ როლს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ახლა უკვე ფრთხილად იქცეოდა.

ყოფილ მეფეს დროდადრო ძლიერ მოეძალებოდა ხოლმე ფიქრი იმის შესახებ, გაიმართებოდა თუ არა დამფუძნებელი კრება, და თუ გაიმართებოდა, როდის? იგი ამას თავის რაღაც ბუნდოვან იმედებს უკავშირებდა. ზოგიერთი ნიშნის მიხედვით ფიქრობდა, რომ დამფუძნებელი კრება გაათავისუფლებდა ოჯახთან ერთად პატიმრობიდან და რუსეთში თავისუფლად ცხოვრების ანდა საზღვარგარეთ გასვლის უფლებას მისცემდა. პანკრატოვის მოგონებების მიხედვით, იმ დღეებში ნიკოლოზი თითქმის ყოველ შეხვედრაზე ეკითხებოდა მას: „როდისღა გაიხსნება ბოლოს და ბოლოს დამფუძნებელი კრება?“ თავად პანკრატოვიც, როგორც მართლმორწმუნე ესერი, მოუთმენლად ელოდა დამფუძნებელი კრების მოწვევის ამბავს და მხნედ პასუხობდა ხოლმე თავის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფს: „მალე, ნიკალაი ალექსანდროვიჩ, ახლა უკვე დიდხანს ლოდინი არ დაგვჭირდება“. ხოლო 1918 წლის იანვრის დამდეგს, როცა დამფუძნებელი კრება თავისი ერთადერთი სხდომის შემდეგ გარეკეს, მას წილად ხვდა ყოფილი თვითმპყრობელის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება, მაგრამ რამდენადმე სხვაგვარად: „ვშიშობ, ნიკალაი ალექსანდროვიჩ, რომ ახლა იგი უკვე საერთოდ აღარც ჩატარდება“. რამდენიმე დღის შემდეგ პანკრატოვი თანამდებობიდან გადაყენეს.

ღვთისმშობლის ეკლესიაში დამკვიდრებული მედავითნეობით მონარქიულმა რეაქციამ დაადასტურა, რომ რომანოვების გაძევება. იგი ვერ შეურიგდა და ძალას იკრებს, რათა შესაბამის მომენტში იერიშზე გადავიდეს. წყნარ, გარეგნულად ნახევრად მიძინებულ ქალაქში თავი წამოყვეს შავრაზმელმა ელემენტებმა. ქალაქის ირგვლივ გააქტიურდა გერმოგენის მიერ წაქეზებული კულაკობა, სამონასტრო და სასოფლო-სასულიერო წოდება. პეტროგრადიდან, მოსკოვიდან და ქვეყნის სამხრეთის რაიონებიდან (დონი, ყუბანი) ხშირად ყალბი დოკუმენტებითა და მოგონილი გვარებით, ჯგუფებად და ერთპიროვნულად მიდიან ტობოლსკსა და ტიუმენში და იქ რჩებიან გრაფისა და ბარონის ტიტულებიანი პირები, მეფის კარზე ნამსახური ადამიანები, ჟანდარმები, კორნილოვის მიმდევარი ოფიცრები, იატაკქვეშა მო-

ნარქიული და სხვა კონტრრევოლუციური წრეებისა და ჯგუფების აქტივისტები მოგვიანებით შელხიკ-ბოტკინა წერდა: „საქართველოს მოითხოვს სამაგიერო მივუზღათ ჩვენს მონარქისტებს — ძათ მთელი ქონები დაეკარგებეს, რათა გადაერჩისათ უკეკუ-ტოესნი. პეტროგრადი და მოსკოვის ორგანიზაციებმა მრავალი თავიანთი წევრი გაგზავნეს ტობოლსკსა და ტიუმენში. ისინი იქ ცხოვრობდნენ და ემზადებოდნენ თეეობით, ი

სახელი შენი მრავალტანჯული რუსეთის გამოხსნაში“ [13]. 1918 წელს ნიკოლოზის დედა უხმობს რომანოვების დინასტიის უპირველესი პატრიარქის გერმოგენ პირველის აჩრდილს, რათა გაამხნეოს ამ დინასტიის აღსასრულთან მდგარი გერმოგენ უკანასკნელი.

მაგრამ „მრავალტანჯული რუსეთის“ ბედი ტობოლსკელი მუშებისა და ჯარისკაცებისათვის უფრო ახლობელი იყო, ვიდრე მარია თეოდორეს ასულისათვის. ყველაფერი ის, რაც გუბერნატორის სახლის ირგვლივ ხდებოდა, მათ გულზე არ ეხატებოდათ. დაცვის ქვეშ მყოფთა და დამცველთა ინტერესები ერთნაირი არ იყო. რომანოვებს დრო სჭირდებათ პატიმრობაში, რათა შემდეგ საზღვარგარეთ გაიქცნენ ახდა კონტრრევოლუციის წიაღში დაბრუნდნენ. ტობოლსკელმა მუშებმა კი, ისე როგორც დაცვის ჯარისკაცებმა, რომლებიც ცარიზმის არმიის ფარაჯებშიც თავიანთი ხალხის შვილებად რჩებოდნენ, გადაწყვიტეს ასეთი რამ არ დაეშვათ.

ოციან წლებში საბჭოთა პრესაში გაძოქვეყნებულ თავის მოგონებებში იმდროინდელი მოვლენების მონაწილე ა. დ. ავდეევი ტობოლსკურ დაცვას ანტისაბჭოურ განწყობილებას, მორალურ გახრწნასა და გამცემლობას, მონარქიზმის მიმართ ერთგულებას, ყოფილი მეფის გასთავისუფლებლად და წასაყვანად დივერსიისადმი მხარდაჭერას მიაწერდა. მართალია ავდეევი ერთ გვერდზე „მთელ“ დაცვას კონტრრევოლუციურად აცხადებდა, მეორე გვერდზე კი აღიარებდა, რომ „მასში (დაცვაში) იყო აგრეთვე საკმაოდ ძლიერი დემოკრატიული განწყობილება“ [14].

მებადრაგენი შეშფოთებული იყვნენ სახლის ირგვლივ იატაკქვეშა ფუსფუსით. ადგილობრივი ბოლშევიკების დაჟინებითი მოთხოვნით იხიციატივიანმა ჯგუფმა მოიწვია რაზმის საერთო კრება; აირჩიეს ჯარისკაცთა კომიტეტი. მისი თავმჯდომარე პოდპრაპორშჩიკი მატვეევი მივიდა ტობოლსკის საბჭოში და თავისი ეჭვები გაუზიარა ბოლშევიკური ფრაქციის დეპუტატებს. მასა და მის ამხანაგებს ურჩიეს ფხიზლად ყოფილიყვნენ. დახმარება და ყურადღება აღუთქვეს, უთხრეს, რომ ყველაფერს აცნობებდნენ ომსკში, რომელსაც ტობოლსკი ადმინისტრაციულად ემორჩილებოდა. ჯერჯერობით კი რაზმის კომიტეტს უნდა შეეკრიბა ჯარისკაცები და თავად განეხილათ ვითარება, საჭირო იყო გაეგოთ. რას იტყოდა ხალხი.

შეიკრიბნენ, მოიწვიეს კომისარი, ახსნა-განმარტება სთხოვეს. პანკრატოვმა ადგილიდანვე განაცხადა, რომ ჯარისკაცები „იქ ეტენებიან,

სადაც მათ საქმე არა აქვთ". ატყდა ხმაური. ჯარისკაცებმა პროტესტი განაცხადეს. მატვეევის წინადადებით რაზმი ღებულობს გადაწყვეტილებას: პატიმრებზე დაწესდეს უფრო მკაცრი მეთვალყურეობა; ამოღულოს ქალაქში გაფანტული ამალის წევრები და გადასახლდნენ კორნილოვის სახლში; გუბერნატორის სახლის შიგნითა და გარეთ გაძლიერდეს დაცვა; გაიხსნას ღამის დამატებითი საგუშაგოები; დაწესდეს საღამოობამისო საპატრულო სამსახური შენობასთან მიმდებარე კვარტალებში; მესერით შემოეკავებინათ გუბერნატორის მამული; გადაეღობათ მოედახი, სადაც პატიმრებს შეეძლებოდათ სასეირნოდ გასვლა განსაზღვრულ საათებში; ამალის კაცს წევრსა და მსახურს აეკრძალა ქალაქში სიარული. კრების შემდეგ ტატიშჩევსა და დოლგორუკოვს უთხრეს, შეწყვიტეთ ქალაქში ჩურჩული, თორემ „კისერში გითაქებთო".

მათ მაგივრად პოლკოვნიკი კობილინსკი განაწყენდა. მან გააფრთხილა მატვეევი: რაზმი ახლა „დიდ უსიამოვნებებს" უნდა ელოდეს. „რისთვის?" — უკითხავს მატვეევს. „თვითნებობისა და ხულიგნობისთვის", — უპასუხია პოლკოვნიკს. „ვისგან"? ამის თქმა კი კობილინსკის ნამდვილად არ შეეძლო. ჯარისკაცებს ხან „გერმანიის იმპერატორით" აშინებდა, ხან „ინგლისის მეფით", რომლებიც თითქოს ადრე თუ გვიან მოძებნიდნენ მათ თავიანთი ნათესავის — ყოფილი მეფის წყენის გამო და სამაგიეროს მიუზღაველნენ. მაგრამ გიორგის ჯვრის კავალრების დაშინება, რომლებიც ბრძოლაში ბევრჯერ მდგარან სიკვდილთან პირისპირ, ძნელი იყო.

იანვარში პეტროგრადსა და ცარსკოე სელოში დელეგაცია გაიგზავნა დამცველი რაზმისაგან. ჯარისკაცები სმოლნში ი. მ. სვერდლოვთან მიიღო; მათ უამბეს გუბერნატორის სახლში შექმნილი მდგომარეობა, მაგიდაზე დააწყვეს ტობოლსკური გაზეთების დასტა. სვერდლოვმა დელეგაციას ყურადღებით მოუსმინა, გაზეთები გადაათვალიერა და უთხრა:

— ამხანაგებო, სახალხო საქმის, რევოლუციის ერთგული სამსახურისათვის გმადლობთ; იცოდეთ და თქვენს ამხანაგებსაც გადაეცით ტობოლსკში: საბჭოთა ხელისუფლება გენდობათ. გევალებათ შემდგომშიაც ისევე ფხიზლად და გამჭრიახად უდარაჯოთ ყოფილ მეფეს, როგორც ამას აქამდე აკეთებდით. ასე უნდა გააგრძელოთ მანამდე, სანამ იგი ღია საერთო-სახალხო სასამართლოს წინაშე წარდგება[15].

გუბერნატორის სახლი აჩქარებდა მონარქისტულ ჯგუფებს, რათა ისინი გამოსვლებისათვის მოემზადებულიყვნენ. მათი აქტივობა ტობოლსკში ჩვიდმეტი წლის მიწურულსა და თვრამეტი წლის დამდეგს გ�აკუთრებით გაიზარდა. ამ წლებისათვის მონარქისტებს დასავლეთ ციმბირში მსხვილი ფულადი საბსრები და საბრძოლო კადრები გააჩნდათ (უმთავრესად ყოფილი ოფიცრებისა და ჟანდარმების, თებერვლის შემდეგ დაშლილი შავრაზმელთა ორგანიზაციების აქტივისტების სახით). ისინი დასაყრდენს პოულობდნენ რეაქციულად განწყობილ აგრილობრივი მოსახლეობის ფენებში — კულაკებში, ვაჭრებში, ჩინოვნიკებს შორის. ამ რაიონებში საბჭოთა ხელისუფლება ჯერ კიდევ განმტკიცებული არ იყო, ზოგან მაშინვე არც დაძყარებულა. ცენტრში ბოლშევიკური ნთავრობა უკვე აღარ იყო, ადგილებზე კი მისი ხელისუფლების ორგანოები და აგენტები განაკრძობდნენ მოქმედებას. ტიუმენში ერთ ქუჩაზე ორი შტაბი მდებარეობდა: ერთი მოსახლეობის წერდა ჩითელ გვარდიაში, მეორე — თეთრ ბანდებში. გუბერნიაში კონცენტრირებული კონტრრევოლუციური ძალების მოგერიებას დაბრკოლებას უქმნიდნენ მენშევიკები და ესერები, რომლებიც ტობოლსკისა და ტიუმენის საბჭოებში უმეტესობას წარმოადგენდნენ.

შეთქმულებმა გუბერნატორის სახლის დაცვის რაზმში გაძრომა შეძლეს — აქაში კობილინსკი დაეხმარათ. მათ რამდენიმე მსახური, ჯარისკაცი და პორუჩიკი მალიშევი მოისყიდეს, რომელთაც ივალდებულეს, დათქმულ ნიშანზე გაეღოთ თავდამსხმელთათვის კარი და სხვა გასასვლელები და „დახმარებოდნენ პატიმრებს უშიშრად გასვლაში". გერმანიის საიდუმლო სამსახურის აგენტად გუბერნატორის სახლში „რუსი ხალხის კავშირის" ცნობილი მოღვაწის, 1905—1906 წლებში შავრაზმელთა მიერ მოწყობილი ტერორისტული აქტების ორგანიზატორის ნათესავი ფრეილინა სოფიო კარლოს ასული ბუკსჰევდენი ითვლებოდა. მოსკოვში მყოფ გერმანიის ელჩს ინფორმაცია უმთავრესად ამ პიროვნებისაგან მოსდიოდა. საფუძველს მოკლებული არ არის ოცდაერთ წლებში გამოთქმული ვარაუდი, რომ მირბახისა და რიცლერისათვის ცნობების ასეთივე მიმწოდებელი იყო კობილინსკი [16].

შეთქმულთა რამდენიმე ჯგუფი არსებობდა. მათ შორის: პეტროგრადში — მარკოვ მეორისა (მისი მთავარი აგენტი ტიუმენში იყო შტაბს-კაპიტანი სერგეი მარკოვი); მოსკოვში — ნეიდჰარდტის „მონარქიული

ცენტრისა“ (მან ტობოლსკში გაგზავნა კრივოშეინი, რომელიც ჯერ კიდევ დროებითი მთავრობის დროს დამკვიდრდა აქ არალეგალურად; რასპუტინისა (მის. ცენტრში იდგნენ ვირუბოვა და იაროშინსკი, ტიუმენში წარმომადგენლად ჰყავდათ სოლოვიოვი); გერმოგენელთა (უფრო ზუსტად — მღვდელ ბელიაევისა), რომელიც დაკავშირებული იყო ყოფილი მეფის დედასთან; ოფიცერთა ჯგუფი „მძიმე კავალერიის კავშირი“ (ჩვიდმეტი წლის ბოლოდან მისი ცენტრი იყო ბერლინში, ფილიალები კი — პეტროგრადსა და კიევში) და სხვები. თითოეული მათგანი რომანოვების ოჯახის ერთადერთი მხსნელის როლზე აცხადებდა პრეტენზიას, რაც საკმაოდ უწყობდა ხელს მათი გეგმების მსხვრევას — ყოველ შემთხვევაში, ოჯახის „ტობოლსკში პატიმრობის“ პირველ ხანებში მაინც, როცა ამალის წევრები და მსახურნი თავისუფლად დადიოდნენ ქალაქში, როცა გაძლიერებული საყარაულო სამსახური ჯერ კიდევ არ არსებობდა და კობილინსკის ხელის შეწყობით შეიძლებოდა ოჯახის გაყვანა არა მარტო ღამით, არამედ დღისითაც.

ზემოთ, მოსკოვსა და პეტროგრადში არსებულ მაკოორდინირებელ ცენტრებში, იყრიდა თავს ყველა ჩამოთვლილი ჯგუფის დამაკავშირებელი არხები. ასეთი ხელმძღვანელი ინსტანციები იყო თავდაპირველად „მემარჯვენე ცენტრი“ — ძირითადად პროგერმანული ორიენტაციის არალეგალური ანტისაბჭოური ორგანიზაცია, რომელიც 1918 წლის გაზაფხულამდე მოქმედებდა, შემდეგ იმავე წლის მაისიდან აქტიურობა გახავითარა პროანტანტურმა „ეროვნულმა ცენტრმა“. ტობოლსკის ჯგუფებიდან ძაფები გაჭიმული იყო აგრეთვე ზოგიერთ სხვა ანტისაბჭოურ ორგანიზაციასთან, მაგალითად, უბადაღებულ „სამშობლოს დაცვისა და თავისუფლების კავშირთან“. ეს და მათი მსგავსი გაერთიანებები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მხოლოდ ორი იმპერიალისტური ბლოკიდან ერთ-ერთისადმი დამოკიდებულებით. რაც შეეხება საბჭოთა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებას — იგი ყველას ერთნაირი და უცვლელი ჰქონდა: მტრობა და შუღლი, შემუსვრა და შურისგება. მათი ანტისაბჭოური გააფთრება მით უფრო ძლიერი იყო, რაც უფრო ცხადი ხდებოდა სახალხო ხელისუფლების წარმატებანი ძველი სამყაროს ნგრევის გზაზე, ახალი ცხოვრების მშენებლობა.

უსაზღვრო სიძნელეების მიუხედავად, ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ თავისი არსებობის პირველსავე თვეებში — 1917 წლის შემოდგომიდან 1918 წლის გაზაფხულამდე — უკვე ბევრი რამის გაკეთება მოასწრო.

ნაციონალიზებულ იქნა ქარხნები და ფაბრიკები, შახტები და ელეკტროსადგურები, ბანკები და ტრანსპორტი. ხალხის საკუთრებაში გადავიდა მიწა. შეიქმნა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო. გაუქმდა საკაბალო უცხოური სესხები, რომლებიც დადებული ჰქონდა ნიკოლოზ II და დროებით მთავრობას. გაუქმდა წოდებრიობა, გაძოცხადდა და ხორციელდებოდა რუსეთში დასახლებულ ეროვნებათა თანასწორუფლებიანობა; დამყარდა ქალთა თანაბარუფლებიანობა; ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს და სკოლები — ეკლესიას. გადაიდგა პირველი გაბედული ნაბიჯები მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ცხოვრებისა და შრომის პირობების გასაუმჯობესებლად. ძალა დაკარგა ცარიზმისა და ბურჟუაზიული ჩინოვნიკობის საბოტაჟმა ცენტრსა და ადგილებზე, გაუქმდა ძველი სამინისტროები და უწყებები, მათ მაგივრად შეიქმნა ახალი, სახელმწიფო მმართველობის ძუშურ-გლეხური აპარატი. დაიწყო წითელი არმიისა და წითელი ფლოტის ფორმირება. შეიქმნა კონტრრევოლუციისა და საბოტაჟის წინააღმდეგ მებრძოლი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია. დაითხოვეს დამფუძნებელი კრება, რომელიც ძირითადად არჩეული იყო ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე შედგენილი სიის მიხედვით, ანუ ბურჟუაზიის კონტროლითა და დაწოლით, ხოლო ოქტომბრის შემდეგ უარი განაცხადა საბჭოების მეორე ყრილობის დადგენილების დამტკიცებაზე. ასრულებდა რა ხალხის ნებას, საბჭოთა მთავრობამ განახორციელა იმპერიალისტური ომიდან რუსეთის გამოსვლის თავისი კურსი: 1917 წლის 3 დეკემბერს ბრესტ-ლიტოვსკში დაიწყო მოლაპარაკება; 1918 წლის 3 მარტს ხელმოწერილ იქნა სამშვიდობო ზავი.

პროლეტარული რევოლუციის პირველივე ნაბიჯებმა კონტრრევოლუციის მძვინვარება გამოიწვია. როგორც ცენტრში, ისე ციმბირში გააქტიურდნენ იატაკქვეშა მონარქიული ჯგუფები. ისინი მიზნად ისახავდნენ მეფის ოჯახის განთავისუფლებას. თითოეული მათგანი თავისებურებით ხასიათდებოდა. მაგალითად, ვირუბოვას ჯგუფს განასხვავებდა პირადი სიახლოვე ალექსანდრა თეოდორეს ასულთან, აგრეთვე ფულადი შესაძლებლობანი (იაროშინსკიმ იარაღის საყიდლად და მეფის ოჯახის გაქცევისათვის მილიონზე მეტი მანეთი შეაგროვა). მარკოვ მეორის ორგანიზაციას განასხვავებდა სხვა რამ: საიდუმლო კავშირის გამოცდილება ყოფილი იმპერატორის დაახლოებულ პირებთან ჯერ კიდევ ცარსკოე სელოს დროინდელი პატიმრობიდან: არა უბრალოდ პროგერმანული ორიენტაცია, არამედ კონტაქტებიც გერმანიის სარდ-

ლობასთან რუსეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე: ბოლოს, საკმაოდ მრავალრიცხოვანი კულაკურ-ოფიცრული ბანდების არსებობა ციმბირის იატაკქვეშეთში, რომლებიც ერთმანეთთან შეაკავშირა პეტროგრადიდან გაგზავნილმა შტაბს-კაპიტანმა სერგეი მარკოვმა. მის ანგარიშზე იყო იმ ადგილებში მომხდარი ერთ-ერთი პირველი სისხლიანი დანაშაულთაგანი: სოფელ გოლოპუტოვსკში მარკოვი თავის დამქაშებთან ერთად თავს დაესხა ეკატერინობურგის მუშების ჯგუფს, როდელიც ტობოლსკში მიდიოდა საბჭოს დასახმარებლად, და განგაშით შეკრებილი გლეხების თვალწინ თითოეული მათგანი საჯაროდ მხეცურად დახერიტა.

არასაკლებ ღირსეული რაიხდი შეიძიხეს იმ თვეებში რომანოვებმა წინათ პეტროგრადში რასპუტინის წრესთან დაახლოებული პირის, პორუჩიკ ბ. ნ. სოლოვიოვის სახით. იქორწინა რა მატრენა რასპუტინასთან, 1917 წლის შემოდგომაზე სოლოვიოვმა პეტროგრადიდან ტობოლსკის გუბერნიაში გააღწია და იქ მამა ალექსის საშუალებით კონტაქტი დაამყარა შავრაზმელ მეამბოხე გერმოგენთან.

სოლოვიოვი ცბიერი, ანგარების მოყვარე, მშიშარა და სასტიკი პიროვნება იყო. დროებით გაერთიანებული მრწმუნებლების — ვირუბოვას, მარკოვ მეორისა და ხეიდჰარდტისაგან მიღებული დირექტივებითა და საქველმოქმედო ანგარიშზე მიღებული თანხით სოლოვიოვმა არაჩვეულებრივი აქტიურობა გააჩაღა. უწინარეს ყოვლისა კობილინსკის დახმარებით ღამით შეაღწია გუბერნატორის სახლში, წარუდგა ალექსანდრა თედორეს ასულს გარდაცვლილი გრიგოლ ეფიმის ძის სიძისა და ვირუბოვას რწმუნებულის სახით, ჩააბარა ყოფილ დედოფალს ანას სარეკომენდაციო წერილი და, რაც მთავარია, მისგანვე გამოტანებული 175 ათასი მანეთი. მან დედოფლის გული უმალვე მოიგო.

ჯერ კიდევ პირველი ყინვები არ დაეჭირა, რომ „თაფლობის თვის“ პოკროვსკში გატარების შემდეგ, ბორის სოლოვიოვი ტიუმენში, გზების გადაკვეთაზე გამოჩნდა, საიდანაც მყარდებოდა მონარქიულ ჯგუფებთან კავშირი და ხდებოდა მომარაგება, აქედანვე ხორციელდებოდა ცარსკოე სელოსა და პეტროგრადის მიმოწერა ტობოლსკთან. მისი მისია იყო—ტიუმენისა და ტობოლსკის მონარქიული ჯგუფების შეკავშირება და მათ შორის კოორდინირება. მაგრამ სოლოვიოვს მომხვეველობის სურვილსა სძლია. ალექსანდრა თედორეს ასულის სანქციასა და გერმოგენთან კონტაქტზე (მამა ალექსის საშუალებით) დაყრდნობილი სოლოვიოვი თითქოსდა მეფის ოჯახის გადარჩენის ორგანიზებას აწყობს. სინამდვილეში კი ისარგებლა იშვიათი სიტუაციით და ჯიბე გაისქელა.

ტიუმენში მოკალათების შემდეგ, მან გადაიბირა, შანტაჟი მოუწყო და გაყვლიფა ყველა გამვლელ-გამომვლელი ოფიცერი, იატაკქვეშა ბანდების შესავსებად რომ ჩამოსულიყვნენ; ფრეილინები და კამერდინერები, რომლებსაც წერილები, ფული და ამანათები მოჰქონდათ პეტროგრადიდან ტობოლსკში. მოახერხა თავისი თანამზრახველის მამა ალექსის გაქურდვაც, მონარქისტები რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან შეწირულობებს რომ უგზავნიდნენ. და ბედშაც გაუღიმა: მეფის ოჯახმა თავად გადასცა მას შესანახად საგვარეულო განძეულობა. რაც უნდა იყოს, იგი ხომ გრიგორ ეფიმის ძის სიძეა..

საქმე კარგად მიდიოდა, პორუჩიკი და მღვდელი ერთძანეთით კმაყოფილი იყვნენ. ქარისაგან მოტანილს მშვიდობიანად იყოფდნენ. მაგრამ ერთხელ ანგარიშის სწორებისას სხვაობა მოხდა. კულტის მსახურმა შენიშნა, რომ პარტნიორი მას ქურდავდა. გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა ჯერ წერილობით, ხოლო შემდეგ ზეპირად. და ყვირილით: „ყარაულო, გამძარცვეს!“ — მამა ალექსი საჩივლელად გაიქცა. და მერე ვისთან? ო, ღმერთო ძლიერო! დეპუტატთა საბჭოების კომისრებთან!

დაყნოსა თუ არა, რომ ჩეკაში წარდგომა მოუწევდა, პორუჩიკმა მაშინვე ჩააწყო ჩემოდანში როგორც დაგროვილი ფული, ისე საიუველირო ნაკეთობანი და მატრენასთან ერთად აღმოსავლეთისაკენ გაეშურა. მალე ისინი ატამან სემიონოვის ჯარების განლაგებაში მოხვდნენ. აქ პორუჩიკმა უმართებულო ნაბიჯი გადადგა: ატამანის ხარჭას სერაფიმა მაევსკაიას 50 ათას მანეთად მეფის ძვირფასი სამკაული შესთავაზა. ატამანს ეს გარიგება მეტისმეტად რთული და ძვირი ეჩვენა, ამიტომ გაამარტივა და გააიაფა: ბრძანა სოლოვიოვი, როგორც ჯერ კიდევ ტავრის სასახლეში მეამბოხურ გადახრაში შემჩნეული „ბოლშევიკების აგენტი“, დაეხვრიტათ... ბოლო წუთებში მატრენამ სემიონოვს ტიუმენიდან გამოზიდული ბრილიანტების მთელი კოლექცია მისცა და მეუღლის სიცოცხლე ამით იხსნა.

დასავლეთელი ისტორიოგრაფები (მემატიანეთა მხარდამხარ) სოლოვიოვს რომანოვების ტობოლსკიდან გაქცევის გეგმის ჩაშლის ერთ-ერთ მთავარ დამნაშავედ თვლიან. მან შეიტანა დეზორგანიზაცია და რღვევა მეფის მხსნელთა რიგებშიო, რომლებიც „აღსავსენი იყვნენ გადაწყვეტილებით, ემოქმედათ“, ჩივის ყოფილი დიდი ქალბატონი მარია. იგი რასპუტინის ქალიშვილზე დაქორწინდა მხოლოდ იმისათვის, რომ ბოროტად გამოეყენებინა ეს სახელი თავისი ანგარებითი მიზნები-

სათვის, მოეპოვებინა ვირუბოვასა და ყოფილი დედოფლის ნდობა, რათა მათზე დაყრდნობით, მათი სასიცოცხლო ინტერესების გამოყენებით მოეხდინა ყაირათიანი საქმოსნური გარიგება[17]. ჯერ კიდევ „თაფლობის თვეში“ პოკროვსკში, რასპუტინების სახლში (პეტროგრადიდან ტიუმენში ძგზავრობის დროს), სოლოვიოვი შეზღუდულსა და ჯერ კიდევ ადრიდანვე საკმაოდ დაბეჩავებულ გაუნათლებელ ცოლს აბუჩად იგდებს. სოლოვიოვს თავად მატრენა კი არ სჭირდებოდა, არამედ მისი გვარი, და ადვილად იყენებს მას თაღლითობის იარაღად. ამას მოწმობს რასპუტინა-სოლოვიოვას დღიური, ჩიტაში რომ ჩამოართვა მას კოლჩაკელმა გამომძიებელმა და 1925 წელს ბერლინში გამოიცა. აი ზოგიერთი ჩანაწერი (დედნის ორთოგრაფიის დაცვით), რომელიც 1918 წელს მიეკუთვნება:

13 февраля. Решила ни на грошь не верить Боре. Он мне все врет, как не стыдно вот низость то для мужчины врать по моему такому мужчине и руки не надо подавать, а я еще его жена. Надо его от этого отучивать, но как. Раз его с малых лет не воспитали и не научили. Он мне много говорил неправду. Буду надеяться, что господь его исправит, хотя и существует пословица горбатого одна могила исправит.

24 февраля. Дома был полный скандал, он мне бросил обручальное кольцо и сказал: «Я ему не жена».

27 февраля. Чаще и чаще учащаются ссоры. Жить уже стало невыносимо.

А вот запись в дневнике Б. Соловьева (опубликован тогда же): Продолжая жить с ней надо требовать от нее хоть красивого тела, чем не может похвастаться моя супруга, значит просто для половых сношений она служить мне не может, есть много лучше и выгодней[18].

ასეთია საერთოდ რასპუტინის წრისათვის დამახასიათებელი ზნეობრივი ნორმები. ასეთებს უგზავნიდა ეს წრე მეფეს მსახურებად, ასეთივე „მხსნელი“ მოუვლინა მას.

ისე გამოვიდა, რომ ცოდვილი მღვდლის საჩივარმა ტობოლსკის საბჭოთა ორგანიზაციებს ზოგიერთი მნიშვნელოვანი რამ გადაუშალა თვალწინ... ახლა, როდესაც უშუალო მუქარის მომასწავებელმა ახალმა ნიშნებმა იწყო გამოჟონვა, ჯარისკაცთა კომიტეტები კიდევ უფრო გამკაცრდნენ და გააფთრდნენ. კომიტეტის მიერ მოწვეულ რაზმის კრებაზე საბჭოს თავმჯდომარეებისა და ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით ჯარისკაცებმა დაიფიცეს:

რაც უნდა მომხდარიყო, ეყარაულათ რომანოვებისათვის, არ გაეშვათ ისინი. კომიტეტმა გარე სამყაროსთან სახლის ყოველგვარ კავშირიე კონტროლი თავის ხელში აიღო. პანკრატოვის მიერ დაშვებული შეღავათები და მფარველობანი აიკრძალა. ამალის ყველა წევრი კორნილოვის სახლიდან გუბერნატორისაში გადაიყვანეს და ისინიც დაცვას დაუქვემდებარეს. ამ სახლში მყოფ მსახურებსაც გამოეცხადათ, რომ პატიმრობის რეჟიმი მათზედაც მთლიანად ვრცელდებოდა (მარტო სიდნეი ივანეს ძე გიბსი მოითხოვდა დაჟინებით თავის განსაკუთრებულ უფლებებს, როგორც ბრიტანეთის ქვეშევრდომი, რის გამოც კომიტეტ ა ერთხანს კიდევ მისცა ქალაქში სიარულის ნება). რომანოვების ოთახებში ჩატარდა ჩხრეკა, ცივი იარაღი ჩამოერთვათ.

პანკრატოვის საათმაც ჩამოჰკრა

პატიმრებისადმი ასეთი დამოკიდებულება პანკრატოვს გულს უმღვრევს. იგი ცდილობს ხელი შეუშალოს ჯარისკაცებს ყველგან, სადაც კი შეძლებს. ამიტომ რაზმის მისდამი უსიამოვნო დამოკიდებულება მტრობაში გადაიზარდა, ხოლო მისი განკარგულებების კრიტიკა — აშკარა ურჩობაში. დეკემბრის მიწურულიდან რაზმი ფაქტიურად უარს აცხადებს მის მორჩილებაზე.

პანკრატოვი თავად აღნიშნავს, რომ ტობოლსკის დამცველთა საქციელი გამოხატავდა ქვეყნის მშრომელი მოსახლეობის საერთო განწყობილებას, რომელიც სულ უფრო მეტად ვრცელდებოდა ქვეყნის მშრომელ მოსახლეობაზე. „ფრონტიდან, ომსკიდან, კრასნოიარსკიდან, ეკატერინობურგიდან და თვით ტობოლსკელებისგანაც კი ანონიმური მუქარის წერილები მომდიოდა. ფრონტიდან მემუქრებოდნენ მთელი დივიზიის გამოგზავნას, იმიტომ რომ მეფის ოჯახი გავუშვი“ [19]. ამით ყოფილმა კომისარმა აღიარა, რომ ტობოლსკელ მებადრაგეთა რაზმის უკან უჩინრად იდგა მილიონობით ასეთივე ჯარისკაცი, და ამ მებადრაგეთა ადგილზე სხვები რომ ყოფილიყვნენ, რომანოვებს ისინიც ასე მოექცეოდნენ.

კომისარს, რომელმაც თავისი პეტროგრადელი უფროსების ძალაუფლების დაცემის შემდეგ ორთვე-ნახევარი ტობოლსკში გაატარა, რაზმის ჯარისკაცების კომიტეტმა წინადადება მისცა დაეწერა განცხადება წასვლის შესახებ. მან ეს არ ისურვა. „მე თქვენ მიერ დანიშნუ-

ლი კი არა ვარ, — თქვა კომისარმა, — ცენტრმა დამნიშნა, ამიტომ მარტო ცენტრს შეუძლია ჩემი მოხსნა". კომიტეტი ეწინააღმდეგება: „ის ცენტრი, რომელმაც თქვენ დაგნიშნათ, უკვე აღარ არსებობს და აღარც იქნება. ახალ ცენტრს კი ჯერ თქვენთვის არ სცალია. ამიტომ, რევოლუციის კანონის თანახმად, ჩვენ, ჯარისკაცები, ვიღებთ ჩვენს თავზე თქვენს უფროსობას. ზრდილობიანად გთავაზობთ — წაბრძანდეთ აქედან". პანკრატოვი ბოლოს და ბოლოს წასვლაზე დათანხმდა იმ პირობით, თუ მიიღებდა მოწმობას, რომ მის გადაყენებაში ბრალი ედებოდა არა მას, არამედ ჯარისკაცებს, რომლებსაც „განხეთქილება" მოუხდათ ერთმანეთში. კარგით, უთხრეს მას, დაე, აგრე იყოს; დაწერეთ განცხადება. და მან დაწერა:

სარაზმო კომიტეტს

იმის გამო, რომ განსაკუთრებული დანიშნულების რაზმში უკანასკნელ ხანებში ასეულებს შორის შეინიშნება განხეთქილება რაზმის კომისრად ჩემი ყოფნის გამო, რაზედაც დამნიშნა 1917 წლის აგვისტოში დროებითმა მთავრობამ, ამ განხეთქილების გაღრმავების თავიდან აცილების მიზნით, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ვიხსნი რწმუნებულებას და გთხოვთ მოძეთ ჩემი მოტჩვირების დამადასტურებელი წერილობითი სიბეთი.

ე. პანკრატოვი

ქ. ტობოლსკი

რაზმის კომიტეტმა დაადგინა: დაკმაყოფილდეს თხოვნა და მიეცეს დოკუმენტი.

მოწმობა

მიეცა ესე რაზმის კომიტეტისაგან ყოფილი მეფისა და მისი ოჯახის დამცველი განსაკუთრებული დანიშნულების რაზმის კომისარს ვასილი სიმონის ძე პანკრატოვს მასზე, რომ მან დათმო თავისი რწმუნებულება იმის გამო, რომ რაზმში მისი ყოფნა ჯარისკაცებს შორის იწვევს განხეთქილებას და რომ რწმენების მოხსნის მოტივი კომიტეტმა სწორად სცნო.

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე: კირეევი
კომიტეტის მდივანი: ბობკოვი

ქ. ტობოლსკი
1918 წლის 26 იანვარი [20]

ამ ცნობის ჩაბარებისას კირეევმა და ბობკოვმა ყოფილ კომისარს უთხრეს, რომ არც მას და არც მის ყოფილ მოადგილეს ნიკოლსკის ამიერიდან სახლში შესვლა აღარ ესაქმებათ. ორივემ კიდევ ერთი თვე

იყიალა სახლის ირგვლივ (უკანასკნელად მათ ნიკოლოზი 24 იანვარს ხახეს), ხოლო 26 თებერვალს ძარხილით ტიუილერში გაემგზავრნენ

კობილინსკის, რაკი საყრდენი დაკარგა, წასვლა დააპირა. კომიტეტი მზად იყო გამომშვიდობებოდა, ძაგრაძ. სანამ განცხადებას შეიტანდა, კომენდანტმა გადაწყვიტა ნიკოლოზს მოლაპარაკებოდა. თვითონ კობილინსკი ამ ეპიზოდს ასე იგონებდა:

ეს ცხოვრება კი არა, იძულებული ჯოჯოხეთი იყო. ნერვები უკიდურესად დამძაბა... ვეღარ ავიტანე. მივხვდი, რომ ძალაუფლება აღარ მქონდა და სრული უძლურება ვიგრძენი. სასლში მივედი და ტეგლევს (რომანოვების ძიძა -- მ. კ.) ვთხოვე მეფისათვის მოეხსენებინა, რომ მისი ნახვა მინდოდა. ხელმწიფემ თავის ოთახში მიმიღო. მე ვეუბნაი „თქვენო უდიდებულესობავ, ძალაუფლება ხელიდან ძვცდ ებ... თქვენთვის უკვე საფრთხეობის ძოტანა აღარ შემიძლია. თუ ნებას დამრთავთ, წასვლა ძინდა. ნერვები ძთლად ძოძეშალა მეტი აღრ შემიძლია“ ხელმწიფემ ცალი ხელი მომხვია... და მითხრა „კაკენი სტეფანოვიჩ, ჩემი ცოლისა და შვილების სახელით გთხოვთ დარჩეთ. ხომ ხედავთ, ჩვენ ყველაფერს ვითმენთ. თქვენც უნდა მოითმინოთ“ შემდეგ იგი გადაძეხვია და ერთმანეთი გადავკოცნეთ. დავრჩი და კადაკვუ ტე ბოაეთმინა [21]

კობილინსკი დარჩა და „ითმენდა“ გუბერნატორის სახლში რომანოვეაის ყოფნის უკანასკნელ დღემდე. შემდეგში ზოგიერთი თეთრგვარდიელი ემიგრანტი ლანძღავდა კობილინსკის, მას „ბედილეგეს“. ეფის ოჯახის დამღუპველს უწოდებდა, სხვები კი ექომაგებოდნენ. რაღაგანაც, მათი აზრით, კობილინსკიმ ყველაფერი გააკეთა რომანოვებისათვის, რაც შეეძლო. კერძოდ, მისი დაცვა სოკოლოვმა იკისრა: მან თავის წიგნში შეიტანა კობილინსკის გამამართლებელი ჩვენებები, მათ შორის შემდეგი (ერსბერგის დამოწმება):

კობილინსკი მათ (რომანოვებს) უაღრესად კარგად, გულითადად ეკიდებოდა მას ისინი ეყვარდა, და ისინიც კარგ დამოკიდებულებაში იყვნენ. მათ მიმართ მეტად თანაზიანი და მზრუნველი იყო. მაგრამ ძალიან უჭირდა ჯარისკაცებთან საერთო ენის გამონახვა და ამიტომ ცდილობდა ყოველთვის მეტად წინდახედული ყოფილიყო. თუმცა იგი დიდ ტაქტს იჩენდა. დარწმუნებული ვარ, რომ კობილინსკის გარეშე, ხელისმომერი სხვა კაცის ხელში, მათ ბევრი ცუდი რამის გადატანა მოუხდებოდათ [22].

კობილინსკის შესაძლებლობათა შეუფასებლობისა და მათი სათანადოდ გამოუყენებლობისათვის შეთქმულებს კიცხავდა ჟილიარი:

არავის ეფიქრია, რომ მიუხედავად რევოლუციისა და ვითომც მოწინააღმდეგეთა ბანაკში ყოფნის გამო, იგი (კობილინსკი) მაინც განაგრძობდა ხელმწიფე-იმპერატორის სამსახურს რწმენითა და სიმართლით, ითმენდა დაცვის უხეშობასა და თავხედობას. კობილინსკის ყველაფერი გააკეთა, რაც კი შეეძლო, მეფის ოჯახისათვის. და თუ წინდაუხედავმა მონარქისტმა-ორგანიზატორებმა არ მიმართეს მას -- ერთადერთ

ჯაცს, რომელსაც მეფის ოჯახის განთავისუფლების ორგანიზების სრული შესაძლებლობა გააჩნდა და დახმარებას მხოლოდ გარედან ელოდა, ეს მისი ბრალი არ არის. თვით ვერ უხმობდა მას, რადგან გამუდმებით მტრულად განწყობილი ჯარისკაცების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა[23].

აქ ჟილიარი მთლად მართალი არ არის. მონარქისტები კობილინსკის გვერდს არ უვლიდნენ. ისინი მას თავიანთ განზრახვებს აცნობდნენ და ისიც მათ ყოველნაირად ეხმარებოდა. კობილინსკის მხოლოდ სპეციფიკური სიძნელე ეღობებოდა, რომელიც ზღუდავდა მის მონაწილეობას შეთქმულებაში. ჟილიარი ამის შესახებ გაკვრით იგონებს: კობილინსკი ყოველთვის დაცვის ჯარისკაცებთან იმყოფებოდა, ისინი თვალს ადევნებდნენ მის ყოველ მოძრაობასო.

ნიკოლოზის მიერ წარმოთქმული სიტყვა „მოთმინება“ ნიშნავდა, რომ საქმე დასასრულს უახლოვდებოდა, განთავისუფლება ახლოს იყო. ამაში დარწმუნებული გახლდათ მისი მეუღლეც. ერთხელ თურმე მან საკუთარ თავს ჰკითხა: „ყველაფერი ეს როდის დამთავრდება?“ და თავისავე თავს თვითონვე უპასუხა: „მალე, მალე“. დღიურის ჩანაწერებში ვკითხულობთ: ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ა მ ა ს მ ა ლ ე მ ო ე ღ ე ბ ა ბ ო ლ ო... ერთ-ერთი წყარო, რომელიც მის ოპტიმიზმს კვებავდა, ის იყო, რომ: ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ჩ ვ ე ნ მ ხ ა რ ე ს ა რ ი ს, პ ა ტ რ ი ა რ ქ ი ც, ს ა ს უ ლ ი ე რ ო პ ი რ თ ა უ მ ე ტ ე ს ი ნ ა წ ი ლ ი ც ჩ ვ ე ნ მ ხ ა რ ე ს ა რ ი ს...[24] გუბერნატორის სახლში სისტემატურად შეღწეული საიდუმლო ინფორმაციით რომანოვებმა იციან, რომ მარკოვის, კრივოშეინისა და გერმოგენის მიერ ადგილებზე შეკრებილ ოფიცერთა დივერსიული ჯგუფები, კულაკურ-მონარქისტული რაზმები სულ უფრო ახლოს მიიწევენ გუბერნატორის სახლისაკენ. პერსპექტივები იმდენად გამამხნევებელია, რ ო მ ჰ ო ფ მ ა რ შ ლ ი ს ნ ა წ ი ლ ი ს გ ა ე ქ მ ე ბ ა ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ შ ე ვ ა ჩ ე რ ე თ. მ ი გ ვ ა ჩ ნ ი ა, რ ო მ ა მ ი ს გ ა კ ე თ ე ბ ა ს ა ჭ ი რ ო ა რ ა რ ი ს[25]. უგუნურებისა და უხამსობის მატიანეში, რითაც აღსავსე იყო რომანოვების გრძელი გზა, ეს შტრიხი ყველაფერს აგვირგვინებს: თავისი დამხობიდან ერთი წლის გასვლის, ხოლო განდევნიდან ნახევარი წლის შემდეგ, ციმბირის სიღრმეში, ტობოლსკის პატიმრობაში ყოფნისას, ჯარისკაცების გარემოცვაში, ჯარისკაცებისა, რომლებმაც ფიცი დადეს, არ გაეშვათ ისინი ცოცხლები, რომანოვებმა ღრმააზროვნად შეისწავლეს ჰოფმარშლის ნაწილის შემდგომი ფუნქციონირების საკითხი და დაადგინეს: შეინარჩუნონ. იგი კიდევ გამოადგებათ.

ალექსანდრა თეოდორეს ასულს აწუხებს ის, რომ ანია, ანუ ვირუბოვა, როგორც წერილებიდან ჩანს, პეტროგრადში ა. მ. გორკის შეხვედრია. ყოფილი დედოფალი ჩქარობს გააფრთხილოს ამხანაგი: გორკი რომ გაგიცვნია, ძალიან გამიკვირდა... საშინელი პიროვნება იყო, არამორალური... საშინელ, საზიზღარ წიგნებსა და პიესებს წერდა. ფრთხილად იყავი, გეთაყვა... მოერიდე, რადგანაც კარგი კაცი არ არის, ნამდვილი ბოლშევიკია[26].

რაც დრო გადიოდა, გუბერნატორის სახლის მობინადრენი მით უფრო მოუთმენელნი ხდებოდნენ. დაძაბული მოლოდინით იყო აღსავსე მათი ყოველი დღე: ჩვეულებრივი იქნებოდა ეს თუ სადღესასწაულო, ისინი ფარულად უბიძგებდნენ თავიანთ მომხრეებს, უნერგავდნენ გამბედაობას, ცდილობდნენ კეთილსასურველი მომენტი შეერჩიათ. ამაოდ ცდილობს ბ-ნი ჰოიერი, რომ ნიკოლოზს მიაწეროს „მკაცრი სინამდვილის გულუბრყვილო იგნორირება“, თითქმის უდარდელად „ცქერა საშიშროებისადმი, რომელიც მას ყოველი მხრიდან ემუქრებოდა“. ჰოიერი ყალბი გულგრილობით კითხულობს: „როგორ გადაიტანა ნიკოლოზ II თავისი მდგომარეობის სულ უფრო და უფრო გაუარესება? ცდილობდა თუ არა იგი იმ ბატალიონის ჯარისკაცები და ოფიცრები მოესყიდა, რომლებიც მას იცავდნენ, რათა დახმარებოდნენ გაქცევაში? ჰქონდა თუ არა ამავე მიზნით გაბმული საიდუმლო კავშირი?“ და თავისსავე შეკითხვებზე თვითონვე პასუხობს: „არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა. თითქმის მიუტევებელი პასიურობით, თვითგანადგურების მაგვარი ფატალიზმით მიენდო იგი თავის ბედს“ [27]. გნებავთ დაიჯერეთ, გნებავთ არა.

მოსყიდვასაც მიმართეს, საიდუმლო კავშირსაც, გაქცევის გეგმაც შეადგინეს, ბანდებიც შეიქმნა, რომელთა მეშვეობითაც განზრახული იყო ამ გეგმის განხორციელება. ჰოიერს უნდოდა მიეჩქმალა ამ მზადების ფაქტი: ნიკოლოზის ამალიდან დასავლეთის დაზვერვისაკენ მიმავალი ძაფები; რომანოვების გადარჩენის აქციის დირიჟორობა საერთაშორისო იმპერიალიზმის ბანაკიდან. ზოგიერთი მისი კოლეგა ამის შესახებ პირდაპირ წერს: „მეფესა და დედოფალს სანდო პირებთან საუბრისას არაერთხელ გამოუთქვამთ იმედი და რწმენა, რომ ერთგული ადამიანები გაქცევაში დაეხმარებოდნენ... ამ იმედს მთლიანად იზიარებდნენ ყოფილი მეფის შინაკაცები. ისინი მოითხოვდნენ მეფისაგან,

რომ მზად ყოფილიყო ყოველგვარი ვითარებისათვის". და შემდეგ: „1918 წლის გაზაფხულის დამდეგისთვისაც კი გაქცევის გეგმა მოკლებული არ იყო წარმატების პერსპექტივას" [28].

ამას ადასტურებს მოვლენათა მოწმე და მონაწილე ჟილიარი: „იმპერატორი ყოველთვის მზად იყო მოსალოდნელი გაქცევისათვის". 1918 წლის 17 მარტს იგი თავის დღიურში წერს: „ჯერ არასოდეს შექმნილა გაქცევისათვის ასეთი კეთილსასურველი ვითარება... პოლკოვნიკ კობილინსკის მონაწილეობით, რომელზედაც მთელი რწმენით შეიძლება დაყრდნობა, ისე ადვილია ჩვენი დაცვის მოტყუება... საკმარისია სულ რამდენიმე მტკიცე, სულიერად ძლიერი ადამიანი. ვინც გეგმაზომიერად ჩაატარებდა ოპერაციას გარედან". ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ (26 მარტს) ალექსანდრა თეოდორეს ასულმა, რომელიც ფანჯარასთან იდგა, დაინახა ქალაქში შემოსული ცხენოსანთა რაზმი და თავისდაუნებურად სიხარულით გასძახა შინაურებს: „უყურეთ, უყურეთ, აი ისინი — ნამდვილი რუსი ადამიანები მოდიან!" მას მოეჩვენა, რომ ტობოლსკში თეთრგვარდიელები შემოდიოდნენ. იგი შეცდა, თუმცა ისინი მართლაც ნამდვილი რუსი ადამიანები იყვნენ: ტობოლსკელი მუშების დასახმარებლად ომსკიდან მოვიდა წითელი არმიის რაზმი მუშა ა. ფ. დემიანოვის მეთაურობით. იმ დღეს შვეიცარიელი დღიურში წერს: „ჩვენი გადარჩენის იმედი, მგონი, იმსხვრევა" [29].

ეს უცხოელი კაცი მოვლენების თითქმის ყველაზე უკეთესი მცოდნე იყო გუბერნატორის სახლში.

ტობოლსკში რომანოვების რვა თვის ყოფნა, ანდა, როგორც დასავლეთის პუბლიცისტები ამბობენ, მათი „ქანაობა" დასასრულს უახლოვდებოდა. ეს არ დამთავრებულა და არც შეიძლებოდა დამთავრებულიყო იმით, რასაც ისინი მოელოდნენ. ჯერ ერთი, ამას ხელი შეუშალეს დაცვის ჯარისკაცებმა და თავად ტობოლსკელებმაც. როგორც ჩვიდმეტი წლის გაზაფხულზე ცარსკოე სელოში, ისევე ტობოლსკში რომანოვების გაქცევას წინ აღუდგნენ რევოლუციური რუსეთის უბრალო მოქალაქენი, მშრომელი ადამიანები. მათ რომ სიფხიზლე და სიმტკიცე არ გამოეჩინათ, რომანოვები ადრე თუ გვიან გაუჩინარდებოდნენ. და არა უთუოდ ღამით, არამედ, იქნებ, დღისით, მზისით. იმისათვის, რომ ეს შესაძლებელი ყოფილიყო, ვერშინინი და მარკოვი, პანკრატოვი და ნიკოლსკი, განსაკუთრებით კი კობილინსკი, ყველაფერს აკეთებენენ.

მეორეც, მონარქისტებს შორის არ იყო ერთობა, ისინი ლანძღავდნენ და კბენდნენ ერთმანეთს. ცარიზმის თვითმპყრობელობის რაინდებს

სამეფო ტახტის კრახის შემდეგაც გამოჰყოლოდათ მისი უილაჯობა. ზოგიერთი მათგანი თავისი კერპის პატიმრობით შეეცადა ხელის მოთბობას; მეფის განთავისუფლება ვაჭრობად გადააქციეს, იოლი გამდიდრების მიზნით ციხიკურად ჩაიქნიეს ხელი როგორც კოორდინაციაზე, ისე თავად „უწმინდესი საქმის“ არსზეც.

მესამეც, როცა ტიუმენ-ტობოლსკის რაიონში კონტრრევოლუციური გამოსვლების მუქარა გამძაფრდა, საქმეში ჩაერია უახლოესი დიდი სამრეწველო ცენტრების პროლეტარიატი. დემიანოვის, შემდეგ ბუსიაკისა და ზენკოვის ცხენოსანთა რაზმების გამოჩენა თავისუფლების ქუჩაზე იმას ნიშნავდა, რომ რომსკელი, ეკატერინობურგელი და უფელი მუშები სულ უფრო მტკიცედ ამყარებდნენ კონტროლს რომანოველების ბედზე. ამიტომაც იყო, რომ უფლისწულის აღმზრდელმა ჟილიარმა წითელი გვარდიის გამოჩენა სრულიად მართებულად შეაფასა როგორც კიდევ ერთი იმედის დამსხვრევა...

მაგრამ მომდევნო თვეებში რომანოველებს იმედი კიდევ არაერთხელ გაუცოცხლდათ. მცირე ხნით აენთო იგი თვრამეტი წლის გაზაფხულის დღეებში, როცა მოვლენათა კალეიდოსკოპში ვინმე გაიძვერა იაკოვლევმა გაიელვა. კვლავ აენთო, მაგრამ შემდეგ უკვე საბუდაბოდ ჩაქრა...

გადასვლისათვის მზადება

ბედმა რომანოველებს ტობოლსკის პატიმრობაში დაახლოებით ცხრა თვე გაატარებინა. მეტი დრო აღარ იყო.

სამონასტრო და ხუტორულ თავშესაფრებში მონარქისტები დანებს ლესავდნენ. საბჭოთა ხელისუფლებაც თავისი არსებობის მეოთხე თვეზე ისეთ პირობებში აღმოჩნდა, რომ იძულებული გახდა ორი გადაწყვეტილება მიეღო: რომანოველები გაეყვანა იმ რაიონიდან, სადაც თეთრგვარდიელებს მათი ხელში ჩაგდება შეეძლოთ; და მეფის ოჯახის შემდგომი ბედი განესაზღვრა.

გაზაფხული და მასთან ერთად ციმბირის ვრცელ მდინარეებში ყინულის დნობის დროც ახლოვდებოდა. გამოიკვეთა რეალური საშიშროება: მონარქისტები ისარგებლებდნენ ნავიგაციის გახსნით და გუბერნატორის სახლიდან, რომელიც ცუდად იყო დაცული, მეფის ოჯახს წაიყვანდნენ ობის უბეში, იქიდან კი საზღვარგარეთ გაგზავნიდნენ.

გარეგნულად თითქოს უმნიშვნელო შემთხვევამ შეაშფოთა ადგილობრივი ბოლშევიკები. ეკატერინობურგელ მუშას. ი. პ. ლოგინოვს საშუალება მიეცა ტობოლსკში დაცვის ჯარისკაცს გამოლაპარაკებოდა. მას კი წამოსცდა: პოლკოვნიკმა კობილინსკიმ ბატალიონში ზოგიერთები უკვე გააფრთხილა, რომ, როგორც კი ყინული გადნება და ორანძიან ნავ „მარიას“ ადგილიდან დაძვრა შეეძლება, მებადრაგე ჯარისკაცებს შინ დაითხოვენო. „დასაცავი აღარავინ დარჩება... დაცვის ქვეშ მყოფნი ამასობაში... გაცურავენ... და მათი მდევარი არავინ იქნება...“ ლოგინოვმა მოსმენილის შესახებ საბჭოს აცნობა. ცხადი გახდა, რომ საჭირო იყო რომანოვების ტობოლსკიდან გაყვანა და თანაც რაც შეიძლება სწრაფად.

ტობოლსკელ ვეტერანთა ჩანაწერებიდან ჩანს: შიში და დაძაბულობა დროდადრო ისე დაერეოდათ ხოლმე, რომ ზოგჯერ ღამით რომელიმე წამოხტებოდა და გუბერნატორის სახლისაკენ გარბოდა, რათა დარწმუნებულიყო, „ადგილზე იყვნენ თუ არა პატიმრები“ [30]. მღელვარებას მოეცვა ტიუმენში ნემცოვი და პერმიაკოვი. ეკატერინობურგში — ბელობოროდოვი და გოლოშჩეკინი, უფაში — ჩუდინოვი და ზენცოვი, ომსკელი ბოლშევიკები და წითელგვარდიელები. ცნობები ტობოლსკში შექმნილი საშიში მდგომარეობის შესახებ მთელს ქვეყანაში ვრცელდებოდა, უპირველეს ყოვლისა, უახლოეს ქალაქებში აღწევდა. განსაკუთრებით ძლიერი გამოხმაურება პოვეს მათ მეზობელ ურალის ოლქში.

იმის შესახებ, რომ ტიუმენსა და ტობოლსკს შორის მონარქიული რეაქციის ძალების კოხცენტრაცია ხდებოდა, რომ გუბერნატორის სახლის ირგვლივ ავბედითად ფაციფუცობდნენ, ეკატერინობურგელმა და ომსკელმა მუშებმა უკვე ჩვიდმეტი წლის მიწურულიდან იცოდნენ. ადრიან გაზაფხულზე ურალის საბჭოში აშკარად ლაპარაკობდნენ რომანოვების ფაქტიურად უმეთვალყურეოდ ყოფნის შესახებ, მათი გაყვანის აუცილებლობაზე სხვა, უფრო საიმედო ადგილას. და ვინ უნდა ჩარეულიყვნენ ამ საქმეში, თუ არა ურალელები. ამიტომ გადაწყვიტეს: მათ დახმარებოდნენ ტობოლსკელებს მომწიფებული მონარქიული აჯანყების ჩაფუშვაში.

მარტში მოსკოვში გაიმგზავრა პარტიის ურალის საოლქო კომიტეტის მდივანი ბ. ი. გოლოშჩეკინი. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მან მოკლედ გამოთქვა თავისი ეკატერინობურგელი ამხანაგების მოსაზრება. ი. მ. სვერდლოვის წინადადე-

ბით, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა: ჯერ ერთი, მომზადებულიყო ღია სასამართლო პროცესი ყოფილი მეფის მიერ ქვეყნისა და ხალხის წინაშე ჩადენილ დანაშაულთა საქმის გასარჩევად; მეორეც, გადაეყვანათ რომანოვები ტობოლსკიდან ეკატერინობურგში; მესამეც, გამოეყოთ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტიდან განსაკუთრებული რწმუნებული, რომელიც ურალის საბჭოსთან კავშირში და მისივე კონტროლით სათავეში ჩაუდგებოდა ამ გადაყვანის ორგანიზაციას. თავის მხრივ ურალის საბჭოსაც უნდა გაეგზავნა ტობოლსკში საიმედო პირი.

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებული რწმუნებულის ვინაობა მალე გამოირკვა: ეს იყო ვასილ ვასილის ძე იაკოვლევი. ტობოლსკში გასაგზავნი თავისი წარმომადგენელი დაასახელა ეკატერინობურგმაც: პავლე დიმიტრის ძე ხოხრიაკოვი.

პირველის მონაწილეობის შესახებ რევოლუციაში არავის არაფერი მნიშვნელოვანი არ ჰქონდა გაგონილი.

მეორის სახელს უკვე მაშინ ბევრი ახსენებდა როგორც კრონშტადტსა და პეტროგრადში, ისე ეკატერინობურგში.

ზორბა, მხრებგანიერ კაცს ყურადღებიანი, მაგრამ თითქოს ოდნავ გულუბრყვილო გამოხედვა ჰქონდა, მისი ნაცრისფერი თვალები მზად იყო გულთბილი ღიმილი შემოეფრქვია. ეს შავბუშლატიანი, უსაჩინოქუდიანი ახალგაზრდა კაცი რევოლუციის ისტორიაში შევიდა როგორც მისი ერთ-ერთი რომანტიკული ლეგენდა. სახაზო გემის „თავისუფლების გარიჟრაჟის“ (ყოფილი „ალექსანდრე II“) მატროსი პავლე ხოხრიაკოვი 1917 წლის 4 აპრილს ფინეთის ვაგზალში შეხვდა და მიესალმა ემიგრაციიდან დაბრუნებულ ვ. ი. ლენინს. მალე იგი რსდმპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა სამხედრო კომისიამ ურალში გაგზავნა[31].

1918 წლის თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ჩრდილო-აღმოსავლეთის და აღმოსავლეთის მიმართულებით წინ წაწევა დაიწყეს ურალის მუშათა შეიარაღებულმა ჯგუფებმა და რაზმებმა, რომელთაც ერთი მიზანი გააჩნდათ: გადაეკეტათ ტობოლსკიდან მომავალი გზები. ერთი რაზმი ნადეჟდინსკიდან ბერეზოვოს მიმართულებით მიიწევდა, რათა ობდორსკში გასაქცევი გზები გადაეკეტა მეფის ოჯახისათვის. მეორე ტობოლსკ-იშიმის შარაგზით მიდიოდა. მესამე — ტობოლსკ-ტიუმენით. ხოხრიაკოვი მცირეოდენი ჯგუფით ფარულად პირდაპირ ტობოლსკისაკენ მიიწევდა.

ამ ადგილების გავლა სახიფათო გახლდათ, რადგანაც სავსე იყო ბანდიტებით. იქ პირველი მივიდა ადგილობრივი მცხოვრები ტატიანა ნაუმოვა, რომლის დედაც ტობოლსკში ცხოვრობდა. მას მიჰყვნენ სხვებიც. ასე შეგროვდნენ ტობოლსკში ძირითადად . ეკატერინობურგელი და ნადეჟდინსკელი მუშებისაგან შემდგარი ურალის საბრძოლო ჯგუფები ბოლშევიკების ა. დ. ავდეევის, ს. ა. ზასლავსკის, ტ. ი. ნაუმოვას ხელმძღვანელობით და ხოხრიაკოვის საერთო მეთაურობით. მალე მოუწერეს მათ სხვა მსხვილი სამრეწველო ცენტრების წითელგვარდიელებმაც. მათი ქალაქში გამოჩენით ტობოლსკელი მუშები წელში გაიმართნენ, დემოკრატიული ორგანიზაციები გააქტიურდნენ, გაბედულად და გადაჭრით დაიწყეს მოქმედება. საერთო-საქალაქო პარტიულ კრებაზე შეიქმნა რსდმპ (ბ) ტობოლსკის დამოუკიდებელი ორგანიზაცია. „კრებაზე გავაკეთე მოხსენება პარტიული რიგების მდგომარეობის შესახებ, — წერს მოგონებებში ამხ. ნაუმოვა, — არჩეულ იქნა პარტიული კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ კოგანიცკი, მე და სხვა ამხანაგები“ [32].

შექმნისთანავე კომიტეტმა ორ საქმეს მოჰკიდა ხელი: სათავეში ჩაუდგა ადგილობრივი მუშების შეიარაღებული რაზმების ფორმირებას და მოუწოდა ქალაქის მშრომელებს გადაერჩიათ საბჭო. არჩევნები ჩატარდა 6 აპრილს. 163 მანდატიდან ბოლშევიკებმა მიიღეს 85. თანამგრძნობთა და უპარტიოებთან ერთად ახლა ისინი საბჭოში უმეტესობას შეადგენდნენ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ 9 აპრილს არჩეულ იქნა პ. დ. ხოხრიაკოვი. აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში შევიდა კოგანიცკი (რომელიც ტობოლსკის ახალი გაზეთის „იზვესტიას“ რედაქტორი გახდა).

იმავე დღეს ახალმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება. რომელიც იუწყებოდა „როგორც ქალაქად, ისე მაზრებში მთელი სამეურნეო, ადმინისტრაციულ-პოლიტიკური და სამხედრო ძალაუფლების საბჭოს განკარგულებაში გადასვლას“ [33]. შემდეგ აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაცხადა საქალქო სათათბიროსა და ბურჟუაზიულ-მემამულური საერობო დაწესებულებების დათხოვნა; კლერიკალურ ინსტანციებსა და სასულიერო წოდებას აეკრძალათ პოლიტიკური მოღვაწეობა, მართვის საქმეში ჩარევა, ხელისუფლების ორგანოების შანტაჟირება თავიანთი პრეტენზიებითა და მუქარით. დაბოლოს, რომ საბჭო თავის ხელში იღებდა რომანოვების პატიმრობის სახლზე კონტროლს. მის, საბჭოს, განკარგულებებსა და მითითებებს

უნდა დამორჩილებოდნენ როგორც პატიმრები, ისე დაცვა. ქალაქის ატმოსფეროს ცვლილებები დაეტყო.

სანამ ხოხრიაკოვი და მისი ამხანაგები ტობოლსკში რევოლუციური წესრიგის დაცვისათვის იბრძოდნენ, ურალისა და დასავლეთ ციმბირის საბჭოებმა მონარქისტების საყრდენი პუნქტების ბლოკირების მიზნით შემდგომი ღონისძიებები დასახეს. ურალელები და ომსკელები ისწრაფოდნენ გაეუვნებელყოთ იმიერირტიშის კულაკური თავშესაფრები, მოეხდინათ რესურსებითა და სიმაგრეებით საშიში შორეული მონასტრების ნეიტრალიზება, ხელში ჩაეგდოთ აგრეთვე ტობოლსკიდან ჩრდილოეთისაკენ, აღმოსავლეთისა და დასავლეთისაკენ მიმავალი გზები (სამხრეთიდან იფარავდა ტიუმენი). განსაკუთრებით საშიში იყო ობდორსკისაკენ მიმავალი გზები, სადაც, წარმატებით გაქცევის შემთხვევაში, რომანოვებს შეეძლოთ ჩამსხდარიყვნენ უცხოეთის გემში, და იშიმის გზა, რომლითაც შეეძლოთ შორეულ აღმოსავლეთში გაქცეულიყვნენ. ისეთი მსხვილი დასახლებული პუნქტის მისადგომებთან, როგორიც იყო ბერეზოვო, კულაკურ-მონარქიულმა ბანდებმა შეიარაღებული შეტაკება მოახვიეს თავს წითელგვარდიელებს. გოლოპუტოვსკსა და ბერეზოვოში გამართული ბრძოლების შემდეგ, სადაც მონარქისტები მუშათა რაზმების წინააღმდეგ არნახული გააფთრებით მოქმედებდნენ, ცხადი გახდა, რომ ტობოლსკელი გადასახლებულები დაუყოვნებლივ უნდა გაეყვანათ, რომ ყოველი დღე, ყოველი საათი ძვირფასი იყო.

სიტუაციის სასწრაფოდ განხილვისა და დაუყოვნებლივი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად ურალის საბჭოთა და პარტიული ინსტანციებიდან ეკატერინობურგში ერთმანეთს შეხვდნენ თ. ი. გოლოშჩეკინი და ა. გ. ბელობოროდოვი; ტიუმენის ინსტანციიდან — ნ. მ. ნემცოვი და პერმიაკოვი; ომსკიდან გამოძახებული დასავლეთ ციმბირის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვ. მ. კოსარევი; მოსკოვიდან ჩამოსული სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებული რწმუნებული ვ. ვ. იაკოვლევი.

ამ უკანასკნელის პიროვნება დღემდე დაუდგენელია. მისი ცხოვრებისა და აღსასრულის შესახებ ბუნდოვანი, ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობები არსებობს. ცოტა ხანი დაჰყო მან ცოლ-ქმარ რომანოვების გვერდით, მაგრამ ესეც საკმარისი გამოდგა, რომ დასავლეთის პროპაგანდას განეცხადებინა: აი გმირიო! ამ პროპაგანდას ძალიან უნდოდა, რომანოვების სიცოცხლის უკანასკნელი კვირების აღწერისას ერთ

თავში მოეხსენებინათ ასეთი რომანტიკული მხსნელი. იგი ძალზე დეფიციტური ფიგურა იყო, ძნელად გამოსანახი. ვისაც კი არ დაადებდით ხელს თვრამეტი წლის ციმბირის მონარქისტებიდან, ან ბორის სოლოვიოვის მსგავსი მექრთამე არამზადა წარმოგიდგებოდათ თვალწინ, ანდა ისეთი პირწავარდნილი თაღლითი და სადისტი, როგორიც სერგეი მარკოვი იყო, ან ევგენი კობილინსკის ტიპის უბადრუკი მეკუჭნავე-ეკონომისტი, ან მამა ალექსის ყაიდის მძარცველი. არც გერმოგენი იყო ამაღლებული ან ორიგინალური. მაგრამ რა გაეწყობოდა, რაკი თვითმპყრობელობის თეთრი რაინდები ანგარებიანი და სულმოკლენი გახდნენ, წითლად გადაღებილი უხებისყოფო და ცოდვების მომნანიე ვითომდა ბოლშევიკი შეიძლებოდა გმირად წარმოედგინათ...

თუ ჰოიერს დავუჯერებთ, იაკოვლევი ტობოლსკში „ცუდი ზრახვებით“ გაეცხადდა. მაგრამ რომანოვებს რომ დააკვირდა, მათ მიმართ თანაგრძნობით განიმსჭვალა, მეციხოვნედან დამცველად გარდაიქმნა; სამეთვალყურეო პირებთან ურთიერთობის პირველსავე წუთებში მასში სინდისმა გაიღვიძა და სუსანინის გმირობისაკენ უბიძგა, რისი გაკეთებაც ბოლშევიკისაგან. მით უფრო სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებული რწმუნებულისაგან, ყველაზე ნაკლებ იყო მოსალოდნელი. იგი შეეცადა იმის საწინააღმდეგო ჩაედინა, რაც დავალებული ჰქონდა.

ჰოიერის ზოგიერთი კოლეგა ამას მონაჩმახად თვლის. რომელი ბოლშევიკი, რა სინდისი, რა ჰქონდა იაკოვლევს გარდასაქმნელიო. იგი, ამტკიცებენ ისინი, უბრალოდ „ჩვენი“ (ანუ გერმანიის) ჯაშუში იყოო. დიდი ხნის ამბავია, არა ღირს მისი უარყოფაო: კაიზერის საიდუმლო სამსახურმა მოახერხა ციმბირსაც მისწვდომოდა, გუბერნატორის სახლში თავისი კაცი მოაყუჩა. „ტობოლსკში მისი გამოჩენის შემდეგ მომხდარი მოვლენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არ შეიძლება იმაზე უფრო ლოგიკური ვარაუდის გამოტანა, რომ იაკოვლევი გერმანიის აგენტი იყო“ [34].

და კიდევ: „იმ პირთა ჩვენებით. რომლებიც მაშინ ნიკოლოზ II-თან ახლოს იდგნენ, დამხობილი მეფეც იაკოვლევს გერმანიის საიდუმლო სამსახურის თანამშრომლად თვლიდა. მას მხოლოდ თავი მოჰქონდა კომუნისტად, რათა მის წინაშე დასახული ამოცანა შეესრულებინა“ [35]. იაკოვლევის მიზანი იყო: მიეყვანა რომანოვების ოჯახი საბჭოთა კავშირ-გერმანიის სადემარკაციო ხაზამდე და იქ გადაეცა კაიზერის საოკუპაციო ხელისუფლებისათვის.

ოკეანისგაღმელი ავტორი ვ. ალექსანდროვიც ამტკიცებს, რომ „იაკოვლევი გერმანიის აგენტი იყო“. იგი ამ შემთხვევაში, სხვათა შორის, შვეიცარულ გაზეთ „ტრიბიუნ დე ჟენევს“ ეყრდნობა, რომელმაც 1958 წელს პუბლიკაციები მოათავსა ამ თემაზე. მაგრამ ვ. ალექსანდროვი არ გამორიცხავს იმასაც, რომ „ეს საიდუმლოებით მოცული იაკოვლევი ორმხრივი აგენტი იყო, რომ იგი ბრიტანეთის სამსახურშიც იმყოფებოდა“. ამჯერად აღნიშნული ავტორი უკვე ინტელიჯენს სერვისის ყოფილ თანამშრომელს უილიამ დე კუეს (სხვადასხვა დროს იგივე სტრენფორდს ან რობერტსონს) ეყრდნობა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თავის პუბლიკაციებში პირდაპირ მიუთითებდა, რომ „ჯიბეში კანადის პასპორტითა და პოლიტიკურ სარბიელზე კვაზირევოლუციურ-ესერული რეპუტაციის მქონე ეს რეზიდენტი“ * სწორედ ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურის მიერ იქნა გაგზავნილი რუსეთში 1917 წელს. ალექსანდროვს მიაჩნია, რომ გასაკვირი არაფერია: „არაფერი არის დაუჯერებელი იმაში, რომ ბრიტანეთის დაზვერვას რუსეთის რევოლუციონერების რიგებში მეორე ზეჯაშუში გაეჩინა... ჩვენ იმიტომ ვამბობთ მეორეს, რომ პირველი იყო სიდნეი რეილი, ოქსფორდში მიღებული სამეცნიერო ხარისხის მფლობელი, რომელიც რუსეთში 1909 წელს დამკვიდრდა და ჯაშუშობას ეწერდა 1924 წლამდე რელინსკის გვარით; იგი ამხილეს, სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ მღვდლის ტანსაცმელში გადაცმული რიგაში გაიქცა...“ შესასრულებლად მიღებული დავალებების სირთულით, გაბედული მოქმედებითა და წვდომის უნარით, როგორც ამერიკელი ავტორი თვლის, იაკოვლევი შეიძლება არა მარტო რეილის, არამედ ლოკარტის, კრომისა და კროუფორდის — „რუსეთში მოქმედი საიდუმლო სამსახურის ამ ბრწყინვალე აგენტების“ გვერდითაც კი იქნეს დაყენებული. რომანოვების ბოლო პერიოდის შესახებ დაწერილ თავის წიგნში ალექსანდროვი გერმანია-ბრიტანეთის ორმხრივ რეზიდენტს — იაკოვლევს სპეციალურ თავს უძღვნის და ასე ასათაურებს: „მწვანე ცენტრი — ანუ სერვის ინტელიჯენსი“ [36].

გერმანელებისაგან იაკოვლევს დავალებული ჰქონდა რომანოვების გადარჩენა კაიზერის იმპერიაში გაყვანით. ინგლისელებმა მას უფრო

---

* იხსენიება კერძოდ დე კუეს ორი წიგნი, რომლებიც ამ მტკიცებებს შეიცავენ: „The tragic Thsarina“ და „The dead only talk at the Fugment“ (Alexandrov V, The end oi the Romanovs. Boston — Toronto, 1966, p 211).

ნაკლებად გარკვეული მიზანი დაუსახეს: „თვალყური ედევნებინა მეფის ოჯახისათვის და სიტუაციის მიხედვით მათ ბედზე გავლენა მოეხდინა“. როგორც სჩვეოდათ, ისინი შეეცადნენ თავიანთთვის თავისუფლად მანევრირების საშუალება უზრუნველეყოთ. „ის. რომ თავდაპირველად განზე გადგნენ მეფის ოჯახის დახმარებისაგან, სულაც არ ნიშნავს, რომ მათ ამ საკითხისადმი ინტერესი დაკარგეს... ტრადიციულად ინგლისის პოლიტიკა ისეთი იყო, რომ თუ სჭირდებოდა, მეფეებს კიდევაც დაიხსნიდა და კიდევაც დახოცავდა, — ასე იყო, მაგალითად, 1801 წელს; მაშინ პავლე I მოკლა გრაფმა პალენმა, რომლის ხელითაც მოქმედებდა პეტერბურგში აკრედიტებული ბრიტანეთის ელჩი...“ [37]

თვალი გავადევნოთ ესოდენ განდიდებულ ამ პიროვნებას. მისი სახელი, მამის სახელი და გვარია — ვასილ ვასილის ძე იაკოვლევი. დაიბადა დაახლოებით 1885 წელს. ერთი ცნობით, მისი ნამდვილი სახელი და გვარია კონსტანტინე მიაჩინი. წარმოშობით უფიდან ყოფილა. ახალგაზრდობაში იქ არსებულ ექსპროპრიატორულ ჯგუფს მიკედლებია, სახაზინო სალაროს დასხმია და ამის გამო მეფის ხელისუფლებას გაქცევია. სხვა ცნობით, იგი წარმოშობით კიევიდან ყოფილა, შეძლებული ვაჭრის მოსკვინის ოჯახიდან. ამ ვერსიას მტკიცედ იცავს თავის მოგონებებში გუდინოვი; მესამე ვარაუდით, იგი რიგიდან, ინჟინერ ზარინისა თუ ზარინიას ოჯახიდან ყოფილა, რომელსაც ვაჟიშვილისათვის რადიოტექნიკოსის (ელექტრომოწყობილობის მექანიკოსის) განათლება მიუცია.

შემდეგში სხვადასხვა წყარო ერთმანეთს ემთხვევა: ახალგაზრდა კაცი გაიწვიეს ფლოტში, სამსახური გაიარა ბალტიის ზღვის ესკადრის გემებზე. თავისი იშვიათი ტექნიკური სპეციალობის გამო წარმატება მოიპოვა, სარგებლობდა კომფორტითა და მფარველობით, ბოლოს და ბოლოს სეეაბორგის ოფიცერთა ელექტროტექნიკურ სკოლაში მოხვდა; აქ 1905 წლის მძაფრი რევოლუციური მოვლენების დროს შეევიდა ესერების პარტიაში, მონაწილეობა მიიღო მეზღვაურთა შეიარაღებულ აჯანყებაში; მეფის სასამართლომ დაუსწრებლივ სიკვდილი მიუსაჯა, რის გამოც საზღვარგარეთ გაიქცა. თორმეტი წელიწადი გაატარა ემიგრაციაში — ჯერ გერმანიაში, შემდეგ კანადის პროვინცია სასკაჩევანში, მუშაობდა ელექტრომექანიკოსად. ძალზე გაინგლისელდა. მიიღო კანადის პასპორტი, რომლითაც 1917 წლის მარტში სტოკჰოლმზე გავლით რუსეთში ჩამოვიდა. პეტროგრადში ჩამოღწეულ სხვა ესერელ ემიგრანტთა გასაოცრად „იაკოვლევის საფულე ბანკნოტებით

სავსე იყო“. და თუმცა თავისთავად იბადებოდა კითხვა: „სად იშოვა ფული ესოდენ კომფორტული მოგზაურობისათვის?“ — ესერელი კოლეგებიდან არავის „უკითხავს ამ ელეგანტური ჯენტლმენისათვის, რა საქმეები ჰქონდა მას გერმანიასა და კანადაში, განსაკუთრებით კი, რატომ ყოვნდებოდა სტოკჰოლმში, საერთაშორისო ჯაშუშობის მაშინდელ ამ მთავარ ცენტრში“ [38].

პეტროგრადში იგი მასლოვსკი — მსტისლავსკის მეურვეობაში მოხვდა. ეს ის მასლოვსკი—მსტისლავსკი იყო, რომლის სახელიც უკვე მოვიხსენიეთ. პეტროგრადის საბჭოს სამხედრო სექციის ამ ესერ-აქტივისტმა, რომელიც ფორმალურად ინარჩუნებდა გენერალური შტაბის აკადემიის ბიბლიოთეკის დამცველის თანამდებობას, იაკოვლევი მოაწყო თავის მოადგილედ უცხო ენებზე გამოცემული სამხედრო-ტექნიკური ლიტერატურის კლასიფიკაციისა და შენახვის საქმეში. ახალი ბიბლიოთეკარი მშვენივრად ფლობდა გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს, კარგად იცოდა ელექტროტექნიკა და საზღვაო საქმე. მაგრამ ერთხელ შეფმა იგი ტავრის სასახლეში გამოიძახა და თავის მოადგილედ დანიშნა ჯავშნოსანთა რაზმში, რომელიც ცარსკოე სელოში ალექსანდრეს სასახლის დაცვის რეჟიმის შესამოწმებლად იგზავნებოდა (ამ ექსპედიციაში იაკოვლევის მონაწილეობა შემდეგ თავის მემუარებში მოიხსენია მსტისლავსკიმ). იაკოვლევმა იქ მაშინ პირველად ნახა ნიკოლოზი, რომელიც ობერ-ჰოფმარშალმა ბენკენდორფმა პეტროგრადის საბჭოს წარმომადგენლებს „წარუდგინა“.

იაკოვლევი ბიბლიოთეკაში აღარ დაბრუნებულა. 1917 წლის იმ თვეებში იგი შეიძლებოდა გენახათ ხან ბორის სავინკოვის ირგვლივ შეკოკრებილთა შორის, ხან პოლკოვნიკ მურავიოვის (რომელიც მოგვიანებით ცდილობდა თეთრებისათვის აღმოსავლეთის ფრონტი გაეხსნა) ახლოს, ხოლო ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ — იუსტიციის სახალხო კომისრის, მემარცხენე ესერის შტეინბერგის გვერდით. როგორ აღმოჩნდა იაკოვლევი 1918 წლის გაზაფხულზე სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებულ რწმუნებულად, მთლად გარკვეული არ არის, მაგრამ იმდროინდელ მშფოთვარე ვითარებაში და ამასთან ისეთ პოლიტიკოს-ავანტიურისტების ხელშეწყობით, როგორებიც იყვნენ მ. ა. სპირიდონოვის, ბ. დ. კოვისა და ი. ზ. შტეინბერგის ტიპის თავკაცი მემარცხენე ესერები, მსგავსი კარიერისტული ზეაღსვლები რევოლუციური ტალღების თხემზე ხდებოდა ხოლმე. თავის რწმუნებულთა დავალებით ამ ტალღის

თხემზე ასვლა და იქ შეღწევა, სადაც მითითებული ჰქონდა, იაკოვლევ-მიაჩინ-ზარინმაც შეძლო. არსებობს მითითებები, რომ იაკოვლევის სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებულ რწმუნებულად დანიშვნას დაჟინებით იცავდა მემარცხენე ესერების პარტიის ცენტრალური კომიტეტი [39].

ეკატერინობურგში ყოფნისას ურალის საბჭოში გამართულ თათბირზე რომანოვების მომავალი ევაკუაციის დეტალებზე იაკოვლევი საბოლოოდ მოელაპარაკა ნემცოვს, კოსარევსა და უპირველეს ყოვლისა გოლოშჩეკინს, რომელიც მთავარი პასუხისმგებელი იყო მოსკოვის წინაშე ოპერაციის შედეგებზე. უკანასკნელად შეახსენა გოლოშჩეკინმა იაკოვლევს ცენტრის დირექტივა, რომელიც ორი აზრის არსებობას გაძორიცხავდა: რომანოვები გაყვანილი უნდა ყოფილიყვნენ ეკატერინობურგში. შეთანხმებისამებრ, უფის რაზმი უშუალო განკარგულებაში გადაეცემოდა იაკოვლევს. სამხედრო მხარდაჭერას გაუწევდა ურალიც, მაგრამ მაინც ძირითადი იქნებოდა უფის რაზმი.

იაკოვლევი ეკატერინობურგიდან უფაში ჩავიდა და „სახალხო შეიარაღების მებრძოლი ორგანიზაციების“ (სშმო) [40] შტაბის უფროს პეტრე ივანეს ძე ზენცოვთან გამოცხადდა. ზენცოვი იაკოვლევის მისიას უკვე იცნობდა და ორიენტაციის აღება შეძლო. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებული რწმუნებულის თანდასწრებით ეს ყოფილი ურალელი მეჯოგე, 1905 წლის რევოლუციური ბრძოლების ვეტერანი, იძლევა ბრძანებას რაზმის ფორმირების შესახებ. იგი ენერგიულად და ზუსტად მოქმედებს. გამოჰყვეს ცაენოსნები, ქვეითები, მეტყვიამფრქვევენი, მოწყალების დები. ზენცოვის მითითებით ქალაქ უფის რკინიგზის პარტიის რაიკომის მდივანმა კულიგინმა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო წარმომადგენლისათვის ტელეგრაფისტი ს. ა. გალკინი გამოჰყო, რომელიც მუდმივად მასთან იმყოფებოდა და მოსკოვ-ეკატერინობურგის პირდაპირ ხაზს ემსახურებოდა. გალკინის მოგონებებიდან ჩანს, რომ იგი ასევე აწარმოებდა იაკოვლევისათვის სხვადასხვა საუბრის, მოლაპარაკების, მიტინგებსა და კრებებზე წარმოთქმული სიტყვებისა და ა. შ. ჩაწერას [41].

რაზმის უფროსად დაინიშნა ურალის რევოლუციური ბრძოლების მონაწილე, მეორე გამოცდილი ვეტერანი, ბოლშევიკების პარტიის წევრი 1906 წლიდან დიმიტრი მიხეილის ძე ჩუდინოვი. მისი მოადგილე გახდა შტაბის უფროსის ძმა, გრიგოლ ივანეს ძე ზენცოვი. მოკვი-

ანებით, ქარავნის ტობოლსკიდან უკან წამოსვლისას, რაზმის უფროსად დაინიშნა ტიუმენიდან დამატებითი ცხენოსანთა ჯგუფით შესახვედრად გამოსული უფელი ბოლშევიკი პეტრე გუზაკოვი, მისი მოადგილე გახდა ჩუდინოვი [42].

რაზმი უფიდან გამოემგზავრა და თან სურსათისა და ფურაჟის ერთი კვირის ბარაგი წამოიღო. უფის ეშელონების გასვლის შესახებ იაკოვლევმა ტელეგრაფით აცნობა ეკატერინბურგს, შეახსენა აგრეთვე, რომ ურალისა და ომსკის რაზმები, რომლებმაც ტობოლი და ირტიში ადრევე გადალახეს, წარმოადგენდნენ მისი ექსპედიციის მხარდამჭერ დამატებით ძალას. ამასთან ხაზი გაუსვა, რომ ბოლაპარაკების თანახმად, მისი ტობოლსკში ჩასვლიდან რაზმები და მათი ხელმძღვანელები ხოხრიაკოვის, ავდეევის, ბუზიაკისა და ზასლავსკის ჩათვლით მისი, იაკოვლევის, დაქვემდებარებაში გადავიდოდნენ და უსიტყვოდ დაემორჩილებოდნენ, დაეხმარებოდნენ დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში.

ტიუმენი შეშფოთებულია. ხმა დადის დაახლოებით ათასკაციანი კულაკურ-ოფიცრული მსხვილი ბანდის არსებობაზე. რომელიც ემზადება მეფის ოჯახის დასახსნელად ტობოლსკ-ტიუმენის გზაზე. ამიტომ, როგორც გუბერნიის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ნემცოვმა ჯერ კიდევ ვაგზალში აცნობა იაკოვლევს, ტობოლსკისაკენ წინ წასული ურალელთა და ომსკელთა დამხმარე რაზმები რიცხობრივად გაძლიერეს და დამატებით შეაიარაღეს. ირკვეოდა, რომ ნემცოვს უკვე შეემუშავებინა გეგმა და ასრულებდა კიდეც მას: 200-ვერსიანი გზის გასწვრივ ყოველ უბანზე (საგზაო პუნქტში, სადაც შეიძლებოდა ცხენების გამოცვლა ანდა ხანმოკლე შესვენება) დააყენა თითო ცხენოსანი კავშირისა და უსაფრთხოობის სათვალთვალოდ. ხოლო თითქმის ყველა მსხვილ უბანზე მოამზადა 20-მდე შესაცვლელი ფოსტის ცხენი. ისე, რომ მომავალი ქარავნის ყველა წევრს შეძლებოდა ერთდროულად გადასხდომა ახალ ეტლებში.

ტიუმენიდან 20—25 ვერსის გავლის შემდეგ რაზმი შეჩერდა: ჩუდინოვმა ბრძანა ქვემეხების წესრიგში ყოფნა შეემოწმებინათ. ცოტა ხანს ისროდნენ, ყველა ქვემეხი წესრიგში აღმოჩნდა, შეიძლებოდა გზის გაგრძელება.

22 აპრილს რაზმი ტობოლსკში შევიდა. იგი თავისუფლების ქუჩით მიდიოდა. ჩაუარა გუბერნატორის სახლს, რომლის ფანჯრიდან ფარღებს შორის უთვალთვალებდა ცხენოსნებს სამოქალაქოტანსაცმლიანი დაბა-

ლი კაცი. იგი სულ რაღაც ერთი წლის წინათ გიგანტური რუსეთის იმპერიის თვითმპყრობელი ხელისუფალი იყო.

იაკოვლევმა კორნილოვის სახლში ერთი ოთახი დაიკავა. მას განუშორებლად თან ახლდა ტელეგრაფისტი გალკინი. დერეფანში გვერდით მოთავსდნენ ჩუდინოვი და გრიგოლ ზენკოვი. იმ დღეს განსაკუთრებულ რწმუნებულს გუბერნატორის სახლისადმი ინტერესი არ გამოუჩენია. ჩუდინოვთან და ზენკოვთან ერთად საქალაქო საბჭოში შეიარა. ხოხრიაკოვმა ყურადღებით ჩაიკითხა ი. მ. სვერდლოვის, აგრეთვე სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის ვ. ა. ავანესოვისა და იუსტიციის სახალხო კომისრის ი. ზ. შტეინბერგის მიერ ხელმოწერილი მანდატი. თვალები ოდნავ შოჭუტა და მანდატის მფლობელს შეხედა — იგი მაღალი იყო. გამხდარი, გრძელი სახე ფაქიზად ჰქონდა გაპარსული, საკმაოდ სუფთა (გრძელი გზის გამოვლის მიუხედავად) და კოხტად შეკერილი ნახევრად ოფიცრული ტანსაცმელი ეცვა. უთხრა: „საწინააღმდეგო არა მაქვს“. თან ცოტა ხანს შეჩერდა და დაამატა, რომ ასეთ საქმეზე საჭიროა ყველამ ერთად მოილაპარაკოს, მოითათბიროს. როდის? თუნდაც დღესვე.

საღამოს თათბირი შედგა, თითქოს ამხანაგური, მაგრამ მას მაინც რაღაც აკლდა. ხოხრიაკოვთან ერთად მოვიდნენ მისი თანაშემწეები ავდეევი, ზასლავსკი, ბუსიაცკი. იაკოვლევთან ერთად — ჩუდინოვი და ზენკოვი. ადგილობრივ საბჭოში გამართულ ამ შეხვედრას სხვებიც ეესწრებოდნენ. იაკოვლევმა სთხოვა ხოხრიაკოვს, დამსწრეთათვის საქმის ვითარება გაეცნო. მან მოკლედ მოახსენა და თავის მხრივ იაკოვლევს ჰკითხა, თუ რა გაეზრახვა ჰქონდა. იაკოვლევმა განაცხადა, რომ აღჭურვილია განსაკუთრებული ძალაუფლებით, მოითხოვს ადგილობრივი ორგანოების მორჩილებასა და თანამოქმედებას. ამიერიდან ისინი მას ექვემდებარებიან და მოვალენი არიან უსიტყვოდ შეასრულონ მისი ყოველი ბრძანება და განკარგულება. მას ნიკოლოზი ოჯახიანად მიჰყავს და ამ თემაზე ლაპარაკი ზედმეტია. შეიძლება დავიშალოთ.

მეორე დღეს, 23 აპრილს, დილით, იაკოვლევი აკდეევის თანხლებით გუბერნატორის სახლისაკენ გაემართა. კობილინსკი მას ჭიშკართან შეხვდა. წინა დღეს იყო გაფრთხილებული მისი მისვლის შესახებ. მეორე სართულზე ერთად ავიდნენ. კობილინსკიმ სტუმრებს სთხოვა დერეფანში მოეცადათ: ახლავე მოახსენებდა ყოველივეს ყოფილ იმპერატორს. რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი დარბაზში მიიწვიეს. ნიკოლოზი შუაში იდგა, უკან კი — მისი ოთხი ქალიშვილი. მიესალმა რა

სამხედრო წესით (ხელის ქუდთან მიტანით), კობილინსკიმ წარუდგინა იაკოვლევი ყოფილ მეფეს როგორც „რუსეთის დღევანდელი მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული. ამ მთავრობამ რეზიდენციად შეარჩია მოსკოვის კრემლი“. ნიკოლოზი რწმუნებულს ხელს ართმევს. რწმუნებული თავაზიანად უკრავს თავს ქალიშვილებს, ისინი რევერანსით პასუხობენ. იაკოვლევი ეკითხება ნიკოლოზს, ხომ არა აქვს რაიმე საჩივარი მისდამი ცუდ დამოკიდებულებაზე, ვითარებაზე. არა, საჩივარი არა აქვს. ყოფილი უფლისწული ალექსი სადღაა? წინადღეს წაქცეულიყო და ტკივილები აწუხებდა, ლოგინში იწვა. როგორც ჩანს, ჰემოფილური სისხლდენა ჰქონდა და განძრევა არ შეიძლებოდა. იაკოვლევმა მისი ნახვა მოისურვა. ნიკოლოზისა და კობილინსკის თანხლებით იგი ავდეევთან ერთად ავადმყოფის ოთახში შევიდა. ერთხანს მდუმარედ იდგა მის საწოლთან, მერე თავი დაუკრა და წავიდა. ნახევარი საათის შემდეგ კიდევ მოვიდა, რათა ალექსანდრა თეოდორეს ალუს წარსდგომოდა, პირველი მოსვლისას დედოფალმა დარბაზში გამოსვლა დააგვიანა.

ერთი დღის შემდეგ, 25 აპრილს, იაკოვლევი გუბერნატორის სახლში კვლავ გამოჩნდა. მან ითხოვა გადაეცათ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძისათვის, რომ მასთან მოლაპარაკება სურდა. შუადღისას კომენდანტმა კობილინსკიმ და კამერდინერმა ალექსი ვოლკოვმა იაკოვლევი პირველი სართულის ერთ-ერთ ოთახში შეიყვანეს, სადაც მას ცოლ-ქმარი ელოდა. მისალმების შემდეგ ძან განაცხადა, რომ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძესთან პირისპირ მოლაპარაკება სურს. მეუღლემ პროტესტი განაცხადა: „მეც ბსურს დასწრებაო“. იაკოვლევმა ნება დართო და ყოფილ მეფეს მიმართა: „ნიკალაი ალექსანდროვიჩ, მაქვს პატივი კიდევ ერთხელ ოფიციალურად გაცნობოთ, რომ მე აქ ვიმყოფები როგორც ცენტრალური უმაღლესი ხელისუფლების საგანგებო რწმუნებული, გამოგზავნილი ვარ მოსკოვიდან სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ და ჩემი რწმუნებულება იმაში მდგომარეობს, რომ წაგიყვანოთ აქედან თქვენს ოჯახთან ერთად. მაგრამ რადგანაც ალექსი ნიკალაევიჩი ავად არის, მოველაპარაკე მოსკოვს და მარტო თქვენი წაყვანის ბრძანება მივიღე“. ნიკოლოზმა მკვახედ მოუჭრა: „მე არსადაც არ წავალ“. იაკოვლევმა უთხრა: „გთხოვთ ეს არ გააკეთოთ (უარს ნუ იტყვით წასვლაზე). მე ჩემზე დაკისრებული მისია უნდა შევასრულო. თუ თქვენ წასვლაზე უარს იტყვით, მაშინ ან ძალა უნდა გამოვიყენო, ანდა დაკისრებულ მოვალეობაზე უარი

ვთქვა. ამის გამო შეიძლება ჩემს მაგივრად სხვა ნაკლებ ჰუმანური კაცი გამოგზავნონ. ჩემთან კი შეგიძლიათ მშვიდად იყოთ. თქვენს სიცოცხლეზე საკუთარი თავით ვაგებ პასუხს. თუ მარტო წამოსვლა არ გნებავთ, შეგიძლიათ, ვინც გსურთ, ის წამოიყვანოთ. ხვალ ოთხ საათზე გავდივართ". თავი დაუკრა და გავიდა.

ნიკოლოზმა კობილინსკი შეაჩერა, მასთან და მეუღლესთან ერთად მეორე სართულზე ავიდა. იქ მათ მოუთმენლად ელოდნენ ტატიშჩევი, დოლგორუკოვი და ჟილიარი. ექვსივემ მოითათბირა. ნიკოლოზს აინტერესებდა: კერძოდ, საით მიათრევდა ეს სუბიექტი? დამსწრეთაგან არავინ არაფერი იცოდა, მაგრამ კომენდანტმა თავს ნება მისცა გამოეთქვა სავარაუდო მოსაზრება: თუ იაკოვლევის მიერ გზადაგზა წამოსროლილი ნაწყვეტი ფრაზებით ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ საქმე ეხება ოთხი-ექვსი დღის მგზავრობას. მაშასადამე, ეს ალბათ მოსკოვში გამგზავრებას უნდა ნიშნავდეს. დიახ, რა თქმა უნდა, სურთ მისი უდიდებულესობა მოსკოვში ანდა, შეიძლება, პეტროგრადშიც წაიყვანონ. მართლაც, ჩანს, მოსკოვში მიჰყავთ, ეთანხმება ალექსანდრა თედორეს ასული. მაგრამ რატომ? ვიღაცამ ნათელი მოჰფინა გამოცანას: ბოლშევიკებმა ბრესტის ზავი დადეს, მეფის ხელმოწერის გარეშე კი გერმახიას არ შეუძლია იგი კანონიერად ჩათვალოს. აიძულებენ ნიკოლოზს ეს ხელშეკრულება თავისი ხელმოწერით განამტკიცოს. „რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ! — გაცხარდა ნიკოლოზი. — უმჯობესია მარჯვენა მომჭრან, ვიდრე მას ხელი მოვაწერო". რისი ხელშეკრულება, ჩაერია ტატიშჩევი. როგორც ჩანს, კაიზერმა თქვენს განთავისუფლებას მიაღწია და ალბათ მასთან მიდიხართ. ნუთუ? ყველა თვალებით ბურღავს ტატიშჩევს. ალექსანდრა თედორეს ასულს კი ცრემლები ადგება. იგი ამბობს: „ეს, მგონი, პირველი შემთხვევაა ჩემს ცხოვრებაში, როცა არ ვიცი, რა უნდა გავაკეთო... თუმცა არა, ვიცი, რაც უნდა გავაკეთო: მე მასთან ერთად წავალ". მაგრამ იმედი ჰქონდეს თუ არა, რომ მისი აქ არყოფნისას ეზრუნებენ ალექსიზე? ო, რა თქმა უნდა, ამას რა კითხვა უნდა. მალე ვოლკოვი გამოცხადდა და მოახსენა, კომისარი კვლავ აქ არის, პირველ სართულზე, და თქვენს ჩაბრძანებას ითხოვსო.

იაკოვლევი და ცოლ-ქმარი რომანოვები ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. მან ნიკოლოზს მიმართა: „ჩემს თავს ნებას მივცემ კიდევ ერთხელ გკითხოთ: განზრახული გაქვთ თუ არა, ტობოლსკიდან თქვენი გაყვანის განკარგულებას დაემორჩილოთ?" ნიკოლოზმა განაცხადა, რომ

ემორჩილება. „ამ მომენტში ალექსანდრა თეოდორეს ასული წინ წაიწია და ძლიერ აღელვებულმა თქვა: „მეც მოვდივარ. უჩემოდ კვლავ აიძულებენ რამის გაკეთებას, როგორც ერთხელ გააკეთებინეს“. და ამასთან დაკავშირებით როძიანკოს შესახებ რაღაც გაიხსენა. ეჭვს გარეშეა, მას ხელმწიფის ტახტიდან გადადგომის აქტი ჰქონდა მხედველობაში“ [43]. შემდეგ დედოფალმა იკითხა, სად მიდიოდნენ. იაკოვლევმა უპასუხა: „მოსკოვში“.

ასეთ პასუხს რომ აძლევდა, იგი მთლად არ ტყუოდა. იაკოვლევი როძანოვების ეკატერინობურგში წაყვანას მართლაც არ აპირებდა. მათთან ერთად არც მოსკოვში მოხვედრის განზრახვა ჰქონდა. მაგრამ ტობოლსკშივე იცოდა, რომ შეეცდებოდა მოსკოვის ანდა კიევის მიმართულებით გაპრას. როგორც ჩანს, ასეთი ჩანაფიქრი ჰქონდა: თავდაპირველად სამხრეთ-დასავლეთის ანდა სამხრეთის მიმართულებით გასულიყო, ხოლო შემდეგ — როგორც მოხერხდებოდა. მნიშვნელოვანი ის იყო მხოლოდ, რომ გერმანელთა საოკუპაციო ზონის საზღვრისაკენ მიმავალ მოკლე მარშრუტებზე მოეკიდებინა ფეხი.

შუადღიდან ყველა მზადებას შეუდგა.

გამოცხადდა, რომ გუბერნატორის სახლში ამიერიდან კომისრად (შეთავსებით) ტობოლსკის საბჭოს თავმჯდომარე პ. დ. ხოხრიაკოვი იქნებოდა. კომენდანტი კობილინსკი ამ დღიდან მას, ხოხრიაკოვს, დაექვემდებარებოდა. იგი იქნებოდა აგრეთვე საბჭოს თავმჯდომარეც და უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფდა ტობოლსკიდან რომანოვების პირველი ჯგუფის შემდეგ უმალვე მეორე ჯგუფის გაგზავნასაც.

ჩუდინოვმა და ზენცოვმა სთხოვეს კობილინსკის, რაც შეიძლება სწრაფად დაეზუსტებინა, რამდენი ბარგი და მოსამსახურე გაჰყვებოდათ, რათა საკმაო ტრანსპორტი წინასწარვე მოემზადებინათ. ერთი საათის შემდეგ კობილინსკიმ აცნობა: მიემგზავრება მეფის ქალიშვილი მარია და 12 მსახური, ბარგი ათ ფუთამდე იქნებაო.

ტრანსპორტის ნაწილი ჩუდინოვმა იშოვა მდიდრულ ეზოებში რეკვიზიციის გზით. დანარჩენი ნაღდ ანგარიშზე ადგილობრივი მეეტლეებისაგან ჩვეულებრივი დაქირავების წესით შეაგროვეს. მგზავრობის ფასი ვერსობით განისაზღვრებოდა, ანგარიში და სალარო ჩუდინოვს ებარა. მეეტლეებს დაურიგდათ ქაღალდის იარლიყები რიგითი ნომრების აღნიშვნით — ვინ ვის შემდეგ უნდა გასულიყო.

იაკოვლევის გამოჩენა ტობოლსკიდან გამგზავრების წინ ნიკოლოზის დღიურის ჩანაწერების მიხედვით ასეთია: მოსკოვიდან საგანგებო რწმუნებულის იაკოვლევის ჩამოსვლის ამბავი შევიტყვეთ; იგი კორნილოვის სახლში დაბინავდა. ბავშვებმა წარმოიდგინეს, რომ ის დღეს ჩვენთან ჩხრეკის ჩასატარებლად მოვა. ამიტომ ყველა წერილი დაწვეს, ხოლო მარიამ და ანასტასიამ თავიანთი დღიურებიც მიაყოლეს.

დილის 10 საათსა და 30 წუთზე კობილინსკი იაკოვლევთან და მის ამალასთან ერთად მოვიდა. მე და ჩემმა ქალიშვილებმა იგი დარბაზში მივიღეთ... ჩვენ მას 11 საათისათვის ველოდით და ამიტომ ალიკსი ჯერ მზად არ იყო. იაკოვლევი შემოვიდა. პირი გაპარსული ჰქონდა. ღიმილითა და შეშფოთებით მკითხა, კმაყოფილი ვიყავი თუ არა დაცვითა და შენობით. შემდეგ თითქმის სირბილით შევიდა ალექსისთან, არ შეჩერებულა, ისე შეათვალიერა დანარჩენი ოთახები, შეწუხებისათვის ბოდიში მოიხადა და ქვევით ჩავიდა. ასევე აჩქარებით შედიოდა იგი სხვებთან დახარჩენ სართულებზე. ნახევარი საათის შემდეგ კვლავ გამოჩნდა, რათა წარსდგომოდა ალიკსს, ისევ მიაშურა ალექსის და ძირს ჩავიდა...

დღეს საუზმის შემდეგ იაკოვლევი კობილინსკისთან ერთად მოვიდა და განაცხადა, რომ მიღებული ჰქონდა ჩემი წაყვანის ბრძანება, მაგრამ სად, ის კი არ უთქვამს. ალიკსმა გადაწყვიტა ჩემთან ერთად წამოსულიყო და თან მარიაც წამოეყვანა; წინააღმდეგობის გაწევა არ ღირდა... მაშინვე დავიწყეთ ყველაზე საჭირო ნივთების ჩალაგება. შემდეგ იაკოვლევმა მითხრა, რომ იგი დაბრუნდებოდა ოლგას, ტატიანას,

ანასტასიასა და ალექსის წამოსვანად და რომ ჩვენ მათ ალბათ სამი კვირის შემდეგ ვნახავ-დით...[44]

გამგზავრების წინ ძველი (ცარსკოე სელოს) ყარაულები მოიხსნა და მათ ადგილზე ახლები (ეკატერინობურგელები და ომსკელები) დაინიშნენ. სახლის წინ, მოედანზე, დემობილიზაციით შინ მიმავალი ძველი არმიის გვარდიელები საგუშაგოებს გადასცემდნენ ურალისა და ციმბირის მუშათა კლასის მიერ აქ გამოგზავნილ წითელ მებრძოლებს. ცერემონია თავისებურად გამოიყურებოდა იმ განუმეორებელ დღეებში. აი, როგორ აღწერს მას ავდეევი:

ერთ მხარეს გამწკრივდა საუკეთესო ფორმის ტანსაცმელში გამოწყობილი, ლამაზი, ჩამოსხმული გვარდიელების ოცეული ტანადი ოფიცრის მეთაურობით.

მეორე მხარეს, ამ ოცეულის საპირისპიროდ, ჩამწკრივდნენ ჩვენი ძმები — წითელგვარდიელები. ვისაც რა ჰქონდა, იმითი იყვნენ მოსილები: ზოგს გაქონილი ბეწვის კურტაკი ეცვა, ზოგს სამოქალაქო პალტო, ზოგსაც ძველი ფარაჯა და ა. შ. უმეტესობა ძველი, ნაცრისფერი, ამოკერებული თბილი ჩექმებით იყო.

ჩვენ არც შეიარაღება გვქონდა ერთნაირი: ერთს სადღაც საწყობში ნაპოვნი და საკუთარი ხელით გამართული „ლეფოშეს" სისტემის არშინიანი რევოლვერი ეკიდა; ზოგს ტყვიამფრქვევის ლენტი ჰქონდა მხარზე გადაკიდული, ხელში კი „გრას" სისტემის ბერდენკა ეჭირა და ა. შ.

რანჟირის შესახებ ხომ თქმაც არ ღირს: ჩასკვნილ ზეინკალ კოსტია უკრაინცევს გვერდით ედგა ზლოკაზოვსკის ქარხნის ხარატი ვანია კრაშენიკოვი, რომელიც უკრაინცევს წელამდე ძლივს სწვდებოდა, და მათი დამორება შეუძლებელი იყო. უხდა გენახათ, როგორი გაოცება გამოეხატა სახეზე პოლკოვნიკ კობილინსკის, როცა ჩვენი დაცვა დაინახა...[45]

26 აპრილის დილისათვის გუბერნატორის სახლთან ციმბირული მარხილები და ორთვალა ეტლები გამოჩნდნენ, რადგანაც გზებზე ადგილ-ადგილ თოვლი ჯერ კიდევ არ გამდნარიყო, ხოლო ზოგან მიწა ისე იყო მოშიშვლებული, რომ სამარხილე ტრანსპორტიც იქნებოდა საჭირო და თვლებიანიც. სულ 8 ორცხენიანი და 11 სამცხენიანი ეტლი იდგა, მათ შორის ერთი სამცხენიანი გადახურული ეტლი ყოფილი დედოფლისათვის იყო განკუთვნილი.

სახლში მეეტლეების ბირჟის მმართველი შევიდა და ჩუდინოვს მოახსენა, რომ ტრანსპორტი უკლებლივ სახლის წინ იდგა. „გამოვდივართ ქუჩაში... — წერს ავდეევი. — განკარგულება გავეცი კოლონაში ჩარიცხულ მებრძოლებს თავიანთი ადგილები დაეკავებინათ. ხოლო მეეტლეებს, რომლებსაც 4, 6, 9, 11, 12, 13, 14 და 15 ნომრები ჰქონ-

დათ, გუბერნატორის სახლის ეზოში შესულიყვნენ“. დაიწყო ბარგის დატვირთვა და ჩასხდომა. მალე ყველაფერი დამთავრდა. სამცხენიანი ეტლები ქუჩაში გავიდნენ. ინსტრუქცია ზუსტად შესრულდა. პირველ ეტლში ორი მსროლელი იჯდა. მეორეში — ორი მეტყვიამფრქვევე „კოლტის“ ტყვიამფრქვევებით, მესამეში — ორი მსროლელი, მეოთხეში — კომისარი იაკოვლევი და ყოფილი მეფე ნიკოლოზი, მეხუთეში — ორი მსროლელი, მეექვსეში—ყოფილი დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული და მისი ქალიშვილი მარია, მეშვიდეში — ორი მსროლელი. ასევე იყო სხვა ეტლებშიც: „შენაცვლებით ისხდნენ მსროლელები და მეტყვიამფრქვევეები ტყვიამფრქვევებიანად, რომანოვების დაახლოებული პირნი და მათი მსახურნი, მათ შორის ექიმი ბოტკინი და კამერდინერები, ეტლებში ეწყო აგრეთვე ბარგი და სანოვაგე“ [16]. სახლიდან ყველაზე ბოლოს უნდა გასულიყო და თავის ადგილებზე დამჯდარიყო სამი რომანოვი.

გაანგარიშებით დილის ხუთ საათზე გვიან არ უნდა გასულიყვნენ. მაგრამ გამოვიდა თუ არა სახლიდან ალექსანდრა თეოდორეს ასული, მაშინვე გაჭირვეულდა და გამგზავრება დაგვიანდა. მან თავიდანვე შენიშნა, რომ სამის მაგივრად ორი მსახური მიჰყვებოდა და მესამის წაყვანაც მოითხოვა. რადგანაც ადგილები წინასწარვე იყო გაანგარიშებული, იაკოვლევს კი ყოფილი დედოფლისათვის წინააღმდეგობის გაწევა არ უნდოდა, ზედმეტი ადგილის გამოსანახად მას კოლონის გასწვრივ სირბილი და მგზავრების გადაჯგუფება მოუხდა. შემდეგ გამოირკვა, რომ ბარგი იმაზე მეტი იყო, ვიდრე განაცხადში ჰქონდათ აღნიშნული, ამიტომ ვერ დაეტია; ალექსანდრა თეოდორეს ასულმა კვლავ ჩივილი და პროტესტების წამოყენება დაიწყო. იაკოვლევის განკარგულებით მებრძოლებმა ახლომახლო ქუჩები და ეზოები შემოიარეს, რათა რომელიღაც ვაჭრისაგან ორცხენიანი ეტლი ექირავათ. ყველაფერი ჩატვირთეს, მგონი, შეიძლებოდა დაძვრა, გამგზავრების ნიშანიც მისცეს, მაგრამ კვლავ გაისმა ალექსანდრა თეოდორეს ასულის ხმა: მას სურდა მეუღლესთან ერთად მჯდარიყო. ამჯერად იაკოვლევმა მას თავაზიანი, მაგრამ მტკიცე უარი უთხრა: თვითონ ზის ნიკოლოზის გვერდით და ამ ადგილს არ დატოვებს.

დაცვის გაოცებას იწვევდა, რომ იაკოვლევი დადგენილ წესებს არღვევდა და თავის მეურვეობაში მყოფთ „უდიდებულესობითა“ და „უმაღლესობით“ მიმართავდა. „ფანჯარაზე ჩამოფარებული ფარდიდან, — იგონებდა მელნიკ-ბოტკინა, — ვხედავდი, როგორ მიდიოდა

კომისარი იაკოვლევი სიბნელეში ხელმწიფის ეკიპაჟთან, ხელი ხშირად ფაფახთან მიჰქონდა და მოკრძალებით რაღაცას ეუბნებოდა“ [47]. „ძალიან კარგად მახსოვს, — ჰყვებოდა ბიტნერი, — როგორ იდგა პარმაღზე ქუდთან ხელმიდებული იაკოვლევი, როცა ხელმწიფე ეკიპაჟში ჯდებოდა“. „მისი (იაკოვლევის) დამოკიდებულება ხელმწიფისადმი განსაკუთრებით თავაზიანი იყო, — იძლეოდა ჩვენებას ვოლკოვი. — როცა დაინახა, რომ ხელმწიფე ფარაჯით იჯდა და სხვა არაფერი ჰქონდა წამოღებული, ჰკითხა: „როგორ! თქვენ მხოლოდ ამის ამარა მოდიხართ?“ ხელმწიფემ უპასუხა „მე ყოველთვის ასე ვმგზავრობ ხოლმე“. იაკოვლევი შეეკამათა: „არა, ასე არ შეიძლება“. ამის თქმაზე მან ვიღაცას უბრძანა კიდევ რაიმე მიეწოდებინათ ხელმწიფისათვის. გამოიტანეს ლაბადა და დასაჯდომის ქვეშ დადეს“. თავაზიანად ეპირათ თავი სხვებსაც, ოჯახის წევრების მიმართ კორექტული დამოკიდებულება საერთო წესად იყო აღიარებული; მაგრამ იაკოვლევის უცნაურ მოქმედებაში ნიკოლოზმა უმალვე იგრძნო, რომ, როგორც შემდეგში ჟილიარმა ჩაიწერა მისი ნათქვამი: „ეს კაცი სრულიადაც არ არის ის, ვისადაც ასაღებს თავს“ [48].

6.00. ჯერ კიდევ ბნელა. დილის სქელ ბინდბუნდში მკრთალად მოჩანან გუბერნატორის სახლიდან ირტიშის ნაპირამდე ჩუდინოვის მიერ გზაზე დაყენებული გუშაგების სილუეტები. ტობოლსკს სამარისებური სიჩუმე ჩამოსწოლია. ქალაქს სძინავს. ზოგჯერ გარეუბნებიდან ძაღლების ყეფა თუ მოისმის. ყველა თავის ადგილზეა, თითქოს აყურადებენო გამთენიის ხმებით აღსავსე დუმილს. გაისმა უკანასკნელი ბრძანება, შეიძლება დაძვრა. იაკოვლევი ნიკოლოზის გვერდით ზის: დახურულ კარეტაში რბილ დასაჯდომებზე თავისუფლად სხედან ალექსანდრა თეოდორეს ასული და მარია. დაახლოებულთაგან მიჰყვებიან დოლგორუკოვი და ბოტკინი, მსახურთაგან — ჩემოდანოვი, ტრუპი, ივანე სედნევი, ანა დემიდოვა და ზოგიერთი სხვა. ჩუდინოვი, ზენცოვი და ავდეევი კოლონის გასწვრივ ცხენებს დააჭენებენ. მათ ევალებოდათ კოლონაში წესრიგის დაცვაზე თვალყურის დევნება, ხოლო თუკი რაიმეს შეამჩნევდნენ, განსაკუთრებული რწმუნებულისათვის დაუყოვნებლივ უნდა შეეტყობინებინათ, მისი განკარგულებები ერთმანეთისათვის გადაეცათ. კოლონას თავსა და ბოლოში მიჰყვებოდნენ ჩუდინოვ-ზენცოვის რაზმიდან (მათი ნაწილი იაკოვლევმა ტობოლსკში დატოვა რომანოვების მეორე ჯგუფის შემდგომში გამოსაცილებლად) და ჯერ კიდევ ცარსკოე სელოში ფორმირებული ძველი დაცვის ჯარისკაცებისაგან შემდგარი,

ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულ მებადრაგეთა ცალკეული ჯგუფები. მათ მეთაურობდა პოდპრაპორშჩიკი მატვეევი. ყველას გაუსწრეს და წინ გავიდნენ მზვერავი ცხენოსნები. უკან ერთნაირ დისტანციაზე, ისე რომ კოლონა თვალთახედვის არედან არ დაჰკარგვოდათ, მიდიოდნენ ურალელ და ომსკელ ცხენოსანთა ჯგუფები.

უკვე გამდნარი წყლით დაფარული ირტიშის ყინულები გადასერეს. იაკოვლევი სულმოუთქმელად, გაუჩერებლად მიდენის კოლონას. ხევებში ჯერ კიდევ დევს თოვლი; მაღლობ ადგილებში მიწა მოშიშვლებულა; შარაგზაზე მოძრაობა ზოგჯერ იოლია, ზოგჯერაც ჭირს. „მეეტლეები ყიჟინას სცემენ. ცხენები ისე მიქრიან, თუ ფრთხილად არა ხარ, ეტლიდან ანდა უნაგირიდან გადმოვარდები. მაგრად უნდა იჯდე. გზაზე ადგილ-ადგილ ხან ტალახია, ხან თოვლი. გორახები მგზავრებს სახეში ხვდებათ. ტალახსა თუ ქვიშას კბილებში უსიამოვნო კრაჭაკრუჭი გაუდის“ [49].

პირველად ცოტა ხნით ტობოლსკიდან 90 ვერსის მოშორებით შეისვენეს. საგზაო სამიკიტნოში მგზავრებმა ჩაი დალიეს. წინასწარ მომზადებულ სხვა ეკიპაჟებში გადასხდნენ და კოლონა ისევ გზას გაუდგა.

პირველ დღეს 130 ვერსი გაიარეს და ღამე (26-დან 27 აპრილისაკენ) ტავდისა და ტობოლის შესაყართან სოფელ იევლევში გაათიეს. მებადრაგეებმა ორსართულიან საგზაო სახლში ოჯახის სამი წევრისათვის ტობოლსკიდან წამოღებული დასაკეცი საწოლები შეათრიეს. დილის 8 საათზე, ისაუზმეს თუ არა, გზას გაუდგნენ. რადგანაც წყალს ადგილ-ადგილ უკვე ყინულის ზემოთ გამოეყონა, მდინარე ტობოლი წვალებით გადალახეს. ალექსანდრა თედორეს ასულმა შიშის გამო მდინარით გადასვლაზე უარი განაცხადა. ახლომახლო სოფლებიდან ფიცრები მოიტანეს და გადასასვლელი შეკრეს. ალექსანდრა თედორეს ასულმა და მარიამ, ბოტკინისა და დოლგორუკოვის დახმარებით, ფიცარნაგებზე გადაიარეს, ხოლო ათი საჟენი ბორნით გაცურეს. ნიკოლოზმა ბორნამდე ყინულებზე პირდაპირ ეტლით გადაიარა. იგი საერთოდ მთელი გზა გამოცოცხლებული იყო, თავისუფლად ეჭირა თავი, ბევრს ელაპარაკებოდა იაკოვლევს, ირგვლივ მყოფთ. მეეტლე სევასტიანოვი შემდეგში ჰყვებოდა: „მეფე სულ იაკოვლევთან საუბრობდა, უფრო კამათობდა როგორც პოლიტიკაზე, ისე სხვა საკითხებზე, მაგრად დაჯაბნა, ორივე ბეჭით პირდაპირ ხალიჩაზე გააკრა“. ნიკოლოზმა სევასტიანოვს სადავის მიცემა სთხოვა, მაგრამ მან უარი უთხრა. ეს

ცხენები, მიუგო მეეტლემ, „ფიცხები არიან, ციმბირული... ისე რომ, თქვენო უდიდებულესობავ, ვაითუ მათ თავი ვერ დაუჭიროთ“...

როცა ცხენზე მჯდომი ავდეევი ერთხელ ეტლს გაუსწორდა, ნიკოლოზმა ჰკითხა, რამდენ წელიწადს მსახურობდი ცხენოსანთა ჯარშიო. მან უპასუხა: „არც ერთი დღე“. „რის შემდეგაც, — იგონებს ავდეევი, — ნიკოლოზმა უნდობლად შემომხედა და მე იძულებული გავხდი ამეხსნა მისთვის, რომ ცხენზე ჯდომა ბავშვობიდან, ყირგიზეთის სტეპში ვისწავლე“ [50].

მას აინტერესებდა გაეგო, თუ ვინ იყვნენ ისინი, რომელთა ხელშიაც მოხვდა. იგი ყოველნაირად ცდილობდა ავდეევთან გამოლაპარაკებისას გაერკვია, რა უნდოდათ მისგან. სანამ იაკოვლევი კოლონის ბოლოში რაღაცას აწესრიგებდა, ერთ-ერთ გადასარბენზე ავდეევს ეტლში ჯდომა ყოფილი მეფის გვერდით მოუხდა.

გზაში ლაპარაკი თითქმის შეუძლებელია. ტალახის გორახები მოფრინავენ. მაგრამ ნიკოლოზს უნდა, რომ გამომელაპარაკოს. პორტსიგარი ამოიღო და პაპიროსი შემომთავაზა. უარი ვუთხარი: არ ვეწევი-მეთქი. გაჩუმდა, შემდეგ კი მკითხა:

— მითხარით, გეთაყვა, რომელი სასწავლებელი დაამთავრა თქვენმა კომისარმა?

— რამდენადაც ვიცი, — ვეუბნები, — მას მარტო ელექტროტექნიკური სკოლა აქვს დამთავრებული.

თავი დამიქნია. ამ მომენტში უკანა ბორბლიდან ეტლში ტალახმა შემოასხა და გორახი მეფის ფარაჯის სახელოს მოხვდა. მან გორახი აიღო და მაჩვენა.

— აი, ხედავთ, ნიკალაი ალექსანდროვიჩ, — ვეუბნები, — აქ თავის დროზე უნდა გაგეყვანათ რკინიგზა. საგუბერნიო ქალაქია და ასეთ ტალახში კი მოვდივართ.

— დიახ, რა თქმა უნდა, — მიპასუხა მან, — მაგრამ... ყველაფერზე არ გვყოფნიდა მაშინ სახსრები.

კიდევ რაღაცაზე ჩაფიქრდა და უცბად შემეკითხა:

— მითხარით, თქვენ რა სამხედრო განათლება გაქვთ მიღებული? რომელი სამხედრო სასწავლებელი დაამთავრეთ?

— ოჰ, არა, ნიკალაი ალექსანდროვიჩ, არავითარი სამხედრო განათლება არ მიმიღია.

— ეს როგორ? — გაკვირვებით შემობრუნდა ჩემკენ და პირდაპირ სახეში მომაშტერდა. — თქვენ ხომ ამ რაზმის უფროსი ხართ.

— დიახ, — ვუპასუხე მე. — რაზმის უფროსი გახლავართ. მაგრამ ჩვენთან ამისათვის განათლება აუცილებელი არ არის. — პაუზის შემდეგ დავსძინე: — ყოველ შეათხვევაში, ახლა.

მან მხრები აიჩეჩა და გაჩუმდა, რითაც სრული დაბნეულობა, უფრო სწორად, გაუგებრობა გამოხატა [51].

თავისი მეუღლისაგან განსხვავებით ალექსანდრა თეოდორეს ასული მთელი გზა მოჟამული იყო, ხმას თითქმის არ იღებდა. მარიას თავი

გულღიად ეჭირა, დაცვის მებრძოლებთან სიამოვნებით ლაქლაქებდა. გაჩერებაზე იაკოვლევი ორივე მანდილოსნის ახლოს ტრიალებდა და თავაზიანი კავალრის კვალობაზე, ხუმრობდა და ანეკდოტებს ჰყვებოდა. სოფელ პოკროვსკიდან, სადაც კოლონა რასპუტინის სახლთან შესასვენებლად გაჩერდა, მან ტობოლსკში კობილინსკის სახელზე დეპეშა გაგზავნა: „გზას მშვიდობიანად განვაგრძობთ... როგორია პატარას ჯანმრთელობა. ღმერთი იყოს თქვენი შემწე. იაკოვლევი“. აქ ყოფილ დედოფალს შესაძლებლობა მიეცა კიდევ ერთხელ გაძოეტირებინა რასპუტინი. ვ. ალექსანდროვი განმარტავს: „ამრიგად, ორჯერ შეძრა პოკროვსკი სასიკვდილო როკვის მსგავსმა იძულებითმა ლოცვამ დატყვევებული რომანოვებისა, რომლებიც გაქცევის მთელ იმედს ვერაგ მოღალატეზე — გრძნეული ბერის სიძეზე ამყარებდნენ“ [52].

ასე მიდიოდნენ ერთი სადგურიდან მეორემდე; მიაღწევდნენ თუ არა შემცვლელ ეკიპაჟებს, რომლებიც მათ ელოდნენ, გადასხდებოდნენ და იაკოვლევის დაჩქარებით კვლავ წინ მიქროდნენ. შესახვედრად გამოსული პეტრე გუზაკოვის რაზმი კოლონას შეუერთდა. იაკოვლევმა გუზაკოვი რაზმის მეთაურად გამოაცხადა, ხოლო ჩუდინოვი — მის მოადგილედ.

გზადაგზა, სოფლებში, ყველამ იცოდა, რომ ყოფილი მეფე-დედოფალი მოჰყავდათ, თუმცა გადაყვანის ორგანიზატორები ცდილობდნენ ეს ამბავი არ გაეხმიანებინათ. იმ ადგილებში, სადაც დილით ანდა შებინდებამდე უწევდათ გავლა, ქუჩები ხალხით იყო სავსე. ზოგიერთები უკეთ დასანახად სახლების სახურავებზე, სამრეკლოებზე, ხეებსა და ღობეებზე ასულიყვნენ. უმეტესად უჩუმრად ადევნებდნენ თვალს, მაგრამ ხანდახან ნიკოლოზამდე მაინც აღწევდა შემდეგი დამცინავი შეძახილები: „რა, მოიმეფეევ?“ „რა, მოიომე?“ „მოგვინელე ხომ, ჰა?“.

მაგრამ მგზავრობისას სხვაგვარი შემთხვევებიც იყო. ერთ ადგილას ცხენების გამოსაცვლელად შეჩერდნენ. მთელმა სოფელმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ მოხუცებიცა და ახალგაზრდებიც. ათვალიერებდნენ მეფეს, დედოფალს, მარიას. რომელიღაც მოხუცმა ჩუდინოვს ჰკითხა:

— ყმაწვილო, ეი, ყმაწვილო, სიკეთე ჰქენი და, თუ ღმერთი გწამს, მითხარი: სად მიგყავთ, თქვე წყეულებო, ჩვენი მამა-მეფე? მოსკოვში თუ?

— მოსკოვში, ბაბუა, მოსკოვში.

გასაგებიაო, თავი დაუქნია მოხუცმა.

— მადლობა ღმერთს, რომ მოსკოვში. ახლა, მაშასადმე, ჩვენთან, რუსეთში, ისევ წესრიგი დამყარდება[53].

ტყეები და მდინარეები, ყინულები და ხიდები, ხოლო ბორნით სამი ვრცელი მდინარე გადალახა კოლონამ იაკოვლევის უფროსობით და 40 საათში 280 ვერსი დაფარა, საღამოს ათი საათისათვის ისინი ტიუმენში შეკიდნენ.

ქალაქის მისადგომებთან კოლონას შეხვდა ცხენოსანთა ესკადრონი საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარის ნ. მ. ნემცოვის მეთაურობით და იგი ქალაქის ვაგზლამდე მიაცილა. შემდგომ, ოციან წლებში, ამ ეპიზოდის შესახებ იგი იგონებდა:

სამხედრო კომისარ ამბანაგ პერმიაკოვთან ერთად გავედი მეფის შესახვედრად. ერთი ესკადრონი ყოველი შემთხვევისათვის ტიუმენიდან ათ კილომეტრზე დავაყენე.

მეფეს ტიუმენიდან 35 ვერსის დაშორებით შევხვდით. სოფლის სკოლასთან გაჩერებულებმა შორიდანვე დავინახეთ კორტეჟი, რომელიც ჩვენ გვიახლოვდებოდა. ყოფილი მეფე სწრაფი ცემბირელი სამცხენიანი ეტლით მოაბრძანეს აქ გადმოსახლებულ ყოფილ პატიმართან, ახლა უკვე გუბერნიის ხელმძღვანელთან, ანუ ჩემთან. თავი გავაცანი, დავესახელე შენობა, სადაც შეეძლო დაცდა, სანამ ცხენებს შეეცვლიდით. ამასთან ვკითხე, როგორ გრძნობდა თავს, როგორ შეეგება მგზავრობას.

გმადლობთ, კარგად, მითხრა მან. მხოლოდ ალექსანდრა თეოდორეს ასული დაიღალა. სწორედ ამ დროს ყოფილი დედოფალი გადმოძვრა ეტლიდან და წარბების ქვეშიდან პირქუშად გამოგვხედა.

ნიკოლოზმა გამოჰკითხა ნემცოვს (ტიუმენის ვაგზალში, მატარებელში ჩასხდომისას) — ვინ იყო იგი, რა განათლება ჰქონდა.

მე მას ვუთხარი, რომ ყოველგვარი უფლება ჩამორთმეული მქონდა და მისი უდიდებულესობის ბრძანებით 1907 წელს ამავე გზით მივდიოდი ეტაპებით გუბერნიის საბოლოო პუნქტში — ობდორსკში[54].

ორთქლმავალმა ბაქანზე ჩამოაყენა ექვსი სამგზავრო ვაგონი. იგი განრიგში აღნიშნული იყო როგორც „სამარა-ზლატოუსტის № 42 რიგგარეშე შემადგენლობა". ჩასხდომა დაიწყო. რომანოვები შუა შემადგენლობაში ჩართულ პირველი კლასის ვაგონში მოთავსდნენ. ამ ვაგონის ცენტრში ცალკე კუპე დაიკავა იაკოვლევმა და მისმა ტელეგრაფისტმა. იაკოვლევის მარჯვნივ მოეწყვნენ ნიკოლოზი და ალექსანდრა თეოდორეს ასული, მარცხნივ — ყოფილი მეფის ქალიშვილი და ანა დემიდოვა. მათ გვერდით — მსახურნი და შინაკაცები. ნაბრძანები იყო, ყველა კუპის კარი მუდამ ღია ყოფილიყო. გასასვლელებთან მდებარე ბოლო კუპეებში მოთავსდნენ ავდეევი, ჩუდინოვი, გუზაკოვი და ზენ-

ცოვი. დერეფნის ბოლოებსა და ტალახში ყარაულები იდგნენ. ამ ვაგონში მყოფი მთელი დაცვა უფის რაზმისაგან შედგებოდა.

შუაღამე თითქმის გადასული იყო (28 აპრილისა), როცა ჩასხდომა და ბარგის ჩატვირთვა დამთავრდა, მთავარი ვაგონის სამ შუა კუპეში მოსამსახურეებმა ლოგინები გაშალეს, აურზაური ჩაცხრა, ბაქანსა და მატარებელში სიჩუმე გამეფდა. გამოჩნდა ნემცოვი. იგი რაღაცაზე მოელაპარაკა იაკოვლევს, ორივენი ტელეგრაფში წავიდნენ. იაკოვლევი მალე დაბრუნდა (ნემცოვის გარეშე), ვაგონებს ჩამოუარა და მებრძოლთა რიგებს გადასცა, რომ იგი ახლახან ელაპარაკა მოსკოვს და ნებრძანები აქვს გეზი აიღოს არა ეკატერინობურგისაკენ, როგორც აერე იყო დაგეგმილი, არამედ მოსკოვისაკენ მარშრუტით — ომსკი — ჩელიაბინსკი — სამარა. დილის 5 საათზე (28 აპრილს), როცა მგზავრებს თავიანთ კუპეებში ეძინათ, მატარებელი № 42 ნელა დაიძრა ადგილიდან და ომსკის მიმართულებით აიღო გეზი.

ურალის საბჭოს მორიგე იმ დილით ელოდა სატელეგრაფო ცნობას № 42 მატარებლის ტიუმენიდან ეკატერინობურგის მიმართულებით გასვლის შესახებ. ასეთი ცნობები რომ რეგულარულად გაიგზავნებოდა საბჭოში მატარებლის მსვლელობის მიხედვით, ამის თაობაზე გოლოშჩეკინი და იაკოვლევი ჯერ კიდევ უფაში შეთანხმდნენ. პირველი ცნობა (მატარებლის გასვლაზე) საბჭოში 28 აპრილს დილის 6 საათზე უნდა მისულიყო. მაგრამ იგი არ ჩანდა. მორიგე შეშფოთდა. ურალის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. გ. ბელობოროდოვის მითითებით ტიუმენში ტელეგრაფით შეკითხვა გაგზავნა. პასუხი არ მიუღიათ. როცა გზაში ჩამორჩენილი ურალის ცხენოსანთა რაზმი ტიუმენში მივიდა და მატარებლის ომსკის მიმართულებით გასვლის ამბავი შეიტყო, ეკატერინობურგელმა ხელისუფლებმა მხოლოდ დილის 10 საათზე გაიგეს თავიანთი წითელგვარდიელებისაგან გამოგზავნილი დეპეშით, რომ იაკოვლევმა რაღაც ავანტიურა წამოიწყო.

სასწრაფოდ მოიწვიეს აღმასკომის ძრეზიდიუმის სხდომა. მან გადაწყვიტა მიეღოთ საგანგებო ზომები. გრიფით „ყველას, ყველას, ყველას“ ეკატერინობურგიდან მთელს რუსეთში ტელეგრაფით გადასცეს მოწოდება, წინ აღდგომოდნენ იაკოვლევის მიერ ჩაფიქრებულ დანაშაულს. ურალის საბჭომ იაკოვლევი რევოლუციის საქმის მოღალატედ გამოაცხადა და იგი კანონს გარეშე დააყენა.

ურალელთა მოწოდებას გამოეხმაურა დასავლეთ ციმბირის საბჭო. ომსკიდან წავიდა ცხენოსანთა რაზმი, იგი ჩქარობდა გზა გადაეჭრა ია-

კოვლევისათვის საკვანძო სადგურ კულომზინოსთან, საიდანაც მატარებელს შეეძლო ჩელიაბინსკისაკენ მოხვევა.

ურალელთა რაზმების მეთაურებმა, რომლებიც იაკოვლევს ტობოლსკიდან ფეხდაფეხ მოჰყვებოდნენ, ტიუმენიდან პირდაპირი ხაზით ვადასცეს მოსკოვში სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს სასწრაფო ცნობა მომხდარი ამბის შესახებ და ითხოვეს გაეგზავნათ განკარგულება ომსკში, რათა მატარებელი, რომელშიაც რომანოვები იყვნენ, ეკატერინობურგისკენ წასულიყო.

ამასობაში იაკოვლევი, რომელიც მაქსიმალურად ჩქარობდა, გზაში იგებს, რომ მდევარი დაადევნეს. ლიუბინსკის სადგურში ორთქლმავალს და ერთ ვაგონს ხსნის, მატარებელს დამცველ რაზმს უყენებს და თავად ომსკში მიემგზავრება. დასავლეთ ციმბირის საბჭოს წარმომადგენელი მას ვაგზალში ხვდება, ურჩევს „გონს მოვიდეს, სანამ გვიან არ არის". დაემორჩილოს მითითებას და ეკატერინობურგში წავიდეს. იაკოვლევმა მოისურვა კიდევ ერთხელ მოლაპარაკებოდა ცენტრს. დაკავშირეს თუ არა სვერდლოვს, იცრუა, თითქოს ურალელებმა და ომსკელებმა შეთქმულება მოაწყვეს მის წინააღმდეგ და თავად მას მგზავრებთან ერთად „შურისძიება" ემუქრება. სთხოვს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ნებართვას, წაიყვანოს რომანოვები და გადამალოს „შესაფერის ადგილას", სადაც მისი, იაკოვლევის, ზედამხედველობით მათ „ვითარების გარკვევამდე" მოცდა შეეძლებათ. სვერდლოვმა უბრძანა მას გამგზავრებულიყო ეკატერინობურგში და რომანოვები ურალის საოლქო საბჭოსათვის ჩაებარებინა.

იაკოვლევი მიხვდა, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. კულომზინოდან გაჭრა შეუძლებელი იყო. არ ჰქონდა იმის იმედი, რომ მატარებლის დაცვა და მისი თანაშემწენი შემდეგშიაც დაუჯერებდნენ, თითქოს მოსკოვიდან აქვს მიღებული მითითებები, ამიტომ მატარებელთან დაბრუნებისთანავე გასცა ბრძანება, უკან, ტიუმენში, მიბრუნებულიყვნენ და გეზი ეკატერინობურგის მიმართულებით აეღოთ.

იაკოვლევის მოქმედებაში, როგორც ჩანდა, ზუსტი გაანგარიშება გამორიცხული იყო. იგი მიზნის მიღწევას შექმნილ ვითარებათა გამოყენებით იმედოვნებდა. თავდაპირველად უნდოდა ცენტრალურ გუბერნიაში გაჭრილიყო, ხოლო იქიდან სასურველი პირობების შემთხვევაში სამხრეთისაკენ, გერმანიის საოკუპაციო ზონის საზღვრისაკენ მოეხვია. შემდეგ, როგორც მისი „ველტ ამ ზონტაგელი" თაყვანისმცემლები

აღნიშნავენ, „მის ანგარიშებში გარკვეული ადგილი დაიკავა იმ მოსაზრებამაც, რომ ომსკის იქით, თუ მას მიაღწევდნენ, გადაიშლებოდა წყნარი ოკეანისაკენ მიმავალი ათასკილომეტრიანი თავისუფალი გზა“ [55]. შემდეგ მან მეორე ვარიანტიც შეიმუშავა: გადმოესხა რომანოვები სამარისაკენ მიმავალ გზაზე და ისინი უფის გუბერნიის მთებში გადაემალა (იაკოვლევი, მისივე თქმით, წარმოშობით აქედან იყო).

თვითონ რომანოვები, როგორც ჩანს, ნიხვდნენ, რომ ეს კაცი მათ გაქცევას ამზადებდა და ამიტომ მის მიმართ ნელ-ნელა ნდობით განიმსჭვალნენ. შუა ოთხი კუპის ოჯახურ თათბირებზე ალექსანდრა თეოდორეს ასული ამბობდა: „კარგი კაცია, იგი კეთილმა ხალხმა გამოგვიგზავნა. მას ჩვენთვის სიკეთე სურს“. ნიკოლოზმა მის შესახებ განაცხადა: „ცუდი კაცი არ არის, პირდაპირია, მე იგი ნამდვილად მომწონს“. იაკოვლევის მიმართ რომანოვების ასეთ დამოკიდებულებას საფუძვლად ედო მათი ვარაუდი, რომ, როგორც სოკოლოვი ამბობდა, მისი დანიშნულებით „გერმანელები ხელმწიფესა და მის ოჯახს მიიყვანდნენ რუსეთის ტერიტორიაზე განლაგებული თავიანთი შეიარაღებული ძალების ახლოს“. ყოფილმა მეფემ, იმავე ავტორის სიტყვებით, „სწორად გაუგო იაკოვლევს... ბოლშევიკის ნიღაბს ამოფარებული, ცდილობდა მეფისა და უფლისწულის წაყვანას, რათა ამით შეესრულებინა გერმანიის ნება-სურვილი. თუ გულისყურით მოვეკიდებით იმას, რასაც იაკოვლევი ტობოლსკსა და გზაში აკეთებდა, ამის დაუნახაობა შეუძლებელია. წაყვანის მიზანი, ეჭვგარეშეა, პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა“. და შემდეგ, როცა კიდევ ერთხელ დაისვა საკითხი, „რა ძალას, რატომ და საით მიჰყავდა მეფე“, კოლჩაკელმა გამომძიებელმა სოკოლოვმა აღიარა, რომ ნიკოლოზმა, სიმართლე რომ ვთქვათ, „თავად გასცა პასუხი ამ შეკითხვებზე. იაკოვლევის სახით. ამ „კარვსა და პირდაპირ კაცში“, მან დაინახა გერმანელების წარმოგზავნილი“. ბოლშევიკების განზრახვისადმი მტრულად გაწყობილი იაკოვლევი სხვა, არაბოლშევიკური ძალის მიერ იყო მოგზავნილი. მოქმედებდა რა მისი დირექტივებით, მას მეფე მიჰყავდა არა ეკატერინობურგში, არამედ ცდილობდა ომსკის გავლით ბოლშევიკებისათვის მიუწვდომელ ადგილას გაეყვანა [56].

ცდა უშედეგო გამოდგა. ავანტიურა ჩაიფუშა. ციმბირის რკინიგზის მაგისტრალზე წრიალი ორმხრივი ჯაშუში-დივერსანტისა, რომელიც საკუთარ თავს იაკოვლევს უწოდებდა, წარუმატებლად დამთავრდა.

ბთავარ მგზავრს ეს წარუმატებლობა მაშინვე არ შეუნიშნავს. ეჭვი

მან მხოლოდ ლიუბინსკში დგომის შემდეგ აიღო. გზად შემხვედრი სადგურების სახელწოდებებით, დაცვის ფაციფუცით, მებადრაგეთა ყურმოკრული ლაპარაკით მიხვდა, რომ მოსკოვში არ მიდიოდა. როცა ღამით მატარებელმა ტიუმენი გაიარა, დარწმუნდა, რომ ეკატერინობურგში მიდიოდა. 30 აპრილს, გამთენიისას, თავის კუპედან გამოსვლისთანავე მან დერეფანში მდგარი პ. მ. მატვეევი დაინახა და აშკარად ანერვიულებულმა მისკენ გასწია. ეს უკანასკნელი შემდეგში იგონებდა:

უცბად იგი მეკითხება:

— მითხარით, საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილია, რომ ჩვენ ეკატერინობურგში დავრჩებით?

ჩემგან დამაკმაყოფილებელი პასუხის მიღების შემდეგ, მან მითხრა:

— ურალის გარდა, სადაც უნდა იყოს, იქ წავალ.

ჩემს შენიშვნაზე: სულ ერთი არ არის სადაც წავალთ, რაკი რუსეთში ყველგან საბჭოთა ხელისუფლებაა დამყარებული-მეთქი, მან მიპასუხა, რომ ურალში დარჩენა მაინც არ სურდა, რადგანაც ადგილობრივი გაზეთების თანახმად, ურალელი მუშები მის მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილი.

ნემცოვის მიერ ჯერ კიდევ ტიუმენიდან გამოგზავნილი დეპეშის თანახმად ერთ-ერთ სადგურში სადილი მოემზადებინათ. ჩუდინოვის მიპატიჟებით „სალონ-ვაგონში გაშლილი მაგიდისაკენ გაემართა ყველა". ყველა — ალექსანდრა თედორეს ასულის გარდა. თავიანთი სიცოცხლის ბოლო ხანებში ცოლსა და ქმარს ირგვლივ არსებულზე სხვადასხვანაირი შეხედულებები ჰქონდათ. ყოფილ დედოფალს ჯერ კიდევ არ განელებოდა ბრაზი და სიძულვილი, ყოფილ მეფეს კი კვლავ შედარებით დინჯად და ზრდილობიანად ეპირა თავი, მარტო წუთიერად თუ გამოავლენდა ხოლმე ნერვიულობას.

ქვედა საწოლზე მიწოლილი დედოფალი როცა დერეფანში იყურებოდა, თვალებში ეტყობოდა, რომ ყველა და ყველაფერი, რაც კი ირგვლივ ხდებოდა, სძულდა და ეზიზღებოდა. ეს იყო თვალები ძუ ვეფხვისა, რომელიც უძლურია გალია გატეხოს. იგრძნობოდა: მას რომ ძალა და უფლება ჰქონოდა, თითოეულ ჩვენგანს საკუთარი ხელით გაგლეჯდა. ნიკოლოზი მასთან შედარებით სრულიად საწინააღმდეგო პიროვნება იყო. მთელ გზაზე, ყოველი შეხვედრისას, რაც დღეში რამდენჯერმე ხდებოდა ხოლმე, ყოველგვარი საჭიროების გარეშე დამამცირებელი ლაქუცით ესალმებოდა კომისარს, უფროსსა და ჩვენს რიგით ამხანაგებსაც კი.

დიდ სადგურებში შესვლისას შუა ვაგონის გუშაგები ფანჯრებზე ფარდებს აფარებდნენ. კონსპირაცია ყოველმხრივ ხორციელდებოდა.

და მაინც მატარებლის მისვლისას სადგურებში ხალხი იკრიბებოდა.

შეკრებილნი შეკითხვებს გვაყრიდნენ:

— ვინ მოდის ვაგონით?

ჩვენც მათ ასე ვპასუხობდით:

— უცხოეთის მისია[57].

იაკოვლევის მიერ სადგურებში ნაყიდი გაზეთებიდან ნიკოლოზმა იცოდა, რომ ურალელი მუშები „მის წინააღმდეგ“ იყვნენ განწყობილნი. მაგრამ ის კი არ იცოდა, თუმცა ახლა ამას მისთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რომ ურალელებმა იაკოვლევი ამხილეს. სხვათა შორის, ყოფილმა განსაკუთრებულმა რწმუნებულმა ადვილად დაიძვრინა თავი.

ტობოლსკის ექსპედიციიდან შინ დაბრუნების შემდეგ ეკატერინობურგელი მებრძოლები, რომლებიც იაკოვლევის კოლონას უკან მიჰყვებოდნენ, ურალის საბჭოში მივიდნენ მოთხოვნით: დაეპატიმრებინათ განსაკუთრებული რწმუნებული და მისი მატარებელი გაეჩხრიკათ. ეს არ გაუკეთებიათ. მხოლოდ იმით დაკმაყოფილდნენ, რომ იაკოვლევი მარტო ახსნა-განმარტების დასაწერად გამოიძახეს. ავდეევმა და ზასლავსკიმ აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მკაცრი ბრალდებები წამოაყენეს. იაკოვლევი მათ მტკიცედ და მოურიდებლად პასუხობდა. იგი განმარტავდა, რომ მას ნამდვილად ჰქონდა მითითებული რომანოვების ეკატერინობურგში წაყვანა, მაგრამ გზაში თითქოს შენიშნა, რომ აედეევი და ზასლავსკი რომანოვებზე თავდასხმას აპირებდნენ. რადგანაც ი. მ. სვერდლოვმა გააფრთხილა იგი, ყოველნაირი საშუალებებით დაეცვა მეფის ოჯახი, ამიტომ გადაწყვიტა ისინი სხვა მიმართულებით წაეყვანა. წარადგინა მოსკოვთან თავისი ლაპარაკის სატელეფონო ლენტი. მასში აღნიშნული იყო, რომ რომანოვებისათვის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით იგი ითხოვდა ნებართვას, წაეყვანა ისინი უფის გუბერნიაში და დროებით „მთებში“ დაემალა, რაზედაც უარი უთხრეს. მოისმინა რა განსაკუთრებული რწმუნებულის არეულ-დარეული ახსნა-განმარტება, ურალის საბჭომ, რომელიც დაკმაყოფილდა იმით, რომ რომანოვები უკვე ჩამოყვანილი იყვნენ და საიმედო ადგილზე იმყოფებოდნენ, გადაწყვიტა მშვიდობიანად გაეშვა იაკოვლევი მოსკოვში (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიდკოვსკიმ თქვა: „დაე. მათ იქ მასთან გაარკვიონ ყოველივე“).

მოსკოვიდან იაკოვლევმა უპირველეს ყოვლისა დეპეშა გაუგზავნა ტობოლსკში თავის თანაშემწეებს, რომლებიც დატოვებული იყვნენ

უფის რაზმის ნაწილში. მასში ნათქვამი იყო: „შეკრიბეთ რაზმი. გაეძგზავრეთ. რწმუნებანი ჩავაბარე. შედეგებზე პასუხს არ ვაგებ. იაკოვლევი“.

იგი სამარის ფრონტზე სამხედრო კომისრად დანიშნეს. 1918 წლის ოქტომბრის ერთ ბნელ ღამეს მან გადალახა თავდაცვის ხაზი და მოწინააღმდეგის მხარეზე გადავიდა. როცა თეთრგვარდიელ ჩეხ გენერალ შენიხს მიუყვანეს, მან განუცხადა თავისი სურვილი, „იარაღი მიემართა კომუნისტების წინააღმდეგ“. იგი კოლჩაკის არმიაში მიიღეს. იმ დღეების თეთრგვარდიულ გაზეთებში მოათავსა სტატიების სერია, რომლებშიაც ინანიებდა თავის „ბოლშევიკურ“ ცოდვებს. მაგრამ ვეოც მონანიებამ, ვერც რომანოვების წაყვანისა და გადარჩენის ცდამ ვერ გაუწიეს სამსახური გამხეცებული თეთრგვარდიელების წინაშე. 1918 წლის 30 დეკემბერს კონტრდაზვერვის პოლკოვნიკის კლეცანდის ბრძანებით იაკოვლევი დააპატიმრეს და კოლჩაკის შტაბში გაგზავნეს. იქ იგი ავსტრია-უნგრეთის არმიის ყოფილ ოფიცერთან, „მთავარსარდლის შტაბთან“ არსებული კონტრდაზვერვის რაზმის უფროსთ ნ, თეთრგვარდიელ ჩეხ პოლკოვნიკ ზაიჩეკთან მოხვდა. ამ უკანასკნელის ხელიდან მან ცოცხალმა ვეღარ დააღწია თავი.

სოკოლოვი თავის წიგნში ლანძღავს ზაიჩეკს „მეფის ოჯახის ყოფაცხოვრებისა და განცდების უკანასკნელი ეტაპის მნიშვნელოვანი მოწმის უსარგებლო და საოცრად უაზრო მოსპობისათვის“.

30 აპრილს დილის 9 საათისათვის მატარებელმა № 42-მა დაამუხრუჭა და ნელ-ნელა მიუახლოვდა ეკატერინობურგს. ვაგზლის წინა მოედანზე ხალხი — ადგილობრივი მოსახლეობა, უმეტესად მუშები შეიკრიბნენ, მოსალოდნელი იყო ექსცესები. სადგურში მოსულმა საბჭოს პრეზიდიუმის წევრებმა რკინიგზის ადმინისტრაციას მიუთითეს: საბი რომანოვი სადგურ ეკატერინობურგ-მესამეში (სატვირთოში) გადმოესვათ და შემდეგ ჩამოეყვანებინათ მატარებელი ვაგზალში დარჩენილი მგზავრებით.

ქალაქში შესვლამდე დიდი ხნით ადრე ჩასასვლელად გამზადებული რომანოვები თავიანთ კუპეში იდგნენ. მატარებელი ვაგზლიდან ორი ვერსის დაშორებით გაჩერდა. სამი მგზავრი ბაქანზე ჩავიდა. იაკოვლევი ისე გამოემშვიდობა მათ, რომ საგულდაგულოდ გაპარსულ სახეზე ემოციის რაიმე ნიშანწყალიც არ დასტყობია.

უკაცრიელ სადგურ ეკატერინობურგ-მესამის მოედნის შუაგულში, რომელიც წითელგვარდიული კორდონით იყო გარშემორტყმული, ორი

ავტომობილი იდგა. სასაწყობო ბეღლების მხრიდან სამი რომანოვი გამოჩნდა ავდეევის თანხლებით. მათ ურალის საბჭოს თავმჯდომარე ა. გ. ბელობოროდოვი, მისი მოადგილე ბ. ვ. დიდკოვსკი და საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. თ. ი. გოლოშჩეკინი შეხვდნენ. მისალმების შემდეგ ბელობოროდოვმა სთხოვა ჩამოსულთ, ადგილები დაეკავებინათ მანქანებში.

პირველი ავტომობილის უკანა სავარძელზე ნიკოლოზი, მისი მეუღლე და ქალიშვილი დასხდნენ; შოფერ საბოხვალოვის გვერდით აღგილი დიდკოვსკიმ დაიკავა, მეორე ავტომობილში — ბელობოროდოვმა და ავდეევმა, უკანა სავარძელზე — გოლოშჩეკინმა, შოფრის გვერდით — ზაგორუიკომ *.

მებადრაგეთა და დაცვის გარეშე, ისე რომ ქუჩაში დილაადრიან გამოსულ გამვლელ-გამომვლელთა ყურადღება არ ჩიექციათ, ბელობოროდოვის ნიშანზე მანქანები ცენტრისაკენ დაიძრნენ.

ცოტა უფრო ახლოს გავეცნოთ რომანოვების თანმხლებ სამ პირს, რომლებიც უახლოეს რამდენიმე კვირაში გადამწყვეტ გავლენას მოახდენენ მეფის ოჯახის საბოლოო ბედზე.

ალექსანდრე გრიგოლის ძე ბელობოროდოვი იმდროისათვის 27 წლის გახლდათ. სოლიკამსკთან ახლოს ალექსანდრეს ქარხნის მუშის ოჯახიდან. აქ დაამთავრა დაწყებითი სკოლა. ნადეჟდინის ფოლადსარელსო ქარხნის სახელოსნოს აირელექტრულ საამქროში მუშაობდა მოწაფედ, იყო იმავე საამქროს კანტორის უფროსის თანაშემწე. 1907 წელს, როცა მას ჯერ კიდევ 16 წელიც არ შესრულებოდა, შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ნადეჟდინის ორგანიზაციაში. შემდეგ სოლიკამსკის ახლოს ლუნევსკის მაღაროში ელექტრომონტიორად მუშაობდა. 1908 წლის დამდეგს პირველად დაიჭირეს და დაახლოებით ოთხი წელიწადი ციხეში იჯდა. 1917 წელს მუშაობდა ლისვენის ქარხანაში. აქედან აირჩიეს ურალის საბჭოების პირველი ყრილობის დელეგატად პერმში, ურალის საოლქო პარტიულ კონფერენციაზე (სადაც პირველად შეხვდა და დაუმეგობრდა ი. მ. სვერდლოვს), შემდეგ პეტროგრადში, პარტიის აპრილის კონფერენციაზე, სადაც ნახა და მოუსმინა ვ. ი. ლენინს. რამდენადმე მოგვიანებით ურალის დელეგაციის შემადგენლობაში კვლავ მიემგზავრება პეტროგრადში რსდმპ (ბ) VI ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. ურალის საოლქო საბჭოს თავმჯდომარედ ბელობოროდოვი არჩეულ იქნა რომანოვების ეკატერინობურგში გამოჩენამდე სამი თვით ადრე [58].

მისი მოადგილე ურალის საბჭოს ხელმძღვანელობაში ბორის ვლადიმერის ძე

---

* ორივე შოფრის გვარი შეტანილი იყო კოლჩაკის პროკურატურის მიერ „ეკატერინობურგის საქმის“ პროსკრიპციულ სიებში. ჰ. ტ. სამოხვალოვი 1919 წლის მარტში დახვრიტეს ომსკში. ს. ტ. ზაგორუიკო 1919 წლის ივლისში დაპატიმრეს ვლადივოსტოკში და აგვისტოში დახვრიტეს ჩიტაში.

დიდკოვსკი რვა წლით უფროსი იყო. იგი გახლდათ პუტილოვის 127-ე ქვეითი პოლკის შტაბს-კაპიტნის შვილი. იზრდებოდა პეტერბურგის კადეტთა კორპუსში, მაგრამ ნამდვილი განათლება და აღზრდა ცხოვრებამ მისცა. მან კავშირი გაწყვიტა იმ პრივილეგირებულ ფენასთან, რომლიდანაც თავად იყო გამოსული, და რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება. მეფის „ოხრანკამ" აიძულა ემიგრაციაში წასულიყო და საზღვარგარეთ (უმთავრესად შვეიცარიაში) რვა წელიწადი გაატარა. იქ ისმენდა იგი ვ. ი. ლენინის გამოსვლებს, დაუმეგობრდა პ. ლ. ოიკოვს, ჟენევის უნივერსიტეტში მიიღო გეოლოგიურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი. 1913 წლისათვის დაბრუნდა რუსეთში, ურალში, სადაც გაჰყვა რევოლუციონერისა და სწავლულ-გეოლოგის დიდი ხნის ნაცნობარ გზას. მთელი სიცოცხლის მანძილზე მტკიცედ მიჰყვებოდა ამ გზას. იგი ბოლშევიკი იყო 1917 წლის მარტიდან[59].

ურალის სამხედრო კომისარი ფილიპე ისაის ძე გოლოშჩეკინი 42 წლისა იყო. მუშაობდა პარტიის ურალის საოლქო კომიტეტის მდივნად, იყო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. დაიბადა ნეველიაში, გახლდათ პროფესიონალი რევოლუციონერი (პარტიაში იყო 1903 წლიდან). ჯერ კიდევ 1906 წელს შედიოდა პარტიის პეტერბურგის კომიტეტში. შემდეგ პარტიულ მუშაობას ეწეოდა ძოსკოვში, რიგაში, კრონშტადტში, სესტრორეცკში. 1912 წელს პრაღის პარტიულ კონფერენციაზე აირჩიეს რსდმპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში. ბევრჯერ იმყოფებოდა სასამართლო პასუხისგებასა და პატიმრობაში. ნარიმის მხარეში გადასახლებული 1910 წელს გამოიქცა, ტერეხანის გადასახლებიდან პეტროგრადში თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა. იყო პარტიის აპრილის კონფერენციისა და VI ყრილობის დელეგატი. ოქტომბრის შემდეგ მუშაობდა პარტიის პერმის, ეკატერინობურგის საგუბერნიო კომიტეტებისა და ურალის საოლქო კომიტეტის მდივნად, იყო ციმბირის რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი[60].

ფართო ქუჩისა და ვიწრო შესახვევის კუთხეში რომელიღაც სადარბაზო შესასვლელთან გაჩერდნენ. ბელობოროდოვი ავტომობილიდან გადმოვიდა, ნიკოლოზს მიუახლოვდა, რომელიც იმ დროს მეორე მანქანიდან გადმოდიოდა, და უთხრა:

— მოქალაქე რომანოვ, თქვენ შეგიძლიათ სახლში შებრძანდეთ.

* *

დასავლეთის რეაქციული პროპაგანდა სისტემატურად თხზავს ყოველგვარ „კონფლიქტებს", რომლებიც თითქოს ხდებოდა 1918 წელს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებსა და ტობოლსკელ დაცვას შორის რომანოვების ეკატერინობურგში გადაყვანასთან დაკავშირებით.

აი ზოგიერთი ვერსიათაგანი:

მოსკოვს თითქოს რომანოვების საზღვარგარეთ გაგზავნა ჰქონია განზრახული, მაგრამ მისთვის ხელი შეუშლიათ „ზედმეტად რადიკა-

ლურ“ ადგილობრივ ხელისუფალთ. ამის დამტკიცებას ამაოდ ცდილობს იაკოვლევი.

მოსკოვის სანქციის გარეშე ურალი თავად ვერ გაბედავდა რაიმეს გაკეთებას; ამიტომ პასუხისმგებლობა გადაწყვეტილების შედეგებზე მთლიანად ცენტრალურ ხელისუფლებას აწვება;

მოსკოვსა და ეკატერინობურგს შორის ქიშპობისას იაკოვლევმა მოახერხა ცოლ-ქმარ რომანოვების ხელში ჩაგდება, რამაც სასიკვდილოდ გასწირა ისინი:

ერთმანეთში დაობდა ეკატერინობურგი და ომსკი. უსიცოცხლო მოქმედების შედეგად უკანასკნელმა დავა „წაგო“, თუმცა მას ტობოლსკის რაიონში განმკარგულებლის უფლება ჰქონდა;

თითქოს დაცვის ჯარისკაცები თავად აძლევდნენ ნიკოლოზს გაქცევის საშუალებას;

ძებადრაგეთა უთანხმოებამ, აგრეთვე კობილინსკის, პანკრატოვის, ტატიშჩევისა და გერმოგენს შორის მომხდარმა განხეთქილებამ გაქცევის გეგმები ჩასაფუშად განწირა.

ყველა ეს ვერსია ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა, ხელოვნურად იყო შეთხზული და სინამდვილეში მომხდარმა ამბებმა გააბათილა.

15

სახლი ფერდობზე

სვასტიკა ფანჯრის წალოში

უდიდესი სიმტკიცე არის სწორედ უდიდესი ლმობიერება

ლ ო ნ გ ფ ე ლ ო

ნიკოლოზმა ავტომობილის კარი მიაჯახუნა და მიპატიჟებისათვის ბელობოროდოვს დამცინავი ღიმილით მადლობა გადაუხადა. მაგრამ ეოთ წუთს მაინც იწრიალა მანქანასთან, თვალები მოჭუტა და შესასვლელთან მდგარ გუშაგს მიაცქერდა, მთელი სახლი მშვიდად, ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა. პირბადედან თვალი მოავლო ფასადს მისწა ცოლმაც. ყოფილ დედოფალს ზურგსუკან ამოესვეტა და სადარბაზოსთან მდგარ ახალგაზრდა მსროლელს გულღიად გაუღიმა მაცდურთვალებიანმა, ცქვიტმა, ლამაზმა ქალიშვილმა მარიამ.

სახლი ფერდობზე დგას და თუმცა დაბალია, მაგრამ შორიდანვე ჩანს. მისი დანახვა გარეუბნიდანაც კი შეიძლება. მოსკოვის ჟურნალი „პროექტორი“ 1928 წლის 25 ივლისს წერდა:

> როცა ქალაქს მოსკოვიდან უახლოვდები, უკვე რამდენიმე ვერსიდან ხედავ ცაში ბაღლა ატყორცნილ ღია მწვანე ფერის სამრეკლოს. იგი ამაღლების ეკლესიისაა... და ცად აზიდულა ამაღლების მთის ყველაზე მაღალ თხემზე, რომელიც ქალაქს გადმოჰყურებს. მის ძირში, ფერდობზე, მიყუჟულა მიწაში ნახევრად ჩაფლული ორსართულიანი განცალკევებული სახლი უცნაურსამკაულიანი ქათქათა ფასადით.

იგი დგას ვოზნესენსკის პროსპექტისა და მისივე მოსახელე შესახვევის კუთხეში, დიდი და ძველი სამრეწველო ქალაქის ცენტრში, რომელიც (რევოლუციის დროისათვის) 100 ათასამდე მცხოვრებს ითვლიდა. შესახვევს მივყავართ ქალაქის დაბალი კვარტალებისაკენ, განიერ გუბესთან. აღმოსავლეთის მხრიდან, პროსპექტისაკენ, სახლი ერთსართულიანია, უკანა, დასავლეთის მხრიდან, თავდაღმართიდან — ორსართულიანი. რაკი ზეძირკვლის სართული ფერდობს ეყრდნობა, იგი პროსპექტის დონეზე უფრო დაბალია, ამიტომაც ჰგავს ნახევრად სარდაფს. შესახვევში, დაღმართის გასწვრივ, მესერს იქით, სახლს საკმაოდ დიდი, ნახევარი დესეტინა ფართობის ბაღი ეკვრის; არყის, ცაცხვის,

აკაციის, იასამნის დაბურული ხეები სულ ახლოს მიჯრილან ფიცრის პარმაღსა და ეზოში ჩარიგებულ შენობებთან (ეტლების ფარდულთან, საჯინიბოსა და სამეურნეო ფარდულთან). ამ სახლს შედარებით ფართო, ნათელი ფანჯრები და სქელი კედლები აქვს. სახლი მტკიცედ არის ნაგები, ძველმოდურად მძიმეა, თითქოს ოდნავ გამობერილიც — მისიანი პატრონის, ადგილობრივი მკვიდრის, 48 წლის სამთო ინჟინრის, მოიჯარადრისა და კონსერსანტის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე იპატიევის მსგავსად.

მან ეს შენობა თავისთვის ააგო. ქონება საკმარისი ჰქონდა: სამთო სარეწებითა და იჯარებით გამდიდრდა. დარწმუნებული იყო, რომ ამ მოსერხებულ ბუდეში სიცოცხლის ბოლომდე არავინ შეაწუხებდა. მაგრამ სულ სხვაგვარად დატრიალდა საქმე. სადარბაზოში შიკრიკმა დააკაკუნა და უწყება ჩააბარა — ურალის საბჭოში იბარებდნენ. სახლის პატრონი აღმასკომის წევრმა, მომარაგების კომისარმა ვოიკოვმა მიიღო. კომისარმა პრეზიდიუმის დავალებით ბატონ იპატიევს აცნობა, უსვეულო შემთხვევის გამო, რომლის გახმაურებაც ამჟამად არ შეიძლება, ამაღლების პროსპექტზე მდებარე სახლი რეკვიზირებულია და საბჭოს განკარგულებაში გადადისო. მთელი ავეჯი ადგილზე უნდა დარჩენილიყო. სხვა ნივთები შეიძლება საკუჭნაოში მოთავსდეს და დაილუქოს. მათ დაცვაზე პასუხისმგებლობას საბჭო იღებს. კომისარმა იპატიევს ბოდიში მოუხადა შეწუხებისათვის, მაგრამ სახლი 24 საათში უნდა დაცალოს. რეკვიზიცია დროებითია: როგორც კი საჭიროება გაივლის, სახლი პატრონს დაუბრუნდება.

29 აპრილს წითელარმიელები მივიდნენ, იპატიევის თანდასწრებით ნივთები საკუჭნაოში შეიტანეს და კარი დალუქეს, გასაღები მისცეს და იქაურობის დატოვება სთხოვეს. საღამოს მას უკვე საგანგებო დანიშნულების სახლი ეწოდა. მის შიგნით და ირგვლივ გუშაგები განალაგეს.

მეორე დილით სამ მოსულთან ერთად სახლში ურალის საბჭოს თავმჯდომარე ბელობოროდოვი, მისი მოადგილე დიდკოვსკი და აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი გოლოშჩეკინი შევიდნენ. ვესტიბიულში ბელობოროდოვმა იქ მყოფთ ყურადღებისაკენ მოუხმო და განაცხადა:

— შუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და კაზაკთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით ყოფილი იმპერატორი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე რომანოვი თავის ოჯახთან ერთად იცხოვრებს ეკატე-

რინობურგში, აქ, ამ სახლში, და ურალის საბჭოს განკარულებაში დარჩება მანამ, სანამ მას, რომანოვს, გაასამართლებენ. სახლის კომენდანტად ურალის საბჭომ ალექსანდრე დიმიტრის ძე აედეევი დანიშნა. იგი თქვენ წინაშეა. ამჟამად განცხადება, საჩივარი ანდა შეკითხვა ხომ არა გაქვთ? არა... თუ შემდეგში გექნებათ—კომენდანტ ავდეევის ანდა მისი თანაშემწის უკრაინცევის შუამდგომლობით მიმართეთ საბჭოს. ახლა კი მოქალაქე რომანოვებს შეუძლიათ თავიანთი სურვილისამებრ ამ სახლში ისე მოეწყონ, როგორც მათთვის მოსახერხებელია. მათ განკარგულებაში იქნება მეორე სართულის დიდი ნაწილი.

რომანოვების ეკატერინობურგში ჩასვლის შესახებ ოფიციალური ცნობა გაზეთმა „ურალსკი რაბოჩიმ“ 1918 წლის 9 მაისს გამოაქვეყნა:

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, ყოფილი მეფე ნიკოლოზ რომანოვი და მისი ოჯახი ტობოლსკიდან საცხოვრებლად გადაყვანილია ეკატერინობურგში და მოთავსებულია გარე სამყაროსაგან იზოლირებულ ცალკე შენობაში.

ბელობოროდოვი და გოლოშჩეკინი წავიდნენ. დიდკოვსკისა და ავდეევს ახალ მკვიდრთან ერთად მოუხდათ ბინის დათვალიერება, ეს უკვე ტობოლსკის აპარტამენტებს როდი ჰგავდა. იქ თვრამეტი ოთახიც არ ეყოთ და მეზობლად მდებარე კორნილოვის სახლის დაკავება მოუხდათ. აქ კი უფრო ცოტა მისცეს, თუმცა ოთახები აქაც საკმაოდ ფართო იყო და ავეჯითაც კარგად გაწყობილი. ნიკოლოზმა მეუღლესთან და მარიასთან ერთად (მოგვიანებით მარიას მაგივრად ალექსიმ) კუთხის ოთახი დაიკავეს, რომლის ორი ფანჯარა პროსპექტის მხარეს გადიოდა, ორიც — მოსახვევისაკენ. მეზობელი ოთახის ფანჯრებიც მოსახვევს გადაყურებდა, აქ შემდეგში ქალიშვილები დაბინავდნენ. ფანჯრებზე ფარდები ეკიდა, იატაკზე დიდი ხალიჩა ეგო, რბილი დივანი, პატარა მაგიდები და სავარძლები იდგა. ქალიშვილების ოთახიდან კარი სასადილოში გადიოდა. აქ ეძინა დემიდოვას. სასადილოს მოსაზღვრე ოთახი, რომელიც შუაში თაღით იყო გაყოფილი, სასტუმროდ (თუ „დარბაზად“) ითვლებოდა — აქ ეძინათ ექიმ ბოტკინსა და მსახურთ. მზარეული ხარიტონოვი და მისი შეგირდი ლეონიდ სედნევი სამზარეულოში ცხოვრობდნენ. ყარაულები სასადილოს ახლოს ორ ოთახში მოთავსდნენ. — ჩაწერა ნიკოლოზმა დღიურში — აბაზანასა და WK-ში შესვლისათვის უნდა გაუარო საყარაულო შენობის კართან მდგომ მცველს. სახლს ირგვლივ შემორტყმული

აქვს ძალზე მაღალი, ფანჯრებიდან ორი საქონი სიმაღლის ფიცრული მესერი; ირგვლივ განლაგებულან გუშაგები, ასეთივე მდგომარეობაა ბაღშიაც[1].

ნიკოლოზი ვითარებას მშვიდად განსჯის. ალექსანდრა თედორეს ასული ნერვიულობს, გაღიზიანებულია. საუბარი ბარგზე ჩამოვარდა. ყოფილი დედოფალი თავდაჭერის უნარს კარგავს, უხეშობს, ყვირის. დიდკოვსკი მას წესრიგისაკენ მოუწოდებს. „გთხოვთ,— ეუბნება იგი.— ნუ დაივიწყებთ და გახსოვდეთ, რომ თქვენ აქ პატიმრობასა და გამოძიებაში იმყოფებით".

ამ ინციდენტის ვერსია დასავლეთის გამოცემებში შემდეგნაირად არის გაზვიადებული: თითქოს დიდკოვსკიმ მოულოდნელად გამოსტაცა ალექსანდრა თედორეს ასულს ხელჩანთა და რაც კი შიგ ედო, გადაყოთა. ვითომც ამ დროს ნიკოლოზს დაეყვიროს: „რის ნებას აძლევთ თავს? აქამდე ჩვენ თითქოს საქმე გვქონდა წესიერ ადამიანებთან?"

სინამდვილეში ასე როდი იყო. ტობოლსკიდან რომანოვები სწრაფად წამოიყვანეს. მათი ნივთების გასინჯვა მაშინ ვერ მოასწრეს. ეკატერინობურგში ჩამოსვლამდე ურალის საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, კონტროლი დაეწესებინათ მათ უთვალავ ბარგზე. ეს გამოწვეული იყო დაძაბული ვითარების შედეგად. ავტომობილით მოტანილი ჩემოდნები დერეფანში შეიტანეს და წითელარმიელებმა ავდეევისა და მარიას თანდასწრებით გასინჯეს. შემდეგ დიდკოვსკიმ წინადადება მისცა ალექსანდრა თედორეს ასულს შესამოწმებლად წარედგინა სამგზავრო ჩანთაც. ამაზე მან სასტიკი უარი განაცხადა რუსულ, შემდეგ კი ინგლისურ ენაზე. მათ შორის თარჯიმნის როლი ამ დროისათვის ვაგზლიდან ახლად მოსულმა ბოტკინმა იკისრა. მან ავდეევსა და დიდკოვსკის აუხსნა, რომ ალექსანდრა თედორეს ასულს ნივთების გასინჯვა აბუჩად აგდებად მიაჩნია და კომისრებს მაგალითად მოუყვანია კერენსკის კორექტული საქციელი. ამის მიუხედავად, სამგზავრო ჩანთა მაინც შეამოწმეს. დიდკოვსკიმ იქიდან მინიატურული ფოტოაპარატი და ეკატერინობურგის ძალზე დეტალური გეგმა ამოიღო. ალექსანდრა თედორეს ასული ფოტოაპარატს ჩაებღაუჭა და „ინგლისურად ჩვენი მისამართით ისეთ არასასიამოვნო რაღაცეებს გაჰყვიროდა, რომ ბოტკინმა თარგმნაც კი შეწყვიტა"[2].

დიდკოვსკი ცდილობდა გონს მოეყვანა ალექსანდრა თედორეს ასული, შეახსენა, რომ იგი აქ პატიმრობასა და გამოძიებაში იმყოფება,

მაგრამ ამან მაინც ვერ დაამშვიდა. მთელ ამ სცენას ნიკოლოზი გულგრილად, უსიტყვოდ შეჰყურებდა. შემოწმების შემდეგ ჩემოდნები საკუჭნაოში ჩაკეტეს და გასაღები რომანოვებს მისცეს.

როგორც კი დიდკოვსკი და ავდეევი წავიდნენ, ალექსანდრა თეოდორეს ასულმა ჩანთიდან ქიმიური ფანქარი ამოიღო და წვრილად წათლილი წვერით ფანჯრის თეთრ პრიალა წირთხლზე სვასტიკა დახატა, გვერდით კი მიაწერა: 1918 წლის 17/30 აპრილი.

ჟილიარმა ეს სამი თვის შემდეგ ნახა, როცა იგი ამ სახლში თეთრგვარდიელ გამომძიებლებთან ერთად შევიდა. მაშინ მან თავის დღიურში აღნიშნა: „იმპერატრიცას ოთახის ფანჯრის ამბრაზურაზე უმალვე შევნიშნე მისი საყვარელი ნიშანი, „Swastika“, რომელსაც ესოდენ ხშირად ხატავდა ხოლმე. იგი ფანქრით დაეხატა და იქვე მსხვილი რუსული ასოებით აღენიშნა თარიღი 17/30 აპრილი — იპატიევის სახლში მისვლა. ასეთივე ნიშანი, მხოლოდ თარიღის გარეშე, დახატული იყო ორივე კედლის შპალერზე, იმ საწოლის სიმაღლეზე, რომელიც ალბათ მემკვიდრისა უნდა ყოფილიყო“ [3].

ნ. ე. მარკოვმა (მარკოვ მეორე) ემიგრაციაში ყოფნისას, როცა იმაზე ჰყვებოდა, თუ როგორ ცდილობდა რომანოვების წაყვანას, განმარტა: „ჩვენი პირობითი ნიშანი იყო სვასტიკა... იმპერატრიცამ კარგად იცოდა ეს ნიშანი და მას სხვებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებდა...“ [4]

რუსი იმპერატრიცას სვასტიკისადმი სიმპათიურ დამოკიდებულებაზე დღესაც ლაპარაკობენ დასავლეთში. ლონდონის „ტაიმსმა“, ამერიკული ორსერიიანი ფილმის „ნიკოლოზი და ალექსანდრას“ რეცენზირებისას ალექსანდრა თეოდორეს ასულს „მოფაშისტო ბრუნჰილდე“ უწოდა. გ. ალექსანდროვმა თავის წიგნში ის თავი, რომელშიაც რომანოვების იპატიევის სახლში მისვლაა აღწერილი, შემდეგნაირად დაასათაურა: „სვასტიკის ნიშნით“. იგი აღნიშნავდა „ალექსანდრა თეოდორეს ასულის ისტორიული პრიორიტეტის ერთი მიმართულებით გამოვლინებას“, კერძოდ კი: „მანამდე დიდი ხნით ადრე, სანამ კაუჭისმაგვარი ჯვარი მესამე რაიხის ფასადზე ქედმაღლურად გამოისახებოდა, იგი ეკატერინბურგში, იპატიევის სახლის კედელზე, დამხობილმა იმპერატრიცამ მოხაზა“ [5].

ზედმეტი ინტერესი გამოავლინა იპატიევის სახლში ალექსანდრა თეოდორეს ასულმა აგრეთვე ძვირფასეულობისადმი. სად არის? რა ბედი ეწია მათ?

რომანოვების დინასტიის მიერ 300 წლის მანძილზე დაგროვილი განძეულობა პეტროგრადისა და მოსკოვის სასახლეების საცავებში დარჩა. ოქტომბრის შემდეგ მოხდა მათი ნაციონალიზაცია და იგი ალმასისა და ოქროს განსაკუთრებულ სახელმწიფო ფონდში შევიდა. მაგრამ ძვირფასეულობის ნაწილი ტობოლსკში წასვლისას რომანოვებმა თან წაიღეს. მათი შედარებითი მნიშვნელობა თითქოს დიდი არ იყო, მაგრამ აბსოლუტური ერთობლივი ღირებულება ოქროთი მილიონობით მანეთს შეადგენდა. სამეფო სიმდიდრის ამ ნაწილის საბოლოო ბედი ბოლომდე გაურკვეველი დარჩა. განსაზღვრული რაოდენობა, როგორც აღვნიშნეთ, სოლოვიოვის ხელში მოხვდა. რაღაც ნაწილი ტობოლსკში, გუბერნატორის სახლში დარჩა.

იაკოვლევთან ერთად გაურკვეველი მისამართით წამოსვლისას სიჩქარეში ძვირფასეულობა თან არ წამოუღიათ. ახლა, როცა გაირკვა, რომ მათ ტობოლსკი ერთხელ და სამუდამოდ დატოვეს, ექს-იმპერატრიცას უნდოდა თავისი სამკაულები ევაკუირებულთა მეორე ჯგუფის მეშვეობით მიეღო.

„24 აპრილს, — წერს თავის დღიურში ჟილიარი (რომელიც ტობოლსკში ავადმყოფ ალექსისთან დარჩა), — ეკატერინობურგიდან მოვიდა ქალბატონის წერილი. იგი გვატყობინებდა იპატიევის სახლში შესახლებაზე, ოთახების სივიწროვეზე, რომ ისინი ბაღში სეირნობენ, ქალაქი მტვრიანია...“ მაგრამ ეკატერინობურგის მტვერი ეს კიდევ არაფერია. ალექსანდრა თედორეს ასული უფრო მეტად შეშფოთებულია იმ მტვრით, რომელიც სურს წითელგვარდიელთა დაცვასა და საბჭოთა ორგანოების თანამშრომლებს შეაყაროს თვალებში. მსახურთ იგი ხრიკებსა და გაქნილობას ასწავლიდა. ქალიშვილებს, რომლებსაც წინათ რასპუტინის წინაშე ფეხქვეშ გაგებას აჩვევდა, ახლა ორპირობასა და ტყუილებში წვრთნიდა. „ძალზე ფრთხილი გამოთქმებით იგი მიგვანიშებდა, რომ ტობოლსკიდან წამოსვლისას მეტად საიდუმლოდ თან უნდა წამოგვეღო ბრილიანტები. იგი ძვირფასეულობას პირობითად წამლებს უწოდებდა“ [6].

შემდეგ ტობოლსკში ძიძა ტეგლევასადმი ადრესირებული ანა (ნიურა, ნიუტა) დემიდოვას წერილი მოვიდა; მასში გამოთქმული იყო პრაქტიკული მითითებანი, თუ „რა უნდა მოეხერხებინათ ძვირფასეულობისათვის“, როგორ მიეტანათ საიმედოდ, ფარულად ეკატერინობურგში. კონსპირაციული მიზნით ისინი ახლა „სედნევის ნივთებად“ იწოდებოდნენ. ამ მითითებათა თანახმად, „ჩვენ თან წამოვიღეთ სქელი

ნაჭრისაგან შეკერილი რამდენიმე ლიფი. ბამბაში ჩავაწყვეთ ძვირფასეულობა და ეს ბამბა ორი ლიფით დავფარეთ, შემდეგ კი ორივე ერთად გამოვკერეთ ისე, რომ ორივე მხრიდან ბამბით დაფარული ძვირფასეულობა ორ შეკერილ ლიფს შორის მოჰყვა“.

ამგვარად ბევრის დამალვა შეიძლებოდა განა? აი ნახეთ: თითოში მოთავსდა „ოთხ-ნახევარი ფუნტი ძვირფასეულობა... ერთი ასეთი ლიფი ტატიანამ გაიკეთა, მეორე ანასტასიამ... ასევე ორმაგ ლიფში იყო დაცული აგრეთვე ქალიშვილების ძვირფასეულობა, იგი ოლღას ეცვა“. ზურმუხტები, ამეთვისტოები, მარგალიტები „ქალიშვილების შლაპების სარჩულსა და ხავერდს შორის გამოვაკერეთ... — განუცხადა ეძიგრაციაში ყოფნისას გამომძიებელს ტეგლევამ. — ამ სახის ძვირფასეულობიდან მახსოვს მარგალიტების გრძელი ასხმა, საფირონითა და ბრილიანტებით მოჭედილი გულსაბნევი... კოსტიუმებს ღილები ააგლიჯეს და მათ მაგივრად ჯერ ბამბაში შეფუთული, ხოლო შემდეგ შავ აბრეშუმში გახვეული ბრილიანტები დააკერეს... ამას გარდა, ბლუზების ქვეშ, შიშველ სხეულზე, უამრავი მარგალიტი ჩამოიკიდეს“ [7].

ადრე თავიანთი შვილი ალექსი მშობლებს მარტო არასოდეს დაეტოვებინათ. როგორ არის იგი ტობოლსკში? რა ბედი ეწიათ ქალიშვილებს?

პირველი დღეები და კვირები იპატიევის სახლში მათი ჩამოსვლის მოლოდინის ციებ-ცხელებაში გადის. კომენდანტ ავდეევს მოსვენებას არ აძლევენ — ჩაჰკირკიტებენ, როდის ჩამოიყვანენ დანარჩენებს. საფოსტო კავშირი ტობოლსკთან სუსტია, ცნობები რეგულარულად არ მოდის. ავდეევი არწმუნებს მათ, რომ ოჯახის დანარჩენ წევრებსაც აუცილებლად და თანაც მალე ჩამოიყვანენ. იგი, ცხადია, არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ ურალის ხელისუფლების ორგანოები, მარილიალია, სულ სხვა მოტივით, მაგრამ მაინც, არანაკლებ შეშფოთებული და დაინტერესებული არიან ალექსის რაც შეიძლება მალე გაყვანით, ვიდრე მისი მშობლები. საქმე ისაა, რომ კონტრრევოლუციურმა ძალებმა შეძლეს შეექმნათ 14 წლის ალექსი რომანოვის ხელში ჩაგდების განსაკუთრებული საშიშროება. მთელი იმედი პ. დ. ხოხრიაკოვის სიფხიზლესა და საბრძოლო გამბედაობაზეა დამოკიდებული, რადგან მეორე ეშელონის გაყვანის დავალება მდინარეების სანაოსნოდ გახსნის შემდეგ მას აქვს დავალებული. ხოხრიაკოვმა ეს იმედი გაამართლა. თუ რამდენად დროულად, ეს იქიდან ჩანს, რომ ტობოლსკი თეთრებმა

ტახტის ყოფილი მემკვიდრის და მისი დების იქიდან გაყვანიდან 14 დღის შემდეგ აიღეს.

26 აპრილიდან, როცა იაკოვლევი და მისი თანამგზავრნი დილის ბინდბუნდში ირტიშს იქით გაუჩინარდნენ, გუბერნატორის სახლში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებლობა ხოხრიაკოვმა იკისრა. მან დაცვას (ახლა უკვე წითელარმიელთა) სათავეში ჩაუყენა როდიონოვი და დარჩენილი ოთხი რომანოვის ეკატერინობურგში წაყვანის მზადებას შეუდგა. 2 მაისს კობილინსკი სამსახურიდან დაითხოვეს. მაისის შუა რიცხვებისათვის ალექსი გამოჯანმრთელდა. საგაზაფხულო ნავიგაცია გაიხსნა. მაისის ერთ დარიან დღეს ხოხრიაკოვმა და როდიონოვმა იმ გემით, რომელსაც „რუსეთი" ერქვა და რომლითაც გასული წლის ‘ძემოდგომაზე ისინი ტობოლსკში ჩამოიყვანა, ოთხი რომანოვი წაიყვანა. მათ თან გაჰყვნენ 26 კაცისაგან შემდგარი ამალის წევრები და მსახურნი, მათ შორის ტატიშჩევი, ჟილიარი, გიბსი, ბუკსჰევდენი, შნაიდერი, გენდრიკოვა, ტუტელბერგი, ერსბერგი, ძიძა ტეგლევა, მამამტე ნაგორნი, მზარეული ხარიტონოვი.

ექსპედიციას ხელმძღვანელობდნენ ხოხრიაკოვი და როდიონოვი. 20 მაისს, დილის 3 საათზე, „რუსეთი", რომელსაც სამხედრო რაზმი იცავდა, ტობოლსკის ნავმისადგომიდან გადის და 22 მაისს დილის 8 საათზე ტიუმენის ნაპირთან დგება. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნაგორნის გამომწვევ საქციელს, შეიძლება ითქვას, რომ გზაში სხვა არაფერი მომხდარა: მარტო ნაგორნი ტეხდა გამუდმებით აურზაურს, აცხადებდა პროტესტს იმ კაიუტების „მოუწყობლობის" გამო, რომლებშიაც ალექსი იმყოფებოდა.

ტიუმენიდან მგზავრებმა გზა შეუფერხებლივ განაგრძეს რკინიგზით: რომანოვები მაღალი კლასის ვაგონში იმყოფებიან, მათთან ერთად არის აგრეთვე მეფის ოჯახთან დაახლოებული ექვსი პირი (ნაგორნის ჩათვლით), დანარჩენები სატვირთო ვაგონებში სხედან. მეორე ჯგუფის გაცილების უფლება მოიპოვა და სატვირთო ვაგონით მიემგზავრება კობილინსკიც, რომელიც ფორმალურად საქმეებიდან ჩამოცილებული იყო. 23 მაისს, დილით (როგორც 30 აპრილს მოხდა), მატარებელი სადგურ ეკატერინობურგ III-ში გაჩერდა. სადგურის იმავე მოედანზე მგზავრებს მსუბუქი ეტლები უცდიდა. იმავე გზით, ჯერ კიდევ ისევ მძინარე ქუჩებითა და შესახვევებით, ისინი იპატიევის სახლში მიიყვანეს. მოგვიანებით ვაგზლიდან ბარგიც მიიტანეს.

ახლა რომანოვების ამალა ნაკლებ წააგავდა იმ შემადგენლობას, რომლითაც იგი ათი თვის წინ ალექსანდრეს სასახლიდან გამოემგზავრა. ერთნი ჯერ კიდევ ტობოლსკში გახითესნენ („შტატების შემცირების გამო"). მეორენი ოჯახს ეკატერინობურგში ჩამოაცილეს, საგანგებო დანიშნულების სახლში არ შეუშვეს. მესამენი პროვოკაციული გამოხდომებისათვის მატარებლიდახვე ციხეში გაგზავნეს (დოლგორუკი, ტატიშჩევი, ვოლკოვი, სედნევი). მამამტე ნაგორნი იპატიევის სახლში შეუშვეს, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ისიც დააპატიმრეს და ციხეში ამოჰყო თავი. ყველა იმას, ვინც მეფის ოჯახის სამსახურიდან დაითხოვეს (კერძოდ, გრაფინია ბუკსჰევდენს, პოლკოვნიკ კობილინსკის, ქალბატონებს ერსბერგსა და ტუტელბერგს), ნაბრძანები ჰქონდათ დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ ურალი. როგორც გამონაკლისი, შეღავათი მიეცეს ექიმ დერევენკოს (ალექსის მკურნალს): მას ურალის საბჭომ ნება დართო ქალაქში დარჩენილიყო, კერძო ბინაში ეცხოვრა და ნებისმიერ დროს შესულიყო იპატიევის სახლში.

ჟილიარსა და გიბსს ებრძანათ, რომელ დღესაც ჩამოვიდნენ, იმავე დღეს დაეტოვებინათ ეკატერინობურგი. მათ როდიონოვმა შუადღის 5 საათზე მიუტანა სამგზავრო დოკუმენტები ვაგზალში. ამასთანავე განუმარტა, რომ მათ სამსახურს რუსეთში უკვე აღარ საჭიროებდნენ; როგორც უცხოეთის ქვეშევრდომთ, წინადადება მისცეს დასავლეთისაკენ, „თავიანით მხარისაკენ" აეღოთ კურსი. ეს რჩევა მათ ყურად არ იღეს, სადგურის ლიანდაგებში ჩაყენებულ სატვირთო ვაგონში განაგრძეს ცხოვრება. აქ 3 ივნისამდე დაჰყვეს, შემდეგ კი, როცა ეკატერინობურგელმა რკინიგზელებმა მათგან თავის დაღწევის საშუალება გამონახეს, ვაგონი აღმოსავლეთისაკენ მიმავალ ეგრეთ წოდებულ ლტოლვილთა მატარებელს მიაბეს. 15 ივნისს ორივე ტიუმენში აღმოჩნდა. იქ საქალაქო საბჭოში მივიდნენ, „თავისუფალი არჩევანის" უფლების თანახმად, რუსეთში შემდგომი მგზავრობის ფული და დოკუმენტები მოითხოვეს, მაგრამ დააპატიმრეს.

სანამ საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ბჭობდნენ, თუ როგორ მოქცეოდნენ ამ ინგლისელსა და შვეიცარიელს, 20 ივლისს თეთრებმა ტიუმენი აიღეს და ორივე მილიციის საკნიდან გაათავისუფლეს. 25 ივლისის შემდეგ, როცა ეკატერინობურგიც დაეცა, ჟილიარი და გიბსი ამ ქალაქში კვლავ გამოჩნდნენ, მაგრამ ახლა უკვე როგორც „ეკატერინობურგის საქმის" თეთრგვარდიული გამოძიების მონაწილენი. მათთან ერთად გამოძიებას „ფასდაუდებელი სამსახური"

გაუწიეს ხელახლა ამოტივტივებულმა ერსბერგმა, ტუტელბერგმა და სულმდაბალმა გრაფინიამ სოფიო კარლოს ასულმა ბუკსჰევდენმა...

როდიონოვის რჩევაზე — მშვიდობიანად გასცლოდა იპატიევის სახლს, კობილინსკიმ უარი განაცხადა. 1918 წლის აგვისტოში იგი თეთრების მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა. როცა კომენდანტის როლი კოლჩაკელ გამომძიებლებისადმი ჩვენების მიცემით საბოლოოდ ამოწურა, კობილინსკი ტობოლსკში დაბრუნდა, სადაც მისი ცოლი ბიტნერი ადგილობრივ გიმნაზიაში პედაგოგად მოეწყო. მაგრამ 1918 წლის მიწურულს მან კვლავ ჩაიცვა პოლკოვნიკის ფორმა. ბიტნერი დედამისთან ერთად ტობოლსკში დატოვა, თავად კი თეთრგვარდიულ არმიაში შევიდა. კოლჩაკის შტაბის საინტენდანტო ნაწილში მსახურობდა. კრასნოიარსკთან გამართულ ბრძოლაში წითელმა მებრძოლებმა ტყვედ ჩაიგდეს. სამოქალაქო ომის შემდეგ ცოლთან ერთად რიბინსკში დასახლდა. 1927 წელს იატაკქვეშა თეთრგვარდიელებმა ანტისაბჭოთა შეთქმულებაში ჩააბეს და სამხედრო ტრიბუნალის განაჩენის თანახმად დახვრიტეს.

მთელი იმ საექსპედიციო ჯგუფიდან, რომელიც ჩვიდმეტი წლის ზაფხულში კერენსკიმ პეტროგრადიდან გაგზავნა, 1918 წლის მაისის ბოლოსათვის იპატიევის სახლში საბოლოოდ რომანოვების ოჯახის შვიდი წევრი და ხუთი მსახური (ექიმი ბოტკინა, ლაქია ტრუპი, პირისფარეში დემიდოვა, მზარეული ხარიტონოვი, მზარეულის მოწაფე ლეონიდე სედნევი) — სულ 12 კაცი დარჩა.

ტობოლსკის გუბერნატორის სახლიდან ეკატერინობურგში, იპატიევის ცალკე სახლში, რომანოვების გადასვლის შესახებ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე 1918 წლის 9 მაისს ოფიციალურად განაცხადა ი. მ. სვერდლოვმა. მან ილაპარაკა იმ რეაქციული ელემენტების გამოხდომებისა და შეთქმულებათა შესახებ, რომლებიც დაპატიმრებულთა სახლის ირგვლივ ეწყობოდა, მონარქისტების ცდაზე მოესყიდათ დაცვა, გერმოგენთან ნაპოვნ მამხილებელ დოკუმენტებზე, იმაზე, რომ საჭირო იყო მეფის ოჯახის უფრო საიმედო ადგილას გადაყვანა. დღეისათვის ეს მოგვარებულიაო, თქვა სვერდლოვმა. ურალის საბჭოს მიეთითა, ფხიზლად ედევნებინა თვალი ყოფილი მეფისათვის, რომელიც „საბჭოთა ხელისუფლების პატიმარი იყო“ [8].

1918 წლის 4 ივლისამდე გახსაკუთრებულ დანიშნულებათა სახლში კომენდანტად იყო ძმები ზლოკაზოვების ეკატერინობურგის ქარხნის მუშა (ზეინკალ-მექანიკოსი) ალექსანდრე დიმიტრის ძე ავდეევი. თანამედროვენი მოგვითხრობენ, რომ ეს კეთილი და გულისხმიერი კაცი იპატიევის სახლის პატიმრებს კორექტულად ეპყრობოდა. მის მორჩილებაში მყოფ დაცვის მებრძოლებს, რომელთა ნახევარიც იმავე ქარხნის მუშები იყვნენ, მასთან მეგობრული დამოკიდებულება და პატივისცემა აკავშირებდათ. იგი რამდენჯერმე გამოვიდა ოცდაათი წლების საბჭოთა პრესაში ურალისა და ციმბირის მოვლენების შესახებ. მისი შემდგომი პირადი და შრომითი ცხოვრება აღსავსე იყო დამაბულობითა და მღელვარებით: შვილები არ ჰყავდა, ამიტომ მთელ ძალას უპატრონოთა გადარჩენას ახმარდა; საბავშვო სახლიდან ყაზახი ბიჭი ისკალია იშვილა და ნიკოლოზ დიმიტრის ძე ავდეევის სახელით გაზარდა. 1947 წელს ჭლექით გარდაიცვალა[9]. ავდეევის მოადგილე იყო იმავე ქარხნის მუშა ა. მ. მოშკინი. 1918 წლის 4 ივლისს ავდეევი კომენდანტის პოსტზე ი. მ. იუროვსკიმ შეცვალა, ხოლო მოშკინის ადგილი გ. პ. ნიკულინმა დაიკავა.

იაკობ მიხეილის ძე იუროვსკი, პარტიის წევრი 1905 წლიდან, სპეციალობით მესაათე. რევოლუციური მოღვაწეობის გამო მეფის „ოხრანკის“ მიერ დევნილ-შევიწროებული, თავისი ოჯახით 1912 წელს დასახლდა ეკატერინობურგში. პარტიის დავალებით იგი აქაც აქტიურ მუშაობას განაგრძობდა იატაკქვეშ; 1917 წელს პირველ რიგებში იბრძოდა ურალში სოციალისტური რევოლუციის იდეალებისათვის, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. იაკობ მიხეილის ძე თავისი მოსახელის ი. მ. სვერდლოვისა და ურალის ბოლშევიკური ორგანიზაციის სხვა ვეტერანების — თ. ი. გოლოშჩეკინის, ა. გ. ბელობოროდოვის, ნ. გ. ტოლმაჩევის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლთაგანი იყო. იუროვსკის იცნობდა ვ. ი. ლენინი. იგი კრემლში მიიღო და ესაუბრა (სამოქალაქო ომის შემდეგ).

საგანგებო დანიშნულების სახლის კომენდანტად დანიშვნისას იუროვსკი ურალის საბჭოს დეპუტატი, ურალის ოლქის იუსტიციის კომისრის ამხანაგი, ჩეკას საოლქო კოლეგიის წევრი იყო. საპასუხისმგებლო პოსტები ეკავა შემდეგშიც[10].

სხვადასხვა ბურჟუაზიული ავტორები დიდხანს ავრცელებდნენ აზრს

დასავლეთში, თითქოს იგი ოცდაათიან წლებში რეპრესიების მსხვერპლი გახდა და „სადღაც გაუჩინარდა“. თახაც ნიშნის მოგებით აცხადებდნენ, „ღმერთმა მას ეკატერინობურგისათვის საბაგიერო მიუზღოო“. სინამდვილეში კი ი. მ. იუროვსკი 1938 წელს ძძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კრემლის საავადმყოფოში [11].

ვილტონის, მესის, ფრენკლენდის, ჰოიერის, მათი ამერიკელი და დასავლეთგერმანელი კოლეგების ინსინუაციების საწინააღმდეგოდ, რომანოვებს იპატიევის სახლში უაღრესად კორექტულად და ადამიანურად ექცეოდნენ, სრულიად საკმარისი ჰქონდათ ყველაფერი აუცილებელი. მეორე სართულის ოთახებში დაცული იყო (რამდენადაც შეიძლებოდა მაშინდელ პირობებში) ელემენტარული კომფორტი: დღის განრიგი, საქმიანობის მონაცვლეობა ძირითადად პატიმრების შეხედულებისაებრ იყო განსაზღვრული: ბაღში გასეირნების საათებს ისინი თავად არჩევდნენ; მათი შინაური ცხოვრების განაწესში კომენდატურა, როგორც წესი, არ ერეოდა. მუდმივად ჰყავდათ ექიმები. ალექსის ემსახურებოდა დერევენკო, დანარჩენებს კი — ექიმი ბოტკინი. კომენდანტის ბრძანებით წითელარმიელებმა არაერთხელ შემოიარეს ქალაქი მღვდლის მოსაძებნად (იპატიევის სახლში მიიყვანეს, მაგალითად, მღვდელი სტოროჟევი, რომელიც აწყობდა ხოლმე წირვა-ლოცვებს პატიმრებისათვის).

რომანოვების ტანჯვა-წამება, როგორც ამას დასავლეთში აღწერენ, თავიდან ბოლომდე გამონაგონია. მათში სიმართლის ნატამალიც არ არის. ერთადერთი, რაც შეიძლება სინამდვილედ ჩაითვალოს, შემდეგია: ოცა ნ. ნ. იპატიევმა გაიგო, თუ ვინ ჩაასახლეს მის სახლში, დაინანა ზოგი რამ და არ აძლევდა ყოფილი მონარქის ოჯახს დროებითი სარგებლობისათვის, რის გამოც პატიმრებს პირველ დღეებში ჭურჭელი და თეთრეული არ ჰყოფნიდათ. მაგრამ მალე ყველაფერი, რაც კი აუცილებელი იყო, მათ შორის დამატებითი საწოლები, კომენდატურამ მიიტანა ამ სახლში. ნიკოლოზი პირველსავე დღეს თავის დღიურში წერს: კ ა რ გ ი ს ა ხ ლ ი ა, ს უ ფ თ ა. ამის შესახებ ზოგჯერ სოვეტოლოგებიც ამბობენ. „სახლი სრულ წესრიგში იყო... — წერს ჰარკეივი. — საერთოდ ისინი ცუდად არ იკვებებოდნენ, ზოგჯერ კარგადაც კი“ [12].

ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს იმდროინდელი სასურსათო სიძნელეები. ქალაქის საუკეთესო სასადილოდან პატიმრებისათვის ყოველდღე მოჰქონდათ რამდენიმე თავისაგან შემდგარი სადილი: ხორ-

ციანი წვნიანი, შემწვარი ხორცი, კატლეტები, კომპოტი და ა. შ. მოსამსახურეს მისცეს პრიმუსი, რომელზედაც შეიძლებოდა საჭმლის გაცხელება (თავდაპირველად ამას მზარეულის შეგირდი სედნევი აკეთებდა, ხოლო ტობოლსკიდან ჩამოსვლის შემდეგ — მზარეული ხარიტონოვი). როცა მაისში სასადილო რამდენიმე დღით დაიკეტა, რომანოვებს ეკატერინობურგის პარტიული კომუნის საზზარეულო ემსახურებოდა. სადილებს მათ ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკის ცოლი უმზადებდა (კოლჩაკელები შემდეგში გაფაციცებით ეძებდნენ მას, და როცა იპოვეს, დახვრიტეს).

ბ-ნი ჰოიერის მტკიცების საწინააღმდეგოდ, რომანოვებისათვის (მათ საკუთარ ანგარიშზე) დამატებითი სანოვაგის ბაზარში ყიდვას კომენდატურა არ კრძალავდა; განუსაზღვრელი რაოდენობით მოჰქონდათ მათთვის მოსაკითხი ახლო-მახლო მონასტრებიდან. სისტემატურად ეხიდებოდნენ, მაგალითად, ნოვო-ტიხვინის ქალთა მონასტრიდან ერბოს, ნაღებს, რძეს, ძეხვს, ახალ ბოსტნეულს — ბოლოკს, კიტრს, კარტოფილსა და ა. შ. პროდუქტებით მოსულ მონაზვნებს ყარაულები არ აგდებდნენ სახლიდან, როგორც ამას ჰოიერი ხატავს, ისინი ხშირად თავად გადასცემდნენ ხოლმე მათ პატიმრების თხოვნას. მაგალითად, ავდეევმა, რომელსაც ნიკოლოზი დღიურში თავის მტერს უწოდებს, არაერთხელ გადასცა მონაზვნებს მეფის თხოვნა, მოეტანათ მისთვის იმდროისათვის ძალზე დეფიციტური თამბაქო, რასაც ისინი ასრულებდნენ კიდევაც.

თუმცა, აი, თავად ნიკოლოზის სტრიქონები: *საჭმელი დროულად გვეძლეოდა, იგი საუკეთესო და უხვი იყო; საჭმელი მთელი ამ ხნის განმავლობაში უხვად გვქონდა, გვეძლეოდა თავის დროზე*[13]. შეიძლება დავეთანხმოთ ერთ-ერთი ოკეანისგაღმელი ავტორის ვ. ალექსანდროვის დასკვნას: „განმეორების მიუხედავად, კვლავ უნდა აღვნიშნოთ, თუ რამდენად კეთილსასურველი იყო ეს პირობები იმასთან შედარებით, რომელშიაც აღმოჩნდნენ შლისელბურგში მყოფი თავისუფლებისათვის მებრძოლნი... თავიანთი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე რომანოვებს ცუდად მოპყრობა არ განუცდიათ“ [14].

რა თქმა უნდა, ჭირვეულობისათვის მიზეზის გამონახვა ყოველთვის შეიძლებოდა. აურზაურის ასატეხადაც, რის ნებაც არაერთხელ მისცა საკუთარ თავს ალექსანდრა თეოდორეს ასულმა. იპატიევის სახლში მისვლისთანავე მის მიერ დიდკოვსკისათვის გამართული ისტერიკა

მხოლოდ ერთ-ერთი ასეთი შემთხვევათაგანი იყო. აი, კიდევ იმავე სერიის ეპიზოდი: მან ა. დ. ავდეევსა და უკრაინცევს განუცხადა, რომ ძალზე ცოტა მოსამსახურეები ჰყავთ სახლში და მოითხოვა ტობოლსკიდან მოსული მეორე ჯგუფიდან ვინმე შეეშვათ მათთან. ამაზე კომენდატურამ უარი უთხრა. აღელვებული ალექსანდრა თედორეს ასული ჩვეულებისამებრ რუსული (დამტერეული) ენიდან ინგლისურზე გადადის, ამასთან „მიმართავს ბოტკინს, რომელსაც უნდა გადაეთარგმნა ის, რასაც იგი ყვიროდა... ორ ცეცხლს შუა ჩავარდნილი ექიმი მხოლოდ ერთს იმეორებდა: ალექსანდრა თედორეს ასული პროტესტს აცხადებს, იგი მოითხოვს საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოყვანას, თავისი პროტესტის მოსკოვში გაგზავნას“.

საბჭოს წარმომადგენლად პ. ლ. ვოიკოვი გამოცხადდა. იგი მზად არის პრეტენზიების მოსასმენად. როგორც ჩანს, იმის იმედით, რომ ვოიკოვმა ინგლისური არ იცოდა, „ალექსანდრა თედორეს ასულმა მისი გამოჩენისთანავე დაიწყო ყვირილი, ფეხების ბაკუნი, ექიმ ბოტკინზე შეტევა, რომელიც მის გააფთრებას თავს არიდებდა; მთელი მისი ყვირილი, ცხადია, ჩვენი მისამართით იყო მიმართული, — წერს ავდეევი. — მაშინ ვოიკოვმა შეაჩერა ქალი და მშვიდად სთხოვა ექიმ ბოტკინს გადაეცა ყოფილი დედოფლისათვის, რომ პატიმრობაში იმყოფება და გამოთქმისას უფრო კორექტული უნდა იყოს. მოკლედ თქვას საჩივრის არსი, რომ არ მოაცდინოს იგი. ძალზე დაკავებულია საქმეებით და მისი ისტერიული ყვირილის მოსმენა არ სურს.

ამის შემდეგ ექიმი ბოტკინი მისი საჩივრების თარგმნას შეუდგა. საჩივრების მიხედვით დედოფალი მოითხოვდა ყველა მოსამსახურის, ყოველ შემთხვევაში, სულ ცოტა 30 კაცის უკან დაბრუნებას. თუ საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი მის თხოვნას არ დააკმაყოფილებდა, იგი ითხოვდა საჩივარი მოსკოვში ვ. ი. ლენინისათვის გადაეცათ.

ვოიკოვმა განაცხადა, რომ მოსამსახურეებს არ დაამატებდნენ, რადგანაც არ იყო ამის საჭიროება. ხოლო საჩივარი, თუ მას სურდა, შეეძლო გაეგზავნა მოსკოვში, ოღონდ იგი გამოთქმული უნდა ყოფილიყო წერილობით. ინციდენტი ამით დამთავრდა კიდევაც“ [15].

მისი ჭირვეულობა უხეშია, წამებულის როლის გათამაშება კი — პრიმიტიული და ღირსებას მოკლებული. დედოფალი ზოგჯერ შიმშილის დემონსტრირებას ახდენს — ისე დგება მაგიდიდან, რომ საჭმელს პირს არ აკარებს. მზარეულის შეგირდს ლეონიდ სედნევს ისევ უკან მიაქვს სამზარეულოში მისი გემოვნებით მომზადებული საყვარელი

მაკარონი. ამ გამოხდომებით მან საშუალება მისცა თავის დასავლეთელ ბიოგრაფებს კარგა ხანს წარმოესახათ იგი დიდად წამებულ ტრაგიკულ პიროვნებად, რომელიც რუსეთმა თითქოს „მთელი თავისი ისტორიული დაუდევრობისა და წარუმატებლობის პერიოდში განტევების ვაცად აქცია“ [16]. მაგრამ ალექსანდრა თედორეს ასულის საქციელი ზოგიერთ მის თანამგრძნობელსაც კი ზიზღს გვრიდა: „უნდა ვაღიაროთ, რომ თავისი პირადი გამოცდის იმ დღეებში, იგი ცოტათი თუ ჰგავდა რუსეთის იმპერატრიცას. თავისი საქციელით იგი პრუსიელი გენერლის მეუღლეს უფრო მოგაგონებდათ, რომელიც გამუდმებით შეახსენებდა ხოლმე თავის ღირსებებს ირგვლივ მყოფთ“ [17].

სამსახურებრივი მოვალეობის გამო ვოიკოვს კიდევ რამდენჯერმე მოუხდა იპატიევის სახლში მისვლა. ერთხელ იგი ყოფილ მეფეს შეხვდა პირველი სართულის კიბეზე ჩამოსვლისას... თავის ოდნავ დაკვრის შემდეგ, ნიკოლოზმა მობოდიშებით სთხოვა ბატონ კომისარს, აეხსნა ია მიზეზები, რომელთა მიხედვითაც მას ეზოში შეშის დახერხვის ნება არ მისცეს.

— ტობოლსკში, — უთხრა მან, — ეზოში ვხერხავდი ხოლმე მორებს ჩემს ქალიშვილ მარიასთან ერთად. ახალი ხელისუფალნი წინააღმდეგობას არ მიწევდნენ. ჩემს თავს ნებას მივცემ გკითხოთ — განა აქ სხვა პირობებია?

— დიახ, ეკატერინობურგში სხვა პირობები გახლავთ, — უპასუხა ვოიკოვმა, — პატიმრებისათვის უფრო მკაცრი რეჟიმია დაწესებული.

— მოითმინეთ, ბატონო კომისარო, უარის თქმისათვის საფუძველს ვერ ვხედავ. ხელისუფალთ ტყუილად ეშინიათ. მე პატიმრობიდან გაქცევას არ ვაპირებ.

— ეგ შეუძლებელიც იქნებოდა. აქ დაცვა მუშებისა და გლეხებისაგან არის შემდგარი...

ყოფილი დედოფალი მოვიდა, ვოიკოვს ბოროტი მზერა შეავლო, ქმარს მკლავში ხელი გაუყარა და უთხრა:

—Partons d'ici, Nikki. Ses barbares ne comprennent rien! (წავიდეთ, ნიკი, ამ ბარბაროსებს არაფერი არ გაეგებათ!)

— Madame, sans injures! (ქალბატონო, შეურაცხყოფას ნუ გვაყენებთ!) — უპასუხა ვოიკოვმა [18].

ყოფილი იმპერატრიცა გულმოსული იყო ვოიკოვზე იმის გამო, რომ მან (უფრო ზუსტად, ურალის საბჭოს პრეზიდიუმმა) სახლში მე-

ტი მოსამსახურეების ყოლაზე უარი განაცხადა, — ახლა, მისდა აღსაშ-ფოთებლად, ზოგიერთ საოჯახო საქმეს ხან მისი ქალიშვილები აკეთებ-დნენ. მაგალითად, რამდენჯერმე თვითონ გამოაცხვეს პური, თავად გაირეცხეს თეთრეული. ქალიშვილები ხარიტონოვისა-გან სწავლობენ სადილების მომზადებას, საღა-მოობით ცომს ზელავენ, დილ-დილობით კი პურს აცხობენ, — წერს ნიკოლოზი. მისი კომენტარები რამდენადმე ირო-ნიულია: ცუდი არ არის! [19].

სარეცხის გამო თავდაპირველად „სიძნელეები იქმნებოდა", იგონებს ავდეევი.

ისინი მიჩვეული იყვნენ თეთრეულის ყოველდღე გამოცვლას, ჩვენ კი, სანამ მრეცხავებს ჩავაბარებდით, მთელი ეს ამოდენა თეთრეული გულდასმით უნდა გადაგვთვალიერებინა... ამისათვის არც დრო გვყოფნიდა და არც ხალხი...

ეს საკითხი ამხ. ბელობოროდოვთან შევათანხმეთ და შევთავაზეთ ამ საქმისათვის ყოფილი მეფის ქალიშვილებს მოეკიდათ ხელი დემიდოვასთან ერთად... მათ საქმე არაფერი ჰქონდათ და ცუდი არ იქნებოდა თავიანთთვის მაინც ესწავლათ მუშაობა... სამზარეულოში სამრეცხაოსათვის ადგილი გადავუღობეთ.

ყოფილმა დიდმა ქალბატონებმა თხოვნით მომმართეს, მეშოვნა მათთვის თეთრეულის რეცხვის დაბეჭდილი ინსტრუქცია. რა თქმა უნდა. წიგნები თეთრეულის გარეცხვის შესახებ, ეერ ვიშოვეთ... მდგომარეობიდან ზლოკაზოვის ფაბრიკის ერთმა მოხუცმა მჭედელმა გვიხსნა. მათთვის ინსტრუქციის გაწევა ითავა. და მართლაც, სამრეცხაოს მოწყობის შემდეგ ამხ. ანდრეევი კარგი მასწავლებელი გამოდგა და რეცხვის საქმეც მოგვარდა.

არავის უთქვამს, თვით ყოფილ პრინცესებსაც კი, რომ ამგვარმა შრომამ ზიანი მოუტანა. პირიქით, მათ ერთგვაროვან ცხოვრებაში რაღაც გასართობის მსგავსმა თვითმოქმედებამ იჩინა თავი; ამან მათ, მართალია, მცირეოდენი, მაგრამ მაინც ერთგვარი წარმოდგენა შეუქმნა შრომაზე. საერთოდ კი ისინი, ისევე როგორც მათი მამა, იპატიევის სახლში ჯანმრთელად და ცოცხლად გამოიყურებოდნენ. აი რას ამბობდა მამაზე ყოფილი კომენდანტი:

ისე თამამად და მხიარულად ეჭირა თავი, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა გეთქვათ, პატიმარიაო... ექიმი ბოტკინი ამბობდა: ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ისეთი მსუქანი არასოდეს ყოფილა, როგორც ეკატერინობურგის პატიმრობისასო [20].

სხვათა აღწერითაც (თეთრგვარდიელი ემიგრანტების ჩათვლით) და იმ დღეებიდან შემონახულ ეკატერინობურგის ფოტოსურათებზეც ნიკოლოზი და მისი ქალიშვილები ავადმყოფებს, ძალაგამოლეულებს, ან

თუნდაც დაღლილებს სულაც არა გვანან. ყოფილი იმპერატორი „გარეგნულად ყოველთვის მშვიდი იყო, ყოველდღე გამოდიოდა შვილებთან ერთად ბაღში სასეირნოდ... — იმოწმებს სოკოლოვი დაცვის ყოფილი მებრძოლის ვ. ვ. მედვედევის ჩვენებას. — იგი გარეგნულად ჯანმრთელად გამოიყურებოდა და სიბერე არ ემჩნეოდა, თეთრი თმა არ ჰქონია"; ალექსანდრა თედორეს ასულმა კი „გაჭაღარავება და გახდომა დაიწყო. იგი ბაღში არასოდეს გადიოდა, ზოგჯერ პარმაღზე თუ დაჯდებოდა ხოლმე ვაჟიშვილთან ერთად... ბავშვები ჩვეულებრივ იქცეოდნენ და ყარაულებთან შეხვედრისას ღიმებოდნენ. მათთან გამოლაპარაკება აკრძალული ჰქონდათ". ყოველ შემთხვევაში, სადავო არ არის, რომ „იპატიევის სახლში პატიმრობისას მეფე და მისი ოჯახი აბუჩად არავის აუგდია და ასევე რაიმე შეურაცხყოფა და უხეშობა არავის გაუბედნია" [21].

ოჯახის თავკაცი უბრალოდ, თავისუფლად იქცეოდა, თუ რამ აინტერესებდა, ეკითხებოდა ყველას, ვისაც კი მოისურვებდა. ერთხელ როგორღაც შემდეგი შინაარსიანი საუბარი გაიბა ავდეევთან:

მან მკითხა, ვინ იყვნენ ბოლშევიკები. ვუთხარი, რომ IV სახელმწიფო სათათბიროს ხუთი ბოლშევიკ-დეპუტატი გადასახლებული იყო მის მიერ ციმბირში და ამიტომ კარგად უნდა იცოდეს, თუ ვინ იყვნენ ბოლშევიკები. მან მიპასუხა, რომ ამისთანა რამეს ხშირად აკეთებდნენ მინისტრები მის გარეშე.

მაშინ მე ვკითხე, როგორ არ იცოდა, თუ რას აკეთებდნენ მინისტრები, როცა 1905 წლის 9 იანვარს მისი სასახლის წინ, მის თვალწინ მუშები დახვრიტეს.

მან სახელითა და მამის სახელით მომმართა და მითხრა: „აი, შეიძლება არ დამიჯეროთ, რომ ეგ ამბავი მხოლოდ მაშინ შევიტყვე, როცა პიტერელი მუშების აჯანყება უკვე დათრგუნული იყო" (ხუთი წლის მშვიდობიან მსვლელობას ზამთრის სასახლესთან იგი თერამეტ წელშიაც აჯანყებას უწოდებდა).

მე ვუპასუხე, რომ ამას, რა თქმა უნდა, არა მარტო მე, არც ერთი ბიჭიც კი მუშის ოჯახიდან არ დაიჯერებს-მეთქი [22].

ერთხელ ყარაულ მედვედევს ჰკითხა: — როგორ მიდის საქმე? რა მდგომარეობაა ომის მხრივ? საით მიდიან ჯარები? [23]

იგი თავის ქალიშვილ მარიასთან ერთად სასეირნოდ გამოვიდა. ბაღის განაპირას კომენდანტის მოადგილე უკრაინცევი და საბჭოს აღმასკომის წევრი, გაზეთ „ურალსკი რაბოჩის" პასუხისმგებელი რედაქტორი ვორობიევი ისხდნენ სკამზე (ყოველ დღე-ღამეს საგანგებო დანიშნულების სახლში აღმასკომის რომელიმე წევრი მორიგეობდა ხოლმე). მათ გვერდით ექიმი ბოტკინი ჩამოჯდა. ნიკოლოზმა და მისმა ქალიშვილმა, წერს შემდეგ ავდეევი:

ბაღის ერთი ბოლოდან მეორეძდე სიარული დაიწყეს. იგი კრინტს არა ძრავდა და ქვემოთ იცქირებოდა. იშვიათად თუ გადაუგდებდა სიტყვას მარიას. სამაგიეროდ, ბოტკინი აღარ მომეშვა ათასგვარი გამოკითხვებით...

— ჩვენ ყველას ძალიან გვაინტერესებს, — მითხრა მან, — კიდევ დიდხანს დაგვტოვებენ ეკატერინობურგში?

— ეგ მე არ ვიცი.

— მაშ ვისზეა ეს დამოკიდებული?

— რა თქმა უნდა, მთავრობაზე...

ნიკოლოზს საუბარში მონაწილეობა არ მიუღია. მაგრამ იგი განუწყვეტლივ ზომავდა გზას ჯარისკაცური ნაბიჯებით და თან ყურს გვიგდებდა. უცბად მკვეთრად შემობრუნდა და ჩვენს წინ გაჩერდა.

— მითხარით, გეთაყვა, ბელობოროდოვი ებრაელია?

უაზრო და მოულოდნელი შეკითხვისაგან დაბნეულმა, მაშინვე ვერ მოვისაზრე, რა უნდა მეპასუხა.

— იგი რუსის შთაბეჭდილებას ტოვებს, — განაგრძო ნიკოლოზმა.

— დიახ, რუსია.

— მაშინ როგორღა არის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე? — განაგრძო დაბნეულმა მეფემ.

თურმე იგი დარწმუნებული იყო, რომ საბჭოთა ორგანოების სათავეში მხოლოდ ბოლშევიკი-ებრაელები იდგნენ...

არავითარი სურვილი არ მქონდა ყოფილი მეფისათვის პოლიტიკური ცოდნის გაკეთილები ჩამეტარებინა და განმემარტა მისთვის საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის განსხვავება მისი პირადულისაგან, და არცთუ მთლად თავაზიანად გავწყვიტე საუბარი.

— უმჯობესია მითხრათ, რაიმე განცხადება ანდა საჩივარი ხომ არა გაქვთ.

რატომაც არ უნდა იჩივლოს. მაგალითად: თეთრეულს ბევრს ხმარობენ, გამრეცხავი კი არავინ არის. ამ საქმეს სახლში მყოფთაგან არავინ ჰკიდებს ხელს, ქალიშვილები თავს ვერ ართმევენ. თუმცა, შეიძლება, ეს პირველხარისხოვანი საკითხი არც არის, მით უმეტეს, რომ აღმასკომის მორიგე წევრი ამ საქმეში ჩარევასა და მოგვარებას შეპირდა. მას უფრო სხვა რამ აინტერესებს:

— მითხარით, გეთაყვა, როგორია ახლა რუსეთის დამოკიდებულება გერმანიასთან?

— წაიკითხეთ გაზეთები, — ვუთხარი მე, — იქ ყველაფერია დაბეჭდილი, რაც კი გაინტერესებთ.

— აგერ უკვე ორი კვირაა გაზეთები თვალით არ გვინახავს. არც კი ვიცი, თქვენთან, ეკატერინობურგში, რა გაზეთები გამოდის.

— ჩვენთან ორი გაზეთი გამოდის: პარტიული — „ურალსკი რაბოჩი“ და საბჭოთა — „იზვესტია“.

— პარტიული, ეს რას ნიშნავს? ბოლშევიკები რომ გამოსცემენ?

— დიახ.

— როგორ უნდა მოვახერხო მაგ გაზეთის მიღება?

— ძალზე უბრალოდ: ადექით და გამოიწერეთ. მას კომენდანტის საშუალებით მიიღებთ.

— კი მაგრამ, როგორ გამოვიწეროთ?

— მაგ გაზეთის რედაქტორი მე ვარ. მომეცით ფული და მე თავად გამოვაწერინებ თქვენთვის.

ნიკოლოზმა საქმიანად გამომკითხა, რა ღირდა თეეში „ურალსკი რაბოჩი". და იქვე, ბაღშივე, მომცა გამოსაწერი ფული [21].

მემკვიდრესთან შეხვედრის ეპიზოდი ავდეევმა ასე ჩაწერა:

ერთხელ ალექსის წითელგვარდიელების სიმღერა შემოესმა. მკითხა, ვიცოდი თუ არა იგი, და დადებითი პასუხის მიღებისთანავე, მთხოვა დამეწერა (ტექსტი), რადგანაც მელოდია ძალიან მოეწონა.

ავუხსენი, რომ ეს იყო რევოლუციური სიმღერა; იქვე მყოფმა ანასტასიამ კი საუბარი დაუწყო ალექსის ინგლისურად...

მალე ალექსის რევოლუციური სიმღერების, ჰიმნებისა და ლექსების კრებული ხელთ ჰქონდა. მაგრამ, მგონი, ვერ გამოიყენა. როცა რამდენიმე ხნ-ს შემდეგ ვკითხე, კითხულობდა თუ არა სიმღერებს, მითხრა, მათ დედაჩემი კითხულობსო. ცხადი იყო, რომ ჩემი კრებული ბუხარში მოხვდა [25].

რა თქმა უნდა, ისინი ეკატერინობურგში პოპულარულნი იყვნენ — მათი ცნობა არავის უჭირდა. ნიკოლოზი კვლავ ყველაფერს, წვრილმან რამეებსაც კი წერდა დღიურში.

როცა სასეირნოდ გავედით, ყველა თავისუფალი ჯარისკაცი ბაღში მოვიდა ჩვენს სანახავად...

მეორედ სასეირნოდ დაახლოებით 4 საათისათვის გავედით. ვიღაც მოხუცი ქალი და შემდეგ პატარა ბიჭი მოძვრებოდნენ მესერთან, რათა ღრიჭოდან დავენახეთ; მათ თავიდან მოშორებას ყოველნაირად ცდილობდნენ და თანაც ყველა იცინოდა...

ბაღში ვსეირნობდით და ვისხედით... ალიქსმა თმა გამკრიჭა.

საღამოს ელექტროგანათება მოიშალა; სანამ სედნევი მას ასწორებდა, ჩვენ ჭრაქის ალზე ბეზიკს ვთამაშობდით.

ჩაის წინ ისევ ნარდით ვიქცევდით თავს.

სამორიგეო ოთახიდან სიმღერისა და იმ როიალის დაკვრის ხმა მოისმოდა, რომელიც იმ დღეებში გაათრიეს დარბაზიდან.

ყარაულები ძალზე მხიარული და თავაზიანები არიან[26].

შეიძლება ყოველთვის „მხიარული“ არა. მაგრამ ყოველ შემთხვევაში, იპატიევის სახლში წირვა-ლოცვის დაწყებამდე „თავაზიანები“ კი იყვნენ. ხალისიანად აღნიშნეს თავიანთი დაბადების დღეები: ალექსანდრა თედორეს ასულს 46 წელი შეუსრულდა, ნიკოლოზს — 50. დღიურში ჩაწერილია:

50 წლამდე მივაღწიე, თავად მეც კი მეუცნაურება. თითქოს საგანგებოდ შესანიშნავი ამინდი იყო. 11½ საათზე მღვდელმა დიაკვანთან ერთად ლოცვანი იგალობა... დღისით ბაღში ვისხედით და მზეზე ვთბებოდით[27].

ჟალაქი ალყაშემორტყმულია

და მაინც, რა თქმა უნდა, პატიმრობა პატიმრობა იყო. სახლს გარშემორტყმული ჰქონდა ორმაგი მესერი. სახლს შიგნიდანაც და ირვვლივაც ყარაულობდნენ, გუშაგები იდგნენ ოთახების შესასვლელებსა და მესერებს შორის გასასვლელებში. დაწესებული იყო აღმასკომის საბჭოს წევრთა ყოველდღიური მკაცრი მორიგეობა. რესპუბლიკის გუშაგები მუდამ ფხიზლობდნენ. ამასთან ისინი იბრძოდნენ გააფთრებით, იბრძოდნენ სამოქალაქო ომის ფრონტებზე...

პარტიის ეკატერინობურგის კომიტეტმა 14 ივნისს ყველა კომუნისტი მობილიზებულად გამოაცხადა. იმ დღეებში რევოლუციის შეიარაღებულ დამცველებს ურალის საოლქო პარტიული ორგანიზაციის შემადგენლობის თითქმის ორი მესამედი შეუერთდა. ფრონტზე წავიდა სისერტსკის, ნიჟნე-ტაგილის, ალაპაევისა და სხვა ქარხნების თითქმის ყველა მუშა.

ურალს საფრთხე შეექმნა 26 მაისს მომხდარი თეთრგვარდიელი ჩეხების აჯანყების მეორე დღეს, როცა მათ ჩელიაბინსკი დაიკავეს. ამ საკვანძო პუნქტში რკინიგზის მაგისტრალის ხელში ჩაგდების შემდეგ, ისინი სამი მიმართულებით დაიძრნენ: აღმოსავლეთით — ომსკისაკენ, კურგანისაკენ, ლეგიონის ციმბირის ჯგუფთან შესაერთებლად; დასავლეთით — ზლატოუსტისაკენ, ვოლგისპირეთში მოქმედი თავიანთი ნაწილებისაკენ გზის გასარღვევად; ჩრდილოეთით — კიშტიმ-ეკატერინო-

ბურგის მიმართულებით. გაიდას უკანასკნელი პუნქტისაკენ გაჭრილი და მის ირგვლივ გარშემორტყმული თეთრგვარდიელთა ხროვა განსაკუთრებული გააფთრებით მიიწევდა წინ: მან იცოდა, რომ იქ, იპატიევის სახლში, აპრილის ბოლოდან რომანოვები პატიმრობაში იმყოფებოდნენ.

ნაგრამ ეკატერინობურგის მიმართულებით, კერძოდ, არგაიშის სადგურთან თეთრგვარდიელ ჩეხებსა და კაზაკებთან გამართულ 28 მაისის პირველსავე ბრძოლებში წითელარმიელებმა და მუშებმა გამოავლინეს გადაწყვეტილება — ჩაეფუშათ კონტრრევოლუციის ჩანაფიქრი. მდგომარეობა მაშინ გართულდა, როცა მოწინააღმდეგემ კიშტიმი დაიკავა და ეკატერინობურგიდან 130 ვერსზე აღმოჩნდა, ხოლო ზლატოუსტის დაცემის შემდეგ პერმის მაგისტრალთან შემაერთებელი რკინიგზის ხაზით იმ ანგარიშით დაიძრა, რომ ეკატერინობურგისათვის შემოევლო, მოეკვეთა იგი ქვეყნის ცენტრიდან, მოესპო მისთვის კავშირი მოსკოვთან და პეტროგრადთან.

ამ მუქარის თავიდან აცილებისას ნამდვილი გმირობა გამოიჩინეს ახლო და შორეული მუშათა რაიონების მიერ წითელი არმიის დასახმარებლად გამოგზავნილმა რაზმებმა. იმ დღეებში თეთრების შეტევა ეკატერინობურგზე მოგერიებულ იქნა. არგაიშთან ისინი უკუაგდეს, ურალის ფრონტის სხვა უბნებზე კი დიდხანს იდგნენ ერთ ადგილას.

ივნისსა და ივლისის პირველ ნახევარში ურალის დამცველები მძიმე ბრძოლებს აწარმოებდნენ მტრის რიცხობრივად ჭარბი ძალების წინააღმდეგ თავიანთი პოზიციების შენარჩუნების მიზნით. მტერს გაძლიერებით ამარაგებდნენ ანტანტის ქვეყნების მთავრობები და სამხედრო მისიები, იგი სულ უფრო საგრძნობ უპირატესობას იღებდა რიცხობრივად და შეიარაღებაში. დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან თეთრი ჩეხების დაწოლისა და სლავგოროდის მხრიდან პოლკოვნიკ ანენკოვის თეთრგვარდიელი კაზაკების შემოტევის შედეგად ომსკი დაეცა. დაახლოებით იმავე დროს ესერებისა და თეთრგვარდიელების დახმარებით ლეგიონერებმა შეძლეს სამარაში შეჭრა. 3 ივლისს დუტოვმა ორენბურგი კვლავ აიღო. 8 ივლისს ინტერვენტებმა უფა დაიპყრეს.

მთელი რკინიგზის მაგისტრალი სამარიდან ირკუტსკამდე და მიმდებარე რაიონები თეთრების სასტიკ ძალაუფლებაში აღმოჩნდა. ამ ზონაში ყველგან იჭერდნენ და სჯიდნენ კომუნისტებს, საბჭოთა მუშაკებს, მუშებისა და სოფლის უღარიბესთა ფენებიდან გამოსულ აქტი-

ვისტებს. დაეცა პენზა, სიზრანი, სიმბირსკი, ტომსკი. ჩელიაბინსკის, სიმბირსკისა და ვოლგისპირა ლეგიონის ჯგუფების შეერთებით კვლავ გაიხარდა თეთრგვარდიელთა შეტევითი აქტივობა ეკატერინობურგის მიმართულებით. 1918 წლის შუა ივლისისათვის ეს ქალაქი წარმოადგენდა უკანასკნელ მსხვილ ზღუდეს ურალში კონტრრევოლუციის ძალებისათვის, რომლებიც შავი ლაქასავით მოსდებოდნენ ირკუტსკამდე, ხოლო ზოგ ადგილებში ვლადივოსტოკამდეც კი.

ომის მხურვალე სუნთქვამ შორეული და ახლო მანძილიდან იპატიევის სახლამდეც მიაღწია. ზედა სართულის მობინადრენი ყოველი გუგუნის ხმას იმედით აყურადებდნენ.

მაგრამ ურალელებიც ყურადღებით ადევნებდნენ თვალს: რა ტრიალებდა იპატიევის სახლში?

მიმდინარე მომენტის შესახებ ვერხ-ისეტსკის ქარხნის მარტენის საამქროს მუშებთან ისაუბრა პ. ლ. ვოიკოვმა. მას უამრავი წერილობითი შეკითხვა მისცეს.

— გვითხარით, — კითხულობს იგი ერთ-ერთ შეკითხვას, — რატომ იმყოფება ყოფილი მეფე მდიდრულ სახლში და არა ციხეში?

— მიზეზი ბევრია. მათ შორის მთავარია — საბჭოთა ხელისუფლების ჰუმანურობა.

— რა იქნა მეფის ბრილიანტები?

— ბრილიანტები ურალის საბჭოს კომისიის მიერ აქტით ორის ამოღებული, დალუქული და საგანგებო განკარგულებამდე შესანახად გადაცემული.

— რატომ ისროლეს ამ დღეებში იმ სახლის ეზოში, სადაც მეფის ოჯახი ცხოვრობს?

— ეს იყო ორი გამაფრთხილებელი სროლა დაცვისა, რომელმაც შენიშნა, რომ ყოფილი მეფის საძინებელი ოთახის ფანჯრიდან ნიშანს აძლევდნენ[28].

როცა ტობოლსკიდან რომანოვების ევაკუაცია მოახდინა, საბჭოთა მთავრობას მიაჩნდა, რომ მათ ზურგში, თეთრებისაგან მოშორებით გზავნიდა. კონტრრევოლუციის მიერ ხალხისათვის თავსმოხვეული შინაომის მსვლელობისას, ზურგი ფრონტად იქცა. რომანოვები დაცვის თანხლებით აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ციმბირიდან ურალში გადავიდნენ, ხოლო მათი რაინდი-განმათავისუფლებლები ტერორით, შეთქმულებით, მასობრივი ხოცვით ამ ოჯახს კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ და პატიმრობიდან გამოხსნის მიზნით სასიკვდილოდ სწირავდნენ რომანოვებს. მიზეზებისა და შედეგების ასეთ კავშირს აღნიშნავს დასავლეთის ანტიკომუნისტური პრესაც: „იმ თვეებში თეთრების მიერ წითლებისადმი მიყენებული დარტყმები საბედისწერო გავლენას ახდენდა პატიმრების მომავალ ბედზე“. უფრო ზუსტად: „ამერიკელები

და ინგლისელები მურმანსკში გადასხდნენ. სამხრეთში ძველმა გენერლებმა შეადგინეს მოხალისეთა თეთრგვარდიული არმია. ციმბირში ჩეხების ლეგიონმა ათი ათასი ჯარისკაცის შემადგენლობით ხელში ჩაიგდო ომსკი და ეკატერინობურგისაკენ მიიწევდა. ამ ძალების დაწოლამ უბიძგა ბოლშევიკებს მიეღოთ უკიდურესი ზომები მონარქისტული რესტავრაციის შესაძლებლობის წინააღმდეგ.[29]

თუ გავითვალისწინებთ, რაოდენ იშვიათად ანებივრებს თავის აუდიტორიას შპრინგერის პუბლიცისტიკა სინამდვილესთან თუნდაც ახლო ძდგარი ჭეშმარიტებით, ზემოაღნიშნული კონსტატაცია მაღალ შეფასებას იმსახურებს. თუმცა ასეთი გულუხვი აღიარების სტატიის ავტორი თვრამეტი წლის მოვლენებში უგულებელყოფს მეტად არსებით გარემოებას: რუსეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის კაიზერულ ოკუპაციას, აგრეთვე ვილჰელმის საჯაშუშო-დივერსიული სამსახურის გამოხდომებს, სამსახურისა, რომელმაც მოახერხა და თავისი საცეცებით ჯერ ტობოლსკის გუბერნატორის სახლი, ხოლო შემდეგ ეკატერინობურგის იპატიევის სახლიც მოჩხრიკა.

როგორც არ უნდა ყოფილიყო, ეკატერინობურგისაკენ თეთრების გარღვევის მუქარაზე ურალის მუშები უბრალოდ და გასაგებად — რევოლუციური ლოგიკის კანონებით რეაგირებდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ თეთრების მისწრაფების წინააღმდეგ, რადაც უნდა დაჯდომოდათ ხელში ჩაეგდოთ ყოფილი მეფე, ურალელმა მუშებმა გადაწყვიტეს არაფრის დიდებით არ დაეთმოთ იგი. სწორედ ამ ამბების საფუძველზე გათამაშდა რომანოვების ოჯახის დრამა. ფერდობზე მდგარი დაბალი სახლისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გაჩაღდა, რომელმაც მთელი რუსეთი მოიცვა კიდით კიდემდე. ცეცხლის ნაპერწკლები ცვიოდა ორმაგი ფიცრული მესერის იქითაც, სადაც ყოფილი იმპერატორი და იმპერატრიცა იმყოფებოდნენ და სადაც რევოლუციის დარაჯნი — სისერტელი ზეინკლები და ვერხისეტსკელი თოქმაჩები თავიანთ საგუშაგოზე შაშხანებმომარჯვებულნი იდგნენ.

შექმნილ ვითარებაში სხვა რაღაზე შეეძლოთ იმედის დამყარება ყოფილთ?

ისევ იმაზე, რაზედაც ამყარებდნენ იმედს წლინახევრის წინათ: გაქცევაზე უცხოეთის სახელმწიფოთა დახმარებით. რომანოვების პატიმრობის ეკატერინობურგის პერიოდზე მოდის სწორედ კონტრრევოლუციის შიდა და საზღვარგარეთის ძალების მიერ მათი განთავისუფლების გააფთრებული ცდა. ჯერ კიდევ 1918 წლის აპრილის ბოლოს

რომანოვების დაცვის ეკატერინობურგის პირობები გაცილებით საიმედო იყო, ვიდრე ტობოლსკისა, მაგრამ ერთი თვის შემდეგ განსხვავება უკვე აღარ არსებობდა. მალე საქმე ისე შეტრიალდა, რომ ეკატერინობურგიდან უფრო ადვილი იყო რომანოვებისათვის ხელიდან გასხლტომა, ვიდრე ტობოლსკიდან. იქიდან გაქცევის შემთხვევაში მათ ათასი ვერსი უნდა დაეფარათ, აქედან კი ხშირი, განშტოებული საუკეთესო გზებით თეთრგვარდიელ ჩეხებამდე და დუტოველებამდე სულ ახლო იყო.

წრე ვიწროვდება

აქ მოხსენიებული ერთ-ერთი ავტორთაგანი ვ. ალექსანდროვი მოგვითხრობს: აღწერილი მოვლენებიდან მრავალი წლის შემდეგ იგი კანში შეხვედრია ყოფილ თეთრგვარდიელ ოფიცერ სოკოლოეს, რომელსაც თავისი საკუთარი რესტორანი ჰქონია გახსნილი იმავე ქალაქში. ამ კაცს, როგორც შეთქმულების წევრს, 1918 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში შეთქმულთა დიდ წრესთან ერთად მონაწილეობა მიუღია მეფის ოჯახის იპატიევის სახლიდან განთავისუფლებისათვის მზადებაში. სოკოლოვს კარგად ახსოვდა, როგორ ჩაება ამ ოპერაციაში ტეკინის („ველური") დივიზიის ხალხი, რომლებიც თავის დროზე მონაწილეობას იღებდნენ კორნილოვის აჯანყებაში. მისი ჩახშობის შემდეგ დაპატიმრებულნი ბიხოვში იმყოფებოდნენ ტეკინის ცხენოსანთა პოლკისა და გიორგის ჯვრის კავალერთა ბატალიონის დაცვის ქვეშ. 1918 წლის თებერვალში გენერლები ბიხოვიდან გაიქცნენ, ტეკინელები კი კორნილოვის თაოსნობით დონით ნოვოჩერკასკში გაიჭრნენ.

სოკოლოვმა თავის მოსაუბრესთან აღიარა, რომ 1918 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში დენიკინისა და ალექსეევის საიდუმლო ბრძანებით ტეკინელები ურალში გაიფანტნენ, თავი ეკატერინობურგის გარეუბნებს შეაფარეს და იპატიევის სახლის ირგვლივ ალყის შემოსარტყმელი უხილავი სარტყელი გაჭიმეს. ესენი იყვნენ სიძულვილისაგან თავზეხელაღებული ადამიანები, „და თუ ისინი მაშინ თავს არ დაესხნენ იპატიევის სახლს, ეგ იმიტომ, რომ ჩეხებმა, რომლებთანაც შეთანხმებული იყვნენ ერთობლივ დარტყმაზე, ივლისის პირველ ნახევარში ეკატერინობურგზე შეტევა შეანელეს" [30].

ცოტა ადრე, 10 ივნისს, თეთრგვარდიელი ოფიცრების ჯგუფი კა-

პიტან როსტოვცევისა და იასაულ მამკინის მეთაურობით გარეუბნიდან ქალაქში შეჭრას შეეცადა იმ განზრახვით, რომ პატიმრობიდან გაეთავისუფლებინა და წაეყვანა მეფის ოჯახი. მუშათა ცხენოსანმა რაზმმა პ. ზ. ერმაკოვის მეთაურობით ეს ბანდა ხელში ჩაიგდო და გაფანტა.

სანამ ქალაქს საბოლოოდ დატოვებდნენ, რასაც ადგილობრივი მცხოვრებლები დაჟინებით მოითხოვდნენ, ჟილიარმა და გიბსმა (როგორც იმავე ყოფილმა ოფიცერმა სოკოლოვმა განაცხადა) არაერთხელ მიმართეს ბრიტანეთის კონსულს ეკატერინობურგში თომას რესტონს. ეკითხებოდნენ მას რჩევას და სთხოვდნენ მიეღო ზომები მეფის ოჯახის დასაცავად. იმ დროისათვის რესტონს ჩინებულად ჰქონდა გაწაფული ხელი საჯაშუშო-დივერსიულ მაქინაციებში რუსეთის სიღრმეში. იგი ერთდროულად ასრულებდა თავისი უშუალო შეფის — ბრიტანეთის ელჩის ბიუკენენის, აგრეთვე რუსეთში მყოფი ინგლისის სამხედრო მისიის ხელმძღვანელის ალფრედ ნოკსისა (როგორც ადრე მისი წინამორბედის სამუელ ჰორას) და ლონდონის ცენტრის ინტელიჯენს სერვისის [31] დავალებებს. ამერიკელი ავტორის მესის მტკიცებით, ურალში მყოფმა ბრიტანეთის რეზიდენტმა გიბსთან და ჟილიართან საუბრისას თითქოს გარკვეული „პესიმიზმი“ გამოავლინა იმ მოსაზრებით, რომ „აღნიშნულ ვითარებაში უცხოეთის ჩარევები მხოლოდ ვნებას მოუტანდა იპატიევის სახლის პატიმრებს“, ხოლო რაც მთავარია, არსებული წითელგვარდიული ძალების წინაშე მეფის ოჯახის გაქცევის ცდა უგუნურობა იქნებოდა — სწორედ ეს მოუტანდა მას „ყველაზე მეტ საფრთხეს“ [32].

ეს მტკიცება საეჭვოა: რესტონისა და მისი კოლეგების მთელი მოღვაწეობა აღმოსავლეთ რუსეთში ამ ქვეყნის საქმეებში უხეში ჩარევაა; რესტონის „პესიმიზმმა“ სულაც არ შეაგულიანა იგი შემაკავებელი გავლენა მოეხდინა თავზეხელაღებულთა იატაკქვეშა ბანდებზე, რომლებიც „გრძელი დანების ღამეებს“ უწყობდნენ ქალაქის მუშა მოსახლეობას,—პირიქით, რესტონი უზრუნველყოფდა მათ იარაღით, აჩქარებდა მზადებას, მოითხოვდა მათგან დისციპლინასა და მორჩილებას, ახდენდა ურთიერთმოქმედების კოორდინირებას. თუ შეიარაღებული ბანდების სხვადასხვაგვარობას გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ გარემოებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. საქმე ისაა, რომ „რუსეთის კონტრრევოლუციონერი მეამბოხენი“, რომელთა რაოდენობასაც ვ. ალექსანდროვი 5 ათასი კაცით განსაზღვრავდა, იმ

დროისათის თავმოყრილი იყვნენ რამდენიმე ქალაქში: ყაზანში, სიმბირსკში, პერმში, ალაპაევსა და ეკატერინობურგში. კერძოდ, შეთქმულების მონაწილეთა და კონსულ რესტონის მორჩილებაში მყოფთა შორის იყო სერბიის ბატალიონი მაიორ ბლაგოტიჩის მეთაურობით, რომელიც 1915 წელს პეტროგრადიდან გადმოტანილ რუსეთის სახელმწიფო ბანკის ოქროს მარაგს იცავდა ყაზანში.

1918 წლის 6 ივლისს სიმბირსკში, „ტროიცე-სპასკაიას" სასტუმროში, გაიხსნა მეფის ოჯახის განთავისუფლების საკითხისადმი მიძღვნილი რესტონის მიერ ინსპირირებული სამხედრო თათბირი. მას თავმჯდომარეობდა პოლკოვნიკი კაპელი (სწორედ ის, რომელიც მოგვიანებით სათავეში ჩაუდგა კოლჩაკელთა შენაერთებს ციმბირში). თათბირს სხვებთან ერთად ესწრებოდნენ: ყოფილი სათათბიროელი, გამოჩენილი თეთრგვარდიელი პოლიტიკანი ფორტუნატოვი; კადეტელი მოღვაწე ინჟინერი ლებედევი; იატაკქვეშა ორგანიზაციის ოპერატიული განყოფილების ხელმძღვანელი კაპიტანი სტეპანოვი. დადგენილებაში, რომელიც თათბირმა ერთსულოვნად მიიღო, ნათქვამი იყო: „იპატიევის სახლზე იერიში მიტანილ იქნას ღამით. წითელი არმიის ყურადღების ჩამოსაშორებლად პერმსა და სხვა ახლო ქალაქებში მოეწყოს გამოსვლები. გამოიყოს ოფიცერთა განსაკუთრებული რაზმი, რომელიც წაიყვანს მეფის ოჯახს გადასამალად საიდუმლო თავშესაფარში; ოპერაცია უნდა წამოიწყონ ერთდროულად ძლიერ სლავიანურ (ჩეხ თეთრგვარდიელთა — მ. კ.) შეტევასთან შეთანხმებით, რომელიც სასურველია დაინიშნოს დაახლოებით 15 ივნისისათვის" [33].

ჩეხოსლოვაკიის ლეგიონის სარდლობასთან გამოსვლის ვადების დასაზუსტებლად და შესათანხმებლად ეკატერინობურგის რაიონში მივლინებით გაიგზავნა კაპიტანი სტეპანოვი. მაგრამ მან ეკატერინობურგის ბაქანზე ფეხის დადგმაც ვერ მოასწრო, რომ ურალის ჩეკას თანამშრომლებმა ხელი სტაცეს.

თავიანთი საათის მოლოდინში სახალხო ხელისუფლების მტრებსა და მოძულეებს ეკატერინობურგში გული გადაელიათ. ჯერ კიდევ გაზაფხულზე მეფის ოჯახის კვალდაკვალ ისინი ციმბირიდან ურალში გადმობარგდნენ, ბევრი მათგანი კი იპატიევის სახლის მეზობლად დაბინავდა. ირაზმებოდნენ და იარაღდებოდნენ, გამოსვლისათვის ემზადებოდნენ შეიარაღებული ჯგუფები. ერთნი ჩეკისტებმა აღმოაჩინეს და გააუვნებლეს, სხვები იატაკქვეშ განაგრძობდნენ დანების ლესვას. იპატიევის სახლიდან რამდენიმე ასეულ ნაბიჯზე მდებარეობდა ჯერ კიდევ

ჩვიდმეტი წლის ზაფხულში პეტროგრადიდან ევაკუირებული გენერალური შტაბის აკადემია, რომელიც დისციპლინებულ, კარგად შეიარაღებულ, გამოცდილ ოფიცერთა საბრძოლო ძალას წარმოადგენდა და მზად იყო ნებისმიერ მომენტში ემოქმედნა.

ფიქსირებულია ანტანტელი ოფიცრების იპატიევის სახლში მოხვედრის რამდენიმე ცდა: ერთ შემთხვევაში ყალბი „მოსკოვის ნებართვით"; მეორეში — ურალის საბჭოს სახელით ყალბი საშვის მეოხებით; მესამეში — ყოფილ უმაღლეს მთავარსარდალთან 1918 წლის ზაფხულის სამოკავშირეო ოპერაციის გეგმის თაობაზე კონსულტაციის აუცილებლობით...

ახლა კიდევ ეკატერინობურგში ჩამოვიდნენ იმპერატორის მრავალრიცხოვანი ნათესავები, მათ შორის ადრე პეტერბურგიდან ვიატკაში გადასახლებული დიდი მთავრების ჯგუფი. ისინი დროებით მიყუჩდნენ ქალაქში, შეუერთდნენ შეთქმულთა წრეებს, ხელი მიჰყვეს ინტრიგანობასა და წამქეზებლობას.

საიმპერატორო გვარის წევრთაგან ეკატერინობურგში აღმოჩნდნენ დიდი მთავრები სერგეი მიხეილის ძე, იგორ, ივანე და კონსტანტინე კონსტანტინეს ძეები; თავადი პალეი; დიდი ქალბატონი ელიზავეტა თეოდორეს ასული (დედოფლის და); სერბიის დედოფალი ელენე პეტრეს ასული. ურალის საბჭოს 1918 წლის 20 მაისის დადგენილებით ყველა ისინი ეკატერინობურგიდან 170 ვერსის დაშორებით ალაპაევში გაიგზავნენ. აქ ისინი ქალაქის განაპირას, ე. წ. ნაპოლნის სკოლის ქვის შენობაში მოათავსეს და დაცვა მიუჩინეს.

ამ საერთო ფონზე იპატიევის სახლის დაცვის სისუსტე განგაშს იწვევდა. მისი საბრძოლო თვისებები გაურკვეველი იყო. სახლის დამცველები რევოლუციის ენთუზიასტები იყვნენ, მაგრამ მათ მოძველებული იარაღი ჰქონდათ, რომელთა მოხმარებაც არ იცოდნენ, ბევრ მათგანს ადრე შაშხანა ხელში არც სჭეროდა. „დგანან ადამიანები ტყვიამფრქვევთან, მაგრამ მისი გასროლა არ იციან... — იგონებდა მოგვიანებით ავდეევი. — ასე ვაკეთებდით: ვაყენებდით ტყვიამფრქვევთან გუშაგებს და იქვე ვიწყებდით მათ სწავლებას, თუ როგორ უნდა მოეხმარათ ეს იარაღი" [34].

ივლისმა ჭეკა-ქუხილში გაიარა. ჯერ კიდევ მისი დასაწყისი ძლიერი რყევებით აღინიშნა. ეკატერინობურგს უკვე ჩვეულებრივი კავშირი აღარ ჰქონდა მოსკოვთან. მაგრამ ცნობები იქიდან და სხვა ქალაქებიდან მაინც მოდიოდა. 6 ივლისს ბლიუმკინმა მოკლა გერმანიის ელჩი

მირბახი. 6—7 ივლისს დედაქალაქში აჯანყება დაიწყეს მემარცხენე ესერებმა. 9 ივლისს, ღამით, მემარცხენე ესერმა, აღმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდალმა მ. ა. მურავიოვმა — სწორედ იმ ფრონტისა, რომლის მდგომარეობაც უშუალო გავლენას ახდენდა ეკატერინობურგის ბედზე — ღალატი ჩაიდინა. ყაზანში არსებული თავისი შტაბიდან მურავიოვი დამქაშების ჯგუფთან ერთად სიმბირსკში გაიქცა და გერმანიას იქიდან „გამოუცხადა ომი“. ეს „ანტიგერმანული გმირობა“ იმისათვის უნდოდა, რომ როგორმე ფრონტი გაეხსნა თეთრგვარდიელი ჩეხებისათვის, ეს კი მათ ეკატერინობურგის კარს გაუღებდა. 11 ივლისს თეთრგვარდიელებმა იაროსლავლში აჯანყება დაიწყეს. ყველაფერი ეს ითვალისწინებდა ეკატერინობურგის ირგვლივ გარშემორტყმული ნახევარწრის ჩაკეტვასა და ალყის შევიწროებას.

რომანოვების დაცვაზე პასუხისმგებლებს არაფრის მოლოდინი აღარ ჰქონდათ: თეთრებს შეეძლოთ ქალაქში ნებისმიერ დღესა და საათზე შემოვრა. დროს დაკარგვა არ შეიძლებოდა. ურალის საბჭოს რაღაც უნდა ეღონა.

ხელისუფლების ეს ორგანო, რომელიც კონსტიტუირებული იყო 1918 წლის თებერვალში საბჭოების მესამე საოლქო ყრილობაზე, ურალის ამომრჩეველთა 98 პროცენტის თავისუფალი ნების გამოხატულება იყო. მის წამყვან და ყველაზე აქტიურ ძალას შეადგენდენ მუშები — დეპუტატები ეკატერინობურგიდან, პერმიდან, ნადეჟდინსკიდან, ჩუსოვოდან, ლისვიდან, მოტოვილიხიდან, კუნგურადან, მანიარადან, ჩელიაბინსკიდან, კიშტიმიდან, სისერტიდან, ნევიანსკიდან, ალაპაევიდან. ესენი იყვნენ იმ რაიონების წარმომადგენლები, სადაც საბჭოების ძალაუფლება დამყარდა უკვე 1917 წლის ნოემბერში, პეტროგრადში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მიერ თავისუფლად არჩეული ურალის საბჭოსაგან მიღებული კანონიერი რწმუნების საფუძველზე მოქმედებდა მისი აღმასრულებელი კომიტეტი პრეზიდიუმის მოთავეობით, რომელშიც ხუთი კაცი შედიოდა. მისი წევრები იყვნენ: ა. გ. ბელობოროდოვი (თავმჯდომარე), ბ. ვ. დიდკოვსკი (თავმჯდომარის მოადგილე), თ. ი. გოლოშჩეკინი, გ. ნ. საფაროვი, ნ. გ. ტოლმაჩევი.

თავდაპირველად, როცა რომანოვები ურალში მიიყვანეს, მოსკოვისა და ურალის ინსტანციები ვარაუდობდნენ ყოფილი მეფის ღია გასამართლებას (შესაძლებელია მისი მეუღლისაც). სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა პროცესის

ორგანიზაციის პროექტი დასამტკიცებლად სრულიად რუსეთის საბჭოების მე-5 ყრილობაზე გაეტანა. სანამ ყრილობისათვის მზადება მიმდინარეობდა, გოლოშჩეკინი მოსკოვში გაემგზავრა, რათა ურალში არსებული მდგომარეობა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისათვის მოეხსენებინა. რადგანაც სამხედრო ვითარება ქვეყნის იმ რაიონში სწრაფად უარესდებოდა, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა უარი თქვა წინანდელ განზრახვაზე — დაეცადათ ყრილობის გადაწყვეტილებისათვის სასამართლოს საკითხის შესახებ და თ. ი. გოლოშჩეკინს შესთავაზა, ეკატერინობურგში დაბრუნებისთანავე შედგომოდა პროცესის ორგანიზებას იმ ვარაუდით, რომ იგი ჯერ კიდევ ივლისის ბოლომდე შემდგარიყო.

ის, რომ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ურალის საბჭო მაქსიმალურად ცდილობდნენ სასამართლო პროცესის ორგანიზებას იმ დროისათვის მოქმედი იურიდიული ნორმების დაცვით, ამის უარყოფა დღეს ყველაზე გულბილწ სოვეტოლოგებსაც კი არ შეუძლიათ.

„ჩემი ზემო ჩვენებიდან (სამოქალაქო ომის მსვლელობაზე — მ. კ.) ეჭვს გარეშე გამომდინარეობს, — წერს ამის შესახებ ვ. ალექსანდროვი, — რომ მალე მას შემდეგ, რაც ხელისუფლებას სათავეში ბოლშევიკი ლიდერები ჩაუდგნენ, ისინი პრინციპში დათანხმდნენ ნიკოლოზის სასამართლოსათვის გადაცემის იდეას, აგრეთვე, სავსებით შესაძლებელია, მისი ყველასათვის საძულველი ცოლისაც; მაგრამ გაცილებით უფრო მწვავე პრობლემების გამო, ვიდრე რომანოვების დასჯა იყო, ისინი იძულებული გახდნენ, რაც შეიძლება უფრო შორს გადაედოთ ეს გეგმა, ხოლო შემდეგ მასზე საერთოდ უარი ეთქვათ“. ასეთ დასკვნამდე მივიდა აგრეთვე მესიც: „წინწაწეული არმიის (თეთრგვარდიელთა — მ. კ.) მხრიდან წარმოშობილი სწრაფად მზარდი საფრთხე — აი, რამ აიძულა ბოლშევიკები გამომშვიდობებოდნენ თავიანთ მოსაზრებას მეფის ღიად გასამართლების თაობაზე და მისი ოჯახის მიმართ სხვა გეგმის შემუშავებაზე ეზრუნათ“ [35].

12 ივლისს გოლოშჩეკინი მოსკოვიდან ეკატერინობურგში დაბრუნდა. იმავე დღეს შედგა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სხდომა. ჩამოვიდა ფრონტიდან გამოძახებული სარდლობის წარმომადგენელი; მას სთხოვეს შეეფასებინა იმ დღისა და საათის სამხედრო სიტუაცია. მან პირდაპირ განაცხადა: ეკატერინობურგის მისადგო-

ბებთან მდგომარეობის აღდგენის იმედი არ არსებობს. შეტევაზე გადმოსული ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების ძალები ქალაქს სამხრეთიდან უვლიან, უკანდახეულ წითლების ნაწილებს ორი მხრიდან ავიწროებენ. კუზინოს სადგურიდან მოწინააღმდეგის დამრტყმელი დაჯგუფება პირდაპირ ქალაქისაკენ მოიწევს. რადგანაც თავდაცვის რესურსები გველევა, ხოლო ცოცხალი ძალისა და საბრძოლო იარაღის რეზერვი არა გვაქვს, ამასთან ამ მხრივ მომავალშიც რაიმე იმედი არ გაგვაჩნია, ეკატერინბურგის დაცემას შეიძლება დღე-დღეზე ველოდეთო.

ამას გრძნობდა ქალაქში განაბული მტერიც. იპატიევის სახლსა და მონარქიულ იატაკქვეშეთს შორის ინფორმაციების და საიდუმლო ნიშნების გაცხარებული გაცვლა-გამოცვლა მიმდინარეობს. რომანოვები თავისიანებს უხმობენ საშველად, ჩქარობენ დაცვაზე თავდასხმის მოწყობას. სახლიდან გამოგზავნილ და სახლში შეგზავნილ წერილებს ნახულობენ პურის ნატეხებში, შეხვეულ პროდუქტებში.

მონასტრიდან მოტანილი ნაღების ბოთლის საცობში, — იგონებდა კომენდანტი, — აღმოვაჩინე ინგლისურ ენაზე დაწერილი წერილი: ოფიცერი ატყობინებდა რომანოვებს, რომ ყველაფერი მომზადებულია მათ გადასარჩენად, უცდიან მხოლოდ ძათ თანხმობას. ქაღალდი ამხ. გოლოშჩეკინს მივუტანე. ასლის გადაღების შემდეგ იგი უკანვე ჩავდეთ საცობში და დანიშნულებისამებრ გადავეცით. 2—3 დღის შემდეგ ამგვარივე წესით გაგზავნა პასუხი ნიკოლოზმა, — რომ ისინი მზად იყვნენ. ოფიცერი დააპატიმრეს. იგი აღმოჩნდა ავსტრიის არმიის ოფიცერი, გვარად მაჩიჩი [36].

იმავე დღეებში მეორე სართულის ერთ-ერთ ოთახში თითქმის გაუწყვეტელი თათბირები მიმდინარეობდა ბოტკინის მონაწილეობით. დერეფანში ვახტზე დგებოდნენ მარია და ტატიანა. ისინი სკივრზე სხდებოდნენ და ხელსაქმეს ჩაჭკირკიტებდნენ, ხოლო როგორც კი უცხო პირი გამოჩნდებოდა, დგებოდნენ და ოთახში შედიოდნენ, რათა თავისიანები გაეფრთხილებინათ. ხშირად დაეხეტებოდა საყარაულო შენობაში ბოტკინი, საუბარში ითრევდა დამცველებს, რათა რაიმე ახალი დაეტყუებინა. ექიმმა დერევენკომ ბოროტად გამოიყენა იპატიევის სახლში ნებისმიერ დროს შესვლა-გამოსვლის უფლება (ასეთი უპირატესობა აღმასკომის წევრების გარდა არავის ჰქონდა) და ადგილობრივი იატაკქვეშა ჯგუფების აგენტი გახდა. როცა შუა ივნისში თეთრგვარდიელი პოლკოვნიკი ი. ი. სიდოროვი ეკატერინბურგში საიდუმლოდ ჩავიდა სპეციალური მისიით — იპატიევის სახლზე თავდასხმის მომზადების კოორდინირებისათვის, ამ დავალების შესრულებაც დერევენკომ საკუთარ თავზე აიღო.

განთავისუფლების საათი ახლოვდება, — სწერს სიდოროვი ნიკოლოზს. — უზურპატორების დღეები დათვლილია. სლავური არმიები სულ უფრო უახლოვდებიან ეკატერინობურგს. ისინი ქალაქიდან რამდენიმე ვერსზე არიან. მომენტი კრიტიკული ხდება. ეს მომენტი დადგა...

თქვენს მეგობრებს არ სძინავთ, — ნათქვამია მეორე წერილში. — ესოდენ დიდი ხნის ხანატრი საათი დადგა[37].

ღვთის წყალობითა და თქვენი ცივი გახსჯის დახმარებით იმედი გვაქვს მიზანს ყოველგვარი რისკის გარეშე მივაღწევთ, — იტყობინებოდა იპატიევის სახლში გაღაცემული კიდევ ერთი წერილი. — აუცილებელია თქვენი რომელიმე ფანჯრის ისე მოშლა, რომ გაღება შეგეძლოთ; გთხოვთ ზუსტად მიმანიშნოთ ფანჯარა. იმ შემთხვევაში, თუ ჰატარა უფლისწულს წამოსვლა არ შეუძლია, საქმე ბალზე გართულდება... მოიწერეთ, მის წამოსაყვანად ორი კაცი ხომ არ არის საჭირო, ანდა ხომ ორ არის იმის შესაძლებლობა, რომ ეს რომელიმე თქვენგანმა იკისროს. ხომ არ შეიძლებოდა ამ დროისათვის უფლისწული ერთი ან ორი საათით დაგვინებებინათ რომელიმე ნარკოტიკული საშუალებით. დაე, ეს ექიმმა გადაწყვიტოს.. ჭშვიდად იყავით. ჩვენ ისეთ რამეს არ მოვიმოქმედებთ, რომ წინასწარ აბსოლუტურად დარწმუნებული არ ვიყოთ მის წარმატებაში. ამას საზეიმოდ გპირდებით ღმერთის, ისტორიისა და საკუთარი სინდისის წინაშე.

ოფიცერი[38]

შემხვედრ ფოსტას (იმავე დერევენკოს საშუალებით) სახლიდან გარეთ გამოაქვს ნიკოლოზის მიერ საკუთარი ხელით დაწერილი ერთ-ერთი წერილი:

კუთხიდან მეორე ფანჯარა, რომელიც მოედანზე გადის, უკვე ორი დღეა ღამითაც კი ღიაა. მთავარი შესასვლელის ახლოს არსებული მე-7 და მე-8 ფანჯრები, რომლებიც აგრეთვე მოედანს გადაჰყურებენ, ზუსტად იმგვარადვე მუდამ ღიაა. ოთახი დაკავებულია კომენდანტისა და მისი თანაშემწეების მიერ, რომლებიც ამჟამად შიდა დაცვას წარმოადგენენ. ისინი ცამეტნი არიან. აქვთ თოფები, რევოლვერები და ბომბები. არც ერთ კარს, გარდა ჩვენისა, გასაღებები არ გააჩნია. კომენდანტი და მისი თანაშემწე მაშინ შემოდიან ჩვენთან, როცა უხდათ. სახლის შეოკლეს მორიგე ღამით ერთ საათში ორჯერ აწარმოებს და ჩვენ გვესმის ხოლმე. ფანჯრების ქვეშ იარაღს როგორ აჩხარუნებს. აივანზე ერთი ტყვიამფრქვევი დგას, ხოლო აივნის ქვეშ — მეორე, განგაშის შემთხვევისათვის. ჩვენი ფანჯრების პირდაპირ, ქუჩის იქითა მხარეს, ჰატარა სახლში დაბინავებულია დაცვა. იგი 50 კაცისაგან შედგება. ყველა გასაღები და მათ შორის ნომერი მეცხრე გასაღებიც ინახება კომენდანტთან, რომელიც ჩვენ კარგად გვექცევა.. * შესასვლელთან ყოველთვის დგას ავტომობილი. ყოველი საგუშაგო პოსტიდან კომენდანტთან გაუყვანილია ზარი. მავთულებია დაცვის მიერ დაკავებულ შენობასა და სხვა პუნქტებში... გვაცნობეთ, როდის მოგვეცემა შესაძლებლობა, და გვიპასუხეთ, შეგვეძლება თუ არა ჩვენი ხალხის წამოყვანაც[39].

---

* აქ ნიკოლოზს მხედველობაში ჰყავს არა ა. დ. ავდეევი, არამედ მისი შემცვლელი ი. მ. იუროვსკი.

რაკი შექმნილი მდგომარეობიდან სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა, ურალის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა 12 ივლისს იქავე სხდომის ბოლოს მიიღო გადაწყვეტილება: დაესაჯათ რომანოვები ისე, რომ არ დაეცალათ სასამართლოსთვის.

მეფე-დედოფლის სადმე წაყვანა აღარ შეიძლებოდა და აღარც ღირდა. მათ მიერ დანთებული ცეცხლის ალი მათვე უახლოვდებოდა. ისიხი ქარიშხალმა შთანთქა.

ის საში ღამე

1918 წლის 12 ივლისს ვოლგა-კამის ბანკის შენობაში ურალის საბჭოს სხდომა მიმდინარეობს. თავმჯდომარეობს ბელობოროდოვი. სხდომა დილით ადრე დაიწყო. ორატორების გამოსვლა აღსავსეა განცდებით. გაისმის მკვეთრი, ხშირად მძაფრი რეპლიკები: ყოფილი მეფის ბედი წყდება.

ზოგიერთი დასავლეთელი ავტორი „ევროპის ყველაზე შორეულ მხარეში“ გაძართულ ამ სხდომას გულბილწ, თითქმის აპოკალიპტურ ტოსებაში ხატავს. მისი ატმოსფერო, წერს ერთ-ერთი სოვეტოლოგთაგანი, „გაჟღენთილია თაბაქოს ბოლითა და ‘ხიხლით“; მისი ფონია „ქალაქში აპოკარდნილი მტვრიანი ქარიშხალი“.

ეს გამონაგონია. ზაფხულის კაოგი ამინდი იდგა. კაშკაშა მზის სხივებზე მწვანედ ხასხასებდნენ ბაღები და სკვეოეები, ვეოცხლიაფოად ლაპლაპებდნენ გუბურები და ტბები, რომლებიც სარტყელივით შემოჰკვროდნენ უოალის ძველ ქალაქს.

რამდენ ხანს გაგრძელდა სხდომა ბანკის დარბაზში, ამის თქმა დანაბადვილებით ალბათ არც ერთ მის მონაწილეს არ შეეძლო. შუადღე უკვე კარგა ხნის გადასული იყო, როცა ბელობოროდოვმა კენჭისყრა გამოაცხადა. აღმასრულებელმა კომიტეტმა ერთსულოვნად გამოიტანა გადაწყვეტილება. პრეზიდიუმის წევრებმა — მათ შორის ბელობოროდოვმა, გოლოშჩეკინმა, დიდკოვსკიმ და ტოლმაჩევმა გაბაჩეის ხელი მოაწერეს.

წამოიჭრა საკითხი: ვისთვის დაევალებინათ მისი აღსრულება? საერთო აზრით: საგანგებო დანიშნულების სახლის კომენდანტს იაკობ მიხეილის ძე იუროვსკისა და მის მოადგილეს გრიგოლ პეტრეს ძე ნიკულინს. კიდევ სამი დღეც და ამ გაჭიანურებული ძძიმე დრამის დადასასრულიც დადგება.

16 ივლისს, საღამოს თერთმეტის ნახევარზე, რომანოვები და მათი მოსამსახურენი დასაძინებლად დაწვნენ. თორმეტის ნახევარზე იპატიევის სახლში ურალის საბჭოს ორი საგანგებო რწმუნებული გამოცხადდა. პრეზიდიუმის წევრების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი ი. მ. იუროვსკის ჩააბარეს და განაჩენის სისრულეში მოყვანა შესთავაზეს.

დაახლოებით შუაღამისას კომენდანტი, მისი მოადგილე და შეიარაღებული მუშების ჯგუფი, საბჭოს წარმომადგენლების თანხლებით, მეორე სართულზე ავიდნენ. იუროვსკის დავალებით ექიმმა ბოტკინმა შემოიარა ოთახები და მძინარენი გააღვიძა. სთხოვა მათ ამდგარიყვნენ და ჩაეცვათ. დერეფანში გამოჩენილ ნიკოლოზს კომენდანტმა აუხსნა: ეკატერინობურგს თეთრების არმიები უტევენ, ყოველ წუთს შეიძლება ქალაქი საარტილერიო ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდეს. ზედა სართულიდან ყველანი ქვემოთ უნდა ჩავიდნენო.

ერთმანეთის მიყოლებით გამოდის დერეფანში რომანოვების ოჯახის შვიდი წევრი და ოთხი მათთან დაახლოებული პირი (ბოტკინი, ხარიტონოვი, ტრუპი და დემიდოვა). ყველა იუროვსკისა და ნიკულინს მიჰყვება ქვემოთ — მეორე და პირველ სართულებს შორის ოცდასამი საფეხურია. კიბიდან რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ, მათ ნახევრად სარდაფის ტიპის კუთხის ოთახის ზღურბლს გადააბიჯეს. მისი ფართობი 6×5 მეტრს უდრის. კედლებზე გაკრულია კუბოკრული შპალერი. ერთადერთ ფანჯარას, რომელიც მოსახვევისკენ გადის, გაკეთებული აქვს მასიური რკინის გისოსი.

როცა ყველა ამ ოთახში შევიდა, კართან მდგარი კომენდანტი ა. მ. იუროვსკი, რომელიც ამავე დროს ოლქის იუსტიციის კომისრის ამხანაგიც იყო, წინ წამოდგა, გიმნასტურის გულის ჯიბიდან ოთხად დაკეცილი ქაღალდის ფურცელი ამოიღო, გაშალა და გამოაცხადა: „ყურადღება! ქვეყნდება მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების ურალის საბჭოს დადგენილება“. და როგორც კი განაჩენის უკანასკნელი სიტყვები წაიკითხა, უმალვე დაიქუხეს შაშხანებმა.

17 ივლისს ღამის პირველ საათზე ყველაფერი დამთავრდა... ღამის წყვდიადში ფანჯრის გისოსის იქით, მოსახვევში, ყრუდ ხმაურობს ავტომობილის მოტორი...

აღსრულდა ის, რასაც რუსეთის თავისუფლებისათის ტანჯულ-წამებული ათასობით მებრძოლი თაობათა მანძილზე ოცნებობდა. მოხდა ის, რასაც შორეულ მომავალში ჰვრეტდნენ კატორღას მიჯაჭვულნი, ქვის

ჯურღმულებში ჩაყრილნი, სიკვდილის წინ ეშაფოტებზე ასულნი და დამსჯელთა ტყვიით სისხლისაგან დაცლილი ადამიანები.

რომანოვების დინასტიამ დასაბამი იპატიევის მონასტერში მიიღო, აღსასრულიც იპატიევის სახლში პოვა.

აი „სრული უმეცრების“ ნიმუში: ერთ-ერთი სოვეტოლოგი ირწმუნება, თითქოს ეკატერინობურგში მდებარე საგანგებო დანიშნულების სახლის პატრონი ნ. ნ. იპატიევი პირდაპირი შთამომავალი იყო კოსტრომის ახლოს არსებული იპატიევის მონასტრის „პატრონისა“, სადაც 1613 წლის 21 თებერვალს სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით დინასტიის პირველი წარმომადგენელი — 16 წლის მიხეილ რომანოვი მეფედ იქნა გამოცხადებული [40].

უკანასკნელმა რომანოვებმა ეკატერინობურგში, საგანგებო დანიშნულების სახლში ორთვე-ნახევარი დაჰყვეს. მომხდარი ამბის აზრი უახლოეს დღეებში გაირკვა. ურალს არ უნდოდა რომანოვები კონტრრევოლუციას ხელთ ეგდო არც ცოცხალი და არც მკვდარი. გადაწყდა მათი ნეშტი დაეწვათ და უკვალოდ გაექროთ, რათა სარიტუალო საზრდო არავის მისცემოდა. შურისგების ორგიებისათვის ხელჩასაჭიდებელი არაფერი დაეტოვებინათ.

იუროვსკიმ, ნიკულინმა და მათმა დამხმარე პ. ზ. ერმაკოვმა კარგად იცოდნენ ეკატერინობურგის შემოგარენი. მათ დაამახსოვრდათ ქალაქიდან ჩვიდმეტ ვერსზე, ტბის ნაპირას მდებარე სოფელი კოპტიაკი. მას ნახევარწრედ შემორტყმოდა საუკუნოვანი წიწვიანი ტყე, რომელიც სავსებით ერწყმოდა ურალ-ციმბირის უსაზღვრო ტყიან მხარეს. ზაფხულობით აქ ჩამოდიოდნენ და გლეხებისაგან ქოხმახებს ქირაობდნენ ღარიბი მოაგარაკენი. ქალაქიდან გზა ვერხ-ისეტსკის ველსა და მდელოებზე გადიოდა, შემდეგ უღრანი ტყით სოფლის შემოგარენამდე აღწევდა. სოფლამდე ხუთ ვერსზე, გზიდან მარცხნივ, ოთხი ძმის სამანი იწყებოდა. ასე ეწოდებოდა მას ოთხი ფიჭვის გამო, რომელთაგან ძველი კორძებიღა დარჩენილიყო. ოდესღაც აქ რკინის მადნის მოპოვება წარმოებდა. შემდეგ ეს ადგილი მიუტოვებიათ; ღია დამუშავების ადგილებზე ტბორები წარმოიშვა, ხოლო იქ, სადაც შახტები იყო, ღრმა ორმოები დარჩა. ირგვლივ ყველაფერი ბალახითა და ბუჩქებით იყო დაფარული. ოთხი ძმის სამანზე უნდა მიეტანათ დასჯილი რომანოვების გვამები.

დილის 3 საათისათვის იმავე საგანგებო რწმუნებულების მეთვალყურეობით დასჯილთა გვამები ეზოში გაძოასვენეს და სატვირთო მან-

ქანის ძარაზე დაალაგეს. ის იყო ოდნავ ინათა, როცა შოფერმა სერგეი ივანეს ძე ლიუხანოვმა რწმუნებულებისა და ცხენოსანთა რაზმის თანხლებით მძინარე ქალაქი გაიარა და მანქანა ვერხ-ისეტსკის ქარხნისაკენ წაიყვანა. წინ მზვერავად, გზის შესამოწმებლად, საბჭოს ერთ-ერთი აქტივისტი ვიქტორ ვაგანოვი მიუძღოდათ ცხენით.

სატვირთო მანქანა სამანს მიუახლოვდა და ტყეში შევიდა. მიტოვებულ შახტებს შორის გვამები მშრალ მორებთან შენაცვლებით შეაბელებად დააწყვეს, ნავთი გადაასხეს და დაწვეს. როცა კოცონი ჩაცხრა, ნარჩენები ჭაობში ჩაფლეს.

იპატიევის სახლში შიდა ყარაულები მოხსნეს. გარეთ მდგარი ყარაულები კიდევ ორ დღეს განაგრძობდნენ სამსახურს. 22 ივლისს, როცა ქალაქში აშკარად გაისმა არტილერიის გრიალის ხმა, დაიწყო დაწესებულებათა ევაკუაცია. ნ. ნ. იპატიევი ურალის საბჭოში მიიწვიეს და სახლის გასაღები დაუბრუნეს.

როცა ოთხი ძმის სამანზე კოცონი გიზგიზებდა, ალაპაევში ნაპოლნის სკოლის მობინადრეთა აღსასრულიც დადგა. ამ მიყრუებულ ქალაქთან თეთრების მიახლოებამ, ვერხოტურსკის მაზრაში მონარქისტების მიწყდომამ, მათ მიერ ნევიანსკის ქარხნის რაიონში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილმა პროვოკაციულმა აჯანყებამ, რათა ყოფილი მეფის ნათესავები ხელში ჩაეგდოთ, — ყოველივე ამან აიძულა ალაპაევის საბჭო ივლისის შუა რიცხვებში ისეთივე გადაწყვეტილება მიეღო, როგორიც მიიღეს ეკატერინობურგში მეფის ოჯახის მიმართ.

18 ივლისის ღამით, ე. ი. იპატიევის სახლში მომხდარი ფინალიდან ერთი დღე-ღამის შემდეგ, ნაპოლნის სკოლას მიადგა ნევიანსკისა და ვერხნე-სინიაჩიხინსკის ქარხნების მუშების ცხენოსანთა ჯგუფი პეტრე სტარცევის მეთაურობით. პატიმრები ეკიპაჟში ჩასხეს, ვერხნე-სინიაჩიხინსკის უარხნის გაღმა ტყიანი ადგილისაკენ წაიყვანეს და ალაპაევიდან 11 ვერსზე დახვრიტეს *.

ერთი თვით ადრე ამ მხარეში ჰპოვა თავისი სამარე აგრეთვე ნიკოლოზ II ძმამ, თებერვლის ყოფილმა კანდიდატმა სამეფო ტახტზე, მიხეილ რომანოვმაც.

1917 წლის გაზაფხულიდან მიხეილი შედარებით შეუმჩნევლად

---

* ყველა, ვინც კი ეკატერინობურგიდან გაასახლეს 20 მაისს, ელენე სერბსკაიას გარდა (გარდაიცვალა 1921 წელს იუგოსლავიაში).

ცხოვრობდა გატჩინის სასახლეში. 1917 წლის ნოემბერში იგი სმოლნში გამოცხადდა და თხოვნით მიმართა სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველს ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს, როგორმე მოეხდინათ მისი „ლეგალიზაცია“ საბჭოთა რესპუბლიკაში, რათა წინასწარვე გამორიცხული ყოფილიყო მოსალოდნელი გაუგებრობანი. ბონჩ-ბრუევიჩმა სახალხო კომისართა საბჭოს ბლანკზე გააფორმა ნებართვა მიხეილ რომანოვის, როგორც რიგითი მოქალაქის, „თავისუფლად ცხოვრების“ შესახებ. როცა საერთო სიტუაცია მკვეთრად გაუარესდა (გერმანელების შეტევა 1918 წლის თებერვალში პეტროგრადზე, სხვა მოვლენები), პეტროგრადის საბჭომ წინადადება მისცა მიხეილს პერმში წასულიყო საცხოვრებლად.

მასთან ერთად იქ დასახლდა მისი მდივანი ბრაიან ჯონსონი (ინგლისელი), კამერდინერი ნიკიფორე ჩელიშევი და შოფერი ვასილ ბორუნოვი *. თავდაპირველად პერმის საბჭო მიხეილს თავისუფლებას უზღუდავდა, მაგრამ შემდეგ, მისი თხოვნით, შეზღუდვები მოუხსნეს. ქალაქის ცენტრში, ციმბირის ქუჩაზე, სასტუმრო „კოროლევსკაიას“ ბრწყინვალე ნომერში მისმა უდარდელმა ცხოვრებამ („როლს-როისით“ სეირნობამ ქალაქგარეთ მოწყობილ პიკნიკებზე, კონცერტებსა და თეატრში, საღამოებზე და ა. შ. სიარულმა), გააღიზიანა ადგილობრივი მოსახლეობა და ბევრი დაუფარავად გამოთქვამდა უკმაყოფილებასა თუ პროტესტს.

საქარხნო კრებებსა და მიტინგებზე გაისმოდა შეძახილები: „გაიგზავნოს მიხეილი ციხეში“, „დაისაჯოს იგი“. მოტოვილიხინსკის ქარხნის მიტინგიდან საბჭოში მოვიდა რეზოლუცია. მასში ნათქვამი იყო, რომ თუ მიხეილ-უმცროსს ხელისუფლების ორგანოები არ დააპატიმრებდნენ, მაშინ მუშები „თავად გაუსწორებდნენ ანგარიშს“. საბჭომ შესთავაზა მიხეილს მისივე უსაფრთხოების მიზნით სასტუმრო „კოროლევსკაიადან“ მისთვის გარემონტებულ ყოფილი ციხის საავადმყოფოს შენობაში გადასულიყო. „ამგვარი მუქარისა“ და „თვითნებობის“ გამო მიხეილმა ცენტრში იჩივლა. პერმის საბჭოს მისამართით გამოგზავნილი ორი დოკუმენტით — ერთი სახალხო კომისართა საბჭოდან ბონჩ-ბრუევიჩის, ხოლო მეორე ჩეკადან ურიცკის ხელმოწერით — და-

---

* მიხეილს, რომელიც ავტომოყვარულად ითვლებოდა, რევოლუციამდე რუსეთში (და მის გარეთ) ჰქონდა ყველაზე დიდი საკუთარი გარაჟი. ჰყავდა საუკეთესო მარკის ასამდე მანქანა, მათ შორის „როლს-როისი“ და „პიკარდი“.

დასტურებული იყო, რომ რადგანაც მიხეილ რომანოვი არ იძლეოდა მისდამი სხვაგვარი დამოკიდებულების მიზეზს, მისი მოქალაქეობრივი უფლებები ხელუხლებელი რჩებოდა; მას ნება ეძლეოდა კვლავ ეცხოვრა პერმში განსაკუთრებული შეზღუდვების გარეშე. აღმასკომის პრეზიდიუმმა ცენტრის მითითება სახელმძღვანელოდ მიიღო, მაგრამ თავის მხრივ რომანოვი მაინც გააფრთხილა: რაკი ესოდენ რთულ პირობებში ცხოვრებას კვლავ უწინდელ ყაიდაზე განაგრძობდა, შესაძლებელი შედეგებიდან საბჭო თავის პასუხისმგებლობას იხსნიდა.

მოხდა ის, რის შესახებაც აფრთხილებდნენ. 13 ივნისს სასტუმრო „კოროლევსკაიაში“ ღამით უცნობმა პირებმა შეაღწიეს. მათ თან წაიყვანეს მიხეილი, ქალაქგარეთ გაიყვანეს და მოტოვილიხიდან ექვს კილომეტრზე, ნობელის ნავთის საწყობების უკან, ხშირ ჩირგვნარში დახვრიტეს.

მიხეილის დაკარგვა პერმის საბჭოში დილით გაიგეს. ეჭვი დაებადათ გაქცევაზე. მოსკოვის, პეტროგრადისა და სხვა მიმართულებით დეპეშები გაგზავნეს გაქცევის შესახებ; ამავე დროს მდევარი დაადევნეს და ძებნა გამოაცხადეს. მაგრამ გამოირკვა, რომ მიხეილი ადგილობრივმა მუშებმა ა. მარკოვმა, ვ. ივანჩენკომ, ნ. ჟუჟკოვმა, ი. კოლპაშნიკოვმა დასაჯეს სიკვდილით. ჯგუფს მოტოვილიხის სადაბო საბჭოს თავმჯდომარე გ. მიასნიკოვი ხელმძღვანელობდა.

საბჭოს წარმომადგენელთა მონაწილეობით ჩეკაში მოწყობილ პირველსავე დაკითხვაზე მიასნიკოვმა განაცხადა: მოტოვილიხელმა მუშებმა შეიტყვეს, რომ მიხეილ რომანოვი ცდილობდა საზღვარგარეთ გასვლის ნებართვის მიღებასო. მისი ცოლი გრაფინია ბრასოვა (დაბადებით შერემეტიევსკაია) მოსკოვში ყოფილა და თითქოს მიუმართავს კიდეც სახალხო კომისართა საბჭოსათვის. მაგრამ, სანამ რაიმე გადაწყდებოდა, საზღვარგარეთ გაქცეულა და პარიზში ჩასულა. რადგანაც მუშებს დაებადათ შიში, რომ მიხეილიც ისარგებლებდა მიცემული თავისუფლებით და გაქრებოდა, ამიტომ ხუთმა მოხალისემ პირადი თაოსნობითა და შეხედულებით, საბჭოთა ორგანიზაციების ნებართვის გარეშე, „გადაწყვიტეს ამის გაკეთება და მოიმოქმედეს კიდეც“...

ამრიგად, რომანოვების საგვარეულოს თხუთმეტმა წარმომადგენელმა თავისი აღსასრული ურალში ჰპოვა.

პირველებიც გახდებიან ბოლანასკნელნი.

ოთხი ძმის სამანი

ის დღე, როცა იპატიევის სახლი დაცარიელდა, — ეს იყო პირველი მსოფლიოს ომის 1456-ე დღე.

გერმანიის მძიმე არტილერიის ზალპებისაგან პარიზთან მიწა ჯერ ისევ ზანზარებდა: საფრანგეთის დედაქალაქიდან 50 მილის დაშორებით, შატო-ტიერთან თავგანწირული ბრძოლები მიმდინარეობდა. მაგრამ გერმანიის ტოტალური კრახის მოახლოების ნიშნები სულ უფრო მეტად ჩანდა.

თუ რაოდენ დაეცა კაიზერის აქციები, იქიდან ჩანს, რომ მისი აშკარა მტრების ბანაკს იმ დღეს მონაკოს სამთავროც შეუერთდა. მას ჯერ კიდევ არ შეეგდო მსოფლიო სასწორზე თავისი შეიარაღებული ძალები (87 ჯარისკაცი), მაგრამ რაიხთან ომის გამოცხადებისთანავე მოითხოვა, რომ გერმანიის ყველა ქვეშევრდომს დაეტოვებინა მონტეკარლო.

იმ დღეს პარიზის „მატენი“ მსოფლიო ომის მსვლელობისა და აგრეთვე რუსეთში ამტყდარი სამოქალაქო ომის შესახებ მორიგ მიმოხილვაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ეკატერინობურგის რაიონში შექმნილ მდგომარეობას. ხოლო კიდევ ოთხი დღის შემდეგ, 1918 წლის 21 ივლისს, იმავე „მატენმა“, პირველმა დასავლეთის გაზეთებს შორის, მესამე გვერდზე წვრილი შრიფტით დაბეჭდა ცნობა სათაურით: „ხმები მეფის დახვრეტის შესახებ“.

პარიზი. 20 ივლისი. ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობა ავრცელებს ურალის საბჭოსაგან მიღებულ რადიოგრამას ყოფილი იმპერატორის სიკვდილის გარემოებათა შესახებ. იმის გამო, რომ კონტრრევოლუციის ძალებს განუზრახავთ ნიკოლოზ II გათავისუფლება, რასაც მოწმობს ამჟამად

გამომეღავნებული მათ მიერ ორგანიზებული შეთქმულება, ურალის საბჭოს დაუდგენია: დაეხვრიტათ ყოფილი მეფე. 17 ივლისს, ღამით, განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

ინგლისში ასეთი სახის ცნობა 22 ივლისს პირველმა გამოაქვეყნა გაზეთმა „ტაიმსმა“, მას შემდეგ კი დანარჩენმა პრესამ. თეთრებმა მეფის ოჯახის აღსასრულის ამბავი თითქმის იმავე დღეს, ჯერ კიდევ მათ მიერ ეკატერინობურგის აღებამდე შეიტყვეს.

ივლისის ოციან რიცხვებში წითლების თავდაცვის ძალებმა ვერ გაუძლეს დაძაბვას და ქალაქის გარეუბანთან უკან დაიხიეს. ეკატერინობურგის დამცველთა რიგები შეთხელდა და გაირღვა. უკვე გმირობად ითვლებოდა ის, რომ ასეთი დაუძლურების მიუხედავად მათ შეძლეს და 6—7 დღეზე მეტხანს გამაგრდნენ გარე ზღუდეებთან. 25 ივლისს, დილით, გაიდას (ფრონტის ეკატერინობურგის უბნის სარდლის) არტილერიის მიერ ურალელთა დაცვაში გაჩენილი ბზარის მეოხებით სამხრეთის გარეუბნებში თეთრგვარდიელი ცხენოსანი კაზაკები შეიჭრნენ. ეკატერინობურგი დაეცა.

გაიდას მიერ გაგზავნილმა ოფიცრებმა იპატიევის სახლს შეუტიეს. სართულები დაცარიელებული დაუხვდათ, ყველა კარი — ყურთამდე ღია. დუტოვის როტმისტრები და თეთრგვარდიელი ჩეხი ფელდფებელები სახლსა და ეზოში დარბოდნენ; მათ არ იცოდნენ, საიდან დაეწყოთ, სად ეძებნათ დაკარგულთა კვალი. ბაღი გადათხარეს. გაჩხრიკეს ვაგზლის უკან მდებარე ტყე. ბარჯებითა და სათხევლებით მოჩხრიკეს ქალაქის ტბები. მათ მხოლოდ 27 ივლისს, პორუჩიკ შერემეტიევის (თეთრების შემოსვლამდე იგი კოპტიაკოვში არალეგალურად ცხოვრობდა) კონტრდაზვერვაში მისვლის შემდეგ, გაიგეს პირველად ოთხი ძმის სამანზე დატრიალებული ამბავი.

გაიდამ ბრძანა შეემოწმებინათ ეს ცნობა. შედგა კომისია. მასში სამხედრო აკადემიის ოთხი ოფიცერი შევიდა, თავმჯდომარე იყო პოლკოვნიკი ი. ი. ჟერეხოვსკი. ამასთანავე, მეფისდროინდელმა ეკატერინობურგელმა პროკურორმა ვ. თ. იორდანსკიმ, რომელიც დუტოველებთან ერთად დაბრუნდა, 1918 წლის 30 ივლისის № 131 ბრძანებით გამომძიებელ მ. ა. ნამეტკინს დაავალა გაეხსნა ფორმალური საქმე რომანოვების დასჯის შესახებ. იმავე დღეს ნამეტკინმა და ჟერეხოვსკიმ, თეთრების ოფიცრების — ექიმ ვ. ნ. დერევენკოსა და მეფის ყოფილი კამერდინერის ტ. ი. ჩემოდუროვის თანხლებით, დაიწყეს ძებნა ჭიტოვებულ შახტებში. ძებნა წარმოებდა ქალაქშიც. მაგრამ ერთი კვირის

შემდეგ, 8 აგვისტოს, ნამეტკინი გამოძიებას ჩამოაშორეს: კონტრდაზვერვამ ეშვი შეიტანა მის კეთილსინდისიერებაში. ძალზე ლიბერალური შემადგენლობის გამო ჟერეხოვსკის კომისიაც დაშალეს; სამხედრო აკადემია აპრილიდან ივლისამდე იპატიევის სახლისადმი თავისი „ჰვრეტითი“ დამოკიდებულებით დიდად სცოდავდა. გამოძიება ეკატერინობურგის რევოლუციამდელი პროკურატურის ჩინოვნიკის სერგეევის ხელში გადავიდა. მას დახმარებას უწევდა ეკატერინობურგის ძველი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მ. ყაზიმ-ბეგი.

სერგეევი კოპტიაკოვის რაიონში მიწის სათხრელი სამუშაოების შესასრულებლად გზავნის ინჟინერ კოტნევს. მოიტანეს ტუმბოებიანი ორთქლის ძრავები. გაიცა ბრძანება შახტებიდან წყლის ამოსაქაჩად, ორმოებისა და ტბორების დასაშრობად. ეძებდნენ აგრეთვე ვერხნესინიაჩიხინსკის ქარხანასთან, ალაპაევის უკან. სამუშაოსათვის ხალხს დღისით, მზისით ქალაქის ქუჩებსა და სოფლების გარეუბნებში იშერდნენ.

სანამ ტყეებსა და ჭაობებში გათხრები წარმოებდა, კონტრდაზვერვაში მძაფრი დაკითხვები მიმდინარეობდა. სერგეევის თანაშემწეები თეთრგვარდიელი პატრულების თანხლებით დაძრწოდნენ ეკატერინობურგსა და ალაპაევში, აპატიმრებდნენ და საკანში საწამებლად მიათრევდნენ ყველას, ვინც როგორღაც მაინც მონაწილეობდა ამას წინათ იპატიევის სახლსა და ნაპოლნის სკოლაში მომხდარ ამბებში. ალაპაევის მუშებისა და კოპტიაკოვის გლეხთა ქოხებში სიკვდილი დათარეშობდა. სერგეევმა ფაბრიკა-ქარხნებიდან შეკრიბა „პერსონალის აღრიცხვის საკანტორო წიგნები“. მათი და ჯაშუშების დახმარებით შედგა საბჭოთა და პროფკავშირული აქტივისტების, იპატიევის სახლისა და ნაპოლნის სკოლის დაცვის მებრძოლთა, პირველ რიგში კი იმ დასაპატიმრებელ პირთა სიები, რომლებიც, თეთრების კონტრდაზვერვის მონაცემებით, ამ შენობებს იცავდნენ ანდა განაჩენების შესრულებაში მონაწილეობდნენ. ამ წიგნებში აღნიშნულთ ეძებდნენ და, თუ იპოვნიდნენ, ადგილზევე ხვრეტდნენ.

თეთრგვარდიელ გამომძიებლებსა დ მწვალებლებს შეუერთდა პოლკოვნიკი კობილინსკი, რომელიც ივნისის დამდეგს გაასახლეს ეკატერინობურგიდან. მან ტიუმენამდე ჩააღწია და იქ დაელოდა თეთრებს. კობილინსკის შემდეგ გამოჩნდნენ ჟილიარი და გიბსი. ისინი შედიოდნენ იპატიევის სახლში, რაღაცას დაეძებდნენ და აანალიზებდნენ, მაგრამ ერთხელ ყველანი უცერემონიოდ გამოაძევეს იქიდან.

იპატიევის სახლი თვითონ გაიდამ დაიკავა და იმავე ოთახში ჩასახლდა, სადაც 16 ივლისამდე ყოფილი მეფე ცხოვრობდა.

„თეთრების მოძრაობის“ ეს რაინდები თუ როგორ ექცეოდნენ ერთმანეთს და მონარქის ხსოვნას, რომლის გულისთვისაც უამრავი ხალხი დახოცეს, მოწმობს ვილტონის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი — ოქმი, რომელსაც ხელს აწერდნენ ი. სერგეევი, ვ. ყაზიმ-ბეგი, ვ. იორდანსკი და ნ. იპატიევი.

ოქმში ეწერა: ქალაქის კომენდატურის წარმომადგენელმა, პრაპორშჩიკმა ალექსეევმა უბრძანა გამოძიების თანამშრომლებს გაეთავისუფლებინათ სახლი „ფრონტის სარდლის გენერალ გაიდას საცხოვრებლად და მისი შტაბის მოსათავსებლად“. უარის მიღებაზე განუცხადა, რომ განკარგულება „თავად სარდლისაგან“ მომდინარეობდა და „თანხმობისა თუ წინააღმდეგობის მიუხედავად“ სახლს მაინც დაიკავებდნენ. მალე ლეგიონერებიც მოვიდნენ და მილაგ-მოლაგებას, იატაკების მორეცხვასა და ა. შ. შეუდგნენ. სასწრაფოდ გამოძახებულმა სახლის პატრონმა, „გადამდგარმა ინჟინერ-კაპიტანმა ნ. ნ. იპატიევმა განუმარტა მათ, რომ, როგორც ჩეხოსლოვაკიის სარდლობას ეცნობა, ყველა შენობა საგამომძიებლო ხელისუფლების განკარგულებაშია და მისი თანხმობის გარეშე სახლში არავის შეშვება არ შეიძლება...“ მაგრამ გამოგზავნილმა კაპიტანმა ბლაჩამ მხოლოდ დაადასტურა ბრძანება, რომელიც სახლის გასუფთავებას შეეხებოდა.

ხელისმომწერნი გამოთქვამენ „მტკიცე პროტესტს, ემორჩილებიან მხოლოდ ძალადობას“; ამასთან დაკავშირებით „ნივთიერი მტკიცებანი, რომლებიც სახლში ინახებოდა, ჩააწყვეს და წაიღეს“ საოლქო სასამართლოს შენობაში. სახლის დაკავების შემდეგ „გაიდას ხელქვეითნი, თავიანთი უფროსის მიბაძვით, აშკარად დასცინოდნენ სასამართლო ხელისუფალთ, ხევდნენ შპალერს და ა. შ.“ [1].

„მოკავშირისა“ და „განმათავისუფლებლის“ უხეში მოქცევით განაწყენებულ თეთრგვარდიელებში მისდამი ფარული ზიზღი ღვივდებოდა.

„სწორედ ეს გაიდა, ამჟამად უკვე რუსი გენერალ-ლეიტენანტი, რომელიც გიორგის ორი ჯვრით არის დაჯილდოებული,—ბოღმას ანთხევს თავის მემუარებში მისივე მსახური, თეთრგვარდიელი გენერალი ბარონი ა. ბუდბერგი, — ძალზე ვულგარული ტიპის ჯანიანი ულაყია... თავი ძალზე მედიდურად უჭირავს, რუსულად ცუდად ლაპარაკობს...“ ეკატერინობურგში ჩასული თეთრი ოფიცრების დასახვედრად ვაგზალში გაამწკრივა „გაიდას სახელობის პოლკისაგან შემდგარი საპატიო ყარა-

ული სამხრეებზე მისივე ვენზელებით, დანაკერებითა და სხვა ბუტაფორიებით... იქვე იდგნენ იმპერატორის უწინდელ მებადრაგეთა ფორმაში გამოწყობილი გაიდას მებადრაგენი... საზიზღრობაა მთელი ამ ბუტაფორიის ცქერა... ვიღაც ჩეხი ავანტიურისტის ვენზელებიս დანახვა რუსი ოფიცრებისა და ჯარისკაცების სამხრეებზე... უსაზღვროდ მტკივნეულია იმის ხილვა, რომ რუსეთის ახალი სამხედრო ძალა ემორჩილება რევოლუციის მორევიდან შემთხვევით გამორიყულ, ავსტრიელი ფერშლებისაგან რუსეთის მხედართუფროსებად მოვლენილთ... ასეთი შამბნარი ადვილად ამოდის, მის ამოძირკვას კი დიდი შრომა სჭირდება“ [2].

ეს „ვულგარული ულაყი“ უახლოესი თანამოსაგრე და ნათესავიც კი გახდა კოლჩაკისა *.

სერგეევი გამოძიებას 1918 წლის გვიან შემოდგომამდე აწარმოებდა, სანამ მისი მასალები არ გაითხოვა კოლჩაკმა, რომელმაც საკუთარი თავი „რუსეთის უმაღლეს მმართველად“ გამოაცხადა.

ბოლშევიკებზე გამარჯვებით წინასწარ დამტკბარს უნდოდა ეკატერინობურგის, პერმისა და ალაპაევის „იმ სამი ღამის“ მონაწილეთა საასამართლო პროცესი მოემზადებინა. იგი ყველას თვალწინ ქედს იხრის ნიკოლზ II აჩრდილის წინაშე და ამით სურს მოახდინოს დემონსტრირება, ჯერ ერთი, კონტრრევოლუციისა და რესტავრაციისათვის მებრძოლის კრედოსი, მეორეც, მეფის რეჟიმთან შედარებით თავისი ხელისუფლების უპირატესობისა. და 1918 წლის 30 დეკემბერს კოლჩაკელი იუსტიციის მინისტრი სტარინკევიჩი დეპეშას გზავნის პარიზში და არწმუნებს სამოკავშირეო საბჭოს, რომ „ამჟამად ადმირალი მეფის მკვლელობაში დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად ძალ-ღონეს არ იშურებს“ [3].

1919 წლის 17 იანვარს კოლჩაკმა ეგრეთ წოდებული „ციმბირის ფრონტის მთავარსარდალი“ გენერალი დიტერიხსი თავისთან გაიწვია და რომანოვების დასჯის შესახებ საქმის გამოძიების ხელმძღვანელობა დაავალა. 25 იანვარს სერგეევმა იორდანსკის თანდასწრებით დიტე-

---

* 1919 წლის მაისში გაიდა ადმირალის ძმისწულზე ეკატერინე კოლჩაკზე დაქორწინდა. 1921 წელს, ჩეხოსლოვაკიაში დაბრუნების შემდეგ, გაიდა რამდენიმე ხანს გენერალური შტაბის უფროსი იყო. პროფაშისტურ ელემენტებს მიემხრო. მოაწყო შეთქმულება რესპუბლიკის დამხობის მიზნით, რისთვისაც სასამართლოს გადასცეს და 1926 წელს ჩამოაქვეითეს. ომისშემდგომ პერიოდში ნაცისტებთან აქტიური თანამშრომლობისათვის გაასამართლეს და დახვრიტეს.

რიხსს ივლისიდან დეკემბრამდე შეკრებილი მასალები გადასცა. 2 თებერვალს დიტერიხსმა კოლჩაკს წარუდგინა მოხსენება და დასკვნა ამ მასალების შესახებ. 4 თებერვალს კოლჩაკმა განაცხადა, რომ გამოძიების შედეგებით „კმაყოფილი სულაც არ არის“ და ბრძანებს „ყველაფერი თავიდან დაიწყონ“. 5 თებერვალს დიტერიხსმა და სტარინკევიჩმა წარუდგინეს კოლჩაკს იქაური პროკურატურის ჩინოვნიკი ბატონი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე სოკოლოვი, რომელსაც რეკომენდაციას აძლევდნენ სერგეევის ადგილზე.

სოკოლოვი შმაგობს

დიტერიხსის პროტეჟეს ცივი, მკაცრი სახე პირველსავე დანახვაზე მოეწონა ადმირალს. 6 თებერვალს იგი ხელს აწერს ბრძანებას სოკოლოვის მთავარ გამომძიებლად დანიშვნაზე.

7 თებერვალს სტარინკევიჩმა „შესაძლებელი ორიენტაციისათვის“ სოკოლოვს გადასცა ნამეტკინისა და სერგეევის — ვილტონის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ „ორი საცოდავი მხდალის, რომლებსაც ეშინოდათ წითლების“ — მიერ მოგროვილი მასალები.

ვილტონი მთელ რუსეთს სერავდა. იგი ლონდონის „ტაიმსის“ კორესპონდენტის მანდატს მოხერხებულად უთავსებდა ბრიტანეთის სამხედრო მისიის ხელმძღვანელის, გენერალ ნოკსის დამხმარე ჯაშუშის ფარულ ფუნქციებს.

დაიწყო თუ არა კოლჩაკისეული გამოძიება მეფის ოჯახის ირგვლივ, გამორჩენის მიზნით მაშინვე მას მიეტმასნა. დიტერიხსისა და სოკოლოვის საქმეში ჩაბმის მომენტიდან ვილტონი, მისივე თქმით, მუდამ თან ახლდა მათ ტრაგიკული მოვლენებით ესოდენ აღსავსე მთელი 1919 წლის მანძილზე [4].

ახალმა გამომძიებელმა უმალვე ხელში აიღო სადავეები. იგი გასაუბრებისა და დარიგებების მიზნით მიიღო კოლჩაკმა; თავიანთ მოსაზრებებს უზიარებდნენ მას საქმის ირგვლივ ნოკსი და ჟანენი. 4 მარტს სოკოლოვი ეკატერინობურგში გაემგზავრა შემდეგი დოკუმენტით:

რუსეთის უმაღლესი მმართველი
1919 წლის 3 მარტი
№ 588/Б-32
ქ. ომსკი
ყველას

ამით ყველა ადგილსა და პირს ვუბრძანებ უსიტყვოდ და ზუსტად შეასრულონ

განსაკუთრებულ მნიშვნელოვან საქმეთა სასამართლო გამომძიებლის ნ. ა. სოკოლოვის უველა კანონიერი მოთხოვნა და აღმოუჩინონ მას დახმარება ჩემ მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის — ყოფილი იმპერატორის, მისი ოჯახისა და დიდი მთავრების დახოცვის თაობაზე წინასწარი გამოძიების წარმოებაში.

(ხელმოწერა): ადმირალი ა. კოლჩაკი

უმაღლესი მმართველის კანცელარიის

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

გენერალ-მაიორი

(ხელმოწერა): ვ. მარტიანოვი[5].

სოკოლოვი არ ახდენს სერგეევის დუბლირებას, არ აპირებს არსებული მასალების შესწორებასა და დამატებას. როგორც ადმირალმა უბრძანა, იგი თავიდანვე ეცნობა საქმეს. ამიერიდან გამოძიება მთელი მისი ცხოვრების ერთადერთი აზრი იქნება. ვილტონი განცვიფრებას ვერ მალავს, ისეთ „გულადობასა და შეუპოვრობას" იჩენს სოკოლოვი მომავალი სასამართლოსათვის მასალების შეგროვებაში.

პენზაში დაბადებულს ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. პენზაში საოლქო სასამართლოში მუშაობდა სისხლის სამართლის საქმეების გამომძიებლად. 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ სარატოვში გაიქცა, სოფელ მედვედევკაში იმალებოდა. 1918 წელს გლეხის ტანსაცმელი გადაიცვა, ფრონტის ხაზი გადაკვეთა და ციმბირში თეთრებამდე მიაღწია. ომსკის სასამართლოში განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა გამომძიებლის თანამდებობა მიიღო. აქ მიიქცია მან სტარინკევიჩისა და დიტერიხსის ყურადღება.

რუსეთის მთელ ტერიტორიაზე განსაკუთრებული რწმუნებულებით მოსილი, თეთრების ხელისუფლების გამგებლობაში მოხვედრილი თეთრგვარდიელი გამომძიებელი იძლევა ბრძანებებს გამოძიებათა და დაპატიმრებათა შესახებ. იგი ადმირალისა და დიტერიხსის გარდა არავის ემორჩილებოდა; მისი მოთხოვნის შესრულება სავალდებულო იყო თეთრების ყველა ხელისუფალის, თვით არმიის სარდლისთვისაც კი. მას შედგენილი ჰქონდა „ფრონტის აქეთა თუ იქითა მხარეს მოსული" 164 კაცის პროსკრიპციული სია, რომელიც დაეგზავნა არმიის შტაბებსა და კონტრდაზვერვის განყოფილებებს მიწერილობით: „წინ წაწევის შემთხვევაში მოინახონ, დაკავებულ იქნენ და გაიგზავნონ" მასთან, სოკოლოვთან. იგი ერთპიროვნულად წყვეტდა თითოეულის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს, ვინც კი შემთხვევით ჩაუვარდებოდა ხელში, ანდა ვისაც შემთხვევით არ დაიჭერდა.

იგი უცდის, როდის დადნება თოვლი, რათა კვლავ დაათვალიეროს ოთხი ძმის სამანი. მანამდე კი „მოწმეების დაკითხვას" აწარმოებს. მის გვერდით არის რობერტ ვილტონი, რომელსაც, მისივე სიტყვებით, 1917 წელს პეტროგრადის ჟურნალისტურ სამყაროში არავინ ხელს არ ართმევდა. 1919 წელს ომსკში სწორედ მას დაუმეგობრდა სოკოლოვი.

მეფის მკვლელობის საკითხთან დაკავშირებით მათ მიერ შემოღებული საქაღალდე აქტებითა და ოქმებით გაივსო. მოიმატა „აღიარებისა" და „მონანიების" ქაღალდებმაც. ნაწამებთა კვნესა კვლავ ისმის ეკატერინობურგში, პერმსა და ალაპაევში, მიმდებარე დაბებსა და სოფლებში. ვინც სერგეევისაგან თავის დახსნა შეძლო, მან სოკოლოვთან სიკვდილი ჰპოვა. დაკითხვაზე მოხვედრილი სახლის პატრონი ნ. ნ. იპა-

ტიევი სასწაულებრივ გადაურჩა სიკვდილს. დაიპირეს, აწამეს და დახვრიტეს შოფერი პ. ტ. სამოხვალოვი, რომელმაც 1918 წლის 30 აპრილს ავტომობილით გადაიყვანა სადგურიდან იპატიევის სახლში სამი რომანოვი. დახვრიტეს დაცვის ყოფილი მებრძოლი მიხეილ ლეტემინი, რომელთანაც აღმოაჩინეს ტახტის მემკვიდრის სპანიელი. სიცოცხლეს გამოასალმეს მონტიორები, რომლებმაც ელექტროგაყვანილობა შეაკეთეს რომანოვების ოთახებში; ზეინკლები, რომლებმაც წყალგაყვანილობა აღადგინეს იპატიევის სახლში; იმ სასადილოს მუშაკები, საიდანაც მიჰქონდათ სადილები რომანოვებთან; ბაზების მეკუჭნავეები, რომლებიც პროდუქტებს გასცემდნენ მეფის ოჯახისათვის. იპატიევის მეზობლები — იმის გამო, რომ მესერის ჟუკრუტანებიდან უყურებდნენ და მოპირდაპირე ტროტუარიდან უცქერდნენ, როგორ აყენებდა დაცვა მესერს. ასე შმაგობდა კოლჩაკის იუსტიცია თითქმის გაზაფხულის კარგი ამინდების დადგომამდე, როცა კოპტიაკოვისა და ალაპაევის მახლობლად კვლავ შესაძლებელი გახდა „სამუშაოების ადგილზე ჩატარება“.

და აი, უკვე მეორე ზაფხულია მიმდინარეობს ძებნა ბარჯების, კაუჭებისა და ტუჯბოების გამოყენებით. გაიჩეხა მრავალი დესეტინა ტყე. ამოქაჩეს წყალი 29 შახტიდან. სოკოლოვმა ცოტაოდენი წვრილმანი შეაგროვა, მაგრამ ჭაობის ნაპირს, სადაც ჩამარხეს ნახევრად დამწვარი გვამები, მაინც ვერ მიაღწია. მან თავის თანაშეგნეებთან ერთად გადაქექა გაბარდული ბუჩქები, ხან შარვლიდან აწყვეტილ ღილს ნახულობდა, ხან მეფის ვენზელებიანი სამხრეების ნაგლეჯებს; ყოველ ნაპოვნზე აქტს ადგენდა, ფოტოსურათს იღებდა, საექსპერტოდ აგზავნიდა მათ, ამდიდრებდა თავის კოლექციას ნივთიერი მტკიცებით, მაგრამ ვინმეს რომ ეკითხა მისთვის, ასეთი ღილით ანდა ქამრით საქმის რომელ მხარეს ეფინებოდა ნათელი, გარკვეულ პასუხს ვერ მისცემდა.

მაძიებლებმა ოთხი ძმის სამანი მაშინ დატოვეს, როცა კოპტიაკოვის ტყის პირას უკვე წითლების ცხენოსნები გამოჩნდნენ. ესენი იყვნენ წითელი არმიის ერთ-ერთი პოლკიდან გამოყოფილი პატრულები, წითელი არმიისა, რომელმაც 1919 წლის ზაფხულიდან აღმოსავლეთის ფრონტზე კონტრშეტევა წარმატებით განავითარა. 13 ივლისს მე-5 არმიის ნაწილებმა გაათავისუფლეს ზლატოუსტი, რითაც გზა გაეხსნათ დასავლეთ ციმბირის ვაკისაკენ. სანამ მე-5 არმია ზლატოუსტის ოპერაციას აწარმოებდა, მე-2 და მე-3 არმიები შეტევაზე გადავიდნენ ეკატერინობურგის მიმართულებით. კუნგურიდან ორკვირანი მძიმე ბრძოლების შემდეგ წითელი არმია 14 ივლისს ეკატერინობურგში შეევიდა.

მოგვიანებით, ემიგრაციაში ყოფნისას, სოკოლოვი დაეინებულ ძებნას იმით ხსნიდა, რომ თითქოს ამას „მოითხოვდა“ და „მის შედეგებს ელოდა თავზარდაცემული რუსეთი“. წითლების მხარეზე, წერდა იგი, „იმალებოდნენ მეფის მკვლელები“, მათ „წინააღმდეგ კი იბრძოდნენ „ეშმარიტად უბრალო რუსი ადამიანები“, რომლებსაც სწყუროდათ „ანგარიშის გასწორება უდანაშაულოდ მოკლული იმპერატორის გულისათვის“ [6]. დასავლეთის პრესა კვერს უკრავს სოკოლოვს: „ციმბირის თეთრი არმიის უკანდახევა და კრახი მისივე ჯარისკაცებისათვის იყო მოკლული მეფისათვის შურისძიების იმედის დამსხვრევა“ [7].

სინამდვილეში აღმოსავლეთისაკენ გაქცეულ კოლჩაკის არმიას მთელი ურალისა და ციმბირის მშრომელი მოსახლეობა წყევლა-კრულვას უთვლიდა და მწარედ

დასტიროდა თეთრგვარდიელების ხელით დახოცილ თავის ახლობლებსა და ნათესავებს.

თეთრი ტერორის საშინელებებმა ბევრ იმ ციმბირელსა და ერალელს აუხილა თვალი, რომლებიც კოლჩაკმა ძალით შეიყვანა თავის არმიაში. იმის შესახებ, თუ როგორი იყო ამ უბრალო ადამიანების ნამდვილი დამოკიდებულება მონარქიული იდეებისა და პრაქტიკის რესტავრაციისადმი, მოწმობს ის მრავალრიცხოვანი წერილები და ჩანაწერები, რომლებითაც მოფინეს კოლჩაკელთა პოლკების ჯარისკაცებმა გზები უკან დახევისას. აი იმ დღეებში წითლების მზვერავების მიერ ტრანშეებსა და ბრძოლის ველზე შეკრებილი ზოგიერთი უშმაკო ადამიანური დოკუმენტი (ორიგინალების ორთოგრაფია და პუნქტუაცია მთლიანად დაცულია):

Товарищи красноармейцы.

Если вы не расстреливаете тогда догоняйте и выручайте нас от золотых погонов. Оно хотя нас очень много да организацие нету и нельзя ничего зделать. Не все так понимают.

Товарищи, довольно нам проливать крестьянскую жизнь. Давайте жить мирно мы находим ваших прокломаций а все верили, но знайте все как го опасно.

Писал стрелок

Добрый день товарищи красноармейцы

Приветствуем вас за ваши блестящие успехи. И шлем все насильно мобилизованные фронтовики Тобольской губернии вам горячий привет с пожеланием всех благ в мире.

Мы чувствуем, что близок час расправы над колчаковчиной вам нужно навести на них сейчас последние могучие удары и армия Колчака рухнет. Просим вас товарищи красноармейцы воодушевлять малодушных, поднять воинственный дух в Красной армие... Ну досвидание товарищи надо удерать.

Да здравствует Красная армия.

Да здравствует Всероссийская Советская Федеративная Социалистическая Россия.

Солдаты Сибиряки

Товарищи.

Напирайте попуще, и тем более старайтесь обходом захватить нас в плен сейчас солдаты все растроены и все готовы покинуть Колчака и прочих приспешников царского режима. Но только одно не может подняться дух в сердцах нашей темноты. Под страхом кракодилов и посредству ихних царских плетей и растрелов нам приходитца пока остатца в рядах белой банды. Но это будет не долго скоро настанет расправа над буржуазией. Мы все знаем, что мы идем под палкой насильно мобилизованные чехами и золотопогонщиками, нас много побили в Тюмени в восстании против царских погонов.

Отпечатайте наше не складное писание в прокламацее, чтобы знали все товарищи как мы воюем.

Да здравствует Совет.

Мир хижинам.

Война дворцам.

Солдаты тоболяки.[8]

ასეთი წერილებით პუნქტირივით იყო აღნიშნული კოლჩაკელთა ჯარების გაქცევის გზა ეკატერინობურგიდან, ალაპაევიდან, ომსკიდან, კრასნოიარსკიდან, სხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან, სადაც ხალხის ძვლებზე მონარქისტები იმპერატორის აღაპებს მართავდნენ.

ფინეთი სალბრიეთი

იმავე პუნქტირით არის აღნიშნული აგრეთვე სოკოლოვის კვალიც. თეთრების. დაშლილი ჯარების აღალს ლასლასით მიჰყვებოდა იგი ყოფილი მეფის მიერ ამას წინათ გავლილი გზის საწინააღმდეგო მიმართულებით და თან მიჰქონდა აღმოსავლეთში „ნივთიერი მტკიცებებით“ გატენილი ყუთები და კოლოფები.

განზრახული ჰქონდა ამ კოლექციით წარმდგარიყო თავისი პატრონის წინაშე, მაგრამ მათ ერთმანეთთან შეხვედრა არ ეღირსათ. სანამ გამომძიებელი აღმოსავლეთისაკენ გზას მიიკვლევდა, რაც მას ყოველ საათს თავის ბარგით წითელი პარტიზანების ხელში ჩავარდნის საფრთხეს უქმნიდა, კოლჩაკი უკვე ამქვეყნად აღარ იყო. მაგრამ ეს არაფერია. მართალია, „უმაღლესი მმართველი“ აღარ არის, მაგრამ, სამაგიეროდ, არსებობს მის მიერ გაცემული მანდატი.

უკვე მოხარულიც კი იქნებოდნენ გამომძიებლის თანამგზავრნი ჩამოხსნოდნენ მას, მაგრამ ეს ძალიან ძნელი, თითქმის შეუძლებელი იყო. მიიწევდა რა ხარბინისაკენ, იგი გზაშიც კი განაგრძობდა დაკითხვებს. აქტებისა და ოქმების შედგენას. არ ეშვებოდა მასთან ერთად გაქცეულებს, სთხოვდა ჩვენებებსა და აღიარებებს, სეტყვასავით აყრიდა შეკითხვებს, ემუქრებოდა. აგროვებდა პირად საქმეებსა და დოკუმენტებს. უკან მისდევდა გაქცეულ თეთრ გენერლებს ახალი საგამოძიებო სამუშაოების პროექტებით, ითხოვდა ახალ ასიგნებებს. მას იგერიებდნენ: კმარა, დაწყნარდით, ნიკოლოზ ალექსის ძევ. თქვენთვის არა გვცალია. დაგვეხსენით, ღვთის გულისათვის. მშვიდობიანად მო-

ცილდით აქაურობას. ვისაც შეუძლია, თავს უშველოსო. არა, თავისას მაინც არ იშლის. მუდამ რაღაცას ამტკიცებს: გათხრები, დაპირისპირებები...

მის მიერ დაგროვილი ბარგი-ბარხანა ცოტა როდი იყო. მთელი ერთი ვაგონი გამოუყვეს. ციმბირსა და შორეული აღმოსავლეთის სივრცეებში ღრმად შესვლის შემდეგ ბარგი სულ უფრო მსუბუქი და მოცულობით ნაკლები ხდებოდა: ერთ კუპეში თავსდებოდა და ბოლოს კუპის კუთხეში შეჩურთეს. გაქცევის სიჩქარეში ტვირთს ნელ-ნელა ამცირებდნენ, პაკეტებს გზის პირად ტოვებდნენ, შეკრულებს დაღმართში ყრიდნენ. მაგრამ ზოგიერთი რამ თავის კოლექციიდან მაინც გაიტანა...

1920 წლის 19 მარტს ხარბინის ვაგზალში გამოჩნდა სამი თანამგზავრი. ყოველ მათგანს ვაგზლის შესასვლელთან ავტომობილიდან გადმოღებული პატარა ყუთი მოჰქონდა. მალე მეოთხეც გამოჩნდა. ერთად გადაკვეთეს ლიანდაგი და ჩიხში გაჩერებული შემადგენლობისაკენ გაემართნენ. ეს იყო გენერალ ჟანენის მატარებელი. მისულებმა მორიგე ოფიცერი გამოიძახეს და სთხოვეს გენერლისათვის გადაეცა, რომ „ადრე მიღწეული შეთანხმების შესაბამისად“ მანჯურიიდან გასაგზავნად უნდა მიეღოთ ეკატერინობურგული „წმინდა რელიკვიები“. ოფიცერი წავიდა და დაბრუნებისას განაცხადა, რომ გენერალი ბარგის მიღების უფლებას იძლეოდა. ეს სამი კაცი იყო: დიტერიხსი, სოკოლოვი და ჟილიარი, მეოთხე — ვილტონი.

ჟანენის მიერ მანჯურიიდან გამოტანილ ყუთებში ჩაწყობილი „რელიკვიები“ სოკოლოვის საყვარელი საუბრის თემა იყო ემიგრაციაში. მოწიწებით ჩამოთვლიდა ხოლმე იგი გაქცევისას გადარჩენილ ნივთებს, თუმცა თავმოსაწონი და გულის ასაჩუყებელი აღარაფერი ჰქონდა. მათ შორის არ მოიძებნებოდა ისეთი რამ, რაც სახელსა და დიდებას შესძენდა მას, ვისაც ისინი ეკუთვნოდა.

„იპატიევის სახლში, ტუალეტში, მილის ზევით ვიპოვე წიგნაკი დედოფლისა და ხელმწიფის შიფრებით. ეს იყო ინგლისური კოდი. მასში ალფაბეტის მიხედვით აღნიშნული გახლდათ შეთხზული სიტყვები, რომლებითაც დაშიფრული იყო საჭირო მცნებები... საკმარისია დახედოთ ამ წიგნს, — განმარტავს სოკოლოვი, — რომ გასაგები გახდეს, თუ რაოდენ გავლენას ახდენდა რევოლუციამდე იმპერატორიცა სახელმწიფო მართვის მთელ საქმეზე. წიგნში დედოფლის საკუთარი ხელით დაშიფრული იყო როგორც მართვის საკითხები, ისე სახელმწიფო და

საზოგადო მოღვაწეთა სახელები: სათათბიროს დათხოვნა, შესვენებები მის საქმიანობაში, აჯანყებები, არეულობა, ალექსეევი, რუზსკი, გურკო, ბეზობრაზოვი, პროტოპოპოვი, პურიშკევიჩი, მილიუკოვი და ბევრი, ბევრი სხვა. ამასთან დაშიფრული იყო ისეთი სიტყვები და ფრაზებიც კი, როგორიცაა „სიყვარული“, „მაკოცე“, „მე თქვენ მიყვარხართ“ და სხვ.“.

ალექსანდრა თედორეს ასულის მისწრაფება შიფრისა და სინაზისადმი აღბეჭდილი იყო სოკოლოვის მიერ შეკრებილ სხვა დოკუმენტებშიც, იმავე უბის წიგნაკის გვერდებსა და სატიტულო ფურცლებზეც კი.

სხვა ნაპოვნთა შორის იყო იპატიევის სახლის ორმოში აღმოჩენილი ნივთები: გენერლის სამხრეები, სურათის ჩარჩო, რომელსაც მეორე მხრიდან ამოტვიფრული ჰქონდა „ედუარდ აკერმანი, ბერლინი“... ფოტოსურათის ნაგლეჯები — დედოფლის მშობლებისა და ძმის პორტრეტები... ქალის ქოლგა, რომლის ტარზედაც გრავირებული იყო „Alix. 1891...“ რასპუტინის მიერ ნაჩუქარი ტოპაზის ყელსაბამი... რასპუტინის ხატები მისივე წარწერებით... კიდეებშემომწვარი პატარა სათამაშო კარტი — აგურის რვიანი... ღორის ბარკლის ტყავის პატარა ნაჭერი... ჩასადგმელი კბილები... თვალთაგან ცრემლის დენის საწინააღმდეგოდ ტობოლსკელი ექიმის მიერ დედოფლისათვის შერჩეული სათვალის მინები... ორი ბრილიანტი, საფირონი, ორი ალდიმანდინი, ორი დიამანტი, ცამეტი მრგვალი მარგალიტი... ტარსიკონისყდიანი შემოსავალ-გასავლის წიგნაკი, რომელიც 1912 წლის თებერვლით იწყებოდა და 1917 წლის ივლისით მთავრდებოდა. სოკოლოვისეულ ყუთებში ბევრი იყო სხვადასხვა წვრილმანი: ქამრები, ღილები, შესაკრავები, წვივსახვევები და ა. შ.

თუმცა კოლექცია მალე გაქრა. ვ. ალექსანდროვი ამტკიცებს, რომ კოლექციამ, რომელმაც სპეკულანტების ხელში გაიარა, ნიუ-იორკის მანჰეტენ-ბანკის სეიფებში პოვა ბინა. ხოლო ერთი ყუთი (მეფე-დედოფლის ტობოლსკური და ეკატერინობურგული ფოტონეგატივებით სავსე) თითქოს მას, ალექსანდროვს, ვიღაც პარიზელი სპეკულანტის გურვიჩისაგან შეესყიდოს. ამ უკანასკნელს კი ეს ყუთი ნ. ა. ორლოვის სიკვდილის შემდეგ მისი ნათესავების მიერ ნივთების გაყიდვისას შეუძენია. სოკოლოვისეული კოლექციის გაქრობის თაობაზე მათ მიერ წამოყენეული ვერსიის დასამტკიცებლად ალექსანდროვიცა და ვილტონიც თავის დროზე საზღვარგარეთის პრესაში გამოქვეყნებულ გა-

დამდგარი გენერლის ჟანენისა და მისი მდივნის კსავიერ დე ხოტკლოკის გამოსვლებს ეყრდნობიან [9].

თითქოს ყველაფერი ცხადი იყო. ძიების ეპოპეა დამთავრდა. დიტერიხსი იაპონიაში გაიქცა, იქიდან შანხაიში გადავიდა, სადაც უკვალოდ გაქრა. სოკოლოვი ბერლინში გადასახლდა, შემდეგ კი პარიზში. ჟილიარი სამშობლოში, ჟენევის ტბის ნაპირზე დაბრუნდა. ყოფილ მთავარ გამომძიებელსაც თითქოს აღარაფერი ჰქონდა გასაკეთებელი. მაგრამ არა, გამოძიება თურმე დამთავრებული არ ყოფილა.

ანტანტელი ლიდერების მიერ მოწყობილი ანტიბოლშევიკური სამხედრო და პროპაგანდისტული ჯვაროსნული ლაშქრობა გრძელდებოდა. გარდა იმისა, რომ ამ ლაშქრობის მორიგ რაინდებს — პილსუდსკისა და ვრანგელს ამარაგებენ ამუნიციითა და ყოველგვარი ინტენდანტური ძველმანით, დასავლეთის ინტერვენციულ ბირჟაზე გაბედულად ადგენენ ფასებს იგავ-არაკებზე ბოლშევიზმის საშინელებათა შესახებ. ითვალისწინებენ რა კონიუნქტურას, გაქცეული თეთრგვარდიელი „წამებულნი“ ასეთ საქონელს დასწრებაზე სთავაზობენ მყიდველებს. ანტანტის საინფორმაციო ცენტრების ირგვლივ წრიალებენ თეთრი ოცნების ყოფილი გმირები და ცენტებსა და სანტიმებს ჰაერშივე იჭერენ. ისინი ყოველი მხრიდან აყრიან უცხოელ ცილისმწამებელთა მხრჩოლავ კოცონებს გასაღვივებლად საწვავს თავიანთ ყოფილ სამშობლოზე. ამ კამპანიის ბრმა მიმბაძველი სოკოლოვი „უზენაესი მმართველის“ ხელმოწერილ მანდატზე დაყრდნობით აცხადებს, „თავიდან იწყება გამოძიება მეფის მკვლელობის საქმის შესახებო“. და ბულვარული პრესაც მის პრეტენზიებს რეკლამას უწევს. რადგანაც კოპტიაკოვი ახლა მისთვის მიუწვდომელია, იძულებულია ყურადღება ახლო მყოფ მოწმეებზე გადაიტანოს. განიზრახა გამოკითხვის სერიები ჩაატაროს ემიგრანტ კოლეგებში, უპირველეს ყოვლისა კი ემიგრანტთა ლიდერებში. დაე, თქვან მაღალადმატებულებმა და უზენაესმა ყოველად სამღვდელო პირებმა, როგორ შესცოდეს გარდაცვლილი იმპერატორის წინაშე, როგორ მიატოვეს იგი სათანადო დაცვის გარეშე ბედის ანაბარა. „მთავარი გამომძიებელი“ ფიქსირებას ახდენს და ოქმებს აფორმებს. ხარჯავს უამრავ ქაღალდს, წერს ასობით გვერდს, აწყობს დაპირისპირებასა და ექსპერტიზებს. იბერება ძველი დოკუმენტების ახალი საქაღალდეები.

1920—1922 წლებში სოკოლოვის წინაშე წარსდგნენ და ჩვენება მისცეს: გ. ე. ლვოვმა, ა. თ. კერენსკიმ, ვ. ა. მაკლაკოვმა, ვ. ი. გურკომ, ა. ვ. კრივოშეინმა, დ. ბ. ნეიდჰარდტმა, ა. თ. ტრეპოვმა, ფოსტა-ტელეგ-

რაფის მთავარი სამმართველოს ყოფილმა უფროსმა ბ. ვ. პოხვისნევმა, ნ. ე. მარკოვ მეორემ, კერენსკის ყოფილმა მოადგილემ იუსტიციის საქმეებში პ. ნ. პერევერზევმა, კადეტების ლიდერმა პ. ნ. მილიუკოვმა (ორჯერ). კიდევ მისცა ჩვენება: ფრეილინა ა. ა. ვირუბოვამ, გრაფინია ნ. ს. ბრასოვამ (შერემეტიევსკაია), სასახლის კომენდანტმა ვ. ნ. ვოეიკოვმა, ექს-ჰეტმანმა გენერალმა სკოროპადსკიმ, ყოფილმა სამხედრო მინისტრმა ვ. ა. სუხომლინოვმა, ყოფილმა სამხედრო და საზღვაო მინისტრმა დროებითი მთავრობის პირველი შემადგენლობისას ა. ი. გუჩკოვმა, სახელმწიფო სათათბიროს ყოფილმა თავმჯდომარემ მ. ვ. როძიანკომ, ვ. ვ. შულგინმა, მღვდელ-მონაზონმა ილიოდორმა (სერგეი ტრუფანოვმა), პორუჩიკმა ბ. ნ. სოლოვიოვმა, დიდმა მთავარმა დ. პ. რომანოვმა, თავადმა ფ. ფ. იუსუპოვმა, ბალერინა მ. თ. კშესინსკაიამ. გამოძიებაში მყოფმა ყველა ამ პირმა კოლჩაკის ორდერის მოთხოვნით მიიღო მონაწილეობა სოკოლოვის მიერ „დინასტიის დაღუპვის საიდუმლოს გახსნაში“, თუმცა განსაკუთრებული საიდუმლო, კაცმა რომ თქვას, არც ყოფილა. ბევრი გადაიტანა მათ გამო რუსეთმა და შესაფერის ისტორიულ მომენტში შეეცადა მონარქის ხელისუფლებისა და პირადად მათგანაც განთავისუფლებულიყო.

ყოფილი ომსკელი გამომძიებელი კითხვა-პასუხების სეანსებს მანამდე აწყობდა, სანამ ერთხელ არ აღმოაჩინა, რომ გაქურდეს. მისმა ყოფილმა შეფმა დიტერიხსმა, რომელსაც 1918—1919 წლების გამოძიების ძირითადი მასალები (ასლების სახით) გააჩნდა, 1922 წელს შორეულ აღმოსავლეთში გამოსცა დიდი მოცულობის თხზულება ორ ტომად „მეფის ოჯახისა და რომანოვების სახლის წევრების მკვლელობა ურალში“.

თუმცა იმ დროისათვის დიტერიხსი არც პირველი და არც ერთადერთი ავტორი იყო, რომელიც იპატიევის სახლში მომხდარ ამბებზე ალაპარაკდა. პირველი ცნობები (დამახინჯებული ანდა გამონაგონი) მეფის ოჯახის ეკატერინობურგული ფინალის შესახებ პიერ ჟილიარმა გამოაქვეყნა 1920 წლის 18 ივლისს ჟურნალში „L' Illustration“. თითქმის ერთდროულად დაახლოებით ასეთივე „სარწმუნო“ ცნობებით გამოვიდა რობერტ ვილტონიც. შემდეგ ერთმანეთს მიჰყვა პუბლიკაციები: „მეფის ოჯახისა და მისი ამალის მკვლელობა. დოკუმენტები“ (კონსტანტინოპოლი, გამომცემლობა „რუსკაია მისლ“, 1920); „მეფის ოჯახის მკვლელობა. უზენაესი მმართველის ბრძანებით შექმნილი კომისიის მასალები“ (გამოცემის ადგილი მითითებული არ არის, 1921 წე-

ლი); 1921 წელს ლაიპციგში გამოვიდა „Die Ermordung der Zaren und seiner Familie dargestellt aus Grund von offiziellen Protokollen der Koltschakischen Gerichtskomission".

გამოდიოდა „მხატვრული" ნაწარმოებებიც, მაგალითად, „იმპერატორ ნიკოლოზ II სიკვდილი. დრამა ოთხ მოქმედებად" (ვლადივოსტოკი, 1921). ოციან წლებში იმავე თემაზე დაწერილი სხვა ნაწარმოებებიც გამოჩნდა ბერლინში, პარიზში, ლონდონში, ბელგრადში, პრაღაში, ხარბინში, სტამბულში.

ყოფილი გენერლის საქციელი ყოფილ გამომძიებელს უკიდურეს თავხედობად მოეჩვენა, ამიტომ სოკოლოვმა დაკითხვები შეწყვიტა და თავად დაჯდა წიგნის დასაწერად. თავის დოკუმენტებში ჩაფლული დღედაღამ თხზავდა, ჩქარობდა დაკარგულის ანაზღაურებას. ასეთი დატვირთვისა თუ ბოღმის გამო გამომძიებელმა ისე მიაბარა ღმერთს სული, რომ წიგნი ვერ დაამთავრა. თანამზრახველებმა იგი რუანთან ახლოს მიყრუებულ დაბა სალბრის სასაფლაოზე მიაცილეს და საფლავზე ხის ჯვარი დაუდგეს მელანქოლიური წარწერით: „სიმართლე შენია". ერთი წლის შემდეგ კი მისი დაუმთავრებელი თხზულება შეავსეს და რამდენიმე ენაზე გამოაქვეყნეს [10].

რა საერთო ჰქონდა სიმართლესთან სოკოლოვს, ამას მოწმობს როგორც 1919 წელს მის მიერ რუსეთში დატოვებული სისხლისა და სიბინძურის კვალი, ასევე მტკნარი სიცრუითა და დაუოკებელი ავგულობით აღსავსე ლიტერატურული კვალი დასავლეთში გამოცემული წიგნების სერიისა.

როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ სიმართლესთან სოკოლოვს და მის კოლეგებს, დაგვანახა მისმა ახლო მეგობარმა რობერტ ვილტონმა. რომანოვებზე დაწერილ თავის წიგნში იმდენი ანტისაბჭოური სიყალბე შეიტანა, რომ აღშფოთებული ინგლისელი საზოგადოებრიობის მოთხოვნით გაზეთ „ტაიმსის" მეპატრონენიც კი იძულებული გახდნენ იგი რედაქციიდან გამოეგდოთ.

მან თავის წიგნში მოათავსა ფოტოსურათი წარწერით: წ ი თ ე ლ ი ინკვიზიცია ურალში. წ ი თ ე ლ ი კ ო მ ი ს რ ე ბ ი ს მ ი ე რ მ ო წ ყ ო ბ ი ლ ი წ ა მ ე ბ ი ს ო თ ა ხ ი... შ ე მ ა ღ ლ ებ უ ლ ფ ი ცარხაგზე მ დ გ ა რ მ ა გ ი დ ა ზ ე მ ო ჩ ა ნ ს წ ა მ ე ბ ი ს ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ი ა რ ა ღ ი (გადაკვრით იყო ნათქვამი, რომ აქ თითქოს აწამებდნენ მეფის ოჯახის წევრებს).

სინამდვილეში კი სურათზე მოჩანს ლოზუნგებითა და ტრანსპარანტებით მორთული ჩვეულებრივი წითელი კუთხე, რომლის მსგავსიც მაშინ უკვე ბევრ საწარმოსა და დაწესებულებაში არსებობდა, ხოლო კლუბის სცენაზე გამოტანილ მაგიდაზე გამოსახული „წამების იარაღები“— ეს იყო თავმჯდომარის ზარი, წყლით სავსე მინის სურა და ჭიქა.

სოკოლოვისეული სიმართლისათვის კიდევ ერთი მებრძოლი, თეთრგვარდიელი ემიგრანტი მწერალი ბრეშკო-ბრეშკოვსკი ვაიმარის გერმანიაში გამოცემულ ერთ-ერთ თავის რომანში მოგვითხრობს, თუ როგორ მიიტანეს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში იუროვსკიმ და ერმაკოვმა 1918 წლის იელისში სიკვდილით დასჯილი მეფე-დოდოფლის თავები. თურმე ნუ იტყვით, სოკოლოვის მცდელობის შედეგად გაიხსნა საიდუმლო, თითქოს რევოლუციის პირველ წლებში ბოლშევიკები იყენებდნენ გაწეულ მუშაობაზე ანგარიშგების ისეთ ფორმას, როგორიც იყო უფროსებისათის მოკვეთილი თავების მიტანა...

ამ ამბავს ზემდგომი კომისრები ალმაცერად უყურებდნენ. მაგრამ იუროვსკი დაჟინებით გაიძახოდა: „როგორიღა მტკიცება გნებავთ კიდევ? აი, მისი უდიდებულესობა იმპერატრიცა, აი მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა... და იუროვსკიმ თავები მიწამდე დასწია...“ [11]

მიუხედავად იმისა, რომ ბრეშკო-ბრეშკოვსკის კოლეგებიც გაიწაფნენ ანტიბოლშევიკურ ხელობაში, მათაც კი ოდნავ გულს აზიდებდათ. ერთ-ერთმა მათგანმა, ბელეტრისტმა ბორის ზაიცევმა, გაჯავრებით თქვა:

— შეხედეთ, როგორ საძაგლად ცრუობს ბრეშკა!

სიმართლის ასეთი ნიშნით გამოდიოდნენ ისინი გამოძიებისას და შემდეგ დასავლეთის ბულვარული პრესის ფურცლებზე, სანამ ერთმანეთი არ დააბინავეს უცხოეთის სასაფლაოებზე.

ბრეშკა აღარ არის, მაგრამ არინ ჰოიერი და მესი, სხვა ახლად გამოჩეკილი სოვეტოლოგები. ჰამბურგისა და ნიუ-იურკის საგამომცემლო კანტორებში ბრეშკას ლიტერატურული ტრადიცია გრძელდება. ხელში აქვთ ჩაგდებული კოლჩაკური გამოძიების მასალები და ათასნაირად მსჯელობენ მის შესახებ, მაგრამ ანტისოვეტიზმის პოზიციებიდან.

17

რამ მიიპყრო მისი ყურადღება

ერთნი უკვე აღარ არიან, მეორენი კი შორს იმყოფებიან...

დეკემბერში ძლიერი ყინვები დაიჭირა. მეორე სართულზე ცივა, +10-ია. ჭარისკაცები მარტო ალექსის ოთახს ათბობენ უკეთესად. ფარაჯაში გახვეული გადამდგარი იმპერატორი ყინვიან დილით სავარძელში ზის. იგი გატაცებით კითხულობს, მაგრამ შინაურებში არ უნდა გაამჟღავნოს ამ წიგნისადმი ინტერესი.

იმ დღეებში მის დღიურში გაჩნდა ჩანაწერები: ვიქტორ ჰიუგოს „ოთხმოცდა ცამეტი წლის" კითხვა დავიწყე... ჰიუგოს ისტორიული რომანის კითხვას განვაგრძობ... პირველი ტომი „1793" დავამთავრე... ჰიუგოს გასაოცარი და შემაძრწუნებელი მონათხრობის მომდევნო ნაწილზე გადავდივარ. და ასეთივე სახის კიდევ რამდენიმე შენიშვნა[1].

შემდეგ პრაპორშჩიკმა მალიშევმა ნახა ეს წიგნი. აი რას ჰყვებოდა იგი. ფანქრითაა აჭრელებული კიდეები, გახაზულია სტრიქონები. აბზაცები, ზოგიერთი გვერდი. მაშასადამე, ყურადღებით კითხულობდა და ძონიშნა ის არსებითი, რამაც მაშინ დააინტერესა[2].

ხაზგასმულია სტრიქონები: **ეს კაცი ჩვენი მორჩილია... რევოლუციის ხელმა დაჭკრა შეჩვენებულ მტერს ხალხისას; ოთხმოცდაცამეტის მძლავრი ხელი შიგ ყელში სწვდა მკვლელს... უკვე დადგა ჟამი; რევოლუციამ დააპატიმრა თავისი საზოგადოებრივი მტერი; ამიერიდან იგი ვეღარას ავნებს...**

ხომ არ შეიცნო მან საკუთარი თავი? ანდა, იქნებ, თავისი გენერლები — კორნილოვი, დენიკინი, რომლებიც მას გადაარჩენენ?

იგი ყოველ ღამე ელოდება იმ შეთქმულთა გამოჩენას, მას რომ

ეზმანებიან, რომლებიც დაიხსნიან სიკვდილისაგან. მაგრამ შეიძლება იგი შეიწყალონ კიდეც?

მის ყურადღებას იპყრობს შემდეგი სტრიქონები: **როკორ თავდაუზოგავად შეუდგება თავისი ძველი განზრახვის განხორციელებას... რა სიხარულით ჩაეშვება ისევ მძულვარებისა და სისხლის მორევში... როგორ გააჩაღებს ხვალვე ხანძარს და ქვეყანას მორწყავს სისხლით! ტყვეებზე ამოიყრის ჯავრს, დაპრილებზე, ქალებსაც კი დაახვრეტინებს...**

რომ გაათავისუფლონ, ხელმეორედ უნდა დაიწყოს ყოველივე... როგორც გველეშაპს ვერ მოერევი, მანამ თავს არ მოსჭრი, ასევე ვერ მოისეენებს, მანამ ქვეყანას სამარეში არ ჩააწვენს და ზედ მონარქიის საფლავის ქვას არ დაადებს. მისი სიცოცხლე სიკვდილი იქნება ათასობით სრულიად უდანაშაულო ადამიანისა, რომელთაც კვლავ ჩაითრევს სამოქალაქო ომში... ეს იქნება გაძარცული ქალაქები, გაწამებული ხალხი, სისხლით მორწყული ბრეტანი...

ფიქრობდა თუ არა ტობოლსკელი პატიმარი, რომ იძულებითი მოგზაურობა ცარსკოე სელოდან აღმოსავლეთისაკენ ბოლოს და ბოლოს მისთვის იპატიევის სახლში დამთავრდებოდა? შეეძლო თუ არა წარმოედგინა, რომ მისთვის სადღაც ეშაფოტი აღემართათ?

ჰიუგოს წიგნის კითხვისას — შეეძლო.

ახლა იგი დაჭერილია... მრავალი თვის სისხლისღვრის შემდეგ იგი აქ არის, ეს მკვლელი, ახლა მისი რიგია, ის უნდა მოკვდეს. ნუთუ იქნება ვინმე, რომ ქვეყნის მტრის გადარჩენა მოინდომოს?

მხოლოდ ორი გზა რჩება — ან უნდა მოკლას იგი, ან გაათავისუფლოს. მოკლას? ეს ხომ წამება იქნება. გაათავისუფლოს?—როგორ იდოს თავს ეს მოვალეობა.

პირდაპირი ანალოგიები აქ არ არის. არც შეიძლება რომ იყოს. სხვა ეპოქაა, სხვა ქვეყანა. ერთმანეთს ებრძვიან და ბრძოლის შედეგებს წყვეტენ სხვა სოციალური და კლასობრივი ძალები. სხვა არის მათი დევიზი, სხვა არის მათი ისტორიული მიზნები — შეუდარებელი, თითქმის შეუთავსებელი... და მაინც... როგორც წესი, დასავლეთელი ავტორები, რომლებიც რომანოვების აღსასრულზე წერენ, ამტკიცებენ, რომ საბედისწერო შედეგი არც ერთ მათგანს არ შეეძლო წარმოედგინა, რომ თითქოს ფინალიცა და ყოველივე ის, რაც მას წინ უსწრებდა, მოწმეხდილ ცაზე გავარდნილი მეხივით მოულოდნელად დაეცა ნიკოლოზს თავზე; რომ მეფის საქციელსა და ეკატერინობურგის დასას-

რულს შორის არავითარი კავშირი არ არსებობდა. ნიკოლოზი გახდა უდანაშაულო მსხვერპლი საბედისწერო შემთხვევითობათა დამთხვევისა — პირადად მას არ შეეძლო ეს წინასწარ წარმოედგინა და არც არავინ იყო, რომ აეცილებინა იგი.

ეს მართალი არ არის. ასეთი აღსასრულის შესაძლებლობაზე ნიკოლოზს ეუბნებოდნენ. აფრთხილებდნენ, რომ მისი მმართველობა შეიძლებოდა მისთვისვე ცუდად დამთავრებულიყო, სიცოცხლის ფასადაც კი დასჯდომოდა.

ეკატერინობურგის ფინალამდე ასე ათი წლით ადრე ა. ვ. კრივოშეინმა მეფისათვის შეადგინა გამაფრთხილებელი ბარათი იმპერიაში მღელვარების დაწყების შესახებ. დამაჯერებლობისათვის შეახსენებდა, როგორ დადო თავი ჯალათის კუნძზე ლუდოვიკო XVI. ნიკოლოზმა მოხსენებითი ბარათი სახელმწიფო საბჭოს გადაუგზავნა შემდეგი რეზოლუციით: განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ. შემდეგ უხუცეს ფრიშს როგორღაც უთხრა: „აქ, მოხსენებაში, კრივოშეინს ყოველგვარი სისულელე მოუჩმახავს“.

მაგრამ ცნობილი ფრანგული პრეცედენტის „სისულელე“ შემდეგში კიდევ არაერთხელ განმეორდა. ელჩ მონტებელოს მიერ ხოდინში გამართულ ბალზე მეფესთან ბუადეფრი მივიდა. „ასეთი უბედური შემთხვევები, — უთხრა მამაშვილური ტონით ხელმწიფეს გენერალმა,—ყველგან ხდება. ჩვენთან, საფრანგეთში, მაგალითად, ლუდოვიკო მეთექვსმეტეს კურთხევისას.. და არ დაამთავრა... მან იგრძნო, როგორ გამეფდა ირგვლივ ავის მომასწავებელი სიცივე და ამ ფრაზის ბოლო სიტყვები ყელში გაეჩხირა“ [3].

ეკატერინობურგამდე 16 წლით ადრე ლ. ნ. ტოლსტოი მოუწოდებდა ნიკოლოზ II გონს მოსულიყო, ეფიქრა იმ შედეგებზე, რაც პირადად ელოდა მისი და მისი მთავრობის საქციელის შედეგად. მწერალი ურჩევდა თავის უსაფრთხოებაზე ეფიქრა [4].

ალექსანდრ ბლოკის დამოწმებით, ეკატერინობურგამდე 8 წლით ადრე მეფის საყვარელმა პიროვნებამ, ადმირალმა ნილოვმა, რომელიც მისგან რამდენიმე ნაბიჯზე იდგა, მეფის კარის დიდებულთა წრეში თქვა: „თუ რევოლუცია მოხდება, ყველა ჩვენგანს ჩამოჰკიდებენ, ხოლო რომელ ფაანზე იქნება ეს, განა სულ ერთი არ არის“.

„ჩვენ განვიცდით ყველაზე საშიშ მომენტს რუსეთის ისტორიაში, — სწერდა მეფეს ეკატერინობურგამდე 18 თვით ადრე მისი ნათე-

სავი, დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე (ირინე იუსუპოვას მამა). — რომელიღაც ძალებს გარდაუვალ დაღუპვამდე მიყავხარ“ [5].

ეკატერინობურგამდე 17 თვით ადრე, 1917 წლის თებერვალში, ნიკოლოზ II-თან მიღებაზე ყოფნისას მ. ვ. როძიანკომ მას ურჩია:

— თქვენო უდიდებულესობავ, თავს უშველეთ. ჩვენ უდიდესი მოვლენების წინაშე ვდგავართ, რომელთა შედეგების წინასწარ განჭვრეტა არ შეიძლება. რასაც თქვენ და თქვენი მთავრობა აკეთებთ, იმდენად აღიზიანებს მოსახლეობას, რომ ყველაფერია შესაძლებელი...

— ილოცეთ, თქვენო უდიდებულესობავ, — არწმუნებდა როძიანკო. — ილოცეთ გულმხურვალედ... თქვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები შეიძლება თქვენთვის საბედისწერო გამოდგეს...

— თქვენო უდიდებულესობავ, — ეუბნება როძიანკო, — მივდივარ დარწმუნებული, რომ ეს ჩემი უკანასკნელი მოხსენებაა თქვენ წინაშე.

— მაინც, რატომ?

— საათ-ნახევარია მოგახსენებთ, რატომაც, და ყოველნაირად ვხედავ, რომ თქვენ განზრახული გაქვთ კვლავ იმავე გზით იაროთ. მე გაგაფრთხილეთ. დარწმუნებული ვარ, არ გაივლის სამი კვირაც კი, რომ ისეთი რევოლუცია იფეთქებს, რომელიც გაგსრესთ და უკვე აღარ იმეფებთ.

— თქვენ ამას საიდან იგებთ?

— ყველა იმ გარემოებიდან, რომლებიც ვითარდება... ხელმწიფეო, თქვენ იმას მოიმკით, რაც დათესეთ.

— ღმერთი ინებებს, ყველაფერი გამოკეთდება.

— ღმერთი არაფერს არ ინებებს, რევოლუცია გარდუვალია.

რევოლუციის პირველსავე დღეებიდან ხალხი მოითხოვდა მართლმსაჯულებას. ცდილობდა მიეღწია რომანოვების გასამართლებისათვის და მიაღწია კიდეც. თავადვე წამოაყენა მოსამართლენი.

უკეთესი მომავლისაკენ მიმავალი რუსეთის გზიდან რომანოვების ჩამოცილების პრობლემა რევოლუციის დამცველებმა, ამ მოსამართლეებმა გადაწყვიტეს. მტრის ცეცხლის რკალში მოქცეულები მამაცურად და გაბედულად მოქმედებდნენ.

ჩვენი ქვეყნის მტრები ეკატერინობურგის ფინალის შესახებ ამბობენ:

— მსგავსი რამის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ რუსეთში... ეს შეეძლოთ მხოლოდ ბოლშევიკებს გაეკეთებინათ.

საჭიროა თუ არა გავახსენოთ მათ ლუდოვიკო XVI ბედი საფრანგეთში? ანდა სხვა ისტორიული მაგალითები, როცა რევოლუციონერ ხალხს თავიანთი მჩაგვრელების მიმართ უმოწყალო განაჩენი გამოჰქონდათ?

საქმენი თქვენნი მოგაგებენ თქვენვე

შერბილება არ ღირს: საშინელი იყო რომანოვების აღსასრული. მაგრამ, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, მათი საშინელი სიკვდილი არაფერია მათ მიერვე ცხოვრებაში ჩადენილ საშინელებებთან შედარებით. საღმრთო წერილის თაყვანისმცემლებს აფრთხილებდნენ: საქმენი თქვენნი მოგაგებენ თქვენვეო. მაგრამ ისინი მაინც თავისას განაგრძობდნენ. და ამიტომაც მიეზღოთ სამაგიერო.

განაჩენი რომანოვებს გამოუტანა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების ურალის საბჭომ ბოლშევიკების მეთაურობით. მაგრამ საბჭოს შემადგენლობაში მარტო ბოლშევიკები როდი იყვნენ. მათ ზურგს უმაგრებდა არა მარტო ურალის, არამედ მთელი დიდი რუსეთის მშრომელი მოსახლეობის უზარმაზარი მასა. 1918 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო ცარიზმის ჩაგვრისაგან განთავისუფლების მიზნით რევოლუციური ბრძოლისათვის აღმდგარ ხალხთა მასების ნება-სურვილით. ბოლშევიკებმა შეასრულეს ხალხის სამართლიანი მოთხოვნა, რომელიც წამოაყენეს მეფის თვითმპყრობელობის დამხობისთანავე.

ეს დაადასტურა ა. თ. კერენსკიმ. მისი სიტყვებით, როცა ნიკოლოზის გადაყენებიდან ხუთი დღის შემდეგ იგი მოსკოვის საბჭოს ტრიბუნაზე ავიდა, ყოველი მხრიდან გაისმა ყოფილი მეფის დასჯის მოთხოვნა. „7(20) მარტს, როცა მოსკოვის საბჭოს სხდომაზე გამძვინვარებული შეძახილები გაისმა: „სიკვდილი მეფეს, დასაჯეთ მეფე“, მე ვთქვი: „სანამ ჩვენ ხელისუფლების სათავეში ვდგავართ, ეს არ მოხდება. დროებითმა მთავრობამ საკუთარ თავზე აიღო მეფისა და მისი ოჯახის პირადი უსაფრთხოება. ამ ვალდებულებას ბოლომდე შევასრულებთ. მეფე თავის ოჯახთან ერთად საზღვარგარეთ, ინგლისში გაიგზავნება. მე თავად ჩავიყვან მას მურმანსკამდე“. და შემდეგ: „ნიკოლოზ მეორის სიკვდილით დასჯა და მისი ოჯახის ალექსანდრეს სასახლიდან პეტრეპავლეს ციხესიმაგრეში ანდა კრონშტადტში გაგზავნა — აი, ულმობელი, ზოგჯერ გაშმაგებული მოთხოვნა ასობით დელეგაციის, დეპუტა-

ცარისა და რეზოლუციისა. რომლებსაც უყენებდნენ დროებით მთავრობას და კერძოდ მე, როგორც მეფის ოჯახის უსაფრთხოების დაცვის გამგებელსა და პასუხისმგებელს“ [6].

ეს დაუდასტურა კერენსკიმ სოკოლოვს ემიგრაციაში ყოფნისას: „პეტროგრადისა და მოსკოვის რაიონების ჯარისკაცთა მასებისა და შუშების აღგზნებული განწყობილება უკიდურესად მტრული იყო ნიკოლოზისათვის. გაისმოდა პირდაპირ ჩემდამი მომართული მისი დასჯის მოთხოვნები. დროებითი მთავრობის სახელით ასეთი მოთხოვნების წინააღმდეგ პროტესტს ვაცხადებდი. ერთხელ ჩემთვის ვთქვი, რომ არასოდეს ვიკისრებდი მარატის როლს. მე ვეუბნებოდი, რომ ნიკოლოზის დანაშაულს რუსეთის წინაშე განიხილავდა მიუკერძოებელი სასამართლო. მუშათა მასების გულისწყრომა ღრმად იყო გამჯდარი მათს განწყობილებაში. მე მესმოდა, რომ საქმე აქ ნიკოლოზ მეორის პიროვნებაში კი არ იყო, არამედ უფრო მეტად ცარიზმის იდეაში, რომელიც გულისწყრომასა და შურისძიების გრძნობას აღვივებდა“. და დაამატა: რომანოვები რომ ტობოლსკში არ გაგვეგზავნა, „ისინი ცარსკოე სელოშიაც ასევე საშინლად დაიღუპებოდნენ, მაგრამ ერთი წლით ადრე“ [7].

ამრიგად, სრულიად ავტორიტეტული მოქმედი პირის მიერ დამოწმებულია, რომ რომანოვებს სიკვდილის შურისგება ემუქრებოდა იმ დღეებშიც კი, როცა ბოლშევიკები ჯერ კიდევ არ იყვნენ ხელისუფლების სათავეში, როცა მეფის ოჯახს ჯერ კიდევ იცავდნენ კორნილოვი და კობილინსკი, როცა მათზე მაშინდელი ხელისუფლების თავკაცი კერენსკი ზრუნავდა.

ის, რომ ყოფილი იმპერატორისადმი ხალხთა მასების მტრულ დამოკიდებულებას ღრმა ფესვები გააჩნდა, რომ მათ ეზიზღებოდათ ცარიზმი, სწორია. მაგრამ, ცხადია, ნიკოლოზის პიროვნების ცარიზმისაგან გამოყოფა, შეუძლებელია. ხოლო მუშათა მასების „გულისწყრომა და შურისძიება“, რა თქმა უნდა, გამოგონილია. ასეთი ემოციები და აღგზნება დამახასიათებელი იყო არა მასებისათვის, არამედ თავად რომანოვებისათვის. ხალხის დამოკიდებულება დამხობილი დინასტიისადმი განისაზღვრებოდა არა შურისძიების წყურვილით, არამედ შეგნებული თუ სტიქიური მისწრაფებით დაეცვათ რევოლუცია, ამოეძირკვათ ცარიზმის ფესვები, თავიდან აეცილებინათ მონარქიული რესტავრაციის საშიშროება.

ეს საშიშროება კი რეალური იყო. თეთრების არმიას შეთაურობ-

დნენ მეფის გენერლები: „თეთრების მოძრაობას“ სათავეში ედგნენ ადამიანები, რომლებიც აშკარად უწევდნენ პროკლამირებას მეფის დაბრუნებას. და თვითონ რომანოვებსაც სჯეროდათ, რომ თეთრებისა და ინტერვენტთა არმიების დახმარებით ისინი ტახტზე დაბრუნდებოდნენ. მათი იმ დღეების მიწერ-მოწერა, დღიურში შეტანილი ჩანაწერები გაჟღენთილია იმის რწმენით, რომ „ყოველივე ეს დიდხანს არ გასტანს“. „ოდის დამთავრდება ყოველივე ეს?“ — ჩაწერა ტობოლსკში ალექსანდრა თედორეს ასულმა და ამით იმის რწმენა გამოხატა, რომ „დამთავრდებოდა“ რევოლუცია, ისინი, რომანოვები, კი დარჩებოდნენ.

თუმცა, თავად თეთრგვარდიელებისთვისაც კი ყოველთვის არ იყო ნათელი, დინასტიის რომელი წევრის მეფედ გამოცხადება იყო მიზანშეწონილი. ნიკოლოზ II უკვე ძალზე ოდიოზურ ფიგურად ითვლებოდა. თეთრების ბანაკში ხშირად ახსენებდნენ მიხეილის, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა და ალექსის სახელებს. ეს უკანასკნელი, რომელსაც ცარიზმის სისხლიანი დანაშაულებრივი ლაქები არ ჰქონდა მოცხებული, ყველაზე მეტ პოტენციალურ საფრთხეს წარმოადგენდა რევოლუციისათვის. ნიკოლოზ II რეპუტაცია კი ძალზე მკვეთრად განისაზღვრა... უკანასკნელი რომანოვის მეფობაში, წერდა გორკი, უფრო მეტი ხალხი დაიღუპა, ვიდრე „XIX საუკუნის ყველა ომში ერთად. მან გადაამეტა მანამდე ცნობილ აბდულ-ჰამიდს და მისი სისხლიანი საქმენი დაჩრდილა... საკუთარი თავისა და პირადი სიცოცხლის გარდა იგი ყველას მიმართ მკაცრი და გულგრილი იყო. დაე მისი სიცოცხლე იყოს ყოველთვის აღსავსე მწუხარებით, სიკვდილის შიშით გათანგული და სინდისის მქეჯნი“ [8].

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი განაჩენის გამოტანას საბჭოთა ხელისუფლება თავდაპირველად არც აპირებდა. საბჭოთა ხელისუფლება თავისი არსებობის პირველი დღიდანვე უარყოფითად ეკიდებოდა მკაცრად დასჯის იდეას. იქ, სადაც რევოლუციურ ტრიბუნალს უხდებოდა ჩარევა, სასჯელი მინიმალურით, ხშირად მარტო პირობითით განისაზღვრებოდა. სიკვდილით დასჯა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების პირველ ხანებში საერთოდ არ გამოიყენებოდა. პრინციპულ წესად ითვლებოდა ჰუმანური თავშეკავებულობა და დიდსულოვნება. საკმარისი იყო გამოაშკარავებულ მტერს ეთქვა, „მეტს აღარ გავიმეორებ“, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელს ვიღებო, რომ მას ათავისუფლებდნენ.

„გვისაყვედურებენ, — ამბობდა 1917 წლის ნოემბერში ვ. ი. ლენი-

ნი,—რომ ტერორს მივმართავთ, მაგრამ იმ ტერორს, როგორსაც მიმართავდნენ საფრანგეთის რევოლუციონერები, რომლებიც გილიოტინით ჰკვეთდნენ თავს უიარაღო ადამიანებს, ჩვენ არ მივმართავთ, და, ვიმედოვნებ, არც მომავალში მივმართავთ“ [9].

ჰუმანურობის, დიდსულოვნების, უსაზღვრო თავშეკავებულობის პრინციპს, როგორც საბჭოთა ხელისუფლების განუყოფელ თვისებას, აღნიშნავდა ფ. ე. ძერჟინსკი. მის მიერ უშიშროების ორგანოებისადმი მიცემულ 1918 წლის ერთ-ერთ ინსტრუქციაში ნათქვამი იყო:

შეიარაღებული ადამიანების შეკრა კერძო ბინაში და დამნაშავე პირთათვის თავისუფლების აღკვეთა ბოროტებაა, რომელსაც აუცილებელია ამჟამადაც მივმართოთ ხოლმე, რათა სიკეთემ და სიმართლემ იზეიმოს. მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ბოროტებაა, რომ ჩვენი ამოცანაა — ბოროტების გამოყენებით აღმოვფხვრათ ამ საშუალებით სარგებლობის აუცილებლობა მომავალში. და ამიტომ ყველა, ვისაც დავალებული აქვს ჩხრეკვის ჩატარება, ადამიანისათვის თავისუფლების აღკვეთა და მისი ციხეში გამოკეტვა, გაუფრთხილდეს ადამიანებს, დაპატიმრებულთა და გაჩხრეკილთ, დაე, ისინი მათ მიმართ იყვნენ თვით უახლოეს ადამიანებზე უფრო თავაზიანნი. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ თავისუფლებააღკვეთილს დაცვა არ შეუძლია და რომ იგი ჩვენს ძალაუფლებაშია. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ იგი საბჭოთა ხელისუფლების — მუშებისა და გლეხების წარმომადგენელია და რომ მისი ყოველი შეყვირება, უხეშობა, კადნიერება, არათავაზიანობა ლაქაა, რომელიც ამ ხელისუფლებას ეცხება“ [10].

მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე უარყო ტერორი და სიკვდილით დასჯა როგორც ბრძოლის მეთოდი, მუშურ-გლეხური ხელისუფლება მაინც იძულებული გახდა გამოეყენებინა ეს მეთოდები, რათა დიდსულოვნებისათვის არ შეეწირა უძვირფასესი რამ — თავისი არსებობა. უკვე 1918 წლის 14 იანვარს ვ. ი. ლენინი პეტროგრადის საბჭოში მოუწოდებდა მუშებსა და ჯარისკაცებს შეეგნოთ, რომ მოწოლილ კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში „მათ არავინ დაეხმარება და მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეთ“ [11]. ხოლო იმავე წლის 21 თებერვალს ცხადი გახდა კაიზერული გენერლების განზრახვა, განევითარებინათ შეტევა პეტროგრადზე. სახალხო კომისართა საბჭომ ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით მიიღო დეკრეტი „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია!“, რომლის მერვე პუნქტში ნათქვამი იყო: „მტრის აგენტები, სპეკულანტები, მძარცველები, ხულიგნები, კონტრრევოლუციონერი აგიტატორები, გერმანიის შპიონები უნდა დაიხვრიტონ დანაშაულის ჩადენის ადგილზევე“ [12].

მაგრამ 1918 წლის ზაფხულამდე, ანუ ეკატერინობურგის ამბე-

ბამდე, მძიმე დასჯის შემთხვევები საბჭოთა რუსეთში თითებზე ჩამოსათვლელი იყო. თავისი მტრების განიარაღების დროს საბჭოთა ხელისუფლება გაურბოდა ყველაზე უკიდურეს ზომებს — მათი სიცოცხლის ხელყოფას. სხვა პოზიცია დაიკავეს ზოგიერთმა „ულტრა-რევოლუციურმა“ პროლეტარულმა ჯგუფებმა, რომელთა მოთავეებიც შემდეგში თხზავდნენ ზღაპრებს „ბოლშევიკური მხეცობის“ შესახებ. მაგალითად, მემარცხენე ესერებმა თავიანთი ლიდერის მარია სპირიდონოვას მეშვეობით მოითხოვეს ანარქისტული „უფლება“ დახვრეტაზე გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე. ამ ადამიანებისათვის უარის თქმის ნიშნად საბჭოების სრულიად რუსეთის V ყრილობაზე ი. მ. სვერდლოვმა 5 ივლისს (ანუ რომანოვების დასჯამდე 11 დღით ადრე) განაცხადა: მემარცხენე ესერები გამოდიან „სასამართლოს წესით სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. მაგრამ სიკვდილით დასჯა სასამართლოს გარეშე ხდება. ჩვენთვის, ამხანაგებო, ასეთი მდგომარეობა სრულიად გაუგებარია, იგი ჩვენ სრულიად არალოგიკურად მიგვაჩნია“. იცავდა რა რევოლუციური კანონიერებისა და ორგანიზებული პროლეტარული მართლმსაჯულების პრინციპებს, „ემოციურ“ თვითნებობაზე მემარცხენე ესერული და ანარქიული მითითებების საწინააღმდეგოდ, ი. მ. სვერდლოვმა ამასთან ერთად აღნიშნა, რომ, რა თქმა უნდა, რევოლუციას თავისი განვითარების მიხედვით შეუძლია აიძულოს საბჭოთა ხელისუფლება მიმართოს „მთელ რიგ ისეთ აქტებს, რომლებსაც მშვიდობიანი განვითარების პერიოდში, მშვიდი ორგანული განვითარების ეპოქაში“ იგი არასოდეს არ გამოიყენებდა.

რადგანაც არავითარ ილუზიას არ იწვევდა ის გარემოება, თუ რატომ მიიწევდნენ თეთრები იპატიევის სახლისაკენ და როგორ მოიქცეოდნენ რომანოვები იმ შემთხვევაში, თუ ინტერვენტები და თეთრგვარდიელი კაზაკები მათ ხელში ჩაიგდებდნენ, ურალის საბჭომ მიიღო იმ პირობებში კარდინალური და ერთადერთი შესაძლებელი გადაწყვეტილება.

ტყუილად ირწმუნებოდა კერენსკი, თითქოს „საქმე თვითონ ნიკოლოზის პიროვნებას როდი ეხებოდა“. რევოლუციური სამართლიანობის მომხრე ხალხი უპირველეს ყოვლისა მოითხოვდა მეფის, ცარიზმის მიერ ჩადენილი საქმეების გამოსყიდვას. ურალის განაჩენი აბსოლუტიზმისათვის გონების თვალით განკვრეტილი, განყენებული მსჯავრის დადების შედეგად კი არ იყო გამოტანილი. ეს იყო რომანოვების მიერ ერთობლივად ჩადენილი დანაშულისათვის გამოტანი-

ლი განაჩენი. მასში აისახა ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობის დიდი ხნის მოთხოვნები.

როგორც გაზეთ „ურალსკი რაბოჩის“ რედაქტორი მოგვიანებით იგონებდა, მისმა მკითხველებმა 1918 წლის ივნის-ივლისში რედაქცია გაავსეს წერილებით, რომლებშიაც გამოთქვამდნენ შეშფოთებას, „ხომ არ გაიქცევა მეფე“, მოგვიწოდებდნენ, არ აეცდინა მას პასუხისმგებლობა (აქედან გამომდინარეობდა შიში ანარქიული თვითგასამართლებისადმი, რომელიც მასების შეგნებაში ყოფილი მეფის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას უდრიდა). პრესის ცნობით, ასეთი მოწოდებები, გაფრთხილებები და შიში იმ დღეებში გაისმოდა ყველგან მშრომელთა მიტინგებსა და კრებებზე [13].

ურალელმა და ციმბირელმა ბოლშევიკებმა ყურად იღეს ხალხის ნება-სურვილი და მიიღეს ზომები, „რათა მეფე არ გაქცეულიყო“.

დასავლეთის რეაქციული პროპაგანდა არ იშურებს საღებაეებს მათ შესარცხვენად. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი იუროვსკისა და ხოხრიაკოვისადმი მიმართულ ინსინუაციებში. უკანასკნელს ბატონი ალექსანდროვი უწოდებს „ტობოლსკის საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე შემთხვევით მოხვედრილს... რომელიც ისევე მოულოდნელად და შემთხვევით გამოჩნდა, როგორც შემდეგში უკვალოდ გაქრა“ [14].

არა, ხოხრიაკოვი შემთხვევით არ გამოჩენილა — იგი კრონშტადტელი მეზღვაური იყო. იმ ქალაქისა, რევოლუციას ყველაზე უშიშარი მებრძოლები რომ მისცა. ხოხრიაკოვი როდი „დაიკარგა უკვალოდ“: ეკატერინობურგში დაბრუნებისთანავე სამხედრო შენაერთებს ამზადებდა წითელი არმიისათვის, ხოლო შემდეგ ერთ-ერთ რაზმს ჩაუდგა სათავეში და ფრონტზე წავიდა. მტრის ტყვიისაგან დაჭრილმა წარმოთქვა: „ვკვდები რევოლუციისათვის. გამაგრდით, ამხანაგებო“ [15]. ამჟამად ხოხრიაკოვის სახელს ატარებს ქუჩები ლენინგრადში, სვერდლოვსკში, პერმში, ტიუმენში, ტობოლსკში. პერმის ცენტრში აღმართულია მისი ძეგლი. ბიუსტი დგას ლენინგრადის ცენტრალურ სამხედრო-საზღვაო მუზეუმში.

ხოხრიაკოვთან ერთად იბრძოდა ი. ი. კოგანიცკი. დუტოველთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაეცა რევოლუციის ვეტერანი ი. მ. მალიშევი. იუდენიჩისაგან პეტროგრადის დაცვისას დაიღუპა ნ. მ. ტოლმაჩევი. მისი სახელი ჰქვია დიდი პროლეტარული რევოლუციის ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას. საბჭოების გამარჯვებას შესწირა სიცოცხლე პეტრე ივანეს ძე ზენცოვმა.

ასე დაასრულა თავისი ცხოვრების გზა ბევრმა მათმა ეკატერინობურგელმა თანამებრძოლმაც.

ეს ადამიანები თავიანთთვის არაფერს ეძებდნენ, პირად კეთილდღეობაზე ყველაზე ნაკლებ ზრუნავდნენ. მათ უყოყმანოდ აღმართეს ურალში რევოლუციის მიერ ხელში მიცემული მახვილი, ხოლო როცა დადგა ჟამი, უშიშრად შეებნენ სიკვდილს სამართლიანი საქმისათვის.

რასაც ჩასძახებ...

რომანოვების დინასტიის ერთ-ერთი იდეური საჭურველთმტვირთველი ვ. ვ. შულგინი თებერვლის დღეებს რომ იგონებდა, წერდა:

ჩვენ გვთულდა ასეთი ხალხი და მის განრისხებას ზიზღით დავცინოდით... ისინი თავისუფლების ღირსნი კი არ იყვნენ, არამედ ტყვეისა და სასჯელისა...

ტყვიამფრქვევები... აი, რა მინდოდა. ვინაიდან ვგრძნობდი, რომ მხოლოდ ტყვიამფრქვევების ენა მისწვდებოდა ქუჩის ბრბოს და რომ მხოლოდ მას, ტყვიას, შეეძლო განთავისუფლებული ნადირის თავის ბუნაგში შერეკვა...

ვაი რომ, ეს ნადირი იყო... მისი უდიდებულესობა რუსი ხალხი.

ოჰ, ტყვიამფრქვევები, ტყვიამფრქვევები, აქეთ!

ნიკოლოზ I ჩამოახრჩო ხუთი დეკაბრისტი. თუ ნიკოლოზ II დახვრეტავს 50 000 „თებერვლელს“ — ეს იქნება რუსეთისათვის იაფად ნაყიდი ხსნა... [16].

თუ დაიქუხებს ზარბაზნები, რუსეთი გადარჩება. თუ ქუხილი არ იქნება — რუსეთი დაიღუპება. რა უნდა ითქვას, თვალსაჩინო დამოკიდებულებაა ცარიზმისა ხალხისადმი.

ანდაზა ხომ გვასწავლის: ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებსო. მაგრამ იმის საწინააღმდეგო გამოვიდა, რაც მეფესა და მის უერთგულეს მიმდევარს უნდოდა: რუსი ხალხის „უკან, თავის ბუნაგში შერეკვა“ ვერ შეძლეს, პირიქით, რუსმა ხალხმა შერეკა რომანოვები იპატიევის სახლსა და ნაპოლნის სკოლაში.

მათ აურაცხელი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს. ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაული უსაზღვრო იყო. ამაზე მიუთითებდა ვ. ი. ლენინი ემიგრაციიდან რუსეთში დაბრუნების წინ დაწერილ შრომაში „წერილები შორიდან“. მოვლენებმა, აღნიშნავდა ვლადიმერ ილიას ძე, გამოამზეურა მსოფლიოს წინაშე „სიდამპლე, სისაძაგლე, მთელი ციხიზმი და გარყვნილება მეფის ბრბოსი“, „მთელი სიმხეცე რომანოვების ოჯახისა — ამ დამრბევებისა, რომლებმაც მთელი რუსეთი სისხლით მორწყეს...“ თავიანთი ხელისუფლების, პრივილეგიების, მილი-

ონობით დესეტინა მიწებისა და სხვა „უწმინდესი საკუთრების“ შენარჩუნების მიზნით, რუსეთის მემამულეებს შორის პირველნი, ისტორიული ბედის ნება-სურვილით ცარიზმის ხელისუფლების სათავეში მოქცეულნი, „ყოველგვარ მხეცობას, ყოველგვარ ბოროტმოქმედებას სჩადიოდნენ, უთვალავ მოქალაქეებს აჩანაგებდნენ და ახშობდნენ“ [17].

რომანოვებს გმობდა მრავალი. მათ ანგარიშისწორებას უწინასწარმეტყველებდნენ არარევოლუციონერებიც. ლ. ნ. ტოლსტოი ქადაგებდა ბოროტების წინააღუდგომლობას, მაგრამ ცარიზმის მხილებისას იგი ქრისტიანული ყოვლის შენდობის დოგმებს სცილდებოდა. იგი მოუწოდებდა დაეხსნათ ხალხი „სიკვდილით დასჯის საშინელებისაგან“, მაგრამ როცა სიტყვა მეფეზე ჩამოვარდებოდა, მზად იყო მის მიმართ გამონაკლისი დაეშვა.

დ. პ. მაკოვიცკისთან ერთ-ერთ საუბარში (1905 წლის 18 მაისი) ტოლსტოიმ აღიარა, რომ წინათ მეფის მიმართ მკაცრი აზრები და გამოთქმები მას არ სიამოვნებდა, ახლა კი უძნელდება სიტყვის გამონახვა, რომ სათანადოდ მკაცრად წეროს ნიკოლოზსა და მის მსგავსებზე. მეფეს „უწმინდეს არსებად“ თვლიან, ამბობს მწერალი, მაგრამ „სულელი, ბოროტი ანდა გიჟი უნდა იყო, რომ ჩაიდინო ის, რასაც ნიკოლოზი სჩადის“. გასპრისეული წერილის შავ ვარიანტში ტოლსტოი წინასწარმეტყველებს: თუ ნიკოლოზი თავის პოლიტიკასა და საქციელს არ შეცვლის, მას ადრე თუ გვიან „ძალადობით სიკვდილი მოუწევს, ხალხსა და ისტორიაში კი საკუთარ თავზე უკეთურ და სამარცხვინო მოგონებას დატოვებს“. საუბრებსა და ჩანაწერებში მწერალი წყევლის „მკვლელს“, „ფარულ ჯალათს“, ღირსეულ წარმომადგენელს დინასტიისას, რომელიც „ადამიანების ცემისა და წამების“ გარეშე ვერ მართავდა ქვეყანას. ამასთან არა მარტო წინასწარმეტყველებს, არამედ ბრძანებს კიდევაც: „მეფეს მოექცნენ როგორც მკვლელს. მისი განსაკუთრებული შეცოდება საჭირო არ არის“. ხოლო როცა 1905 წლის შემოდგომაზე იასნაია პოლიანამდე მიაღწია ხმამ, რომ რევოლუციისაგან შეშინებული ნიკოლოზ II რუსეთიდან გაიქცაო (სინამდვილეში იგი გასაქცევად ემზადებოდა), ტოლსტოიმ თქვა: „დიახ, წაუსვლელობა მისთვის არ შეიძლება. ლუდოვიკო XVI დაისაჯა და ისიც არა ასეთი დანაშაულისათვის“ [18].

ცარიზმთან ოპოზიციაში ყოფნას იხსენებს პანური პოლონეთის ზოგიერთი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტი ლიდერი. იმის შესახებ, თუ როგორ იბრძოდნენ ისინი ნიკოლოზ II წინააღმდეგ, ეს ვაუბატონები

შემდეგში მედიდურად ჰყვებოდნენ. მაგრამ, აი, 1924 წლის ზაფხულში საბჭოთა მთავრობამ ვარშავაში აგრემანი (თანხმობა) ითხოვა სსრ კავშირის ახალ ელჩად პოლონეთში პ. ლ. ვოიკოვის დანიშვნის შესახებ. პოლონეთის მთავრობამ თითქმის ორი კვირა დააყოვნა პასუხი. ბოლოს აცნობა: აგრემანის მოცემის საკითხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა როლს ასრულებდა ვოიკოვი 1918 წლის ეკატერინობურგის მოვლენებში; საჭიროა „საგარეო საქმეთა მინისტრის ჩიჩერინის დასტური, რომ ვოიკოვი მასში არ მონაწილეობდა“ [19].

მკაცრად რომ ვთქვათ, მონაწილეობა არ მიუღია. მან მხოლოდ აცნობა იპატიევს მისი სახლის რეკვიზიციის შესახებ და, სურსათის კომისრად ყოფნისას, ზრუნავდა რომანოვების ოჯახის გამოკვებაზე, რაც იმ დროისათვის ადვილი საქმე არ იყო. ყოველივე ამის შესახებ ჩიჩერინმა 1924 წლის 4 სექტემბერს აცნობა სკშინსკის. ამავე დროს სახალხო კომისარი, რომელიც წარმოშობით უძველეს გვარს ეკუთვნოდა და რომელმაც მეფეს მთელი რიგი მაღალი თანამდებობის პირები თუ დიპლომატები მისცა, წერდა: „მე არ მახსოვს ცარიზმის ჩაგვრის წინააღმდეგ პოლონელი ხალხის ბრძოლის ისტორიაში ისეთი მომენტი, როცა ბრძოლა უკანასკნელის წინააღმდეგ არ წამოწეულიყო წინ როგორც პოლონეთისა და რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის საერთო საქმე“. ჩიჩერინის მტკიცებით, არ არსებობს პოლონელი, „რომელსაც არ ახსოვდეს ის ნათელი და ღრმა გრძნობით გამსჭვალული ლექსები, რომლებშიაც ადამ მიცკევიჩი იგონებს თავის ახლო დამოკიდებულებას პუშკინთან“; და შემდეგ: „მე ეჭვი არ მეპარება, რომ ადამ მიცკევიჩი სავსებით სოლიდარულად იყო განწყობილი პუშკინის ცნობილი ლექსებისადმი:

Самовластительный злодей!
Тебя, твой трон я ненавижу,
Твою погибель, смерть детей
С жестокой радостию вижу».

იგი თავის წერილში იგონებს იულიუს სლოვაცკის „კორდიანასაც“, „სცენას ამ დრამიდან, როცა ხალხის შეძახილებით სასიკვდილო მსჯავრი გამოაქვთ არა მარტო მეფისთვის, არამედ მისი ოჯახისთვისაც“. დასასრულ ჩიჩერინმა გამოთქვა რწმენა, რომ ისინი, რომლებიც იბრძოდნენ და დაეცნენ რუსეთისა და პოლონეთის თავისუფლებისათვის, „სხვაგვარად მოეკიდებოდნენ რომანოვების დინასტიის განად-

გურების ფაქტს, ვიდრე ეს შეიძლება დავასკვნათ თქვენი ცნობებიდან“ [20].

ვოიკოვმა აგრემანი მიიღო. თითქმის სამ წელიწადს დაჰყო მან საბჭოთა კავშირის ელჩის პოსტზე ვარშავაში, სადაც ადგილობრივ ხელისუფალთა მფარველობით თეთრგვარდიელებმა კრაზანას ბუდე გაიკეთეს. პილსუდსკის მთავრობას, რა თქმა უნდა, შეეძლო წინასწარ განეჭვრიტა, რას მოიტანდა იატაკქვეშა მონარქიული ბანდებისათვის მიცემული ხრიკებისა და შეთქმულების თავისუფლება. მათი ერთ-ერთი დანაშაული 1927 წლის 7 ივლისს მოხდა. იმ დღეს ვარშავის ვაგზლის ბაქანზე თეთრმა ემიგრანტმა ექვსჯერ ზედიზედ ესროლა რევოლვერიდან პ. ლ. ვოიკოვს და სასიკვდილოდ დაჭრა იგი.

როგორც თავად დანაშაულმა, ასევე სასამართლო პროცესმა დაგვანახვა, რომ მონარქიული ბანდები განიარაღებას არ აპირებდნენ; მათ მიერ დანთხეული სიძულვილის შხამი წამლავდა ატმოსფეროს ევროპაში, ქმნიდა მშვიდობისა და უშიშროების საფრთხეს ზედ საბჭოთა საზღვართან. და თუმცა სასამართლო შედგა და მკვლელი ბ. კავერდა დაისაჯა, მაგრამ მის თანამზრახველთა და თეთრგვარდიული ბანდიტიზმის მხილებისათვის არც მთავარმა პროკურორმა სვიონტკოვსკიმ, არც სასამართლოს თავმჯდომარემ გუმინსკიმ, არც მოსამართლეებმა კოზაკოვსკიმ და სკავინსკიმ და მით უმეტეს, რასაკვირველია, მკვლელთა დასაცავად გამოყოფილმა ადვოკატურამ (ანდრეევმა, ნადზელსკიმ, პასკალსკიმ და ეტინგერმა, სააპელაციო სასამართლოს გენერალურმა ადვოკატმა რუდნიცკიმ) არაფერი იღონეს. პოზაში დამდგარმა ტერორისტმა სასამართლოში მსოფლიო პრესისა და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე განაცხადა: ვოიკოვს რომ ესროლა, „სამაგიერო მიუზღო ეკატერინობურგისათვის“.

დასავლეთის ანტისაბჭოური პროპაგანდა შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, კეთილი სიტყვა თქვას კავერდაზე, ხოლო ზოგიერთებს არა რცხვენიათ განაცხადონ, რომ მისმა ტყვიებმა „მიზანს არ ააცილა“. ვ. ალექსანდროვი ამ გასროლებს „ზუსტს“, „სრულიად მართებულს“ უწოდებს, რადგანაც „ვოიკოვის მონაწილეობა იპატიევის სახლის ამბებში არც წინათ და არც ახლა, არავისში ეჭვს არ იწვევს“. ეს სოვეტოლოგი ერთხელ კავერდას გაესაუბრა... ნიუ-იორკში. რა თქმა უნდა, ათ წელიწადს ციხეში ყოფნამ ამ სუბიექტს „თავისი დაღი დაასვა“. მაგრამ სანანებელი არაფერი ჰქონდა. უთხრეს მაშინ, ესროლეო, და ესროლა. ვინ უთხრა? „თანამონაწილეთა **გვარების** დასახელება

ჯერ ადრეა, — განმარტა კავერდამ. — მაგრამ დადგება დღე და მათ დავასახელებ". ამჟამად კი მან დაადასტურა, რომ „მარტო არ მოქმედებდა და იარაღი მისცეს ანტისაბჭოთა, ანტიკომუნისტურმა ორგანიზაციებმა" [21].

ანტისაბჭოური სიყალბის სახელოსნოს უახლესი ნაწარმია ეგრეთ წოდებული „ვოიკოვის ჩანაწერები", რომელსაც დასავლეთში დიდი გასავალი აქვს. ამ ნათაღლითარში დეტალურად არის აღწერილი ყოველგვარი საშინელება და მის ცენტრში დგას ვოიკოვი. ეს არის ისეთი უაზრო შენათითხნი, რომელიც იოზეფ გებელსის სამზარეულოს ურცხვ ხელშემწყობთაც კი შურისაგან გულზე გახეთქავდა.

რომანოვებს თანაუგრძნობენ. ვრცლად აღწერენ მათ „ტანჯვას". სწყევლიან მათ „საპატიმროს ზედამხედველებს". ათ-ათი წლობით დასტირიან ყოფილი იმპერატორის გარდაცვალებას, თუმცა მათთვის უბრალო ადამიანის სიცოცხლეს საერთოდ ფასი არა აქვს. მაგრამ დიდი ხანია შემჩნეულია, რომ მუშის ანდა მიწის მხვნელის სიცოცხლის ფასი ნაკლები კი არა, ხშირად უფრო მეტიც არის უავგუსტოეს პიროვნებისაზე — ისევე როგორც პატიოსანი მშრომელი თავისი წესიერებითა და კეთილშობილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე მუქთახორა.

აქედან ის კი არ გამომდინარეობს, რომ იპატიევის სახლსა და ვერხნე-სინიაჩიხინსკის ქარხნის უკან მომხდარმა ამბავმა მაშინ ანდა შემდეგ ვინმე გაახარა. დინასტიის ურალისეული დასასრული განაპირობა სამწუხარო, მაგრამ აუცილებელმა ისტორიულმა ვითარებამ. ქვეყნის მოსახლეობის მასებში, რომლებიც კონტრრევოლუციის ძალებმა სამოქალაქო ომის მორევში ჩაითრიეს, ცნობა რომანოვების ეკატერინობურგული ფინალის შესახებ ცოტას თუ მოხვდა გულზე.

ოფიციალური ცნობა ურალის საბჭოს განაჩენის სისრულეში მოყვანის თაობაზე სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში 18 ივლისს მივიდა. საღამოს კრემლში მიმდინარეობდა სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით. სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ახალი სისტემის პროექტზე მოხსენებით გამოვიდა სახალხო კომისარი ნ. ა. სემაშკო, დარბაზში შემოვიდა და თავმჯდომარის უკან სკამზე ჩამოჯდა ი. მ. სვერდლოვი. პაუზას დაელოდა და ლენინისაკენ გადაიხარა. რაღაც უთხრა მას. ვლადიმერ ილიას ძემ გამოაცხადა:

— ამხანაგი სვერდლოვი სიტყვას ითხოვს ცნობისათვის.

მისთვის დამახასიათებელი მშვიდი ტონით სვერდლოვმა თქვა:

— უნდა განვაცხადო შემდეგი. ეკატერინობურგიდან მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ურალის საოლქო საბჭოს დადგენილებით იქ დახვრიტეს ყოფილი მეფე ნიკოლოზ რომანოვი. როგორც დადგენილია, მას გაქცევა უნდოდა. ქალაქს უახლოვდებიან ჩეხოსლოვაკები. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დღევანდელმა სხდომამ დაადგინა: ურალის საბჭოს გადაწყვეტილება და მოქმედება მიჩნეულ იქნეს სწორად.

წუთით დუმილი გამეფდა.

— გადავიდეთ ჯანმრთელობის დაცვის პროექტის მუხლობრივ წაკითხვაზე, — შესთავაზა ვლადიმერ ილიას ძემ.

დაიწყო პროექტის მუხლობრივი კითხვა[22].

ეს იყო რომანოვების დინასტიის საგვარეულოს მიერ რუსეთში ჩადენილ ბოროტმოქმედებათა სამასი წლის ისტორიის უკანასკნელი თავის უკანასკნელი აკორდი.

ინციდენტი ლისაბონში

1908 წლის 19 იანვარს, საღამოს ექვს საათზე, როცა პორტუგალიის მეფე კარლუში თავის ოჯახთან ერთად ქალაქგარეთა რეზიდენციიდან ქალაქში ბრუნდებოდა, მას დაესხა რესპუბლიკელ შეთქმულთა ჯგუფი. მეფე და ტახტის მემკვიდრე სასიკვდილოდ დაჭრეს და ჰოსპიტალში წაყვანისას გზაში გარდაიცვალნენ.

თუ ვინ როგორი რეაგირება მოახდინა ლისაბონის ინციდენტზე, მრავალმხრივად აისახა საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების პალიტრაზე.

ბრიტანეთის ადმირალიტეტმა პორტუგალიისაკენ გაგზავნა სამხედრო ესკადრა და უბრძანა ლისაბონის მისადგომებთან დაეძროთ იარაღი.

ნიკოლოზ II ქვრივს გაუგზავნა თანაგრძნობისა და სოლიდარობის დეპეშა. ასეთივე დეპეშა გაგზავნა ვილჰელმ II-მაც.

პეტერბურგის პორტუგალიის საელჩოში მოდიოდნენ მაღალი საზოგადოებისა და ხელისუფლების წარმომადგენლები (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სტოლიპინი, დიდი მთავრები, კაბინეტის წევრები, სენატორები და გენერლები, სახელმწიფო სათათბიროს სახელით მისი თავმჯდომარე ნ. ა. ხომიაკოვი).

გერმანიის რაიხსტაგის სხდომაზე, როცა მისი თავმჯდომარე გამოვიდა ბრაგანსკის დინასტიის მისამართით თანაგრძნობისა და ქების სიტყვით, სოციალ-დემოკრატებმა პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვეს; გაბრაზებულმა მემარჯვენე ფრაქციამ მათ ლანძღვა-გინება და წყევლა-კრულვა დაადევნა.

პარიზის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარემ ბრისონმა თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ არ მოინახება არც ერთი ფრანგი, რომელიც გულისწყრომას არ გამოთქვამდეს ლისაბონში მომხდარი ამბის გამო. სოციალისტმა სანბომ ადგილიდან დაიყვირა: „ეს აქტი გამოწვეულია დიქტატურის დანაშაულით!“ ბრისონმა სანბოს სიტყვა ორჯერ ჩამოართვა. მემარცხენეებმა აღშფოთებისა და პროტესტის ქარიშხალი დაატრიალეს [23].

სოციალისტებმა ევროპის პარლამენტებში, წერდა ვ. ი. ლენინი, ერთი მხრივ, თავიანთი თანაგრძნობა პორტუგალიელი ხალხისა და რესპუბლიკელებისადმი, ხოლო, მეორე მხრივ, თავიანთი ზიზღი მმართველი კლასებისადმი, „როგორც მოეხერხებოდათ და როგორც შეძლეს ისე გამოთქვეს“. ერთნი თავიანთ შეხედულებებს პირდაპირ აცხადებდნენ, მეორენი ადგნენ და წავიდნენ, რათა პორტუგალიის მონარქიისადმი სიმპათიების გამოთქმებს არ დასწრებოდნენ, მაგრამ აი, „ვანდერველდემ ბელგიის პარლამენტში „საშუალო“ — ყველაზე ცუდი — გზა აირჩია და წარმოთქვა ნაძალადევი ფრაზა, რომ პატივს სცემდა „ყველა გარდაცვალებულს“, ე ი. მეფესაც და მის მკვლელებსაც. ვიმედოვნებთ, მთელი მსოფლიოს სოციალისტებს შორის ვანდერველდე განმარტოებული დარჩება“ [24].

პეტერბურგის ბურჟუაზიული პრესა გულიანად ლანძღავდა პორტუგალიელ რესპუბლიკელებს, მეტად გაშმაგებული ტონით მოითხოვდა ამბოხების ჩახშობას, რათა მსგავსი რაიმე რუსეთშიც არ მომხდარიყო. მაგრამ იმავე დღეებში უკვე ცნობილი გახდა, რომ ლისაბონის თავდასხმას თვით პორტუგალიისა და ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში რაიმე არსებითი ცვლილება არ შეუტანია.

ინდივიდუალური ტერორის აქტი მოხდა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა, რაც აღნიშნა კიდეც ბოლშევიკური პარტიის ბელადმა ვ. ი. ლენინმა 1908 წლის 19 თებერვალს გაზეთ „პროლეტარში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „იმის შესახებ, თუ რა შეემთხვა პორტუგალიის მეფეს“.

სტატიის დასაწყისში ლენინი ეკამათება ბურჟუაზიულ პრესას, რომელიც თავის ორგანოებში, „თვით ყველაზე ლიბერალურ და „დემოკრატიულ“ მიმართულებისაშიც, პორტუგალიელი ავანტიურისტის მკვლელობის განხილვისას გვერდს ვერ უვლის შავრაზმულ მორალს“. დიახ, აღნიშნავდა ლენინი, „ის, რაც პორტუგალიის მეფეს გადახდა, მეფეების ჭეშმარიტად „პროფესიონალურ უბედურ შემთხვევას“ წარმოადგენს“. მაგრამ ბურჟუაზიული პრესა უმჯობესად თვლიდა მომხდარში დაედანაშაულებინა ხალხი, რომელსაც იგი მორალურად გადაგვარებულად აცხადებდა და მას „უსაზღვრო ზიზღის გრძნობას“ მიაწერდა. „ო, ბატონო ლიბერალო ორპირებო!—შესძახებს ლენინი.— რატომ არ აცხადებთ იმათ მორალურად გადაგვარებულად“, რომლებსაც დღემდე სძულთ და რომლებიც გაშმაგებით ლანძღავენ არა მარტო 1871 წლის კომუნარებს, არამედ 1793 წლის მოღვაწეებსაც კი? არა მარტო პროლეტარიატის, არამედ თვით ბურჟუაზიული რევოლუციის მებრძოლებსაც? იმიტომ, რომ თანამედროვე ბურჟუაზიისა და მისი ლაქიებისათვის „ნორმალური“ და „მორალურია“ „გვირგვინოსან ავანტიურისტთა მხრივ ჩადენილი ყოველგვარი უხამსობის, სიბილწისა და მხეცობის „უწყინრად“ ატანა ხალხის მიერ“.

და შემდეგ ლენინი განიხილავს მომხდარი ამბის მთავარ გაკვეთილს. ჩვენ, ამბობს იგი, „ვწუხვართ ერთ რამეზე: იმაზე, რომ რესპუბლიკური მოძრაობა პორტუგალიაში საკმაო გაბედულებით და აშკარად ვერ გაუსწორდა ყველა ავანტიურისტს. ვწუხვართ, რომ იმ ამბავში, რომელიც პორტუგალიის მეფეს შეემთხვა, ჯერ კიდევ ნათლად ჩანს შეთქმულების, ე. ი. უძლური, არსებითად მიზანს ვერმიჰღწევი, ტერორის ელემენტი, იმ ნამდვილი, საყოველთაო-სახალხო, მართლაც ქვეყნის განმაახლებელი ტერორის უძლურებისას, რომლითაც თავი ისახელა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ“.

ლენინმა წინასწარმეტყველურად აღნიშნა, რომ „რესპუბლიკური მოძრაობა პორტუგალიაში კიდევ უფრო ამაღლდება“ *. „სოციალისტური პროლეტარიატის თანაგრძნობა, — წერდა იგი, — ყოველთვის იქნება მოხარჟისტების წინააღმდეგ მიმართული რესპუბლიკელების სასარგებლოდ“. და ამასთან ერთად აღნიშნავდა: „მაგრამ აქამდე პორ-

---

* წინასწარმეტყველება უფრო ადრე აღსრულდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. 1910 წლის მიწურულს შეიარაღებულმა აჯანყებამ დაამხო პორტუგალიის მონარქია. მეფე მანუელი ინგლისში გაიქცა. პორტუგალია რესპუბლიკად გამოცხადდა.

ტუგალიაში შეძლეს მხოლოდ მონარქისტების დ ა შ ი ნ ე ბ ა ორი მონარქის მოკვლით და არა მონარქიის მ ო ს ა პ ო ბ ა“.

რუსეთის რევოლუციის გამოცდილებით დადასტურებულია, გვასწავლიდა ლენინი, რომ მონარქიის მოსპობისათვის ბრძოლა რუსეთში განუყოფლად დაკავშირებულია გლეხთა მიწისათვის, მთელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლასთან. წავიდა რა ლენინის მიერ მითითებული გზით, რუსეთის რევოლუციამ მოგვცა კიდევაც ჭეშმარიტად საფუძვლიანი გადაწყვეტა. იგი კი არ „აშინებდა“ მონარქიას და მის წარმომადგენლებს სამეფო დინასტიიდან, არამედ მან ერთხელ და სამუდამოდ ამოძირკვა ერთიცა და მეორეც რუსეთის წიაღიდან.

თითქმის ოთხი წლის შემდეგ, 1911 წლის დეკემბერში, სხვა ნაშრომში — „ლოზუნგების შესახებ და სათათბიროში და სათათბიროს გარეთ სოციალ-დემოკრატიული მუშაობის დაყენების შესახებ“— ლენინი ხაზს უსვამს: რუსეთის ისტორიამ, ცარიზმის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ გააკეთა ის, რომ XX საუკუნის დამდეგს „ჩვენში არ არის და ა რ ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა ი ყ ო ს სხვანაირი მონარქია, გარდა შ ა კ რ ა ხ მ უ ლ-დ ა მ რ ბ ე ვ ი მ ო ნ ა რ ქ ი ი ს ა“. ცარიზმის შეუთავსებლობა თავისუფლების ელემენტარულ გაგებასთან აშკარაა. ბრიყვი ლიბერალები ყბედობენ ინგლისის კონსტიტუციური მონარქიის მსგავსის შესახებ. ლენინი მათაც პასუხობს: დიახ, თუ ისეთ ქვეყანაში, როგორიც ინგლისია, რომელმაც არ იცოდა არც მონგოლთა უღელი, არც ბიუროკრატიული ჩაგვრა, არც სამხედროების თარეში, „საკმარისი იყო ერთი გვირგვინოსანი ყაჩაღისათვის თავის მოკვეთა“, რომ მეფეებისათვის „კონსტიტუციურობა“ ესწავლებინათ, რუსეთში „სულ ცოტა ასი რომანოვისათვის არის საჭირო თავის მოკვეთა“, რომ მათი მემკვიდრენი გადაეჩვივნენ დანაშაულის ჩადენას [25].

რევოლუციამ დასჯილი რომანოვების რიცხვი ცხრამეტით განსაზღვრა, მათი ფერფლი ურალის მთების განტოტებასა და ნევის შესართავში მიმოიფანტა.

მეფის ოჯახის თხუთმეტი წევრიდან, რომლებიც თვრამეტ წელს ურალში აღმოჩნდნენ, ვერც ერთი ვერ ეღირსა თეთრების მოსვლას, არც ერთი არ დარჩენილა ცოცხალი. ოთხი დიდი მთავარი 1919 წელს დაისაჯა პეტროგრადში წითელი ტერორის დროს, რითაც რესპუბლიკამ თეთრ ტერორს უპასუხა. საზღვარგარეთ გაიქცნენ დინასტიის ის წევრები, რომლებმაც 1917 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ქალაქის ცენტრიდან (უმთავრესად სამხრეთით, ყირიმში) გაღწევა შეძლეს.

უავგუსტოეს ემიგრანტთა ბედი იმდენად ბუნებრივად ერწყმის დინასტიის კრახის ისტორიას, რომ გონივრულად გვეჩვენება მის შესახებ მოკლედ მოგითხროთ.

უკანასკნელი მეფის 72 წლის დედა მარია თედორეს ასული, მისი ქალიშვილები ქსენია და ოლგა, აგრეთვე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, რომელიც მათ შემოუერთდა, 1919 წლის აპრილში იალტის სანაპიროდან მარია თედორეს ასულის დის, ინგლისის დედოფლის ალექსანდრას (მეფე გიორგი V დედის) მიერ გამოგზავნილი ბრიტანეთის კრეისერის „ძალბოროს“ გემბანზე აიყვანეს. გემს მეთაურობდა ვიცე-ადმირალი ფრენსის პრიდჰემი, რომელმაც ის სამახსოვრო რეისი 1956 წელს გამოცემულ წიგნში აღწერა[26]. დასახელებული მგზავრები და კიდევ რამდენიმე მათი თანამგზავრი მან ლონდონში ჩაიყვანა, საიდანაც ისინი თავიანთი გზებით, ზოგი საით და ზოგი საით გაიფანტნენ.

მარია თედორეს ასულმა თავშესაფარი კოპენჰაგენში, თავისი ძმისწულის მეფე ქრისტიან X * სასახლის ერთ-ერთ ფლიგელში ჰპოვა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ იგი რუსეთში 1864 წელს ჩამოვიდა, როგორც ალექსანდრე II უფროსი ვაჟის, ტახტის მემკვიდრის ნიკოლოზის საცოლე. როცა ნიკოლოზი მოულოდნელად გარდაიცვალა, მისი საცოლე ტახტის მემკვიდრის ტიტულთან ერთად წილად ხვდა მის ძმას (მომავალში ალექსანდრე III). ისინი 1866 წელს დაქორწინდნენ. მათი პირველი შვილი იყო ნიკოლოზ II. თავისი ამბიციის გამო ექს-იმპერატრიცა ძმისწულთან ვერ მორიგდა. ამაში ბრალი მატერიალურ გარემოებას ედებოდა. ძმისწული ქვაწვია იყო და მამიდას ავიწროებდა. კერძოდ, ყოფილ იმპერატრიცას ზოგჯერ უთიშავდნენ სინათლეს ელექტრონის ეკონომიის მიზნით. ბოლოს მას ლონდონელი და გამოესარჩლა. გიორგი V თავის „dear aunt Minnie“ („ძვირფას დეიდა მინის“) პენსიად წელიწადში 10 ათასი ფუნტი სტერლინგი დაუნიშნა. დიდი ბრიტანეთის პენსიონერის წოდებით გარდაიცვალა იგი დანიის მეფის კარზე, ეკატერინობურგში დასჯილი შვილის, რძლისა და ხუთი შვილიშვილის სიკვდილის 10 წლის თავზე.

ნიკოლოზ II და ქსენია (1875 — 1960) ლონდონის გარეუბანში,

---

* მარია დეიდად ხვდებოდა აგრეთვე ნორვეგიის მეფეს ჰოკონ VII, მეფე ულაფის მამას.

ინგლისის მეფის ოჯახის მიერ მიცემულ სახლში დაბინავდა. უმცროსი და (1882 — 1960) თავდაპირველად დედამისთან ერთად კოპენჰაგენში დასახლდა. მისი სიკვდილის შემდეგ იქ კიდევ 20 წელი იცხოვრა გერმანელების ოკუპაციის წლების ჩათვლით. 1948 წელს კანადაში გადავიდა, სადაც ტორონტოს მახლობლად პატარა ფერმა მოაწყო და მარტოდმარტო ეწეოდა მეურნეობას. როცა დაავადმყოფდა, ქალაქის ერთ-ერთ განაპირა კვარტალში გადასახლდა და იქ გარდაიცვალ».

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე პარიზში დამკვიდრდა, კირილე ვლადიმერის ძე * — მიუნჰენში. ორთავე „საიმპერატორო სახლის თავკაცის" როლზე აცხადებდა პრეტენზიას. 1924 წლის 31 აგვისტოს კირილემ თავი სრულიად რუსეთის იმპერატორად გამოაცხადა.

მიუნჰენს პარიზიდან სეტყვასავით დაუშინეს საყვედურები და გულსატკენი სიტყვები. პოლემიკა გაჩაღდა ფირმა „რქა და ჩლიქის" დიდი კომბინატორის ცნობილ სტილში: „შენ ვინა ხარ?" — „არა, შენ ვინღა ხარ?". ყოფილმა უმაღლესმა მთავარსარდალმა მოწინააღმდეგის გულის მოსაკლავად მთელი თავისი ბილწი ეპითეტები გამოიყენა, რითაც იგი ჯერ კიდევ ბარანოვიჩსა და მოგილიოვში ბრწყინავდა. ამ კაცის კრიტიკული შენიშვნებიდან ყველაზე დელიკატური ის გახლდათ, რომ, მისი თქმით, „კირიუხა მხოლოდ და მხოლოდ ლოთებისა და ბრიყვების ბანდის თავი იყო".

მოწინააღმდეგეებმა მოაგონეს მიუნჰენის „მბრძანებელს" მის მიერ შორეულ თუ ახლო წარსულში ჩადენილი დიდი და პატარა ცოდვები. ერთმა—თუ როგორ მივიდა კირილე ტავრის სასახლეში თებერვლის დღეებში კიტელზე დაბნეული წითელი ბაბთით. მეორემ — პურიშკევიჩის დამოწმებით — თუ როგორ ელოლიავებოდნენ ჯერ კიდევ რევოლუციამდე კირილე და დედამისი, მარია პავლეს ასული, რომელიც „მოურჯულებელი გერმანელი და გერმანოფილი იყო, იმ აზრს, რომ, როცა ნიკოლოზ II ტახტიდან გადმოაგდებდნენ, რუსეთის სამეფო გვირგვინი მათ გადაეცემოდათ" [27]. მესამემ — თუ როგორ გაყარა კირილემ

---

* ნიკოლოზ II ბიძაშვილი (ალექსანდრე III ძმის ვლადიმერის შვილი). თავის დროზე რეკლამის მიზნით ფართოდ გამოიყენა ის ფაქტი, რომ 1904 წელს პორტარტურზე იაპონიის თავდასხმის დროს ჯავშნოსან „პეტროპავლოვსკზე" მსახურობდა ოფიცრად. როცა გემი ჩაიძირა, ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც რამდენიმე კაცთან ერთად გადარჩა. 1917 წლისათვის კონტრ-ადმირალი იყო, მეთაურობდა გვარდიულ ეკიპაჟს.

ოდესღაც დედოფლის ძმას ცოლი ვიქტორია მელიტა საქსენ-კობურგ-გოთელი და თავად დაქორწინდა მასზე *.

მიუნჰენელმა ოპონენტებმა ზოგი რამ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესაც შეახსენეს. თუ როგორი თავშდაბალი სალამი უძღვნა ტელეგრაფით ტავრის სასახლის თებერვლის დემოკრატებს 1917 წელს უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობაზე მეორედ დანიშვნისთანავე. თუ როგორ გამოაცხადა რევოლუციის პირველ დღეებში თბილისის ქალაქისთავმა ა. ი. ხატისოვმა ერევნის მოედანზე გამართულ მიტინგზე მისი დავალებით, როცა იგი მეფისნაცვალი იყო კავკასიაში, რომ „დიდი მთავარი თანაუგრძნობს რევოლუციის საქმეს"; როგორ გამოვიდა ნისივე დავალებით ხატისოვი ჯარებში ასეთივე განმარტებით, როცა იგი თავადიშვილ, გენერალ ვაჩნაძის თანხლებით ქალაქის ყაზარმების შემოვლას აწარმოებდა; როგორ ღებულობდა თბილისში, თავის სასახლეში. ეპისტოლეებს, რომლებიც მოუწოდებდნენ მას, „ნიკოლოზ მეორის ხელისუფლების სათავეში ყოფნის შეუძლებლობის გამო, თავი ნიკოლოზ მესამედ გამოეცხადებინა"; ხოლო როცა მასთან ქართველი სოციალ-დემოკრატების ჯგუფი გამოცხადდა ნოე ჟორდანიას მეთაურობით და მეფისნაცვალმა ჰკითხა მათ, სჯერათ თუ არა რევოლუციის საქმისადმი მისი თანაგრძნობა და ქართველი ხალხის ინტერესებისათვის თავდადება, როგორ შესძახა ჟორდანიამ „დიახ!" [28].

სანამ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე „მეფე კირილეს" თავს ესხმოდა და თავის დაუბეჭდავ ლექსიკონს საჯაროდ თუ კულისებში აშალაშინებდა, მისმა მოწინააღმდეგემ რუსეთის მომავალი წყობის სქემა შეიმუშავა და გამოსაქვეყნებლად წარადგინა. ამ საქმეში კირილეს თავისი მეგობარი, უაღრესად მემარჯვენე „ნაციონალური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი", გაზეთ „კროიცცაიტუნგის" გამომცემელი გრაფი კუნო ვესტარპი დაეხმარა. იგი გაზეთში პროპაგანდას უწევდა გერმანიაში ჰოჰენცოლერნებისა და რუსეთში რომანოვების რესტავრაციის იდეას.

---

* 1905—1906 წლების გახმაურებული ამბავია: ვიქტორია მელიტამ ერნსტ ლუდვიგ ჰესენელი მიატოვა, კირილესთან ერთად ბავარიაში გაიქცა და იქ იქორწინა მასთან. ძმის გამო შურისძიების ცეცხლით შეპყრობილმა დედოფალმა კირილეს რუსეთიდან გაძევებას მიაღწია მისთვის მეტად დამამცირებელ ფორმაში (მოგვიანებით იგი შეწყნარებულ იქნა); საძრახისი ქორწინების შედეგად შობილ ქალიშვილს კირას ჩამოერთვა მთავრის უფლება და ტიტული. კირილეს მამამ, ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ, ამ უსიამოვნების გამო, დაკარგა თანამდებობა (პეტერბურგის ოლქისა და გვარდიის ჯარების სარდლისა); მაშინ მისი ადგილი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ დაიკავა.

კერძოდ, იგი მოუწოდებდა, „ნება მიეცათ“ ვერმახტისათვის დაეწყო ახალი შეიარაღებული ლაშქრობა საბჭოთა სახელმწიფოზე, რათა აღედგინა გერმანიის 1914 წლის საზღვრები, შემოეერთებინა მისთვის როგორც ავსტრია, ისე ჩეხოსლოვაკია და დაებრუნებინა კოლონიები. ვესტარპის ეს გაზეთი აირჩია სწორედ კირილემ თავის ტრიბუნად, როცა მან „საბჭოთა კავშირის ხალხებს“ მიმართა ცნობილი მანიფესტით „ჩემი პროგრამა“, რომელშიაც გამოაცხადა, რომ მზადაა საბჭოთა ხელისუფლება აღიაროს, თუ იგი მას იმპერატორად წაიყვანს. თუ რა უნდა ეკეთებინა მას საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მეფის თანამდებობაზე, ეს იმავე დოკუმენტშია განმარტებული. ჯერ ერთი, იგი დიდსულოვნად ჰპირდებოდა მომავალ ერთგულ ქვეშევრდომთ, „დაებრუნებინა სამრეწველო და სავაჭრო საწარმოები ძველი მეპატრონეებისათვის“, რადგანაც „მხოლოდ მათ შესწევთ უნარი კვლავ გამოაცოცხლონ საბჭოთა კავშირში წარმოება და საქონელბრუნვა“. მეორეც, „უწინდელი მეპატრონეების“ მიღებაზე თანხმობის კომპენსაციად მეფე კირილე ჰპირდებოდა მშრომელებს „დაემტკიცებინა 8-საათიანი სამუშაო დღე“ და ხელი არ შეეშალა მათთვის „თავიანთი შემოსავლის ნორმის ზევით გადიდებაში“. მესამეც, მას არსებით აუცილებლობად მიაჩნდა „ხეტიალის, სამუშაოსათვის თავის არიდების, ლოთობის რადიკალურად აღმოფხვრა რუსეთში“, ამასთანავე „გადაადგილების საშუალებათა გაიაფება“ [29].

დავა ორ კონკურენტს შორის 1929 წელს დამთავრდა, როცა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გარდაიცვალა. ცხრა წლის შემდეგ კირილეც მოკვდა.

ემიგრაციაში აღმოჩნდა აგრეთვე მეფის ბიძაშვილი, რასპუტინის მკვლელობის მონაწილე, დიდი მთავარი დიმიტრი პავლეს ძე რომანოვი. 1926 წელს მან ბიარიცეში მდიდარი ამერიკელის, რკინიგზის მეფის ქალიშვილზე იქორწინა, ხოლო 1930 წელს გაშორდა. ფლორიდის შტატში, პალმ-ბიჩში, შამპანურით ვაჭრობდა. გარდაიცვალა 1941 წელს შვეიცარიაში ჭლექით, 50 წლის ასაკში.

ნიკოლოზ II ახლო ნათესავი (რომელიც დაქორწინებული იყო მის ძმისწულზე ირინე ალექსანდრეს ასულზე), რასპუტინის მკვლელობის ორგანიზატორი თავადი ფელიქს ფელიქსის ძე იუსუპოვი (1887 — 1967) 1917 წლის დეკემბერში პეტროგრადში დააპატიმრეს, იგი საზღვარგარეთ გაიქცა და პარიზში გახსნა მოდების ატელიე, შემდეგ კი რესტორანი. წიგნების გარდა წერდა კინოსცენარებს, კონსულ-

ტანტობას უწევდა რეჟისორებს, რომლებიც სპექტაკლებსა და ფილმებს დგამდნენ რასპუტინშჩინაზე. ოცდაათიან წლებში დავა ჰქონდა გამომცემლობებსა და კინოსტუდიებთან. კერძოდ, ჰოლივუდის სტუდია „მეტრო ჰოლდვინ მაიერთან“, რომელმაც დადგა ფილმი რასპუტინზე. მან ამ სტუდიას მსხვილი სარჩელი (3 მილიონ დოლარზე) წარუდგინა და მოიგო კიდეც. სტუდია „კოლამბია პიკჩერსისათვის“ წარდგენილ მეორე სარჩელზე კი უარი უთხრეს.

დღეისათვის რომანოვების ოჯახიდან ცოტანიღა არიან დარჩენილები, მაგრამ „სახლობად“ მაინც იწოდებიან. მას ჰყავს თავისი საკუთარი „თავკაცი“. ეს არის ვლადიმერ რომანოვი, იმ კირილეს შვილი, რომელმაც საბჭოთა კავშირის ხალხებს თავი იმპერატორად შესთავაზა. რაც შეეხება კირილეს მიერ მანიფესტში მუქთახორობის წინააღმდეგ აღძრულ ბრძოლის საკითხს, თუ იმ მოდგმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომელიც კირილემ თავის შემდეგ დატოვა, უნდა ვაღიაროთ, რომ: დიახ, მის „სახლობაში“ ეს პრობლემა ყოველთვის მწვავედ იდგა.

გენიალოგიის თვალსაზრისით აქ ცოტა უნდა გადავუხვიოთ. თავის დროზე გორკი მონარქისტ ოპონენტ ვ. ი. ბრეევს ეკითხებოდა: „როგორ შეიძლება იმის ფიქრი, რომ რუსეთის მეფეებს თუნდაც ერთი წვეთი სლავური სისხლი აქვთ?“ [30], იგი იმ ფაქტიდან გამოდიოდა, რომ თითქმის ყველა რუს მეფესა და ყველა დიდ რუს მთავარს, პეტრეს შემდგომი დროიდან დაწყებული, ცოლი უცხოეთის, უმთავრესად კი გერმანიის მეფეთა და მთავართა ოჯახებიდან მოჰყავდა.

პეტრე III (კარლ პეტრე ულრიხი): ცოლი — პრინცესა სოფია ავგუსტა დოროთეა ფრედერიკა ანჰალტ-ცერბსტელი (რუსეთში ეკატერინე II სახელით 34 წელიწადი იმეფა).

პავლე I: ცოლი — პირველი ქორწინებიდან — პრინცესა ვილჰელმინა ლუიზა ჰესენ-დარმშტადტელი (რუსეთში — ნატალია ალექსანდრეს ასული); მეორე ქორწინებიდან — პრინცესა სოფია დოროთეა ვიურტემბერგელი (მარია თეოდორეს ასული).

ალექსანდრე I: ცოლი — პრინცესა ლუიზა ავგუსტა ბადენ-ბადენელი დურლახი (ელიზავეტა ალექსის ასული).

ნიკოლოზ I: ცოლი — წარმოშობით ჰოჰენცოლერნი იყო, პრინცესა შარლოტა კაროლინა პრუსიელი, მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ III ქალიშვილი, გერმანიის რაიხის პირველი იმპერატორის ვილჰელმ I და (რუსეთში — ალექსანდრა თეოდორეს ასული).

ალექსანდრე II: ცოლი — ჰოჰენცოლერნების ახლო ნათესავი, პრინცესა მაქსიმილიანა ვილჰელმინა ავგუსტა სოფია მარია ჰესენ-დარმშტადტელი (მარია ალექსანდრეს ასული).

ალექსანდრე III: ცოლი — ერთადერთი გამონაკლისი XIX საუკუნეში — „დანიური ანომალია“ (მარია თედორეს ასული).

ნიკოლოზ II: ცოლი — ჰოჰენცოლერნების ახლო ნათესავი, პრინცესა ალიკს ვიქტორია ელენე ბრიგიტა ლუიზა ბეატრისა ჰესენ-დარმშტადტელი (ალექსანდრა თედორეს ასული).

ამ საქორწინო ტრადიციის ერთგული დამცველი იყო ნიკოლოზ II ყველაზე უფრო მკაცრი და მყვირალა ბიძის (ალექსანდრე III ძმის) ვლადიმერ ალექსანდრეს ძის სამი ვაჟი: კირილე, ბორისი და ანდრია. მათი დედა გახლდათ ჰოჰენცოლერნების ახლო ნათესავი, თავის მეუღლეზე არანაკლებ ხმაურიანი და აურზაურიანი პრინცესა მარია გენრიეტა მეკლენბურგ-შვერინელი, რომელიც რუსეთში მარია პავლოვნად იწოდებოდა.

კირილემ, როგორც ვნახეთ, ტრადიცია არ დაარღვია და პრინცესა საქსენ-კობურგ-გოთელზე იქორწინა. ამ ქორწინებიდან მას სამი შვილი შეეძინა: მარია (დაიბადა 1907 წელს), კირა (1909 წელს) და ვლადიმერი (1917 წელს). მათაც განაგრძეს ტრადიცია. უფროსი—მარია—პრინც კარლ მაინინგენს მიათხოვა; უმცროსი—კირა—ლუი ფერდინანდ პრუსიელის, კრონპრინც ვილჰელმის ვაჟიშვილს (ანუ ვილჰელმ II ჰოჰენცოლერნის შვილიშვილს). რაც შეეხება ვლადიმერ კირილეს ძეს, მამამისის რესკრიპტით ჯერ კიდევ 1930 წელს მიანიჭეს დიდი მთავრისა და ტახტის მემკვიდრის წოდება.

საბოლოოდ შეიქმნა საკმაოდ მჭიდრო, დღესაც ენერგიულად მოქმედ უავგუსტოესთა კამპანია.

ლუი ფერდინანდ .პრუსიელი. თანამედროვენი მას ჰოჰენცოლერნების სახლის თავკაცს უწოდებენ. პირადად ისიც საკუთარ თავს ასევე „გერმანიის კაიზერული ტახტის მემკვიდრედ“ იხსენიებს. მთელი უკანასკნელი წლები მეუღლესთან, კირა კირილეს ასულთან ერთად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჰოჰინგენის უძველეს საგვარეულო სახლში ცხოვრობდა.

მისი სიძე, ვლადიმერ კირილეს ძე, რომანოვების სახლობის „თავკაცია“. დაიბადა ფინეთში; პასპორტი ბავარიული აქვს; ხან ესპანეთში ცხოვრობს, ხან საფრანგეთში; იცვამს ინგლისურ ყაიდაზე; პრესკონფერენციებზე ფრანგულ ენაზე გამოდის; რუსეთის მეფედ გახდომა სურს

ორივე გვარეულობა ერთობლივად, ერთნაირი გულმოდგინებით იცავს თავისი წინაპრების კულტს. ლუი ფერდინანდი აკურატულად

იხდის კაიზერის საიუბილეო თარიღებს. ვლადიმერ კირილეს ძეც ცდილობს არ ჩამორჩეს სიმამრს. ვლადიმერის მიერ ბრიუსელში ორგანიზებული ერთ-ერთი მონარქიული დემონსტრაცია — სულის მოსახსენებელი, ეკატერინობურგის ამბების წლისთავთან იყო დაკავშირებული. ინსცენირებას დიდი გაქანება მისცეს. პროჟექტორებით განათებულ ეკლესიასთან შეიკრიბნენ დასავლეთის მრავალი ქვეყნიდან ჩამოსული რეაქციონერები: ანტისაბჭოურ თავყრილობაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ოთხმა მართლმადიდებელმა მღვდელმთავარმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან ვაშინგტონის არქიეპისკოპოსის ნიკონის მეთაურობით.

როცა ლუი ფერდინანდმა და კირამ ჰოჰინგენში ჰოჰენცოლერნების სახლობის 900 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმი გახსნეს, იქ შეიძლებოდა არა მარტო პრინცებისა და პრინცესების ნახვა, გამოცხადნენ აგრეთვე ქრისტიან-დემოკრატთა და ქრისტიან-სოციალისტთა კავშირების თვალსაჩინო პოლიტიკანებიც, ნეონაცისტი მოთავეები, ბუნდესვერის მიერ მივლინებული დეპუტაცია გენერალ ჰერბერის მეთაურობით. ბევრი მგრძნობიარე სიტყვა ითქვა იმ საღამოს სასახლეში. ვერმახტის ყოფილმა პოლკოვნიკმა პროფესორმა კურტ ჰესმა წარმოთქვა აღმოსავლეთში კაიზერული და ჰიტლერული ლაშქრობების მონაწილეთა სადღეგრძელო. სათვისტომოების კავშირის მეთაურმა რეინჰოლდ რეესმა მადლობა გადაუხადა ლუი ფერდინანდს, კირა კირილეს ასულსა და „კაიზერული სახლის ყველა დანარჩენ წევრს იმისათვის, რომ ისინი უცვლელად ახდენენ რაიხის აღმოსავლეთის ოლქებთან თავიანთი ერთობლიობის დემონსტრირებას“. ხოლო სასახლის მასპინძელმა, გამოაცხადა რა თავი „თავისუფალი რეჟიმების“ მომხრედ, აღნიშნა, რომ, მისი აზრით, სწორედ მონარქები წარმოადგენენ „ნამდვილი დემოკრატიის საუკეთესო თავდებებს“.

იგი ხშირად გამოჩნდება ხოლმე ბუნდესვერის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის. ხან ფრიდრიხ II გარდაცვალების 250 წლისთავის გამო, ხან ფრიდრიხ-ვილჰელმის სახელობის გრენადერთა მე-4 პოლკის 340 წლისთავის აღსანიშნავ სამხედრო პარადზე. მიზეზი სხვადასხვაა, მაგრამ სიტყვები — ერთი მნიშვნელობის: ძველი რაიხის სიდიადის, ძველი პრუსიული ტრადიციების, წინაპარი მებრძოლების გულადობის, აღმოსავლეთსა და დასავლეთში თეთრების სახელოვან ლაშქრობათა შესახებ. დასავლეთგერმანელი პოლიტიკოსების აზრით, ამით კაიზე-

რის შვილიშვილს ღირსეული წვლილი შეაქვს ბუნდესეერის პირადი შემადგენლობის აღზრდაში.

როგორც თავაზიან ადამიანებს, არ შეუძლიათ ვალში დარჩენა. მათ შექმნეს „ცოლერნის წრე". ეს არის ორგანიზაცია, რომელიც გამოჩენილ მრეწველებს, ბანკირებს, გენერლებს, პარლამენტარებს აერთიანებს. „წრის" პროგრამაში შედის კაიზერის ოჯახის პოპულარიზაცია და მისი პირადი ინტერესების უზრუნველყოფა, ძველი ბისმარკული იმპერიის სულის დანერგვა არმიასა და მოსახლეობაში.

„ცოლერნის წრის" მფარველობის ნიშნით, ძველი რაიხის ხმაურიანი ქება-დიდების აკომპანიმენტით ჩაატარეს ლუი ფერდინანდმა და კირამ ვილჰელმ II ასულის, ჰერცოგინია ლუიზა ბრაუნშვაიგელისა და ლიუნებურგელის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ჰოჰენცოლერნების საგვარეულო სასახლეში შეიკრიბნენ „ძველი ვიკისა" (ანუ ვილის) და „ძვირფასი ნიკისა" დროიდან მოყოლებული ყველაზე უფრო გახმაურებული სახელის ქონე არისტოკრატთა და მრეწველ-ბანკირთა საგვარეულოების წარმომადგენლები. სტუმრებით სავსე მატარებელს ბად-იმნაუს სადგურიდან სადგურ ცოლერნამდე ძლივს მოათრევდა იუბილარის მამის პირადი ორთქლმავალი (ქირით გამოიყვანეს მუზეუმიდან), ხოლო ვაგზლიდან სასახლემდე იგი მამამისისავე კარეტით (ასევე მუზეუმიდან გამოტანილით) მგზავრობდა. და სასახლის უძველეს თაღებში კვლავ გაისმოდა შოვინისტური „დოიჩლანდ, დოიჩლანდ იუბერ ალლეს". იქ იმყოფებოდა ბავშვებით კირა კირილეს ასული რომანოვა-ჰოჰენცოლერნიკ, ისმენდა სუფრაზე სიტყვებს ყოფილ პრუსიულ დიდებაზე, აღმოსავლეთით გადაწეულ საიმპერიო საზღვრებზე.

რომანოვების ნამდვილი შთამომავლების პარალელურად „თავისუფალ სამყაროში" არსებობენ თაღლითი, თვითმარქვია ნაშიერებიც. ისინი შურით შესცქერიან ნამდვილი რომანოვების ტკბილ ცხოვრებას პოლკოვნიკებისა და „ერთგულ ქვეშევრდომთა" წრეში, მათ არაფერი გააჩნიათ, გარდა მონაჩმახი იგავ-არაკებისა თავიანთი იმპერატორული წარმოშობისა და „ბოლშევიკური ტყვეობიდან" სასწაულებრივად გადარჩენის შესახებ.

ძაგალითად, მეფის უმცროსი ქალიშვილი, დიდი ქალბატონი ანასტასია სასწაულებრივად გადარჩა 1918 წელს ეკატერინობურგის იპატიევის სახლიდან. სასწაულებრივ გადარჩა აგრეთვე მეფის ძე ალექსი. რომანოველების სახლობას რომ თავი მიეკუთვნოს, ამაზე მრავალი პრე-

ტენდენტი იბრძვის (ამ გზით სურთ რაიმეს შოვნა). არსებობენ დასავლეთგერმანელი, ამერიკელი, ფრანგი, ავსტრიელი ანასტასიები. ოლგას, ტატიანას, ქსენიასა და სხვათა ორეულები თუ სამეულები არსებობენ ევროპასა და ამერიკაში.

ზოგიერთი ცნობით, იმათ რიცხვმა, რომლებიც სამეფო და დიდ მთავართა წოდებას ეპოტინებიან, უკვე გადააჭარბა ნათესავების იმ რაოდენობას, რუსეთის უკანასკნელ იმპერატორს 1918 წლისათვის რომ ჰყავდა. ბ-მა გერლიცმა დათვალა 30-ზე მეტი ანასტასია, რომლებმაც უკანასკნელ ათ წელიწადში სასამართლოები მოაწყვეს დასავლეთში [31]. განსაკუთრებულ შეუპოვრობას იჩენს ვინმე ფრანცისკა შანცკოვსკაია, რომელმაც მოგვიანებით ანა ანდერსონის სახელიც მიითვისა. მას მეფის ქალიშვილად, ანასტასიად გახდომის იდეა ჯერ კიდევ ოციან წლებში ულანის პოლკის ყოფილმა როტმისტრმა ნ. მ. შვაბემ უკარნახა. ეს ქალი ჰამბურგის სასამართლოში 50 წელიწადზე მეტხანს ჩიოდა. ბიზნესის მიზნით რომანოვების პრეტენდენტობაში ფენომენალური სიმტკიცე გამოიჩინა ვიღაც ვიგინდარა მაიკლ ჯორჯ გოლენევსკიმ. მან იმას მიაღწია, რომ ნიუ-იორკის მართლმადიდებელმა არქიეპისკოპოსმა გრაბემ საზეიმო ღვთისმსახურებაზე იგი მეფის ძე ალექსად გამოაცხადა [32].

ლუი ფერდინანდისა და კირა კირილეს ასულის ირგვლივ „ცოლერნის წრე" შეიკრა, ხოლო მასთან ერთად დიდი ხნის წინათ ცნობილ პირთა წრეც. ესენი არიან ერთდროულად დღევანდელი და გუშინდელი პირები. ისეთები, მაგალითად, როგორიცაა „რკინის კანცლერის" შვილიშვილი, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის წამყვანი მოღვაწე, ბუნდესტაგის დეპუტატი ოტო ფონ ბისმარკი; მისი ძმა, მრეწველთა კავშირის ლიდერი, სათვისტომოების კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ბუნდესტაგის დეპუტატი ფილიპ ფონ ბისმარკი; კაიზერელი ელჩის შვილი საბჭოთა რუსეთში გრაფი დიტრიხ ფონ მირბახი; თეთრგვარდიელი გენერლის შვილიშვილი, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ფრაქციის მდივანი ბუნდესტაგში ბარონი ოლაფ ფონ ვრანგელი... და „ცოლერნის წრის" სხვა წევრები.

უფლისწულნი და მათხოვრები. ლტოლვილნი და „სასწაულებრივად გადარჩენილნი". ლუი ფერდინანდი—„ჰოჰენცოლერნების სახლის თავკაცი" და მისი ცოლი კირა რომანოვების „სახლიდან". „ცოლერნის წრე" და „ჰიმლერის წრე". შპრინგერი და შტრაუსი. ანასტასია პირველი და ალექსი მეორე, აგრეთვე წლითიწლობით მომრავლებული,

ზოგჯერ რამდენიმე ეგზემპლარად დუბლირებული „მეფის შვილების“ ხროვა.

„თავისუფალი სამყაროს“ სოვეტოლოგები, მათი პრესა, წიგნების გამომცემლობები ხანგრძლივი წლების მანძილზე ოსტატდებიან სიცრუეში, ცილისწამებაში, ინსინუაციებში, რომანოვების დინასტიის, მათი მოდგმის, რასპუტინის მსგავსი დამქაშების დაღუპვის, ყოფილი მეფის ნათესაობაზე პრეტენდენტთა თემის გაბერვაში. მათ ერთი მიზანი აქვთ—ყოველგვარი საშუალებით სახელი გაუტეხონ მსოფლიოში პირველ პროლეტარულ დიქტატურაზე დაფუძნებულ სახელმწიფოს, საბჭოთა სოციალისტურ წყობას, დააშინონ მკითხველი რევოლუციით გამოწვეული საშინელებებით, რევოლუციისა. რომელმაც ტახტიდან ჩამოაგდო „ღვთის მიერ მირონცხებულნი“.

SIC TRANSIT GLORIA MUNDI

სამას ოთხ წელიწადს მართავდნენ რუსეთს რომანოვები. დინასტიას ჰქონდა როგორც საზეიმო, ისე მძიმე დღეები. მის გვირგვინზე ბრილიანტები ბრწყინავდა. შავ ლაქად მოჩანდა ბრილიანტებზე შემხმარი უდანაშაულოთა სისხლი.

დაკლაკნილად მიემართებოდა დინასტიის გზა კოსტრომის ახლოს მდებარე იპატიევის მონასტრიდან ეკატერინობურგის ფერდობზე გადმომდგარ იპატიევის სახლამდე. სამაგიეროდ ლარივით მიემართებოდა უკანასკნელი მეფის — სისხლიანი ნიკოლოზის ბედისაგან წილხვდომილი უკანასკნელი სავალი გზა.

დეგრადირება განიცადეს და აღესრულენ მეფენი. დეგრადირებული არიან, მაგრამ ჯერ კიდევ ბოგინობენ თვითმარქვია რომანოვები, ამაზე დაწვრილმანება რაღა იქნება.

Sic transit gloria mundi — ასე ქრება ამქვეყნიური დიდება.

* * *

ცარიზმის დამხობამდე თხუთმეტი წლით ადრე ვ. ი. ლენინი მტკიცე რწმენას გამოთქვამდა, რომ „სამუდამოდ მიდის ის დრო, როდესაც რუსეთში მთავრობას შეეძლო ღვთის შეწევნით არსებობა, რომ ამიერიდან რუსეთში ერთადერთი მტკიცე მთავრობა შეიძლება იყოს ხალხის ნება-სურვილით შექმნილი მთავრობა... საკითხი პირდაპირ არის დასმული და ქუჩაში გამოტანილი: თვითმპყრობელობის ყოფნა-არყოფნა“.

ისტორიის პასუხია: არყოფნა. მეფის რუსეთი სულს ღაფავდა. მის ადგილს თავისუფალი რუსეთი იკავებდა. „ბნელი ძალები, რომლებიც

მეფის თვითმპყრობელობას იცავდნენ, იღუპებიან. მაგრამ მხოლოდ შეგნებულ, მხოლოდ ორგანიზებულ პროლეტარიატს ძალუძს სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს ამ ბნელ ძალებს“ [33].

„მრავალეროვანი რუსეთის პროლეტარიატს წილად ხვდა ახალი საზოგადოების შექმნის პირველმკვალავის ძნელი, მაგრამ საპატიო როლი. — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 31 იანვრის დადგენილებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“. — გამოხატავდა რა ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ძირეულ ინტერესებს, მშრომელ გლეხობასთან შეკავშირებულმა მუშათა კლასმა უზრუნველყო რევოლუციის გამარჯვება და თავისი ხელისუფლება დაამყარა. რევოლუციას, მუშათა კლასს მხარი დაუჭირეს მშრომელი ხალხის უფართოესმა მასებმა, მეცნიერებისა და კულტურის ყველა მოწინავე ადამიანმა. მუშათა კლასმა რეაქციის გააფთრებულ შეიარაღებულ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ წინააღმდეგობას, ეკონომიკის დეზორგანიზაციასა და კონტრრევოლუციურ საბოტაჟს, სისხლიან ბურჟუაზიულ ტერორს დაუპირისპირა უმაღლესი ორგანიზებულობა და შეგნებული დისციპლინა, შეკავშირება კომუნისტური პარტიის გარშემო, რევოლუციური სიფხიზლე. შინაგანი კონტრრევოლუციისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლის მთელმა მიმდინარეობამ ცხადყო, რომ რევოლუცია მხოლოდ მაშინ შეძლებს თავისი გამარჯვების დამკვიდრებას, თუ ძალუძს დაიცვას თავი“ [34].

იგონებდა რა მარქსის სიტყვებს იმის შესახებ, რომ „მთელი ფრანგული ტერორიზმი სხვა არა იყო რა, გარდა ბურჟუაზიის მტრებთან, აბსოლუტიზმთან, ფეოდალიზმთან და მეშჩანობასთან პლებეური გზით გარიგება“, ლენინი წერდა: „თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის იაკობინელებს, — ბოლშევიკებს... სურთ, რომ ხალხი, ე. ი. პროლეტარიატი და გლეხობა, გაუსწორდეს მონარქიას და არისტოკრატიას „პლებეურად“, დაუნდობლად გაანადგუროს თავისუფლების მტრები, ძალით დათრგუნოს მათი წინააღმდეგობა და სრულიად არაფერი არ დაუთმოს ბატონყმობის, აზიურობის, ადამიანის ფეხქვეშ გათელვის წყეულ მემკვიდრეობას“ [35].

„მთავრობას, — წერდა ლენინი, — ეგონა დააფრთხობდა ხალხს სისხლის დანახვით და ქუჩის შეტაკებათა მასობრივი მსხვერპლით, — ხამდვილად კი მთავრობა ხალხს ავიწყებს სისხლის დაღვრის

შიშს... Vive le son du canon! ვიტყვით ჩვენ ფრანგული რევოლუციური სიმღერის სიტყვებით — „გაუმარჯოს ზარბაზნების ქუხილს!“ [38].

რაც დრო გადიოდა, მით უფრო ცხადი ხდებოდა რუსეთის ყველა ხალხისათვის თვითმპყრობელობის პირობებში ცხოვრების შეუძლებლობა, მისი შეუთავსებლობა საზოგადოების განვითარების პროგრესთან, მშრომელთა მასების ინტერესებთან. ცარიზმი აშკარად დაუპირისპირდა თანამედროვეობას, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ავლენდა თავის ისტორიულ უსუსურობას. მისი შინაგანი სიდამპლე და შეუსაბამობა ნათელი იყო ყველასათვის. აი, რატომ გახდა გარდაუვალი და ლოგიკურად კანონზომიერი ცარიზმისათვის ანგარიშსწორება „პლებეურად“, მის მიერ ჩადენილი მთელი დანაშაულისათვის. ამდენადვე კანონზომიერი იყო აღსასრულიც, რომელიც წილად ხვდათ რომანოვებს.

ყოველთვის მოსაგონარი იქნება ამის გამო ის 23 საფეხური, რომლითაც ისინი დაღმა დაეშვნენ.

ოცდასამი — დროსა და სივრცეში.

ოცდასამი — საბოლოო ზღვარია, რომლის იქითაც მათთვის უკვე აღარაფერი არ არსებობდა, და არც შეიძლებოდა არსებულიყო.

თ ა ვ ი I

1. Pourtales F. Am Scheidewege zwischen Krieg und Frieden. Berlin, 1919.

2. «Новое время» (№ 13777), 21 июля 1914 г., с. 2.

3. Сазонов Н. В. Потери России в войну 1914—1918 гг. Труды Комиссии по обследованию санитарных последствий мировой войны. М., 1923, с. 173; Шульгин В. В. Дни. Л., 1925, с. 52; Струмилин С. Трудовые потери России в мировой войне. — «Народное хозяйство», 1920, № 12, с. 104, 105; Мировая война в цифрах. Сб. М.—Л., 1934, с. 21.

4. Падение царского режима. Стенографические отчеты допросов и показаний, данных в 1917 г. в Чрезвычайной следственной комиссии Временного правительства. Т. I—VII. Л.—М., 1924—1927, т. VII, с. 281—285.

5. Rösch N. Schatten fordern heraus. — „Echo der Zeit" (Berlin—Zürich), 27. X. 1969.

6. "Die Welt" (№ 157), 9. VII. 1968

7. Heuer H. M. Die Wahrheit über den Mord der Zarenfamilie. — „Bunte Illustrierte" (№ 12), 17. III. 1965.

8. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 26, გვ. 249; ტ. 28, გვ. 529, 530. (რუს. გამოც.).

9. Соколов Н. А. Убийство царской семьи. Берлин, 1925, с. 270—272.

10. იქვე, გვ. 104.

11. Вильтон Р. Последние дни Романовых. Пер. с англ. кн. А. М. Волконского. Берлин, 1923, с. 16, 118—120.

12. Alexandrov V. The End of the Romanovs. New York-Boston-Toronto, 1966. p. 70.

13. იხ. ვ. ი. ლენინი. თხზ. სრული კრებული, ტ. 36, გვ. 523, 526 (რუს. გამოც.).Пятый съезд Советов. Стенографический отчет. М., 1918, с. 133—134; Документы внешней политики СССР (далее — ДВП СССР), т. I, М., 1957, с. 400—401.

14. Heuer H. M. Op. cit. — "Bunte Illustrierte" (№ 10). 3. III. 1965.

15. Вырубова (Танеева) А. А. Страницы из моей жизни. Берлин, 1923, с. 169, 153.
16. Неотвратимое возмездие. Сб. М., 1973, с. 125—127; ДВП СССР, т. I, с. 434—435.
17. Grühn W. Der Zar, der Zauberer und die Juden. Berlin-Leipzig, 1942, S. 259.
18. Мосолов А. А. При дворе императора. Рига, (б. г.), с. 221, 223.
19. Grezer J. O. 50 Jahre Brest-Litowsk.—"Blätter für deutsche und internationale Politik" (Köln), 1968, № 3, s. 226—229.
20. Alexandrov V. Op. cit., p. 229, 182.
21. Вильтон Р. Указ. соч., с. 16, 118—120.
22. Каржанский (Качанов) Н. Чехословаки в России. По неизданным официальным документам. М. 1918; Лазаревский В. Россия и чехословацкое возрождение. Очерк чешско-русских отношений 1914—1918 гг. Предисл. Б. В. Шульгина. Париж, 1927; Попов А. Чехословацкий вопрос и царская дипломатия в 1914—1917 гг. — «Красный архив», 1929, т. 2 (33), с. 3—29; Documenty o protitidove a protinarodni politice T. G. Masarika. Praha, 1953.
23. Alexandrov V. Op. cit., p. 74—75.
24. Революция и гражданская война в описаниях белогвардейцев. Сб. в 6-ти т. Сост. С. А. Алексеев. Под ред. и с предисл. Н. Л. Мещерякова, т. IV. М.—Л., 1927, с. 18—28.
25. Неотвратимое возмездие, с. 152—153. 157.
26. Болдырев В. Г. Директория, Колчак, интервенты. Воспоминания из цикла «Шесть лет» (1917—1922). Новониколаевск, 1925, с. 124, 145, 175.
27. Семенов Г. М. О себе. Воспоминания, мысли и выводы. Харбин, 1938.
28. Беннингсгаузен-Будберг Р. А. Воспоминания. Харбин, 1925, с. IV, V.
29. ЦГАОР, ф. 601, оп. I, д. 1788. Адрес японского населения г. Владивостока императору Николаю II по случаю 300-летия дома Романовых. На русском и японском языках.
30. Беннингсгаузен-Будберг Р. А. Указ. соч., с. 21.
31. Ibid., ss. 59, 86.
32. Будберг А. Дневник. — «Архив русской революции», т. XII. Берлин, 1923, с. 197—290; его же. Дневник белогвардейца. Колчаковская эпопея. Л., 1929.
33. Harcave S. Years of the Golden Cockerel. The last Romanov tsars. 1894—1917. New York—London, 1968, p. 475.

ОБОЗ II

1. Haffner S. Der Teufelspakt. — «Stern» (№ 42), 15. X. 1967, s. 60—78.
2. Дружеские услуги немецкой полиции. — «Былое» (Пгр.), 1917, № 3 (сентябрь), с. 154—155.
3. Витте С. Ю. Воспоминания, т. 2. М., 1960. с. 476—480.
4. Переписка Вильгельма II с Николаем II. 1894—1914 гг. М., — Пгр., 1923, с. 123, 124.
5. Ламздорф В. Н. Дневник. М., 1934, с. 43.

6. Онгирский С. С. Записки б. царского чиновника. Неопубликованная рукопись. Ростов-на-Дону, 1972—1974, с. 114; ЦГАЛИ, ф. Собрания воспоминаний и дневников, д. 1337.
7. Переписка Вильгельма II с Николаем II, с. 85.
8. Сергеенко П. Л. Н. Толстой о Вильгельме II. — «Биржевые ведомости» (№ 31), 1 февраля 1915 г., с. 5.
9. "Die Guelle" (Berlin), 17. IX. 1929.
10. Неотвратимое возмездие, с. 144.
11. Советская историческая энциклопедия, т. 12, с. 729.
12. Мейснер Д. Миражи и действительность. Записки эмигранта. М., 1966, с. 143, 232—233, 236—237.
13. Dwinger E. E. Kosaken — die Geschichte eines Reitervolkes. — "SanktGeorg Almanach" (Düsseldorf), 1962, s. 45—53.
14. Дмитриев Ю., Красников Н., Курочкин П. Не одними молитвами... — «Известия», 4 сентября 1969 г.

ОБЗОР III

1. «Былое», 1917, № 6, с. 86.
2. Витте С. Ю. Указ. соч., т. 2, с. 5—6.
3. Отдел рукописей Государственной библиотеки им. В. И. Ленина (далее — ОР ГБЛ), ф. 169, карт. 46, д. 6, л. 7—8.
4. ЦГАОР, ф. 601, оп. I, д. 232—233. Дневник Николая Романова. Тетрадь 1894 г. (В ЦГАОР хранятся все дневники царя за 36 лет — с 1882 по 1918 г.).
5. Савельев А. А. Два восшествия на престол. Из воспоминаний земского деятеля. М., 1917, с. 102.
6. Enthüllungen über Nikolaus II. Berlin, 1910, s. 63.
7. „Tribune Russe" (Paris), 1909, № 8, p. 9—10; Enthüllungen über Nikolaus II, s. 52—53.
8. Толстой С. Л. Очерки былого. Тула, 1965, с. 234.
9. Родзянко М. В. Воспоминания. Прага, 1922, с. 22.
10. ЦГАОР, ф. 601, оп. I, д. 234—235. Дневник Николая Романова. Тетради 1895—1896 гг.
11. ОР ГБЛ, ф. 436, карт. 16, д. 13, 36, л. 134, 135.
12. Витте С. Ю. Указ. соч., т. 2, с. 328.
13. Петергофские совещания. Протоколы секретных заседаний под председательством императора. Введение В. Водовозова. — «Былое», 1917, № 3 (25), с. 235—265; № 4 (26), с. 183—245; № 5—6 (27—28), с. 289—318.
14. ЦГАОР, ф. 601, оп. I, д. 236. Дневник Николая Романова. Запись от 16 ноября 1896 г.
15. Poincaré R. Au service de la France. Neuf années de souvenirs. Paris, 1929, p. 453.
16. ЦГАОР, ф. 601, оп. I, д. 237. Дневник Николая Романова. Запись от 1 января 1897 г.
17. Витте С. Ю. Указ. соч., т. 3, М., 1960, с. 38.
18. Моризэ А. Поездка в Россию. Пер. с франц. Н. Дудель. М.—Пгр., 1921.
19. ОР ГБЛ, ф. 169, карт. 46, д. 18, 48.

20. Толстой Л. Н. ПСС в 90 т. М., 1928—1958. Т. 38, с. 207—210.
21. «Красный архив», 1936, т. 3 (76), с. 31.
22. ЦГАОР, ф. 540, оп. 1, д. 720.
23. Толстой Л. Н. ПСС, т. 38, с. 209.
24. ЦГАОР, ф. 540, оп. 1, д. 720.
25. Enthüllungen über Nikolaus II, s. 86—87.
26. Толстой Л. Н. ПСС, т. 38, с. 209, 210.
27. Горький А. М. ПСС в 30-ти т., т. 19. М., 1952, с. 438—474.
28. Лев Толстой в последний год его жизни. М., 1918, с. 83.
29. Enthüllungen über Nikolaus II, s. 88
30. ЦГАОР, ф. 601, оп. I, д. 236. Дневник Николая Романова. Тетради, 1896 г.
31. Massie R. Nicholas and Alexandra. An intimate account of the last of the Romanovs and the fall of imperial Russia. New York. 1967—1974, p. 219.
32. Витте С. Ю. Указ. соч., т. 2, с. 69, 70, 74.
33 Д'Альгейм П. Ходынский ужас. — Материалы для характеристики царствования. Сб. М., 1917. с. 105—115.
34. Витте С. Ю. Указ. соч., т. 2, с. 48, 68.
35. Обнинский В. П. Последний самодержец. М., 1917, с. 59.
36. Ходынка. Кровавые жертвы коронации. Женева, 1900, с. 19.
37. Enthüllungen über Nikolaus II, s. 84—85.
38. Ibid., s. 90.
39. ЦГАОР, ф. 601, оп. 1, д. 236. Дневник Николая Романова. Тетради. 1896 г.

თავი IV

1. იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 7, გვ. 135—136 (რუს. გამოც.)
2. Ежегодник России за 1904 г. СПб., 1905, с. 80, 81; Варзар В. Е. Статистические сведения о фабриках и заводах России, по производствам. СПб., 1903, с. X—XI; Гливиц И. Железная промышленность России. СПб., 1911. Стат. прил., с. 8, 13.
3. «Бич» (Томск), 1906, № 3.
4. Ламздорф В. Н. Указ. соч., с. 195, 253—254, 207—208.
5. Кони А. Ф. Бездействие властей при раздаче хлеба голодающим. — Собр. соч., в 8-и т., т. 2, М., 1966.
6. Витте С. Ю. Указ. соч., т. 3. с. 398—399.
7. Наумов А. Н. Из уцелевших воспоминаний. Нью-Йорк, 1954, с. 289—291, 302.
8. Революция 1905—1907 гг. в России. Сб. док. и матер. М., 1957, с. 77—83.
9. Лященко П. И. История народного хозяйства СССР, т. 2. М., 1956, с. 263.
10. Хромов П. А. Экономическое развитие России XIX—XX вв., М., 1950. с. 403.
11. Гольденвейзер А. Б. Вблизи Толстого. Запись от 5 января 1902 г. М., 1959, с. 105; Толстой С. Л. Указ. соч., с. 228.
12. Толстой Л. Н. ПСС, т. 73, с. 186.
13. Гольденвейзер А. Б. Указ. соч., с. 60.
14. «Литературное наследство», 1939, т. 37—38, с. 326—327.

15. Горький А. М. Литературные портреты. Лев Толстой. М., 1967, с. 118.
16. Гольденвейзер А. Б. Указ. соч., с. 267.
17. Из документации Отдела рукописей Государственного музея Л. Н. Толстого.
18. Протоколы секретного Петергофского Совещания. — Материалы для характеристики царствования. Сб. М., 1917, с. 124, 129, 245—247.
19. Радищев А. Н. Путешествие из Петербурга в Москву. Л., 1969, с. 154—162.
20. Heuer H. M. Op. cit. — „Bunte Illustrierte" (№ 12), 17. III. 1965.
21. Кольцов М. Е. Избр. произв. в 3-х т., т. I, М., 1957, с. 51—68.
22. Законодательные акты переходного времени. 1904—1908. Сборник законов, манифестов и указов. СПб., 1909, с. 615.
23. Сборник РИО, 1896, т. 98, с. 237.
24. Витте С. Ю. Указ. соч., т. 3, с. 48.
25. Стендецкий С. К. Мы закалились в борьбе. — Великие незабываемые дни. Сборник воспоминаний участников революции 1905—1907 гг. М., 1970.
26. Лемке М. К. 250 дней в царской Ставке (25 сентября 1915 — 2 июля 1916). Пгр., 1920, с. 159; Мстиславский С. Пять дней. Начало и конец Февральской революции. Берлин, 1922; его же. Гибель царизма. Л., 1927, с. 57—60.
27. Кони А. Ф. Собр. соч., т. 2, с. 378.
28. Данилов Ю. Н. Мои воспоминания о Николае II. — «Архив русской революции», т. XIX. Берлин, 1928, с. 15.
29. Кони А. Ф. Собр. соч., т. 2, с. 377.
30. Мосолов А. А. Указ. соч., т. 108; Авдеев А. Д. Из воспоминаний коменданта. — «Красная новь», 1928, № 5, с. 191.
31. Мосолов А. А. Указ. соч., с. 10—11.
32. Кони А. Ф. Собр. соч., т. 2, с. 380.
33. იქვე, გვ. 381, 379.
34. Данилов Ю. Н. Указ. соч. — «Архив русской революции», 1928, т. XIX, с. 213.
35. Кони А. Ф. Собр. соч., т. 2, с. 383, 381.
36. იქვე, გვ. 377.
37. იქვე, გვ. 383, 378—379, 381, 382.
38. Мосолов А. А. Указ. соч., с. 212.
39. Данилов Ю. Н. Указ. соч., — «Архив русской революции», 1928, т. XIX, с. 217.
40. Свод высочайших отметок по всеподданнейшим отчетам губернаторов, генерал-губернаторов, военных губернаторов, градоначальников и наказных атаманов казачьих войск. СПб., 1905—1907, с. 4, 11, 17, 19, 30, 36, 37, 42—44, 47, 56, 57, 75—78, 112—114.

თავი V

1. ЦГАОР, ф. 601, оп. 1, д. 248. Дневник Николая Романова. Запись от 9 января 1905 г.
2. Сулержицкий Л. Дни в Ясной Поляне. СПб., 1913, с. 28.
3. ЦГАОР, ф. 601, оп. I, д. 248. Дневник Николая Романова. Запись от 10 января 1905 г.

4. «Голос труда», 1905, № 2.
5. ЦГАОР, ф. 540, оп. 1, д. 739, л. 45, 46.
6. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 8, 1949, გვ. 146—147.
7. Горький А. М. Литературные портреты. М., 1967, с. 296.
8. Жорес Ж. Смерть царизма. — Голоса минувшего. Сб. М., 1917; с 253—254.
9. «Русское знамя», 19 декабря 1905 г.
10. Книгин Н. А. Костры на Пономаревском острове.—Великие незабываемые дни. Сборник воспоминаний участников революции 1905—1907 годов. М., 1970, с. 269.
11. ЦГВИА, ф. Главного военно-судного управления, 1906—1907 гг., д. 54.
12. Katkov G. Russia 1917. The February Revolution. London, 1967, p. 354; Alexandrov V. Op. cit., p. 114.
13. Листовки петербургских большевиков. 1902—1907. М.—Л., 1939.
14 ЦГВИА. ф. Главного военно-судного управления, 1906 г., д. 54.
15. ЦГАОР, ф. ДП, 7 д-во, 1906, д. 8, т. IV, лит. А. «Списки лиц, казненных по приговорам военных судов», л. 3—6; Фалеев А. Шесть месяцев военно-полевой юстиции.—«Былое». 1907, № 2; Солнцев К. И. Воинская преступность в царской армии.—«Советское государство и право», 1936, № 6; «Новые силы», 18 февраля, 23 сентября 1907 г.; «Столичная почта», 14 марта 1907 г.
16. ЦГАОР, ф. ДП, 7 д-во, 1906 г., д. 8, ч. 34, л. 4, 8.
17. ЦГВИА, ф. Главного военно-судного управления, д. 5-го отд. св. 10, № 2, л. 337.
18. «Красный архив», 1926, т 4 (17), с. 224.
19. ЦГВИА. ф. Главного военно-судного управления, д. 5-го отд. св. 7, № 81, л. 45—64.
20. ЦГАОР, ф. ДП, 7 д-во, 1906 г., д. 106475.
21. ЦГАОР, ф. II, оп. I, д. 8661, л. 9, 12.
22. Лукашевич С. П. Казнь девятнадцати матросов.—«Красный флот». 1923, № 3, с. 120—121; Новиков-Прибой А. С. Собр. соч., т. I, М., 1950, с 105—111; ЦГВИА, ф. 400, оп I, д. 15, л. 13—14; Революционная поэзия. Л., 1954, с. 532—533.
23. ЦГИА г. Москвы. ф. Канцелярии московского генерал-губернатора, 1905 г., оп. 6, д. 154, л. 99.
24. «Молодая Россия» (№ 24), 12 мая 1917 г.
25. Сторожев В. Ф. В. Дубасов и Г. А. Мин на Пресне в 1905 г. По данным секретного отделения канцелярий московского генерал-губернатора. — «Голос минувшего», 1918, № 4—6, с. 66.
26. Полный текст этого приказа за № 349 от 15 декабря 1905 г. был впервые опубликован в кн.: Владимиров В. Карательная экспедиция лейб-гвардии Семеновского полка в декабрьские дни на Московско-Казанской ж. д. М., 1906, с. 6.
27. «Нужды деревни» (№ 4), 27 января 1906 г.
28. «Красный архив», 1926, т. 5 (19), с. 94.
29 Крастинь Я. П. Революция 1905—1906 года в Латвии. Док. и матер. Рига, 1956, с. 391.
30. Революция 1905—1907 гг. в Грузии. Тбилиси, 1956, с. 537.
31. «Образование», 1906, № I, с. 119.
32. Витте С. Ю. Указ. соч., т. 3, с. 62, 66, 70, 145, 272.
33. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, 1950, გვ. 553—557.

34. Революция 1905—1907 гг. в России. Сб. док. и матер. М., 1955, док. 90, 91, 73—108.
35. ЦГАОР, ф. Совета Министров, оп. 2, д. 58, л. 1—1 об.
36. Витте С. Ю. Указ. соч., т. 3, с. 555.
37. იქვე, გვ. 92—93; Ленин К. М. Вооруженное восстание в Москве. М., 1906, с. 10.

თავი VI

1. „Lüstige Blätter" (München), 18. II. 1906.
2. Витте С. Ю. Указ. соч., т. 3, с. 387.
3. Фанк В. Литературные воспоминания. М., 1963, с. 275—281.
4. «Объединение», 15 сентября 1906 г.
5. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 17, 1951, გვ. 293.
6. Витте С. Ю. Указ. соч., т. I, с. 283; т. 2, с. 272—273, 507; т. 3, с. 43.
7. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, 1950, გვ. 553—554.
8. ЦГАОР, ф. 540, оп. 1, д. 739, л. 12 об.
9. Погромы в дни свободы.—«Каторга и ссылка», 1925, вып. 46, с. 8—10, 12.
10. იქვე, გვ. 8, 12.
11. Шульгин В. В. Указ. соч., с. 25.
12. Падение царского режима, т. VI, с. 179—180, 191, 197—198, 201. Допрос Н. Е. Маркова 2-го от 24 июля 1917 г.
13. Погромы в дни свободы.—«Каторга и ссылка», 1925, вып. 46, с. 6, 7.
14. Витте С. Ю. Указ. соч., т. 3, с. 42, 43, 330, 333, 393.
15. Витте С. Ю. Указ. соч., т, 2, с. 273, т. 3, с. 394.
16. Витте С. Ю. Указ. соч., т. 2, с. 210, т. 3, с. 326.
17. Лависс Э. и Рамбо А. История XIX века, т. 7. М., 1939, с. 212.
18. იქვე, გვ. 414, 412.
19. Ламздорф В. Н. Указ. соч., с. 130.
20. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 16, 1951, გვ. 213.
21. Витте С. Ю. Указ. соч., т. 2, с. 210, 207.
22. Будберг А. Дневник.—Архив русской революции, 1923, т. XII, с. 198, 210.
23. Мулин В. Под маской объективности (О генерале Эрнсте Кестрингe).—«Красная звезда», 4 октября 1966 г.; Безыменский Л. Урок, которого нельзя забывать.—«Новое время», 19 марта 1970 г.
24. Успенский К. Н. Очерк царствования. М., 1917, с. 34.
25. Обнинский В. П. Указ. соч., с. 83.
26. Витте С. Ю. Указ. соч., т. 2, с. 275—276.
27. Законодательные акты переходного времени. 1904—1908, стр. 200—204.
28. იქვე, გვ. 206.
29. Эти факты подтверждены в воспоминаниях Витте (т. 3, с. 152, 157—158).
30. ЦГАОР, ф. 601, оп. 1, д. 248. Дневник Николая Романова. Запись от 19 декабря 1905 г.
31. Факт этого указания подтверждает В. Сторожев в своей работе «Декабрьское вооруженное восстание в Москве» (М., 1906, с. 45).
32. Этот факт подтвержден А. М. Горьким (А. М. Горький. Материалы и исследования АН СССР. Сб., т. I. М.—Л., 1934, с. 57).
33. Царизм в борьбе с революцией в 1905—1907 гг. М.—Л., 1936, с. 83.

34. ЦГИА, ф. 1280, оп.: 1900 г. — № 851; 1901 г. — № 865; 1902 г. — № 879; 1903 г. — № 886; 1904 г. — № 903; 1905 г. — № 930; 1906 г. — № 959; 1907 г. — № 989; 1908 г. — № 1003; 1909 г. — № 1014; 1910 г. — 1037; 1911 г. — № 1054; 1912 г. — № 1064; 1913 г. — 1084; 1914 г. — № 1082; 1915 г. —1105; 1916 г. — № 1133.

35. Карательная экспедиция в Сибири в 1905—1906 гг. Сб. док. и матер. М.—Л., 1932, док. 206, с .31.

36. ЦГАОР, ф. 601, оп. I, д. 1059, л. 1—4 об.

37. ЦГАОР, ф. ДП, 1905 г., д. 2540, т. III, л. 51—55.

38. ЦГАОР, ф. 642, оп. I, д. 2328. Письмо Николая Романова к матери от 12 января 1906 г.; ф. 601, оп. I, д. 250. Дневник Николая Романова. Записи от 9 и 10 февраля 1906 г.; Карательная экспедиция в Сибири в 1905—1906 гг. Дневник А. П. Евецкого, поручика лейб-гвардии Кексгольмского полка, с. 31.

39. Витте С. Ю. Указ. соч., т. 3, с. 179.

40. Кони А. Ф. Собр. соч., т. 2, с. 378.

41. «Русские ведомости» (№ 324), 19 декабря 1905 г.; П. Янсон. Карательные экспедиции в Прибалтийском крае 1905—1907 гг. По материалам II Государственной Думы. Л., 1926, с. 49.

42. Карательная экспедиция в Сибири в 1905—1906 гг., док. 60, с. 104—105; «Красный архив», 1927, т. 22, с. 186—187.

ОБЗОР VII

1. ЦГАОР, ф. 601, оп. I, д. 247. Дневник Николая Романова. Запись от 15 июня 1904 г.

2. Письмо Николая II к царице от 28 февраля 1915 г. — Переписка Николая и Александры Романовых. 1914—1917 гг., т. III. М., 1925, с. 116; «Вечернее время» (Петроград), 21 июня 1917 г.

3. Орешин П. Распутин. Поэма. — Сб. Родник, т. 3. М.—Л., 1927, с. 253.

4. Толстой А. Н. Хождение по мукам. — Собр. соч., в 10-ти т., т. 5. М., 1959, с. 11.

5. Наживин И. Распутин. Роман. Берлин, 1924; Naschiwin J. Rasputin. Roman. Leipzig, 1925.

6. Heyman R. Rasputin. Roman. Leipzig, 1928; Linz K. Rasputin, der Dämon des Letzten Zaren. Roman. Berlin, 1931; Le Queux W. The minister of evil. A poem. London, 1938: Billington J. The Ikon and the Axe (Rasputin). New York, 1966.

7. Страшный монах (Распутин) і упадок російського царату. Виннипег (Канада), (б, г.).

8. ЦГАОР, ф. 1467, оп. 710. Протоколы Чрезвычайно-следственной комиссии Временного правительства. Документация о Распутине на 88 листах, составленная следователем Ф. П. Симсоном. Папка начата 1 сентября 1917 г.

9. Онгирский С. С. Указ. соч. — ЦГАЛИ, ф. собрания воспоминаний и дневников, д. 1337. с. 46.

10. ЦГАОР, ф. 601, оп. 1, д. 245—249. Дневники Николая Романова за 1903—1906 гг.

11. Иеромонах И. (Сергей Труфанов). Святой черт (Записки о Распутине). С предисл. С. П. Мельгунова.—«Голос минувшего», 1917, № 3, с. 1—187; Trufanoff S. (Illiodor). The mad monk of Russia. New York, 1918; Fülöp-Miller R Der Heilige Teufel. Rasputin und die Frauen. Berlin, 1931; Simanowitsch A. Rasputin. der allmächtige Bauer. Berlin, 1928, s. 134.

12. Соколов Н. А. Указ. соч., с. 77.
13. Там же, с. 68. Показания Ф. Ф. Юсупова.
14. Цитируемые ниже тексты телеграмм, записок и высказываний Распутина частью взяты из документации, обнаруженной после февраля 1917 г. в делах сановников и в переписке Романовых, воспоминаниях и записях современников.
15. «Былое», 1917, № 5—6 (27—28), с. 228.
16. Падение царского режима, т. VI, с. 73—119. Показания А. Н. Хвостова.
17. Симанович А. Воспоминания бывшего секретаря Григория Распутина. Рига, 1924, с. 67—68.
18. Соколов Н. А. Указ. соч., с. 68.
19. Половцев А. А. Дневник. — «Красный архив», 1923, т. 3, с. 152, 156—158.
20. Распутин в освещении «охранки». Из дневников наружного наблюдения за его квартирой. — «Красный архив», 1924, т. 5, с. 270—288.
21. Воейков В. Н. С царем и без царя. Воспоминания последнего дворцового коменданта императора Николая II. Гельсингфорс, 1936, с. 69.
22. Блок А. А. Собр. соч., т. 6, с. 9.
23. Мельник-Боткина Т. Воспоминания о царской семье и ее жизни до и после революции. Белград, 1921, с. 15.
24. Omessa Ch. Rasputin and the Russian court. London, 1918, p. 89.
25. Симанович А. Указ. соч., с. 117.
26. Вильтон Р. Указ. соч., с. 43—44.
27. Соколов Н. А. Указ. соч., с. 71. Показания Матрены (Марии) Соловьевой-Распутиной.
28. Переписка Николая и Александры Романовых. 1914—1917 гг., т. I—V. М —Л., 1923—1927. Предисловие М. Н. Покровского.
29. Соколов Н. А. Указ. соч., с. 79—80. Показания А. Ф. Керенского, В. А. Маклакова и агента Н.
30. Петроградская контрразведка накануне революции. Из воспоминаний сотрудника. — «Былое», 1924, № 26, с. 222—240.
31. Grühn W. Op. cit., s. 285.
32. Витте С. Ю. Указ. соч., т. 3, с. 44, 384—385.
33. Симанович А. Указ. соч., с. 92—96.
34. Комиссаров М. С. Интервью об обстоятельствах гибели Китченера в 1916 г. — «Красная газета» (Ленинград), 17 декабря 1924 г.
35. Alexandrov V. Op. cit., p. 160.
36. Из письма царицы Николаю II от 5 июня 1916 г. — Переписка Николая и Александры Романовых. 1914—1917 гг., т. IV. М., 1926, с. 289.
37. Симанович А. Указ. соч., с. 133—136.
38. Падение царского режима, т. II, с. 62. Допрос И. Ф. Манасевича-Мануйлова от 8 апреля 1917 г.
39. Симанович А. Указ. соч., с. 139—141.
40. Русский двор в последние дни царствования императора Николая II. По статье Бинштока в журнале «Исторический вестник», 1917, т. CXLIX—CL, с. 252—253.
41. Падение царского режима, т. I, с. 31—32. Показания А. Н. Хвостова от 18 марта 1917 г.
42. Письмо царицы к Николаю II от 22 декабря 1915 г. Письмо Николая II к царице от 31 августа 1915 гг., — Переписка Николая и Александры Романовых. 1914—1917 гг., т. III, с. 506, 289.

43. Падение царского режима, т. IV, с. 119. Показания С. П. Беленкого от 17 мая 1917 г.

44. Письма царицы к Николаю II от 7 ноября 1915 г. и 4 февраля 1916 г.— Переписка Николая и Александры Романовых. 1914—1917 гг. т. III, с. 437; т. IV, с. 81.

45. Haffner S. Der Teufelspakt. — „Stern" (№ 42), 15. X. 1967, S. 60—78.

46. Письмо царицы к Николаю II от 6 ноября 1915 г. — Переписка Николая и Александры Романовых. 1914—1917 гг., т. III, с. 436.

47. Письма царицы к Николаю II от 25 июля, 8 августа, 12 и 15 октября 1916 г. — Переписка Николая и Александры Романовых. 1914—1917 гг., т. IV, с. 391, 405; т. V М., 1927, с. 89, 94.

48. Из письма царицы к Николаю II от 16 сентября 1915 г. — Переписка Николая и Александры Романовых. 1914—1917 гг., т. III, с. 354.

49. Письмо Николая II к царице от 28 сентября 1916 г. — Переписка Николая и Александры Романовых. 1914—1917 гг., т. V, с. 79.

50. Письмо Николая II к царице от 10 ноября 1916 г. — Там же, с. 146.

51. Письмо царицы к Николаю II от 8 декабря 1916 г. — Там же, с. 168.

52. Сухомлинов В. А. Дневники. — «Дела и дни», 1920, № 1; 1922, № 3; его же. Воспоминания. Берлин, 1924; Поливанов А. А. Из дневников и воспоминаний б. военного министра. М., 1924.

53. Падение царского режима, т. II, с. 46—91; допрос И. Ф. Манасевича-Мануйлова (второй) от 10 апреля 1917 г., с. 48—49.

54. Падение царского режима, т. I, с. 31—32; т. II, с. 46—49.

55. Шульгин В. В. Указ. соч., с. 71, 78.

56. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 36, გვ. 15 (რუს. გამოც.).

57. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 26, გვ. 404.

58. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 24. გვ. 214.

59. იქვე, გვ. 12.

60. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 24, გვ. 178 (რუს. გამოც.).

61. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 31, გვ. 480.

თავი VIII

1. Путешествие на Восток. СПб., 1891; Кривенко В. С. Путешествие наследника цесаревича на Восток. СПб., 1981; его же. От Гатчины до Бомбея. Очерки путешествия наследника цесаревича. — «Правительственный вестник», 1891, № 41, 48, 56, 78, 100; Беклемишев Н. Покушение в городе Отсу. СПб., (б. г.).

2. Витте С. Ю. Указ. соч., т. I, с. 439; т. 2, с. 290.

3. Витте С. Ю. Указ. соч., т. 2, с. 143—144.

4. იქვე, გვ. 478.

5. Кони А. Ф. Собр. соч., т. 2, с. 381.

6. Обнинский В. П. Указ. соч., с. 70.

7. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 8, 1949, გვ. 43—47.

8. Витте С. Ю. Указ. соч., т. 2, с. 297—298.

9. ЦГАОР, ф. 601, оп. 1, д. 247. Дневник Николая Романова. Тетради. 1904 г.

10. იქვე.

11. იქვე.

12. Витте С. Ю. Указ. соч., т. 3. с. 148—150; т. 2. с. 434—435.
13. «Литературная газета», 5 декабря 1967 г.
14. Massie R. Op. cit., p. 27.
15. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 21, გვ. 16.
16. История дипломатии, т. 2. М., 1963, с. 776—777.
17. "Ich habe es nicht gewollt — Der Kaiser hatte Angst vor dem Krieg".— "Stern", 1964, № 31.

თავი IX

1. Wie der erste Weltkrieg vorbereitet wurde. Internationale Presse-Korrespondenz. Berlin, 1931, s. 201.
2. Строганов А. «Я обязан это сделать». Признание бывшего члена Государственной думы В. Шульгина.—«Известия», 16 декабря 1960 г.; Шульгин В. В. Возвращение Одиссея — «Известия», 6 сентября 1961 г.; его же. Письма к русским эмигрантам. М., 1961; его же. Годы. Главы из новой книги. — «История СССР», 1966, № 6, с. 65—90; 1967 № 1, с. 125—159.
3. Шульгин В. В. Дни, с. 42.
4. იქვე, გვ. 43, 44.
5. იქვე, გვ. 144.
6. «Исторический вестник», 1917, т. CXLIX—CL, с. 135.
7. Шульгин В. В. Дни, с. 44, 52—53.
8. Сазонов Н. В. Указ. соч., с. 173.
9. Россия в мировой войне 1914—1918 гг. (В цифрах). М., 1925, табл. 6; «Красный архив», 1927, т. 1 (20), с. 39; Сазонов В. Н. Указ. соч., с. 173.
10. Назанский В. И. Крушение великой России и дома Романовых. Париж, 1930, с. 254—256, 259—261.
11. The truth about the reign of the Emperor Nicholas II. The economic, social and cultural development of Russia before the Revolution. London, 1967.
12. ЦГАОР, ф. 601, оп. I, д. 265. Дневник Николая Романова. Запись от 2 (15) марта 1917 г.
13. Шульгин В. В. Дни, с. 48—51.
14. იქვე, გვ. 178—187, 205—208.
15. იქვე, გვ. 51.
16. Авдеев А. Д. Указ. соч. — «Красная новь», 1928, № 5, с. 205.
17. Брусилов А. А. Мои воспоминания. М., 1963, с. 82—83.
18. Бетман-Гольвег Т. Мысли о войне. Пер. с нем. М.—Л., 1925, с. 79.
19. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 21, 1951, გვ. 277.
20. История Коммунистической партии Советского Союза, т. 2. М., 1966, с. 382.
21. «Пролетарская революция», 1923, № 2, с. 437, 441.
22. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 20, გვ. 260.
23. Бадаев А. Е. Большевики в Государственной думе. Воспоминания. М., 1954, с. 310.
24. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 18, 1951, გვ. 462.

25. Листовки Иваново-Вознесенской большевистской организации. 1900—1917 гг. Иваново, 1957, с. 304.
26. История Коммунистической партии Советского Союза, т. 2, с. 588.
27. Выражение К. Н. Леонтьева (1831—1891), публициста крайне реакционного направления.
28. Тургенев И. С. Новь. Глава 30. Из стихотворения Нежданова в письме к Силину.
29. Симанович А. Указ. соч., т. 41.
30. Dehn L. The real tsaritsa. London, 1922, p. 94.
31. Вильтон Р. Указ. соч., с. 44.
32. Горький А. М. Очерк «Монархист». Собр. соч., т. 15. М., 1951, с. 305.
33. Мельник-Боткина Т. Указ. соч., с. 15.
34. Мосолов А. А. Указ. соч., с. 85.
35. Воейков В. Н. Указ. соч., с. 187.

Глава X

1. Воейков В. Н. Указ. соч., с. 33.
2. Шавельский Г. Воспоминания последнего протопресвитера русской армии и флота, т. I—II. Нью-Йорк, 1954.
3. Paleologue M. Am Zarenhof während des Weltkrieges, Bd. II, München, 1931, s. 161, 174.
4. Деникин А. И. Указ. соч., т. I, с. 17.
5. Taube O. Rasputin. Zürich-Bern, 1929, s. 32.
6. Мосолов А. А. Указ. соч., с. 22.
7. Диалоги приводятся по протокольным записям секретаря Совета Министров Яхонтова, опубликованным в кн.: Мельгунов С. П. Легенда о сепаратном мире (Канун революции). Париж, 1957, с. 55—64.
8. Мосолов А. А. Указ. соч., с. 18.
9. Деникин А. И. Указ. соч., т. I, с. 33.
10. Данилов Ю. Н. Воспоминания. — «Архив русской революции», 1928, т. XIX, с. 213—217; его же. Великий князь Николай Николаевич. Париж, 1930, с. 274.
11. Блок А. А. Собр. соч., т. 6, с. 8.
12. Alexandrov V. Op. cit., p. 120—121.
13. Руднев В. М. Правда о царской семье и «темных силах». С предисл. Б. Гаранина. Там же: Тальберг Н. Кара божия. Берлин, 1920.
14. ЦГАОР, ф. 601, оп. 2 с, д. 36: «Управление верховного правителя и Совета министров», дело о судьбе б. царя Николая II и его семьи, отношение № 322 от 11 февраля 1919 г. и другие документы.
15. Руднев В. М. Указ. соч., с. 28, 30, 31, 39.
16. ибидем, с. 4—6.
17. ибидем, с. 21, 13.
18. Соколов Н. А. Указ. соч., с. 78.
19. Мельгунов С. П. Указ. соч., с. 10.
20. Соколов Н. А. Указ. соч., с. 69—70.
21. ЦГАОР, ф. 601, оп. 1, д. 265. Дневник Николая Романова. Записи от 23 и 28 марта 1917 г.

22. Dehn L. Op.cit.; Vyrubova A. Memories of the Russian court. New York, 1923.
23. Alexandrov V. Op. cit., p. 141.
24. Haffner S. Der Teufelspakt. — „Stern" (№ 42), 15. X. 1967, s. 60—78.
25. Пуанкаре Р. Происхождение мировой войны. Пер. А. Сперанского. М., 1924, с. 162.
26. ОР ГБЛ, ф. 259, карт. 12, д. 11. Письмо М. А. Васильчиковой в редакцию газеты «Русское слово» от 31 мая (13 июня) 1917 г.
27. Пуанкаре Р. Указ. соч., с. 519.
28. იქვე.
29. იქვე.
30. Письмо царицы к Николаю II от 9 марта 1915 г. — Переписка Николая и Александры Романовых. 1914—1917 гг., т. III, с. 140.
31. Сухомлинов В. А. Дневники. — «Дела и дни», 1920, № 1; 1922, № 3.
32. ОР ГБЛ, ф. 259, карт. 12, д. 11.
33. Письмо царицы к Николаю II от 17 апреля 1915 г. — Переписка Николая и Александры Романовых. 1914—1917 гг., т. III, с. 174.
34. Шацилло К. Ф. К попыткам сепаратных переговоров во время первой мировой войны (март—май 1915 г.). — «Вопросы истории», 1970, № 9.
35. Письмо царицы к Николаю II от 5 января 1916 г. — Переписка Николая и Александры Романовых. 1914—1917 гг., т. IV, с. 18.
36. Письмо царицы к Николаю II от 4 июня 1915 г.—იქვე, ტ. III, გვ. 211.
37. Толстой А. Н. Собр. соч. в 10-ти т., т. 9. М., 1960, с. 354.
38. ОР ГБЛ. ф. 259, карт. 12, 11. Письмо М. А. Васильчиковой в редакцию газеты «Русское слово» от 31 мая (13 июня) 1917 г.
39. Мельгунов С. П. Указ. соч., с. 14—20, 22.
40. იქვე, გვ. 13.
41. Тарле Е. В. Германская ориентация и П. Н. Дурново в 1914 г. — «Былое», 1922, № 19, с. 161—171.
42. Мельгунов С. П. Указ. соч., с. 8.
43. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 23, 1951, გვ. 228.
44 .Из документов ЦГАОР, а также из архивных и литературных публикаций разных лет, в том числе телеграммы Григория Распутина («Былое», ноябрь—декабрь 1917, № 5—6 (27—28), с. 228—230).
45. Из письма царицы к Николаю II от 22 февраля 1917 г. — Переписка Николая и Александры Романовых. 1914—1917 гг., т. V, с. 208.
46. Из писем царицы к Николаю II от 24 февраля 1917 г. и 14 декабря 1916 г. — იქვე, გვ. 214, 188.
47. Из тех же писем. Последняя фраза — из письма к Николаю II от 2 сентября 1915 г.—იქვე, ტ. III, გვ. 294.
48. Письма царицы к Николаю II от 10 и 11 июня 1915 г.—იქვე, გვ. 198, 201.
49. Письма царицы к Николаю II от 20 июня и 30 августа 1915 г. — იქვე, გვ. 231, 283.
50. Письмо царицы к Николаю II от 3 сентября 1915 г. — იქვე, გვ. 297.
51. "Welt am Sonntag", 1968, № 29 (21. VII), s. 27.
52. Приводится по описанию: Мельник-Боткина Т. Указ. соч., с. 18.
53. Соколов Н. А. Указ. соч., с. 83.

1 Пуришкевич В. М. Из записок. Париж, 1923; Pourishkevich V. M. Comment jai tué Raspoutine. Paris, 1924; Purischkewitsch W. Tagebuch. Riga, 1928; Юсупов Ф. Ф. Конец Распутина. Воспоминания. Париж. 1927; Joussupov F. Rasputin. New York, 1927; Jussupow F. Rasputins Ende. Erinnerungen. Mit einem Vorwort von Klabund. Berlin, 1928; Joussoupoff F. La fin de Rasputine. Paris, 1960.

2. ЦГАОР, ф. 601, оп. 1, д. 265. Дневник Николая Романова. Запись от 24 декабря 1916 г.

3. Dehn J. Op. cit., p. 164.

4. ЦГАОР, ф. 623, оп. 1, д. 141. Письмо царицы к Вырубовой от 27 декабря 1916 г.

5. Paleologue M. An ambassador's, memories, vol. 3, New York, 1928, p. 11—97.

6. Блок А. А. Собр. соч., т. 6, с. 7.

7. Kennan G. The Russian Revolution—fifty years after: its nature and consequences. — „Foreign affairs", 1967, vol. 46, № 1, p. 1—21; Radkey O. The agrarian foes of Bolshevism. New York, 1958, p. 171; Mouravieff B. La monarchie russe. Paris, 1962, p. 29.

8. Рабочий класс и рабочее движение в России. М., 1966, с. 43; Ленин В. И. ПСС, т. 26, с. 346, т. 27, с. 42; История КПСС, т. 2, с. 517.

9. «Пролетарская революция», 1923, № 1; «Вопросы архивоведения», 1962, № 1.

10. ob. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 23, 1951, გვ. 395.

11. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, გვ. 258—259 (რუს. გამოც.).

12. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 23, 1951, გვ. 395.

13. Иоффе Г. З. Февральская революция 1917 г. в англо-американской буржуазной историографии. М., 1970, с. 45—48, 125; Игрицкий Ю. И. Юбилей Октября и буржуазная историография. — «История СССР», 1968, № 3, с. 219—221; Лотман Ю. М. (Тарту). Масонство. — Советская историческая энциклопедия, т. 9. М., 1966, с. 167—169; Масонство. — Большая Советская Энциклопедия, т. 38. М., 1938, с. 333—339.

14. Seton-Watson H. Russia's February revolution. — "Encounter", 1967, № 6. vol. 28, p. 78, 79; Asher A. February 1917. — „Survey", 1967, № 65, p. 112.

15. Smith N. The role of russian freemasonry in the February Revolution. Another scrap of evidence. — "Slavic review", 1968, № 4, vol. 27, p. 604—608.

16. История КПСС, т. 2, с. 658.

17. Блок А. А. Собр. соч., т. 6, с. 21—30.

18. Письмо царицы к Николаю II от 26 февраля 1917 г. — Переписка Николая и Александры Романовых. 1914—1917 гг., т. V, с. 217.

19. Alexandrov V. Op. cit, p. 122.

20. Harcave S. Op. cit., p. X.

21. Ibid., p. 451—455.

22. История КПСС, т. 2. с. 666.

23. Блок А. А. Собр. соч., т. 6, с. 43.

25. Падение царского режима, т. I, с. 190.

26. Там же, с. 197. Показания С. С. Хабалова в заседании 22 марта 1917 г.

27. Петроградский пролетариат и большевистская организация в годы империалистической войны. Сб. матер. и док. М., 1939, с. 274.

28. Падение царского режима, т. IV, с. 92.

29. «Пролетарская революция», 1923, № 1 (13), с. 300—309; «Красный архив», 1925, т. 3 (10), с. 176.

30. Листовки петербургских большевиков. 1902—1917, т. 2, М., 1939, с. 250—251.

31. Блок А. А. Собр. соч., т. 6, с. 59.

32. Документы Бюро ЦК РСДРП в России (июль 1914—февраль 1917).— «Вопросы истории КПСС», 1965, № 9, с. 82.

33. Минц И. И. История Великого Октября, т. I, с. 544.

34. История КПСС, т. 2, с. 671.

35. Блок А. А. Собр. соч., т. 6, с. 51.

36. Мстиславский С. Пять дней. Начало и конец Февральской революции, с. 81.

37. Блок А. А. Собр. соч., т. 6, с. 48.

38. История КПСС, т. 2, с. 690.

39. Воейков В. Н. Указ. соч., с. 199, 200.

40. Там же, с. 200.

41. Блок А. А. Собр. соч., т. 6, с. 49.

42. Дубенский Д. Как произошел переворот в России. Рига, 1923, с. 21.

43. Великая Октябрьская социалистическая революция. Хроника событий, т. I. М., 1957, с. 15; Минц И. И. Указ. соч., Т. I, с. 568.

44. ЦГАОР, ф. 601, оп. I, д. 265. Дневник Николая Романова. Запись от 27 февраля (12 марта) 1917 г.

45. Блок А. А. Собр. соч., т. 6, с. 62, 63.

46. Hanbury-Williams J. The emperor Nicolaus II as I know him. London, 1934, p. 117.

47. Alexandrov V. Op. cit., p. 128—129.

48. История КПСС, т. 2, с. 672.

49. Революция и гражданская война в описаниях белогвардейцев, с. 237—238.

50. «Красный архив», 1923, т. 4, с. 214.

51. Падение царского режима, т. I, с. 204—205. Показания С. С. Хабалова в заседании от 22 марта 1917 г.

52. Блок А. А. Собр. соч., т. 6, с. 68.

53. Воейков В. Н. Указ. соч., с. 205.

54. Блок А. А. Собр. соч., т. 6, с. 64; Шульгин В. В: Дни, с. 169:

55. Перетц Г. Г. В цитадели русской революции. Записки коменданта Таврического дворца. Пгр., 1917, с. 66—67.

56. Письмо генерала Н. И. Иванова.—«Красный архив», 1926, т. 4 (17), с. 228—229:, Провал попытки Ставки подавить Февральскую революцию в 1917 г. в Петрограде.—«Вопросы архивоведения», 1962, № 1.

57. «История КПСС», т. 2, с. 681—682.

58. Harcave S. Op. cit., p. 462.

59. Воейков В. Н. Указ. соч., с. 217.

60. Daniloff J. Dem Zusammenbruch entgegen. Ein Abschnitt aus der letzten Epoche der russischen Monarchie. Bremen, 1929, s. 120.
61. Мосолов А. А. Указ. соч., с. 86—87.
62. Воейков В. Н. Указ. соч., с. 234; Вильчковский С. Н. Пребывание государя императора в Пскове в марте 1917 г.—«Русская летопись», 1922, № 18, с. 161—187.
63. Воейков В. Н. Указ. соч., с. 235, 4, 219.
64. Harcave S. Op. cit. p. 467—468.
65. Воейков В. Н. Указ. соч., с. 220.
66. იქვე, გვ. 220, 221.
67. იქვე, გვ. 212.
68. Harcave R. Op. cit., p. 468.
69. Блок А. А. Собр. соч., т. 6, с. 79.
70. Шульгин В. В. Дни, с. 160.
71 Harcave S. Op. sit., p. 468.
72. Шульгин В. В. Дни, с. 160—162.
73. Воейков В. Н. Указ. соч., с. 223.
74. Шульгин В. В. Дни, с. 162.
75. Воейков В. Н. Указ. соч., с. 224.
76. Шульгин В. В. Дни, с. 163, 164.
77. იქვე, გვ. 167.
78. Блок А. А. Собр. соч., т. 6, с. 82.
79. Шульгин В. В. Дни, с. 167, 168.
80. იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 21, გვ. 249.
81. Приводится по кн.: Бурджалов Э. Вторая русская революция. М., 1967, с. 403—404.
82. იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 23, გვ. 453.
83. იქვე.
84. Лемке М. 250 дней в царской Ставке (25 сентября 1915—2 июля 1916). СПб., 1920; Тихменев Н. Из воспоминаний о последних днях пребывания императора Николая II в Ставке. Ницца, 1925; Пронин В. М. Последние дни царя в Ставке. Белград, 1929, и др.
85. Блок А. А. Собр. соч., т. 6, с. 82.
86. Harcave S., Op. cit., p. 470.
87. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 23, 1951, გვ. 457.
88. Шульгин В. В. Дни, с. 173—175.
89. Ломоносов Ю. В. Воспоминания о Мартовской революции 1917 г. Стокгольм—Берлин, 1921, с. 28—29.
90. Шульгин В. В. Дни, с. 173.
91. Смирнов М. И. (б. начальник штаба Черноморского флота). Адмирал Колчак во время революции.—Революция и гражданская война в описаниях белогвардейцев, с 246.
92. Милюков П. Н. История русской революции, т. I, вып. I. София, 1921—1924, с. 54.
93. Шульгин В. В. Дни, с. 180, 181, 205—206.
94. Палеолог Ж. М. Царская Россия накануне мировой войны. М.—Пгр. 1923, с. 363—364.
95. Шверубович В. О людях, о театре и о себе. М., 1976, с. 384.

96. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 23, 1951, გვ. 165.
97. Шульгин В. В. Дни, с. 183.
98. Harcave S. Op. cit., p. 471.
99. Падение царского режима, т. I, с. 203. Показания генерала Хабалова.
100. Buchanan G. My mission to Russia, vol. 2. London—New York, 1923.
101. Rodsjanko M. W. Erinnerungen. Berlin, 1926, s. 28.
102. Революционное движение в России после свержения самодержавия, с .402.

თავი XII

1. Падение царского режима, т. VI, с. 409, 393. Из записей Д. Н. Дубенского.
2. Мордвинов А. А. Из воспоминаний. Париж, 1925, с. 12.
3. «Новый Сатирикон», 1917, № 14 (апрель).
4. ЦГАОР, ф. 601, оп. I, д. 265. Дневник Николая Романова. Запись от 2 (15) марта 1917 г.
5. იქვე. Запись от 3 (16) марта 1917 г.
6. The letters of Tsar Nicholas and Empress Marie. London, 1937; Bing J. The confidentional correspondence between Nicolas II and his mother, dowager Empress Marie Feodorovna. New York, 1938; Der letzte Zar. Briefwechsel Nikolaus II mit seiner Mutter. Berlin, 1935.
7. ЦГАОР, ф. 601, оп. I, д. 265. Дневник Николая Романова. Запись от 3(16) и 7 (20) марта 1917 г.
8. Frankland N. Imperial tragedy. Nicolas II, last of the tsars. New York 1961, p. 13.
9. Alexandrov V. Op. cit., p. 114, 116.
10. Almedingen E. M. The Romanovs. Three centuries of an illiated dynasty. New York, 1966, p. 316—317.
11 «День», 29 марта 1917 г.
12. Almedingen E. M. Op. cit., p. 314, 315.
13. «Вестник думских журналистов», 1917, № 4, с. 7.
14. Соколов Н. А. Указ. соч., с. 9; Волков А. А. Около царской семьи. Париж, 1928.
15. Alexandrov V. Op. cit., p. 120.
16. Николай II и великие князья. М.—Л., 1925, с. 145.
17. Соколов Н. А. Указ. соч., с. 93, 86. Показания Е. С. Кобылинского.
18. იქვე, გვ. 11 — 12. Показания Г. Е. Львова.
19. Жильяр П. Трагическая судьба русской императорской фамилии. Воспоминания бывшего воспитателя наследника цесаревича. Ревель, 1921, с. 43.
20. Мордвинов А. А. Указ. соч., с. 12.
21. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 23, გვ. 465.

22. Воейков В. Н. Указ. соч., с. 286.

23. ЦГАОР, ф. 601, оп. 1, д. 265. Дневник Николая Романова. Запись от 14 (1) апреля 1917 г.

24. Мосолов А. А. Указ. соч., с. 97.

25. Блок А. А. Записные книжки (1901—1920). М., 1965, с. 327, 328, 331, 350, 378—379.

26. Botkin G. The real Romanovs. New York, 1934, p. 18.

27. Блок А. А. Записные книжки (1901—1920), с. 331.

28. Dehn L. Op. cit., p. 24.

29. Benckendorff P. The last days at Tsarskoje Selo. London, 1927; Benckendorff P. Souvenirs. — "Revue de Deux Mondes", 1928, № 11.

30. Соколов Н. А. Указ. соч., с. 162. Показания А. Ф. Керенского.

31. Kerensky A. F. La Revolution Russe. Paris, 1928, p. 28.

32. Kerensky A. F. Rußland und der Wendepunkt der Geschichte. Hamburg, 1967, s. 416.

33. "Die Welt", 12. VII. 1968, s. 6.

34. Соколов Н. А. Указ. соч., с. 162. Показания А. Ф. Керенского.

35. Мельник-Боткина Т. Указ. соч., с. 82.

36. Назанский В. И. Указ. соч., с. 195—196, 200—201.

37. ЦГАОР, ф. 601, оп. 1, д. 265. Дневник Николая Романова. Запись от 22 июня (5 июля) 1917 г.

38. Dehn L. Op. cit., p. 29; Соколов Н. А. Указ. соч., с. 21.

39. История КПСС, т. III, кн. I, с. 3.

40. Сидоров А. Л. Финансовое положение России в годы первой мировой войны (1914—1917). М., 160, с. 429.

41. Экономическое положение России накануне Великой Октябрьской социалистической революции. Док. и матер., ч. I. Март—октябрь 1917 г. М.—Л., 1957, с. 521.

42. Карабчевский Н. П. Что глаза мои видели, т. I, Берлин, 1921, с. 326.

43. Alexandrov V. Op. cit., p. 170.

44. Соколов Н. А. Указ. соч., с. 8; Лукомский А. С. Воспоминания и документы к воспоминаниям. — «Архив русской революции», т. II. Берлин, 1922, с. 12—14; т. 3, с. 247—270.

45. ЦГАОР, ф. 601, оп. 1, д. 265. Дневник Николая Романова. Запись от 23 марта 1917 г.; Соколов Н. А. Указ. соч., с. 268. Показания Г. Е. Львова.

46. Alexandrov V. Op. cit., p. 143; Милюков П. Н. О выезде из России Николая II. — «Последние новости» (Париж), 8. IX. 1921; Керенский А. Ф. Издалека. Сб. ст. Париж, 1922, с. 191.

47. Мстиславский С. Пять дней. Начало и конец Февральской революции, с. 25.

48. Alexandrov V. Op. cit., p. 143—144.

49. «Двуглавый орел» (Берлин), 1922, № 11; Соколов Н. А. Указ. соч., с. 37. 38.

50. Соколов Н. А. Указ. соч., с. 24.

51. История КПСС, т. III, кн. I, с. 147.

52. Первый Всероссийский съезд Советов Р. и С. Д. М.—Л., 1930. с. 65.
53. Милюков П. Н. О выезде из России Николая II. — «Последние новости» (Париж), 8. IX. 1921.
54. Соколов Н. А. Указ. соч., с. 268. Показания П. Н. Милюкова.
55. Жильяр П. Указ. соч., с. 45.
56. Керенский А. Ф. Временное правительство и царская семья. Под датой: 28 августа 1921 г. — Бьюкенен Дж. Мемуары дипломата. М., 1924.
57. Frankland N. Op. cit., p. 119—120; Extract from letter: Lord Bertie to Foreign Secretary, April 22, 1917.
58. Керенский А. Ф. Отъезд Николая II в Тобольск. Под датой: 11 сентября 1921 г. — «Издалека». Сб. ст. Париж, 1921, с. 187.
59. Alexandrov V. Op. cit., p. 157—158.
60. Ibid., p. 159.
61. Frankland N. Op. cit., p. 119.
62. Alexandrov V. Op. cit., p. 158, 160; Buchanan M. Petrograd, City of Trouble. London, 1918; Buchanan M. The dissolution of an Empire. London, 1932; Бьюкенен М. Крушение великой империи. Пер. с англ., т. I—II. Париж, 1933.
63. Соколов Н. А. Указ. соч., с. 268.
64. Боейков В. Н. Указ. соч., с. 307.
65. Alexandrov V. Op. cit., p. 159.
66. Hingley R. The tsars. Russian Autocrats 1533—1917. London, 1968, p 302.
67. Воейков В. Н. Указ. соч., с. 307.
68. Alexandrov V. Op. cit., p. 156, 159.
69. Heuer H. M. Op. cit.—"Bunte Illustrierte" (№ 12), 17. III. 1965, s. 42.
70. Мстиславский С. Пять дней. Начало и конец Февральской революции, с. 57—60.
71. Половцев П. А. Дни затмения. Записки бывшего командующего войсками Петроградского военного округа в 1917 г. Париж (б./г.), с. 143.
72. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 25, გვ. 261, 262, 263.
73. Жирмунский Е. В то грозовое лето. — «Рабочий путь», 16 августа 1925 г.

თავი XIII

1. Блок А. А. Записные книжки (1901—1920). с. 346.
2. Соколов Н. А. Указ. соч., с. 25. Показания А. Ф. Керенского.
3. იქვე, გვ. 25, 26.
4. Heuer H. M. Op. cit.—"Bunte Illustrierte", 24. IV. 1965; Alexandrov V. Op. cit., p. 177.

5. Соколов Н. А. Указ. соч., с. 26.
6. Alexandrov V. Op. cit., p. 180.
7. "Die Welt" 25. VI. 1968, s. 6.
8. Harcave S. op. cit., p. 474; Frankland N. Op. cit., p. 124.
9. Bulygin P. and Kerensky A. The murder of the Romanovs. London, 1935. p. 112.
10. Kobylinsky E. The last dast days of the Romanovs. London, 1920, p. 41.
11. Панкратов В. С. В Тобольске. — «Былое», 1924, № 26, с. 195—220.
12. ибид.
13. Kleinmichel M. Memories of a shipwrecked world. London, 1935, p. 12.
14. Назанский В. И. Указ. соч., с. 197.
15. Buxhoeveden S. Left behind: Fourteen Months in Siberia During the Revolution. New York—London, 1928, p. 91, 92.
16. ЦГАОР, ф. 601, оп. 1, д. 265, Дневник Николая Романова. Запись от 7 (20) августа 1917 г.
17. Buxhoeveden S. Op. cit., p. 102.
18. Коганицкий И. 1917—1918 гг. в Тобольске. Николай Романов. Гермогеновщина. — «Пролетарская революция», 1922, 4, с. 6—7.
19. Панкратов В. С. Указ. соч., — «Былое», 1924, № 26, с. 199—200.
20. "Die Welt", 25. VII. 1968.
21. Публикуется по фотографии с оригинала: Войков В. Н. Указ. соч., прил. IV, с. V—VIII.
22. Панкратов В. С. Указ. соч., — «Былое», 1924, № 26, с. 195—220.
23. Соколов Н. А. Указ. соч., с. 171, 34.
24. Панкратов В. С. Указ. соч., — «Былое», 1924, № 26, с. 195—220.
25 Матвеев П. М. Великое десятилетие (К 10-летию Советской власти). Сборник воспоминаний о революции и гражданской войне. Л., 1927.
26. Соколов Н. А. Указ. соч., с. 62. Показания Г. Е. Львова, с. 41. Показания А. Ф. Керенского, с. 55. Показания Е. С. Кобылинского.
27. "Die Welt" (№ 158), 10. VII. 1968, s. 6.
28. "Welt am Sonntag", 12. VII. 1968.
29. Мельник-Боткина Т. Указ. соч., с. 25.

Глава XIV

1. Об участии И. Я. Коганицкого в борьбе за Советскую власть в Тобольске и Сибири в 1918 г. см.: Три года борьбы за диктатуру пролетариата. 1917—1920. Омск, 1920; Революционное движение в Тобольской губернии. Тюмень, 1961; Рощевский П. И., Никифорова М. М. Сквозь грозы. Краткие биографии 38 революционеров Тобольской губернии в период Октябрьской революции и гражданской войны. Свердловск, 1967, с. 39—44; Мельников В. Борец за Советскую власть. — «Тобольская правда» (№ 69), 9 июня 1957 г.
2. Коганицкий И. Я. Николай II в Тобольске. Воспоминания. Неопубликованная рукопись, с. 11—12 (находится у автора данной книги).
3. ибид. 83. 12. О жизни и деятельности Н. М. Немцова см.: Минутко И., Ошевский С. Он остается с нами. — Гвардейцы Великого Октября. Сб. Тула, 1967, с. 212—253; Рогачевских В. Верный сын советского народа. — «Тюмен-

ская правда», 11 июля 1957 г.; Познер А. Г., Чудинова К. П. Сын ленинской партии. К 85-летию со дня рождения Н. М. Немцова. — «Московская правда», 29 апреля 1964 г.; Немцов Н. М. Последний переезд полковника Романова.— «Красная Нива», 1928, № 27, с. 16—17.

4. Очерки по истории партийной организации Тюменской области. Свердловск, 1965, с. 37.

5. იქვე, გვ. 39, 45.

6. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 27, გვ. 9.

7. История КПСС, т. III, кн. I, с. 262.

8. Минц И. И. История Великого Октября, т. III, М., 1973, с. 689.

9. Панкратов В. С. Указ. соч., «Былое», 1924, № 26.

10. ЦГАОР, ф. 601, оп. 1, д. 265. Дневник Николая Романова. Тетрадь 1917 г., с. 23, 27; тетрадь 1918 г., с. 42, 56, 58, 62, 65, 71, 84.

11. Марков С. Покинутая царская семья. 1917—1918. Царское Село — Тобольск — Екатеринбург. Вена, 1928, с. 24, 35.

12. Мельник-Боткина Т. Указ. соч., с. 44.

13. Марков С. Указ. соч., с. 29.

14. Авдеев А. Д. Указ. соч. — «Красная новь», 1928, № 5, с. 186—188.

15. Городецкий Е., Шарапов Ю., Свердлов М., 1971, с. 309.

16. Kreische R. So steht es immer noch im Geschichtsbuch. Wien—Hamburg. 1947, S. 31, 44—45.

17. Marie Pavlovna, grand Duchess. Things I. Remember. New York, 1955.

18. Соколов Н. А. Указ. соч., с. 215—217.

19. Панкратов В. С. Указ. соч. — «Былое», 1924, № 26, с. 213.

20. იქვე, გვ. 217—218.

21. Соколов Н. А. Указ. соч., с. 215.

22. იქვე, გვ. 25.

23. Жильяр П. Указ. соч., с. 79.

24. ЦГАОР, ф. 640, оп. 1, д. 314. Дневник Александры Федоровны. Запись от 26 и 28 марта, 2, 10, 11 апреля 1918 г.

25. იქვე. Из письма Александры Федоровны к А. А. Вырубовой от 12 апреля 1918 г.

26. იქვე. Из письма Александры Федоровны к А. А. Вырубовой от 23 февраля 1918 г.

27. Heuer H. M. Op. cit. — "Bunte Illustrierte", 25. VII. 1965.

28. "Die Welt" (№ 156), 8. VII. 1968, s. 6.

29. Жильяр П. Указ. соч., с. 60—61.

30. Коганицкий И. Я. Указ. соч., с. 10.

31. О жизни, деятельности и облике П. Д. Хохрякова рассказали нам его жена и соратник Татьяна Ильинична Наумова-Теумина и дочь, Чибисова Калерия Павловна.

См. также: История гражданской войны СССР, т. 3, с. 3; Голощекин Ф. И. От Февраля к Октябрю. М., 1957, с. 111; Рощевский П. И., П. Д. Хохряков. Тюмень, 1957, Бажов П. Бойцы первого призыва. Свердловск, 1958, с. 159—160; Столяренко М. А. Матрос с «Зари Свободы», М., 1965; Герои Октября. Биографии активных участников революции, т. II, Л., 1967, с. 355—356; Захаров С. А., П. Д. Хохряков. Л., 1972; Посланец Кронштадта. — «Урал», 1973, № 6, с. 152.

32. Наумова-Теумина Т. Н. 1918 год в Тобольске. Неопубликованная рукопись (находится у автора данной книги), с. 6.
33. «Урал», 1971, № 11, с. 13—14.
34. "Die Welt", 15. VII. 1968, S. 16.
35. "Die Welt", 10. VII. 1968, S. 6.
36. Alexandrov V. Op. cit., p. 211, 212, 205.
37. Ibid., p. 211, 212.
38. Ibid., p. 206, 207.
39. Городецкий Е., Шарапов Ю. Указ. соч., с. 311.
40. «Уфимский октябрьский сборник» № 2. Уфа, 1920. — Статьи: Кривов Т. Петр Иванович Зенцов, с. 111—115; Зенцов Г. Поездка за Николаем Романовым в Тобольск с. 115—118; Тарасов И. Д., Зенцова С. П. Петр Иванович Зенцов. Уфа, 1966.
41. Галкин С. Как перевозили Николая II из Тобольска в Екатеринбург. Неопубликованная рукопись. Март, 1957 (находится у автора этой книги).
42. Тарасов И. Д., Деденко В. П. Дмитрий Михайлович Чудинов, Уфа, 1969; Чудинов Д. Особое задание. — За власть Советов Сборник воспоминаний участников Октябрьской революции и гражданской войны в Башкирии. Уфа, 1961, с. 97—108; Чудинов Д. Из Тобольска в Екатеринбург. Неопубликованная рукопись. Март, 1957, с. 1—10 (находится у автора этой книги).
43. Соколов Н. А. Указ. соч., с. 212. Показания П. Жильяра.
44. ЦГАОР, ф. 601, оп. 1, д. 266. Дневник Николая Романова. Записи от 22, 23, 25 апреля 1918 г., с. 84, 85, 86, 100.
45. Авдеев А. Д. Указ. соч. — «Красная новь», 1928. № 5, с. 191.
46. Чудинов Д. Из Тобольска в Екатеринбург. Неопубликованная рукопись, с. 117, 102.
47. Мельник-Боткина Т. Указ. соч., с 47.
48. Соколов Н. А. Указ. соч., с. 122, 211, 60.
49 Чудинов Д. Из Тобольска в Екатеринбург. Неопубликованная рукопись, с. 103.
50. Авдеев А. Д. Указ. соч. — «Красная новь», 1928. № 5, с. 194.
51. Чудинов Д. Из Тобольска в Екатеринбург. Неопубликованная рукопись, с. 104.
52. Alexandrov V. Op. cit., p. 215.
53. Чудинов Д. Из Тобольска в Екатеринбург. Неопубликованная рукопись, с. 102—103.
54. Немцев Н. Последний переезд полковника Романова. Из воспоминаний. — «Красная нива», 1928, № 27, с. 17—18.
55. "Welt am Sonntag", 28. VII. 1968, S. 26.
56. Соколов Н А. Указ. соч., с. 93, 94. 44, 45.
57. Чудинов Д. Из Тобольска в Екатеринбург. Неопубликованная рукопись, с. 103.
58. Революционеры Прикамья. 150 биографий деятелей революционного движения. Сб. Пермь, 1966, с. 57—59; Быков П. М. Последние дни Романовых. Свердловск, 1926, с. 102 –103; БСЭ, 1-е изд, т. 5. М., 1927, с. 334.
59 Букина М. Н., Постнов Ю. С. Революционер-ученый Б. В. Дидковский. Свердловск, 1969; Ленинская гвардия Урала. Сб. Свердловск, 1967
60. Жуковский Н Полномочный представитель СССР. М., 1968, с. 61; БСЭ. 1-е изд., т 17, М., 1930, с. 491.

1. ЦГАОР, ф. 601, оп. 1, д. 266. Дневник Николая Романова. Запись от 17 (30) апреля 1918 г., с. 92.

2. Авдеев А. Д. Указ. соч. — «Красная новь», 1928, № 5, с. 200.

3. Жильяр П. Указ. соч., с. 11.

4. Соколов Н. А. Указ. соч., с. 218.

Alexandrov V. Op. cit., p. 14—152.

6. Соколов Н. А. Указ. соч., с. 77, 79. Показания Пьера Жильяра.

7. ᲛᲘᲜᲐ, ᲒᲒ. 251. Показания Тегленой.

8. Протоколы заседаний ВЦИК 4-го созыва. Стенографический отчет. М., 1920, с. 241; Свердлов Я. М. Избр. произв., т. 2, с. 195.

9. Авдеев А. Д. Указ. соч. — «Красная новь», 1928, № 5, с. 185—209; его же. Из истории борьбы за Советы. — «Пролетарская революция», 1922, № 4, с. 97—116; его же. С секретным поручением в Тобольске. — «Пролетарская революция», 1930, № 9, с. 94—127.

Об Авдееве см.: Воробьев В. Конец Романовых. Из воспоминаний.— «Прожектор» № 9 (147), 15 июля 1928 г., с. 25.

10. ᲒᲐᲛᲝᲥᲐᲜᲘ, ᲗᲮᲗ. ᲡᲠᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ტ. 52, ᲒᲒ. 264, 515 (ᲩᲔᲛ. ᲒᲐᲛᲝᲪ.).

11. «Правда», 2 августа 1938 г. Траурное объявление.

О жизни и деятельности Я. М. Юровского см.: Ленинская гвардия Урала. Сб. Свердловск, 1967; История Уральского военного округа. Сб. М., 1970, с. 10—11; Резник Я. Л. Чекист (Повесть о Я. М. Юровском). Свердловск, 1972; Грязнов Л. П. Солдат революции. — «Блокнот агитатора» (Свердловск), 1965, № 13 (июль), с. 17—25; Семенов Юлиан. Бриллианты для диктатуры пролетариата. Роман. — «Октябрь», 1971, № 1, 2, с. 55; Воробьев В. Указ. соч. — «Прожектор» 29 (147), 15 июня 1928 г., с. 25.

Кроме того, автор располагал неопубликованными рукописями Я. М. Юровского: «Воспоминания» (январь 1934 г., 21 с.), «Записка коменданта Дома особого назначения в Екатеринбурге. Историку М. Н. Покровскому о казни Романовых» (1920 г.), а также рукописью его сына А. Я. Юровского «В дни Невьянского восстания в 1918 г.» (10 с.) с автобиографическими заметками М. А. Медведева, б. члена коллегии Уральской ЧК (декабрь 1962 г., 10 с.).

12. ЦГАОР, ф. 601, оп. 1, д. 266. Дневник Николая Романова. Запись от 17 (30) апреля 1918 г., с. 92; Harcave S. Op. cit., p. 118.

13. ЦГАОР, ф. 601, оп. 1, д. 266. Дневник Николая Романова. Запись от 25 апреля (8 мая) и 4 (17) мая 1918 г., с. 101.

14. Alexandrov V. Op. cit., p. 217.

15. Авдеев А. Д. Николай Романов в Тобольске и Екатеринбурге. — «Красная новь», 1928, № 5, с. 201.

16. Buxhoeveden S. The life and tragedy of Alexandra Feodorovna. New York—London, 1928.

17. Speranski V. La maison à destination spéciale. La tragédie d'Ekatérinbourg. Paris, 1928.

18. Жуковский Н. Указ. соч., с. 63—64.

19. ЦГАОР, ф. 601, оп. 1, д. 266. Дневник Николая Романова. Запись от 5 (18) июня 1918 г., с. 126.

20. Авдеев А. Д. Николай Романов в Тобольске и Екатеринбурге. — «Красная новь», 1928, № 5, с. 203.

21. Соколов Н. А. Указ. соч., с. 171. Показания бывшего бойца охраны В. В. Медведева.

22. Авдеев А. Д. Николай Романов в Тобольске и Екатеринбурге. — «Красная новь», 1928, № 5, с. 205.

23. Соколов Н. А. Указ. соч., с. 172. Показания В. В. Медведева.

24. Воробьев В. Указ. соч. — «Прожектор» № 29 (147), 15 июля 1928 г., с. 24—26.

25. Авдеев А. Д. Николай Романов в Тобольске и Екатеринбурге. — «Красная новь», 1928, № 5, с. 205.

26. ЦГАОР, ф. 601, оп. 1, д. 266. Дневник Николая Романова. Записи от 29 апреля, 28, 20, 22 и 24 мая 1918 г., с. 105, 120—123.

27. ибид. Запись от 18 мая 1918 г.

28. Жуковский Н. Указ. соч., с. 66.

29. "Die Welt", 12. VII, 1968, s. 12.

30. Alexandrov V. Op cit., p. 219.

31. О своих темных махинациях в России Нокс и Хор кое-что сами рассказали в книгах: Knox A. With the Russian Army (1914—1917). New York, 1921; Hoar S. Das vierte Siegel. Das Ende eines russischen Kapitels. Meine Mission in Rußland 1916—1917. Berlin, 1935.

32. Massie R. Op. cit., p. 486, 487.

33. Alexandrov V. Op. cit., p. 78, 80.

34. Авдеев А. Д. Николай Романов в Тобольске и Екатеринбурге. — «Красная новь», 1928, № 5, с. 203.

35. Alexandrov V. Op. cit., p. 190; Massie R. Op. cit., p. 489.

36. Авдеев А. Д. Николай Романов в Тобольске и Екатеринбурге. — «Красная новь», 1928, № 5, с. 202.

37 «Двуглавый орел» (Берлин), 1923, № 12, с. 19, 20.

38. Дитерихс М. К. Убийство царской семьи и членов дома Романовых на Урале, т. II. Владивосток, 1922, с. 58.

39. ибид.

40. Alexandrov V. Op. cit., p. 213.

ОБЗОР XVI

1. Вильтон Р. Указ. соч., с. 103, 104.

2. Будберг А. Дневник белогвардейца (Колчаковская эпопея). Л., 1929, с. 17—18.

3. "Illustrated news", 21. IV. 1919.

4. Вильтон Р. Указ. соч., с. 11;

5. Соколов Н. А. Указ. соч., с. 25.

6. «Двуглавый орел» (Берлин), 1922, № 9.

7. "Welt am Sonntag", 16. VI. 1968.

8. Рабочая революция на Урале. Эпизоды и факты. Сб. сост. П. М. Быков, А. Г. Нечепуркин. Екатеринбург, 1921, с. 181—183.

9. Alexandrov V. Op. cit., p. 14—16.

10. Соколов Н. А. Убийство царской семьи. Берлин, 1925; Sokoloff N. Der Todesweg des Zaren. Dargestellt von dem Untersuchungsrichter. Berlin, 1925; Sokoloff N. Enquête judiciaire sur l'assassinat de la famille impériale russe Paris, 1924—1926.

11. Василевский И. М. (Не-Буква). Что они пишут? Л., 1923, с. 29.

თავი XVII

1. ЦГАОР, ф. 601, оп. 1, д. 266. Дневник Николая Романова. Записи за декабрь 1917 — январь 1918 г., с. 48.

2. Строки, которые подчеркнул Николай II, цитируются по: Гюго В. Девяносто третий год. — Собр. соч., т. 11, М., 1956, с. 343, 344, 351, 352.

3. Д'Альгейм П. Указ. соч. — Материалы для характеристики царствования, с. 115.

4. Толстой Л. Н. Письмо к Николаю II от 16 января 1902 г. — ПСС, т. 73, с. 184.

5. Блок А. А. Собр. соч., т. 6, с. 10, 34—35.

6. Керенский А. Ф. Издалека. Сб. ст. Париж, 1921, с. 187.

7. Соколов Н. А. Указ. соч., с. 116.

8. Горький А. М. Из письма к В. И. Бреева. — ПСС, т. 1, с. 57—62.

9. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 26, 1952, გვ. 341.

10. «Исторический архив», 1958, № 1, с. 5—6.

11. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 21, 1952, გვ. 590.

12. Декреты Советской власти. Сб., т. I, с. 490—491.

13. «Известия ВЦИК», 6 июля 1918 г.

14. Alexandrov V. Op. cit., p. 218.

15. «Урал», 1971, № 11 ,с. 17.

16. Шульгин В. В. Дни, с. 42, 104, 114.

17. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 23, 1951, გვ. 394.

18. Толстой Л. Н. Из дневников 1904 г. — ПСС, т. 36, с. 613; Лев Толстой. Материалы и публикации. Тула, 1958, с. 118.

19. Документы и материалы по истории советско-польских отношений, т. IV. М., 1966, с. 319.

20. ДВП СССР, т. VII. М., 1963, с. 440.

21. Alexandrov V. Op. cit., p. 228, 236.

22. В. И. Ленин. Биохроника, т. 5, с. 648; Милютин В. Из воспоминаний. — «Прожектор» № 29 (147), 15 июля 1928 г., с. 26.

23. «Русское слово» (№ 18), 22 января 1908 г.; «Биржевые ведомости» (№ 10312), 21 и 22 января 1908 г.

24. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 13, 1950, გვ. 597.

25. იქვე, გვ. 593, 594, 596.

26. Pridham F. Close of a dynasty. Foreword by H. I. H. the Grand Duchess Xenia Alexandrovna. London. 1956.

27. Пуришкевич В. М. Из записок. Париж. 1923, с. 31—32.

28. Воейков В. Н. Указ. соч., с. 284.

29. «Kreuzzeitung», 14. IX. 1928; Кольцов М. Император всероссийский Кирилл I признал Советскую власть. — «Чудак». 1929, № 8; «Литературная газета», 5 ноября 1967 г.

30. А. М. Горький. Материалы и исследования АН СССР, т. I, с. 57—62.

31. Görlitz W. Endet Anastasias Weg dürch deutsche Geschichtssäle? — „Die Welt-, 1970, № 14 (17. I), s. 3.

32. "Bunte Illustrierte", 16. III. 1965, s. 24.

33. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 7, 1949, გვ. 238.

34 «О 60-й годовщине Великой Октябрьской социалистической революции». Постановление ЦК КПСС от 31 января 1977 г. М., 1977, с. 4—5.

35. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, 1952, გვ. 58.

36. ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 8, 1949, გვ. 232.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა 3
ავტორისაგან 22
პროლოგი 28

თ ა ვ ი I

ოპერაცია „რუსი ბიძაშვილი“

ფერფლი ისაკის მოედანზე 34
პოტსდამელი ბიძაშვილის იმედით 38
კაიზერი არ დაეხმარა 47
ცეცხლითა და მათრახით 56

თ ა ვ ი II

საღმრთო კავშირი: მითები და სინამდვილე

ბიორკე . . . 65
მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი... 73
მოჩვენებანი და მედიუმები 77

თ ა ვ ი III

უავგუსტოესის ქრონიკის სათავესთან

თანამდებობის დაკავება . 86
არაჩვეულებრივად ჩვეულებრივი 92
ხოდინური მასპინძლობა . 105
კადრილი საფრანგეთის ელჩთან 108

თ ა ვ ი IV

ის, ვინც იქ არ იყო?

მეფე-შიმშილი 118
წერილი გასპრიდან 127

პეტერჰოფის თათბირი . . . 132
უოჩხული ლოხია, მძვინვარე და ასთავიანი 138
ნიამორის თვალები 147
მეფის ზოგიერთი ავტოგრაფი 157

თ ა ვ ი V

„სიკვდილის რულეტი"

ზალპი სასახლის ფანჯრებთან 162
ორი ბრძანება . 166
ჩამოხრჩობა თუ დახვრეტა? 171
საათი დროს ითვლის 179

თ ა ვ ი VI

როცა ყოველი საშუალება კარგია

ველური და ლაჩრული სასოწარკვეთის პარტია 189
ბიშის საზღაური 198
დედანში წერია 215

თ ა ვ ი VII

გრძნეული ბერი

ხეტიალი . . 226
გოროხოვის ქუჩა, 64 . . 238
ხელისუფლების კარიბჭესთან 260

თ ა ვ ი VIII

მსოფლიო ულტიმატუმის წინ

სამარცხვინო დამარცხება 268
პორტსმუტი . . 275
გასროლა სარაევოში ლათინურ ხიდთან 281

თ ა ვ ი IX

ომი

კონტინენტი ცეცხლშია გახვეული 289
დაგვიანებული ბალანსები . 294
ანგარიში იზრდება 308

თავი X

სასახლესა და უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკს შორის

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი მოგილიოვში 316
სამხილის ლიკვიდაცია 321
კვამლს გაატანეს . 329
თილისმები და ნაჯღაბნები 339

თავი XI

დაღუპვა

წინადღე . . 347
დღეები პირველი—მეოთხე 359
დღეები მეხუთე—მერვე . 367
სამეფო ტახტიდან გადადგომა 383
კვლავ უარი სამეფო ტახტზე 395

თავი XII

ალექსანდრეს სასახლეში დაცვის ქვეშ

დაპატიმრება . . 403
კაბინეტებსა და კაზემატებში 414
გაქცევის ცდა 425
საუბარი დივანზე 444

თავი XIII

ბოლოსწინა მარშრუტი: ტობოლსკი

რატომ ტობოლსკი 451
იაპონიის დროშით 460
ნარდის თამაში და სამოყვარულო სპექტაკლები 466

თავი XIV

ბოლო მარშრუტი: ეკატერინბურგი

გარდაქმნათა ქარტეხილები 482
ცნობები პეტროგრადიდან . . 485
კერენსკი აღარ არის, მის ადგილზეა პანკრატოვი 490

თვითმპყრობელობის რაინდები
პანკრატოვის საათმაც ჩამოკრა
გადასვლისათვის მზადება
იაკოლევის ავანტიურა

თავი XV

სახლი ფერდობზე

სვასტიკა ფანჯრის წალოში
უკანასკნელი კვირების საქმიანი დღეები
ქალაქი ალყაშემორტყმულია
წრე ვიწროვდება
ის სამი ღამე

თავი XVI

კვალდაკვალ

ოთხი ძმის სამანი
სოკოლოვი შმაგობს
ფინიში სალბრიში

თავი XVII

ისტორიის წინაშე

რამ მიიპყრო მისი ყურადღება
საქმენი თქვენნი მოგაგებენ თქვენვე
რასაც ჩასძახებ
ინციდენტი ლისაბონში
უფლისწულები და მათხოვრები
Sic transit gloria mundi
წყაროები და ლიტერატურა

რედაქტორი თ. გოგუაძე

გამომცემლობის რედაქტორი თ. მგელაძე
მხატვარი რ. მაჭარაშვილი
მხატვრული რედაქტორი ა.ჯ. თევზაძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორი ლ. არეშიძე
გამომშვები ნ. მანაგაძე

ს. ბ. № 2557

გადაეცა წარმოებას 21.6.82. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.11.83. საბეჭდი ქაღალდი № 1. 60×84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 38,13. პირ. საღ. გატ. 38,36. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი. სააღრ.-საგამომც. თაბახი 36,0. ტირაჟი 30.000. შეკვ. № 714.

ფასი 2 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.